ლუარა სორდია

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო

ლუარა სორდია

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

UDC (უაკ) 821.353.1.09-1
ს – 69

მონოგრაფიაში შესწავლილია გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის ზოგიერთი არსებითი პრობლემა. ნაჩვენებია, რომ პოეტი შემოქმედებით ნიჭს გაიაზრებდა, როგორც სულიწმინდის მადლს, ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მახასიათებლად მიაჩნდა საღვთო სიბრძნე, საღვთო სიყვარული, ზეციური მუსიკა, ნათელხილვის, ნათელსმენის ფენომენებით წარსულის და აწმყოს ობიექტური ასახვა, წინასწარმეტყველური ინტუიციით მომავლის მოვლენების უტყუარი განჭვრეტა. ხელოვნების უმაღლეს მისიად ესახებოდა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალების ერთგული მსახურება, რწმენის განმტკიცება, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ პოეტის უპირველესი ორიენტირი, უმთავრესი მიზანი იყო არა მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების სინთეზირება, არამედ „აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის“ გზების, „ყველა პოლუსის“ მოხილვა, „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნების დაუფლება, „ფანტაზიის მერნით“ ახალი პოეტური სამყაროს „აღმოჩენა, გამოგონება, შექმნა“, მთელი პლანეტის პროგრესული ინფორმაციების გათავისება „პოეზიის ინტეგრალების“ სახით, ახალი მერიდიანის გავლება მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე, მოდერნიზმის დამკვიდრება, უნივერსალიზმი, რენესანსის საფეხურამდე ამაღლება.

გალაკტიონის უპირველესი დევიზი იყო „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუცია“.

პოეტის მთავარი ორიენტირი იყო მოვლენათა გაცნობიერება „სამშობლოს სანახავიდან“, ამასთან, ლოკალურიდან გლობალურის წვდომა, არა ეფემერული, არამედ მარადიული იდეალების მსახურება, ტოლივით შეხმიანება მსოფლიოს, ეპოქის აზრის საჭეთმპყრობელებთან, კოსმიური მასშტაბების შერჩევა.

ოფიციოზთან, დიქტატორული პერიოდის ტირანიასთან გარკვეული კომპრომისების მიუხედავად, ქართველი პოეტების მეფე წარმოჩნდება, როგორც „ქარის პირისპირ“ მავალი, „სამუდამოდ ჯაჭვაწყვეტილი და ბორკილაყრილი“, არა მედროვეთა მეხოტბე, არამედ „რწმენის მონა“, „მეფისტოფელის საუკუნის“ ობიექტური მსაჯული.

ნაჩვენებია ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების, აპოკალიფსური სახეების მიზანმიმართული გამოყენება პოეტის მიერ.

წიგნში, სათანადო წყაროების გამოყენებით, განხილულია გალაკტიონის ლირიკული შედევრები, პოემა „მშვიდობის წიგნი“.

ნაშრომი წარმოადგენს გალაკტიონის ენიგმების, პოეტური ლიცენციების გაშიფრვის, „ლურჯა ცხენების“ ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური, რელიგიურ-ფილოსოფიური, ესთეტიკური თვალსაწიერის მთავარ მახასიათებლებთან მიახლოების მოკრძალებულ მცდელობას.

საჭიროდ მივიჩნიეთ ყურადღების გამახვილება პოეტის ანტიციპაციაზე, მის მიერ ბიბლიური წინასწარმეტყველებივით ნაგრძნობი და განჭვრეტილი მომავლის მოვლენების, საერო და საკაცობრიო მნიშვნელობის პროცესების წინასწარ ხილვაზე.

მონოგრაფია განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და, საერთოდ, ქართველი პოეტის შემოქმედების პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **როსტომ ჩხეიძე**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ტიტე მოსია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნინო ვახანია**

© ლ. სორდია, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-322-4

შინაარსი

შესავალი 7

თავი I
ესთეტიკის ზოგიერთი პრობლემა

პოეზია – სულიწმინდის მადლი 16
სიყვარულის სიმღერა 21
გალაკტიონ ტაბიძე და ქართული რენესანსის პრობლემა 28
ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული
„ველი“ გალაკტიონის სახისმეტყველებაში 34
„სარკე იშვიათი“ 38
„იწვება სული ხილვის ტაროსზე“ 41
„მიჰქრის მერანი მოგონებათა“ 47
„ჩემს ანგელოზ დას – ჩემს მოგონებას – პოეზიას“ 51
„რუსთაველი მახსოვს ბავშვი“ 52
„მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული“ 54
„ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ 58
ზექვეყნიური, უკვდავი ხმები გალაკტიონის პოეზიაში 61
ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი 70
შემოქმედება – აღმოჩენა, გამოგონება, შექმნა 74
ორფეოსი, დემონი, დიონისე გალაკტიონის შემოქმედებაში 78
პოეტური ინტეგრალები 85
მარადია ერთადერთი: მშვენება 91
მოდერნიზმის გზა. სიმბოლიზმის თავისებურება. ბიბლიური სიმბოლიზმი 95
იმპრესიონიზმი და გალაკტიონის ლირიკა 100
„ლურჯა ცხენების“ ეფემერული და ფერადი ქარები 106
მილიონებში ხელისმრეველი 112
სული შეშლილი და ბედნიერი 114
ზღვარგადამლახველი მოგზაური და მეზღვაური 118
ცხოვრება იგივ ზღვა არის 124
ოკეანესთან დამეგობრება 127
გადავიარეთ მრისხანე ზღვები 130
პოეტი მეზღვაურის „სიხარულის ღვინო“ 134
გენიის ზღვის ახმაურება 136
ოცნების ნავი, ფიქრთა ნავი, ოქროს ნავი, ლაჟვარდის გემი 138
ფანტასტიკური მენავე 143
აგასფერის ხომალდი 146
ქარის პირდაპირ სვლა 147
ოქროს ნავში წინაპრებთან 147
ხომალდების რჩევა და იალქნების ნანა 149

გრიგალის მეთაურობით მოგზაური ანძა 152
მფარველი და თვალებდალურჯული იალქნები 154
მეოცნებე აფრები, საიმედო ღუზა და საჭე 156
უდაბნოში მოხეტიალე ბედუინი 157

თავი II
დიდი ვირტუოზი ლექსისა

მე და ღამე 159
მთაწმინდის მთვარე 167
ლურჯა ცხენები 175
ეფემერა 184
მას გახელილი დარჩა თვალები 190
მზეო თიბათვისა 195
ვერხვები 200
„ატმის ყვავილების“ ციკლი 204
„საღამოს“ სახე-სიმბოლოები 215
ავდრის მოლოდინი 218
კოშკი 221
სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში 229
თოვლი 236
შეხედეთ, მიწა! 242
ალვები თოვლში 246
გზაში 253
უსიყვარულოდ 257
„დომინო“ 264
„მშვიდობის წიგნის“ პრობლემატიკა და სახეები 274

თავი III
ენიგმების, პოეტური ლიცენციების დიდოსტატი

ზამბახის პრინცესა 285
დედოფალი ალვა 289
ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით დაგვირგვინებული ქალწული 293
სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს 299
გაზაფხულის პოეტური ფორმულა 304
ჯვარზე გაკრული ელვა – პოეტის „ლურჯი და“ 306
მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა 317
სიცოცხლის ხე და მისი ვარიაციები 324
იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს 329
დღე გაფითრდა იაგუნდის 339
„გზა“ გალაკტიონის სახისმეტყველებაში 342
დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით 345

რომ უეცარი აღდგეს ქალაქი 347
რომ სიხარული დასცალოს ჭიქით 349
მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით 351
სამი ფერადი ღრუბელი 355
იდუმალებით სავსეა ნისლი 362
ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები 365
მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა 370
მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის 374
რომ ოცნებები ცეცხლით გალესო 381
თვალები შეკრული კამარის 388
დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით 392
მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება 398
გაზაფხულის სავსე ფიალა გადმოიტოპა 402
მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს 404
ამ ვარდობისთვეს ვარდებით ვთვრები 410
აჰა, გაიხსნა ლაჟვარდი ბროლის 418
მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის 425
შუქად მშობლიურ ცას შეეშენები 427
გალაკტიონის მებაღე, მემარნე, მეღვინე 438

თავი IV
აპოკალიფსური სახეები

რევოლუციისა და მისი მონაპოვრების შეფასება გალაკტიონის პოეზიაში 443
დემონი და მისი ვარიაციები 455
ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი 462

V თავი
ჩემი სამშობლოს სანახავიდან

მშობლიური ეფემერა 471
ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოდის განათება 476
კვლავ „სხვა ხალხისა“ და „მოხუცი მამის“ შესახებ 482
გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი 494
ავდრის, უამინდობის, ზამთრის, თოვლის სახეთა ქვეტექსტებით სამშობლოს
ბედისა და უბედობის გაცხადება 504
სამშობლოდ სახელდებული „არაწმინდა თოვლის“ მხარე 508
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო 514
აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული 519
ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს 523

თავი VI

მომავლის თვალი გალაკტიონის პოეზიაში

ანტიციპაცია – მარადიულობის გარანტი 529
ეპოქის ტრაგიკული მოვლენების წინაგრძნობა გალაკტიონის შემოქმედებაში .. 542
სიკვდილის წინაგრძნობა 549
ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნების წინასწარმეტყველება 552
საკუთარი პოეტური მომავლის განჭვრეტა 556

თავი VII

მხოლოდ გამარჯვებით ბედთან შერიგება

გალაკტიონ ტაბიძის „შერიგება“ 566
გადარჩენის ჰიმნი და გადარჩენის ბედნიერება 568

თავი VIII

გალაკტიონის პოეზიის კოსმიური მასშტაბები

ფეხით დიდებისაკენ 584
ახალ სიტყვებში მყოფი სამყარო 585
მომავლის ქნარი 585
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 588

შესავალი

გალაკტიონ ტაბიძე „თვით გენიის ზეციური მირონით“ ცხებულ პოეტად მოევლინა მეოცე საუკუნეს. ეს იყო უღმერთობის, რელიგიასთან ბრძოლის, ეკლესია-მონასტრების ნგრევის ეპოქა, როცა ღმერთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანი სისხლისღვრის, განადგურების ინსტინქტით ატანილმა ცინიკოსმა და ნიჰილისტმა შეცვალა, როცა პარტიულმა დიქტატმა უდიერად გააპარტახა და ჩაკლა თავისუფლებისმოყვარე სული.

ღმერთის უარყოფა მოასწავებდა სულიერ მონობას, ობლობას, მშვენიერების გაუფასურებას. მხოლოდ გონების, პრაგმატულის გაფეტიშებას.

გალაკტიონის სულზე აღიბეჭდებოდა სასოწარკვეთილთა ეს დამღუპველი რყევა უზენაესსა და კაენს, სიკეთესა და ბოროტებას, ამაღლებულ იდეალებსა და დაცემულობას შორის: „მრავალ სახეზე არის ობლობა, მრავალს აშფოთებს რაღაც მონობა: როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა, ვით ავიტანოთ უმადონობა? გაჰქრა ზმანება, გაჰქრა ფერია, ნუთუ ბოდლერიც არაფერია? შელლიც ჰიუგოს დაემგვანება? მიუსსე? ვერლენ? ღმერთი? კაენი? აჰა, ქალაქთა გვიანი ნებით ბურუსებში სჩანს აინშტაინი“ (თუ ბრძოლა არ არის).

XX საუკუნემ მოიტანა „სულზეც იჭვი, ხორცზეც იჭვი“, უდიდესი შესაძლებლობა ყოველგვარი უკეთურების დაკანონებისა.

ევროპაში ნიცშემ დააფიქსირა ღმერთის უარყოფა.

რუსეთის იმპერიაში ბოლომდე მიიყვანეს ეს პროცესი სამართლიანობის სახელით მოსულმა სისხლისღვრის, ნგრევის დიდოსტატმა რევოლუციონერებმა და თავისი ტოტალური მასშტაბებით ეპოქის წყევლად აქციეს.

20-იანი წლების საქართველოში ძალზე მწვავე იყო ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები. სამიოდე წლით მოლანდებული ეროვნული თავისუფლება რუს ოკუპანტთა თარეშმა, რუსეთიდან ექსპორტირებულმა რევოლუციამ შეცვალა. ჰუმანიზმის, სამართლიანობის სახელით მოსულ ბოლშევიკებში ანტიქრისტესა და დრაკონის ნაშიერთა სული გაცხადდა.

ადამიანის ამაღლება რწმენის გარეშე ვერ წარმოედგინა ვაიმარელ ბრძენს: „თავისუფლად გვაქცევს არა ის, რომ ჩვენს ზემოთ არავის და არაფერს არ ვცნობთ, არამედ ის, რომ პატივს ვცემთ იმასაც, რაც ჩვენს ზემოთაა. ზედა ინსტანციის ცნობა ჩვენ მის დონემდე გვამაღლებს და ჩვენი აღიარებით ვიძლევით იმის საბუთს, რომ თვით ჩვენშიც არის სიმაღლე და ღირსნი ვართ იმისა, რომ მის ტოლად გვაღიარონ“ (გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი და კომენტარები აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988, გვ. 117).

ღმერთის ერთგულებას მიიჩნევდა ადამიანის გადარჩენის გზად ნიკოლოზ ბერდიაევი და აღშფოთებული იყო ურწმუნოთა მორალური დაცემით: „ადამიანებმა უარყვეს ღმერთი, მაგრამ ამით ღვთაების ღირსებებში კი არ შეიტანეს ეჭვი, ადამიანის ღირსება დააყენეს ეჭვქვეშ. ადამიანს არ შეუძლია გაძლება ღმერთის გარეშე. ღმერთი არის ის უმაღლესი იდეა-რეალობა, რომლის მიხედვითაც ადამიანია შექმნილი. მეორე მხრივ კი თვით ადამიანია ღმერთის უმაღლესი იდეა. მხოლოდ ქრისტიანობა ხსნის ადამიანისა და ღმერთის დამოკიდებულების პრობლემას. მხოლოდ ქრისტეში გადარჩება ადამიანის ხატება, მხოლოდ ქრისტიანული სულით იქმნება ის საზოგადოება და კულტურა, რომელშიც ადამიანი არ ნადგურდება, მაგრამ, ჭეშმა-

რიტება ცხოვრებაში უნდა იქნეს განხორციელებული“ (თანამედროვე ადამიანის სულიერი მდგომარეობა).

კონსტანტინე გამსახურდია აცხადებდა „დიონისოს ღიმილში“: „რა ძლიერია და რა საცოდავი უღმერთო ადამიანი... სიყვარული ხიდია ღმერთსა და კაცს შორის. უღმერთოდ ჩვენ არარა ვართ, უღმერთოდ ჩვენი სული გაბზარულ ზარსავით ჟღრიალებს“.

„სამყაროს განღმერთებას“ ადამიანის შინაგანი სამყაროს განადგურების ტოლფასად მიიჩნევდა გრიგოლ რობაქიძე „ჩაკლულ სულში“.

გლოვობდა რა მზის გარდაცვალებას – „ძვირფას მკვდარს“ – ქრისტეს, გალაკტიონი მუდამ სიკეთის ღმერთის ერთგული რჩებოდა: „... შენს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი“ (არ გაპატივა).

დეფინიციას საჭიროებს პოეტების მეფის შემოქმედებაში ღმერთის ცნება.ერთი მხრივ, ფიგურირებს „ომის ღმერთი“, „შურისძიების ღმერთი“, „წამების ღმერთი“, მეორე მხრივ – „სიჩუმის ღმერთი“, „ახალი ღმერთი“, „ლექსთა ღმერთი“, „ალერსის ღმერთი“, „სხვა ღმერთი,“ და ამის კვალობაზე განსხვავებულია მათთან მიმართება.

პოეტის უნიჭიერესი თანამედროვენი ეშაფოტზე აჰყავდათ ბოლშევიკებს, „ცალთვალა მეფისტოფელის“, „შავი ლუციფერის“ სამშობლოში ფეხით ითელებოდა ყოველგვარი სიწმინდე...

გალაკტიონს მითუფრო დიდი ნოსტალგია გაუჩნდა ნაზარეველის, ღვთისმშობლის, გრაალის, წმინდა გიორგის მიმართ, მაგრამ „შეურყეველი საიდუმლოს“, „საიდუმლო შუქის“, „პირველი სხივის“ სიყვარულს გულის სიღრმეში დაატარებდა ფარულად, ენიგმურ, სიმბოლურ-მეტაფორულ სახეებში აუკვდავებდა ერთსახოვან პრიმიტივთათვის გაუგებარსა და მიუწვდომელს.

ადამიანი, რომელმაც საკუთარ ოჯახში იწვნია კომუნისტური რეპრესიების საშინელება, ბუნებრივია, თავის გადასარჩენ გზებს ეძებდა, მაგრამ იგი უსახოთა სისხლიან გზას, რევოლუციად სახელდებულ ტერორს კი არ განადიდებდა, არამედ „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას“ მიესალმებოდა და „სიტყვის რევოლუციონერად“ (ლია სტურუა) გვევლინებოდა უწინარესად.

სიკეთის სახელით მომავალი სისხლიანი ტრაგედიების, რეპრესიების ოსტატებისთვის, სიკვდილის ცელით მავალთათვის, ფიზიკური ნგრევითა და სულის გაპარტახებით ცნობილთათვის, „შიშს და ერთსახეობას“ რომ ქადაგებდნენ, „ფიქრი ღმერთზე შარშანდელი თოვლი“ იყო, ისინი იყვნენ ფარისეველთა, წითელი გველეშაპის მიერ ხელდასხმული მიწისა და ზღვის მხეცთა ნაშიერები, არარაობანი რევოლუციონერების სახელით. „უცნობ ჩონჩხის ხელობა“ ადამიანთა გაქრობა, „სისხლის მდინარით“ აღტაცება იყო, ამიტომ დაასკვნა გალაკტიონმა მათი მისამართით: „...თუმცა ფერფლია, ნაცარია, მტვერია, რევოლუციონურს ის იტოვებს უფლებას“ (ათასის მხედველობა, ათასის იერი).

სოციალური თანასწორობის, სიკეთის დროშით მოსული ეპოქალური ბოროტება სატანის, პილატეს სახეს ვერ მალავდა, გმობდა ნათელს, შეფიცული იყო ბნელეთის მოციქულებთან და „ჯოჯოხეთურ სამოთხეს“ აშენებდა: „სარწმუნოება გახდა სატანის... ლოცვა ისე დაეცა... შემოვლებული დროთა ხავსებით, ხატი პილატეს დაემსგავსება. მისი ასეთი ცოდვით დამწვარი, ჯოჯოხეთიდან მიმოდის ჯვარი, მისთვის ჯოჯოხეთური სამოთხე შენდება და შეიძლება, როს გათენდება, ედემის მსგავსი იგ-

რძნოს ჯოჯოხეთი... მგმობი ნათელის, ტირის თვალები ობივატელის. ყველაფერი ნისლის ფერია“ (ჯონ რიდი).

რწმენის ძალაში დაჯერებული პოეტი, რომელიც ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც თავისუფლებას აიდეალებდა, ქადაგებდა რწმენის მონობას, როგორც ჭეშმარიტი თავისუფლების, ყოველგვარი წარმატების საწინდარს: „რწმენა ბევრად ძვირფასია: მან გატანა იცის. ურყეველი რწმენის მტერი გზას ვერა რით აგნებს, როს სხვადასხვა გზით უცქერის ათასნაირ საგნებს. საგანიც ფერს მისთვის ხშირად იცვლის იმის გვარად, როგორ ხედავ, რანაირად, რომელ მხრიდან და რად... არა, მონა, ო, პირიქით, თავისუფალ ამბით, ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი, საკუთარი შტამპით... თუ მონა ხარ, მონა ისევ საკუთარი რწმენის“ (იდეა).

ეს იყო ერთგულება პავლე მოციქულის შეგონებისა: „ვმონობდეთ ღმერთს სულის სიახლით, რადგანაც ყველა, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღმერთის ძეა. რადგანაც, მონობის სული როდი მიგიღიათ, რომ კვლავინდებურად გეშინოდეთ, არამედ მიიღეთ ძეობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: აბბა მამაო“!

„რწმენის ტახტი“ ედგა გალაკტიონს და ეს იყო, უპირველესად, „გამარჯვების ტახტის“ მოპოვების საწინდარი.

წმინდა გზით მავალი შემოქმედი დაზღვეული იყო ცოდვისაგან, დაძლეული ჰქონდა ღმერთის მონური შიში: „...არ მეშინია ღმერთის, არ მეშინია ცოდვის“ (დრო აღარაა ბოდვის).

ადამიანის წინაშე ყოველთვის იდგა ღვთაებასთან მიახლოების, სრულყოფილების მიღწევის პრობლემა.

პლატონი შესაძლებლად მიიჩნევდა ადამიანის თეოზისს ზნეობრივი სიწმინდის საშუალებით, ოღონდ განსაზღვრულ ფარგლებში: „ადამიანი სამართლიანობას ესწრაფის და, სათნოებაში გავარჯიშებული, ღმერთს ემსგავსება, რამდენადაც ეს შესაძლებელია კაცისთვის“ (სახელმწიფო, X, 51,3).

დიდი ბერძენი ფილოსოფოსის თქმით, „ყოველი ადამიანი თავისთავს უნდა მიიჩნევდეს ღმერთის ერთ-ერთ თანამგზავრად“ (კანონები, IV, 7, 168).

არეოპაგიტიკაში ადამიანთა განღმრთობაა სამყაროს განვითარების მთავარი მიზანი, ღმერთი „ძალასა განღმრთობისა განღმრთობადთა მათ მიანიჭებს“ (პეტრე იბერი (ფსევდო – დიონისე არეოპაგელი), „შრომები“, თბ. 1961, გვ. 76).

იტალიური რენესანსის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა ადამიანის ამაღლება. დანტეს რწმენით, „ჩვენი ბუნება... გადადის ღვთის არსობაში“, მაგრამ ამის პირობაა „არა მსჯელობა, არამედ რწმენა, ქვეშეცნეული განჩინება“.

რაკი ადამიანი ღვთის ამქვეყნიური ხატებაა, „სულს განწმენდილს და გასპეტაკებულს ცად ამაღლების სრული ნიჭი მოეფინება“ .

ადამიანი სულით აღწევს „ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“ (ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941, გვ. 319-320).

„ადამიანის ცხოვრებაში, მის ყოფაში ღვთაებრიობის დანახვა იყო ქართული რენესანსული ჰუმანიზმის ერთ-ერთი ძირითადი მსოფლმხედველობითი ტენდენცია“ (რევაზ სირაძე, ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდან, თბ. 1978, გვ. 172).

„ქრისტიანობის არსი არის ღმერთკაცობრიობა. დროით დასაზღვრული ადამიანის სულის შერწყმა დაუსაბამო ღვთაებრივ სულთან“ (ალექსანდრ მენი, „ქრისტია-

ნობა“).

გოეთე ქედს იხრიდა „მოხუცი მამის“, მისი ღვთაებრივი გონის წინაშე.

„ნათლის მიჯნური“ იყო დავით გურამიშვილი, მამაღმერთს ევედრებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი ზნეობრივი სიწმინდის მომადლებას, აკაკი წერეთელი ეთაყვანებოდა „საყვარელს“, „სულიკოს“ – ქრისტეს, „საღმრთო ელვა“ უნათებდა გზას, „მიწიერ-ზეციერი“, ქრისტესავით ორბუნებოვანი, საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის მხილველი იყო ილია ჭავჭავაძე, ცას და მიწას აერთებდა ვაჟა-ფშაველა, ღმერთის გადასახედიდან ჭვრეტდა სამყაროს და ადამიანებს ტერენტი გრანელი. „ცის და მიწის შეზავება“ ემშობლიურებოდა გალაკტიონს, საღვთო ნისლში შეღწეული ჭვრეტდა „მოხუც მამას“.

„სხვისთვის უხილავ-ფარულის“ მხილველი „ლურჯა ცხენების“ ავტორი მართლაც ხედავდა „გონიერი ზეცის“ ბინადართ, მრავალი იშვიათი გამოცხადების მაგალითი გაგვანდო, სასწაულებრივი ხილვების მოწმედ გვაქცია.

გალაკტიონმა გარდასხეულების უძველესი თეორია, სულის უკვდავების ოპტიმისტური თეორია გაიზიარა, უზენაესი ძალების პარალელურად ნეგატიურ საწყისებსაც ახადა ფარდა, სულის სარკეზე აღბეჭდა თითქმის ფანტასტიკური, ზექვეყნიური ხატები.

პოეტების მეფემ უცნაური სიყვარულის მაგალითებზე გვამცნო, უსხეულო არსებობის საიდუმლოება გაგვიზიარა.

დაიწყო რა ზეციდან, ცხოვრებაც და ადამიანებიც ახლებურ ჭრილში იხილა, მიწიერთა ამოუწურავ შესაძლებლობებში დაგვაჯერა, სიკვდილსაც მრავალჯერ შეხვდა სიცოცხლეშივე, თამამად გადააბიჯა ზღვარს და მიღმური სამყაროს გამაოგნებელი შთაბეჭდილებები გაგვიცხადა.

„არყოფნისა და ყოფნის წიგნებიც“ მანვე გადაგვიშალა, გარდაცვალების ხელოვნებას დაეუფლა და სიმღერით სიკვდილის იდეასაც გვაზიარა. გაბედულად გადასწია სამანი, ხსოვნით „იდუმალ საზღვრებს“ მიუახლოვდა. რჩეულთათვის დამახასიათებელი სულის ფრენის უნარით ასტრალური სამყარო მოიხილა და „სივრცეთა უნაზეს გრადაციებს“ მიანათა მაგიური მზერა, შეუცნობელი სამყაროს არსი გაგვიცნობიერა, „არაქვეყნიური ლანდების“ რეალურობაში დაგვაჯერა.

გალაკტიონის პოეზიამ გვაგრძნობინა, რომ ძალზე ცოტა გვცოდნია ადამიანზე, მის სხვადასხვა საწყისზე...

წმინდა, შორეული, იდუმალი ქვეყნის სასწაულებრივი ხილვები ჩამოიტანა შორეული ზეციდან, მიგვანიშნა ჩვენი ყოფნის შეზღუდულობა და ამაღლებული სფეროებისკენ სწრაფვა გაგვიღვიძა.

გალაკტიონის მიერ შენიშნული და განვლილი გზები სრულიად არ ჰგავს ჩვენთვის ნაცნობ მიწიერთა სავალს, მას აბსოლუტურად ახლებური, მრავალგანზომილებიანი შინაარსი მოეპოვება. თვით გენიის ზეციური მირონით ცხებულმა „არსაამქვეყნო გზებით“ იარა და მივხვდით, როგორ გადავცდენილვართ სხვა, „ფრთაგანიერ ჰორიზონტს“.

ყოვლისმხილველი პოეტის მზერა გვიხსნის „ხელიხელგადახვეული წარსულის, აწმყოსა და მომავლის“, გაჩერებული დროის საიდუმლოებებს.

გალაკტიონს ესმოდა როგორც ქვეყნიური, ისე სხვათათვის მოუსმენელი ხმები ციდან, მიწიდან, ბუნებიდან, წინაპრებიდან და ამიტომაც ასე მრავალმნიშვნელოვანია მისი ლექსებიდან მოღწეული ბგერებისა და სიტყვების აზრი.

ნათელმხილველი და ნათელმსმენი იყო პოეტების მეფე. ახლებურია მისი ესთე-

ტიკა, „პოეტური ინტეგრალების“ სახით მოწოდებული ჭეშმარიტება.

გალაკტიონი ხედავდა „ორფეოსს, ნიმფას, დიონისს“, მორგებული ჰქონდა ჩაილდ-ჩაროლდის მოსასხამი, მომარჯვებული ჰქონდა ჰამლეტის ქნარი, დონკიხოტის შუბი და მუზარადი, გოეთეს ხვდებოდა უმაღლეს საიდუმლოებებზე სასაუბროდ, დანტესთვის დამახასიათებელი სპირიტუალიზმით გამოირჩეოდა, ევროპელ რომანტიკოსთა და სიმბოლისტთა გვერდით იმყოფებოდა „ოქროს ნავში“, ახსოვდა რუსთაველის ბავშვობა, ჭვრეტდა სამყაროს შექმნისდროინდელ ქაოსს და ეს მეტაფორად სრულებითაც არ უნდა მივიჩნიოთ.

პოეტს იდუმალი ხმის მოწოდება ჩაესმა: „წამოდექ, ძეო დილისა!“ და ისიც ნათლის შვილად, გრაალის ორდენის რაინდად გამოგვეცხადა. აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის მოსახილველი გზებით იარა და „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნებას დაუფლებულმა ახალი მერიდიანი გაავლო მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე.

გალაკტიონი იყო „შემოქმედებით კაცობაზე აღმატებული“, მასში ანათებდა „მარადი სხივის ანარეკლი მზეებრ ბრწყინვალე“, სასწაულებს ახდენდა ღვთაებრივი სიყვარულის ალში ნაწრთობი მისი გონება, „საღვთო იფქლი“ და ეს ღვთისგან რჩეული თუ გვასწავლის გზას „უზენაეს საფეხურისკენ“.

ისევ დანტეს რომ დავესესხოთ, ქართველი პოეტი იყო „წოდებული სერობად კრავის“, რომელმაც ობიექტურად განჭვრიტა, რომ „მომავალ საუკუნეთა დღესასწაულს“, „პოეზიის დიდ შუადღეს“ მოევლინებოდა ლურჯა ცხენებით.

ამოუწურავია გალაკტიონისეული ნათლის, მზის, ცეცხლის, ელვის, ცისარტყელას მიხედვით შექმნილი სიმბოლოების აზრი.

ბოლომდე მოუხელთებელია მისი პოეზია და ამ იდუმალებითაც არის ასე ძვირფასი, სათაყვანებელი.

გალაკტიონი ებრძოდა შაბლონს, სტანდარტს, ვერ ეტეოდა ჩარჩოებსა და დოგმებში. რევოლუციაზე თუ ხუთწლედებზე შეკვეთით შექმნილი უღიმღამო ლექსები კი არ არის მისი პორტრეტის შემქმნელი, არამედ ის სულიერი ინდივიდუალობით, იდეურ-მხატვრული ნოვაციით აღბეჭდილი ფილოსოფიურ-რელიგიური, ეროვნულ-პოლიტიკური ნიმუშები, იდუმალი სახე-სიტყვები, რომელთაც „საკუთარი შტამპით მოჭრილ ოქროს“ უწოდებდა თვითონ, და რომლითაც უნდა იამაყოს ადამიანის გონმა საერთოდ.

„სხვას ვამბობდე, როს სხვაგვარად ვხედავ ცხოვრებას, ვით აიტანს დიდხანს გული ამ გაორებას?“ – უხეში დროისაგან შებოჭილი ნიჭიერი შემოქმედის ტრაგიზმია ამ სიტყვებში.

„სინამდვილეს არ ვემდური, არ ყოფილა თითქმის, არყოფილზე საყვედური არასოდეს ითქმის“ – ეს ერთი შეხედვით პარადოქსული სტრიქონები იმას მიგვანიშნებს, რომ პოეტისთვის სანუკვარი სინამდვილე ტრივიალურის, ყოველდღიურის, ეფემერულის მიღმა იწყებოდა და არც არასოდეს უცხოვრია მოკვდავთა, ჩვეულებრივთა ცხოვრების წესით.

ჭეშმარიტი გალაკტიონი არის „ლანდი არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა“. სხვაგვარია „ხელოვნების სევდიანი ქურუმის“ „ყოფნის წიგნი“.

პოეტი თუ გარეგნულად არა, შინაგანად ყოველთვის „ჯაჭვაწყვეტილი“, „სამუდამოდ ბორკილაყრილი“ იყო და მთლიანად უპირისპირდებოდა პოლიტიკური იდეოლოგიის აპოლოგეტებს: „ვისაც უცებ წააქცევს რევოლუციის ტალღები და მიჰყვება ამ ქაფიან მორევს, ვერასოდეს ვერ იმღერებს ისე, როგორც გოტიე მღერო-

და... გამორკვეული სახის მქონე პოეტი რევოლუციის დროსაც კი რჩება დიდ პოეტად... ვინც სუსტია, იგი აცდება ნამდვილი ხელოვნების გზას. ასეა დღეს... ქართულ პოეზიაში. აქა-იქ რაღაცას შურდღულობენ პროლეტარულ პოეზიაზე. აქა-იქ თემად მიაჩნიათ რევოლუცია და კოსმიურ საქმედ მიაჩნიათ. ამ მხრით რატომ არ იქნება კოსმიური მოვლენა თუნდაც კონტრრევოლუცია და ან რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან პოეტს, გარდა კარიერიზმისა?!. პოეზიის საკითხი სხვაა, ვინემ პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა. მე არასგზით არ მინდა დავუკავშირო ერთმანეთს ეს საკითხები“...

გალაკტიონი ერთმანეთისაგან ასხვავებს „ნამდვილად რევოლუციურ“ და პროლეტარულ ხელოვნებას, დასცინის „პროლეტარულ მწერალთა მოხალისეებს“: „გოტიე, გიოტე, ბოდლერი, ვერლენი, რემბო, ლაფორგი... უფრო ირონიულად უყურებდნენ პროლეტარულ კულტურას... ლაფორგი მაშინ ვერ შექმნიდა ჰიმნს მსოფლიოს დაღუპვის გამო და ნამდვილად რევოლუციური და არა-დროს არა-პროლეტარული ხელოვნება ვაგნერისა გამოიწვია ამავე ხანამ... თქვენი პროლეტარული ხელოვნება შეინახეთ თქვენთვის, და ალბათ როდისმე გამოგადგებათ. იარეთ მიტინგებზე, თქვით სიტყვები და ალბათ ესეც გამოგადგებათ. ჩვენ კი ავიღებთ და ვიტყვით: არ გვინდა პოლიტიკა ხელოვნებაში!“ (გოტიეს წიგნის ეს წინასიტყვაობა წარმოაჩინა ვახტანგ ჯავახაძემ და 20-იან წლებს მიაკუთვნა).

გალაკტიონი ერთდროულად არის ღვთაებრივ-ადამიანური, „ორი ჰანგის“, „ორი ბუნების“ მაღმერთებელი, „მიწადი ოცნებების“ მთხზველი, რომელმაც „ცის და მიწის შეზავებით“ სძლია მდაბალს და პიროვნულს.

მისტიკა, სიმბოლიზმი, დრამატიზმი, პესიმიზმი დეკადენტობასთან გააიგივა პრიმიტიულმა კრიტიკამ და არამარტო სალანძღავ სიტყვად, არამედ პოლიტიკურ ბრალდებადაც აქცია. მთავრობა ცრუ ბელადების, ბნელეთის ხოტბას, წყალწყალას, ერთნიშნადს, უსახოს აძალებდა პოეტს, გალაკტიონი კი, „სულიერი ვენახის მწინდველი“, „ცისფერ ღვინოთი“ ეზიარებოდა უკვდავებას და, გონებადაბინდულ დიქტატორთა მოსაჩვენებლად, დროის „ხოტბასაც“ თხზავდა, რომელთა ქვეტექსტებში ხშირად ტკივილიანი ირონია იკითხება.

პოეტის ურთულესი შინაგანი მე დაკნინებულ რელიზმს კი არა, „ზერეალიზმს“, „შეფარვით ნათქვამ სიტყვას“, ენიგმურ სახეებს, სიმბოლოს, მეტაფორას, პარაბოლას, იდუმალს, საიდუმლოს, მრავალნიშნადობას მოითხოვდა.

გალაკტიონის სულიერი ინდივიდუალობისთვის ორგანული იდუმალი მეტაფორებისა და სიმბოლოების წყაროების ძიებას არა მხოლოდ რუსულ და ევროპულ სიმბოლიზმთან, არამედ ბიბლიასთან, ანტიკურ და ადრექრისტიან მოაზროვნეებთან, აპოლოგეტების სიმბოლიზმთან, ეგვიპტელ ქურუმებთან მივყავართ, რადგან პოეტი ყოველთვის მოვლენათა გულისგულს, ძირისძირს ეძებდა, ყოველ სიმბოლოს პირველწყაროებში იცნობდა და, ამათან, ყველა სახეს ახლებურ, თავისებურ ჭრილში გაიაზრებდა.

„მრავალსახედ დაბეჭდილი“, „ფარდის მიღმა განჭვრეტილი ჭეშმარიტება“, „შეფარვით ნათქვამი სიტყვა“ ჯერ კიდევ ალეგორიზმისა (ფილონ ალექსანდრიელი) და ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენლებს (კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე, გრიგოლ ნოსელი) იზიდავდათ, რადგან იგი მისაწვდომია მხოლოდ ხელდასხმულთათვის და არა ბრბოსთვის.

აღიარებულია, რომ გალაკტიონი „ლაპარაკობს არა მარტო სიტყვათა პირდაპი-

რი, საგნობრივი მნიშვნელობით, არამედ ამ სიტყვებს შორის დატოვებული ხარვეზებით, ნახევარტონებით. „სიტყვის განზრახ დაბნელებას“, რომელიც ვალერი ბრიუსოვს სიმბოლისტური პოეტიკის არსებით ნიშნად მიაჩნია, გალაკტიონ ტაბიძე სრულიად შეგნებულად მიმართავს; სწორედ ამ სფეროში რჩება იგი ერთგული თავისი ევროპელი და რუსი მასწავლებლებისა“ (აკაკი გაწერელია).

სახელოვანი მეცნიერის ამ სწორ დაკვირვებას იმას დავუმატებდით, რომ „სიტყვის განზრახ დაბნელების“ მეთოდი გალაკტიონს ევროპელი სიმბოლისტებისგან კი არა, ასეთი აზროვნების მამამთავრებისგან შეეძლო გაეთავსებინა, რადგან ქართველი პოეტი ყოველთვის პირველსაწყისებიდან, ძირისძირებიდან იწყებდა და მსოფლიო კულტურის ყოველგვარ მონაპოვარს იცნობდა.

გალაკტიონი ამოდიოდა მითოლოგიიდან, ბიბლიიდან და, ბიბლიის შემქმნელებივით, სულიწმიდასთან ნაზიარებ სულს აუკვდავებდა.

შემთხვევითი არ არის გალაკტიონის მინიშნება ეგვიპტური დამწერლობის მრავალნიშნადობაზე: „ეგვიპტურ იეროგლიფებს სამგვარი გაგება ჰქონდა, ჩვენს სიტყვებს კი პოეზია უბრუნებს მრავალმნიშვნელოვნებას“. აქ ამოსავალზე მითითებაცაა და ახლებური გზის ორიენტაციაც. ასეთი მიდგომა პრინციპის დონეზე გაითავისა პოეტმა და სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნება თავისი შემოქმედების ქვაკუთხედად აქცია.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

ეგვიპტური, ებრაული (წინასწარმეტყველთა) და პითაგორეული სიმბოლიზმი კლიმენტი ალექსანდრიელის მიერ აღიქმებოდა, როგორც შეგნებული გნოსეოლოგიური მიზანდასახულობა.

დიონისე არეოპაგელისთვის სიმბოლო იყო ზოგადფილოსოფიური, რელიგიურ-გნოსეოლოგიური კატეგორია.

არეოპაგელი გამოყოფდა ჭეშმარიტების მიწოდების ორ საშუალებას: ერთი გამოუთქმელი და საიდუმლო, მეორე – ცხადი და ადვილად შესამეცნებელი. პირველი სიმბოლიკური და მისტიკურია, მეორე – ფილოსოფიური და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი... ძველი დროის ბერძენნი „იდუმალ და თამამ მარაგით-ზრახვას“ მიმართავდნენ, ამ მარაგით-ზრახვაში ერთმანეთში მჭიდროდ იყო გადახლართული გამოუთქმელი და გამოსათქმელი...

სიმბოლო „ზეშთაარსობრივი სულიერი სინათლის“ წვდომის გზა იყო, მას ახასიათებდა არაცნებითი ინფორმაცია, „სილამაზისა და სინათლის ფორმით“ ჭეშმარიტების ძიება.

სიმბოლოსადმი, სიტყვისადმი ასეთი დამოკიდებულება (რომელიც შეივსო სხვა პრინციპებითაც) თავიანთ ესთეტიკას საფუძვლად დაუდეს მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუკნის დასაწყისში ევროპელმა და რუსმა სიმბოლისტებმა.

გალაკტიონი თავისი სრულფასოვანი ლექსებიდან ყოველთვის უკუაგდებდა რიტორიკას, მჭევრმეტყველებას, უსაგნო პათეტიკას და ღვთაებრივი სინათლით გასხივოსნებულ სახეებს ანდობდა ჩანაფიქრის გამოხატვას. მასში ერთდროულად არის „გამოუთქმელიც“ და „გამოსათქმელიც“.

ასევე, უეჭველია გალაკტიონის სიმბოლოებისა და მეტაფორების გნოსეოლოგიური ფუნქცია. ჩანაწერიც კი აქვს ამაზე – „მეტაფორა და მსოფლმხედველობა“. მის ლექსებში „უუდიდებულესი რითმებითა“ და იდუმალი სახეებით მიიწვდომება აზრი.

„სიმბოლიკური ფორმა ოსტატურად ფარავს ჭეშმარიტებას, რომ ამ დაფარვით

საჩინო ჰყოს და იდუმალყოფით გაამჟღავნოს იგი“ (გრამატიკოსი დიდიმი).

ბუნების, სიტყვის იდუმალების გაფეტიშებაა იმპერატორ იულიანეს ჰიმნი „ღმერთების დედოფალს“: „ბუნებას უყვარს იდუმალყოფა. იგი არ გამოაჩინებს თავის არსებას უწმინდურ ყურთათვის გადაგდებული პირდაპირი სიტყვით. შეუცნობელი და იდუმალი ბუნება იმისთვის შეიქმნა, რომ იგი სიმბოლოთა მეშვეობით გამჟღავნდეს. რაც უფრო პარადოქსული და უცნაურია ენიგმა, მითუფრო გვიდასტურებს იმის აუცილებლობას, რომ ვირწმუნოთ არა ის, რაც სიტყვით არის გაცხადებული, არამედ ის, რაც იდუმალყოფილია“.

გალაკტიონი „ფიქრგანდობილია“, მისთვის პოეზია „სამუდამო გამოცანაა“, ამასთან, მისი წიგნი არის ჩუმი, ფარული, იდუმალი. ზოგჯერ ბოლომდე გაიდუმალებული და გასაიდუმლოებულია პოეტის ხილვები. სიმბოლო და საიდუმლოება ამ „იდუმალი ქვეყნის“ უპირველესი ემბლემაა: „დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი“...

ბიბლიური ტექსტის კომენტატორები მასში სხვადასხვა აზრობრივ მნიშვნელობას გამოყოფდნენ (ორიგენი – სამს, ავგუსტინე – ოთხს, ტერტულიანე – მეტს).

ორიგენი ბიბლიაში სამგვარ მნიშვნელობას პოულობდა: „ზედაპირულს“, პირდაპირი მნიშვნელობის, „სხეულებრივი“ აღქმისათვის მისაწვდომს, „სამშვინველისათვის“ გათვალისწინებულს და ყველაზე ღრმა სულისთვის განკუთვნილს. ტექსტების II და III ჯგუფის დამახასიათებლად მიჩნეულია სიბნელე, იდუმალება და მოჩვენებითი უაზრობა. ორიგენის აზრით, ტექსტში საჭირო იყო „უცნაურობანი“, „დაბრკოლებათა ქვები“, რაზედაც ფეხწაკრული მკითხველი მათ ფარულ აზრზე უნდა დაფიქრებულიყო.

სახისა და სიმბოლოს ახლებურ გაგებას ავითარებს გრიგოლ ნოსელი, რომელიც აგრძელებს კლიმენტი ალექსანდრიელისა და ორიგენის ტრადიციებს.

IV-Vს. ძლიერდება ნეოპლატონიკოსთა და ქრისტიანების ინტერესი სიმბოლოსადმი.

ასეთი შორეულია რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის წყარო და, უეჭველია, გალაკტიონი ამ წყაროს რომელიმე უცხოელი წინამორბედის ან თანამედროვის გზით კი არ ეცნობა, არამედ მისი უშუალო მამამთავრებისგან.

ნებისმიერი მკითხველი პოულობს გალაკტიონის პოეზიაში „მრავალნიშნად“ ადგილებს, „დაბრკოლებათა ქვებს“, სხვადასხვაგვარ სტილს. ამ მიმართებით გარკვეული ძიებაც ყოფილა ჩვენს მეცნიერებაში.

აშკარაა, ბიბლია, მითოლოგია, ძველი და ახალი ქართული კლასიკური პოეზია იყო, უცხოურ მოდერნიზმთან ერთად, გალაკტიონის „სულის მზრდელი“. ღმერთივით ქაოსიდან, პირველსაწყისებიდან, „უსახო სახეებიდან“ დაიწყო თავისი სამყაროს შექმნა და არა რომელიმე წინამორბედის ფორმულებით.

ქართული პოეზიის რენესანსი სიმბოლისტებმა იწინასწარმეტყველეს და მომავალი დიდი ხელოვნება რუსთაველის და მალარმეს ტრადიციების (ზოგადად მოდერნიზმის) სინთეზად დასახეს.

ამ იდეას ხორცი პრაქტიკულად გალაკტიონმა შეასხა, ამასთან, მისი „სინთეზი“ ამავე დროს „კლასიკური უნივერსალიზმის“ მიღწევაა უმაღლეს დონეზე.

გალაკტიონის გახსენებას იწვევს გრიგოლ რობაქიძის წინასწარმეტყველება: „საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო და მალე მოვა ის დრო, როცა ხელოვანი ქართველს შთამაგონებელს მუზას იხილავს უფრო ლაღსა და მატყვევებელს. ტყის

ტევრით ღამით გამოდის მომხიბლავი ქალწული, ხელში თამაშით ცეცხლის რგოლებს ზღვის მქშინავ მკერდზე ისვრის, იწვება ზღვის გული, იხსნება იგი და შლის ძვირფას თვალმარგალიტს“.

ნაშრომში ვცდილობთ, სათანადო წყაროების გათვალისწინებით, მივუახლოვდეთ გალაკტიონის ზოგიერთი მრავალნიშნადი სახე-სიმბოლოს თავისებურებას და სრულიადაც არ გვაქვს მარადიული ჭეშმარიტების მიგნების, საკითხის ამოწურვის პრეტენზია. დღესდეობით ეს ძალზე ძნელია.

ალბათ, გალაკტიონით დაინტერესებული ბევრი მკვლევარი ჩააფიქრა ვახტანგ ჯავახაძის საფუძვლიანმა გაფრთხილებამ: „გალაკტიონის მკითხველები ჯერ არ დაბადებულან“. მაგრამ ამაშია ქართული პოეზიის ბედნიერება, და ეს, მიხეილ კვესელავას შეგონებაც რომ გავითვალისწინოთ, მითუფრო გვავალდებულებს „მეტი მოთმინებითა და პატივისცემით მოვეპყრათ ერთმანეთის აზრს“.

თავი I
ესთეტიკის ზოგიერთი პრობლემა
პოეზია – სულიწმინდის მადლი

გალაკტიონ ტაბიძის მსოფლმხედველობა, სულიერი წყობა, სამყაროს ათვისების ფორმა, ესთეტიკური იდეალი აბსოლუტურად განსხვავდება რეალიზმის ეპიგონების, პრიმიტიული პროლეტარული ლიტერატურის წარმომადგენლების მდარე თვალსაწიერისგან.

პოეტების მეფისთვის ზეშთაგონება, ნიჭი ღვთის მადლია, ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატის მისია არის რწმენის, სულიერების განმტკიცება-მსახურება, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენებასთან, ეროვნული პრობლემების, სოციალური სატკივრების, სამართლიანობისათვის ბრძოლასთან ერთად.

კომუნისტური პარტიის მიერ სოცშეჯიბრში გამოწვეულ წერა-კითხვის უცოდინარ გნომებს, „სულიერ საჭურისებს“ (მიხეილ ჯავახიშვილის ტერმინია) მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ქვეყნის და რწმენის დამღუპველი პოლიტიკის პროპაგანდა – მხარდაჭერა ევალებოდათ. ხელისუფლებისგან ხელდასხმული უნიჭოთა ლეგიონები სატანისტური იდეებით წამლავდნენ ხალხის სულს.

უფლის რჩეულებმა „რკინისებური ლექსების ღვარში“, „დაცინვა, წყრომა-ირონიის“, „ღელვა-მუქარის“ (გალაკტიონი) პირობებში გადაარჩინეს მართალი სიტყვა.

პოეტური ნიჭი განსწავლით, შრომისმოყვარეობით არ შეიძინება, ის ზეცით გაპირობებული განსაკუთრებულობაა, და თუ როგორ განვითარდება, დამოკიდებულია პიროვნების სულიერ ინდივიდუალობაზე, ძალისხმევაზე, იდეოლოგიაზე, მორალზე, ცხოვრების წესზე.

იშვიათზე იშვიათად გვხვდებიან მარადიულ სიბრძნეზე ორიენტირებულნი, ხშირად ბევრს უმრუდდება გეზი და წუთისოფლის წარმავალ დიდებას აყოლილი, საბოლოოდ შორდება მარადისის გზას.

გალაკტიონი იყო უზენაესისგან გაბრძნობილი, მარადიულ სიბრძნეს ნაზიარები პოეტური სიტყვის ორფეოსი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განდევნა ჩვენი ლიტერატურიდან ყალბი პათოსი, კერპთმსახურება. მისი სტრიქონებიდან მონაბერი წმინდა სული სიკეთის, სათნოების ფლუიდებს აფრქვევდა და აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებს აფრთხობდა.

„არტისტული ყვავილების“ ავტორის ესთეტიკა ისეთივე რთული და ენიგმურია, როგორც პოეზია. განსხვავებული და ამაღლებულია საუკუნეთა პოეტის მხატვრული გადასახედი.

გალაკტიონის შემოქმედებითი კრედო დაფუძნებელია არა მატერიალისტური ესთეტიკის, კომუნისტური ხელისუფლების მიერ გაფეტიშებული „უცდომელი“ სოციალისტური რეალიზმის ტენდენციურ პრინციპებზე, არამედ ბიბლიაზე, ცნობილ ღვთისმეტყველთა, იდეალისტ ფილოსოფოსთა ნააზრევზე, ქართული და მსოფლიო კლასიკური პოეზიის დიდ ტრადიციებზე.

ბიბლიის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი სულიწმინდის მადლია.

სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვაუწყებს: „სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია.

„თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ.

„ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტ-

ყვა იმავე სულით.

„ზოგს რწმენა – იმავე სულით და ზოგს განკურნებათა ნიჭი იმავე სულით.

„ზოგს – სასწაულმოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს – სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს ენების განმარტება“ (I კორინთელთა, 12, 7, 8, 9, 10). (1, 375).

იაკობ მოციქული აცხადებდა: „ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა“ (იაკობი, 1, 17) (1, 295).

იმავეს გვამცნობს ეფრემ მცირე: „ნიჭი არის საღმრთო სულისა მადლი“ (2, 104).

სულიწმინდის მოვლინებას ღვთისმეტყველებაში „საღმრთო მობერვა“, „საღმრთო ნიავი“ ეწოდება.

ტერმინები: „ბერვა, შთაბერვა, მობერვა“ ტრადიციულად იხმარება ღვთისმეტყველებაში სულიწმინდასთან დაკავშირებით.

„მოციქულთა საქმეში“ სულიწმინდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან.

„სულიწმინდა – ეს არის სული, რომელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოველივეს აძლევს ნათელს, ცხოვრებას“, იმოწმებს ზვიად გამსახურდია გრიგოლ ნაზიანზელს (ზვიად გამსახურდია, „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ (3, 64)).

წმიდა თომა აქვინელის სიტყვით, „ის, რაც ღვთისგან გამოდის, როგორც სიყვარული, შობილი ძე როდია, არამედ მონაბერი სული“ (იქვე).

„მობერვის“ ცნებით დაინტერესდა აკაკი გაწერელია ჩახრუხაძის „თამარიანთან“ დაკავშირებით (4, 116).

თვალი გავადევნოთ ანალოგიური გაგების სხვა წყაროებსაც.

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალს „მომბერავი“ ეწოდება, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (5, 39).

გრიგოლ ნოსელის მიხედვით, „საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“. მას გაიგივებული აქვს „სული – მობერვა, შთაგონება“ (6, 363).

ნეტარი ავგუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთმინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულს ვერ ფარავდა: „აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“ (7, 278).

დავით წინასწარმეტყველი ამ საღვთო ქარის დაფარულ აზრს უსმენდა: „ღმერთო, მესმა შენი დაფარული შინა ნიავქარისათა“ (ფს. 218, 80).

უზენაესის პირის ქარის ქროლვაზე საუბრობს ფსალმუნის ავტორი: „და გამოჩნდნენ წყარონი წყალთა და გაშიშვლდნენ ფუძენი სამყაროსი შენს მრისხანე დაძახილზე, უფალო, შენი პირის ქარის ქროლვაზე“ (ფს. 17, 16) (1, 537).

სხვაგან უფლის ბაგეების ქარის შემოქმედ ძალაზეა აქცენტი: „უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით – მთელი მისი საკრებულო“ (ფს. 33, 6) (1, 553).

ღვთიური სულის მობერვაზე ლოცულობდა დავით გურამიშვილი: „აწ მომფინე სულია, მამით გამოსულია“ (8, 289).

ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე ქართული სასულიერო მწერლობის საღმრთო ნიავის მადლმა, მისმა დაკავშირებამ სულიწმინდასთან: „ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებითაითა განჰბრწყინდი შენ, სანატრელო, ბრწყინვალებითა სულისა წმიდისაითა და მომბერენ ჩუენ ნიავითა საღმრთოისა მადლისაითა სწავლანი სული-

ერნი და შესცვალენ ცნობანი სულიერნი სიბრძნედ, ნეტარო და უმეცრებისა ბნელი განაქარვე“(ბასილი, გალობანი ეფთვიმი მთაწმიდელისანი) (9, 508).

სულიწმინდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფებს – ეფრემს და მოციქულ პავლეს, სულიწმიდის კარნახით იქმნებოდა ბასილი დიდის ჰომილიები, სულიწმიდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის საგალობლებს სულიწმინდის ნაკარნახევად აცხადებდა.

სულიწმინდის მადლით ჭვრეტდნენ ღვთაებრივ საიდუმლოს წინასწარმეტყველები, რადგან ნიჭთა და მადლთა გამნაწილებელი სულიწმინდაა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს „ნიავი-სულიწმიდა“ (ქებათა ქება), „ციური ნიავი“ (სვავი) (10, 285).

„ბუნების მგოსნებში“ სულიწმინდის მადლით გალობს ბულბული და ამ ღვთიურ ჰანგებს მიდამოც სულიწმინდად უქცევია.

სულიწმინდის მოფენის დღეზეა საუბარი მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ (11, 509).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ფიგურირებს ფრაზები, რომლებიც სულიწმინდას უნდა გულისხმობდეს: „ის ერთი შეხება ნიავის, ნიავთა წუთი, წუთების ქარი, ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით, მარადისის ნიავთა წუთი, წუთების ნიავი, უხილავი ძალა და ქარიშხალის აზუზუნება, ქარის დაბერვა და... უშორესი ზღაპრის აშრიალება, მზიური ღამის ქარი, ფერადი ქარები, უჩინარი ქარი, ფიქრების ლურჯი ნიავქარი, იდუმალი ქარები, მზერადიადი სიო...“

გალაკტიონს, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანს, სწამდა სამება.

პოემა „მოგონებების“ გმირს ეცხადება სულიწმიდა მტრედის სახით (12, 37).

ერთგან წუხს, რომ „ღმერთიც გადაგდებულია და იმისი სულიწმინდა“. ირონიულად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს „ახალთ სხივთ მომბერს“ უწოდებს.

გალაკტიონის ყველა ლექსში, რომელიც შთაგონებას ეხება, ფიგურირებს შთაგონების ნიავი, როგორც სულიწმიდის პერსონიფიკაცია.

„მე და ღამე“, რომელიც შთაგონების პროცესის თავისებურებას გვიცნობიერებს, სწორედ ამ საღმრთო ნიავზე ხაზგასმით იწყება: „ეხლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება, სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“. ეს სწორედ შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდის იდუმალი სიოა, „ველთა ზღაპარი“ – ამ მისტიკურ მომენტში მოვლენილი სათქმელი, გამონაგონი, ფანტაზია, ველი – საინფორმაციო ველია. შემთხვევითი არც ის არის, რომ ამავე ლექსში გვხვდება საღმრთო სიმბოლოები: ლურჯი სვეტი (ნათლის სვეტის ვარიაცია), „საიდუმლო შუქი“ (ძე ღმერთის სახელი), რომელიც მრავალ კონტექსტში ახალ-ახალი ნიუანსებით იხსენება ფსალმუნში: „უფალი-შუქი“ (ფს. 27, 1) (1, 517). „უფალო, შენი შუქით ვხედავთ სინათლეს“ (36, 10), „გამოგზავნე შუქი შენი და ჭეშმარიტება შენი“ (43, 3), „რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით“ (ფს. 56, 14 (1, 580) „ღმერთი გამოგვიშუქებს თავის სახეს“ (ფს. 67, 2) (1, 589), „ისინი შენი სახის შუქით იარებიან, უფალო“ (ფს. 88, 16), „ჩვენი საიდუმლო შენი სახის შუქის წინ“ (ფს. 90, 8). „ამოაბრწყინებს სიბნელეში შუქს“(ფს. 112, 4).

„ეფემერა“ გალაკტიონის პოეტობის ზეცაში განსაზღვრაზე აქცენტით იწყება:

„ზეცაზე სწერია ჩემი გზა...“

მთელ ლექსს გასდევს რელიგიური სახეები. „ახალი ლალის კართაგენები“, გამოცხადების ზეციური იერუსალიმით შთაგონებული სახეა და გალაკტიონის ახლებური პოეზიის მარადიულ ქალაქზე ხაზგასმა.

პოეტის უკვდავების საწინდრად ისახება მისი რელიგიურობა, ქრისტიანული ჯვარი, „ზენიტზე მდგარი შორი პალმები“ (პალმა სიცოცხლის ხის, ანუ ღვთის სახელია), დიდი საიდუმლო (ღმერთი), წმინდა ემბაზი (მარიამის სახელია დაუჯდომლის მიხედვით) (13, 11).

ქაოსში (ქაოსიდან იბადება ლექსი) პოეტის გზის გამგნებია ქარი – ანუ სულიწმინდა: „ჰე, ქაოსში დაკარგულს, ქარი დამედევნება ძახილით: გალაკტიონ!..“

„ეფემერას“ თანამდევი „ფერადი ქარები“ შთაგონების მომნიჭებელ სულიწმინდაზე მინიშნებაა (14, 118).

„ვერხვებში“, როცა „ქარი დაბერავს“, მაშინ აშრიალდება სულში „უშორეს ზღაპრად“ „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი“ (იხ.: დაწვრილებით 15, 94-99).

„ვერხვების“ ლირიკული პერსონაჟი პაჟია (მსახურია) ყვავილების (ყვავილი ქრისტეს სიმბოლოა – 16, 124) პრინცესასი (მარიამი ღვთისმშობელი პრინცესაა, მეფის ასულია ფსალმუნის, სასულიერო პოეზიის მიხედვით) (17, 122).

სულიწმინდისგან გაბრძნობილი პოეტი რელიგიურ საგალობელს ქმნის, ერს ტაძრის გზის გაგნებაში, რწმენის განმტკიცებაში ეხმარება.

„დაჰბერა ქარმა და ოცნება ააჩანჩქარა“ – ქარის დაბერვისა და ოცნების დაკავშირება ისევ შთაგონების სახით გამოცხადებული სულიწმინდის ქმედითი ძალის ზეიმია.

ანალოგიური მოსაზრება ახლებურ კონტექსტში ვლინდება ლექსში „პოემა ვეფხისა“. პოეტი იყო „გრიგალი, შერყევა“ (14, 312-316).

„საღვთო მობერვა“ მიჰმადლებდა გზააბნეულს საღვთო ძალას, საღვთო განზრახვას, წინასწარმეტყველების ნიჭს: „მაგიაში გაწაფული ბალაამი... საღვთო მობერვამ განაღვთო, ამიტომაც მისმა ბაგემ ჭეშმარიტად იწინასწარმეტყველა სამომავლოდ აღსრულებადი ... შეიგრძნო საღვთო ძალა... და საღვთო განზრახვის ქადაგად იქცა“ (18, 118).

სულიწმინდა შთააგონებდა პოეტს, ეძებნა მარადიული ფენომენები: „მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“ (მიყვარდა ჰანგი) (14,89).

გალაკტიონის უპირველესი სიყვარული იყო ღმერთი, პოეზია, უზენაესის რანგში ამაღლებული სამშობლო: „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“ „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“

„ხელოვნებაში“ გალაკტიონი წმინდა პოეზიის, ანუ უმაღლესი სიტყვის აპოლოგეტად გვევლინება. პოეტი მიწის გულში დაფარული ოქროს მაძიებლად წარმოგვიდგება. სიტყვის ოქროს მოხელთება მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, „წმინდა პოეზია“, „მუსიკა შორი“ „საღვთო ბილიკებით“ მავალთათვის, ანუ მხოლოდ ერთეულთათვის არის მისაწვდომი (14, 271).

„წმინდა პოეზიის“ მიმდევრობა არასოდეს ნიშნავდა გულგრილობას მიწიერი პრობლემებისადმი, გალაკტიონს ერთდროულად აინტერესებდა მიწის ჰანგი და ზეცის ხმები, „წიგნი ცის და დედამიწის“. რა თქმა უნდა, ცამდე მართალი არიან ის მკვლევარები, რომლებიც პოეტების მეფის შემოქმედებაში ხალხის ინტერესების

პრიმატს, ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს ხედავენ, მაგრამ უპირველესი ღვთაებრივი მისია პოეტისა მაინც რწმენის, სულიერების სამსახურია, უზენაესი იდეალების გადარჩენა.

გალაკტიონის პოეზიაში უმთავრესია ძიება დაკარგული რწმენის, გახსენება დავიწყებულის, მაგრამ არსებითის, გაცოცხლება „შორი მოტივების“, „ხმათა განახლება, ხმათა აღორძინება“, „გადარჩენა ალვის ხის“ (ალვა ღმერთის სიმბოლოა), მუხის (ერის სულის), გადარჩენა ვარდების (ვარდები ხან ქრისტეს, ხან მარიამის მეტაფორაა), რომელიც ითელება, იყინება, კვდება, ბურუსებში იკარგება (15, 120-156), გადარჩენა ხომალდების (ხომალდი ეკლესიის სიმბოლოა), გრაალის (სულიწმინდის, ღვთისმშობლის), სულიერების, მეფისტოფელის საუკუნეში ამართვა ახალი კოშკების, ახალი ქალაქის (კოშკი, ქალაქი მარიამის სიმბოლოებია – 17, 124), სასახლის (სასახლე საღმრთო სიმბოლოა), ანთება ჩამქრალი ცეცხლის, მტვერში ჩაფლული სანთლების (ცეცხლი, სანთელი საღმრთო პარადიგმებია – 17, 121).

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
2. ეფრემ მცირეს იამბიკოები, თბ., 1988
3. „მაცნე“, 1987, №4
4. „ცისკარი“, 1970, №8
5. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები, ლ. კვირიკაშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ., 1989
6. წმინდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989
7. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985
8. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, თბ., 1964
9. ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960
10. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 1, თბ., 2011
11. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1986
12. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1995
13. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009
14. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
15. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ., 2009
16. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, 1995
17. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1956
18. გრიგოლ ნოსელი, მოსეს ცხოვრება, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, 1991

გალაკტიონ ტაბიძის „სიყვარულის სიმღერა“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ხელდასხმულია საღვთო მადლით. მას გამოარჩევს „სხვა ცრემლი“, „ალიონის სიხარული“. „ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ პოეტი ეძებს „უხილავ-ფარულს“, „რაღაც არაქაურს“, „შორ ქვეყანას“. მის ლექსებს მსჭვალავს განუმეორებელი, ზეაღმტაცი მუსიკალობა.

პოეტების მეფის ენიგმური ლირიკის საიდუმლოებები, მისი ზოგი თავისებურება განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას.

ასეთად გვესახება ამ მხატვრული სამყაროს სიმბოლური, იგავური ხასიათი, რაც მხოლოდ დიდი ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი.

გალაკტიონის შემოქმედების უპირველესი ემბლემა, უმთავრესი შესასვლელი კარი არის მეტაფორული აზროვნება.

სიმბოლური აზროვნების ისტორია უშორესი წარსულიდან იწყება. პოეტს წინ უსწრებდა უმდიდრესი ტრადიცია: ბიბლია, ანტიკური და ადრექრისტიანული ეპოქის მოაზროვნეები, აპოლოგეტების სიმბოლიზმი, ალეგორიზმის (ფილონ ალექსანდრიელი) და ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენლები (კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე, გრიგოლ ნოსელი), ეგვიპტური, ებრაული (წინასწარმეტყველთა) და პითაგორეული სიმბოლიზმი, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპული და რუსული სიმბოლიზმი. ყველა ამათთვის საერთო ის იყო, რომ იზიდავდათ „ფარდის მიღმა განჭვრეტილი ჭეშმარიტება“, „შეფარვით“ ნათქვამი სიტყვა.

კლიმენტი ალექსანდრიელი, დიონისე არეოპაგელი სიმბოლიზმს მიიჩნევდნენ ზოგადფილოსოფიურ, რელიგიურ-გნოსეოლოგიურ კატეგორიად.

გალაკტიონის სიმბოლოების უმეტესობა დაკავშირებულია მსოფლმხედველობასთან. პოეტის უმთავრესი სათქმელი სახე-სიმბოლოთა საგანგებო გაშიფვრა-გაცნობიერების გარეშე ვერ მიიწვდომება.

ბიბლიის კომენტატორები სიმბოლურ სახეებში სხვადასხვა მნიშვნელობას ეძებდნენ: ორიგენი – ორს, ნეტარი ავგუსტინე – ოთხს, ტერტულიანე – მეტს.

გალაკტიონისათვის უმთავრესია სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი, იგავური, სიმბოლური მეტყველება.

უშორესი და უღრმესი ფესვები ასაზრდოებს ამ პოეტის შემოქმედებას. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი ფენომენია ბიბლია, რომელთანაც ანათესავებს იგავებისადმი ინტერესი, არა მხოლოდ მიწიერი, არამედ ზეციური სიბრძნის ძიება.

მთელი ძველი და ახალი აღთქმა სავსეა იგავებით, რომლებიც გადატანით, დაფარულ აზრს, ანდაზას, ზნეობრივ-დამრიგებლურ დასკვნას შეიცავს.

ქართულ სასულიერო მწერლობაში ალეგორიის სინონიმად შემუშავდა „იგავი“. სიტყვა „იგავი,“ ბიბლიის ლექსიკური მარაგიდან მოყოლებული, საერთოდ, ქართული სასულიერო მწერლობის ენის წიაღში სათანადო გამოვლინებას პოულობს“ (1,148).

დავით წინასწარმეტყველი აცხადებდა: „ყურს მივუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს ამოცანას“ (ფს. 48/49,5) (2,572).

„იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა“ (ფს. 77/78,2).

ეზეკიელ წინასწარმეტყველი ასე იწყებს თავის ხილვათა გაცხადებას: „იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი: 1. ადამის ძევ: მიეცი გამოცანა და შეუთხზე იგავი ისრაელის ხალხს“ (ეზეკიელი, 17,1,2) (3,207).

ოსიას წინასწარმეტყველებაში გამხელილია: „მე ველაპარაკებოდი წინასწარმეტყველთ და მე გავამრავლე ხილვები, წინასწარმეტყველთა პირით იგავურად ვლაპარაკობდი“ (ოსია, თ. 12,11) (3,272).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალგზის გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლოები, ალეგორიები, იგავები.

ბიბლიური წინასწარმეტყველები ეძებდნენ დაფარულ სიბრძნეს: „გამაგებინე სიბრძნე ფარული, უჩინონი და დაფარული სიბრძნის შენისანი განმიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განვწმინდნე მე, განმბანე მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკნე“ (ფს. 50/ 51,8), ევედრებოდა უზენაესს დავით წინასწარმეტყველი (2,575).

ბიბლიაში სიბრძნის მომნიჭებლად უფალი ეგულებოდით: „უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“.

„ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა“ (იგავნი სოლომონისა, 2,6)(3,618).

სიბრძნის უპირატესობის აღიარებაა სოლომონ ბრძენის მთელი ნააზრევი: „სიბრძნის შეძენა ოქროზე უკეთესია, ჭკუის მოხვეჭა ვერცხლზე უმჯობესი“ (იგავნი სოლომონისა, თ. 16,16).

სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის სიხარულით სავსეა სოლომონ ბრძენის სტრიქონები: „ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა (სიბრძნე სოლომონისა, თ. 7,2,1) (1,24).

„ღვთის ძალის სუნთქვაა იგი“ (იქვე, თ. 5,25).

„იგია საუკუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სახე ღვთაებისა და ხატი მისი სიკეთისა“ (იქვე, თ. 5,26).

„ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ“ (იქვე, 5,27).

„რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (იქვე, თ. 5,28).

ხაზგასმულია, რომ მხოლოდ ღვთიურს, წმინდანს ხელეწიფება სიბრძნის მიღება: „ღვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ“ (იგავნი სოლომონისა, 14,6).

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწიერს და ზეციურს.

შეზღუდულად მიიჩნევა ყოველგვარი ადამიანური ცოდნა: „ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 51,17) (4,177).

„ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი, მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს“ (ბარუქ წინასწარმეტყველი), თ. 3,20), რადგან „დატოვეს წყარო სიბრძნისა უფალი“ (იქვე, 3,12) (4,190).

„ვერც აგარის შვილებმა, რომლებიც მიწიერ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონისა და თემანის ვაჭრებმა, ვერც მთხრობელებმა და ვერც ცოდნის მძებნელებმა ვერ გაიგნეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები“ (ბარუქ წინასწარმეტყველი 23) (4,190).

„არავინაა შემმეცნებელი მისი გზისა და არც გულისხმისმყოფელი მისი ხილვი-

სა“ (იქვე, 3,31) (4,190).

„მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს და თავის მორჩილთა და ისრაელს, რომელიც შეიყვარა“ (იქვე, თ. 3, 37) (4,190).

ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს მიწიერ ცოდნას, კერპის თაყვანს: „ცოდნისაგან გაბრუვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა კერპი, სული არ უდგას“ (იერემია წინასწარმეტყველი, 12,14) (4, 135).

პავლე მოციქული ეძებდა არა „ხორციელ სიბრძნეს“, არამედ „ღვთის მადლს“ (II წერილი კორინთელთა მიმართ თ. 1,12) (2,385).

ერთმანეთისაგან ასხვავებენ „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს“ და „მაღლიდან გარდმოვლენილ სიბრძნეს“, რომელიც „წმიდაა, მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო“ (იაკობი, 4,15,17) (2,298).

„არა წუთისოფლის სიბრძნე, არამედ ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებებში დაფარული“ აცხადებდა პავლე მოციქული (I კორინთელთა, თ. 2,6) (2,358).

„სიბრძნის სიტყვა სულის მადლია“ (პავლე მოციქული, I კორინთელითა, თ. 12,8).

პავლე მოციქული შეგვაგონებს: „თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს.

„ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 3,18,19) (2,360).

„სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი? სად არის ამ წუთისოფლის მოკამათე? განა სისულელედ არ აქცია ღმერთმა ქვეყნიერების სიბრძნე?“ (I წერილი კორინთელთა მიმართ, თ. 1,20) (2, 357).

გალაკტიონის პოეზია გამორჩეულია სულიწმიდის მადლით, სიბრძნის სიტყვით. სიბრძნეს სწორედ ღმერთთან კავშირში ეძებს პოეტი: „რა სილაღეა თავისუფალი, სიბრძნის სახეა შრომის უფალი, ყოფნა მწყურია, მშობლიურია და მზიურია, ო, ეს უბანი“ (მშვიდობის წიგნი) (5,280).

ახალ სიმაღლეთა მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ღმერთის წყალობით: „ნუ მოაშორებ სიცოცხლეს თვალებს, რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს“.

სიცოცხლე, ცხოვრება, ყოფნა ღმერთია (იოანე, 14,6) (2,211).

პოეტი უპირისპირებდა რა ცრუ სიბრძნესა და უკვდავ აზრს, უმწეო სინათლისა და მარადიული მზის ასოციაცია უჩნდებოდა: „იბრწყინე მარად, დიადო მზეო, იბრწყინე მარად, ვით ეს სანთელი ქრება უმწეო მზის შუქის კარად, ისე ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს ვით ნისლი რამე იხსნება, ჰქრება, გაუმარჯოს მზეს, ძირს ბნელი ღამე“.

„ახალი სხივის“, „ახალი ღმერთის“ სიყვარული მომავლის ღრმა სიბრძნით უხელდა თვალს პოეტს: „... იქ, იმ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალახელილი, საიდანაც სჩქეფს სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი“ (უმშვენიერეს კიბეზე).

„პირველი ოცნების“, მშვენიერების, სისპეტაკის სიყვარული ღრმა სიბრძნით ავსებდა გალაკტიონის ზეშთაგონებას: „ოდეს ვიგონებ იმ პირველი ოცნების სახელს და მოლოდინთა მშვენიერთა სპეტაკ სიახლეს, რაც მგზნებარებდა და მმატებდა სიბრძნეს სიბრძნეზე – აი მიზეზი გამარჯვების, აი, მიზეზი“ (1950).

პოეტს არ სჩვეოდა „ამაოდ შექმნილ ციურ სულთან მხურვალე ლოცვა და ქვეყ-

ნიურად შექმნილ კერპთან – მწარე შეცდომა“ (სანამ შორს იყავ).

გალაკტიონის შემოქმედება უარყოფაა უსულგულო პოეზიის, დაგმობა დემონური ბეჭდით დაღდასმული ქვეყნიური ყალბი ენამჭევრობის, სატანური შეთქმულების წევრობის: „მუდამ გავემიჯნები, ლექსს რომ აშალაშინებს უსულგულო ნიშნები. თითქოს ხმისთვის მზიური გზა არაა შეჭიდვის, გარდა დემონიური საშინელი ბეჭედის, ნიშანი ქვეყნიური ყალბი ენამჭევრობის, დაღი სატანიური შეთქმულების წევრობის“ (ენა მშობლიური მიწის).

გალაკტიონმა დაამკვიდრა არა მუხამბაზები, აღმოსავლური ბაიათები ან რომანსეროები, არამედ დარდის, სიკვდილის დამმარცხებელი საღვთო ჰანგები, სამოთხის ხმები, ცხოვრების ზღვაზე გადამყვანი ფრთებიანი სიმღერები: „გევედრები, გამაგონე, ის სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“ (ოდეს მძიმე რამე დარდი).

ზეციურ სიბრძნესთან წილნაყარს, საღვთო ჰანგები ესმოდა, ცის კარი და მიწის გული, ქვეყნის კარი და სიბრძნის კარი ეხსნებოდა: „გაოცებით მწყემსი წყნარი ისმენს ციურ დაირასა, ვინა სთქვა, რომ ზეცის კარი სამუდამოდ დაირაზა?... ვინა სთქვა, რომ მიწის გული სამუდამოდ დაირაზა?... ვინა სთქვა, რომ ქვეყნის კარი სამუდამოდ დაირაზა? ვინა სთქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა?“

„ბედს იქით, სხვა ედემისკენ“, მწვერვალისკენ სვლის საწინდარი იყო გული და სინდისი, სიმართლის კანდელი – ღმერთი: „იმ მწვერვალისკენ მივყავარ... მხოლოდ სიმართლის კანდელს“ (ფიჭვი ბიჭვინთის).

გალაკტიონის შემოქმედების ორიენტირები გარკვეულია მისივე „სერენადაში“: „რად მინდა იგი, ჩემო პირიმზე, ჩემის ჩანგით თუ ვერ დაგაღონებ? რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ? გული სავსეა წყნარი სიმღერით, სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა. ვმღერი, ვით არვის არ უმღერია, წყურვილსაც მოვკლავ, მაგრამ რად მინდა?“

ლექსის „სამოთხე“ მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა, „დაუჯდომლის“ მიხედვით.

ბედის ვარსკვლავი არის ქრისტე. ლექსში სევდაა იმის გამო, რომ ათეისტურ ეპოქას არ სჭირდება ეს სახეები.

„უუნაგირო, უუზანგო მერანზე“ ამხედრებული პოეტი მხოლოდ საკუთარი „რწმენის მონა“ იყო (იდეა). „რწმენის ტახტი“ ედგა, „საკუთარი შტამპით მოჭრილ ოქროს“ გვთავაზობდა.

„ბნელი და მღვრიე საგნის“ უარმყოფელი, „ცის და მიწის შეზავების“ საიდუმლოებებს ეზიარებოდა, „ყოფნისა და არყოფნის წიგნებს“ უთვალთვალებდა, „ციური რიდით“ მოსავდა თავის განუმეორებელ ხილვებს.

მედროვეებზე, ბოროტთა ძალმომრეობაზე ნათქვამია ბიბლიაში: „ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ. მშვიდობის გზები მათ არ უწყიან“ (ესაია წინასწარმეტყველი, 39,5).

წარმავალ იდეებს ასე ამათრახებდა გალაკტიონი: „შენს იდეებში ობობა ხლართავს ქსელს და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე“.

ბიბლიაში ესაია წინასწარმეტყველებდა მაცხოვრის მოვლინებას და „შორეული ქვეყნის“ მოახლოებას: „შენი თვალები იხილავენ მეფეს თავის მშვენიერებაში და დაინახავენ შორეულ ქვეყანას“ (ესაია, 33,17). (4,97).

გალაკტიონი იწვოდა „ხილვის ტაროსით“ და გვიმხელდა: „მე მესიზმრება რაღაც

უცხო, შორი ქვეყანა... მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა“ (მე მესიზმრება) (6,39).

ბიბლიაში გვხვდება „სალაღობო სიმღერა“ და „სიყვარულის სიმღერა“.

„აჰა, სალაღობო სიმღერა ხარ მათთვის, ლამაზხმიანი და ტკბილად ნამღერი, ისმენენ შენს სიტყვებს, მაგრამ არავინაა მათი შემმეცნებელი“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 33,32) (4,226).

უფლის სიმღერა იქცევს ყურადღებას დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში: „ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი და ის იქნება ჩემი მშველელი“ (ფს. 117-118, 14) (2,651).

უფალს მიემართებოდა ესაია წინასწარმეტყველის სულის მთელი ძალისხმევა: „უფალია ჩემი სიმღერა“ (ესაია, 12,2).

„ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე“ (ესაია, 5,7) (4,76).

„აჰა, ღმერთია ჩემი ხსნა, ჩემი ძალა და სიმღერა“ (ესაია, 12,2) (4,82).

სიყვარული ღმერთია: „ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (იოანე მოციქულის I წერილი, 4,8) (2,320).

სიყვარულის სიმღერა ისმის გალაკტიონის პოეზიიდან, როგორც ერთადერთი ხსნა და იმედი: „გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი).

გალაკტიონის პოეზიაში საღმრთო სიყვარულის გამომხატველი ცნებებია: „სხვა სიყვარული“, „ზექვეყნიური სიყვარული“, „ტრფობა სრული“, „პირველი სიყვარული“. „მე სიყვარული მესიზმრებოდა“, გვიმხელს სიყვარულის თანამგზავრი პოეტი.

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ქრისტემ ეფესელთა ეკლესიას მიმართა: „შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, თ. 2,4).

„ძველი სიყვარულის“, უზენაესი გრძნობის დავიწყების ფაქტი აღბეჭდილია გალაკტიონის ლექსში: „აქ ოდესმე მხიარული გზით უყვარდათ სიარული, აწ გზა მიტოვებულია, როგორც ძველი სიყვარული“.

პოეტის წუხილი უკავშირდება ტკბილი, შუქიანი ნათელის გაუჩინარებას, ანუ საღვთო სიყვარულის იგნორირებას: „არსად ჩანს ტკბილი ნათელი შუქმფრქვეველ სიყვარულისა“ (ღამე), „სიყვარულის გამქრალა სხივი“ (ალვის ხეები მშვილდისარს ხრიან).

გალაკტიონს აინტერესებდა „სამოთხის ჰანგები“, „გრძნობა, რომელიც დაკარგულია“, „გრძნობა... სიყვარულთა“, „გადაქცეული სხვისთვის ჭაობად“ (კოსმიური ორკესტრი) (6,241).

პოეტების მეფის შემოქმედებაში ისმის „ვალალება გრძნობათ დამხობის“ (ის), ტრაგიზმის წყაროა მზის გარდაცვალება (მზე ღმერთის სიმბოლოა). მის ლექსებს განსაკუთრებული ტკივილით ავსებდა რა, რომ „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“, რომ კომუნისტურ საზოგადოებას დაავიწყდა „სიყვარულის ნანა“, რაც სასოწარკვეთილ შეკითხვას იწვევს: „რად ჩაქრა სიმღერათ სიმღერა მჩქეფარე?“ (ტრიოლეტები).

მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის სულში გამუდმებით ჟღერდა ციური სიმფონია, „სიხარულის უვერტიურა“, რაც ლოცვასავით ამაღლებული და დიადია.

მაშინ, როცა სახელმწიფოებრივ დონეზე ამოიძირკვა რწმენა, გალაკტიონი „სი-

მართლის ხეს“ რგავდა „მკვიდრ-ნათელი ფესვით“ (ო, ხეო სიმართლისაო). „ზენიტის პალმებს“, „არსებობის ხეს“ გასცეროდა, „მშვიდობის წიგნს“, „მშვიდობის გზას“ სახავდა ხსნის საშუალებად, თავის უვრცეს პოემას „ალვას და სუროს“ არქმევდა, „შორეულ მხარეებს“ ეთაყვანებოდა. „სიახლოვის სიშორის“ და „სიშორის სიახლოვის“ პარადოქსებით გვაოცებდა, გვიმტკიცებდა, რომ „ის ახლობელი იყო სულ შორი“ (ის დირიჟორი).

გალაკტიონი თავისი ჩანგით იცავდა მზეს (რწმენას, ღმერთს), დილას, ალიონს (მარიამ ღვთისმშობელს): „რა მშვენიერი ალიონია, მას ჩემი ჩანგი იცავს აფთარებრ“ (გახსოვდეს მარად).

„ალიონთა სიხარული“ (ალიონი მარიამი, სიხარული ქრისტე) უნერგავდა გამარჯების უეჭველობის რწმენას (ო, ჩემო ჩანგო).

„რატომ არავინ იყო, როცა მოვედი, როცა ვიძახდი და არვინ იყო პასუხის გამცემი“? კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველი (ესაია, 50,2).

წინასწარმეტყველთა დარად გალაკტიონიც აცხადებდა: „როდესაც მე მოველ, არავინ არ ჩანდა“ (მე მოვალ).

დავიწყების ბურუსმა შთანთქა პოეტის თანამედროვეთა უმეტესობა, ხოლო გალაკტიონის სულიწმიდასთან წილნაყარი შემოქმედების სიდიადე უფრო გამოაბრწყინა დრომ, ვინაიდან მას არასოდეს არევია „წუთისოფლის დიდება“ და „დიდება მარადისი“.

წმინდა სულის ადამიანებს ნათლის სამოსი ასხივოსნებთ: „რადგან რამდენად სული ჩემი უზადო ქმნილა, იმდენად უფრო მაცისკროვნებს ნათლის სამოსი“ – ნათქვამია „ღვთაებრივ კომედიაში“ (7,362).

გალაკტიონი არის „ზეგარდმონათლით მოსილი“, შექშემოსილი, ელვით შემოსილი, როგორც წმინდანები.

იგი არის „მცოდნე გაზელის“ (გაზელა საღვთო სიბრძნის გამომხატველი ლექსებია), მგოსანი სასახლის (სასახლე საღმრთო სახელია), ანუ უმთავრესად, რელიგიურ პრობლემებზე ორიენტირებული პოეტი.

„მეტი სინათლე“ – აღმოხდა გოეთეს.

„მეტი მზის სხივი, მეტი ნათელი“ ენატრებოდა გალაკტიონს: „უსრულო საზღვარს გადააცილე შენი ამაყი სულისკვეთება, მეტი მზის სხივი შემოგეხვევა, მეტი ნათელი შემოგედება“ (ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა).

თითქოს გალაკტიონზე გაცხადდა ბიბლიური ჭეშმარიტება: „... წყვდიადი დაფარავს ქვეყანას და ბნელი – ხალხებს, შენზე კი უფალი ინათებს და მისი დიდება გამოგეცხადება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 60,2).

ეზეკიელ წინასწარმეტყველივით, გალაკტიონსაც „ბროლის ცა“ ეხსნებოდა, ევლინებოდა „ბროლის ზმანება“, ესმოდა „ბროლის რიტმი, მუსიკა“.

პოეტმა ზურგი აქცია ფუჭ მჭევრმეტყველებას, მიხვდა, რომ ნაღმებზე აფეთქდებოდა ენამჭევრობა და ახალი სიტყვა ეძია ახალი სათქმელის გამოსახატავად. ეს მაშინ, როცა „ჯამბაზთა, გაერთა ყალბი შუშები“ „მინანქრად“ საღდებოდა. პოეტი ღმერთთან ხიდს გადებას ცდილობდა და ათეისტური ეპოქის ქარს უპირისპირდებოდა (ქარის პირისპირ).

უკვე „ჩამქრალი ალის ანთება“, „დაკარგული გრძნობის“ ძიება, „დამარხული იმედის“ გაცოცხლება გახდა მისი მიზანი.

ქრისტიანული ღმერთის მეგზური იყო მთელი ცხოვრება, მაგრამ ათეისტურ ეპოქაში დაუსჯელად არც ღმერთის სიყვარული შეიძლებოდა: „...არ გაპატივა, შენს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი, როს დაგშორდები – ვარ მე ზედმეტი, საშინელება და ჯოჯოხეთი“ (არ გაპატივა).

მოდიოდა „ახალი ერესი“, ქარი, „შემოღამების ცელი“ ისადგურებდა ირგვლივ, მაგრამ პოეტის ლოცვის ხმები ახშობდა სატანურს, უზენაესის „ლოდინის სიმღერას“ აღავლენდა და ისევ ვარდებით ივსებოდა აუზი (ლოცვისთვის).

პოეტის მწუხარე, „სპეტაკი წიგნით“ ცოცხლდებოდა „იმედთა მდელო“, ისმოდა არა „დაცინვა, წყრომა და ირონია“, როგორც პრიმიტიული პროლეტარული პოეზიის წარმომადგენლებისგან, არამედ „ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი“.

გამოცხადების მიხედვით, მექნარეთა ხმის, ახალი საგალობლის შესწავლა მხოლოდ წაუბილწავთ, ღმერთისგან გამოსყიდულთ ხელეწიფებათ. გალაკტიონი იყო კრავის გამოსყიდული.

პავლე მოციქულს რომ დავესესხოთ, გალაკტიონი იყო შემოსილი „რწმენისა და სიყვარულის აბჯრით, ხსნის იმედის მუზარადით“ (პავლე მოციქულის I წერილი თესალონიკელთა მიმართ, თ. 5,8).

იერემიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „ასე ამბობს უფალი: დაწყევლილია კაცი, რომელსაც ადამიანის იმედი აქვს და ხორციელში ეძებს შემწეობას, გულით კი შორდება უფალს“.

„კურთხეულია კაცი, რომელიც ეძებს უფალს და უფალია მისი საესავი.

„იქნება იგი წყლის პირას დარგულ ხესავით, რომელსაც მდინარესთან აქვს ფესვები გადგმული, არ უფრთხის გვალვიან წელიწადს და არასოდეს ელევა ნაყოფი“ (იერემია წინასწარმეტყველი თ. 17,5,7,8) (4,141).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გამორჩეულ ხეს არასოდეს მოაკლდება ინტერესი, არ გამოელევა სულის საოხი ნაყოფი...

გალაკტიონის სახე-სიმბოლოთა ჩანაფიქრის გაცნობიერება აშკარას ხდის, რომ პოეტის მსოფლგანცდა რელიგიურია, მისი სახეების ქვეტექსტებს ყოველთვის მივყავართ მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან.

ლიტერატურა

1. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროების და პოეტიკის საკითხები, თბ. 1989
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, 1990
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
7. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941

გალაკტიონ ტაბიძე და ქართული რენესანსის პრობლემა

მეოცე საუკუნის ათიან-ოციან წლებში ბუნებრივად დაისვა ქართული მხატვრული სიტყვის განახლების, ტრადიციების შემოქმედებითად გათავისების, დასავლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზირების მოთხოვნა, რაც თეორიულ ჭრილში „ცისფერყანწელებმა“ წამოაყენეს, ხოლო ამ იდეის ხორცშესხმა გალაკტიონ ტაბიძეს დააკისრა განგებამ.

პოეტების მეფის, ქართული პოეზიის ნოვატორისა და რეფორმატორის ტიტულების მფლობელი გალაკტიონის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს ძიება მსოფლიოს ოთხივე კიდეს, ვლინდება პოლუსების ხილვის, „ყველა სიმის“ აჟღერების, პარნასზე დამკვიდრების, პოეტურ გლობუსზე „ახალი მერიდიანის“ გავლების სურვილი.

სიმბოლური აზროვნების დიდოსტატი „ალიონის“, „დილის ძის“, „დილის ცისკრის“ სახეებით გვეცხადება, აქცენტს უკეთებს თავის „ათასის მხედველობას“, „ორი მილიონი თვალებით“ მზერას, „ასი ათასის სმენას“.

ნათელშემოსილი, მზითშემოსილი, სიხარულშემოსილი პოეტი მთელ ძალისხმევას იჩენს, რათა მიაღწიოს „განახლებას“, „გათენებას“, „განათებას“, იპოვოს „აღდგომის კვალი“.

აშკარაა ადამიანთათვის დაწესებული საზღვრების გაწევის, საერთაშორისო არენაზე დამკვიდრების, მსოფლიოსთან, კოსმიურთან შეხმიანების სურვილი. მისი ურთულესი ბრძოლის მიზანია „საკაცობრიო იდეა“ (უმშვენიერეს კიბეზე) (1,471).

გალაკტიონმა ზედმიწევნით კარგად იცოდა მსოფლიო სიბრძნე, იყო ადეპტი საღვთო სიბრძნის, საღვთო სიყვარულის, მომადლებული ჰქონდა ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენები და ბიბლიური წინასწარმეტყველებივით ჭვრეტდა მომავალს.

პოეტს ესმოდა „კოსმიური, ერთადერთი მძლავრი მუსიკა“, გვევლინებოდა, როგორც „მსოფლიო ორკესტრის დირიჟორი“. ავსებდა „უსაზღვრო და განსაზღვრულ მხარეთა იმედები“, მისი „საიმქვეყნიო“ და „საამსოფლიო“ გზები ხასიათდებოდა დაუსრულებლობით.

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „გრძნობა... სიყვარულთა და გაზაფხულის სანახაობა“ (კოსმიური ორკესტრი).

სიყვარული საღვთო სახელია: „...ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი, 1 იოანესი, 4.8) (2,320).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, საღვთო სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფსალმუნი, 65,12) (2,588).

პოეტისთვის უპირველესია „სიყვარულის ხმა“, „ზექვეყნიური სიყვარული“, „მზიანი სიყვარული“, „სიყვარულის სიმღერა... ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედია“ (ილიას მოტივი) (1,202).

მისი აზრით, ჭეშმარიტი კულტურა უპირველესად რელიგიური, ამასთან, ეროვნულ – ფილოსოფიური უნდა იყოს.

„კოსმიურ ორკესტრში“ ჩამოთვლილი არიან შელი, ბაირონი, ვერლენი, ბოდლერი, რემბო, გოტიე, ჰაფიზი, ედგარ პო.

ლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას გალაკტიონი შეაჩერებს იტალიური რენესანსის გიგანტზე – დანტეზე: „...დანტე უკვდავებში არა მეათეა, მაგრამ დიდებაა მკრთალი ბეატრიჩე“, ანუ, ლექსის ავტორის აზრით, დანტე უკვდავია, მაგრამ არა უპირველესი.

სრულიად გამორჩეულად აღიქმება შოთა რუსთაველის სახელი: „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს, იგი ულევია და მზის ის თაველი, რომელს მონობისთვის გზა ვერ გაუღუნეს“.

მერე ქართული პოეზია „ჩვენობით“ მოიხსენება: „ვინ გაბედა სიტყვა ჩვენზე მეტი? შემახედეთ კიდევ იმის სახეს“.

ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „ჩვენში“, რუსთაველთან ერთად, გალაკტიონი საკუთარ თავს გულისხმობდა.

ლექსის მთავარი პაროლია „განახლება“.

და ბოლოს, ერთი შეხედვით ისევ საოცარი დასკვნა: „დაურიგდეს ყველას ძველი ღვინო, სიხარულის ხმა მიეცეს ყველას“ (კოსმიური ორკესტრი) (1,241-245).

„ძველი ღვინო“ საღვთო სახელია. ბიბლიაში ქრისტეს მოვლინება წარმოიდგინება, როგორც „ნადიმი“ „ძველი ღვინით“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, თ.25,13) (3,391).

სახარების „ჭეშმარიტი ვენახის“ პარალელურად, სასულიერო აზროვნებაში ღმერთის სახელია „სულიერი ღვინო“, „ზეციური ღვინო“ (წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი) (4,163).

„სიხარული“ ქრისტეს მეტაფორაა როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში: „...აჰა გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება“ (ლუკას სახარება, 2,10) (2,113).

„არტისტული ყვავილების“ ავტორს, გამორჩეული სულიერი ფენომენის გამო, სამშობლო ესახებოდა როგორც „მსოფლიო გზებზე სხივთა მფენელი“ (მარად მგზნებარე) (5,374).

ქართველი კლასიკოსების ექვსეულიდან (რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა) „ტიტანად“ მხოლოდ რუსთაველს მოიხსენებდა (თენდება, გათენდა) (1,72) და ასკვნიდა: „...მთელი მსოფლიოს ნახევარი ჩვენია“.

ამასთან, თვითონაც „მთების და ველების“ „ტიტანად“ გვეცნაურებოდა (ავრორა) (6,75-76).

გალაკტიონი აქცენტს აკეთებდა რუსთაველის „სიბრძნის ზღვაზე“, „ოქროს ხანაზე“ (შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად) (1,262-263), ასევე, თვითონაც „ღრმა სიბრძნით თვალანახელი“, „ოქროს ქნარის“, „უზარმაზარი მსოფლიო ქნარის“, „მომავლის ქნარის“ მფლობელი, „უსაზღვრო ძებნით“ „უცხო წალკოტის“ მიმგნები, ძველი ელადის, ძველი რომის ტრადიციებთან, ანუ რენესანსთან წილნაყარი პოეტი იყო (ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი) (1,508).

რუსთაველის სტრიქონებს „მარგალიტთა დიდთა მტევნად“ აღიქვამდა, თვითონაც „მალსტრომთა ძირით“ მარგალიტს კრებდა (ზღვის ეფემერა) (1,236-137).

თუ „ვეფხისტყაოსანში“ „ლომ-ვეფხვთა“ დახოცვა, ნადირობა ადამიანის ბნელი

ინსტინქტების, ნეგატიური საწყისების დამარცხებას ნიშნავს (7,257), გალაკტიონი ეპოქის აპოკალისფსურ მხეცებთან, მათ ნაშიერებთან დაუცხრომელი მებრძოლი იყო, ხოლო ამ სახეთა ადრესატები იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში არიან ზღვისა და მიწის მხეცები, ანუ საბჭოთა ტირანიის საჭეთმპყრობელები – ლენინი და სტალინი (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (8,441).

თუ რუსთაველის პოემაში ნესტანის ძიება სულიწმინდის ძიებაა (ზვიად გამსახურდია), ასევე, გალაკტიონის შემოქმედებაში დაკარგული „მშვიდობის წიგნის“ ძიება ათეისტურ ეპოქაში უარყოფილი ღმერთისკენ მიბრუნებას გვამცნობს, რადგან წიგნი საღვთო სიმბოლოა ბიბლიაში (ესაია წინასწარმეტყველი, 29,11,19), ღვთისმეტყველებაში (ნეტარი ავგუსტინე) (9,217), კლასიკურ პოეზიაში (დანტე) (10,383).

„შოთა რუსთაველის პოემა გრაალის პოემაა“ (ზვიად გამსახურდია), გალაკტიონი გრაალის ორდენის რაინდია, „გრაალი კი სიმბოლოა სულიწმინდისა, ღვთისმშობლისა“ (11,38).

ორივენი წილნაყარნი იყვნენ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) მოძღვრებასთან. გალაკტიონი ჰეგელის გზით წვდა ბოროტების უარსობის, წმინდა სინათლის და წმინდა სიწყვდიადის იგივეობის იდეას (წარწერა წიგნზე) (5,214).

პრობლემების სრულყოფილი კვლევა მომავლის საქმეა, თუმცა მრავალი პარალელი დღესაც შეიძლება დაიძებნოს.

გალაკტიონის აზრით, რუსთაველის გენეტიკური კოდები გამორჩეულ ქართველში ახლებურად გამოვლინდა (მესხის გამოხედვა, ისევ მესხის გამოხედვა, ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის).

პოეტების მეფის აზრით, ჭეშმარიტი შემოქმედება არის „აღმოჩენა, გამოგონება, შექმნა“.

ხელოვნების ფსიქოლოგიაში განარჩევენ სიახლის სამგვარ გაგებას: სიახლის სუბიექტური განცდა, სიახლე რომელიმე კულტურული რეგიონის თვალსაზრისით და სიახლე ობიექტურად, მსოფლიო პოეზიის პირველმინაღწევარი (12, 39-41).

ასევე, შემეცნების სხვადასხვა საფეხურს მოასწავებს ტალანტი და გენია. ტალანტი არსებულის ფარგლებში ტრიალებს, გენიალობა უმთავრესად პოეტური გამომგონებლობაა, საკაცობრიო იდეალის მიგნება.

გალაკტიონი ამბობდა: „ყველაზე დიდი გენია ფანტაზიაა. ფანტაზიის მერანზე მჯდარი ყველგან იმოგზაურებ... ფანტაზია ტიტანური ანგელოზია“(13,182-183).

გალაკტიონი თავის ფიქრებს ოკეანეს, გენიას საკუთარ არსებაში აბობოქრებულ ზღვას ადარებდა. (რას ნიშნავს ზღვა ახმაურდა?) (ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 1994წ, გვ. 419).

პოეტი მოგვევლინა, როგორც „ყრმა მეოცნებე და გენიოსი“ (რაა ეს გრძნობა?) (6,12), „...სამუდამოდ ქართული... გენიალური ჰიმნების“ შემქმნელი (ის დირიჟორი) (1,106).

საუკუნეების ტრადიცია კი არ ბოჭავდა, ფრთებს ასხამდა, რათა უპირველესი გამხდარიყო: „ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით“ (ეფემერა) (5,139).

„ფერადი ქარები“, „უხილავი ქარები“, „მობერვის“, „დაბერვის“ ცნებები უკავშირდება ნიჭთა გამნაწილებელ და შთაგონების მომნიჭებელ სულიწმინდას, რომელიც სახელდებულია, როგორც „მწიგნობარი ფალავანი“ (14,146).

გალაკტიონის ცხოვრება „მზემ“, „ღრუბლებმა“ „ათასზე გადაამრავლა“ და „დილის ძედ“ მოავლინა (ნიავი, ია, ნარგიზი) (1,571).

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფსალმუნი 83/84,12) (2,614).

ღრუბელი, „სულ მცირე ღრუბელი“ მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა (15,125).

პოეტი წინასწარ ხედავდა საკუთარი სულის შუქს მშობლიურ ცაზე: „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (5,293).

ჯერ კიდევ შემოქმედების ადრეულ წლებში იგრძნო თავი „ყოვლისმქმნელ მეფედ“, „ქვეყნად ყოველი არსის სულის“ მეუფედ, პოეზიის „ახალ ღმერთად“ (შემოქმედება) (5,12-13).

მთავარი იყო „ცისა და მიწის შეზავება“ (შეხვედრა) (5,12), „მიწადი ოცნებების“ მიგნება, „ახალი მიწის“, „ახალი კლონდაიკის“, „რუკაზე არსად არ აღნიშნული კამჩატკის“ ძიება.

პოეტის სიტყვის ძალამ დაამარცხა შაბლონი, სტანდარტი, დაამსხვრია ყინულოვანი გარემოცვა, ყინულის სასახლე, ყინულის კოშკები და მისი პოეზიის გემი გაიჭრა „საოცნებო ედემისკენ“ (შეხედეთ, მიწა!) (1,232).

ხოლო მისი „ოცნებების უდიდესი გემი“ იყო „უწრფელესი, გმირული“...

ცალკე სფეროა გალაკტიონის საღვთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველება, მისი განუმეორებელი მეტაფორები, ენიგმები, პოეტური ლიცენციები.

„ბედს იქით“ მიმსწრაფი პოეტის სული იყო „შეუზღუდველ სულთა თანა“ (უხილავი) (6,66), ანუ უზენაესთან. ხედავდა სულს, „მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზის“ მხარეს, ესმოდა „ციური ზარი“, საღვთო მუსიკა.

ღმერთების ცას, შორეულ ქვეყანას, მეფეს (ღმერთს) მხოლოდ რჩეულნი, წინასწარმეტყველნი ხედავენ: „შენი თვალები იხილავენ მეფეს თავის მშვენებაში, დაინახავენ შორეულ ქვეყანას“ (ესაია წინასწარმეტყველი, 33,17) (3,97).

გალაკტიონის შემოქმედებაში ერთად არის „ძალა... გულისა და გონების“ (მოდის) (5,291).

ჰადესში და მიღმურში ერთდროულად მჭვრეტელი პოეტი აცხადებდა: „არყოფნის წიგნს დავუკვირდი, ყოფნის წიგნიც ვათვალთვალე“ (დღეთა გარდასულთა) (6,119).

გალაკტინის პოეზიაში ქრის „სიახლის გრიგალი“, ამოდის „ახალი მზე“, პოეტს მოსავს „სიხარული“, „გაზაფხული“(ეს გრიგალია სიახლის) (1,200), ანუ არის ღმერთშემოსილი.

გაღვიძებული „ახალი დროის ჰამლეტია“ (აღმოსავლეთი) (1,218-221).

აღმოსავლეთის მზისგან ხელდასხმულია, აურაცხელ, „გადამალულ საუნჯეთა“ სავანე (რა საჭიროა სიტყვები? მჯერა) (1,17).

აღმოსავლეთი და, კერძოდ, ინდოეთი, ძველ მწერლობასა და მითოლოგიურ გადმოცემებში ყოველთვის დაკავშირებული იყო სამოთხისმიერ ყოფასა და ცხოვრებასთან.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა ედემი გააშენა აღმოსავლეთით. როგორც მზის ამოსვლის მხარე, ინდოეთი წარმოიდგინებოდა, როგორც სიმბოლო ნათლისა, სიკეთისა, სამართლიანობისა და უპირისპირდებოდა დასავლეთს, როგორც ბნელს, ბოროტების საუფლოს.

ლუკას სახარებაში აღმოსავლეთი გვხვდება, როგორც ერთადერთი სახელწოდება ღვთისა: „მომხედა ჩვენ აღმოსავალმან“ (ლუკა, 1,77) (ხაზგასმა ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას 7,173).

ვფიქრობთ, ამ ასპექტში დამაფიქრებელია დანტეს ფრაზა „ღვთაებრივი კომედიიდან“: „აღმოსავლეთი, სამშობლო მზისა და სინათლის ძველი სათავე“ (10,319).

ალბათ, საღმრთო სახელთა კონტექსტში უნდა გავიგოთ გალაკტიონის „აღმოსავლეთის შუქი“: „სწყვეტდა ათასგვარ საკითხს, აღმოსავლეთის შუქი“ (რაც არ ყოფილა, არის). საგულისხმოა ისიც, რომ გალაკტიონის ერთი ლექსის მიხედვით, „აღმოსავლეთით დგას ხალხის ნუგეში და მოსვენება“.

ვფიქრობთ, ურთიერთდაკავშირებული ცნებებია: აღმოსავლეთი, ცისკარი, გათენება, განათება, ალიონი. ქრისტე აზიასაც უკავშირდება, ალბათ, იმ მიზეზის გამო, რომ ღმერთი აღმოსავლეთიდან, აზიიდან მოვიდა. გალაკტიონი ამბობს: „ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოდის განათება“ (ფარულ ტკივილებით) (5,51).

პოეტს გენია ანიჭებდა სითამამეს, რწმენას, რომ, როგორც თვითშეცნობილ პოეტურ ფენომენს, ამაყად ესაუბრა ყველა ეპოქასთან: „არცერთ ეპოქას არ აქვს უფლება, გაესაუბროს ჩემსას თამამად“ (1,207).

„უზარმაზარი მსოფლიო ქნარის“ მპყრობელი (1,507) ყველა მხარეში ეძებდა სიბრძნის მარცვლებს, გარდასხეულების თეორიის თანახმად, მისი სული მარადიული მოგზაური იყო „ზევით თუ სამარეში“ და ამ დაუსრულებელ გზებზე მოხელთებული აზრების, იდეების გაერთიანებას, ინტეგრირებას ახდენდა: „ცხენთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ლურჯა ცხენები, ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები“ (პოეზიის ინტეგრალები) (1,564).

აპოკალიფსის თეთრად შემოსილი წმინდანების დარად პოეტი ქრისტესავით ჯვარცმულია რწმენისთვის, სიტყვისთვის, მარადიულობის სახელით უარისმთქმელი ეფემერულ ღირებულებებზე, „ამ სააქაოზე“. უსასრულობაში გაჭრილი მისი სული გალობს ისეთ საგალობელს, რომლის გათავისება მხოლოდ ქრისტესთვის სისხლის, მსხვერპლის გამღებთ ხელეწიფებათ და ამ ჯადოსნური სამყაროს წვდომა მხოლოდ მომავალში თუა შესაძლებელი.

გალაკტიონი რუსთაველს „იცნობდა“ კარგად, „ახსოვდა“ მისი ბავშვობა (მთვარის ნაამბობიდან) (1,603), „ოქროს ნავში“ იმყოფებოდა ედგარ პოსთან, ნოვალისთან, „ხვდებოდა“ „მეცხრე სიმფონიის“ ჯადოქარს – ბეთხოვენს (მეცხრე სიმფონია) (1,352), სიახლოვეს გრძნობდა პაგანინთან (ისე ეფემერა) (5, 144), მოცარტთან (შერიგება) (1,72), მაგრამ საბოლოოდ ყველას (შელი, ჰიუგო, ბოდლერი, მიუსე, ვერლენი) გამოეთხოვა (თუ ბრძოლა არ არის) (5, 199).

კონსტანტინე გამსახურდია გალაკტიონს „გენიოსს“, „ქართული სიტყვის განუმეორებელ ორფეოსს“, მსოფლიო პოეზიაში შედევრებით გამორჩეულს უწოდებდა და ასკვნიდა: „გალაკტიონმა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა“ (გალაკტიონ ტაბიძე) (16,596-599).

უეჭველია, გალაკტიონმა ზედმიწევნით იცოდა როგორც მსოფლიო რენესანსის ისტორია, ისე ახალი, გახმაურებული თვალსაზრისი შალვა ნუცუბიძისა, რომელიც მეცნიერულად ასაბუთებდა ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და ქართველი პეტრე იბერის იგივეობას, დასავლური რენესანსის საფუძვლად მიიჩნევდა არეოპაგიტიკას

და საუბრობდა რუსთაველის რენესანსზე, რომელიც იყო დასავლურ-აღმოსავლური აზროვნების უმაღლესი სინთეზი, ამასთან, წინმსწრები ევროპული რენესანსისა (შალვა ნუცუბიძე, აღმოსავლური რენესანსი და ევროპოცენტრიზმის პრობლემა, 1941წ., შოთა რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, 1947წ). მისი მოსაზრებები გაიზიარეს ბელგიაში (ერნსტ ჰონიგმანი), რუსეთში (ალექსეი ლოსევი).

საგულისხმოა, რომ მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში რენესანსის ნიშნებზე საუბრობდა გრიგოლ რობაქიძე 1913 წლიდან, ტიციან ტაბიძე გრიგოლ რობაქიძეს უწოდებდა „დანტეს ტოლს“, „დანტეს ემბაზში განბანილს“ (17).

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ქართული რენესანსის საკითხში ერთნაირ პოზიციას ავლენდნენ გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ტერენტი გრანელი.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი1, თბ. 1990
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ 1, თბ. 1993
7. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
8. იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994
9. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, თბ. 1995
10. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941
11. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისსია, თბ. 1990
12. ოთარ ტაბიძე, შემოქმედების არსი, თბ. 1980
13. ნიკა აგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ. 1974
14. ბასილ დიდი, თხზულებანი, ფსალმუნთა განმარტებანი, ჰომილიები ექვსი დღისთვის, თარგმანი და წინასიტყვაობა გვანცა კოპლატაძის, თბ. 2002
15. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
16. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, ლექსები, პუბლიცისტიკა, მიმოწერა, თბ. 1989
17. ლუარა სორდია, გრიგოლ რობაქიძე ქართული რენესანსის შესახებ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ანთოლოგია, ტ.3, თბ. 2014

ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული. „ველი“ გალაკტიონის სახისმეტყველებაში

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინფორმაცია სამყაროსა და ცოცხალ არსებათა შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ველი შეიძლება წარმოადგენდეს დედამიწის პროგრამასაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გავიდეს და აღიქვას სხვისთვის მიუწვდომელი ინფორმაცია.

ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კავშირს მიწიერ და ზენარულ სამყაროებთან. ისინი დედამიწის იონოსფეროს უკავშირდებიან და ამით განსაზღვრულ ინფორმაციას ღებულობენ.

აღმოსავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება და ადამიანის ზნეობრივი სიწმინდე ითვლებოდა, მაღალ სულიერ განვითარებასთან ერთად, კოსმიური კავშირის უნარების განვითარების უმთავრეს პირობად.

ლაო-ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მარადიული სათნოებით ავსილი ადამიანები“ იქცევიან „სამყაროს ხილულ ველად და, ვინც ველია სამყაროსი, მარადიულ დეს ეუფლება“(გვ. 99, 197).

„ბჰაგავად-გიტაში“ არის სპეციალური თავი: „ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა“, რომელშიც ნათქვამია: „კურთხეულმა ბრძანა: „ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება, ხოლო რომელი მას საცნაურყოფს – ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება“ (გვ. 83) „მოკლედ განმარტებული ველი ცოდნა და ცოდნის საგანია“, ველის უფალი კი ღმერთია“ (გვ. 88, 90).

„ბჰაგავად-გიტას“ კურუქშეტრის ბრძოლის ველი სულის ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს (გვ. 123).

რაჯნეშის „ტანტრას“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „მიღების დაბლობი“ ეწოდება და აქაც ზნეობრივი სიწმინდეა მასთან მიახლების პირობა.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება „ცეცხლის ალების ველი“, „მდელო, ყვავილებით სავსე წალკოტი“.

გოეთეს „ფაუსტში“ „ამწვანებულ ველად“ არის სახელდებული ენერგეტიკული ველი.

ბოდლერის „ამაღლებაში“ საინფორმაციო ველს ეწოდება „აისის ჭალა“, „სინათლის აუმღვრევი ველები“.

ტერენტი გრანელი „ბნელ ველზე“ აცნობიერებს არსებობას.

ეგვიპტურ მკვდართა წიგნში მოიხსენება – იალუს მინდორი, რომელიც სამოთხის ექვივალენტი იყო.

მიუთითებენ, რომ არსებობს აგრეთვე „შავი მაგიური ველი“.

უმდაბლესი ასტრალური შრეების მომრავლების შედეგად პლანეტა მძიმედ არის დაავადებული და წარმოქმნილია „შავი მაგიური ველი“, რომელიც გზას კეტავს იმ სამყაროებისკენ, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ პლანეტას. თუ ვერ გაირღვევა ეს ბნელი ველი, დედამიწის არსებობა დასრულდება (ელენე რერიხი).

გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც დაჯილდოებული იყო ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენალური ნიჭით, ხშირად უკავშირდებოდა როგორც დედამიწის, ისე ზეცის („ცათა მდელოს“) საინფორმაციო ველს და შეიცნობდა ჩვეულებრივთათვის შეუცნობელს და მიუწვდომელს.

პოემა „მშვიდობის წიგნის“ „ცათა მდელო“ ანუ კოსმიური კავშირის ველი ანგელოზის საუფლოა. იქიდან ევლინება მარიამ ღვთისმშობელს გაბრიელ მთავარანგელოზი და ამცნობს ძე ღმერთის მოვლინების საიდუმლოს.

ზეცის მდელოზე კეთილი ნების ანგელოზები ბინადრობენ და საყოველთაო ჰარმონიას ამკვიდრებენ: „ცის ანგელოსი დაჰღიღინებს დანამულ მდელოს, ნიავი ნელი ვარდს გაფურჩქვნილს ესალბუნება“ (სასაფლაოზე).

ზეცის „მშვილდის“, ზეცის „ისრის“ (უზენაესის) არეშია მუდამ ეს სიმბოლური მდელო და ზეცის შვილი პოეტი სწორედ ამ ამმაღლებული ხმებისაკენ მიილტვის: „ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს. იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი, იმ სადღეგრძელოს“ (მაისის ისრით).

ალერსის ღმერთის (იესოს) უხმო ველში გასვლისას მდუმარე პოეტი საღვთო „ნისლის წამოსასხამით“ იფარება და „ღამის ღამით უხილავ გზებს“ – უზენაესს ელტვის, მისი სიყვარულით თვრება: „ალერსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსასხამით და დათრობაში ამ ღამის ღამით, უხილავ გზებით შთავა ყოველი“ (გობელენი).

„აყვავილებული ველების“ სანატრელ შემოგარენში პოეტს ეცნაურება „ჩრდილი ყოველი“, ვარდები თუ „სიტყვები გულზე დასაქსოველი“ (აყვავებულ ველებს სალამი).

დუმილში აგნებს პოეტის სული – „თვალებდალურჯული იალქნები“ სიზმრისეულ ველს და „ოქროს ზღაპრის“ ხიბლით გვაჯადოებს: „სიზმარს აბარია ველი შენაფერი. ეხლა ყველაფერი ოქროს ზღაპარია. არც ხმა, არც ჩურჩული, ბინა-მინაგნები, თვალებდალურჯული თრთიან იალქნები“ (ეს მშობლიური ქარია).

„ხავერდოვან მდელოზე“ სახლობენ მოჩვენებები, სხივნაკრავი სახეები, აქაა საბრძოლო ლელო, გატაცების, აღტაცების ასპარეზი (ბინდი ღამისა გაჰქრა).

პოეტს „იმედთა მდელოზე“ ევლინებიან „მოგონების წმინდა აჩრდილები“ და სიცოცხლე ენიჭებათ გენიოსის კალმით: „მსურს გავაცოცხლო იმედთა მდელო და მოგონებათ წმინდა აჩრდილი სიცოცხლის ჰანგით ავამეტყველო“ (წარწერა წიგნზე).

„ათასფრად მოქარგულ ტურფა ველზე“ ეგულება პოეტს მანუგეშებელი „ციური ცვრით დანამული ვარდ-ყვავილები“ (ათასფერად მოქარგული).

იდუმალ ველებზე ისმენს პოეტი საღმრთო ნიავის ზღაპარს, ახალი გზების, ახალი სიტყვების ძახილს: „უცებ გაცოცხლდა ირგვლივ ყოველი, ველებს აღელვებს ნიავი მშვიდი, ამოიშალა ძველი სიტყვები, ახალი გზებით მიდის რაინდი“ (ჩამავალი მზე).

გაღვიძებული და აყვავებული ველი „სიცოცხლის ვარდის“ გაფურჩქვნას ამცნობს, ნეტარი მხარის, წმინდა ცის შუქის რწმენით ავსებს: „ველნი ჰყვავიან, გუ-

ლო, დაწყნარდი, ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება... არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე. იღვიძებს ველი საგაზაფხულო, დაწყნარდი გულო, დაწყნარდი გულო!“ (გრძნობათა ფერფლი).

პოეტი არის მთებისა და ველების ტიტანი, „თოვლიანი მთების ვნების რკალი“ (ავრორა).

ყოველგვარ ძალაზე დიდია ღმერთის – „სიხარულის“ – ძალა, რომელიც განიცდება „ჭიქით“ – მარიამის საშუალებით და მათი ღვთაებრივი საიდუმლო კი „სიზმარულ ჭალაში“ დავანებულია: „აღემატება ყოველგვარ ძალას, რომ სიხარული დასცალოს ჭიქით, რაც ამოძრავებს სიზმარულ ჭალას შორს, სასიმინდე ყანების იქით“.

სიზმრებისა და ოცნების ველის საიდუმლოს არაგვის ქარი ხდის საცნაურს: „სიზმრებში ხვეულს მეოცნებე გადაშლილ ველებს არაგვის ქარი საამურად აამეტყველებს“ (არაგვის ქარი).

იდუმალი ველი წარსული საუკუნის მოვლენებსაც აგრძნობინებს პოეტს: „აგე, იმ ველად, სადაც რამი და თუთუნია, როგორ მიგრძვნია, რანაირი საუკუნეა“ (აგე, იმ ჩრდილქვეშ).

„ცათა მდელოდან“ ევლინებიან გალაკტიონს ქრისტე, მარიამი, ანგელოზები, „ნანატრ ედემებში“ მთა და ველის ფონზე ესმის სიხარულის ღმერთის ხმა, როგორც დიდებული მომავლის უვერტიურა: „მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“ (სიშორით შენით).

ღამის მზე უნათებს პოეტს, ლურჯ ბურუსში გახვეული ტყე-ველი წინაპარი მხედრის სიმღერას ასმენინებს და სამარადისო ძალით ავსებს ეს უცნაური გამოცხადება (თვალუწვდენელი, შორი, ვრცელი, დაუსაბამო).

მზიდან მოვლენილი, მზეზე მლოცველი, „ერთადერთი, მშვიდი, ფარული წიგნის“ ავტორი ველებში იჭერს არტისტი ქარის ხმას, ჭადრის გულმწარე შრიალს, არ ეკრძალება ქვეყნის კორიანტელებს და „ცეცხლიან აზარფეშით“ (მარიამის სიმბოლოა „აზარფეშა“) სვამს მზის (ღმერთის) სადღეგრძელოს (შემოდგომაა).

პოეტისათვის იმთავითვე მახლობელი ყოფილა „ველთა ხალისი“ და ბავშვობაშივე განუცდია ედგარისა და ნოვალისის გვერდით ყოფნა: „...ოდესმე, ჯერ ისევ ბავშვი, ვგრძნობდი, რა არის ველთა ხალისი და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“ (ის ადგილები).

ენერგეტიკულ ველზე სხვადასხვაგვარი ინფორმაციები ეძლევა ნათელმხილველს.

„ციერთა სოფლად“, „ცის დასავალის“ ვერცხლისფერ გზაზე, ვარსკვლავების სავალთან გაშლილი ველი ობლობის, პირამიდების მსხვრევის და ნანგრევების გამო ტკივილს აცხადებს (მზის ჩასვლა).

ლექსში „შენ რაღას იტყვი?“ წარსულის დაბინდულ საინფორმაციო მდელოზე მოჩანს და ცოცხლდება ქართველთა ტრაგედია 1956 წლის 9 მარტს, „ცრემლის წყარო“, ჭვარტლიანი ღამე, ვაზების კვირტისა და ლიახვის ზვირთის წუხილი, ისტორიის ჩრდილი, მზის მწუხარე ნათება.

„მთაში“ „შეტაკებები მკაცრი და მწარე ეფინებიან ველებს მზიანებს, გამოჭრილი აქვთ ყელები მინდვრებს, როგორც დაღუპულ ადამიანებს“.

ლექსში „მამული“ ნელი ნიავით იხსნება საინფორმაციო ველი და ვენახში სასხლავით ხელში მოჩანს ზეციური მამა – „მოხუცი მამა“ – ქრისტე.

საინფორმაციო ველი წარსულშიც იხსნება და ქრისტეს ჯვარცმისას ბაღში,

მდელოში სიოს ავი სისინი და საშემოდგომო ნეშოს კვდომის მაცნე შრიალი ესმის პოეტს საქართველოში (მას გახელილი დარჩა თვალები).

„ველთა ზღაპარი“, რომელსაც მთვარიან ღამით ჰყვება სიო, ის იდუმალი ინ-ფორმაციაა, მხოლოდ ერთეულები რომ იღებენ: „სიო, სარკმლით მონაქროლი ველ-თა ზღაპარს მეუბნება“ (მე და ღამე).

ლექსში „საღამო“ ოდესღაც აყვავებული მინდორი მწუხარების საუფლო გამ-ხდარა, გაზაფხულის სხივი, უკვდავების სახე გაუჩინარებულა: „გამოიცვალა სახე ნარნარი უკვდავების გამომხატველი, აწ გაზაფხულმა სულ დაკარგა ის ძველი ძალა, სხვაგვარის მწუხრით შებურვილია მთა, ტყე და ველი“.

სინანულს იწვევს მაისის ველის გახსენება: „მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონ-და, სხვაგვარი ღელვით ღელავდა ველი, მაისი იყო, მთას მოჰხვეოდა ნაზ გაზაფხუ-ლის მთრთოლვარე ხელი“.

„გაზაფხული“ ღმერთის სახელია. რწმენას განუდგა კომუნისტური ეპოქა და ამით უარი უთხრა სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას.შემოდგომის მდელოს დარდს უგზავნის ენკენისთვე: „ო, ენკენისთვე ეპარება დარდივით მდელოს“ (ფოთლების ლანდი). შემოდგომის მოლოდინს ამხელს „ჩაფიქრება მთა და ველის“.

ია-ვარდების, ზეციური ბედნიერების მოლოდინის ადგილიც ველია: „ველნი... გაფანტავს დარდებს, იმ ია-ვარდებს და სილაჟვარდეს ტვირთად დაგადებს“ (მშვი-დობის წიგნი).

ცნობილია, რომ ნათელმხილველ ვანგასთვის მხოლოდ გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს იხსნებოდა კოსმიური კავშირის არხი.

გალაკტიონის საინფორმაციო ველი ყოველთვის მშობლიური ადგილებში ამ-ხელს საიდუმლოს.

„გადაფრენაში“ ლიხის კალთებს იქით გადაფენილი ველია, ფაზისის კიდეა ნა-თელხილვის ადგილი.

პოეტის ამქვეყნიური არსებობის სავანე – მთაწმინდა და ნარიყალაა იდუმალი ფიქრების მიგნების ადგილი: „ფიქრებით ძველით სუნთქავდა ველი, მთაწმინდა იგი და ნარიყალა“ (განთიადზე კი).

საოცნებო ველი სასურველი ჩრდილებითა და ქარაგმებით ხან არაგვის ნაპირია, ხან თუშ-ფშავ-ხევსურეთის ფონზე იწყება ცის გახსნის, უცნაური მოსვლის ბედნიე-რება (არაგვი).

სიზმრით და ოცნებით სავსე ველებს არაგვის ქარი აამეტყველებს და წარმოშო-ბათა ცისფერ საიდუმლოს უამბობს, მომავალი აყვავილების ბედნიერ წამებს აზია-რებს: „სიზმრებში ხვეულს მეოცნებე გადაშლილ ველებს არაგვის ქარი საამურად აამეტყველებს.. ღელავენ ველნი, ჯეჯილები და ყვავილნარი, ყვავილებს ოდნავ შეე-ხება ბაგეზე ქარი, რათა აიღოს და გადასცეს მსუბუქი მტვერი – წარმოშობათა საი-დუმლო ნაზი, ცისფერი“ (არაგვის ქარი).

არაგვი, ალაზანი, მთაწმინდა, ფაზისი – საერთოდ მშობლიური ადგილებია – იდუმალთან, დაფარულთან ზიარების ადგილი.

„ციურთა სოფლის“ ველზე გადის პოეტის ვარსკვლავთსავალი გზა (მზის ჩასვლა).

ლექსში „როცა გარშემო ღამე ბნელია“ – უცხო მდელოს თეთრ ყვავილს – „უც-ხო ასულს“ – მარიამს მოელიან სანუგეშოდ და ოცნების თანაზიარად „მარადი ძმო-ბილები“ – პოეტები საქართველოსი.

გალაკტიონი ირწმუნება, რომ „არის ნანატრი ედემები სიკვდილის სწორი მზე,

მთა და ველის“...

პოეტის გზა ახალი ველიდან იწყებოდა და უარყოფდა რა ყოველივე დრომოჭმულს, აღთქმული მხარისკენ მიემართებოდა: „არის გზა, ჩვენგან არჩეული გზა გაქანებათა ახალი ველი, სადაც იწყება აღთქმული მხარე, სადაც ქვეყანა თავდება ძველი“.

„ბჰაგავად-გიტაში“ „ველის მეცნაური“ ეწოდება სამყაროს „ცოდნა-სიბრძნით დაუნჯებულებს“.

გალაკტიონი ჭეშმარიტად იყო „ველის მეცნაური“, უზენაესთან მიახლებული ნათელმხილველი, მისთვის მარადჟამს ყვაოდა იდუმალი ველი, გამუდმებით ეღვიძა მის საგაზაფხულო ველს მიწაზეც და ზეცაშიც.

„სარკე იშვიათი“

სარკისადმი ინტერესი ვლინდება უძველესი დროიდან.

ტიბეტური მკვდართა წიგნის მიხედვით, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ იმართება სასამართლო, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა-რაჯა აფასებს მიცვალებულთა საქმეებს კარმის სარკის საშუალებით. სარკეში აირეკლება მიცვალებულის კარგი და ცუდი საქმეები (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ.,1990, გვ.260).

პლატონის – „ტიმეოსში“ (თბ., 1994წ.) ლაპარაკია „გონებიდან მონაბერი აზრობრივი ძალმოსილების არეკვლაზე სარკის მიერ, რომელიც იჭერს საგანთა გამოსახულებებს და ლანდებსღა უბრუნებს მზერას“ (გვ. 335).

ნეოპლატონურ და ანტიკურ ესთეტიკაში სარკე მიიჩნეოდა გონების სიმბოლოდ. სარკე იყო აგრეთვე ეთერისა და ცის თაღის სიმბოლოც.

დიონისო სარკეში ჭვრეტდა თავისთავს და ქვეყნიერებას.

სიბრძნის ქალღმერთ ათენას გამოსახავდნენ სარკით ხელში.

სარკე გონების სიმბოლოდ გვევლინება დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“: „ვჭვრეტ ყოველივეს იმ უტყუარ სარკის წყალობით, რომელიც გვაძლევს უკუკრთომას ყოველ მოვლენის, თუმც სხვა საგანი მის ათინათს არსად იძლევა“ (გვ. 383).

აქვე სარკე სიმბოლოა ღმერთის ყოვლისმხილველობისა: „აწ შეიცანი, ძლიერება მისი მარადი, ვისაც წინ უდგას ესოდენნი ვრცელნი სარკენი“ (გვ. 306), ან: „უფლის გარშემო დადგმულია სარკენი დიდნი“ (გვ. 311).

გოეთეს „ფაუსტში“ ღვთაებრივი გონების სიმბოლოა „უკვდავ სამართლის სარკე“: „ღვთაების ხატი, მისი მსგავსი და თანაბარი, უკვდავ სამართლის სარკის ახლოს ვლამობდი ყოფნას“ (გვ. 114).

სახისა და სარკის გაიგივებას ვხვდებით პავლე მოციქულის სიტყვებში: „ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას, როგორც სარკეში და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებით, როგორც უფლის სულისგან“ (II კორინთელთა, 3, 18).

სარკე გონებას აღნიშნავს „ვეფხისტყაოსანში“. „ავთანდილის ფრაზას: „იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა“, ასე განმარტავს ზვიად გამსახურდია: „თინათინის (გონება სარკის) სამყარო მინაა, სარკეა, ტარიელ-ნესტანის სამყაროსთან, იაგუნდთან შედარებით, გონებისადმი სიყვარული ვერ შეედრება ღვთის სიყვარულს, საღვთო მიჯნურობას. იაგუნდი, ანუ იაკინთი სიმბოლოა საღვთო სიყვარულისა“ („ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 250).

ანტონ I ასე წერს იოანე შავთელზე: „განწმინდა ამან სარკე უბიწოებით და მიჰსცა ღმერთსა, რომლის წინაშე ჰსდგას“.

„სარკით ღმრთის მხედი“ გონებით ღმერთის მხედია, სარკის განწმენდა გონების განწმენდაა“ (ზვიად გამსახურდია, იქვე, გვ. 25).

რილკეს პოეზიაში ყურადღებას იქცევს ციკლი „სარკის ანარეკლები“.

სარკის სიმბოლოს განსაკუთრებით მიმართავდნენ სიმბოლისტები. ამ მხრივ, უამრავი მაგალითია ტერენტი გრანელის, ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში.

სარკისებური ასახვის პრინციპი მახლობელია რეალისტებისათვის. აკაკი წერეთელს „გული სარკედ აქვს ქცეული“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ – სარკეა.

ამ ტრადიციას აგრძელებს გალაკტიონი, როცა აცხადებს: „სული პოეტის სარკე არის სივრცის, დროისა“ (საუბარი ლირიკის შესახებ“), „სული... გამჭვირვალე სარკეა შუქით შემორაზული“ (ის ჰიუგო).

წიგნიც სულის სარკეა: „მაგრამ წიგნი მაინც დარჩა ვაჟისა და ასულის, როგორც სარკე, როგორც ფარჩა დროის ფერგადასულის“ („წარწერა წიგნზე მანონ ლესკო“).

როცა სარკე – გონება სანთლითაა გაჩირაღდნებული, ანუ ნათელხილვით მომადლებულია, მაშინ იბადება სიმღერა, იწყება წარმართი გზით სვლა: „სარკეთა სახეებს სანთლები მოედო და შვენის რუსთაველს შირაზის ვარდები, სიმღერის მხურვალე დრო არის, პოეტო, თუ ასე წარმართი გზით წარმემართები“ (დრო).

სულის სარკეზე არეკლილია საუკუნეთა კორიანტელი: „გადივლის თვალწინ დროთა ბნელი კორიანტელი, ჩუმად ვშლი ფურცლებს, სარკეებში ჩუმად თენდება“ (უნაზესი ხელნაწერი).

ლანდებად მოჩანს სულის სარკეზე რომანის პერსონაჟები: „და ლანდებად თეთრ სარკეზე ჩნდება სახე მკრთალი, შუაზელი, ესტერგეზი და თვით დედოფალი“ (მოვა, მაგრამ როდის?).

„მოგონებათა ელვარებს სარკე“ და სარკის სიღრმეში ილანდება იდუმალი მეორე სახე, გაფითრებულ მოჩვენებად მოვლენილი: „სარკის სიღრმეში მე დავინახე მოგონებისა სახე ვნებული, ვით მოჩვენება – მთვარის ნათელზე ღიმწაშლილი და გაფითრებული“ (იდუმალი მეორე სახე).

სულში, საღვთო გონებაში დავანებულია ღმერთის ბრწყინვალება, ქაოსი, ცის ამურები: „ჩემს გულში დაჰქრის ბრწყინვალება და ელვარება, აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული, მასში ხშირია ქაოსების ამღელვარება. იქ სარკეების ელვარებით გადარკინული შრიალებს ფარჩა და ხავერდი, ცის ამურები“ (ჩემს გულში).

ზეცის სილაჟვარდის ამრეკლავია ეს სულის ბროლი და მინა: „როგორც

რონინი საოცარი და მისტერია, სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს! დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“ (ჩემს გულში). ნეოლოგიზმებია „მიიბროლოს“, „მიიმინოს“.

სარკესთან ერთად „სხვანაირი მინა“ ფიგურირებს ერთ ლექსში: „ოთახი, ღამე, შრიალის შიში და ყვავილების ელვარე სურა, ოთახს დანათის შუქი ფეტიში, სარკეს დაეცა ლანდების სურო, მოვიგერიოთ მკაცრი ისარი, ფრთა შევუხვიოთ დაჭრილ მიმინოს, რომ აღტაცება ნამაისარი სხვანაირ მინით გადაიმინოს“. „სხვანაირი მინა“ საღვთო გონებაა. „გადაიმინოს“ – ნეოლოგიზმია.

ლექსში „პოეტს“ „ცეცხლის მინა“ გვევლინება სარკის ვარიაციად: „ო, შენს გარეშე ვერავის გახდის ბედი უკვდავად ცეცხლის მინაში“.

„ელვის სარკის რღვევა“ იპყრობს ყურადღებას ერთ ლექსში: „რა ამაოდ ძლევას ფიქრობს რღვევა ელვის სარკეთა. ვერ დამძალავს, ვერ შემიპყრობს შიში, სასოწარკვეთა“ (ლექსი, დაწერილი უამინდობაში).

„ელვა“ საღმრთო სახელია, ელვის სარკე – საღმრთო გონებაა. გვხვდება „ბროლის ზმანება“, რომელიც ქრისტეს სიმბოლო უნდა იყოს („ნუგეში“).

„სახისა“ და „სარკის“ გაიგივება ახალი აღთქმის (პავლე მოციქულის „ახდილი სახით, როგორც სარკეში“) ტრადიციის გამოვლენაა: „ფერიც მზესა და ქარს მოჰყავს. დროც სარკეა, როგორც სახე“ (სადაც ალპებია, ველად). აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ „დროც“ საღმრთო სახელია.

„იშვიათი სარკის“ მიღმა უზენაესი ილანდება: „ფარულ ტკივილების ბაღი დაბურული, ასეთ გრადაციით მიდის ფრთაზვიადი. ღამე – მარტოობის მტევნით დახურული, ფარდა იდუმალი, სარკე – იშვიათი“ (ფარულ ტკივილებით). ლექსში საღმრთო სახელია „მარტოობის მტევანი“.

სარკის ახალი ნიუანსებია „სარკმლის მწვანე ბროლი“ და „სარკე ანათრთოლი“. ლექსში – „ის“ – გონების სარკეს ათოვს იდუმალი, საღმრთო ტრფობის ხსოვნა: „ღამემ მოვერცხლილ ძაფების გროვა გადაათოვა სარკმლის მწვანე ბროლს. სარკეს ანათრთოლს დაუახლოვა და დაათოვა სურათებს, საწოლს. მე დამავიწყდა ძველი წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის და მახსოვს მხოლოდ ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“.

„საახალწლო ეფემერაში“ „აღტაცებების მინა“ გვაზიარებს უზენაესის „სიხარულს“: „აღტაცებების რეკავდეს მინა და სიხარულის იყოს ღილები“.

„შორეული სარკეა“ კავკასიონის მიღმა: „რაღაც სარკეა იქ შორეული... მიყვარს ის ამ დროს“ (შორთა ყინულთა მხრები) „შორეული სარკე“ საღვთო გონება უნდა იყოს.

„ქარის სარკე“ სულის სარკის სინონიმია: „და ვარდი ვარდებთან დარჩი იქ, სადაც სარკეა ქარის“ (ღიაა ქალაქის ძალა).

მდინარეც სარკეა, რომელშიც ირეკლება ზეციური სანთლები, ნისლის მოძრაობა, მარსი: „ცაზე სანთლები დარგეს, ნასლში მოძრაობს არსი, მძინარ მდინარის სარკეს დასჩერებია მარსი“ (მარსი).

პოეტის გონების სარკის წინაშე (ასფალტის სარკე) ნავივით სრიალებს „დილა“. ნავი რწმენის სიმბოლოა. იდუმალი ხმა მოუწოდებს პოეტს აღდგომისაკენ და „დილის-ძედ“ სახავს, ათასწლეულების უკვდავებას ანიჭებს: „ნიავი, ია, ნარგიზი, ავტომობილი კრიალა, დილამ ასფალტის სარკეზე ნავივით გაისრიალა... და მესმის ხმა იდუმალი: „წამოდექ, ძეო დილისა!“

სრულიად ორიგინალური სახეა „ასფალტის სარკე“.

„გაფითრებული სარკე“ გამოხატავს პოეტის მარტოობით ამღვრეულ გონებას ლექსში „შენი სადღეგრძელო“: „და გაფითრებულ სარკეში მცურავს ეს მწუხარება ვინ დამიფასოს?“

გაბზარული „მზიური სარკე“ აფიქსირებს ლექსის ლირიკული პერსონაჟის სულიერ განცდებს სხვა ლექსში: „ერთ დროს იყავი შენ ძლიერ კარგი, აწ დრო სხვაგვარად მიემართება, ვინ გაგიბზარა მზიური სარკე, ან სიმღერის დროს რა გემართება?‘‘ (ერთ დროს).

„გაბზარული სარკე“ ფიგურირებს ლექსში – „ისევ ეფემერა“: – „არ ხედავს ახლო გაბზარულ სარკეს და უიმედო საპირფარეშოს“.

მტკვრის სარკეში ჩაშვებული, მთვარის შუქით გაალებული სვეტიცხოველი გვხიბლავს ლექსში „სადაც ტყეების ისმოდა დარდი“: „აქ კი სარკეზე, როდესაც ძილით გაფითრებული იყო ყოველი, ცურავდა ღამის მთვარეულ ლილით გაშუქებული სვეტიცხოველი“.

მდინარის „მოჯადოებული სარკე“ ირეკლავს ხიდს ლექსში „ხიდი რიალტო მთის მდინარეზე“: „და აბინდდება ხიდი რიალტო, მოჯადოებულ სარკეში ცქერით“.

„ბზა, სახარება, სარკე, საათი“ ერთად გვხვდება ლექსში „გადია“.

„მოგონებათა სარკე“ ელვარებს ლექსში „თვლემს ტყის ნაპირი“.

„ფერადი შუშები“ აღმოსავლეთის კულტურას, გეიშების იაპონიას ახასიათებს“ (ფერადი შუშები).

გალაკტიონის მიზანი იყო სრბოლა „სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით“, „სარკეთა იქით“: „სარკეთა იქით ღრუბლებმა მთები მოათივთივეს ფერად თივთივით“ (თენდება, გათენდა).

სარკის გამოყენებით შექმნილი ნეოლოგიზმებია „აისარკებს“: („სიმხურვალეთა სულის სუნთქვას არ აისარკებს“ – აღმოსავლეთი), ესარკებოდა: „პოეტს მაისის სიზმრების ხილვით ესარკებოდა პარიზის რკალი“ (ისევ ეფემერა)

დამოწმებული მაგალითებიდან აშკარაა პოეტის უნარი, უკიდურესად შორს გასწიოს, გაამრავალფეროვნოს უკვე არსებული ტრადიციები, რაც ადასტურებს, რომ საღმრთო გონება ჰქონდა მომადლებული პოეტების მეფეს, განწმენდილი გონებით ჭვრეტდა იგი უფალს და სამყაროს უსასრულობას.

„იწვება სული ხილვის ტაროსზე“

ოკულტისტების მიხედვით, ადამიანს აქვს უნარი, იგრძნოს ფიზიკური გრძნობისათვის მიუწვდომელი. ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვისი ასტრალურში.

ასტრალური ხედვა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს ასტრალური სინათლის ტალღები, ასტრალური სმენით კი ადამიანი ღებულობს ასტრალური სინათლის ტალღებს, ვინაიდან ისინი არსებობენ მათი გამოვლენიდან დიდი ხნის შემდეგაც.

ოკულტისტები თვლიან, რომ საგნები ყოველმხრივ უშვებენ ტალღებს, რომელიც აღიბეჭდება ასტრალური ხედვით, როგორც სინათლის სხივები ფიზიკური ხედვის ორგანოებით.

შეიძლება ასტრალური სინათლის დანახვა მაგარი საგნებიდან, ხედვა კედლის იქით, გვერდითა ოთახში, შეიძლება დაწებებული წერილის წაკითხვა, მიწის ქვეშ მინერალების შემჩნევა, ადამიანის შინაგანი ორგანოების დანახვა, ადამიანის აურას ფერის გარჩევა, სხვათა აზრების წაკითხვა, სულების და ასტრალური ფორმების დანახვა, გაგონება იქიდან, საიდანაც, ჩვეულებრივ, არ ისმის ხმები.

სივრცეში ნათელმხილველობის უნარით მომადლებული ადამიანები ფლობენ მათგან შორს მყოფი საგნების მოახლოების, მათი ხედვის ველში მოქცევის უნარს ასტრალური მილით.

ასტრალური სხივები ყველა საგანშია და ისინი იძლევიან ასტრალური ხედვის საშუალებას.

შორს ხედვისათვის საჭიროა ტელესკოპი, ასტრალურ ორგანოს აქვს ისეთი უნარი, რომელიც მოქმედებს, როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას.ზოგს შეუძლია დაინახოს რამდენიმე მილიდან, სხვებს – ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ზოგიერებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა პლანეტების ამბებს.

„ასტრალური ტელესკოპი“ მსგავსია ასტრალური ტელეგრაფისა, ასტრალური დენისა, რომლებიც წარმოადგენენ ასტრალური მილის შეცვლილ სახეს. იგი ამცირებს მანძილს ორ დაშორებულ პუნქტს შორის. ამ დენის გზაზე მოდის ასტრალური სხივები, ასტრალური ხმები.

ასტრალური მილი წარმოიქმნება ნათელმხილველის ძლიერი სურვილით და ძალით.

მეორე საშუალება ნათელმხილველობისა არის ის, რომ გაიგზავნოს ასტრალური სხეული ცნობიერად და არაცნობიერად იქ, სადაც გვინდა. ნათელმხილველობა ასტრალური სხეულით არის უმაღლესი ფორმა ნათელმხილველობის.

არაფერი არ ქრება და მატერიის უმაღლეს სფეროში მუდმივად არსებობენ შეუცვლელი ჩანაწერები ყოველივე იმისა, რაც ოდესმე მომხდარა.

ტვინის მთლიანი უჯრედები შეიცავს მოგონებას წარსულზე.

ასტრალურ სინათლეზე შეიძლება მოიძებნოს სუსტი და არასრულყოფილი გამოსახულება დიდი კანონებისა, მიზეზებისა, ჩრდილები, რომელთაც ისვრიან წინმავალი მოვლენები.

ნათელსმენა არის სმენა ასტრალურ სივრცეში ასტრალური სხივებით.

ნათელმხილველთათვის დამახასიათებელია ტელეპატიური ხედვა, საიდუმლო ხმების მოსმენა, წინასწარმეტყველების უნარი (რამაჩარაკა).

ამ შემთხვევაში ზეგანვითარებული გრძნობათა ორგანოები კონტაქტშია ჩვენთვის ნაცნობ არსებულთან და რაღაც „იმქვეყნიურთან“, რომელსაც შეიძლება არც ვიცნობთ (პანტელეი ზარევი, „ვანგა“, თბ., 1991წ. გვ. 8).

ვანგას თითქოს უნახავს ქრისტე, ორფეოსი, ნოეს კიდობანი, ესმოდა ხმები, მისთვის საიდუმლოებას ინახავდა მთები, ველები, მცენარეები, იგი წინასწარმეტყველებდა ქვეყანაზე ჯერაც მოუვლენელ ბავშვებზე, ესაუბრებოდა გარდაცვლილებს, ხედავდა ასტრალურ სხეულს, სულს, უცხოპლანეტელებს.

ნოსტრადამუსი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც სამყაროს ყველა დრო-

ის ერთ-ერთი უდიდესი ასტროლოგი და წინასწარმეტყველი.

მოვლენის წინასწარჭვრეტაზე საუბრობს დანტე „ღვთაებრივ კომედიაში“: „მე ვჭვრეტ წინასწარ ზრახვათ შენსას საფარველიდან... მე ვჭვრეტ წინასწარ, ამიტომაც გაუწყებ კიდეც“ (გვ. 270, 383), „ვხედავ თვალნათლივ ფიქრების შენის უეცარის აღმოცენებას“, „მე უკვე ვხედავ დროს მომავალს“ (318, 344). მოსიყვარულე წინაპრის სული უწინასწარმეტყველებს დანტეს ფლორენციიდან გაძევებას.

დანტეს ბეატრიჩეს „ბრწყინვალე თვალთახედვა“ ყოვლისმჭვრეტელი და მომავლის მაუწყებელია: „როს წარუდგენი შენ იმ ქალის უნათლეს სახეს, ვისი ბრწყინვალე თვალთახედვა სჭვრეტს ყოველივეს, შენი ცხოვრების მომავალ გზას გაუწყებს იგი“ (ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941, გვ. 41).

გალაკტიონ ტაბიძის წინასწარმეტყველურ ინტუიციას უსვამდა ხაზს მერაბ კოსტავა: „სხვისთვის უხილავს ჭვრეტდი ეთერში ინტუიციით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი პოეტის გული გულია მისნის“ (გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1996, №4, გვ. 5).

გოეთე ამბობდა: „ფრთამალი ფიქრიც ჩემი ლაღი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა“ („შუაღამისას“ „რჩეული ლირიკა“, 1972, გვ. 41), პოეტი სიზმრად ხედავდა მხარეს, სადაც ოდესღაც უცხოვრია (იქვე, გვ. 145).

რილკე ლაპარაკობდა „წინასწარმეტყველურ წამებზე“, ბლოკი – „წინაგრძნობათა ნიაღვარზე“.

კონსტანტინე გამსახურდია ყურადღებას ამახვილებს „ბუნების იდუმალ წამყოფაზე“, რომლის შესაცნობად უძლურია ადამიანის გონი.

ჩვენი საუკუნის უდიდესი მოძღვრება „ცოცხალი ეთიკა“ ანუ „სინათლის მოძღვრება“ („აგნი იოგა“) გამოყოფს ნათელმხილველობის და ნათელსმენის შვიდ სახეობას, ზოგი ეხება ახლობლებსა და მათ მომავალს, – აწმყოსა და ახლო მომავალს, ზოგი – წარსულს, ბევრი მხოლოდ თანამედროვეობას. მეექვსე სახეობა წვდება მომავალს მსოფლიო მასშტაბით. ნათელმხილველობის უმაღლესი საფეხურია მეშვიდე, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა კატეგორიის შესაძლებლობებს („მოზაიკა აგნი იოგი“ თბ., 1990 წ. გვ. 94, რუსულ ენაზე).

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ელენე რერიხმა ჰიმალაის მთებში უმაღლესი სამყაროს მბრძანებლის, კაცობრიობის დიდი მასწავლებლის მაიტრეას კარნახით ჩაწერა მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, ჰიმალაის, კავკასიონისა და ალტაის მთები არიან დაცული ტერიტორიები და წარმოადგენეს „ზეციურ საძმოთა სავანეს“.

გალაკტიონს ესმოდა „მთათა ძმობა“. ჭვრეტდა ზეციური საძმოს სავანეს, ეზმანებოდა „ჰიმალაის მწვერვალთა გზები“, წმინდა სულების სავანე – შამბალა.

პოეტების მეფე ერთდროულად იყო მომადლებული ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით, იგი ხედავდა წარსულს, აწმყოს, მომავლის მოვლენებს, მედიუმების მსგავსად მოგზაურობდა ასტრალური სხეულით.

პოეტი თითქოს ხედავდა პირველყოფილი ქაოსიდან სამყაროს შექმნას, თავდაპირველი მასიდან სახეების გამოძერწვას, სიბნელისა და სინათლის გათიშვას,

ესმოდა დედამიწის გაჩენისდროინდელი ხმები: „... და ჰა, განითქვა რამე გუ-გუნი, რომ გესმით: თითქო გადაეღუნა ჟამს თავ-კისერი. დადე ისარი... სწო-რედ ის არი... ის საუკუნე, როს დედამიწა პირველ ჩნდებოდა, უთუოდ თვით ცაც არ ღონდებოდა, დიდი წამი ის, ოდეს წყალის, ქვის, ღამისა და დღის გზა გროვდებოდა. დიდი წამი ამ ქვეყნის შექმნის დროს, სხვადასხვაა რამ, ირეოდა როს, სხვადასხვა სახე, ხელს რომ ვერ ახლებ, ის სახე, აჰ, ის, ქვეყნის შექმნის დროს!“ (მშვიდობის წიგნი).

„მშვიდობის წიგნში“ სულ სხვა არე და სხვა ეპოქა იხილვება: „გზა გადაეხ-სნათ ნორჩთა დღეთა დარის, იყო ამქვეყნად ხილვა სხვა არის“.

ჰიპერბოლას არ წარმოადგეს პოეტის განაცხადი: „საუკუნეთა წინაშე ვდგა-ვარ, ასე გულმკვდარი“, „საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა“, „გადივლის თვალწინ ამღვრეული დროის ტრიალი, აღელვებული, აღქაფებული“.

გალაკტიონი არის „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“, „უფსკრულში შთამჭვრეტი მზერით“ წინასწარმგრძნობი მოვლენების.

პოეტი საუბრობს „წინაგრძნობათა დენზე“, „წინაგრძნობის ხშირ-ხშირ ფეთ-ქვაზე“. „ბუმბერაზ წინაგრძნობაზე“, „მომავლის განჭვრეტაზე“...

ათასის მხედველობა, ასი ათასის სმენა, ბნელ ღამეშიც კი იმის ჭვრეტა გა-მოარჩევს პოეტს, რასაც დღისითაც ვერ ამჩნევენ სხვები: „ათასის აქვს მხედ-ველობა, იერი, ათასის მზე, სმენა ასი ათასის, ბნელ ღამეში იგი ამჩნევს ცბიე-რი, რას სხვა ვერ ჭვრეტს დღისით უდიადესით“ (ათასის მხედველობა, ათასის იერი).

ინტელექტუალურ და გრძნობისეულ ინტუიციას, წვდომას, მიხვედრას, უე-ცარ ხილვას გალაკტიონი „განათების წამს“, „ხილვის ტაროსს“ უწოდებს.

წინასწარმეტყველებას უკავშირებს პოეტი გრძნობისეული და ინტელექტუა-ლური ინტუიციის ერთობლივ აქტიურობას: „მიყვარს მომავალი დღის წინას-წარმეტყველება. ვიცი, თუ რა მოხდება წინასწარ ქადაგება. წინასწარის მთქმე-ლია წინასწარი განჭვრეტა“

გალაკტიონი ინტელექტისა და ემოციის ორგანულ ერთიანობას იცავდა: „...გრძნობა დიდი ხიდეა აზრთან ბჭით გადამკირველი“ (მოდის). „ძალა მოექა-ნება გულისა და გონების, არა ერთეულების, ბევრის, მილიონების“ – ასე იკ-რებდა პოეტის სული განუსაზღვრელ ინფორმაციას.

გალაკტიონს ელანდებოდა საუკუნეების წინანდელი ამბები, ხედავდა წინა-პართა ძვლებს, თამარ მეფის ეპოქის ხომალდს, შეიგრძნობდა გარდასულის სუნთქვას, აწამებდა ყოველივეს გამოუთქმელობა: „აგე, იმ ჩრდილქვეშ, სადაც ძველი, დიდი ცაცხვია, ჩვენთა წინაპართ მეომართა ძვლები აწყვია. აგე, იმ ვე-ლად, სადაც რამი და თუთუნია, როგორ მიგრძვნია, რანაირი საუკუნეა, აგე, იმ მთაზე, სად ბაღია აკადემიის, ბაღი კი არა, ზმანებაა და ედემი ის. აგე, იმ მთაზე, სადაც დევი ევკალიპტია, როგორ მოგითხრო, რაც მინახავს, რაც გან-მიცდია. აგერ ზღვა მოჩანს, ზღვა სიცხადის და ოცნებისა. მშობლიური ზღვა და ხომალდი თამარ მეფისა“.

დიოსკურიაში პოეტის თვალწინ ცოცხლდება პოსეიდონის ძველი ზღაპარი, წყალში ჩამარხულ ადამიანთა მომდურავი ლანდები, ეზმანება ნანგრევები, იდე-ები, სქემები, წყალში შთასული მითები, წყალქვეშა მდინარე, მხარე, ხედავს უძველეს ფეოდალებს და ყოველივე ეს ამოტანილია, როგორც თვითონ ამბობს, „ხსოვნათ დაკარგული ფენებიდან“. წარმოსახვის „ფარული ნავით“ მიექანება

პონტიისაკენ, „ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში“ ესმის იდუმალება, წყალ-ქვეშა ზარი, უცნაური ხმა „და იდუმალი ქალაქი-სფინიქსი“ ეძახის „უცნობ აურზაურით“.

„ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას, მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი ცხოვრების ჩემის აბობოქრებას“ – ეს მრავალმნიშვნელოვანი სტრიქონები მი-ნიშნებაა იმაზე, რომ ზეცით მომადლებულია გალაკტიონის სულისმიერი ძალე-ბი.

ლექსის მთელი ფილოსოფია ქვეტექსტის სახით მოცემულია ფრაზაში: „შე-ვატრიალე თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?“ სულთა რეინკარნაციის თეორიის გამზიარებელი პოეტი ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით განჭვრეტს ძველისძველ ეპოქას.

თანამედროვეობის მოვლენებისადმი აქცენტია შემდეგ სტრიქონებში: „იყო თუ არა ჭექა-გრიგალი ჩვენი დღეების ცა ნაჭორფალი?“ (ქალაქი წყალქვეშ).

„იქაური ცა თოვლით ქსოვილი“ – ასეთი ჟრუანტელისმომგვრელი სტრიქო-ნებით იხედება პოეტი მიღმურში.

„და შიშის ჩრდილით აკანკალდები!“ აცხადებდა გალაკტიონი და ჩვენც ეს გრძნობა გვეუფლება ამ საოცარი ფრაზის წაკითხვისას: „ხედავ ორფეოსს, ნიმ-ფას, დიონისს, ნიჭთა მლოცვარი“.

ჯადოსნურ ხილვაში ცოცხლდება გარდასული, სიჩუმეში ცხადდება წარსუ-ლი და მრავლისმეტყველი სურათები გაივლის თვალწინ: „სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა. ჰაერი ლურჯი აბრეშუმია. ორხიდეები ეცემა ნილოსს, როს მხურვალება ქვიშაზე კვნესის, უნდა, რომ სული არ მიისილოს, უნდა სამარე ჰპოვოს რამზესის. ის იყო მეფე. ეხლაა მტვერი, რომ საუკუნეთ რიგი გარი-ყოს, არ შეუძლია იყოს პირფერი, არ შეუძლია მტვერი არ იყოს. და საუკუნეთ რიგს თვლის მუმია: მზიანი დღეა, თუ სამუმია“ (სასაფლაონი).

გალაკტიონი ხედავდა სულს, გრძნობდა ბედისწერას: „ვგრძნობდი შორს, შორს, მეტად რთული ბედისწერა ცურავდა“ (1940წ.).

პოეტი მომავლიდან გამოიხმობდა თავის გენიას: „მაშინ პოეტმა თითქოს უკვდავი გამოიძახა თავისი თავი მომავლის რკალით, მასში დამარხულ, მასში განგრძობილ სიცოცხლის ძალით“.

მომავლის კონტურებს განჭვრეტდა წინასწარ: „ახლა თავს მადგას მჭუნვა-რება მომავლის ჩრდილის“ (მიმღერე რამე).

მერმისის პრობლემები დასაბამიდან აწუხებდა კაცობრიობას. ვაჟა-ფშაველა კითხულობდა: „რაღა იქნება მერმისა? რით დასრულდება სიტურფე სიცოც-ხლის, მთისა, ბარისა?! მზის ძალა მაცოცხლებელი, მასთან ნათელი მთვარისა? საქმეა ბოლო სადარდო, ამატკივარი თავისა!“ (მთას ვუცქერ ყელმოღერებულს, თხზულებათა ხუთტომეული, ტ.I, 1961, გვ. 170).

გალაკტიონის „მწარე სიზმარი“ – მზის ჩაქრობა სიკეთის გლობალური დაკ-ნინების სიმბოლოა, შიშია მომავლისა სიცოცხლის წყაროს მოსპობის გამო: „მე დამესიზმრა მწარე სიზმარი, მაგრამ მთლად როდი იყო სიზმარი, უეცრად ჩაქ-რა მზე ელვარებით და სიდიადით ნათლისმარი“ (მე დამესიზმრა მწარე სიზმა-რი).

ანალოგიურ აზრს ავლენს „მზე ლანდად ქცეული“ (სანატორიუმში), „მზე აჩრდილს აქვს“ (მოგონებები), ქიმერებში ჩავარდნილი მზე (ტფილისი ღამით).

სიზმარში ბოროტი ლუციფერის მოსიზმრება ბოროტებამოძალებულ ეპოქაზე მიგვანიშნებს: „ჩვენ გვესიზმრება ჩვენი სამშობლო, სამშობლო შავი ლიუციფერის“ (სამშობლო შავი ლიუციფერის).

იქნებ ამიტომაც ამბობს ბოდლერი: „შენნაირ სიზმრებს ვერასოდეს იხილავს ბრძენი“ (ხმა).

გალაკტიონი ხაზს უსვამს თავისი მოჩვენებისა და სიზმრების განსაკუთრებულებას: „ეზმანება რა დიონისე, სხვაა მოჩვენება გალაკტიონისა. ბევრს ეშინოდეს ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოღვიძებას, მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ (სხვები ჩხავიან).

პოეტის ამ გამოთქმებში მინიშნებულია ანტიციპაციის, მომავლის მაუწყებელი სიზმარ-ხილვების შესახებ.

„რა ხვალე ჩამოიქნება?“ – კითხულობდა და სურდა თვალით ბინდების გარღვევა, სადაც ეგულებოდა თავისი დარი მოგვები, წინასწარმეტყველები (გაიცქირება მომავლისაკენ).

ბედნიერი მომავლიდან ილანდებოდა „მომავლის თვალი“, „ხვალის სხივი“, „გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების“ (შენს მოწოდებას).

მომავლის მაცნე იყო „შორი ცისარტყელა“: „წინაგრძნობამ პოეტისამ იგრძნო შორი ცისარტყელა“ (აკაკი წერეთელი). აკაკი წერეთელსაც ხომ წარსულის „შარავანდედით“ ნიშანს აძლევდა ცისარტყელა (თორნიკე ერისთავი).

გალაკტიონისთვის „დიდებამ ირიჟრაჟა“.

რეალური საფუძველი ჰქონდა ასეთ განაცხადს: „... წავიკითხე ცის ლაჟვარდზე ვარსკვლავთ თრთოლვა მოცახცახე“ (დღეთა გარდასულთა).

პოეტი ბურუსშიც და ქარშიც ხედავდა პერსპექტივას, ჭვრეტდა მომავლის გზებს: „სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება“, „ბურუსში ჩანს სუბტროპიკის მცენარე“, „ბურუსებში ჩანს აინშტაინი“ „ბურუსში და ქარში ვხედავ პერსპექტივას“.

ასევე ესმოდა შორით „ცეცხლის ხმა“ და შფოთავდა: „შორით მოისმის ცეცხლის ხმა და ხმალთა წკრიალი და შეშფოთდება ოცნება სული“ (ციხის ნანგრევებთან).

ლექსში „შიში“ სიკვდილის შავი აჩრდილი ევლინებდა, მისი საბედისწერო ხმა ესმოდა: „დაღუპვა ელის!“ და ამაოდ გული ევსებოდა წინათგრძნობით, რადგან ხოლერის მიერ ხელდადებულ ადამიანთა შველა შეუძლებელი იყო: „მე მიფიქრია ამნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად“ – აღმოხდებოდა პოეტს მრავლისმეტყველი ფრაზა.

მომავალი მსოფლიო ომის წინაგრძნობა აშფოთებდა, პროპელერების ბგერა ჩაესმოდა, მახრჩობელა გაზების სუნი სცემდა თითქოს: „კვლავ მოვარდება ახალი ერა, სახელად დიდი მსოფლიო ომი, კვლავ პროპელერის იქნება ბგერა, გაზებით კაცთა სიკვდილის მდომი“ (შენ ფოლადივით ცივი თვალებით).

„კოსმიურ ორკესტრში“ წინასწარმეტყველებდა: „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით!“.

„კოშკში“ „შიშის უზარმაზარი ლანდის“ მიერ სიყვარულით აშენებული კოშკის (რწმენის) იავარქმნა იხილა, „გრძნობათ დამხობის ვალალება“ განიცადა (მიმღერე რამე).

სამწუხაროდ, პოეტის ყოველი განჭვრეტა ახდა.

„წარსულის მიერ დალუქულ ფოლიანტებთან“ იდგა გალაკტიონი და ასევე ცდილობდა „წარსულთა დღეთა გამოცნობას“, ხედავდა უშორეს დროს: „უცებ: მორთულან, მოკაზმულან ის ძველნი დრონი... შორ სიშორეთა ელვარებს თოვა“ (ჰაერი).

პოეტის სული გამუდმებით „იწვებოდა ხილვის ტაროსზე“.

„წინასწარმეტყველება არასოდეს კაცის ნებით არ წარმოთქმულა, არამედ სულის წმინდის შთაგონებით წარმოსთქვამდნენ მას ღმრთის წმინდა კაცნი“ (კათოლიკე ეპისტოლენი, II პეტრესი, თავი I, 16).

ჭეშმარიტად სულიწმინდით იყო შთაგონებული გალაკტიონის წინასწარმეტყველებანი.

„სივრცეთა უნაზესი გრადაციების“ მხილველი პოეტი წინასწარ ხედავდა თავისი პოეზიის განახლებას, „ოხვრის პაროლებს“, გენიალურ სახეებს, თითქოს ჯადოსნური ბალახის – მოლის შემწეობით ახერხებდა სულიერ ინიციაციას: „ლანდივით მაქვს ნახული ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები“ (დომინო).

„ოდისეაში“ ქვესკნელად შთასვლისთვის იყენებენ ჯადოსნურ ბალახს – მოლს, რომელსაც ოდისევსს აძლევს კირკე, კოლხეთის მეფის ასული. „ვეფხისტყაოსანშიც“ ფატმანის გრძნეული მონა მოლს წარმოისხამს და მიდის ქაჯეთში. ე.ი. მოლი ისეთი ბალახია, რომელიც ეხმარება ადამიანს ინიციაციაში. თვით სიტყვა „მოლი“, როგორც ჩანს, უძველესი ქართული სიტყვაა, თანაც მისი გამოყენება კოლხეთის მეფის ასულის მიერ უნდა მიუთითებდეს ანტიკური ინიციაციის ინსტიტუტის კოლხურ წარმოშობაზე, რასაც აღნიშნავს ო. ნეერახერიც (ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, გვ. 216).

„მიჰქრის მერანი მოგონებათა“

„მოგონების“ ცნებაში გალაკტიონის მიერ ჩადებული ფილოსოფიური აზრი რეინკარნაციის თეორიას უკავშირდება და მისი წყაროს ძიებას კაცობრიული სულის დიდ გიგანტებთან მივყავართ.

„ბჰაგავად-გიტაში“ განღმრთობის ერთ-ერთ პირობად მიჩნეულია უზენაესის მოგონება: „ის, ვინც სიკვდილის ჟამს... სრული ერთგულებით იწყებს უზენაესის მოგონებას, აუცილებლად მიაღწევს ღმერთების უზენაეს პიროვნებას“ (8,10).

იოგების ფილოსოფიაში ლაპარაკია „გამუდმებით ხსოვნაზე“, იმაზე, ვისაც კრიშნა გამუდმებით ახსოვს.

ადამიანის ტვინში მილიონი უჯრედია და ეს უჯრედები შეიცავენ მოგონებას წარსულ მოვლენებზე, აზრებსა და მოქმედებებზე.

დიადი ადამიანების ტვინის უჯრედებში რეგისტრირებულია და ინახება მოგონებები ყველაფრისა, რაც ადრე იყო.

არიან ადამიანები, რომელთაც მთლიანად ახსოვთ თავიანთი წინანდელი

ცხოვრება და ეს იციან ბავშვობიდან, „თუმცა შეუცნობლად (Рамачарака, «Основы миросозерцания индийских иогов», Петербург, 1913 г., с. 80.89).

არსებობს აზრი, რომ ადამიანებს მემკვიდრეობით აქვთ წარსული ცხოვრების, წინაპრების კვალი, რომ წინაპრების მეხსიერება კოდირებულია ჩვენს გენებში... მეხსიერება წარსულს ინახავს ისეთ ადამიანებზეც, რომელთან არა აქვთ გენეტიკური კავშირი. აზრი, რომ ჩვენ ვღებულობთ სხვათა მეხსიერებას მემკვიდრეობით და ამის გამო ვიცით ბევრი რამ, მათ შორის ენები, ეს კარგია და ბევრს გვპირდება. («Генетическая память», «Жизнь после смерти», М., 1990 г., с. 244).

პლატონი ავითარებს თანდაყოლილი ცოდნის თეორიას, რომელსაც „წარსულის მოგონებას“ უწოდებს („მენონი“, „ფედონი“, „ფედროსი“).

პლატონი გამოყოფს მრავალწახნაგოვანი აზრის განვითარების ათ საეტაპო საფეხურს, ძირითად მომენტს, რომელთაგან ერთ-ერთია მეექვსე – მოგონების თეორია (მენონი).

„მენონში“ გაზიარებულია სულის უკვდავების ორფიკულ-პითაგორული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, „რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს და ყველაფერი იცის. სული ყოვლისმცოდნეა... ძიება, ცოდნა და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ („დიდი ჰიპია, მენონი“, თბ., 1974 წ., გვ. 100).

ცნებებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესიაა“ – „მოგონება, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შეძენილი კუთვნილება სულისა“ (ფედონი).

„მენონის“ მიხედვით, ცოდნის შეძენა ახლის შეცნობა კი არ არის, არამედ უკვე ცნობილის ხელახლა შემეცნება, ცოდნის შეძენა მხოლოდ წინასწარ მოცემული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება (გვ.112).

პლატონის აზრით, „ადამიანის სული წინასწარ ფლობს აზროვნების აპრიორულ ფორმებს, ცოდნის გარკვეულ ზოგად საწყისთ, რომელთაც ის მხოლოდ „იგონებს“ და, ამრიგად, თავისსავე თავში პოულობს მათ“ (მენონი, გვ. 112).

„მენონსა“ და „ფედონში“ მოგონება შემეცნებასთანაა იდენტიფიცირებული, შთაგონებას კი „ღვთიური ნიჭი“ ეწოდება.

ცოდნის წვდომა „იმის მოგონებაა, რაც ოდესღაც უხილავს ჩვენს სულს, როცა ღმერთის თანამდევი და თანამავალი, ზიზღით არიდებდა თვალს ყველაფერს, რასაც ამქვეყნიურ არსთა სახელს ვუწოდებთ და ნეტარებით აღვსილი ჭვრეტდა ჭეშმარიტ არსს... სრულყოფილების მიღწევა ხელეწიფება მხოლოდ იმას, ვინც მართებულად იყენებს მოგონების მისეულ უნარს და, ამრიგად, გამუდმებით ეზიარება უზენაესი სრულქმნილების წმიდათაწმიდა მისტერიებს. კაცთა ფუჭ ფუსფუსს განშორებულს და მხოლოდ ღმერთის მიმართ მზირალს, მას შლეგად თვლიან უმეცარნი და დასცინიან. რა იციან საწყალობლებმა, რომ ის შლეგი კი არ არის, არამედ – ზეშთაგონებული“ („მენონი“,გვ. 193).

„სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (იქვე, გვ. 135).

პლატონი აღიარებს, რომ ადამიანში რჩება იმ ცოდნის კვალი, რომელიც სულს შემოუნახავს თავის მარადიულ მოგზაურობაში.

ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „ველებსა და დარბაზებში ჩემი მეხსიერებისა...

აღსავსეთ უამრავი განძთსაცავით... იქ ვხვდები ხოლმე საკუთარ თავსაც...“.

„დიდია, უფალო, ეს ძალი მეხსიერებისა, მეტისმეტად დიდია, განუზომელი სიდიადის საკურთხეველია ეს... მე აღარ ძალმიძს გავიგო ძალნი ჩემნი მეხსიერებისა“ (აღსარება, გვ. 310, 319).

დანტე ალიგიერს წარსულის მოგონების უნარი ანგელოსური ბუნების დამახასიათებლად მიაჩნია: „თითქო ბუნებას ანგელოსურს მოსდევდეს ნიჭი ჭვრეტის, ნდომისა და წარსულის მოგონებისა“.

ისტორიული რომანების ავტორი, ინგლისელი მწერალი ჯონ გრანტი შემოქმედებით პროცესში ტრანსში იძირება, მას უწოდებს თავის შორეულ მეხსიერებას და ასე აცოცხლებს წარსულს (Жизнь после смерти, М., 1990 г., с. 217).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გალაკტიონი იზიარებს სულთა რეინკარნაციის თეორიას. სულის მარადიულ მოგზაურობაში მიღებული ცოდნის უხსოვარი ფენებიდან ამოაქვს არაამქვეყნიური, „უცხო მოგონება“, არამიწიერი სახეები და ხილვები.

პოეტის ხსოვნაში ცოცხლდებიან წარსულის ლანდები, „მოლანდება ასი ათასი“ და გარდასული საუკუნეების ტრაგედიების ხელახალი განცდა ანათემად ქცევია: „ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“ (ფარულ ტკივილებით).

გალაკტიონის სული სიზმარივით იგონებს გარდასულ ცხოვრებას სულთა საუფლოში: „ო, დროო, გამახსენდება შენი გზა სიზმარეული“ (სამი ფერადი ღრუბელი).

ეს მოგონებები უწმინდესია: „აქ მოგონებას წმინდას ვემთხვევით“.

მისთვის უცხოა სინდისის ქენჯნის გამომწვევი მოგონება: „რომ სამარცხვინო მოგონების მკლავდეს გენია, მე არაფერი ისეთი არ ჩამიდენია“ (ასი წლისანი).

პოეტი არის „მოგონებების ტალღათა მკრეფი“, „მოგონებების ტბორში“ ჩაძირული, „მოგონებათა სცემს შადრევანი“. ერთგან ამბობს: „აქ შეგვიძლია მოგონება შემოვიშენოთ“ (ფრინველები ზღვას გაჰკივიან).

„მოგონების ხომალდი“ დაატარებს პოეტს სხვათაგან უხილავ სივრცეში. „მოგონებათა მერანი“, თავისუფლების გამო, ულაგამოა და უუზანგო: „მიჰქრის მერანი მოგონებათა, უულაგამო და უუზანგო“.

მისი „მოგონების ცა“ დასახლებულია „უამრავი ლანდებით“: „უამრავ ლანდებს, შემკრთალ ლანდებს, წარსულის ლანდებს, ქარვისფერ წიგნში რიდეებით რთავს შემოდგომა“ (მოგონებათ ცა).

მოგონებებს ახლავს სპაზმებიც, გმირული ენთუზიაზმიც (ეპოქა იშვა და გაიზარდა).

ხან კი ცით გახალისებულია ღამის ფერების მოგონება: „ცამ მოგონება გადუხალისა მას, ვისაც სწამდა ღამის ფერები“ (მოგონება ჩვენი ჭალისა).

პოეტს აგონდება „დამსხვრეულთა დროთა რხევანი“, „კუბო და ცხედარი“.

„მოგონებათა ელვარე სარკე“ მოაგონებს „ედემს დაკარგულს“, „თავის მეორე ჩრდილს“, გული ოცნებობს „აუცდენელ ფიქრ-მოგონებით“(ქარი).

გულს ანთებს მოგონებები, „მოგონებათა ბედნიერება“, „ღრმა მოგონებით“ ათენდება, „ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია“, „ჰქრის მოგონებათ კორიანტელი“, ატკბობს „მოგონებათა აზღვაოსნება“, ხოლო როცა ეშვება „მოგო-

ნების ფარდა“, სევდას ეძლევა.

მთები, მეჩეთი თუ საკანი „მოგონებათ დაკარგულ ნეგატივებს“ გაახსენებს (მცხეთიდან).

იგონებს ქრისტეს – „ძვირფას მკვდარს“, იგონებს ვერლენს, იგონებს სატანას, „მოგონებები ელვარებენ ისევ ბეჭდებად“, „სადღაც დაკარგულ ვარდსა და გვირილებს“ მოგონებებში იჭერს.

საღმრთო ტრფიალის მოგონებაა: „ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“, „ლანდი არაქვეყნიური“, „მზიანი სიყვარული“.

სინამდვილე „დატოვებული შორი კუთხის მოგონებას“ იწვევს, „მოგონებები ირხევიან სევდიანად“ (ქალს მთებიდან).

მთვარიანი ღამის სასიყვარულო მოგონებებს ეხება „საუბარი ედგარზე“.

პოეტს სჯერა, რომ მარადიული იქნება სიყვარულზე ლოცვაში აღმონაცენი სული (შემდეგაც, მაინც).

არსებობას ალამაზებს ვარსკვლავების, „შუქთა ფერხულის“, ზეცასთან თანაზიარობის ხსოვნა (ხომლი).

მოგონებები მოგონებებს იწვევენ: „სხვა სიყვარულის მოგონებები დაე აღმინთონ მოგონებებმა“.

მოგონება „ფარულია, წამზე უმალი, გაფითრებული ფერით მფერები“ (ცხრაას თვრამეტი) ლაპარაკია „მოგონების ნეტარებაზე, მოგონების ბედნიერებაზე, მოგონებათა გამმაზე, მოგონებათა სევდიან რხევაზე“.

მოგონებებში წასულს ეფინება ახალი მოგონებები, ზოგჯერ კი მოგონების ბუნდოვანებაზე წუხს: „სად გნახეთ, როდის, რაა ეს გრძნობა? ვიგონებ, მაგრამ არ მომაგონდა“.

„მოგონებას მთების დუმილი ამინანქარებს“ (ალაზანთან), შუქი „კარგი მოგონებით“ ღებავს სატრფოს თმებს.

„გზებს მოგონებით ვრიყავ“ (კაფეში), წერს ერთგან.

პოეტს არ ასვენებს „მოგონებების თოვა, მოგონებათა ბურანი, მოგონების... ქუბა, გახსენებათა ტყე, მოგონებათა იარები, მოგონება შხამიანი.“

სიზმართა რგოლში იგონებს თავის „დამმონებელს“.

„სიცოცხლის ხის“ მოგონებას იწვევს ნეკერჩხლები (ბუხართან).

მოგზაურობა დროში იოლია გენეტიკური მეხსიერების წყალობით (ჩემს ყრმობის ხანში).

უხსოვარი ხნის სახეებით თვრებოდა პოეტი, ამ განუსაზღვრელი წარსულიდან „უშორესი ზღაპარი“ აგონდებოდა, როცა თვით „პაჟი“ იყო, „ის კი – პრინცესა“ (ვერხვები).

მოგონება ფერად-ფერადია, მოგონება სევდით ავსილია, მოგონება ფითრდება, ხდება საიდუმლო, უცხო მხარის მოგონება.

მოგონებები მარადიული იმედისა და შეხვედრების გზაა.

ყურადღებას იქცევს მოგონებებით ცხოვრება, მოგონებებით თრობა, მოგონებათა აჩრდილები, მოგონებათა ჩქერი, გახსენების მტანჯველი ლანდი, მოგონების სხივი, მოგონების ზვირთი.

მოგონება ფერად-ფერადია, ცისფერია, თეთრი და ლურჯია: „ბაღი ედარება ცისფერ მოგონებას“, „ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია“. „მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება“.

ქარის ქვითინით ცოცხლდება „მოგონების სახე ნეტარი“.

„მოგონებათა თოვის, მოჰქრის ნიავი შოვის...“.

იგონებს მთა, იგონებს ხევი...

პოეტს გამუდმებით ახსოვს ერთი ძველი არია, მიმანიშნებელი ყოფნის სიზმარეულობაზე: „მახსოვს მე ერთი ძველი არია, დღესაც რომ გული იგონებს ცისმარს, ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია და სინამდვილეც მიჰყვება სიზმარს“.

ცხოვრების გზა, პოეტს რომ აგონდება, დროთა მთელი ციკლია: „მე მაგონდება გზა ცხოვრების, ბედის მშვილდები, დროის წერათა ამთოვრებას რომ ასცილდები...“

პოეტის მოგონებაშია ცის და მიწის შეზავების იდეა: „ცის და მიწის შეზავება მოგონების ნეტარებით ჩემს გულს ენათესავება“ (შეხვედრა).

გალაკტიონს მუდამ ახსოვდა ქრისტე – ყოფნა, სიცოცხლე, პარალელურად ახსოვდა დიონისი: „დარჩება ხსოვნა, ყოფნას დიონისს“ (ცისფერი).

არ ტოვებდა ზეციური სამყაროს, შორეული ვარსკვლავების მოგონება, განათების წამები: „არა ერთი და ორი, არა ორი და სამი, მახსოვს ვარსკვლავი შორი და განათების წამი“.

ამასთან სჯეროდა, რომ დარჩებოდა შთამომავლობის ხსოვნაში: „ჩვენი გზა... მუდამ დარჩება ხსოვნად შთამომავლობას“.

„ჩემს ანგელოზ დას, ჩემს მოგონებას – პოეზიას“

შემეცნება მოგონებას უკავშირდება, პოეტური შემეცნება – მით უფრო. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში პოეზია აშკარად მიჩნეულია, როგორც მოგონების მადლი, მოგონების ფრთების გარეშე კი ცხოვრება სრულყოფილი ვერ იქნება: „არის ცხოვრება გამათხოვრება, თუ მახსოვრობა იქნა უფრთებო“ (მშვიდობის წიგნი).

გალაკტიონის პოეზიაში წარსული, აწმყო და მომავალი „ხელიხელგადახვეულია“. პოეტის ღრმა მოგონებებით მოგვრილი ცრემლი უფრო მეტია, ვიდრე ფუჭი კამათითა და ღრიანცელით გატაცებული ცრუ პოეტების ვაკხანალია (არ ღირს იმ ერთ ცრემლად).

პერსონიფიცირებული მოგონებები „ლამაზი ნავის“ (წარმოსახვის) მოგზაურებად ქცეულან და აღმოსავლეთის ცისკარს ელტვიან: „მოგონებები! ისინი როგორც მოგზაურები ლამაზი ნავის, მიმოსცურავენ აღმოსავლეთით, როცა ასეთი ცისკარი ჰყვავის“.

„მოგონებით ხომალდი“ უხილავ სივრცეში მიისწრაფის, „მოგონებათა მერანი“ კი „უუნაგირო და ულაგამოა“ პოეტური თავისუფლების გამო: „უუნაგირო და ულაგამო, რაც მაბადია და რაც მებადა, მოგონებაა, შორი საღამო“ (მიჰქრიან ზვირთნი მოგონებათა).

მოგონებებში ხდება „ნაფიქრ-ნაგრძნობის“ შერწყმა, ახალი პოეტური რეალობის მიგნება: „ჩვენს ფიქრებში მოგონება ეხლა აფრქვევს, ეხლა ადნობს ნა-

ფიქრ-ნაგრძნობს“ (ტყემ წამიყვანა).

პოეტური გამოგონება ათასი მოგონების სინთეზია: „სხვა ათასი მოგონება მისდევს გამოგონებას“ (ორი ლელო).

„აზვირთებული ქნარი“ იგონებს განვლილს, იგონებს „უნაზეს ჰანგებს“.

ჭეშმარიტი შემოქმედის ვალია, თავდახრილ მონებს მოაგონოს დავიწყებული, მაგრამ ნამდვილი ხმები (ზღვის პირად მდგარი).

მოგონების წმინდა აჩრდილები „იმედთა მდელოზე“ ცოცხლდებიან და სიცოცხლის ჰანგით მეტყველებენ (წარწერა წიგნზე).

მოგონებები მუსიკად ქცეულან და მათ „მოგონებათა გამმა“ ეწოდება (ჭიანურები).

პოეტის არსებაში ხმაურობს ზღვა-გენია, ცხოვრება, „წინაურთა დღეები“.

მოგონებებით ცაში ფრენს პოეტი: „როგორ არ გავყვე ფრენად ცვლად რონინს, მოგონებების ტალღათა მკრეფი?“

ცოდნა მოგონებების გაცოცხლებაა, პოეზია ანგელოზი და – მოგონება: „...ბავშვური ძილით სძინავს ჩემს ანგელოზ დას, ჩემს მოგონებას – პოეზიას“ („ფარდების შრიალი).

პოეზია, ლექსი სახელდებულია, როგორც ქაოსიდან მთვარის მიერ ამოზიდული ლურჯი მოგონება: „...ძილი მეგონება: უცებ ქაოსიდან მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება“ (ეს მშობლიური ქარია).

პოეტური, მშვენიერების რანგში აყვანილი მოგონება ოცნებისა და სილამაზის პირმშოა, რაზედაც მეტყველებს ეს შესანიშნავი მეტაფორა: „და ოცნება მოგონებას იით მოაიავებს“ (დაფნა).

ასევე ორიგინალობა გამოარჩევს ფრაზას: „შენს მოგონებას, როგორც ეს ჭალა, მთების დუმილი ამინანქარებს“. ნეოლოგიზმია „ამინანქარებს“.

ამასთან, სევდითაა შეფერილი სიმღერაც და მოგონებაც: „მოგონებებო და სიმღერავ, სევდით ავსილო“ (დღევანდელი დღე).

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი“

მარადიული არსებობა სულის სახით, ბუნებრივია, გულისხმობს მარადიულ ხსოვნასაც. ზოგიერთი მეცნიერის რწმუნებით, არიან ადამიანები, რომელთაც ახსოვთ თავიანთი წინა ცხოვრება. ამის უამრავ მაგალითზე მოგვითხრობს წიგნი „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ“ (რუსულად, 1990).

„ბჰაგავად-გიტაში“ უფალი ამბობს: „მრავალი დაბადება მაქვს მე, აგრეთვე შენცა, არჯუნა. მე ვცნობ ყველა ჩემს დაბადებას, ხოლო შენ ვერ სცნობ შენსას...“(17).

წიგნში ლაპარაკია „წინანდელ გარდასახეულებათა ჟამს მოხვეჭილი სიბრძნის გამოყენებასა და სრულყოფაზე“ (53).

სახარებაში ქრისტე ისრაელის ხალხს აბრაამის ამბების თანამონაწილედ წარმოუდგენს თავს, რაზედაც განცვიფრდებიან, შენ რანაირად გიხილავს აბრაამი, როცა ორმოცდაათი წლისაც არა ხარო, ქრისტე პასუხობს: „პირველ აბრაამის ყოფამდე მე

ვარ!“ (მარკოზი, 273, 58).

და, მართლაც ქრისტე, როგორც ძე ღმერთი, მარადიულად არსებობდა მამასთან ერთად, იგი იყო დაბადებამდეც, ხორცშესხმამდეც და იყო ზეცაში, როგორც სიტყვა.

გალაკტიონის პოეტური სასწაულების ახსნა აშკარად ძნელია ერთი ადამიანის და ერთი სიცოცხლის გამოცდილების ფარგლებში, ფაქტობრივად, იგი წარმოგვიდგება, როგორც ინტეგრირება ამქვეყნიური და მიღმური არსებობისას მიღებული ცოდნისა.

მხოლოდ გარდასხეულების იდეის მიხედვით თუ გაიგება გალაკტიონისეული ზოგი სახე და ლექსი.

პოეტს ესმოდა „წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს“ (ვაგნერი), თითქოს ნათლად ხედავდა პირველყოფილი ქაოსიდან სამყაროს დაბადებას, პირვანდელი სახეების წარმოშობას (მშვიდობის წიგნი) და იქნებ ეს ჰიპერბოლა არც იყოს.

მისი სულიდან იფრქვეოდა ზღაპრული, არამიწიერი, არაამქვეყნიური ხილვები, ჩაესმოდა უძველესი ყოფნის მუსიკა, როგორც „უშორესი ზღაპარი“. სადღაც დაკარგული ვარდი და გვირილები „მოგონებებში ცოცხლდებოდა“ (ვერხვები)...

„ხსოვნა იდუმალ საზღვრებს შორდებოდა“ და დროის განსაზღვრაც შეუძლებელი ხდებოდა: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ... სად, როდის, რისთვის, არ ვიცი, არა! იყვნენ ოდესღაც და მიეძინათ, ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა“.

და ცხოვრება ძიებაა, მოგონებაა იმ ზღაპრული სამყაროსი, ოდესღაც მიძინებულთა სახეების...

იმ უხსოვარი დროის ფენებიდან პოეტს მაინც ახსოვს ყვავილების გვირგვინი, პრინცესა და თავისი არსებობა, როგორც პაჟისა (ვერხვები).

ასეთივე გამაოგნებელ ხილვებს გვთავაზობს პოეტი სხვაგანაც, როცა უხსოვარი დროის ბავშვობას, სიხარულის ველზე არსებობას აცნობიერებს და თითქოს ხელახლა განიცდის „ოქროსფერ ნავში“ ედგარ პოსა და ნოვალისის გვერდით ყოფნას (ის ადგილები).

ანალოგიურ „ალოგიკურობას“ მხოლოდ რეინკარნაციას თეორია თუ მოჰფენს ნათელს.

ლექსში „მთვარის ნაამბობიდან“ კიდევ უფრო გასაოცარი განაცხადია: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (მთვარის ნაამბობიდან).

არანაკლები დამაჯერებლობით გვიმხელს სხვაგანაც: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში, ვარჩევ, მე ის დრო რომ განმიახლოს, როს ვიყავ ბავშვი!“ (თენდება, გათენდა).

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ, გარდა იმისა, რომ გალაკტიონი არის მარადიული ქართული სული, ამიტომაც ამბობს: „საუკუნეთა საფლავი მეკარგებოდა, ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“.

ალბათ, პოეტების მეფის სული სიცოცხლის შექმნიდან აედევნა სამყაროს, როგორც უფალი, როგორც უკვდავება, როგორც „გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ (ნოდარ დუმბაძე).

„მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული“

ხმა ყველა ეპოქაში მიიჩნეოდა დიდ სასწაულად.

იოგების მიხედვით, უმაღლესი არსება ხშირად ესაუბრება ინტუიციური ჭკუის მქონე ადამიანებს.

იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ადამიანის სულიერი ცნობიერება, ის უფრო ხშირად უსმენს შინაგან ხმას და უფრო კარგად არჩევს მის იმპულსებს, მომდინარეს უმაღლესი სულისგან.

სულიერი გამონათების, „გაბრწყინებისას“ ხდება სულიერი ცნობიერების გახსნა. ეს სიმღერაა სულის, მუდამჟამს დაუვიწყარი.

ადამიანს შეუძლია მოისმინოს სხვებისთვის მოუსმენელი ხმა რადიოს გარეშე. ესაა გულის ხმა, გულის სიმღერა. იშვიათად ადამიანის ყურით შეიძლება სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის მოსმენა, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური. იგი შედგება არა მელოდიის, არამედ რიტმისაგან. ზოგიერთებს ესმით უსხეულო არსების ხმა, გრძნობენ არამიწიერ არომატს.

მიწაზე ადამიანს ესმის ცხრა ხმა, ასტრალურ სამყაროში – თოთხმეტი (ელენე რერიხი).

ელენე რერიხმა თვით გაიგონა უზენაესის ხმა შამბალაზე და ჩაიწერა.

ვანგას ესმოდა „ციური ზარის ხმა“, „ესაუბრებოდა წარმოგზავნილებს“.

ათანას ფეტს ესმოდა „უხილავის ძახილი“, „ხმები ღვთიური“, „უწმინდესი ბგერები“, „ხმა ზეციური“ („სიმღერა მარადიულ ფრინველთა“, „მარადი დღე“, გვ. 27,49).

ვლადიმირ სოლოვიოვს ესმოდა „გამოძახილი მისნური“, „წმინდა ხმა“, „უხილავის უხმო ძახილი“ (იქვე, გვ. 102).

ალექსანდრ ბლოკი აყურადებდა უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს (იქვე, გვ. 169).

დავით გურამიშვილს „ხმა ესმა ძილსა შინაო“, ნიკოლოზ ბარათაშვილი უსმენდა „იდუმალ ხმას“, „ციურ დასთა გალობის ზარს“.

ილია ჭავჭავაძემ გაიგონა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ ხმა უსიტყვოდ (აჩრდილი). მისთვის პოეტი იყო „ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელი“ (პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ).

დანტეს ესმოდა „ნათლის ხმა“, „სინათლისგან ხმაი მეტყველი“.

„ციდან ხმა მესმის ანგელოზების“ – ამბობდა ვაჟა, „მგონია, ციდან მეძახის ვიღაც“ – გვიმხელდა ტალაკტიონ გრანელი.

ხალხური ლექსის მიხედვით, ვახტანგ მეფეს „ციდან ჩამოესმა რეკა“.

გალაკტიონ ტაბიძემ ახალი პოეტური სამყარო შექმნა, ახალ ხილვებს დაუდო სათავე, მიზნად დაისახა „ხმათა განახლება“ ტრადიციებზე დაყრდნობით.

პოეტს ესმოდა „იდუმალთა ხმათ მწუხარება“, „ზექვეყნიური უკვდავი ხმები“, „სხვა გამოძახილი“. ამქვეყნად გრძნობდა „უკვდავების ყრუ ძახილს“, რომელიც მოუწოდებდა „დროთ საზღვარს იქით“, ანუ ადამიანური შესაძლებლობის გაფართოებისკენ.

გამუდმებით ჩაესმოდა „უცნობი ძახილი“,იდუმალი ძახილი, ნაცნობი ყვავილის დაპირება (მე მოვალ).

პოეტს გამუდმებული „კომუნიკაცია“ ჰქონდა ზეცასთან და ეძახდა საყვარელი ხმა, უხილავის ხმა, „სიცოცხლის ხმა“, „სიყვარულის ხმა“, „ხმა ძლიერი“, „სიხარულის ხმა“, „ცეცხლის ხმა“, „ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“, „გაზაფხულის გამმა“. უხილავი, სიცოცხლე, სიყვარული, ცეცხლი, გაზაფხული, სიხარული საღმრთო სახელებია.

მომავლიდან ესმოდა „საგანთიადო ხმები“, არაქაური ხმები, მფარველი ანგელოზის ხმა...

წარსულში ნათელსმენაზე მიგვანიშნებს ათასწლოვანი ქუხილის ხმა, „დღეთ წინაურთა“ ხმა, სამყაროს შექმნისდროინდელი ქაოსის ხმა: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ (ვაგნერი).

ესმოდა მომავლის ხმა, „ყრუ ტაშისცემა“, შორიდან ევლინებოდა ხმა, როგორც „გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების“ (შენს მოწოდებას).

გალაკტიონის პოეზიიდან უბერავს „არსთ ყოფნის სიო“, „საიმქვეყნიო და საამქვეყნო სიო“.

პოეტს ევლინებოდა ვარსკვლავის ნათელი, „ღრმა საიდუმლო“, ესმოდა მისი ხმა, ხედავდა ფერს, გულისცემა უხშირდებოდა და აწამებდა ნანახ-განცდილის გამოუთქმელობა (ჩვენთვის სანატრელია), „ფიქრების გამმა“.

„მომავლის აჟღერებით“ ჟღერდა პოეტის ქნარი, გვაჯადოებდა „ახალი სმენა აქარიშხლების მძაფრის“.

იდუმალი ფრაზაა: „მესმოდა ნისლის ფორტეპიანო, ზარი, გუგუნი და ისევ ზარი“.

გალაკტიონისათვის ორგანული იყო „უხმო ხმის“, „უხმო კამათის“, „სიჩუმის ენის“ მოსმენა: „ვდგავარ მთაზე და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა“ (გურიის მთები).

სიჩუმეში ესმოდა „ციური გალობა“, „ანგელოზთა ციური ნანა“, სიჩუმის ხმით ესაუბრებოდა „ხმა ნაზი, ციდან გარდმოვლენილი“ (საფლავი).

„მშვიდობის წიგნის“ მთავარ პერსონაჟს გამოეცხადა ანგელოზი და გაიგონა მისი ხმა.

გალაკტიონის პოეზიის ლირიკულ გმირს ესმოდა „ქერუბიმების კვდომა“.

„გზათა მიუვალობას“ ტიროდნენ უედემო ანგელოზები „ცხრაას თვრამეტში“.

გალაკტიონი აყურადებდა ცის გახსნას, იდუმალი გამოძახილის ხმას უსმენდა დუმილით: „მას ენატრება გამოძახილი, ის გაჩუმდება და დაუგდებს ყურს“.

იდუმალი ხმა „დილის ძედ“ უხმობდა და პოეზიის განახლების მისიას შეაცნობინებდა.

გვაგონდება ნეტარი ავგუსტინე, რომელიც ამბობს: „და ანაზდად ხმა მესმა შორიდან: „მე ვარ, რომელი ვარ“ (აღსარება, გვ. 240).

როგორც თვით აცხადებდა, გალაკტიონს ჰქონდა „ასი ათასის სმენა“.

მას ესმოდა „ოცნების შრიალი, ფიქრთა სამოსის შრიალი, წამწამის კანკალი. უნიკალური სმენის მქონე ქმნის ნეოლოგიზმს – „გადაეყურა“: „ჩემი გული კი იმ ღამეს მღელავ ტბას გადაეყურა“.

ალექსანდრ ბლოკს აქვს ასეთი საოცარი სტრიქონები: „ღამით ჩასახულს, ღამით გაჩენილს ჩემი ტირილი მომესმა ახლაც, რა მწარე იყო ხმა დედაჩემის და უშავესი წყვდიადის ხახა“ („მარადი დღე“, 1981 წ., გვ. 203).

გალაკტიონს ესმოდა „ბაღებს იქით, სადღაც გადაშორებით“ ახმიანებული საკრავების ხმა, ქრისტეს ჯვარცმისას მარიამის გამომშვიდობება შვილთან, ანგელოზების ჩუმი გალობა, იგი „თვალებით უსმენდა სერაფიმთა ხმას“.

ესმოდა დემონის ძახილი, ლუციფერის ხმა, ხმა სატანასი და სამოელის, ლანდების კივილი, სულის ხმა, წინაპართა ხმა, გარდაცვლილთა ხმა, გულთა მქუხარება, სულის ხმოვანება, მწუხრის და იდუმალი ლოცვების ხმები.

აწამებდა „ყრუ ბაიათი“, „ოხვრის პაროლები“, „ხმათა ქაოსი“, ესმოდა საიათნოვას ჰანგები, საზანდარის უქმი ხმა, მწუხარე არია, ყრუ ელიგია, ცის მუქარა, ეპოქის ხმა, დიდების ტაში, მომავლის ხმა, „მიწის ხმა საჯადოქრო“.

მისთვის „სურნელი ნაზია, თვალგაპობილი“.

ხმა შუქთან და სურნელთან არის ასოცირებული: „ახალი ხმა შემოიჭრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი და ჰანგებად დაიღვარა, ვით სურნელი, ვით ქარბუქი“ (მუსიკა უეცარი).

ის მღეროდა, როგორც „დარის დარება“, მისი ლექსის მუსიკა ისმოდა, როგორც „შორი ედემი და მხარეები ლეგენდარული“.

პოეტი აუკვდავებდა გრძნეულ, უკვდავ ხმებს.

მის არსებაში ხმიანობდა „ხმა მეორე, ხმა ფარული“, რომელიც ხელოვნების ღირსებას შეაცნობინებდა (ხელოვნება).

გალაკტიონის იდუმალ სამყაროში „ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“, „ესაუბრება ფოთოლს ფოთოლი“, „ეხმაურება ატომი ატომს“.

ჭეშმარიტი განაცხადია: „ჩემი ხმაც სმენამჭევრია“.

ნათელმსმენი პოეტის არსებამდე აღწევდა დიოსკურიის „წყალქვეშა ზარა“, ზღვის სიღრმიდან ესმოდა „სხვა იდუმალება“.

ზღვა ეძახდა „სიზმარეული სიცოცხლისკენ“ (გრიგალი).

„ხევის ბეთხოვენი“ ყაზბეგი პოეტის იდეალი იყო იმიტომ, რომ ის „ნამუხლართან ხმას ისმენდა მთისას“ (არ ამაოდ).

ქართველი კლასიკოსები თავიანთი ხმით „გაღვიძების ზარებს“ რეკავდნენ (საუბარი ლირიკის შესახებ). ხოლო ვაიპოეტები „კივილისთვის“ ირეოდნენ და მათი ლექსებიდან გაისმოდა „მოგონების შეშლილი ბოდვა, დაცინვა, წყრომა და ირონია“.

გალაკტიონის პოეზიაში ისმოდა „მწუხარება დაკარგულ გრძნობის“, ანუ სევდა გაუფასურებული საღმრთო სიყვარულის გამო (გრძნობა, რომელიც დაკარგულია).

გალაკტიონის ანტიციპაციის უნარი მშობლიურ ბუნებასთან სისხლხორცეული კავშირის მადლია: „მე კავკასიის ქედები მთხოვენ, მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის, ვუსმინო ყაზბეგს – ხევის ბეთხოვენს აგუგუნება კაიშაურის. მე მშობლიური არაგვი მირჩევს, წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად, ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს, ომში სიცოცხლე ჩასთვალოს არად“.

პოეტს ესმოდა: „სირენას ჰანგები, ანგელოზების ტირილი, ხმათა ხავერდი, უტეხი ხმები, ცეცხლის მფარველი გუგუნი, ჭიანურის ხმა, ტანჯავდა მგზავრის მწუხარე ხმობა, შუაღამისას უცნობის ვედრება, დიდების ტაშთან ერთად, ღელვა, მუქარა, ტაძრების უჩინარი ტირილი, ძველი ძვლების ხმა, ხმათა გარდაცვალება, უდაბნოს ქარები, არაგვის ნათელი და მედგარი ხმა, ფოთოლთ ჰანგი, არღნის ხმა დამტვრეული.

ხან სამარის ლოდის ხმა აშფოთებდა, დემონის ჭიანური აწამებდა, 1924წ. დახ-

ვრეტილთა კივილი აღვიძებდა, მშობლიური შემოგარენის დუმილში ის ტკივილი ამოიცნობა, ილიას რომ ათქმევინა: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

ეს ეროვნული სატკივარი გალაკტიონის დროსაც აქტუალური იყო: „ელვარე ბურში ზარებს აიტან, დრო მიდის შურში, ხმა არსაიდან“ (მდუმარე სმენით).

ალვებს „მდუმარე სმენა“ ახასიათებთ.

ხმა ფერს უკავშირდება. ტალღა ხმაონავარია, ნაზი ხმა სივრცეში ლივლივებს, სიცილი ათეთრებული და მოვერცხლილია, ვერხვის შრიალი – „ბნელხმიანია“, ხმა მზიური ვერცხლია, არაგვის ხმა ნათელია.

მღერის არაგვი, თერგი, მტკვარი, მთების ზვავი, ტყე (მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა).

პოეტს ესმოდა „მთების ძმობა“, „უსაყვარლეს მდინარეთ“ ხმაური, წუხილი არაგვის კიდის, „ძახილი ეფემერიდის“.

მშობლიური მთები ამაღლებისკენ მოუწოდებდნენ. არაგვის ხმა ქედუხრელობას უნერგავდა, არაგვის პირთან ეგებებოდა პოეტს წინაპართა ძლიერი ხმა, გრიგალის რეკვა გენიის აბობოქრებას ამცნობდა.

გალაკტიონი ამბობდა: „წამიც კი რეკავს ცხარედ“.

წარსული კიოდა: „მუსიკა, ღვინო და ყვავილები!“

ესმოდა გულის ხმა, აქარიშხლების ხმა, ახალ-ახალი ხმები, მთესველის ხმა, ომებში გადარჩენის ჰიმნი, „ხმა ლამაზ მხარისა“.

სონატები „ნაზი ფერებით“ ევლინებოდა, „ტიროდა მისი მუსიკალური და გადარევის ეფემერები...“.

ესმოდა ფაგოტების გოდება, სიმღერა ვალკირიების, უმძლავრესი მუსიკა, ძველი არია, ბარათაშვილის ველური ჰანგი, აკაკის ხმები, ქართული ხმები, ჰანგთ აიაზმა, ვერხვების ხმები, ხმა უცნაური, დების სიმღერა, შორი სროლის ხმა მთაში, გულთა მქუხარება, ლოცვის მხურვალება, წინაპრების ძახილი.

პოეტის არსებაში ხმაურობდა ზღვის ტალღა, ქარიშხლის ხმა, ხმა მეორე, ხმა ფარული, სულში რეკავდა „გენიით ატეხილი... ლერწამი“.

ზიზღს ჰგვრიდა „ბნელი დუმილის ზუზუნი“, სიმბოლური „დევების აურზაური“, „სხვა ხალხის ჟრიამული“.

ესმოდა გარდაცვლილთა ხმა, წარსულიდან „ელანდებოდა ნაცნობი ხმა“, მშვიდ სამეფოში ეძახდნენ „მთები, სიზმრები და წინაპრები“.

აფორიაქებდა „გამწარებული ხმა შუაღამის“, „საღამოს ზარი“, „ორი ზარი“, სისხლიანი აჩრდილის „ფარული ხველება“.

ტიროდა ლანდი, გედივით კიოდა „ლანდების ზოლი“.

პოეტი ეძებდა ქართველის „გულის ხმას“, „ჩვენი გულის შორეულ ხმას“, „გრნობით გამთბარ ჰანგს“, განწმენდის ხმას, საღვთო მუსიკას, ცდილობდა „მშვენიერი ხმის გაათასებას“, „ხმათ აიაზმას“ გვაპკურებდა.

„სულ სხვა ხმის მქონე პოეტი“ გვაოცებდა გენიალური ჰარმონიის აზრით, გიგანტური ტალღების გამმით, გაზაფხულის გამმით, ჯერ არსმენილი ხმებით.

„მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეული“ მის პოეზიაში „ერთ მთლიან ჰიმნად“, „ერთ მთლიან ქნარად“ იქცეოდა.

„უბრალო ხმები“ კი არა, ესმოდა „ხალხის რჩეულის ხმა“, ეროვნული და მსოფლიო წყლულები, ხმა „სიმართლის და სინათლის მთესი“. მის პოეზიაში ერთად იყო „გადაკირული“ მრავალი ათასი ხმა, „დავიწყებული“, მაგრამ „ნამდვილი ხმები“.

ახლობელი და შორეული ხმების შეთავსებით იქმნებოდა არაჩვეულებრივი სინთეზი: „ხდება ერთად შეთავსება უცხოდ გრძნობამორეულის, რაღაც საერთო და დიდი ხმის, ახლობელ-შორეულის“ (მე ვუსმენდი ხალხს მომღერალს).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება „ეფემერიდის ხმა, ძახილი ეფემერიდის, ეფემერების ფანტაზმა“.

პოეტების მეფის შემოქმედებაში გვაჯადოებს „ფესვების სიმფონია, მცენარეების სიმფონია, ფიქრების ვალსი, თვალების ნოქტიურნი, მოგონებათა გამმა, თასი დღის ხმათა (თასი მარიამია, დღის ხმა – ქრისტეს სახელია), ხმა მიწიური, ხმა ზეციური, ხმათა სიმაღლე, გაღვიძების ზარი, ხმათა ხავერდი, ზარის ბგერა, ხმა – მზიური ვერცხლი, დანატრული ხმა, ქარის აკორდი, საგანთიადო ხმები, ლურჯა ცხენების გრგვინვა-გრიალი, ქარბუქი მუსიკის ხმათა, რიტმის ბგერა ზღვაური, ზღვა მუსიკა“...

პოეტი სიტყვის კომპოზიტორია და ამიტომ ხვდება მეგობრებივით თავის სულიერ ორეულებს – მოცარტს, ბეთხოვენს, პაგანინს...

მისი სიტყვით, „მთელ მსოფლიოში ხელოვანთა ხმა უმეორებელს აჰგავს ქარტეხილს“.

გალაკტიონს სწამდა, რომ „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“.

„სმენამჭევრი ხმის“ პოეტი ხმის „გამახვილებით“ ქმნიდა დიადი, განუმეორებელი ლექსის მუსიკას.

გალაკტიონს არც ესმოდა „ქვეყნიურთა ვნებათ ძახილი“.

უზენაესის „უტეხი ხმებით“ აღწევდა პოეტი ოცნების გაღვიძებას, ქართული ლექსის განახლებას.

გალაკტიონი იყო „განუმეორებელი ორფეოსი ქართული სიტყვის მუსიკისა“ (კონსტანტინე გამსახურდია).

„ღრმა სიბრძნით თვალანახელი“

ანტიციპაცია მხოლოდ ინტუიციური როდია, ამავდროულად, იგი არის გონისეულიც. გალაკტიონს უყვარდა „ძალა... გულისა და გონების“ (მოდის).

ანალიზი, განსჯა, შესწავლა, შემოწმება, გაანგარიშება, შეცნობა უკვე გავლილი და მომავალში გასავლელი გზების განჭვრეტას ემსახურებოდა, უცდომელი დასკვნების გაკეთების საფუძველი იყო: „გზები გაუვალი და გზები გავლილი – გულისტკივილით მაქვს ყველა შესწავლილი. ადის მწვერვალზე თუ ჭაობში ეფლობა, – ერთი ნიშანი აქვს: დაუსრულებლობა“ (გზები გაუვალი და გზები გავლილი).

გალაკტიონის პოეზიის მთავარი მახასიათებელია ინტეგრალები, „ზუსტი მათემატიკური გაანგარიშება“, ჰანგთა რიცხვი, ლოდინი და რიცხვი, მშრალი რიცხვი, მისი დევიზი იყო „განსაზღვრე რიცხვი წუთებისა“ (ჩემი პოეზიის ინტეგრალები).

პოეტის იდეალი იყო „ერთის, ერთი წუთის გასაუკუნება“ (ხრამჰესი), ანუ წამიერში მარადიულის ხილვა და მართლაც აღწევდა ამას: „ლოდინშიაც წუთს მივყვები და მივყვები საუკუნეს!“ (წუთი).

„სურს გაარღვიოს თვალით ბინდები“, ასეთია გალაკტიონის პოეზიის ლირიკუ-

ლი პერსონაჟის სურვილი და, მართლაც, ბურუსი და ქარიც ვერ უშლიდა ხელს სწორი პერსპექტივების განჭვრეტაში: „ეხლა ის დრო არი, როცა, თუმცა, ძლივას, ბურუსში და ქარში ვხედავ პერსპექტივას“ (ეხლა ის დრო არი).

პოეტების მეფე ძალზე ხშირად ენიგმებით, იგავებით გვიმხელს ჭეშმარიტებებს, მოსალოდნელ მოვლენებს და მისი მსოფლგანცდა სიახლოვეს ამჟღავნებს ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან.

დავით წინასწარმეტყველი აცხადებდა: „ყურს მივუგდებ იგავს, ქნარზე ამოვხსნი ჩემს ამოცანას“(ფს. 49, 5).

„იგავებით გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა“ (ფს. 78, 2).

ეზეკიელ წინასწარმეტყველი ასე იწყებს თავის ხილვათა გაცხადებას: „იყო უფლის სიტყვა ჩემს მიმართ ნათქვამი. 1. ადამის ძევ, მიეცი გამოცანა და შეუთხზე იგავი ისრაელის ხალხს“ (ეზეკიელ, 17.1. 2).

ოსიას წინასწარმეტყველებაში გამხელილია: „მე ველაპარაკებოდი წინასწარმეტყველთ და მე გავამრავლე ხილვები, წინასწარმეტყველთა პირით იგავურად ვლაპარაკობდი“ (ოსია, 12, 11).

მაგრამ სახარებაში მინიშნებულია ცრუ წინასწარმეტყველებზე, რომლებიც ხშირად ცხვრის სამოსით გამოცხადებული მგლები არიან: „ეკრძალენით ცრუ-წინასწარმაეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნეს მგელ მტაცებელ“ (მათე, 7, 15).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალგზის გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლოები, ალეგორიები, იგავები. მისი პოეზიის უპირველესი ემბლებმა, უმთავრესი შესასვლელი კარი არის მეტაფორული აზროვნება.

სიმბოლური აზროვნების ისტორია უშორესი წარსულიდან იწყება. პოეტს წინ უსწრებდა უმდიდრესი ტრადიცია: ბიბლია, ანტიკური და ადრექრისტიანული ეპოქის ნააზრევი, აპოლოგეტების სიმბოლიზმი, ალეგორიზმის (ფილონ ალექსანდრიელი) და ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენლები (კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი აგუსტინე, გრიგოლ ნოსელი), ეგვიპტური, ებრაული (წინასწარმეტყველთა) და პითაგორეული სიმბოლიზმი, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპული და რუსული სიმბოლიზმი. ყველა ამათთვის საერთო იყო ის, რომ იზიდავდათ. „ფარდის მიღმა განჭვრეტილი ჭეშმარიტება“, „შეფარვით“ ნათქვამი სიტყვა.

კლიმენტი ალექსანდრიელი, დიონისე არეოპაგელი სიმბოლიზმს მიიჩნევდნენ ზოგადფილოსოფიურ, რელიგიურ-გნოსეოლოგიურ კატეგორიად.

გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლოების უმეტესობა დაკავშირებულია მსოფლმხედველობასთან. პოეტის უმთავრესი სათქმელი სახე-სიმბოლოთა საგანგებო გაშიფრვა-გაცნობიერების გარეშე ვერ მიიწვდომება.

ბიბლიის კომენტატორები მასში სხვადასხვა მნიშვნელობებს ეძებდნენ: ორიგენი – ორს, ნეტარი ავგუსტინე – ოთხს, ტერტულიანე – მეტს. გალაკტიონისთვის უმთავრესია სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი, იგავური, სიმბოლური მეტყველება.

უშორესი და უღრმესი ფესვები ასაზრდოებს ამ პოეტის შემოქმედებას. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი ფენომენია ბიბლია, რომელთანაც ანათესავებს იგავებისადმი ინტერესი, არა მიწიერი, არამედ ზეციური სიბრძნის ძიება.

გალაკტიონისთვის ჭეშმარიტი პოეზია არის სულიწმინდის მადლი, სიბრძნის სიტყვა. პოეტის უპირველესი მისია არის რწმენის მსახურება, ტაძრისკენ სავალი

გზის ჩვენება, სიბრძნის სიტყვის გავრცელება. სიბრძნეს კი მხოლოდ ღმერთთან კავშირში ეძებს პოეტი: „რა სილაღეა თავისუფალი, სიბრძნის სახეა შრომის უფალი, ყოფნა მწყურია, მშობლიურია და მზიურია, ო, ეს უბანი“ (მშვიდობის წიგნი).

ახალი სიმაღლეების დაპყრობის პირობაა ღმერთის მადლი: „ნუ მოაშორებ სიცოცხლეს თვალებს, რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს“.

სიცოცხლე, ცხოვრება, ყოფნა ღმერთია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14, 6).

პოეტი ცრუ სიბრძნეს უპირისპირებდა უკვდავ აზრს და უმწეო სინათლისა და მარადიული მზის ასოციაცია უჩნდებოდა: „იბრწყინე მარად, დიადო მზეო, იბრწყინე მარად, ვით ეს სანთელი ქრება უმწეო მზის შუქის კარად, ისე ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს ვით ნისლი რამე იხსნება, ჰქრება, გაუმარჯოს მზეს, ძირს ბნელი ღამე“.

„ახალი სხივის“ (სხივი, შუქი ძე ღმერთის სახელია), „ახალი ღმერთის“ (ქრისტეს) სიყვარული მომავლის ღრმა სიბრძნით უხელდა თვალს: „იქ, იმ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი, საიდანაც ჩქეფს სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი“ (უმშვენიერეს კიბეზე).

„პირველი ოცნების“, მშვენიერებისა და სისპეტაკის სიყვარული სიბრძნით ავსებდა გალაკტიონის ზეშთაგონებას: „ოდეს ვიგონებ იმ პირველი ოცნების სახელს და მოლოდინთა მშვენიერთა სპეტაკ სიახლეს, რაც მგზნებარებდა და მმატებდა სიბრძნეს სიბრძნეზე, აი მიზეზი გამარჯვების, აი, მიზეზი“ (1950).

პოეტს არ სჩვეოდა „ამაოდ შექმნილ ციურ სულთან მხურვალე ლოცვა და ქვეყნიურად შექმნილ კერპთან მწარე შეცდომა“ (სანამ შორს იყავ).

გალაკტიონის შემოქმედება უარყოფაა უსულგულო პოეზიის, დაგმობაა დემონური ბეჭდით დაღდასმული ქვეყნიური ყალბი ენამჭევრობის, სატანური შეთქმულების წევრობის (ენა მშობლიური მიწის).

გალაკტიონმა დაამკვიდრა არა მუხამბაზები, აღმოსავლური ბაიათები ან რომანსეროები, არამედ დარდის, სიკვდილის დამმარცხებელი საღვთო ჰანგები, სამოთხის ხმები, ცხოვრების ზღვაზე გადამყვანი ფრთებიანი სიმღერები: „გეევედრები, გამაგონე ის სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“ (ოდეს მძიმე რამე დარდი).

პოეტი ხარობს „სიცოცხლის ქარით“, „სიყვარულით“ (სიყვარული ღმერთია – იოანე, I, 4,8), მრისხანე ზღვების გადავლით: „გადავიარეთ მრისხანე ზღვები, ქარიშხალის და ზღვის მონებაში“ (გადავიარეთ მრისხანე ზღვები).

ბიბლიის მიხედვით, ცოდვილი ცხოვრება მსგავსია აბობოქრებული, ტალახიანი ზღვისა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფსა და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20).

იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, „ამ ზღვაზე გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა“ (აღსარება ნეტარ ავგუსტინეს, ჰიპონის ეპისკოპოსისა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქო, თარგმანი ვასილ ბურკაძის, თბ. 1985, გვ. 519).

გალაკტიონის შემოქმედების ორიენტირები გარკვეულია მისივე „სერენადაში“: „რად მინდა იგი, ჩემო პირიმზე, ჩემის ჩანგით თუ ვერ დაგაღონებ, რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ? გული სავსეა წყნარი სიმღერით,

სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა. ვმღერი, ვით არვის არ უმღერია, წყურვილსაც მოვკლავ, მაგრამ რად მინდა?“

ლექსის „სამოთხე“ არის მარიამ ღვთისმშობელი.

„ბედის ვარსკვლავი“ ქრისტეზე მიგვანიშნებს.

„სერენადის“ ლირიკული გმირი, როგორც მორწმუნე, გაუცხოებული იყო ათეისტურ ეპოქაში.

„უუნაგირო, უუზანგო მერანზე“ ამხედრებული პოეტი მხოლოდ საკუთარი „რწმენის მონა“ იყო, „რწმენის ტახტი“ ედგა, „საკუთარი შტამპით მოჭრილ ოქროს“ გვთავაზობდა (იდეა).

„ბნელი და მღვრიე საგნის“ უარმყოფელი „ცის და მიწის შეზავების“ საიდუმლოებებს ეზიარებოდა, „ყოფნისა და არყოფნის წიგნებს“ უთვალთვალებდა, „ციური რიდით“ მოსავდა თავის განუმეორებელ ხილვებს.

ზეციურ სიბრძნესთან წილნაყარს საღვთო ჰანგები ესმოდა, ცის კარი და მიწის გული, ქვეყნის კარი და სიბრძნის კარი ეხსნებოდა: „გაოცებით მწყემსი წყნარი ისმენს ციურ დაირასა, ვინა სთქვა, რომ ზეცის კარი სამუდამოდ დაირაზა?... ვინა სთქვა, რომ მიწის გული სამუდამოდ დაირაზა? ვინა სთქვა, რომ ქვეყნის კარი სამუდამოდ დაირაზა? ვინა სთქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა?“

კარი, ზეცის კარი, ქვეყნის კარი თუ სიბრძნის კარი ღმერთია.

ქრისტე ეუბნება თავის მოწაფეებს: „მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით, გადარჩება“ (იოანე, 10, 19).

გალაკტიონი მიისწრაფოდა „ბედს იქით“, „სხვა ედემისკენ“ ანუ ჩვეულებრივი ადამიანისთვის დაწესებული საზღვრების გადასალახავად და მწვერვალისკენ სვლის საწინდარი იყო საღვთო მადლი, გული და სინდისი, სიმართლის კანდელი – ღმერთი: „იმ მწვერვალისკენ მივყავარ... გულსა და სინდისს, სიმართლის კანდელს“.

გალაკტიონი იყო ქრისტეს მებაღე, ახალი საგალობლის შექმნის მისიით მოვლენილი.

იოანე მოციქულის გამოცხადების მიხედვით, მექნარეთა ხმის, ახალი საგალობლის შესწავლა მხოლოდ წაუბილწავთ, ღმერთისგან გამოსყიდნულთ ხელეწიფებათ.

გალაკტიონი იყო „კრავის“ გამოსყიდული, პავლე მოციქულს რომ დავესესხოთ, „შემოსილი რწმენის, და სიყვარულის აბჯრით, ხსნის იმედის მუზარადით“ (I წერილი თესალონიკელთა მიმართ, 5, 8).

„ზექვეყნიური, უკვდავი ხმები“ გალაკტიონის პოეზიაში

„ათასის აქვს მხედველობა, იერი, ათასის მზე, სმენა ასი ათასის“ – ეს ჰიპერბოლა უპირველესად ამ სტრიქონების ავტორს გვახსენებს, რომელზედაც უხვად გადმოსულა სულიწმიდის მადლი.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს გალაკტიონის „სიმღერათ სიმღერა, სამოთხის ჰანგები, სიყვარულის სიმღერა, სიმღერა მოულოდნელი, ლოდინის სიმღერა, გადარჩენის ჰიმნი, შორი მუსიკა, ბროლის რიტმი, მუსიკა, ლოცვის მხურვალება,

ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი, ღმერთზე ლოცვებით აღმონაცენი სული, ხმათა განახლება, უტეხელი ხმები, ხმათ აიაზმის ნელი პკურება, საგანთიადო ხმები, ყრუ ძახილი უკვდავებისა, სიცოცხლის ხმა, სიყვარულის ხმა.

პოეტის გამორჩეულ მუსიკალობას შეწყვილებია განსაკუთრებული ღრმააზროვნება, მარადიული სიბრძნე: ციური ნანა, ციური გალობა, ციური დაირა, ბაიის ბგერა, თვალების ნოქტიურნი, ფიქრების ვალსი, გაზაფხულის გამმა, ტალღების გამმა, სონატების ნაზი ფერები, სახე მელოდიების...

„მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუინია“ გალაკტიონი. იგი გვარწმუნებს „მუდმივი, დაუჭკნობელი სინარნარისა და სილამაზის მხარის“ არსებობაში, ქვეყნიდან შორს, „უცხო საზღვრის“ იქით „იდუმალ-მარადიულზე“ მოსაუბრე ვარსკვლავთა ხმების მოსმენაში (ცად აზიდულა, ვით მარმარილო).

ჩვეულებრივ მოკვდავთათვის განუჭვრეტელ „წმინდა ქვეყანას“ ხედავს, მხოლოდ ნათელმსმენთათვის მოსახელთებელ უხორცოთა ხმებს აყურადებს პოეტი: „მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა, სადღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული, მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა, ღამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩასახული...“ (მე მესიზმრება) (1, 39).

პოეტს სწყურია „პირველი სხივის“ მოულოდნელი სიმღერა და უზენაესს ევედრება: „ასე ნუგეშო, ჩემს მშფოთვარ ყოფნას შენ მოუვლინე სხივი პირველი, როგორც სიმღერა მოულოდნელი, როგორც პეპელა გასაკვირველი“ (ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში) (1, 17).

გალაკტიონი გვაჯერებს, რომ მისი განსაკუთრებულობის საწინდარია შორი მუსიკის, ზექვეყნიური ხმების გათავისება: „არის წმინდა პოეზია და მუსიკა არი შორი“, მაგრამ იმასაც ხაზს უსვამს, რომ იმ სფეროში გაღწევა საღვთო ბილიკებით მავალთათვის არის მხოლოდ შესაძლებელი: „არის საღვთო ბილიკები იმ სივრცისკენ მიმავალი“ (ხელოვნება).

ზეციურ მუსიკაზე, სულის ხმებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იოგები, ნათელმხილველები და ნათელმსმენები.

ელენე რერიხი ირწმუნება, რომ ასტრალურ სამყაროში სულს ესმის თოთხმეტი ხმა, ხოლო მიწაზე – ცხრა.

რჩეულებს ესმით შორეული ხმა არნახულ ეპოქაზე. სულის ხმა მოიტანს ცნობებს სამყაროს ევოლუციაზე.

ადამიანებამდე ხშირად აღწევს უცნობი ხმები, რომელიც აფართოებს შემეცნებას.

სფეროების, შორეული სამყაროს მუსიკის გაგონება მიწაზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური.

სფეროების მუსიკა შედგება არა მელოდიისგან, არამედ რიტმისაგან.

კოსმოსში ცხოვრობს ის გონიერი ძალა, რომელსაც ეწოდება კოსმიური რიტმი და ყველა ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებულია რიტმის წრისგან.

მარადისობის ხმას მივყავართ სიკეთისა და სინათლისაკენ.

ადამიანს შეუძლია მოისმინოს სხვებისათვის მოუსმენელი ხმა რადიოს გარეშე.

გულსაც აქვს ხმა, სიმღერა.

მღერის სინათლე და ხმიანობს განუზომელი სივრცე.

უნდა შევიგრძნოთ უსასრულობის სიმღერა.

თუ ადამიანი ერთხელაც ვერ გამოცდის უხილავი სამყაროს მოახლოების სიხარულს, ეს ნიშნავს, რომ მისი ნერვების ცენტრი მკვდარია.

ზოგიერთებს ესმით სფეროების მუსიკა, უსაზღვროების ზარი, მუსიკა გარემოსი, მაგრამ უმაღლესი სულის ხმის გაგონება შესაძლებელია მხოლოდ სულიერი ცნობიერების განვითარებით.

დე ეჭვებისა და უარყოფის ნაცვლად ახმიანდეს შორეული სამყაროს სიმები. ყოველი ხმის გაგონება არის გამარჯვება სივრცეზე.

იყავით ყოველთვის მზად, რომ უსმინოთ დუმილის ხმას და უპასუხოთ უნახავი ხელების შეხებას, მოგვიწოდებს ელენე რერიხი.

როცა ადამიანში მღერის ვიღაცა, ესაა წარმატების ემბრიონი (2, 56, 63, 90, 143, 164, 191, 245, 411).

ცნობილია დანტეს ასტრალური მოგზაურობა ჯოჯოხეთსა, სალხინებელსა და სამოთხეში. მან სულის თვალებით იხილა უხორცოთა სავანე და უზენაესი არსებები, არაჩვეულებრივი ნათელსმენის წყალობით მოისმინა ზეციური ხმები: „ასე უბნობდა ეს ნათელი სიყვარულისა“, „ბოლოს გამოხდა სინათლისგან ხმაი მეტყველი“, „ნათელი წმინდა განაგრძობდა კვალად მოთხრობას...“ (3, 385, 335, 323).

დანტეს სმენას მისწვდა მარიამის მახარობელი ანგელოზის ხმა: „ყველაზე მეტად ღვთივმშვენიერ სულის ნათელმა მე გამაგონა ხმა ისეთი მოკრძალებული, როგორიც ჰქონდა მახარობელს მარიამისას...“

მაგრამ ზეციური სიტყვა იყო „მიუწვდომელი, გადაცდენილი შემეცნების ჩვენის სამანებს...“

საღვთო მუსიკით, სფეროების ჰარმონიით მოჯადოებული დანტე გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას: „ვით საათები ადრიანი, ტკბილის წკარუნით გაგვაღვიძებენ ისეთ წუთში, როს ქრისტეს სასძლო საქმროს თავისას ეგებება სათნო ძლისპირით, გვესალბუნება ჟღერა მათი მელოდიური, სადაც ებნის ხმა ყურთასმენის დამატკბობელი გულში აღვიძებს ნეტარებას სიყვარულისას, ამგვარად ჟღერდნენ თვალშეუდგამ სფეროთა შორის ცთომილთა რკალნი აღგზნებულნი ეთერში მსრბოლნი და ეგზომ ნეტარ ჰარმონიას ვერვინ მოისმენს, ვინც მარადჟამულს არ ეწვევა უფლის საბრძანისს“ (3, 318).

ზეციურ ჰანგებს ამქვეყნიურს ადარებს დანტე და გამოაქვს დასკვნა: „ამქვეყნიური უტკბილესი მელოდიები, რომელნიც სმენას ჰარმონიით აჯადოებენ, გეჩვენებოდათ, როგორც მეხის მძიმე გრუხუნი, თუ ამ ზეციურ ლირათ ჟღერას შეადარებდით. ამ გალობათა, ამ ჰიმნების ერთხელ გამგონეთ ჩვენი მუზების, სირენების სიმღერა მკრთალად გეჩვენებოდათ, ვით არილი შუქის წინაშე“ (3, 322).

საღვთო მუსიკა გოეთეს მიერ სახელდებულია, როგორც „სფეროთა ცეკვა, ჰარმონია, ციური ჰანგი“: „პოლუსებს შორის განახლდება სიმღერა მარად, სფეროთა ცეკვა, ჰარმონია, ციური ჰანგი“ (4, 323).

ზვიად გამსახურდია წერს: „ტარიელთან შესახვედრად მეორედ წასვლისას ავთანდილი ავლენს მიდრეკილებას ასტროსოფიისკენ (მნათობთა ჰიმნი), საღვთო მუსიკისა და პოეზიისკენ (სიმღერა), მასში იღვიძებს ნათელხილვა, რომლითაც იგი ჭვრეტს სულიერ მზეს, სულიერი „დაბრუნების“ ანუ „შემობრუნების“ შედეგად. ეს შემობრუნება პლატონური ფილოსოფიიდან იღებს სათავეს“ (5, 284).

ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მახლობელი იყო „ციურთა დასთა გალობის ზარი“ („ვპოვე ტაძარი“).

დავით გურამიშვილს „ხმა ესმა ძილსა შინაო“ („დავითიანი“).

ილია ჭავჭავაძემ გაიგონა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ ხმა უსიტყვოდ (აჩრდილი).

ილიასთვის პოეტი იყო „ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელი“ (პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ).

„ციდან ხმა მესმის ანგელოზების“, ამბობდა ვაჟა-ფშაველა, „მგონია ციდან მეძახის ვიღაც“, გვიმხელდა ტერენტი გრანელი.

ხალხური ლექსის მიხედვით, ვახტანგ მეფეს „ციდან ჩამოესმა რეკა“.

ზეციური ხმების მიუწვდომლობაზე ჩიოდა გიორგი ლეონიძე: „მე ოქროს ქნარის სიმების ჟღერა ჰაერში მესმის გაურკვეველი, მაგრამ ვერ მივწვდი, ვერა და ვერა, ვერ გავხდი მისი მიმაკვლეველი“ (ოქროს ფრინველი).

ნათელმხილველ ვანგას ესმოდა „ციური ზარის ხმა“, ესაუბრებოდა „წარმოგზავნილებს...“

ათანას ფეტს ესმოდა „უხილავის ძახილი“, „ხმები დაფარული, უწმინდესი ბგერები, ხმა ზეციური“ („სიმღერა მარადიულ ფრინველთა“) (6, 27, 49).

ვლადიმერ სოლოვიოვმა გაიგონა „წმინდა ხმა, გამოძახილი მისნური, უხილავის უხმო ძახილი“ (6, 102).

ალექსანდრ ბლოკი აყურადებდა „უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს“ (6, 169).

გალაკტიონმა უარყო ძველი ჰანგი: „ხმათა სისწრაფეს და სიძლიერეს ნუ მომაგონებ ძველი რიცხვებით...“

პოეტების მეფემ მიზნად დაისახა „ხმათა განახლება“, „ხმათა აღორძინება“, „აღდგომის კვალის“ ძიება...

„იმ ხმების“ მოსმენა მოასწავებდა ოცნების გაღვიძებას, აშკარა განახლებას: „გრძნობა ლბება უხილავად უტეხელი იმა ხმებით, გაღვიძებულ ოცნებითა და აშკარა განახლებით...“

როგორც ღვთის რჩეულს, ესმოდა ზეციური ხმები, უმაღლესის ძახილი: „ციდან ძახილი მესმოდა წყნარი“.

პოეტის სმენამდე აღწევდა „ციური გალობა“: „და ისმის ციური გალობა ნარნარი: საღამო სიცოცხლის, საღამო დამტკბარი“ (საღამო).

ზეციურ სიბრძნესთან წილნაყარს საღვთო ჰანგები ესმოდა, ცის კარი და მიწის გული, ქვეყნის კარი და სიბრძნის კარი ეხსნებოდა: „გაოცებით მწყემსი წყნარი ისმენს ციურ დაირასა, ვინა სთქვა, რომ ზეცის კარი სამუდამოდ დაირაზა? „... ვინა სთქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა?“

ლექსში „ო, ქვეყნიურო სამოთხე!“ – „ყველა ხე ლექსებს შრიალებს“. „ყველა ხე,“ გრიგოლ ნოსელის მიხედვით, არის ღმერთი.

გალაკტიონის განსაკუთრებულობას განაპირობებს მისი ღვთისნიერობა: „ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე! ო, მშვენიერო ოცნება! ო, ქვეყნიერო სამოთხე!“

გალაკტიონის „საამო დღე“ არის „ძველი დღის“ ვარიაცია, მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან და მამაღმერთის სიმბოლოა (დანიელ წინასწარმეტყველი, 7, 9) (7), ხოლო სამოთხე არის მარიამის სიმბოლო (8, 11).

სამოთხემდე ამაღლებული დანტე ეძებდა ამ უჩვეულო საზღაურის მიზეზს და ასკვნიდა: „ნააზრევმა ფილოსოფოსთა და ხმამან ციდან ჩვენს მიწაზე ჩამოღწეულ-

მან, მათ ამოტვიფრეს სიყვარული იგი ჩემს გულში“ (ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941 წ., გვ. 381).

გალაკტიონი ხსნის გზად სახავდა რწმენას, „სიყვარულის სიმღერას“: „გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი).

ბიბლიაში გვხვდება „სალაღობო სიმღერა“ (ეზეკიელი, 33, 32) და „სიყვარულის სიმღერა“ (ესაია, 5, 7).

სიყვარული ღმერთია: „ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (იოანე მოციქულის I წერილი, 4, 8) (9, 320).

უფლის სიმღერა იქცევს ყურადღებას დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში: „ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი და ის იქნება ჩემი მშველელი“ (ფს. 117/118, 14).

უფალს მიემართებოდა ესაია წინასწარმეტყველის სულის მთელი ძალისხმევა: „უფალია ჩემი სიმღერა“ (ესაია, 12, 2).

„ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე“ (ესაია, 5, 7).

„აჰა, ღმერთია ჩემი ხსნა, ჩემი ძალა და სიმღერა“ (ესაია, 12, 2).

ესაიას „შეყვარებული“ ღმერთია, ვენახი – ებრაელი ხალხი.

გალაკტიონის ლექსებში საღმრთო სიყვარულის გამომხატველი ცნებებია: „სხვა სიყვარული, ზექვეყნიური სიყვარული, ტრფობა სრული, ძველი სიყვარული, პირველი სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული“.

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ქრისტემ ეფესელთა ეკლესიას მიმართა: „შენს საწინააღმდეგოდ ისა მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, თ. 2, 4).

„ძველი სიყვარულის“, უზენაესი სიყვარულის დავიწყების ფაქტი დაფიქსირებულია გალაკტიონის შემოქმედებაში: „აქ ოდესმე მხიარული გზით უყვარდათ სიარული, აწ გზა მიტოვებულია, როგორც ძველი სიყვარული“ (აქ ოდესმე), „არსად ჩანს ტკბილი ნათელი შუქმფრქვეველ სიყვარულისა“ (ღამე), „სიყვარულის გამქრალა სხივი“ (ალვის ხეები მშვილდ-ისარს ხრიან), „სიყვარულის არ მესმის ნანა“ (უდაბნო).

მის ლექსებს განსაკუთრებული ტკივილით ავსებდა ის, რომ „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“. კომუნისტურ საზოგადოებას დაავიწყდა „სიყვარულის ნანა“, რაც პოეტის სასოწარკვეთილ შეკითხვას იწვევს: „რად ჩაქრა სიმღერათ სიმღერა მჩქეფარე?“ (ტრიოლეტები).

მაგრამ გალაკტიონის სულში გამუდმებით ჟღერდა ციური სიმფონია, „სიხარულის უვერტიურა“, რაც ლოცვასავით ამაღლებული და დიადია.

პოეტის შემოქმედების ორიენტირები გარკვეულია მისსავე „სერენადაში“: „რად მინდა იგი, ჩემო პირიმზე, ჩემის ჩანგით თუ ვერ დაგაღონებ? რად მინდა ქნარი, თუ იმის ხმაში სამოთხის ჰანგებს ვერ გაგაგონებ? სული სავსეა წყნარი სიმღერით, სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა. ვმღერი, ვით არვის არ უმღერია, წყურვილსაც მოვკლავ, მაგრამ რად მინდა?“.

ლექსის „სამოთხე“ მარიამია, „ბედის ვარსკვლავი“ – ქრისტე. სევდიან ინტონაციებს განაპირობებდა ის, რომ ათეისტურ ეპოქას არ სჭირდებოდა ეს სახეები.

გალაკტიონი წუხდა, რომ ის უმთავრესი ხმა დაკარგა ქართველმა: „ჩვენ დაგვიკარგავს ჩვენი გულის ხმა შორეული, ათასი ხმიდან მხოლოდ ერთხელ ჩამორეული“ (ო, გადავეშვათ უფიქრებლად).

სიტყვის ჯადოქარმა სწორედ ის იდუმალი ხმები მოასმენინა ხალხს, დაკარგული ინტონაციები გააჟღერა: „ის მღერის, როგორც დარის დარება, იმისი გული ხალხის გულია, მასში მოისმის იდუმალთა ხმათ მწუხარება, გრძნობა, რომელიც დაკარგულია“ (გრძნობა, რომელიც დაკარგულია).

გალაკტიონის პოეზიის საიდუმლოა არა პრიმიტივთა „საიდუმლო მყვირალა ფრაზებისა“, არამედ „ხმათა სიმაღლემდე ატანა“ (საიდუმლო მყვირალა ფრაზებისა).

„ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“, ამბობს პოეტი და ცდილობს, ტაძრის გზით წაიყვანოს გზაგამრუდებულები, რწმენას აზიაროს ღმერთისგან გაუცხოებულები. იგი ქმნის „ლოდინის სიმღერას“, „გადარჩენის ჰიმნს“.

გალაკტიონის ლექსებიდან შეიძლება მოვისმინოთ „სიხარულის ხმა, ხმა სიმართლის და სინათლის მთესი, ხმა იდუმალი, სიცოცხლის ხმა, სულის ხმა, სიყვარულის ხმა, მხურვალე ლოცვით აალებული სულის ხმა, სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში...“

სიხარული, სინათლე, იდუმალი, სიცოცხლე, სული, სიყვარული საღმრთო სახელებია (10, 4-83).

პოეტის სული ღმერთზე ლოცვებით აღმონაცენია და ამდენად მარადიული, უძლეველი: „არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს შენზე ლოცვებით აღმონაცენი“ (შემდეგაც, მაინც). ზექვეყნიური, უკვდავი ხმები ენატრებოდა პოეტს და არა პრიმიტივთა, „დაცინვა, წყრომა და ირონია“.

გალაკტიონის ლექსების უმთავრესი მახასიათებელია ლოცვა, გალობა, ვედრება. მისი ქნარი მარადიული ცეცხლის (ღმერთის) მარადიული საგალობელია: „დიდება იგი ძლიერი არი, ამაოება დროის მგმობელი, მარადის იგი ხმოვანებს ქნარი, მარადის ცეცხლის საგალობელი“.

საღვთო ჰანგების ძლევამოსილებას მიანიშნებს სტრიქონი: „და იდუმალ სიმღერაზე სულის ცეცხლად გადაქცევა“ (პოეტს).

სამყაროს ამშვენიერებს „სიცოცხლის ხმა“ (ღმერთი), რწმენა: „რა ფერადებით ჩანდა ქვეყანა, რარიგ გვეძახდნენ სიცოცხლის ხმები“ (გაუმარჯოს მებრძოლ თაობას).

„მზის ალუბლები“, სიცოცხლის, სიყვარულის სახეებში ნაგულისხმევი ღმერთი მტევნებთან (მარიამთან) ერთად თავისუფლებას და სიხარულს ანიჭებს რწმენის სასიამოვნო უღელში შებმულს: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით, გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად. მახარებს ჩემი თავისუფლება და სიყვარული მახარებს მარად“ (გადავიარეთ მრისხანე ზღვები).

გალაკტიონმა დაამკვიდრა არა მუხამბაზები, აღმოსავლური ბაიათები ან რომანსეროები, არამედ დარდის, სიკვდილის დამმარცხებელი საღვთო ჰანგები, სამოთხის ხმები, ცხოვრების ზღვაზე გადამყვანი ფრთებიანი სიმღერები: „გევედრები, გამაგონე, ის სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“ (ოდეს მძიმე რამე დარდი).

ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოდ განიმარტება ღვთისმეტყველებაში, ბიბლიაში (ნეტარი ავგუსტინე, ესაია წინასწარმეტყველი). ზღვაზე გადამყვანი სიმღერა რწმენასთან, რელიგიასთან წილნაყარი პოეზიაა.

გალაკტიონის პოეზიის მარადიულობის საიდუმლოს კიდევ და კიდევ გვიმჟღავ-

ნებს მისი განუმეორებელი მეტაფორული სახეები: „სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით, მრავალ წყურვილთა გახელებით, გაათასებით, ვთქვათ ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული, თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული...“ (მივაშუროთ).

ამ ურთულეს ფრაზაში მრავლისმეტყველი აზრია. სიცოცხლე, სიცოცხლის ჩანგი არის ქრისტეს სიმბოლო, ისევე, როგორც დღე, დღის ხმა; თასი – მარიამისა, ამჯერად ახლებური ნიუანსით – ზამბახეულით – გამრავალფეროვნებული, მიწა ცხოვრებაა, მისგან ამონთხეული ზღვა – ცოდვები. პოეტს თავის მისიად დაუსახავს, მიწიერებას, ცოდვის ტყვეობას დაუპირისპიროს ქრისტიანული რწმენა, მაღალი სულიერება.

„ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი სიყვარულის“ – საღვთო სიყვარულის აღმომჩენია გალაკტიონი (ურწმუნო მე-20 საუკუნეში ღვთის სიყვარული ისევ გასახსენებელი და აღმოსაჩენი გახდა), რომელიც დიდებისკენ შემოდგომის ყვავილებით მიემართება და მარად ახსოვს ძველი მოტივები, „ერთი შორი ოცნება“, ანუ რწმენის, ღმერთის ერთგულების ჰანგები: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან, ერთი შორი ოცნება მახსოვს ძველ მოტივიდან“ (გულო, რა გემართება?).

გალაკტიონის შემოქმედებაში ისმის „საგანთიადო ხმები“, „მომავლის ხმები“, (მშვიდობის წიგნი), „არაქაური სუნთქვა“ (ჩვენი დღის ამბებს).

ეზეკიელ წინასწარმეტყველივით, გალაკტიონს „ბროლის ცა“ ეხსნებოდა, „ბროლის ზმანება“ ევლინებოდა, ესმოდა „ბროლის რიტმი, მუსიკა“(დაბმული ჭინკა) (1, 805).

გალაკტიონი შეიგრძნობდა ქრისტეს ჯვარცმისას შემწყდარ სუნთქვას, თვალებით უსმენდა „სერაფიმთა ხმას“ (სინესთეზია), ესმოდა ქრისტესთან მარიამის გამომშვიდობების ხმები (მარიამი წარმოესახებოდა, როგორც „მგლოვიარეთა ქნარი“), ცერერას (რომაული მოსავლიანობის ღმერთი) უჩინარი ტირილი (მას გახელილი დარჩა თვალები) (1, 131).

მერე თვითვე აოცებდა ასეთი უნიკალური სმენა და კითხულობდა: „საიდან, როგორ ხმები ასეთი?“

მისი სიტყვა იყო „სიმღერათ სიმღერა“, „მუსიკა ზღვა მუსიკათა...“

და რაკი ქვესკნელ-ზესკნელის ყველა ხმა მოისმინა, უფლება ჰქონდა სამყაროს ხმებზე დირიჟორობის. პოეტი თაობებს აოცებს უბრალოებით, სიდიადით, ეროვნულობით, გამბედაობით, მშვენიერებით, ახლობელის ილუზიით, სინამდვილეში კი ძალზე შორეული და მოუხელთებელია, მაგრამ გენიალური დირიჟორისთვის ძალზე ორგანული იყო იმ სასწაულმოქმედი ხმების მოსმენა: „იყო უბრალო, მაგრამ მართალი მისი სიმღერა და სიარული და სამუდამოდ იყო ქართული მისი ჰიმნები გენიალური. ის ახლობელი იყო სულ შორი, გამბედაობით სავსე, ძლიერი, უნდა გენახათ ის დირიჟორი, უდარებელი და მშვენიერი“ (ის დირიჟორი).

დანტეს ესმოდა „სიყვარულის ხმა“, „წმინდა ნათელის“ საუბარი „სინათლისგან ხმაი მეტყველი“ (3, 374).

გალაკტიონის ხმა იყო „სიმართლის და სინათლის მთესი“.

გვაოცებს პოეტის „ბაიის ბგერა“, „ხმათ აიაზმის ნელი პკურება“, „თვალების ნოქტიურნი“, „ფიქრების ვალსი...“

„მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“, აცხადებდა გალაკ-

ტიონი, რაც ისევ და ისევ ქრისტიანულ ღმერთთან შეხმიანებაზე მიგვანიშნებს, რადგან ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10).

ცნობილია, რომ გრიგოლ ხანძთელს ესმოდა „სიხარულის ხმა“, ემოსა არა „შემწველი“, არამედ „განმანათლებელი“ ცეცხლი.

გალაკტიონი იყო სიხარულშემოსილი, ზეგარდმონათლით მოსილი, მზითშემოსილი. სიხარული, ნათელი, მზე საღმრთო სახელებია.

მის ლექსებში „მთვარის შუქთაგან შეკრებილი სიმღერებიც“ გვხიბლავს, მთვარე კი მარიამის სიმბოლურ სახელად გაიაზრება (11, 124).

პოეტმა მიაღწია ზეციურ ჰარმონიას, ახლობელ-შორეულის შეთავსებას, რაც ერთეულთა ხვედრია: „ხდება ერთად შეთავსება უცხოდ გრძნობამორეულის, რაღაც საერთო და დიდი ხმის ახლობელ-შორეულის...“

კოსმიურ, გენიალურ ჰარმონიას ნაზიარები გალაკტიონი აცხადებდა: „არცა მაქვს და არც მქონია გრძნობა უფრო მეტი, რასაც ეწოდება ჰარმონია“.

მის შემოქმედებაში „მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეული იძროდა მარად, ერთ მთლიან ჰიმნად გადაქცეული, ერთ მთლიან ქნარად“. პოეტს ესმოდა „მსოფლიო ბაგეთ“ გოდება. ამქვეყნად მზიდან მოვლენილი პოეტი ჩასწვდა საღვთო მუსიკის, ციური გალობის საიდუმლოებას, მოისმინა „ქარივით ლაღი შორეული მუსიკის ქროლვა“ (ღიაა ქალაქის ქალა) „საღვთო ბილიკებით“ მავალმა შეიგრძნო სიხარულის ღმერთის ხმა (სიშორით შენით), უფლის სიშორე სიახლოვედ განიცადა, რადგან თვითონაც მისი სულიერი ორეული იყო, პოეტის სახით მოსული დედამიწის გადასხვაფერებლად...

„შენ გაზაფხულის გფარავდა გამა“ – ასეთი განუმეორებელი მეტაფორით გამოხატავს პოეტი თავის ერთადერთობას. გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) საღმრთო სახელია. ფრაზაში ხაზი ესმება რელიგიური რწმენის მუსიკალურობასთან სინთეზირებას, რითაც ქმნის ეკლესიური საგალობლების ტოლფარდ ეფექტს.

პოეტების მეფე, ერთი მხრივ, ზეციურ ხმებს ისმენს და მას აუკვდავებს, ამასთან, მისი ხმა „შუადღის ბრწყინვალებას“ ირეკლავს, ღვთაებრივ ცეცხლს ითავსებს, უსაზღვრო ქვეყანაში იკაფავს გზას, უსაზღვრობის სიღრმე-წყლულს წვდება და „ცის ჯურღმულში“ რეკავს.

„მიძინებულ ქვეყნის გულში“ მოვლენილი ზეცის „ჰანგთ კამარა“ გაუთავისებია პოეტს, მის მიერ მოსმენილი ახალი ხმა მთვარის შუქთან, ქარბუქთან, სურნელთან არის ასოცირებული: „ახალი ხმა შემოიჭრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი და ჰანგებად დაიღვარა, ვით სურნელი, ვით ქარბუქი“.

ეს ცის ხმები „ლურჯი ორთქლივით“ აცოცხლებდა არემარეს: „თითქო ორთქლად ეფრქვეოდა არემარეს ეს ცის ხმები და სცურავდნენ ამ ლურჯ ორთქლში ვარსკვლავები, ყვავილები“.

შეცვლილი ჰანგი კი სტიქიური გრგვინვის ხმას ჰგავდა, რომელთაც წამოშალეს „ჯურღმულები და ხევები, იმედის და რწმენის ზღვაზე მოცურავე ნამსხვრევები“.

საშინელი, იდუმალი ხმის ფონზე ელვა გამოჩნდა და ლაჟვარდოვან ტბაში ვერცხლის ნავის სრიალი გაისმა. ტბაზე კი შავი ნისლის გიშერი თმა-ნაწნავი გაიშალა.

შემდეგ ჰანგთა ტალღა ისევ მომხიბლავი, ოცნებიანი, ფიქრით სავსე გახდა და მოხიბლა ზღვის ქალწულები.

უეცარი მუსიკა „შუადღის ბრწყინვალეებას“, საღვთო ცეცხლს ითავსებდა და ცისკენ მიისწაფოდა (მუსიკა უეცარი).

გალაკტიონის სიტყვა აცოცხლებს ჩამკვდარ რწმენას, შეგვაგრძნობინებს იმედის, რწმენის მსხვრევის ტრაგედიას და „შუადღის ბრწყინვალეებასავით“ გამაოგნებელია...

„არა ვაგნერის, არც მოცარტი და აღარც გრიგი, ო, კოსმიურო, ერთადერთო მძლავრო მუსიკა! ო, უსხეულო, ახლა სხეულამონაგები ამ ქაოსიდან მოევლინა ახალი მუზა ყველაფერს, რაც კი ახსნილია და გასაგები!“ – (კოსმიური ორკესტრი) (1, 241) ასე მოსავს პოეტი ზეციურ სიბრძნეს და სილამაზეს „ფიქრთა სამოსით“ (თანაც ესმის „ფიქრთა სამოსის“ შრიალი), რათა ახსნილი, გასაგები, მისაწვდომი გახადოს უზენაესი სამყაროს მისტერია.

„მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული!“ (კოშკი), აცხადებს პოეტი და მის შემოქმედებაში გამოვლენილი ანტიციპაციის უნარის კვლევა კიდევ ერთი და ცალკე საკითხია, ისევე, როგორც დემონთა ჭიანურები, ალოცება სატანის თუ ბოროტებამოძალებული მიწიერი სამყაროს ათასნაირი გნიასი...

ერთი ზეცის, ერთი ღმერთის ერთგულება იყო გალაკტიონის წარმატების საწინდარი, სხვაგვარად საშინელება და ჯოჯოხეთი იქნებოდა გამზადებული: „არ გაპატივა, შენს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი. როს დაგშორდები – ვარ მე ზედმეტი, საშინელება და ჯოჯოხეთი“ (არ გაპატივა).

მაგრამ დაუსჯელად არც ღმერთის სიყვარული შეიძლებოდა ურწმუნოთა ტირანიის ეპოქაში.

„ძველი წიგნების გვერდებს არეულს სდევს მხოლოდ წყევლა და შეჩვენება“ გვაფრთხილებს გალაკტიონი (ძველი წიგნების გვერდებს არეულს) (1, 281).

„ძველი წიგნი“ ღმერთის სიმბოლოა, შერყვნილი რწმენა კი ყოველთვის შეჩვენებით მთავრდება.

„ძველი წიგნის“ წყაროა ესაია წინასწარმეტყველი (ესაია წინასწარმეტყველი, 29, 11, 18) (7, 94).

მოდიოდა „ახალი ერესი“, ელავდა „შემოღამების ცელი“, მაგრამ პოეტის ლოცვის ხმები ახშობდა სატანურს, უზენაესის „ლოდინის სიმღერას“ აღავლენდა და „ლოცვად მუხლმოყრილი“ გრაალს ევედრებოდა, ქარში ვარდების გადარჩენას ცდილობდა.

გალაკტიონის პოეზიაში ისმის „ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი“.

გამოცხადების მიხედვით, მექნარეთა ხმის, ახალი საგალობლის შესწავლა მხოლოდ წაუბილწავთ, ღმერთისგან გამოსყიდულთ ხელეწიფებათ.

გალაკტიონი იყო „კრავის“ გამოსყიდული.

„არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს, შენზე ლოცვებით აღმონაცენი“ – მიმართავს პოეტი უზენაესს.

ლოცვის დანიშნულებაა სულის გასპეტაკება-განწმენდა.

„განწმენდის ხმა“ გვესმის ქართველი ორფეოსის ლექსებიდან. „ხმათ აიაზმის ნელი პკურების“ უწმინდესი მისია უტვირთავს მის პოეზიას.

გალაკტიონის გამორჩეულობის ერთ-ერთ გასაღებად ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ნააზრევი გვესახება: „აჰა, წყვდიადი დაფარავს ქვეყანას და ბნელი – ხალხებს, შენზე კი უფალი ინათებს და მისი დიდება გამოგეცხადება“ (ესაია, 60, 2).

თითქოს „დილის ძედ“ მოვლინებულ პოეტს ღმერთის იდუმალი ხმა ესმოდა: „ღვთის დიდების მშვენება შეიმოსე საუკუნოდ.

„მოისხი ორმაგი მოსასხამი ღვთისმიერი სიმართლისა და დაიდგი თავზე საუკუნო დიდების შარავანდი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი) (5, 1, 2) (7, 193).

„განუმეორებელი ორფეოსი ქართული სიტყვის მუსიკისა“ (კონსტანტინე გამსახურდია) მზითშემოსილი, ნათლითმოსილი, სიხარულშემოსილი და მშობლიურ ცაზე მარადიულ შუქად აალებულია...

ლიტერატურა:

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
2. Мозаика Агни йоги, Тбилиси, 1990
3. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941
4. მსოფლიო ლიტერატურა, გოეთე, რჩეული ლირიკა, თარგმანი ვახტანგ ბეწუკელის, თბ., 1972
5. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991
6. მარადი დღე, თბ., 1984
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
8. დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა, საპატრიარქოს უწყებანი, №12, 3-9 აპრილი, 2009
9. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
10. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ., 2009
11. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996

ლოცვა–ვედრება, გალობა ახალი

ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები
(გალაკტიონი)
ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი
(ტერენტი გრანელი)

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნებისთვის საბედისწერო გამოდგა ათეიზმი, ახალი კერპების ძიება ღმერთის უარყოფის ხარჯზე, გამოგონილი ბელადების, არარსებული წარმატებების ხოტბა. იდევნებოდა რწმენა, ღვთისნიერობა, სიკეთე, პოლიტიკურ დეზერტირობად ცხადდებოდა ცხოვრების საზრისის ძიება, იკრძალებოდა ეროვნულ პრობლემებზე წერა, მოვლენებისთვის ნამდვილი სახელის დარქმევა. შერისხულნი და რეპრესირებულნი იყვნენ ჭეშმარიტების მსახურნი.

მერე გაირკვა, რომ გეზსამცდარი მარქსიზმ-ლენინიზმის ხომალდი ვერასოდეს მიადგებოდა ბედნიერების ნაპირს, ხოლო უდაბნოში მოხეტიალეებს სამუდამოდ დაჰკარგვოდათ ორიენტირი.

გალაკტიონ ტაბიძის რელიგიურობა უცხო იყო ათეისტური საუკუნისთვის.

პოეტების მეფისთვის უმთავრესი იყო „პირველი სიყვარული, ტრფობა სრული, მზიანი სიყვარული, სიყვარულის სიმღერა, სიმღერათ სიმღერა“ ანუ ღვთისადმი, უზენაესისთვის აღვლენილი საგალობლები.

გალაკტიონი პოეზიას სულიწმიდით მონიჭებულ მადლად სახავდა და მხატვრული სიტყვის უპირველეს მისიას იმაში ხედავდა, რომ ხალხი წაეყვანა რწმენის, ტაძრის გზით.

ის იყო ეროვნული ტრიადის – მამული, ენა, სარწმუნოება – მსახური, უფლის ხეხილის მებაღე, უფლის ვაზის მევენახე.

დღეს ეჭვს არ იწვევს, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია. არარელიგიური კულტურა ფსევდოკულტურაა, კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო. ცივილიზაცია არარელიგიურია, ინტერნაციონალური“ (აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობის და თანამედროვე სინამდვილის შესახებ).

ათეისტური ბოლშევიზმის სავალალო შედეგებზე დაკვირვებით გამოტანილ იქნა დასკვნა: „უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნიჰილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურისმქნელი რელიგიური ჰუმანიზმისკენ“ (სემიონ ფრანკი, ნიჰილიზმის ესთეტიკა, რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ., 1994, გვ. 66).

პავლე მოციქული მოუწოდებდა რწმენის ერთგულებს: „ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 5, 19).

დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, ახალი გალობის მომმადლებელია სულიწმიდა: „და მისცა ჩემს ბაგეებს ახალი გალობა განსადიდებლად ჩვენი ღმერთისა“ (ფს. 40, 4) (1, 563).

გალაკტიონი ერთგულებდა „სრულ ტრფობას“, ძველ გზას, ძველ ღვინოს, ძველ სიყვარულს (გზა, ღვინო, სიყვარული საღმრთო სახელებია), გამუდმებით ახსოვდა „ერთი შორი ოცნება... ძველ მოტივიდან“, ანუ საღმრთო სიყვარული.

ის იბრძოდა რწმენის, სულიერების გადარჩენისათვის. მისი ცხოვრება სულის გამუდმებული ღვიძილი იყო, ზნეობრივი სიწმინდით, ლოცვა-ვედრებით ღმერთთან მიახლოების სურვილი, უზენაესისადმი აღვლენილი უებრო საგალობლებით გატაცება.

არეოპაგიტიკის მიხედვით, ღმერთის ხილვა, სულიერი განწმენდა ლოცვით არის შესაძლებელი: „... ხოლო ჩუენ თავთა ჩვენთა ლოცვით აღვიყვანებით უმაღლესთა მიმართ აღხილვათა საღმრთოისა შარავანდედთა“ (პეტრე იბერი/ფსევდოდიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961, გვ. 226, 10).

„ლოცვათა ფრთა, უბიწო ლოცვა, ლოცვის სათნოება, მდუმარე ლოცვა“ იქცევს ყურადღებას იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“, ლოცვის ფრთა კი სარწმუნოებაა: „სარწმუნოება ფრთოვან ჰყოფს ლოცვასა და უმისოდ ზეცად ვერ ძალუც აღსლვად იმას“ (გვ. 231).

ლუდვიგ ფოიერბახის „ქრისტიანობის არსებაში“ არის სპეციალური თავი – „გრძნობის ყოვლისშემძლეობა ანუ ლოცვის საიდუმლო“, რომელშიც ნათქვამია: „განა რა არის ლოცვა, თუ არა სურვილი გულისა, იმ ღრმა რწმენით გამოხატული,

რომ იგი ასრულდება? ლოცვა ცვლის ბუნების მსვლელობას, ლოცვა განსაზღვრავს და იწვევს ღმერთის მოქმედებას... ლოცვაში ადამიანი ივიწყებს, რომ არსებობს ზღუდეები მისი სურვილისა და ამ დავიწყებაში იგი ნეტარია, ბედნიერია“ (გვ. 169).

დიდი გერმანელი პოეტი რაინერ მარია რილკე წერდა: „ლოცვა უეცრად აალებული ჩვენი ყოფიერების გაბრწყინებაა – თავად ლოცვაა შემოქმედება“ (წერილები).

ფრანც კაფკას თქმით კი, „წერა თავისებური სულების შელოცვაა... პოეზია გვაღვიძებს ჩვენ... პოეზია ლოცვას ჩამოჰგავს...“

ლოცულობდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები, შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა.

მეფისტოფელის საუკუნეში კი პროლეტარული პოეზიის პრიმიტივებმა „დაცინვა, წყრომა და ირონია“ (გალაკტიონი) დაუპირისპირეს უმაღლეს სიბრძნეს, ამიტომაც „დაეცა ლოცვა და პოეზია“ (ალექსანდრე აბაშელი).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში გრძელდება ჩვენი კლასიკური ლირიკის საუკეთესო ტრადიციები, პოეტის რელიგიურობაზე წარმოდგენას გვიქმნის ბიბლიური, სახარებისეული თემები, ეპიზოდები, სახეები, იგავები, საღვთო სახელები. მის ლექსებში მოქმედება ხდება სიონში, ტაძარში, სამრეკლოსთან, საკურთხეველთან, უმანკო ჩასახების მამათა სავანეში.

პოეტი დაეძებს „წმინდა ნათელს“, ლოცულობს მარადიული მშვენიერებისთვის: „მშვენება, სული და სილამაზე ჩვენს ლოცვაშია, მუდამ რომ ჰგიეს“ (ავე მარია).

მხოლოდ ლოცვის სიმხურვალეში ისმის სულის (ღმერთის) ხმა: „გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება, ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“ (ლურჯა ცხენები).

„პირველი ტრფობისათვის“ (ღმერთისთვის) აღავლენს გასაკვირველ ლოცვას, ვარსკვლავებით (ვარსკვლავი საღმრთო სახელია) „სწირავს“: „ვარსკვლავებით მწირველი, ლოცვა გასაკვირველი, ასეთია პირველი ტრფობის ინტერვალები“ (ვიოლეს).

გალაკტიონი წუხდა, რომ დაიკარგა და აიკრძალა საღვთო ჰანგები, „სიმღერათ სიმღერა“, მაგრამ იგი მზად იყო ისევ ძველებურად ელოცა და რწმენის ჩირაღდნები აენთო: „რად ჩაქრა სიმღერათ სიმღერა მჩქეფარე? ავანთებ ჩირაღდნებს და ლოცვად დავდგები“ (ტრიოლეტები).

„დომინოში“ გაისმის „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება“.

გალაკტიონი იყო საღვთო შინაარსის ლექსების – „გაზელების“ ოსტატი, „მგოსანი სასახლის“ (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში). სასახლე საღმრთო სახელია, ე.ი. პოეტის მისიაა ქრისტიანობის მსახურება, მხატვრული სიტყვით რელიგიური მოტივების გაშუქება.

„იდუმალი ლოცვა ბაგისა“ გვესმის ლექსში „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“.

„შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელცოდვილს ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს“, ევედრება პოეტი „უმანკო ნათელს“, სასწაულს-ღმერთს (სასწაულს).

„ციურ ალერსზე“ აღვლენილია ვედრება ლექსში „სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს“.

გალაკტიონის ქნარი იყო „მარადის ცეცხლის“ (ღმერთის) საგალობელი: „მარადის იგი ხმოვანებს ქნარი, მარადის ცეცხლის საგალობელი“ (პოეტს).

გულში დაუნჯებული ვედრების ზღვა იასამანთა გროვასთან არის ასოცირებული: „იასამანთა გროვად გროვდება გულში ვედრების ზღვა ნელინელი“ (პარალელი).

გალაკტიონი „ჩვეულ გალობას“ არ სწყალობდა, მისი მიზანი იყო „ლურჯი სტანდარტის“ დაძლევა, პოეზიის ახალი, „სხვა კართაგენის“ აგება: „სასტიკი იყო ჩემი დემონი, ვერ ითვისებდა ჩვეულ გალობას, ანგელოზები უედემონი ტიროდნენ გზათა მიუვალობას“ (918).

ტაძრისკენ სვლისას ლოცვის, ზარის ხმა ესმოდა: „ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი, იყო საღამო, ლოცვები, ზარი“ (ედგარი მესამედ).

ლექსში „გვიანი ოცნება“ ყურადსაღებია „წიგნი ვედრებიანი, ალოცება სატანის“.

ბნელ ღამეში, დაბნელებული მთის (მთა მარიამის სიმბოლური სახელია) ფონზე ქართან შებრძოლებულ პოეტს მიზნად დაუსახავს ვარდის (ვარდი საღმრთო სახელია) გადარჩენა, რწმენის ქადაგება, ღმერთის ლოდინის სიმღერების შექმნა: „ვით ლოცვა, ედება საღამო მთის კალთებს, შორს ქარი გაჰკივის, ბნელდება თანდათან. მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს და შენი ლოდინის სიმღერას გავატან“ (ლოცვისთვის).

გალაკტიონის ღვთიური ჰანგები აიაზმასავით მოესხურა ღმერთსმოწყურებულთა სულებს, მოემსახურა რწმენას, პოეტმა შექმნა „გადარჩენის ჰიმნი“, უმღერა „გადარჩენის ბედნიერებას“, რადგან დარწმუნებული იყო, რომ, აკრძალვების მიუხედავად, ხალხი მაინც მიუბრუნდებოდა ტაძრის გზას.

პოეტს ეიმედებოდა უზენაესზე ლოცვით გაღვიძებული და გაზრდილი სულის მარადიულობა: „არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს შენზე ლოცვებით აღმონაცენი. ის თვით სიკვდილის შემდეგაც, მაინც, სამარადისოდ შენია, შენი“ (შემდეგაც, მაინც).

„ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“ – ასეთი მავედრებელია პოეტის სული, რომელსაც უმაღლესი განწმენდისათვის მიუღწევია, რადგან გრაალი სულიწმინდის სიმბოლოდ მიიჩნევა.

„მზეო თიბათვისა!“ „დედაო ღვთისავ!“ ასეთი უზენაესი სახეებია პოეტის მხურვალე ვედრების საგანი.

თავის განსაკუთრებულობას გალაკტიონი უმაღლესი სიწმინდის ხატის საშუალებით წარმოაჩენდა: „ეხლა მარტოდმარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია“.

გალაკტიონი ღმერთის, ტაძრის გზაზე მიუძღვებოდა ხალხს და გამოცხადების წაუბილწავთა დარად, სულისშემძვრელ საღვთო ჰანგებზე გალობდა.

მას უფლება ჰქონდა, სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქულის სიტყვები გაემეორებინა: „კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე. ახლა კი მიმელის სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს იმ დღეს უფალი, მართალთა მსაჯული“ (პავლე მოციქული, II ტიმოთე, 4, 7, 8).

შემოქმედება – „აღმოჩენა“, „გამოგონება“, „შექმნა“

გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკური შეხედულებები ახალი ეტაპია ესთეტიკური აზრის განვითარებაში საერთოდ. პოეტი ავსებს და ამდიდრებს მოდერნიზმის ესთეტიკას, შემოქმედების ფსიქოლოგიას და ფილოსოფიას. გალაკტიონი ენის, ქართული ლექსის ახალი შესაძლებლობების აღმომჩენია, ფიქრთა, გრძნობათა, სულიერი ცხოვრების დიდი მესაიდუმლე.

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის უმთავრესი ნიშანია მოვლენათა დანახვა ახლებურად. „სიახლის ნიაღვარი“, „ყოველი დღის მარადისი სიახლე“ იყო პოეტის დევიზი, სიახლეს კი განაპირობებდა შემოქმედის განწყობილებათა ცვალებადობა, საგანთა ხილვა არა სტატიკურობასა და ერთ ჭრილში, არამედ მრავალნაირ განასერში. ერთი შეხედვით ერთფეროვან მოვლენებშიც კი არაჩვეულებრივ ნიუანსებს ავლენდა მისი გენია, ნათელმხილველის მზერა.

„ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ პოეტი „ხმათა აღორძინებას“, „ხმათა განახლებას“ ისახავდა მიზნად და ჩვეულებრივი მზერისათვის მიუწვდომელს, შეუცნობელს ეძებდა: „... როგორც ასომთავრულს, მუდამ შევამჩნევ ცაზე სხვისთვის უხილავ-ფარულს“.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს შემოქმედების გააზრება გალაკტიონის ლექსებისა და წერილების მიხედვით.

ცნობილია, რომ ჭეშმარიტი შემოქმედების არსი პირველაღმოჩენა და პირველშექმნაა, შემოქმედება კი განუმეორებელი ბუნების მოვლენაა.

შემოქმედება ახლის შექმნაა და არსებობს ამ სიახლის სამგვარი გაგება, რომელთა მიმართ შემოქმედების ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში სამგვარი ტერმინი გამოიყენება: „აღმოჩენა“, „გამოგონება“, „შექმნა“.

გალაკტიონი ამ ტერმინებით ცდილობს შემოქმედების არსის გაცნობიერებას.

ადამიანური ყოფიერების, სულიერი ცხოვრების ჯერაც შეუღწეველ სიღრმეში შეჭრა, ახალი ფორმალური საშუალებების მიგნება პოეტს საფუძველს აძლევს თავის პოეტურ მიღწევებს აღმოჩენა უწოდოს: „აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი“ (დადგა აგვისტო). ხოლო „ჯერ ყველასგან მიუკვლეველი სიყვარულის“ აღმოჩენა გულისხმობს ღმერთის სიყვარულს, კოსმოსური მასშტაბის ჰუმანიზმს, რომლის გარეშეც არ არსებობს სრულფასოვანი ხელოვნება.

პოეზიამ, ხელოვნებამ, ჰუმანური პოზიციებიდან უპირველესად ადამიანი, მისი მრავალფეროვანი არსი უნდა აღმოაჩინოს: „ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება“ – შეგვახსენებს პოეტი.

პოლ ვალერი წერდა: „მე იმისთვის ვარსებობ, რომ რაღაცას მივაკვლიო. მწერლობა ჩემთვის არაფერია, თუკი აღმოჩენის შთაბეჭდილებას არ ახდენს ჩემზე“ (1, 291).

აღმოჩენა, პოვნა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სიდიადის უმთავრესი მახასიათებელია. „გულის ახლოს“ აღმოჩენილი „ახალი მხარე“ ფიქრთა, გრძნობათა საიდუმლოებია, „გრძნობათა მეცნიერების“ დონეზე აყვანილი და ეროვნულ ძირებთან დაკავშირებული.

გალაკტიონისათვის მთავარია თანამედროვეობის პრობლემების შეცნობა, ეპოქის შესაფერისი სიახლეების აღმოჩენა: „საუკეთესო ახალში ვცხრებით, ვიპოვეთ... თანამედროვე ცხოვრების გრძნობა, მუდამ მართალი, მუდამ ხანგრძლივი“ (სტანსები).

გალაკტიონს უფლება ჰქონდა ეთქვა: „ამ წიგნში მთელი საუკუნის ვიპოვე ბინა“.

პოეტმა მართლაც შეძლო „ქართული პოეტური სულის ახალი აღმოჩენა“(2, 195).

გალაკტიონ ტაბიძე უდიდეს ძიებებს მიმართავდა აგრეთვე „ახალი ფორმების აღმოჩენისათვის“.

მის შემოქმედებაში მრავალგზის არის აქცენტირებული ცნება „შექმნა“: „ვიყოთ, ვიმღეროთ, შევქმნათ“ (წიგნი).

„შექმნა“ მხატვრული შემოქმედების სფეროში მოვლენათა არსის შეცნობას, ახალი მხატვრული რეალობის დამკვიდრებას გულისხმობს: „მე მინდა ჩანგი ხმაურობდეს კვლავ აღტაცებით, რომ შექმნას დიდი ისტორია უახლეს გრძნობის“ (ტყვარჩელთან).

ხელოვნების მიზანი დიადის შექმნაა (რომ შექმნა რამე დიადი).

დიადი კი არ არსებობს დროსთან კავშირის გარეშე, გალაკტიონის სიმღერები „საუკუნეთგან შექმნილი სიმღერებია“.

გოეთეს შემოქმედებითი ყოვლისშემძლეობის ადამიანი ღმერთის ადგილს იჭერს და ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნის უნარითაა მომადლებული: „აწ აღარ მართებს ალაჰს ქმედება, ჩვენ თავადაც ვქმნით სამყაროს მისას“.

შემოქმედებითი ექსტაზი ათქმევინებს გალაკტიონს: „ახლა ყველაფერს, ყველაფერს ვქმნი ახალი ღმერთი“ (წუთი).

ხელოვნების მაგიური ძალით განმღრთობილი პოეტი მთელი სამყაროს, ბედისწერის მეუფეა, რომელიც ტრაფარეტის დარღვევით, ჩვეულებრივი ადამიანისათვის დაწესებული საზღვრების მიღმა მიისწრაფის (ბედს იქით).

გალაკტიონი ფატალურად გაგებულ ბედს პოეზიით სძლევდა, მისთვის ბედი გარდუვალობა, ფატალურობა როდი იყო (მე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი).

თუ გოეთესთან კაცს ძალუძს „აქციოს წამი წარუდინებლად“, გალაკტიონთან პოეტი თვით არის „უდროობის გმირი“.

გალაკტიონის აზრით, პოეზია გამოგონებაა, მიგნებაა, მისი ღირსება განუმეორებლობასა და შემოქმედებით ინდივიდუალობაშია: „ეხლანდელი პოეტიც გამომგონებელია, იქ ზოლივით იშლება მიგნებათა მორევი, იქ არ გამოიხარებს გრძნობა ნამეორევი“ (თითოეული პოეტი).

გამოგონება, გალაკტიონის აზრით, ტრადიციების შემოქმედებითი ათვისების ბაზაზე უნდა ხდებოდეს: „გამოყენებულ იქნას ყველა წინანდელი გამოცდილება, ეს იქნება მტკიცე საძირკველი“ (3, 450).

ცნობილია, რომ „მხატვრული გამონაგონი მხატვრული ასახვის კანონიერი ელემენტია და იგი ასახვის სისწორეს ხელს არ უშლის“ (4, 37).

ერნესტ ჰემინგუეი ამბობს: „თუკი რამ დაწერილა კარგი, ყველაფერი შეთხზული და წარმოსახვითია. სიმართლედ სწორედ ამიტომ იქცევა. თუკი რამ კარგი დაუწერია, ყველაფერი გამონაგონი იყო“ (5, 4).

კონსტანტინე გამსახურდიას გამონაგონისა და სინამდვილის კავშირი ასე წარმოუდგენია: „მწერალი, პოეტი, მეცნიერისაგან განსხვავდება ერთი უმთავრესი ნი-

ჭით. ამ ნიჭს ეწოდება ფანტაზია... მაგრამ პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწიერების ნელსურნელება არ დაჰკრავს“ (6, 473).

პოლ ვალერი ყურადღებას ამახვილებდა – „მოცემულის დანაწევრებასა, რეალობის ხელახალ კომბინირებასა და ამ სიახლის თავიდან აღმოჩენასა და გამოგონებაზე“ (1, 283).

გამოგონება და აღმოჩენა ორი სხვადასხვა შემოქმედებითი პრინციპია, რომელთაც წარმატებით ფლობდა გალაკტიონი. ზოგჯერ იგი ამ პრინციპების სინთეზირებასაც ახდენდა.

მაგრამ გამოგონებას თავისი კანონზომიერება გააჩნია, ზომიერების ბეწვის ხიდი თუ წარმატებით არ იქნა გავლილი, შეიძლება გამოგონება ფორმალისტურ ვარჯიშში გადაიზარდოს: „გვერდი უნდა აეაროს ახალ გამოგონებათა სიმრავლეს, ეს ღლის მკითხველს, გასაგები სიახლე აუცილებელია და მკითხველისათვის სასიამოვნო“ – ასკვნის გალაკტიონი (3, 449).

პოეტის შეხედულებით, „ყველაზე დიდი გენია ფანტაზიაა, ფანტაზიის მერანზე მჯდარი ყველგან იმოგზაურებ, ფანტაზია „ტიტანური ანგელოზია“ (7, 182-183).

გენია ფანტაზიით ქმნის ახალს, განწყობის რეალიზაციის გზით.

ცნობილია გალაკტიონის მიერ „ზეშთაგონების“ შრომასთან დაკავშირება, ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთმიმართებაზე რეალისტური შეხედულება (ლირიკა).

აღმოჩენის, გამოგონების, შექმნის ცნებებს უკავშირდება გალაკტიონის შემოქმედებაში მეტაფორული თქმები: „ახალი კართაგენის აგება“, „მოულოდნელად აღმოჩენილი კაპიტალი“, „მილიონების, მილიარდების პოვნა“, ხოლო „საკუთარი შტამპით მოჭრილი ოქრო“ საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის რწმენაა.

შემოქმედების მიზანია შეიმეცნოს და გამოსახოს ობიექტური ღირებულება. პოეზიის სფეროში ეს ობიექტური ღირებულება მშვენიერებაა, ჭეშმარიტი ხელოვნება ამ ობიექტურ მშვენიერებას მხატვრულ სახეებში ასხამს ხორცს. გალაკტიონი დაეძებდა „უმაღლეს აზრით სავსე სილამაზეს“.

გალაკტიონის პოეტურ კრედოს წარმართავდა ტრიადა: „მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“, „მშვენება, გრძნობა და სილამაზე“, ჭეშმარიტებასთან დაკავშირებული სილამაზის გაუკვდავება იყო გალაკტიონის იდეალი:

„კვდომა ბუნების წესია, მაგრამ ჩემს გულში ასეა,

ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ლამაზია“ (იმ სივრცეს).

მშვენიერება ჭეშმარიტებასთან არის დაკავშირებული: „ჭეშმარიტებათ ძიება და გამოვლინებაა“ პოეზიის მიზანი (საუბარი ლირიკის შესახებ).

გოეთეს თქმით „დიადი აზრი ჭეშმარიტების, რაიც იფერებს სამკაულად მხოლოდ მშვენიერს“ (ხელოვანთა ჰიმნი) (8, 48-49).

გალაკტიონის აზრით, ხელოვნების მშვენიერება სინამდვილეზე მაღლა დგას, იგი „ჩვენს მიმკრთალ ცხადზე უფრო წარმტაცი და დიდებულია“, რადგან „მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზე და სინარნარე“ მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია შექმნას (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) „მშვენიერება ყველაფერს ნიშნავს, მხნედ მოარული“.

„მშვენიერებას რომელი დიდი ქალაქი შეედრება, ან პირამიდა? – კითხულობდა ბოდლერი“ (9, 85).

გალაკტიონის პოეზია გვიცნობიერებს, „ლამაზის“, „მშვენიერის“, „უკვდავის“ კატეგორიებს. ლამაზი ფორმა ჭეშმარიტ აზრთან შეთანხმებით მშვენიერებად იქცევა, მშვენიერი კი თაობათა ესთეტიკურ იდეალად, უკვდავად, „უკვდავება კი არ არსებობს უსიყვარულოდ“. ამასთან, მშვენიერებაზე მეუფების უნარი გულისხმობს „სუფთა სინდისს“. მშვენიერების, ჭეშმარიტების და სიკეთის დაკავშირებით გალაკტიონი კლასიკური ფილოსოფიის ხაზს აგრძელებს.

უდიადესი მიზნები ვერ წარმოიდგინება გამბედაობის, სითამამისა და თავისუფლების გარეშე. გამოყოფს რა თავისუფლების მრავალ ასპექტს, გალაკტიონისთვის მთავარია ხელოვნების თავისუფლება, ამასთან, „კეთილშობილება უმაღლესი თავისუფლების გრძნობაში“ (3, 86).

გალაკტიონის პოეტური თავისუფლება გულისხმობს არამარტო ფორმალურ სიახლეს, არამედ აზროვნების თავისუფლებას, მოვლენათა ახლებურ ჭრილში ხილვას, განსხვავებულ ასპექტებს. მისი თავისუფლება ტრადიციებისა და ინდივიდუალობის სწორი გაგების, სულიერი თვითმყოფობისა და ეპოქის მოთხოვნილებების თანხვედრით ორიენტირებული თავისუფლებაა და არა თავნებობა.

ცნობილია, რომ გოეთე მხოლოდ ზომიერებითა და წესით განსაზღვრულ თავისუფლებას ცნობდა: „დასაზღვრის ნიჭი გამოავლენს დაოსტატებას და მხოლოდ წესი მოგვანიჭებს თავისუფლებას“ (ბუნება და ხელოვნება).

პოეტური თავისუფლება ნიშნავს უნარს – სიტყვას, გარდა კომუნიკაციური ფუნქციისა, მიანიჭო ფერი, მუსიკალობა, შექმნა ურთულესი სინთეზი, გალაკტიონის თქმით, „სახება დიდი ერთიანობის“, რასაც გოეთე „მრავალთ ერთობას“ უწოდებდა.

გენიალობას უკავშირდება ანტიციპაცია. ინტუიციურ წვდომას, მიხვედრას, უეცარ ხილვას გალაკტიონი „განათების წამს“, „ხილვის ტაროსს“ უწოდებს. წინასწარმეტყველებას უკავშირებს პოეტი გრძნობისეული და ინტელექტუალური ინტუიციის ერთობლივ მოქმედებას: „მიყვარს მომავალი დღის წინასწარმეტყველება. ვიცი, თუ რა მოხდება წინასწარ ქადაგება, წინასწარის მთქმელია წინასწარი განჭვრეტა“.

ცნობილია გოეთეს სიტყვები, ნათქვამი ეკერმანთან: „მე რომ ანტიციპაციის მეშვეობით მთელი სამყარო უკვე ჩემს თავში არ მენახა, ჩემი გახელილი თვალები ბრმა იქნებოდნენ“. გოეთეს პოეზია ვერ წარმოედგინა ამ გრძნობის გარეშე: „მაღალთა სულთა წინასწარგრძნობა მარად ყოფილა მოწოდება უზენაესი“ (ანდერძი).

„წინაგრძნობათა ნიაღვარი“, „წინაგრძნობათა ნაკადი“ ხშირად იჩენდა თავს ალექსანდრ ბლოკის პოეზიასა და წერილებში.

ლომბროზო წერდა: „გენიოსი ფლობს იმის მიხვედრის უნარს, რაც მისთვის სავსებით არ არის ცნობილი. მაგალითად, გოეთე დაწვრილებით აღწერდა იტალიას ისე, რომ არ ენახა იგი“ (10, 168).

საოცარი და უცდომელი ანტიციპაციის წყალობით გალაკტიონმა წინასწარ განჭვრიტა მეორე მსოფლიო ომი, რეპრესიები, ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარების გზები, საკუთარი პოეტური მომავალი.

გალაკტიონი ინტელექტისა და ემოციის ორგანულ ერთიანობას იცავდა, „გულისა და გონების ძალას“ ერთდროულად აღიარებდა. პოეტის აზრით, „გრძნობა... დიდი ხიდეა, აზრთან ბჭით გადამკირველი“ (მოდის).

ჭეშმარიტი შემოქმედება ესთეტიკური გამოსახვის, შემეცნების ახალი საფეხურია, არსებობს სიახლის სამგვარი გაგება: სიახლის სუბიექტური განცდა, სიახლე რომელიმე კულტურული რეგიონის თვალსაზრისით და სიახლე ობიექტურად,

მსოფლიო პოეზიის პირველმინაღწევარი (11, 39-41).

გალაკტიონის სიახლე ობიექტური სიახლეა, საკაცობრიო კულტურის განუმეორებელი ნაკადი. იგი გამგრძელებელი კი არა, თვით იყო შემქმნელი და მონაწილე გლობალური პოეტური პროცესების, ამიტომაც ამბობდა: „მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“.

„გალაკტიონი ხშირად განიცდიდა დიდი აღმოჩენებით გამოწვეულ ბედნიერებას, იმდენად ბევრჯერ, რომ ჩვენ ოდისევსივით ხანგრძლივი ხეტიალი მოგვიწევს მის სამყაროში, რათა გავამთლიანოთ პოეტის მიერ აღმოჩენილი იმედის მდინარეები“ (12, 422).

ლიტერატურა:

1. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983
2. გიორგი მერკვილაძე, ფიქრები პოეზიაზე, თბ., 1971
3. გალაკტიონ ტაბიძე, ტ. 12, თბ., 1975
4. ნიკო ჭავჭავაძე, ესთეტიკის საკითხები, თბ., 1958
5. ერნესტ ჰემინგუეი, მწერლობის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1981, №14
6. კონსტანტინე გამსახურდია, ტ. VIII, თბ., 1959
7. ნიკა აგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ., 1974
8. გერმანული ფილოსოფიური ლირიკა, თბ., 1981
9. ფრანგი პოეტები, თბ., 1984
10. Ч. Ломброзо, Гениальность и помешательство, М., 1895
11. ოთარ ტაბიძე, შემოქმედების არსი, თბ., 1980
12. ჯანსუღ ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ., 1983

ორფეოსი, დემონი, დიონისე გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ნათლად ვლინდება მსოფლიო კულტურის ამა თუ იმ ეპოქისადმი ინტერესი, გლობალური პოეტური მასშტაბები.

გალაკტიონისათვის თანაბრად საინტერესო იყო კაცობრიობის აზრის აღორძინების ყველა მნიშვნელოვანი ეპოქა, ყველა დროის ღირებული მონაპოვარი. პოეტის „ურთულეს ბრძოლის მიზანი საკაცობრიო იდეაა“, მას აინტერესებს თავისი და საერთოდ, ქართული კულტურის წვლილი „მსოფლიო ქნართან“ და როგორც ტოლი – ტოლს, ისე ეპაექრება ანტიკურ და შუა საუკუნეების ეპოქას, რენესანსს, XIX, XX საუკუნეების პოეტურ გიგანტებს და თავისი პოეზია ნაადრევი აღორძინების, შოთა რუსთაველის მემკვიდრეობის ღირსეულ გაგრძელებად ესახება.

ცნობილია, რომ რუსი სიმბოლისტებისათვის არსებითი იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ალტერნატივა, ხოლო ქართველი სიმბოლისტების ერთმა ჯგუფმა წამოაყენა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურის სინთეზის თეორია.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია არა მხოლოდ ამ სინთეზს გულისმობს, მისი „პოე-

ტური უნივერსალიზმი“ (აკაკი გაწერელია), „კლასიკური უნივერსალიზმი“ (გიორგი გაჩეჩილაძე) ეკლექტიზმის გარეშე ითავსებს ყოველივე საუკეთესოს, რაც კაცობრიობას შეუქმნია.

თუ გოეთესთან „პოლუსი ეხება პოლუსს“, გალაკტიონს სურს მოიხილოს პოეზიის „ყველა პოლუსი“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს, ნიავი, ია, ნარგიზი).

პოეტის „სული დაეძებს უშორეს ხაზებს“ და იქნებ ამიტომაც უწოდებს თავის თავს მოგზაურს, „მგზავრ პოეტს“.

გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკურ კრედოს უშუალო კავშირი აქვს ანტიკური სამყაროდან მომდინარე მთელ რიგ ცნებებთან, სახეებთან, ანტიკურ სახეებს პოეტი მიმართავს, როგორც აზრის ღრმად გამოთქმის საშუალებას...

გალაკტიონმა „პოეტურად კვლავ გააცოცხლა ეგზოტიკაში გადასული ანტიკური ქვეყანა, მაგრამ ეს უფრო ოსტატობის, ორიგინალობის, ხშირად აზრის მხატვრული გაფორმების, მკაფიოდ გამოთქმის მიზანს ისახავს, ვიდრე ანტიკის პოეტურ გაცოცხლებას, ამიტომ ანტიკა მის ხელში უფრო მხატვრული კომპონენტია, ვიდრე თემატიკა, კომპონენტი, რომელმაც აზრი მხატვრული სრულყოფილებით უნდა გააგნოს“ (1, 155).

ანტიკური სახეები გალაკტიონის შემოქმედებაში შეიმჩნევა ადრეც და გვიანდელ ეტაპზეც.

თანაც „გ. ტაბიძის პოეზიაში ანტიკური ასოციაციები ხან უშუალოა და ხან გაშუალებულია რომანტიკული, პარნასული და სიმბოლისტური პოეზიით, რომელთა შეხება ანტიკურ სამყაროსთან მეტად თვალსაჩინოა“ (2, 53).

ანტიკური ცნებები და სახეები ჩვენ უპირატესად გალაკტიონის ესთეტიკურ კონცეფციასთან ასპექტში გვაინტერესებს. ორფეოსის, დემონის, დიონისეს, ერატოს, იუნონას, აქტეონის, მუზას, ნიმფას გარეშე ვერ მოიაზრება გალაკტიონის ყოვლისმომცველი პოეტური გენია.

გალაკტიონ ტაბიძისთვის ელადა ფორმისა და შინაარსის მიუწვდომელი იდეალი იყო: „ელადა, ელადა! აქ სული ატარებს თვის მსუბუქ სამოსელს“ (შიშველი). პოეტისათვის მარადიული შთაგონების წყაროა „ოქროს დროება“, ჰომეროსის სამყარო, მისი „სირთულე და სიუბრალოე“, გალაკტიონს იზიდავს მუზების შეურხეველი სავანე, თეთრი დემეტრა (სად ელინელთა მთაა გიმმეტი).

გალაკტიონის აზრით, „ვეფხისტყაოსანიც“ ელადის სიდიადესთან წილნაყარია, რომელშიც „შრიალებს ფრთები ელადათა სიბრძნის დემონის“.

ცნობილია, რომ გალაკტიონის პოეზია სიტყვის მუსიკალობის მხრივ უნიკალური ფენომენია. ამ ცნების ქვეშ იგულისმება არა მხოლოდ თემის მელოდიური გააზრება, ახალი ხერხებით სიტყვების მუსიკალური შეწყობა, მეტყველების სპეციფიკური მანერა, არამედ ადამიანის სულის, სამყაროს, საგნების საოცარი მუსიკის, „კოსმიური მუსიკის“ წვდომა. პოეტის შინა სამყაროც გარესამყაროს საოცარ მუსიკას ეხმაურება.

„აზრისა და ხმის შეხამება“, „აზრისა და მუსიკის“ გამთლიანება იყო გალაკტიონის სინთეტური პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა. მისი ლირიკა „მუსიკალური აკორდების მძლავრი სიახლით“ გამოირჩეოდა, პოეტის „ასი ათასის სმენა“ ჯერ გაუგონარს, ჯერ განუცდელს გვაზიარებდა, ეს იყო „ხმათა აღორძინება“, „ხმათა განახლება“. ბუნებრივია, ბერძნული მითოლოგიის ლეგენდარული მომღერალი ორფეოსი ჯადოსნური მუსიკალობის გამო იყო გალაკტიონის იდეალი:

„ორფეოსს ხალხი მიაწერდა მაგიურ ძალას,
ის სიმღერებით სძრავდა კლდეებს, ტყესა და ჭალას,
აჯადოებდა თვით უგულოთ, ღმერთებს ძლიერებს,
ლირიკა მისი მხეცებსაც კი ათვინიერებს“ (საუბარი ლირიკის შესახებ).

მართებულია ირაკლი კენჭოშვილის აზრი, რომ „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი როგორც მინდა“ – მითიური მგოსნის ორფეოსის პოზაა“ (2, 57).

ამ ასპექტში გალაკტიონის შეუდარებელი გენია ორფეოსს გვაგონებს, თვით პოეტის ლირიკაა ადრესატი სიტყვების: „ქვებს, ბალახებს დაატკბობს ჰანგი თავისებური, მკაცრი, მაგრამ ლამაზი, ნაზი, მაგრამ ველური“.

გალაკტიონ ტაბიძე კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, იყო „განუმეორებელი ორფეოსი ქართული სიტყვის მუსიკისა“ (3, 37).

თავისი მუსიკის კოსმიური მასშტაბები, „ტიტანური ლტოლვა“ კარგად ჰქონდა გალაკტიონს გაცნობიერებული:

„შენი სიმღერით აღტაცებული
ცისკარი, ნისლით თხემზე რომ იწვა
გადმოექანა, როგორც თეთრი ზღვა
და ფანტომებად დადნა, დაიწვა.“
(გულს მიეც სული და დაიქუხებს
სიმღერის ლტოლვა ტიტანიური). ცხადია, სიმბოლიზმის ფარგლებში ვერ ეტევა სიტყვის მუსიკალური ოსტატობის ის დონე, რასაც გალაკტიონმა მიაღწია, იგი შეიძლება მხოლოდ ორფეოსის მაგიურ მუსიკას, რუსთაველის „ენამზეობას“ შეადარო.

ლექსი „როცა აქტეონი, ძეი არისტეას“ ეხება გენიალობის სევდას, ნიჭი გააზრებულია, როგორც უდიდესი ტვირთი და სასჯელი, ეს ჩანაფიქრი გაშლილია არტემიდას მიერ დასჯილი ლეგენდარული აქტეონის მაგალითზე.

ფილოსოფიური რეფლექსიით განაწამები პოეტი ზოგჯერ „მსუბუქ ქნარს“, მწყემსური სიმღერების შემქმნელ ლეგენდარულ დაფნისს შენატრის და იგი წარმოუდგენია „დაღალულ სულთა მკურნალად“.

გალაკტიონისთვის მახლობელია მიწის, მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი დემეტრა (რომაული ცერერა), რადგან პოეტისათვის „ორი სიმღერიდან“ უფრო არსებითია მიწის ჰანგი:

„ჩემმა სიმღერამ შეაერთა ორი სიმღერა,
რომ ძირითადად დარჩეს მიწის მქუხარე ჰანგი“ (ორი სიმღერა).

დიდია გალაკტიონ ტაბიძის ინტერესი წვიმის, მოსავლისა და გამარჯვების მომნიჭებელი ღმერთის – იუნონასადმი. პოეტი ელის იუნონას, რათა უცნობი, გაუგონარი, დაფარული აამეტყველოს (ახალ წლის ღამეს). მას იზიდავს ლირიკული პოეზიის მუზა – ერატო, „ყრუ-მუნჯ სატანას“, „სიჩუმედ მყოფ ამაოებას“ უპირისპირდება „იუნონას სიჩუმე“, „ერასტოს მდუმარება“, რადგან ესაა უხილავ-ფარული ძიებებით აღზევებული, სულიერ სფეროში ჩაღრმავებული შთაგონებული პოეტის ჭეშმარიტი ქმედება, სიტყვის პოვნა.

ჰეტერას ლეგენდის გამოყენებით კი ცხოვრებისა და ხელოვნების შესახებ რეალისტურ შეხედულებას ავითარებს, პოეტი მუზას, ზეშთაგონებას, რომელსაც შრომას უკავშირებს (ლირიკა).

გალაკტიონის პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა დემონის მრავალმნიშვნელოვან

გააზრებას. ამ ცნებას მნიშვნელობა აქვს სამყაროსთან პოეტის დამოკიდებულების გასარკვევადაც.

გალაკტიონის დემონს ლერმონტოვის დემონს უკავშირებს როლანდ ბურჭულაძე (4), რევაზ თვარაძე კი მწიგნობრული გავლენებით ხსნის დემონურ მოტივებს არტისტული ყვავილების ავტორის პოეზიაში (5).

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, დემონი კეთილი ან ბოროტი ღვთაებაა.

გალაკტიონ ტაბიძე აფართოებს ამ ცნების საზღვრებს, ავსებს ახალი ნიუანსებით.

დემონთან კავშირის მრავალგვარი სახე იყო ცნობილი გალაკტიონ ტაბიძემდე. დემონთან დამეგობრების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება მივიმჩნიოთ გოეთეს ფაუსტის კავშირი დემონურთან. ფაუსტი მეცნიერების მონაპოვრებით ვერ კმაყოფილდებოდა და ადამიანის გონებისათვის შეუცნობელს ესწრაფოდა მუდამ, ჭეშმარიტების ძიებას და ბუნების კანონზომიერების შეცნობას, ადამიანური გონების შეზღუდულობის დაძლევას დემონური გზით ცდილობდა. ეს იყო დემონთან კავშირის პოზიტიური ასპექტი.

რომანტიკოსები „შინაგან დემონებს“ ერკინებიან, ნიკოლოზ ბარათაშვილი იმარჯვებს საკუთარ შინაგან დემონებთან ჭიდილში. „ბედის საზღვრის“ გადასალახად მან ბოროტი სული კი არა, საკუთარი მღელვარე გონების დემონური მერანი აირჩია.

ბაირონის მანფრედს ჯადოსნური ძალა საკუთარმა შრომამ და ნებისყოფამ მისცა, ჯადოსნური თვით მის არსებაშია დადებითი ენერგიის სახით.

დასავლეთის პოეტები დაძმობილებულნი არიან სატანასთან, რადგან სატანა ცოდნაა.

შარლ ბოდლერი პირდაპირ წერდა, რომ „ვინც ცოდვებისგან შორსაა, შორსაა პოეზიისაგანო“ (6, 241).

ბოდლერს უყვარდა ბოროტი სატანა, რადგან ბოროტების გზით სიკეთისკენ – ცოდნისკენ მიჰყავდა ადამიანი და ამიტომ ასხამდა ხოტბას (6, 161).

პუშკინის დემონი ერთსახოვანი ბოროტებაა, შთაგონების მტერი, უსიყვარულო, უგულო, დამცინავი.

ასეთივეა ლერმონტოვის დემონი, ლერმონტოვი თავის თავს „ბოროტების რჩეულად“ თვლიდა. ამასთან, მის პოეზიაში დემონი გონების გამასხივოსნებელი, სრულყოფილების მომნიჭებელი ძალაა, შფოთვისა და მოუსვენრობის სათავე (7, 316, 417).

გალაკტიონის ინტერპრეტაციით, დემონი მრავალგვარი ძალაა, შინაგანიც, გარეგანიც, დადებითიც, უარყოფითიც, რომელიც პროგრესსა და რეგრესს შორის ბრძოლას წარმართავს. გალაკტიონთან აშკარადაა გამოვლენილი დემონთან კავშირი, „ჩვენ სისხლით დავდეთ ხელშეკრულება“, წერს პოეტი. ამ მეტაფორულ თქმაში იგულისხმება შემეცნების გაფართოების გზით საკუთარი შეზღუდულობის დაძლევა და უმაღლეს ჭეშმარიტებასთან მიახლოების სურვილი, ამდენად, ეს ფაუსტური მოტივია.

რეაქციის პერიოდის სინამდვილე გალაკტიონს ხელს უშლიდა შინაგანი სამყაროს გამთლიანებაში, მას თან სდევდა „იდუმალი მეორე“, „მხილების სახე“, „წამების ღმერთი“, „ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი“, „ცოდვილი სული“, „წამების ღმერთი“, „შუაღამის ბნელი სტუმარი“, მეფისტოფელი, ლუციფერი, ბელზებელი, სატანა.

„შავ დემონს მივე ფრთა მოტივტივე“, ამბობს პოეტი ლექსში „სხვა ყველაფერი“.

ბოროტი დემონის სახეა ლექსებში „მაგრამ მე რა ვქნა“ („მე დემონები ქროლვით მარადით მომაგონებდნენ დაფარულ შხამით, რომ უიმედოდ მივქროდი ღამით გატე-

ხილ შუბით და მუზარადით“), „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“ – („სულო დემონზე უბოროტესო...“).

გოეთე პოეზიას დემონოლოგიად თვლიდა.

გალაკტიონი გენიალურს დემონს უწოდებდა.

გალაკტიონთან ნიჭი დემონურია, ცნობილია გალაკტიონის გამონათქვამი ერთი უნიჭო პოეტის მისამართით: „სულში დემონი არ უზისო“.

„ვეფხისტყაოსანში“, გალაკტიონის თქმით, „შრიალებს ფრთები ელადათა სიბრძნის დემონის“, სხვაგან ლაპარაკობს „ოცნების დემონზე“.

პლატონი წერდა: „მას, ვინც ყველაფერი შეიცნო, დემონურს ვუწოდებთ“ (8, 52).

დემონურობა მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გადალახვად მიაჩნდა კონსტანტინე გამსახურდიას (9, 41).

გალაკტიონი განასხვავებს დემონს და ლუციფერს. ამ ცნებების საინტერესო გაგებას იძლევა ლექსი „ვარ გენია რიმანელი“. ლექსში დემონი შემოქმედებითი ძლიერებაა, ლუციფერი – დამარცხებული ბოროტება.

აკაკი გაწერელიას მოგონებით, „გალაკტიონ ტაბიძე დემონს უწოდებდა მუზას“ (3, 48).

შემოქმედი სული გალაკტიონ ტაბიძეს დაუძლეველ, შეუზღუდავ, სამუდამო და გაბედულ სატანად აქვს განცდილი:

„მე სული ვარ შემოქმედი, შეუზღუდველ სულთა თანა,
სამუდამო, როგორც ღმერთი, დაუძლევი, ვით სატანა“.

„დემონური სულის ლტოლვით“ ცდილობს პოეტი დაძლიოს „ეკლიანი გზის სიძნელე“.

სხვაგან კი გვხვდება „სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრის“, რომელშიც სატანა საკაცობრიო ღირებულების შემქმნელი ნიჭია, მსოფლიო პოეტური პროცესების წარმართველი.

გალაკტიონი სატანას და გოეთეს აიგივებს და ამბობს: „ვით გიოტე, ზის იქ სატანა“.

გოეთე ბეთჰოვენს, ნაპოლეონს, პეტრე I, პაგანინის, ბაირონს და მირაბოს განიცდიდა, როგორც დემონს: „ბეთხოვენის მსგავსი ადამიანები გოეთეში ყოველთვის წარმოშობდა შიშის გრძნობას. იგი მათ დემონურებს უწოდებდა და განსაზღვრავდა, როგორც მატარებლებს დადებითი შემოქმედებითი ენერგიისა, მაღალი აქტივობის ფორმაში, რაც გონებისთვის გაუგებარი რჩებოდა. შემდგომში ასეთ ადამიანებად გოეთეს მიაჩნდა ნაპოლეონი, პეტრე I, პაგანინი, ბაირონი და მირაბო“ (10, 102).

გოეთე ამბობდა ბეთჰოვენის შესახებ: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მივმხვდარვართ, რომელი მხრიდან ამობრწყინდება მზე“ (10, 103).

ნიკოლოზ ბარათაშვილს „მეტისმეტად დემონურ, თავაწყვეტილ დემონს“, თანამედროვეებზე აღმატებულს უწოდებდა სვეტლოვი და ამბობდა: „იგი ცხოვრობს უჩვეულო, დემონური, უკვდავთა სიცოცხლით“ (11, 429).

პაგანინს პარიზში დემონად მიიჩნევდნენ (12, 116).

ბაირონს დემონურად აღიქვამდნენ რომში, გოეთეს დემონს უწოდებდნენ ვაიმარში (9, 42).

სტეფან ცვაიგი არაერთხელ მიუთითებს ფიოდორ დოსტოევსკის არსების „დე-

მონურ საწყისებზე, რომელიც ასე ახლოა ღვთიურთან“ (13, 216).

და მართლაც, გენიალურია, დემონურია ძალა, რომელიც უტყვს აამეტყველებს, ლანდს სულს ჩაუდგამს, არარსებულს არსებულივით წარმოგვიდგენს, გაქანება, რომელმაც ააშენა სვეტიცხოველი, გელათი, ვარძია, ნიკორწმინდა; ძლიერება, გამბედაობა, რომელიც მოყმეს ვეფხვთან არკინებს, დემონურია პიროვნების განვითარებაში დათქმული და დაწესებული „ერთგვარი სამანის“ (კონსტანტინე გამსახურდია) გადალახვის უნარი.

„დროთ საზღვარს იქით მოლაპარაკე ძეგლს“ გალაკტიონმა „დემონური“ უწოდა (ბაღთან ძეგლია), უცნობი მხატვრის გენიალურ სურათს – „უსაზღვრო დემონთ ღაღადით შექმნილი“ (უცნობი მხატვრის ვნახე სურათი).

გალაკტიონის დემონი-გენია დიდ სიკეთესთან, დიდ სიყვარულთან, სილამაზესთან და მუსიკასთან დაძმობილებული გენიაა.

„გენიალობა, შთაგონება ეროსთან წილნაყარია, სიყვარული კი არის სურვილი სიკეთის მარადიული ფლობისა, სიყვარული აგრეთვე სურვილია უკვდავებისა“ (8, 57).

გალაკტიონის პოეზიაში „სიყვარულის ცხოველი ნათელი“ დაჰნათის ყველაფერს, პოეტის „სული სიყვარულზე ლოცვებით აღმონაცენია“. სიყვარული კი „ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსებაა“. პოეტი სიბრძნესთან დაკავშირებული მშვენიერების აპოლოგეტია და მის გაუკვდავებას ისახავს მიზნად: „ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ლამაზია“.

გენიალობასთან შეუთავსებელია ბოროტება: „გენიოსობა და ბოროტება ერთიმეორეს ვით შეეწყოს?“ – კითხულობს მოცარტი, ხოლო სალიერი, რომელმაც მოწამლა მოცარტი, დარწმუნდა, რომ: „გენიოსობა და ბოროტება თურმე ერთად ვერ თავსდებიან“ (14, 352).

გენიალობა საკაცობრიო ღირებულების შექმნაა, გენიალობა ყოვლისშემძლეობაა, უფალთან მეტოქეობაა, ჭეშმარიტ ხელოვანს სინათლისკენ მიჰყავს ადამიანები, მთელი კაცობრიობა.

ანტიკური სამყაროს სახეები მრავალი ხელოვანის ინტერესის საგანი გამხდარა, განსაკუთრებით კი გავრცელებული იყო დიონისესა და მისი სახესხვაობის, დიონისე – ზაგრეუსის (ბუნების შემოქმედებით ძალთა ღმერთის) კულტი შუა საუკუნეებში, აღორძინების ეპოქაში, ზოგჯერ იგი „ნამდვილ მოდად“ იქცეოდა ხოლმე.

ცნობილია ნიცშეს გახმაურებული მოძღვრება დიონისურისა და აპოლონურის შესახებ (15), ჩვენს სინამდვილეში კი დიონისურისადმი ჭარბი ყურადღება გამოავლინა კონსტანტინე გამსახურდიამ რომანში „დიონისეს ღიმილი“, მწერალმა „იქადაგა დიონისოს კულტი, რომელშიც უმთავრესია ორგიასეული ექსტაზი და იგი შეაჯახა ქრისტეს, რომელიც თვითგვემისა და ხორცის დაშრეტისაკენ მოგვიწოდებს“ (16, 134).

გალაკტიონთან დიონისურ თხრობას პოეტური ასპექტი აქვს. ჩვენ იგი პოეტის ესთეტიკურ კონცეფციასთან მიმართებაში გვაინტერესებს.

ანტიკური სამყაროდან გალაკტიონის ერთ-ერთი საყვარელი სახეა დიონისე, რომელთანაც მსგავსებაზე ხაზგასმით მიუთითებს:

„აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყვე ისე,
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე.
გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი მსგავსება,

ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსება,

ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და სითამამე“ (მარმარილო).

შემოქმედებით პროცესში პოეტს დიონისეს სახე ევლინება: „დაჰქრის დიონისეს შვება უჩვეულო“ (ფარდების შრიალი). სულიერი აღორძინება, გონების ძლიერება განცდილია, როგორც „დიონისობა და სატურნალია“ (ჩვენი ჟურნალი). ლექსში „ცისფერი“ პოეტი წინასწარმეტყველებს: „დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს და იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“.

დიონისე მახლობელი იყო გალაკტიონისათვის, როგორც ბუნების შემოქმედებით ძალთა ღმერთი, მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი ღმერთის მითოსი. დიონისეს სახეში პოეტს მოსწონდა მისი თავისუფლება, სითამამე, კოსმოსური მეუფება, ექსტაზი, ღვთიურობამდე ამაღლება.

ვფიქრობთ, პოეტისათვის უფრო მახლობელი იყო დიონისე ზაგრეუსი, სიცოცხლისა და ყოფიერების დასაბამი: „ყოფნა დიონისი“, „მსოფლიო გონება“, „მსოფლიო სული“.

ცნობილია, რომ დიონისეს კულტი გაიაზრება, როგორც თრობით ამაღლება ღვთაებრიობამდე, თრობის პოეტური ასპექტით ახლოა მასთან გალაკტიონი. იგი ხომ გამუდმებით მთვრალია სიყვარულით (ბოდლერივით – „ღვინით, სათნოებით, პოეზიით“), სიმღერით, „მთვრალია ყოფნით“, „მთვრალია ცეცხლით“, „მთვრალია დღის სიელვარით“, „ვარდებით“, „ყვითელ ფოთლებით“, ვიოლინოთი. გალაკტიონის დიონისური თრობა რომ პოეზიით თრობაა, ეს „ფარდების შრიალიდანაც“ ჩანს, რომელშიც პოეტური ძიებებია გადმოცემული.

სრულქმნილი არსებობა, დიონისური თრობა „ყოფნის სიუხვით, სილამაზის ეშხით“ ორგანული იყო გოეთესთვის (მეეტლე კრონოსი).

დიონისეს გაორებულ სახეს, რომელიც მიწიერსაც ითავსებდა და ღვთაებრივსაც, არ შეიძლებოდა არ ეპოვა გამოძახილი გალაკტიონის პოეზიაში, რადგან „დიონისურ სულს ახასიათებს „წინახედვა“, „მომავლის ჭვრეტა“ (გრიგოლ რობაქიძე, „დიონისოს კულტი და საქართველო“) (17, 4).

„იდუმალი მეორე სახე“ პოეტის ლირიკული გმირის მოუცილებელი თანამდევი იყო ადრეულ პერიოდში.

„ვეფხისტყაოსანში“ აპოლონური საწყისი, ჰარმონია, სინათლე ზეიმობს ქაოსურ ძალებზე, დიონისურზე.

დიონისური, როგორც სტიქიურის, ქვეცნობიერის, დისჰარმონიულის საწყისი, უფრო რომანტიკოს-სიმბოლისტებისათვის აღმოჩნდა მისაღები.

ბერძნული პანთეონის ორი მთავარი პერსონაჟი – აპოლონი და დიონისე, რომლებშიც ნიცშემ ბერძნული ხელოვნების ორი საწყისი დაინახა, შემდეგ საერთოდ მხატვრული შემოქმედების მთავარ სახეობათა დასახასიათებლად იქნა გამოყენებული.

შემოქმედების ადრეულ წლებში გალაკტიონ ტაბიძისათვის უფრო დიონისური, ქვეცნობიერი იყო მთავარი, თუმცა არც ბერძნული პრომეთე, იგივე ქართული ამირანი ყოფილა უცხო, განსაკუთრებით, უცხოური გავლენებისა და პოეტური ინდივიდუალობის ძიების წლებში. გალაკტიონი მიჯაჭვული ამირანის სახესთან პოულობდა თავისი სულიერი მდგომარეობის ანალოგიას (მე მოვალ).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება დიონისური და აპოლონური საწყისების გამთლიანების ნიმუშია. 50-იანი წლებიდან პოეტი აშკარად მიუბრუნდა კლასიკურ ჰარმონიას – აპოლონურ საწყისს, „ჰარმონიის მოელვარე გზებს“, გალაკტიონი აერთია-

ნებდა „ჭვრეტას“ და „ესთეტიკურ თრობას“.

ამ ორგვარ მხატვრულ მანერაზე მიუთითებს ირაკლი კენჭოშვილი: „ადრეული პერიოდის გალაკტიონი „მანერისტულია“. მასში ირაციონალიზმი, ენიგმატურობა და დიონისური საწყისი უფროა გაბატონებული, მეორე კლასიკურია, მასში ზომიერება, ხალხურობა და აპოლონური საწყისი ჭარბობს“ (2, 12).

საინტერესოა აგრეთვე ბერძნული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი კლასიკურობისა და ჰარმონიულობის ძიება გალაკტიონის ლექსში „აზრი გენიალური ჰარმონიისა“, „ოქროს თასი ორნამენტებით“ (2, 59-61).

გალაკტიონის მობრუნებას „წარსულისაკენ...“ ჰქონდა რენესანსული იდეალებისადმი... ერთგულებისა და რწმენის მნიშვნელობა (18, 148).

ლიტერატურა:

1. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, თბ., 1959
2. ირაკლი კენჭოშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა, თბ., 1974
3. კრებული „სადღეგრძელო იყოს მისი“, თბ., 1973
4. როლანდ ბურჭულაძე, მხოლოდ ინტეგრალები, თბ., 1980
5. რევაზ თვარაძე, გალაკტიონი, თბ., 1972
6. Ш. Бодлер, Лирика, М., 1970
7. М. Лермонтов, Собр. соч. в четырёх томах, т., 1, М., 1964
8. პლატონი, ნადიმი, თბ., 1964
9. კონსტანტინე გამსახურდია, ტ. III, თბ., 1959
10. ალ. ალშვანგი, ბეთხოვენი, თბ., 1958
11. აკაკი გელოვანი, სვეტი ნათლისა, თბ., 1965
12. ალ. ვინოგრადოვი, პაგანინის განკიცხვა, თბ., 1964
13. სტ. ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ., 1966
14. ალ. პუშკინი, მოცარტი და სალიერი, თბ., 1965
15. Ф. Ницше, Происхождение трагедии, М., 1900
16. სოსო სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1980
17. „ლიტერატურული საქართველო“, 30/12, 1988
18. გიორგი გაჩეჩილაძე, ქართული საბჭოთა ლიტერატურის საკითხები, ტ. II. თბ., 1969

პოეტური ინტეგრალები

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ითავსებს მათემატიკურ ცნებებს. მისი ესთეტიკური კრედო კავშირშია მათემატიკასთან, გეომეტრიასთან, „არტისტული ყვავილების“ ავტორის ლექსებში პოეტურ სახეებს ხშირად უწყვილდება რიცხვები.

გალაკტიონის შემოქმედებაში ჩნდება ზუსტი მათემატიკური გაანგარიშება, ჰანგთა რიცხვი, ლოდინი და რიცხვი, მშრალი რიცხვი, გადაუხდელთა იმედთა რიცხვი, ციფრი ქარის, ციფრი სვეტი, სტრიქონები, ვით ციფრები, პოეტი და გეომეტრი, მო-

გონებები და პარაბოლები, ფხიზელი მიზანი და ანგარიში, დროის ბარომეტრი, აზრის ციფერბლატი, თეზისები, კლასიფიკაცია, პოეზიის ინტეგრალი.

შემთხვევითი არც აინშტაინისადმი ინტერესი იყო, რაც პოეზიისა და მათემატიკის, ფანტაზიისა და სიზუსტის საჭიროებაზე, ჰარმონიის მოთხოვნაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს (თუ ბრძოლა არ არის).

რიცხვებისადმი ინტერესით ყურადღებას იქცევს ანტიკური პითაგორეიზმი, შუა საუკუნეების მისტიკა. არსებობს რიცხვების პოეტური ალეგორია, მეცნიერული ახსნა.

პითაგორელთა მიხედვით, მთელი სამყარო, „ჰარმონია და რიცხვია... რიცხვი სამყაროს ყველა საიდუმლოების გასაღებია. პოეზია მხოლოდ იქ არის, სადაც რიცხვთა ჰარმონია სუფევს“.

„რიცხვის ბუნება და ძალმოსილება მოქმედებს არა მარტო სულიერ და ღვთაებრივ საგნებში, არამედ ყველგან, კაცთა ყველა სიტყვასა და საქმეში, ყველა ხელოვნებასა და მუსიკაში (ფილოლაოსი). რიცხვსა და ჰარმონიას შეაქვს სიცხადე, აზრი და გარკვეულობა ყოველივე იმაში, რაც ბუნდოვანი, უაზრო და გაურკვეველია. რიცხვი და ჰარმონია თავად წარმოადგენს ჭეშმარიტებას, ვინაიდან სიცრუე უცხოა მათთვის, სიცრუე და შური დაუსაზღვრელს, უაზროსა და არაგონიერს ახლავს, სიცრუის სუნთქვა ვერ შეეხება რიცხვს, რადგან სიცრუე სძაგს ბუნებას მისას, ხოლო ჭეშმარიტება მისი სისხლი და ხორცია, ჭეშმარიტება დასაბამიდან განუყოფლად არის მასთან დაკავშირებული. რიცხვი თავად საგანთა ჭეშმარიტებაა“ (1, 93).

გალაკტიონისათვის სამყაროული ჰარმონია რიცხვის, კლასიფიკაციის გარეშე ვერ წარმოიდგინება, მისი თქმით, „ცხოვრება არის ორგანიზაცია, ნამდვილი ცხოვრება არის ორგანიზაცია“ (მხურვალე სალამი პროლეტარულ მწერლებს).

თეზისები, კლასიფიკაცია, ფორმულები, ზუსტი მათემატიკური გამოანგარიშება (ოღონდ ფორმისა და გრძნობის სფეროში) სჭირდება ჭეშმარიტ პოეტურ სიტყვას: „ასეთი კაცია, უყვარს თეზისები, კლასიფიკაცია, ნურვინ ნუ ინებოს გაამხანაგება, მისი ტერმინების ისევ დალაგება. კაცად მეგულები, თუ ხარ გულკეთილი, უნდა ფორმულები გქონდეს მოჭედილი, არცერთი შემთხვევითი, დანაგვიანებული, არცერთი ზედმეტი, დაგვიანებული, სიტყვას გარშემო ხმა არ აქვს მონური, სიტყვა ეკრეჟიმია რევოლუციონური“.

ევგენი ვინოკუროვი წერს: „ფორმულის მშვენიერება და განსაცვიფრებელი სიმწყობრე, სტრუქტურული წესრიგი და სიმეტრია ჭეშმარიტებას მოწმობენ, მრავალი ჰუმანიტარია გატაცემული ვერნადსკის იდებით, რომელთა საფუძველს მიკრო და მაკრო სამყაროთა სიმეტრიის პრინციპი შეადგენს. საინტერესოა მისი გამოვლენა პოეზიაში. პოეზია სწორი და ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც ლექსის შინაგანი სტრუქტურა სიმეტრიულია, ლამაზია. მეცნიერებაშიც ასე ხდება: თუკი აღმონაჩენის სტრუქტურა შინაგანად ჰარმონიულია, თუკი ყოველი ნაწილი დანარჩენ ნაწილებს ებმის და მათ შორის უცნაური, იდუმალი თანხმობა სუფევს, ეს უტყუარად ადასტურებს, რომ ყველაფერი სწორია“ (ფიქრები პოეზიაზე) (2, 4).

მისი აზრით, ჭეშმარიტების კრიტერიუმი, ეს ჰარმონიულად რთული, პოლიფონიური, პარადოქსული მთლიანობა უნდა იყოს. იმოწმებს ფლობერის აზრს: „რიცხვთა კანონი განაგებს როგორც მეცნიერებას, ასევე პოეზიას, სიტყვათა შეერთების სიზუსტეში არის რაღაც კანონივით მარადიული, რატომაა რომ ჩვენს ცდას, რაც შეიძლება შეკუმშულად გამოვხატოთ აზრი, გარდუვალად მოსდევს ხოლმე ლექსის თხზვა? როგორც ჩანს, რიცხვთა კანონი განაგებს გრძნობებსა და აზრებს“.

ევგენი ვინოკუროვი ასკვნის: „ეს საიდუმლო კანონზომიერება ხელოვნებაში მჟღავნდება ყოველთვის, როდესაც ჭეშმარიტ ტალანტს ვხვდებით“ (2, 4).

როგორც ჩანს, ამ ფარულ კანონზომიერებას გულისხმობდა გალაკტიონის რიცხვთა სიმბოლიკაც:

„ციფრი სვეტი, ციფრი-ფერი,
ციფრი, ციფრი ქარის,
ამ ციფრებში ყველაფერი
თავის რიგზე არის“ (აი გეგმაც).

რიცხობრივი სიზუსტის მოთხოვნა ვრცელდება სტრიქონებზეც: „სტრიქონებია, ვით ციფრები და ხანა ტოკავს. სმენა! თვალყური! ეპოქა ისვრის ახალ ერესებს და იგი არის, დღეებს რომ გასცდა უძლიერესებს“.

პოლ ვალერი ამბობს: „რიცხვი და ჰარმონია ქმნის არითმეტიკის კატეგორიებს პოეზიაში“.

„ზუსტი გათვლისა და გაანგარიშების გარეშე ნაწარმოები მდარეა, მდორე. ჭეშმარიტი პოეზია გონების ზუსტ ქმედითობას გულისხმობს“.

საკუთარ შემოქმედებით გამოცდილებაზე დაყრდნობით, მუზისა და გაანგარიშების მიმართებას ასე აზოგადებდა პოლ ვალერი: „ჩემს ყოველ მხატვრულ ნაწარმოებზე ჩატარებული მუშაობა მარწმუნებდა: ეს მუშაობა მოითხოვს არამარტო პოეზიის არსებობას ჩემში, არამედ... ასევე, ათასგზის გაანგარიშებას, შერჩევას, ამოკრებასა და სინთეზს, რომელთა გარეშე მუზისა თუ შემთხვევის ყველაზე უხვი ძღვენიც კი უქმია ისევე, როგორც ძვირფასი მასალის გროვა უარქიტექტოროდ მიმდინარე მშენებლობაზე“.

პოლ ვალერი მიიჩნევდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის საჭიროა „ზოგიერთი მათემატიკური ორაზროვნების სიტკბოება, სიზუსტე, რომელსაც სულის იდუმალ სიღრმეებში ჩხრეკით შეიძლება მიაღწიოს კაცმა“ (3, 74).

ედგარ ალან პო, გვიმხელს რა „ყორანის“ შექმნის საიდუმლოებას, წერს: „ყორანის“ კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური. ეს თხზულება თავიდან ბოლომდე მათემატიკური სიზუსტით და სიმკაცრით არის განსაზღვრული“ (კომპოზიციის ფილოსოფია) (4, 204-219).

ლექსის კომპონენტების „საკუთარ არქიტექტურაზე“ ამახვილებს ყურადღებას გალაკტიონ ტაბიძე ერთ ჩანაწერში: „რითმების სიმდიდრეს, ცეზურების მოძრაობას, საკუთარი სახელებისა და ტექნიკური ტერმინების შემოღებას, ძლიერ და ხმოვან რიტმს აქვს თავისი საკუთარი არქიტექტურა, ჰყავს თავისი მასწავლებლები, თავისი, თუ შეიძლება ითქვას, ხელების სიმარჯვე და საკუთარი ბეჭედი“ (5, 71).

ანდრეი ბელის თქმით, „მეტრი პოეზიის ალგებრაა, რიტმი მისი არითმეტიკა, მეტრი ნორმაა, რიტმი – ფაქტი. აზრი არის რიტმის მეტრი, მეტრი – მუსიკის საზომი“.

მალარმე წერდა: „სიტყვიერი სტრუქტურა და მათემატიკური ფორმულები ერთგვაროვანი მოვლენებია, მათემატიკა ყოველივე არსებულის ელემენტია“.

ეხებოდა რა თავისუფლებისა და წესრიგის, გაზომვისა და გაანგარიშების პრობლემას პოეზიაში, სტეფან მალარმე ამბობდა: „ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეელევა გენია თავის უჩვეულობას... მაგრამ სრულ თავისუფლებას აწონასწორებს მკაცრი წესრიგი...“ (6, 157).

„ლექსი ზოგჯერ აბობოქრებული იშვიათობაა... თუმცა ახლა უკვე მოწმენი ვართ, რომ ყოველივე გაზომილ-გაანგარიშებული იშვიათობაა“ (6, 158).

„აზრი, ქმედითობა, ამსახველობა – სიმეტრიასთან შერწყმული“, აი რა არის მთავარი მალარმეს აზრით (მუსიკა და მწერლობა) (6, 162).

პოლ ვალერი წერს მალარმეს შესახებ: „მალარმემ, მეცნიერული კულტურისა და ჩვევების გარეშე, შეძლო შეჭრილიყო იმ პრობლემების სიღრმეში, რომლებიც შეიძლება შევადაროთ რიცხვისა და წესრიგის ოსტატთა ცდებს“ (3, 258).

ცნობიერების პრიმატში, გულდასმით ანალიზის უნარში ხედავს პოლ ვალერი მალარმეს სიდიადის წყაროს: „თავისი წინამორბედების მიამიტურ სწრაფვას, ინსტინქტებისა თუ ტრადიციულ (ანუ ნაკლებად ცნობიერ) ქმედითობას მან შეუნაცვლა გულდასმით გააზრებული და თავისებური ანალიზის შედეგად მიღწეული ხელოვნური კონცეფცია“ (3, 25).

პოლ ვალერის აზრით, ედგარ პოს შემოქმედებაში შერწყმულია „ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა“ (3, 257).

როლანდ ბურჭულაძე ასე აკონკრეტებს ჩვენთვის საინტერესო აზრს: „ვერჰარნი სრულიადაც არ ფიქრობდა, რომ სიმბოლისტური ნაწარმოები ალგებრული ფორმულებით უნდა ამოგვეხსნა, არა, დიდი პოეტი და მოაზროვნე მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ ალგებრული მაგალითიც და სიმბოლისტური ლექსის ინდივიდუალური მეტაფორებიც უაღრესი სიზუსტით ხასიათდებოდა“ (7, 62).

პოლ ვალერის განსხვავებული აქვს ლექსის ორი სახეობა: „ლექსი მოცემული და ლექსი გაანგარიშებული“.

„გაანგარიშებული ლექსი ისეთი ლექსია, რომელიც ყოველთვის გადასაჭრელი პრობლემის ფორმით გვევლინება. მისი ამოსავალი პირობა ჯერ მოცემული ლექსია, ხოლო შემდეგ ამ მოცემულობებში უკვე ჩაწნული რითმა, სინტაქსი, აზრი.

ყოველთვის, თვით პროზაშიც კი, ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, იძულებულნი ვხვდებით ვწეროთ არა ისე, როგორც გვინდოდა, არამედ ისე, როგორც მოითხოვს ის, რაც გვინდოდა“ (3, 169).

ალექსანდრ ბლოკი ლაპარაკობს მოვლენებისადმი გეომეტრის თანმიმდევრულობით მიდგომაზე:

«Нет, постоянством геометра
я числю каждый раз без слов
мости, часовню, резкость ветра,
безлюдность низких островов» (8, 71).

გალაკტიონის შემოქმედებაში პოეზიასთან დაკავშირებით გვხვდება აგრეთვე ცნება „გეომეტრი“: „... ის მიდის დამშვიდებული, როგორც პოეტი და გეომეტრი“.

ეს უნდა იყოს ირონია „ლეფელთა“ მიმართ, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირებდნენ „პოეტი ფსიქოლოგისა“ და „პოეტი გეომეტრის“ ცნებას უკანასკნელის უპირატესობაზე ხაზგასმით და ცდილობდნენ პოეტის მეტყველება „მათემატიკურ განსჯასთან“ მიეახლოებინათ, რაც საბოლოოდ აბსურდამდე მიდიოდა (9, 137).

პოეტური ასპექტი აქვს გალაკტიონის პარაბოლას, რაც მისი ლექსების მრავალმნიშვნელოვნებით აიხსნება.

გალაკტიონის „მშრალ რიცხვების ამარა“ (ლურჯა ცხენები) და „მშრალი საგანი“ (მე ვუსმენდი ხალხს მომღერალს) ერთი და იგივეა და პირველსაწყისებს, თვით საგნებზე წერას, ანუ არაპოეტურ სინამდვილეს ნიშნავს, პოეტი მრავალგზის უსვამს ხაზს, რომ ჭეშმარიტი პოეტები ყოველთვის საგნებიდან ამოდიან.

საპროგრამოდ შეიძლება მივიჩნიოთ გალაკტიონის ლექსი „თუ ბრძოლა არ არის“, მასში პოეტი გულისტკივილით ეთხოვება ბოდლერს, შელის, ჰიუგოს, მიუსეს, ვერლენს, ღმერთს თუ კაენს და ბურუსებში აინტშაინის გამოჩენას მიესალმება.

არსებობს მოსაზრება, რომ გალაკტიონი ამით „პოეზიისა და მეცნიერების თანამშრომლობის იდეას“ (მიხეილ კვესელავა) აყენებს. ჩვენ ვიტყოდით, პოეზიაში მეცნიერული სიზუსტის (ოღონდ გრძნობების სფეროში) მოთხოვნა უნდა იყოს ნაგულისხმევი, რაც არ ეწინააღმდეგება გალაკტიონის დაჟინებულ ინტერესს ოცნებისა და ფანტაზიისადმი, ვინაიდან ეს ოცნება გათვლილი და გაანგარიშებულია („ოცნებათა შემოწმება“), საათის ციფერბლატივით ზუსტი და უცდომელია (რასაკვირველია შეუმცდარი ინტუიციის წყალობით).

გალაკტიონის პოეზიის მელოდიურობა, ემოციურობა არ ეწინააღმდეგება მის ინტელექტუალიზმს, ანალიტიკურობას. პოეტის ძიებებს „ფხიზელი მიზანი და ანგარიში“ წარმართავს, „მეცნიერება, როდესაც მას თან ახლავს ვნება, თანაბრად არის პოეზიის ზეშთაგონება“ (საუბარი ლირიკის შესახებ).

პოეტს „ათასის მხედველობა, ათასის იერი“ ჰქონდა და მათემატიკური სიზუსტით წვდებოდა მოვლენათა არსში. ამიტომ ხელეწიფებოდა ბევრი რამის გადახალისება:

„ჰანგთა სისწრაფეს და სიძლიერეს
ნუ მომაგონებ ძველი რიცხვებით“.

გალაკტიონის შესახებ შეიძლება გავიმეოროთ სტეფან ცვაიგის ნათქვამი დოსტოევსკის შესახებ: „არაფერს არ ანგარიშობს და მაინც უტყუარად ზომავს ყველაფერს... მისი სამყარო ალალი ჭეშმარიტებაცაა და იმავდროულად იდუმალებაც, სინამდვილის ნათელმჭვრეტელური შეცნობა, ცოდნაცაა და მაგიაც“ (10, 243, 253).

დიდი შრომა ახლდა გალაკტიონის ზეშთაგონებას. ამიტომ ამბობდა: „შრომა ყველგან შემოქმედების ღვიძლი ტომია“.

გალაკტიონმა პოეზიას დაუკავშირა აშკარად მათემატიკური ცნება ინტეგრალი („ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები“ – „ეფემერა“, „ჩემი პოეზიის ინტეგრალები“).

ინტეგრალი მთელი სიდიდეა, უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამისაგან შემდგარი. გალაკტიონის ინტეგრალი მეტაფორულია, პოეზიაში იგი დიდის და მცირეს დიალექტიკურ ერთიანობას, წამიერში მარადიულის დანახვას ნიშნავს. ინტეგრალი მატემატიკური მნიშვნელობაა და, გაერთიანებასთან ერთად, დაშლასაც გულისხმობს. ინტეგრალური სინთეზის ნიმუშია „ნიავი, ია, ნარგიზი“: „აგერ მზის ამომთოვრება, მაღლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა“.

ინტეგრალური ანალიზის მაგალითია „ჩემი პოეზიის ინტეგრალები“, რომელშიც განცდილია 40 წელიწადში შემავალი წამის, წუთის, საათების, დღეების, წლების „შეუწყვეტლობა, მისწრაფება და ხასიათი“, და მასთან შეფარდებულია ამ პერიოდში შექმნილი სტრიქონების რიცხვი.

დღემდე კამათის საგანია ის, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ „პოეტურ ინტეგრალებში“.

საინტერესოა მიხეილ კვესელავას მიერ „პოეტურ ინტეგრალებში“ (თბილისი, 1978). მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული რიცხვთა სიმბოლიკის (7, 8, 9) ახსნა ტვინის ქვეცნობიერი, ცნობიერი და ზეცნობიერი ფაზებით. იგი გალაკტიონის ტა-

ბიძის მეტაფორებს სამ სახეობად ჰყოფს და მიაჩნია, რომ ინტეგრალურია ის გამოთქმები, რომლებიც ტვინის ზეცნობიერ ფაზაში იქმნება და ლოგიკურ ანალიზს არ ექვემდებარება, ამოუხსნელია, მაგრამ თავისი მაღალი მუსიკალური ორგანიზაციის წყალობით, მაინც ესთეტიკური ტკბობის წყაროა (11, 642).

ჭირს ამ აზრის გაზიარება, ვინაიდან ინტეგრალური ცალკეულ გამოთქმას კი არა, საერთოდ გალაკტიონის მხატვრული აზროვნების წესს გულისხმობს.

გალაკტიონის შემოქმედებაში აშკარაა ინტერესი უმცირესიდან უდიდესისაკენ: „უდიდესისკენ მიჰყავდა სული, მცირედისაგან ასე წასული“ (მშვიდობის წიგნი). მის პოეზიაში ერთიდან მილიონამდე და მილიარდამდე იზრდება რიცხვი.

გალაკტიონის რიცხვთა სიმბილიკაში საყურადღებოა ერთის მაგია. პოეტს მოსწონს თავისი ერთადერთობა, ერთადერთი გზა (მიზნის ერთგულება), „ერთი ვინმე მელექსე“ (რუსთაველი), ერთადერთის მრავალთან შებმა, პირველობა, ამასთან – ერთიანობა, ერთიანი ჰიმნი, ერთადერთი მსოფლიო ქნარი.

ლექსში „მე მივდიოდი ერთი“ გენიალურად განჭვრიტა გალაკტიონმა საკუთარი პოეტური გზა, თავისი გავლენა თანამედროვეებზე, ჯერ ერთიდან მაგიურ შვიდამდე, მერე კი ათასამდე და მილიონებამდე გაზარდა ოსტატ-შეგირდების, თანამედროვეებისა და მიმდევრების რიცხვი.

ასევე მაგიურია მის პოეზიაში იდუმალი მეორე, როგორც ერთიანის გაორება, ორთა შორის მესამე.

შვიდი მაგიური რიცხვია საერთოდ, გალაკტიონისთვის იგი საკრალურია იმიტომ, რომ ქართული პოეზიის ისტორიაში შვიდი ბრწყინვალე კლასიკოსი ეგულება თავისი თავის ჩათვლით (ჩემო კარგო ქვეყანავ).

პოეტს უყვარს ცხრა, რადგან მისი გენიალური ცხრა ტომის რიცხვია (ძეგლად აღვმართე ჩემი ცხრა ტომი), ცხრა წყარო, ცხრა მუხა, ცხრა ანბანი, ცხრა სიყვარული, ვარსკვლავთა ცხრიანი, მეცხრე ტალღა, მეცხრე სიმფონია, გვხვდება მეათე მთვარე, მეთორმეტე ბულბული, ცამეტი – უიმედობისა და მიუწვდომლობის სიმბოლო.

1908 წელი აქცენტირებული აქვს იმიტომ, რომ ახალი ეტაპის დასაწყისია ქართულ პოეზიაში.

ზოგადად კი, „ჩვენ ერთად მოვრკალეთ ლოდინი და რიცხვი“ პირველსაწყისების მიკვლევას ნიშნავს, ცხოვრებისეულის აყვანას ესთეტიკურ რანგში, რიცხვი და „მშრალი რიცხვი“, „მშრალი საგანი“ ერთი და იგივეა გალაკტიონთან.

ხშირია ინტერესი მილიონისა და მილიარდებისადმი, „მილიონებში ხელისმრეველი“, „მართლაც ვარ მილიარდელი“, ოცი მილიონი თვალები, მილიარდი მზე, ასი ათასის მზე, ასი ათასის სმენა, რაც გლობალურად იზრდება.

გალაკტიონის თვისებაა მცირედისაგან უდიდესისაკენ ინტეგრირება. მას ხომ „გაერთიანების... სული და თვისება“ აინტერესებს ყოველთვის და არა მოვლენათა მექანიკური ჯამი.

გასარკვევია, დასაზუსტებელია რომელი ტერმინია სწორი: „პოეზიის ინტეგრალი“, როგორც ამას გალაკტიონი ხმარობს, თუ „ინტეგრალური პოეზია“, რომლის გაგებასაც, როლანდ ბურჭულაძის დაკვირვებით, იქამდე მივყავართ, რომ რაკი იგი გულისხმობს მთლიანს, განუყოფელს, დაუნაწევრებელ პოეზიას, ამგვარი პოეზია კი თითქოს არც უნდა ექვემდებარებოდეს ანალიზს, რადგან ანალიზი დანაწევრების გარეშე შეუძლებელია, ინტეგრალური კი სწორედ დანაწევრებას გამორიცხავს, ამ შეხედულების მიმდევართა აზრით, ლირიკული ლექსის ანალიზი შეუძლებელია, რადგან

ის განეკუთვნება ინტეგრალურს (დაუნაწევრებელ პოეზიას), მაგრამ როგორც მკვლევარი მიუთითებს, ინტეგრალს, გარდა „დაუნაწევრებელისა“, აქვს სხვა, ძირითადი მნიშვნელობაც. ამ მნიშვნელობას კი „ინტეგრალთან დაკავშირებული“ წარმოადგენს.

გალაკტიონის „ლირიკის საუკეთესო ნიმუშებში ინტეგრირებული იყო ის ინფორმაცია, რომლის დამუშავებასა და გადაწყვეტას საუკუნეების განმავლობაში ესწრაფვოდა ევროპული წრე. გალაკტიონი წარმატებით ახდენდა ფაუსტური პრობლემატიკის ინტეგრირებას. ამავე დროს, სწამდა კიდეც ასეთი პოეზიის ღირსებისა: „ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები“.

თუ მათემატიკური ინტეგრალი ზღვარისაკენ მიისწრაფის, გალაკტიონთან პირიქით – „სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“ (7, 210).

გალაკტიონის ძიება იწყებოდა ასოდან და რიცხვებიდან (საგნებიდან), „ასოსა და რიცხვის ზღვარზე ყოფნა ცხოვრების ძირამდე მისვლას ნიშნავს და ასოებსა და რიცხვებში ჰარმონიულად განვითარებული ადამიანები ახდენენ აღმოჩენებს“ (12, 4).

ლიტერატურა:

1. თეოხარიოს კესიდი, დიონისოს რელიგია და რიცხვი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, №1
2. „„ლიტერატურული საქართველო“, 12 ივნისი, 1981 წ.
3. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983
4. ედგარ ალან პო, კომპოზიციის ფილოსოფია, ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, თბ., 1989
5. გალაკტიონ ტაბიძე, ტ. 12, თბ., 1975
6. სტეფან მალარმე, ლექსები და პროზა, ქუთაისი, 1979
7. როლანდ ბურჭულაძე, მხოლოდ ინტეგრალები, თბ., 1980
8. А. Блок, Соб. соч. в 6 томах, т. 2, М., 1971
9. სოსო სიგუა, „H2შO4„-დან მემარცხენეობამდე, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002
10. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ., 1966
11. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1978
12. აპოლონ ჟორდანია, დრო და თანამედროვენი, თბ., 1985

„მარადია ერთადერთი: შვენება“

გალაკტიონისეულ მშვენიერების გაგებას პლატონის ესთეტიკასთან მივყავართ.

პლატონს მშვენიერება წარმოედგინა, როგორც აბსოლუტური მოვლენა, რომელიც გამორიცხავს თავის სფეროდან საგნებისა და მოვლენების პრაქტიკულ მნიშვნელობას. ნამდვილი, სრულყოფილი მშვენიერება საძიებელია მხოლოდ ემპირიული საგნების მიღმა, ობიექტური იდეების ქვეყანაში სილამაზის იდეის სახით, რომელიც არის უმაღლესი რეალობა და ჭეშმარიტების სამყარო. ყოველგვარი მშვენიერების ერთადერთი, პირველადი წყაროა სილამაზის იდეა. მისი ჭვრეტა ხელეწიფებათ განსაკუთრებული ნიჭის ადამიანებს ღვთიური შთაგონების მომენტში და ბაძავენ რა

მას, იმეორებენ თავიანთ ნაწარმოებში. მაგრამ ეს ხდება არა იდეისადმი უშუალო დამოკიდებულებით, არამედ ხელოვნება ბუნების მეშვეობით უკავშირდება სილამაზის იდეის სამყაროს. მიბაძვის პროცესი არაცნობიერია, ხოლო შთაგონება – ეროსთან წილნაყარი.

მშვენიერების იდეა ბუნებაში ვლინდება არა სრულყოფილი სახით, არამედ ის არის ჩრდილი სილამაზის იდეისა, ხელოვნება კი უფრო დაბლა დგას, რადგან იგი ბუნებისადმი მიბაძვის გზით წვდება მშვენიერებას და, ამდენად, ესთეტიკური თვალსაზრისით, ხელოვნება, მხატვრული შემოქმედება სილამაზის ჩრდილის ჩრდილს წარმოადგენს. ბუნება მშვენიერების იდეის მიბაძვაა, პოეზია კი, რომელიც ბუნებას ბაძავს, მიბაძვის მიბაძვა.

პლატონისათვის ორი სამყარო არსებობს: იდეისა და საგნების. პირველი ნამდვილი ქვეყანაა, მეორე – ყალბი, ლანდური. იდეების ქვეყანა მყარია, მარადიული, საგნებისა კი – ცვალებადი, წარმავალი.

ვისაც არასოდეს უნახავს ნამდვილი ქვეყანა, ვერ წვდება, რომ ის, რასაც ხედავს, რეალური საგნის აჩრდილები და ლანდებია, იდეის ქვეყნის გამონაკრთობი. „სახელმწიფოში“ ამის მაგალითია გამოქვაბულის მითი.

პლატონის მიხედვით, ადამიანის სული ახლოა იდეის სამყაროსთან, იგი უკვდავია, როგორც ყველა იდეა. სული დაფარულად შეიცავს ყოველგვარ ცოდნას და მშვენიერებას.

შემეცნების ამოცანაა, ადამიანმა შესძლოს თავისი სულის ფარული ცოდნის მოგონება.

„პოეტი მსუბუქი, ფრთაშესხმული და წმინდა არსია. მას არ ძალუძს რაიმე შექმნას მანამ, სანამ ზეშთაგონება თუ ღვთიური სიშმაგე ცნობას არ მიხდის და გონს არ დაუხშობს... ისინი ღვთიური ძალის წყალობით ქმნიან. თვით ღმერთი მეტყველებს მათი პირით... არცერთი პოეტი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის მთარგმნელი და განმმარტებელი. თვითეული მათგანი მისი მპყრობელი ღვთაების ტყვეა და თავისი მეუფის ნებისმყოფელი“(პლატონი, „იონი, დიდი ჰიპია, მენონი“, თბ., 1979, გვ. 30-11).

გალაკტიონის ესთეტიკა ნასაზრდოებია პლატონის იდეებით მშვენიერების შესახებ. მას სწამს, რომ ზექვეყნიური მშვენიერების წვდომა და გაუკვდავება ბედის რჩეულთა ხვედრია, ჭეშმარიტი, ზეცის სილამაზე კი უფრო წარმატებული და ამაღლებულია, ვიდრე ჩვენი მკრთალი სიცხადე: „ნუ, ნუ გათელავთ ფეხქვეშ შვენებას, ნუ შეურაცხყოფთ დიდების ტაძარს, ბედის რჩეულთა წრფელ მისწრაფებას, მათ იმედის სხივს და თავშესაფარს... არა, ის ცოცხლობს, ჩვენ მიმკრთალ ცხადზე უფრო წარმტაცი და დიდებული“ (პოეზია).

„ლანდეთი, ჩემი ახალი შარავანდედი“, აცხადებს მიღმურის მშვენიერებით გატაცებული პოეტი. მისი მიზანია გააუკვდავოს სწორედ ის მიუწვდომელი, შორეული სილამაზე: „...იქ შორეული მხარეები უნდა გამეფდეს“ (ხელები).

„ფარული ცის“, „წმინდა ცის“ შუქია პოეტის შთამაგონებელი: „...არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (გრძნობათა ფერფლი).

მის თვალთა წინაშე „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი“ (ავე მარია). მეფე პოეტის შემოქმედებაში ქრის „სიო საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (მშვიდობის წიგნი).

მისი აზრით, ამ მოჩვენებებით დასახლებულ და ქარივით სწრაფწარმავალ სინამდვილეში მარადიული მხოლოდ მშვენიერებაა, რომელიც ზეციურია და მარტოდენ

რჩეულ ადამიანთა გულში დავანებული: „ყოველივე ქარია და ჩვენება! ოჰ, სიცოცხლეც უეცარი ქარია... მარადია ერთადერთი შვენება“ (ვილანელი).

იმ უკვდავი, განუსაზღვრელი მშვენიერების მხარესთან არის მიჯაჭვული პოეტის სული: „მეხატებოდა წარმტაცი მხარე, რომლის არ არის ამქვეყნად ფასი, რომელს ამშვენებს მთვარის ნათელი და აფერადებს ვარსკვლავთ კაშკაში... არ იყო შენთვის არც საუკუნე, არც წელიწადი, არც ერთი წამი, იყო უკვდავი მშვენიერება, განუსაზღვრელი იყო კამკამი“ (მახსოვს).

შემოქმედი სული მოხეტიალე ბედუინია, მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზის მხარეს ზიარებული: „მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზეა და სინარნარე“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო).

ზეციური სამყაროს შუქი მოჰყვება პოეტს ამქვეყნად, მარადიული ცეცხლის ნაპერწკლებს ანთებს მიწაზე და „ყოფნის წიგნს“ თუ „არყოფნის წიგნს“ უთვალთვალებს: „გარდასულთა ტკბილთა დღეთა მოჩვენება მე შევქმენი, მასში კრთოდა სილამაზე შარავანდედ შუქის მფენი, მასში წმიდა, უჩვეულო, ზეციური ცეცხლის მჩენი, ცისფერ თვალებს ანაზებდა სინარნარე აღმამფრენი“ (დღეთა გარდასულთა).

„მოგონების წმინდა აჩრდილები“ ცოცხლობენ და უკვდავების ენით მეტყველებენ გალაკტიონის პოეზიაში: „მსურს გავაცოცხლო იმედთა მდელო და მოგონებით წმინდა აჩრდილი სიცოცხლის ჰანგით ავამეტყველო“ (წარწერა წიგნზე).

მარადიულად ცოცხლობს ხსოვნაში „ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“, რომელსაც აღიქვამს, როგორც „მთვარის შუქს“ და „ოცნებათა კრების“ მომრავლებას შესთხოვს.

ზეციურ სინათლეს მოაქვს ოცნებათ გუნდი და მისი სამყარო მოჩვენებები და სიზმარ-ცხადია ერთდროულად: „როგორც სინათლე მოხეტიალე, გადივლის თვალწინ ოცნებათ გუნდი, მოჩვენებებში და სიზმარ-ცხადში ჩაახვევს ფიქრებს ღამის ბინდბუნდი“ (როგორც სინათლე მოხეტიალე).

„ჟამთა ცეცხლით განწმენდილ წუთებში“ პოეტი ცას უახლოვდება (წუთი), „ნეტარი მხარის“ მოლოდინი კი ტკივილებთან გაძლების უნარს ანიჭებს: „და მუდამ გავზრდი გულში იმ იმედს, რომ სადღაც არის ისეთი მხარე, სადაც ედემი ჰყვავის მზიანი, სადაც არ არის სული მწუხარე“ (მე ამ ყვავილებს).

იმქვეყნიური, უცხო მშვენების ანარეკლები ელავენ ამქვეყნიური ცხოვრების ზღვაზე: „ასე, ხანდახან, ცხოვრების ზღვაზე რაღაც სპეტაკი, უცხო შვენება ქარიშხლიან და ბობოქარ ღამეს თეთრი ლანდივით მოგეჩვენება“ (მეზღვაურს). ამ სპეტაკი, უცხო შვენების თეთრი ლანდი ქრისტეს სახეებაა, პოეტთან ძნელბედობის ჟამს გამოცხადებული.

ქვეყნიური სახეები მხოლოდ და მხოლოდ იმ ზეციური, ღვთაებრივი მშვენიერების ანარეკლია: „და რაც კი ქვეყნად ამ ჩემს თვალს უეცრად მოეჩვენების, მარტოდენ, ანარეკლია მაგ ღვთაებრივი შვენების“ (ჩემი ვარსკვლავი).

იმ მშვენიერების სამყაროს აჩრდილების ხსოვნა აწამებს პოეტს: „... მსურდა შენი გადავიწყება, მაგრამ, აჩრდილო, წუთითაც კი არ მავიწყდები! განშორებითა მსურდა შენი გადავიწყება, მაგრამ შენს აჩრდილს, სიცოცხლეო, ვეღარ ვშორდები!“.

„შორი მოჩვენების“ მოლოდინია მთელი მისი შთაგონებული არსებობა ამქვეყნად.

სიზმარშიც არაჩვეულებრივი ხილვები, „წმინდა, შორი ქვეყნის“ ანარეკლებია,

ანგელოზთა, უხორცოთა ხმები: „მე მესიზმრება რაღაც არაჩვეულებრივი, რაღაც სპეტაკი და უმწიკვლო, როგორც ცის ვნება, ჰაეროვანი – როგორც სიოს ნელი ალერსი, მსუბუქი – როგორც გაზაფხულის დღეთა შვენება. მე მესიზმრება ქვეყნისგან განშორებული, მხურვალე ლოცვით დაქანცული ქალწულთა კრება, და თვალთა ცქერა სათნოებით, ლმობით აღვსილი – მე მესიზმრება. მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა, სადღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული, მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა, ღამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩასახული“ (მე მესიზმრება).

სულის მარადიული მოგზაურობისას ნანახი ზეციერთა საუფლოს სახეები ხსოვნა არ ტოვებს.

პოეტი „ტრფობის ტარიგია“, „ზექვეყნიური სიყვარულით“ დამწვარი, გამოუთქმელობის სევდით სავსე (არ მინდა სიტყვა).

მას არ ხიბლავს არც ეს ქვეყანა, არც ის სოფელი, არც მძლავრი ვნება, იგი არ ემონება წუთიერებას და „მარადისობის უფსკრულ-სიღრმეშია“ დავანებული (ბედნიერება“.

და იმ „უცხო, შორეული, არაქვეყნიური ლანდის“ გაუჩინარება ტრაგიზმს განაცდევინებს: „ხშირად მიმეფარების ჩემი კარგი ზმანება და მტანჯავს მწუხარების ყელით გადაქანება“ (გვიანი ოცნება).

„ნაზი და მთვარეული ლანდები“ აღელვებენ მის წარმოსახვას, არაქვეყნიური, უცხო, შორეული ხიბლავს მის სულს.

უხეში, ტრივიალური სინამდვილე არც ყოფილა მისთვის და მარადიული სამყაროს ერთგული ტრფიალით, გაორებისგანაც დაზღვეული იყო: „სინამდვილეს არ ვემდური, არ ყოფილა თითქმის, არყოფილზე საყვედური არასოდეს ითქმის. და არც შიში გაორების არ მიგრძვნია მწარე, მე ხომ მთელი გზა ცხოვრების ისე გავატარე“.

შემოქმედების მიზანია შეიმეცნოს და გამოსახოს ობიექტური ღირებულება. პოეზიის სფეროში ეს ობიექტური ღირებულება მშვენიერებაა.

გალაკტიონი დაეძებდა „უმაღლეს აზრით სავსე სილამაზეს“.

მის პოეტურ კრედოს წარმართავდა ტრიადა: „მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“, „შვენება, გრძნობა და სილამაზე“, ჭეშმარიტებასთან დაკავშირებული სილამაზის გაუკვდავება იყო მისი იდეალი: „კვდომა ბუნების წესია, მაგრამ ჩემს გულში ასეა: ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ლამაზია“ (იმ სივრცეს). აქ არის სევდა ამქვეყნიური სილამაზის წარმავლობის გამო.

გოეთეს აზრით, ჭეშმარიტების სამკაული მშვენიერებაა: „დიადი აზრი ჭეშმარიტების, რაც იფერებს სამკაულად მხოლოდ მშვენიერს“ (ხელოვანთა ჰიმნი).

„მშვენიერებას რომელი დიდი ქალაქი შეედრება, ან პირამიდა? – კითხულობდა ბოდლერი. მშვენიერება „სფინქსია გამოუცნობი“, რომელსაც „ლაჟვარდში აქვს ფესვი და ძირი“ (მშვენიერება, ბოდლერი, „ჩემო გიშერო“, თბ., 1990, გვ. 19).

გალაკტიონისათვის „მშვენიერება ყველაფერს ნიშნავს, მხნედ მოარული“.

გალაკტიონის პოეზია გვიცნობიერებს „ლამაზის“, „მშვენიერის“, „უკვდავის“ კატეგორიებს. ლამაზი ფორმა ჭეშმარიტ აზრთან შეთანხმებით მშვენიერებად, თაობათა ესთეტიკურ იდეალად, უკვდავად იქცევა, „უკვდავება კი არ არსებობს უსიყვარულოდ“. ამასთან, მშვენიერებაზე მეუფების უნარი გულისხმობს „სუფთა სინდისს“. მშვენიერების, ჭეშმარიტების და სიკეთის დაკავშირებით გალაკტიონი კლასიკური ესთეტიკის ხაზს აგრძელებს.

მშვენიერების გაუკვდავების უნარით იპოვა პოეტმა მარადიულობა, სამუდამო ბინა რუსთაველის, ბარათაშვილის მხარეში: „მშვენიერებით ვიპოვე უცხო წალკოტი და ბინა...“

მოდერნიზმის გზა

სიმბოლიზმის თავისებურება – ბიბლიური სიმბოლიზმი

გალაკტიონ ტაბიძის ურთულესი შინაგანი მე დაკნინებულ რეალიზმს კი არა, „ზერეალიზმს“, „შეფარვით ნათქვამ სიტყვას“, ენიგმურ სახეებს, სიმბოლოს, მეტაფორას, პარაბოლას, იდუმალს, საიდუმლოს, მრავალნიშნადობას მოითხოვდა.

მისი სულიერი ინდივიდუალობისათვის ორგანული იდუმალი მეტაფორების, სიმბოლოების, იგავების წყაროების ძიებას არა მხოლოდ რუსულ და ევროპულ სიმბოლიზმთან, არამედ ბიბლიასთან, ანტიკურ და ადრექრისტიან მოაზროვნეებთან, აპოლოგეტების სიმბოლიზმთან, ეგვიპტელ ქურუმებთან მივყავართ, რადგან ეს პოეტი ყოველთვის მოვლენათა გულისგულს, ძირისძირს ეძებდა, ყოველ სიმბოლოს პირველწყაროებში იცნობდა და, ამასთან, ყველა სახეს ახლებურ, თავისებურ ჭრილში გაიაზრებდა.

„მრავალსახედ დაბეჭდილი“, „ფარდის მიღმა განჭვრეტილი ჭეშმარიტება“, „შეფარვით ნათქვამი სიტყვა“ ჯერ კიდევ ალეგორიზმისა (ფილონ ალექსანდრიელი) და ქრისტიანული სიმბოლიზმის წარმომადგენლებს (კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი ავგუსტინე, გრიგოლ ნოსელი) იზიდავდათ, რადგან იგი მისაწვდომია მხოლოდ ხელდასმულთათვის და არა ბრბოსთვის.

გალაკტიონი ამოდიოდა მითოლოგიიდან, ბიბლიიდან და, ბიბლიის შემქმნელებივით, სულიწმიდასთან ნაზიარებ სულს აუკვდავებდა.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

ეგვიპტური, ებრაული (წინასწარმეტყველთა) და პითაგორეული სიმბოლიზმი კლიმენტი ალექსანდრიელის მიერ აღიქმებოდა, როგორც შეგნებული გნოსეოლოგიური მიზანდასახულობა.

დიონისე არეოპაგელისათვის სიმბოლო იყო ზოგადფილოსოფიური, რელიგიურ-გნოსეოლოგიური კატეგორია.

არეოპაგელი გამოყოფდა ჭეშმარიტების მიწოდების ორ საშუალებას: ერთი გამოუთქმელი და საიდუმლო, მეორე – ცხადი და ადვილად შესამეცნებელი. პირველი სიმბოლური და მისტიკურია, მეორე – ფილოსოფიური და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი... ძველი დროის ბრძენნი „იდუმალ და თამამ მარაგით-ზრახვას“ მიმართავდნენ, ამ „მარაგით-ზრახვაში“ ერთმანეთში მჭიდროდ იყო გადახლართული გამოუთქმელი და გამოსათქმელი...

სიმბოლო „ზეშთაარსობრივი სულიერი სინათლის“ წვდომის გზა იყო, მას ახასიათებდა არაცნებითი ინფორმაცია, „სილამაზისა და სინათლის ფორმით“ ჭეშმარიტების ძიება.

სიმბოლოსადმი, სიტყვისადმი ასეთი დამოკიდებულება (რომელიც შეივსო სხვა პრინციპებითაც) თავიანთ ესთეტიკას საფუძვლად დაუდეს მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპელმა და რუსმა სიმბოლისტებმა.

ბიბლიური ტექსტის კომენტატორები მასში სხვადასხვა აზრობრივ მნიშვნელობას გამოყოფდნენ (ორიგენი – სამს, ავგუსტინე – ოთხს, ტერტულიანე – მეტს).

ორიგენი ბიბლიაში სამგვარ მნიშვნელობას პოულობდა: „ზედაპირულს“, პირდაპირი მნიშვნელობის, „სხეულებრივი“ აღქმისათვის მისაწვდომს, „სამშვინველისათვის“ (სულისთვის) გათვალისწინებულს და ყველაზე ღრმა სულისთვის განკუთვნილს. ტექსტების მეორე და მესამე ჯგუფის დამახასიათებლად მიჩნეულია სიბნელე, იდუმალება და მოჩვენებითი უაზრობა. ორიგენის აზრით, ტექსტში საჭირო იყო „უცნაურობანი“, „დაბრკოლებათა ქვები“ და მკითხველი მათ ფარულ აზრზე უნდა დაფიქრებულიყო.

სახისა და სიმბოლოს ახალ გაგებას ავითარებს გრიგოლ ნოსელი, რომელიც აგრძელებს კლიმენტი ალექსანდრიელისა და ორიგენის ტრადიციებს.

IV-V საუკუნეებში ძლიერდება ნეოპლატონიკოსებისა და ქრისტიანების ინტერესი სიმბოლოსადმი.

ასეთი შორეულია რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის წყარო და უეჭველია, გალაკტიონი ამ წყაროს რომელიმე უცხოელი წინამორბედის, ან თანამედროვის გზით კი არ ეცნობოდა, არამედ მისი უშუალო მამამთავრებისგან.

„სიმბოლიკური ფორმა ოსტატურად ფარავს ჭეშმარიტებას, რომ ამ დაფარვით საჩინო ჰყოს და იდუმალყოფით გაამჟღავნოს იგი“ (გრამატიკოსი დიდიმი).

ბუნების, სიტყვის იდუმალების გაფეტიშებაა იმპერატორ იულიანეს ჰიმნი „ღმერთების დედოფალს“: „ბუნებას უყვარს იდუმალყოფა. იგი არ გამოაჩინებს თავის არსებას უწმინდურ ყურთათვის გადაგდებული პირდაპირი სიტყვით. შეუცნობელი და იდუმალი ბუნება იმისთვის შეიქმნა, რომ იგი სიმბოლოთა მეშვეობით გამჟღავნდეს. რაც უფრო პარადოქსული და უცნაურია ენიგმა, მითუფრო გვიდასტურებს იმის აუცილებლობას, რომ ვირწმუნოთ არა ის, რაც სიტყვით არის გაცხადებული, არამედ ის, რაც იდუმალყოფილია“.

„სიტყვის განზრახ დაბნელებას“, რაც ვალერი ბრიუსოვს სიმბოლისტური პოეტიკის არსებით ნიშნად მიაჩნდა, გალაკტიონი სრულიად შეგნებულად მიმართავდა.

ის თავისი ლექსებიდან ყოველთვის უკუაგდებდა რიტორიკას, მჭევრმეტყველებას, უსაგნო პათეტიკას და სიმბოლურ-მეტაფორულ სახეებს ანდობდა ღრმააზროვანი ჩანაფიქრის გამოხატვას.

უეჭველია, მისი სიმბოლოებისა და მეტაფორების გნოსეოლოგიური ფუნქცია. გალაკტიონს ჩანაწერიც კი აქვს ამაზე – „მეტაფორა და მსოფლმხედველობა“. მის ლექსებში „უუდიდებულესი რითმებითა“ და იდუმალი სახეებით მიიწვდომება აზრი.

„ფიქრგანდობილი“ გალაკტიონისთვის პოეზია იყო „სამუდამო გამოცანა“.

მისი უმთავრესი ეპითეტებია „ჩუმი, ფარული, იდუმალი“. ზოგჯერ ბოლომდე გაიდუმალებული და გასაიდუმლოებულია მთელი რიგი ხილვები. სიმბოლო და საიდუმლოება მისი „იდუმალი ქვეყნის“ უპირველესი ემბლემაა.

ნებისმიერი მკითხველი პოულობს მის პოეზიაში „მრავალნიშნად ადგილებს“, „დაბრკოლებათა ქვებს“.

აშკარაა, ბიბლია, მითოლოგია, ძველი და ახალი ქართული კლასიკური პოეზია იყო, უცხოურ მოდერნიზმთან ერთად, მისი „სულის მზრდელი“.

როგორც სულიწმინდისგან ხელდასხმული პოეტი, ის ორიენტირებული იყო ზეციურ, მარადიულ სიბრძნეზე.

მისი სიმბოლოების, იგავების, მეტაფორების პირველწყაროების ძიება სარწმუ-

ნოს ხდის, რომ პოეტი ბიბლიურ წინასწარმეტყველებს უახლოვდება.

ქართული პოეზიის რენესანსი სიმბოლისტებმა იწინასწარმეტყველეს და მომავალი დიდი ხელოვნება რუსთველისა და მალარმეს (ზოგადად მოდერნიზმის და ტრადიციების) სინთეზად დასახეს.

ამ იდეას ხორცი პრაქტიკულად გალაკტიონმა შეასხა, ამასთან, ეს სინთეზი კლასიკური უნივერსალიზმის მიღწევაა უმაღლეს დონეზე.

სიმბოლიზმის პრინციპებიდან გაიზიარა პოეტმა სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების, სიტყვის მუსიკალობის, სახეთა სინთეზურობის, დუმილის პრინციპები. მისი სიმბოლიზმი „სტანდარტის“ უკუგდებას, სიტყვის მაღალი კულტურის მიღწევას ემსახურებოდა და შორს იყო დეკადენტობისგან.

პოეტი ახსენებდა „წმინდა პოეზიას“, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ხალხის ინტერესების იგნორირებას, რაზედაც მიგვანიშნებს მისი ლექსების დემოკრატიული ხასიათი, რეალისტური ტენდენციები.

ტერენტი გრანელი გალაკტიონს სიმბოლისტად მიიჩნევდა „განცდების სიმბოლური გამოხატვის“ გამო.

გალაკტიონი გმობდა „მასხარას გრიმს“, „ბუტაფორიის შეხლას“, ეძებდა „წითელ“ და „ათას ნიღაბს“, მაგრამ მისი „როლი ნიღაბით იყო სული ნიღაბის“, რაც ნიღბის სულის გათავისებაა.

გალაკტიონ ტაბიძე პოეზიაში აერთიანებდა ფერმწერის, მუსიკოსისა და პოეზიის შესაძლებლობებს.

პოეტი ეძებდა „დაფარულ ფერებს, რჩეულ ფერებს, ყველა პალიტრების ფერებს, ფერთა ხარისხს“, ერთსა და იმავეს წარმოაჩენდა სხვადასხვა ფერით, მას „ათასის მხედველობა, ათასის იერი“ ჰქონდა და შეეძლო ეთქვა: „მე დავინახე მცურავი სული“.

გალაკტიონის მუსიკალური გენია არამარტო მელოდიურად გაიაზრებდა თემას, ახალი ხერხებით სიტყვის მუსიკალურ შეწყობას მიმართავდა, არამედ ადამიანის სულის, სამყაროს, საგნების საოცარ მუსიკას, „კოსმიურ მუსიკას“ წვდებოდა, მისი შინასამყარო გარესამყაროს საოცარ მუსიკას ეხმაურებოდა. პოეზიაში იგი „მუსიკის სინათლესა და ფერადებს“ ეძებდა. ესმოდა ხედვისას და ხედავდა სმენისას: „ის დანდობილი იღებს ჭიანურს და სასახლეებს ჰაერში მოდებს,“ „სიტყვაში, ვით მაგიური, ხმა წმინდათ ნაკამკამარი“, „ახალი ხმით ანათებს ფერადოვან პალიტრებს“.

გალაკტიონს ესმოდა „ფიქრის რხევა, ფიქრთა სამოსის შრიალი, პირველყოფილი ქაოსის შრიალი, წამწამთ კანკალი“.

პოეტის შემოქმედებაში შეიმჩნევა სინთეზიური წარმოდგენები. გალაკტიონთან „თვალებით სმენაა“: „თვალებით ისმენს ჩემი გადია“.

გალაკტიონი იყო ქართული ეპიგონური სიმბოლიზმის ოპოზიცია, რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის ზოგ პრინციპს კი შემოქმედებითად იყენებდა.

ოთარ ჩხეიძე სიმბოლიზმში კლასიკური ხელოვნების უმაღლეს საფეხურს გულისხმობდა და ამ მიმდინარეობის სრულყოფილ გამოვლენას ხედავდა გალაკტიონის პოეზიაში, „ცისფერყანწელებს“ კი ეპიგონებს უწოდებდა (როსტომ ჩხეიძე, „კომიკოსი ტრაგედიაში“, თბ., 2016, გვ. 35).

სიზმარს, ზღაპარს უკავშირებდა პოეტურ გამონაგონს, ამასთან, მის ლექსებში შეიმჩნევა ყოფნის სიზმარეულობის განცდა.

გალაკტიონი სულ „ბედს იქით“, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გადალახვას ესწრაფოდა.

მისი ძიების მიზანია შემეცნების ახალი საფეხურის მიღწევა, ახალი ესთეტიკური

კულტურის შექმნა.

„არსებობს სიახლის სამგვარი გაგება: სიახლის სუბიექტური განცდა ანუ ფსიქოლოგიური სიახლე, სიახლე რომელიმე კულტურული რეგიონის მასშტაბით და ობიექტური სიახლე, მსოფლიო პოეტური კულტურის პირველმინაღწევარი“ (ოთარ ტაბიძე, „შემოქმედების არსი“, თბ., 1981, გვ. 33).

„სიახლის სიხარული, სიახლის ნიაღვარი, თვალი სიახლეს ხვდება სიახლით, ამოდის ელვარება ახალი სხივის, ახალი გულის, მისწრაფების, ფიქრის, ოცნების, ახალი მზე სურვილს გადეწიგნება“ – წერს გალაკტიონი. მისი დევიზია: „ახალი გწვავდეს მზე უვედრები“, „ყოველი დღის მარადისი სიახლე“.

გალაკტიონთან თვალშისაცემია პირველის, ერთის მაგია, ერთადერთობის რწმენა: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“, „ერთადერთის მრავალთაგან შებმა“, „მე მივდიოდი ერთი“.

გალაკტიონთან სიახლის ობიექტური განცდა გვაქვს.

გალაკტიონის დიდების სიმბოლოებია: „მარმარილოს ძეგლი, სხვა კართაგენი, უეცარი ქალაქი“, ტერენტი გრანელისა – არმაზი, პირამიდა: „პოეტს გარინდულს, როგორც პირამიდა, ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს“.

გალაკტიონს ყოველთვის უკმარისობის განცდა ეუფლებოდა დაფასებაში: „ამ წიგნში არის და მიხარია კაცი, რომელმაც ასე გაბედა და ის, რაზედაც ჩუმად არიან“.

გალაკტიონი „მგზავრი პოეტია“.

პოეტების მეფეს უყვარს ნაპირი და, სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპის თანახმად, სხვადასხვაგვარი ქვეტექსტი აქვს მის პოეზიაში ამ ცნებას: არაგვის ნაპირი, მშობლიური ნაპირი, ჩვენი ნაპირი – აშკარად რეალისტური ცნებებია.

მეტაფორული გამოთქმებია და მიღმურ სამყაროს თუ პოეზიას უკავშირდება მისი „სამუდამო მხარის ნაპირი“, შორეული ნაპირი, ჩვენი ნაპირი, მწვანე ნაპირი... გვხვდება „ქაოსის ნაპირი“.

სტეფან ცვაიგი ლაპარაკობს „სულიერი ცხოვრების ჯერაც მიუგნებელ ნაპირებზე, პოლ ვალერი – „საგნების ნაპირზე, ლანდების ნაპირზე“, ტარიელ ჭანტურია „გაღმა ნაპირზე“, მურმან ლებანიძე ამბობს; „შორს რიბირაბოდ მოჩანს ნაპირი...“

ყველა ეს ცნება ისეთი ღირებულების შექმნას გულისხმობს, რაც მომავალში გაღწევის გარანტიას მისცემს შემოქმედს.

გალაკტიონთან პოეზიის სიმბოლოა „ახალი მერანი“, „გაქანებული მერანი“, „ულაგამო და უუნაგირო მერანი“.

პოეტი გვაოცებს ანტიციპაციის უნარით. წინაგრძნობას, წინასწარმეტყველებას ყოველთვის ხაზი ესმება.

სულიერი ცხოვრებისადმი, გრძნობებისადმი განსაკუთრებული ინტერესი განაპირობებს გულის, ფიქრის, ოცნების, სულის მრავალნაირი, ახლებური ნიუანსებით გააზრებას.

გალაკტიონის ფიქრი „უფსკრულში შთამჭვრეტია“.

მისი ფიქრი საათივით ზუსტია: „აზრს ციფერბლატი...“

გალაკტიონის ფიქრს გზას უკეტავს სევდა: „და ფიქრი მიაქვს შორს ნიავქარს, სევდის ნიავქარს“.

პოეტს ახასიათებს ფიქრების პერსონიფიკაცია. გალაკტიონი ლაპარაკობს „ფიქრის ღვარზე, ფიქრის თქეშზე, ფიქრის გორებზე, ფიქრის კარავზე... ჯვარედინ ფიქ-

რზე“.

გალაკტიონთან ფორმა „ფიქრთა სამოსია“, ჩადრი: „აშრიალდება ფიქრთა სამოსი“, „მშვენიერება ჩადრს დაიხურავს“.

გალაკტიონის „ოცნება მიწადია“.

მისი დევიზია: „დროთ საზღვარს იქით“, „ბედს იქით“.

იგი პოეზიით, შემოქმედებით ებრძოდა ბედს, გალაკტიონი თვით იყო ბედისწერის მეუფე და ბედს „გაბედითებას“ უპირისპირებდა.

გალაკტიონი ღმერთთან მებრძოლი ბიბლიური იაკობია.

მისი ნათლის ესთეტიკა, ნეოპლატონიზმთან, არეოპაგიტიკასთან, ქართულ ჰიმნოგრაფიასთან არის დაკავშირებული.

გალაკტიონი ეძებდა „ზოდიაკალურ ნათელს“. სხივების გვირგვინს წნავდა: „სხივნართ გვირგვინებს თავზე დავადგამ, ვინც გულს მომიკლავს და ამიძგერებს“.

რევაზ თვარაძე წერს: „დ. გურამიშვილის მსოფლმხედველობაში ფაქტიურად წერტილი დაესვა აზროვნების იმ მიმართულებას, რომელიც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) მოძღვრებაში იღებდა სათავეს. ამ მიმართულებასთან ცოტად თუ ბევრად მიახლოებული მერმინდელი მოაზროვნენი (ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა) სხვა წყაროებით საზრდოობდნენ და აღნიშნულ ნაკადს უფრო ინტუიციურად ესწრაფვოდნენ, ვიდრე ცნობიერად“ („გურამიშვილთან მიახლოება“, წიგნში, „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“, 1985, გვ. 287).

ვფიქრობთ, პირვანდელი შინაარსის გამომხატველი არეოპაგიტიკული ცნებები და ნათლის ესთეტიკა არსებობას აგრძელებს გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის პოეზიაში და მათ შემოქმედებას განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს. შემდეგ ეს ტრადიციები ახლებურად ვლინდება ანა კალანდაძის პოეზიაში.

ასეთია გალაკტიონის უსაზღვროება, ჰაეროვანი, პოეზიით განღმრთობა, ტერენტი გრანელის „უსხეულო ლანდი“, „უსახელო“, „შორეული სინათლე“ („ახლა სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო“), „უსაზღვროება“, მათი „იდუმალი“ და „ფარული“. ტერენტის „ექსტაზი და მისტერია“ – ოღონდ პოეტურ ასპექტში, გალაკტიონის – „რონინი საოცარი და მისტერია“.

ტერენტი გრანელი და გალაკტიონ ტაბიძე „იდუმალების“, „ფარულის“, „უსაზღვროების“ „უსახელოს“, „ერთის“ ცნებებით უკავშირდებიან იდუმალების ესთეტიკას.

გალაკტიონთან გვხვდება „ციურ ნისლთა ფიქრი“, „წმინდა ნათელისა“ და „წმინდა სიწყვდიადის“ (ღვთაებრივი ნისლის) იგივეობის არეოპაგელისეული აზრი კი პოეტს გადმოცემული აქვს ჰეგელის გზით: „წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“.

დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას იდუმალების ესთეტიკასთან არ წყდება ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტიკასთან დაკავშირებული ხაზი, იგი გრძელდება გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის შემოქმედებაში.

გალაკტიონის საღვთო სახელები, სიმბოლურ-მეტაფორული სახეები ნასაზრდოებია ბიბლიით, ღვთისმეტყველთა ნააზრევით, სასულიერო მწერლობით, მაგრამ უსასრულოდ, შემოქმედებითად არის გამრავალფეროვნებული, კანონიკურ სახეებს ყოველთვის ახალ ელფერს სძენს პოეტის გენიალური მიგნებები, განუმეორე-

ბელი ნიუანსები...

პოეტების მეფე პატივისცემით გამოეთხოვა თავის უცხოელ წინამორბედ სიმბოლისტებს, უმაღლეს დონეზე გაითავისა კლასიკური ნააზრევი, თვითონ ახლებური გზები გაიგნო, საერთოდ, ზედიწევნით კარგად გაერკვა სიმბოლური აზროვნების ისტორიაში, მის ეტაპებში და მსოფლიოს პროგრესული მიღწევების გათვალისწინებით, თვით შექმნა სიმბოლურ-მეტაფორული სახეების სასწაულები, რაც მოასწავებდა პოეზიის ახალ, სრულიად ორიგინალურ საფეხურზე ამაღლებას, უმაღლესი რეალიზმის (რევაზ თვარაძე), ზერეალიზმის, „კლასიკური უნივერსალიზმის" (გიორგი გაჩეჩილაძე), „პოეტური უნივერსალიზმის" (აკაკი გაწერელია) განუმეორებელ ხარისხს, რომელიც განკუთვნილია არა მხოლოდ პოეტის ეპოქის ან ერთი საუკუნისთვის, არამედ საუკუნეებისთვის, მსოფლიოსთვის.

იმპრესიონიზმი და გალაკტიონის ლირიკა

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე დაკვირვებამ იმთავითვე ნათელი გახადა, რომ პოეტის სიდიადის მასაზრდოებელი წყარო ყოვლისმომცველი იყო, მაგრამ ისიც აშკარად ჩანდა, რომ გალაკტიონი ყველგან და ყვლაფერში ახალ, განუმეორებელ გზებს კვალავდა, ტრადიციისა და ნოვატორობის დიალექტიკის თანახმად, მის შემოქმედებაში წინამორბედთა შთაგონება ახალ სადინარში გადადიოდა და თვისობრივად ახალი პოეტური სამყაროს შექმნის საფუძველი ხდებოდა.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ყველა ლიტერატურული მიმდინარეობის ნიშნებს ვიპოვით, მაგრამ „არა სიმბიოზის", არამედ „სინთეზის დონეზე" (თამაზ ჩხენკელი).

ეროვნულ-უცხოურის სინთეზირებით ქმნიდა პოეტი ახალ მხატვრულ რეალობას, „ახალ სიტყვებში მყოფ სამყაროს".

გალაკტიონის პოეზიაში ახლებურად არის წარმოჩენილი რეალიზმის, რომანტიზმის, სიმბოლიზის თუ იმპრესიონიზმის შესაძლებლობები და ყოველთვის ეროვნულ ნიადაგს უკავშირდება მისი მსოფლშეგრძნება, ეყრდნობა რა პოზიტიურ მსოფლმხედველობრივ საფუძველს.

„საქართველოში გ. ტაბიძემ თვითონ შეიმუშავა ქართული იმპრესიონისტული „მართლწერა". ამ მხრივ, „მას წინაპარი არ ჰყოლია" (1, 22).

გ. ტაბიძის პოეზიის იმპრესიონისტულ ხასიათზე მიუთითებენ ა. გაწერელია, ს. ცაიშვილი, გ. კანკავა, რ. თვარაძე, გ. ზაუტაშვილი, თ. ჭილაძე, თ. ჩხენკელი, ი. კენჭოშვილი, თ. დოიაშვილი.

ცნობილია, წინააღმდეგობის რა რთული გზა განვლო იმპრესიონიზმმა, მისი სრული უარყოფიდან საყოველთაო აღიარებამდე.

XIX ს. მეორე ნახევარში ფრანგული მხატვრობის წიაღში აღმოცენებული ეს მიმდინარეობა, რომლის პრინციპებიც შემდეგ ხელოვნების სხვადასხვა სფეროში იქნა გამოყენებული, აზრთა დიდი სხვადასხვაობის, განკიცხვის და განდიდების ობიექტიც ყოფილა ერთდროულად. მაგრამ ბალზაკის, ზოლას, ბოდლერის, მალარმეს, ვერლენისა და სხვათა მხარდაჭერით იმპრესიონიზმი თანდათან ხდებოდა სამყაროს ახლებური ხილვის საშუალება.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებამდე ისევ არ არსებობდა ერთიანი პოზიტიური, ოფიციალური აზრი იმპრესიონიზმზე. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის, ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მცირე ლექსიკონის, ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებების, ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონის განმარტებებში იმპრესიონიზმი გაიგივებული იყო დეკადენტიზმთან, იგი მიჩნეული იყო რეალისტური ტრადიციების უგულებელყოფად.

მაგრამ დღეს სულ სხვაგვარი მიდგომაა იმპრესიონიზმისადმი. აღიარებულია, რომ „იმპრესიონიზმს, რომელმაც დიდი ღვაწლი გასწია არასწორად გაგებული ტრადიციების ტირანიისაგან ხელოვნების განთავისუფლებაში, შეუძლია ახლა თვით დაიკავოს ადგილი დიდ ტრადიციათა შორის“ (2, 485).

კონსტანტინ პაუსტოვსკი ხაზს უსვამდა იმპრესიონიზმის დიდ სიახლეს და იცავდა მას ნიჰილისტების თავდასხმისაგან: „დროა, სამართლიანი თვალით შევხედოთ იშვიათ ნიჭმომადლებულ მხატვრებს... ჩვენ ყველაფერი გვჭირდება, რაც სულიერად ამაღლებს და შინაგანად ამდიდრებს სოციალისტური საზოგადოების ადამიანს... როგორც წარსულის მთელი დანარჩენი მდიდარი მემკვიდრეობა, იმპრესიონიზმიც ჩვენი კუთვნილებაა. ამ მემკვიდრეობაზე უარისთქმა ნიშნავს, რომ შეგნებულად შევიზღუდოთ თავი... რით არიან ჩვენთვის საშიშარნი სიახლის მოთავე... იმპრესიონისტები?“ (3, 24)

იმპრესიონიზმის რეალისტურობაზე ამახვილებდა ყურადღებას ილია ერენბურგი (4, 482-483). პოზიტიური თვალთახედვით არის შეფასებული იმპრესიონიზმი მოკლე ლიტერატურულ ენციკლოპედიაში.

სულ უფრო და უფრო ესმება ხაზი იმპრესიონიზმის არაერთმნიშვნელოვნებას, მის კავშირს რეალიზმთან, საერთოდ, ტრადიციებთან.

დეკადენტობის კრიტიკოსი პლეხანოვი იმპრესიონიზმის შესანიშნავ მიღწევად თვლიდა მათ ბრწყინვალე ფერწერით ტექნიკას, სინათლის ეფექტების გამოყენებას და წერდა, რომ „იმპრესიონიზმიც... თუმცა არა ყოველთვის წარმატებით, საზოგადოების სასარგებლოდ მუშაობს, მან მოგვიტანა მზით გასხივოსნებული ცხოვრების ალერსი“ (5, 78).

იმპრესიონიზმი ტრადიციებისაგან მაშინ ითიშება, როცა ხდება გულგრილობა ნაწარმოების იდეური შინაარსისადმი, სინათლის, შუქის ფეტიშირება, ობიექტური ბუნებისაგან განდგომა, ფორმის თვითმიზნურობა, საზოგადოების უგულებელყოფა.

ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოი, ანტონ ჩეხოვთან, ივან ბუნინთან პოულობდა იმპრესიონიზმის ნიშნებს, ხოლო ფსიქოლოგიური იმპრესიონიზმის ნიშნებს ეძებენ თომას მანის, სტეფან ცვაიგის ნაწერებში, კნუტ ჰამსუნის „შიმშილში“, ოსკარ უაილდთან, ჰოფმანსტალთან, ზაიცევის მოთხრობებში, ანენსკის პოეზიაში.

კონსტანტინე ბალმონტი სიმბოლიზმს და იმპრესიონიზმს „ფსიქოლოგიურ ლირიკას“ უწოდებდა. ზოგი კი იმპრესიონიზმს „სუბიექტურ რეალიზმთან“ აიგივებს (6, 123).

უფრო მეტი, იმპრესიონიზმს მიეცა ფართო მნიშვნელობა და ამ ცნების ქვეშ იქნა გაგებული ყოველგვარი შთაბეჭდილება, აღწერა, სწრაფი მინიშნებები, სურათის დაუმთავრებლობა და, ამდენად, მისი ნიშნები ნაპოვნია ანტიკურ, ჩინურ, იაპონურ და პირველყოფილ აზროვნებაშიც კი.

აღიარებულია, რომ ფრანგი და რუსი სიმბოლისტები ახლოს იყვნენ იმპრესიონიზმთან. იმპრესიონისტები იზიარებდნენ სიმბოლიზმის ზოგ პრინციპს.

გალაკტიონ ტაბიძის იმპრესიონიზმი რეალიზმის ტრადიციების შემოქმედებითი გამრავლფეროვნებაა, წამიერში საუკუნეობრივის, მარადიულის მოხელთება, ფერების, ნახევარტონების, შუქჩრდილების არა თვითმიზნური თამაში, არამედ დიდ ჰუმანიზმთან, იდეურობასთან დაკავშირებული ხელოვნება, გენიალური ხილვები, შეუდარებელი გასხივოსნება. იმპრესიონიზმთან პოეტის შეხვედრა ისეთივე ბედნიერი მომენტი იყო ქართული პოეზიისათვის, როგორც სიმბოლიზმის ზოგიერთი პრინციპის შემოქმედებითი გამოყენება. გალაკტიონის პოეზია ემოციური, მელოდიური და, ამავე დროს, ინტელექტუალური პოეზიაა, რომელშიც ერთდროულადაა „იმპრესიონისტული ხილვის“ სილამაზე, ანალიტიკური საწყისები, „გულისა და გონების ძალა“, ზოგჯერ კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველაფერი თვითდინებას იყოს მინდობილი, შეგრძნებების უშუალო ფიქსირებით, მინიშნებებით, შორეული ასოციაციებით, ბოლომდე უთქმელობის პრინციპით, „სიტყვის განზრახ დაბნელებით“ (აკაკი გაწერელია).

გალაკტიონის პოეზიაში კლასიკურს, რეალისტურს რომანტიკული ენაცვლება, სიმბოლისტურს – იმპრესიონისტული, უცხოურს – ეროვნული და იქმნება სტილური მრავალფეროვნება, აზრობრივი მრავალმნიშვნელობა, სირთულე და სინთეზი.

გალაკტიონ ტაბიძეს სპეციალურად არ დაუწერია იმპრესიონისტული თეორიული ტრაქტატები, მაგრამ მისი ცალკეული გამონათქვამები, ლექსებში გაბნეული ფრაზები და უპირველესად პოეტური პრაქტიკა ნათელს ხდის, თუ როგორი ყურადღებით ეკიდებოდა იგი იმპრესიონიზმის უმთავრეს მხატვრულ პრინციპებს და რა გენიალურად ითავისებდა მას თავის შემოქმედებაში.

„გალაკტიონმა ალბათ პირველმა აღნუსხა წამიერი შთაბეჭდილებები, უმნიშვნელო, წვრილმანი, თითქმის უჩინარი სულიერი მდგომარეობა (განწყობილებები) და აიყვანა ისინი მაღალი პოეზიის რანგში. გალაკტიონმა, როგორც ჯადოქარმა, ხშირად, თითქმის არაფერზე, თითქმის არაფრისაგან შექმნა უნატიფესი ლექსები“ (7, 658).

გალაკტიონს უთქვამს: „მე ძლიერ მომწონს იაპონელი მხატვრების შემოქმედებითი პრინციპი. იმისათვის, რომ გვიჩვენონ მთა, ისინი არ ხატავენ მას მთლიანად, თავიდან ბოლომდე, არამედ რამდენიმე შტრიხით წარმოგვიდგენენ მთის ძირსა და მწვერვალს, დანარჩენი კი უნდა განჭვრიტოს თვითონ მაყურებელმა, მის გონებაში უნდა დასრულდეს სურათი. მეც ასე ვმუშაობ, ლექსში ყოველთვის მკითხველს ვუტოვებ სააზროვნოს, წარმოსადგენს. ასე რომ არ იყოს, მაშინ გვექნებოდა არა პოეტური ნაწარმოები, არამედ მხოლოდ გარითმული სტრიქონები“(8, 36).

სწორედ ეს პრინციპია განხორციელებული მისი იმპრესიონისტული შედევრების უმეტესობაში. ამ ასპექტებშია მისი „ნეგატივები“, სათქმელის ბოლომდე გაუმჟღავნებლობა. მოვლენათა ახალ-ახალი ნიუანსების, რიტმულობის, ქართული სულისათვის შესაფერისი სიღრმის ძიება იყო მთავარი გალაკტიონისათვის.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ყურადღებას იქცევს მჭერმეტყველებასთან „სიტყვა ნაწყვეტის“ უპირატესობის აზრით, „დღიურ პროზის“ პოეზიად ქცევის სურვილით, რაც სიმბოლისტებისთვისაც იყო მახლობელი.

„საიდუმლო“... „ნისლში გამქრალი სიტყვის“, „მზიური მელოდიის“, „სიტყვა ნაწყვეტის“, „ღამის სიცხადის“ პრინციპების გამოყენების მიზანი ერთია: შექმნას საოცარი ეფექტები, საუკუნეობრივი ღირებულების სიახლე, რომელსაც წარმართავს „ფხიზელი მიზანი და ანგარიში...“

შთაბეჭდილებების, წამიერობის პრინციპი უმთავრესია იმპერიონისტული ხე-

ლოვნებისათვის.

„Искусство – это увековечение в высшей, абсолютной, окончательной форме какого-то момента, какой-то мимолетной человеческой особенности“ (9, 13).

წამიერობის პრინციპი არ ნიშნავს შემთხვევითის, არაარსებითის გამოვლინებას, პირიქით, ედგარ დეგა წერდა ანრი რენუარს: „ხელოვნებაში არაფერი არ უნდა ჰგავდეს შემთხვევითს, თვით მოძრაობაც კი“(10, 72).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში თანმიმდევრულად არის განხორციელებული პრინციპი: „ასწლად წამიერი“, „წამის გასაუკუნება“.

პოლ ვალერი წერდა: „მწერლობა ნიშნავს იმის სურვილს, რომ გარკვეული არსებობა და დღეგრძელობა მიანიჭო წამიერ ფენომენთა სიმრავლეს, მომენტის გახანგრძლივება“ (11, 285).

იშვიათად თუ ვინმეს უქცევია დრო და, კერძოდ, წამი ისეთი ინტერესის საგნად, როგორც გალაკტიონს.

გალაკტიონი წუხს „უსაზრო წამებს, ნგრევის წამებს, წყვდიადის წამებს, წუთების ერთსახეობას, განწირულების წამს, და ყოველ წუთს და წამს ძიებით, განცდით, შთაგონებით, ახლის პოვნით ავსებს“, იგი ებრძვის ყოველ წუთს და წამს, რათა დაიპყროს „მასალათა სიმძლავრე ჯიუტი“ (ჩემი პოეზიის ინტეგრალები), წამებშიც კი მის გულში ხმაურობს „სურვილთა ზღუდე“, მან არ იცის „ერთი წამით მაინც დაცხრომა“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს), მისი მოგონება – „წამზე უმალია“, „გრძნობით რეკავს ყოველი წუთი“, „ყოველი წუთი გზაა თავისდაგვარი“, „წამი წამს ეზიდება“, გვხვდება „წამის წამთან გადაწინდვა“, „მრავალფეროვან წამთა ფერხული“, „გამოუთქმელი და უბოლოო წუთების შვავი...“ წამებში „სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი“, წამებში ხდება ძეგლთა სიმაღლის დაუფლება, „სულის წუხილის“ ძეგლად აგება, „განათების წამში“ ჭეშმარიტების, მშვენიერების წვდომა, სიტყვის პოვნა: „უთხარ თავის თავს ყოველ წამში ათჯერ, ათასჯერ, რომ გზა გაეხსნას ქაოსს ნაგუბარს“ (იყავ გულწრფელი, გაიგონე ხმა ანთებული).

პოეტის მიზანია გააუკვდავოს „ჩვენი ცხოვრების უმჩნევი წამი სხვადასხვაგვარი“ და აქვს კიდეც ამის რწმენა: „გზა მიჰყვებოდა მიმოფანტვას უმეტეორესს, რომ თან წაეღო საუკუნის მრავალი წამი.“ „უდიადესი დიდი წამი შემოქმედისა“ „ახალ ღმერთად“ ქმნის პოეტს (შემოქმედება).

წამის ამ პოზიტიურ გაგებას უპირისპირდება „ობოლი წამი“, „წუთების ერთსახეობა“, „წამშლელი წამი“, „ბნელზე ბნელი წამი“.

გალაკტიონი „ბრძოლას არ იწვევს წუთიერ დღეში“, „გამვლელ-გამომვლელ წამს“ არ ეფერება...

გოეთე აფრთხილებდა ყველა იოლი გზის მაძებარს, განრიდებოდა წარმავალი წუთის ცდუნებებს: „ნუ მიენდობით მედინ ელემენტს“. გოეთეს „შეჩერებულ წამს“, „წარუდინებელ წამს“, ეხმაურება გალაკტიონის „წამის გასაუკუნება“, „ასწლად წამიერი“.

წამის გამოყენებით შექმნილია საოცარი ბგერწერული თქმები: „ასეა ჟამი, მისდევს წამს წამი, ღამის წამწამი ახამხამდება“, „წამის წამთან გადაწინდვა“, „წამების წყნარი წარმავალობა“, „შენი წამწამით მისდევს წამს წამი“, „წყებათა წყება წამით არ წყდება“.

პოეტის დევიზია: „განსაზღვრე რიცხვი წუთებისა“ (ჩემი პოეზიის ინტეგრალები), „ნიავქარს არ აჩუქო ერთი წამი ან წუთი“, „წამები, მათი შეუწყვეტლობა, მის-

წრაფება და ხასიათი“, „მე არ მინდა წამიც კი შენი ნააზრისა, ნაგრძნობისა დაიკარგოს“.

წუთის, წამის ასეთი გააზრებით უკუგდებულია „დიდება ამა სოფლისა“ და მოპოვებულია „დიდება მარადისი“. დროზე გასწრების გამომხატველი ფრაზაა: „დრო ხვალინდელი გააწინდელა“.

გოეთეს აზრით, გონების სიდიადის წყალობით „მარადისობად გადიქცევა მედინი წამი“, გალაკტიონთან კი დროა გაოცებული და გაჩერებული: „და თითქო დრო მთლად გაჩერდა, უცნაურ ხალხს დააჩერდა, ნახა თვისივ საოცრება, გაჩერდა დრო და გაჯერდა“ (აკაკი წერეთელი).

გალაკტიონს ხშირად ეწვეოდა „საოცარი წამები“, როცა წინასწარ ხედავდა თავის გენიას „მაღალ ანძასთან დროშით ხელში“ (შეხედეთ, მიწა).

„უნდა გაუძლო დროს, უნდა გწამდეს წამის მარადისობა“ – ამბობდა შვეიცარიელი მწერალი მაქს ფრიში.

გალაკტიონის წამები „სხვისთვის უხილავ-ფარულის“ ხილვის, ამოუხსნელის ამოხსნის, ჩაუწვდომელის ჩაწვდომის, საოცრებათა აღმოჩენისა და გაუკვდავების წამებია და ამიტომაა მისი იმპრესიონისტული ხილვები ესმოდენ განუმეორებელი, მარადიული...

გალაკტიონის შემოქმედებაში განხორციელებულია აგრეთვე დეტალებით არსებითის ხილვის პრინციპი, რაც ასე მახლობელია იმპრესიონიზმისა თუ რეალიზმისათვის. – გოეთე ამბობს: „უუმცირესში იხილე მთელი“. გალაკტიონის პრინციპია: „უდიდესისკენ მიჰყავდა სული, მცირედისაგან ასე წასული“.

პოეტი ეპოქის რიტმს უსწორებდა მხარს და კინემატოგრაფიული სისწრაფითა და სიზუსტით ცვლიდა სათქმელის ტონს, მელოდიას, გვაოცებდა მოულოდნელობებით (თანდათან, თანდათან ახალი ქვეყანა შენდება).

გალაკტიონთან დომინანტობს უშორეს ასოციაციათა ძიების, დაპირისპირებულობათა გაერთიანების, „შორეულ წერტილთ... შემაერთი“ კანონზომიერების ძიების პრინციპი: „აახლოებს რაღაც საგნებს, მშრალს და კერძოს, სხვადასხვაგვარს, ერთი ხედვით საგნებს, რომელთ ვერ უპოვის ვერვინ საზღვარს. ხდება ერთად შეთავსება უცხოდ გრძნობამორეულის, რაღაც საერთო და დიდი ხმის, ახლობელ-შორეულის“. პოეტის „სული დაეძებს უშორეს ხაზებს“.

მაგრამ ამ გზით მოვლენათა ეკლექტიკა და მშრალი ნაზავი კი არ გვრჩება ხელთ, არამედ უმაღლეს დონეზე მიღწეული სინთეზი, ახლებურად ხილული სინამდვილე: „არის უბრალოთა რამეთ სულ უბრალოდ ათვისება, მაგრამ გაერთიანების სხვაა სული და თვისება“.

პოეტი სინათლის, სისწრაფის, მოძრაობის აპოლოგეტია: „სინათლეთ ღვარი, მეტი სისწრაფე, მოძრაობა და ენერგია – თავი და თავი დღევანდელ დღეს აი რა არის!“

გალაკტიონ ტაბიძეს ბოლომდე გაჰყვა უშუალო შთაბეჭდილებათა ახალ რანგში აყვანის, ხილულით აღტაცების, გაოცებისა და გაოგნების უნარი, მუსიკალობა და დაუოკებელი პათოსი, ცადმიმსწრაფი ფრთები და ნისლმოხვეულ მთებში ნავარდის, მთელ კოსმოსზე მეუფების სურვილი, თანაც „აღტაცებული ცად განიმედი“ გალაკტიონი იკაროსივით ფრთებმომსხვრეული არასოდეს ყოფილა, რადგან ნათელმხილველის უტყუარი ინტუიციით იცოდა „ოცნებისა და სინამდვილის შედუღების“, „ცის და მიწის შეზავების“ საიდუმლოება, უსაზღვროების განსაზღვრა.

პოეზიაში რიტორიკის, მჭევრმეტყველების მტერი იყო გალაკტიონი, „შიშველი

გონება“, რასაც მხატვრობაში რენუარი ებრძოდა, გალაკტიონისთვის არასოდეს ყოფილა მისაღები.

გალაკტიონის პოეზია „სიმბოლისტური იმპრესიონიზმის“ ნიმუშია, ოღონდ იმ გაგებით, რომ მის სიმბოლიზმში სიმბოლური ფორმა იგულისხმება.

იმპრესიონიზმს გალაკტიონის პოეზია დაუმთავრებლობის პრინციპით უახლოვდება, მუსიკისადმი ინტერესით (სიტყვის მუსიკალურობის მოთხოვნას იზიარებდნენ როგორც სიმბოლისტები, ისე იმპრესიონისტები), საგნის ადგილას შთაბეჭდილების დაყენებით, ბუნებაში ახალი ფერების ძიებით, ნახევარჩრდილებით, კონტურებით, ასოციაციური აზროვნებით, კონტრასტულობით, თემის ვარიაციული დამუშავებით, ფერწერული ტონისადმი პრიორიტეტის მინიჭებით, საგნის ან მოვლენის ცნებით მნიშვნელობასთან შედარებით, პროზაულში პოეტურის პოვნით, ტრადიციებთან შემოქმედებითი კავშირით, შაბლონთან ბრძოლით, ფსიქოლოგიზმით, დემოკრატიულობით და, ბოლოს, ერთმანეთში გადაჯაჭვული სხვადასხვა სტილით.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას ახასიათებს „იმპრესიონისტული განწყობის ნაკადში განზავებული ეროვნული განცდა“ (12, 29), „იმპრესიონისტული ხელწერის რეალისტურ ტრადიციებთან მხატვრული დამყნობა“ (12, 23), „მზიური ბრწყინვალეებით გასხივოსნებული რუსთველური პოეზიის აპოლონური საწყისების ახალი ძალებით ახმიანება“ (13,52).

იმპრესიონისტული ლირიკის ნიმუშებია გალაკტიონის თბილისი, თბილისს სძინავს მძიმე ძილით, თფილისი ღამით. ეს მშობლიური ქარია, წყალტუბოდან ქუთაისში, სამრეკლო უდაბნოში, შიში, სანთელი, შერიგება, თეთრი პელიკანი, იშლებიან ყანები, სახლი ტყის პირად, გაჰქრნენ ზაფხულის დღენი, მალე ფერგადაშლილი, რა დროს რომანსერია? იქით ნუში, აქეთ ნუში, ჭიანურები, სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში, ღამევ, რა მოგივიდა? თოვლი...

იმპრესიონისტებივით გალაკტიონმაც ბუნებაში აღმოაჩინა მრავალი მშვენიერი ფერი, კონტრასტული ფერები და „ფერის ფერთან დარებით“, ფერების შერწყმით არაჩვეულებრივი სინთეზი მიიღო. სიმბოლიზმივით იმპრესიონიზმიც აღიარებდა ხელოვნების სინთეტურობის პრინციპს, რაც მდგომარეობდა პოეზიის, მუსიკისა და ფერწერის დაახლოებაში.

გალაკტიონი ეძებდა და ქმნიდა „სიმკვეთრე-სილბილის“ ფერებს, „ფერთა ახალ მოსინათლობას“, „ჩვენთა დროთა ახალ ფერს“, „დაფარულ ფერებს“. მის ლექსებში არის ფერები, რომლებიც იმპერესიონისტულ ფერწერას მოგვაგონებს.

პოეტების მეფე ერთსა და იმავეს განიცდიდა სხვადასხვა ფერით, ერთ ფოკუსში ათავსებდა სხვადასხვაგვარ მოვლენებს და გენიალურ სინთეზს ქმნიდა. ხედვის ახალ-ახალი კუთხის ძიება, განწყობილებათა ცვალებადობა ხდებოდა ახალ-ახალი ნიუანსების მოხელთების საწინდარი.

პოეტის „ათასის მხედველობა“, „ათასის მზე“ საგანთა და მოვლენათა ასახვაში ახალ გზებს ეძებდა. ამ მხრივ მრავალი იმპრესიონისტული შედევრით არის მდიდარი გალაკტიონის ლირიკა.

ლიტერატურა

1. გურამ კანკავა, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1964
2. Д. Ревалд, История импрессионизма, М. 1959
3. კ. პაუსტოვსკი, ოქროს ვარდი, თბ., 1976
4. И. Эренбург, т. 6, М. 1965
5. Г. Плеханов, т. 16, м., 1928
6. Г. Орагвелидзе, Стих и поэтическое видение, Тбилиси, 1973
7. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ. 1978
8. შალვა რადიანი, მოგონებები, წერილები, თბ., 1976
9. А. Г. Андреев, Импрессионизм, Моск., университет, М., 1980
10. გივი ბარამიძე, მზე ღია სარკმელში, თბ., 1984
11. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983
12. თამაზ ჩხენკელი, წერილები, თბ., 1972
13. სარგის ცაიშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1984

„ლურჯა ცხენების“ „ეფემერული“ და „ფერადი ქარები“

გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი მთავარი ესთეტიკური პრინციპი იყო სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი. ამიტომაც ნიავი, ქარი, გრიგალი, ქარიშხალი, როგორც სხვა ცნებები, მრავალგვარი შინაარსით იტვირთება პოეტების მეფის შემოქმედებაში. ამ ტერმინებით ხასიათდება ადამიანის სულიერი მდგომარეობა, შთაგონება, სიახლე, თავისუფლება, ბოროტება, სიკეთე, მოძრაობა, ეპოქალური გარდატეხა.

პოეტი აყურადებდა „ჩუმ შრიალს“, უჩინარი ქარს: „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი შრიალი საიდან არის? ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი“ (ისევ ეფემერა) (1,229).

ქარში ვერხვის ფოთლები უშორეს ზღაპარს შრიალებდნენ: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“ (ვერხვები) (1,49).

სიოც თითქოს მომაჯადოებელ ზღაპარს ასმენინებდა პოეტს: „სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“ (მე და ღამე) (1,78).

სხვაგან „ნიავი შედგა და შერჩა ღელეს მომჯადოებელ ზღაპრების გამო“.

ზღაპარი პოეტური ფანტაზიის, გამონაგონის სიმბოლოა გალაკტიონთან და, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ასეთი კონტექსტის ქარი, ნიავი თუ სიო დაკავშირებულია შთაგონებასთან.

ალბათ, ამით აიხსნება ასეთი გამძაფრებული მოლოდინი ზღაპრისა თუ შორეული ქარებისა: „...თითქოს ფენობა ზურმუხტის რტოთა, ცის დასავლამდე უსიზმროდ მდგარი, უსმენდა ჩანგებს და მოელოდა. შორს, ძალიან შორს მოჩანდა ქარი, მე შენ გკოცნიდი და გული თრთოდა. ზღვა იყო წყნარი“ (ქარი მოგონებათა) (2,197).

გვაოცებენ და იდუმალებას გვაგრძნობინებენ „მზერადიადი სიონი“, „ის ერთი შეხება ნიავის“, „ნიავთა წუთი“, „წუთების ქარი“, „ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით“, „უხილავი ძალა და ქარიშხალის აზუზუნება“...

აშკარაა, შთაგონება ქარის ქროლვასთან არის დაკავშირებული.

ჯერ კიდევ ინდოელთა ფილოსოფიაში ქარი ოთხი მთავარი ელემენტის შემადგენელი ნაწილი იყო მიწასთან, წყალსა და ცეცხლთან ერთად.

ქარი სულის სიმბოლოც იყო, იგი ყველგან ქროლვისა და მობერვის სახით მოიაზრებოდა.

ზეცით მონაბერ სულზეა ლაპარაკი ძველ აღთქმაში: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (დაბადება, 2,7) (3,8).

„ვეფხისტყაოსანშიც“ ყურადღებას იქცევს ეს აზრი: „რომელმაც შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“.

სულს სულიწმინდად მიიჩნევს ზვიად გამსახურდია და მიმართავს ღვთისმეტყველთ: „ბერვა, შთაბერვა, მობერვა“ ტრადიციულად იხმარება ღვთისმეტყველებაში სულიწმიდასთან დაკავშირებით. ვ. ლოსკი იმოწმებს ნაზიანზელს, რომელიც ამბობს სულიწმიდაზე, რომ „ეს არის სული, რომელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოველივეს აძლევს ნათელს და ცხოვრებას“.

„ეჭვგარეშეა, რომ „ბერვა“ დაკავშირებულია ძველი აღთქმის შესაქმისას სულის შთაბერვასთან“ (შესაქმე, II, 7).

„ამასვე უკავშირდება ისიც, რომ „მოციქულთა საქმეში“ სულიწმიდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან“, აღნიშნავს ზვიად გამსახურდია (4,294).

სულიწმიდასთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიას მოაქვს გამოთქმა „მობერვა“ თომა აქვინელის, გერმანელი ღვთისმეტყველის – იაკობ ბემეს ნააზრევიდან: „ღვთის სიტყვა და ძალი უხილავია, მაგრამ მკვიდრობს ყველა ელემენტში... უხილავი ძალის გამოთქმით და მობერვით შეიქმნენ ყველა ხილული არსნი“ (4,35).

მეცნიერის დაკვირვებით, „თამარიანში“ „საუფლი სული“ ანუ სულიწმინდა შედარებულია ნიავთან: „ცხადია, რომ ესეც იწვევს „მობერვის“ ასოციაციას: „უცნი ავითა, უც ნიავითა საუფლო სული ჟამის ჟამისად“.

აკაკი გაწერელიას დაკვირვებით, ჩახრუხაძის ოდაში ნახსენებია „მობერვა“... „თამარიანში“ ნათქვამია: „ვთქვი შიშით მკრთალმან, საღმრთომან ძალმან მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა“ („ცისკარი“, 1970წ. №8, გვ. 116).

ზვიად გამსახურდია ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ახალ აღთქმაში ქრისტე არის „მომბერი“ სულისა. ეს ხდება იოანეს სახარებაში, როდესაც აღდგომის შემდეგ მაცხოვარმა მოწაფეებს „შეჰბერა და ჰრქუა: „მიიღეთ სული წმიდა“ (იოანე, 21,22) (5,225).

მკვლევარი აქცენტს უკეთებს დიონისე არეოპაგელის შრომების იმავე ტერმინებს: „საღმრთო მობერვა“ და „მღვდელმთავრობითი მობერვა“. „მობერვა უკავშირდება სულიწმიდას... სიტყვა „მობერვის“ ხმარება რუსთაველის მიერ პირველ სტროფში კიდევ ერთხელ გვიმოწმებს, რომ აქ ნახსენები სული სულიწმიდაა“ (4,36).

მოციქულთა საქმეში საუბარია ქარის დაბერვაზე, ცეცხლის ენების მოფენაზე და სულიწმინდით ავსებაზე: „მოულოდნელად იყო ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო და აივსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ.

„და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი და სათითაოდ მოეფი-

ნა ყოველ მათგანს. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ“ (საქმეები, 2,2,3,4) (5,230).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე დიონისე არეოპაგელის „შრომების“ „უჟამოდ მობერვამ“ (6,145).

იოანეს სახარებაში კი სულიწმიდის შესახებ წერია: „ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი“ (იოანე, 3,8) (5,181).

ქართულ სასულიერო პოეზიაში გვხვდება საღმრთო ნიავი, მისი მობერვა: „ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებითაითა განჰბრწყინდი შენ, სანატრელო, ბრწყინვალებითა სულისა წმიდისაითა და მომბერენ ჩუენ ნიავითა საღმრთოისა მადლისაითა სწავლანი სულიერნი და შესცვალენ ცნობანი სულელნი სიბრძნედ, ნეტარო და უმეცრებისა ბნელი განაქარვე“ (ბასილი, „გალობანი ეფთვიმე მთაწმინდელისანი“) (7,508).

წმიდა თომა აქვინელის სიტყვით, ის, რაც ღვთისგან გამოდის, როგორც სიყვარული, შობილი ძე როდია, არამედ „მონაბერი სული“ (სულიწმიდა) (ზვიად გამსახურდია, „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“) (8,64).

სულიწმიდა მიჰმადლებს ადამიანებს სიყვარულს, მიჯნურობას, სულიწმიდის მადლი იწვევს აგრეთვე კათარსისს, ცოდვათა შემსუბუქებას (8,64).

სულიწმიდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს. სულიწმიდის კარნახით იქმნებოდა ბასილი დიდის ჰომილიები, სულიწმიდის შთაგონებულად მიიჩნევა ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის საგალობლებს სულიწმინდის ნაკარნახევად აცხადებდა.

სულიწმინდის მადლით ჭვრეტდნენ ღვთაებრივ საიდუმლოს წინასწარმეტყველნი, რადგან ნიჭთა და მადლთა გამნაწილებლად მიიჩნევა სულიწმინდა.

სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, მკურნალობის ნიჭი, სასწაულმოქმედება, წინასწარმეტყველება, ენების ცოდნა სულიწმინდით მონიჭებულ მადლად ცხადდება ახალ აღთქმაში (პავლე მოციქულის ეპისტოლენი, I კორინთელთა მიმართ თ. 12, 4-11) (5, 374).

„ნიჭი არის საღმრთო სულისა მადლი“ (ეფრემ მცირე) (9, 104).

„საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“ (წმ. გრიგოლ ნოსელი) (10,363).

სულიწმიდის მოქმედებას ღვთისმეტყველებაში „საღმრთო მობერვა“, „საღმრთო ნიავი“ ეწოდება.

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალი მოიხსენება, როგორც „მომბერავი“, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (11,39).

ნეტარი ავგუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთმინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულით ივსებოდა: „...აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“(აღსარება) (12, 278).

დავით წინასწარმეტყველი ამ საღვთო ქარის, უფლის პირის ქარის ქროლვას, მის დაფარულ აზრს უსმენდა: „ღმერთო, მესმა შენი დაფარული შინა ნიავქარისათა“

(ფს. 17,16) (5,537).

„გონებას სულიწმინდა ჰფენდა ნათელსა“, ამბობდა დანტე (13,375).

ღვთიური სულის მოფენისთვის ლოცულობდა დავით გურამიშვილი: „... აწ მომფინე სულია, მამით გამოსულია“.

სულიწმინდა ნიავის სახით ფიგურირებს ვაჟა-ფშაველას „ქებათა ქებაში“: „ნიავიც მიდუდუნებდა ველებზე სულიწმინდადა, იგივე იყო უცვლელად, რაც ათასის წლის წინათა“.

„ბუნების მგოსნებში“ სულიწმინდა ჰაერთან შეზავებულად წარმოიდგინება. ბულბულის გალობას სულიწმინდად უქცევია მთელი ბუნება, თვითვე მას შეერთებია.

„სვავში“ ციური ნიავი სულიწმინდის სიმბოლოა: „შენ, ციურო ნიავო, მიეშველე მზეს, ერთად შეზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე“ (14, 285).

სულიწმინდის მოფენა იქცევს ყურადღებას ვაჟას მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“.

„დაჩაგრულ მესტვირეში“ განსაცდელის ჟამს სულიწმინდას ევედრება პოეტი. ვფიქრობთ, აკაკი წერეთლის „სულიკოს“ მახარობელ ნიავშიც სულიწმინდა იგულისხმება (15,89-98).

გალაკტიონის პოეზიაში მრავლად არის სულიწმინდაზე მიმანიშნებელი სახეები.

ცნობილია, რომ სულიწმინდა მტრედის სახით ეცხადება ადამიანებს.

გალაკტიონის პოემაში „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, სულიწმიდის მოვლინება ხდება ოქროსთავიანი, უცხო მტრედის სახით (16,37-38).

იდუმალია და რელიგიური შინაარსის შემცველი გალაკტიონის „მზერადიადი სიონი“: „ძველი სიონი დინჯი, ზვიადი, მზერადიადი ქროდნენ სიონი. ზეცა იისა, გადაარიდე იმედს ჯვარედი ბიზანტიისა. ის ანგელოზი აწ არ არს მშვიდი, ოდესმე დიდი საქართველოსი“ (ჰქროდნენ სიონი) (17,48).

„რაღაც იდუმალი მოლოდინით“ სავსეა და საიდუმლო ელფერის მატარებელი შემდეგი სტრიქონები: „ის ერთი, ის ერთი შეხება ნიავის, მე მსგავსი არასდროს მხლებია, მრავალი წლის წინათ მრავალი სიავის და მრავალ სიახლის წლებია. გემიდან მშობლიურ მთების სიიავეს შევხედე და ვიგრძენ: მგზნებია! გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? – ეს ჩემი სამშობლოს მთებია!“ (ის ერთი შეხება ნიავის) (18,789).

„არსებობის ხესთან“ (სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის სიმბოლო) მოაზრებული „ნიავთა წუთიც“ სულიწმინდის განცდას მოასწავებს: „...ასე: მარადის არსებობის ხეს არხევს ნიავთა წუთიც, წამიცა“.

„წუთების ქარი“, რომლისთვისაც პოეტს არ ენანება არაფერი, შეიძლება სწორედ უზენაესი სულის გამოცხადებად იქნას აღქმული: „...და ამ წუთების ქარში მრავალში ვინ დაინანოს გზანი, ჰუნენი? აქ წარსულშიც და მომავალშიაც შეჩერდებიან საუკუნენი“ (მე ლაჟვარდიდან) (16,404).

ქარს უკავშირებს პოეტი სამყაროს მუსიკალურ აღქმას, ოცნებების მომრავლებას: „ყოველთვის, როცა ბერავდა ქარი, მესმოდა ნისლის ფორტეპიანო, ზარი, გუგუნი და ისევ ზარი“ (მუსიკალური ფანტაზმა) (1,104-105).

ლექსში „ჰაერი“: „დაბერა ქარმა და ოცნება ააჩანჩქარა“.

„მზიური ღამის ქარიც“, რომელიც ნუგეშად ევლინება პოეტს, სულიწმიდით მონიჭებული მადლი და შთაგონებაა (ტფილისი ღამით) (1,379).

ამ იდუმალი ქარით, „ფერადი ქარებით“ მიჰქრიან გალაკტიონის ლურჯა ცხენები

ქაოსიდან პოეტური პარნასისკენ, მსოფლიოს პოეტურ რუკაზე ახალი მერიდიანის გასავლებად: „... ჩემი ლურჯა ცხენები ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით“.

საკუთარი ხილვების ქაოსში ჩანთქმულ პოეტს იდუმალი ქარი ეძახის, რათა ძნელად მისაგნები, მარადიული ჭეშმარიტებები მოახელთებინოს: „ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება, სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები, იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება“ (ეფემერა) (1,302-303).

იდუმალ შინაარსს იძენს ზენიტის ალვა და ზღვის ნიავქარი: „ჰორიზონტიდან ზენიტამდე ალვის მწვერვალებს წაუჩურჩულებს შენსა სახელს ზღვის ნიავქარი და ეს სახელი დასწვავს ზეცის მიბნედილ თვალებს“...

პოეტი არის სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი ანუ ღმერთშემოსილი (სიხარული, გაზაფხული საღმრთო სახელებია), რომელსაც „სიახლის გრიგალი“, სულის მზე ახალ-ახალ წარმატებებს ჰპირდება (ეს გრიგალია სიახლის) (18,319).

სულში „ქარი ქანაობს ქნარად“ (18,48).

არც ნიავისა და ფიქრის დაკავშირებაა შემთხვევითი: „ამ შემოდგომის გზათა სიავით, ხევში მიმოჰქრის ნელი ნიავი, ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით. მე მინდა მივცე ნუგეში ნიავს: „ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ეს მხოლოდ დროის მქროლი ჟინია“ (ამ შემოდგომის) (16,350).

ჩუმი, შორეული და უჩინარი ქარი შთაგონების გამოცხადების თავისებური სახეა, რომელიც ღმერთის მოვლინების რანგშია განცდილი.

გალაკტიონისთვის „მშობლიურია ხალისიანთა ნიავთ მჭევლებაც“ (ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი), „მშობლიურია ქარი“.

თვით პოეტიც „ქარულია“, „ჯერ ყველასგან მიუკვლეველი სიყვარულის“, მთელი სამყაროს აღმომჩენი (დადგა აგვისტო) (1,380).

„მოვა ახალი სმენა აქარიშხლების მძაფრის“, ამბობს პოეტი, რომელსაც ესმის „არსთ ყოფნის სიო“ (სიმფონია ფესვების).

„არსთ ყოფნის სიოც“ საღვთო სახელია, სამების მესამე წევრი.

„მშვიდობის წიგნში“ სულიწმიდის სახელია „საიმქვეყნიო და საამსოფლო სიო“, რომლის მადლი მარადიულად ახლავს პოეტის სამშობლოს: „მშვიდად მეგულვის ჩემი სამშობლო, ზამთარო, ასე გულის დამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (17,131).

ეს სასიცოცხლო სიო, შემოქმედების უჩინარი ქარები, სიკეთის, სინათლის, სრულყოფის მაუწყებელი ნიავი უბერავს გალაკტიონის ლექსებში. როგორც ქრისტე შთაბერავდა თავის მოწაფეებს სულიწმიდას, ისე გალაკტიონის პოეტური სიტყვაა მისი ლექსების მკითხველთა ნათლისმცემელი.

პოეტების მეფე თვითონ იყო „ქარული“, „ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი სიყვარულის“, „ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი სამყაროს“ აღმომჩენი (დადგა აგვისტო) (18,390).

„მომავლის ქნარის“ მპყრობელი პოეტი აყურადებს „ქარის ხმას“ და თვითონაც „ქარიშხალივით მხნე და ბობოქარია“ (სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში) (17,107).

პოეტების მეფის იდეალია „ქარი პირველი, მთებში რომ მღერის“ (ვისაც ელოდი) (17,113).

მხოლოდ რწმენა, „არსთ ყოფნის სიო“ მოგმადლებს უნარს, მოისმინო „ფესვების სიმფონია“, ატომთან ატომის შეხმიანება – შეერთება (სიმფონია ფესვების) (16,116).

პოეტი შეიგრძნობს, რომ „მარადის არსებობის ხეს არხევს ნიავთა წუთიც, წამიცა“ (ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს) (19,126).

ენატრება იდუმალ მოლოდინში „ის ერთი, ის ერთი შეხება ნიავის“, რომელიც ახლებურად დაანახვებს მოვლენებს, „მთების სიიავეს“, სამშობლოს დაბინდულ ქლიავისფერ მთებს (ის ერთი შეხება ნიავის) (20,281).

შემოდგომით ამჩნევს „ულტრაიისფერ სხივებს“, რომ „ხევში მიმოქრის ნელი ნიავი, ნიავი ფიქრთა ათასი ნავით“ (ამ შემოდგომის გზათა სიავით) (20,350).

„მზიური ღამის ქარს“ ლექსებით აწყნარებს პოეტი (ტფილისი ღამით) (1,304-305).

შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდა სრულიად ორიგინალური სახით გვხვდება ლექსში „ჰქროდნენ სიონი“: „მზერადიადი ჰქროდნენ სიონი“ (19,58).

ასევე წყარო არ ეძებნება „ბაგეანკარა ლილიან ქარს“ ლექსში „ლილიან ფრთებით“ (19,75).

შთაგონების მოვლინებას გვამცნობს ქარის დაბერვა: „დაბერა ქარმა და ოცნება ააჩანჩქარა“, სულში კი „აშრიალდება ფიქრთა სამოსი“ (ჰაერი) (17,52).

პოეტის სულში „გრიგალი“ და „სამუმია“, მისი სიტყვის მერანს კი მოაქვს „გრძნობა და სისადავე“ (დაბრუნდა გრძნობა და სისადავე) (2.1, 370).

გალაკტიონის მახასიათებელია „ახალი სმენა ქარიშხლების მძაფრის“ (სულ ადვილია რწმენა) (21,388).

პოეტს ლაჟვარდიდან იტაცებდა „სიცილი ქარის“, პოეტურ შუქით წვავდა „ორგია მზის და მაგია მთვარის“ და ამ „წუთების ქარში“ წარსულსა თუ მომავალს აწვდენდა მზერას, „ცეცხლში“ (ცეცხლი საღვთო სახელია) ენთებოდა სული: „და ამ წუთების ქარში მრავალში ვინ დაინანოს გზანი, ჰუნენი? იქ, წარსულშიც და მომავალშიაც შეჩერდებიან საუკუნენი“ (მე ლაჟვარდიდან) (20,404).

„მე და ღამეში“ (21,93) „სიო, სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს“ ეუბნება, „ზღაპარი“ კი პოეტური ფანტაზიის სიმბოლოა.

„ქარის დაბერვა“ შთაგონების სტუმრობას გვამცნობს: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“, (ვერხვები) (21,99). ზღაპარი აქაც გამონაგონის იდენტურია.

აფრა სულიწმინდად არის დასახული შატბერდის კრებულში (22,679).

იდუმალი „ქარის დაბერვის“ თანამდევია არაჩვეულებრივი სმენა, „ეფემერების ფანტაზმები, სონეტების ნაზი ფერები, მუსიკალური და გადარევის ეფემერები“(მუსიკალური ფანტაზმა) (I,104).

„ქარი ქანაობს ქნარად“ (I,282), რათა გააცოცხლოს დამჭკნარი ვარდები, გაამთელოს ნაიარევი გული.

ლექსში „ეს მშობლიური ქარია“ (I, 447-448) ეროვნულ შემოგარენში ხედავს „ცის კოშკებს, ნესტანის კოშკებს“. აქვე ეზიარება პოეტი სიზმარს, „ოქროს ზღაპარს“, ქაოსიდან ამოზიდავს მთვარე „ლურჯ მოგონებას“, სულს დუმილში აცხოველებს „თვალებდალურჯული იალქნები“, ანუ სულიწმინდა...

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, 1990
4. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ. 1984
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961
7. ჩვენი საუნჯე, ტ. I,თბ. 1960
8. „მაცნე“, 1987, №4
9. ეფემ მცირეს იამბიკოები, თბ. 1988
10. წმ. გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, ედიშერ ჭელიძის თარგმანი და კომენტარები, საქართველოს ეკლესიის კალენდარი,თბ. 1989
11. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობელები, ლ.კვირიკაშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ. 1989
12. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
13. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
14. ვაჟა ფშაველა ხუთ ტომად, ტ. I, პროზა, თბ. 2011
15. ლუარა სორდია, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები მეოცე საუკუ-ნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009
16. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 4, თბ. 1994
17. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 1993
18. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 1, თბ. 1993
19. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 2011
20. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 3,თბ. 1994
21. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 2011
22. ტიტე მოსია, დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში, თბ. 2010

მილიონებში ხელისმრეველი ტრადიციები

მილიონები, მილიარდები, ოქრო, ალმასი, მარგალიტი, ლალი, ზურმუხტი, ქარვა და ბრილიანტები ელავს გალაკტიონის პოეზიიდან, მაგრამ სიმბოლური აზრით და ყოველ მატერიალურ ღირებულებაზე ძვირფას სულიერ საგანძურს გულისხმობს.

გონიერ ადამიანებს იმთავითვე შეგნებული ჰქონდათ სიტყვის უპირატესობა ეკონომიკურ სიმდიდრესთან შედარებით.

„იგავთა წიგნში“ ვკითხულობთ: „უმჯობეს არს უფროის ოქროსა და ანთრაკისა პატიოსნისა მრავლისა, ხოლო სიტყუანი ჩემნი უფროის ოქროისა რჩეულისა“ (1, 288, 19).

„ნეტარ არს კაცი, რომელმან პოვა სიბრძნე და მოკუდავმან, რომელმან იხილა

გონიერებაი“ (იქვე, 281, 13).

„რამეთუ უმჯობეს არს იგი მოგებად, ვიდრე ოქროისა და ვერცხლისა საუნჯეთა“ (იქვე, 281, 14).

„იგავთა წიგნში“ ოქროზე მაღლა სიბრძნეა დაყენებული, ვერცხლზე წინ კი – გონიერება: „მართუენი სიბრძნისანი უფროის და უმეტეს ოქროისა, ხოლო მართუენი გონიერებისანი ურჩეულეს უფროის ვერცხლისა“ (I, 300, 16).

იქვე სახელი, სიკეთე და მადლი უფრო დიდ სიმდიდრედ მიიჩნევა, ვიდრე ოქრო-ვერცხლი: „უმჯობეს არს სახელი კეთილი, ვიდრე სიმდიდრისა მრავლისა, ხოლო უფროის ოქროისა და ვერცხლისა მადლი კეთილი“.

ახალი აღქმის მიხედვით „ყოველგვარი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა“ (პავლე მოციქული, I ტომი, 6,10) (2,455).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ღვთისადმი, რწმენისადმი ერთგულებაა ყველაზე დიდი სიმდიდრე: „შენს ერთგულს მთელი სამყარო ეკუთვნის, მის ყოველ სიმდიდრეს ჰფლობს იგი, და თითქოს არარა აქუს და ყოველივე აქუს“.

ამქვეყნიურ ამაოებათა დათმობას, სულიერ გასპეტაკებასა და ზნეობრივ სრულყოფას მიიჩნევს ნეტარი ავგუსტინე უძვირფასეს მარგალიტად: „მე კი ნაპოვნი მქონდა უკვე მარგალიტი კეთილი... მრავალსასყიდლისა, რომლის შესაძენადაც კაცმა ყოველივე უნდა განყიდოს და მოიყიდოს იგი“.

ავგუსტინე კატეგორიულად აცხადებს: „არაფერი ამქვეყნიური არ მინდა მე, არცა ოქრო-ვერცხლი თუ ძვირფასი ქვები, არც მორთულ-მოკაზმული სამოსი თუ დიდება-პატივი, არც მაღალი წოდება და ხორციელი ტკბობა“(3, 190, 215).

წმინდა აბბა თალასე ამბობს: „ვერცხლის – მოყუარება ნივთი არს ვნებათაი და აღმაორძინებელი ყოველთა გულისთქუმათაი“ (4, 418).

ჩჰანდოგია უფანაშიდის მიხედვით, „ჭეშმარიტებაა ოქრო“ (5, 112).

მიქაელ მოდრეკილის ჰიმნებში იოანე ოქროპირი არის „სულითა ოქრეანი“, „სიტყვითა ოქრეანი“.

ბასილი ნეოკესარიელს ასე მიმართავს მიქაელ მოდრეკილი: „შენ მარგალიტო მრავალსაყიდლისაო“.

იოანე მტბევარი გამოარჩევს ოქროვან სიტყვას და ოქროვან სულს: „სიტყვითა შენთა ოქროვანთა ოქრონან ჰყვენ მორწმუნეთა სული“ (დასდებელნი ღმერთშემოსილისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისანი).

„ქართულ ჰიმნოგრაფიაში ოქრო სულიერი თვისების სიმბოლოა: „და განჰბრწყინდა ვითარცა ოქროი წმიდაი მოთმინებითა ვნებათაითა“ (6, 246).

ძვირფასი ქვები სასულიერო და სახოტბო პოეზიაში სიკეთის სიმბოლოებია.

„ოქრო, პატიოსანი ქვა სიმბოლოა ყოველივე იმ სიკეთისა, რაც რელიგიური განწმენდის მიზანია“.

„სახოტბო პოეზიაში ძვირფასი ქვა მეფის სიდიადის გამომხატველია. „აბდულმესიანში“ თამარი შედარებულია ოქროს ოფაზთან“ (7, 35).

იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“ სულიერი სიმდიდრე დაპირისპირებულია ნივთიერ სიმდიდრესთან: „სულით მდიდარი საფასითა გლახაკ არს, ხოლო მდიდარი სულითა დაგლახაკნეს, ვინაითგან ხურელსა ნემსისა აქლემი ვითარ ვერ განვალს, ეგრეთ მდიდარი ზეცას“ (სხვათა შორის, ეს ქრისტეს სიტყვების თავისებური პერიფრაზირებაა სახარებიდან).

ვერცხლისმოყვარეობა დიდ წუხილთან არის დაკავშირებული: „არ მოაკლდენ ზღუასა ღელვანი დიდნი, არცა მონასა ვერცხლისასა-წუხილნი“, ... „ვერცხლი წარიპარავს ცნობასა“, „ვაჭარი ვერცხლსა ემოყურების და მტერი იგი ბოროტი სულის ძილსა ჰყუარობს“ (8, 207, 209, 210).

ოქროზე, ნივთებზე უბრწყინვალეს სიმდიდრედ დაუსახავს არსენ იყალთოელს წმიდათა სამსახური, მირონის სურნელება: „წმიდა მყოფელი მიითუალე საუნჯე, იყნოსე მისთა მიჰრონთა სულნელება, განწყობილისა იხილე ვითარებაი, ნივთ უბწყინვალეს ოქროისა გექმენინ შენ“ (არსენ მეტყველებს ამათ იყალთოელი) (9, 522).

დავით აღმაშენებელს ასე ახასიათებს არსენ იყალთოელი: „ღმერთის სახე, ვიტარცა საყუარელი სათნოებათა შორის; გულისსათქუმელ, ვითარცა ოქროი მიწათა შორის, ელვარე, ვითარცა იაკინთი ქვათა შორის“ (მეფესა დავითს მონაზონი არსენი) (9, 526).

ზნეობრივ სრულყოფაზე ფიქრი არ ასვენებდა დავით აღმაშენებელს და გმობდა ანგარების მამონას: „ვერცხლი, ვითარცა მიწა და ოქროი, ვითარცა თიხაი უბნისაი, ვიუნჯენ და თაყუანის-ვეც ანგაჰრებისა მამონას“ (გალობანი სინანულისანი) (9, 520).

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. აღსარება ნეტარ ავგუსტინეს, ჰიპონის ეპოსკოპოსისა, წიგნი I, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1985
4. წმინდა აბბა თალასე, სიყვარულის, მარხვის და სულიერი მოქალაქეობის შესახებ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989
5. ჩჰანგოდია უფანაშიდა, IV ნაწილი, თარგმანი ლერი ალიმონაკის, „ცისკარი“, 1987, №6
6. ვაჟა გვახარია, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, X ს. წიგნი I, თბ., 1978
7. ნ. ჯიშკარიანი, ძველი ქართული სასულიერო და საერო-სახოტბო პოეზიის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, 1979, №4
8. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, თბ., 1964
9. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ., 1960

„სული შეშლილი და ბედნიერი“

გალაკტიონი, როგორც ჭეშმარიტი პოეტი, ერთნაირად დაინტერესებული იყო ხილული თუ მიღმური სამყაროთი, მიწით თუ ზეცით, სულით და ხორცით, სიკეთით და ბოროტებით. ის ეძებდა არა ეფემერულ, არამედ მარადიულ სიბრძნეს, აღწევდა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრის გადალახვას, გადიოდა საგნის მიღმა, ოცნების მიღმა, ბედს იქით. წარუვალი სიბრძნისა და მხატვრული ინდივიდუალობის მიგნება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვდა, გულისა და გონების შესაძლებლობათა გამძაფრებას, „გულის სისხლს“, მსხვერპლს. ამიტომაც შემოქმედებითი ტანჯვა, ჯვარცმის ტოლფარდი ტკივილი და ცრემლი იღვრებოდა მისი

სტრიქონებიდან.

„პიროვნების განვითარებაში დათქმული და დაწესებული ერთგვარ სამანის“ გადალახვას კონსტანტინე გამსახურდია „ზეკაცობას, ღმერთკაცობას“ უწოდებდა.

არის სხვა ცნებებიც, ანალოგიური პრობლემებისთვის მისადაგებული.

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ ინგლისში ბაირონს დემონად აღიქვამდნენ, გალაკტიონი გოეთეს სატანასთან აიგივებს (დადებით ჭრილში, რა თქმა უნდა) და პოეტობას დემონური, გენიალური ნიჭის გამოვლინებად აცხადებს.

სატანა, „მშვენიერი ეშმაკი“ აღმატებული ნიჭის სინონიმია შარლ ბოდლერისათვის, ამიტომაც საუბრობს მასთან წილნაყარობასა და გაღმერთებაზე „ბოროტების ყვავილების“ წინასიტყვაობაში.

ასეთ შემთხვევაში დემონურობა გაიაზრება გენიალობის იდენტურად.

ანალოგიურ კონტექსტში ახსენებენ ცნებებს: გიჟი, შეშლილი, გადარეული, ზოგჯერ აწყვილებენ კიდეც დემონს და შეშლილს.

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილის ცნებას და შეშლილ დემონს უწოდებდა ბეთჰოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უხსივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მივმხვდარვართ, საიდან ამობრწყინდება მზე“ (ალ. ალშვანგი, ბეთხოვენი, ა. გელოვანის თარგმანი, თბ., 1958, გვ. 102).

ხელოვნების ფსიქოლოგიაში არსებობს მიმართულება, რომელიც გენიალობასა და სიგიჟეს შორის შეხვედრას პოულობს და სიგიჟეს ნიჭიერების აუცილებელ პირობად გაიაზრებს. ამ კუთხით ძალზე გახმაურებულია ჩეზარ ლომბროზოს წიგნი „გენიალობა და შეშლილობა“ (მოსკოვი, 1895 წ., რუსულ ენაზე). მასში სპეციალურად არის მოძიებული გენიალურ მოაზროვნეთა გადახრები, რაც დევნის მანიაში, შიშში, მტრების მოლანდებაში, არყოფილის ნამდვილივით განცდაში, ჰალუცინაციების მოჭარბებაში გამოიხატება. ამ კუთხით „არანორმალურად“ მიიჩნევიან კაცობრიულ აზრთა საჭეთმპყრობელები: დიკენსი, დოსტოევსკი, რუსო, ნიცშე, გოგოლი, ტოლსტოი... ლომბროზოს გარდა, არსებობენ სხვა მოაზროვნეები, რომლებიც ჩხრეკენ ნიჭიერთა „ავადმყოფობის“, პათოლოგიური გამოვლინებების ფაქტებს და კატეგორიულ ტონს ანიჭებენ თავიანთ ნააზრევს, თითქოს შეშლილობის გარეშე არ არსებობს გენიალობა (ბლეზ პასკალი, ერნსტ კრეჩმერი, მაქს ნორდუ).

გამოჩენილ ადამიანთა დეპრესიების, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილების, თვითმკვლელობების, შიზოფრენიკობის მაგალითები მართლაც მრავლად არსებობს.

შემოქმედება ზიგმუნდ ფროიდის, კარლ-გუსტავ იუნგის, მიხაილ ზოშჩენკოს და ანალოგიურად მოაზროვნეთა მიერ გაგებულია, როგორც ფსიქოთერაპია, სუბლიმირება, შინაგანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში.

შეშლილს, გიჟს, გადარეულს, მთელ რიგ შემთხვევებში, აღმატებული გრძნობის სინონიმად გაიაზრებდნენ გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი, რაღაც უჩვეულოს, დიადის, აუცილებლის ალეგორიად სახავდნენ.

გალაკტიონი აცხადებდა, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი“. როგორც ვხედავთ, დაწყვილებულია კონტრასტული ცნებები. ასეთივეა „ტიროდა მისი მუსიკალური და გადარევის ეფემერები“.

ეპითეტი „შეშლილი“ დადებითი ენერგიის მატარებელ ცნებად მიუსადაგა გა-

ლაკტიონმა თავის საყვარელ მხატვრებს, პოეტებს: შეშლილი ვერლენი, შეშლილი ბეთჰოვენი, შეშლილი ყაზბეგი, შეშლილი ფიროსმანი, ხალხური შემოქმედების გიჟი – ფიროსმანი, ძეგლი... შეშლილი თუ წინასწარის მთქმელი?

„ოცნებასაც“ გიჟის რიდეს მოარგებს გალაკტიონი: „... გაჰქრა გიჟი ოცნება: წყარო ხევში ვალალებს, გაჰქრა გიჟი ოცნება...“

პოზიტიური გაგებისაა შემდეგი ფრაზებიც: „მუსიკალური და გადარევის ეფემერები“, პოეტი... „გრიგალი, შერყევა“, „მოგონების შეშლილი ბოდვა“.

უსაზღვრო გრძნობების, შემოქმედებითი ფანტაზიის, ძიების, მოუსვენრობის გამომხატველია ფრაზა: „მშვენიერია ზღვა მთვარეული, ზღვაზე ზვირთები მიდის ლივლივით, მე კი რისთვის ვარ გადარეული, რად ვიყურები შორს შეშლილივით?“

გალაკტიონის პოეზიაში შეშლილი ჰქვია ყოველივე აღმატებულს, უჩვეულოს: „შეშლილი სახით ჰკიოდა ქუჩა, ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი, სიგიჟემორეული ზღვა, შეშლილი ფერი“.

დაუძლეველი ტკივილიც შეშლილივით აფორიაქებს ლექსს: „მე სიმღერას შევჩივლებ დარდებს შებორკილივით, ჩემი არდაფარული მწუხარების საგანი, შეშლილივით დააღებს კარებს წივილ-კივილით, რომ უგულოდ ჩააქროს რამე გრძნობათაგანი“ (შეშლილივით დააღებს კარებს).

უნაპირო, გულში დაუტეველი სიყვარულის გამოვლენაც შეშლილობად ინათლება: „საყვარელ ხელებს შეშლილივით დავეწაფები!“ (ხელები). „კიდეებიც შეშლილია“ (ეფემერა).

სხვაგან სიყვარულია (ღმერთი) გვალვისა და გაგიჟების წამალი: „ეს სიყვარული დააცხრობს გოლვას და გაგიჟებას უფრო უარესს“ (დადგა აგვისტო).

გალაკტიონის „სიგიჟე“ რეალურად იმაში გამოიხატებოდა, რომ ფანჯრიდან შემოსულ სხივს კოცნიდა, ერთდროულად ესმოდა რამდენიმე მუსიკოსის, რამდენიმე მუსიკალური ინსტრუმენტის და კოღოს წივილის ხმა: „ყურებში ხმაურობა მესმოდა: შუმანი, ბეთხოვენი, ჭიანური, როიალი – სულ ერთად იყვნენ არეული! ხან კი თითქოს კოღო დამწივოდა ყურთან. როდესაც ყოველივე ეს ვუთხარი ექიმ პონდოევს, მან თვალები ფართოდ გააღო გაოცებისაგან, მის სახეზე წავიკითხე: „შეშლილაო საწყალი გალაკტიონი“ (გალაკტიონის ხუთტომეული, ტ. 5, გვ. 338).

პოეტი ყოველთვის ფხიზლად აკონტროლებდა თავის თავს, კარგად ავლებდა ზღვარს სიგიჟეს, როგორც კლინიკურ ავადმყოფობასა და შემოქმედისთვის აუცილებელ „სიგიჟეს“ შორის და ნიშნისმოგებით მიმართავდა სხვისი ნიჭით, წარმატებით გაგიჟებულებს: „სხვა გიჟებს სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს“...

მაგრამ გალაკტიონმა ასევე კარგად იცოდა, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის მოწინააღმდეგეთა ხვედრი იყო ციხე, გადასახლება, სახრჩობელა, საგიჟეთი.

მართალია, გალაკტიონი ხშირად ირგებდა შეგუებულის, მოთვინიერებულის ნიღაბს, მაგრამ პოემა „მოგონებების“ ავტორს, საუკუნის მეფისტოფელად მომნათვლელს, დემონ-ლუციფერთა თარეშის მხილების დიდოსტატს, ხელისუფლების ნდობა ვერ ექნებოდა.

თავისუფალ მოაზროვნეთა იდეური დამუშავების, „ექიმობის“ შიში გასჩენია გალაკტიონს 1949 წელს კარდიოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული მკურნალობისას, როცა იქიდან გამოსვლისას ხელი მოაწერინეს „შრომისუნარიანობის დაკარგვაზე“; პოეტი ასკვნის: „ალბათ, ასე აწერინებენ ხელს ყველას, ვისაც ექიმობენ... ეს დოკუ-

მენტი სჭირდება მას, ვინც ჩემი ლიტერატურული მტერია, არ სურს, რომ მე მწერალთა კავშირში ვმუშაობდე. აი, სად იხელთეს დრო! აი, სად დამიგეს ხაფანგი!!!“ (ვ.ჯავახაძის წიგნიდან – „უცნობი“, გვ. 566-67).

პოეტს გამუდმებით აწვალებდა მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის, გიჟის იარლიყის მიკერების და ამით სულიერი განიარაღების შიში. ეს აპრობირებული მეთოდი იყო ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

ბოროტების იმპერიის ამ ხერხს ასეთ კვალიფიკაციას აძლევდა ამერიკის რადიო „თავისუფლება“: „საბჭოთა კავშირში საღად მოაზროვნეებს გიჟებად აცხადებენ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებენო“.

დისიდენტ მოაზროვნეთა ძალად მკურნალობისთვის განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენდნენ საბჭოთა აკადემიკოსები, ამასთან დაკავშირებით სიმართლისთვის მებრძოლი ჟურნალისტის – ნაზი შამანაურის მაგალითიც კმარა.

გალაკტიონის თვალწინ იყო შემაშფოთებელი მაგალითები, პეტრე სამსონაძის მიერ ბერიას აუგად მოხსენიება, ამის შედეგად მისი ფსიქიატრიულში მოთავსება, ცემით სიკვდილამდე მიყვანა და საბედისწერო აღსასრული (კალე ბობოხიძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი, გაგვაცნო ტერენტის დის – ზოზიას შვილიშვილმა მამანტი როგავამ).

იქნებ შემთხვევით არ უთარგმნია პოეტების მეფეს ედგარ პოს „გული მამხილებელი“, სადაც არის ასეთი ადგილი: „დიახ! მე ძალიან ნერვებაშლილი ვარ, მაგრამ რად გინდათ თქვენ დაამტკიცოთ, რომ მე შეშლილი ვარ? ავადმყოფობამ გაამწვავა ჩემი გრძნობები, მაგრამ სრულიადაც არ დაუსუსტებია იგი, სრულიადაც არ დაუჩლუნგებია, უპირველეს ყოვლისა, გრძნობა სმენისა“ (ვ. ჯავახაძის წიგნიდან – უცნობი, გვ. 502).

იცოდა რა ხელისუფალთა, ბოროტეულთა ერთი მთავარი მეთოდი, თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ გამოყენებული, გალაკტიონს ბუნებრივად გასჩენია იმის შიში, რომ მისთვისაც არ მოედოთ საგიჟეთში შესატყუებელი ქამანდი: „რაც თვით არ სჯერათ, მე იმაში სურთ დამაჯერონ... არა, მე მდგმური არ მსურს ვიყო ამ საგიჟეთის“ (უცნობიდან, გვ. 459).

გალაკტიონს აწამებდა თავისი მეგობრის – ტერენტი გრანელის ხვედრი და გულწრფელ წუხილს გამოხატავდა: „მე ვნანობ, მე ვდარდობ, რომ ის (ტერენტი გრანელი – ლ.ს.) განუკურნებლად ავადაა“ (იროდი ხარჩილავა, ტერენტი გრანელი, კრებული – ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ., 1984, გვ. 214).

ალბათ, ამიტომაც ფრთხილობდა, გაურბოდა ხელისუფლების ჭანგებს, ნებაყოფლობით განდეგილად იქცა, რომ მის სენაკში არ შემოეღწია უცნობ-ნაცნობს და არ „დაეავადებინა“ საუკუნის ჭირით: „ჰმ.. ავად გაგხდიან, თუ მაგრად არ დაიჭირე თავი“, აღნიშნავდა დღიურებში.

ამიტომ ჰქონდა 1928, 1929, 1939 წლების შიში...

სოსო სიგუა წერს: „თითქოს ტერენტი გრანელზე ეთქვას გალაკტიონს: „მჯერა მე შენი ძმაობა, შენი შეშლილი ფერი“ (სოსო სიგუა, „ქართული მოდერნიზმი“, თბ., 2002, გვ. 177).

ალბათ, ეს შეშლილად მონათლულ ტ. გრანელთან დამეგობრების წინაგრძნობაა. გალაკტიონს თავისი რჩეული პოეტის განსაკუთრებულობის მახასიათებლად „შეშლილი“ ესახებოდა, თუმცა მთავარია არა ლექსის ადრესატი, არამედ შეშლილობის

გაგება დადებით კონტექსტში.

მაგრამ ეს არის შემოქმედთა გადასახედიდან გაგებული „შეშლილობა“.

გიჟი, შეშლილი თავის ოდიოზურ შინაარსს იძენდა ტოტალიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში და ამ სახელით ინათლებოდნენ თავისუფლად მოაზროვნეები, სიმართლის მსახურნი, ამ ავადმყოფობით „ავადდებოდნენ“ ხელისუფლებისათვის საშიში პიროვნებები და ამისთვის გამოიყენებოდნენ უპრინციპო მეცნიერები, ხშირად ამა ქვეყნის ძლიერთა ბოროტი სურვილების მსახურთ პროფესორობა და აკადემიკოსობაც ებოძებოდათ ხოლმე.

უსამართლო სოციალურ საზოგადოებაში „თავისუფლებისაკენ სწრაფვა, უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სიგიჟედ ითვლებოდა. ფსიქიატრიული რეპრესიები საქმით განამტკიცებდა მასაში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია“ (ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, თბ., 1995, გვ. 49).

თითქოს წინასწარმეტყველური გამოდგა ცისფერყანწელ ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ მართალი პოეტის კარიერად სიგიჟის, ჭლექის, ალკოგოლის და თვითმკვლელობის მიჩნევა: „მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა. მისთვის ვიწამე სამუდამოდ ეს კარიერა: სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა. სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ ბარიერად!“ („ბოჰემის მონოლოგი“, ვალერიან გაფრინდაშვილი, ერთტომეული, 1990, გვ. 117-118).

გალაკტიონის „სიგიჟეს“, „შეშლილობას“ უნდა ვუმადლოდეთ პოეტის მსოფლიო, კოსმიური შედევრების შექმნას, რადგან ამისთვის არა ჩვეულებრივი, არამედ ზესკნელ-ქვესკნელში მოარული, „პიროვნების განვითარებაში დათქმული და დაწესებული საზღვრის“ მიღმა გაღწეული გონია საჭირო... და მართლაც ბედნიერებაა ასეთი „შეშლილობა...“

ზღვარგადამლახველი მოგზაური და მეზღვაური

ტრადიციისა და მომავლის, წინამორბედთა და მიმდევართა, ძველისა და ახალი თაობის დამოკიდებულება ყველა დროში, ყველა ქვეყანაში იყო ხოლმე პრობლემური.

სტეფან ცვაიგი ტრადიციას უწოდებდა ქვის ზღუდეს, რომელსაც მომავალში გაღწევის მსურველებმა უნდა გადააბიჯონ.

„ნაცნობი სულიერი სამყაროს ნაპირებიდან ბნელით მოცული შეუცნობლობის ოკეანისაკენ, გრძნობის ახალი ზონებისაკენ, სულიერი ცხოვრების ახალი სფეროებისაკენ“ მავალთ, „მამაც ზღვარგადამლახველთ“ ეკისრებათ ჩიხიდან კაცობრიობის გამოყვანის მისია.

„ამ დიადი მაცნეების გარეშე,... ამ დიად მეოცნებეთა გარეშე კაცობრიობა ვერ ჩასწვდებოდა, ვერ ამოიცნობდა თავისი არსებობის ღრმა აზრსა და დანიშნულებას“.

საუბრობს რა სამყაროს საზღვრების გაფართოებაზე, სტეფან ცვაიგი ერთმანეთისგან განარჩევს გულდინჯ მკვლევარებს და დესპარადორებს, ფსიქოლოგ-მეცნიერებს და პოეტებს, ამ უკანასკნელთა უპირატესობის აზრით: „არა გულდინჯმა მკვლევარებმა, მშობლიური მხარის შემსწავლელმა გეოგრაფებმა გააგანიერეს ჩვე-

ნი სამყაროს საზღვრები, არამედ დესპარადორებმა, უცნობი ოკეანე რომ გადასერეს ახალი ინდოეთის ძებნაში. ფსიქოლოგები და მეცნიერები როდი ჩასწვდნენ თანამედროვე ადამიანის სულის ახალი მოძრაობის სიღრმეს, მხოლოდ პოეტებმა შესძლეს ეს, მიჯნა რომ არ იციან, ზღვარის გადალახვას რომ არ ერიდებიან – იმ ადამიანებმა“, ასკვნიდა დიდი გერმანელი მწერალი („დოსტოევსკი“) (1,276).

იმ „მამაც ზღვარგადამლახველთა“ შორის, ვინც შორს გასწია კაცობრიობის გონი და „დროთ საზღვარს იქით“ გააღწია, უეჭველად ერთ-ერთი პირველთაგანია გალაკტიონ ტაბიძე.

გალაკტიონის იდეალია პოეტის სახეში ბედუინის, მეომრის, მოსამართლის, გრიგალისებური მსოფლიო ძალის, ნუგეშის გაცხადება: „დავლიოთ ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი, ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი. პოეტი იყო ბედუინი და მეომარი, პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი – იყო გრიგალი, იყო შერყევა, იყო მსოფლიო ძალა – უგეში. მისთვის არ იყო რამ შეფერხება – იგი უყვარდათ, როგორც ნუგეში“ (პოემა ვეფხვისა) (2, 259-260).

პოეტების მეფის შემოქმედებაში ძალზე ღრმააზროვანი ქვეტექსტების მატარებელია მოგზაურის, მეზღვაურის, მხედრის, მენავის, მებრძოლის, ბედუინის, მესაჭის სახე-სიმბოლოები. მოგზაურობა ხდება ხმელეთზე, ზღვაზე, ქვესკნელში, ჯოჯოხეთში, უდაბნოში, უცხო სიმსუბუქეში, ცაში, ცათა ცაში, ეფემერებში, ლაჟვარდებში, კოსმიურში, ელვის ბილიკზე, მიღმურ სამყაროში, ქვეყნებში, ჰიმალაის მთებში, წმინდა სულების სავანეში – შამბალაზე.

სამოგზაურო ტრანსპორტია: მერანი, ლურჯა ცხენები თავისი ვარიაციებით, ეტლი, დილიჟანსი, ურემი, გემი, ნავი, ხომალდი, კრეისერი, სული.

პოეტის სული შეუწყვეტლივ მიქრის ედემისკენ, საოცნებო მხარისკენ... მისი უმთავრესი მიზანია ოქროს საბადოს – კლონდაიკის პოვნა, ოქროს ქნარის მოხელთება, ანუ „საკუთარი შტამპით“ გამორჩეული „იისფერი სიტყვების“, „ცისფერი სიტყვების“ პოვნა.

„მოგზაურობა სიძნელით სავსე ჩემთვის არასდროს არ არის ძნელი“, ამბობს პოეტი და ეს მოგზაურობა მოითხოვს „მეკობრეებთან“ შერკინებას, ამიტომაც არის მისი იდეალი „მებრძოლი პოეტი“, მებრძოლი „ლურჯ სტანდარტთან“, შტამპთან, რათა ააგოს პოეზიის ახალი, „სხვა კართაგენი“, „სულის წუხილის“ ძეგლები, „დროთა ქროლამდის“ ამაღლებული „მაღალი კოშკი“, „ახალი სასახლე“...

ლექსი „წინაპარის ცრემლები“ აზუსტებს, რომ მისი მოგზაურობა სულიერი მოგზაურობაა: „სული მოგზაურია უდაბნოში წასული“ (2, 465-466).

გულში „ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს“ (3, 371).

„საღვთო ბილიკებით“ ხდება ხელოვნების უმაღლესი გზით ცის და მიწის წიგნის მიგნება (ხელოვნება) (2,39). „ელვის ბილიკებით“ მოგზაურობა ცაში და მიწაზე, „ხან უფსკრულებით, ხან მწვერვალებით“ (3, 376).

„არაქაურია“ გალაკტიონის პოეზიის ლირიკული გმირის „სუნთქვა“ (ჩვენი დღის ამბებს), მისი საფეხურია „ვარდისფერი მარმარილო“ (მარმარილო), „ლალის ტატნობი“ (ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს) (4, 46).

პოეტის „გაუვალი და გავლილი გზები“ დაუსრულებლობით ხასიათდება (გზები გაუვალი და გზები გავლილი) (4, 397).

ცხენთა შეჯიბრებაზე გალაკტიონი ლურჯა ცხენებით ცხადდება, რომლებიც

ქრიან „ფერადი ქარებით“, ხოლო საღვთო ქარი, ნიავი შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდის სიმბოლოა.

„ღვთიური სულითაა განპირობებული ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“ გაიგივებულია „სული – მობერვა, შთაგონება“(5, 363, 376).

დანტემ სულის თვალით იმოგზაურა ჯოჯოხეთსა, სალხინებელსა და სამოთხეში და ამ მოგზაურობის მიზანი იყო თვალის გამახვილება, შემეცნების გაფართოება, „სხვა ცხოვრების“ მოპოვება: „...ცრემლის დილეგნი მე გადმოვლახე, თუმცა ცხოვრება არ დამითმია, აქ ვმოგზაურობ სხვა ცხოვრების მოსახვეჭელად“.

„გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია“ (6, 166, 293).

გალაკტიონის პოეზიაში სულის თვალით ხდება „ოცნებათა შემოწმება“, გავლილი და გასავლელი გზების განჭვრეტა, ნანახ-განცდილის ინტეგრირება (ჩემი პოეზიის ინტეგრალები), მისი დევიზია: „განსაზღვრე რიცხვი წუთებისა“. საბოლოო მიზანი „საამქვეყნო და საიმქვეყნიო სიოს“ განცდაა, სხვათაგან ჯერაც „მოუხელთებელი საიდუმლოებების ხილვა „ზევით თუ სამარეში“. პოეტს გათვლილი აქვს „იმედები უსაზღვრო და განსაზღვრულ მხარეთა“.

მთავარი დევიზია „განიცადე, იგრძენ, იცან, გამოიცან“ (3,108).

დანტე აღნიშნავს, რომ ის მოგზაურობდა სულით, „ნდომით“, „ფიზიკურად ერთ ადგილს შთენილი“.

გალაკტიონი სინამდვილეში თავის თავში იყო დატყვევებული, მისი მიზანი იყო გულში დაგროვილი ქაოსის, ხილვათა, შთაბეჭდილებათა, განცდათა გაცხადება: „იყავ გულწრფელი, გაიგონე ხმა ანთებული, რომ გზა გაეხსნას ქაოსს ნაგუბარს. შენ თვით შენში ხარ სამუდამოდ დატყვევებული, მარტოობა შენი საკანი“ (იყავ გულწრფელი) (3,109).

ლურჯა ცხენების (ანუ პოეტის სულის) განუყრელი თანმხლებია ქრისტიანული ჯვარი („სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები, იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება“), ღმერთი, სიცოცხლის ხე („ზენიტზე მდგარი შორი პალმები“), წმინდა ემბაზი (მარიამ ღვთისმშობელი), ქართული სული (წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული), ანუ პოეტების შეჯიბრს ევლინება გალაკტიონი და პოეტურ გლობუსზე „ახალ მერიდიანს“ ავლებს (ეფემერა).

გალაკტიონი არის „მგზავრი გვიანი“, მისთვის უცხოა მიწიური ცოფიანი მიეთმოეთი. გარდასხეულების თეორიის მიმდევარი პოეტის სული ისევ ბრუნდება მიწაზე, მაგრამ იქ ვერ პოულობს თავის იდეალს: „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი, სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ ადამიანი“.

ქვეყნიური „ცოდვების გროვა“, ჯოჯოხეთი, ცოფი აძრწუნებს, ჩამქრალია წარსულის საღვთო ცეცხლი, სულს არყის შრიალზე „სხვა ცხოვრებისთვის“ ეღვიძება და ეტრფის ცისფერს, ქალწულის ცისფერი მწუხარებით სავსე სახელს – მერის, რომელიც პოეტის სულის სიბერის წამალია, უჩინარ ტყვეს, რომელიც მხოლოდ სიზმრებში ცხადდება: „სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს, ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“ (გზაში) (7, 425-426).

ია მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორული სახელია (8, 124).

ცა, ციაგი ღმერთების ცაა, რომელსაც ბიბლიაში ეწოდება „ცანი ცათანი“.

ცით მოვლენილი პოეტი ასეთ განსაცდელებთან ბრძოლებში ძალას იკრებდა, აბობოქრებულ ცხოვრებასთან ჭიდილში უფრო წარმტაცი ხდებოდა მისი მგზავრობა: „ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოკრებას, მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი ცხოვრების ჩემის აბობოქრებას“ (ქალაქი წყალქვეშ) (9,224-226).

თავგანწირული მოგზაური პოეტი არც სიმშვიდეს, არც სიტკბოებას, არც მყუდროება-შვებას ეძებდა ამქვეყნად, მისი იდეალი იყო „ქარიშხალთან შებმა“, „ქარის პირდაპირ“ სვლა, ახლის ძიება (მგზავრის სიმღერა) (3, 102).

კავკასიონის მთებში, თერგის მიდამოებში, დარიალის ბილიკ-კორდებში, კიდით-კიდე, ზღვა და ხმელეთზე მოგზაური პოეტი ვერ ივიწყებდა და ვერ შორდებოდა „სიცოცხლის აჩრდილს“, თუმცა თვით „სიცოცხლესთან“ შეხვედრის იმედი გადაწურული ჰქონდა: „ვმოგზურობდი... მე მინახავს მუდმივი თოვლით შემოსუდრული კავკასიის ამაყი მთები, იმათ ალერსში მსურდა შენი გადავიწყება, მაგრამ, აჩრდილო, წუთითაც კი არ მავიწყდები! თერგის მშფოთვარე ხმაურობას მე ყურს ვუგდებდი და შევაჯერე დარიალის ბილიკ-კორდები, განშორებითა მსურდა შენი გადავიწყება, მაგრამ შენს აჩრდილს, სიცოცხლეო, ველარ ვშორდები!“ (ვერსად, ვერასოდეს) (3,82).

სიცოცხლე, ცხოვრება ქრისტეს სახელია: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14, 6) (10, 211).

ზემოხსენებული ლექსის მიხედვით, პოეტი ღმერთის აჩრდილს, მის კვალს არის ადევნებული თავისი სულის მარადიულ მგზავრობაში, მისი დევიზია: „რწმენით იარ, რწმენით იარ, მტკიცე გქონდეს ბიჯი“ (იდეა) (7,575).

სხვაგან „სიცოცხლის აჩრდილს სული არ ერთვის“, რადგან „შავ დემონს“ უპყრია მისი სულის ფრთები (სხვა ყველაფერი).

ლექსში „პროლოგი ასი ლექსის“ (3,368) სიკვდილმა ლანდებად აქცია ტახტის-მპყრობელი მეფეები (ვილჰელმი, კარლოს, ნიკოლოზი, ფერდინანდი, პოეტი მეფე – ალექსანდრ ბლოკი, ჰანგების მეფე – დიდი სენ-სანსი, მძლავრი დირიჟორი ნიკიში), ქართველი მგზავრი პოეტი კი ერთადერთი გადაურჩა ცეცხლიან ქარტეხილებს, რათა ეთქვა ქვეყნის გადარჩენის სიმღერა: „... ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი, მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი, რომ გამომევლო ჯერ არსმენილი ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა და მომეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“.

სხვაგან უმამულო, უსამშობლო, ანუ თავისუფლებაწართმეული პოეტის ნავები უცხოეთისკენ გასამგზავრებლად ემზადება (მზადება გასამგზავრებლად) (3,281).

ლექსში „ქაჯები, ალები, ჭინკები“ (3, 374-375). ქაჯები, ვერაგი სულები, ჭინკები უსაფრდებოდნენ მგზავრებს ჯაგებში, მაგრამ სხივებმა (სხივი საღმრთო სახელია) გაფანტა ბოროტეულნი.

„მიდიხარ“ (4,383) ეძღვნება მარადიულ სამყაროში გამგზავრებას და სიკვდილი აღიქმება არა როგორც სამუდამო გაქრობა, უბედურება, მიუსაფრობა, არამედ ხელახალი დაბადება, ბედნიერება, უკვდავების სამყაროში თავშესაფრის პოვნა, მარადიული სულის დაბრუნება თავის სამუდამო სავანეში...

ლექსში „ტალღები გლეჯენ ერთიმეორეს“ (9,289) საუბარია მგზავრის (პოეტის) ქარიშხლიან სიმღერაზე, რომლის ძლიერებას ტალღებიც კი გრძნობენ: „როდესაც ესმით სიმღერა მგზავრის, ტალღები გლეჯენ ერთიმეორეს“.

გრიგალის მიერ „ზღვისთვის გაღვიძებული“ ფრანგი პოეტი არტურ რემბო წერს: „... მას აქეთ იყო, ზღვათა დიდი პოემა მბანდა, ვარ განბანილი თქვენეულით, ტალ-

ღებო, ნაღვლით“ (მთვრალი ხომალდი) (11,92-95).

გალაკტიონს უძნელეს მგზავრობაში მიუძღვის ქრისტიანული ჯვარი, სიცოცხლის ხე, დიდი საიდუმლო (ღმერთი), წმინდა ემბაზი (მარიამი), არტურ რემბოს მარიამ ღვთისმშობელი: „... რას ვიფიქრებდი, მარიამთა მბრწყინავნი ფერხნი ოკეანეებს თუ დადრეკდნენ ჩიჩვირდახრილებს“ (მთვრალი ხომალდი).

პოემა „აკაკი წერეთელში“ მგზავრის (პოეტის – აკაკი წერეთლის) „ოცნებათა სიდიადეა“, რომელმაც „გაიარა ვრცელი გზები, სად მუდმივი მზეა მგზნები და მუდმივი გაზაფხულის დაუჭკნობი ყვავილები“ (12,140).

ვრცელი გზა, მუდმივი მზე და მუდმივი გაზაფხული ქრისტეს სიმბოლური სახელებია, დაუჭკნობი ყვავილები – მარიამ ღვთისმშობლისა.

პოემაში დიდი წინაპრის გზებს სიმღერით მიჰყვება სხივოსანი ცხენოსანი, მგზავრი და მგოსანი – გალაკტიონ ტაბიძე: „იმ გზით ისევ სხივოსანი, როგორც მგზავრი და მგოსანი, აღტაცების მხნე სიმღერით – ვეშურები ცხენოსანი“ (აკაკი წერეთელი) (12,111).

პოემის ავტორს, წინაპარივით ქარებს გადარჩენილს, წარსულის ვალი არ მიჰყვება და „მშვენიერი მომავლისკენ“ მიაჭენებს თავის ლურჯას: „... დრო ბევრს, ბევრს ქარს გადაურჩა, წარსულს ვალში არ დაურჩა! მშვენიერი მომავლისკენ გასწი, გასწი, ჩემო ლურჯა“ (12,154).

ლექსი „უკანასკნელი მატარებელი“ ეძღვნება პოეტის რეპრესირებული მეუღლის – ოლია ოკუჯავას გამგზავრებას გადასახლებაში (9, 376).

გალაკტიონი თეთრით მოსილი ქარში მიდის მოცარტივით „გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“ (შერიგება).

მისთვის „სიკვდილივით მარადია სურვილი მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა) (3,68).

პოეტს ასევე აინტერესებს ხალხში გამგზავრებული თავისი ლექსების ბედი, კეთილ მგზავრობას უსურვებს მათ, მფარველად „სიმართლის ქვითკირის კედელს“ ატანს, დაღლილთა ნუგეშს უსაგზლებს, „ცხოვრების ნამგლით“ ბევრი სამკალის სიხარულს, ქარის ძლევას დაანათლებს (ეხლა კი მშვიდობით) (3,339).

„არტისტული ყვავილების“ ავტორი „ნუგეშის გზაზე“ დაიარება (სხვაგან სადაა) (9,243), ნუგეშისკენ ისწრაფის (მწუხარება შენზე) (7,346).

ნუგეში საღვთო სახელია.

„სხვა ქვეყანაზე“ ოცნებას გალაკტიონს აღუძრავდა „მხედარი“, მისი „სევდიანი სიმღერის“ ხმა და ეს მხედარი იყო პოეტის დიდი წინამორბედი ნიკოლოზ ბარათაშვილი (თვალუწვდენელი, დაუსაბამო) (3,73).

ლექსში „მიდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა“ (9,118) პოეტების მეფე გვევლინება, როგორც ახალი მხედარი: „ახალ ეპოქის მე ვარ მხედარი, დრო საკმარისი მიჩანს უკმარისად“..

„ხევით ხევზე“, „მთიდან მთაზე“ მოარული, ცეცხლოვან მერანზე ამხედრებული პოეტის ფიქრი ყველგან დაეხეტება: „... ეხლა მიჰქრის, იგი მიჰქრის, მერანს ცეცხლი ედება. არა! ეს გზა არის ფიქრის, ყველგან რომ ეხეტება“ (გორა-გორა, ვაზი-ვაზი) (9, 141).

ვეფხვის სიშმაგით ელტვის თავის ოცნებებს (პოეზიას) ახალი დროის მესხი მე-

ლექსე: „შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი მშობლიურ მთა და ველებზე, ვარ ოცნებისთვის გაჭრილი მე, ვინმე მესხი მელექსე“ (ვწერ ვინმე მესხი მელექსე) (9, 293-294).

„ავდარში“ (3, 234) „მთებისა და ხევის გზით“ მიდის ყარიბი მგოსანი, „ელვათა შუქით“ შემოსილი...

პოეტის სული ბედუინივით თამამად მოგზაურობს უდაბნოში: „... გამახსენდება უდაბნო ვრცელი და სიამაყე ბედუინისა“ (მხოლოდ ბრძოლების სურვილით სავსეს) (3, 378).

უდაბნო არის რწმენის მოკლებული ადგილი.

უდაბნოელი და უდაბნოთა ქალაქმყოფელები კი არიან იქ სულიერების, რწმენის შემტანნი.

„მოხეტიალე ბედუინი“ პოეტის სული მარადიული მშვენიერების საუფლოს ეზიარება და ვარსკვლავთა იდუმალ საუბარს უსმენს: „... მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზეა და სინარნარე. სადაც ქვეყნიდან უცხო საზღვარზე სწყდება კაცთ ოხვრა გულმოსაკლავი, სადაც იდუმალ-მარადიულზე ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (3, 106).

პოეტი განწირულობით ხეტიალობს „სამოთხის დახურულ კართან“ (გრძნობა, რომელიც დაკარგულია) (3, 50).

სამოთხე მარიამის სახელია (13, 11).

„დადაფნულ გზაზე“ კეისარივით მავალ პოეტების მეფეს „უზენაესი ცეცხლი“(ცეცხლი საღვთო სახელია) ახვევია და საუკუნეების ტევრში გამოვლილ მის მარადიულ სულს მგლოვიარე სერაფიმები მოჰყვებიან, ლურჯა ცხენებით გაფრენილი, „უაილდის ყვავილივით“ ეცემა გზაზე.

„მგზავრი მგოსნის ანგელოზი“ „წარმართ გზას“ უჩვენებს (მგლოვიარე სერაფიმები) (2, 94-95).

ზოგჯერ კი „ობლად“ ადგას გზას (მზის ჩასვლა) (2, 99).

ქალაქისკენ „უქუდოდ და ფეხშიშველა მავალ“, „ზამბახივით უღრუბლო ბავშვს“ ტანჯავს გაუცხოება და ისევ დედამიწას ეამბორება (ქალაქისკენ).

„მწარე ქარებით“ დაწეწილი სულის პატრონი ვერც შოპენჰაუერით იმშვიდებს სულს, ვერც სიყვარულით, მას მუდმივად თან სდევს დემონი, რომელიც შეახსენებს „გატეხილ შუბით და მუზარადით“ ქროლვის უპერსპექტივობას: „მე დემონები ქროლვით მარადით მომაგონებდნენ დაფარულ შხამით, რომ უიმედოდ მივქროდი ღამით გატეხილ შუბით და მუზარადით“ (მაგრამ მე რა ვქნა?) (2, 82).

პოეტს ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი თავისი „გაუვალი და გავლილი გზების“ დაუსრულებლობა, „იმედები უსაზღვრო და განსაზღვრული მხარეთა“.

მისი „ფხიზელი მიზანი და ანგარიში“ ყოველთვის მიზანს წვდება, მთავარი მიზანი კი „საკაცობრიო იდეა“, „საერთო და სათვისტომო ომში“ გამარჯვებაა.

ლიტერატურა:

1. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ., 1960
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1989
3. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993

4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1982
5. წმინდა გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1989
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
8. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 1993
10. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
11. ფრანგი პოეტები, თარგმანი ფრანგულიდან გივი გეგეჭკორის, თბ., 1977
12. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1994
13. დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა, საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009

„ცხოვრება იგივ ზღვა არის“

გალაკტიონის შემოქმედების ერთ-ერთი უპირველესი ფენომენია ზღვა.

ზღვის სიმბოლური გააზრების მაგალითები ბიბლიასა და ღვთისმეტყველებაში გვხვდება.

ზღვა ჩვეულებრივი მეტაფორაა ცხოვრების აღსანიშნავად.

„ზღვა, მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“(1, 519).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ჩვეულებრივ ადამიანებს ეწოდებათ „ამ აზვავებულ ყოფნის ზღვაზე მოტივტივენი“ (2, 280).

ცხოვრება ზღვასთან არის აგრეთვე შედარებული წიგნში „სიბრძნე ბალაჰვარისი – ორი რედაქცია“: „ვიცით წიგნთაგან, ვითარმედ სოფელსა ამას ზღვა ეწოდების, რამეთუ ცხოვრება – გვლარძნილება მისი მსგავს არს ღელვათა ზღვისათა“ (164).

ადამიანთა ცოდვათაგან აღელვებულ ზღვას ჰგავს ცხოვრება, ხოლო იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, ამ „ზღვაზე“ გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, „ჯვარცმა“.

ზღვა წმინდა წერილის ენაზე აჯანყებული, მოუსვენარი, ღვთისმოსაობის მტერი ხალხის სიმბოლოცაა (3, 179).

გრიგოლ ხანძთელის თარგმანში „სოფლისა ზღვაი აღძრულ არს“ ცხოვრების (სოფლის) ცოდვები შედარებულია ზღვის ღელვას: „სოფლისა ზღვაი აღძრულ არს ღელვითა ცოდვისაითა, საშინელად დამნთქამს მე, და მოვილტვი შენდა ნავთსაყუდელსა და ესრეთ გიღაღადებ: დანთქმისაგან მიხსენ მე, მრავალმოწყალე“ (4, 476).

დავით გურამიშვილისთვის „ეს სოფელი ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს“ (დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სამდურავი).

ვაჟა-ფშაველა ცხოვრებას უწოდებს „იანუსივით ორთავიან ზღვას“ (სოფლის სურათები).

გალაკტიონს ცხოვრება წარმოდგენილი აქვს ზღვის სახით: „იბობოქრე, ცხოვრების ზღვავ, ჩემს ირგვლივ, იბობოქრე, მე რა უნდა დამაკლდეს? პიტალო კლდეს

რას დააკლებს ზღვის ტალღა, რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს?“ (იბობოქრე).

„გარემოების გულდახშულ და უგრძნობელ ზღვაზე“ საუბრობს პოეტი ლექსში „ისტორიული გემი“.

„მშვიდობის წიგნში“ „სიცოცხლის ზღვა ღელვა არის, სხვა რაა...“

ცხოვრებას ზღვასთან შედარებით ასე ახასიათებს პოეტი: „ზღვაზე ზვირთები მოვა და წავა, ცხოვრება ასე შემისწავლია“ (ის წაიყვანა ოცნებამ მისმა).

ქვეყანა კ. გამსახურდიასთვის არის „რაღაც ძლიერი და სასტიკი სანახაობა, შავი ზღვა, გრიგალიდან შეშფოთებული“ (მთვარის მოტაცება).

„ქვეყნიერება ზღვაა ჩემი, მესაჭეა ღვთაების გონი – ჩემი სხეული ხომალდია, სული-მგზავრი, შინ მიმავალი,“ ამბობს გერმანელი პოეტი ანგელუს სილეზიუსი ლექსში „ქერუბიმელი მგზავრი“ (5, 57).

თანამედროვეობასაც ზღვას ადარებს გალაკტიონი: „თანამედროვეობა იმ ზღვას ჰგავს, იმ მბრუნავ მალსტრომს, რომელზედაც დაუვიწყარ ლეგენდებს ქმნიდნენ: ედგარ პო, არტურ რემბო, ბოდლერი...“

ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი სულით ამარცხებს პოეტი სიკვდილის შიშს „მთაწმინდის მთვარეში“.

პოეტი გრძნობათა ზღვაში სიცოცხლის ნავით მცურავია, ზღვა ცხოვრებისეული წინააღმდეგობაა, ნავი – იდეალი (ვითარცა გედი).

ცხოვრებას – ზღვას ეკედრება პოეტი, რომ შეცდომების გამო არ გაიმეტოს ახალგაზრდობა, მისი იდეალი – ნავი (ნავი არ უნდა გასწირო).

მათეს სახარებაში ქრისტეს მიერ ქარისა და ზღვის დაწყნარება, ზღვის ფეხით გადალახვა სიმბოლურია და ცოდვათა დაძლევის გზით ზნეობრივ ამაღლებაზე მიგვანიშნებს.

გალაკტიონის შემოქმედებაშიც გვხვდება ზღვის გადალახვის თემა. მის ლექსში „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“ ქარიშხლისა და ზღვის მონობისგან თავის დაღწევაა. ამ კონტექსტში ნახსენები „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით“, „სიცოცხლის ქარი“, გემები, სიზმრები, პალმები სიმბოლურად ზღვის – ცხოვრების სიძნელეთა გადალახვით სულიერ ამაღლებას, პოეტური თავისუფლების მიღწევას გულისხმობს.

წერილში „ზღვა ქართულ ლიტერატურაში“ გალაკტიონი საგანგებოდ ასახელებდა თავის ციკლებს: „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ და „ზღვა ახმაურდა“.

ლექსში „მილიონებში ხელისმრეველი“ გალაკტიონი თავისი აურაცხელი სიმდიდრიდან უპირველესად ზღვის თემით ამაყობდა: „ამ საუკუნის სადიდებლად კვლავ მოიმართა ზღვის ჩანგი მკვეთრი“. მართლაც, საუკუნის პოეზიას განადიდებს ზღვის თემაზე შექმნილი მისი ლექსები.

აქაც ძალაშია პოეტის უმთავრესი თავისებურება: ყოველი ცნება გაიაზროს არა მხოლოდ პირვანდელი და ერთადერთი, არამედ მრავალგვარი მნიშვნელობით, მატერიალური სამყაროს ესა თუ ის საგანი გამოიყენოს უპირველესად ადამიანის სულის ურთულესი ნიუანსების დასახასიათებლად და ეძებოს სამყაროსთან საკუთარი არსების შემხები წერტილები. მის პოეზიაში შემთხვევით არ გვხვდება „ზღვა სიცხადის და ოცნებისა, ცხოვრების ზღვა, განახლების ზღვა, ახალ ღელვათა ზღვა, ვედრების ზღვა, აღტაცების ზღვა, სხვა ზღვა, სიბრძნის ზღვა, ფიქრთა ოკეანე“.

ზღვა არის უპირველესი და უდიდესი საიდუმლოება: „და საიდუმლო ზღვისა ფიქრებს როგორ არ მოგვგვრის“ (ახალი წელი).

ზღვაზე მოგზაურობის, ნავის, ხომალდების თემა გალაკტიონის შემოქმედებაში ორგანულადაა დაკავშირებული პოეზიასთან: „შავი ზღვის პირად დგას მოგზაური და დაფიქრებით თუთუნს აბოლებს... ტალღების მძლავრი და მხნე ხმაური შლის მოგონებებს და პარაბოლებს“ (ბათუმი).

ამ სფეროშიც უცდომელია პოეტის ნათელმხილველი გენია: „ზღვას და მეზღვაურს, მოგზაურთ ხმაურს და აურზაურს ვიცნობ ზეპირად“.

ზღვა ძვირფასია პოეტისთვის იმიტომაც, რომ იგი თავისუფლების, დაუმორჩილებლობის, ბრძოლის სიმბოლოა: „გადახეული აფრა ანძაზე მიმოფრიალებს, სტიქიის სული განგაშებს ზღვაზე, ღრეობს, ღრიალებს, ვერა, ვერ ითმენს იგი მონობას, ყოფნასთან აფთრობს, – ომში, გრიგალში ათავსებს გრძნობას, მკაცრია ამ დროს“.

პოეტს უყვარს „რისხვით მრისხანე ტალღებთან შებმა“ (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები). იგი ზვირთის მშფოთვარებას საკუთარ არსებაში გრძნობს: „წამომყვა ზვირთის მშფოთვარება და მზეთა დნობა, მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული... ოკეანესთან დამეგობრება ზღვებმა დამახეს, ზღვა კვლავ უბრუნებს ჩემს ცხოვრებას აზრს, სიამაყეს“ (გრიგალი).

ზღვა განახლების, მრავალსახეობის, ოცნების, სიწმინდის სიმბოლოა პოეტისთვის: „ზღვა რამდენ მცნებას კაცთ ითავსებდა, იგი ოცნებას მათსას ავსებდა, ზღვა განახლებულს სულს მასში ქმნიდა და იყო წმინდა, საოცრად წმინდა“ (მშვიდობის წიგნი).

პოეტის სულის ამოუწურაობა, მარადიული სიახლე მხოლოდ ზღვასთან პოულობს ანალოგიას: „აქ მისი სული შავსა და მწვანეს, მიჩერებული ზღვა ოკეანეს, ახალ დასავალს, ტოლთ მრავალ-მრავალს, ნახავს მომავლის ახალ სავანეს“ (მშვიდობის წიგნი).

პოემა „მშვიდობის წიგნში“ მოქმედება ხდება ზღვის პირას, ზღვის გზებით იწყება ერის დაკარგული წიგნის ძიება. როცა მშვიდობის წიგნი დაიკარგა, ზღვის სტიქიებმა წალეკეს ქვეყანა, ხოლო როცა მიკვლეულ იქნა ერის გაუჩინარებული რწმენა, ზღვა დაცხრა და ამინდი გამზიანდა. მშვიდობის წიგნის მაძიებელი ტარიელი ზვირთს კოცნის, ხოლო ზღვის ტალღები წიგნის გვერდებს აგონებს: „ნავსადგურის წყალს ლანდად დაეცა ხომალდთა ხაზი, ვით წიგნთა რაზმის, თითქოს ლამაზი ყდა გადიკეცა“.

პოეტს თავისი თავი სიმბოლურად ზღვის, ქარიშხლის მეუფედ წარმოუდგენია, რომელიც იალქანს ისე აწყობს, რომ ქარიშხალმა მსოფლიოს ცენტრში, უდიდეს ვარსკვლავთან მიიყვანოს: „როგორ მშფოთვარებს, როგორ ბრწყინავს თვალუწვდენი ზღვა, სადაც გრიგალი არის მხოლოდ ყოვლისმპყრობელი, ერთადერთ სიბრძნედ მიმაჩნია, რომ ამ გრიგალთან ისე მოაწყო იალქანი დაუცხრომელი, რომ ქარიშხალმა წაიყვანოს სიცოცხლის ნავი იქ, სადაც მთელი მსოფლიოის ბრწყინავს ვარსკვლავი“ (იალქანი დაუცხრომელი).

ნაკადული, მდინარე, ზღვა, ოკეანე – აი პოეტის პულსთან შეთანაბრებული ბუნების სტიქიები: „გარდატეხები მსახურებდნენ რა ნიადაგად, ძვრები წინ სწევდნენ პოეზიის ცეცხლოვან ნაკადს, ჯერეთ მდინარედ, მერე ზღვებად რომ გასწვდენია, იბადებოდა ბუმბერაზი მაშინ გენია“ (საუბარი ლირიკის შესახებ).

პოეტის „ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი“, ძლევამოსილი სული სიკვდილის ტრაგიზმს ამარცხებს და „ვარდისფერი სიკვდილის“ საოცრებას გვაზიარებს.

„ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა, თავმიდებული აჭარის კალთებს“ – ამბობს პოეტი და, მართლაც, ზღვასავით ულევია მისი ფიქრებისა და ემოციების სამყარო.

ზღვასთან, მის დაუდგომლობასთან წილნაყარობა გენიალობის ერთ-ერთ პირობადაა მიჩნეული: „ზღვაო, ოცნება პოეტის ლაჟვარდი, არაზვიადი – შენ უნდა გედარებოდეს, რომ შეჰქმნას რამე დიადი! სიყვარულს ნუ მოგარიდებს, მწუხრია, თუ განთიადი – ეძებდეს შენს მარგალიტებს, რომ შეჰქმნას რამე დიადი! ზღვაო, პოეტის დარებას – ვერრას აკლებდეს წყვდიადი – რომ შეჰხვდეს შენს მღელვარებას, რომ შეჰქმნას რამე დიადი! ვერ გამომჟღავნდეს ვეროდეს ის გული, ის ხასიათი – შენი ხმით თუ არ მღეროდეს, რომ შეჰქმნას რამე დიადი!“.

ზღვა პოეტის გენიის მრავალსახეობაა და მისი სიმშვიდის მომენტის აქცენტირებაა „ქარი მოგონებათა“, რომელშიც რეფრენია „ზღვა იყო წყნარი“, ხოლო „ზღვა ახმაურდა“ გენიის ქარიშხლისებურ აბობოქრებაზეა.

ლიტერატურა

1. აღსარება ნეტარ ავგუსტინეს, ჰიპონის ეპისკოპოსისა, წიგნი I, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თარგმანი ვასილ ბურკაძის, თბილისი, 1985
2. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ., 1941
3. Толковая Библия, комментарий А.П. Лопухина, М., 1991
4. ქართული მწერლობა. ტ. I, თბ., 1987
5. გერმანული ფილოსოფიური ლირიკა, თარგმანი ო. ჯინორიასი, თბ., 1981

ოკეანესთან დამეგობრება

გალაკტიონ ტაბიძემ ზღვა აქცია ცხოვრების, აზრების, ფიქრების, საერთოდ სულიერი ყოფის მახასიათებლად.

პოეტი ხან ყვავილთა შორის მავალი ნიავქარია, ხანაც ზვირთივით სწრაფი და ჩქარი, მისი ოცნება ყვავილებსაც აბრუებს, რადგან პოეტური სასწაულები, რომელსაც იგი ქმნის, სიზმარივით დაუჯერებელია: „მე მივდიოდი, მე მივდიოდი, ყვავილთა შორის ვით ნიავქარი. ...მე მივდიოდი, მე მივდიოდი ზვირთივით სწრაფი, ზვირთივით ჩქარი, ჩემი ოცნება სწვავდა ყვავილებს და მე ვიყავი დილის სიზმარი“ (როგორც სიზმარი) (1, 40).

პოეტი მგზავრის სიმღერას ტალღებიც გრძნობენ, როგორც ავთანდილის საგალობელს „ვეფხისტყაოსანში“: „როდესაც ესმით სიმღერა მგზავრის, ტალღები გლეჯენ ერთიმეორეს“ (ტალღები გლეჯენ ერთიმეორეს) (2, 289).

პოეტების მეფე სახალხო იდეალების გამომხატველია, იგი ხალხში პოულობს ფიქრების, ოცნების ზღვას და ოკეანეს. „... ის მაშინებდა, როგორც უცხო, „შავი ფრინველი“, „საით მიდიხარ“ – მომჩხაოდა დაუთრგუნავი, „იქ, სადაც ყველა“ – ვუ-

პასუხე და გავექანე, სად ხალხის ჰქუხდა უკმარობათ დაძრული ზვავი, სადაც ვიპოვე მღელვარე ზღვა და ოკეანე“ (იქ, სადაც ყველა) (3, 256).

ქაოსის ნისლში შედის, ზღვისებრ დაუდეგარი სულით ელოლიავება პოეტი ერთ, შეულეველ მოტივს: „სული გაქანდა ზღვაში მოტივად, თითქოს ქაოსის ნისლში შეველი და ატივტივდა იქ ნაფოტივით კლავიში ერთი, შეულეველი“ (საახალწლო ეფემერა) (4, 329).

მიწიდან, ზღვიდან, გულიდან იკვებება მისი მორევისებურად მოვარდნილი აზრის სტიქიონი: „ისევე გულის სიახლით მდნობ მიწიდან, ზღვიდან დაუსრულებელ მორევებს ვგრძნობ ყოველი მხრიდან“ (გრიგალი).

ლაჟვარდი, ზღვები, ზვირთები, მზე, ოკეანე, სიმშვიდე თუ აურზაური, სამშობლოს იდეალები, მისი აღტაცება და სიხარულია ამ გამორჩეული პოეტის სულის მასაზრდოებელი: „მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები, მოგონებათა სიხარული და უხვი გრძნობა. წამომყვა ზვირთის მშფოთვარება და მზეთა დნობა. თავს არასოდეს ისე არ ვგრძნობ, ვით გრძნობენ სხვები. მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული, მათი სიმშვიდე, მათი ვრცელი აურზაური, ჩემს სამშობლოშიც აღტაცებას ვგრძნობ მეზღვაური, ისევ სიმშვიდის სიხარულით შემორკინული“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები) (4, 320).

ზღვასთან, ოკეანესთან დამეგობრება „თამამი ქვეყნიერების“ განცდაა, ცხოვრების აზრი, სიამაყე: „... თამამ ქვეყნიერების გულში ტარება. ოკეანესთან დამეგობრება ზღვებმა დამახეს, ზღვა კვლავ უბრუნებს ჩემს ცხოვრებას აზრს, სიამაყეს“ (გრიგალი) (4, 342-343).

პოეტს მოთვინიერებული აქვს ზღვა და არ ეშინია სიკვდილის, იგი „ზღვაში“ ეძებს ჩვენი გულის შორეულ, ათასში გამორჩეულ ხმას: „ო, გადავეშვათ უფიქრებლად ზღვების თამაშში. ნუ გეშინია, არ დავკარგავთ გზას აკლდამაში. ჩვენ დაგვიკარგავს ჩვენი გულის ხმა შორეული, ათასი ხმიდან მხოლოდ ერთში ჩამორეული“ (ო, გადავეშვათ უფიქრებლად) (4, 318).

გალაკტიონის ბედისწერად ქცეულა ზღვა, უდაბნო, დემონები, ზღვა მისი ფიქრების მახასიათებელია, დემონების ძალთა გამოცდის, შერკინების ობიექტი, უდაბნო – ეშმაკების გამოცხადების, მისი დამარცხების და ურწმუნო სამყაროში რწმენის გავრცელების ადგილი: „ზღვას, უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა შეეჩვია და სიმღერაც მხოლოდ მათთან სჯერა“ (ბედისწერა).

არც სხვაგან ერიდება პოეტი ლაჟვარდებთან გამოჩენილ ლუციფერს, როგორც ბოდლერი: „თქვენ გართობდათ ზღვათა გული და სული და თვალები გქონდათ მშვიდი, ზღვისფერი. მოლაჟვარდე, როგორც ლაფა ლაზური. ლაჟვარდებთან იდგა ლიუციფერი, იგი გახდა მშვენიერი მაგია და ოცნება შენი ამხანაგია“ (თქვენ გართობდათ) (2, 64) – ასე უსინჯავს ზღვას „გულს“ და „სულს“ პოეტი, ასე ეტრფის ზღვისფერ თვალებს, ლაჟვარდებთან მოვლენილი ლუციფერი (როგორც ცოდნა) კი თითქოს მაგიად იქცევა და ოცნებებს უღვიძებს, სააზროვნო, საპაექრო თემა ხდება...

არც საკუთარ არსებაში, გულში ზღვის ხმაურობის შეგრძნებაა ჩვეულებრივთა მახასიათებელი, რადგან „რისხვით მრისხანე ტალღებთან“ შებმაშია გამობრძმედილი: „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა, თავმიდებული აჭარის კალთებს. რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა, თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს“ (ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღა) (1, 329).

ზოგჯერ „ზღვა – უდაბნოა მთელი სოფელი“ (კორდზე) (4, 126).

ფიქრების „ამთაგორებების“ სტიმულია „საიდუმლო ზღვისა“ (ახალი წელი) (3, 128-129).

იდუმალება, საიდუმლოებაა ზღვის მახასიათებელი: „იდუმალებით ისევ სავსეა ზღვის ცივი გული, ნისლი სოველი“ (სიჩუმეა ეს?) (4, 115).

„ახალ ღელვათა ზღვაში“ სიმშვიდე, სიკეთე ავსებს, „შეურყეველი საიდუმლო“ იპყრობს, გული კი მაინც კარჩაკეტილია გამოუთქმელობის გრძნობით: „ახალ ღელვათა ზღვაში შევედი, რაღაც მშვიდი ვარ, კარგი, კეთილი. ო, საიდუმლო შეურყეველი, მაისი, გული კარჩაკეტილი“ (ოთახი, ღამე, შრიალის შიში).

„უცნობი და მიუღებელი ცხოვრების ზღვა“ აკრთობს, აშინებს „ნაზ, ზამბახივით უღრუბლო ბავშვს“ და, ქალაქისკენ მავალს, ისევ ბუნება, მიწა, დედამიწა ესახება დედად (ქალაქისკენ) (5, 40-42).

დანტე საუბრობს სულის ხომალდსა და აფრაზე: „ამიერიდან სულის ჩემის ხომალდი მალი უკეთეს წყალთა საუფლოში ზეასწევს აფრას, ჩვენს უკან დარჩა ზღვა ისევე აზვავებული“ (6, 289)

გალაკტიონის სული, ფიქრები, პოეზია ისახება, როგორც „ოკეანეთა მძლავრი გემი“: „ოკეანეთა ხარ მძლავრი გემი, ხარ ბედნიერი, მძაფრი ქარიშხლის ტალღების ცემით შენ ხარ ძლიერი“ (ევროპის უფერული დღე) (2, 331).

ამასთან, „ოცნებათა უდიდესი გემი“, რომელსაც პოეტი მართავს, „უწრფელესი“ და „გმირულია“.

გალაკტიონს არც ფიზიკური ზღვის მნიშვნელობა ავიწყდება და სიამაყით ამბობს: „ჩვენ შავი ზღვა გვაქვს პირველთ-პირველი“ (ცა გაქვს ისეთი) (5, 199).

მხოლოდ ზღვაა პოეტისთვის სასინჯი ქვა, მისი გულის, ხასიათის სრულყოფილი გამოვლენა, ოდენ ზღვასავით მღელვარე გული და ოცნებაა დიადის შექმნის სტიმული, ზღვის მსგავსებით შექმნილი სიმღერაა დიადი და ზღვის სტიქიასავით ძლიერი, დაუმარცხებელი: „ზღვაო, ოცნება პოეტის, ლაჟვარდი, არაზვიადი – შენ უნდა გედარებოდეს, რომ შეჰქმნას რამე დიადი. ვერ გამომჟღავნდეს ვეროდეს ის გული, ის ხასიათი, შენი ხმით თუ არ მღეროდეს, რომ შეჰქმნას რამე დიადი... მესაჭეობა სხვა არის – სხვა განსაცდელი ფრიადი – ცხოვრებაც იგივ ზღვა არის, რომ შეჰქმნა რამე დიადი... გულიც ხომ ზღვაა იგივე, რომ შეჰქმნა რამე დიადი. სიმღერაც ზღვაა მქუხარე, რომ შეჰქმნა რამე დიადი“ (რომ შეჰქმნა რამე დიადი) (5, 136-137).

პოეტს სურს „დაფნით“ გადახლართოს „მძიმე ფიქრთა ოკეანე“ (გურიის მთები).

მართლაც, დაფნის ღირსია ის, რაც პოეტების მეფემ ფიქრთა ზღვით, ფიქრთა ოკეანით შექმნა.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1989
2. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982
4. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 1, თბ., 1993
5. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1993
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ., 1941

გადავიარეთ მრისხანე ზღვები

ღვთისმეტყველების მიხედვით, ზღვა ცხოვრების სიმბოლოა, გემი კი – ეკლესია, ჯვარი.

თავის განმარტებაში იოანეს სახარებისა (2, 4) ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „რატომ აცვეს მაცხოვარი ჯვარს? – იმიტომ, რომ, შენთვის, სულო კაცისაო, აუცილებელია ეს ძელი დამდაბლებისა. შენს ამპარტავნებაში შენ გეშინოდა მისი და ამის გამო შორს მოსცილდი მშობლიურ ქვეყანას. საერო ზვირთებმა წაშალეს მისკენ დასაბრუნებელი გზა და მხოლოდ ამ გემით ძალგიძს შენ დაბრუნება შინ. იგი თვით იქცა გზად, მაგრამ ეს გზა ზღვაზე ძევს, რომელსაც შენ ფეხით ვერ გადაივლი, შენ გადაგიყვანს გემი, გადაგიყვანს „ძელი“ (ანუ ჯვარი). გწამდეს ჯვარცმისა და შენ შეძლებ დაბრუნებას“.

სიტყვა, „მორი“ მეტონიმიურად აღნიშნავს გემს (1, 453).

ბიბლიაში ბოროტეულნი აღელვებულ ზღვასთან ასოცირდებიან: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფსა და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20) (2, 116).

წმიდა გრიგოლ ნოსელი „მოსეს ცხოვრებაში“ საუბრობს „სათნოების სარბიელზე საღვთო სრბოლის“ შესახებ, ასევე იმათზე, ვინც „უწინამძღვრო გონების“ გამო ცხოვრების ზღვაში დაიკარგა და სარწმუნოების ძალით კვლავ შეძლებს „საღვთო ნების ნავსადგურისკენ გზის გაკვლევას“ (3, 98).

ზღვის გადავლა ცოდვების დამარცხების, ზნეობრივი ამაღლების სიმბოლოა.

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ ღმერთის შემწეობით გადალახა ცოდვების ზღვა. როგორც წმინდა სულის ადამიანს, მას ღმერთმა უბოძა სასწაულმოქმედი კვერთხი, რითაც გააპო მეწამული ზღვა და თავისიანები სამშვიდობოს გაიყვანა (გამოსვლა, 14, 1-31) (4, 71-72).

ქრისტემ ზღვაზე ფეხით გავლის სასწაული აჩვენა, რაც მის სიწმინდეს, სულის ძლევამოსილება-ყოვლისშემძლეობას უსვამს ხაზს (მარკოზი, 6, 48, 49) (5, 81).

ასევე, ძე ღმერთმა დააწყნარა ქარი და ზღვა (მარკოზი, 4, 39) (5, 76).

ანალოგიური ძალისხმევა არ აღმოაჩნდა მოციქულ პეტრეს და მან ჩაძირვა იწყო, როცა სცადა ზღვაზე სიარული, ამის გამო მას ქრისტემ „მცირედმორწმუნე“ უწოდა (მათე, 15, 28, 29, 30, 31) (5, 32).

პავლე მოციქული ასე მიმართავდა კორინთელებს: „... ჩვენი მამები ყველანი ღრუბლის ქვეშ იყვნენ და ყველამ გამოვლო ზღვა“.

„და ყველამ მოსეს მიერ ნათელ იღო ღრუბელსა და ზღვაში“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა მიმართ X, 1, 2) (5, 370).

გალაკტიონ ტაბიძეს თამამად შეიძლება ეწოდოს ღრუბელსა და ზღვაში ნათელღებული.

დანტე, როგორც მამაცი მენავე, სულის ხომალდით მიაპობდა საასპარეზოდ განგებისგან ბოძებულ ცხოვრების ზღვას: „ის ზღვა, რომელსაც აწ ხომალდი მიაპობს ჩემი, არც მცირე ნავის ასპარეზი ეგონოს ვინმეს, არც თუ ძაბუნი მენავისგან გადა-

სალახი“ (6, 369).

ილია ჭავჭავაძე „სიცოცხლის მდინარესთან“, „წუთისოფლის ზვირთთან“ დაპირისპირებული თავისი ობოლი ნავის ხვედრზე, მის კვალზე ფიქრობდა „სიმღერაში“, „ვნების ქარებს“ გაურბოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნავი (ჩემი ლოცვა), აკაკი წერეთელი წუხდა, რომ მის მშობლიურ ნავს რუსეთის დიდი ხომალდი „მტვერს და ნაგავს“ აყრიდა, ვაჟა-ფშაველა „იმედის გემის“ „ცუდ ადგილას“ გარიყულობაზე ჩიოდა“: „ვაი, რა ფუჭად სიცოცხლესა ვლევ, როგორ გაცრუვდა იმედი ჩემი! რა ცუდ ალაგას გარიყა ზღვამა აფრა-აშლილი მსრბოლარი გემი“ (ბედის მომლოდინე უბედო დავრჩი) (7, 124).

გალაკტიონის იდეალია ისეთი პოეზია, რომელიც ცოდვილ ადამიანს დაეხმარება ზღვის გადავლაში, მიანიჭებს მას სიბრძნის გზით სვლის ძალას, დაუსახავს დიდ მიზანს: „გევედრები, გამაგონე, ის სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“ (ოდეს მძიმე რამე დარდი) (8, 415).

პოეტების მეფის შემოქმედებაში ზღვის გრიალს, მუქარას ამარცხებს „ქვეყნიურ სამოთხესთან“, „მთასთან“ (სამოთხე და მთა მარიამის სიმბოლოებია – 9, 124) ცასთან (ცათა ცასთან – ღმერთების სამყოფელთან), „ყველა ხესთან“ (ყველა ხე, გრიგოლ ნოსელის მიხედვით, ღმერთის სახელია) წილნაყარი ადამიანი: „ო, ქვეყნიურო სამოთხე! რაკი ზღვა გრიალ-გრიალებს, ნაპირიდან კი სამ-ოთხ-ხე, ყველა ხე ლექსებს შრიალებს“.

გალაკტიონს ამ ფენომენებთან დაკავშირებული დიდი წინაპარი – შოთა რუსთაველი ეიმედებოდა: „და ყველა ერთად: ცა, ზღვა, მთა, ჩვენი ველისა და წყალის, ლექსია რუსთაველის და გალაკტიონის საწყალის“ (ო, ქვეყნიურო სამოთხე) (8, 429).

ყოველი მოკვდავისა თუ შემოქმედის წინაშეა ეს ცოდვების ზღვა და მისი გადალახვის ძალის მომნიჭებელია მხოლოდ რწმენა და სულიერი სიწმინდე.

წერილში „ზღვა ქართულ ლიტერატურაში“ გალაკტიონი საგანგებოდ ასახელებდა თავის ციკლებს: „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ და „ზღვა ახმაურდა“. პოეტი ამ სფეროში რუსთაველსაც კი უპირისპირდებოდა: „ზღვა მართალია, შოთას აქვს ნახსენები, მაგრამ ის შორეული ზღვებია და შავი ზღვა პირველად მე შემოვიყვანე ქართულ პოეზიაშიო“ – ამბობდა გალაკტიონი (ტ.12, გვ.142-143).

ლექსში „მილიონებში ხელისმრეველი“ გალაკტიონი თავისი აურაცხელი სიმდიდრიდან უპირველესად ზღვის თემით ამაყობდა: „ამ საუკუნის სადიდებლად კვლავ მოიმართა ზღვის ჩანგი მკვეთრი“, მართლაც, საუკუნის პოეზიას განადიდებს ზღვის თემაზე შექმნილი მისი ლექსები.

აქაც ძალაშია პოეტის უმთავრესი თავისებურება: ყოველი ცნება გაიაზროს არა მხოლოდ პირვანდელი და ერთადერთი, არამედ მრავალგვარი მნიშვნელობით, მატერიალური სამყაროს ესა თუ ის ცნება გამოიყენოს უპირველესად ადამიანის სულის ურთულესი ნიუანსების დასახასიათებლად და ეძებოს სამყაროსთან საკუთარი არსების შემხები წერტილები. მის პოეზიაში შემთხვევით არ გვხვდება „ზღვა სიცხადის და ოცნებისა, ცხოვრების ზღვა, განახლების ზღვა, ახალ ღელვათა ზღვა, ვედრების ზღვა, აღტაცების ზღვა, სხვა ზღვა, სიბრძნის ზღვა, ფიქრთა ოკეანე“.

ზღვა არის უპირველესი და უდიდესი საიდუმლოება: „და საიდუმლო ზღვისა ფიქრებს როგორ არ მოგგვრის“ (ახალი წელი).

ზღვაზე მოგზაურობის, ნავის, ხომალდების თემა გალაკტიონის შემოქმედების

უპირველესი მახასიათებელია.

გალაკტიონისთვის ცხოვრება არის ზღვა, ადამიანი – მენავე: „ცხოვრების ზღვაზე მენავეს ტალღა სცემს ხმაონავარი, სულის სიმტკიცე აქ გვმართებს, აი რა არის მთავარი“ (ისევ ახალგაზრდობას).

პოეტი გრძნობათა ზღვაში სიცოცხლის ნავით მცურავია: „ვითარცა გედი ზღვისა სივრცეში მიმომცურავი იკვეთავს გზასა, ისე მეც ვტოპავ გრნობათა ზღვაში და მივაცურებ სიცოცხლის ნავსა“.

ზღვა ცხოვრებისეული წინააღმდეგობაა, ნავი – იდეალი, რომელსაც ტალღა დამუქრებია: „თუმცა კი ვიცი, არ შემიბრალებს ზღვა შფოთიანი და ბობოქარი, გადამიბრუნებს ნავს ჩემს ერთგულსა ტალღა მჩქეფარე, დაუდეგარი“ (ვითარცა გედი).

ნავისა და გემის სახით პოეტი ხშირად გვაგრძნობინებს იდეალის სხვადასხვანაირ მდგომარეობას.

ლექსში „ალაზანთან“ ტალღებს მინდობილი ნავი იდეალის განწირულობის ნიშანია: „დამშვიდდი, ტალღებს მიანდე ნავი, რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა“.

ტრაგიკულ განწყობილებას ქმნის სტრიქონები: „ფეხქვეშ მიგდია დამსხვრეული სწრაფვათა ნავი“ (ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი).

უბედურებას უსვამს ხაზს „დამსხვრეული რწმენის გემი“.

იმედის ხომალდის მსხვრევა და ცის ჩამოქცევა ერთია: „დაიმსხვრა სადღაც იმედები და ხომალდები, შთანთქენ მაღალ კუბოებში ცის კიდეები“ (სიკვდილი მთვარისაგან).

„ზღვის ეფემერაში“ „გემთა ჩაძირულთა ყრუ სასაფლაოა“ წუხილის მიზეზი.

გალაკტიონი გრიგალისგან დაღუპული ხომალდების რექვიემს ქმნიდა (წინაპარის ცრემლები, დაიღუპა ის ხომალდი).

„დაღლილი ნავის“ ადგილსამყოფელის ძიებაა ლექსში „ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი“.

„შორს, ზურმუხტისფერ სივრცის იქით“ მოკიაფე სანთლებისკენ მიმსწრაფი მეზღვაური დარდობდა, რომ „გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა“ (სანთლები).

სიკვდილი „სიცოცხლის ნავის“ გატყდომასთან არის შედარებული ლექსში „გარდაცვალება“.

ნავების მოვლინება კი სიხარულით ავსებს პოეტს: „მოადგა ნაპირს ათასი ნავი, ო, სიხარულო, იყავ, იდიდე!“ (მოადგა ნაპირს ათასი ნავი).

რაკი ცხოვრება ზღვაა, სწორედ მას ევედრება პოეტი, რომ შეცდომების გამო არ გაიმეტოს ახალგაზრდობა, მისი იდეალი (ნავი): „ნავი არ უნდა გასწირო შენი, ზღვათა მიდამოვ, ახალგაზრდობის გამო ჩადენილ ცოდვათა გამო“ (ნავი არ უნდა გასწირო).

ეს ლექსი 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის გამოძახილია, შენიღბული ფორმით, „კოდირებული სახეებით“ ეროვნულ სატკივარზე მინიშნებაა, როგორც ამტკიცებს აკაკი ხინთიბიძე (ეს არ არის საქართველო) (10, 15).

გალაკტიონი ზღვის გადავლით ეძებდა მშობლიურ ნაპირს: „აი ნაპირი, ჩვენი ნაპირი, იგი მშობლიურ თიბათვეს ჰგავდა, სილაზე იყო გზა პირდაპირი, სილაში უხმოდ ჩაწოლილ ნავთან“(918).

მშობლიური ნაპირის მიღწევაა მიზანი ლექსში „ხომალდი კაპზე“: „მაინც მივაღწევთ მშობლიურ ნაპირს, თუმცა ხომალდი კაპზე აბია, თუმც ნაოჭები მოედო ამ შუბლს, ვით საფლავის ქვას ეპიტაფია“.

ზღვაზე გადავლის ძალის მომნიჭებელია გულში მრეკავი მზე (მზე ღმერთის სიმ-

ბოლოა), სიცოცხლის ქარი, სიყვარული, მტევნები, რწმენა, რაც ქარიშხლისა და ზღვის მონობისაგან ათავისუფლებს. ზღვა მნგრეველი ძალების, სცილისა და ქარიბდას, სატანების, „მეკობრეების“ საუფლოა, მაგრამ პოეტის ძლევამოსილი სული, მისი „ოცნებათა უდიდესი გემი“ „უწრფელესი და გმირულია,“ „მრისხანე ზღვების“ გადალახვას ჩვეული: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად, მახარებს ჩემი თავისუფლება და სიყვარული მახარებს მარად. გადავიარეთ მრისხანე ზღვები ქარიშხალის და ზღვის მონობაში, გატაცებები სხვისი და სხვისი იფანტებიან მოგონებაში“ (გადავიარეთ მრისხანე ზღვები) (11, 385).

ამ ზღვის-ცხოვრების ცოდვებისა და ამაღლებული ოცნების დაპირისპირებაა ლექსში „თეთრი ოცნება“. ძალთა ჭიდილში „თეთრი ოცნება“-პოეზია ახშობს აღელვებული ზღვის ხმას (ცოდვებს): „თეთრი ოცნება მთვლემარე ზღვას გადასწოლია, ფრთებს ზვირთებსა სცემს და მწარე ხმით ჰკივის თოლია. ზღვა კვლავ აღელდა და მის ხმაში ჩაკლული ჟინი ისმის, ვით ომში გამარჯვებულ გმირთა ყიჟინი, უეცრად მწარე დამარცხება რომ მოჰყოლია“.

„ყოფნის გემის“ შემხვედრ ფათერაკებს სძლევს „კავშირი გულთა შორის“, გულითადი მეგობრობა, რაც, ხალხურ ინტონაციაზე დამყარებით, ასე შთამბეჭდავად ჟღერს ლექსში „რკინის ჯაჭვით“: „ნათქვამია: ყოფნის გემზე რომ მოსკდება წვიმა, ღვარი, რკინის ჯაჭვით გულს მიიბას მეგობარმა მეგობარი“ (12, 164).

პოეტების მეფის „ოცნებათა გემი“ დაუბრკოლებლად სერავდა მერიდიანებს, განედებს, პოლუსებზე მკვიდრდებოდა, რადგან წინ უძღოდა „დამხსნელი ჯვარი“ (პორტრეტი) და იყო „უწრფელესი, გმირული“, როგორც თვითონ ახასიათებდა.

ლიტერატურა

1. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“ საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1985
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა. წიგნი I, თბ., 1991
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 1941
7. ვაჟა-ფშაველა ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 1961.
8. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1993
9. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
10. ჟურნალი „დროშა“, 1990, №1
11. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 1, თბ., 1991
12. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 1992

პოეტი მეზღვაურის „სიხარულის ღვინო“

გალაკტიონის პოეზია არის „ჰიმნი მეზღვაურთა და მოგზაურთა“ (ზღვის ეფემერა) (1, 322).

პოეტის იდეალია „შორს, ზურმუხტისფერ სივრცის იქით“ ანთებული სანთლები, მაგრამ ზღვის მშფოთვარებაში გემები გზას ვერ იგნებენ (სანთლები) (1, 83).

„სული მოგზაური“ იყო, „გული კი გზაა და მეზღვაური“ (ლეგენდარული შენი დიდება) (1, 233).

„მიაპობს მკერდით ზღვას მეზღვაური“ და „მუმლი მუხასა“, „ლილეო“, თერგის, მტკვრის ხმაური, მთებიდან ზღვის გრიალი, ტყის სიმღერა, გულის სიმღერა – საქართველოს სიმღერად ჩაესმის ბუნების ენის და ერის სულის მცოდნეს (მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა) (2, 147-148).

„მეზღვაურის“ საასპარეზოა ზღვა, „ტრანსპორტი“ – გემი: „მიყვარს გუგუნი ჩვენი გემების, გაფრიალება მძაფრი აფრების. შავი ზღვის პირად დგას მეზღვაური და დაფიქრებით თუთუნს აბოლებს... ტალღების მძლავრი და მძლე ხმაური შლის მოგონებებს და პარაბოლებს“ (ბათუმი).

„ზღვასავით უძირო მზერით“ მოხიბლული ბოდლერი მიმართავს მოგზაურებს: „გახსენით სკივრნი სავსე უხვი მოგონებებით, ეგ სამკაულნი აკინძულან ვარსკვლავეთერით, ლაჟვარდითა და ვარსკვლავებით სავსე ლუსკუმა, მოგონებების ზანდუკები და ზარდახშები“.

ბოდლერი საუბრობს „ასეთი მგზავრობის“ თანამდევ „მწარე ცოდნაზე“, „მოწყენილობის უდაბნოში“ „შიშის ოაზისზე“ (ნაოსნობა) (3, 216-222).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალგვარი ზღვა გხვდება: რეალური შავი ზღვა, ჩვენი ზღვა პირველთ-პირველი, სიმბოლური ფიქრთა ზღვა, ოცნების ზღვა, ზღვა – უდაბნოდ მოაზრებული სოფელი, ფიქრთა ოკეანე, გრძნობათა ზღვა, სწრაფვათა ნავი, ზღვა სიცხადის და ოცნებისა, განახლების ზღვა, ღელვათა ზღვა, ვედრების ზღვა, სხვა ზღვა, სიბრძნის ზღვა, ჩემი ზღვა (4, 80).

ძალზე ხშირად გალაკტიონი მეზღვაურის ნიღბით გვეცხადება, ზღვისპირა ბაღში „დაღლილ მეზღვაურს“ ბეთჰოვენის ცა ელანდება და კრეიცერის სონატის ჰანგები ჩაესმის: „შვენოდა ჰაერს ფოთლების ბნევა, ბაღში არ იყო ფერების ტევა, ტოტების ხმაურს ქარი დაკარგულ მოტივს სტაცებდა, ქარი ზღვის პირად აბარბაცებდა დაღლილ მეზღვაურს. ...აქ კრეიცერის სონატას შვენის ახმოვნება და ბეთჰოვენის ცა გაილანდა...“ (2, 399-400).

პოეტი შეუმცდარად ცნობს ჭეშმარიტ სულს, ზღვისა და მეზღვაურის სახეში გაცხადებულს, სულის „აზღვაოსნებაა“ მისი იდეალი და არა უაზრო ხმაური თუ აურზაური: „შორს იალქნები სჩანან ზეფირად, ზღვას და მეზღვაურს, მოგზაურთ ხმაურს – და აურზაურს ვიცნობ ზეპირად...“

ზღვის ტალღასთან „მოსაუბრე“ ცისარტყელას დალანდავს, რაც შინაგან გასხივოსნებას მოწმობს, ხოლო იალქანი სულია: „შავი ზღვის პირად შენ იდექ მწირად; გეტყოდა ტალღა, წავიდეთ ძირად. მაგრამ ჰა, შველა: შორს ცისარტყელა გაჩნდა და

ელავს შავი ზღვის პირად. შორს იალქნები ჰქრიან ზეფირად“ (შორს იალქნები სჩანან) (2, 402-403).

პიტალო კლდეს დამსგავსებული გალაკტიონის გული არ უშინდება ცხოვრების ზღვის მუქარას: „იბობოქრე, ცხოვრების ზღვავ, ჩემს ირგვლივ, იბობოქრე, მე რა უნდა დამაკლდეს? პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა, რას დააკლებს ზვირთი გამომრძმედილ კლდეს?“ (იბობოქრე).

პოეტის „ცხოვრების ზღვაზე“ აღზრდილი სული ამარცხებს სიკვდილის შიშს „მთაწმინდის მთვარეში“.

ლექსში „ისევ ახალგაზრდობას“ ცხოვრება მოიაზრება ზღვის სახით, ხოლო ადამიანი მენავედ, რომელსაც სულის სიმტკიცე მართებს: „ცხოვრების ზღვაზე მენავეს ტალღა სცემს ხმაონავარი, სულის სიმტკიცე აქ გმართებს, აი, რა არის მთავარი.“

ქარებს, გრიგალებს გადარჩენილი ხომალდის მოტანილია უმშვენიერესი ოცნება-პოეზია: „ხომალდს, ქაფიან ქარებში მავალს, მან მოიტანა ოცნება დღემდე. იგი გრიგალებს გადურჩა მრავალს, გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ“ (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ).

ერთ ლექსში გალაკტიონი მეზღვაურებს ღვინოს სთავაზობს: „დამშვიდდი, გული რისთვის გიკვდება? ჩვენ რითმებს ვთოვდით. მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ, მოგროვდით!“ (მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ) (4, 234).

გალაკტიონის ღვინო, ძველი ღვინო. ცისფერი ღვინო, ძველისძველი ღვინო, უკვდავი ღვინო სიმბოლური სახელია და მისი წყაროა ესაიას წინასწარმეტყველება, რომელშიც ქრისტეს მოვლინება ნადიმზე ძველი, დაწმენდილი ღვინის გამოჩენას დაემსგავსება: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25, 60) (5, 91).

„ზღვის ეფემერაში“ გემის ბაქანზე სიხარულს იწვევდა ღვინო, მაგრამ გემი აივსო წყლით, ანუ მოკვდა რწმენა.

„... დაურიგდეს ყველას ძველი ღვინო, სიხარულის ხმა მიეცეს ყველას“, წერს პოეტი „კოსმიურ ორკესტრში“ (4, 243-246).

„ძველი ღვინო“ აქაც საღმრთი სახელია, ისე, როგორც სიხარული (6, 40-46).

ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10) (7, 113).

მხოლოდ სამშობლოში ეგულება პოეტს სანეტარო სიხარული, წყალი, ნუგეში: „სხვაგან სადაა სიხარული და მწუხარება, რომელ სიმღერით განათდება ზღვათ მქუხარება? სხვა რომელ წყალით იბანება ნატყვიარები, გმადლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარები“ (სხვაგან სადაა) (8, 352).

სიხარული და წყალი საღვთო სახელებია. ასევე ნუგეშიც. ღმერთი არის „ნუგეშისმცემელი ცხოვრებისა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 31, 13) (5, 112).

მსოფლიოს, კოსმოსის, უხილავის, მიღმურის მხილველი პოეტის სული ისევ სამშობლოს უბრუნდებოდა: „ჩემს სამშობლოშიც აღტაცებას ვგრძნობ მეზღვაური, გულში სიმშვიდის სიხარულით შემორკინული“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები) (4, 201).

„მგზავრებით“ სავსე გემის გზა საბრძოლო გზა იყო, იმედებით, შეხვედრების სიხარულით სავსე: „დაიძრა გემი ნავსადგურით, მგზავრებით სავსე, ხომალდი სავსე მეზღვაურით, ჩვენი მხედრებით. მას სხვა ხომალდი უერთდება საბრძოლო გზაზე,

საბრძოლო გზაზე იმედებით და შეხვედრებით“ (მზის ამოსვლა) (8, 329).

პოეტ მეზღვაურს ზღვის, არაგვის, თერგისა თუ მტკვრის ხმაში სამშობლოს ხმა ჩაესმოდა: „მიაპობს მკერდით ზღვას მეზღვაური, გესმის არაგვის ხმა საცნაური? გესმის თერგის და მტკვარის ხმაური? – ეს სიმღერაა საქართველოსი“ (მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა) (4, 332-334).

აფხაზეთს, ცხუმსაც ეწვეოდა მრავალნაცადი მოგზაური და ბედს მადლობას აღუვლენდა: „მრავალ მხარეთ მოგზაური, მისავალზე ძველი ცხუმის, მიდის ერთი მეზღვაური, მღერის და ბედს არ ემდურის“ (აფხაზეთო, აფხაზეთო) (8, 387).

მეზღვაურთა და მოგზაურთა ჰიმნის შემქმნელი პოეტი სიკვდილსაც უშიშრად ხვდებოდა: „მეზღვაურებო! უშიშრად უნდა შევებათ სიკვდილს. ვიმღეროთ ჰიმნი მეზღვაურთა და მოგზაურთა“ (ზღვის ეფემერა) (1, 326-329).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1992
2. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1993
3. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკრიანის, თბ., 1992
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
6. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ., 2009
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1990
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982

გენიის ზღვის ახმაურება

გალაკტიონის პოეზიაში გენია ზღვისა და ოკეანის იდენტურია, აქ „დაფნით...“ გადახლართულია „ფიქრთა ოკეანე“ (გურიის მთები).

ლექსში „ზღვა ახმაურდა“ ზღვასთან დაკავშირებული ყველა დეტალია, ზღვის ხმაური, გრიგალი, ანძები და, ერთი შეხედვით, გვგონია, რომ ეს ზღვაზე დაწერილი ლექსია. ზღვის ღელვა პოეტის არსებასაც არყევს, აფორიაქებს და მის შინაგან არსებას ეხმაურება. მაგრამ მერე ირკვევა, რომ ეს პოეტის შინაგანი ცხოვრების „წინაური“ დღეების ზღვისებური აბობოქრებაა, მის სულში დაუტევნელი ფიქრთა ზვირთების, ემოციების ზღვების გაღვიძებაა: „ზღვა ხმაურობდა ყრუ ხმაურობით, ანძა გრიგალის მეთაურობით მოგზაურობდა. ძარღვებს თანდათან ეს უცნაური წეწდა, არღვევდა აურზაური, ზღვა ხმაურობდა. ძარღვებში სისხლის წვეთი ყოველი, იმ სიმფონიის ვერდამტეველი, გრიგალს სწყურობდა. დენის ყოველი მცირე ატომით, ძალგამეტებით, ძალგადაკვდომით ზღვა ხმაურობდა. და მე ვიგრძენი უეცრად, მკაცრად, რომ არა ფერფლად და არა ნაცრად დღეთ წინაურთა, არა ჩემს გარეთ, არა რამე სხვა – არამედ ჩემში ახმაურდა ზღვა, ზღვა ახმაურდა“.

პოეტის გენიისა და ზღვის იდენტურობას აზუსტებს თვით გალაკტიონი: „რას

ნიშნავს ზღვა ახმაურდა? ეს ნიშნავს, რომ შეუნიშნავს თვალს, რას სხვა ვერ მისწვდენია. ეს ნიშნავს, რაც განუცდია გულს – იგი გადმოდენია. რასაც მიმხვდარა გონება და რაც ღმერთს გაუჩენია. ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“.

გენიის ზღვის ხეტიალია „ლურჯა ცხენებში“, რომელიც პოეტური სულის ოდისეაა და ქვეცნობიერის ლაბირინთებში ტრიალი.

„ჟამიეთის შარაგზაზე“ ანუ მარადიულობისკენ სვლა დაუმცხრალი ზღვის გზებით ხდება (არ ცხრებოდა ზღვა იოტით).

ზღვა პოეტისთვის სიმშვიდის, სახიფათო და სანაპრალო გზების გავლაა, ავდრების გამოდარებაა, ურთულესი ძიება და მშვენიერების მიგნებაა, უმთავრესი საშიშროების – სიმშვიდის აცილებაა: „დასაბამიდან, რაც სილამაზის გენიამ ნისლის ახადა ბადე, ზღვაო, ურთულეს ცხოვრების გზაზეც საშიშროება იყო სიმშვიდე. ვინაც ცხოვრება ზღვას შეადარა, მან განირიდა სიტყვა „საბრალო“, ავდართან ბრძოლა გამოადარა, გზა სახიფათო და სანაპრალო“.

გალაკტიონს აქვს ერთი საოცარი ლექსი „თეთრი ოცნება“, რომელშიც პოეტის ოცნების ყოვლისშემძლეობა „ზღვას“ იმორჩილებს: „თეთრი ოცნება მთვლემარე ზღვას გადასწოლია. ფრთებს ზვირთებსა სცემს და მწარე ხმით ჰკივის თოლია. ზღვა კვლავ აღელდა და მის ხმაში ჩაკლული ჟინი ისმის, ვით ომში გამარჯვებულ გმირთა ყიჟინი, უეცრად მწარე დამარცხება რომ მოჰყოლია“.

ასევე სიმბოლურია „მთვარის მოტაცების“ „ლირიულ ინტერმეცოში“ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ განცდილი ზღვის ღელვა, ტალღებად წამოსული სახეები და „ელვის ლეკური“, რაც შთაგონების ურთულეს პროცესს, ფიქრთა ჭიდილს და ელვისებურ გასხივოსნებას განგვაცდევინებს.

შთაგონების „დიად ნისლში“ მწოლარე ზღვაზე ამახვილებს ყურადღებას გრიგოლ რობაქიძე წერილში „ერის სული და შემოქმედება“.

გენიის ზღვისებური აბობოქრება განაპირობებდა გალაკტიონისა და ბეთჰოვენის შემოქმედების მსგავსებას: „სად ზღვის ჭავლებია, ყვავილთა მთოველი, კვლავ ვხვდებით ერთმანეთს მე და ბეთჰოვენი“.

„ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“ (აჭარის სილაჟვარდე) – აცხადებს პოეტების მეფე სხვაგანაც.

ბოდლერის თქმით, ადამიანს ზღვა იმიტომ იზიდავს, რომ იგი სარკეა, რომელშიც თავის არსებას ჭვრეტს, ადამიანის სული ზღვისებრ „ამლაშებულ მორევს“ მიაგავს. ზღვასავით განუზომელია ადამიანის სული, ორთავე განძის და საიდუმლოს მფლობელია: „ორივ წყვდიადით ხართ მოცული, ორივ კრძალული, ადამიანო, შენს ფსკერამდე ვინ ზომავს მანძილს! ზღვაო, ვინ იცის, მფლობელი ხარ რამდენი განძის! გაქვთ საიდუმლო თქვენ ორთავეს ღრმად ჩამალული“ (ბოდლერი, ადამიანი და ზღვა, ბოროტების ყვავილები, ფრანგულიდან თარგმანი დავით აკრიანის, თბ., 1992, გვ. 31).

ოცნების ნავი, ოქროს ნავი, ფიქრთა ნავი, ლაჟვარდის გემი

გალაკტიონის პოეზიაში სიახლის მრავალგვარი ნიუანსი გამოარჩევს „ოცნების ნავს“, რომელიც უმეტესად პოეზიას უკავშირდება.

კ. გილბერტი და გ. კუნი აღნიშნავდნენ, რომ შუა საუკუნეებში წარმოსახვას ადარებდნენ პატარა ნავთან, რომელიც „ზეცისა და მიწიერ სფეროთა შორის დაცურავს“ (1, 144).

ცნობილია ისიც, რომ „უძველესი დროიდან... სული წარმოედგინათ მიწიდან ცისკენ ხან ცხენით, ხან მზე-ღმერთის ნავით, ხან კი კიბის საშუალებით მიმავალ არსებად“ (2, 335).

გალაკტიონის „ოცნების ნავი“ პოეტური წარმოსახვაა, რომელიც მშვენიერია იავარდით, რწმენით“: „კვლავ გამოცოცხლდა ია-ვარდი ოცნების ნავზე, ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით და აღტაცებით შეიმოსა ბუნება სავსე, ბუნება სავსე იმედებით და შეხვედრებით“ (მზის ამოსვლა ზღვაზე).

ია – მარიამ ღვთისმშობლის სახელია (3, 124).

ვარდი ქრისტეს სიმბოლოა (4, 121).

სიხარული საღვთო სიმბოლოა, ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ხალხისა“ (ლუკა, 2, 10) (5, 113).

ზოგჯერ ნისლი ფარავს პოეტის წილხვედრ ცას, ნისლიანია ოცნების ნავიც და ნისლის საუფლოში დაეძებს გალაკტიონი საკუთარ პოეტურ ვარსკვლავს: „ცას სქელი ნისლი გადაეფარა, ნისლმა წაიღო ოცნების ნავი, სურს, რომ გაიგოს, ისევე სცოცხლობს, თუ ჩაქრა, მინელდა ჩემი ვარსკვლავი“ (ბრწყინავს ვარსკვლავი).

პოეზიის ნავები „ლურჯები და შავებია“, შუქიანი, გალაკტიონი კი ფანტომი, პოეზიის ფანტასტიკური, დაუჯერებელი, უჩვეულო მოვლენა: „ლურჯები და შავები მოდიოდნენ ნავები, ავტოები, გემები, შუქით ნაქანავები. მე მქონდა სამდურავი, ნუ გამკიცხავს ნურავინ, რომ ტალღებში მცურავი ფანტომივით ჩავები“ (მე არ ვიცი იმდარი).

ამ პოეტურ ხილვებს „შუქი“ ახლავს, შუქი კი ძე ღმერთის სახელია (4, 121).

გალაკტიონის „ფეერიული ნავი“ პოეზიის ზვავებს ძრავს: „ფეერიულ ნავს სცილდება კორდი... ტალღები თვლემენ, ვით შორი ბედი და ნაპირებთან მისული ნავი. ზვირთებთან ერთად ოხრავს მილედი და პოეზიის დაიძრა ზვავი“.

წარმოსახვის „ზღაპრული... იდუმალი, ფარული ნავი“ პოეტს წარსულში მიაქანებს და ახალი ხილვებით ივსება (ქალაქი წყალქვეშ) (6, 327).

ლამაზი ნავის მოგზაურები მოგონებებია, მოგონების სიხარული პერსონიფიცირებულია თეთრ რტოში და ყოველივე აღმოსავლეთის ცისკრისკენ მიისწრაფის: „ო, მოგონებავ, როგორ გიცდიდა ის სიხარული თეთრი რტოებით, რაგვარ სიცხადით შენ განგიცდია ყრმობა გემების მოახლოებით. მოგონებები, ისინი, როგორც მოგზაურები ლამაზი ნავის, მიმოსცურავენ აღმოსავლეთით, როცა ასეთი ცისკარი ჰყვავის“ (გადამწვანებულ მწვერვალებიდან).

სიხარული, რტო საღვთო სახელებია (4, 121) ანუ პოეტისთვის ყოველთვის რელიგიური სახეებია წინამძღვარი.

პოეტი მეზღვაურია, გემი – პოეტური წარმოსახვის, მოგონებების, პარაბოლების სადგური: „მიყვარს გუგუნი ჩვენი გემების, გაფრიალება მძაფრი აფრების. შავი ზღვის პირად დგას მეზღვაური და დაფიქრებით თუთუნს აბოლებს... ტალღების მძლავრი და მხნე ხმაური შლის მოგონებებს და პარაბოლებს“ (ბათუმი).

ზეცაში მიმსწრაფი „სიმთ ოქროს ნავია“ ლექსში „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“: „რაღაც უცხო სიმსუბუქით მივყავარ სიმთ ოქროს ნავებს, ნაყოფიერ მინდორთ ნუგეშს, მზეთა ნუგეშს, ოქროს ხვავებს“.

სიმაღლეებს „ოქროს ნავებით“ ასდევნებია ფიქრი: „მოფენილი ქალებით, სავსე იდუმალებით, ქარვად მონაზმანები, სივრცით დანათავები, იშლებიან ყანები, როგორც ვეფხვის ტყავები, სამხრეთივით ვნებიან მხარეს ეშურებიან ჭაობების იხვები. სიმაღლეებს მიჰყვება ფიქრი ოქროს ნავებით“ (იშლებიან ყანები).

ფიქრებთან სხვაგანაც ნავი ფიგურირებს: „ამ შემოდგომის გზათა სიავით ხევში მიმოჰქრის ნელი ნიავი, – ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით“.

ნავს ანალოგიურ კონტექსტში ფიქრების ფრეგატი ენაცვლება: „ღრუბელი იდგა, როგორც ფრეგატი. ზღვა იყო წყნარი. ცა იყო ლურჯი. მიმაქანებდა ოცნება ურჩი ფიქრებთან, სადაც დადგა ფრეგატი“ (ზღვა იყო წყნარი).

„ფიქრების ფრეგატთან“ ცისარტყელას გაელვება ნიშანდობლივია: „ფიქრებთან, სადაც დადგა ფრეგატი, შორს ცისარტყელას გამოჩნდა ბურჯი და იმედების დაანდო ხატი“ (წყნარი ზღვა).

ცისარტყელა, იმედი საღვთო სახელებია (4, 121).

„გასაოცარი და იდუმალი კრეისერები“ მოულოდნელ პოეტურ მოგონებებს დააატარებენ: „კვლავ მოგონება წამზე უმალი, გაფითრებული ფერით მფერები, გასაოცარი და იდუმალი ვიდოდნენ მძიმე კრეისერები“ (918) (6, 195).

„ქაფიან ქარებში“ მავალი ხომალდის მისიაა ამაღლებული ოცნების გადარჩენა: „ხომალდს, ქაფიან ქარებში მავალს: მან მოიტანა ოცნება დღემდე. იგი გრიგალებს გადურჩა მრავალს: გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ“ (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ) (6, 372). ამ ომში პოეტს მუდმივად სდევს „ბედისწერათა მწარე ფანტომი“ (უცხო მხარეში).

ოცნების ნავისა და ფიქრთა ნავის ახლებური ვარიაციაა „ცეცხლის ნავები“, რომელიც პოეზიის კონტექსტში მოიაზრება.

ლექსში „გრიგალი“ შემოქმედის ძლევამოსილი სულის ქროლვაა ოცნებათა ზღვაში, ცეცხლიანი სულით, ცეცხლის ნავით: „უცებ: ზღვის ღელვა ქაფარეული მიმზერს მზისაგან, იგი მეძახის სიზმარეული სიცოცხლისაკენ. თავისუფალი, ლაღი, ძლიერი ბედისთვის ომი! ცეცხლის ნავები და კადნიერი ოცნების ნდომა. ასე ხმაურობს პოეზია და ეპოქები. აქ ჯოჯოხეთზე უტკბოესია აბობოქრება. აგერ ხომალდი, ჰორიზონტის ფრთით დალურჯული, იქ ქარიშხალთან უნდა ჰქონდეს გრიგალს ჩურჩული“.

ზემოხსენებული სახეების ვარიაციაა „ოქროს ნავი“, „ლაჟვარდის გემი“. „ოქროს ნავში“ ეზმანება პოეტს თავისი დიდი წინაპრები – შოთა რუსთაველი, ედგარ პო, ნოვალისი.

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ გვხვდება ცის ლაჟვარდში მავალი გემი, რომელსაც მგზავრი მიჰყავს „იმ ადგილთ კარად“, „კიბესთან“. ერის დაკარგული წიგნის პოვნის

შემდეგ, დაღლილ ტარიელს ჩაეძინება და ეზმანება ლამაზი გემი, რომელიც ცის ლაჟვარდში დაატარებს, ცის კიბედ ექცევა: „გემი ატარებს ცათ ლაჟვარდთ შორის, მთათ უსადარესთ – კვარცხლი მთა-გორის, – იმ ადგილთ კარად, კიბესთან მარად მიმყვანი არა ერთის და ორის“.

კარი ქრისტეს სიმბოლოა: „მე ვარ კარი ცხოვართა“ (იოანე, 10, 7) (5, 201). „დაუჯდომლის“ მიხედვით, ზეცის კიბე მარიამ ღვთისმშობლის სახეა (7, 9).

„ოქროს ნავის“ საჭედ აღიქვამს პოეტი აჭარის ლაჟვარდსაც: „ოქროს ნავს მიესაჭა რა, ლაჟვარდი ნამის მწოვარე, შენს მთებზე, ჩემო აჭარავ, ცაა და მისი მთოვარე. მივდივარ ზღვის პირს, თვალი რბის და აღტაცებას ვერ ვფარავ, აჭარავ, ცხადი ოცნების თვალმარგალიტო აჭარავ“ (ოქროს ნავით).

პოემა „მშვიდობის წიგნის“ წიგნი და გემი იდენტური შინაარსისაა და ღმერთის სიმბოლოა (იხ. დაწვრილებით – „წიგნის პარადიგმები“) (8, 84-94).

გალაკტიონის პოეზიის გემი „ფეერიულია“, ეფემერიდის, ჯადოსნურის, განუმეორებელი ნიშნების მქონე: „ნათელი სევდით ლექსებს ვუსმენდით, სად მონუმენტი იდგა მთაწმინდის, მიმყავდა გემი და ნუგეშმფენი ხმა ჰქუხდა ჩემი ეფემერიდის“ (მისდევს რგოლს რგოლი).

ლექსში „იელვებს, კიდევ იელვებს“ ამ წამოსახვის „ანათემაა“, როცა აღელვებულ ზღვაზე ხან იძირება, ხან იელვებს ნავი.

ზოგჯერ ეს ფიქრთა გემები ნისლში ექცევიან და მათი ხვედრი დამაფიქრებელია: „ნისლი იზრდება და შორიდან გემთ იალქნები თითქო ეხლავე ფიქრს უნდებიან: დაბრუნდებიან ისევ, თუ ვერ დაბრუნდებიან, სადა შორი გზა მისაგნები?“ (იალქნები).

პოეტური წარმოსახვის ნავი და გემი მთვარესთან არის გააზრებული (მთვარე ხომ უძველესი ღმერთია დამწერლობის, პოეზიის): „ტყე, მთვარეზე ნავის დღე ჟინია... დათვს თავისი თავის ეშინია. ყველა საგანს ადგილი აქვს, თვით ამ ნიავთგანს, ბილიკს“ (ტყე).

რწმენის გემი ხან ლაჟვარდში ატარებს პოეტს, ხანაც სიცივისა და თოვლის სამეფოში: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა“ (გული გრძნობს).

გემი რწმენის სიმბოლოა, „მწუხარე თოვლი“ კი თოვლიან-ყინულიან იმპერიაზე მიგვანიშნებს, ანუ უნდა იგულისმებოდეს ერთმორწმუნეობის მოტივით ჩვენი ქვეყნის შეერთება ყინულოვან იმპერიასთან, რომელმაც მწუხარების მეტი არაფერი მოგვიტანა.

გალაკტიონისთვის ცხოვრება ზღვაა, სადაც „გრიგალია მეფე, ყოვლისმპყრობელი“, მიზანი – „სიცოცხლის ნავით“ პოეზიის პარნასთან მიღწევა: „ერთადერთ სიბრძნედ მიმაჩნია, რომ ამ გრიგალთან ისე მოაწყო იალქანი დაუცხრომელი, რომ ამ გრიგალმა წაიყვანოს სიცოცლის ნავი იქ, სადაც მთელი მსოფლიოის ბრწყინავს ვარსკვლავი“ (იყო დრო).

ვფიქრობთ, გალაკტიონის პოეზიის „ოქროს ნავი“, „ლაჟვარდის გემი“ შესატყვისს პოულობს მითოლოგიურ წარმოდგენებში და „ღვთაებრივი გემების“ გამოძახილია.

ღვთაებრივი გემი უკავშირდება მზის ღმერთისა და ოზირისის სახელებს.

„ღვთაებრივი გემების“ შემწეობით, ეგვიპტელთა წარმოდგენით, მზის ღმერთი რა ციურ წყალს (დღის გემი) და ცის მოპირდაპირეს (ღამისა) გადაცურავდა. ჰელიოსი ციურ გზას ეტლით გაივლიდა, ოკეანეს – ოქროს ნავით... ასეთი ნავი, რაც შემ-

დეგ ოზირისსაც მიეცა, ნაპოვნია V დინასტიის მეფეთა სამარხებში. მოგვიანებით ეძლეოდათ დიდმოხელეთაც, რათა სახალხო დღესასწაულებზე წასვლა შესძლებოდათ განსვენებულთა სულებს.

მზის გემი ფარაონსაც უკავშირდება.

„მზის გემის იდეას საფუძველი მითში აქვს. რაკი მითი ამტკიცებს, რომ რა ციურ საბრძანებელში გემით მოგზაურობს, ფარაონსაც გაუმზადეს ერთი ასეთი უნიკალური გემი, გამომწვარი თიხისაგან და ქვისაგან გამოთლილი (მოდელი) ნაპოვნია მზის დიდი ტაძრის კომპლექსის ზღუდის გარეთ“ (ხეოპსისა ძვ.წ. 2575-2550) (9, 315).

„ღმერთების ნავი, ქვესკნელის ნილოსში ღმერთების საცურავი დიდი ნავი ეგვიპტის მითოლოგიაში (ოსირისის ნეშმეტის ნავი) ძალზე მნიშვნელოვანი საკულტო და სამისნო საგანი იყო. ძვ.წ. I ათასწლეულში საზეიმო პროცესიაზე გამოჰქონდათ ასეთი ნამდვილი გემი“ (იქვე,.. 523).

ეგვიპტელთა უზენაესი ღვთაება რა ციურ ნილოსში მიაცურებდა მზიურ ნავს.

ამ წარმოდგენას გამოხატულება უპოვია ეგვიპტურ ლირიკაშიც. ქალღმერთი რა მზის ხომალდით მოგზაურობს ცაზე: „ოქროს ქალღმერთი მზის ხომალდით გამოდის ცაზე – რას უყვარს იგი. ვეება არის და ძალუმი ხომალდი დღისა – რას უყვარს იგი“ (დილის მზისადმი) (10, 122).

მანიქეველთა მიერ მზე და მთვარე ზეციურ ხომალდებად იყო მიჩნეული (11, 462).

შუმერულ მითოლოგიაში ხომალდი (შუმ. „მაგურ“) იყო მთვარის ღმერთის, სინას ტრანსპორტი ცის კაბადონზე სამოგზაუროდ (12, 36).

მზის ღვთაება ჰელიოსი „ოქროს ნავთან“ ერთად „ოქროს ეტლით“ დაბრძანდებოდა.

ჰელიოსს (მისი შვილებია კოლხეთის მეფე აიეტი, ჯადოქარი კირკე და მინოსის ცოლი პასიფაე) ჰიპერიონი, „მაღლა მცხოვრები“ ეწოდებოდა. იგი მზიური, მოციმციმე ოქროს ეტლით, რომელშიც ოთხი ცეცხლისმფრქვეველი რაში ება, ციურ ბილიკს აიქროლებდა, გაანათებდა ქვეყანას, ჩაეშვებოდა ოკეანეში, ღამით კი ოქროს ეტლიანად ჯდებოდა ოქროს ნავში, გადასცურავდა ჩრდილოეთის ზღვას და ისევ აღმოსავლეთში ბრუნდებოდა თავის ოქროს სასახლეში (9, 588).

როგორც ვნახეთ, ოქროს ნავს, ოქროს გემს, მზის ნავს, რომლებიც მითოლოგიაში რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება, გ. ტაბიძე ახლებურ გაგებას ანიჭებს და ხან პოეზიას უკავშირებს, ხანაც ქრისტიანულ მსოფლგანცდას. პოეტისეულ სიმბოლოს ასაზრდოებს აგრეთვე შუა საუკუნეების წარმოდგენა წარმოსახვის გაიგივებისა ცისა და მიწას შუა მცურავ ნავთან (კ. გილბერტი, გ. კუნი).

გალაკტიონისეული სახეები სხვა მხრივაც ლოგიკურია. პოეზიის „ახალ ღმერთს“, პოეტების მეფეს სწორედ მეფეთა შესაფერი „ოქროს ნავი“ და „ოქროს გემი“ სჭირდებოდა.

ამიტომ ბუნებრივია, ფიქრებთან ნავის გამოჩენა: „ამ შემოდგომის გზათა სიავით ხევში მიმოჰქრის ნელი ნიავი – ნიავი ფიქრთა ათასი ნავით“.

ნავს ანალოგიურ კონტექსტში ფიქრების ფრეგატი ენაცვლება: „ღრუბელი იდგა, როგორც ფრეგატი. ზღვა იყო წყნარი, ცა იყო ლურჯი. მიმაქანებდა ოცნება ურჩი ფიქრებთან, სადაც დადგა ფრეგატი“ (ზღვა იყო წყნარი).

ფიქრების ფრეგატთან ცისარტყელას გაელვება მუზის მოვლინებას გვამცნობს: „ფიქრებთან, სადაც დადგა ფრეგატი, შორს ცისარტყელის გამოჩნდა ბურჯი და იმედების დაანდო ხატი“ (წყნარი ზღვა).

აბობოქრებულ ოკეანეში სვლის მიზანი იყო ოქროს საბადოს – კლონდაიკის პოვნა, გალაკტიონის პოეზია ხომ „საკუთარი შტამპით“ მოჭრილი ოქრო იყო: „არ შეიძლება, ახლა გაიგე, არც დაბრუნება, არც კვდომა შავი, უნდა იპოვო ის კლონდაიკი, იმ ნაპირს უნდა მიადგეს ნავი. ო, ჩემო ჩანგო, ერთ დროს იყავი მშვიდობიანი წესრიგის მტერი, არ შეიყვარო ის მყუდრო ნავი, იმ ყვავილებზე როგორა მღერი?“ (ო, ჩემო ჰანგო) (13, 14).

„მშვიდობის წიგნში“ გვხვდება „ლაჟვარდის გემი“, რაც რწმენის სიმბოლოა. პოემაში მოქმედება ხდება კოლხეთში.

„გადაფრენაში“ (14, 611) მშობლიურ შემოგარენთან, ფაზისის კიდესთან არის დაკავშირებული „საჰაერო გემი“: „სადაც არ უნდა ვლიდეს ეს საჰაერო გემი, მაინც ფაზისის კიდეს უვლის ოცნება ჩემი“.

პოეტები, ეს „ახალი დროის არგონავტები“ (15, 167) კოლხიდისკენ უშიშრად მიეშურებიან „ოქროსთვის“, ოქროს საწმისისთვის, იგივე გრაალისთვის, ფილოსოფიური ქვისთვის, რომელიც არის სიმბოლო სულიწმინდისა, ღვთისმშობლისა: „გრაალის მისია ეს არის სულიწმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (16, 38).

გრაალი, ეზოტერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ცხოვრების ზღვაზე, ქარიშხლიან და ბობოქარ ღამეს პოეტს ევლინება „რაღაც სპეტაკი, უცხო შვენება“, „დამხსნელი ჯვარი“, ანუ ქრისტიანული ღმერთი (მეზღვაურს).

მასშტაბური იყო გალაკტიონის ძიების კოორდინატები. მისი პოეზიის უშიშარი ხომალდი ქვეყნის დასავლისკენ ოკეანეების გადასალახავად ისწრაფოდა, „გამბედაობით და გაბედვებით“ სავსე მისი „კაპიტნის“ თავგადასავლის გასამდიდრებლად: „თავგანწირული ოკეანე საზარლად გოდებს, ქუხს, იმუქრება მეხის ხარხარი. მაგრამ ჩემს ხომალდს არ აშინებს ბრძოლათა ხედვა, იგი მოივლის ქვეყნის დასავალს! ამდიდრებს მისი გამბედაობა და გაბედვები მხოლოდ პოეტის თავგადასავალს“ (მღელვარება).

ჭეშმარიტებაა პოეტის განაცხადი: „ამ საუკუნის სადიდებლად კვლავ მოიმართა ზღვის ჩანგი მკვეთრი. ეს არის ჩვენი სამშობლოის სხივოსან ბწკართა ახალი გვერდი“ (დრო მიგვითითებს) (13, 114).

ლიტერატურა

1. К. Гильберт, Г. Кун, История эстетики, М. 1982
2. ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება, თბ., 1956
3. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
4. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, 1955
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977

7. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009
8. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ., 2009
9. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983
10. ძველეგვიპტური ლირიკა, თარგმანი მურმან ლებანიძის, თბ., 1969
11. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ., 1996
12. ზურაბ კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, თბ., 1984
13. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1993
14. გალაკტიონ ტაბიძე, ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1988
15. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1992
16. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990

ფანტასტიკური მენავე

ღრმა აზრის მატარებელია „მენავე“, როგორც ღვთისმეტყველებაში, ისე პოეზიაში.

ჰიმნოგრაფებთან გვხვდება ნავისა და ნავთსაყუდლის სიმბოლოები, ისინი ეძებენ „კაცთმოყვარეობის“ „მყუდრო ნავთსაყუდელს“.

ეზრა ასე ევედრება ღმერთს: „უფალო, აღმიყვანე ნავთსაყუდელსა კაცთმოყვარებისა შენისასა“ (1, 53).

სასულიერო პოეზიაში მარიამი არის „მყუდრო ნავთსყუდელი სულთა ცხოვრებისა“ (2, 763).

აგიოგრაფიაში გიორგი მცირეს ეწოდება „მენავეთმოძღვარი“ რომელიც „დაცემულთა აღჰმართებდა... დანთქმულთა ღელვასა შინა ვნებათასა აღმოიყვანებდა. ხოლო დანთქმულთა დანთქმად არა უტევებდა, არამედ ვითარცა ხელოვანი მენავეთმოძღვარი, ზღვისგან ამა სოფლისა დაუნთქმელად განარინებდა“ (3, 163).

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისე არეოპაგელი დასახულია „საჭურვლად ნავთ-საყუდელად და ზღუდედ სიმტკიცედ“ (4, 187).

ძველ ქართულ მწერლობაში ნავი დაკავშირებულია აგრეთვე სასულიერო მოძღვრებასთან, ღვთისმსახურებასთან: „ნავი იგი მოძღურებათა თქუენთაი შეჰმზადეთ ჭეშმარიტთა სიამოვნებითა და აფრაი ღმრთისმსახურებისაი აღჰმართეთ უქცეველად, ბასილი და გრიგოლი“(იოანე მტბევარი).

დავით გურამიშვილი, რომელიც „ქრისტიანული სიმბოლიზაციის გზას ადგას... იყენებს ზღვაში შესული აფრაგაშლილი ხომალდის ძველთაძველ სიმბოლოს, რომელიც ქრისტიანობაშიც გავრცელდა, როგორც ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების სახისმეტყველებითი გამოხატულება (ასე განმარტავს ამ სიმბოლოს კლიმენტი ალექსანდრიელი). პოეტი ბედისგან განწირულ, გაოგნებულ ვახტანგ მეექვსეს ათქმევინებს: „ქარი ქრის და აფრაგაშლით ვარ ხომალდით ზღვას შერთული“ (ივანე ამირხანაშვილი, „ვარ ხომალდით ზღვას შერთული“) (5, 129).

შარლ ბოდლერისათვის პოეტი არის „ურჩი მენავე“, „საოცარი მენავე“: „თქვით,

საოცარნო მენავენო, ეგ რა უფსკრულმა ამოიხედა თქვენს თვალებში? თქვით და გახსენით ლაჟვარდითა და ვარსკვლავებით სავსე ლუსკუმა, მოგონებების ზანდუკები და ზარდახშები. რად გინდათ ორთქლი, გაგვაქროლეთ უიალქნებოდ“ (ნაოსნობა) (6, 84).

„დანტეს ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება „ციური მენავე“ – ღმერთი (7, 141).

დანტეს სულის ხომალდი უდიდეს ზღვაში ასპარეზობს და მისი წინამძღვარია მამაცი მენავე: „...ზღვა, რომელსაც აწ ხომალდი მიაპობს ჩემი, არც მცირე ნავის ასპარეზი ეგონოს ვინმეს, არცთუ ძაბუნი მენავისგან გადასალახი“ (7, 369).

ვაჟა-ფშაველა წუხდა „დანჯღრეულ გემზე“ (ქებათა ქება), გულის ნავთსადგური კი „განგების მხარეს“ ეგულებოდა: „გულმა... დღეს ნავთსადგური იპოვნა იმ ვრცელს განგების მხარესა“ (კიდევ ხმა მესმის ციდამა).

გალაკტიონისთვის, როგორც „უსახლო სულის“ პოეტისთვის, არ არსებობს სხვათათვის სანეტარო სიმშვიდის ნავთსაყუდელი: „სულს არ სჩვევია ნავთსაყუდარო“.

პოეტი გრძნობათა ზღვაში სიცოცხლის ნავით მცურავია: „ვითარცა გედი ზღვისა სივრცეში მიმომცურავი იკვეთავს გზასა, ისე მეც ვტოპავ გრძნობათა ზღვაში და მივაცურებ სიცოცხლის ნავსა“.

ნავი იდეალია, რომელსაც ცხოვრებისეული წინააღმდეგობა ზღვის ტალღების სახით ემუქრება: „თუმცა კი ვიცი, არ შემიბრალებს ზღვა შფოთიანი და ბობოქარი, გადამიბრუნებს ნავს ჩემს ერთგულსა ტალღა მჩქეფარე, დაუდეგარი“ (ვითარცა გედი).

ტალღებს მინდობილი ნავი კი მიზნის განწირულობას მიანიშნებს: „დამშვიდდი, ტალღებს მიანდე ნავი, რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა“ (ალაზანთან).

ტრაგიკულ განწყობას ქმნის სტრიქონები: „ფეხქვეშ მიგდია დამსხვრეული სწრაფვათა ნავი“ (ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი).

„დაღლილი ნავის“ ადგილსამყოფელის ძიებაა ლექსში „ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი“.

სიკვდილი „სიცოცხლის ნავის“ გატყდომასთან არის შედარებული ლექსში „გარდაცვალება...“

ნავების მოვლინება სიხარულით ავსებს პოეტს: „მოადგა ნაპირს ათასი ნავი, ო, სიხარულო, იყავ, იდიდე!“ (მოადგა ნაპირს ათასი ნავი).

რაკი ცხოვრება ზღვას ჰგავს, სწორედ მას ევედრება, რომ შეცდომების გამო არ გაიმეტოს ახალგაზრდობა, მისი იდეალი (ნავი): „ნავი არ უნდა გასწირო შენი, ზღვათა მიდამოვ, ახალგაზრდობის გამო ჩადენილ ცოდვათა გამო“ (ნავი არ უნდა გასწირო).

ეს ლექსი 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის გამოძახილია, „შენიღბული ფორმით, კოდირებული სახეებით ეროვნულ სატკივარზე მინიშნებაა“, ამტკიცებს აკაკი ხინთიბიძე („ეს არ არის საქართველო“) (8, 14-15).

„ოქროს ნავით“ ასეთი ფერწერული სურათი იხატება ლექსში „თენდება“: „დილამ სხივი მიჩალა, დადგა ოქროს ნავები. ველად გამოიშალა თოვლის თეთრი კარვები“.

გალაკტიონი იყო „ფანტასტიკური მენავე“, ცხოვრების ზღვის ტალღებთან მტკიცედ შეჭიდებული: „ცხოვრების ზღვაზე მენავეს ტალღა სცემს ხმაონავარი. სულის სიმტკიცე აქ გმართებს, – აი, რა არის მთავარი“ (ისევ ახალგაზრდობას) (9, 319).

მშფოთვარე ზღვასთან დამეგობრებული პოეტი-მენავე მოვლენათა მიზეზებს

ეძებდა, გულწრფელობით, გამბედაობით, მებრძოლი სულით ხიბლავდა მსმენელს: „ჩემო მენავე, შენი ფიქრი და შენი ზრუნვა გაუზიარე შენს მეგობარს – მშფოთვარე ზღვასა. ნუ შეგაშინებს მის ტალღათა მრისხანე ბრუნვა, გულს ჩაუკვირდი და მიზეზებს სხვასა და სხვასა. ნუ გამაგონებ ნურასოდეს ჰანგებს მწუხარეს, ნუ ითვალთმაქცებ ცხოვრების წინ, ნუ დაეცემი... შენი სიმღერა სხვანაირად გულებს გაათბობს, როგორც სიმღერა განწირულის და მებრძოლისა. თქვენაც ტალღებო! ეს ოცნება თქვენი ნერგია...“ (ჩემო მენავე) (10, 98-99).

პოეტი ასევე არის მეიალქანე (იალქანი სულის სიმბოლოა), რომელიც მთებში, ლაჟვარდებში ეძებს ნავთსაყუდელს: „შორს მოჩანს მთები ამწვანებული და სილაჟვარდის სიმაღლე მწვანე, მაგრამ ახლოა ნავთსაყუდარი, მისკენ მიილტვის მეიალქანე. სიმშვიდის გრძნობით გული ევსება, ხეტიალს უგზოს ეღება ბოლო“ (შორს მოჩანს) (10, 92).

ოკეანის მეზღვაურის ნავთა სავანე სამშობლოა, მისი თამამი სულის მთავარი და საბოლოო ნავთსაყუდარი: „აღარ ეშვება სულს სითამამე, მეზღვაურებო, ეს ოკეანე მოიბურება ქარივით მწვანე, შენ ხარ, სამშობლო, ნავთა სავანე, არ დაგვაობლო, იქ მიგვიყვანე“ (მეზღვაურებო) (10, 92).

„ფრთაგანიერ ჰორიზონტებზე“, კოსმიურ მასშტაბებში მაძიებელი პოეტის სულის ოცნება მაინც მშობლიური ფაზისია: „სადაც არ უნდა ვლიდეს მძიმე ცხოვრების გემი, მაინც ფაზისის კიდეს უვლის ოცნება ჩემი“ (გადაფრენა) (11, 284).

ლამაზი გემის მოგზაურები მოგონებებია, თეთრი რტოების სიხარულის, აღმოსავლეთის ცისკრის მშვენიერების შემგრძნობი: „ო, მოგონებავ, როგორ გიცდიდა ის სიხარული თეთრი რტოებით, რაგვარ სიცხადით შენ განგიცდია ყრმობა გემების მოახლოებით. მოგონებები! ისინი, როგორც მოგზაურები ლამაზი ნავის, მიმოსცურავენ აღმოსავლეთით, როცა ასეთი ცისკარი ჰყვავის“ (გადამწვანებულ მწვერვალებისკენ) (12, 304).

სიხარული საღვთო სახლია (ლუკა, 2, 10).

რტო, ცისკარი ქრისტეს მეტაფორაა (13, 122).

„თავისი ნავსაყუდელის“ პოვნა იყო პოეტი მეზღვაურის მიზანი: „თავისი და საკუთარი – დღეს მეზღვაურმა მენავემ მონახა ნავთსაყუდარი“ (ახალი ქალაქების აღება) (12, 115).

ლიტერატურა

1. პავლე ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, თბ., 1913
2. ნევმირებული ძლისპირნი, თბ., 1982
3. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ტ. II, თბ., 1980
4. არეოპაგიტული კრებული, თბ., 1981
5. „მნათობი“, 1989, №12
6. ფრანგი პოეტები, ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა, თბ., 1984
7. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ., 1941
8. ჟურნალი „დროშა“, 1990, №1
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982
10. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1993

11. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1989
12. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1993
13. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, 1995

აგასფერის ხომალდი

აგასფერი („მეფე“, „მეუფე“) – ქსერქსეს ებრაული სახელწოდებაა. იგი ქრისტეს ჯვარცმის მაყურებელია. შუა საუკუნეებში შექმნილი ლეგენდის მიხედვით, აგასფერი არ დაეხმარა ქრისტეს გოლგოთის გზაზე ჯვრის ზიდვაში და ამიტომ განწირულია, რომ მარად იხეტიალოს დედამიწაზე.

გალაკტიონი აგასფერია, აგასფერის ხომალდის მესაჭე, მარადიული მოგზაური და მეზღვაური, დედამიწის ყველა კიდეზე მოხეტე. პოეტის აგასფერი მეოცნებეა, მეზღვაურის დაუდეგარი სულის მქონე, ბოროტ ქარებთან შერკინებული, წარღვნაში კიდობნით მოქანავე, უამინდობაში მავალი: „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით, ათასგვარი იმედით და ზაფრებით, აგასფერის მიმოჰქროდა ხომალდი, მეზღვაურის სულთან გათანაბრებით. დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით, აღტაცებავ სიყმაწვილის დროისა, სამუდამოდ, სამუდამოდ მშვიდობით“.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის „კიდობანი ოქროვანქმნილი სულითა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა, საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009, №12, გვ. 12).

უამინდობა ურწმუნოებაზე მიგვანიშნებს, ანუ ათეისტურ ეპოქაშიც გალაკტიონი უფლის დედასთან არ წყვეტდა სულიერ კავშირს.

შემდეგი სტრიქონები გვაგრძნობინებს იმ ტრაგედიას, რაც მოსდევს უღმერთობას, „ზეცის ნგრევის“ თანამდევია მიწიერი უკეთურობები: „ის ირღვევა, ის ოცნება ბერდება და ხომალდი ნაპრალებთან ჩერდება, საიდანაც მარად ესმის მსოფლიოს ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება“ (მეოცნებე აფრებით).

„ღვთისმშობლის ცა, ქერობინის ცა, „სინური მრავალთავის“ მიხედვით, არის მარიამ ღვთისმშობლის სახელწოდება“ (იქვე. გვ. 44).

რწმენის ხომალდის მსხვრევას კი მრავალგზის აფიქსირებდა პოეტი.

ქარის პირდაპირ სვლა

გალაკტიონ ტაბიძემ მოახდინა „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუცია“, რაც გულისხმობს სტანდარტების, შაბლონების მსხვრევას, დოგმატური აზროვნების უარყოფას, სცილასა და ქარიბდასგან თავის დაღწევას, ანუ ქარის პირდაპირ გაბედულ სვლას, ახალი გზების გაკვლევას: „არა მშვენიერ ზრუნვათა ზემო, არა სიმშვიდით და ნაპირ-ნაპირ, არამედ მედგრად, ხომალდო ჩემო, ჩვენ მივცურავდით ქარის პირდაპირ“ (არა მშვენიერ ზრუნვათა ზემო).

პოეტი ელტვის არა ზეცის გვირგვინს, არამედ მეფურად თამამობს მის ლექსებში „სხვა ოცნება“, ზღაპარი, პოეტური იდეალი, ფანტაზია.

ჯამბაზთა, გაერთა ყალბი შუშები მინანქარად საღდებოდა, პოეტი კი გადამწყვეტ ბრძოლას მართავდა ახლებური შაირით, ღმერთსა და კაცს შორის ჩატეხილ ხიდს მხატვრული სიტყვით აერთებდა: „მაშინ ჯამბაზთა, მაშინ გაერთა ყალბი შუშები ჩნდა მინანქარად, რისთვის გაშალე საომარ აფრად უნელებელი რბევა შაირთა: ჩაშლილი ხიდი რამ შეაერთა. წინაშე ყველა კაცთა და ერთა?“ (ქარის პირისპირ).

არა ნარ-ეკლის, არამედ რწმენის, მშვენიერების მაძიებელი პოეტი ახალ გზას იკვლევდა: „გზაზე ვდგავართ ჩვენ ვარდებით – არა ბარდით და ნარ-ეკლით, გზას ვკაფავდით თავდადებით, გზას ვკაფავდით სულით, გულით. და მამულის თვალი შვების გრძნობით ჭვრეტდა გამალებით“ (გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით).

გალაკტიონს სჯეროდა, რომ მხოლოდ ეპოქის ქარტეხილებთან მებრძოლი, ურწმუნოება-უკეთურობასთან დაპირისპირებული ოცნების გემი გააღწევდა მომავალში: „აქ კი უღრუბლო და ლურჯი ცაა, წინ – მომავალი, ნუგეშისმცემი. გემიც დაიძვრის, აჰა, საცაა, აჰა, საცაა დაიძვრის გემი. მაგრამ წავიყვან გემს ნაპირ-ნაპირს, სად ლურჯი კლდეა და მწვანე თხემი, ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ სწევს ჩემი გემი“ (აჭარის სილაჟვარდეში).

მომავლის პოეზიის უპირველესი მოთხოვნა ასე განსაზღვრა გალაკტიონმა: „თუ ოცნებათა უდიდესი შენ მიგყავს გემი, ის უნდა იყოს უწრფელესი, თანაც გმირული...“

ოქროს ნავში წინაპრებთან

გენეტიკური კოდების მსგავსება განაპირობებს გალაკტიონის თამამად დგომას რუსთაველის წინაშე, მასთან ტოლივით შეხმიანებას.

ლექსში „მთვარის ნაამბობიდან“ არის ჟრუანტელისმომგვრელი სტრიქონები, საიდანაც შეიძლება იგრძნო, რომ გალაკტიონი მარადიული ქართული სულია, „გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ (ნოდარ დუმბაძე).

გარდასხეულების თეორიის თანახმად, რომლის მიმდევარიც იყო გალაკტიონი,

სრულიად ბუნებრივი მოჩანს მეოცე საუკუნის ქართველი პოეტის მეხსიერების ნავარდი მეთორმეტე საუკუნის გენიალურ წინამორბედთან: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (მთვარის ნაამბობიდან).

გალაკტიონს იტაცებდა ზენიტამდე მისული რუსთაველის ცეცხლი, მისი ლაჟვარდების გემები: „ავა ზეცამდე და შეეხება იქ, ლაჟვარდებში რომ გემებია“ (პოემა ვეფხვისა).

„სიმთ ოქროს ნავებით“ მაღლდება რუსთველი: „რაღაც უცხო სიმსუბუქით მივყავართ სიმთ ოქროს ნავებს, ნაყოფიერ მინდორთ ნუგეშს, მზეთა ნუგეშს, ოქროს ხვავებს“ (შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად).

ასევე, ცოცხლებივით ეხმიანება გალაკტიონი სხვა უცხოელ წინაპრებსაც: „...ოდესმე, ჯერ ისევ ბავშვი, ვგრძნობდი, რა არის ველთა ხალისი და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“ (ის ადგილები).

ბოლომდე რჩება პოეტი „უცხო მხარეების“, კერძოდ, ედგარ პოს თაყვანისმცემელი: „უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა“ (საუბარი ედგარზე).

პოეტების მეფე „ოქროსფერ ნავში“ მოცარტის, შენიეს, შელის სულებთან სიახლოვეს ამყარებს, ნავების სიმშვიდეს კი მშფოთვარე გემების სული ენაცვლება: „ეს იყო შვიდი წლის ბავშვი, მაისი, მინდორი, ჩიტი, სიმღერა ოქროსფერ ნავში, ზეცათა ლაჟვარდი – ჩითი. ო, შვიდი, ო... შვიდი წელი ოქროსფერ, ოქროსფერ ნავით... მოცარტი, შენიე, შელი – მოზვავდნენ ახალი ზვავით... გავიდა კვლავ შვიდი წელი, იმ ნავებს თან გაჰყვა რული, მშფოთვარედ გადიქცა მშვიდი, გამოჩნდა გემების სული“ (ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი).

პოეტს ნუგეში და თანაგრძნობა თავისი რანგის წინაპართა საუფლოში, „მარადიულ მხარეში“ ეგულება: „ნუ დაღონდები, არსებობს მხარე, სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის. იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის“. ეს მარადიული მხარე დანტეს, რუსთაველის, ბარათაშვილის სულის ნავთსაყუდელია.

მშვენიერების გაუკვდავებით პოულობდა პოეტი „უცხო წალკოტს“, სადაც ეგულებოდა რუსთაველი, ბარათაშვილი (მშვენიერებით ვიპოვე).

ეს გენიალური ხსოვნა ათქმევინებს პოეტს: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“(თენდება. გათენდა).

ასე ქრისტეს შეეძლო თავი გამოედო აბრაამის ნაცნობობაზე, რადგან იგი განკაცებამდეც იყო და იყო ცაში, როგორც ძე ღმერთი.

ღმერთივით შუქის სახით ევლინება გალაკტიონს თავისი მარადიული კერპი აკაკი წერეთელი (აკაკის ლანდი). თრობისა და შვების ღმერთი დიონისე (მარმარილო), რომელიც „მსოფლიო გონება, მსოფლიო სულია“.

ასეთი სულიერი ერთობა პოეტს ყველა ქართველ კლასიკოსთან აქვს: „კედლით გიმღერის ექვსი მგოსნის ძვირფასი ქნარი: რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას სურთ დაგიჭირონ მხარი“ (ო, ნანა, ნანა).

ასევე „ხედავს“ პოეტი „სატანაში“ (სატანა სიბრძნის სულს გულისხმობს ამ შემთხვევაში) განსხეულებულ გოეთეს: „...კუთხეში დივანს ვხედავ: ვით გიოტე, ზის იქ სატანა“ (მაგიდა ალემბიკებით).

გალაკტიონისთვის „აჩრდილი თანაზიარია ედგარ პო“ (საუბარი ედგარზე).

„და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“ – ასე იახ-

ლოვებს მისი უკვდავი სული წინაპრებს (ის ადგილები).

ასეთივე განცდაა „ლენინგრადში“: „ყოველ ნაბიჯზე ვხვდები აღფრთოვანებულ პუშკინს. ის ნაპირებზე მიდის, ახალ სახეებს ხედავს“.

ზღვის „ყვავილთა მთოველ“ ჭავლებთან ხვდება გალაკტიონი ბეთჰოვენს და გენიალური გერმანელის მუსიკის ენაზე აჟღერებული „მეცხრე სიმფონია“ ძალზე ახლობელია სიტყვის ქართველი კომპოზიტორის სულისთვის, რადგან ამ განუმეორებელი მუსიკალური ნაწარმოების ტოლფარდი ქართული ინტონაციების სიტყვაში გახმიანებაა პოეტების მეფის ლირიკა, როგორც თვით ამბობდა, „ხმათ აიაზმის ნელი პკურება“: „სად ზღვის ჭავლებია, ყვავილთა მთოველი, კვლავ ვხვდებით ერთმანეთს მე და ბეთხოვენი. სიზმარი მგონია, ზღაპარი მგონია ქართული მოტივი – მეცხრე სიმფონია“ (სად ზღვის ჭავლებია).

ბეთჰოვენის ცა, მისი „კრეიცერის სონატის“ ჰანგების ბადალი მუსიკა ხმიანობდა გალაკტიონის სულში: „... აქ კრეიტერს სონატინს შვენის ახმოვანება და ბეთჰოვენის ცა გაილანდა“ (შვენოდა ჰაერს ფოთლების ბნევა).

გალაკტიონისთვის მახლობელია ჰომეროსის პოეზიის ხომალდი: „ის წაიყვანა ოცნებამ მისმა, სადაც ჰაერი ზღვის ფერისაა, ის წაიყვანა იქ ფანატიზმმა, იქ ხომალდები ჰომერისაა“ (ის წაიყვანა ოცნებამ მისმა).

ასევე ტოლივით ეხმიანება გენიალურ კომპოზიტორს – მოცარტს სიტყვის უბადლო კომპოზიტორი გალაკტიონი: „... და წავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“ (შერიგება).

ხომალდის რჩევა და იალქნების ნანა

გალაკტიონს აქვს ერთი შეხედვით საოცარი სტრიქონები, რომელშიც საუბარია ხომალდის რჩევაზე, სიზმრებში მოსმენილ იალქნების ნანაზე: „ხომალდისას ვისმენ რჩევას, როგორც ძვირფას მცნებას და ოცნებას მიცემული ვიგრძნობ დავიწყებას. ტკბილ სიზმრებში მე მომესმის იალქნების ნანა, იალქნების შრიალი და ჟრჟოლა გრძნობისთანა“ (ხომალდისას ვისმენ რჩევას) (1, 353).

რას ნიშნავს „ხომალდის რჩევა?“.

სხვაგან ხომალდთან იხსენიება „თოვლის მადონა“: „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა და ყვავილები გიიადონა, შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო, სულო, ჭაობზე უნოტიესო“ (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა).

ტიტე მოსია წერს: „ამ სტროფში“ დასახელებული „თოვლის მადონა“ წმინდა მარიამია, ხოლო „ხომალდი“ ალეგორიულად ტაძარს განასახიერებს, როგორც ეს დამკვიდრებული იყო შუა საუკუნეების სახისმეტყველებაში“ (2, 88).

ცნობილია, მარიამ ღვთისმშობლის იტალიური სახელია მადონა.

ტიტე მოსია გაგვახსენებს ლეგენდას, რომელიც „თოვლის მადონას“ დასდებია საფუძვლად: „იტალიური ლეგენდის მიხედვით, მესიის მშობელი ჩამოჰყვა თოვლს იქ, სადაც აგებულია წმინდა მარიამის ტაძარი... იგი მოევლინა პატრიციუს იოვანეს და მის მეუღლეს, უბრძანა მათ ტაძრის აგება იმ ადგილას, სადაც დგას ყოვლად-

წმინდის სახელობის I ეკლესია რომში“ (საღვთისმეტყველი კრებული, თბ., 1985, 111) (2, 87).

ლექსში ხომალდი ტაძრის იდენტურად მოიაზრება, ტაძარი კი მარიამ ღვთისმშობლის სახელია (2, 124).

მაშ ხომალდის სახეში მარიამი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც „რჩევას აძლევს“ პოეტს (შდრ.: „კვლავ მომაშუქებს მზე სიმტკიცეს და დარიგებას“, რომელშიც მზე ღმერთის სიმბოლოა). უფლის დედის ეს რჩევა ღმერთის „ძვირფას მცნებებს“ ედრება...

ლექსის შემდეგ სტროფშიც გაოცება გვიპყრობს: „ტკბილ სიზმრებში მე მომესმის იალქნების ნანა, იალქნების შრიალი და ჟრჟოლა გრძნობისთანა“.

გალაკტიონმა განსაკუთრებული ინტერესის საგნად აქცია აფრა, იალქანი, ანძა, საჭე, წარმოიდგინა ისინი ფერებში და მათში მრავალმნიშვნელოვანი შინაარსი იგულისხმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ცნებები უმთავრესად პოეზიას დაუკავშირა.

„ქართველი მწერლები ხშირად იყენებენ ბიზანტიური ლიტერატურის სიმბოლოებს: „აფრას, ნავს“ (3, 204).

აფრა ძველბერძნული სიმბოლოა და უმეტესად სულთან მოიაზრება: „... ზეციურისა ცხოვრების მიმართ აფრა სულისა შენისა განჰმარტე საყუარელო“ (4, 82).

გალაკტიონის ლექსში პოეტს სიზმრებში მოესმის „იალქნის ნანა“, „იალქნების შრიალი“, ანუ სულის ხმა. პოეტს ხომ უნიკალური სმენა ჰქონდა და ესმოდა ფიქრთა რხევა (ხედავდა ფიქრთა კისერს...), შეყვარებულ წამწამთ კანკალი, ფიქრთა სამოსის შრიალი.., ესმოდა სულის ხმა, უხმო ხმა. „იალქნების ნანა“ კეთილი სულის ხმის მოსმენას გულისხმობს.

ლექსში „ეს მშობლიური ქარია“ (5, 314-319) შთაგონების მოვლინება ასე წარმოსახა იალქნების გამოყენებით: „... არც ხმა, არც ჩურჩული, ბინამინაგნები თვალებდალურჯული თრთიან იალქნები. ძილი მეგონება: უცებ ქაოსიდან მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება“.

ორიგინალური სახეა „თვალებდალურჯული იალქნები“, რომელიც ლოგიკის ენაზე სულის თვალი ანუ ლურჯი სულია, როგორც თეთრი სული, შავი სული...

„მთაწმინდის მთვარეში“ ისევ „ლურჯია იალქანი“ ანუ სული: „თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები“.

ფიქრთა იალქნები „ზმანეთის ქვეყანაში“ (პოეზიის სამყაროში) მიიჩქარიან: „და იალქნების გროვა მრავალი ეშურებოდა ქვეყანას ზმანეთს“ (918).

ლექსი „შორს იალქნები სჩანან ზეფირად“ პოეტის ყოვლისმცოდნეობას გვაუწყებს და შორიდან სულის იალქნების ხილვაა: „ზღვას და მეზღვაურს, მოგზაურთ ხმაურს და აურზაურს ვიცნობთ ზეპირად. შორს იალქნები ჰქრიან ზეფირად“ (6, 402). აქ ისევ სულის-იალქნის ხილვაზეა აქცენტი (გავიხსენოთ: „მე დავინახე მცურავი სული“ – „გრიგალი“).

ერთ ლექსში იალქნების ფიქრია აქცენტირებული: „ნისლი იზრდება და შორიდან გემთ იალქნები თითქო ეხლავე ფიქრს უნდებიან: დაბრუნდებიან ისევ თუ ვერ დაბრუნდებიან, სადაა შორი გზა მისაგნები?“ (იალქნები) (6, 423). იალქნების ფიქრი სულის ფიქრია.

ლექსში რომ „შექმნა რამე დიადი“ (6, 136-137) დიადის შექმნის უპირველეს პირობად მიჩნეულია ზღვის იდენტური ოცნება, გული, სიმღერის ძალა, ხოლო სული

ზღვის იალქანთან არის შედარებული: „... იმ იალქნებით ცურავდეს, რომ შეჰქმნას რამე დიადი...“

დაუდეგარი სულის საზღვრისკენ ლტოლვას, ამაოებისგან განრიდებისთვის დახარჯულ ძალას და გულში დამარხული დაფლეთილი იალქანის გამო წუხილს გადმოსცემს ლექსი „შემოდგომა“: „... ხედავ, ზღვაზე იალქანი როგორ ელტვის შვების საზღვარს, მაგრამ ტყვილად იბრძვის, სცდილობს, არვინ მისცემს თავშესაფარს. შენც ნუ იტყვი, ამოების ქსელში წმინდა შვება ვსცანო, შენ, ჩემს გულში დამარხულო, დაფლეთილო იალქანო“ (6, 44).

ლექსში „გემზე“ (1, 79) ზღვას, ქარიშხალს უშიშრად ერკინება გემის იალქანი და „ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები“ ვაებით სკდება...

გვხვდება „იალქნის თვალი“, „იალქანდაუღალავი სული“.

არის ასეთი შედარების მაგალითი: „შორს იალქანი მოჩანს მცურავი, ლაღად გაშლილი, ვით გედის ფრთები“.

იალქნის გამოყენებით შექმნილი ნეოლოგიზმია „მეიალქანე“. „შორს მოჩანს მთები ამწვანებული“ (5, 92), რომელშიც ნავსაყუდარს ელტვის „მეიალქანე“: „შორს მოჩანს მთები ამწვანებული და სილაჟვარდის სიმაღლე მწვანე. მაგრამ ახლოა ნავთსაყუდარი, მისკენ მიილტვის მეიალქანე. სიმშვიდის გრძნობით გული ევსება, ხეტიალს უგზოს ეღება ბოლო...“

მუზის მოვლინების ნიშანია იალქნებში გამოჩენილი ცისარტყელა ლექსში „შორს იალქნები ჩანდა“.

ტრაგიზმს გვაგრძნობინებს ქარისგან გადახრილი ბედი და იალქანი „ვერხვებში“: „... მას შემდეგ ბედი და იალქანი ქარის სიმძიმით გადაიხარა, შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი, რისთვის ან ვისთან, არ ვიცი, არა!“.

იალქანს ჰგავს „განთიადის თეთრი ღრუბელი“ (გეტერა).

პოეტის სურვილია, იალქნად იქცეს სატრფოსთვის (ოღონდ დაბრუნდი).

„მფარველ იალქნებში“ (5, 317) საუბარია „საბედისწერო ბედის ბილიკის“ გადავლაზე, ქარიშხლებთან, ზღვებთან შერკინებაზე და პოეტის მუდმივი მფარველია მგზავრი მგოსნის ანგელოზი, იგივე „მფარველი იალქნები“, ანუ მფარველი სული: „...და მისი ხმები მომესმოდა: ზღვაო, დაწყნარდი! შენ, ქარიშხალო, დასავლეთის გზებით წარველი. მე მგზავრი მგოსნის ანგელოზი მქვია მფარველი, სული იმისი სხვანაირად არის წარმართი“. მფარველი იალქნები განარიდებდა პოეტს ქარიშხალს, ღრუბლებს და საამოდ ელვარე „თეთრი კუნძული“ იყო მისი ნავთსაყუდარი. „ლურჯი იალქანი“ ოცნებით სავსე სულია, რომლისკენაც პოეტი მიისწრაფის: „... ლურჯი იალქნებისკენ, ვიცი, რა დარებია! ოჰ, ამდენი ოცნება სულმა ვეღარ დალია“ (მზადება გასამგზავრებლად) (5, 281).

„ზღვის უდაბნოში ვერც ერთ იალქანს ვერ ხედავს თვალი“, ამბობს „ზღვის ეფემერაში“ (5, 236).

მალარმე დაეჭვებული კითხულობდა: „ახლა რომ ასე მოუხმობს გრიგალს, ნუთუ გრიგალში ეს იალქნები ოდესმე გვერდზე გადაიხრება და გადახრილი ნელა გაქრება იქ, სადაც არის უნაყოფობა და კუნძულები ქვიშის ფერია“ (ზღვაური) (7, 68-69).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1993
2. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
3. რევაზ ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966
4. გრიგოლ ღვთისმეტყველის „სწავლანი“, ეფრემ მცირეს თარგმანი, თამარ კუკავას წიგნიდან „ეფრემ მცირის იამბიკოები“, თბ., 1988
5. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1992
6. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1993
7. მალარმე, ლექსები და პროზა, წინასიტყვაობა და შენიშვნები გასტონ ბუაჩიძის, ქუთაისი, 1979

გრიგალის მეთაურობით მოგზაური ანძა

სულის კონტექსტში უნდა გავიგოთ ანძაც, რომელიც მრავალგვარი ეპითეტის თანხლებით მოიაზრება გალაკტიონის შემოქმედებაში.

ლექსში „ზღვა ახმაურდა“ იდენტურად წარმოიდგინება გენიისა და ზღვის ახმაურება, პოეტის სისხლსა და ძარღვებში გრიგალი ხმაურობს, კოსმიური სიმფონია მკვიდრობს და სული-ანძის მოგზაურობა გრიგალის თანხლებით ხდება: „ზღვა ხმაურობდა ყრუ ხმაურობით, ანძა გრიგალის მეთაურობით მოგზაურობდა. ძარღვებს თანდათან ეს უცნაური წეწდა, არღვევდა აურზაური, ზღვა ხმაურობდა“.

ანძა პოეტის სულია, მონობის არტახები რომ დაუმსხვრევია და გრიგალებთან წილნაყარს, ზღვის მშფოთვარება გაუთავისებია: „გადახეული აფრა ანძაზე მიმოფრიალებს, სტიქიის სული განგაშებს ზღვაზე, ღრეობს, ღრიალებს. ვერა, ვერ ითმენს იგი მონობას, ყოფნასთან აფთრობს, – ომში, გრიგალში ათავსებს გრძნობას, მკაცრია ამ დროს“ (მკაცრია ამ დროს) (1, 11).

ანძა „ცისფერი ხომალდის“ მეგზურია მუდამ (ანძები).

ანძების ტყეა „ლურჯ ხომალდში“ (1, 75).

ურთულესი სახეა: „ადევნებული მთვარის მაზარით ანძების ტყეში ლანდები ქრიან.“ მთვარის მაზარიანი ლანდები გალაკტიონის პოეტური ხილვებია, ანძების ტყე – პოეტური სული.

ერთგან მთვარე ანძასთან არის შედარებული: „მთვარენი დგანან, როგორც ანძები“.

ლექსში „ანძები“ (1, 260) ქარები, წვიმებია ანძის თანმხლები და „მგლოვიარე ანძები“ დაღალულ სერაფიმებთან არის იდენტიფიცირებული: „დაუნდობელი ქარით ნარენი და დაწეწილი, როგორც წვიმები, ვით დაღალული სერაფიმები, ჰქროდნენ ანძები მგლოვიარენი“ (ანძები) (2, 296).

„მგლოვიარე ანძა“ მგლოვიარე სულია.

„ცისფერ ხომალდს“ მაინც არ ერევა გზა, შიში უცხოა მისთვის და აღთქმულ მიწაზე მიღწეულს კვლავაც მოძრაობა სწყურია: „არ მეშინოდა, გზას არ აურევს ცისფერ ხომალდის სველი ფერები, „მიწა!“ – აღმოხდათ გულს მეზღვაურებს, მაგრამ

მე მაინც არ შევჩერდები“.

ახალი მიწის, აღთქმული მიწის ძიებაა ლექსში „მიწა გამოჩნდა“ (1, 267). ხომალდები ნაფოტებივით იმსხვრევიან, ანძა იღუნება, პოეტი კი უხილავ ძალას, ზურგის ქარს ელოდება, სულს ეძებს, სასოწარკვეთას არ იკარებს და ძიების შემდეგ ახალ მიწას პოულობს: „ხომალდს, რომელსაც ნაფოტივით ღუპავს ბუნება, რა იღუნება იქ მაღალი ანძების სვეტი, უხილავ ძალას უცდის პოეტი და ქარიშხალის აზუზუნება... არსად არა ჩანს სული უნებო... მის საძიებლად გავწიოთ ჩქარა, სასოწარკვეთის დედამიწას ნება ვინ მისცა? ბევრი ეძებდა მის ნახვას დღემდე, მაგრამ შეხედეთ: ძიების შემდეგ მიწა გამოჩნდა, მეგობრებო, ახალი მიწა“.

ამ ძიებაში პოეტის შემწეა „უხილავი ძალა“, „სული“ (ღმერთი).

შემოქმედება „დამდაგველი აფრებით“ მოიაზრება: „დამდაგველი აფრებით, ჩვენ რომ ირგვლივ გვედება, იგი – მხოლოდ გაფრენა არის შემოქმედება“ (კოსმიური ორკესტრი).

პოეტური ოცნება აფრებით იძენს ძალმოსილებას: „მიმოცურავს ტალღები და აფრების ამარა ოცნებათა მგრგვინავთა მოშფოთვარებს კამარა“ (აგერ კიდევ ცეცხლამდის) (3, 378).

გალაკტიონის პოეზიაში „იალქნები მფარველია“, აფრა – „მეოცნებე“: „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით, ათასგვარი იმედით და ზაფრებით, აგასფერის მიმოჰქროდა ხომალდი მეზღვაურის სულთან გათანაბრებით...“ მეოცნებე აფრები მეოცნებე სულია.

უამინდობას, ქარის გაბოროტებას პოეტი „კიდობნის“ ერთგულებას უპირისპირებს: „დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით, აღტაცებავ სიყმაწვილის დროისა, სამუდამოდ, სამუდამოდ მშვიდობით!“

„დაუჯდომელის“ მიხედვით, კიდობანი მარიამის სიმბოლოა (4, 9).

პოეტის რწმენის გემი იმსხვრევა, ნაპრალებს უახლოვდება, ზეცის ნგრევას (რწმენის უარყოფას) „მიწის გადაფერდება“, მიწიერი უკეთურობები მოსდევს: „ის ირღვევა, ის ოცნება ბერდება და ხომალდი ნაპრალებთან ჩერდება, საიდანაც მარად ესმის მსოფლიოს ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება“ (მეოცნებე აფრებით) (1, 331).

სხვათა გემთა „წინაერდო“ იმსხვრევა, პოეტი არა ზეცის გვირგვინის მფლობელია, არამედ ზღაპრების (პოეტური გამონაგონის), ოცნებების მეფეთა მეფე: „... დაიმსხვრა გემთა სხვათ წინაერდო, გვირგვინი ზეცის არ გაბარია. მეფე მეფეთა – ეს ზღაპარია, ოცნებათ სხვათა და სხვანაირთა“.

პოეტის „საომარი აფრაა“ „შაირთა რბევა“, მიზანი – ყველა კაცთა და ერთა შორის ჩატეხილი ხიდის შეერთება: „ჩაშლილი ხიდი რამ შეაერთა? წინაშე ყველა კაცთა და ერთა?“ (ქარის პირისპირ) (5, 445-446).

ერთგან დაწეწილ აფრებზე (დაწეწილ სულზე) და ჩაძირულ ხომალდებზე (დაკარგულ რწმენაზე) წუხს: „გრიგალმა დაწეწა ყველა აფრები და ჩაძირული ხომალდები ამოატივტივა“ (ზღვის ეფემერა) (2, 236-239).

მგრგვინავი ოცნება აფრების საშუალებით ცეცხლამდის (ცეცხლი საღვთო სახელია) სწვდება და კამარას კრავს: „აგერ კიდევ ცეცხლამდის, იმ ცეცხლოვან დაღამდის, ხავერდოვან არეზე რაც არ უნდა დაღამდეს, მიმოცურავს ტალღები და აფრების ამარა ოცნებათა მგრგვინავთა მოშფოთვარებს კამარა“ (აგერ კიდევ ცეცხლამ-

დის) (3, 379).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1992
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982
4. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009
5. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1993

„მფარველი და თვალებდალურჯული იალქნები“

სულები, რომლებმაც მიაღწიეს განვითარების უმაღლეს საფეხურს, ტოვებენ თავიანთ ამაღლებულ მდგომარეობას, ჩამოდიან მიწაზე და ეცხადებიან ადამიანებს გამხნევების, სიბრძნის გადაცემის მიზნით (1, 139).

ყველა ადამიანს ჰყავს თავისი მფარველი ბოროტი ან კეთილი სული.

შარლ ბოდლერს ხშირად ესაუბრებოდა კეთილი ანგელოზი „ნაცნობი, წყნარი ხმით“: „იმავე წუთში ჩამესმა ჩემთვის ნაცნობი, წყნარი ხმა: ეს იყო ხმა ჩემი თანმხლები კეთილი ანგელოზისა, ანუ კეთილი დემონისა. თუ სოკრატეს ჰყავდა კეთილი დემონი, მე რად არ უნდა მყავდეს ჩემი კეთილი ანგელოზი?“ (მივასიკვდილოთ უპოვარნი) (2, 159).

თეთრი ანგელოზი უფენს გზაზე ვარდებს ალექსანდრ ბლოკს: „ლაჟვარდებით გარემოცულს, დრო დარბაზებს ანათებს, თეთრი, თეთრი ანგელოზი გზებს ვარდებით აღავსებს“ (3, 168).

„და ანგელოზი ჩემს სულში ცხოვრობს“, აცხადებდა ტერენტი გრანელი და თავის მუდმივ თანამგზავრად კეთილ საწყისს მიიჩნევდა.

გალაკტიონ ტაბიძის მარადიული მფარველი იყო კეთილი ანგელოზი, როგორც ამქვყნიურ სიცოცხლეში, ისე სულიერი არსებობისას, და ასეთი ყოფნის ხსოვნა გამუდმებით ცოცხლობდა მასში.

„ბნელი სამარიდან“ ამოსული (ანუ გარდასხეულებული) პოეტის მარადიულ სულს „საუკუნეთა სათვალავი ეკარგებოდა“, იგი სამშობლოსკენ ისწრაფოდა სერაფიმის თანხლებით: „მე მოვდიოდი სამშობლოსკენ გზებით ირიბით, ჰაერში კვნესდა დაწყვეტილი წვიმის სიმები და სასაფლაოს ძეგლებიდან მწუხარე რიგით მე მომყვებოდნენ და სტიროდნენ სერაფიმები“.

ისინი მიანიშნებდნენ პოეტის დადაფნული გზის სიძნელეზე: „ასე სტიროდნენ: „ოჰ! შეხედეთ! აი, ეს არი! იყავ ნაზი და ახალგაზრდა – როგორც მაისი, დადაფნულ გზებზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“.

ანგელოზები წინასწარმეტყველებდნენ პოეტის შხამიან ცხოვრებას, მის ტკივილებს: „ყოველი წვეთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით, ლურჯა ცხენებით თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე, იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე“ (მგლოვიარე სერაფიმები).

„საბედისწერო ბედის ბილიკზე“ მავალს მფარველი ანგელოზის ხმა ენუგეშებოდა ზღვასა და ქარიშხლებთან შერკინებისას: „და მისი ხმები მომესმოდა: ზღვაო, დაწყნარდი! შენ, ქარიშხალო, დასავლეთის გზებით წარველი. მე მგზავრი მგოსნის ანგელოზი მქვია მფარველი, სული იმისი სხვანაირად არის წარმართი“.

და ლექსის ლირიკული გმირი ნატრობდა ასეთ ხმებს: „ოჰ, რა ოცნება იყო ჩემთვის ასეთი ხმები“ (მფარველი იალქნები) (4, 184).

ანგელოზი იყო პოეტის თანმხლები, როცა ჯვარს ეცვა ქრისტესავით: „ანგელოზები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა“ (ცისფერი).

„სერაფიმის ცისფერი სული“ უბოძებია უზენაესს გალაკტიონისთვის: „შენ სული გქონდა ისე კეთილი, ო, სერაფიმის ცისფერი სული“ (ავდრის მოლოდინი).

„შენ ანგელოზებს ხშირად აგზავნი“ – მიმართავს ტარიელი ღმერთს „მშვიდობის წიგნში“.

გალაკტიონის პერსონაჟი ხშირად იყო მიწად დანარცხებული „აღტაცებული ცად განიმედი“ (შეცდომა ქვეყნად რაოდენია), რადგან ანგელოზთან ერთად ეშმაკეული ძალებიც ვლინდებიან დედამიწაზე.

ანგელოზია ადამიანის თანმხლები სიცოცხლეში, სიკვდილის დროს – დემონი: „თუ ანგელოზი გირწევდა აკვანს – შემდეგ დემონად მოვა სიკვდილი“ (ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა).

ღმერთის ანგელოზებმა მოავლინეს საქართველოში გალაკტიონი პოეტური სასწაულებისთვის, მისი გარდაცვალება ცაში გაფრენა იყო, სადაც იგი „შუქთა კამარას“ (უზენაესს) მიეახლა, „დიდ საიდუმლოს“ (ღმერთს) მიესალმა, როგორც მისი სულიერი ორეული. მარადიული შუქის სახით დაივანა გალაკტიონის ღვთაებრივმა სულმა მშობლიურ ცაზე, „ბნელ ქიმერებში“ „ალიონად“ გაცხადდა და გაამშვენიერა ქართველის შინაგანი სამყარო.

ლიტერატურა

1. Рамачарака, Основы миросозерцания Индийских иогов, Петербург, 1913
2. შარლ ბოდლერი, ლექსები პროზად, ფრანგულიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ, თბ., 1991
3. „მარადი დღე“, თბ., 1984
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977

მეოცნებე აფრები, საიმედო ღუზა და საჭე

სიმბოლური გაგებისაა გალაკტიონის ღუზა, კერძოდ, საიმედო ღუზათა კვალი: „... ყოველი მხრივ საიმედო ღუზათა სჩანს კვალი – ლელო...“ (აფხაზეთო, აფხაზეთო).

სტეფან მალარმე საუბრობდა „ოცნების ღუზაზე“: „... უნდა გავიქცე, მხარე სინათლის და ეგზოტიკის სადაც მიმელის, ჩემო ოცნებავ, ახსენი ღუზა, ააქანავე შენი სტიმერი!“ (ზღვაური) (ლექსები და პროზა, ქუთაისი, 1979, გვ. 68).

გალაკტიონის პოეტი არის მესაჭე, მეთაური, წინამძღოლი ზღვაზე გადასვლისას: „მესაჭეობა სხვა არის – სხვა განსაცდელი ფრიადი – ცხოვრებაც იგივ ზღვა არის, რომ შეჰქმნა რამე დიადი“ (რომ შეჰქმნა რამე დიადი).

გვხვდება აგრეთვე „უსაჭო ნავი“, რაც მიზნის, ორიენტირების გარეშე სვლას ნიშნავს ზღვის ტალღების (ცხოვრების) სრბოლაში: „ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი, აუხდენელი და მომხიბლავი. არ ვიცი, საით წაჰყვა ზღვის ტალღებს, სად შეაჩერა უსაჭო ნავი“ (ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი).

პოეტის ნავს „საჭედ“ ქცევია აჭარის ლაჟვარდი, ცა, მთა, მთვარე: „ოქროს ნავს მიესაჭა რა ლაჟვარდი, ნამის მწოვარე, შენს მთებზე, ჩემო აჭარავ, ცაა და მისი მთოვარე“ (ოქროს ნავით) (513).

შემოქმედი სულის ძლევამოსილებას, მის მიერ ყინულოვანი სახლებისა და კოშკების, ყინულოვანი გარემოცვის მსხვრევას და პოეტის მიერ საჭის სამოთხისკენ (სამოთხე მარიამის სახელია), მიმართვა თავისუფალი ნების ტრიუმფს გვამცნობს ლექსში „შეხედეთ, მიწა“: „... მივვარდი საჭეს ყინულთაგან თავისუფალი...“

ლექსი „მეოცნებე აფრებით“ ღმერთისუარმყოფელ ეპოქას ეხება, რასაც გვაუწყებს აგასფერის (ქრისტეს ბედისადმი გულგრილი პიროვნების) მეუფება, ქარის გაბოროტება, ბედნიერებასთან გამომშვიდობება, ნაპრალებთან შეჩერებული ხომალდი, „ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება“, ე.ი. ზეცის, რწმენის ნგრევას მიწიერი უკეთურობები – „მიწის გადაფერდება“ მოსდევს, მაგრამ პოეტი მაინც „უმძლავრესი მუსიკის“ ტყვეა, უამინდობის მიუხედავად, „კიდობნის“ თანხლებით გვევლინება.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, კიდობანი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა, ლექსიდან ნათელია მიწიერ უკეთურობაზე შეწუხებული პოეტის სევდა, მაგრამ იგი მაინც კიდობნის (ღვთისმშობლის) ერთგულია, რწმენას არ ღალატობს.

აფრა სულის ძველბერძნული სიმბოლოა, „მეოცნებე აფრა“ მეოცნებე სულია.

მშვენიერების მაძიებელი ბედუინი

პოეზია, მწერლობა მოგზაურობაა, დაუსრულებელი მოხილვა სულის, გულის, დაფარული სიხარულისა თუ ტკივილების, ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სივრცეთა საიდუმლოებებში დაუსრულებელი ხეტიალი.

ამიტომაც არის პოეტი მოგზაური, მეზღვაური, მარადი მგზავრი, აგასფერი.

გალაკტიონის ბედისწერაა „უგზო ხეტიალი“, მოგზაურობა ადამიანის სულსა, წარმოსახვასა და ოცნებებში: „გული კი გზაა და მოგზაური“. „მოგონებებიც“ სულის გემის „მოგზაურებია“.

დანტე ბრძანებდა: „ვმოგზაურობდით ადგილზე ნდომით, ერთ ადგილას შთენილნი“.

პოეტი გეოგრაფიულ განედებზე მეტად საკუთარი სულის მერიდიანებს მიელტვის და ზემოთქმულის ამხსნელია გალაკტიონის განაცხადი: „შენ თვით შენში ხარ სამუდამოდ დატყვევებული, მარტოობაა საშინელი შენი საკანი...“

„მოგზაური“ პოეტის სული მარადიული სილამაზის მხარის მიმგნებია: „მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზეა და სინარნარე, სადაც ქვეყნიდან უცხო საზღვარზე სწყდება კაცთ ოხვრა გულმოსაკლავი, სადაც იდუმალ-მარადიულზე ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (1, 106).

ჭეშმარიტი პოეტი ყოველთვის ბედუინის შემართებით, გრიგალის ძალით ხასიათდებოდა, მებრძოლის, მოსამართლის მანტია ემოსა და ხალხისთვის სუნთქვასავით იყო საჭირო, როგორც უზენაესი ნუგეში: „დავლიოთ ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი, ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი: პოეტი იყო ბედუინი და მეომარი. პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი – იყო გრიგალი, იყო შერყევა, იყო მსოფლიო ძალა-უგეში. იგი უყვარდათ, როგორც ნუგეში“(პოემა ვეფხვისა) (2, 219-221).

მიმინოსავით გაწვრთნილ სულს ხელეწიფება ბედუინის შემართებით გადალახოს ვრცელი უდაბნო, „სილაჟვარდეში მიიბრძოლოს და მიიმინოს“, სიამაყით გადახედოს განვლილ გზებს, რომლებიც ხან ხმელეთზე, ხან ზღვაზე, ხან უდაბნოში და ხშირად კი ასტრალურ სამყაროშია ბედისწერით განსაზღვრული: „გამახსენდება უდაბნო ვრცელი და სიამაყე ბედუინისა“ (მხოლოდ ბრძოლების სურვილით სავსეს“) (1, 378).

მოხეტიალე ბედუინის სიზმარი (გამონაგონი) გარდატეხას, ქართული პოეზიის ფერისცვალებას გვამცნობდა: „ტკბილ სიზმრებში მე მომესმის გარდატეხათ ხეტიალი“ (მაღალ მთაზე).

ვახტანგ ჯავახაძეს დაუფიქსირებია თავის წიგნში გალაკტიონის ერთი ჩანაწერი: „მარტოობაში იგი მყოფარი და უდაბნოში სილუეტი ბედუინისა“ (ხელნაწერი „უდაბნო“, II სათაური – „პოეტის პორტრეტი“) (3, 519).

გალაკტიონის ხეტიალს აქვს სხვა, რეალურ სივრცეში ყოფნა-გადაადგილების ასპექტები.

ვახტანგ ჯავახაძე იხსენებს:

„გალაკტიონი და ფიროსმანი“.

„თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებს ახსოვს ორი მოხეტიალე გენია, ორი მარტოსული, ორი უცნობი, უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ბავშვები: ერთი შეუცნობელი და დაუფასებელი, მეორე – აღიარებული და ტიტულოვანი და, მაინც, ორივე ერთნაირად შერისხული და დაწყევლილი.

ქუჩაში ხეტიალი უყვარდა...

ცარიელი ქუჩები იზიდავდა, ადრიანი დილის, ან გვიანი ღამის და შუაღამის ქუჩები.

ცარიელ ქუჩაში ხეტიალი ერჩია.

... ქალაქიდან გარბოდა და უკაცრიელ ქუჩებში დაეხეტებოდა. ადამიანებზე გულგატეხილი და გულაღრენილი, ზოგჯერ ცირკს, ან ზოოპარკს მიაშურებდა“ (3, 218, 227, 229-240).

ტერენტი გრანელის ბედისწერა ხეტიალი იყო: „მე ვადიდებდი ქუჩას, ხეტიალს“.

გალაკტიონი იყო „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“, ტერენტი გრანელი – „მოღლილი მგზავრი“.

ანტიკურ ეპოქაში, შუასაუკუნეებში ხეტიალი აუცილებელი იყო ინიციაციის მისაღწევად: „მოგზაურობა, ხეტიალი ანტიურ და შუასაუკუნეობრივ პოემებში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევსისა, ენეასისა, შუა საუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერსონაჟებისა“ (ზვიად გამსახურდია) (4, 304).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1990
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982
3. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, თბ., 1991
4. ზვად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991

თავი II
ჯიჯი ვიოტუოზი ლექსისა
„მე და ღამის“ სახე-სიმბოლოთა შესახებ

„მე და ღამე“ იმთავითვე იქნა აღიარებული ერთ-ერთ უპოპულარეს ლექსად და ლამის გახალხურდა.

ლირიკული ნაწარმოებისადმი მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს განაპირობებდა მისი სათქმელისა და სახეების ახლებურობა.

„მე და ღამე“ „ახალი ეპოქის სული ობოლი იყო, რომლითაც გალაკტიონი გაემიჯნა... წინაპართა გავლენას“ (რევაზ თვარაძე).

ამასთან ლექსი მიახლოებაა „სალაპარაკო ენის ბუნებრივ ინტონაციასთან“ (თამაზ ჩხენკელი).

ბევრი დაწერილა ამ ნაწარმოების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში იგი სიმბოლისტურად იყო მიჩნეული მარტოობის, ხალხისაგან განაპირების, ღამესთან თანაზიარობისა და საიდუმლოების მოტივის გამო.

თვით პოეტმა ერთ-ერთ მოგონებაში „მე და ღამის“ საიდუმლო რევოლუციას დაუკავშირა. არსებობს სტენოგრაფიული ჩანაწერი ამ მოგონებისა, რამაც დასაბამი მისცა ლექსის ახლებურ ინტერპრეტაციას – (მე და ღამის გენეზისათვის) (1,256-270).

მაგრამ არავინ იცის, პოეტის ეს ნაამბობი ლექსის პირველწყაროს შეგნებული მისტიფიცირებაა, მიუღებელი კრიტიკისადმი ირონია თუ მართლაც შეულამაზებელი ჭეშმარიტება. თუმცა ვფიქრობთ, უფრო არსებითი მაინც ისაა, რაც იკითხება ლექსში მის სახე-ცნებათა გათვალისწინებით.

ლიტერატურის ისტორიაში მრავალი მაგალითია ცნობილი, როცა პოეტები შემოქმედებით დამოკიდებულებას იჩენენ პირველწყაროებისადმი და სრულიად ახლებურ გააზრებას აძლევენ რეალურ ფაქტს (ნ. ბარათაშვილის „მერანი“, თვით გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“, „ორი ზარი“, „სილაჟვარდე“ და სხვა).

როგორც ყველა ჭეშმარიტი შედევრი, ვფიქრობთ, „მე და ღამეც“ ქმნის განსხვავებული წაკითხვის საშუალებას.

ლექსი მკითხველს კარგად აგრძნობინებს პოეტის ურთულეს „მეს,“ ფაქიზი სულის ღაღადისს, ბუნებასთან თანაზიარობას, შთაგონებული წუთების ამაღლებულობას, საიდუმლოების, იდუმალების ხიბლს.

ნაწარმოებში ავტორი წარმოგვიდგა მეგობრებისაგან გაუცხოებული, სიყვარულისა და ცხოვრებისეული სიამტკბილობისადმი გულგრილი, თეთრ ღამესთან ფიქრგანდობილი.

„მე და ღამეში“ პოეტმა შემოქმედის ფსიქოლოგიასთან მიგვაახლოვა.

„გალაკტიონის შემოქმედებაში არაერთხელ არის გაცხადებული პოეტის ტანჯვა, მისი სულის ტრაგედია... ის გატეხილი სულის სევდა არ გახლავთ, ის დიდი სულის სევდაა“ (2,416).

ნათელი, სადა სტილი, პირველი პირით მეტყველება გასაოცარ ინტიმს ქმნის, გალაკტიონი სათაურშივე გვპირდება თავისი ამაღლებული სულის გადმოშლას, მაგრამ უმთავრესი სათქმელი გაიდუმალებულია მაინც.

ლექსში რამდენიმე აზრობრივი აქცენტის მატარებელი სახე უნდა გამოიყოს,

პოეტის ჩანაფიქრის გახსნასთან რომ მიგვაახლოვებს. ესენია: მთავარიანი შუაღამე, რომელიც „იწვის, დნება“, „სიო“, „ველთა ზღაპარი“, „ლურჯი სვეტები“, „საიდუმლო შუქი“.

„მე და ღამე“ აღსარებაა ლირიკული პერსონაჟისა, რომლის სულშიც მთვარიანი ღამისა და შემოქმედის იდუმალებაა დასადგურებული.

საერთოდ, ღამეს მრავალნაირი გააზრება ეძლევა გალაკტიონის პოეზიაში, ერთი მხრივ, შუაღამე შავზე შავი, ყრუ ღამისთევები, ღამე ბნელზე ბნელი, როგორც ბელზებელი, ღამე უვნებო და ურიჟრაჟო, უეცრად შემკრთალ შუაღამის მღვრიე მტევანი, ღამე მარტოობის მტევნის დახურული, ღამის ღამე, გამწარებული ხმა შუაღამის, წყეული ღამე – სულიერ შეჭირვებასთან არის დაკავშირებული.

ამ მაგალითების პარალელურად, ფიგურირებს „ღამის ნათელი, ღამის სიცილი, შუაღამის ჟამთა სიალე, „ღამე – რაღაც მზიანი“, „ღამემ სულში ჩაიხედა“, რაც შთაგონებულობას უსვამს ხაზს. ღამე ნათელია, მზიანია შთაგონების ძალით, მუზის მოვლინება ამზიანებს სულის სიბნელეს.

ღამის კულტი რომანტიკოსებმა შექმნეს.

ნოვალისის „ცისფერი ღამე“ ვარიაციებით მრავალი პოეტის შემოქმედებაში გადავიდა.

„მე და ღამის“ შუაღამე გრძნებით იწვის, შთაგონებული პოეტი ამ დროს ქმნის თავის განუმეორებელ სტრიქონებს და ეს აწმყო დრო – განსაკუთრებულად ექსპრესიულს ხდის მეტყველებას: „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება, სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“ (3,48).

მთვარიან ღამეში არემარეს ვერცხლის საბანი ეფინება, სიოს ქროლვაზე კი პოეტის სარკმლის წინ ტოკავს იასამანი: „მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს, სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს“.

უმეგობრო, მარტოობის სავანეში დასადგურებულ პოეტს მხოლოდ ღამე ეგულება თავისი ყველა საიდუმლოს გამგებად: „მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ, იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ“.

რაკი პოეტის ობლობისა და წამების მოწმე მხოლოდ ღამეა, იგი განუყრელია ლირიკული გმირის სულისაგან და ეს თანაზიარობა პრინციპის რანგშია აყვანილი, გაფეტიშებულია: „იცის – როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე, ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე“.

ირგვლივ ყველაფერი იდუმალია, ცას გრძნეული „ლურჯი სვეტები“ სერავს და აშკარაა ამ სვეტებისა და ლექსის რითმების კავშირი: „ცა მტრედისფერ ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი, ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით რითმებით ეს წერილი“.

არემარეს საიდუმლო შუქი ეფინება. ეს შუქი და პოეტის გული ერთნაირად სავსეა გრძნობებით: „საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული, ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული“.

გარემოს „საიდუმლო შუქის“ პარალელურად პოეტის სულშიც გაუმჟღავნებელი საიდუმლო და გაუნელებელი ნაღველია სამუდამოდ ჩასახლებული: „დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ, არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ. რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული, ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული“.

ეს საიდუმლო ისე ღრმადაა გამჯდარი ლექსის ლირიკული გმირის არსებაში და ისე ძვირფასია, რომ ცხოვრებისეული სიამტკბილობაც („წუთი წუთზე უამესი“), ქალის სიყვარულიც და ღვინით სავსე თასიც უძლურია მოსტაცოს პოეტის გულისყუ-

რი „გულის ბნელ სიღრმეში“ სამუდამოდ ფარდააფარებულ საიდუმლოს.

ღრმააზროვანი სიმბოლოა ლექსის გრძნეულების მაცნე „ლურჯი სვეტები“.

გალაკტიონის „ლურჯი სვეტი“ გვესახება ვარიაციად „ნათლის სვეტისა“, რომელიც ლიტერატურულ სიცოცხლეს ბიბლიიდან იწყებს. ბიბლიურ მოსეს, როგორც ღვთისგან რჩეულს, ნათლის სვეტი ადგას თავზე, როცა უზენაესი ეცხადება. ხოლო ნათლის რქები, რომლითაც გამოსახა მოსე მიქელანჯელომ, მისი წმინდანობის ნიშანია.

ბიბლიაშივეა ფიქსირებული ღრუბლისა და ცეცხლის სვეტი, რომლითაც მოსეს და მის ხალხს წინ უძღოდა ღმერთი: „ხოლო ღმერთი უძღოდა მათ დღისი უკუე სუეტითა ღრუბლისათა, ჩუენებად მათდა გზასა, ხოლო ღამე სუეტითა ცეცხლისათა“ (გამოსლვათა 13,21,22) (4,73).

პლატონის „ნათლის სვეტი“ „ზეცის კვანძია“: „ისეთ ადგილას მისვლა, სადაც ზემოდან ჩანს მთელი ზეცისა და დედამიწის წიაღით გარდაფენილი სხივი სინათლისა, თითქოს სვეტი ყოფილიყოს ცისარტყელას მსგავსი, უფრო კაშკაშა და წმინდა და იქ, იმ ნათლის სვეტის შუაში დაინახეს... ზეცის კვანძი“ (სახელმწიფო, 1,61,6).

ნეოპლატონიზმის „ნათლის სვეტი“ არის „სხეულებრივი, უძრავი, განუყოფელი, ყველაფრის შემცველი ადგილი უნივერსუმში“ (ფილოსოფოსი პროკლისი).

მანიქეიზმის მიხედვით, ნათლის სვეტით ნათელი არსებანი მთვარისკენ მიიწევენ.

გადმოცემით, სინათლიანი ანუ განწმენდილნი სულნი მთვარეზე და მზეზე ასვლის შემდეგ გროვდებიან „დიდების სვეტზე“ (5,34).

დანტეს „ნათლის სვეტი“ ვერგილიუსთან მიმართებაშია ნახმარი, როგორც პოეტური სიდიადის სიმბოლო: „შენ ვირგილიუს უნდა იყვე, დაუშრეტელი დასაბამი ენამზეობის, სხვა პოეტების ნათლის სვეტო და სიამაყევ“ (6,51).

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისე არეოპაგელია „ნათლის სვეტი“.

ნათლის სვეტით დიონისე არეოპაგელს ღმერთი ეცხადება: „ნათელმან ნათლისმან ღმრთისა სიტყუამან ნათლის სუეტით ნათლად გეზრახა, ბრძენო“ (7,189).

ჰიმნოგრაფიამ ნათლის სვეტი წმინდანებს დაუკავშირა. უცნობი ავტორი ნინოს უწოდებს ნათლის სვეტს: „შენ ხარ მოძღვარ ქართლისაი, სვეტი ნათლისაი, ცვარი ღრუბლისაი, მზრდელი სულისაი, მასწავლელ სიხარულისაი“ (7,172).

„ქართლის ცხოვრებაში“ სვეტი ნათლისა ღმერთის გამოცხადების მაცნეა: „რამეთუ სვეტი ნათლისა წინ უძღოდა მათ“ (8,162).

„ნინოს ცხოვრებაში“ ქართლის მოქცევის შემდეგ დანახული ნათლის სვეტი არის ქრისტე.

ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუეტის ცხოველისანი“ ნათლის სვეტს ქრისტესა და მარიამს უკავშირებს.

„წმინდა სვეტი“ ქრისტე ღმერთის სიმბოლოა შემდეგ კონტექსტში: „სუეტო, ყოვლად წმინდაო, ნათელო ბრწყინვალეო და მზეო დაუვალო, რომელი ჰნათობ სულსა და გონებასა შინა მორწმუნეთასა“ (236) (9,539).

მარიამ ღვთისმშობელია ადრესატი შემდეგის სახისა: „სუეტად ნათლისად ყოვლად ბრწყინვალედ ქადაგებულო... ღმრთისა დედაო, მეოხ გუეყავ ჩუენ“ (10,489,502).

იოანე მინჩხი მიმართავს ღვთისმეტყველთ: „თქუენ ხართ სუეტნი სულიერნი“.

ბასილი საბაწმინდელთან წმინდანია „ნათლის სვეტი“.

იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ თამარ მეფეს ეწოდება „სვეტი სჯულისა“, „ცნობის სვეტი“, „ახოვნების სვეტი“ (10,502).

გალაკტიონის პოეზიაში ახლებური გაგება ეძლევა ამ ცნებას.

ნათლის სვეტი სილამაზის სიმბოლოა ლექსში „შეხვედრა მთაში“: „ეს შენა ხარ – ნათლის სვეტი, ცხადი ხარ თუ მოჩვენება?“

ეს ტრადიცია მომდინარეობს „ვეფხისტყვაოსნიდან“: „რად წაჰხველ და სად დაკარგე სინათლისა ეგე სვეტი?“ ამბობს როსტევანი ავთანდილზე. პოემაში „ნათლის სვეტი“ სიხარულის გრძნობასაც ესადაგება. ტარიელის ინდოეთში დაბრუნებაზე პოემაში ნათქვამია: „ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა, მართ ვითა სვეტია“. ან: „გულსა ბნელი განმინათლდა, ზედა ლხინი ადგა სვეტად“.

„ნათლის სვეტი“ სილამაზის ხაზგასმაა თეიმურაზ I „ლეილმაჯნუნიანში“.

ეს სახე ეროვნული განახლების ნიშანია გალაკტიონის პოემაში „აკაკი წერეთელი“. „განახლება – ნათლის სვეტი“.

სხვაგან გალაკტიონის „ნათლის სვეტი“ შთაგონების მოვლინების სიხარულს მოასწავებს, მისი გაუჩინარება კი არსებობას ტრაგიზმად აქცევს: „არც სილაჟვარდე გამოჩნდა ზეცის, არც დედამიზად ქარის გოდება... აღარც ცრემლია, რომ გული დალბეს, გზად გამოშუქდეს ნათელი სვეტი“...

პოეტურ გასხივოსნებას გვაგრძნობინებს გალაკტიონი „ცეცხლის სვეტით“ ლექსში „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“

„ნათლის სვეტის“ თანხლებითაა წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში შთაგონების მომენტი: „გაჩნდება რაღაც ნათელი, გულს ჩამიდგება სვეტადა, მითრთიან გულის სიმები სიამოვნების ღმერთადა“ („როს ვუკვირდები თავის თავს“) (11,61).

აკაკი წერეთელი ალექსანდრე ჭავჭავაძეს უწოდებს „ნათლის სვეტს“: „ტკბილო პოეტო, ნათლისა სვეტო“ (ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ) (12,210-211).

გალაკტიონ ტაბიძე შთაგონებას განიცდის ისე, როგორც მორწმუნე – ღმერთის გამოცხადებას.

გალაკტიონის პოეზიაში „ნათლის სვეტის“ ვარიაციებია „მარმარილოს სვეტი“, „დაფნით შემკობილი სვეტი“, „მომავლის სვეტი“, „გვირგვინი სვეტის“, „მზის სვეტი“, „ღრუბლის სვეტი“ და სხვა... რომელთაც ახალ-ახალი ნიუანსები გააჩნიათ, მაგრამ ამჯარად მათი ანალიზი არაა ჩვენი მიზანი.

ამგვარად, „მე და ღამის“ „ლურჯი სვეტი“ მუზის გამოცხადების ნიშანია და პოეტისავე „ნათლის სვეტის“ მოდიფიცირებული სახეა.

„ლურჯ სვეტებთან“ ერთად შთაგონებულ პოეტს გონებას უსხივოსნებს, გრძნობით ავსებს „საიდუმლო შუქი“, რომელიც ეფრქვევა მთელ არემარეს: „საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული, ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული“.

გარემოს „საიდუმლო შუქთან“ ერთად ლექსში ხაზგასმულია პოეტის გულის ნაღველი და საიდუმლო, რაც შემოქმედებას უკავშირდება, რადგან გალაკტიონის თქმით, „პოეზია სამუდამო გამოცანაა“, იგი „გაუნელებელი ცეცხლია“. საერთოდ, გენიალობის სევდა, შემოქმედებითი ტკივილები გალაკტიონის არაერთ ლექსშია გამოხატული.

„საიდუმლო შუქს“ აქვს თავისი ქვეტექსტი.

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება ბუნებრივი თუ ხელოვნური, შინაგანი თუ გარეგანი, სოციალურ-ფილოსოფიური დატვირთვის მქონე თუ ფსიქოლოგიურ გან-

ცდასთან დაკავშირებული შუქი, სხივი თუ ნათელი.

ქრისტიანული სამების ცნება, რომელიც IV საუკუნეში დაკანონდა ღვთისმეტყველებაში, გულისხმობს მამაღმერთს, ძეს და სულიწმინდას. მამაღმერთის სიმბოლო მზეა, ძისა – სხივი, სულიწმიდისა – ნათელი.

„სამებისა და ღვთისმშობლის მისტერიაში“ ლუდვიგ ფოიერბახი შუქს უწოდებს მამას, ამასთან შუქს მიიჩნევს აგრეთვე „ძის პრედიკატად“ (13,109).

ტიტე მოსიას დაკვირვებით, დავით გურამიშვილის მიერ სამება მოაზრებულია მზის, სხივისა და ნათლის ასპექტში... მზეთა მზის სხივი კი – ქრისტეს სიმბოლოა (14,70).

„ქართლის ცხოვრებაში“ ღმერთი მზის შუქით ეცხადება ფარნავაზს, როცა იმდროინდელი საქართველო გასაჭირშია (15,21).

ცნობილია, ბიბლიაში ღმერთი სიჩუმეში ევლინება ზნეობრივად განწმენდილ ადამიანებს გრიალით, ქუხილით და სხივ-შუქით.

გალაკტიონის ლექსში „აკაკის ლანდი“ აკაკი წერეთლის გამოცხადებას წინ უსწრებს სიჩუმე, უეცარი გრიალი, ქუხილი და „საიდუმლო შუქი“.

ხოლო „მარმარილოში“ პოეტს სხივზე ევლინება ყრმა დიონისე: „რომ შენს სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე“...

გალაკტიონის პოეზიაში არის „წმინდა ცის“ შუქიც, ღვთაებრივი, წმინდა ნათელიც, „ახალი სხივიც“ (გრძნობათა ფერფლი, ავე მარია, ქალაქთა ბნელთა).

გალაკტიონის შემოქმედი „ახალი ღმერთია“ და იგი „შუქმოსილია“ („გამძლეობა“).

პოეტი საკუთარი სიდიადის განცდას ასე გამოხატავს: „შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (ცისფერი).

სხვაგან გვხიბლავს პოეტის „შუქმოსილი ბრწყინვალება“, მისი გამორჩეული შემოქმედების შუქი, და, რაც არანაკლებ მთავარია, ზეშთაგონების სტუმრობას იგი განიცდის, როგორც ღვთაებრივი შუქის მოფრქვევას, ზეციურ გასხივოსნებას.

ასეთივე გაგებისაა გალაკტიონის „დიდებული სხივი“, „პირველი სხივი“, „შუქთა კამარა“, „ელვათა შუქი“.

„ლურჯი სვეტები“ და „საიდუმლო შუქი“ „მე და ღამის“ ჩანაფიქრის უმთავრესი გასაღებია, უმეტესად მათი თანხლებით ფიგურირებს გალაკტიონის ლექსებში შთაგონება.

ცალკე ინტერესს აღძრავს საანალიზო ლექსის ფრაზა – „სიო სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება“.

ჩვენის დაკვირვებით, სიოს, ნიავს შთაგონების მომნიჭებელი სულიწმიდის გაგებაც ახლავს გალაკტიონის ლირიკაში (გავიხსენოთ ძველი ქართული მწერლობის ტრადიცია, კერძოდ გიორგი მერჩულეს განცხადება გრიგოლ ხანძთელის საგალობლების სულიწმიდის ნაკარნახევად გამოცხადების შესახებ).

სულიწმიდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს. სულიწმიდის კარნახით იქმნებოდა ბასილი დიდის ჰომილიები, სულიწმიდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმისა და ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

სულიწმიდის მიერ მონიჭებული მადლით ჭვრეტდნენ ღვთაებრივ საიდუმლოს წინასწარმეტყველნი, რადგან ნიჭთა და მადლთა გამნაწილებელი სულიწმიდაა.

იდუმალია გალაკტიონის უჩინარი ქარი: „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი

შრიალი საიდან არი, ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი“ (ისევ ეფემერა) (3, 229).

ქარში ვერხვის ფოთლები უშორეს ზღაპარს შრიალებენ: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფრენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აწრიალდება უშორეს ზღაპრად“ (ვერხვები) (3,49).

ზღაპარი, სიზმარი პოეტური გამონაგონის, ფანტაზიის სიმბოლოა გალაკტიონის შემოქმედებაში და ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ასეთი კონტექსტის ქარი, ნიავი და სიო შთაგონებასთანაა დაკავშირებული.

ალბათ, ამიტომ არის ასეთი გამძაფრებული მოლოდინი სიზმრისა და შორეული ქარებისა: „თითქოს ფენობა ზურმუხტის რტოთა, ცის დასავლამდე უსიზმროდ მდგარი, უსმენდა ჩანგებს და მოელოდა. შორს, ძალიან შორს მოჩანდა ქარი, მე შენ გკოცნიდი და გული თრთოდა. ზღვა იყო წყნარი“ (ქარი მოგონებათა).

გვაოცებენ და იდუმალებას გვაგრძნობინებენ „მზერადიადი სიონი“ „ის ერთი შეხება ნიავის“, „წუთების ქარი“, „ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით“, „უხილავი ძალა... და ქარიშხლის აზუზუნება“.

აშკარაა შთაგონებისა და ქარის ქროლვის კავშირი.

ჯერ კიდევ ინდოელთა ფილოსოფიაში ქარი ოთხი მთავარი ელემენტის შემადგენელი ნაწილი იყო მიწასა, წყალსა და ცეცხლთან ერთად.

ქარი სულის სიმბოლოც იყო, იგი ყველგან ქროლვისა და ბერვის სახით მოიაზრებოდა.

ზეცით მონაბერ სულზეა ლაპარაკი „შესაქმეში“, „ვეფხისტყაოსანში“.

„ბერვა“, „მობერვა“, „შთაბერვა“ სულიწმიდას უკავშირდება ღვთისმეტყველებაში.

„სულიწმიდა... არის სული, რომელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოველივეს აძლევს ნათელს და ცხოვრებას“ (გრიგოლ ნაზიანზელი).

„მოციქულთა საქმეში“ სულიწმიდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან“ (შდრ. გალაკტიონი: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფრენს აფრად ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“).

ახალ აღთქმაში ქრისტემ მოწაფეებს „შეჰბერა და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაო“ (იოანე, 20, 22) (16,225).

დიონისე არეოპაგელთან იხსენიება „საღმრთო მობერვა“, „მღვდელმთავრობითი მობერვა“, „უჟამოდ მობერვა“ („შრომები“) (17,147,25).

„იოანეს სახარებაში“ ლაპარაკია „სულიწმიდის ქროლვაზე“.

ჰიმნოგრაფიაში „საღმრთო ნიავის“ მობერვა იქცევს ყურადღებას: „ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებათაითა განჰბრწყინდი შენ, სანატრელო, ბრწყინვალებითა სულისა წმიდისაითა და მომბერენ ჩუენ ნიავთა საღმრთოისა მადლისაითა სწავლანი სულიერნი და შესცვალენ ცნობანი სულელნი სიბრძნედ, ნეტარო და უმეცრებისა ბნელი განაქარვე“. ეს „საღმრთო ნიავი“ სულიწმიდაა (9,508).

„სულიწმიდა მოჰმადლებს ადამიანებს სიყვარულს, მიჯნურობას, სულიწმიდის მადლი იწვევს აგრეთვე კათარზისს, ცოდვათა შემსუბუქებას“ (18,64).

სულიწმიდა ჰაერთან შეზავებულად წარმოიდგინება ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგოსნებში“: „შაშვმა რომ გალობა გაათავა, ტყემ, დაბლა ყვავილებით მორთულმა მწვანე ბალახმა, გორაკებმა და იმ სულმა წმინდამ, ჰაერთან ერთად შეზავებულმა,

შაშვს მადლობა გადაუხადა“.

ბულბულის გალობას სულიწმიდად უქცევია გარემოც, თვითვე მას შეერთებია: „ბულბულის მშვენიერი, ტკბილი გალობა სულიწმიდად ჰქმნიდა მთელ ბუნებას თავისი ცითა და დედამიწით“...

თუკი სულიწმიდის მოვლინება ნიავის, ქარის ქროლვის ასოციაციას ქმნის, ჩვეულებრივი გაგებით არ შეიძლება წავიკითხოთ გალაკტიონის ეს სტრიქონები: „ის ერთი, ის ერთი შეხება ნიავის, მე მსგავსი არასდროს მხლებია...“ ეს მშობლიური ქვეყნის ნიავთან შეხების სიხარულიცაა და შთაგონებისაც, გრძნეულ სიტყვებს რომ ათქმევინებს პოეტს: „გემიდან მშობლიურ მთების სიიავეს შევხედე და ვიგრძენ: მგზნებია; გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? – ეს ჩემი სამშობლოს მთებია!“

„არსებობის ხესთან“ დაკავშირებული „ნიავთა წუთიც“ არ არის ერთმნიშვნელოვანი: „ასე: მარადის არსებობის ხეს არხევს ნიავთა წუთიც, წამიცა“.

„წუთების ქარი“, რომლისთვისაც პოეტს არ ენანება არაფერი, შეიძლება სწორედ სულიწმიდა-შთაგონების კატეგორიად მივიჩნიოთ: „და ამ წუთების ქარში მრავალში ვინ დაინანოს გზანი, ჰუნენი? აქ წარსულშიაც და მომავალშიც შეჩერდებიან საუკუნენი“ (მე ლაჟვარდიდან).

იდუმალ შინაარსს იძენს ზენიტის ალვა და ზღვის ნიავქარი ერთ ლექსში: „ჰორიზონტიდან ზენიტამდე ალვის მწვერვალებს წაუჩურჩულებს შენსა სახელს ზღვის ნიავქარი და ეს სახელი დასწვავს ზეცის მიბნედილ თვალებს“ (ჰორიზონტიდან ზენიტამდე).

ასევე დაკავშირებულია ერთმანეთთან ნიავი და ფიქრთა ნავი: „ამ შემოდგომის გზათა სიავით ხევში მიმოქრის ნელი ნიავი, – ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით“ (ამ შემოდგომის).

უსათაურო ლექსში „ნიავი, ია, ნარგიზი“ პოეტი გამოგვეცხადა „დილის ძედ“, რომელსაც ნიავის იდუმალი ხმა ათასწლეულების უკვდავებას ანიჭებს და „ნიავი“ იგივე შთაგონებაა, სულიწმიდის სახით მოვლინებული.

„მშვიდობის წიგნში“ ზამთრისა და სიოს დაპირისპირებაა, რომელშიც სიო ეროვნული სულის, თავისუფლების, ერის მარადიული საზრისის სიმბოლოა: „მშვიდად მეგულვის ჩემი სამშობლო, ზამთარო, ასე გულის დამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (19,131).

ეს სასიცოცხლო სიო, შემოქმედების უჩინარი ქარები, სინათლის, სრულყოფის მაუწყებელი ნიავი უბერავს გალაკტიონის ლექსებიდან.

პოეზიის „ახალი ღმერთის“ ლექსებით თაობები ეზიარებიან სულიწმიდას, როგორც ბიბლიური ქრისტე შთაბერავდა სულიწმიდას თავის მოწაფეებს.

თვით გალაკტიონი კი აკაკი წერეთლის არსებაში გრძნობდა სულიწმიდას.

ზღაპარს მრავალგვარი გააზრება აქვს გალაკტიონის პოეზიაში.

ზღაპარი თავისუფლების სიმბოლოა („თავისუფალი, როგორც ზღაპარი“), ზღაპრულია თავისი სიდიადით თვით გალაკტიონის პოეზია („მთა და ბარი მე მისმენდა და მე ვიყავ მთის ზღაპარი“). ერთ-ერთი გაგების მიხედვით კი, „ოქროს ზღაპარი“, „შორეული ქალის ზღაპარი“, „მომაკვდავ გედის ზღაპარი“ პოეტური გამონაგონის სიმბოლოა.

„მე და ღამის“ „ველთა ზღაპარი“, „სიო“ რომ უყვება პოეტს, შემოქმედებით ფანტაზიაზე, ნაგრძნობ-ნაფიქრზე მინიშნებაა.

სულ მოკლედ რომ შევაჯამოთ ის, რაც ზევით ითქვა, „მე და ღამე“ შთაგონებული პოეტის სულის გადმოშლაა, მინიშნებაა შემოქმედების პროცესის სირთულესა და სიმძიმეზე, მინიშნება იმისა, რომ პოეტის სული „განუჭვრეტელი ტევრია“... ლექსში მთვარიან ღამეში მოვლინებული მუზის იდუმალი ჩურჩულია პოეტთან, შთაგონების მაცნე კი „სიო“, „ლურჯი სვეტები“ და „საიდუმლო შუქია“. პოეტური ნიჭი გაუნელებელი ნაღველია, შემოქმედების წამებში განცდილ ტკივილებს მეგობრებიც ვერ გაიგებენ, ნამდვილ ხელოვანს კი ქალის სიყვარულზე, მეგობრობაზე, ღვინის თასზე მეტად პოეზიის დემონი აწვალებს. ჭეშმარიტი შემოქმედი ნებაყოფლობითი ზვარაკია, სულით ობლობის გზით გაივლის იგი გზას გოლგოთიდან გალილეამდე.

გალაკტიონის რანგის პოეტის ზეცამდე ამაღლებული სული თავიდანვეა განწირული ობლობისათვის, მარტოობისათვის, რადგან გენიალობა განუმეორებლობის, ერთადერთობის სიდიადე და ტკივილებია ერთდროულად („ვწუხვარ, ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია ჩემი გზა“...).

შთაგონების პროცესი სიმბოლურად „ლურჯი სვეტების“, „საიდუმლო შუქის“ ანუ ღმერთის მოვლინების ტოლფასია, შთაგონების განცდა კი სულიწმიდის ქროლვას ჰგავს. საერთოდ, პოეტის სული ღამეა შეუცნობლობის გამო, მაგრამ არა ბნელი, არამედ „მთვარიანი და მზიანი ღამე“.

გალაკტიონი ამოდის ბიბლიურ-რელიგიური ცნებიდან და ესთეტიკური ფენომენის შეგრძნება-გაცნობიერებას აღწევს.

ამ (და სხვა ანალოგიურ) სახე-ცნებათა იგნორირებით (ასეთები კი მრავალია მის ლექსებში) არათუ გავაღარიბებთ გალაკტიონის პოეზიას, მის ამაღლებულ მხატვრულ სამყაროს, ლექსის ჩანაფიქრთან მიახლოებასაც ვერ შევძლებთ.

გალაკტიონი პოეზიის „ბნელი სატანაა“ (ბნელი სიმბოლურად, თავისი შეუცნობლობის გამო), რომელიც სიკეთეს, სინათლეს, სიბრძნეს ასხივებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ბოლომდე მიუწვდომელია მაინც, როგორც „მე და ღამის“ „მე“, „ღამე“, როგორც „მზიანი ღამე“.

ლიტერატურა

1. აკაკი თოფურია, ლიტერატურული წერილები, თბ. 1972
2. ჯანსუღ ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ. 1983
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
5. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941
7. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1982
8. ქართლის ცხოვრება, II
9. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1960
10. ჩვენი საუნჯე, ტ. II, თბ. 1961
11. ვაჟა ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1986
12. აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ. I,თბ. 2012
13. ლუდვიგ ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ. 1956
14. ტიტე მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ. 1986

15. ქართლის ცხოვრება, I.
16. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
17. დიონისე არეოპაგელი, შრომები, თბ. 1961
18. ზვიად გამსახურდია „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, „მაცნე“, №4,1987
19. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 12, თბ. 1975

„მთაწმინდის მთვარე“

გ. ტაბიძე შემოქმედების ადრეულ საფეხურზევე განუდგა რეალიზმის ეპიგონების პოეტურ ტრაფარეტს და შექმნა „ახალი სტილი“, რომელიც კლასიკური ხელოვნების ტრადიციებთან, სოციალურ და ეროვნულ პრობლემებთან, ხალხურ პოეზიასთან, მსოფლიო პოეზიის უახლეს მიღწევებთან იყო დაკავშირებული და ითავსებდა რომანტიზმს, როგორც „ხელოვნების ერთ უმთავრეს თვისებას“.

გალაკტიონმა არ გაიზიარა დეკადენტური სიმბოლიზმის იდეური კრედო, მაგრამ ახალი თვისობრივი პოეტური სამყაროს შექმნისათვის შემოქმედებითად გამოიყენა მისი ზოგიერთი ესთეტიკური პრინციპი ისე, რომ მხატვრული ფორმისადმი ინტერესთან ერთად, არ დაუკარგავს მაღალიდეურობა.

ამ სიახლის მაუწყებელია მისი ერთ-ერთი ადრეული შედევრი „მთაწმინდის მთვარე“, რომელიც სრულიად განსხვავებულია ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშებისაგან სტილისა და პრობლემების გააზრება-გადაწყვეტითაც. ლექსი ნიმუშია ზოგი სიმბოლისტური პრინციპის პოზიტიური მსოფლმხედველობის სამსახურში ჩაყენებისა.

ადრეულ ეტაპზე აშკარაა გალაკტიონის ინტერესი სიმბოლისტური პოეზიისადმი, მაგრამ მისი დამოკიდებულება ფრანგული სიმბოლიზმისადმი ეპიგონური როდი იყო. ამას ადასტურებს თუნდაც ის „კორექტივი“, რომელიც მან თავისი ლექსის დასათაურებაში შეიტანა: შევადაროთ პოლ ვერლენის „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ და გალაკტიონის „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“.

გალაკტიონს არ უარუყვია ლექსის მუსიკალობის მოთხოვნა, მაგრამ მას მუსიკა და აზრი არასოდეს გაუთიშავს ერთმანეთისაგან – „განა აზრი მუსიკა არ არის?“ – ამბობდა პოეტი (1,32).

ქართველი პოეტი ეროვნული კლასიკური პოეზიის მაგისტრალურ ხაზს მიჰყვება – ხალხის იდეალებისადმი ერთგულება, სოციალური პრობლემებისადმი ინტერესი, პატრიოტიზმი, ბრძოლისუნარიანობა აშკარადაა მის ადრეულ ლექსებშივე გამოვლენილი. გალაკტიონი პოეზიას მჭიდროდ უკავშირებს ეთიკის სფეროს: „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა“, მოუწოდებს ჭეშმარიტი ხელოვნების მსახურთ.

„მთაწმინდის მთვარე“ ისეთი პოეტური შედევრია, რომელიც სხვადასხვაგვარი წაკითხვის საფუძველს იძლევა.

თვით გალაკტიონ ტაბიძე ამ ლექსს საპროგრამოდ მიიჩნევდა და წუხდა, სათანადოდ გაანალიზებული არ არისო: „ეს ლექსი („მთაწმინდის მთვარე“) მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკმარისად შესწავლილი არ არის როგორც

ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემი შემოქმედებისა“ (საკუთარი ლექსების შესახებ) (2, 151).

სიკვდილ-სიცოცხლის, სიკვდილისა და ხელოვნების პრობლემების გასააზრებლად ლექსში გენიალური მიგნებით შერჩეულია მთაწმინდის ფონი და დახატულია მომაჯადოებლად. მხოლოდ ბუნების უდიდეს მესაიდუმლეს შეეძლო ასე ორიგინალურად, ახლებურად ეგრძნობინებინა მრავალგზის ინტერესის საგნად ქცეული წმინდა მთის იდუმალება და მის გარემოში გაღვიძებული პოეზიის ფეთქვა:

„ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი,
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოჩანს მტკვარი და მეტეხი, თეთრად მოელვარე...
ოჰ, არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!“ (3,66-68)

ლექსის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია ბუნების რომანტიკული განცდა.

წმინდა რომანტიკული აღმაფრენით, მოწიწებით, სიფაქიზით დანახულ გარემოში მეფური ძილით განისვენებენ ქართული პოეზიის კორიფეები: ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი. ლექსის უმთავრესი პრობლემა სწორედ სულიერი კავშირია წინამორბედებთან (4,402).

მათ სავანესთან სიახლოვე უფრო ამძაფრებს გალაკტიონის სურვილს, სიცოცხლესთან ერთად, პოეზიას შესწიროს ყველაფერი ამქვეყნიური და ჩასწვდეს ბუნებისა და სამყაროს საიდუმლოებას, გვაგრძნობინოს შემოქმედების მარადიულობა, ლურჯი ოცნების სახეში განხორციელებული მშვენიერება:

„და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები.
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს“...

პოეტი ხელშესახებად გრძნობს სიკვდილის იავარმქმნელ ძალას. სიკვდილს სახე უცვლია ყველაფრისთვის, არაფრად ჩაუგდია თვით შემოქმედთა სიამაყე. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო ტრაგიზმით გულგასენილიყო პოეტი. მაგრამ ლექსში ტრადიციული ლოგიკა ირღვევა, რადგან აქცენტი შემოქმედის სიკვდილზეა. პოეტის ძლევამოსილი სული მიემართება „ლურჯი ოცნების“ მშვენიერი გზით და ეს პოეტური არსებობა იმდენად დიადია, რომ თვით სიკვდილის აქტსაც კი აუფასურებს, მის საშინელებასაც ანელებს, შავი სიკვდილის წყვდიადსაც ავარდისფერებს, რადგან სიკვდილი ხელოვანთა მხოლოდ ფიზიკურ არსებობას ემუქრება და არა სულიერ ფენომენს:

„თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისათვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა,
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ აჩრდილნო, მე თქვენს ახლოს სიკვდილს ვეგებები,

რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“...

აქ ერთი შეხედვით წინააღმდეგობაა, თუკი სიკვდილის გზაზე მგოსანთა სითამამე დაუჯერებელია, ფუჭია, ზღაპარია, თუკი სიკვდილის ყოვლისშემმუსვრელი ძალა არაფრად აგდებს პოეტთა სიამაყეს, როგორაა სიკვდილის გზა ვარდისფერი? საქმე ისაა, რომ აქ უბრალო მოკვდავი კი არა, შემოქმედია ყურადღების ცენტრში. მართალია, ხელოვანი უძლურია ფიზიკური მარადიულობის შენარჩუნებაში, მაგრამ მაინც ამარცხებს სიკვდილს, უკვდავი ფენომენის – ხელოვნების საშუალებით.

ლექსში სიკვდილ-სიცოცხლის დიალექტიკაა გააზრებული, სიკვდილის გარდუვალობაა ხაზგასმული და ტრაგიზმის გრძნობა მაინც დაძლეულია ხელოვნების ყოვლისშემძლეობით.

პოეტის ჩანაწერში – „საკუთარი ლექსების შესახებ“ – ვკითხულობთ: „იალქნები ზღვაზე“, სულიც აღზრდილია ამ ზღვაზე, ცხოვრების ზღვაზე... რომელზედაც, ლურჯი იალქნების გზა მიდის, თვით სიკვდილის გზაც კი ვარდისფერია და არა საშინელი, საშიშარი... რომ ამ გზაზე (სწორედ ვარდისფერ გზაზე) მგოსანთა სითამამე, გაბედული ხმა არის სინამდვილეზე უფრო მეტი სინამდვილე – ჰიპერბოლური, ზღაპრული, „რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“ (2,151).

ცხოვრების ქარტეხილებთან სისხლხორცეულმა კავშირმა, „ლურჯ ოცნებასთან“ წილნაყარობამ მიანიჭა პოეტს საოცარი გამბედაობა და თავისუფლება, რაც გენიის უპირველესი ნიშანია და რაც ეპოქის აუცილებლობათა შეცნობით, სინამდვილის მეცნიერული განჭვრეტით მიიღწევა. გალაკტიონის იდეალია „გამბედაობის დიდი გენია“, „სიტყვის გაბედული სილამაზე“, „უკვდავი სულის თავისუფლება და სითამამე“, მაგრამ, ამავე დროს, მისთვის მთავარია „კეთილშობილება თავისუფლების გრძნობაში“, რაც განასხვავებს ქართველ პოეტს დეკადენტი სიმბოლისტებისაგან.

ლექსში გვხვდება ზოგი ისეთი აქსესუარი, რაც მას სიმბოლიზმთან აახლოებს.

ცნობილია, რომ სიმბოლისტები სიკვდილს უცქეროდნენ, როგორც ტანჯვისაგან განთავისუფლებას და ამიტომ იქცეოდა იგი ესთეტიკურ ფენომენად. ამიტომ წარმოადგენენ სიკვდილს ფერებში. არტურ რემბოსთან იგი ლურჯია, ედგარ პოსთან – წითელი, ალექსანდრ ბლოკთან – ცისფერი, ვალერი ბრიუსოვთან – თეთრი, სტეფან მალარმესთან – მზისფერი, ხან – წითელი, ტერენტი გრანელთან – ცისფერი.

გალაკტიონის ლექსში კი სიკვდილის ვარდისფერობას ქმნის არსებობის პოზიტიური შინაარსი – ხელოვნება.„გალაკტიონის პოეზიაში, ამ „გამოუცნობი ქიმერებით“ მოცულ ხანაშიც კი, ტიპური არაა სიკვდილის კულტი (ვიოლეტა ცისკარიძე, ორიოდ, რჩევა) (5,32).

გალაკტიონის შემოქმედებაში სილამაზეა ის ყოვლისმომცველი ძალა, რომელიც პოეტს სიკვდილთან არიგებს (შერიგება) (6,72).

ხელოვნებით სიკვდილის დამარცხების რწმენა საერთოდ გასდევს გალაკტიონის პოეზიას: „გადავიქანებ სიკვდილს მაღლა ამართული ყელით მე, შავი გედი“ (ფოთლების ლანდი) (3,77).

პოეტს სილამაზე წარმოდგენილი აქვს, როგორც უმაღლესი და აბსოლუტური ღირებულება, მაგრამ, განსხვავებით დეკადენტებისაგან, ხელოვნების სფეროს არასოდეს თიშავს ეთიკის სფეროსაგან, სიმახინჯის ესთეტიკა მისთვის მიუფერებელია. „სუფთა სინდისი“ გალაკტიონ ტაბიძის გენიის თანმხლებია მუდამ.

იგი მიუთითებს, რომ „ქართული ხელოვნება სინთეტური მოვლენაა“. ახალი

მხატვრული სახე ითავსებს ფერწერის, მუსიკისა და პოეზიის თავისებურებებს. გალაკტიონის პოეზია ვერ წარმოიდგინება ფერწერის გარეშე.

ფერებით პოეტის გატაცებას თვითმიზნური კი არა, ჯანსაღი ხასიათი ჰქონდა, რადგან ეყრდნობოდა პოზიტიურ მსოფლმხედველობრივ საფუძველს.

„მთაწმინდის მთვარეში“ არის ზოგი ბუნებრივი – სამყაროს ფერი, ზოგიც პოეტის სუბიექტურ ხილვასთან დაკავშირებული. „მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს“. აქვეა ზამბახისფერი მთვარე – „შუქთა მკრთალი მძივით“. ამ ფონზე მტკვარი და მეტეხი „თეთრად მოელვარეა“, ხოლო „მწუხარე სასაფლაოს“ ვარდისა და გვირილების ფერები საგანგებოდ არაა მითითებული.

ოცნებასთან დაკავშირებული ფერი კი ლურჯია – „ოცნებათა ლურჯი იალქნები“. სიკვდილის სიახლოვე ფერს უცვლის „მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს“...

ამის შემდეგ მოდის იდეათა თავისუფალ ასოციაციასთან, სუბიექტურ განცდასთან დაკავშირებული ფერი – „ვარდისფერი სიკვდილი“ და ის საოცარი, ყოვლისშემძლე ფაქტორი, რომელმაც ტრადიციულად შავად გაგებული სიკვდილი ვარდისფრად აქცია, ხელოვნებაა, პოეტი-მეფის ჭეშმარიტი რწმენა, რომ სიმღერითა და თვითგაღებით, საუკუნეობრივი ღირებულების შექმნით შესაძლებელია სიკვდილის დამარცხება.

გალაკტიონისათვის საერთოდ იყო ნიშანდობლივი სიკვდილისა და ხელოვნების დაპირისპირება. მისი მეორე კრებულის სახელწოდებაა „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“, იგულისხმება“ თავის ქალა (სიკვდილი), არტისტული ყვავილები (ხელოვნება), სიკვდილი და ხელოვნება. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? რა თქმა უნდა, ხელოვნებამ“. პოეტი სვამს კითხვას და თვითვე პასუხობს: „რა არის ხელოვნება? ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახური. ამ საკითხზე სწერდნენ ჩვენი კლასიკოსები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ასე მკვეთრად დაპირისპირებული სიკვდილი სიცოცხლესთან, სიკვდილი ხელოვნებასთან, სიკვდილი რევოლუციასთან“ (2,151).

ცნობილია, რომ სიმბოლისტებისათვის არსებითი იყო ყოფნის სიზმარეულობის განცდა. ლექსში ფიგურირებს სიზმრის ცნება, „მთვარის შუქზე თითქოს მსუბუქ სიზმარივით“ მოჩანს მტკვარი და მეტეხი, შემდეგ კი აქცენტირებულია „სიზმრის ფრთები“. პოეტის სურვილია თქვას:

„თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები“.

თვით პოეტი მიუთითებს, რომ ამ ფრაზაში იგულისხმება „ძალა აღმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის“.

ცხადია, ეს არაა ყოფნის სიზმარეულობის განცდა, ლექსში საგნებისა და მოვლენების სიმსუბუქეა ხაზგასმული.

მთაწმინდის გარემოში, სადაც იღვიძებს ღრმააზროვანი სათქმელი, დასადგურებულია მდუმარება, სიწყნარე. მთვარე წყნარია, ცა ჩუმია, ღამე ჩუმია. ქნარიც მდუმარებაში იძენს ვიზუალური ხილვის უნარს:

„...მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს“.

დუმილის არმურშია ყველაფერი ჩაძირული, მაგრამ ესაა ღრმააზროვანი, შემოქმედებისათვის საჭირო სიჩუმე.

ლექსი რომანტიკული მანერითაა დაწერილი. რომანტიკულობა საერთოდ გასდევს გალაკტიონის მთელ პოეზიას.

„ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი სულისათვის“ ხელოვნების საუფლოში – „ლურჯი იალქნების“ – ოცნების გზა მიდის და გალაკტიონის პოეზიის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ მასში ერთმანეთს ერწყმის რეალური და შესაძლებელი, აქ „წარსული, აწმყო და მომავალი ხელიხელგადახვეულია“. ყველაფერი მომავლისკენ მიემართება, მომავალზე ფიქრი კი „წარმტაცი და დიდებულია“.

რომანტიკოსებს უყვარდათ განსაკუთრებული, გასაოცარი, გაოცება საერთოდ ესთეტიკურის ხილვის თანმხლებია. „მთაწმინდის მთვარეში“ ხაზი ესმება მთვარის, ღამის, ცის და, საერთოდ, ყველაფრის განსაკუთრებულობას. განსაკუთრებული და ამაღლებული სათქმელი განსაკუთრებულ ემოციებს წარმოშობს პოეტში.

პროგრესულმა პოზიციებმა მისცა პოეტს შესაძლებლობა, პოზიტიურად გადაეწყვიტა უმნიშვნელოვანესი პრობლემები, კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებზე დაყრდნობით. „მთაწმინდის მთვარეში“ გალაკტიონი ეპიგონ სიმბოლისტებს სცილდება თუნდაც იმით, რომ იგი კლასიკოსებისადმი ნიჰილიზმს კი არა, პატივისცემას ავლენს.

გალაკტიონ ტაბიძე ოპოზიციურია ქართული ეპიგონური სიმბოლიზმის მიმართ, მაგრამ რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის ბევრ პრინციპს შემოქმედებითად ავითარებს (ამ შემთხვევაში ფერების, მუსიკალობის, დუმილის, ხელოვნების მარადიულობის, სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელობის).

მთაწმინდის თემაზე უწერია ნიკოლოზ ბარათაშვილს (შემოღამება მთაწმინდაზე), აკაკი წერეთელს (განთიადი). განსაკუთრებით ანალოგიებს ეძებენ ნიკოლოზ ბარათაშვილთან, მაგრამ ამ პოეტის ლექსში მთავარია ბუნების რომანტიკული განცდა. ზეციური სამყაროს საიდუმლოებათა წვდომის სურვილი, ძიება, დაუკმაყოფილებლობა, უკეთესი მომავლის ლოდინი, გალაკტიონმა კი მთაწმინდის ფონი სიკვდილ-სიცოცხლის, სიკვდილისა და ხელოვნების, კლასიკურ ხელოვნებასთან დამოკიდებულების გასააზრებლად გამოიყენა. თუ რამე არის მათში საერთო, ესაა პოზიტიური აზრი, ქართული პოეტური ენერგიის სრულყოფილი გამოვლენა. როგორც გიორგი ჯიბლაძე მიუთითებს, გალაკტიონ ტაბიძემ „მთაწმინდის მთვარეში“... თითქოს შეაერთა ბარათაშვილის ფილოსოფიური აზრისა და სილამაზის იდეალი აკაკი წერეთლის ღრმა პატრიოტულ მაჯისცემასთან“ (7,28).

„მთაწმინდის მთვარეში“ დასმული ყოფნა-არყოფნის პრობლემა („სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“) ზოგადკაცობრიულ იდეებს ეხმაურება“ (4,401).

„მთაწმინდის მთვარე“ თავიდან ბოლომდე მუსიკალურია.

„ხატოვანებისა და ემოციის სიძლიერით ეს სტრიქონები გენიალური ხელოვანების ისეთივე ჯადოსნური სუნთქვაა, როგორც ბეთხოვენის „მთვარის სონატა“, რომლის ჰანგები და გალაკტიონის პოეტური მეტყველება თანაბრად საუცხოო ჩუქურთმებს ქმნიან ღამისა და მთვარის ფონზე“ (8,13).

ღრმააზროვანია ლექსის სათაური, მასში დასმული მარადიული პრობლემა ლოკალიზებულია ეროვნული გარემოთი – მთაწმინდით. ამასთან, ფიგურირებს გლობალური მასშტაბის სიმბოლო – მთვარე, რომელიც უძველესი ღმერთია მწერლობის, პოეზიის. „მთაწმინდის მთვარეშიც“ ვლინდება გალაკტიონის შემოქმედების მთავარი თავისებურება – ლოკალურიდან წვდეს საერთო-საკაცობრიოს.

წინასწარმეტყველური გამოდგა პოეტის სიტყვები: „მე კი ჩემი დამიფარავს

მთაწმინდა“. მადლიერმა ქართველმა ხალხმა მთაწმინდის მთვარის უკვდავმყოფელს სამუდამო ადგილი მიუჩინა ქართულ პოეზიაში.

ვფიქრობთ, აუცილებელია მინიშნება ლექსის ლიტერატურულ წყაროებზე.

საყურადღებო სახეა „მთაწმინდის მთვარის“ გედი, იგი იძლევა ტრადიციებთან გალაკტიონის დამოკიდებულების გასაღებს.

ლექსი შთაგონებული ყოფილა მომაკვდავი გედის რომანსით და მას პირველ სათაურად ჰქონდა „მომაკვდავი გედის სიმღერა“ (9,36).

მთაწმინდის მთვარეში“ თვით პოეტია სიკვდილის მომლოდინე „სევდიანი გედი“, რომელიც ესწრაფის ბუნებისა და ადამიანის კავშირის გახსნას, გენიალურ სიზმარ-ოცნებათათვის ფრთების შესხმას, რადგან დარწმუნებულია, რომ სიკვდილი მხოლოდ პოეზიას ვერ დაამარცხებს.

პოეტი გედის თემა ბუნებრივად მალარმეს გედის ასოციაციას იწვევს, მაგრამ ფრანგი პოეტის გედი უდაბნოს, ყინვის, ზამთრის თეთრ გარემოშია მოქცეული. იგი სათუთი ყელით ამაოდ ებრძვის სიკვდილს და საშინელი სინამდვილის მსხვერპლია: „სათუთი ყელით ის იგერებს სიკვდილს მშვენიერს; სანატრელ სივრცეს ვერ გადასჭრის ამაყი ფრთებით და ვერ ასცდება სინამდვილეს საშინელს, ძლიერს“ (10,207).

შარლ ბოდლერს „მშვენიერებაში“ პოეტი ხან ალბატროსია, ხან კი „სფინქსია შეუცნობელი“, „თოვლის გულით და გედის სითეთრით“.

„უფანაშიდებში“ გედი სიმბოლოა მზისა, რამდენადაც ორივე – მზეცა და გედიც – გამოირჩევა სითეთრით და ძალუძთ გადაადგილება ცაზე (11,81).

მალარმეს და გალაკტიონის გედი ყელით იგერიებს სიკვდილს, მაგრამ მთავარი განსხვავება ისაა, რომ მალარმეს არ სწამს ბრძოლის შედეგი. გალაკტიონი კი დარწმუნებულია, რომ დიდი ძალისხმევით მოიპოვებს უკვდავებას: „ვიცი, ვიქნები მშვენიერი მიზნის სიძნელით, თუკი მოვედი, გადავიქანებ სიკვდილს მაღლა ამართულ ყელით მე, შავი გედი“ (პოეტი ბრბოში) (12,65).

ტერენტი გრანელის გედი სნეულია, ზამთრის, თოვლის, სიკვდილის მოლოდინით გაწამებული: „მოდის ზამთარი, თოვლი და ყინვა, თოვლის და ყინვის ცისფერი წვეთი. სნეული სახე – სიკვდილის წინ, ვარ სიკვდილის წინ ვარ მე, როგორც გედი“ (ზამთრის მოახლოება) (13,59).

ორგანული იყო პოეტი-გედის სახე გალაკტიონისთვის (ვითარცა გედი, ცხოვრებასთან, ამო ძახილი, ახალ ტალღას, ზამთრის მოტივებიდან, სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში, კოსმიური ორკესტრი, როდესაც ყველას სძინავდა, მშვიდობიანი სიმღერა დების, აქ მარმარილოს მაღალი სვეტი).

„ეპოქის გედის“, „ოცნების ბაღით დაჭრილი გედის“ ადრესატი თვითონ გალაკტიონი იყო.

„მომაკვდავი გედის ზღაპარი“, სიკვდილისა და ხელოვნების დაპირისპირების აზრით, გალაკტიონის უპირველესი თემაა: „ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის“ (რუს პოეტს).

ამ პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში გალაკტიონი „განუდგა“ ფრანგ წინაპარს – მალარმეს.

ვფიქრობთ, გალაკტიონის სიკვდილის წინ მომღერალი გედის წინამორბედი იყო აკაკი წერეთლის გედი.

აკაკის „გედში“ ტკბილხმოვანი გედი შემოქმედებითი ძალის მადიდებელია, იგი პოეტს სიმღერით სიკვდილის სურვილს აღუძრავს: „სიკვდილის წინედ, ამბობენ,

აჭიკჭიკდება გედიო და ტკბილ ჰანგებში იმარხვის მისი არსების ბედიო. უცნაურია გალობა პირველ და უკანასკნელი. აქ იხატება ცის სივრცე, აქვე ისახვის ქვესკნელი, ორაზროვანი, ორკილო, ერთის ხმით გამომეტყველი, შემოქმედების ქებაა ცისა და მიწის შემკვრელი. საამქვეყნიო ზარია, საიმქვეყნიო ზევსური, გედო, შევნატრი შენს ჭიკჭიკს, შენგვარ სიკვდილსაც მეც ვსური“ (გედი) (15,295).

სიკვდილის წინ გედივით ტკბილი სიმღერის ამოთქმის, „საშვილიშვილო გალობის“ ნატვრაა აკაკის „ქებათა ქება“. ამ ლექსში სიყვარული და მგოსნის ციური ნიჭია პოეტის ფრთებშემსხმელი: „...შენ და მხოლოდ შენ, ციური ნიჭო, გამოუთქმელო კაცთა ენითა... შენგან მგოსანი ფრთაშესხმული ვარ და მონავარდე აღმაფრენითა, რომ მეც გედივით, სიკვდილის წინეთ უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო... გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ და ვთქვა გალობა საშვილიშვილო“ (15,206-209).

აკაკი და გალაკტიონი ტიტანური ნიჭით, მარადიული პოეზიის რწმენით ძლევენ სიკვდილის ტრაგიზმს, ეს, ალბათ, ქართული ოპტიმისტური მსოფლშეგრძნებით აიხსნება.

სიმღერით სიკვდილის შეგნება მსჭვალავს აკაკის სულს: „და ჩემგან გაუგებარსა სოფელს ვათავებ მღერითა“ (მოხუცის აღსარება) (15,197-199).

ეს განცდა ასე აქვს გათავისებული გალაკტიონს: „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები“ (მთაწმინდის მთვარე).

სიცოცხლესთან გამოთხოვებისას კალმის მიჩნევა სასწაულმოქმედ მახვილად და კვერთხად, საფლავში მისი ჩაყოლების სურვილიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოეზია არამარტო სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც ეიმედება აკაკის: „ორგულო, მაგრამ ერთგულო, კალამო მახვილ-კვერთხოვო! თან უნდა ჩამყვე საფლავში, სოფელს რომ გამოვეთხოვო“! (ჩემს კალამს) (16,126).

სიყვარული და ნიჭია ასეთი ამაღლების საწინდარი.

გრიგოლ რობაქიძის თქმით: „აკაკის გულში სიყვარულის ცეცხლი მხოლოდ მშვენიერებით იწვის... იგი ასხამს მას ალიან ფრთას და ანავარდებს მას მაღლა ფრენით... იგი ესხმის მისი სულის სიმებს ციურ მალამოდ... იგია, მასში გედის ყივილს რომ ააყვავილებს“ (17,35).

ვფიქრობთ, აშკარაა აკაკისა და გალაკტიონის გედის მსგავსება, მათი მიმართება სიკვდილთან.

არის სხვა „შეხვედრებიც“. აკაკის გედის ჰანგები „ცისა და ქვეყნის შემკვრელია“, გალაკტიონისა – „ცისა და მიწის“ შემზავებელი, აკაკის გედის სიმღერა „ორაზროვანია“, „ორკილო“, გალაკტიონისა „ორი ჰანგის“ შემცველი; რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ორი უმთავრესი საწყისის – ადამიანურის და ღვთიურის, მიწის და ზეცის მოთაყვანე არიან ერთდროულად. აკაკის „საღვთო მღერა“ მოსწონს, გალაკტიონს – „საღვთო ბილიკებით“ მავალი პოეზია, პოეზიის გამოა გალაკტიონი „ახალი ღმერთი“.

აკაკისთან გალაკტიონის კავშირს მიგვანიშნებს აგრეთვე „მთაწმინდის მთვარეში“ „მოხუცის ლანდის“ (აკაკის) ხსენება, რაც შთაგონებულია აკაკის ფრაზით „მოხუცის აღსარება“, რომელშიც მოხუცის ადრესატი თვით პოეტი იყო.

„მთაწმინდის მთვარეში“ ხაზგასმულია აკაკის „მეფური ძილი“, მერე ეს ცნება ასოციაციური აზროვნების წესით მეორდება გალაკტიონის მიმართ: „...რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“, მართლაც, „მეფურია“ ორივე პოეტის პოზა და პოეზია.

აკაკი საქართველოს უგვირგვინო მეფედ იყო წოდებული, გალაკტიონი კი „პოეტების მეფედ“ ითვლებოდა საგანგებო კონკურსზე მოპოვებული დამსახურებული ტიტულით.

ორივე პოეტს განსაკუთრებული ფრთაგაშლილობა დაუფლებია, აკაკი „აღმაფრენით მონავარდეა“, გალაკტიონის ოცნებას კი „ციდან ცამდე“ აქვს ფრთები გაშლილი...

თუ „ვარდისფერი სიკვდილი“ გალაკტიონს სიმბოლისტურ ესთეტიკასთან აახლოებს (სიკვდილის ფერებით წარმოდგენა სიმბოლისტებს ახასიათებდათ), სიმღერით სიკვდილის იდეა აკაკის პოეზიაშია.

მართებული იქნება დავასკვნათ, რომ „მთაწმინდის მთვარე“ შემოქმედებითი სინთეზია ეროვნულ-უცხოურის.

გალაკტიონის ლექსი თავიდან ბოლომდე ორიგინალურია ჩანაფიქრით, პრობლემის დასმითა და გადაწყვეტით, სახეებით, მაგრამ თუ მაინც ვინმე შეიძლება ვიგულვოთ გალაკტიონის გედის სტიმულის მიმცემად, ეს აკაკი წერეთელია. აკაკი და გალაკტიონი სიკვდილს ხვდებიან სიცოცხლის სადიდებელი საშვილიშვილო სიმღერით, რაც მხოლოდ რჩეულებს ხელეწიფებათ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხვედრა უფრო ტიპოლოგიურია, ვიდრე გენეტიკური.

„ცხენთა შეჯიბრებაზე“ „ლურჯა ცხენებით“ მიმქროლი გალაკტიონი ერთადერთი იყო და ზეცაზე ეწერა მისი გზა, პოეტის „გედიც ყივილით ცისკენ იწევდა“ და იქ ჰპოვა სამუდამო ნავთსაყუდელი.

ისევე, როგორც გალაკტიონის მრავალ შედევრს, „მთაწმინდის მთვარესაც“, მის პრობლემებს და ლიტერატურულ წყაროებს მკითხველები და სპეციალისტები (ს. ჭილაია, გ. ჯიბლაძე, ლ. კალანდაძე, ლ. სტურუა და სხვა). კითხულობდნენ და კითხულობენ სხვადასხვაგვარად, რაც ლექსის ამოუწურავი სილამაზის დასტურია.

ლიტერატურა

1. დავით კასრაძე, ლიტერატურული პორტრეტები, თბ. 1962
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 12,თბ. 1973)
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
4. აკაკი თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბ. 1983
5. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1981წ. №4
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
7. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, თბ. 1959
8. გიორგი ჩიქობავა, გალაკტიონის ახლო, თბ. 1966
9. გიორგი ჩიქობავა, ასეთი იყო მთაწმინდაზე შემოღამება, „საბჭოთა ხელოვნება“, 1963, №3
10. სტეფან მალარმე, „ლექსები და პროზა“, შეადგინეს გასტონ ბუაჩიძემ და მიხეილ ქურდიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები გასტონ ბუაჩიძის, „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 1979.
11. ჩჰანდოგია უფანაშიდა, IV ნაწილი, თარგმანი ლერი ალიმონაკის, ცისკარი, 1986, №6
12. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 2, თბ. 2016
13. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
14. მიხეილ კვესელავა, მხოლოდ ინტეგრალები, თბ. 1978

15. აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ. I, თბ. 2012
16. აკაკი წერეთელი, ხუთტომეული ტ. II, თბ. 2012
17. გრიგოლ რობაქიძე, აკაკის ქნარი, თბ. 1991

ლურჯა ცხენები

გ. ტაბიძის ესთეტიკური კრედო, პოეტურობის მისეული გაგება, ერთი მხრივ, ქართულ პოეტურ კულტურას უკავშირდება ძირითად ხაზებში (არცერთი რეალისტური პრინციპი გალაკტიონს თვით სიმბოლიზმთან კავშირის პერიოდშიც არ უარყვია. იგი მხოლოდ რეალიზმის ეპიგონთა პოეტურ ტრაფარეტს, რიტორიკულობას უპირისპირდებოდა), ამასთან, აშკარაა, რომ სიმბოლიზმის ზოგიერთი ღირებული მონაპოვარი შემოქმედებითად გაითავისა პოეტმა და შექმნა ეროვნულ-უცხოურის სინთეზი, რომლის განუმეორებლობა და თავისთავადობა არავითარი ეჭვის საფუძველს არ ტოვებს.

„ლურჯა ცხენები“, თვით გალაკტიონის აღიარებით, მისი პოეზიის სიმბოლოა, მშვენიერების მაძიებელი ფენომენია.

ცნობილია, რომ პოეტი „ლურჯა ცხენებს“ ქართულ პოეტურ სინამდვილეს უკავშირებდა: „ორი მერანია: მერანი ავთანდილის, მერანი ბარათაშვილის. ისინი სხვადასხვანი არიან, მე ვცადე მათი შეერთება.

„ჩემი მერანი შეთავსებაა ორი სხვადასხვაობის: რუსთაველის რითმის დაცვა, ბარათაშვილის რიტმის გამოყენება, აზრის გაღრმავება, აი ლურჯა ცხენები“ (ბარათაშვილის რითმა) (1,141-142).

ლურჯას ანალოგიებსაც ეძებდა პოეტი წინამორბედებთან: „ჩემი ლურჯა ცხენები... ერთობ ეფემერული რამ ეგონათ... ეს დეკადენტობაა, სიმბოლისტებს მოჰპარაო და კიდევ, ვინ იცის, რა არ მოჩმახეს! რა უჭირდა მოსაპარავი თქვენს გალაკტიონს? ეს ქართულია, წმინდა ქართული! ავთანდილი როგორ ცხენზე იჯდა, არ იცით? – ლურჯაზე! პატარა კახს ლურჯა ცხენი ჰყავდა. ბარათაშვილის მერანიც, მგონი, ლურჯა იქნებოდა. და ხომ გახსოვთ, ჩვენმა არსენამაც ლურჯა ცხენი რომ გააჭენ-გამოაჭენა? ჰო და ჰე! მათ მოვპარე და მივბაძე. მეტი რაღა გინდათ? განა არსენა და ბარათაშვილი დეკადენტები იყვნენ? ან კიდევ ერეკლე მეორე და ავთანდილი სიმბოლისტები?“ (2,181-182).

„ლურჯა ცხენებში“ აშკარაა გალაკტიონის კავშირი სიმბოლისტურ პოეტიკასთან, მაგრამ მისი მთავარი „მაცოცხლებელი ფერმენტი“ ქართული პოეზია იყო და სწორედ იგი ასრულებდა დომინანტურ როლს.

„ლურჯა ცხენებში“ პროეცირებული რეალობა არაემპირიული, მიღმური და ეფემერულია.

ლექსში იდეალიზმზე მიმანიშნებელი მრავალი სახეა.

პირველსავე სტროფში მინიშნებულია ბუნდოვანი „ნისლის ნამქერით“ სავსე „სამუდამო მხარის“ ნაპირად სახელდებულ ხილვაზე, რაღაც „ცივ და მიუსაფარ მდუმარებაზე“. „სამუდამო მხარე“ ხომ იდეალისტი სიმბოლისტების აღთქმული

ქვეყანაა, სადაც ადამიანი თავისუფლდება ამქვეყნიური ტანჯვისა და უბედურებისაგან: „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში, არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე“ (3,65).

„ლურჯა ცხენებში“ წარმოისახა ნისლიანი (ნისლი ნამქერითაც არის გაძლიერებული და ორივე სიტყვა ბუნდოვანების, გაურკვევლობის სიმბოლოა, ხედვის ხელშემშლელი), ბუნდოვანი მარადიული მხარე, სადაც რაღაც „შენაპირს“ ელოდა პოეტი, მაგრამ ნისლით დაბინდებული მზერა ვერაფერს არჩევდა, ხედვის გამახვილება და მდუმარება სჭირდებოდა სრულყოფილ აღქმას.

მარადიული მხარე ფიგურირებს გალაკტიონის ლექსში „მარტო არა ხარ“. იქ მუსიკობენ დანტე, ბაირონი, შელი, შექსპირი, რუსთაველი, ბარათაშვილი და სხვები. იქ ეგულება პოეტს თავისი ღმერთი – „სხვა ღმერთი“, ნუგეშის შუქი. აშკარაა, ეს ხელოვნების, პოეზიის სფეროა, გალაკტიონის უკიდეგანო სულის უპირველესი ნავთსაყუდარი. „სხვა ღმერთი“ პოეზიის ღმერთია. „სამუდამო მხარე“ – მშვენიერების სასუფეველი.

გალაკტიონი ყოველთვის ცდილობდა მიღმურის, ეფემერულის, „სხვისთვის უხილავ-ფარულის“ გამოსახვას, მაგრამ არაფრის, სამარის, არყოფნის სივრცეში არასოდეს უძებნია იდეალი.

სამყარო, რომელიც „ლურჯა ცხენების“ პირველ სტროფში ვერ დაკონკრეტდა პოეტის მიერ, სრულიადაც არაა საგნობრივი სინამდვილე, ესაა პოეტის წარმოსახვაში გაელვებული სულიერი ცხოვრების ციტადელის ძიება, მისი მოხელთება, ესაა ნისლის ნამქერით გაბუნდოვანებული მზის ნათელი, ბნელის და ნათლის დაპირისპირება, აზრის ჭიდილი ქაოსთან, პირველსაწყისებთან. არც მზეა გალაკტიონის პოეზიაში ფიზიკური მზე, პოეტს უფრო სულიერი ცხოვრების მზე აინტერესებს: „ათასის აქვს მხედველობა, იერი, ათასის მზე, სმენა ასიათასის“, „აენთო წმინდა მზე შინაგანი, შორეულ წერტილთ რამ შემაერთი“, „სულში მზის მოთავსება“.

„ლურჯა ცხენების“ პირველ სტროფში ცნობიერების გაღვიძების პროცესია, ბნელისა და ნათლის, ნისლისა და მზის ჭიდილი, პოეზია ხომ გალაკტიონისთვის ქაოსის, ბურუსის სამყაროდან გამოტაცებული საგნებისა და აზრების გასაგნება-გაუკვდავებაა („სულში ნისლის ტბებია და ქაოსის მხატვარი“). «Хаос есть первобытное, стихйное безначалие, космос устроенная гармония, культура. из хаоса рождается космос», წერდა ბლოკი (4,519).

ამ „განათების წამის“, შთაგონების დაკონკრეტების, პოეტური ხატის მიგნებისა და შემოქმედებითი ტანჯვა-წამების ოდისეაა ლექსი.

„ლურჯა ცხენების“ გასაღები პირველსავე სტროფშია მინიშნებული: ნისლი, სამუდამო მხარის ნაპირი, შენაპირი, მდუმარება.

გალაკტიონის ერთი უმთავრესი პრინციპია სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელობის პრინციპი. ამ პრინციპს თუ ვაქცევთ ორიენტირად და ყველა ცნებას, მეტაფორას თავისი ერთადერთი გაგებით კი არა, ყველა შესაძლებელი ნიუანსის მიხედვით შევხედავთ, გვექნება შესაძლებლობა, მივუახლოვდეთ პოეტისეულ ჩანაფიქრს. ამ შესაძლებელი მნიშვნელობების გამოგონება ჩვენ არ დაგვჭირდება, მათი პასუხები თვით გალაკტიონის ლირიკაშია.

დავიწყოთ ნისლიდან.

ნისლი ნამქერითაც არის გაძლიერებული, იგი ელვარებას უკარგავს მზეს, ხელს

უშლის სამუდამო მხარის ნაპირის დანახვას.

ნისლი, ბურუსი გალაკტიონის პოეზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური ფენომენია, რომელიც ეპოქალური სიმბოლოც არის და სუბიექტურ განცდათა დასახასიათებლადაცაა გამოყენებული. ცხოვრების დიალექტიკის გადმოცემაც კი ნისლის გამოყენებით ხდება: „ნისლში მოძრაობს არსი“, „ვიღაც კვნესის, ვიღაც კვდება, ვიღაც ნისლში ინაკვთება“.

ერთ-ერთი გაგებით, ნისლი პოეზიას, სტილს უკავშირდება. მომავლის განჭვრეტაა ნისლსა და ბურუსში: „სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება“, „ბურუსებში სჩანს აინშტაინი“. ნისლი ბოროტებაა ლექსში „ისევ ეფემერა“: „ნისლიან ღამით... მას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა“.

„ნისლში მიდის, გზას ვერ იკვლევს“, „დაიკარგა სადღაც ნისლში რწმენა მისი მესი“, ნეგატიური საწყისების გამარჯვებაა ნათელზე.

ნისლი ხელს უშლის სრულყოფილ ხედვას: „ნისლში სახლები და გამვლელები მოჩანდნენ, როგორც ნეგატივები“.

პოეტური ძიების წლებში, სიმბოლისტური ესთეტიკური პრინციპების გავლენით, პოეტი საგანგებოდ აბუნდოვანებდა სათქმელს: „შენ საიდუმლო გადასაგები უფრო გიტაცებს ნისლში გამქრალი, ვინემ ახსნილი და გასაგები სიბრძნე დიადი და სიტყვა მშრალი“ (დღიურ პროზიდან).

სიმბოლიზმის ამ მოთხოვნას თეორიულადაც იზიარებდა და პრაქტიკულადაც ხორცს ასხამდა ალექსანდრ ბლოკი: „ბუნდოვან სიტყვათა ნაწყვეტებში შევიცნოთ მეორე, ირეალური, მიღმური, უხილავი სამყაროს მსვლელობა“ (5,255).

ნისლიანი, გაურკვეველი იძენდა გალაკტიონთან იდუმალებას და მიმზიდველობას. წერილში „ძვირფასი საფლავები“ გალაკტიონს ახალი სტილის თავისებურებად ის მიაჩნია, რომ „ფორმა გადმოცემულია ნისლიდან და დაბურულ სახეებით... ამ სტილში არის ბუნდოვანება და ამ ნისლში ძლივს გასარჩევად ირევიან ცრუმორწმუნეობის სანთლები, უძილო ღამეების საშიშარი აჩრდილები... საშინელი ღამეები“.

წერილში „ლირიკა“ ნათქვამია: „სიმბოლისტებისა და დეკადენტების პოეზია მიმართული იყო ეფექტებისა და გამოუცნობლობის ბურუსისაკენ“.

ვერლენზე ამბობს: „ვერლენის ნაზი და მძლავრი მუსიკალური აკორდები გადმოგვცემენ პოეტის ნისლიან, გაურკვეველ ემოციებს“ (ლირიკა).

„ნისლიანი პოეზიის თანამგზავრები“ – ამბობს ლექსში „მგლოვიარე სერაფიმები“ (რჩეული, 1989, გვ. 94).

გალაკტიონის ესთეტიკაში, ერთი მხრივ, ნისლისკენ მისწრაფებაა, რაც სტილს უკავშირდება, და მეორე მხრივ, მისი უკუგდება.

„ლურჯა ცხენების“ ნისლი ცნობიერების ნისლია. ნისლი უფრო არაკონკრეტული, აბსტრაქტული ცნებაა გალაკტიონის პოეზიაში. პოეტს ყოველთვის ნისლიდან, ქაოსიდან, პირველსაწყისებიდან, საგნებიდან გამოაქვს სათქმელი: „ბნელი ბინდბუნდით მოცულ მხრიდან ქალწულის აჩრდილს გამოვუძახე, მას მშვენიერი შთავბერე სული და მშვენიერი მივეცი სახე“ (სიტყვა და ლოცვა).

„ფიქრები კვდება ნისლში და ქარში“, „ნისლით იყო დაბურული ჩემი ზეცა და ედემი“, „ნისლში გამქრალი სიტყვა“, თვალი „დაბინდული ნისლით და ყინვით“, ამ სიტყვებში ნისლი გარკვეულობის მოპირისპირეა. «мечта, ушедшая в тумане» – ამბობდა ალექსანდრ ბლოკი (6,164).

სხვაგან ნისლთან აქტიური საწყისების მიმართებაა, ნისლში ნათელმხილველო-

ბა: „ეხლა ის დრო არი, როცა თუმცა ძლივას... ბურუსში და ქარში ვხედავ პერსპექტივას, ნისლით გამოერკვევა ჩემი გულის სიმღერა, კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა, მსურდა შუბლით ფიქრთა ნისლი გამერეკა, სილამაზეს გენიამ ნისლის ახადა ბადე“, აქ ნისლი სათქმელს, ფიქრს უკავშირდება, ნიშნავს ქვეცნობიერის სიბნელიდან ცნობიერების სინათლისკენ მიმსწრაფი აზრის მოძრაობას, გარკვეულობის მინიჭებას სათქმელისათვის, მის დაკონკრეტებას.

„ლურჯა ცხენების“ პირველ სტროფში ვერ დაკონკრეტდა, ვერ გასაგნდა ჩანაფიქრი, რამაც სიბნელის ასოციაცია შექმნა: „ვერ ვნახე ვერაფერი“. „შენაპირის“ გაუჩინარებამ სიცივის ასოციაცია გამოიწვია.

ცნობილია, შემოქმედების პირველი საფეხური მასალის დაგროვებაა, შემდეგი კი – ნაწარმოების კონცეფციის, იდეის დაბადება, შთაგონება, ინსპირაცია და ამ მომენტში „სრულიად არაცნობიერად, მომავალი მხატვრული ნაწარმოების იდეა ისახება“ (7,482).

ესაა „თითქოს ნახევრადცნობიერი მდგომარეობა, როდესაც საკუთარი თავი აღარ გახსოვს, ისე ხარ გადასული ჭვრეტაში“ (7,482).

აი ეს პროცესია „ლურჯა ცხენების“ პირველ სტროფში.

„ნისლის ნამქერით“ გაბუნდოვანებული სამუდამო მხარე სამარე კი არაა, არამედ პოეტური ხატის ფარული და შინაგანად გამოუვლინებელი სურათი. „ლურჯა ცხენების“ ნისლი „ფიქრთა ნისლია“, „შეუქმნელობის ბურუსია“. ასეთივე გაგებისაა გალაკტიონის „ნისლი უსახო“ „შემოქმედებაში“, ხოლო სხვაგან ნათქვამია: „მდუმარე ზღვის ლაღ სივრცეზე ნისლად იდგა ის სიმღერა“ (მუსიკა უეცარი).

ამ ცნების ანალოგიური გაგება დასტურდება სტეფან ცვაიგის გამონათქვამში დოსტოევსკის შესახებ: „ერთი მინიშნებაც საკმარისია, რომ მთელი სამყარო ხელისგულზე გადაეშალოს, მხოლოდ ერთხელ მოავლებს თვალს და იერსახედ იქცევა ნისლი“ (8,143).

ამ ასპექტით ანალოგიურ მოსაზრებებს ვხვდებით ტერენტი გრანელის ლირიკაში: „საღამო, კანკალი სანთლის, ირგვლივ დაწოლილი ნისლი, ფარული წამების ლანდი, პოეტის ცრემლი და სისხლი“ („ზამთრის ბარელიეფი“) (9,184).

„ლურჯა ცხენების“ „სამუდამო მხარის“ ნაპირი სულთა მარადიული სამყოფელია. სამარეც ფიგურირებს ლექსში, მაგრამ უშთაგონებო წუთების შთამბეჭდავად წარმოსახვისათვის.

ნაპირიც მრავალმნიშვნელოვანია გალაკტიონის პოეზიაში. ზოგჯერ ლოკალიზებული – მტკვრის, არაგვის, მდინარის თუ ზღვის ნაპირი.

„ლურჯა ცხენების“ „ნაპირი“ აბსტრაქტულია; არასაგნობრივი და სულიერ ცხოვრებას მიემართება.

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება უნაპირობა, უკიდეგანობა: „გზა უნაპირო“, „გულის დუღილი“... „ნაპირი მიჯნის გადმოიარა“, „ქაოსის ნაპირამდე“ მისული ოცნება (განწირულობის სიმბოლო), ბნელი ნაპირის ანთების სურვილი პოეტურ სიდიადეზე ოცნებაა (შენს სიყმაწვილეს). ლექსში „ცხრაას თვრამეტი“ ლაპარაკია ჩვენი პოეზიის ეროვნული ტენდენციების ამაღლებაზე, „ლურჯი სტანდარტის“ უკუგდებაზე და იქ „ჩვენი ნაპირი“ პოეზიის კლასიკურ ტრადიციებს უკავშირდება.

სხვაგან ლაპარაკია ფიქრთა ნაპირზე: „გასცდა ნაპირებს... იდუმალ ფიქრთა ჯაჭვაწყვეტილი“... „ნაპირი სრულიად უცნობი ქვეყნის“ – ისევ პოეზიაა წერილში „პოეზიის დღე“. შეიძლება ნაპირზე გასვლა რუბიკონის გადალახვას უკავშირდება,

მაგრამ ერთი რამ აშკარაა, იმ ნაპირის მიღწევა მოკვდავთათვის დაწესებულ საზღვრებზე ამაღლებაა.

ლექსში – „ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“ ლაპარაკია ცეცხლზე, მერანზე, გათენებასა და იმ ნაპირებზე, რომელთა დაკონკრეტებაც. სიტყვიერი გადმოცემაც შეუძლებელია, მაგრამ განცდა კი: „ვიცნობ ამ ნაპირთა ასავალ-დასავალს, მაგრამ ყველაფერი ენით არ ითქმება, როსმე მოგიყვები ჩემს თავგადასავალს და თმა, გათენებავ, ყალყზე დაგიდგება“.

გალაკტიონის პოეზიაში ზოგჯერ თითქოს გასაგნობრივებულია ნაპირი, მაგრამ იგი ისევ ზემოხსენებული გაგებისაა: „კარს გაუღებენ მას წინაპრები, გიცდიდით, ვიცით, ხომ მიატოვე ის ნაპირები ჩვენი სიმტკიცით? მიგებება არაგვის პირი და ხმა ძლიერი, შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი და ნიჭიერი“. აქ „ის ნაპირი“ უცხოურ ტენდენციას გულისხმობს „არაგვის პირი“ – ეროვნულს. ლექსში საკუთარი პოეტური ინდივიდუალობის ძიება და პოვნაა მთავარი. ასეთივე გაგებისაა „ვარდები უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა“.

ვინც იცნობს გალაკტიონის შემოქმედებას, მისი ძიებისა და პოვნის პოეტურ კოორდინატებს, ირწმუნებს, რომ იმ „ნაპირებში“ პოეზიის ახალი ნაპირები და გზები იგულისხმება.

ნაპირის დაკავშირება სულიერ ცხოვრებასთან ნიშანდობლივია სხვა მწერლებისთვისაც.

სტეფან ცვაიგი ლაპარაკობს გენიოსების სწრაფვაზე „ნაცნობი სულიერი სამყაროს ნაპირებიდან ბნელით მოცული შეუცნობლობის ოკეანისკენ“ (დოსტოევსკი) (8,276).

უოტ უიტმენი ამბობს: „მომეცით ვრცელი ნაპირები“ (10,60-63).

ალექსანდრ ბლოკის: «Берег дальний, берег поздних времен, берег очарованиый» (6,329) პოეზიის ნაპირია: იგი პირდაპირ აკონკრეტებს ამ აზრს: «Каждый стих бежит, плетет живую вязь, своих не зная берегов» «Туман скрывает берег отдаленный», «Мне не найти родные берега» (4,145). ამბობს ბლოკი და ეს პოეზიის ეროვნული ნაპირების ძიებაზე წუხილია.

ტერენტი გრანელის „შემოდგომის ნაპირიც“ პოეტური ნაპირია: „ფიქრი ჩადგა ქარივით შემოდგომის ნაპირთან“ (9,60).

მურმან ლებანიძე ამბობს: „უჭკნობი ყვავილებით უცნობი ნაპირები, უგრძნობი ყამირები ჰყვავდება“. (12,243).

„ლურჯა ცხენების“ „სამუდამო მხარის“ ნაპირი იდეალისტების აღთქმული ქვეყნის ნაპირია.ლექსის პირველ სტროფში ნათქვამია, რომ აქ არაფერი დაინახება „მდუმარების გარეშე“. ეს ფრაზა მეორდება მომდევნო სტრიქონშიც.

დუმილი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა გალაკტიონთან, ერთ-ერთი გაგების მიხედვით, დუმილი შემოქმედებითი პროცესის, ნათელხილვის მოკავშირეა, სიჩუმე პოეტური ფიქრებისა და განცდების აღბეჭდვის საშუალებაა. „ლურჯა ცხენების“ მდუმარება პოეტის სულიერი შეჭირვების, შემართების, შთაგონების შემწე დუმილია, მდუმარების, ანუ სპეციფიკური სულიერი მზაობის გარეშე ვერ დაინახება პოეზიის სალტოლველი ნაპირი: „მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა. ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში, წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია“.

სამუდამო მხარე და სამარე მეორე სტროფში ერთმანეთის პარალელურად არის

ნახსენები, ისინი არაა იდენტური, სამარე შედარებისათვის არის მოხმობილი, პოეტი გვამცნობს, რომ როცა არ არის შთაგონება, აღმაფრენა, ყველაფერი არყოფნის ნიშნით იფარება, არსებობა სამარის სივრცეში წოლას უდრის და „არც სულს უხარია“.

გვიანდელ ესთეტიკურ ტრაქტატში „საუბარი ლირიკის შესახებ“ პოეტი მუსიკალობას, ემოციურობას, ბუნებრიობას და ჰარმონიას თვლის უმთავრესად და როცა ეს ვერ მიიღწევა, როცა ჭეშმარიტებამდე ვერ მაღლდება ნაწარმოები (მრავალჯერაა პოემაში ნახსენები ბურუსი, ნისლთა ობობა, ბურუსეთი, როგორც ნათელი აზრის ანტიპოდი), მაშინ „ჩნდეს პოეზია სიმცდარეში, ვით აკლდამაში“. ბნელ სამარიდან ამოსვლაზე, უკვდავებაზეა ლაპარაკი აგრეთვე ლექსში „მგლოვიარე სერაფიმები“.

„ლურჯა ცხენებში“ სამარის, არყოფნის, უსიცოცხლობის იდენტურია ყველაფერი, ვიდრე ლურჯა ცხენების, ყვავილების, შვება-სიზმრის ფენომენები არ შემოიტანენ მარადიულ სინათლეს – „შუქთა კამარას“.

ეს სამარეც პოეტის სულშია და არა მის გარეთ.

აკლდამა და პოეზია, სიკვდილი და ხელოვნება გალაკტიონის პოეზიის უმთავრესი კონტრასტებია, ამ გაგების ურთულესი მეტაფორული გამოხატვაა „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“.

ალექსანდრ ბლოკი წერს: «Лирика есть «я», макрокосм и весь мир поэта лирического лежит в его способе восприятия. Это заколдованный круг, магический. Лирик – заживо погребенный в богатой могиле, где все необходимое – пища, питье и другие с ним. О стены этой могилы, о зеленую землю и голубой свод, небесный он бьется, как о чуждую ему стихию»(13,120).

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით უსულდგმულო დღეები“ – ესაა გაუცოცხლებელი, სულჩაუდგმელი ჩონჩხები პოეტის წარმოსახვებისა, იგივე „უსახო სახე“ (სხვაგან: „სახედ მოვლინდა წინათ უსახო“). ნისლში, ბურუსში, ქაოსში მორიალე, რომელთაც პოეტმა უნდა ჩაუდგას უკვდავი სული, რომელთაც აკლიათ პოეტური სიცოცხლე და „ფიქრთა სამოსი“. და ჭეშმარიტი პოეზია ხომ უსახოს გასულიერებაა, როგორც ბლოკი ამბობს: «очеловечить безличное».

ლურჯა ცხენებს ახლავს „სიზმარიანი ჩვენება, შვება-სიზმარი, ყვავილები“ (ფანტაზია, გამონაგონი, მხატვრული წარმოსახვა), ვნება-წამება, შემოქმედებითი ტანჯვა-წვალება და ცრემლი, რომელიც უკუგდებულ იქნა მარადისობის სახელით, თუ ადრე იყო სიცივე და დუმილი, სულმა მიაღწია „ხმოვანებას ლოცვის სიმხურვალეში“, „შუქთა კამარამ“, „ლირიკის შუქმა“ დაამარცხა სიბნელე და სიცივე. უსახო სახეში, უსულდგმულო დღეებში სიცოცხლე, გარკვეულობა, დინამიზმი და სინათლე პოეზიამ შეიტანა.

ლექსის მიხედვით, ეს ქვეყანა „საოცრების უბეა“, „გამოუცნობი ქიმერებია“, საერთოდ, საოცრების, საიდუმლოების მოტივი არსებითია სიმბოლიზმისათვის. არსებობის სირთულეში ცხოვრების ყოველდღიურობის შემოჭრას არ ნიშნავს სტრიქონები: „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან“.

ლურჯა ცხენებთან იხსენიება „ყვავილები, სიზმარიანი ჩვენება, ღამის ზმანება, შვება-სიზმარი“ – ისინი მშვენიერების, პოეტური გამომგონებლობის, მხატვრული წარმოსახვის სიმბოლოებია.

შემოქმედებითი პროცესის ტანჯვას აძლიერებს შეუცნობლობის სევდაც: „რო-

მელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს, ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს, ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში, სძინავს ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“.

ლურჯა ცხენების მოვლინებას მოჰყვა ფანტაზია, გამონაგონი, ვნება-წამება, შემოქმედებითი ტანჯვა და ტკივილები, ცრემლი, რომელიც უკუგდებულ იქნა მარადიულობის სახელით, სულმა მიაღწია „ხმოვანებას ლოცვის სიმხურვალეში“. ადრე იყო მხოლოდ სიცივე და დუმილი, უსიხარულობა. ლოცვის სიმხურვალემ კი მარადიული, უძლეველი სინათლე მოავლინა „შუქთა კამარის“ სახით. ლურჯა ცხენების „შუქთა კამარა“ იწვევს ასოციაციას „ლირიკის შუქთან“ (საუბარი ლირიკის შესახებ).

პოეტი განდობილია („ფიქრგანდობილი“ – გალაკტიონი), ჭეშმარიტი პოეზია ეზოტერულ სიბრძნეს გვაზიარებს, შემოქმედი ლოცვის გზით ეზიარება უმაღლეს საიდუმლოს (სიტყვა და ლოცვა).

პოეზია, შთაგონება შუქია, სინათლეა გალაკტიონის სხვა ლექსებშიც – „მკრთალი სინათლეა, მოხეტიალე სინათლეა“, გენია – „დროთა მნათია“, პოეტი „ახალი მზეა“.

ხოლო როცა „ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია“, მაშინ ბნელი „სამარეა... განსასვენები“.

უშთაგონებო წამები არყოფნას უდრის, „სულში კოშკი არ შენდება, ახლა აღარც ღმერთია“ (ტფილისს სძინავს მძიმე ძილით).

იგივეს ამტკიცებს კონსტანტინე გამსახურდია: „კრიზისი ჩვენი სულის გამოფხიზლებაა ზმანებისა და მითის ჯადოსაგან. კრიზისი უმითოდ ყოფნაა, ჩვენთვის – არყოფნა“ (ტაბუ) (14,104).

„ლურჯა ცხენებში“ ერთ მხარესაა სამარე, სიცივე, ნისლი, მეორე მხრივ – ლურჯა ცხენები, სამუდამო მხარე, „სულის ხმოვანება“, ასოცირებული დუმილთან, ყვავილთან (მშვენიერება), შვება – სიზმართან (გამონაგონი), ღამის ზმანებასთან (წარმოსახვა)...

მარადიულია სიბნელისა და სინათლის, წარმავლობისა და ხელოვნების, ნისლთა ნამქერისა და შუქთა კამარის ბრძოლა, ესაა ცხოვრებისა და შემოქმედების დიალექტიკა.

„ლურჯ ცხენებში“ უდაბნოც ფიგურირებს. უდაბნო მარტოობის სიმბოლოა.

„შუქთა კამარა“, „მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება“. სხვაგან ამბობს: „მშრალი საგნები“, რაც ერთი და იგივეა. „მშრალი რიცხვები“ არის საგანი ცხოვრებაში, პირველსაწყისები, რომელსაც პოეტი აქცევს მშვენიერებად. გალაკტიონი განასხვავებდა სამი წყობის მწერალს და ჭეშმარიტ მწერლებად მიაჩნდა ისინი, რომლებიც „აზროვნებენ თვით საგნებზე“ (მწერლობისა და სიტყვისათვის) (1,159-160).

საგნისაგან მოწყვეტა მირაჟის, ბუნდოვანების წყაროა (ის მოწყვეტილი ყოველგვარ საგანს...).

ლურჯა ცხენებს ახლავთ შური, გაუგებრობა, წყევლა, მაგრამ მათი არსებობა მაინც გარდუვალია, როგორც ბედისწერა, რაც გალაკტიონის რანგის პოეტის მოვლინების კანონზომიერებაზე ხაზგასმაა.

ლექსში ლურჯა ცხენები დაკავშირებულია ზღვის ხეტიალთან, ზღვა, ერთ-ერთი გაგების მიხედვით, მისი გენიის იდენტურია, რადგან ზღვასავით მდიდარი და ამო-

ურწყავია მისი აზრებისა და ემოციების სამყარო.

არაშთაგონებულობა უცეცხლობა იყო, ნათელხილვის წუთებში კი იწყება „ცეცხლის ხეტიალი“. ცეცხლი საღვთო სახელია.

ლექსში „ბედის სამზღვრის“ მიღმა ლტოლვაა, მაგრამ არა მის გარეშე არსებულ იდუმალებისა და მარადიულობის მხარეში, არამედ მისსავე პოეტურ წარმოსახვაში.

პოეტის სულის მზემ დაამარცხა „ნისლის ნამქერი“, რომელიც სამუდამო მხარის ნაპირთან, მშვენიერების სამყაროსთან ზიარებას აძნელებდა. გალაკტიონმა მიაღწია გაღმა ნაპირს, მას უფლება ჰქონდა, ეთქვა: „შევატრიალე ნისლში მყოფი ბორბალი“.

„ლურჯა ცხენები“ მოგზაურობაა ქვეცნობიერის მიღმურ სივრცეში, სულის ბნელ ხვეულებში, ესაა ლტოლვა პოეზიის სულიერი ცხოვრების ნაპირებისაკენ, მოუხელთებლის ძიება, შეუცნობის შეცნობა,ბურუსისა და სინათლის ბრძოლა, გენიალობის სევდა, სიმაღლის ტკივილი.

ლექსი სიმბოლურ-მეტაფორულია, ყველაფერი შეფარული და გამოსაცნობია.

პოეტის მხატვრული აზროვნება კერძოდან ზოგადისაკენ, ლოკალურიდან – გლობალურისაკენ მიმსწრაფია ყოველთვის. ეს თავისებურება ძალაშია „ლურჯა ცხენებშიც“. ლექსის მიხედვით, ორი სამყარო არსებობს: ემპირიული და ხელოვნებისეული, პირველი უსახოა, წარმავალია, ქაოსია, მეორე – მარადიული, სიკვდილის დამთრგუნავი. ხელოვნება ფორმას აძლევს, აუკვდავებს „შეშლილი სახეების ჩონჩხიან ტყეებს“.

„ლექსში „ბედის საზღვრის“ მიღმა ლტოლვაა, მაგრამ არა მის გარეშე არსებულ იდუმალებისა და მარადიულობის მხარეში, არამედ მისივე პოეტურ წარმოსახვაში“.

გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ იმ იდუმალების მხარისაკენ კი არ მიიჩქარიან, არამედ სიზმარიან ჩვენებებად მისკენვე მიესვენებიან და ამის დასადასტურებლად წერს კიდეც, ყველანი აქ არიანო. ლურჯა ცხენები კი მისივე ფიქრია, „ზღვის ხეტიალი“, საკუთარი ბედის ტრიალი, გამოუცნობი ქიმერების წრებრუნვა – თვითონ ის და არა სხვა ვინმე, ვინც მის გარეშეა.

„ძლიერია გალაკტიონის პოეზიაში ადამიანური შეზღუდულობის დაძლევის, წყვდიადი გარემოს გარღვევისა და შეუცნობში შეღწევის დრამატული პათოსი“ (15,62-63).

პოეტი ბურუსშიც ჭვრეტდა მომავლის გზებს. ნისლშიაც კვალავდა ახალი პოეზიის პერსპექტივებს: „ბურუსში და ქარში ვხედავ პერსპექტივას“. ამიტომაც ამბობდა: „ნისლით გამოერკვევა ჩემი გულის სიმღერა“ (მალე ფერგადაშლილი).

გვიჩვენებდა რა სინათლისა და მირაჟის, ნისლისა და გარკვეულობის ბრძოლას, გალაკტიონი გმობდა „ნისლთა ობობას“, ბურუსს, „თვალახვევას“ და ელტვოდა სწორ ხედვას: „წაშავდი სიბნელევ, წაშავდი სანისლევ“, „მზეებრ ნათელ პოეზიას კმარა, ნისლი აღარ უნდა“ (აკაკი წერეთელი), „ნისლი სულს გადახადა“.

ყოველგვარი ნისლი და ბურუსი მარცხდებოდა გ. ტაბიძის ძლევამოსილი სიმღერით: „შენი სიმღერით აღტაცებული, ცისკარი, ნისლით თხემზე რომ იწვა, გადმოექანა, როგორც შავი ზღვა და ფანტომებად დადნა, დაიწვა“.

პოეტი მიესალმებოდა არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრებისა და პოეზიის ბურუსის გაფანტვას, არამედ ბურუსში მყოფი და გამოღვიძებამდე მისული აღმოსავლეთის – „ახალი დროის ჰამლეტის“ სახის გამოყენებით ღრმა ქვეტექსტის მქონე აბსტრაქციას ქმნიდა (აღმოსავლეთი).

„ლურჯა ცხენები“ მეტაფორულად თქმული აზრია ხელოვნების უკვდავებაზე, პოეზიის საკუთარი ნაპირის პოვნის, „სამუდამო მხარეში“ (უკვდავება) დამკვიდრების ურთულესი სულიერი ოდისეაა.

გალაკტიონს გაზიარებული აქვს მალარმეს პრინციპი: „დაასახელო საგანი – ნიშნავს გაანადგურო ორი მეოთხედი ნაწილი პოეზიით ტკბობისა“.

ლექსი მუსიკალობით, რითმისა (შინაგან-გარეგანი) და რიტმის სასწაულებით, ქართული პოეზიის ისტორიაში აზრისა და ფორმის სიახლით გამოირჩევა.

გალაკტიონის შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო არა იმდენად ესთეტიკური კრედო, რამდენადაც სტილი.

მაგრამ განსხვავებულობა დაპირისპირებულობას არ ნიშნავს, არცერთი ადრეული პოეტური პრინციპი პოეტს არ უარუყვია (გარდა ბუნდოვანებისა), მხოლოდ სხვაგვარი სინთეზი მიიღო და მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა რამეს მიაკუთვნა პრიმატი, ბოლო პერიოდის ლექსებში კი მეტი სინათლე შეიტანა, სხვაგვარი სტილი გამოიმუშავა და იდეური კონცეპციის დიამეტრალური წინააღმდეგობა საერთოდ არ ჰქონია.

პოეტურობის ზოგიერთი პრინციპი, რაც სიმბოლისტებისგან შეითვისა გალაკტიონმა, არ ეწინააღმდეგებოდა რეალიზმს, „არ უხშობდა გზას ქართული პოეზიის სტიქიას“ (ირაკლი კენჭოშვილი).

გალაკტიონის გვიანდელი პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“ (1940წ.) ნიმუშია იმისა, თუ როგორ მოარიგა პოეტმა განსხვავებულოი პრინციპები (მაგრამ არა ეკლექტიკურ დონეზე), როგორ წამოსწია წინ რეალისტურის, იდეურის პრიმატი და საბოლოოდ განუდგა ბუნდოვანებას.

ამდენად, საქმე გვაქვს სხვადასხვა პერიოდის კრედოს არა დაპირისპირებასთან, არამედ განსხვავება-დახვეწა-დაზუსტებასთან, პოეზიის არსენალის გამრავალფეროვნებასთან.

„ლურჯა ცხენები“ ის მარადიული ფენომენია, რომელსაც ყოველთვის სხვადასხვაგვარად წაიკითხავენ თაობები, მაგრამ მიიღწევა თუ არა აზრთა ერთიანობა, ესთეტიკური ტკბობა, გამოუცნობის მშვენიერება და იდუმალის ხიბლი არასოდეს დაიჩრდილება მასში.

გალაკტიონის „სამუდამო მხარე“ პოეზიის აღთქმული ქვეყანაა, ამასთან, მარადიული სულის სავანეა.

ნისლის ნამქერთან, ბურუსთან მებრძოლ პოეტს, ლურჯა ცხენების უებრო მხედარს „ათასის მზე“ ჰქონდა სულში და თავის პოეტურ მომავალსაც ანტიციპაციის უნარით წინასწარ ჭვრეტდა შეუცდომელად:

„ჩამოისვენებს ბრძოლის დალევით
ქვეყნის სიშავე ნისლიან ფრთებზე,
ძეგლი ცისფერი და ნამთვრალევი
აიმართება მშობლიურ მთებზე“ (ცისფერი) (3,305).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბ. 1973
2. ნიკა აგიაშვილი, ჭაბუკები დარჩნენ მარად, თბ. 1964
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977

4. А. Блок, собр. Соч. в шести томах, т. 6 М. 1971
5. А. Блок, стихи, 1916
6. А. Блок, собр. Соч. в шести томах, т. I, М. 1971
7. დიმიტრი უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ. 1940
8. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ. 1966
9. ტერენტი გრანელი, ლირიკა, თბ. 1961
10. უოტ უიტმენი, ბალახის ფოთლები, თბ. 1966
11. А. Блок, Стихотворения и поэмы, Казань, 1982
12. მურმან ლებანიძე, რჩეული ლირიკა, თბ. 1984
13. А. Блок, собр. Соч. в шести томах, Т. 5, М. 1971
14. კონსტანტინე გამსახურდია 20 ტომად, ტ. I, თბ. 1992
15. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ. 1978

„ეფემერას“ სახე-სიმბოლოთა შესახებ

XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ბუნებრივად დაისვა წინარერენესანსული ტრადიციების ახლებურად გათავისების, დასავლურისა და აღმოსავლურის სინთეზირების პრობლემა, რაც მსოფლიო პოეტურ კულტურასთან გაჯიბრება-გაპაექრებაც იყო და, ამავე დროს, ეროვნული წვლილის გააზრებაც ფართო მასშტაბებში.

ქართული ლიტერატურის ამ მისიის თეორიული გაცნობიერება „ცისფერყანწელებს“ ხვდათ წილად, მისი პრაქტიკული ხორცშესხმა კი – გალაკტიონ ტაბიძეს.

გენიოსის სითამამე და ძალისხმევა სჭირდებოდა ეროვნული პოეტური კულტურის მესვეურის სახელით გამოსვლას და მშობლიური ფენომენის გატანას მსოფლიო არენაზე.

გალაკტიონს იმთავითვე გამოარჩევდა „სიტყვის გაბედული სილამაზე“ და სწორედ მისგან იყო მოსალოდნელი ჩვენი ტრადიციების აწევა ზენიტში.

გალაკტიონ ტაბიძე იყო ბედის რჩეული თავის თანამედროვეთა შორის. იქცა პოეტობის ეტალონად ჩვენს დროში და XX საუკუნეს სამართლიანად ეწოდა „საუკუნე გალაკტიონის“.

„პოეტების მეფემ“ ცაში აზიდა „მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები“, იგი ქართული სულით, ქართული სახით გამოეცხადა პლანეტის პოეტურ კარნავალს და იწინასწარმეტყველა ეროვნული გენიის განსაკუთრებული ადგილი მომავალ საუკუნეთა დღესასწაულზე, მისი „დიდი შუადღე“.

„საერთო და სათვისტომო ომში“ გამარჯვებულ სიტყვის რაინდს პარნასისკენ ეძახდა საბოლოო მიზანი. „ხმათა განახლების“, „ხმათა აღორძინების“ მისიის შეცნობამ გალაკტიონის სახით გაიყვანა ქართული შემოქმედებითი გონი დიდ არენაზე, რათა ახალი მერიდიანი გაევლო მსოფლიო პოეტურ გლობუსზე.

გალაკტიონი „თვითშეცნობილი“ (მურმან ლებანიძე) პოეტური გენიაა, იგი შორიდან შესცქერის მისივე არსებიდან გამოვლენილ სასწაულებს და, მართალია, პირველი პირით აფასებს მოვლენებს, მაგრამ „გალაკტიონი პოეტური ფენომენია და

ლაპარაკი ამ პოეტურ ფენომენზე არ ნიშნავს საკუთარ თავზე ლაპარაკს“ (ჯანსუღ ღვინჯილია) (1,273).

„მრავალსახედ დაბეჭდილი ჭეშმარიტება“, იდუმალება, მრავალმნიშვნელოვნება დაჰყვება მეფე-პოეტის ახლებურ სიტყვას.

საანალიზო ლექსის სათაურის ჩანაფიქრიც კი თავსატეხია. „ეფემერა“, საერთოდ და, პოეტისთვისაც, ხშირად სწრაფლწარმავლობის, წამიერის სიმბოლოა, ამასთან, არარეალურის, მოჩვენებითის, ზღაპრულის, სხვათაგან დაუნახავ-შეუცნობელის, მისტიკურის. გალაკტიონის პოეზია ვერ გაიგება მიღმურის, იდუმალის გარეშე. მის შემოქმედებაში იგრძნობა „წუხილი ეფემერიდის“, „ძახილი ეფემერიდის“. ეფემერებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ადასტურებს „ეფემერის ფანტაზმა“, „გადარევის ეფემერები“, „ნუგეშმცემი ოცნება ეფემერიდის“...

გალაკტიონის ეფემერების ციკლში გამოიყოფა „ზღვის ეფემერა“, „მშობლიური ეფემერა“, „ისევ ეფემერა“, „ეფემერა“ და მათ სხვადასხვაგვარი ელფერი აქვთ.

პოეტის უსაზღვროებით გატაცებული „უსახლო სული“ მარადიული მოგზაურია, სიმბოლიზებული „მეზღვაურის“, „უდაბნოს ბედუინის“, „ფერადი მიმინოს“, თუ „ლურჯა ცხენების“ სახეში.

„ეფემერაში“ გალაკტიონი პოეტურ შეჯიბრს ლურჯა ცხენებით ევლინება. მათ კი ახლავთ „ეფემერული“ და „ფერადი ქარები“: „ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები ქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით“ (2,302).

მრავალმნიშვნელოვანია გალაკტიონის პოეზიის ქარი. მისი ერთ-ერთი გაგება იდუმალებას, მუზას, შთაგონებას მიემართება.

შთაგონება სულიწმიდის მადლია, მკურნალობის, წინასწარმეტყველების, სასწაულმოქმედების, ენების ცოდნის ნიჭთან ერთად. შთაგონების მოვლინება სულიწმიდის გამოცხადებას ჰგავს, სულიწმიდის მოქმედება კი „ქროლვის, მობერვის“, „საღმრთო ნიავის“ ცნებებით გამოიხატება ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, სასულიერო პოეზიაში.

„საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“, აღნიშნავდა გრიგოლ ნოსელი.

„ლურჯა ცხენების“ „ფერადი ქარები“ სასულიერო პოეზიის „საღმრთო ნიავის“ ვარიაციაა, როგორც თვით პოეტისავე „უჩინარი ქარი“, „ნიავთა წუთი“, „პირველი ქარი“, „ნიავი, ფიქრთა ათასი ნავით“.

„ეფემერას“ ქარი „ფერადია“, მრავალფერია, ამოუწურავი და გამოუთქმელია ღვთაებასავით.

„ლურჯი ცხენების“ მახასიათებელია აგრეთვე „ეფემერული“, როგორც მიღმურის, იდუმალებისგან მოვლენილის სიმბოლო.

საანალიზო ლექსში დიდი ადგილი უჭირავს წარსულის ტრადიციების გაცნობიერებას. წინა საუკუნეები წინსვლის სტიმულია და არა შიშის ჩამნერგავი: „...იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით“, „წარსულს წყდება ფოთლების წყება იმედიანი“.

ბიბლიაში ღმერთის სახელია ერთი: „ღმერთი ჩვენი, უფალი ერთია“ (მარკოზი, 12,29) (3,96).

პოეტი ღმერთივით ერთადერთია, მაგრამ ეს სიდიადე სიხარულს კი არა, ტკივილს განაცდევინებს: „ვწუხვარ: ერთადერთი ვარ...“

ზეცაშია განსაზღვრული მისი პოეზიის მარადიული ქალაქის, ახალი კართაგე-

ნის არსებობა: „...ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები...“

სხვაგანაც პოეტის მთელი ძალისხმევა ტრაფარეტის გარღვევისა და „სხვა კართაგენის“ ამართვისთვის იყო გახარჯული: „არ გასვენებდა ახალი დარდი და თრთოლვარებდნენ შენი ბაგენი, რომ დაგეფარა ლურჯი სტანდარტი, რომ აგემართა სხვა კართაგენი“ (ცხრაას თვრამეტი).

ზეციური ქალაქის იდეა დასაბამს იღებს იოანე მოციქულის გამოცხადებიდან.

აპოკალიპსში ღმერთი ქმნის ახალ ქვეყანას, ახალ ცას, ზეციურ იერუსალიმს: „და ვიხილე ცა ახალი და ქვეყანა ახალი. რამეთუ პირველი იგი ცა და პირველი იგი ქვეყანა წარხდეს და ზღუა არღარა არს მერმე“.

„და მე, იოანე, ვიხილე ქალაქი იგი წმიდა იერუსალიმი ახალი, გარდამომავალი ზეცით ღუთისაგან, განმზადებული, ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თვისისა“ (თ. 21,1,2) (3,518).

„და მრქუა მჯდომარემან მან საყდარსა ზედა: „აჰა ესერა, ყოველსა ახალს ვჰყოფ“ (თ. 21, 3).

წმიდა აბბა თალესე ამბობს: „ზეციური იერუსალიმი უფალთან კავშირში მყოფი, უსხეულო არსებათა ქალაქია. სულიერი სამყაროს შეცნობისას კაცის გრძნობა შედის ამ ქალაქში და იმკვიდრებს მშვიდობას უფალთან. სიტყვას ებრაულიდან შემდეგნაირად თარგმნიან: ქალაქი მშვიდობისა, ანუ ჭვრეტა მშვიდობისა!“ (სიყვარულის, მარხვისა და სულიერი მოქალაქეობის შესახებ) (4,429).

ნეტარი ავგუსტინე წერს: „პირველ ყოვლისა აღეგო სიბრძნე ანუ გონიერნი სულნი, რომელნიც შენს წმიდა ქალაქში ჰგიებენ, ჩვენს დედასთან, რომელი ზეცისა იგი იერუსალემი აზნაურ არს“ (აღსარება).

„არეოპაგიტულ კრებულში“ პეტრე იბერს ეწოდება „ზეცის იერუსალიმი“.

ეფრემ მცირესთან მარიამია „სიტყუათა დედაქალაქი“ (იამბიკო) (6,516).

ჰიმნოგრაფი ასე მიმართავს მარიამ ღვთისმშობელს: „ქალაქო სულიერო მეუფისა დიდისაო... ღმრთისა დედაო“ (7,837).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაშიც“ გვხვდება „ზეცის ქალაქი“ .

გალაკტიონის ზეცის კართაგენიც გამოცხადების შემოქმედებითი გააზრების შედეგია. მისმა გენიამ ზეცის ქალაქი აღმართა პოეზიით. ეს ქალაქი სიტყვის, „ხმათა ქალაქია“, „ფეერიული ქალაქი“, „ფანტომივით მსუბუქი ქალაქი“.

ბოდლერი ამბობდა: „მშვენიერებას რომელი დიდი ქალაქი შეედრება, ან პირამიდა?“

მალარმე მზად იყო „შემოქმედების დიდი კოცონის“ წილ ცეცხლისთვის მიეცა თავისი „სამყოფელი და დედაბოძი“ (ავტობიოგრაფია).

„მშვენიერება ყველაფერს ნიშნავს, მხნედ მოარული“, ამბობდა გალაკტიონი და ქმნიდა რა პოეზიის მარადიულ ქალაქს, გენიას ისეთ ქმედით ძალად აქცევდა, რომელმაც შეძლო „დღეთა ჩვენთა შემობრუნება“.

გალაკტიონ ტაბიძე „ქაოსის მხატვარია“. იგი ღმერთივით პირველსაწყისებიდან, განუმზადებელი მასიდან, სახეების ქაოსიდან ქმნის თავის პოეტურ სამყაროს და იდუმალი ქარი ეძახის, როგორც თავის რჩეულს, რათა სხვათაგან მიუკვლეველისათვის მიაკვლევინოს: „ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება“.

პოეტი ქაოსიდან ძერწავს მშვენიერებას, ეძებს „ბნელი ქაოსის ნათელ სულს“ (ვახტანგ ჯავახაძე).

ქაოსს აკურთხებს შემოქმედი და „ქაოსი მართლაც წმიდაა, როგორც მასალა

ფორმადქმნისათვის. მთავარია, ვისი ხელი შეეხება მას, ვინ გამოძებნის ამ ფორმებს სულიერი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში“ (მერაბ კოსტავა).

გალაკტიონის აპოკალიფსური მხედარი ქაოსიდან მოაჭენებს და, როგორც ქრისტე, ქმნის პოეზიის „ახალ მიწას“, „ახალ ზეცას“ და მისი სახელი უკვე სახელია არა კონკრეტული პიროვნებისა, არამედ ქართული პოეზიისა, დიადი საუკუნისა, ხოლო ის, რასაც პოეტი გააუკვდავებს, ძნელი შესაცნობი და მისაგნებია.

ამ დიდ პოეტურ შეჯიბრზე იგი თავისი ეროვნული სახით ცხადდება, რადგან ყოველი სიდიადის საფუძველი უპირველესად საკუთარი სულიერი ფიზიონომიის გაცნობიერებაშია: „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“.

იდუმალი, ღვთაებრივი მშვენიერება ახლავს ლურჯა ცხენებს და ინტეგრალებს, ლექსთა ყოველ შეჯიბრში რომ იმარჯვებენ: „ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები, რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები, ცხენთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ლურჯა ცხენები!“

ინტეგრალი მისი აზროვნების წესია, უმცირესიდან უდიდესისკენ ორიენტირება: „უდიდესისკენ მიჰყავდა სული, მცირედისაგან ასე წასული“, „უდიდესი“ კი ღმერთია (მშვიდობის წიგნი, გვ. 51).

ინტეგრირების, გამთლიანებული ცნობიერების გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი შემოქმედება, ამიტომაც არის გალაკტიონის დევიზი: „ერთი სახე და ერთი ფერი“, რაც, ამავე დროს, მრავალსახეობის ერთიანობაა.

გალაკტიონი შემოქმედებითად იყენებს ვენახის, რტოს, მტევნის, ღვინის მხატვრულ სახეებს.

ამ სიმბოლოებს ბიბლიიდან, სახარებიდან ეყრება საფუძველი, სახარებაში ვენახის ადრესატი ქრისტეა, რომელიც ეუბნება მოწაფეებს: „მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი“ (იოანე, 605,1).

იოანეს გამოცხადებაში ვენახი და მტევანი, ქრისტესთან ერთად, მის მოძღვრებას გულისხმობს: „მოისთულენ ტევანი იგი ვენახისა მის ქუეყანისა, რამეთუ დამწიფებულ არს ყურძენი იგი მისი“ (თ. 14,18,686).

სასულიერო პოეზიაში ქრისტეს ეწოდება „ვენახი სულიერი“, „ცოდვილთა გამაცოცხლებელი ტევანი“, „სათნოების ტევანი“ (იოანე მტბევარი), „ტევანი ტკბილი“ (ჭილ-ეტრატის იადგარი). სინურ მრავალთავში ქრისტე მოხსენიებულია, როგორც „ტევანი ჭეშმარიტებისა“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ „ქრისტე არის „კარგი ყურძენი“ (8,566).

გალაკტიონი შემოქმედებითად ითავისებს წინარე ლიტერატურულ ტრადიციებს. სიმბოლურია მისი „მძიმე მტევნები“, „ფეერიული აკიდო“, „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით“, „სიცოცხლის მტევნები“, „გრძნობათა მტევნები“.

„სულიერი ვენახი“ ეწოდება პოემა „მშვიდობის წიგნში“ ღმერთს.

„ეფემერას“ „გვიანი მტევნები“ არის ქრისტიანული ღმერთი, ვაზი და ჯვარი – სიმბოლო ქრისტიანობისა. მაღალი სულიერება მიუძღვის პოეტს ურთულეს გზაზე და დიდების საწინდრად ექცევა: „სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები, იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება“.

ჭეშმარიტი შემოქმედება უდაბნოს დარდის, „გულის უდაბნოს“ დამარცხებაა, „მღვრიე უდაბნოეთის“ გარღვევა და მთების გადავლა.

„რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული, გაიშლება მცნობელი მღვრიე

უდაბნოეთის“.

გალაკტიონი „ბედუინია“, რომელიც უდაბნოს გავლით მიჰქრის „მამაც ზღვარ-გადამლახველთა“ (სტეფან ცვაიგის ტერმინია) გვერდით პოეტური პარნასისკენ.

შთაგონებული მდგომარეობა ღმერთის გამოცხადების ტოლფასია. გალაკტიონის ლექსებში მუზა სხივის, შუქის, ცეცხლის, ნათლის სახით ვლინდება და მას წინ უსწრებს გუგუნი. ლექსში მთავარია ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრის გადალახვა: „აჰა, შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი, ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი, გაქრა, როგორც ღუმელი, ცოდვით გადაბუგული, უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი“.

სული ზეცნობიერ სფეროებში ხეტიალობს, ფიქრიანი ღამე მთვარეს ელტვის, როგორც შთაგონებისგან განუყოფელს.

შემოქმედის სული უსაზღვროებაა და ძიებებიც უსასრულოა. ამიტომ ჩნდება თუნდაც მოჩვენებითი საზღვრის წყურვილი: „სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული, სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“.

თავგამეტებული ლტოლვილის მიზანი, „გვიან მტევნებთან“ ერთად, ზენიტის პალმების ხილვაა: „სთქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები? წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებს აიტან. ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები, ყოველ მხრივ სივრცე იყოს, შველა კი – არსაიდან“.

გალაკტიონის მიერ ზეცის პალმის ძიება ღვთაების ძიებაა.

სიცოცხლის ხისა და ცნობადის ხის ვარიაციებს გალაკტიონი იყენებს სოციალურ, ფილოსოფიურ, პოეტურ კონტექსტებში. არსებობის ხე, ახალი ცხოვრების ხე, მარადი ხე, სიმართლის ხე, ყველა ხე, ალვა ტანადი, კვიპაროსი, ვერხვი, ტირიფი პოეტმა მრავალგვარ ჭრილში მოიაზრა.

„ეფემერას“ ზენიტზე მდგარი შორი პალმები არის სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის სიმბოლო.

გასაოცარი და გამაოგნებელია პოეტის ხილვები, გამომგონებლობა და ფანტაზია. ნათელმხილველის მიერ გაუკვდავებული სულიერი სამყარო წარმოდგენილია სასახლედ, ქალაქად, კოშკად. საანალიზო ლექსში „სიზმარეთის კოშკებად“ გვევლინება მხატვრული იდეალი, რომელსაც პოეტის გენია აცლის ნისლის რიდეს და გარკვეულობას ანიჭებს სათქმელს: „კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა და იქ მიექანება სული განწირულებით“.

გალაკტიონი პოლუსს ელტვის, ამ გზაზე მას ბოროტი ქარის მუქარა ასდევნებია, მაგრამ იგი სამყაროს ცენტრში მკვიდრდება და, ყოველივე წარმავალზე ამაღლებული, ინარჩუნებს წონასწორობას: „მძიმე ქვების ქუსლებით მივეყრდნობი პოლიუსს, როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება“.

პოეტი „უხვი მემკვიდრეა“, „მკათათვის ოცნებით“ პეშვებავსებული, „მღვრიე შვენებათა“ გამაუკვდავებელი, რომელსაც შეგნებული აქვს მსხვერპლის აუცილებლობა. მისი ტიტანური შემართებით ივლება პირველი მერიდიანი მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე, რაც სიბერის დაგმობაა დაღუპვის ფასად: „თქვენ შეხედეთ: პირველი ჩნდება მერიდიანი, ვეძებ ისევ დაღუპვას და დავცინი სიბერეს“.

„მზეთა ორგია“ და „მთვარის მაგიაა“ ამ სამყაროს ემბლემა.

პოეტი კი „ლანდია არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა“, ანუ ლანდია ხორციდან გასული, უსხეულოდ მოარული სული, რომელსაც მოკვდავთა მიწიერი დარდი კი არა, მარადიულის, სასწაულების, სიტყვით ჯადოქრობის წყურვილი დაჰბედებია.

„გალაკტიონ ტაბიძის გენია მთელ მსოფლიოს უსწორებს თვალს, მაგრამ მთავა-

რი ფესვი მამულში, საქართველოში აქვს გადგმული. მდიდარი ეროვნული კულტურის ტრადიცია ასაზრდოებს მთელ მის პოეზიას“ (ლალი გულისაშვილი).

„პოეტების მეფის“ ზეციდან მოვლინებული ღვთაებრივი სული ისევ ცას უბრუნდება, რათა იქ მიეახლოს „უსაღვროებას“, „დიდ საიდუმლოს“, ანუ ღმერთს: „წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან, ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები, ყოველ მხრივ სივრცე იყოს, შველა კი – არსაიდან“.

ღმერთი, „უსაზღვრობაა“ პოეტის მარადიული სიყვარულის თემა: „...და უსაზღვრობა მე შევიყვარე“.

ცაში დამკვიდრება უკვდავების ნიშანია. პოეტს, როგორც მეფეს, ზეცაში თავისი ბადალი „დიდი საიდუმლო“, ანუ ღმერთი ელოდება. გალაკტიონის საღმრთო სახელებია: „საიდუმლო“, „საიდუმლო შუქი“. მისი სამყარო ამ ცნებათა გარეშე ვერ მოიაზრება. თვით ანტიქრისტეთა თარეშის დროსაც იგი ფარულად დაატარებდა მარადიულის სახეს.

იმ „უსაზღვრობის“, „დიდ საიდუმლოსთან“ შეერთების იმედით იტანდა გამოუთქმელ მწუხარებას. მარიამ ღვთისმშობელი იყო მისთვის „წმინდა ემბაზი“, ქრისტე კი „დიდი საიდუმლო“, ზეცამდე ამაღლების საწინდარი, ბედისწერა – ეფემერა და „ლურჯა ცხენები“: „დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი, ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს. ცხენთა შეჯიბრებაზე, ცხენთა შეჯიბრებაზე, ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!“

ემბაზი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა: „გიხაროდენ, ემბაზის მსგავსებისა გამომხატველო“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა) (9,12).

გალაკტიონი მუდმივი თანამგზავრი იყო დედა-ძის ღვთაებრივი ხატების, რაც მისი პოეტური განუმეორებლობის, მაღალი მორალის, გამორჩეული ნიჭის სრულყოფილი გამოვლენის უმთავრესი იმპულსი გახდა.

ლიტერატურა

1. ჯანსუღ ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ. 1983
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
4. საქართველოს ეკლესიის კალენდარი თბ. 1994
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
6. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1960
7. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1982
8. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები, თბ. 1989
9. საპატრიარქოს უწყებანი, №12, 3-9 აპრილი, 2009

მას გახელილი დარჩა თვალები

გალაკტიონ ტაბიძე მზიდან მოვლენილი პოეტი იყო, ზეციური სამშობლოსა და მიწიერი მამულის ბინადარი ერთდროულად. ამიტომაც პოეტის გზებს „არასაამ-სოფლო ნაკვალევი“ აჩნდა, იგი ორ სამყაროში მკვიდრობდა, „ორი ქვეყნის საზ-ღვარზე“ იდგა და არაამქვეყნიური ნათელი გვათოვს მისი შემოქმედებიდან.

როგორც ნათელმხილველს და ნათელმსმენს, პოეტს ქრისტეს დაუმცხრალი სხივების ელვარებაც განუცდია, ღმერთის უხმო ძახილიც გაუგონია, მარადიული მზის ჯვარცმაც უხილავს სულის თვალებით, მკვდრეთით ამდგარი და ზეცაში გა-დასახლებული უფლის მონატრებაც აუტანია და მასზე ოცნებას სიკვდილის გზა-ზეც გაუგზავნია.

პოეტი მიესალმებოდა ქრისტეს „თანამგრძნობ და კეთილ ჩრდილს“, „მის თანამ-გრძნობ თვალებს“, „ნუგეშს“, პირველ სხივს, ახალ სიცოცხლეს, „დიდ საიდუმლოს“ და ამქვეყნადვე განიცდიდა მის ცხოველმყოფელ ძალას, ამასთან, გათავისებული ჰქონდა უფლის ცხოვრების ყველა სტადია.

ქრისტეს მოვლინების, მისი სასწაულების, გაცემის, ჯვარცმის და ცად ამაღლე-ბის მისტერიას განსაკუთრებული ადგილი უკავია გალაკტიონის პოეზიაში, ვინაი-დან პოეტი კაცობრიობისათვის წამებულ ღმერთს გაუტოლეს ანგელოზებმა.

და მართლაც, პოეტის მთელი ცხოვრება ღმერთთან მიმსგავსებაში, მისი თაყვა-ნისცემასა და ზეციური სიკეთის გაღებაში წარიმართა.

ქრისტეს ჯვარცმა და მიცვალება ევროპის ზოგიერთმა მოაზროვნემ ცალმხრი-ვად გაიგო, ვერ გაიცნობიერა, რომ ხორციელი ქრისტე წამებით მოაკვდინეს ფარი-სევლებმა, სული კი ცად ამაღლდა. ზოგიერთებმა ნაზარეველი სამუდამოდ გამოიგ-ლოვეს და ახალი ღმერთის ძიება დაიწყეს, მათი იდეალი თავიდან დიონისე იყო, მე-რე კი გაღმერთებული ზეკაცი, რომელიც ყოველგვარ მორალსა და ადამიანურზე მაღლა დააყენეს. ზეადამიანის ეს თეორია სრულყოფილი ფორმით ნიცშეს შემოქმე-დებაში გამოვლინდა.

ნიცშეს ზარატუსტრა ამბობდა: „ღმერთი მოკვდა, ის სამარეში ჩაწვა, თქვენ კი აღადგინეთ. მხოლოდ ახლა დაიწყება დიადი შუადღე, მხოლოდ ახლა უმაღლესი ადამიანი გახდება ბატონი, ღმერთი მოკვდა. ახლა ჩვენ გვსურს, რომ ცოცხლობდეს მხოლოდ უმაღლესი ადამიანი“ (1,225).

გალაკტიონს არ ჰქონია ღმერთის გადაფასების პერიოდი, პირიქით, მას გამუდ-მებით ევლინებოდნენ და სიკეთეს შთააგონებდნენ მარიამი, ქრისტე, წმინდა გიორ-გი, ანგელოზები.

ქრისტიანულ სამებაში ძე ღმერთი წარმოიდგინებოდა მზის, სხივის, შუქის სა-ხით. ასეთ სიმბოლოს მიმართავდა სასულიერო პოეზია, დავით გურამიშვილი.

გალაკტიონისათვის იესო მზეა, „მზიანი ღამე, შორეული მზე, მზის სათავე, შუა-ღა-მის მზე“.

მის შემოქმედებაში ხშირად შეგვხვდება სიმბოლური სახეები – ახალი მზის ამოსვლა, მზის ჩაქრობა, მზის გარდაცვალება და კოსმიური სიცივის გაბატონება.

როგორც სხვა ქრისტიანულ პრობლემას, ძე ღმერთის ჯვარცმას განსაკუთრებული ინტერესით აშუქებს გალაკტიონის პოეზია.

ქრისტეს მიცვალებას პოეტი აღიქვამს, როგორც მზის გარდაცვალებას, მზის ჩაქრობას, „შავი მზის“ ამოსვლას, და მაინც სჯერა იდეალის გადარჩენის.

ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“ მზის გარდაცვალებაში პოეტმა იგულისხმა ძე ღმერთის ჯვარცმა.

ახალი მზის – იესოს მოვლინების ბედნიერების შემდეგ უმადურ კაცობრიობას ისევ წილად ხვდა განეცადა უსასტიკესი სასჯელი – „უმზეოდ ყოფნა“. სწორედ ასეთი არსებობის საშინელებას განგვაცდევინებს სტრიქონები: „მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო, მზე მიიცვალა ღია თვალებით, ის მიიცვალა რაღაც უმწეო და საოცარი გარდაცვალებით!“

მზე უზეშთაესის მეტაფორაა: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (3,614).

მართლაც,უმწეო იყო ხორციელი ქრისტე, საოცარი იყო ჯვარცმული იესოს ხვედრი, საკუთარი მხრებით რომ აიტანა წილხვდომილი ჯვარი გოლგოთაზე.

„უცხო მხარეს გახელილი თვალებით“ გარდაცვლილი მზე-ღმერთის სახე ევლინება პოეტს და შემთხვევითი არ არის აქცენტი გახელილ თვალებზე, რადგან ქრისტეს სიკვდილი მხოლოდ ხორცის სიკვდილი იყო, სული კი ცად ამაღლდა და სამუდამო სინათლის მხარეს დაუბრუნდა ღია თვალებით, რათა მარად ფხიზელი დარაჯობდეს სამყაროს მაჯისცემას.

ღმერთი არის მარადიული, ყოვლისმხილველი ღია თვალები: „დიდგანმზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19)(2,156).

ქრისტე „უცხო მხარეს“, ანუ მიწაზე გარდაიცვალა მარად მღვიძარე თვალებით. გახელილი დაუხუჭავს კი არა, მაგრად ფხიზელს უნდა ნიშნავდეს და „თვალი“ უფლის სახელია, თანაც თვალი სულის სარკეა.

უფლის მიცვალება ღვთისმშობლისა და სერაფიმთა გლოვა-ტირილის გარეშე წარმოუდგენელია.

ჯვარზე გაკრული ღმერთის გახელილი თვალები „საღამოთა ხმას“, „სერაფიმთა ხმას უსმენდნენ ტანჯვით და მოკრძალებით“.

ლექსში მარიამი ფიგურირებს, როგორც „მგლოვიარეთა ქნარი“: „რა ხდება იქით?! საიდან ისმის მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით?“ უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს უამინდობით... უამინდობით“! (4,131-132).

„ქნარის“, კერძოდ, „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარის“ სახე სასულიერო პოეზიიდან მომდინარეობს.

„დაუჯდომელის“ თანახმად, მარიამი „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია“: „გიხაროდენ ქნარო სიტყვიერთა ცხოვართაო“.

დავით გურამიშვილი იმეორებს ამ სახეს: „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარო“, რაც ნიშნავს მაცხოვრის, ქრისტეს დამბადებელს (5,242).

სულიწმიდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფებს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს.

„ქნარი“ აშკარად მარიამის სახელად მოიაზრება გალაკტიონის ლექსში, ხოლო ეპითეტი – „მგლოვიარეთა“ ძალზე მიგნებულად გამოხატავს უფლის დედისა და სერაფიმების შეჭირვებას ქრისტეს ჯვარცმის მომენტში.

ნათელმხილველი და ნათელმსმენი პოეტის არსებამდე აღწევს საუკუნეების წინანდელი ტრაგედია: „რა ხდება იქით!“ მარიამის შვილთან გამოსალმებაც ჩაესმის თითქოს, „ჩუმი გალობა“ და შემწყდარი სუნთქვა აფორიაქებს. მეხსიერებას შემოუნახავს „მოგონება ძვირფასი მკვდარის“ (გალაკტიონი ხომ მარადიული ქართული სულია, „ათას საუკუნის მთელი ტრაგედია“ რომ ასდევნებია წყევლასავით მის მეხსიერებას): „საიდან ისმის ჩუმი გალობა და უღონობა სუნთქვის შემწყდარის, წამების წყნარი წარმავალობა და მოგონება ძვირფასი მკვდარის?“ (პოეტს ხომ ქაოსიდან ქვეყნის შექმნის ხმაც ესმოდა: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ – „ვაგნერი“).

„ძვირფასი მკვდარი“ ძე ღმერთია, ქრისტე, კაცობრიობის ხსოვნაში მარადიულად „ღია თვალებით“ დარჩენილი, ანუ სულად ქცეული, ცაში აჭრილი, წარმავლობის დამმარცხებელი და „გონიერი ზეცის“ სამუდამო ბინადარი.

საინფორმაციო ველიდან, იდუმალი მდელოდან გაყვითლებული ნეშოს შრიალი ისმის, როგორც ფოთოლცვენის, სიკვდილის მაცნე, სიო კი, რომელიც სხვა დროს „ველთა ზღაპარს“ ჰყვებოდა, სისინებს ავისმომასწავებლად, „ჩუმი გალობა“, ცერერას ტირილი აფორიაქებს სმენას.

ძალზე მწვავეა განშორების სევდა საქართველოში მყოფი ქრისტეს მოთაყვანე პოეტისთვის, რადგან ნაზარეველის გარეშე მიწიერ სამშობლოში არსებობას აზრი არა აქვს: „მიდის ზაფხული... ბაღში, მდელოში სისინებს სიო, შრიალებს ნეშო, მე ისევ აქ ვარ... საქართველოში! რისთვის, ძვირფასო! რისთვის, ნუგეშო?“

„ძვირფასიც“ და „ნუგეშიც“ ქრისტეა, იგი ხომ „ნუგეშისმცემელია ცხოვრებისა“ (გოდება იერემიასი, I, 16) (2,180).

უფლის მარად გახელილი და ფხიზელი თვალების ცქერა ანუ სული (თვალი ხომ სულის სახეა) ელანდება, მისი ჩრდილად გარდასახული არსება (ხორცი მოკვდა, სული – აჩრდილი, ეთერული სხეული ცაში ავიდა) მიაცილებს პოეტს და ამასთან, ესმის ნაყოფიერების ღმერთის – ცერერას ტირილი: „მივალ, მიმყვება მე შენი ცქერა და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი, ყველგან უჩინრად ტირის ცერერა, თვალები ცივი და გახელილი“.

ქრისტეს „თანამგრძნობი და კეთილი ჩრდილი“ სხვა დროსაც უნახავს პოეტს (ქრისტე), მას ამქვეყნადაც მოვლენია უფალი და ახლა ზეცაში, „დიდ საიდუმლოსთან“ შეხვედრის ბედნიერებაზე ფიქრობს, ღმერთთან შეხვედრის საბოლოო გზა კი სიკვდილია.

ქრისტე არის „ცხოვრება“, როგორც თვითონ ამბობს სახარებაში. გალაკტიონის ლექსებში მას ეწოდება „სიცოცხლე, სხვა სიცოცხლე, ახალი ცხოვრება, სიცოცხლის მიზანი, სიცოცხლის მტევანი“.

„სხვა სიცოცხლესთან“ შეხვედრაზე ოცნებობს პოეტი იდუმალ და ამის მიღწევის „უახლოეს გზად“, „ერთადერთ გზად“ ესახება სიკვდილი: „ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი? მე გზა არ ვიცი უახლოესი: ერთადერთი გზა არის სიკვდილი“.

სიკვდილი მისთვის წარმავალ ხორცთან გაყრა და სულის განთავისუფლებაა, წმინდა სულის ცაში ასვლა და მარადიული ღვიძილია, პოეტს სწადია ეთერულ ქრისტესთან თანხლება მარადიულ ზეციურ სასუფეველში.

„გარდაცვლილი“ ღმერთის გახელილი თვალების მძაფრი ხატებაა ამ შეუდარებელი რექვიემის გამჭოლი.

ლექსის რეფრენია „მას გახელილი დარჩა თვალები“.

ღმერთი ხომ თვალია, „თვალთა ნათელი“, „მზის თვალი“, „მფარველი თვალი“ (დავით გურამიშვილი, ჰიმნოგრაფია). „გახელილი თვალების“ ადრესატი ქრისტე ღმერთია. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ ფრაზაზეა მთელ ლექსში აქცენტი.

გენიალური ქართული სიტყვა გარდაცვალება სხვად ქცევას გულისხმობს და ფარულად შეიცავს არა გაქრობის, არამედ სახის ცვლის, მარადიული არსებობის რწმენას. ქრისტიანული ღმერთი გარდაიცვალა, ხორციელი არსებობა შეწყვიტა და თავის პირველ საწყისს – სულიერ ზეცას დაუბრუნდა.

„მას გახელილი დარჩა თვალები“ 1918 წ. დაიწერა. ალბათ, ეს თარიღიც არაა შემთხვევითი.

მრავალჯერ უგმიათ ქრისტე, მაგრამ გალაკტიონის თანამედროვე ეპოქას ანალოგი არ გააჩნია რწმენისადმი სასიკვდილო განაჩენის გამოტანაში.

ლექსი ეპასუხება დროულ და ზედროულ ამოცანას. იგი, ერთი მხრივ, ქრისტეს ჯვარცმის თვალნათლივი წვდომაა ნათელხილვის წყალობით, ამასთან, იმ დიდი ტკივილის გადმოშლაა, რაც ანტიქრისტეთა თარეშმა არგუნა კაცობრიობას.

ბევრჯერ „გარდაცვლილა“ მზე-ღმერთი ურწმუნოთათვის და უმიზნობას, შინაგან სიცარიელეს, სულიერ წყვდიადს დაუნაღმავს სამყარო, „შავი მზის“ ამოსვლით არარსებობას, უნაყოფო ტრამალს დამსგავსებია სიცოცხლე.

მზე-ღმერთი გალაკტიონის თანამედროვე ეპოქამაც მიალურსმა ჯვარზე და ამით თვით მოაწერა ხელი სიკეთის სიკვდილს.

მეფე-პოეტი სულის გაუდაბურებამ შეძრა. მან უღმერთო ქვეყნიდან გაქცევა და სიკვდილის შემდეგ სულიერ მზესთან შეხვედრა ინატრა.

სიზმარშიც უხილავს პოეზიის ჯადოქარს სიკეთის ღმერთის დაგმობა მზის ჩაქრობად, რაც უშუქო, უმიზნო ყოფნას უტოლდებოდა: „მე დამესიზმრა მწარე სიზმარი, მაგრამ მთლად როდი იყო სიზმარი, უეცრად ჩაქრა მზე ელვარებით და სიდიადით ნათილისმარი“.

მზის ჩაქრობა „კოსმიურ სიცივეს“ აბატონებდა მისთვის და ეს „მთლად როდი იყო სიზმარი“: „უსაზღვრო სივრცის სიმაღლეებში სადაც მარადი იყო ბინდბუნდი, უშუქოდ, ყოველ მიზანს გარეშე ხეტიალობდა ვარსკვლავთა გუნდი“.

„მკვდარი მზის“, „შავი მზის“ ამოსვლით გულგატეხილი პოეტი მოუხმობდა სულიერ მზეს, შორეულ მზეს.

შემთხვევით არც ისაა, რომ გალაკტიონი სხვა ლექსში „დროთა სიკვდილზე“ ლაპარაკობს, დროც საღმრთო სახელია მის შემოქმედებაში: „დროის კარი, დღეთა კარები, დროის თვალი, დროის ქროლა, დრო, ვერ გამოსათქმელი“.

პოეტების მეფე აფხიზლებდა მიძინებულ ერს, რწმენადაკარგულ საზოგადოებაში „ძვირფასი მკვდრის“ მარადიულობის აზრს ნერგავდა, სიყვარულის ზარებს რეკავდა, შუქად ევლინებოდა მშობლიურ ცას, „მზის სათავისკენ“ გზების გაგნებას შთააგონებდა ზეცაწართმეულ ხალხს. გვიან, მაგრამ მაინც შეისმინა ხალხმა გენიოსის მხურვალე ღაღადისი.

როლანდ ბურჭულაძემ ლექსში აქცენტირებული მზის გარდაცვალება ფაუსტური კულტურის დაღუპვის სიმბოლოდ მიიჩნია, ხოლო ლექსის „ძვირფასი მკვდარი“ ევროპის კულტურის დოსტოევსკისებურ გაგებას დაუკავშირა: „ევროპის კულტურა დოსტოევსკისთან ფიგურირდება, როგორც „ძვირფასი მიცვალებული“ და აქედან ცხადია გალაკტიონისეული „თიბათვის მზის“ სინონიმის – „ძვირფასი მკვდარის“

წარმომავლობა“.

ხოლო მზის სიკვდილის წყაროდ როლანდ ბურჭულაძეს მიაჩნია ჟიულ ლაფორგის „სამგლოვიარო მარში დედამიწის სიკვდილზე“ და ფრიდრიხ ნიცშეს „ასე ამბობდა ზარატუსტრა“. „ლაფორგი მიუთითებს ევროპის კულტურის (ფაუსტური კულტურის) გარდაუვალი დაღუპვის შესახებ და მის დასასრულს დედამიწის დასასრულთან აიგივებს. ტროპის ტრანსფორმაცია გალაკტიონთან მეტად უმნიშვნელოა. აქ მზის სიკვდილია აღწერილი“, შენიშნავს როლანდ ბურჭულაძე (6,153, 156).

საანალიზო ლექსის სრულიად განსხვავებული წაკითხვის ნიმუშია ჯანსუღ ღვინჯილიას სტრიქონები: „სამშობლოს ოდინდელი სატკივარიც ალაპარაკდა გალაკტიონის პოეზიაში. უცხო მხარეს დაღუპულთა სევდა ამოენთო ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“. მზის გარდაცვალებასთან არის გატოლებული ეს უცხო მხარეში გარდაცვალება“ (7 ,413).

ლია სტურუას აზრით, მზის გარდაცვალებაში სიკეთის კვდომა იგულისხმება. მზე სიკეთის ილუზიაა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ გახელილი დარჩა თვალები (8,96).

აშკარად უდავოა აზრი მიხეილ კვესელავასი, რომელსაც „მზისადმი ასეთი თაყვანისცემა, მზის ამგვარი რექვიემი“ მთელ მსოფლიოში არ ეგულება (9,95).

ლიტერატურა

1. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, გერმანულიდან თარგმნა ერეკლე ტატიშვილმა, თბ. 1993
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
5. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები, თბ. 1989
6. როლანდ ბურჭულაძე, მხოლოდ ინტეგრალები, თბ. 1980
7. ჯანსუღ ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ. 1983
8. კრებული „სადღეგრძელო იყოს მისი“, თბ. 1973
9. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ.: 1978

„ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“

გალაკტიონ ტაბიძე უაღრესად რელიგიური პოეტი იყო. ამაში გვაჯერებს ინტერესი ბიბლიური მოტივებისადმი, ქრისტეს, მარიამის, წმინდა გიორგის სახეთა მიმართ განსაკუთრებული მოწიწება, „ცის გახსნის“ გამუდმებული ლოდინი.

ამ ფონზე სრულიად ბუნებრივია გრაალის სახის თავისებური გააზრება პოეტის მიერ.

გრაალის ბარძიმი არის თასი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმისას მაცხოვრის ფერდიდან გადმოღვრილი სისხლით აავსო გოლგოთაზე იოსებ არიმათიელმა, ხოლო შემდეგ ევროპაში, ინგლისში წაიღო. ქრისტეს სისხლით სავსე ამ თასს ეწოდა გრაალი.

პირველად გრაალის ბარძიმს ძველ აღთქმაში ვხვდებით, როცა სალიმის მეფე-მღვდელმთავარი მელქისედეკი ბარძიმში ჩადებული პურითა და ღვინით შეეგება ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ აბრაამს. ახალ აღთქმაში გრაალის ბარძიმი საიდუმლო სერობისას გვხვდება პირველად, საიდანაც ქრისტემ მისსავე სისხლად და ხორცად გარდაქმნილი პური და ღვინო უწილადა თავის მოწაფეებს. როცა გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავდა, მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან. ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მეს პირები არსებობს წმინდა ავგუსტინეში, თომა აქვინელში, ფრანჩესკი ასიზელსა და სხვებში. ასევე, წმინდა ნინოში გადმოსულია ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს ხატი. „სვეტიცხოვლის ტაძარი გრაალის ტაძარია, რადგან იგი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილას არის აგებული, სადაც ქრისტეს კვართია დამარხული“ (1,63).

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაპადოკიურ ეთნოსს უკავშირებს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, ტერმინიც კაპადოკიურია: „გრაალი მომდინარეობს ძველპროვანსული და, ალბათ, ძირითადად, კაბადოკიური ტერმინიდან „გრაცალ“. საერთოდ გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია. კაპადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბერიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაბადოკიელი, ე.ი. ქართველური წარმოშობისა... გრაალის მისია ეს არის სულიწმიდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმიდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმიდით გამსჭვალული ადამიანი“ (2, 38).

ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, შავთელის ოდებში მოხსენებული „მადლთა ბარძიმი“ იგივე გრაალის თასია. ქართულ ფოლკლორში წმიდა გიორგის მიერ ქაჯავეთიდან წამოღებული თასიც გრაალია. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული... ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს. „ვეფხისტყაოსანიც“ გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოებია, სინონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე.ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ალეგორიულად რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი

უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელში ჩასვლა და გრაალის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობიდან“ (იქვე).

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის აზრს, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე აერთებდა და ახორციელებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

„სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახელი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის საიდუმლო რიტუალს, ქართველებთან ერთად, შესაძლოა, ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.

გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს...“ (3,51).

მერაბ კოსტავა აგრძელებს: „ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი გვამცნობს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული მეტად მნიშვნელოვანი ორგანო – ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული“ (იქვე).

დავით აღმაშენებელს ჰქონდა „სპირიტუალური უნარი სივრცული ნათელხილვისა, იგი იგებდა სხვათა ფიქრებს და ზრახვებს. ეს სცოდნიათ მის ისტორიკოსს და შავთელს. ეს ეზოტერული სიბრძნე იყო.

„დავით აღმაშენებელი რომ მართლაც ხელდასხმული იყო, ამას ღაღადებენ გელათის ტაძრის კედელზე გამოსახული მისი ფრესკა და თავს ზემოდან ციდან ჩამოშვებული ხელი“ (იქვე, გვ. 45, 46, 48).

იოანე ხუცესის თქმულება გამოუყენებია კრეტიენ დე ტრუას რომანში „პარსიფალი ანუ თქმულება გრაალზე“, ეშენბახი თავისი პოემისათვის უნდა დასესხებოდა ამ თქმულებას.

გერმანელმა პოეტმა ალბერტ შარფენბერგელმა (მე-13 ს.) თავის პოემას „ახალი ტიტურელი“ უწოდა და ფართო ადგილი მიუჩინა მასში იოანე ხუცესს და წმინდა გრაალის საკითხს.

ეზოტერული ქრისტიანობის წარმომადგენლებმა, რომელთაც უშუალო მეგობრობა აკავშირებდათ დავით-იოანე ხუცესთან, გრაალი აღმოსავლეთიდან კვლავ ევროპაში გადაიტანეს. განმარტოებულ და მიუწვდომელ ადგილას აღიმართა გრაალის კოშკი, რომელსაც თორმეტი რაინდი მეთვალყურეობდა.

დავით აღმაშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი.

არსებობს ცნობა მეფე დავითისა და იოანე ხუცესის პიროვნების იდენტურობის შესახებ.

გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტი წიგნში „გრაალის ტაძრები კავკასიაში. თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში“ – ამტკიცებს გრაალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში. სვეტიცხოვლის ტაძარი გრაალის ტაძარია, რადგან იგი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილას არის აშენებული, სადაც ქრისტეს კვართი დაიმარხა (აკაკი ბაქრაძე) (1,63).

ცნობილია გრიგოლ რობაქიძის საყოველთაოდ გახმაურებული ნაწარმოები – „გრაალის მცველნი“.

გალაკტიონის ცხოვრება და შემოქმედება ამტკიცებს, რომ ის იყო სულიწმიდის მადლით ცხებული პოეტი, და ბუნებრივია მისი ინტერესი გრაალის თემისადმი.

ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში პოეტი მოწმე გახდა ღირებულებათა გადაფასების, ჭეშმარიტების დათრგუნვის, სულის გაუდაბურების, ტერორის, ტირანიის. ბელზებელი დაჰქროდა კიდითკიდე და ანტიქრისტეთა ლეგიონები ფეხქვეშ თელავდნენ ადამიანის ყოველგვარ უფლებებს. ქართველი კაცი გაუუცხოვდა უფალს, უდანაშაულოთა სისხლით და ცხედრებით აივსო ქუჩები. გაუგონარი უსამართლობით გულმოკლული პოეტი მარიამ ღვთისმშობელს ევედრებოდა, თავისი წილხვდომილი ქვეყნისთვის კალთა გადაეფარებინა, მოევლინებინა ღვთის სული, რათა გადარჩენილიყო სიყვარული.

სიკეთის მოკლების დროს დიდი იყო წყურვილი უზენაესისა, გრაალის იდეალების ერთგულებისა, გაჩნდა შიში, რომ ბოროტება საბოლოოდ გადათელავდა სიკეთეს და სამყარო ერთსახოვან, „ცალთვალა მეფისტოფელად“ იქცეოდა. „თიბათვის მზე“, რომელსაც მიმართავს „ლოცვად მუხლმოყრილი“ პოეტი, არის მარიამ ღვთისმშობელი.

მარიამს უმღეროდნენ აღორძინების ეპოქის პოეტები, მის სახეს უკვდავყოფდნენ მხატვრები, მუსიკოსები.

„მადლით მოსილი“ მარიამი ესახებოდა დანტეს მაცხოვრის ხილვის გზად: „მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმშობელის ძალმოსილება მოგმადლებს უნარს, მაცხოვარის იხილო სახე“ (4,307).

ეს „ძლიერი და დიადი დიაცი“ დანტესთვის იყო „შუადღის მზე“, შუქის ლამპარი, „იმედი ცხოველი“: „შენ ჩვენთვის მზე ხარ შუადღისა მადლით მჩქეფარე, ხოლო მიწაზე კაცთა მოდგმის შუქის ლამპარი, დიდი სათავე უშრეტელი იმედის ცხოვლის“ (იქვე, გვ. 408).

მარიამის მზედ წარმოსახვის ტრადიცია ჩვენს ლიტერატურაში იწყება ქართული ჰიმნოგრაფიით. ამ მხრივ, საყურადღებოა დემეტრე-დამიანეს იამბიკო: „შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული, ალვა სულნელი, სამოთხით გამოსული, ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.

მარიამისადმი თაყვანისცემას გამოხატავს აღორძინების ეპოქის ქართული პოეზია (დავით გურამიშვილი), მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური ლიტერატურა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა).

გალაკტიონი იზიარებს მესიანისტურ იდეას, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა და თავის ლექსებში უკვდავყოფს მას ორიგინალური სახესიმბოლოებით, როგორიცაა: „ალის თასი, ალის ჭიქა, მარადი ჭიქა, სიხარულის ჭიქა, სიმართლის თასი, ელვარე თასი, თასი ზამბახეული, ცეცხლოვანი აზარფეშა“.

მთელ რიგ ლექსებში კი იგი ფიგურირებს როგორც: მზე, დედა ღვთისა, თიბათვის მზე.

თიბათვის მზესთან მუხლმოყრილი, გრაალის ორეულად ქცეული პოეტი ლოცულობს მხურვალედ, რათა გადარჩეს მისი სიყვარული: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები. იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები“.

ორიგინალობით, გულწრფელობით აღბეჭდილი სტრიქონები ლექსისა ფსალმუნის ავტორის ღაღადისს ეხმაურება თითქოს: „ღმერთო, შემინახე თვალისჩინივით, შენი ფრთების ჩრდილქვეშ დამიფარე ბოროტთაგან, რომელნი თავს მესხმიან, მტრებისაგან, გარს რომ მერტყმიან სულის ამოსახდელად“ (ფს. 18,8) (5,535).

ფსალმუნის ავტორსაც გაჭირვების ჟამს უფლის ფრთები ეიმედება: „ღმერთო, შემიწყალე, რამეთუ შენ მოგენდო ჩემი სული და შენი ფრთების ჩრდილქვეშ შევაფარებ თავს, ვიდრე გაჭირვება გადაივლიდეს“ (ფს. 16,9) (5,535).

დავით წინასწარმეტყველი მფარველ ღმერთს ევედრება, რათა თავის ფრთებქვეშ შეიფაროს განსაცდელში მყოფი ადამიანი: „ისმინე, უფალო, ვედრება ჩემი, რამეთუ შენ ხარ ჩემი მფარველი. ვიცხოვრებ შენს კარვებში მარადის, თავს შევაფარებ შენი ფრთების საბურველში“ (ფს. 60,4,5) (5,584).

მარიამის მეოხებით სწადია გალაკტიონს უბედურების ჟამს ღვთისმშობლისმიერი სულის – ღმერთის მოვლინება უმანკოთა მშვენიერი სულის შესანარჩუნებლად: „ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ, სული მოუვლინე ისევ შენმიერი, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მიეც მშვენიერი“.

მხოლოდ ციური სულითაა შესაძლებელი მშვენიერების გადარჩენა, ამაღლება, თავისუფლების მიღწევა. „უფალი სულია, ხოლო სადაც არს სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა მიმართ, თავი 4,17) (5,388).

გახრწნილების, გაუტანლობის პერიოდში შემთხვევითი როდია სულის ნატვრა, რადგან, „სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება“ (პავლე მოციქული, გალატელთა მიმართ, 6,22,23) (5,411).

დანტე „უზენაესი ნათელის“ – ღმერთის მოვლინებას ევედრებოდა მარიამს: „ამ ლოცვით შეგთხოვ, მზერის შენის მეოხებითა, აწ თვალთა მისთა განუფანტო მიწის არმური და მოევლინოს მას ნათელი უზესთაესი და შერჩეს ძალი, წინ აღდგეს ვნებათ მიწიერს. დიდების შენის ნატვიფარი მომადლე ჩემს სულს“ (ღვთაებრივი კომედია) (4,410, 412).

„განმინათლე მხედველობაი სულისა“ – ევედრებოდა დავით აღმაშენებელი უზენაესს.

ვაჟა-ფშაველა ლოცულობდა, რათა მის სატრფოს ღვთაებრივი მადლი მოჰფენოდა: „ნუ დაუძვირებ ჩემს სატრფოს მადლს, გულზე ცეცხლის მდებელსა“.

ღმერთისაგან გაუცხოებულ ეპოქაში ეძებდა გალაკტიონი უზენაეს სულს.

ლექსის ფინალში კონკრეტდება შინაარსი ეპოქისა, რომელიც გამოირჩა სისხლით, ცხედრებით, ქარტეხილებით, და ბუნებრივია პოეტის სურვილი, ბოროტებამოძალებულ დროში გადარჩეს სასურველის ნათელი სული: „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გევედრები!“

ასე დაუპირისპირდა გალაკტიონის თანამედროვეობაში ერთმანეთს გრაალი, დიდი სიყვარული, უმანკო სული და ხანი უნდობარი, სისხლი, ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი.

მაინც შემოინახა და გადაარჩინა პოეტმა სიკეთე, სინათლე, გრაალის იდეალი, თაობები აზიარა სულიწმიდასთან წილნაყარი, გამორჩეული სულის სასწაულმოქმედ ძალას...

არასწორია ამ ლექსის უცხოურ ტრადიციებთან დაკავშირება, იგი, როგორც პო-

ეტის ერთ-ერთი ჩანაწერი ამხელს, პოეტის სულის ბიოგრაფიის ნაწილია და ოლია ოკუჯავას მწარე ხვედრის წინასწარმეტყველებაა, შიშია მის მომავალზე. ალბათ, ამიტომაც არის ასეთი გულწრფელი და სულისშემძვრელი მუსიკად ქცეული ტკივილები სულისა.

გალაკტიონის დროს ბევრჯერ იზეიმა ბოროტებამ, ძალმომრეობამ, ტერორმა. ღმერთის საბოლოო სიკვდილისა და ცრუ ბელადების გაღმერთების იდეაც იმ ეპოქის გამონაგონი იყო. უჭირდა სიკეთეს, სიმართლეს, სიწმინდეს, დრაკონის ნაშიერები ცდილობდნენ რელიგიური მრწამსისა და გრაალის იდეალის ჩაკვლას. იტანჯებოდა პოეტების მეფე, იმსხვრეოდა გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო, უგულებელყოფილი იყო ციური ოცნება, კაცთა გაუგონარი მკრეხელობით კვდებოდა ვარდები და ქარვათა მორევში სამუდამოდ ეშვებოდა ფარდა. ანგელოზის პერგამენტზე ეწერა უმძიმესი განაჩენი. უკეთესი მომავალი კი ოდესმე მაინც იქნებოდა, თუნდაც მიღმურში, ასე სწამდა პოეტს: „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი, მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე, ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა! ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე! გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა“.

გრაალი არის სიმბოლო სულიწმიდისა, ღვთისმშობლისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმიდის გამსჭვალული ადამიანი (2,38). გალაკტიონი იყო სულიწმიდით ხელდასხმული პოეტი, რომელსაც არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ზენა ძალებთან.

ფითრდებოდა თვით ღვთისმშობელი, რომლის სიმბოლოა „ღრუბელი ფერადი“, ციური ოცნების უხეში უგულებელყოფით შეძრწუნებული იყო ძე ღმერთი – „ალვა ტანადი“.

უიმედობა, ტკივილები და სამუდამო დამშვიდობება იყო ყოველივეს ფინალი: „ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები – საღამო კანკალებს შიშით და რიდობით, საღამო ნელდება და კვდება ვარდები... მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“

პოეტის ეპოქას სატანამ დაანათლა ურწმუნოება, უგულობა, უღმერთობა და ისიც გოდებდა „დაუსრულებელი სეტყვით“ დაღუპულ ყვავილებსა და ვენახებზე, ვაზის უნაყოფობაზე, გრაალის არსის მივიწყებაზე. მოხევის დაკარგულ გზაზე, ბურუსებს იქით გაუჩინარებულ „სიცოცხლის დილის ყვავილებზე“.

ქარტეხილით დამსხვრეული ატმის რტოს, გრიგალისაგან გატაცებული ვაზის ლერწმის გადარჩენას ევედრებოდა გალაკტიონი უფალს და ნათელმხილველი პოეტი მაინც ჭვრეტდა სიკეთის შორეულ ზეიმს.

გალაკტიონი მზად იყო სისხლით ეწერა, ყოფიერების შხამიანი თასი დაეცალა, სიკეთისათვის სიცოცხლე გაეღო ქრისტესავით და გრაალის ბარძიმი გაევსო საკუთარი სისხლით.

სწორედ ეს გახდა მისი უკვდავების საწინდარი.

ლიტერატურა

1. აკაკი ბაქრაძე, რწმენა, თბ. 1980
2. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
3. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
4. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1992
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992

ვერხვები

გალაკტიონ ტაბიძის მსოფლმხედველობის წვდომა მხოლოდ მისი სიმბოლურ-მეტაფორული სახეების გაშიფრვით არის შესაძლებელი.

პოეტების მეფის ლირიკის უპირველესი თემაა რწმენის, როგორც პიროვნული თუ შემოქმედებითი განსხივოსნების უმთავრესი ფაქტორის, ერთგულება, ამასთან, ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიის წარმოჩენა.

„ვერხვები“ პოეტურ-მუსიკალური, ღრმა ქვეტექსტების, საგულისხმო ჩანაფიქრის ლექსია, რომლის ჰანგი ცრემლს ადენს მკითხველს თუ მსმენელს. ნაწარმოების სიტყვებში, სტრიქონებში „არსაამსოფლო“, „არაქაური“ ნიავი უბერავს. ლექსის ჯადოსნური მეტყველება თითქოს ჰაერსაც ცვლის ირგვლივ, და „ხმათ აიაზმა“ გვეპკურება, ვგრძნობთ ზენაარის მოახლოებით შეძრულ სულს, იდუმალის ფრთების შეხებას.

ქარის დაბერვა და ვერხვის ფოთოლთა ლაშქარი აშრიალებს ლექსში უშორეს ზღაპარს: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“.

აფრა, ანძა, იალქანი, ღუზა სულის სიმბოლოა სასულიერო პოეზიაში, ღვთისმეტყველებაში (გრიგოლ ღვთისმეტყველის სწავლანი, ეფრემ მცირის თარგმანი(1,82).

ქარის დაბერვა სულიწმინდის – შთაგონების მოვლინებას გვაცნობს. სულიწმიდის გამოცხადება „მობერვის“, „დაბერვის“, „უჟამო მობერვის“ ცნებებით გამოიხატება სახარებაში, ღვთისმეტყველებაში, დიონისე არეოპაგელის შრომებში.

„საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა „ზეშთაგონება“, წერდა გრიგოლ ნოსელი (პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის (2,263).

„ვერხვების“ პირველი სტროფი სულიწმიდის შთაგონებით ავსებას გვამცნობს და ღვთაებრივით სულის განათება წარსულის უშორეს ზღაპარს აშრიალებს, როგორც „ვერხვის ფოთოლთა თეთრ ლაშქარს“.

გალაკტიონის ლექსებში „ტყე საიდუმლოდ შრიალებს“, „ოცნება შრიალებს“, „აშრიალდება ფიქრთა სამოსი“, ანუ ხდება იმის მოსმენა, რისთვისაც საჭიროა არა მხოლოდ მუსიკალური ყური, არამედ გულის ყური, სულის თვალი, „თვალებით სმენა“, როგორც თვითონ აცხადებს პოეტი.

პავლე მოციქულის მიხედვით, ნიჭთა გამნაწილებული არის სულიწმიდა. ადამიანს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, განკურნებათა ნიჭი, სასწაულმოქმედება, წინასწარმეტყველება, სულების გარჩევა, სხვადასხვა ენა, ენების განმარტება (I-კორინთელთა, 1,2,7,8,9,10).

გალაკტიონი სულის მიერ სიბრძნის სიტყვით, სულების გარჩევის უნარით იყო მომადლებული და ეს სიბრძნე იყო იგავური (როგორც წინასწარმეტყველთა) და მუსიკალური ერთდროულად.

პოეტს ეკუთვნის გამონათქვამი: „განა აზრი მუსიკა არ არის?“ თანაც, უმეტესად ეს ზეციური, ციდან მიწაზე ჩამოღწეული მუსიკაა, რაც გალაკტიონის ლექსებს

ლოცვებს, საგალობლებს უახლოებს და გამოარჩევს საუკუნის ყველა ლირიკოსისაგან.

ვფიქრობთ, ვერხვი სიცოცხლის ხის სინონიმია, სიცოცხლის ხე კი ღმერთის სიმბოლური სახელია.

„ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, სასულიერო პოეზიაში, დ. გურამიშვილის დავითიანში“ ხე ცხოვრებისა ღვთაების მეტაფორული სახელია“ (3. 120-121).

სიცოცხლის ხის ვარიაციებია ლიბანის ნაძვი (ა.ბაქრაძე), ალვა, პალმა, კვიპაროსი (ზვიად გამსახურდია), ვაზი (რევაზ სირაძე, ელენე მეტრეველი, გია მურღულია).

გალაკტიონის პოეზიაში სიცოცხლის ხის მნიშვნელობით იხსენიება ალვა, პალმა, კვიპაროსი, ნაძვი, ბზა, ვერხვი.

ლექსში ვერხვის ფოთოლთა ლაშქრისაგან აშრიალებული ზღაპრით და „ძველი ღვინით“ თვრება პოეტი „უგონოდ“, სადღაც დაკარგული ვარდი და გვირილები კი მხოლოდ მოგონებებში არსებობს: „ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს ძველი ღვინის სმით, უგონოდ, მძაფრად, სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს მოგონებებში ვიჭერ თანაბრად“.

გალაკტიონის ვერხვების ანუ სულიერი ხის რწმენა მწარე სინამდვილემ უშორეს ზღაპრად აქცია, მაგრამ პოეტს ურწმუნოების ეპოქაშიც არ გაუწყვეტია კავშირი უზენაესთან, რომლის სიმბოლოებიცაა „ძველი ღვინო“, ვარდი, გვირილები.

ლექსში თრობა ხდება როგორც ზღაპრით, ისე „ძველი ღვინით“.

გალაკტიონის პოეზიაში სხვაგანაც გვხვდება „ძველისძველი ღვინო“, „ფეერიულ აკიდოსთან“ ერთად (ძველისძველ ღვინოს), „უკვდავი ღვინის“ მიგნება (მოგონება), „ცისფერი ღვინოების“ (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს) წყურვილი.

ამ კონტექსტების ღვინო უფალზე მიმანიშნებელია.

„ვერხვების“ „ძველი ღვინოს“ წყაროდ ბიბლია უნდა მივიჩნიოთ: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, თ. 25,13).

„ვერხვების“ „ძველი ღვინით“ თრობა უფლის ჭეშმარიტ სიყვარულს მიანიშნებს.

გალაკტიონი ხან პოეზიით თვრებოდა, ხან ფიქრით, ყვითელ ფოთლებით, ცეცხლით, ყოფნით (ცეცხლი, ყოფნა-ცხოვრება საღმრთო სახელებია). პოეტს ეპყრა „ალის თასი“, „ცეცხლიანი აზარფეშა“, „სიხარულის ჭიქა“, თუ „თასი დღის ხმათა“. ალი, ცეცხლი, სიხარული-საღმრთო სახელებია (იხ. ჩვენს წიგნში – გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები“, თბ., 1996, გვ. 117).

საანალიზო ლექსის სტრიქონები გაუცხოებულ უფალზე მიგვანიშნებს დაკარგული ვარდებით და გვირილებით, რომლებიც პოეტის მოგონებებში არსებობს.

ვარდი, ყვავილი ღმერთის მეტაფორული სახელია.

„ყვავილის, აბრაამის ყვავილის, გულის ყვავილის, საღმრთო ყვავილის, ცხოვრების ყვავილის“ მაგალითებს, რომელთაც რელიგიური შინაარსი გააჩნიათ, უხვად იმოწმებს ტიტე მოსია თავის „საღვთო სახისმეტყველებაში“ (3, 105-107).

გალაკტიონმა გაამრავალფეროვნა საღმრთო გაგების ვარდთა სახეები: „თოვლის ვარდი, ცეცხლის ვარდი, სიცოცხლის ვარდი, ჩრდილი ვარდების ბუჩქის... თასით“, ყვავილები სიცოცხლის დილის, ტრფობის წმინდა ყვავილი, უდაბნოს ყვავილი – ქრისტეს სიმბოლური სახელებია. ასეთივე აზრისაა „მუდმივი გაზაფხულის ყვავილები“ (აკაკი წერეთელი).

რატომ არის „ვერხვებში“ დაკარგულ ვარდსა და გვირილებზე საუბარი?

გალაკტიონის ლექსებში დაკარგულ ვარდზე და, საერთოდ, ყვავილის სახეებისთვის თვალის გადევნება დაგვარწმუნებს, რომ დაკარგული ვარდები, დაშხამული, დამჭკნარი, სეტყვით დაღუპული, ბურუსებს იქით გაუჩინარებული ყვავილები, ყინვით გაყინული, დაწყვეტილი, გათელილი ვარდები ღმერთის სიმბოლური სახელებია და პოეტის თანამედროვე სატანური ეპოქის მიერ უარყოფილ ღმერთზე მინიშნებაა.

ასეთი სახეები გვხვდება გალაკტიონის შემოქმედებაში სოციალიზმის გამარჯვებამდეც და მერეც, რადგან ანტიქრისტეს მოვლინება მე-19 საუკუნიდან დაიწყო და ძლევამოსილი სოციალიზმის დროს დაიდგა ტახტი.

სად, როდის, რისთვის? კითხულობს პოეტი და აგონდება ოდესღაც მიძინებულები: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ... სად, როდის, რისთვის? არ ვიცი არა! იყვნენ ოდესღაც და მიეძინათ... ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა“.

შემთხვევითი როდია ფოთლებისა და მისი ღელვის აქცენტირება.

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „მდინარის ორსავე ნაპირზე გაიზრდება ყოველგვარი ხე, საკვების მომცემი, არ დაჭკნება მისი ფოთოლი და არ მოილევა მისი ნაყოფი. ყოველ თვეს ინაყოფებს, რადგან საწმიდარიდან იდინებს მისი წყლები. მისი ნაყოფი საჭმელად იქნება და მისი ფოთოლი განსაკურნებლად“ (ეზეკიელი, 47,12).

გალაკტიონის „ვერხვებში“ სნეული ვერხვი ოხრავს, ვერხვები სწუხან (ზღაპრებიდან), ჭკნება, იყინება ფოთოლი, რაც ეპოქის ტრაგიზმის ხაზგასმაა ერთი არსებითი შტრიხით.

„ვერხვების“ ფინალში წარსულზე, ვერხვის ფოთლების კვნესაზე, ყვავილებით დაგვირგვინებულ პაჟსა და პრინცესაზე მოდის აქცენტი: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ, ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა, დრომ ყვავილებით დაგვაგვირგვინა, მე პაჟი ვიყავ, ის კი – პრინცესა“.

ამ სტრიქონებში „ყვავილებით“ (ძე ღმერთით) დაგვირგვინებული არის მარიამი, პაჟი ლექსის ლირიკული გმირია, იგივე პოეტი, მარიამის და ქრისტეს მოწიწებით მოთაყვანე, მათზე მუხლმოყრით მლოცველი.

პრინცესასთან ერთად „დედოფალი ალვა“ მარიამის სახელია გალაკტიონის „საღამოში“. ამ სახეს წყაროები ეძებნება „ფსალმუნში“, სასულიერო პოეზიაში (ფილიპეს „ბეთლემის საგალობელი“ (5, 494), დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ (6,407), გოეთეს „ფაუსტში“ (7, 576).

„ვერხვებში“ ყვავილებით დაგვირგვინებული პრინცესა იქცევს ყურადღებას, „ავდრის მოლოდინში“ – „ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით“ დაგვირგვინებული ქალწული. ქალწული კი მარიამია.

მივმართოთ ესაია წინასწარმეტყველს: „თავად მოგცემს მეუფე ნიშანს: აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“ (ესაია, თ.7.14).

„ვერხვებში“ პრინცესას გვირგვინი არის ყვავილი (ქრისტე), „ავდრის მოლოდინში“ ქალწულის გვირგვინია „ნელი ლერწები და ვაზის მტევნები“ (ქრისტე სულიერი ვაზია).

გვირგვინის სახე ბიბლიიდან მომდინარეობს: „იმ დღეს საბაოთ უფალი იქნება დიდების გვირგვინი და ბრწყინვალე ჯიღა თავისი ერის ნარჩომისათვის“ (ესაია წინასწარმეტყველი, თ.18,. 5).

„სიონზე“ მგლოვიარეთ მისცეს გვირგვინი ნაცრის ნაცვლად, სიხარულის ზეთი გლოვის ნაცვლად“ (ესაია, 61, 3).

პრინცესას სხვაგანაც ვარდებთან მოიხსენებს გალაკტიონი: „თვალებით ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“ (ეს იყო 15 წლის წინათ). „ცისფერი ვარდების“ ადრესატი არის ქრისტე, „ზამბახის პრინცესასი“ – მარიამი.

პრინცესა მეფის ასულია. ამ სახის შთამაგონებელი შეიძლება იყოს ფსალმუნი: „მთელი დიდება მეფის ასულისა შიგნითაა, მოოქროვილია მისი სამოსი“ (ფს. 44/45, 14).

მარიამს ეწოდება აგრეთვე „დავითის ასული, ასული სიონეველი“ (8, 75-76).

1915 წელს დაწერილი გალაკტიონის „ვერხვები“ და 1927 წლით დათარიღებული „ეს იყო 15 წლის წინათ“ ერთნაირად ავლენს ღმერთისა და ღვთისმშობლის სიყვარულს, ამასთან, ეპოქის გულგრილობას ამ სახეებისადმი. სანთლის ჩაქრობით, გრიგალით, ქვითინით, ზამბახის პრინცესისა და ცისფერი ვარდების ძიებით იქცევს ყურადღებას „ეს იყო 15 წლის წინათ“.

ლექსში„წმინდა გიორგი“ ფიგურირებს „ზამბახების ფიალა“ და „ცვარი“. აქაც „ზამბახების ფიალა“ მარიამის, „ცვარი“ ქრისტეს სიმბოლური სახელია.

„თოვლში“ (1916წ.) „ზამბახების წყებად დაწვენა“ გვამცნობს ანტირელიგიურ განწყობას.

ლექსში „გული“ შეხვედრა გვიწევს „დაწყვეტილ ვარდებთან“, უსივრცო ბაღთან, დანგრეულ ქანდაკებებსა, ძეგლებსა და მათ ქვეშ ობლად დამარხული გულის ფონზე გააზრებულ ზამბახთან.

სხვაგან „ელვარე ღამე აყირავებს ზამბახთა კალათს“ (გული გრძნობს). „ზამბახთა კალათი“ მარიამს, ხოლო „ღამე“ უღმერთო ეპოქას შეგვაგრძნობინებს.

„ორნამენტში“ ფანჯრის მინებზე გლედიჩიების, ორხიდეების, ზამბახების გადაყინული სახეებით კეთდება აქცენტი რწმენის დაგმობაზე.

„პორტრეტის“ ლირიკული გმირი „სიგიჟით ყნოსავს ვარდებს და ზამბახს“, „ზამთრის მოტივებში“ „სიმაღლეების სიზმრებია ზამბახეული“. ორიგინალური სახეა „ზამბახეული სიმაღლეები“.

მოკლედ, ზამბახის თასი, ზამბახების ფიალა, ზამბახის პრინცესა და ზამბახი მარიამის სიმბოლოებად გვესახება, რომელთა პირდაპირ წყაროებს ვერ მივაკვლიეთ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „ვერხვები“ დაწერილია რელიგიურ თემაზე. მასში ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოებია ვერხვი, ძველი ღვინო, ვარდი, მარიამისა – პრინცესა. მათი სიყვარული ტოტალური უარყოფის ეპოქამ „უშორეს ზღაპრად“ აქცია, მაგრამ ლექსის ლირიკული პერსონაჟი, იგივე ავტორი – მაინც პაჟია ანუ ერთგული მსახური დედა-ძის მარადიული ხატების.

ლექსში არა იდილიური, გაწონასწორებული, არამედ აკვნესებული სული ღაღადებს იმდენად ძირეულ, მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას და ისე დიადია სათქმელიც და მისი გამოხატვის ფორმაც, რომ ზეციურ საგალობლად იღვრება მკითხველის არსებაში.

ლიტერატურა

1. თამარ კუკავა, ეფრემ მცირის იამბიკოები, თბ. 1988.
2. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1989.
3. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
4. იქვე.

5. ჩვენი საუნჯე ტ. I, თბ. 1960.
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941.
7. გოეთე, ფაუსტი, თბ. 1962.
8. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.

გალაკტიონის „ატმის ყვავილების“ ციკლი

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის უპირველეს თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ მისი სიმბოლური, იგავური ხასიათი, რაც ბიბლიური წინასწარმეტყველებისთვის, საერთოდ, დიდი ხელოვნებისათვის არის დამახასიათებელი და მიზნად ისახავს „ღრმა სიბრძნის“, „უკვდავი აზრის“ ძიებას.

ბიბლიაში განასხვავებენ მიწიურ და ზეციურ სიბრძნეს, „სალაღობო სიმღერას“ (ესაია, 33, 32), თუ „სიყვარულის სიმღერას“ (ესაია, 5,1), სიყვარული კი ღმერთია (იოანე, 1,4,8).

სიყვარულის სიმღერას მღეროდა ესაია წინასწარმეტყველი და ეს სიყვარული იყო ღმერთი: „ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე“ (ესაია, 5,1).

სიყვარულის სიმღერა ესახებოდა იმედისა და ხსნის გზად გალაკტიონ ტაბიძეს: „გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი).

„შენ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“, უცხადებს ქრისტე იოანე მოციქულის პირით ეფესოს ეკლესიას აპოკალიფსში (თ. 2,4).

საღვთო სიყვარულის დავიწყება აწამებს გალაკტიონს: „აქ ოდესმე მხიარული გზით უყვარდათ სიარული, აწ გზა მიტოვებულია, როგორც ძველი სიყვარული“.

გალაკტიონის პოეზიის ტრაგიკულ ინტონაციებს განაპირობებდა ის, რომ მის თანამედროვე საზოგადოებას დაავიწყდა „სიყვარულის ნანა“, „სიყვარულის ხმა“.

პოეტის სულში კი გამუდმებით ჟღერდა „სიყვარულის სიმღერა“, „სიყვარულის უვერტიურა“, რაც ლოცვასთავით ამაღლებული და დიადია.

პოეტების მეფეს აღაშფოთებდა რწმენის უარყოფა, რაც ტოტალური კატაკლიზმების მაცნედ ესახებოდა და მკითხველის ყურადღებას მიაქცევდა ურწმუნოების ბაცილებზე, უზენაესის დამდაბლებაზე, რათა გადაერჩინა „ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა“.

ამ თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებოდ გვესახება „ატმის ყვავილები“, რომელიც 1915 წელს დაიწერა და პოეტის მეორე, „არტისტული ყვავილების“ სახელწოდებით ცნობილ კრებულში შევიდა.

როგორც არ უნდა შევამციროთ გალაკტიონის შედევრთა რიცხვი, „ატმის ყვავილები“ ყოველთვის იქნება როგორც ქართული, ისე მსოფლიო პოეზიის რჩეულთა რჩეული.

ბევრჯერ შეურხევია ამ ნაწარმოებს აღტაცებული მკითხველის სულის ფრთა. სპეცალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ მის ახლებურ სახეებზე, შინაგან-გარე-

გან, კიბურ რითმებზე, მაგრამ მაინც ძნელი აღმოჩნდა ზოგად ფრაზებზე შორს წასვლა და ლექსის ჩანაფიქრის წვდომა. ამ ამოუცნობლობამ მას მეტი ხიბლი შესძინა და ატმის ყვავილების უმშვენიერესი ხე ჩვენს სულში დარჩა სამარადჟამოდ, როგორც ზეაღმტაცი სახე, როგორც მარადიული იდეალის განადგურების მოუნელებელი ტკივილი.

აკაკი ხინთიბიძე ასე გამოარჩევდა „ატმის ყვავილების“ ციკლს: „ყველაზე მეტი სიახლე ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა მაინც ატმის ყვავილების ციკლით შემოიტანა. ეს იყო სრულიად თავისებური მოვლენა. ატმის ყვავილების სიმბოლიკაში გამოხატულება ჰპოვა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულმა პრობლემამ. ამ ციკლის პირველი ცენტრალური ლექსი „ატმის ყვავილები“ 1915 წ. გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“. მომდევნო წლებში ეს მოტივი გამდიდრდა ახალი სახეებით, ფერებით, განწყობილებებით („ატმის რტოო, დაღალულო რტო“, „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“ და „იმ ვარდისფერ ატმებს“). მაგრამ ყველა ამ ლექსის აზრობრივ-ემოციური საფუძველი, მისი შესატყვისი პოეტიკით, „ატმის ყვავილების“ მომაჯადოებელი მუსიკა, რასაც რითმათა საოცარი ხვეულები ქმნის, უკვე მის პირველსავე ვარიანტში იყო.

„...1915 წელს გალაკტიონმა რამდენიმე ახალ მოტივს მისცა დასაბამი. სწორედ ამ წელს ჩაისახა ის სპეციფიკური და განსაკუთრებული, რამაც არსებითად განსაზღვრა პოეტის შემოქმედების ხასიათი. 1915 წელს გალაკტიონი არათუ მომწიფებულია ახალი სიტყვის სათქმელად, არამედ უკვე შედევრებს ქმნის ახალი ხელოვნების ოქროს ფონდში შესატანად“ („გალაკტიონი თუ ცისფერყანწელები“, თბ., 1994 წ., გვ. 124).

„ატმის ყვავილები“ გაცილებით მეტის მთქმელია, ვიდრე ბუნებაზე დაწერილი ნებისმიერი შედევრი. ამ ნაწარმოების გაცნობით რაღაც მიღმურს, ამაღლებულს ვეზიარებით, „რაღაც არაქაურის“ ჰანგი იჭრება ჩვენს არსებაში.

ყოველი ხე და ყვავილი უზენაესის ქმნილებაა, მათი არსებობა ალამაზებს და აფაქიზებს ჩვენს ყოფას, სულს, მათი სიკვდილი თუ სიცოცხლე ჩვენი არსებობის სიმბოლოა და ყოველი მოაზროვნე ადამიანის დამაფიქრებელი.

გალაკტიონი ღრმად განიცდიდა მთელ ორგანულ და არაორგანულ სამყაროს, მის სულს ხეთა ფოთლების ბედიც და ბალახთა ფერიც ათრთოლებდა, იგი მთელ კოსმოსს ატარებდა თავის შინაგან სამყაროში, თან არა მხოლოდ რეალურს, სიმბოლურსაც (დემონური ხე, შავი ზღვის პირას მდგარი მრუდე ხე, ორი ხე-ქოლგიანი ძმები, არსებობის ხე, ცნობადის ხე, სიცოცხლის ხე, ალვა, პალმა, კვიპაროსი, ზენიტზე მდგარი შორი პალმები, ვერხვი, ბზა), ვერც ატმის ყვავილების გულგრილი მაყურებელი იქნებოდა, ყოველი ხილულის ასი ათასი თვალით მხილველი, მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ეს ლექსი მართლაც რეალურ, ფიზიკურ, სადღაც ბაღსა თუ მინდორში მდგარ ატმის ხეზე იყოს დაწერილი, თუმცა, უხილავის პარალელურად, პოეტს ხილულიც ხიბლავდა და რეალურის გზით მიდიოდა ირეალურისკენ.

გასათვალისწინებელია გალაკტიონის უპირველესი თავისებურება: ხილულით ნათელყოს უხილავი, ემპირიულით მიგვანიშნოს მისტიკურზე, წუთიერით მარადიულზე, ხელშესახებით – მიღმურზე...

ატმის ყვავილები სიმბოლური, განუმეორებელი სახეა, რომელიც განგვაცდევინებს უზენაესის, უწმინდესის უგულებელყოფით დაღდასმული ეპოქის ტრაგედიას.

ვინც იცნობს გალაკტიონის პოეზიას, უთუოდ ემახსოვრება მისი გარდაცვლილი, ქიმერებში ჩავარდნილი, ჩამქრალი, ლანდად ქცეული თუ შავი მზის სახეები, გაუთენებელი ღამის, შეღამებული დილის ლანდები, დალეწილი, დამწვარი, დანგრეული, დემონის საკუთრებად ქცეული ცა, დამჭკნარი, შხამით დაშხამული, დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული ყვავილები, ქარის მიერ განადგურებული ყვავილები და ზამბახები, სიყვარულით აშენებული და ბედისწერით იავარქმნილი კოშკები, დამსხვრეული რწმენის გემის, დაღუპული ხომალდების რექვიემი, გადატეხილი სწორი კენარისა და სნეული ვერხვის ოხვრა, შავი თოვლი და წითელი გზა. გულუბრყვილობა, პოეზიის სპეციფიკაში სრული გაურკვევლობა იქნებოდა მათი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება. სწორედ ამ განუმეორებელმა სიმბოლურ-მეტაფორულმა სახეებმა, მათში ნაგულისხმევმა უღრმესმა აზრმა აქცია გალაკტიონი ეპოქის უდიდეს პოეტად.

„ატმის ყვავილები“ სიმბოლური ლექსია, მოჩვენებითია მისი რეალური პლანი, ლექსის ქვეტექსტები მის ცალკეულ სახეებშია საძიებელი.

ნაწარმოები მკაფიო კომპოზიციის მქონეა.

ლექსი უმშვენიერესი ატმის ყვავილებისა და ბებერი, ავი ქარის შეჭიდებით იწყება:

„რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს“.

აწმყოსთან ერთად, ლექსში ატმის ხის წარსულიც იხატება:

„ატმის ხე იდგა თაიგულივით,
აქ მას მილევით უთრთოდა სული!
შორით მოსული გაზაფხულ სხივით
და ნამთა მძივით გარემოცული“.

ამ სტრიქონებში ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ ატმის ხის საზეიმო და ბედნიერი ელფერი, არამედ ატმის სული. აღსანიშნავია, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში ყველაფერს სული აქვს: „ყვავილთ სული, ჭალის სული, გემის სული, მიწის სული“...

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ლექსის გარემო ყოფითი და ჩვეულებრივია, მის სახეებში სულ სხვა, არამიწიერი ჩანაფიქრი ამოიკითხება. ამ სტროფშია საძიებელი უმთავრესი კოდირებული სახეები.

დავიწყოთ იმით, რომ ხე, არსებობის ხე, სიმართლის ხე, როგორც ეს ბიბლიასა და თეოლოგიაშია მიღებული, სიცოცხლის ხის სიმბოლოა, სიცოცხლის ხეში კი ღმერთი იგულისხმება (აკაკი ბაქრაძე, „სასულიერო პოეზიის სახეები“, კრებული „პოეზია“, 1983წ.).

სიცოცხლის ხის ვარიაციებია გალაკტიონის ზენიტზე მდგარი შორი პალმები, ალვა, კვიპაროსი, ვერხვი, ბზა.

ატმის ხეც რელიგიური შინაარსის მატარებელი სახეა.

სიცოცხლის ხე უმეტესად ქრისტეს სიმბოლოა.

„ქრისტე იესოს ძირიდან ამოზიდული ხეა... იგი, დავით გურამიშვილის თქმით, არის ...ხე... კაციანი და ღვთიანი“ (ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1995წ. გვ. 20).

მსგავსი მაგალითები უხვად აქვს დამოწმებული ტიტე მოსიას ძველი (დაბად. 2,9)

და ახალი აღთქმის (გამოცხ. 22, 1-2) წიგნებიდან, სასულიერო პოეზიიდან.

მეცნიერს მოაქვს აგრეთვე მაგალითები, რომლებშიც ხე ცხოვრებისა გამონაკლისის სახით მარიამის სიმბოლოდაც გვევლინება: „აღყუავდა წმიდისაგან ქალწულისა ხე იგი ცხოვრებისაი და მადლისა“...

„გიხაროდენ, ხეო ცხოვრებისაო, რომელმან გამოიღე ნაყოფი ცხოვრებისა“ – ამ პოეტურ ფრაზაში ხე ღვთისმშობლის, ხოლო ცხოვრების ნაყოფი ადამიანის მხსნელი მესიაა“ (იქვე).

ამ გაგებით ძალზე საინტერესო მაგალითს იმოწმებს ტიტე მოსია „უძველესი იადგარიდან“ (509): „სამოთხე აღშენებულო და ხე ყუავილგარდაფენილო – ყოლად წმიდაო ღმრთისმშობელო, რამეთუ შენ ტაძარ ექმენ სულსა წმიდასა – მეოხ გუეყავ ჩუენ“ (იქვე).

სიცოცხლის ხის ვარიაციები უხვად არის ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. მივმართოთ ფსალმუნს: „გაძღენ ხენი უფლისა და კედრები ლიბანისა“ (ფს. 103-104, 16).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ყურადღებას იქცევს მარადიული ხე მუდმივი ნაყოფით, მკურნავი ფოთლებით: „მდინარის ორივე ნაპირზე გაიზრდება ყოველგვარი ხე საკვების მომცემი, არ დაჭკნება მისი ფოთოლი და არ მიილევა მისი ნაყოფი, ყოველ წელს ინაყოფებს, რადგან საწმიდარიდან იდინებს მისი წყლები. მისი ნაყოფი საჭმელად იქნება და მისი ფოთოლი – განსაკურნებლად“ (ეზეკიელი, 7, 17).

სიცოცხლის ხეზე მიგვანიშნებს მამაღმერთის მიერ დარგული მაღალი ნაძვის ტოტი: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავიღებ ტოტს მაღალი ნაძვიდან და დავრგავ: მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ“ (ეზეკიელი, 17, 22).

ანალოგიური აზრია შემდეგ სტრიქონებში: „ლიბანის დიდება შენთან მოვა, ალვა, ნეკერჩხალი და ბზა – ერთიან, ჩემი საწმიდარის ადგილის გასამშვენებლად, რომ ჩემი კვარცხლბეკი განვადიდო“ (ესაია წინასწარმეტყველი, 60, 13).

გალაკტიონის ალვა სიცოცხლის ხეა (ალვები თოვლში). „დედოფალი ალვა“ კი მარიამ ღვთისმშობელია ლექსში „საღამო“.

„ატმის ყვავილები, ატმის ხე მარიამის სიმბოლოდ გვესახება „ატმის ყვავილებში“.

ატმის ხეს ამშვენებდა „შორით მოსული გაზაფხულის სხივი“ და „ნამთა მძივი“.

ზაფხული, გაზაფხული საღმრთო სახელებია.

ეს გაგება მომდინარეობს ფსალმუნიდან: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 64/65, 12).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი მოხსენებულია, როგორც „მარადიული გაზაფხული“: „ვარდის ფურცელნი აღაკმევდნენ ნელსურნელებას მარადიული გაზაფხულის სადიდებელად“ (დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941 წ. გვ. 400).

გალაკტიონის პოემაში „აკაკი წერეთელი“ ქრისტე სახელდებულია „მუდმივ გაზაფხულად“: „გაიარა ვრცელი გზები, სად მუდმივი მზეა მგზნები და მუდმივი გაზაფხულის დაუჭკნობი ყვავილები“.

სიმბოლური „შორი გაზაფხულის“ ლოდინია ლექსში „სინამდვილეში ოცნებისას“. ასეთი გაგებით ფიგურირებს ეს სახე გალაკტიონის ლექსებში: „ო, გაზაფხულო“, „არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“, „ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი“, „საღამო“, „ძველი წიგნების გვერდებს არეულს“, „ეს გრიგალია სიახლის“.

აკაკი წერეთლის ლექსში „ნატვრა“ ქრისტიანული ღმერთის მნიშვნელობით

გვხვდება „შორი გაზაფხულის“ სახე.

გალაკტიონის „ატმის ყვავილების“ „შორი გაზაფხული“ იესოს მეტაფორაა... სხივი, შუქი, როგორც მიღებულია ქრისტიანულ თეოლოგიაში, ფილოსოფიურ მწერლობაში, ძე ღმერთის სიმბოლური სახელია (იოანე დამასკელი, პეტრე იბერი, გრიგოლ ნაზიანზელი, იოანე პეტრიწი).

ქრისტიანული სამების გამომხატველია მზის სახე, რომელშიც მამაღმერთი მზეა, ძე ღმერთი – სხივი, შუქი, ნათელი – სულიწმინდა.

„ატმის ყვავილების“ სხივთან ერთად, „ნამთა მძივიც“ საღმრთო სახელია.

ცვარის, ნამის ასეთი გაგება მომდინარეობს ძველი აღთქმის წიგნებიდან: „ვიქ-ნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 12, 11)

მივმართოთ ფსალმუნს: „განთიადის საშოდანვე შენთანაა ნამი შენი სიყრმისა“ (ფს. 109/110, 3).

ტიტე მოსია იმოწმებს მაგალითებს ჰიმნოგრაფიიდან, დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“, რომლებშიც „ცვარი ცხოვრებისა“, „ცვარი მშვიდობისა“; „ცვარი ზეგარდმო წვეთილი“ ქრისტეს სახელად მოიაზრება („დავითიანის“ ლიტერატურუ-ლი წყაროებისა და პოეტიკის საკითხები; თბ., 1989 წ. გვ. 196).

ანალოგიური სახეები აღნიშნულია წინასწარმეტყველთა წიგნებში: „ასე მითხრა უფალმა: მე მშვიდად გადმოვიხედავ ჩემი საუფლოდან ხვატის კაშკაშივით მოწმენ-დილზე, ნამის ღრუბელივით მკის პაპანებაში“ (ესაია წინასწარმეტყველი, 18, 4).

„ნათლის ცვარია შენი ცვარი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 16, 19).

ორიგინალური სახეა გალაკტიონის „ატმის ხე“, რომელიც გარემოცულია შორი გაზაფხულის სხივით და „ნამთა მძივით“.

ზემოხსენებულ სტროფში ერთდროულად მოიხილება როგორც მარიამის (ატმის ხე), ისე ქრისტეს სიმბოლური სახეები (შორით მოსული გაზაფხულის სხივი, ნამთა მძივი).

ატმის ხე რომ ნამდვილად მარიამის სიმბოლოა, ამ მოსაზრებას განგვიმტკიცებს მისი მოხსენიება ნაზ ქალად, უცხო მხარის დედოფლად, რომელსაც სწვავს „მზის ძალი“ (მზე-ქრისტე), და გრძნობათა ალი (ალი, ცეცხლი ქრისტეს სიმბოლოა). ლექ-სის მეორე სტროფში ნათქვამია:

„ატმის ხე იდგა, ვით ნაზი ქალი,
ვთ დედოფალი უცხო მხარეში,
სინარნარეში სწვავდა მზის ძალი
და გრძნობათ ალი სიმწუხარეში“.

ლექსის წინა სტროფის სტრიქონებში („ატმის ხე იდგა თაიგულივით“) საუბარი იყო ატმის ხის მთრთოლვარე სულზე, აქ კი მზის ძალის გრძნობა და მწუხარების გრძნობათ ალია (ცეცხლი).

დედოფლის მარიამის სიმბოლოდ გააზრების მრავალ მაგალითს ვიპოვით რო-გორც ძველი და ახალი აღთქმის, ისე სასულიერო პოეზიის წიაღში.

„შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული“ (ფს. 44/45, 10).

ფსალმუნის ამ ფრაზაში ღვთისმეტყველები მარიამ ღვთისმშობლის ხატებას ხე-დავენ: „ვინ არის ის დედოფალი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი და რომელიც მე-სიის გვერდით დაუყენებიათ? რა თქმა უნდა, იმ ძის, იმ მესიის დედა, სხვა ვინ უნდა იყოს მესიის გვერდით მჯდომარე ქალი?“ (იოანე – იონა, „რა უნდა ვაკეთოთ“, თბ.

1994წ. გვ. 152).

დავიმოწმოთ ესაია წინასწარმეტყველიც: „როგორც ხარობს სიძე დედოფლით, ისე გაიხარებს შენით შენი ღმერთი“ (ესაია 62, 5).

მარიამი არის „დიდებული დედა, დედოფალი“, „ყოვლადწმინდა დედოფალი“, „წმინდა დედოფალი“ (უძველესი იადგარი, გვ. 439). „დიდი დედოფალი“ (დავით გურამიშვილი).

დედოფალი ეწოდება მარიამს „ბეთლემის საგალობელში“, ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“ მარიამს წარმოგვიდგენს, როგორც „წმიდა დედოფალს“; დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ „ქალწულ დედას, დედოფალს“ („ჩვენი საუნჯე“, ტ. I, თბ., 1960 წ. გვ. 167).

„ატმის ყვავილების“ „ნაზი ქალი“ და „უცხო მხარის დედოფალი“ არის მარიამი, როგორც გალაკტიონისვე „დედოფალი ალვა“ (საღამო).

საანალიზო ლექსის შემდეგ სტრიქონებში ხაზი ესმება, რომ მზით შემოსილი ატმის ხე პოეტის საოცნებო იდეალი იყო, მომხიბლავი ჩრდილით ტრფობის სურვილის აღმძვრელი:

„ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ღელავდა მზით აღჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურვილი“.

პოეტი შეძრულია ზებუნებრივი ტრფობით და მის სახეთა ადრესატები არიან მარიამი და ქრისტე.

საღმრთო სიყვარულის იდეას გალაკტიონის არაერთ ლექსში ვიპოვით (იხ. ამაზე ჩვენი „გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები“, თბ., 1996 წ. გვ. 100-109).

ატმის ხეს დიადი წარსული ჰქონდა ზემოხსენებული სტრიქონების მიხედვით, შემდეგ კი ქარით გაძარცული ყვავილები და გაბზარული ხე გვაძრწუნებს:

„მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.
როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი“.

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში სიცოცხლეს ხესთან ყოველთვის მოიაზრება სიმბოლური საღმრთო გაგების წყარო, წყალი, როგორც მისი მაცოცხლებელი (ქრისტეს სიმბოლო).

„ნაკადი ღმრთისა სავსეა წყლით“ (ფს. 64/65, 8).

„გლოვის ველზე გამვლელნი წყაროს აღმოაჩენენ და კურთხევით დაიფარავს მათ წვიმა შემოდგომისა“ (ფს. 83/84, 7).

„წყალს მივუღვრი ურწყულს და ნაკადულს გამომშრალს მიწას“ (ესაია, 44, 3).

„იმ დღეს იქნება, რომ გაიღება წყარო დავითის სახლისთვის“((ესაია, 13,1).

„იმ დღეს იქნება რომ იდინებს იერუსალიმიდან სიცოცხლის წყალი, ზამთარ-

ზაფხულ ასე იქნება“ (ესაია, 14,8).

„გასხურებთ განწმენდილ წყალს და გაგწმენდთ თქვენი უწმინდურებისაგან და ყოველი თქვენი კერპისაგან გაგწმენდთ თქვენ“ (ეზეკიელი, 36, 5).

„ტაძრის ზღურბლის ქვევიდან გამომავალი წყალი როცა ზღვაში აღმოჩნდება, განიკურნება წყლები... ყველაფერი განიკურნება და გაცოცხლდება, სადაც ეს წყალი ჩაივლის“ (ეზეკიელი, 47, 12,4).

„იმ დღეს წყალი იდინებს იუდას ყოველ ხევში, წყარო გამოვა უფლის სახლიდან და აავსებს შიტიმის ხევს“ (იოველი, 4, 18).

„მოგცემთ უფალი ჭირში პურს და სიმწარეში წყალს და აღარ დაიმალება თქვენი მოძღვარი და იხილავენ თქვენს მოძღვარს თქვენი თვალები“ (ესაია, 30, 20).

„ატმის ყვავილებში“, ყვავილის სიკვდილთან ერთად, მტვრით გასვრილი წყალი მიგვანიშნებს დედა-ძისადმი ათეისტური ეპოქის უდიერ დამოკიდებულებას:

„ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა!
მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიკი,
ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა
წითლად დაჰფარა ბაღის ბილიკი“.

მტვრის წყლით გასვრა მოასწავებს ურწმუნოთა მიერ ღმერთის უარყოფას (ამით გამოირჩეოდნენ რევოლუციონერები, სოციალ-დემოკრატები იმთავითვე, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდეც), ისევე, როგორც ყვავილის სიკვდილი – მარიამის იგნორირებას. ეს სახეები ხშირად ერთად არის გალაკტიონის ლექსებში და მათ ერთნაირ ხვედრს უმზადებს ღვთისმგმობელი ჟამი.

შემდგომი სტრიქონები კიდევ უფრო აძლიერებს ტრაგიკულ განცდას. ფაქტი ხდება ატმის გაძარცვა, დაღამება, მზის ჩასვლა და მწუხრის გაბატონება, წყაროს ადგილას ზღვის ბობოქრობა:

„ბაღის ბილიკზე მივდივარ და თან
გაძრცვილ ატამთან ზღვები გროვდება,
საღამოვდება და მზის ჩასვლასთან
თანდათან მწუხრი მიახლოვდება“.

ატმის გაძარცვა, მზის ჩასვლა, წყაროს ამღვრევა რწმენის, ღმერთის, დედა-ძის დამდაბლებას მოასწავებს, ზღვა მშფოთვარე ცხოვრების, აბობოქრებული ხალხების სიმბოლოა ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას გვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია, 57,20).

ატმის ხე ლოკალური მნიშვნელობის სახე არ არის. იგი საჩინო ხატია დიადისა, ბოროტეულთაგან დამდაბლებული.

დაღამება, მზის ჩასვლა ღვთაების, სიკეთის იგნორირების მაუწყებელია.

მზე, მზე სიმართლისა საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84, 12).

„ამოგიბრწყინდებათ... მზე სიმართლისა“ (მალაქია წინასწარმეტყველი, თ. 3,20)

შემთხვევითი არ არის ბაღის გარემოს დაღამება.

ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით. ღვთის რწმენისგან გაძარცული სული ბნელდება, ცარიელდება, იძარცვება სიკეთისგან.

სულის ტოტალური გატიალების რექვიემია ლექსის ბოლო სტრიქონები. შეიგრძნობა სრული უიმედობა, სიკვდილის სამეფო, მჭკნარი ყვავილი (არაერთგზის მი-

მანიშნებელი ღვთაების უარყოფაზე გალაკტიონის პოეზიაში), უსურნელო არსებობა, რადგან ღმერთზე უარისთქმა უკუგდებაა სიკეთის, მშვენიერების, სათნოების, ყოველივე დიადის:

„მე აღარ ვდარდობ: რა მსურს, რას ველი?
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი
მეფობს სიკვდილი – ჭკნობის მსურველი,
გაჰქრა სურნელი, დაჭკნა ყვავილი!“

მეტაფორულ მზესთან („შორეული მზე“, უხილავი მზე, წმინდა მზე შინაგანი, დიადი მზე, მაღალი მზე, მზიანი ღამე) ერთად გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება მზე, შავი მზე.

ცნობილია, ნიცშემ აიტაცა ქრისტეს ჯვარცმის ფაქტი და ღმერთის სამუდამო სიკვდილის, ზეკაცის ძიების იდეა განავითარა (ანტიქრისტე).

შემდეგ კომუნისტები ცდილობდნენ ამოეძირკვათ ღმერთი ადამიანის ცნობიერებიდან და კერპთაყვანისმცემლობა დაემკვიდრებინათ.

მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო, რადგან, გრიგოლ რობაქიძის თქმისა არ იყოს, „ხალხი უღმერთო ცხოვრებას დიდხანს ვერ აიტანს, ოდესმე ურვისგან მხეცივით გამძვინვარებული აღდგება, რათა ჯვარს ეცვას ღმერთისთვის“ („ჩაკლული სული“, თბ. 1991, გვ. 8).

ატმის ხის მოაზრება მარიამის სიმბოლოდ ძალზე ორიგინალური, მიგნებული სახეა და, ამასთან, მაინც ეროვნულ ტრადიციებთან წილნაყარი შორეულად, რადგან სასულიერო პოეზიის „ყვავილგადაფენილი ხე“ უსწრებს გალაკტიონს ქრონოლოგიურად.

ასე ითავისებს გალაკტიონის ეს შედევრი რეალურს და მისტიკურს, ხილულს და უხილავს, ადვილად შესამეცნებელს და ძნელად მოსახელთებელს.

„ატმის რტოო, დაღალულო რტოო“.

გალაკტიონი ხშირად იმეორებდა ფიქსირებულ სახეებს და ატმის ყვავილები, მისი რტო ხშირად უქცევია შთაგონების საგნად. ხშირად განუდიდებია ცის ყვავილი, თოვლის ყვავილი, ცეცხლის ყვავილი, მთვარის ჩრდილი. ატმის რტოსაც ანალოგიური დატვირთვა შესძინა.

ატმის ყვავილების ციკლის გამორჩეული ლექსია „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“ (1916 წ.), რომელიც ისევე სავსეა ტრაგიზმით, როგორც „ატმის ყვავილები“. ისიც რთული შიფრის შემცველია.

ლექსის პირველსავე სტრიქონში ქართან შერკინებით დაღლილი ატმის რტო და ქარიშხლისგან გაძარცული ყვავილების ტბორი იხატება, რაც დევნის სიმშვიდეს:

„ატმის რტოო, დაღალულო რტოო,
ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი.
ქარიშხალი მოდის საიმდროო,
ყვავილების ქარში მიჰქრის ტბორი“.

რტო, მორჩი ფსალმუნისა და წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით, ქრისტეს სიმბოლოა.

„სიონზე მგლოვიარეთ მისცეს გვირგვინი ნაცრის ნაცვლად, სიხარულის ზეთი გლოვის ნაცვლად, ქება-დიდების სამოსელი – მჭმუნვარების სულის ნაცვლად, რათა ეწოდოთ მათ სიმართლის მუხები, საუფლო ნერგი, რომ იდიდონ“ (ესაია, 61,3).

„ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი

ნერგი“ (ესაია, 5,1).

„აღვუდგენ სახელად ნერგს და აღარ გაწყდებიან შიმშილით“ (ეზეკიელი, 34, 29).

ნერგი ქრისტეს ზედწოდებაა.

„სასულიერო მწერლობაში ქრისტეს მეტაფორად მოაზრებულია „ნერგი ცხოვრებისაი“ (სინური მრავალთავი, გვ. 37), „ნერგი დაუნერგველი“ (იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 243), „ნერგი ედემეანი“ (მიქაელის ჰიმნები, გვ. 239).

ნერგს ასე განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი: „ნერგი – ხე და ბალახი დარგული“ (ლექსიკონი ქართული, 1993 წ. შ, გვ. 590).

ასეთი გაგებისაა მორჩი-ნორჩი, ახალმოზარდი (იქვე, გვ.504).

მივმართოთ ესაიას: „იმ დღეს იქნება უფლის მორჩი შვენებად და პატივად“ (4,2).

ასეთივე გაგებისაა ყლორტი, ფესვი: „ამოვა ყლორტი იესეს ღერიდან და მისი ფესვის ამონაყარი გაიხარებს“ (ესაია, 11,1).

მივმართოთ სხვა მაგალითებსაც. „ასე ამბობს უფალი ღმერთი: „ავიღებ ტოტს მაღალი ნაძვიდან და დავრგავ. მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ“ (ეზეკიელი, 17, 22).

„იმ დღეებში და იმჟამად აღმოვუცენებ დავითს ჭეშმარიტ მორჩს და გავაჩენ სამართალს და სიმართლეს ქვეყანაში“ (იერემია, 31, 15).

„საუკუნოდ დაიმკვიდრებს ქვეყანას ჩემი დარგული მორჩი, ჩემი ხელთა ქმნილება, რათა იდიდოს“ (ესაია 60, 21).

გალაკტიონის ლექსში ბოროტ ქარს განუდევნია სხივი, მხოლოდ გრიგალის შემაძრწუნებელი კივილი ისმის, რომელიც სუსტ ყვავილს დამუქრებია:

„მოცდა არ ღირს, თუ ისევე უცდი,
ამ გრიგალში დრო არ არის სხივის.
დაღალული ყვავილი ხარ სუსტი,
ქარი კივის, ქარი კივის, კივის“.

უფსკრულთან მდგარი ნერგის მსხვრევის ხმა გვაძრწუნებს , მხოლოდ ზღვის მღელვარებას და სისხლის სუნს შევიგრძნობთ და პოეტს ეჭვები, კითხვის ნიშნები უსერავს გულს, ატმის რტოს, რწმენის გადარჩენის გამო:

„ნაპრალებზე გადაიმსხვრა ნარგი,
ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა,
თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი...
ატმის რტოო, დაღალულო რტოო“.

აქაც განსხვავებული ნიუანსებით მეორდება „ატმის ყვავილების“ თემა. ატმის რტო, მისი ყვავილი და სხივი ქრისტიანული ღმერთისა და ღვთისმშობლის სიმბოლოებს გულისხმობს, დედა-ძის ხატებას გვიცნობიერებს, გრიგალი, ქარი – ანტიქრისტეს მოვლინებას, რომელიც ამსხვრევს რწმენას, აბატონებს ნგრევას, სისხლს და სასიკვდილო განსაცდელს უმზადებს ყოველივე ამაღლებულს.

ანტიქრისტეთა, ურწმუნოთა, სატანის ნაშიერთა მოვლინება ხომ ადრევე იწინასწარმეტყველეს ბიბლიურმა ხელდასხმულებმა: დანიელმა, ეზეკიელმა, იერემიამ, ესაიამ, ზაქარიამ...

ამ ციკლის მესამე ლექსია „**იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს**“ (1917 წ.).

ატმის ყვავილების სილამაზე ისევ წარსულშია, ყოველი ლამაზი, ყრმობასთან

დაკავშირებული, თუმცა სიზმარივით გათავდა, მაინც ხდება ატმის ყვავილების გაცოცხლება მოგონებაში, „რაღაც არ-აქაურის“ მოსმენა:

„ყვავილების თოვლი ცას შელეკია,
მესმის რულში, როგორც ყრუ ელეგია,
მატარებლის დამღალავი ხმაური,
რაღაც მღვრიე, რაღაც არ-აქაური.
მე ვიგონებ ვნებას სიყმაწვილის დროს,
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!
ყველაფერი სიზმარივით გათავდა,
რასაც გული სიყრმით დამიხატავდა“...

წარსული რწმენაზე არა „არას“, არამედ „ჰოს“ მთქმელი იყო, შემდეგ კი სული გაიბზარა, მატარებლის ხმასავით მონოტონური გახდა ცხოვრება, სილამაზე დაეკარგა არსებობას, მაგრამ პოეტის მოგონებაში მაინც დარჩა მთვარის ჩრდილით მიბნედილი ატმის ყვავილების ხიბლი.

შემდეგ მოდის საოცარი სტრიქონები: მთების უბე და მისი ნიავი, რომელსაც არვინ ეუბნება, იყავი ჩვენთან, ნუ გეშინიაო: „სარკმელიდან – მთების უბეში ნიავს არვინ ეტყვის: იყავ, ნუ გეშინია!

მთა საღმრთო სახელია: დანიელის მთა, საცნაური მთა, დავითის მთა, მთაი ღმრთისა, „მთაი პოხილი“ მარიამის სიმბოლოა (ტიტე მოსია, „საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996 წ. გვ. 97-98).

ამ კონტექსტის მთა რელიგიური სახელია.

ნიავი საღმრთო ნიავია, სულიწმინდა, გალაკტიონის თანამედროვეთათვის გაუცხოებული და ზედმეტი, რაც ღამეს, უდაბნოს ამკვიდრებს ირგვლივ.

„მშვიდი და უცნობი“ პოეტი (უცნობი და გაუგებარი პრიმიტივთათვის, თავისი უაღრესად რთული და ამაღლებული სახეებით) ისევ იგონებს ატმის ხეს, მის რტოებს და ატმებზე მთვარის ჩრდილებს ყიამეთ ღამეში:

„იყო ღამე, იყო უდაბნოეთი,
ოდეს მშვიდი და უცნობი პოეტი
თვითეულ ჩრდილს შევხაროდი, თითო რტოს
და ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“.

განსაკუთრებული ხიბლი ახლავს ამ ციკლის კიდევ ერთ უსათაურო ლექსს „იმ ვარდისფერ ატმებს“ (1917 წ.). მასში ისევ მოგონებაშია ვარდისფერი ატმები, ისევ ტკივილიანია ეს სიყვარული:

„იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...
იმგვარადვე მდევ, იმგვარადვე მკლავ...“

ეს არის წყურვილი არა ხორციელის, ხილულის, არამედ უზენაესის, რომლის ხატებაც მარადიულად თან სდევს პოეტს.

მწუხარე დღეებში უფრო მეტია მისი წყურვილი და იმედი, თუმცა ანტიქრისტეებმა დაანგრიეს უზენაესის მაღალი ცა, ცეცხლი წაუკიდეს საუფლო ხეს, პოეტისთვის მაინც იმგვარივეა ყველაფერი:

„ო, როგორ მომწყურდი! მწუხარეა დღე.
იმგვარივე ცა, იმგვარივე ხე“...

ეპოქის გამანადგურებელი ქარი ისევ დათარეშობს, იღუნება ბზა (ბზა სიცოცხლის ხეა).

პოეტისთვის კი იმგვარივეა მზე და გზა, („მზე და ფარია უფალი ღმერთი – ფს. 83/84, 13; „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, ცხოვრება“ (იოანე, 60, 2,6).

ქრისტეს სიმბოლოა „ცოცხალი გზა წმიდა გზა“ (ესაია, 5, 18). დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტეს ეწოდება „ჭეშმარიტი გზა, წმინდა გზა, მართალი გზა, გზა უზეშთაესი“ (1941 წ. გვ. 212, 218, 376).

„იგივ ქარი დაჰქრის, იღუნება ბზა

იმგვარივე მზე, იმგვარივე გზა“ – ასეთი ურყევია გალაკტიონის პოზიცია.

პოეტის ხმა ისევ უცვლელია, რათა იმგვარივე ძალით უთხრას ზარი, რექვიემი ზენა ქარს:

„ძლიერ... ძლიერ... ძლიერ... ვეტყვი ზენა ქარს იმგვარივე ხმით, იმგვარივე ზარს“.

შემთხვევითი როდია, რომ იმგვარივეა ცა და ხე, იმგვარივეა მზე და გზა, იმგვარივეა პოეტის ხმა და ეს ნიშნავს მის შეურყეველ, უცვლელ თაყვანს და მოწიწებას უზენაესისადმი, ღმერთის მარადიულობას, უცვლელობას.

პოეტმა არსად ახსენა ღმერთი, ღვთისმშობელი, მაგრამ მის სახე-სიმბოლოებში (ვარდისფერი ატმები, ხე, ცა, მზე, გზა) გააცხადა თავისი უცვლელი სიყვარული ღვთისმშობლისა და ჯვარცმული ღმერთისადმი.

სამყაროში ერთადერთი უფალია მარადიული და უცვალებელი: „მე უფალი არ ვიცვლები“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3,6).

მივმართოთ ესაია წინასწარმეტყველს: „დასაბამიდან მე იგივე ვარ და ვერავინ იხსნის ჩემი ხელიდან. მოვიმოქმედებ და ვინ შეცვლის?“ (ესაია, 43, 13).

იგივე აზრს ავითარებს ფსალმუნი: „შენ კი იგივე ხარ და შენი წლები არ დაილევიან“ (ფს. 101/102, 7).

გავიხსენოთ იაკობ მოციქულიც: „ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა“ (მოციქულთა საქმეები, იაკობ მოციქული, 1,17)

მივმართოთ ასევე პავლე მოციქულს, რომელსაც სულიწმიდის ქნარს უწოდებდნენ: „გქონდეთ ერთი და იგივე სიყვარული, იყავით ერთსულოვანი, ერთაზროვანი“ (პავლე მოციქულის წერილი ფილიპელთა მიმართ, თ. 2,2).

გალაკტიონის ლექსში „ქარისაგან იღუნება ბზა“, ანუ რწმენას ურწმუნოება უპირისპირდება.

„ცა“ მარიამის სიმბოლოა.

ხე – სიცოცხლის ხეზე ანუ ქრისტეზე მიგვანიშნებს.

მაშ ლექსის მიხედვით, პოეტი მარადიული ერთგულია ღვთისმშობლის, ქრისტიანული ღმერთის.

გალაკტიონი თავიდან ბოლომდე ერთი ჭეშმარიტი ღმერთის ერთგული რჩებოდა: „...ჩემს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი“ (არ გაპატივა).

პოეტი აღბეჭდავდა ანტიქრისტეთა სატანურ ქმედებებს, ამასთან, სიმბოლური სახეებით წინასწარმეტყველებდა ისევ ღმერთისკენ მიბრუნებას. ამის მაგალითებია ლექსები: „არ დაღუპულა“, „ალვის ხის გადარჩენა“, „მუხები“, პოემა „მშვიდობის

წიგნი“, რომელშიც ნაჩვენებია უღმერთო ეპოქის კატაკლიზმები და მერე ისევ უზენაესის ძიებისა და პოვნის პროცესი.

„საღამოს“ სახე-სიმბოლოები

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში ერთ-ერთი იდუმალებით გამორჩეული ლექსია „საღამო“ (1915 წ.). კონტრასტულია მისი სახეები. ერთი მხრივ: გრიგალი, საღამო, ცივი ელვა, გვალვა, შემოღამების ცელი, ჯვართან მისული სურო; მეორე მხრივ, მაცხოვარი, დედოფალი ალვა, კარის ღვთისმშობელი, ჯვარზე გაკრული ელვა, ლურჯი ყვავილები, უხილავ-ფარული. ლექსის ლოგიკა იმპრესიონისტულია, ანუ, ერთი შეხედვით, ალოგიკური, მასში განხორციელებულია სათქმელის ბოლომდე დაუმთავრებლობის, მინიშნების პრინციპი.

მთლიანობაში, ლექსიდან მიღებული შთაბეჭდილებით, რაღაც დიადს, ამაღლებულს, იდეალს თელავს ცხოვრება, მაგრამ ამ ნეგატიური მოვლენებისაგან განაპირებული პოეტისათვის მუდამ მახლობელი და შესამჩნევია „სხვისთვის უხილავ-ფარული“.

გარემოში, სადაც დამცირებულია წმინდა ოცნება, მაინც არსებობს მაცხოვრის შიში, რომელიც აყრუებს მიწიერ გნიასს: „მთის გაგიჟებულ რუებს ღვიით, ძენძით და ქვიშით, გრიგალი დააყრუებს მაცხოვრისადმი შიშით“.

შემდეგ სტრიქონებში მონაცვლეობაა გვალვის, წვიმის, „ცივი ელვის“, რომელსაც დაუღუნავს, დაუმდაბლებია „დედოფალი ალვა“:

„და დედოფალი ალვა
ელვამ დაღუნა ცივმა.
ასე გავიდა გვალვა,
ასე მოვიდა წვიმა.“

ღვთისმშობლის კარის ეკლესიას, რომელზედაც საუბარია ლექსში, ამკობს ჯვარი, ლომი, კურო, ფარშევანგები.

„ზარით ატეხილ გრიგალს“ მარმარილოთა ფიქალს აფარებს დავით ნარინის ჯვარი. მთლიანად ეს სავანე „ანგელოზთა თვალის შურია“ თავისი სიდიადით.

ვინ არის ცივი ელვისაგან დაღუნული დედოფალი ალვა?

ამ სახესთან მისვლა მოგვიწევს შორი გზით.

დედოფლის წყაროებს მრავლად ვიპოვით ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, სასულიერო პოეზიის წიაღში.

მივმართოთ ფსალმუნს: „ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, სიმართლის კვერთხია კვერთხი შენი მეუფებისა“ (ფს. 44/5,7).

„შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული“ (ფს. 44-45, 10).

ფსალმუნის ამ ფრაზაში ღვთისმეტყველები მარიამ ღვთისმშობლის ხატებას ხედავენ: „ვინ არის ის დედოფალი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი და რომელიც მესიის გვერდით დაუყენებიათ? რა თქმა უნდა, იმ ძის, იმ მესიის დედა, სხვა ვინ უნდა იყოს მესიის გვერდით მდგომარე ქალი?“ (1,152)

სასულიერო პოეზიაში მარიამი არის „დიდებული დედა, დედოფალი, დაბადებულთა დედოფალი, ყოვლადწმინდა დედოფალი“ (2, 31, 257, 597).

დედოფალი ეწოდება მარიამს ფილიპეს „ბეთლემის საგალობელში“ (3,494).

ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“ მარიამს წარმოგვიდგენს, როგორც „წმინდა დედოფალს“ (3, 599).

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ მიხედვით, მარიამი არის „ქალწული დედა, დედოფალი“ (4,29).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მარიამს ეწოდება „დიდი დედოფალი“ (5,21).

მივმართოთ უცხოურ ლიტერატურასაც.

დანტესთვის მარიამი არის „დედოფალი ცის საბრძანისის, ზენარი დედა“ (6, 407).

გოეთეს „ფაუსტში“ მარიამი გვევლინება, როგორც „ცის დედოფალი“, „წმინდა ქალწული“, „დიადი დედა“ (7, 576).

გალაკტიონის „საღამოში“ ფიგურირებს არა უბრალოდ დედოფალი, არამედ „დედოფალი ალვა“.

ბიბლიაში ალვა სიცოცხლის ხის სიმბოლოა, სიცოცხლის ხეს კი საღვთო სახელად მიიჩნევენ.

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში „ხე ცხოვრებისა ძირითადად უფლის ალეგორიული სახელი ან მისი მეტაფორაა, მაგრამ გამონაკლისის სახით შევხვდებით მას მარიამის სიმბოლოდაც“ (5,122).

ასეთი ორგვარი გაგება აქვს ამ სახეს გალაკტიონის პოეზიაშიც. „საღამოს“ „დედოფალი ალვა“, რომელიც იხსენება მაცხოვართან ერთად, როგორც კარის ღვთისმშობლის ეკლესიის შემამკობელი, უეჭველად მარიამ ღვთისმშობელია. იგი დაუღუნავს „ცივ ელვას“, ანუ დაუმდაბლებია ღმერთისუარმყოფელ ეპოქას.

ლექსის „ძელში“ (იგივე სიცოცხლის ძე) ქრისტე ამოიცნობა, რომლის ნათებასაც „შემოღამების ცელმა“ დაადო რაზა, ანუ აკრძალა მისი ხსენებაც:

„ან გაოცებას, რასაც მარად ანათებს ძელი,
ისევ დაადებს რაზას შემოღამების ცელი“.

მაგრამ ერთია უკეთურთა მიერ დროებით დაბნელებული სინამდვილე და სხვა – „ათასის მხედველობის“ მქონე პოეტი, რომელიც ასომთავრულივით ჭვრეტს სხვისთვის შეუმჩნეველს:

„ან როგორც ასამთავრულს
მუდამ შევამჩნევ ცაზე
სხვისთვის უხილავ-ფარულს.
მე რად გელოდი ასე“.

„უხილავი“ და „ფარული“, რომელსაც ასომთავრულივით სულის თვალით ამჩნევს პოეტი, არის ღმერთი. ჩავხედოთ ბიბლიას: „ჭეშმარიტად, შენ ხარ ღმერთი დაფარული“ (ესაია წინასწარმეტყველი, თ. 45, 15).

მივმართოთ ახალ აღთქმასაც: „საუკუნეთა მეფეს, უხრწნელ, უხილავ,ერთადერთ ღმერთს – მას დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე“ (პავლე მოციქულის I წერილი ტიმოთეს, I,7).

გალაკტიონის მოწიწება ეკუთვნის აგრეთვე მარიამს – „ლურჯ დას“, რომელიც

ქრისტესავით ჯვარზეა გაკრული ურწმუნო ეპოქის მიერ, უღმერთობის ბაცილებით მოწამლული ახალგაზრდობა კი თელავს „ლურჯ ყვავილებს“:

„ჯვარზე გაკრული ელვა
ეს ჩემი დაა ლურჯი.
ლურჯ ყვავილების თელა,
ახალგაზრდობა ურჩი“.

ამ სტროფში მთავარი აზრობრივი აქცენტის მატარებელი სახეებია: „ჯვარზე გაკრული ელვა“ და „ლურჯი ყვავილები“.

ელვისა და ჯვრის ასოცირებას, ელვის წარმოდგენას უფლის სახედ ხშირად ვხვდებით სასულიერო პოეზიაში: „უფალო, ვითარცა ელვაი, გამობრწყინდის აღმოსავლით ჯუარი შენი“ (8, 41).

მაგრამ ელვა მარიამის სიმბოლური სახელიცაა: „ღმრთისმშობელო... ელვის სახედ განმანათლებელო“ – წერს ნიკოლოზ გულაბერიძე (3, 541).

გალაკტიონის ლექსის „ჯვარზე გაკრული ელვა“ არის მარიამი. იგი, როგორც ქრისტეს ჯვარცმის მაყურებელი, თვითონაც ჯვარცმულია, ამასთან, მეორედაც ჯვარცმული უღმერთო ეპოქაში.

დის სახით მარიამის წარმოდგენის წყარო უსათუოდ სოლომონის „ქებათა ქებაა:“ „ბაღი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება, 4,12).

ლექსში „როცა გარშემო ღამე ბნელია“ გალაკტიონი თავის თავს უცხო ასულის (მარიამის) „მარად ძმობილს“ უწოდებს.

„საღამოს“ „ლურჯი ყვავილი“ ქრისტეს სიმბოლოა.

„ვარდი, ყვავილი სასულიერო ლიტერატურაში მაცხოვრის და ღვთისმშობლის ბუნების გამოსახატავად გამოიყენება“ (9, 31).

გალაკტიონის ლექსში „ლურჯ ყვავილს“ თელავს ურწმუნოთა თაობა.

ყვავილის გაუჩინარება, დამსხვრევა, დაშხამვა, გაყინვა, გათელვა, გარდაცვალება მრავალგზის გვხვდება გალაკტიონის პოეზიაში და საღმრთო სიყვარულის უარყოფას მოასწავებს.

საანალიზო ლექსის სათაური „საღამო“ სულიერი მწუხრის მაცნეა, როგორც „ატმის ყვავილების“ მზის ჩასვლა, ან მზის გარდაცვალება ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“. „საღამო“ დაწერილია 1915 წელს. ეს დრო აღინიშნება ანტიქრისტეთა თარეშით.

„საღამოში“ „ჯვართან მისული სურო მარტოობაა ქნარის“, ხოლო ლექსში – „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ – „თებერვალს უხმობენ, თებერვალს სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები“.

ასოციაცია ჩნდება კინსტანტინე გამსახურდიას ნოველასთან „ფოტოგრაფი“ (10, 93), რომელშიც წითელჩოხიანმა ხატს ესროლა, შავმა ფრინველმა კი ჯვარი ჩამოიღო ეკლესიის გუმბათიდან. გვახსენდება ასევე „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილი ანტირელიგიური პროცესიები (11, 54).

მოკლედ, გალაკტიონის „საღამოს“ დედააზრი ისაა, რომ „დედოფალი ალვა“ (მარიამი) „ცივი ელვით“ (ეპოქის უღმერთობით) დამცირებულია, ახალგაზრდობა თელავს „ლურჯ ყვავილებს“ (ღმერთის რწმენას), ჯვართან სურო მიდის და ყოველივე ეს ქნარს – პოეზიას მწუხარებით ავსებს. მსგავსი თემა გალაკტიონის მრავალ ლექსშია სიმბოლურად დამუშავებული („კოშკი“, „ატმის ყვავილები“, „მიმღერე რამე..“).

ლიტერატურა

1. იოანე-იონა, „რა უნდა ვაკეთოთ“ თბ., 1994.
2. ნევმირებული ძლისპირნი, 1980.
3. ჩვენი საუნჯე, ტ. I. 1960.
4. დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, თბ., 1989წ.
5. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ., 1941.
7. გოეთე, ფაუსტი, 1962.
8. ტიტე მინჩხის პოეზია, თბ., 1987.
9. ტ. მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
10. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი 20 ტომად. ტ. I. 1992.
11. კონსტანტინე გამსახურდია, მთვარის მოტაცება, თბ., 1990.

ავდრის მოლოდინი

გალაკტიონ ტაბიძის სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსი ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდანვე საყურადღებოა. პოეტი უტყუარი ინტუიციით აყურადებდა მოვლენათა განვითარებას და ამოუწურავი მხატვრული არსენალის ახალ-ახალ ბრწყინვალებას ავლენდა განუმეორებელი მხატვრული სახეებით, რომლებშიც კოდივით ჩადებულია მისი ურთულესი მსოფლმხედველობის გასაღები.

ეპოქის მთელ კატაკლიზმებს აირეკლავს გალაკტიონის შემოქმედება, თანადროულობის ყოველ მოვლენას დაერქმევა თავისი ნამდვილი სახელი პოეტის გარდაცვალებამდე, 1959 წლამდე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გზებიც განიჭვრიტება სულიერი „განათების წამებში“, რაც ქართველ ორფეოსს სრულ უფლებას აძლევს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე განაცხადოს: „ამ წიგნში მთელი საუკუნის ვიპოვე ბინა“.

„ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ პოეტი საგნებს, მოვლენებს, მათ „მიზეზთა მიზეზს“ ეძებდა, ბიბლიური წინასწარმეტყველებივით ევლინებოდა ხილვები, რომლებიც მომავალს უცდომლად მიანიშნებდნენ. რიტორიკის, მჭევრმეტყველების, მშრალი ცნებებით აზროვნების უარმყოფელი გალაკტიონი „რკინისებური ლექსების ღვარში“ „ბროლის რიტმით“, ზეციური მუსიკით გვატკბობდა, სინამდვილის დაფარულ შრეებში გვახედებდა, განუჭვრეტელ ქაოსში იმ ჭეშმარიტებებს აგნებდა, რომელთა მიკვლევაც მხოლოდ ერთეულთ, სულიწმიდის მადლით ცხებულთ ხელეწიფებათ. მთელი მისი ურთულესი ლირიკა არის ხიდის გადება უზენაესთან, სიყვარულთან, ცის და მიწის შემქმნელ ღმერთთან, რომელიც არის როგორც სამყაროს, ისე სულის ხუროთმოძღვარი.

წიწამურის ტრაგედიით გამოფხიზლებულმა პოეტმა ყოველგვარი ნიღბის გარეშე იხილა სოციალ-დემოკრატთა მომავალი სახე, მათი სოციალური და სულიერი პროფილი.

„ცის შვილს“, ზეციური ვარდის ბაღისა და სულიერი ვენახის მცველს, განსა-

კუთრებით აღაშფოთებდა სისხლი, რომელიც იღვრებოდა სამართლიანობის სახელით, ვერ ეგუებოდა პრეტენზიებს, საქმიანობას ღმერთისმგმობელი ურჩი თაობისა, რომელიც შეუბრალებლად თელავდა არამარტო დახავსებულს, დრომოჭმულს, არამედ მოზარდსაც, წმინდასაც და გვაუწყებდა ქრისტიანული მორალის კრიზისს, ანტიქრისტეს მოვლინებას, მომავალი ცრუ ღმერთების, კერპების სახით რომ გაუსწორდებოდა ყოველ მორწმუნეს.

რა ბედი ეწეოდა ზეციური მამის მგმობელ ერს, რა ელოდა მწიფე მტევნებს მევენახის გარეშე, მორწყულ ბაღს, თუ მებაღე უარიყოფოდა? ეს წუხილი ჯერ კიდევ ათიან წლებში ვლინდება გალაკტიონის პოეზიაში („გადანახული დროშები“ – 1908 წ. „მიმღერე რამე“ – 1912 წ. „ელეგია“ – 1914 წ. „სამრეკლო უდაბნოში“ – 1914 წ. „კოშკი“ – 1915 წ. „ატმის ყვავილები“ – 1915 წ. და სხვ.).

გალაკტიონს, როგორც წინასწარმეტყველ პოეტს, აფორიაქებდა მომავლის ხილვები, მოლოდინთა სიახლე, ლოდინი ბედნიერების, განახლების, გადარჩენის, ავდრის, ომების.

მთავარი ის არის, რომ არასოდეს გაცრუებულა მისი წინასწარჭვრეტა.

„ავდრის მოლოდინი“ ერთ-ერთი ისეთი ინტუიციით გაალებული ლექსია, შიგ გულში რომ მოინიშნავს სამიზნეს. იგი 1916 წელს დაიწერა და თავისებურად, უდიადესი მხატვრული სახეებით შეგვაგრძნობინებს ღმერთისუარმყოფელი ეპოქის კონტურებს. ლექსის დასაწყის სტრიქონებშივე იხატება საღმრთო სიყვარული, ია-ზამბახის თოვლით განათებული პოეტის სული, მისი სამყაროს „დარაჯი მზეთუნახავი და მკრთალი სახის“ ალვა:

„წარსულმა ღამემ შენს ფანჯარში
დათოვა თოვლი ია-ზამბახის.
შენი ალვა დგას, როგორც დარაჯი,
მზეთუნახავი და მკრთალი სახის“.

ია, ზამბახი ქრისტიანული საღმრთო სახელებია. იის წყალი, იით მფეთქავი თვალები, იებით დაფარული ხანჯალი გალაკტიონის ლექსში ღვთაებრივი სათნოების გამომხატველია, ზამბახის პრინცესა, ზამბახის თასი, ზამბახეული სიმაღლე – მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

ალვის ხის მრავალნაირი გააზრების მაგალითებს ვიპოვით გალაკტიონის პოეზიაში: ალვები თოვლში, ალვის ხის სული, ალვის ხის გადარჩენა, პოემის სახელი – ალვა და სურო.

ალვა სიცოცხლის ხის სინონიმური სახელია, სიცოცხლის ხე კი ღმერთის სიმბოლოა ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, დავით გურამიშვილის „დავითიანში“ (ტიტე მოსია „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1995 წ. გ. 120-121).

სულიერი, ზეციური ხის ღმერთის სახელად გაგების მაგალითები უხვად არის ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. მივმართოთ ზოგიერთს: „მე ამწვანებული ალვა ვარ, ჩემგან გექნება შენ ნაყოფი“ (ოსია წინასწარმეტყველი, 13,9).

„ეკლის ადგილზე ალვის ხე ამოვა და ქაცვის ადგილზე მურტი ამოვა და იქნება უფლისთვის სახელად და საუკუნო ნიშნად, რომელიც არ წაიშლება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 155,13).

„ავდრის მოლოდინში“, ალვასთან ერთად, სიცოცხლის ხედ გვევლინება ვაზი:

„ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით
მიყვარს ქალწულის დაგვირგვინება.

წარსულს ჩვენ აღარ დავედევნებით
და არც ცრემლები დაგვედინება“

ვენახი, ვაზი ქრისტეს, ღვთისმშობლის, წმინდა მამების ერთ-ერთი გავრცელებული სიმბოლიკაა.

სახარების „ვენახი ჭეშმარიტი“ არის ქრისტე: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამა ჩემი მოქმედი არს“ (იოანე, 15,1).

საყურადღებოა ძველი აღთქმის ვენახი და მისი ყვავილი: „მე ვითარცა ვენახმან, აღმოვაცენე მადლი და ყუავილი ჩემი, ნაყოფი დიდებისა და სიმდიდრისა“ (ზირაქის სიბრძნე, 1,6).

ბიბლიაში ზეციური, სულიერი ვაზის პარალელურად, მიწის ვაზიც ხარობს: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,1).

მევენახე კი ღმერთია: „მე უფალი მცველი ვარ მისი, ყოველწამს ვარწყულებ და ვიცავ დღითა და ღამით, რომ არავინ დააზიანოს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 27,3).

გალაკტიონის „ავდრის მოლოდინში“ ლერწები და „მწიფე მტევნები“ გულისხმობს ქრისტეს, რომლითაც დაგვირგვინებულია ქალწული მარიამი.

ქალწულის მიერ ძე ღმერთის მოვლინება ძველი აღთქმის წიგნებშივეა ნაწინასწარმეტყველები: „თავად მოგცემს მეუფე ნიშანს: აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუილს (ჩვენთან არს ღმერთი)“ (ესაია, 7,14).

„ვერხვებში“ გალაკტიონმა პრინცესა-მარიამი ყვავილით (ქრისტეთი) დაგვირგვინებულად წარმოსახა, „ავდრის მოლოდინში“ კი იგი ლერწებით და ვაზის მტევნებით არის დაგვირგვინებული. ლერწიც, ტოტიც საღმრთო სახელია.

გვირგვინის არაერთი წყარო დაიძებნება ბიბლიაში: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს“ (ფს.64/65, 12).

გალაკტიონის ლექსში ჩნდება შიში მწიფე მტევნების ბედის გამო, თუ ამინდი შეიცვალა, მებაღე (ღმერთი) თუ არ მოვიდა, ქარისაგან დაილეწება ნაყოფი:

„ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი,
თუ მწიფობისთვემ შეცვალა დარი,
მებაღემ მოსვლა თუ არ ინება!“

მებაღისა და მევენახის დავიწყებამ სერაფიმის კეთილი სულის ქსოვილი დაფლითა, ცივი წვიმით დანამული სული კი ქარის, ქორისა და არწივის საუფლო გახდა:

„შენ სული გქონდა ისე კეთილი,
ოჰ! სერაფიმის ცისფერი სული!
ეხლა დაღლილი და დაფლეთილი
არის ქსოვილი ფერმიღებული,
ვის დაიფარავს სუსტი ქსოვილი?
ვერც შენ და ვერც სხვას... ცივია წვიმა!
ქსოვილი წვიმის ცვრებით სოველი
წაიღო ქარმა, ქორმა, არწივმა“.

ნისლსა და ქარში მწუხარე ფიქრებს მიაცილებს „ძველ გაზაფხულის მღელვარე სუნი“:

„ეს მწუხარე და მწველი ზუზუნი
მიჰყვება ფიქრებს ნისლში და ქარში!

ძველ გაზაფხულის მღელვარე სუნი
მიჰყვება ფიქრებს ნისლში და ქარში“.

ზაფხული, ძველი ქართული ენით, გაზაფხულს ნიშნავს და საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს...“ (ფს. 64/65,12).

„ავდრის მოლოდინიდან“ ჩანს, რომ მხოლოდ პოეტის სულში იფრქვევა „გაზაფხულის“ სუნი, რეალობაში კი დაჭრილი ღრუბლიდან გამონაშუქი ჩამავალი მზის მომაკვდავი ალებია:

„ჩამავალი მზის მომაკვდავ ალებს
ისვრის ღრუბელი და დაღლილობა.
მთებს, ირმებს, შველებს, ხევს და ნაპრალებს
აწუხებთ ღრუბლის მძიმე ჭრილობა“.

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84,13).

ჩამავალი მზე და მისი მომაკვდავი ალები გვაუწყებს ღმერთზე უარის თქმას მეფისტოფელის საუკუნეში.

გალაკტიონის პოეზიაში ღმერთის უარყოფის მნიშვნელობით მრავალგზის გვხვდება მზის ჩასვლა, მზის ჩაქრობა, მზიანი ღამის დაკარგვა, ლანდად ქცეული, თუ ქიმერებში ჩავარდნილი მზე.

დაჭრილი ღრუბელი მარიამის სიმბოლოა. ეს სახე მოასწავებს ღვთის დედის შეუწყნარებლობას უკუღმართ დროში.

გალაკტიონის სიმბოლური ღრუბლის წინამორბედია უძველესი იადგარის და მათეს სახარების „ღრუბელი ნათლისა“, „სულმცირე ღრუბელი“ („ნევმირებული ძლისპირნი“, 501).

ამ ერთ ლექსში რამდენიმე საღმრთო სახელს ვეცნობით: ალვა, ლერწები, ვაზის მტევნები, მებაღე, ძველი გაზაფხული, მზე.

„ავდრის მოლოდინის“ ჩანაფიქრის გაცნობიერება გვარწმუნებს, რომ ნათელმხილველი პოეტისათვის თანდათან ცხადი ხდებოდა ეპოქის წარმმართველი ტენდენციები, სულის სატანური გადასხვაფერება, ღმერთისა და ღვთისმშობლის დაგმობა, სიკეთის, სათნოების ჯვარცმა, კოსმიური სიცივის გაბატონება, ავდრის ზეიმი, რასაც სხვა ლექსებშიც არაერთგზის გაიმეორებს გალაკტიონი, რათა ბოროტების ავბედითი აჩრდილი დააფრთხოს და გამოაფხიზლოს „ძილქუშის სულით“ შეპყრობილი საზოგადოება.

ავდრის მოსვლაში გლობალურ კატაკლიზმებს გულისხმობდა ტერენტი გრანელი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

„კოშკი“

გალაკტიონ ტაბიძეს ბედმა დააკისრა ყოფილიყო „ეპოქის გედი“. „ათასის მხედველობით“, „ასი ათასის სმენით“ მომადლებულ პოეტს უნდა შეენიშნა, მოესმინა არა მხოლოდ ჩვეულებრივ მოკვდავზე გაცილებით მეტი, არამედ ეგრძნო ჯერ კიდევ გაუმჟღავნებელი, პოტენციაში არსებული მუხტი და, მართლაც, ადრეული ლექსებიდანვე გვაოცებდა ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით.

„ამ წიგნში მთელი საუკუნის ვიპოვე ბინა“, – თვითშეცნობილი გენიის საფუძვლიანი განაცხადია.

გალაკტიონმა 1959 წლამდე იცხოვრა მხოლოდ, მაგრამ უტყუარი ინტუიციით გაალებული სულით იგრძნო არამარტო ის, რაც მოხდებოდა მის სიცოცხლეში, არამედ მთელი ნახევარი საუკუნით (ან იქნებ მეტითაც) გაუსწრო მოვლენებს და ეროვნული ტრაგედიები, „მსოფლიო ნგრევები“, მომავლის კატაკლიზმები იწინასწარმეტყველა, უფლის „დიდი დღის“ დადგომას მიაწვდინა მზერა.

საღვთო სიბრძნის ძიებით, იგავური, სიმბოლური მეტყველებით გალაკტიონის პოეზია ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ნაზრევს უახლოვდება.

ჯერ კიდევ შეუსწავლელია ჩანაფიქრი მისი: ფეერიული ქალაქის, ფეერიული ყინვის, ფეერიული აკიდოს, ფანტაზმების, ეფემერების;თვალსაწიერი და მასშტაბები კოსმიური სიცივის, მსოფლიო ბაგის, მსოფლიო ნგრევის, მსოფლიო სხივის.

„კოშკი“ ერთ-ერთი იმ შედევრთაგანია, დღენიადაგ რომ იზიდავს ერის საზრისზე დაფიქრებულ, გონსმოგებულ ქართველს.

დაიწერა 916 წელს. ამ დროს გალაკტიონი უკვე იყო თავისი გახმაურებული პირველი კრებულის ავტორი, მრავალი შედევრით მდიდარი.

ცნობილია, რომ ის ძიებას „ბგერა-ბგერა, საგან-საგან“ იწყებდა, ერთეულიდან ზოგადისკენ, ლოკალურიდან გლობალურისკენ მიისწრაფოდა. რაც მთავარია, ემყარებოდა უღრმეს საღვთო სიბრძნეს და ყოველ წყაროს არათუ ძირისძირში იცნობდა, თვით შეჰქონდა ტრადიციებში განუმეორებელი ხიბლი, გვაჯადოებდა აზრისა თუ მუსიკის სასწაულებით. „საერთო“ და „სათვისტომო ომში“ ჩაბმული პოეტი ეროვნულთან ერთად „მსოფლიოს გამოუცნობი წყლულების“ წამალსაც ეძებდა.

„კოშკის“ ანალიზისას, ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს გალაკტიონის უმთავრესი ესთეტიკური პრინციპი – სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი, ინტერესი როგორც რეალური, ემპირიული სამყაროსადმი, ამასთან „ფეერიული“, „ფანტაზმებით მოსილი“ ხილვებისადმი, სიმბოლური, შიფრის მატარებელი სახეებისადმი.

ისევე, როგორც მრავალი სახე, კოშკიც მრავალგანზომილებიანია გალაკტიონის შემოქმედებაში, უსაზღვრო შესაძლებლობები ვლინდება ამ ცნების ორიგინალურ, ახალ-ახალ კონტექსტებში გააზრებისას.

ცნობილია ისიც, თუ რა მჭიდრო კავშირი აქვს გალაკტიონს ძველ და ახალ აღთქმასთან, სასულიერო პოეზიასა და ღვთისმეტყველთა ნააზრევთან.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „კოშკი არის იგივე გოდოლი, ანუ გოდოლი არის კოშკი მაღალი. კოშკი კი წვრილი და მაღალი ციხეა“ (ლექსიკონი ქართული, 1, 1991წ. გვ. 164).

ეს სახე არსებობას იწყებს „ფსალმუნში“: „ღმერთო... ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი“ (ფს. 61,4).

გოდოლი ფიგურირებს სოლომონ მეფის იგავებში: „უფლის სახელი მტკიცე გოდოლია“ (იგავნი სოლომონისა, 18;10).

სიმბოლური კოშკისა და გოდლის სახის ახსნას ვიპოვით ტიტე მოსიას „საღვთისმშობლო სახისმეტყველებაში“ (გვ. 79): „წმინდა ქალწული, დაუჯდომლის თანახმად, ეკლესიის შეურყეველ გოდლად ანუ უძლეველ კოშკად წარმოგვიდგება: „გიხაროდენ, ეკლესიისა შეურყეველო გოდოლო“. ამის კვალდაკვალ დავით გურამიშვილიც წერს მესიის დედაზე: „დაურღვეველო ზღუდეო, გოდოლო შეურყეველო“

(დავითიანი, გვ. 79).

გალაკტიონის შემოქმედებაში მოიძიება კოშკთან დაკავშირებული თვითმყოფადი სახეები: „კოშკიდან ერთი ნათობს სანთელი, სულში კოშკი არ შენდება, ახლა აღარც ღმერთია, ეცემიან კოშკები ცისა და ნესტანისა, გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო შენს ფეხქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა, კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა“...

კოშკი ზოგჯერ რეალისტური შინაარსისაა („თელავის გაძარცული ციხე-კოშკები“ ლექსში „მივდიოდი ალაზნის ველად“), ხშირად სიმბოლურია და მიემართება პოეზიას („სიზმარეთის კოშკები“ „ეფემერაში“). ზოგ ლექსში კი რელიგიური შინაარსის მატარებულია. ასეთია „კოშკები ძველად ნაგებ-ნაშენი“ლექსში „სანთელი“, რომელშიც პოეტს ეძნელება კოშკებთან განშორება, ხოლო დროშასავით მაღლა აწეული სანთელი ქრისტეს გულისხმობს, ვინაიდან ქრისტე „სანთელია ნათლისა“ (ნევმირებული ძლისპირნი, გვ. 323).

ათეისტური ეპოქისათვის გაუცხოებული „ძველი კოშკი“ სიმბოლოა მარიამისა ლექსში „რაც არ ყოფილა – არის“: „გამქრალ დიდების ნათელს კოშკი იბურავს ძველი და მთელ ვაებას ათევს“. ლექსი დაწერილია 1928 წელს.

„უცნაურ სასახლეში“ (1919 წ.) კოშკი დღის ამალას წარმოადგენს, დღე კი საღმრთო სახელია. პოეტი მისტირის „აჩონჩხილ შენობას, მშვენიერ შენობას“. „აჩონჩხილი“, ალბათ, შინაარსგაცლილს გულისხმობს: „აჩონჩხილო შენობა, მშვენიერო შენობა, მომკლავს მე უშენობა!“

ლექსის „კოშკი“ მარიამს გულისხმობს, დღე კი – ქრისტეს. „სასულიერო მწერლობაში ქრისტეს სახელად მოიაზრება დღეც... „ვიკარგვი ბნელის ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო“, – „დავითიანი“ (ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, გვ. 27).

დასაწყისი ლექსისა – „ეს მშობლიური ქარია“ – გვამცნობს, რომ „აიმართნენ კოშკები ცისა და ნესტანისა“. შემდეგ კი ირკვევა, რომ „ეცემიან კოშკები ცისა და ნესტანისა“.

მარიამის სიმბოლური სახელებია „ცის საყდარი, ცის დედოფალი, ზეცის სძალი“ (ტიტე მოსია,„საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, გვ. 124).

გალაკტიონის პოეზიაში მარიამს ეწოდება „ცის კოშკი“.

დედა-ძის უარყოფილი ხატება შემოგვანათებს ლექსიდან „ტფილისს სძინავს მძიმე ძილით“: „სულში კოშკი არ შენდება, ეხლა აღარც ღმერთია, საცა არის გათენდება, ყველაფერი ერთია!“

მარიამის უარყოფას მიგვანიშნებს დამსხვრეული გრაალის კოშკები ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“.

გრაალი მიიჩნევა მარიამის სიმბოლოდ: „გრაალი განასახიერებს მთვარისეულ მარადქალურ საწყისს, სოფიას, ღვთისმშობელს“ (ზვიად გამსახურდია,“ „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, გვ. 181).

სხვაგან „კოშკიდან ერთი ნათობს სანთელი“ (დამშვიდდი ქარო), ან „მიტოვებული კოშკი... სტირის“...

პოეზიის სიმბოლოა „სიზმარეთის კოშკები“ „ეფემერაში“, „კოშკი ჩემი მაღალი“ ლექსში „სანამ არ დამსხვრეულან“, სულის კოშკი პოემაში „აკაკი წერეთელი“.

გვხვდება შრომის კოშკი, კრემლისა თუ ეიფელის კოშკი, მძლავრი კოშკები დიდ

ქალაქების „გადახრილ ნამინანქრევებს“ რომ გვაგონებენ.

მარიამის სიმბოლოდ გალაკტიონის პოეზიაში დაფიქსირებულია თასი, კიბე, კიდობანი, ხიდი, ჭიქა, აზარფეშა, ყვავილი. კოშკიც უმეტეს შემთხვევაში მარიამის ადრესატია.

პოეტს წინ უძღოდა უმდიდრესი ტრადიციები. ჰიმნოგრაფიაში მარიამ ღვთისმშობელი მოხსენებულია, როგორც „გოდოლი სანატრელი“ (ნიკოლოზ გულაბერიძე, გალობანი სუეტისა ცხოველისანი“, „ჩვენი საუნჯე“, ტ. I, 1960წ. გვ. 538).

„არეოპაგიტულ კრებულში“ პეტრე იბერი იწოდება, როგორც „გოდოლი უძრავი“ (გვ.184).

იოანე მინჩხის „სულის გოდოლთან“ დაპირისპირებულია საშინელი განსაცდელის ქარი: „ეკუეთნეს ქარნი იგი საშინელი განსაცდელთანი გოდოლსა სულისა“ („ქართული პოეზია“, I, 1979წ. გვ. 65).

გალაკტიონი შემოქმედებითად ითავისებს ტრადიციას და წინაპართა სულის გოდოლს (კოშკი) ბევრ ლექსში რელიგიური გაგებით მიმართავს, როგორც მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოეტი ღმერთისუარმყოფელი ეპოქის განუმეორებელ კონტურებს ქმნის. გამხმარი, დაშხამული, გათელილი, დაწყვეტილი ვარდები, დამსხვრეული რწმენის გემი, ჩაძირული გემები, გარდაცვლილი, ჩამქრალი, ქიმერებში ჩავარდნილი მზე, ამღვრეული და დამშრალი წყარო... ქრისტეს უარყოფაზე მიგვანიშნებს; გაყინული, დაკარგული, დანგრეული ზეცა და სამოთხე (ცა და სამოთხე მარიამის სიმბოლოებია). დაბინდებული და თოვლის ქვეშ გაუჩინარებული მთა (დანიელის მთას, საცნაურ და პოხილ მთას მარიამის სიმბოლოდ მიიჩნევენ ბიბლიის კომენტატორები), გაძარცული ატმის ყვავილი, დამსხვრეული გრაალის კოშკები ღვთისმშობლისადმი გულგრილობის გამომხატველი სახეებია.

დედა-ძის დაგმობის ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში. ცნობილია, ალექსანდრე აბაშელის მარიამისადმი მიძღვნილ ლექსს – „ციურო დედავ, აგვიპყრია შენსკენ ხელები, ტანჯვის წუთებში დაკბენილი მტკივან თვალებით“ – რა ირონია შეაგება პროლეტარული, უდღეური მწერლობის ნაფიცმა კრიტიკოსმა ბენიტო ბუაჩიძემ, რომელმაც ზემოხსენებულ სტრიქონებს „მონაზვნური ბოდვა“და „აღმაშფოთებელი“ უწოდა (იხ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „ქართული მწერლობა ოციან წლებში“, წიგნში „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, 1,ქუთაისი, 1994 წ.)

უბედურების მომტანი სისხლიანი რევოლუციონერების ნგრევითი საქმიანობა ვლინდება გალაკტიონის ლექსში „კოშკი“. მას მსჭვალავს ავბედითი მომავლის საშინელი წინაგრძნობა და პოეტს განაჩენი გამოაქვს ბნელი ეპოქისათვის.

პირველივე სტროფი ნგრევის შემზარავი სურათით იწყება:

„ინგრევა კოშკი საუკუნით აშენებული!
წინაპართაგან მოტანილი ძვირფას ბროლებით,
ცვივა სარკმლები ბედისწერით დაშინებული,
დაშინებული ბედისწერის გამოქროლებით“.

„ძვირფას ბროლებთან“ ერთად გალაკტიონი მიმართავს „სიცოცხლის ბროლის“(„ბნელი ჩრდილავს სიცოცხლის ბროლს“ – ამბობს ერთგან), „ბროლის ზმანების“ (ნუგეში) სახეებს. ვფიქრობთ, ეს სახეები ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოე-

ბია და უნდა მომდინარეობდეს ეზეკიელის წინასწარმეტყველებიდან, სადაც მინიშნებულია ბროლის ცა: ... „გაიხსნა ცა და ვიხილე ღვთიური ხილვები“ (ეზეკიელი, 1,1).„ ცხოველთა თავებს ზემოთ თითქოს ბროლის ცა იყო“ (ეზეკიელი, 1,22).

ბროლი ფიგურირებს აგრეთვე აპოკალიფსში: „წამიყვანა სულით დიდსა და მაღალ მთაზე. მიჩვენა წმინდა ქალაქი იერუსალიმი, მქონე ღვთისა დიდებისა. მისი შუქი მსგავსი იყო პატიოსანი თვლისა, როგორც იასპის ქვისა, ბროლივით გამჭვირვალესი“ (იოანეს გამოცხადება, თ. 21, 10, 11).

გალაკტიონის ლექსში კოშკის ნგრევას მოსდევს სარკმელთა ცვენა და ეს ბედისწერით არის გაპირობებული.

ღვთის გმობის ფაქტზე მინიშნებულია დანიელის წინასწარმეტყველებაში, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში.

„უზენაესის წინააღმდეგ სიტყვებს იტყვის და უზენაესის წმიდებს შეავიწროებს, განიზრახავს მათთვის დროთა და რჯულისა შეცვლას. ისინი ხელში მიეცემიან მას, ვიდრე არ გავა დრო – ორი დრო და ნახევარი დრო.

შემდეგ დაჯდება სამსჯავრო და წართმევს მას ხელმწიფებას“(დანიელი, 5,25,26).

იმავეს გვაუწყებს იოანეს გამოცხადება: „როცა მეხუთე ბეჭედი ახსნა, სამსხვერპლოს ქვეშ დავინახე სულები დახოცილთა ღვთის სიტყვებისათვის და მოწმობისათვის, რომელიც მათ ჰქონდათ“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 6,9).

„კოშკში“ შემდეგ აქცენტი მოდის სვეტებზე, რომელიც „წარსულთა დღეთა მტკიცე ბურჯი“ იყო, დღეს კი გაძარცული და ყველასათვის გაუგებარია:

„სვეტები, რომელთ თავზე ადგა ელვარე თაღი,
წარსულთა დღეთა მტკიცე ბურჯი და მეგობარი
დგას დაქანცული, გაძარცული, უიარაღო,
ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი!“

კოშკთან ერთად სვეტებიც მარიამის სიმბოლოდ ისახება.

ტიტე მოსია სათანადო მაგალითების დამოწმებით მარიამის სიმბოლოდ მიიჩნევს სვეტს: „თაყვანისმცემელთა მიერ ღვთის დედა აღიქმებოდა ქრისტიანთა ბურჯად, სიმტკიცედ და სვეტად: „სვეტო და სიმტკიცეო და სიქადულო ჩვენო, მარიამ უბიწოო“ (მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზია, გვ. 197).

ნიკოლოზ გულაბერიძის შემოქმედებაში მარიამი ნათლის სვეტად და ცხოველ სვეტად გამოიხატა: „ნათლისა სუეტო ქალწულო“ (ქართული პოეზია, I, 203), „სუეტო ცხოველო, დედოფალო წმინდაო“ (იქვე). „დაუჯდომელში“ მარიამი „ცეცხლის სვეტად“ და „ღრუბლის სვეტად“ მოგვევლინა. ორივე ძეგლის ამოსავალი წყარო გამოსვლათა წიგნია: „ხოლო ღმერთი უძღოდა მათ დღისით უკუე სუეტითა ღრუბლისათა ჩუენებად მათდა გზასა, ხოლო ღამე სუეტითა ცეცხლისათა“ (გამოსვლა, 13, 21).

საანალიზო ლექსის შემდეგ სტროფში ისევ კოშკის დანგრევაზეა საუბარი და ეს ნგრევა შედარებულია ძველი რომის ან ბაგრატის კოშკი – ტაძრის ნგრევასთან, რათა უფრო ძლიერად განგვაცდევინოს რწმენის, სიწმინდის განადგურება:

„ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული,
ვით ძველი რომი, ან ბაგრატის კოშკი-ტაძარი“.

კოშკი სიყვარულით არის აშენებული, სიყვარული კი ქრისტიანული ღმერთის სახელია: „ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი იოანესი, I, თ. 4, 8)

ნეტარი ავგუსტინეს აღსარებაში ღმერთს ეწოდება „დიადი სიყვარული“ (აღსა-

რება, გვ. 390).

ამ საყოველთაო ნგრევის დირიჟორია „სახე გამხდარი, გესლიანად გაცინებული“ სატანა, რომელიც სახელდებულია, როგორც „შიშის ლანდი უზარმაზარი“: იგი კოშკის „ძველისძველ ფოლიანტზე“ საბედისწერო განაჩენს აწერს:

„სახე გამხდარი, გესლიანად გაცინებული
აქ ისევ გაჩნდა შიშის ლანდი უზარმაზარი.
კოშკის ძველისძველ ფოლიანტზე რაღაც დასწერა
და შემოხაზა გამოუცნობ ნების რკალებით“.

ბიბლიიდან გვახსენდება მეფე ბალთაზარის ლხინი, როცა კედელთან გამოჩენილმა ხელმა სამი საბედისწერო სიტყვის დაწერით მიანიშნა ბაბილონის სამეფოს აღსასრულსა და ბალთაზარის სიკვდილზე, რაც იმავე საღამოს ახდა კიდეც.

შიშის ლანდის მოვლინება და საიდუმლო წარწერის გაკეთება ავი წინაგრძნობით ავსებს ლექსის ლირიკულ გმირს:

„ალბათ მოხდება სასწაული საბედისწერო...
ნუთუ არავის, არავის არ შევებრალებით?“

სანთლის ჩაქრობას (სანთელი ქრისტეს სიმბოლოა) მოსდევს ბნელი ღამის გაბატონება და ამის შემდეგ ყოველგვარ ფასს კარგავს ტაშისცემა, ვარდები, დიდება:

„ოჰ, გული, გული! რანაირად მტკივა ეს გული!
კოშკი ღამეა... უკვე ჩაჰქრა, ჩაჰქრა სანთელი,
დედა, სადა ხარ! მამა, სად ხარ! ან რად მინდოდა
ეს ტაშისცემა, ეს ვარდები, ეს ჟრუანტელი?“

ამაოდ მოუხმობდა პოეტი ურწმუნო მეფისტოფელის ეპოქაში ზეციური დედისა და მამის სახელებს.

ლექსის ბოლო სტრიქონებში ცხადი გახდა საშინელი წინაგრძნობის ასრულება:

„მოჰყვები ქვეშ ამ უხეშ ლოდებს ჩუმ ხეტიალით“,
მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული...
აჰა! ყრუ რყევით, ხმაურობით, გრგვინვა-გრიალით
დაეცა კოშკი, სიყვარულით აშენებული!“

„კოშკი“ მარიამ ღვთისმშობლისა და ქრისტიანული ღმერთის უარყოფას აფიქსირებს, რაც დაღამებას, ნგრევას მოასწავებს როგორც სულიერ, ისე მატერიალურ სფეროში. ჯერ კიდევ 1916 წელს ჩაწვდა გალაკტიონი რევოლუციის მღვრიე დინების არსს, იმ ტოტალურ განადგურებას, რაც მოხდებოდა როგორც მატერიალურ ფასეულობათა (მართლაც ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები, ცინიზმისა და დევნის საგანი ხდებოდა რწმენა) მიმართ, ისე სულიერების ასპექტში. ეს დამღუპველი ტენდენციები არაერთგზის ამხილა პოეტმა ხან პირდაპირ, ხანაც სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით.

ამ უბედურების დირიჟორები იყვნენ აპოკალიფსში მინიშნებული ზღვისა და მიწის მხეცები (ბიბლიის კომენტატორები მათ ადრესატებად ლენინსა და სტალინს მიიჩნევენ), რომელთაც ძალაუფლება გველეშაპისგან მიიღეს. აპოკალიფსში მათი დამარცხებაც არის მინიშნებული.

ღმერთისუარმყოფელი მარქსიზმის ბაცილებით იშხამებოდა მე-19 საუკუნის ქართველი და „აჩრდილში“ ილია ჭავჭავაძე წუხდა სიცოცხლის ხის გახმობაზე, მკურნავი წყაროს დაშრობაზე, რაც სიმბოლურად ურწმუნოების მხილება იყო.

ვაჟა-ფშაველას „მოჩვენებაში“ იმავე ფაქტზე მეტყველებს „დანგრეული დარბა-

ზები“, თავმონგრეული კოშკები და ალის, ქაჯის ცინიკური ხითხითი ყველაფრის ამაოებაზე, მაგრამ შემდეგ დაუვალი მზის (ღმერთის) გამონათება რწმენის უძლეველობის დასტურია.

მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთში“ კოშკის დამანგრეველი, გედის გამანადგურებელი შავი ურჩხული და კოშკთან დაპირისპირებული წითელი გველეშაპი მოასწავებს ანტიქრისტეს მოვლინებას, რომელიც მიზნად დაისახავს სიწმინდის, სულიერების, კოშკის (მარიამის) გაუფასურებას.

გალაკტიონის პოეზიაში ინგრევა კოშკი, სასახლე, სოფელი, ქალაქი, დარბაზები, ეცემა სვეტები, ძმები იყოფენ მოხუც ბაღს (ძმა ჩვენი ე.წ. „უფროსი ძმაა“, მოყვრის სახელით მოსული ჩრდილოელი „მფარველი“). ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით. ბაღის გაყოფა ადამიანური ბუნების დაკნინებაზე, გაუკეთურებაზე მიგვანიშნებს. ამასთან ბაღი ებრაელი ხალხის მეტაფორაა ესაიას წინასწარმეტყველებაში (58,11).

„მეგობრად დასახული მოსისხლე მტრის“ მიერ დაწყვეტილი ვარდები, უსივრცო ბაღი, დამსხვრეული ქანდაკებები და ძეგლები, მათ ქვეშ უგონოდ დამარხული გული გვზარავს ლექსში „გული“.

თვალში გვეცემა „გამქრალი საუნჯის“ სევდა (918), „დამსხვრეული დრო“ (სდგას ხეივანი), „დამსხვრეული რწმენის ხომალდი“ (დაიღუპა ის ხომალდი), „დროაფთარი“ (ელეგია).

ნერონის ცეცხლი, ჯვარცმა, რღვევა, ცხედრებია ირგვლივ, თბილისი ქცეულა გილიოტინად და ეშაფოტად (ტფილისი).

მკვდარია ყვავილები, მომაკვდავია ბაღი (შემოდგომის დღე), გაძარცულია ატმის ყვავილი, ნაპრალებზე გადამსხვრეულია ნერგი (ატმის რტოო, დაღალულო რტოო).

დემონთა გუნდის აგუგუნება, ნგრევა ღრუბლების, დალეწილი ცა ამხელს ღმერთისუამყოფელი ეპოქის ავბედით მოვლენებს „ზღვის ეფემერაში“.

„ახლოა დრო მსოფლიო ნგრევის“ (ლენინი), „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით“ (კოსმიური ორკესტრი), „არაერთხელ აგუგუნდება დედამიწაზე კიდევ სამუმი“ (ჩვენ, პოეტები საქართველოსი), გვაფრთხილებდა გალაკტიონი.

„კოშკის“ სახის სხვაგვარი, ჩვენგან განსხვავებული გაგებაა მოცემული სამეცნიერო ლიტერატურაში.

„კოშკი“ საქართველოს სიმბოლოა.

„საქართველოს დაცემა იწინასწარმეტყველა პოეტმა, დაცემა, რომელიც კიდევაც დაიწყო მისსავე ეპოქაში და დღემდე გრძელდება... ჯერ კიდევ საბედისწერო სასწაულის მოლოდინშია ჩვენი ქვეყანა.

„იავარქმნილი კოშკი, იავარქმნილი ტაძარი იავარქმნილი ქვეყნის ალეგორიული სახეა“, – ასკვნის ნანა კუცია (იხ. „უტაძრობის ტრაგედია“, თბ., 1998წ. გვ. 23).

როგორც ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული მაგალითებიდან ვნახეთ, გალაკტიონის პოეზიას არ აკლია დანგრეული სოფლების, ქალაქების, ქვეყნების და თვით მსოფლიოს სახე, მაგრამ არსებითი ისაა, რომ ნგრევა უპირველესად სულისმიერია, გაუკულმართებული სატანური სულის შემოქმედებაა და უმთავრესად ამას აფიქსირებს პოეტი, ამასთან გვიჩვენებს (ნგრევის ფიზიკური სურათებით), რომ თუ დემონის საუფლო სული არ განიკურნა, სიცარიელის, არარაობის საუფლო გახდება ყო-

ველივე არსებული. ესაა გაფრთხილება.

ამასთან,გალაკტიონი კანონიკურ სახეებს თითქმის არ უცვლის შინაარსს, რელიგიური გაგებით მიმართავს მათ, მხოლოდ მხატვრულად ამრავალფეროვნებს, ახალ ელფერს სძენს უკვე არსებულ ტრადიციებს.

რაც შეეხება გალაკტიონის კოსმოფონიას, იგი ქრისტიანულია ბოლომდე, სატანის არსებობის, მაგრამ ღმერთის მარადიულობის და უძლეველობის რწმენითაა გამსჭვალული. ერთი შეხედვით პესიმისტურ ლექსებს, განადგურების ტკივილს ენაცვლება რწმენა განახლებისა, ღმერთისაკენ მიბრუნებისა (მშვიდობის წიგნი), „შორი გაზაფხულის“ (გაზაფხული, ზაფხული საღმრთო სახელებია) იმედი, „გადარჩენის ბედნიერება“. ჭეშმარიტი პოეტის მისიად ესახება ყვავილების (რწმენის) გადარჩენისათვის ზრუნვა, ამ მიზნით ქმნის „ძლევის, ლოდინის სიმღერას“, დარაჯობს მომავლისათვის საიმედოდ გადანახულ რწმენის დროშებს (გადანახული დროშები).

ღმერთის მორწმუნე ადამიანი არ შეიძლება იყოს ობოლი (არ ვარ ობოლი), არსებობს სასწაულის, უმანკო ნათელის, ცაზე ვარსკვლავის აელვარების, ყინულის ლოდის გადნობის, ალვის ხის (საღმრთო სახელია), ასწლოვანთა ხეთა გადარჩენის იმედი, „სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი).

„მხოლოდ გამარჯვებით ბედთან შერიგების“ (არ ღირს იმ ერთ ცრემლად), ბრძოლის, ძიების პათოსი ავსებს გალაკტიონის ლექსებს.

მთავარია რწმენა იმისა, რომ „რაც აირევა და დაირევა, რაც დაინგრევა, კვლავ აშენდება“.

ტკივილთან ერთად, იმედის ხატები ანთია გალაკტიონის სტრიქონებში: „გარდავა ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი, აღმოსავლეთი მოირთვება ცისკრის ალუბლით“ (მახაჯირი), „საუკუნეთა თოვლო, ითოვლე, მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე), „ზამთარო, ასე გულისდამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (მშვიდობის წიგნი).

ეს რწმენა წიგნთა წიგნის სიბრძნითაა ნასაზრდოები.

„გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშიერი მფრინავი გველეშაპი იქნება“ (ესაია, 14, 29).

„უფლის დიდი დღე... იმ დღეს დასჯის უფალი სასტიკი, დიდი და ძლიერი მახვილით ლევიათანს, გველს მოსრიალეს და გველს დაკლაკნილს და მოკლავს გველეშაპს, ზღვაში მყოფს“, წერს წინასწარმეტყველი ესაია (14, 30).

უფლის დიდი დღის, ცოდვილთა განკითხვისა და მართალთა ამაღლების რწმენის გამოხატულებაა პოემა „მშვიდობის წიგნის“ სტრიქონები: „რა დიდი დღეა, რა სამოთხეა ქებული ოდით“.

დანგრეული კოშკების, დაცემული სვეტების რექვიემია გალაკტიონის პოეზია, ამასთან, ისევ უზენაესისკენ მიბრუნების, განწმენდის, წაქცეული სვეტების კვლავ ამართვის უტყუარი განჭვრეტა, რაც ასრულდა კიდეც.

სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში

იგავური, ენიგმური, გამოსაცნობია გალაკტიონის შედევრთა უმეტესობის ჩანაფიქრი და ეს კიდევ უფრო აძლიერებს მის მიმართ ინტერესს.

თაობათა ესთეტიკურ იდეალად დაისახა პოეტების მეფის სათაურიდანვე გამოგნებელი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. მასში ერთად შეიგრძნობა ღრმააზროვანი სათქმელი, განუმეორებელი სახეები, რითმის ჯადოქარი და ისეთი გულწრფელი აღსარება უზენაესის წინაშე, ცრემლის დენამდე რომ შეძრავს მკითხველს. ლირიკული ღაღადისი ავტორისა საყოველთაო მასშტაბებში გახმიანდება და პირადული საკაცობრიო, მარადიულ სატკივარს ეპასუხება...

ლექსის დაწერის თარიღია ათეიზმის, მარქსისტული სოციალ-დემოკრატიის ზეობის პერიოდის 1917 წელი.

ნაწარმოები ღმერთწართმეული დროის შვილის აღსარებაა დედა-ძის წინაშე, მწარე სინამდვილისადმი გამოტანილი მსჯავრი, შეფარული მხილებაა მათი, ვინც ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია, ამასთან, აშკარაა უზენაესის წყურვილი, ღმერთთან ჩატეხილი ხიდის გამთელებაზე ოცნება.

„სილაჟვარდის“ ლირიკული პერსონაჟი ბედისწერას შეჭიდებული შემოქმედია, რომელიც ულმობელმა დრომ ნუგეშის გარეშე, თავისი შენაქმნის ამარა დატოვა.

პოეტის ტკივილიანი მონოლოგი მარიამ ღვთისმშობელს მიემართება, რომელიც სასულიერო პოეზიის კვალობაზე (დემეტრე მეფის საგალობელი: „...მზე ხარ გაბრწყინებული“, 11, 183) მზის სახით ფიგურირებს ლექსში: „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ! როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“ (2, 129).

რაზე ან ვისზე მიგვანიშნებს ვარდი, თანაც სილაში მოქცეული, რატომ არის პოეტის გზა ერთდროულად „სიზმარი“ და „შორეული ცის სილაჟვარდე“?

უპირველესად თვალი გავადევნოთ რელიგიური შინაარსის ვარდ-ყვავილებს ქართულ პოეზიაში.

ტიტე მოსია წერს: „იოანე ზოსიმე წმ. ქალწულს „უხრწნელ ვარდს“ უწოდებს, რითაც ხაზგასმულია მისი ქალწულებრივი სიწმინდე. „ვარდი“ მარიამის სულიერი უმანკოებისა და მშვენიერების გამომხატველია და არა გარეგნული სილამაზისა: „ვარდობაი მარიამისა, სურნელებაი ნარდისაი, ვარდი უხრწნელებისაი, შუენიერება სუნნელთაი“ (პ. ინგოროყვა, თხზ. III, 407) (3, 109).

„საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ყვავილის მშვენიერება ძირითადად ქრისტეს და ღვთისმშობლის სიმბოლო-მეტაფორაში გამჟღავნდა“: „გიხაროდენ, ყვავილო უხრწნელებისაო“ („დაუჯდომელი“), შენ ხარ, უბიწოო, კიდობანი დავითის ხილული და ყუავილი, სოლომონის მოსწავებული“ (ნევმ. ძლისპირი, 839 ძვ. ქართ. სასულიერო პოეზია, 385) „აღმოცენებულმან ყუავილმან ქალწულმან უბიწომან“ (ჭილ-ეტრატის იადგარი, 161). „უძველეს იადგარში“ იგი წოდებულია „ყოლადვე დაუჭკნობელ ყუავილად“ (გვ. 510) (3, 116).

„ქებათა ქებაში“ მშვენიერების სიმბოლოდ ფიგურირებს შროშანი: „მე ყვავილი

ველისაი და შროშანი ღელეთაი“ (ქებ. 2,1) (4,15).

დემეტრე პირველმა (XII ს.) უფლის დედის სიწმინდესა და მშვენიერებას მიუსადაგა შროშანის სახე: „ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი, დედა ქალწული, შუენიერი შროშანი“ (1,183).

გალაკტიონის ლექსის სილაში მოქცეული ვარდი შეიძლება მხოლოდდამხოლოდ მარიამი იყოს, ხოლო მისი მოაზრება სილაში უნდა ნიშნავდეს იმას, რომ როგორც სილაა უნაყოფო ნიადაგი, რომელიც წყალს არ ატარებს და ვერც ვარდს ახარებს, ასეთივე რწმენისთვის უნაყოფოა, არარელიგიურია, მარიამის უგულებელმყოფელია პოეტის ეპოქა. როგორც მრავალგზის ხდება ქართველ პოეტთან, ლექსში მარიამის სიმბოლოდ გვევლინება მზე და ვარდი (სილაში).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება სილამაზესთან, პოეზიასთან დაკავშირებული სოციალური, ფილოსოფიური გაგების, შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას თუ უცხოური ტრადიციების შემოქმედებითი ათვისების მაგალითები, ზამბახები, იასამნები, მიმოზები, უდაბნოს ყვავილები, პოეტური დიდების მაცნე ვარდები, მისტიკური შინაარსის ყვავილები.

მრავალ ლექსში ვარდი და ყვავილი ხან მარიამის, ხანაც ქრისტეს სახეზე მიგვანიშნებს.

ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიაზე მიმანიშნებელი ვარდის სახეებია: ბურუსებს იქით გადაკარგული ყვავილები სიცოცხლის დილის (მიმღერე რამე), მკვდარი ვარდები (ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი), ახალგაზრდობის მიერ გათელილი ვარდები (საღამო), შიშველი, თეთრი ყვავილი (სამრეკლო უდაბნოში), დაცვენილი ვარდები (ალვები თოვლში), ქარისგან გაძარცული ატმის ყვავილები (ატმის ყვავილები), გაყინული ვარდები (სალამი მაისს), თოვლში დაცემული ზამბახები (თოვლი), გადაშენება იათ და ვარდთა (მშვიდობის წიგნი), უცხო ყვავილის მოლოდინი (მე მოვალ), შხამიანი ვარდები (რევოლუციონერის ხსოვნას), თოვლის ვარდები (ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები), ცეცხლის ვარდები (მე არაერთხელ მქონია ფრთები), ზამბახის პრინცესა (ეს იყო 15 წლის წინათ), შავი ყვავილის სამუდამოდ მჭკნარი ფოთოლი (ვინ არის ეს ქალი?), სეტყვით დაღუპული ყვავილები (მიმღერე რამე), თოვლის მადონა, (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა).

ცალკე თემაა პირიმზის, ბაიის სახეები, იის მიხედვით შექმნილი ნეოლოგიზმები: იობა, უიესო, მოაიავებს; იისფერი თოვლი, იისფერი გზა, იისფერი თვალი...

გვხვდება მუდმივი გაზაფხულის დაუჭკნობი ყვავილები (აკაკი წერეთელი), სიკვდილის ხმით „შეფიფქული საამო ვარდეთი“ (40 წლის წინ), ვარდისა და ჭინჭრის მონაცვლეობა, იანვრის თოვლით დამჭკნარი იები (სამრეკლო უდაბნოში), ელვათა ცელით მოცელილი ყვავილები (ცამეტი წლის ხარ), ვარდით მორთული თავის ქალა (ვარდები). უცხო ყვავილის მოლოდინი (მე მოვალ).

გამაოგნებელი სახეა „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“ (პუშკინი პარიზში), „თითქოს ბეჭდებზე დაგეყრება ვარდების ცვარი“ (საღამოვ, ვიცი), „ყვავილები გიიადონა“ (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა).

რაც შეეხება ყოფნის სიზმარეულობის მაუწყებელ სტრიქონებს: „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“ – ეს თემა მთელ მსოფლიოშია ცნობილი და გალაკტიონიც არაერთგზის აღბეჭდავს ამ განცდას (ის ჩამომშორდა როგორც სიზმარი, ის, როგორც

სიზმარი).

ხოლო ლექსის შემდგომი სტრიქონი გვაუწყებს, რომ მისი ცხოვრება, სიზმართან ერთად, არის „შორეული ცის სილაჟვარდე“.

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში საუბარია ორგვარ ცაზე: ხილულსა და უხილავზე, მატერიალურსა და ღმერთების ცაზე (მეცხრე ცაზე).

უზენაესი, არამატერიალური ცის გამოსახატავი ტერმინია „ცანი ცათანი“: „ცანი ცათანი უფლისანი არიან, ხოლო ქუეყანა მოჰსცა ძეთა კაცთასა“ (ფს. 114, 24) (5, 649).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება ათი ცა: მთვარის, მერკურის, ვენერას, მზის, მარსის, იუპიტერის, სატურნის, უძრავ ვარსკვლავთა, ანგელოზთა, უფლისა და ნეტართა სამკვიდრებელი.

განარჩევენ ხილულ ცას მნათობებითურთ და არამატერიალურ, უხილავ, მეტაფიზიკურ, ტრანსცენდენტურ ცას (6,55).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, მიწა და ზეცა შექმნილია, „ცანი ცათანი“ კი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა ღმერთის მიერ, „სულიერ სამყაროს წარმოადგენს“, ის არის ჩვენი ხილული ზეცის მაღლა, „ცანი ცათანი გონიერი ზეცაა“, სადაც გონებას ყველაფრის ერთბაშად შეცნობა ეძლევა და არა ნაწილობრივ, არამედ მთელი თავისი სისრულით, გამოცხადებით“ (7, 382, 384, 386, 388).

ბიბლიაშივე მიჩნეულია, რომ შექმნილი ცა და დედამიწა არ არის მარადი ბუნების, ძველი აღთქმის ესქატოლოგიური შეხედულება გვაუწყებს, რომ არსებულ სოფელს აღსასრული მოელის, რის შემდეგაც იყოს „ცა ახალი და ქვეყანა ახალი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 65, 17) (4, 122).

ცნობილია ცის ასეთი განმარტება. „...რელიგიებში ცას დიდი ადგილი უკავია და ძალიან ხშირად ცა ღმერთთან არის გაიგივებული და გათანასწორებული. რადგანაც ღმერთი ცაშია, ცა ღმრთის სამყოფელია, ამიტომ თვითონ ცა წარმოდგენილია, ვითარცა ღმერთი და მის ნაცვლად ხშირად იხმარება. ყველა რელიგიაში რწმენის სიღრმე და პატივი მორწმუნეს უკარნახებდა, ღმერთის სახელი არ წარმოეთქვათ. ამ ნიადაგზე შექმნილია სხვადასხვა სახელი ღმერთისა – მეუფე, უფალი, ბატონი, უზენაესი, მეუფე ცათა, ცა მწყალობელი და სხვა“ (8, 48, 48).

ახალ აღთქმაში ცა არის ღვთის გამოსახულება, „ვეფხისტყაოსანშიც“ ცა ღვთის მეტაფორად გაიგება (8, 49).

„სასულიერო მწერლობაში „ცა ცათა“ მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაცაა: „მარიამ... ცაო ცათაო,... ხიდო ღმერთისაო“... (უძველესი იადგარი, გვ. 439).

შესიტყვებაში „ცაო ცათაო“ – „ცა“ წმ. მარიამის მეტაფორაა, „ცათა“ კი – ქრისტესი. როდესაც ჰიმნოგრაფი ყოვლადწმინდა დედოფალს მიმართავს: „დედაო ქალწულო, ცაო ცათაო“... ამით მიგვანიშნებს მის არსებაზე, როგორც მაცხოვრის მშობელზე.

ამრიგად, ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს ფიზიკურ-მატერიალური ცა-სამყარო, მისი მკვიდრი მზით, მთვარით, მერკურით, ვენერათი, მარსით, იუპიტერით, სატურნით, უთვალავი ვარსკვლავებით და სულიერ-მეტაფიზიკური ცა-სამყარო (ცათა ცა, ცანი და ცანი ცათანი, ზეცა, მეცხრე ცა), სადაც არის სასუფეველი ღვთისა, ანგელოზებისა და წმინდანთა სულისა, სწორედ ეს სულიერი ცა იქცა ღვთისა და წმინდა მარიამის სიმბოლურ-მეტაფორულ სახელადაც“ (ტიტე მოსია, ცა-ღვთის მეტაფორული სახელი) (9, 41).

„სწორედ მეტაფიზიკურ სამყაროში ანუ მეცხრე ცაში, ბროლის ცაში, ცათა ცაში

ანუ ზეცაში არის სამოთხე, ღვთის სასუფეველი, ანგელოზთა და წმინდანთა სულის სამყოფი სივრცე“ (9, 40).

გალაკტიონის „შორეული ცის სილაჟვარდე“ აშკარად არის ცანი ცათანი, ანუ ღმერთის ცა.

პოეტს იზიდავდა „იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან განიდარულ ნამით“ (გობელენი).

ლაჟვარდი და „იქაური ცა“ იდენტურია.

იზიდავდა ლაჟვარდი ბროლის: „აჰა, გაიხსნა ლაჟვარდი ბროლის“ (ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა).

ლაჟვარდი, თვალი, ნამი საღვთო სახელებია.

მის ლექსებში გვხვდება „წმინდა ცა“, რაც „ცანი ცათანის იდენტურია“: „არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (გრძნობათა ფერფლი) „წმინდა ცაზე“ „წმინდა ნათელს“ (ღმერთს) ეზიარება სული (ავე მარია).

გალაკტიონი ტოვებდა ფილისტერთა მიწას და მისი სული სილაჟვარდეში, ბროლის ცაში, ცის სარკეში ნავარდობდა: „...სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს, როგორც რონინი საოცარი და მისტერია, დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“ (ჩემს გულში).

ნეოლოგიზმებია „მიიბროლოს“, „მიიმინოს“, ისინი ნაწარმოებია ბროლიდან და მინიდან, პირველი ღმერთის ცის, მეორე გონების სიმბოლოა.

გალაკტიონს ევლინებოდა „ზმანება ბროლის“ (ნუგეში).

მისთვის „ლაჟვარდების კიდეზე“ სასურველის ზმანება ვლინდებოდა: „ლაჟვარდების კიდეო, დაბურულო ზმანებით“...

პოეტს აწამებდა პრიმიტივთაგან გაუცხოება, „გაუგებარი გენია“, მისი ტკივილების, სილაჟვარდის, ია-ვარდის, სიყვარულის ცნებაში ჩადებული ჩანაფიქრის შეუცნობლობის სევდა: „გაიგეს განა ბედით ჩაგრული ყოფნით რაგვარად მტკიოდა გული? ის სილაჟვარდე, ის ია-ვარდი, თუნდაც ის დარდი და სიყვარული?“ (მშვიდობის წიგნი) (10, 158).

ყოფნა, ცხოვრება საღვთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14, 6) (5, 211).

სილაჟვარდე, ია-ვარდი, სიყვარული რელიგიური შინაარსის შემცველი სახეცნებებია.

„ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 4,8).

ერთგან სილაჟვარდეც უდაბნოს ემსგავსება: ... „გამოქროლება ზეინაბური და სილაჟვარდე უდაბნოსავით“ (მშვიდობიანი სიმღერა დების), ასევე სამშობლო უდაბნოა (თოვლი, უდაბნო).

„მშვიდობის წიგნში“ არის ასეთი მრავალმნიშვნელოვანი სტრიქონები: „...ველნი... გაფანტავს დარდებს, იმ ია-ვარდებს, იმ სილაჟვარდეს ტვირთად დაგადებს“ (10, 105).

ვფიქრობთ, ველი საინფორმაციო ველია (11, 249-255), სილაჟვარდე უმაღლესი ცა, ნათელმხილველი პოეტის ცნობიერებაში ღვთის ძალით აელვარებული.

„ცა დააშუქა წყნარ სულს“, „შუბლს დაესახა ცისიერება“, „როგორც მრავალი ვარდების მფენი, მას სული ჰქონდა უხვად ციური“ – მრავლისმთქმელი ფრაზებია, პოეტის ცის წილი სულის აქცენტირებაა.

ერთგან იტყვის: „ცა, მარტოობა, სული თავადის“ (ქალაქში) ცაც და თავადიც საღვთო სახელებია.

გალაკტიონის ლირიკული გმირი არის „აღტაცებული ცად განიმედი“. მისი იდეალია „ციურთა თანადი ოცნება“ (ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი) „მძიმე ოცნების ცაზე ატანა“, ანუ ჩანაფიქრის გამარადიულება (ცისფერი).

წარმავლობას, ხსნადობას, ფერფლს გალაკტიონთან უპირისპირდება „ცა და წიგნი“: „საშველი ქვეყნად აღარ ყოფილა – არარსებობად შთანთქმულან რიგნი – უკმაყოფილო და კმაყოფილი. რა დარჩა? ფერფლი, ცა და ეს წიგნი“.

ლექსის ეს „ცა“ „გონიერი ცაა“, იგივე „ცანი ცათანი“, წიგნი კი უფლის მეტაფორული სახელია ესაიას წინასწარმეტყველებიდან.

გალაკტიონის აზრით, რუსთაველის პოეტურ სამყაროს „უკვდავი ცა მიესხურა“ (მესხის გამოხედვა).

პოეტების მეფე ეძებს თავის „უწინდელ, უდიადეს ცას“: „ნიღაბები წითელი, ნიღაბები ათასი, მაგრამ მე მომეჩვენა ჩემი ცა უწინდელი, უფრო უდიადესი“ (დომინო).

ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეების ერთგული პოეტი ამბობს: „ვიპოვეთ ჩვენი დაკარგული ცა და ჩვენი მიწის ამეტყველება“, რითაც მიგვანიშნებს უარყოფილი რწმენისკენ მიბრუნებას, რადგან ცა რელიგიური სიმბოლოა.

გალაკტიონი ჰგავს „ზესთაზეს:“ „...მივქრივარ ცხენით, ვგავარ ზესთაზეს“ (ვაშა შავ ზღვაზე ამომავალ მზეს).

ზესთაზე არის ყველაზე უმაღლესი ცა, უხვი სინათლის მფრქვეველი, ე.ი. მზის ცა (8, 51).

შოთა რუსთაველი ამბობს თინათინზე: „მისი პირი უნათლეა ზესთაზესა“.

გალაკტიონის თქმით, „ვეფხისტყაოსანში“ ისმის ხმები უზესთაოსანი“ „უზესთაოსანი“ ნეოლოგიზმია.

გალაკტიონის ცაზე, მასში ჩადებულ ქვეტექსტებზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი (იხ. ჩვენი „მას შეუძლია ცა გადასაზროს“) (12, 122-135).

მოტანილი მაგალითებიდან აშკარაა, რომ „სილაჟვარდის“ პირველსავე სტროფში პოეტი აფიქსირებს ათეისტური ეპოქის მიერ უარყოფილ რწმენას, ამასთან, ხაზს უსვამს, რომ მისი ცხოვრების გზა განუყრელია შორეული ცის სილაჟვარდის, ანუ ღმერთისგან.

შემდეგ სტროფში „შემოღამებული მთის“ მიუხედავად, გათენებას, ხატებთან დგომას მოელის მომავალში: „შემოიღამებს მთის ნაპრალები, და თუ როგორმე ისევ გათენდა, – ღამენათევი და ნამთვრალევი, დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან“.

მარიამ ღვთისმშობელი, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნების მიხედვით, არის „დავითის მიერ მთად პოხილად“ მოხსენებული, მთა საცნაური“ (13, 43).

„მთა გამოუკვეთელი“ ასევე მიემართება მარიამს (13, 383).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მარიამს ეწოდება „მთა, ლოდის გამომტყორცნელი“ (14, 379)

ეს სახე მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: „ჰხედევდ, ვიდრე არა გამოეკუეთა ლოდი მთისაგან თვნიერ ხელთასა“ (დანიელი, 2, 34). აქ „მთა“ მარიამის სიმბოლოა, „ლოდი“ კი-ძე ღმერთისა (14, 301).

„შემოღამებული მთის“ სახით მიგვანიშნა გალაკტიონმა უარყოფილ მარიამზე, ხოლო გათენების, ხატების სახეებით – რწმენისკენ მიბრუნება იგულისხმა.

ასევე, მომავალში ეიმედება პოეტს სალოცავ კარებთან ყოფნა, სიონში შემოჭრილი „სხივის“ (სხივი საღვთო სახელია) ხილვა, თეთრი ოლარების აელვარება, ანუ ეკლესიისთვის თავისი ფუნქციის დაბრუნება.

როგორც მალარმე, აკაკი წერეთელი, ტერენტი გრანელი, გალაკტიონი არის „გედი დაჭრილი ოცნების ბაღით“, დაღლილი, წამებული.

მის თვალებში აღარ ფეთქავენ „ცვრები, იები“ ღამენათევი და ნამთვრალევი პოეტის არსებაში ცრემლებს, შურისძიების გრძნობას უპოვია ადგილი: „შეხედე, დასტკბი! ჩემი თვალები წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, – ღამენათევი და ნამთვრალევი სავსეა ცრემლთა შურისძიებით!“

ცვარი საღმრთო სახელია.

„ვიქნები ცვარი ისრაელისათვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 14,3) (4,273).

ვახტანგ მეექვსის პოეზიაში არის ასეთი სტრიქონები: „ქალწულებისა ვარდი ხარ, სიწმინდის ბაღსა რგულია, ფერად გაქვს უმანკოება, უბიწოება სულ ია“, (15, 18)

ამ „ქალწულების ვარდს“ და „უბიწო იას“ მარიამ ღვთისმშობლის არსების „პოეტური ფერებით დასურათხატებად“ მიიჩნევს ტიტე მოსია (3, 48).

გალაკტიონის ლექსში ლირიკული პერსონაჟის თვალებში დავანებული ცვარი და ია ქრისტე ღმერთისა და ღვთისმშობლის სახელებია, მათი საშუალებით აქცენტი კეთდება პოეტის მორწმუნეობაზე.

ბრაზნარევი მოლოდინის გრძნობით არის სავსე პოეტის მავედრებელი სული, რომელიც უღმერთობის პერიოდში პეპელასავით მოკვდაობისთვის განწირულია: „დასტკბი! ასე ყველა მგოსნები? შენს მოლოდინში ასეა ყველა? სული, ვედრებით განაოცები, შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც პეპელა“.

ტრაგიზმის საფუძველია „საბედნიერო სულის“ გაუჩინარება, რაც დანტეს ჯოჯოხეთის ასოციაციას ქმნის: „სად არის ჩემთვის სამაგიერო? საბედნიერო სად არის სული? ვით სამოთხიდან ალიგიერი, მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!“

სული უფლის სახელია: „ღმერთი არის სული და მისი თაყვანისცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“ (იოანე 4, 24) (5, 184)

უფალი სულია სახიერი, „ღმერთი სულია ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისგან გამოვალს“ (16, 14, 15).

უღმერთოდ გავლილი გზით ბოლოს სიკვდილის ლანდი ცხადდება. მაგრამ არ იქნება არც „განსასვენებელი ზიარება“ და არც უზენაესის ხსენება, ასეთია ურწმუნო ეპოქაში მცხოვრებ ადამიანთა ხვედრი: „და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე სიკვდილის ლანდი მომეჩვენება, განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!“

ფიზიკური აღსასრულის დროს მხოლოდ „სწრაფი ცხენები“ (ანუ საკუთარი პოეზია, ლურჯა ცხენების სახეში პერსონიფიცირებული) იქნება ტანჯული სულის ნუგეში: „დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით გამაქანებენ სწრაფი ცხენები! ღამენათევი და ნამთვრალევი ჩემს სამარეში ჩავესვენები“.

ლექსის ბოლოს, ისევ დაკარგული რწმენის რექვიემი გაიჟღერებს და ნუგეშად ისევ „შორეული ცის სილაჟვარდესთან“ განუწყვეტელი კავშირი რჩება.

სილაში ვარდი სხვაგანაც ეზმანებოდა პოეტს, რაც ადასტურებს, რომ მისი სევდის მიზეზი, ფიქრის საგანი სწორედ უნაყოფო ვარდი (უარყოფილი რწმენა) იყო და

არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს სახე „ზიანებისა“ და „ყორნების ჩხავილის“ ფონზე გაკრთება: „იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი, თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“ (აღარ არის მენესტრელი).

გალაკტიონმა ჯოჯოხეთად აღიქვა ათეისტური ეპოქა, რამაც შემდეგ თვითმკვლელობით დაასრულებინა სიცოცხლე სერგეი ესენინს, კონსტანტინ ფადეევს, პაოლო იაშვილსა და თვითონ გალაკტიონს.

ულმობელმა დრომ სილაში მოაქცია, ანუ უნაყოფობისთვის გაწირა ვარდი (რწმენა).

შემთხვევითი როდია, რომ გალაკტიონის ლექსებში „ცა ნაჭორფალია, ცა დალეწილია, ზეცა დანგრეულია“, გამქრალია „ფარული ცის სიდიადე“, „უნიჭო ოცნების“ წყალობით ცა „სიშავეში გაყინდა“. „ზეცის ნგრევას“ მოჰყვა „მიწის გადაფერდება“ (მეოცნებე აფრებით).

„როცა მზიანი იყავი ისე, როგორც უწვიმარ რიჟრაჟში ვარდი“, ამბობს ლექსში „ვარდები“, მაგრამ ეს განცდა წარსულს ეკუთვნის.

არსებობს ელიზბარ ჯაველიძის მოგონება, რომ ლექსის დაწერის იმპულსი გახდა პოეტის მიერ პეროვის ეკლესიაში ხილული მეძავი ქალის ცრემლიანი ლოცვა მარიამ ღვთისმშობლის ხატის წინაშე (17, 136).

ამ შთამბეჭდავმა სურათმა პოეტს იმპულსი მისცა, კერძო ფაქტი ადამიანისა და ღმერთის მიმართების სიმაღლეზე განეზოგადებინა, უღმერთო ცხოვრების ჯოჯოხეთად წარმოდგენით რწმენისკენ, უზენაესისკენ სწრაფვის სურვილი გაეღვიძებინა ხალხში. ლექსის მთავარი სათქმელიც ესაა...

ათმარცვლიან ლექსს ხატოვანი მეტაფორული სახეები განსაკუთრებულ მიმზიდველობას სძენს: ნაწვიმარ სილაში ვარდი, შორეული ცის სილაჟვარდე, შემოღამებული მთა, გედი, დაჭრილი ოცნების ბაღით, ცვრებით, იებით მფეთქავი თვალები, საბედნიერო სული, სული, ვედრებით განაოცები.

შთაბეჭდილებას აძლიერებს კონსონანსური რითმა – სილაში ვარდი – სილაჟვარდე.

მართალია, კონსონანსები ცნობილია ხალხურ პოეზიაში (ჯონდო ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსწყობის საკითხები), აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც, მაგრამ ასეთი ჟღერადი, მიგნებული და თაობათა იდეალად ქცეული კონსონანსი ქართულ პოეზიაში უცნობია.

პოეტი, როგორც სხვაგან (ფოთლების ლანდი), აქაც მარტოსულია, გაუცხოებულია ურწმუნო ბრბოსგან, მაგრამ მაინც არ წყვეტს უზენაეს ძალებთან კავშირს და მთელი სიმძაფრით განგვაცდევინებს ღმერთისგან განდგომილი სულის ტრაგედიას, რითაც ზენა სამყაროსკენ სწრაფვის, ღმერთის მოლოდინის გრძნობას აღვიძებს.

გალაკტიონი მთელი ძალისხმევით იღვწოდა ქარისგან ვარდის გადარჩენისათვის (ლოცვისთვის), ქმნიდა „ლოდინის სიმღერას“, წინასწარმეტყველებდა უფლის გზაზე სიარულს და უმღეროდა „გადარჩენის ბედნიერებას“.

ლიტერატურა:

1. ქართული პოეზია, I, თბ. 1981
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
3. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.

4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990.
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
6. რევაზ თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ. 1985.
7. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თარგმანი ვ. ბურკაძის, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985.
8. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957.
9. ტიტე მოსია, ნარკვევები, პორტრეტები და სხვა, ზუგდიდი, 2002.
10. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973.
11. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ. 1996.
12. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ. 1991.
13. პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, თბ. 1913.
14. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბ. 2005.
15. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ. 1975.
16. პეტრე იბერი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), „შრომები“, თბ. 1961.
17. ჟურნალი „მნათობი“, 1978 წ. №12.

თოვლი

გალაკტიონმა თოვლის გამოყენებით შექმნილ სახეებს დაანათლა ფერები, რეალურ თუ ფეერიულ ჭრილში იხილა თოვლი და ყინვა, ზამთარი თუ სიცივე. ენიგმებად ქცეული თოვლისა და ყინულის საშუალებით გაგვიმჟღავნა თავისი სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური ჩანაფიქრი...

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა პოეტმა შექმნა ალექსანდრ ბლოკის „თოვლის ნიღაბისგან“ სავსებით განსხვავებული „თოვლის იმპერია“.

ტრადიციულად თეთრი ფერით ცნობილი ეს ბუნებისეული მოვლენა სრულიად განსხვავებული ფერებით წარმოგვიდგინა: ვარდისფერი თოვლი, შავი თოვლი, იისფერი თოვლი.

თოვლის ვარდების, თოვლის მადონას, თოვლის ქალის, თოვლთა დაფნის მშვენიერებას გვაზიარა.

ლურჯი და დაღალული ფიფქის, თოვლის ფერ-უმარილის, ფიფქით მტრობის, ბნელი თოვის, ირიბი, ალმაცერი თოვლის, მწუხარე თოვლის ხილვებით გაგვაოგნა.

„თეთრად სპეტაკი, მაგრამ მარად შავი გულის“ ღალატი ამხილა, „წარმავალი, არაწმინდა თოვლი“ შენიშნა.

გალაკტიონის ლექსებში მოდის გაზაფხულისმაგვარი ქართული თოვლი, მაისის თოვლი, ჩრდილოური ზამთრის გულის გამყინველი თოვლი, გვზარავს „მათი“ თოვლი, ნისლები, ბურუსები... იანვრის თოვლი აჭკნობს სულის ნაადრევ იებს...

თოვლის, ზვავის, წარღვნისმაგვარი სტიქიების მუქარით „სიცივის მძევლად“ ქცეული, „გულისდამხშობი ზამთრის“, ამბიციური ყინულოვანი მონსტრის სამიზნე სამშობლო გვეცნაურება პოემაში „მშვიდობის წიგნი“.

მრავლისმთქმელია „ივლისისფერი ყინვის თასები“, „აუხდენელთა დღესასწა-

ულთ ლურჯი ყინული“, მაისის ყინვა, გაყინული ცა, გაყინული ქვეყნის გული, გაყინული მხედარი, მღელვარე გაზაფხულზე გაყინული ნაკადული.

„მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული“, აღმოხდება პოეტს, რომელიც „მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად“ იტევდა...

გალაკტიონს ზარავდა „თეთრი ავდარი“, თოვლად სახელდებული სამშობლო, „ირიბი, ალმაცერი თოვლი“, მისი „ელამი მზე“ (ანუ ყინულოვანი ჩრდილოეთის იმპერია), ავდრის მოლოდინი.

პოეტი გაყინული ვარდების, თოვლში წყებად დაწვენილი ზამბახების სახეებით გვიმხელს ძალზე მნიშვნელოვანს...

თავისუფლებადაკარგული ქვეყნის ტკივილებს თოვლად სახელდებულ სამშობლოზე მინიშნებით გვაგრძნობინებს: „რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“ (ოფორტი).

ყინულის იმპერია დაახასიათა ყინულოვანი ქალაქის, ყინულოვანი გარემოცვის, ყინულის ქუჩების, ყინულოვანი კოშკის მოზმანებით. ყინულით გადაკეტილი სამოთხის გზაზე მიგვანიშნა, ამ ჯადოსნური ყინულის საფარის გარღვევა გულის სითბოთი სცადა და გაიჭრა „საოცნებო მხარისკენ“, რასაც ჰქვია ედემი, სამოთხე (ედემი, სამოთხე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელებია) (შეხედეთ, მიწა!).

პოეტს „იანვრის თოვლი“ უჭკნობდა სულის „ნაადრევ იებს“ და სამრეკლოდ ქცეული სული წუხდა უდაბნოში, წუხდა დაფარულ ცოდვებზე, დამალულ ღალატზე, წუხდა შიშველ ყვავილზე, თეთრ ბეჭდებზე... (სამრეკლო უდაბნოში). წუხილის საგნად ქცეულ „შიშველ ყვავილსა“ და „თეთრ ბეჭდებში“ კი დედა-ძის სიმბოლური სახეები გვეცნაურება.

„ავდრის მოლოდინი“, „გულისდამხშობი ზამთარი“ აღაშფოთებდა, „კოსმიურ სიცივეს“ შეიგრძნობდა, „საუკუნეთა თოვლი“ ზარავდა, მაგრამ გამოდარების იმედი ასულდგმულებდა და მეგობრის სახელით მოსულ მტარვალს ნიშნისმოგებით მიმართავდა: „საუკუნეთა თოვლო ითოვლე, მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე).

„ზამთრის“ ძალმომრეობას დროებით მოვლენად აღიქვამდა: „...ზამთარო, ასე გულისდამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (მშვიდობის წიგნი).

გალაკტიონის შემოქმედებაში თოვლით შექმნილი პოეტური იმპერიის შედევრთა შედევრია იმპრესიონისტული ლექსი „თოვლი“.

პოეტის პრინციპი იყო „ასწლად წამიერის“ ხილვა, „წამის გასაუკუნება“, წუთის საშუალებით საუკუნის მოვლენების განჭვრეტა: „ლოდინშიაც წუთს მივყვები და მივყვები საუკუნეს“...

„განათების წამში“, „ცეცხლისტოტება წამში“ სულის თვალი ჭვრეტდა „სხვისთვის უხილავ-ფარულს“.

იმპრესიონიზმს ახასიათებს წარმავალში, წამიერში მარადიულის მოხელთება, ერთი და იგივე საგნის, მოვლენის მრავალგვარ ჭრილში მოაზრება, იდუმალება, სათქმელის ქვეტექსტებით გამჟღავნება.

„თოვლის“ გამჭოლი, მთავარი აქცენტის მატარებელი სახე თოვლია.

ლექსის პირველსავე სტრიქონში თვალშისაცემია „იისფერი თოვლის“ მშვენიერება, ამასთან, თოვლი ასოცირებულია ქალწულთან, ხიდთან, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ეს ორი სახე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

„სასულიერო მწერალთა სახისმეტყველებით, მარიამი დასახულია ხიდად, რომელიც მიწიერ და ციურ სამყაროს ერთმანეთთთან აკავშირებს. ეს არის „ხიდი ღმრთისაი“... დავით გურამიშვილი ღვთის დედას ასე მიმართავს: „ხიდო წიაღმყვანებელო, კიბევ, ცათამდის მწვდომელო“... ეს ხატოვანი გამოთქმა სათავეს იღებს „დაუჯდომელიდან“: „გიხაროდენ, ხიდო წიაღ-მყვანებელო ქუეყანისაო ცად მიმართ“... „ხიდის“ სიმბოლიკას ორმაგი ფუნქცია აკისრია: ხიდი (მარიამი) გაიდო ღმერთიდან ადამიანებისკენ, რათა მაცხოვარი მხსნელად მოსულიყო მათთან. ამ ხიდის მეშვეობით ადამიანები გადავლენ ციურ სასუფეველში“ (1, 123-124).

ქალწული მარიამის სახელად მომდინარეობს ესაიას წინასწარმეტყველებიდან: „აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად იმანუილს (ჩვენთან არს ღმერთი“) (ესაია, 7, 14) (2, 78).

როგორც ვხედავთ, „თოვლის“ პირველ სტროფში ასოცირებულია იისფერი თოვლი, ხიდი, ქალწული.

ლექსის დასაწყისშივე ხაზი ესმება ხიდთან მოაზრებული ქალწულებრივი თოვლის სიყვარულს, რომელიც მწუხარებასთან და მოთმენასთან არის დაკავშირებული: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა, მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის და სიყვარულის ასე მოთმენა“ (3,73-74).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება თოვლად სახელდებული სამშობლო: „რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“...

ხიდთან, ქალწულთან მოაზრებული „იისფერი თოვლი“ მარიამის სახე-სიმბოლოა ისევე, როგორც „თოვლის მადონა“ ლექსში „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა.

„მარიამ ღვთისმშობლის იტალიური სახელია მადონა. მაცხოვრის დედისადმი მიძღვნილი რელიგიური დღესასწაულებიდან ერთ-ერთი არის თოვლის ღვთისმშობლის ლიტურგიკული დღესასწაული, რომელიც 5/18 აგვისტოს ტარდება. არსებობს ასეთი ლეგენდა: მესიის მშობელი ჩამოჰყვა თოვლს იქ, სადაც აგებულია წმ. მარიამის დიდი ტაძარი... თოვლის მადონა წმინდა მარიამია“ (1, 87-88).

დააფიქსირა რა „იისფერი თოვლის“ სიყვარული, რომელსაც მწუხარება და მოთმენა დაჰბედებია, შემდეგ სულის თოვლით ავსებაზე, სიცივის, სიბერის ნეგატიურ განცდებზე გააკეთა პოეტმა აქცენტი, „ლურჯად ნახავერდები უდაბნოს“ უჩვეულო სახე შექმნა: „ძვირფასო! სული მევსება თოვლით: დღეები რბიან და მე ვბერდები! ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ უდაბნო, ლურჯად ნახავერდები!“

სხვაგანაც უდაბნოდ ესახება სამშობლო: „ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა“ (უდაბნო).

უდაბნო რწმენას, სულიერებას მოკლებული ადგილია: „უდაბნო, კლდოვანი ლანდშაფტი განასახიერებს ცოდვილ ყოფას“ (4, 211).

„თოვლის“ ლირიკული გმირის „მოძმე“ თოვლიანი იანვარია და ამ ყიამეთში თოვლივით თეთრი ხელების სახებას შეაქვს ნათელი სხივი: „ოჰ, ასეთია ჩემი ცხოვრება: იანვარს მოძმედ არ ვეძნელები, მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება შენი თოვლივით მკრთალი ხელები“.

გალაკტიონს ახასიათებს დეტალებით მთელზე, არსებითზე აქცენტირება. ამჯერად ხელით ხდება მარიამზე მინიშნება, ეს ხელი კი უღონოდ დახრილია თოვლთა დაფნაში, იქვე, უდაბნოში იელვებს უმთავრეს სათქმელზე მიმანიშნებელი მანდილი: „ძვირფასო! ვხედავ, ვხედავ შენს ხელებს, უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.

იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს შენი მანდილი ამ უდაბნოში“...

ხელებით ხდება მადონას (მარიამის) წარმოჩენა ლექსში „ჩვენი დღის ამბებს“: „გწყურია, ოდეს სანთლები ელავს, წაიღო სულით აურზაური, ბაგით შეეხო მადონას ხელებს და იგრძნო სუნთქვა არაქაური“.

„თოვლის“ ურწმუნოთა გატიალებულ სივრცეში სულის თვალი „ძვირფასი“ არსების ხელებს და მანდილს დალანდავს...

ორივეგან დეტალებით ხდება არსებითზე, მნიშვნელოვანზე მინიშნება.

მანდილი გალაკტიონის შემოქმედების ერთ-ერთი ძალზე გამორჩეული სახე-სიმბოლოა, რომელიც მრავალმნიშვნელოვანია და სხვადასხვაგვარ კონტექსტებში გვხვდება.

სატრფოს „ლაჟვარდოვანი მანდილია“ ლექსში „ქარი მოგონებათა“. ერთგან „შავი ლეჩაქით“ იქმნება ტრაგიკული განწყობა (ალაზანთან).

ვეფხის ტყავებით დაფარული მანდილია ლექსში „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“.

„ქრელ-ქრელი მანდილ საკაბეა“ „მივარდნილ აივანში“.

ქართლის „საბურველზე და თავხურვაზეა“ აქცენტი ლექსში „მაღალ მთიდან“.

სხვაგან „მთების ლეჩაქია“ აქცენტრებელი (ჩვენ გავიარეთ).

ლექსში „არ მენატრება“ შექმნილია „ოცნების მანდილის“ სახე.

პოეზიის მანდილისა და გრიგალის დაპირისპირებას გვაუწყებს „დღეს დღეები ეცლება“.

ლექსში „გემი დალანდი“ „მთვარეულ ზამბახებში შეფარებული ლურჯი მანდილი“ პოეტური დაფნის მშვენებაა: „ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი, ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული“.

სოსო სიგუა წერს: „ლურჯი მანდილი სატრფოს ემბლემაა, როგორც გვამცნობს სხვა ლექსებიც: „თოვლი“ და „ქარი მოგონებათა“ (5,259).

ლექსში „ვოილეს“ ქარში ჩამქრალი შანდლის, საიდუმლო ალების, ლურჯი მწვერვალების ფონზე მოაზრებული „მანდილის თებერვალები“ იქცევს ყურადღებას: „ქრება ქარში შანდალი (ოცნება შარშანდელი) და თამაშში მანდილის ქრიან თებერვალები! საიდუმლო ალები! ისევ დამევალება უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები!“

ბრბოშიც „მსუბუქ მანდილით“ ცხადდება პოეტი, თუმცა გრძნობს თავის გაუცხოებას პრიმიტივთაგან: „პოეტი... ბრბოში, სულ ერთია, ვიქნები ზრდილი, მსუბუქ მანდილით ზედმეტი, უცხო, უნაყოფო და განდევნილი ფოთლების ლანდი“ (ფოთლების ლანდი).

მანდილით ვაჟა-ფშაველას შემოქმედება იქცევს ყურადღებას (პოემები: „მანდილი“, „ბახტრიონი“, ლექსები: „ზამთარი მთაში“, „მთათ ძილი“, „გაზაფხული“, „დ-კ-სმ“).

ბიბლიაში ღმერთი მის დამვიწყებელთ შესამოსელის წართმევით, თავსაკრავების, პირბადეების, მანდილის, თავსაბურველის ახდით ემუქრება: „რაკი გამედიდურდნენ სიონის ასულნი..., იმ დღეს აართმევს მათ მეუფე... თავსაბურავებს... პირბადეებს, ძვირფას შესამოსელს, მანდილებს“... (ესაია წინასწარმეტყველი, 3,16,18,19,22) (2,11,76).

გალაკტიონი გამუდმებით ამრავალფეროვნებდა წინარე ტრადიციებს. „ოცნების კვართი, მშვენიერების ჩადრი, მშვენების რიდე, სიტყვის ძაძა“ გვაგრძნობინებს

პოეტის ორიგინალობას, ასევე, ნეოლოგიზმები: „გამოკვართული, მოიჩადრება, გალეჩაქდება“.

„მანდილი“ მთელი ცხოვრება აფორიაქებდა პოეტს და ამ სახეს უმეტესად პოეზიის ან რელიგიის ჭრილში მოიაზრებდა.

ლექსში „დღეს მაისი“ საუბარია გოლგოთაზე (ქრისტეს წამების ადგილი), გალილეაზე (ამაღლების შემდეგ მოწაფეებთან შეხვედრის ადგილი). პოეტს თავისი გადიადების ადგილად ესახება მთაწმინდა. მისთვის ისევ ძვირფასი და გაუხუნარია მანდილი და მზად არის, იესოსავით შესვას შხამიანი სასმისი, რადგან იცის, რომ დიდება და უკვდავება ყოველთვის მსხვერპლის გაღების საფასურად მიიწვდომება: „დღეს მაისი ფერში ნაირნაირშია, თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე ბებერი. მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა, მე კი ჩვენი დამიფარავს მთაწმინდა. მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა, შხამსაც შევსვამ შენგან მოწვდილ თასითა“ (დღეს მაისი)

„მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა“...

როგორც ვხედავთ, მანდილის ერთგულ რაინდად გვეცხადება პოეტების მეფე და, ვფიქრობთ, ეს მანდილი უეჭველად არის ღვთისმშობლის ემბლემაა.

ლექსში „თბილისი“ პოეტს არ ტოვებდა „ღვთისმშობლის ცქერა, სავსე ქართული პატიოსნებით“.

მესიანისტური იდეის მიხედვით, საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა და ბუნებრივია პოეტის ასეთი უცვლელი, მარადიული სიყვარული უფლის დედისადმი.

შემთხვევითი როდია საქრისტიანოსთვის მლოცველი ჩვენი ზეციური დედის ხილვა და მორწმუნეთათვის მზეზე უბრწყინვალესი თავსაბურავის (მანდილის) გადაფარება.

რუსეთში არსებობს ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული, რაც შემდეგნაირად არის ახსნილი.

„X საუკუნის შუა წლებში, კვირა დღეს, ახალი სტილით 14 ოქტომბერს, ანდრია სალოსი ღამისთევის ლოცვებს ესწრებოდა კონსტანტინეპოლის ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც ყოვლადწმინდა ქალწულის სამოსელი, თავსაბურავი და სარტყელის ნაწილი ინახებოდა. ღამის ოთხ საათზე მან თვალები ზეცად აღაპყრო და ღვთაებრივი შუქით გაცისკროვნებული ღვთისმშობელი იხილა ანგელოზთა და წმინდათა დასის თანხლებით. ყოვლადწმინდა დედოფალს კრძალვით მოაბრძანებდნენ იოანე ნათლსმცემელი და იოანე ღვთისმეტყველი. მარადის ქალწულმა მუხლი მოიყარა და დიდხანს ავედრებდა ცრემლით უფალს საქრისტიანოს, მერე ტრაპეზთან მივიდა და ლოცვა განაგრძო. ბოლოს თავსაბურავი მოიხსნა და ტაძარში შეკრებილ მლოცველებს გადააფარა. უბიწო ქალწული ღვთაებრივი დიდებით ბრწყინავდა, ხოლო თავსაბურავი მის ხელზე მზეზე უბრწყინვალესად ელვარებდა. ათრთოლებულმა ანდრიამ გვერდით მდგომ მოწაფეს, სახელად ეპიფანეს, ჰკითხა: „ხედავ, ძმაო, მთელი სამყაროსთვის მლოცველ დედოფალს და უფალს?“ „ვხედავ, ძმაო და ვძრწი“, უპასუხა ეპიფანემ. ისინი დიდხანს შესცქეროდნენ საკვირველ სანახაობას.

„არის ვარაუდი, რომ ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული რუსეთში დაწესდა, სხვების აზრით კი – საბერძნეთში. ამ ვარაუდის თანახმად, საბერძნეთის ეკლესიას XII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა დაეწყო მისი აღნიშნვა და სწორედ აქედან შევიდა რუსეთშიც. დროთა განმავლობაში ბერძნებს ეს დღესასწაული მიუ-

ვიწყებიათ, დაკარგულა საღვთისმშობლო წიგნებიც, სადაც იგი იხსენებოდა. დღეისათვის შემორჩენილი უძველესი წყაროები, სადაც ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულია ნახსენები, რუსულია და XIIIს. II ნახევრით თარიღდება“ (6,8).

ასე იქცა მანდილი, საფარველი მარიამ ღვთიმსშობლის ემბლემად (7, 78-83).

ჩვენსავით აქვს გაგებული მანდილის სახე ნანა კუციას. მისთვის, სრულიად ლოგიკურად, ამოსავალი მარიამ ღვთისმშობლის ლოცვებია.

„მანდილიც (საფარველიც) ღვთისმშობლის ატრიბუტია. „ნუ განმაშორებ საფარველსა შენსა“, – ვევედრებით წმინდა მარიამს (ყოველდღიური ლოცვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ, რათა ვიხილოთ სულისა და ხორცის განყოფის ჟამს).

„ღვთისმშობლის დაუჯდომელში,“ მეექვსე იკოსში, კონსტატირებულია: „გიხაროდენ, სოფლისა საფარველო, უვრცესო ღრუბელთაო“ (2)... (8, 27).

„თოვლში“ ერთდროულად არის რეალური და მისტიკური პლანი ისე, როგორც მის მრავალ შედევრში („ალვები თოვლში“, „სილაჟვარდე“, „გობელენი“, „ის“).

ცხოვრება, სამშობლო რეალურად უდაბნოა, თოვლისა და ზამთრის (სულიერი სიცივის) სამეფოა. სატრფოს „თოვლივით მკრთალი ხელები“ „თოვლთა დაფნაშია“ უღონოდ დახრილი, მის ხმაში „ფარული დარდია“, წარსულს ეკუთვნის „მშვიდი დღეების თეთრი ბროლება“, სასურველთან ერთად ქარში ქროლა. თოვლივით თეთრია სიცივისმომგვრელი ტყეები, მაგრამ სულში, ოცნებაში, მისტიკურ პლანში არის საყვარელი თოვლი, ქალწულისდარი „იისფერი თოვლი“, უდაბნოში გაელვებული მანდილი.

ვფიქრობთ, ქალწულიც, ხიდიც და „იისფერი თოვლიც“ მარიამის სახე-ხატებია,განუშორებელი პოეტისგან, მაგრამ მწუხარების აღმძვრელია რეალობა, „ზამბახების წყებად დაწყენა“: „ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა, მწუხარე გრძნობა ქროლვის, მიმოვლის და ზამბახების წყებად დაწვენა“.

ჩვენის აზრით, ზამბახი, ზამბახის პრინცესა, ზამბახის თასი, ზამბახის კალათი, ზამბახების ფიალა მარიამ ღვთისმშობლის პარადიგმებია (იხ. „ზამბახის პრინცესა“).

თოვლში წყებად დაწყენილი ზამბახების პარალელურად გალაკტიონის ლექსებში გვხვდება გაყინული, გარდაცვლილი, გათელილი, ბურუსებს იქით გაუჩინარებული, ქარისაგან გაძარცული, სილაში მოქცეული ვარდები. ვფიქრობთ, ეს სახეები ხან ქრისტეზე, ხან მარიამზე მიმანიშნებელია და ათეისტურ ეპოქაში დედა-ძის იგნორირებას უკეთებს აქცენტს.

თოვლში წყებად დაწვენილ ზამბახებში ურწმუნოთაგან უარყოფილი მარიამი უნდა ვიგულისხმოთ.

ლექსში შემდეგ წარსულზე კეთდება აქცენტი, რომელიც სავსე იყო თოვლის სიყვარულით, იდუმალი არსების ხმაში დაფარული დარდით, ქარში ქროლვით, „მშვიდი დღეების თეთრი ბროლებით“... მარტოობის გზით... „არის გზა, არის ნელი თამაში... და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო! მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა! მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ მშვიდი დღეების თეთრი ბროლება, მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში და თმების ქარით გამოქროლება“...

გზა საღმრთო სახელია: „მე ვარ გზა ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (9, 211).

ღვთის გზაზე მარტოა პოეტი და ეს გზა სულის სიდიადის გზაა...

პოეტის სიყვარულის საგანია „მშვიდი დღეების თეთრი ბროლება“. „ბროლება“ ნეოლოგიზმია.

გალაკტიონს უყვარს „ბროლის რიტმი, მუსიკა“ (ჭინკასთან საუბარი) „სიცოცხლის ბროლი“, „... ლაჟვარდი ბროლის“ (ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა). „ბროლის ცა“ ღმერთების სავანეა.

დღეც საღმრთო სახელია (10, 122).

„მშვიდი დღეების თეთრი ბროლება“, ვფიქრობთ, ორიგინალური სახეა ღვთისა.

მისტიკურთან ერთად რეალური ცხოვრების თანამგზავრის მოაზრებას ჰგავს იდუმალი არსების თანხლებით ქროლვა ქარში, მძაფრი სიყვარულის წყურვილი, „თეთრი ტყეების“ გარემოში სვლა მარტო და ისევ თოვლის საშუალებით დახასიათება გარემოსი.

ლექსის ფინალში ისევ თოვლია განცდების წარმმართველი, „დღის ხარება“ „ლურჯი და დაღალული ფიქრით“ ათოვს პოეტს და ისევ ზამთრისა და ქარისაგან გადარჩენის ნატვრით მთავრდება ლექსი: „თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი და დაღალული ფიფქით დამთოვა. როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი! როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!“

ორიგინალური, თოვლიანი დღის ხარებაში მოვლენილი „ლურჯი და დაღალული ფიფქი“ ლექსის დასაწყისში გაელვებულ „იისფერი თოვლის“ მშვენიერებას ეხმიანება, ამრავალფეროვნებს ამ განუმეორებელ სახეს ახალი ელფერით და მნიშვნელობითაც მისი იდენტურია.

ლიტერატურა

1. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნიII, თბ. 1990
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბ. 1988.
4. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991.
5. სოსო სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ. 2002.
6. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 10-16 ოქტომბერი, 2005, ¹41/580.
7. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკის ერთი ასპექტი, სოხუმის უნივერსიტეტის მაცნე, 2007, ¹1
8. ნანა კუცია, „თოვლის“ ზოგიერთი პარადიგმები, ჟურნალი კულტურათაშორისო კომუნიკაციები, თბ. 2008, ¹5.
9. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
10. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.

შეხედეთ, მიწა!

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში რელიგიური, ეროვნულ-პოლიტიკური შინაარსის მატარებელი სახეებია ზამთარი, ავდარი, უამინდობა, სიცივე, თოვლი, ყინული. მის ლექსებში იყინება გული, ცა, მთა, თასი, ნაკადული, წყარო. იყინება მხედარი, ყინავს მაისში, გაზაფხულზე.

გაზაფხულს უდროოდ ცვლის „ზამთრის ძონძები“, ყინვა, „შიში შორევი“ (წამი წამს ეზიდება) (1,274).

მოდის „გვიანი ზამთარი“, „გაზაფხულის მზიანი ჩრდილი“ გაუჩინარებულა, „ყვავილოვანი სიყმაწვილის“, ქნარის მომწამვლელი გველია ირგვლივ, არსადაა „ყვავილები, რწმენა“, ზეცის ქვითინს უერთდება პოეტის ქნარის ქვითინი, ცაზე არა მზე, არამედ „მოღუშული ღრუბელთა ჯარი“ ჩანს (ელეგია) (1,33). ასე შთამბეჭდავად გვიცნობიერებს პოეტი უღმერთობის, „გაზაფხულის“ დაკარგვის საშინელებას, რადგან გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნი, 65,12) (2,588).

„ზამთრის დღეებში“ თარეშობს სული ბოროტი, „დიდი, კოსმიური სიცივე“, თოშავს სულს (ზამთრის დღეები).

ზამთარს მოსდევს „იუდას სახე, კაენის ლანდი და ღამეების შავი გუგუნი“ (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები) (1,38).

ქარიანი ზამთრის მწუხარებაა ირგვლივ, არც ყვავილია სულში, არც მზე (ყვავილი და მზე ღმერთის მეტაფორებია), ლექსის ლირიკული გმირი ამაოდ ოცნებობს ცეცხლით (რწმენით) აანთოს ბნელი ნაპირი, „წმინდა ტაძრები, სიონები, სვეტიცხოვლები“, გამქრალა „მკურნალი იმედები“, მხოლოდ დემონების დავიწყების ნატვრაა ნუგეში (შენს სიყმაწვილეს) (1,180).

მაისში, აგვისტოში მოდის „არაწმინდა, სამსალით სავსე თოვლი“, გაზაფხულზე თოვლით იმოსება ნაძვი, იყინება ნაკადული (თეთრ თოვლის ქვეშ), „ივლისისფერი ყინვის თასებია“ სახეზე (ალვები თოვლში), იანვრის თოვლი აჭკნობს სულში ნაადრევ იებს (სამრეკლო უდაბნოში), „სიცივის მძევალია“ ხალხი (მშვიდობის წიგნი), „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინულია“ სულში, „საუკუნეთა თოვლი“ გამხდარა ერის ბედისწერა (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე), „ფიფქით მტრობა“ მოაქვს ზამთრის სამეფოს (დომინო).

ქვეყნის უბედურებად ქცეულა გაყინული ზღვა, გემის წინ აღმართული „ყინულთ კედლები“, ყინულის „შეუბრალებელი და ურყეველი ბარიერები“, რომელიც მომავლის გზას კეტავს: „გემის ბაქანზე ვიდექ მარტო. მინასებრ მწვანე ყინულთ კედლები აწვებოდნენ გემს მაღალ მხრებით. შეუბრალებელ და ურყეველ ბარიერებით გადაიკეტა მომავალის გზა მოტორტმანე“ (შეხედეთ, მიწა!) (3, 232-233).

სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, ცხოვრება არის ზღვა, ხოლო მისი გადალახვის საშუალებაა გემი, ძელი, ჯვარი (4,519).

გალაკტიონის ლექსის ყინულის კედლებით გადაკეტილი გემის (ანუ ეკლესიის) ქარაგმა შეიძლება გავიგოთ, როგორც ათეისტური ეპოქის მიერ უარყოფილი რწმენა, ხოლო ღმერთისმგობელ ეპოქას არა აქვს მომავალი, მისი ადგილი არ იქნება „ცოცხალთა ქვეყანაში“.

„მომავლის გზა“ შეიძლება გავიგოთ, როგორც ღმერთის სახელი, რადგან სახარების მიხედვით, ქრისტე ღმერთი არის „გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (2,211).

„ყინულოვანი ქალაქის“ „მშვენებაა“ ყინულის სასახლეები, ყინულის მთები, ყინულის კოშკები: „იდგნენ ყინულის სასახლეთა მუნჯნი გროვანი, ყინულის მთები და კოშკები მაღალ თაღებით. რაც იყო თვალით სანახავი, ხელშესახები, ისახებოდა,

ვით ქალაქი ყინულოვანი“.

გალაკტიონის პოეზიაში მრავალნაირი სასახლე გვხვდება: რწმენის სასახლე, პოეზიის სასახლე, გრძნეული სასახლე, სასახლე ახალ ახალი, „სახლი-საუნჯე“.

კოშკი ღმერთის სიმბოლოა: „... ღმერთო, ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი“ (ფსალმუნი, 61, 4) (2,584).

მთა არის მარიამ ღვთისმშობლის სახელი დანიელის წინასწარმეტყველებიდან (2,35) (5,247).

ღვთისმშობლის წოდებაა „წმინდა ქალაქი“ (ნეტარი ავგუსტინე) (4,390), „დიდი მეუფის სულიერი ქალაქი“ (6,837), „სიტყუათა დედაქალაქი“ (იამბიკო) (7,516).

გალაკტიონის პოეზია მდიდარია ჩვენი ზეციური დედის ორიგინალური ნიუანსებით გამრავალფეროვნებული, ახლებური ეპითეტებით მოაზრებული კანონიკური სახეებით (და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა) (8,182-1931).

მარიამ ღვთისმშობლის, როგორც სულიერი ქალაქის მეტაფორა გვხვდება ლექსში „უეცარი ქალაქი“ (3,388). პოეტი ოცნებობდა დავიწყებული, უგულებელყოფილი „უეცარი ქალაქის,“ ანუ რწმენის აღდგენაზე.

განსახილველი ლექსის ყინულის მთა, ყინულოვანი ქალაქი, ყინულის კოშკი მიგვანიშნებს ურწმუნო ეპოქაში დედა-ძის უარყოფაზე, რადგან მთა, ქალაქი ჩვენი ზეციურ დედის, კოშკი კი ძე ღმერთის მეტაფორაა.

ლექსში ხდება სასწაული: სავსე მთვარის ფონზე, „ცივზე ცივი ნათელის“ „საოცარ წამში“ გემის მაღალ ანძასთან პოეტმა თავისი „სიცოცხლის გენია“ დალანდა დროშით ხელში... ხოლო პოეტის გულის გრძნეული ძალით „დამაყრუებელ ხმაურობით დაიწყო ნგრევა, რაც კი ყინულთა გარემოცვა იყო გარშემო“.

მიწისძვრის დარი ძალით „დაყირავდა, როგორც ღრუბელი და გაიფანტა ის ქალაქი ყინულოვანი! ის ციხეები და კოშკები ჩაიმსხვრნენ მაშინ. უზარმაზარი ლილის მთები ჩემს თვალთა წინა განიფშვნებოდნენ ისე, როგორც მსუბუქი მინა და მწვანე ნათლის ელვარებით წვდებოდნენ ზღვაში“.

ყინულისაგან თავისუფალი საჭე ლექსის გმირს მიჰყავს „მხარისკენ, რომელს საოცნებო ჰქვია ედემი“.

ედემი, სამოთხე მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

„დაუჯდომლის“ მიხედვით მარიამი არის „სამოთხისა ბჭეთა გამღებელი“ (9,10).

გამოჩნდება მიწა, სამშობლო, სადაც მკვიდრობს „სიყვარული“, „სიცოცხლის ქნარი“, ზღვის ნაპირები ასწლოვანი ხეებით: „შეხედეთ, მიწა! სიყვარულის გრძნობებით მკვიდრით ჩვენ გვეგებება აქ გულწრფელი სიცოცხლის ქნარით ჩვენი ბრწყინვალე, ჩვენი ვრცელი სამშობლო მხარე, ზღვის ნაპირები ასწლოვანთა ხეთა სიმდიდრით!“

სიყვარული საღმრთო სახელია: „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8) (2,320).

„სიცოცხლის ქნარი“ მარიამ ღვთისმშობლის ქარაგმაა, რადგან „დაუჯდომლის მიხედვით, ქრისტეს დედას ეწოდება „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარი“ (9,10).

ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“ (3,131) მარიამი პოეტის მიერ მოიხსენება, როგორც „მგლოვიარეთა ქნარი“.

სიხარულით აღმვსებია „მთების ძმობა“, „მათი გარდაქმნა და ახლად სრულყოფა და სიდიადე, მაღლა, ცამდის შეკიდებული!“

სმენას ატკბობს „უსაყვარლეს მდინარეთ ხმაური“, „სურნელებათ სხვადასხვათ ზვავი“, ზღვის ნაპირების ნიავი.

ვფიქრობთ, ყინულის დადნობა, გემის სვლა „საოცნებო ედემისკენ“ სიყვარულის გრძნობით ნიშნავს რწმენის გზით სვლას.

ლექსის ბოლო სტრიქონებში „ყინულთ ჟრიამულს და ქარის სტვენის“ ცვლის მომავლის იმედი, დიდი რწმენის ყოვლისშემძლეობის განდიდება, რომ ნიჭით, გულის სითბოთი შესაძლებელი გახდა უღმერთობის ყინულის დადნობა, ცხოვრების სასიკეთოდ ცვლა, „მშვენიერ დღეთა“ შესაფერი „ენის“ მომადლება ეპოქის არსის სრულყოფილად გამოხატვისთვის: „სადღაა ყინულთ ჟრიამული და ქარის სტვენა? ო, მომავალის, დიდი რწმენის კარგო ბუნება... შენ შეგიძლია დღეთა ჩვენთა შემობრუნება, მშვენიერ დღეთა შეგიძლია მომმადლო ენა!“ (შეხედეთ,მიწა!) (3,232-233).

ადრე პოეტის „მიუღწეველი ნაპირები“ იმოსებოდა „თოვლით და ყინვით“ (ჩემს გულში დაჰქრის).

„იანვრის თოვლი“ იყო „მოძმე“ (სამრეკლო უდაბნოში) (10,42).

აწამებდა „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული“ (ჩემს გულში დაჰქრის) (3,801).

თან სდევდა სხვისი ქვეყნის ყინულის სიცივე: „...ჩვენ თან წამოგვყვა მისი ყინული“ (ეს ლექსი) (1,236).

პოეტს ძილს უფრთხობდა იმპერიული მონსტრის „ოკეანე, შორი ყინული“: „...მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული, მათი სიმშვიდე, მათი ვრცელი აურზაური“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები) (1,200).

გარდასული გაზაფხულის სევდა, ყინვიანი სამეფოს „შორევი შიშია“ ლექსში „წამი წამს ეზიდება“: „...ჰყინავს. ისევ ღამეა. მოდის შიში შორევი. რა ამაოდ ირევა წუთისოფლის მორევი“ (1,399).

ნეგატიურ ემოციებს აღძრავდა „გამყინვებელ მკვლელ თვალთა ცქერა“ (დაღლილ წამწამთ ქვეშ) „ყრუდ, უალერსოდ ყინვათა მფენი თვალები“ (იბრძოდნენ შურნი) (3,79).

„ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული“, ამბობდა ეჭვისა და იმედის ზღვარზე მყოფი, ზამთრის სამეფოს „ყინვა-ქარბუქში“, მცხოვრები პოეტი (მე დავიბადე განთიადისას) (1,131).

ბოლოს კი მაინც დაიძლია დაუძლეველი. ახდა პოეტის იმედი, რომ „ადრიანი გაზაფხულის“, „კეთილი გაზაფხულის“ „კარგი ხარება“ გაადნობდა ყინულის ლოდებს...

ყინულის დნობის უნარით მომადლებული ღმერთია: „წარმოგზავნის თოვლს მატყლივით, თრთვილს ფერფლით მიმოფანტავს, გადმოუშვებს სეტყვას პურის ნატეხივით. მის სუსხს ვინ დაუდგება წინ? მოავლენს თავის სეტყვას და დაადნობს მათ, დაუბერავს თავის ქარს და გადმოდინდება წყალი“ (ფსალმუნი, 145,5,6,7) (2,681).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავტეხავ ქარიშხალს ჩემი რისხვით, თავსხმა წამოვა ჩემი წყრომით და ყინულის ქვები ჩემი გაცეცხლებით გასანადგურდება“.

„უთხარით მლესავთ, ჩამოწვება-თქო თქვენი კედელი, წამოვა თავსხმა და თქვენ, ყინულს ქვემო, ჩამოცვივდებით და ქარიშხალი ამოვარდება“ (ეზეკიელი, 13,11,13) (5,203).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე ორ წიგნად, ტ. I, თბ. 1988
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
4. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
6. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1982
7. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1961
8. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009
9. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009, №12
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 2014

ალვები თოვლში

იდუმალება, სიმბოლურ-იგავური სახეებით აზროვნება გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი მთავარი ესთეტიკური პრინციპია. ამასთან, მისი მეტაფორები უმეტესად ურთულესი მსოფლმხედველობის გასაღებია.

აზროვნების ასეთ წესს ერთგულებს პოეტი ხშირ შემთხვევაში და ხილულის საშუალებით მიჰყავს მკითხველი უხილავამდე, საგნობრივით მიგვანიშნებს მიღმურზე, მიწიდან ავყავართ ზეცამდე. „სივრცეთა გრადაციებს“ მისჩერებია მისი უტყუარი მზერა.

ამჯერად გვაინტერესებს გალაკტიონის „ალვები თოვლში“ და მისი ენიგმური სახეები. მივმართოთ ნაწარმოების ტექსტს:„დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით! სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს, ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები. მოკრიალებულ ჰაერში ოდეს გულცივად ბრწყინავს ფარჩა ნათელი, ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი! მკრთალი ვარდები დასცვივა ხელებს, ჩამოიშლება შუქი-პირბადე და უცნობ ღამის შორ საკურთხეველს უნდა ვუხმობდე განთიადამდე. დგას გაყინულთა ოცნებათ კრება: მთა თეთრი, როგორც მაღალი რაში... და უჩვევ ნათელს ეალერსება ჩვეულ სიცივის მძინარებაში“.

ამ ლექსს შეეხო თავის სადოქტორო დისერტაციაში თეიმურაზ დოიაშვილი და სწორად შენიშნა, რომ მასში დაპირისპირებულია „უჩვეულო ნათელი“ და „ჩვეული სიცივე“. გამოყო „ივლისისფერი ყინვის თასები“ და მუსიკალობის პრინციპით შექმნილი უწოდა.

თეიმურაზ დოიაშვილის აზრით, ნაწარმოებში განხორციელებულია სიმბოლისტური დევიზი: „რეალურიდან ზერეალურისკენ“. ლექსში მოცემულია დუალისტური კონცეფცია – ემპირიული სინამდვილე („ჩვეული სიცივე“) და ირეალური ქვეყანა („უჩვევი ნათელი“). დუალიზმის დაძლევა ხდება ობიექტური სინამდვილის გარდაქმნით პოეტის სუბიექტურ ხილვებში – „ჩვეული სიცივიდან უჩვევი ნათელისკენ“.

„ლექსში საგანთა ემპირიული ასახვა ადგილს უთმობს მეტაფიზიკურად გარ-

დაქმნილ პოეტურ ხილვას, „სხვა რეალობას“. ხორციელდება ის, რის გამოც ა. ბელი წერდა: „სახე, როგორც ცნობიერების განსაზღვრული შინაარსის მოდელი, არის სიმბოლო. განცდათა სიმბოლიზაციის მეთოდი სახეების მეშვეობით არის სიმბოლიზმი“ (ა.ბელი, „არაბესკები“, 1911წ. გვ. 254), აცხადებს მეცნიერი.

ფრაზა „ივლისისფერი ყინვის თასებით“ ახსნილია შეუცნობის, ირაციონალურის გამოხატვის სურვილით, რამაც სიმბოლიზმი მუსიკასთან მიიყვანა. ხაზგასმულია „მინიშნების პოეტიკა“ („დღიურ პროზიდან“).

თეიმურაზ დოიაშვილის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატიდან „გალაკტიონ ტაბიძის სახეობრივი აზროვნება“, თბ. 1995წ.)

სიმბოლურია ლექსის სათაურის „ალვები“, რომელიც თოვლის თანხლებით არის წარმოდგენილი.

სიმბოლური ხის მრავალნაირი ვარიაცია გვხვდება გალაკტიონის ლექსებში: არსებობის ხე, ბოროტების ხე, უსახელო და გაცამტვერებული ხე, ცეცხლწაკიდებული ფანტასტიური ხე, ახალ ცხოვრების ხე და ხეხილი, მარადი ხე, ცნობადის ნერგი, ხის წვეთი, სიცოცხლის ხე, სიმართლის ხე, ყველა ხე, „თალხის“, ცრემლის ხე, სულიერი ვენახი.

ამ ტიპის სახეებია: ზენიტზე მდგარი შორი პალმები, მზეთუნახავი და მკრთალი სახის ალვა, ალვა ტანადი, ვერხვი, ტირიფი, კვიპაროსი, ბზა, მუხა.

დამაფიქრებელი ფრაზებია: სულშეხუთულ ხეთა მეფური... ზრდა, ალვის სულის ზრდა, ალვის ხის გადარჩენა, ატმის ხის სულის... თრთოლა, ყველა ხე ლექსებს შრიალებს...

„ალვები თოვლში“ მისტიკურის დომინანტით, დაფარული ქვეტექსტებით, უჩვეულო ხილვებით იპყრობს ყურადღებას. მასში უნდა გაიშიფროს ცალკეული ლექსიკური ერთეულები, უმთავრესი აზრობრივი დატვირთვის მქონე ფრაზები. ესენია: მთვარე, თოვლიან ალვებს რომ ათრობს ივლისისფერი ყინვის თასებით, სითეთრით დამშვენებული მწვერვალები, სასძლოს ფარჩა და ალმასები, გადაზნექილი სიზმრების წელი, ხელებისგან დაცვენილი მკრთალი ვარდები, ჩამოშლილი შუქი-პირბადე, უცნობი ღამის შორი საკურთხევლისა და განთიადის ლოდინი, თეთრი და რაშივით მაღალი მთა, უჩვევი ნათელი და ჩვეული სიცივე, რაც კოსმიური სიცივის ასოციაციას ქმნის.

„გადაზნექილი სიზმრები“ და მისი „წელი“, ვფიქრობთ, პოეტის ხილვებია. სიზმარი, ზღაპარი ხშირად პოეტური გამონაგონის იდენტურია გალაკტიონის პოეზიაში (ამ პრობლემას დაწვრილებით ვეხებით ჩვენს პირველ წიგნში „გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები“, თბ. 1991წ. გვ. 31-46).

მაინც რა იხილა პოეტმა თავის სიზმრებში? აკი ხაზს უსვამდა თავისი სიზმრების განსაკუთრებულობას: „მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“. პოეზია ხომ „არამიწიერი სიზმარია“ (ა.ბლოკი), „თვალღია სიზმარი“ (გ. რობაქიძე), „დედამიწის სიზმარი“ (ტ.გრანელი), „უნებური სიზმარი“ (გალაკტიონი).

გვაგონდება სტეფან ცვაიგის ნათქვამი დოსტოევსკის წინასწარმეტყველურ სიზმრებზე: „მისი სამყარო... შესაძლოა წუთისოფლის ყველაზე სრულყოფილი ჰალუცინაციაა, სულის მომლანდებელი ღრმა და წინასწარმეტყველური სიზმარია, სიზმარი, რომელიც სინამდვილესაც კი ჯაბნის, მაგრამ ეს მაინც რეალიზმია, საკუთარი საზღვრებიდან ფანტასტიკურში რომ გადასულა... უჩვეულოდ ზუსტი, ფანტასტიკური დეტალებით მიწასთან არიან მისი გმირები მიჯაჭვული, არც ერთი მათგანი არაა ლანდების სამყაროს ბინადარი“ („დოსტოევსკი“, წიგნში „ფანტასტიკური

ღამე“, თბ. 1966წ. გვ. 211, 243).

პოეტმა, ერთი მხრივ, ღვთაებრივი სიმაღლე და სიწმინდე იხილა, გონიერი ზეცის ბინადარნი საკუთარ სულში დავანებულნი, მეორე მხრივ კი, დაცვენილი ვარდები, დამდაბლებული შუქი, გაყინული ოცნებები, ჩვეული სიცივე და უცნობი ღამის, განთიადის, უჩვეულო ნათლის ნატვრამ აიტანა.

გალაკტიონის ალვა, პალმა, კვიპაროსი, თალხის, ცრემლის ხე, ვერხვი, ბზა, სულიერი ვენახი, ტირიფი, ნაძვი არის სიცოცხლის ხის ვარიაციები.

სიცოცხლის ხე არსებობას ბიბლიაში, კერძოდ, შესაქმეში იწყებს და ღვთაების სიმბოლოა (წიგნი დაბადებისა, 50,9).

იოანეს გამოცხადების „ხე ცხოვრებისა, ნაყოფისა გამომღებელი ათორმეტთა ნაყოფთა“ (22, 1-2) – ქრისტესა და მის თორმეტ მოციქულს გულისხმობს.

ახალ აღთქმაშივეა შექმნილი ამ სახის ახლებური ვარიაცია: „შეიწყნარეთ ნერგი სიტყვისაი, რომელ შემძლებელ არს ცხოვრებად სულთა თქვენთა“ (კათოლიკე ეპისტოლე იაკობისა, 1,2)

ღვთისმეტყველებაში ასეა კომენტირებული სიცოცხლის ხე: „ხე ცხოვრებისაი, ვითარცა ხატებაი ღმრთისაი“ (გრიგოლ ნოსელი).

ამგვარად განმარტავს ამ სახეს იოანე დამასკელი.

„ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტეს სიმბოლოა „დიადი ხე“, „ხე ტკბილი“: „ამასობაში მივეახლეთ ჩვენ ხესა დიადს“ („ღვთაებრივი კომედია“, თბ. 1941წ. გვ.234).

ქართულ ჰიმნოგრაფიაში გაიგივებულია „სიცოცხლის ხე“ და „ცნობადის ხე“ და იგი ხან მარიამს, ხანაც ქრისტეს გულისხმობს.

დავით გურამიშვილის ფრაზა: „ზედ გულზე ვიბი იგი ხე, კაციანი და ღვთიანი“ – ქრისტეს ორბუნებოვნებას გამოხატავს და ძალზე ორიგინალურია“ (ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1995წ. გვ. 121).

სიცოცხლის ხის სახეებია ლიბანის ნაძვი (აკაკი ბაქრაძე), ალვა, პალმა, კიპარისი (ზვიად გამსახურდია), ვაზი (ვერა ბარდაველიძე, რევაზ სირაძე, გია მურღულია).

გალაკტიონ ტაბიძის „ალვა“ სიცოცხლის ხის (ღმერთის) სინონიმია. მისი წყაროა ბიბლია, რომელშიც ღმერთი ამბობს: „მე ამწვანებული ალვა ვარ, ჩემგან გექნება შენ ნაყოფი“ (ოსია წინასწარმეტყველი, 13,9).

ეს ალვა პოეტმა მოიაზრა თოვლში, გაყინული ოცნებების, „ჩვეული სიცივის“ ფონზე, როცა ხელებიდან დაცვენილია „მკრთალი ვარდები“, ჩამოშლილი და დამდაბლებულია შუქი.

ყვავილი საღმრთო სახელია.

„ყვავილი ცხოვრებისა“ მიჩნეულია ქრისტეს სიმბოლოდ. (ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, გვ. 105-107).

საოცარი შესიტყვებაა „მთვარე... თასებით, ანუ ყინვის თასებით, რომელიც ათრობს თოვლიან ალვებს.

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ მთვარის გააზრების ორი მაგალითი აქვს დამოწმებული ტიტე მოსიას „საღვთისმშობლო სახისმეტყველებაში“. იგი წერს: „მზესთან, მზისთვალთან ერთად მარიამის სიმბოლურ-ალეგორიული სახელია მთვარეც: „მთვარე დადგა წმიდასა ზედა თვისსა, ქალწული უბიწო“ (უძველესი იადგარი, გვ.439). „წყობილსიტყვაობის“ ავტორი წერს: „საყდრად მზედ, ვითა წინაშე ღვთისა ქმნილად, ხოლო მთოვარედ გამტკიცებულად სავსედ“. მაგრამ მაცხოვრის დედის

სიმბოლოდ... მთვარის გამოყენება დიდად გავრცელებული როდია სასულიერო მწერლობაში“, ასკვნის მეცნიერი (ზემოთდასახელებული მონოგრაფია, გვ. 99)

თასი, ფიალა, რომელშიც გედეანმა ჩასწურა ცვარი საწმისის, მარიამის სიმბოლოა.

შემთხვევითი როდია, რომ გალაკტიონის ალვა (სიცოცხლის ხე) თოვლიანია, თასი (მარიამი) გაყინული.

„ივლისისფერი ყინვის თასების“ ჩანაფიქრის გახსნაში დაგვეხმარება პოეტის სხვა ანალოგიური სახეები.

არამარტო ივლისში, მაისშიც მოელის გალაკტიონის ლირიკული გმირი ყინვას: „მაისის დღეებს ის მოელის, ვით ზამთრის ყინვას, თითქო სამუდამოდ დამჭკნარა მდელო, გაახსენდება რაღაც მკაცრი და აღარ სძინავს და იმეორებს: გაჩუმდი, მკვლელო“ (ვით აფეთქება), აქვე „თითქო უსაზღვრო საღამოა და მთა ბინდდება“.

გაზაფხულის თოვლი, თოვლიანი ნაძვი და გაყინული ნაკადულის სახე მნიშვნელოვანი ჩანაფიქრისაა სხვა ლექსშიც: „თეთრ თავლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვა მთის გრეხილი უხმო, შორი... თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებდახლართული და მღელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული. გაიყინა ცის ლაჟვარდი, გაიყინა ქვეყნის გული“.

ე.ი. მთავარია, რომ თოვლში მთა გაუჩინარდა, ნაძვი თოვლით შეიმოსა და ეს მოხდა გაზაფხულზე.

მთა მარიამის სიმბოლოა. ეს სახე მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: „ჰხედავთ, ვიდრე არა გამოეკვეთა ლოდი მთისაგან თვინიერ ხელის“ (2,34). მთა წმინდა მარიამის სიმბოლოა, ლოდი-ქრისტესი.

ნაძვი საღმრთო სახელია: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავიღებ ტოტს მაღალი ნაძვიდან და დავრგავ: მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ“ (ეზეკიელი, 17,22).

გალაკტიონთან თოვლიანია ნაძვიც, ალვაც, მთაც და ეს საბედისწერო თოვლიც მოდის გაზაფხულზე.

იყინება ყვავილებიც (ორნამენტი).

იყინება ტბა, იყინება სისხლი, სიშავეში იყინება და არ არსებობს ცა: „მე მარწმუნებდნენ: ფოთლები გაჰქრა, ცა არ არსებობს მღვრიე თუ წმინდა, რაღაც უნიჭო ოცნებამ დაჰკრა და სიშავეში იგი გაყინდა . მე მარწმუნებდნენ, რომ არ იქნება, შენ დაუსჯელად გიყვარდეს იგი, მარწმუნებდნენ, რომ არ გარდიქმნება მკაცრი დღეების ყოფა და რიგი“ (მე მარწმუნებდნენ). მართლაც, ღმერთის სიყვარული დაუსჯელად არ შეიძლებოდა ურწმუნოების ზეობის ჟამს.

ლექსში „ოფორტი“ „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი“, აქვე: „გაყინულია თითქო მხედარი და იდუმალ წუხს: რა სიჩუმეა!“

ტოტალური გაყინვის სურათია ლექსში „შეხედეთ მიწა!“ რომელშიც გვხვდება ყინულის სახლები, კოშკები, ყინულის ქალაქი, ყინულოვანი გარემოცვა, რომელსაც ადნობს პოეტის გულის სითბო.

ზამთრის დღეებს ბოროტი სულის თარეში კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის, მოსალოდნელია კოსმიური სიცივის გაბატონება: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზერსისებად, მე რამ ახალი მათი მოსვლით არ მეღირსება. მოდის სიცივე და თარეში სულის ბოროტის, დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“.

აშკარაა, რომ ზამთარიც და სიცივეც სიმბოლური აზრისაა.

„არაწმინდა, სამსალით სავსე თოვლზეა“ საუბარი „მშვიდობის წიგნში“: „თოვლო, შენ ისევ გინდა იქნება მისდიო განვლილს? მიმღები დავლის, ძალა მომავლის არ მოიქნება... უკანასკნელი შენი სამსალა გვიჩვენო გინდა? ო, არაწმინდა! სიმარ-

თლე ვინ და ან რამ დასძალა? გინდა მომიკლა, მაგრამ ღვარივით დნება ის თოვლი მზის ელვარებით“.

პოემის მიხედვით, თოვლს და ზვავს უგზავნის ჩვენს ქვეყანას „მტერი მეორე“, „მგმობარი მეგობარი“. საყურადღებოა ფრაზა: „სიცივეს მძევლად კარგა ხანს ჰყვანდით“.

„თოვლია“ პოეტის სამშობლო: „...რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“ (ოფორტი) მართლაც, პატარა ერებს საბჭოეთში არა საკუთარი, არამედ თოვლიანი ცივი ქვეყანა უნდა ეღიარებინათ უპირველეს სამშობლოდ.

ლექსში „გული გრძნობს“ არის საოცარი სახე: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა“.

გემი რწმენის სიმბოლოდ განიმარტება ნეტარი აგუსტინეს მიერ. გალაკტიონისთვის „ფერადი გემი“, რომელმაც არა ქართულ, „გაზაფხულისმაგვარ თოვლთან“, არამედ „მწუხარე თოვლთან“, „გულგამყინველ ვაებასთან“ მიგვიყვანა ერთმორწმუნეობის, ქრისტიანობის სახელით, არის იმპერიული რუსეთი, რომელმაც „შავი თოვლის“ შიშით შეგვზარა.

სიმბოლური ზამთრით, თოვლიანი ალვით და ნაძვით, თოვლით დაფარული მთით, ყინვიანი გულით და თასით მიგვანიშნა გალაკტიონმა ჩვენს ეროვნულ და სარწმუნოებრივ პრობლემებზე. თავისუფლებაწართმეულ, სახელმწიფოწართმეულ ქართველს ღმერთის რწმენასაც უკარგავდნენ, მის მზიურ სულს ყინვიანი და თოვლიანი სულით ატიალებდნენ, რათა დაეკნინებინათ და უფრო კარგად დაემონებინათ.

„დამალული ღალატით, დაფარული ცოდვებით“ (სამრეკლო უდაბნოში), ყინულიანი გულით ცნობილი „უფროსი ძმის“ მიმართება ჩვენი კეთილი გულით განთქმული ქვეყნისადმი აძრწმუნებს გალაკტიონს და ევედრება უზენაესს: „დაადნე სხივი, სულო ციურო, სიცივისაგან გაყინულ გულზე“...

პოეტი წინასწარმეტყველებდა დიდ ავდარს, კოსმიურ სიცივეს, ბოროტი სულის თარეშს: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზერსისებად, მე რამ ახალი მათი მოსვლით არ მეღირსება. მოდის სიცივე და თარეში სულის ბოროტის, დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“.

აშკარაა, რომ ზამთარიც და სიცივეც დიდ, საუკუნო კატაკლიზმებზე მიანიშნებს.

თოვლი შავია, თოვლი ვარდისფერია, თოვლი მწუხარეა, თოვლი იისფერია, ბნელია თოვა, თოვლი ზეციური სისპეტაკეა, თოვლი ქალწულია.

პოეტმა განიცადა „ოკეანე, შორი ყინული“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები).

სულშიც „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინულია“ (ჩემს გულში). „ყინვა ფეერიულია“, რაც არსებითია.

„საუკუნეთა თოვლი“ ქცეულა ერის უბედურებად ლექსში „წარწერა ხოვლეს ორნამენტზე“.

ზემოთდამოწმებული მაგალითების თოვლი და ყინული დიდი საქვეყნო სატკივრების მიმანიშნებელია.

განსაკუთრებით ერთნაირი სახეები გვხვდება ლექსებში: „ოფორტი“, „ალვები თოვლში“, „ქალაქი წყალზე“.

მოკლედ: ყინულის სასახლე, ყინულის ქალაქი, ყინულის კოშკები, ყინულოვანი გარემოცვა, ყინულის გული, გაყინული ცა, გაყინული ოცნება, გაყინული მხედარი, ყინვის თასი, თოვლიანი ალვა, თოვლიანი ნაძვი, თოვლიანი მთა პოლიტიკური და

რელიგიური ქვეტექსტების შემცველი სახეებია.

„შავია სიხალისე“, „შავია დიდება“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გალაკტიონი დასცინოდა იმ ვაიპოეტებს, რომელნიც „იანვარშიც მაისის ვარდი გაფურჩქვნილის“ ჰანგზე მღეროდნენ (სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის).

ხშირად ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიება გალაკტიონის საღმრთო სახელები: ყვავილი ჭკნება, იანვრის თოვლი აჭკნობს... სულში ნაადრევ იებს, ვარდი იყინება, წყარო შრება, სიყვარულით აშენებელი კოშკები ინგრევა, უჩინარდება გაზაფხულის მზიანი დილა, ქრება, ქიმერებში ვარდება, ლანდად იქცევა ან გარდაცვლილია მზე, ინგრევა ზეცა, იმსხვრევა ხომალდები...

აშკარაა, თოვლში, სიცივეში, გაყინულ გარემოში, „ჩვეულ სიცივის მძინარებაში“ დარჩენილი ალვა არაა პატივში, რომელიც სიცოცხლის ხის სიმბოლოა.

გავიხსენოთ, რომ ურწმუნოების ბაცილები მე-19 საუკუნეში გავრცელდა, აკი ილია ჭავჭავაძე წუხდა „აჩრდილში“, რომ სიცოცხლის ხე გახმა, წყარო დაშრა.

საოცარი დატვირთვა აკისრია „მწუხარე თოვლის“ სახეს: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა“ ...„გული გრძნობს ღალატს“ (გული გრძნობს).

ღვთისეტყველებაში გემი, ხომალდი ეკლესიის სიმბოლოა (ნეტარი აგუსტინე). თოვლის სამეფო კი, რომელმაც მწუხარება მოგვიტანა, რუსული ბოლშევიზმია, სხვაგან ხომ აქცენტირებულია მისი „გული-ყინული“, გარეგნულად „თეთრად სპეტაკი“, მაგრამ „მარად შავი“ (918).

მაშ ფრაზა – „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა“ – ერთმორწმუნეობის გამო ქრისტიანულ რუსეთთან – თოვლის სამეფოსთან დაკავშირებას უნდა გულისხმობდეს, რომელმაც მრავალი მწუხარება მოგვიტანა.

„იქ შავი თოვლივით დამათოვს ჭვარტლი და ბურუსი თავანის“, წუხდა პოეტი ლექსში „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“. წმინდათა სავანეში, რომელიც გაუქმებულია, ჭვარტლი და ბურუსი თოვს შავი თოვლივით, რადგან უარყოფილია უზენაესი.

და ისევ საანალიზო ლექსზე: თუ შეიძლება გაზაფხულზე გაიყინოს ნაკადული, წყარო, ქვეყნის გული, მხედარი, ცა, თუ შეიძლება მოხდეს ტოტალური გაყინვა, რატომ არ შეიძლება გაიყინოს თასი, ოცნება?

ლექსში „ალვები თოვლში“ რეალურ ვითარებას (ურწმუნოებას) აქცენტი უკეთდება ორი მთავარი აზრობრივი ქვეტექსტის მქონე სახით, ესენია თოვლიანი ალვა და გაყინული თასი.

მაგრამ ლექსში ფიგურირებს არა უბრალოდ ყინვის თასი, არამედ „ივლისისფერი ყინვის თასები“.

„ივლისისფერს“ ცისფერის ტრანსფორმირებად მიიჩნევენ, მუსიკალობის დომინანტზე მიუთითებენ (როლანდ ბურჭულაძე), მაგრამ ეს აზრს არ ცვლის, აღრმავებს. ივლისის, გაზაფხულის, ზაფხულის (საღმრთო სახელია) თასი (მარიამის სიმბოლო) ყინვის, ანუ გულგრილი ეპოქის მიერ გაყინულია, რაც რწმენის, ღმერთისა და ღვთისმშობლის უარყოფაზე მიგვანიშნებს.

რელიგიური ჩანაფიქრისაა ლექსის ფრაზა: „სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს, ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები“.

„სასძლო“ მარიამის სიმბოლოა, იგი არის „წმინდა სძალი“ (ძლისპირნი, გვ. 205), „უქორწინებული სძალი“ (იქვე გვ.5) „უკვდავი სიძის სძალი“ (გვ. 269), „მაცხოვრის

უსძლო სძალი“ (ნევმირებული ძლისპირნი, გვ.317).

ფარჩა აბრეშუმის ქსოვილია, ძველ ქართულში ფარჩის შესატყვისი იყო ლარი (განძი). „დაუჯდომელში“ მარიამს მიემართება: „გიხაროდენ, პატიოსანისა საიდუმლოსა ლარო“ (ტ.მოსიას „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“ გვ.94)

გალაკტიონის ლექსში მარიამს, ფარჩასთან ერთად, შვენის „ალმასები“.

ტიტე მოსია წერს: „მარიამის სიმბოლოა იაგუნდი, ლალი, ალმასი, ანთრაკი, საფირონი. დ. გურამიშვილი ასე მიმართავს მას: „ალმას – ანთრაკ-საფირონო, იაგუნდო-ლალო“ (იქვე. გვ.105)

გალაკტიონის ლექსის მიხედვით კი, მარიამს შვენის ქრისტე, რომლის სიმბოლოა „ალმასები“, ე.ი. აქ შეცვლილია ალმასის ადრესატი. პოეტისთვის „ბრწყინავს ფარჩა ნათელი“ და არ უნდა გაეყაროს ამ ხილვას, მაგრამ სინამდვილეში დაცვენილი ვარდები, ჩამოშლილი შუქი, გაყინული ოცნებები და „ჩვეული სიცივის მძინარებაა“ ირგვლივ. რეალობით შეძრწუნებული პოეტი ეძახის „უცნობ ღამეს“.

ცნობილია „მზიანი ღამის“ საღმრთო სახელად გაგების ტრადიცია „ვეფხისტყაოსანსა“ და „დავითიანში“ (იხ. ამაზე ტიტე მოსიას „ოქსიმორონი „მზიანი ღამის პრობლემატიკა“, 1999 წ.) ანალოგიური შინაარსის უნდა იყოს გალაკტიონის „უცნობი ღამე“.

„განთიადის“ მოლოდინიც ხაზს უსვამს პოეტის ამაღლებულ სწრაფვას. „განთიადიც“ საღმრთო სახელია იოანეს გამოცხადებაში: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისა და ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“. განთიადი, ცისკართან ერთად, საღმრთო სახელია („ცისკარი საღმრთოისა ნათლისა“ – „ნევმირებული ძლისპირნი“), როგორც „ჭეშმარიტი ცისკარი“ (ტიტე მოსია, „საღმრთო სახისმეტყველება“, გვ. 113).

სულ მოკლედ რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, გალაკტიონის შემოქმედებაში სიმბოლური იანვრის თოვლი ყინავს, აჭკნობს ნაადრევ იებს (სამრეკლო უდაბნოში), იყინება მხედარი, თასი, ყვავილი, ოცნებ, ცა, წყარო, ქვეყნის გული, ტოტალურია „შორი ყინულის“ ძალა, ყინულოვანია სახლი, ქუჩა, ქალაქი, გარემოცვა და რა გასაკვირია, რომ იყინება თასი, იყინება ივლისში. პოეტი ამ საბედისწერო ყინულის სამეფოს თავისი გულის სითბოთი ადნობს (შეხედეთ, მიწა!).

ამასთან, გაზაფხულზე თეთრი თოვლით იფარება ნაძვი, თოვლის ქვეშ სიზმრებში უჩინარდება მთა.

საგულისხმოა, რომ ზამთარი გაზაფხულზევე დგება: „არვინ არის, რომ ვუამბო დროთ ზამთარი გაზაფხულზე“ (მახსოვს).

პოეტის ბედისწერად ქცეულა თოვლი, ყინვა, ზამთარი, წითელი ქარი, რაშიც პოლიტიკური ჩანაფიქრია.

მაინც იმედიანია გალაკტიონი: „საუკუნეთა თოვლო ითოვლე, მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს ორნამეტზე).

დროებითია, პოეტის აზრით, ზამთარი, რომელიც ვერ შეძლებს უზენაესი საწყისების სამუდამო მიჩქმალვას: „...ზამთარო, ასე გულისდამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმსოფლიო და საამსოფლო“ (მშვიდობის წიგნი). სიო სულიწმიდის სიმბოლოა.

გალაკტიონი იმედიანია, რადგან დავით წინასწარმეტყველივით სჯერა სამართლიანობის გამარჯვების: „წარმოგზავნის თოვლს მატყლივით, თრთვილს ფერ-

ფლით მიმოფანტავს. გადმოუშვებს სეტყვას პურის ნატეხებივით, მის სუსხს ვინ დაუდგება წინ? მოავლენს თავის სიტყვას და დაადნობს მათ, დაუბერავს თავის ქარს და გადმოდინდება წყალი“ (ფსალმუნი, 147,5,6,7).

ეზეკიელ წინასწარმეტყველი ასე გვარწმუნებს უზენაესის ყოვლისშემძლეობაში: „უთხარი მლესავთ, ჩამოწვება-თქო თქვენი კედელი. წამოვა თავსხმა და თქვენ, ყინულის ქვებო, ჩამოცვივდებით და ქარიშხალი ამოვარდება.

„ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავტეხავ ქარიშხალს ჩემი რისხვით, თავსხმა წამოვა ჩემი წყრომით და ყინულის ქვები ჩემი გაცეცხლებით განადგურდება“ (ეზეკიელი, 13,11,13)

გალაკტიონის „ადრიან გაზაფხულში“ არის რწმენა, რომ „მალე გადნება ყინული ლოდის“.

პოეტების მეფის შემოქმედებაში რწმენის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილთან ერთად, მინიშნებულია ღმერთისკენ მიბრუნება ლექსებში: „ალვის ხის გადარჩენა“, „არ დაღუპულა“. ამიტომ ქმნის „გადარჩენის ქებას“, უმღერის „გადარჩენის ბედნიერებას“ და აქაც წინასწარმეტყველურია მისი განჭვრეტა.

გზაში

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია გაჯერებულია დრამატული და ტრაგიკული ინტონაციებით. პოეტის ლირიკული მე ყოველთვის პირადულით ახერხებს მძაფრი შთამბეჭდაობა მიანიჭოს სათქმელს და ინდივიდუალურ პრიზმაში გადატეხილი ინტონაციებით არა ლოკალური, არამედ საერთო-საკაცობრიო, მარადიული პრობლემებისთვის მიგვაქცევინოს ყურადღება.

პოეტის სატკივართა შორის უმთავრესია უღმერთო ეპოქის კატაკლიზმები, ათეიზმით დასნებოვნებული დროის ავბედითი მოვლენები. ერთი მხრივ, შემაძრწუნებელი რეალობით შეძრულია მკითხველი, ამასთან, გვეცხადება ეპოქის ტირანიისგან განაპირებული პერსონაჟი – ავტორის ერთ-ერთი ალტერ-ეგო, რომელიც ყოველთვის განრიდებულია ბოროტეულთა მოდგმას, გამუდმებით ხსნის გზას ეძებს. იობის მოთმინებით აღჭურვილს, რწმენის კვერთხი, რწმენის მახვილი უპყრია, არასოდეს წყვეტს კავშირს უზენაეს ძალებთან, ყოველთვის ხელეწიფება მთავარის და მეორეხარისხოვანის, ეფემერულის და მარადიულის გარჩევა, სწორ ორიენტირებს უსახავს უკეთური ძალებისგან გზაგამრუდებულთ, გამუდმებით ერთგულებს უმაღლეს ფასეულობებს და ტაძრის გზას, ზეცის ბილიკებს უჩვენებს გონდაბინდულთ, თანაც სჯერა, რომ მისი ძალისხმევა ფუჭად არ ჩაივლის.

ლექსს „გზაში“ (1,87-89) თაობათა ეთიკური, რელიგიური იდეალების ერთგულება და პოეტისათვის დამახასიათებელი ენიგმური სახეები გამოარჩევს.

ნაწარმოების ლირიკულ პერსონაჟს დაუკარგავს სულის ვანი და უბინაო სკასავით წრიალებს სინდისის დამვიწყებელი.

თითქოს კათარსისის მაცნედ გამოცხადებული, იდუმალი „ლურჯი აჩრდილი“ არ ტოვებს შინაგანად აფორიაქებულს: „ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას, ის-

მის ნაცნობი ჟრჟოლა სიმინდის, ზუზუნი გააქვს უბინაო სკას – ოჰ! სამუდამოდ დაწყევლილ სინდისს“.

იმედის მაცნედ ისახება „ძველი ზღაპარი“, „წმინდა წარსული“, სოფლის სამრეკლოს ზარების მონატრება, მწვანედ აბიბინებული ყანა, რაც ფერშეუცვლელად ცოცხლობს მეხსიერებაში.

აშკარაა, ცოდვებმა ჯოჯოხეთი განუმზადა და ურწმუნოების გზაზე შემდგარი სული ვერაფერს ჰპოვებს თვინიერ „ცივი ლოდის“, ანუ სიკვდილის, სიკვდილის შემდეგ კი, უპირველესად, გზასაცდენილი სული განისჯება: „როდის მოვიდა ცოდვების გროვა და ჯოჯოხეთი... მითხარი, როდის? დაბრუნდა სული და ვეღარ ჰპოვა რამე, გარდა გზის და ცივი ლოდის“.

მინდვრების, მთების, ნამიანი ყანების, უზრუნველი, ფეხშიშველა ბავშვობის გარემო შეცვლილია უცხო გარემოთი, ქალაქის სიყალბით, ხელთათმანებით, შავი ნიღბებით, ბუნებრიობის ღალატით, რასაც მოჰყოლია მრუდე გზების გასიგრძეგანება და სინანული: „მოკლული ვიყავ უცხო ზმანებით, დამწვარი ვიყავ ქალაქის ქაფით, ხელები არ თრთის ხელთათმანებით, სული არ ტირის შავი ნიღაბით“.

მხოლოდ მოგონებაშია „მწვანე ჭალები“, ღალღის, ტოროლას ნავარდი, ყანის „მწვანე მეწყერი“ და „ჯეჯილის მარაო-ქროლა“...

ადამიანთა ცოფი, გაუტანლობა „სადმე ყრუ ადგილს“ დასახლებას, „შფოთიანი თბილისისგან“ განრიდებას ანატრებინებს „სხვა საუკუნის“ გვიან მგზავრს...

წარსულის ცეცხლის განელებას სიცოცხლის მიზანიც დაუკარგავს: „არ დაბრუნდება ამ მხარეს ცეცხლი, წარსულთა დღეთა სხვანაირ მხარის, ეხლა უმიზნოდ მიდის სიცოცხლე და დაბრუნება მაინც მიხარის“.

ცეცხლი საღვთო სახელია.

ბიბლიაში მოსემ ქორიბის მთაზე, ცხვრების მწყემსვისას იხილა ცეცხლი, რომელიც მაყვალს ეხვეოდა, მაყვალი კი არ იწვებოდა.

ბიბლიის კომენტარები ამ მანათობელ ცეცხლს ქრისტეს სახედ, მაყვალს კი მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორად მიიჩნევენ (აკაკი ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები) (2,58).

ყოველი ეპოქის პრობლემა იყო ამ მარადიულ ცეცხლთან მიმართება.

„ჩაკლულ სულში“ გრიგოლ რობაქიძე წუხდა, რომ ღვთაებრივი ცეცხლი ყველგან კლებულობდა.

ტერენტი გრანელის სული გამუდმებით ამ ზეციური ცეცხლისკენ მიილტვოდა: „და სულის ცეცხლისკენ მივყავარ თრთოლვით“ (ექსკურსია ცისკენ) (3,135).

გალაკტიონი ეთაყვანებოდა „უხილავ, ფარულ, მფარველ, უჩინარ ცეცხლს“, უსმენდა „მარადიული ცეცხლის“ გუგუნს და თავის სტრიქონებს ამ საღვთო ცეცხლში აწრთობდა: „გაბრძმედდეს ცეცხლში, რაც კი ძველი, ღრმა ტომებია“ (უჩინარი ცეცხლის წყურვილი) (4, 36-41).

მიუხედავად მტანჯველი რეალობისა, პოეტის სულის თვალი მუდმივად ხედავდა „ლურჯ აჩრდილს“, „ნაზ დარაჯს“ – მერის აჩრდილს, როგორც „სულის სიბერის“ წამალს, „არამქვეყნიურ უზუნდარაში“ მხმობელს, რადგან თვითონაც „არაამქვეყნიური სული“ ჰქონდა (არ მინდა სიტყვა). წმინდა, მარადიულ სულთა სავანის მკვიდრი იყო: „... და ერთადერთი ნაზი დარაჯი გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის! არამქვეყნიურ უზუნდარაში გაიყოლებს სულის სიბერეს!“

როგორც „გალაკტიონის ენიგმების“ ავტორი ინესა მერაბიშვილი ამტკიცებს,

მერი მარიამ ღვთისმშობლის ინგლისური სახელია და მთელ რიგ კონტექსტებში ამ სახის ადრესატი პოეტის მუზად აღიარებული მერი შერვაშიძე კი არ არის, არამედ უფლის დედა – მარიამ ღვთისმშობელი (5,221).

უნიკალური სმენის პოეტს ოდნავ გაღებული ბაღის კარიდან ესმოდა იდუმალი ქარის ხმა, „ძველებური არყების შრიალი“, რაც სულს აღვიძებდა „სხვა ცხოვრებისთვის“: „მხოლოდ ხანდახან ქარი შეარხევს ოდნავ გაღებულ კარებს ბაღისას, შრიალი გააქვთ ძველებურ არყებს, სხვა ცხოვრებისთვის თითქოს მაღვიძებს“.

ბაღი ებრაელი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში, „მორწყული ბაღის“ ადრესატი ებრაელი ხალხია: „იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს დაშრება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58,11) (6,117).

ქარი, ნიავი სულიწმინდის მოვლინებას გვამცნობს, სულში იღვიძებს „სხვა ცხოვრება“ – უფალი (ღმერთი ხომ „გზა, ცხოვრება და ჭეშმარიტებაა“ – იოანეს სახარება, 14,6), რომელიც ბაღის – ხალხის, ეროვნული ეთნოსის არსებობის პერიპეტიებში ახედებს.

„ძველებური არყები“ ისევე, როგორც „ზენიტზე მდგარი შორი პალმები“, ალვა, კვიპაროსი, სულიერი ვენახი, ვერხვი სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის მეტაფორული სახელებია. უზენაეს ძალასთან პოეტი არასოდეს წყვეტდა კავშირს, მისი სული არასოდეს თვლემდა, მას მარად ეღვიძა, მაღალი იდეალების თაყვანისცემით იყო სავსე. თვით ათეისტურ საუკუნეშიც მის არსებაში მარადიული მეუფე იყო დავანებული.

ლექსში მწვანეს, ლურჯს ენაცვლება ცისფერი, იისფერი.

თუ „ლურჯი აჩრდილი“ მერის აჩრდილად კონკრეტდება, მერე მარიამის კიდევ ერთ სახელს – „ქალწულს“ მიმართავს, რომლის ატრიბუტებია „ცისფერი და მწუხარება“: „აქ მრავალია ცისფერი ფერი. ეს ფერი მარად თვალს ეყვარება, როგორც ქალწულის სახელი – მერი არის ცისფერი და მწუხარება!“

ბიბლიაში „ქალწული“ მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა: „აჰა, მუცლად იღებს“ ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად იმანუილს (ჩვენთან არს ღმერთი) (ესაია წინასწარმეტყველი, 7,14) (6,78).

მერი – მარიამი მწუხარეა, ძის ჯვარცმის მაყურებელი, ფარისეველთა მიერ იესოს გმობის მოწმე.

ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“ – მზის გარდაცვალების სახით ქრისტე ღმერთის ჯვარცმაა განცდილი და უფლის დედა ფიგურირებს, როგორც „მგლოვიარეთა ქნარი“, ეს სახელი კი მიმდინარეობს „დაუჯდომლიდან“, რომელშიც მარიამი „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია“ (7,10).

ლექსის შემდეგ სტრიქონებში ისევ ღვთისმშობელი გვეცნაურება „შორი მთებით“, „ცისფერი სამოსლის“ ატრიბუტებით: „გახედე შორ მთებს. გახედე სერებს! გახედე ტალღებს ჩაქსოვილს ტბაში. ცისფერი ისე უცხოდ იფერებს სამოსელს დღეთა ელვარებაში“.

მთა უფლის დედის სახელია და მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან (2,35) (6,247).

„სამოსელიც“(აქ ცისფერი) უფლის დედის მეტაფორაა.

„უძველეს იადგარში“ მარიამ ღვთისმშობელი არის „სამეუფო სამოსლის ქსელი“ (8,124).

„დაუჯდომელში“ ღვთისმშობლის სახელია „უხრწნელი სამოსელი“: „გიხაროდენ, სამოსელო, შიშუელთაო უხრწნელო“ (7,11).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ (ვედრება ღვთისმშობლისა) მარიამი მოიხსენება, როგორც „შიშველთა დამათბობელი უხრწნელი სამოსელი“ (8,53).

გალაკტიონის ლექსში, „სამოსელთან“ ერთად, აქცენტირებულია დღე და მისი ელვარება.

„დღე“ საღმრთო სახელია: „ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა, ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში“ (დავით წინასწარმეტყველი, ფსალმუნი, 117,24) (9,651).

პოეტი თვრებოდა „დღის სიელვარით“...

სიზმარში უხმობდა უღმერთო ეპოქის მიერ ტყვედქმნილ იდეალს – იას, „იისფერ სიტყვას“, „ცისფერ სიტყვას“, რწმენით ეძებდა „ციაგებს“, ანუ მზის ცას .

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ციაგი არის „მზის სხივი“ (10,336).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (9,614).

ლექსი „გზაში“ ისევ ენიგმებით აკონკრეტებს პოეტის ძიების ადრესატებს – დედა-ძეს: „სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს, ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“.

ია ღვთისმშობლის სახელია, ძე ღმერთის მშობელი მოიხსენება, როგორც „უბიწოებით შემკული ია“ (11,45).

უზენაესი ძალების ძიება გალაკტიონისთვის ორგანული იყო, ის სხვაგანაც „თვალებით“ ეძებდა „ზამბახის პრინცესას“, ანუ ღვთისმშობელს (ეს იყო 15 წლის წინათ).

სიტყვა უფლის სახელია: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანეს სახარება, თ. I,1) (9,176).

ამ უზენაეს სიმბოლოს გალაკტიონის ლექსში ეპითეტად წამძღვარებული აქვს უმშვენიერესი ეპითეტები: „იისფერი“ და „ცისფერი“. „იისფერი სიტყვა“ და „ცისფერი სიტყვა“ წმინდა წერილის კანონიკური ცნებების კიდევ ახალი ნიუანსით, ესთეტიკური რაკურსით წარმოჩენის მაგალითებია.

იისთვის ნაძიები იისფერი სიტყვები, ცისფერი სიტყვით ნაძიები ციაგები აქცენტირებას უკეთებს ფერს, მუსიკალობას, აზრს (რელიგიურობას), რამაც გალაკტიონი აშკარად გამოარჩია როგორც წინამორბედთაგან, ისე თანამედროვეთაგან და მშობლიურ ცაზე, „მარად სიმაღლეში“ დაივანა სამარადისო შუქის სახით (დრო) (1,60).

ლექსის ლირიკული გმირის მიერ განვლილი გზა – ესაა გზა უღმრთო ეპოქაში ცოდვების მოძალების, მერე ბუნებრიობის, რწმენისკენ მიბრუნების, უზენაესი ძალების შემწეობით სიყალბის, ცდუნების დაძლევის, ზეცის გზის, უმაღლესი ქრისტიანული იდეალის პოვნის გზა.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბ. 1988
2. კრ. „პოეზია“, თბ. 1983
3. ტერენტი გრანელი, რჩეული, თბ. 2012
4. ლუარა სორდია, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონის პოეზია, თბ. 2011
5. ინესა მერაბიშვილი, გალაკტიონის ენიგმები, თბ. 2003
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
7. საპატრიარქოს უწყებანი, №12,3-9 აპრილი, 2009

8. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
9. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
10. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ. 1993
11. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ. 1984

უსიყვარულოდ

გალაკტიონ ტაბიძემ ათეისტურ მეოცე საუკუნეში იცხოვრა. „ლუციფერის სამშობლოში“, ცალთვალა „მეფისტოფელის საუკუნეში“ ანტიქრისტეს ნაშიერები თარეშობდნენ და თავიანთ მისიად ხალხისთვის ღმერთის, სიყვარულის დავიწყებას მიიჩნევდნენ. ისინი იყვნენ სულის ჩაკვლის, სისხლისღვრის, ტირანიის დიდოსტატები.

გადმოისროლეს რა „მიწასთან დაბრუნების“ ლოზუნგი, პროლეტარულ მწერალთა უსახო ლეგიონებს ალბათ არასდროს მოზმანებიათ ზეცასთან მიახლოების აუცილებლობა, რადგან იმთავითვე დაჰყვათ ამაღლებულის ხილვისათვის დაგმანული მზერა.

გალაკტიონმა სიყვარულის მრავალსახეობას უმღერა. ამასთან, საღმრთო სიყვარული დასახა ყველაზე უძლეველ და ჭეშმარიტ გრძნობად.

მხოლოდ განსაკუთრებული, რჩეულთათვის დამახასიათებელი „ზექვეყნიური სიყვარულით“ იწვოდა პოეტი, ამიტომაც წვდებოდა სხვათათვის უხილავს და მოუხელთებელს.

ის იყო სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი, მზითშემოსილი, ანუ ღმერთშემოსილი: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“ (ეს გრიგალია სიახლის) (1,200).

სიხარული საღმრთო სახელია: „აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: „ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკას სახარება 2,10,11)(2,113).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, უფლის სიმბოლოა ბიბლიის მიხედვით: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნი, 29/30,12) (2,550).

დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (2,614).

პოეტების მეფე ხაზს უსვამდა თავისი სიყვარულის განსაკუთრებულობას:„... ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული, აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი“ (დადგა აგვისტო) (1,380).

მართლაც, პოეტის თანამედროვე ათეისტურ ეპოქაში ხელახლა აღმოსაჩენი გახდა უზენაესის სიყვარული, რადგან „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“, მხოლოდ „დაცინვა, წყრომა და ირონია“ ეხერხებოდათ ღმერთთან მებრძოლ თაობებს.

გალაკტიონს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ზეციურ ნათელთან, საღვთო სიბრძნესთან, საღვთო სიყვარულთან. მისთვის პოეზია იყო სულიწმინდის მადლი, სიტყვის ოსტატის მისია – რწმენის, სიყვარულის მსახურება, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება.

ამ მოსაზრების წყაროებს ქართველი პოეტი ზედმიწევნით იცნობდა.

პლატონის მიხედვით, „მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში“ (ნადიმი) (3,17).

შთაგონება, გენიალობა ეროსთან წილნაყარია.

არსებობს მიწიერი და ციური ეროსი.

პლატონი გამოჰყოფს ეროტიკულ მისტერიათა საწყის სტადიას უმაღლეს, ეპოპტიკურ სტადიამდე, რომლისთვისაც ეს საწყისი სტადია მხოლოდ პირველი საფეხურია (3,61). ამის შემდეგ კი იწყება „სულის მშვენების“ უპირატესობის აღიარება „სხეულის მშვენებაზე“, „... ეგ სული, მიქცეული მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტად, უხვი სიბრძნისა, ვიდრე აგრე გაბრძნობილი და გამობრძმედილი არ მიადგება... ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას... მოძღვრებას აბსოლუტური მშვენიერების შესახებ... ვინც ეროტიულ მისტერიათა ამ სტადიამდე ამაღლდება, ზიარების ზღვარს მიღწეული, იხილავს გასაოცარ მშვენიერებას, მშვენიერებას მარადიულს, ხელთუქმნელს და წარმოგვიდგენს მშვენიერებას, მშვენიერებას მარადიულს, სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში...

„ჭეშმარიტი გზა სიყვარულისა – ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა... ესაა მშვენება წმინდა, შეურყვნელი და შეურევნელი კაცის ხორცით, ფერებითა და სხვა ხრწნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერება (3,63).

„სულის ნაყოფი სიბრძნეა და ყველა სახის სათნოება და მათ პოეტთა, იმ დემიურგოსთა ნაშიერად თვლიან, რომელთაც ფარულსა და იდუმალში ჩაწვდომის ნიჭი მომადლებიათ“ (3,60).

მთელი ბიბლია სულის, სულიერების, სიბრძნის, სიყვარულის პრიმატს ქადაგებს, ხოლო სული კი ღმერთია: „... ხოლო უფალი სულ არს“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა მიმართ 4,17) (2,386).

„სულიცა უფალ არს, ღმერთი სულია სახიერი, ღმერთი სულია ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს“, გვმოძღვრავს პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი) (4,14,15).

პავლე მოციქული, როგორც „სულიწმიდის ქნარი“, ასეთ სადიდებელს აღუვლენს სიყვარულს: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრაილე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.

„წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ.

„მთელი ქონება რომ გავიღო გლახაკთათვის და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია.

„სიყვარული სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლოს, არა ზვაობს“.

„არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ იზრახავს ბოროტს.

„არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს.

„ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს“.

„სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცაღა წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა...

მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია“ (პავლე მოციქულის ეპისტოლენი, I კორინთელთა მიმართ, 13, 1,2,3,4,5,6,7,8, 13) (2,375-376).

პავლე მოციქული აცხადებდა: „ჩუენ ღუთის და არა ამ სოფლის სული მიგვიღებიეს“ (I კორინთელთა, 2,12) (2,375-376).

თითქოს წმინდა მამის ღირსეულ შეპასუხებად ისმის გალაკტიონის სიტყვები: „მე სული არ მაქვს ამქვეყნიური... და ზექვეყნიურ სიყვარულით მწვავს გამოუთქმელი და მწარე ალი“ (არ მინდა სიტყვა) (5,36).

დანტე ალიგიერს იზიდავდა „სიყვარული პირველი, პირველადი სიყვარული, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი“.

სულიერ ზეცაში შეიგრძნო დანტემ არამიწიერი სიქველე და იქვე შეიცნო „სიყვარული სხვადასხვაგვარი“.

„ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი მოგვიწოდებდა: „თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“.

ღვთაებრივი სიყვარულის ძალის შედეგია ყოველი სრულყოფილის გამოვლენა ამქვეყნად: „... სადაც კი სიყვარული მართლაც მისნური პირველი ძალით გამოიჩენს ქმედობის ძალას, იქ იბადება სრულყოფილი ანაზდეულად“ (6,328).

დანტე ასკვნის: „სადაც ნათელი ცისიერი არ ბოძებულა, მანდ სუფევს ბნელი დანაჩრდილი სხეულთაგანის, იქ სიმრუმეა და ყოველგან შიშინებს შხამი“ (6,352).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ღმერთს ეწოდება „პირველი სიყვარული“: ქრისტემ ეფესოს ეკლესიას ანგელოზის პირით შეუთვალა: „შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ შენ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

„პირველი სიყვარულის“ – ღმერთის, რწმენის ერთგულებით გამორჩეული იყო გალაკტიონი. მის პოეზიაში საღვთო სიყვარული მოიხსენება, როგორც „პირველი სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული, მზიანი სიყვარული, ტრფობა სრული, ზექვეყნიური სიყვარული“.

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში“ ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ „შუა საუკუნეების ევროპაში, პროვანსსა და იტალიაში არსებობდა მიმდინარეობა „მიჯნურობის მორწმუნენი“, რომელიც წარმოადგენდა საიდუმლო ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციას ჰქონდა საიდუმლო მეტაფორული ენა, რომელიც სიმბოლოებისა და ალეგორიების მეშვეობით გადმოსცემდა სიყვარულის ინიციაციის მისტერიებს... იქ იყო გამეფებული „ერთადერთი ქალის“ კულტი („ქალი“ ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტური ინტელექტის, სიბრძნის, სოფიას სიმბოლო იყო... დანტე იყო წევრი მიჯნურობის მორწმუნეთა ძმობისა“ (7,93).

სუფისტური ასკეტიზმი, ზვიად გამსახურდიას აზრით, აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი ბერების გავლენით (7,104).

„მიჯნურის სამსახური ღვთის სამსახურის ანარეკლია. მიჯნური განასახიერებს მარადქალურ საწყისს, სოფიას, ღვთისმშობელს. აქედანვე იშვა მიჯნურის მისტიური კულტიც“ (7,167).

„სუფიები არიან პოეტები და მიჯნურები ერთდროულად. მათ გზას ეწოდება გზა მიჯნურობისა“ (7,106).

სუფისტურ ასპექტში კითხულობს რუსთველურ მიჯნურობას ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში“.

სუფისტურ სიყვარულს პოულობდნენ „ვეფხისტყაოსანში“ ვახტანგ VI, დავით

გურამიშვილი, კორნელი კეკელიძე (თუმცა კ. კეკელიძე არ იყო ამ საკითხში თანმიმდევრული, 1933 წელს იგი სუფისტურ თეორიას ავითარებდა, 1941წ. უარყო ეს აზრი, 1945წ. კი ისევ სუფიზმს დაუკავშირა).

სუფისტური სიყვარული უმთავრესია აღმოსავლურ პოეზიაში.

ჯალალ-ედ-დინ რუმი წერდა: „მე... ერთს ვუჭვრეტ ორსავ სოფელში... იგია პირველყოფილი და უკანასკნელი, იგია ცხადი და დაფარული. და ამ სოფელში ჩვენ ორს გარდა, სხვას არავის ვცნობ. მე სიყვარულმა დამათრო და ცნობისაგან მიხდილი მაქვს ორივ ქვეყანა“.

სუფისტების მოძღვარი იბნ ელ არაბი წერდა: „მე მივსდევ რელიგიას სიყვარულისას. მე მიწოდებენ ხან ღაზელების მწყემსს, ხან ქრისტიან ბერს, ხანაც სპარსელ ბრძენს. ჩემი მიჯნური სამებაა, რომელიც არის მხოლოდ ერთი“ (8,17).

გალაკტიონმა დაამკვიდრა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში საღვთო სიბრძნის გამომხატველი ლექსები, რომელიც ცნობილია „გაზელების“ სახელწოდებით.

ამ ტრადიციების სათავე ქართველმა პოეტმა აღმოსავლურ ლირიკაში – ჯალალ-ედ-დინ რუმის, ნიზამის, ომარ ხაიამის, საადის შემოქმედებაში იპოვა და განაცხადა, რომ ისინი „სავსე პეშვებით ისვრიან აელვარებულ მარგალიტებს გაზელებისას“.

წერილში „გაზელა“ გალაკტიონი საუბრობს როგორც ყაზალის წარმოშობაზე, ისე მის თავისებურებებზე: „გაზელა, როგორც ფორმა, ეკუთვნის სპარსეთის პოეზიას და ითვლება მის ერთ დამახასიათებელ ფორმად. მთელი პოეზია სპარსეთის, განსაკუთრებით მეორე პერიოდი (1106-1203), ერთი განუწყვეტელი დითირამბია უნაზესი გრძნობების. მშვენება შირაზის, პოეტი ჰაფეზი, მსოფლიოში განთქმული ლირიკოსი, რომელიც გავლენას ახდენდა ევროპის ლიტერატურაზე და რომლის გავლენის ქვეშ დასწერა გიოტემ თავისი „დასავლეთის დივანი“, იყო უდიდესი პატრიოტი გაზელის. გიოტეს შემდეგ მთელს გერმანიას მოეფინა სასიყვარულო ლირიული ლექსები „გაზელების“ სახელწოდებით, რომლებიც ხშირად იწოდებოდნენ „გაზელებად“. მათში დაცული არ იყო ის თავისებურება, რომელიც სპარსულმა პოეზიამ დააკანონა გაზელისთვის“.

„საქართველოშიც გაზელის მსგავსად დაიწერა ძალიან ბევრი ლექსი (ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის, საიათნოვას, მაგრამ მხოლოდ მსგავსად, არც ერთი ლექსი არ მოიპოვება ქართული გაზელა“.

გაზელის თავისებურება ისაა, რომ ერთი და იგივე სიტყვა ან გამოთქმა მეორდება ყოველი მეორე სტრიქონის ბოლოში, რის გამოც იგი დაყრუებულია უნაზესი სენტენციებით. ეს განმეორება სიტყვების არის უმთავრესი თვისება გაზელის... მას უნდა ჰქონდეს არანაკლები ხუთის და არაუმეტეს შვიდი ორსტრიქონიანი ტაეპისა“.

ამავე წერილში აღნიშნულია, რომ ყაზალის წარმოშობა დაკავშირებული იყო სასანიდების დინასტიის სახელგანთქმული წარმომადგენლის – ბეჰრამგურის სახელთან, რომელიც იყო იდეალი რაინდის, მონადირისა და გულთამხილავის. მან მოიგონა პირველად მეტრული სიტყვა საყვარელი მონაქალის – დილარამის სტიმულით, რომელიც აღფრთოვანებული სიყვარულით, თავისი ბატონის პოეტურ სიტყვებზე უპასუხებდა ბოლო სიტყვების თანაბარი აღფრთოვანებით: „განა წარმოსადგენია ამაზე უფრო უმშვენიერესი წარმოშობა პირველი ლექსისა და გაზელისა?“ – ასკვნის გალაკტიონი (9,160-161).

„გაზელის მცოდნის“ ადრესატი თვით გალაკტიონი იყო: „შორეულ დღეებს მახ-

ლობლად უზის მცოდნე ჰაფიზის, მცოდნე გაზელის, ცივი ოცნება შხეფავს აუზის, ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის“ (ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის) (10,2015).

ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ტერენტი გრანელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდროულად (სულიკო).

ხოლო „საყვარელის“ წყარო არის ბიბლია: „...ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 5,16) (11,17).

ასევე, ბიბლიაში ღმერთი მოიხსენება, როგორც „სულის შეყვარებული“... „სიყვარული“, „მეტრფე“, „სატრფო“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2,4,3,1) (11,15,16).

საღმრთო სიყვარულის იდეა ვლინდება რუსულ პოეზიაშიც.

„ციურ დედოფალს“ თაყვანს სცემდა ვლადიმერ სოლოვიოვი: „ჩემი სული... მიეახლება ციურ დედოფალს“ (12,12).

„ციურ მეუღლეს“, ღვთაებრივ ქალს უმღეროდა ალექსანდრ ბლოკი (მე ბნელ ტაძარში) (12,145).

მას „ზეციური ცოლი“ ეზმანებოდა ლაჟვარდებში: „ლაჟვარდებით გარემოცულს, დრო – დარბაზებს ანათებს, თეთრი, თეთრი ანგელოზი გზებს ვარდებით აღავსებს, ზეციური ჩემი ცოლი სტოვებს ცისფერ კამარას, გადიხსნება ოქროს რგოლი, ქათქათა ფრთებს დამალავს“ (12,168).

ვფიქრობთ, მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეის თანმიმდევრული ერთგულება – მსახურებით გამოირჩა გალაკტიონი.

ნიჰილიზმის, ცინიზმის ბატონობის ეპოქაში „მოკვდა“ ღმერთი, გამეფდნენ ანტიქრისტეს ნაშიერები, „ნათელის მგმობი“ ობივატელები, სისხლისღვრის, სულის ჩაკვლის ოსტატები. ამიტომაც არის გალაკტიონის პოეზიაში „წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის“, მაგრამ მის ხსოვნაში მუდმივად ცოცხლობდა „ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“ (ის) (1,40).

„იდუმალი, შორეული სატრფო“, „სხივნართ ელვა“, „შორეული ლანდი“ ბრბოში არ ცხადდება, მასთან შეხვედრა მხოლოდ „არსაამსოფლო გზით“ შეიძლება (სასიკვდილო მწუხარება) (13,305).

„ახლომდგომელი, მარადის დაფარული, მიუწვდომელი“ ზეციური სატრფო „შორეული და ახლობელია“ ერთდროულად (სადღაც მინახავს) (13,36), როგორც ნეტარი ავგუსტინე უწოდებდა ღმერთს.

პოეტი იტანჯებოდა „სიშორის სიახლოვით“ და „სიახლოვის სიშორით“.

არა ხორციელი, მიწიერი გრძნობები, არამედ „ციური ალერსი, „ციური ნანა“ იყო იდეალი: „ფიქალო მკერდზე არ ოცნებობს, არც გულზე, ის მხოლოდ ციურ ალერსზე გვედრის“ (სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს) (14,56).

პოეტს რაინდობისთვის აქეზებს „სერაფიმთა ბაგეზე უნაზესი, ფაქიზი“ და ენატრება „შორეულთა ალერსი“ (ვოილეს) (15,84).

შორეული სატრფო ვარსკვლავია, ცის თაღის შუქია, ღვთაებრივი ხმებით სიმღერებს რომ კარნახობს პოეტს და ისიც ცის სამსხვერპლოზე აღავლენს სიყვარულის დიდებას, ყველაფერი ქვეყნიური ამ ციური, ღვთაებრივი მშვენიერების ანარეკლად ისახება (ჩემი ვარსკვლავი, სატრფოო) (13,88).

ვარსკვლავი საღმრთო სახელია: „მე ვარ დავითს ფესვი და შთამომავალი, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 22,16) (2,521).

ზეციური, იდუმალი სატრფო, უხილავი ღმერთი პოეტის გულში იყო დავანებული: „ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს, მეგობრებს, სატრფოს ეშხით მღელვარეს“ (ხშირად ვოცნებობ) (გალაკტიონი 15 ტომად, 1 ტ.I, თბ. 2016, გვ. 88).

მხოლოდ უზენაესის სიყვარულია „სრული ტრფობა“ და ამიტომაც სანატრელია იმ სიყვარულის სიმღერა: „როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა იმ ტრფობის სრულის, დარჩა ჩემს გულში წარუშლელი და მოკამკამე, იმას იგონებს მოგონება დაღალულ გულის, იმ სიყვარულის მიმღერე რამე!“

კაცთათვის მიუწვდომელი და შეუცნობელი ღმერთის სახე მხოლოდ სიმბოლურ-ალეგორიულ სიტყვათშეთანხმებაში, ენიგმურ სახეებში უნდა გაცნობიერებულიყო და გალაკტიონი არა მარტო იყენებდა ტრადიციას, უსაზღვროდ აფართოებდა მის შესაძლებლობას, რაც ამ ლექსშიც ვლინდება: „ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის ბურუსებს იქით გადიკარგა, როგორ ვეწამე. ახლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის, იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე!“ (მიმღერე რამე) (16,27).

„ყვავილების“ გამოჩენით ძე ღმერთის მოვლინება გვეუწყება სოლომონის „ქებათა ქებაში“: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, II, 12) (11,15).

„მომავლის ჩრდილიც“ ქრისტეზე მიგვანიშნებს, როგორც პავლე მოციქულის წერილში (კოლასელთა მიმართ 2,17) (2,433).

ის „მომხიბლავი“ სიყვარული სატანურმა დრომ „სიზმარეული“, აუხდენელი გახადა, მაგრამ რწმენა მისი მოვლინებისა, მაინც ალამაზებს არსებობას (ის ჩამომშორდა, როგორ სიზმარი) (1,17).

პოეტი „მთვრალი“ იყო საღმრთო სიყვარულით, ის „სავსე ფიალით“ ეწაფებოდა ოცნებას, მშვენიერებას (იმედთა ნაცვლად) (1,47).

ფიალა, თასი, ჭიქა, აზარფეშა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

ბიბლიური წინასწარმეტყველი გვაუწყებს: „შენი თვალები იხილავენ მეფეს თავის მშვენებაში, დაინახავენ შორეულ ქვეყანას“ (ესაია წინასწარმეტყველი, 33,17) (1,97).

„ქვეყნიურთა ვნებებს“ განშორებულ, „სპეტაკ და უმწიკვლო, „ცის ვნებასთან“ წილნაყარ პოეტს სიზმარეულ ხილვაში ევლინებოდა „წმინდა, შორი ქვეყანა“, „ანგელოზთა ციური ნანა“: „... მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა, სადღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული. მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა, ღამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩასახული“ (მე მესიზმრება) (1,39).

გალაკტიონი ხედავდა „ცათა ცას“, უზენაეს მეუფეს – სიყვარულს, სამყაროს მამოძრავებელ ძალას, სილამაზის, უკვდავების მომნიჭებელს: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

ამ სიყვარულს ღმერთი ეწოდება და დანტეს მიხედვით, ის სამყაროს, პლანეტებს აბრუნებს: „...წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და პლანეტებს“ (6,45).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ღმერთი არის „დიადი სიყვარული“. „...ეს სამყარო დიადი სიყვარულით, რომლითაც მოწყალების გამო შენისა, ბრწყინავს და იწვის იგი, ვითარცა მარადიული შუვა დღე“ (16,390).

გალაკტიონის პოეზიაში საღვთო სიყვარულს გულისხმობს როგორც „პირველი სიყვარული“, ასევე „უკანასკნელი სიყვარული“. „პირველი სიყვარული“ ამ გრძნობის უპირველესობას, უზენაესობას, მის ხარისხს უსვამს ხაზს, ხოლო ეპითეტი „უკანასკნელი“ გვაუწყებს, რომ ეს იშვიათი გრძნობა ადამიანის ცხოვრების მიმწუხრში, უკანასკნელ სტადიაში შეიგრძნობა და, საბოლოოდ, „პირველი“ და „უკანასკნელი“ ადამიანური სიყვარულის უმაღლესი, უზენაესი საფეხურია, ამიტომაც კეთდება აქცენტი ორივე ცნებაზე: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის – ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან, უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს“.

როგორც განსხვავებულია შემოდგომისა და გაზაფხულის ყვავილები, ასევე განსხვავებულია ხორციელი და სულიერი სიყვარული: „და შემოდგომის სიცივეში ველად გაზრდილი, ეს გაზაფხულის ნაზ ყვავილებს სულაც არა ჰგავს... სიოს მაგივრად ქარიშხალი ეალერსება და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს გარემოუცავს“.

გალაკტიონი აფიქსირებდა, რომ მის თანამედროვე ეპოქაში „მოკვდა“ უკვდავების მომნიჭებელი ღმერთი, ხოლო მისი უარმყოფელნი ვერასოდეს მისწვდებიან უკვდავებას: „და ჭკნება, ჭკნება სიყვარული უკანასკნელი, ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულოდ და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“ (უსიყვარულოდ) (9,25)

პოეტის აზრით, უღმერთო არსებობა არარსებობის ტოლფარდია, ამიტომ ერთადერთი იმედი, ერთადერთი ხსნის გზა ისევ და ისევ „სიყვარულია“, „სიყვარულის სიმღერაა“: „...გულში ჟღერს რა ხანია, სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი) (1,602).

გალაკტიონის წინამორბედი ფრანგი სიმბოლისტი პოლ ვერლენი ივედრებოდა უზენაეს სიყვარულთან, მის „წმინდა ღვინოსთან“ (ღმერთთან) ზიარებას: „ღმერთო, შენი სიყვარულით უმოწყალოდ დამჭერ, სული ჩემი აზიარე შენი წმინდა ღვინით“ (17,90).

„არტისტული ყვავილების“ ავტორს, როგორც უზენაესთან წილნაყარს, უფლება ჰქონდა ეთქვა: „მე სიყვარულით ვიყავი მთვრალი“...

ასეთ თრობას უნდა ვუმადლოთ სიყვარულის უბადლო ტრუბადურის იმ მარადიულ შედევრებს, რომელთაც სულიწმინდის წარუხოცელი კვალი ატყვია...

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1964
4. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961
5. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, თბ. 2014
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
7. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, თბ. 1990
8. აღმოსავლური პოეზია, თამაზ ჩხენკელის თარგმანი, თბ. 1981

9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 12, თბ. 1975
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
11. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1950
12. მარადი დღე, თბ. 1984
13. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
14. გალაკტიონ ტაბიძეს ხუთტომეული, ტ. 2, თბ. 2011
15. გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული, ტ. 1, თბ. 2011
16. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი,თბ. 1985
17. ფრანგი პოეტები, ფრანგულიდან თარგმანი გივი გეგეჭკორის, თბ. 1977

დომინო

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა გამოირჩევა იდუმალებით, ენიგმებით, ურთულესი მეტაფორული სახეებით, რომელთა უმეტესობა დაკავშირებულია მსოფლმხედველობასთან და პოეტის ქრისტიანულ კონცეფციაზე მიგვანიშნებს. ერთ-ერთი ასეთი გამოცანებით სავსე, ნაკლებად შესწავლილი ლექსია „დომინო“, რომლის შესახებაც არ არსებობს ერთიანი, დასაბუთებული მოსაზრება და ეს კიდევ უფრო ზრდის მის მიმართ ინტერესს.

გალაკტიონმა იმთავითვე სცადა თავისი პოეტური გზების მოძიება (სად?) და განსაზღვრა, დააკონკრეტა კიდეც მთავარი თუ მეორეხარისხოვანი ორიენტირები. მისი გზა „დაუსრულებლობა“ იყო. მშობლიური ჭყვიშის გზა „წმინდა გზას“, „იისფერ გზას“, „ვერცხლისფერ ბილიკებს“ აედევნა, გამოჩნდა საოცნებო „გზა მარადისით განალანდარი“. პოეტს ეწადა „აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის“ (ნიავი, ია, ნარგიზი) გზების განჭვრეტა.

„მზის სათავემდე“ მიმავალ გზაზე იყო „მაია, დედა მსოფლიოს“, „ფრთები ელადათა სიბრძნის დემონის“, ეგვიპტის გენია, „ჰიმალაის მწვერვალთა გზები“ („პოემა ვეფხვისა“), სპარსული გაზელები ანუ ყაზალები (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში), დასავლეთის ქარები, ყინული, „აღმოსავლეთი ფერებში სხმული“, გაღვიძების სტადიაში მყოფი აღმოსავლეთი – „ახალი დროის ჰამლეტი“ (აღმოსავლეთი).

პოეტი იყო ედგარ პოს აჩრდილის „თანაზიარი“ (საუბარი ედგარზე), ნოვალისის ცისფერი ყვავილის მაძიებელი (ეს იყო 15 წლის წინათ), ჩაილდ-ჩაროლდის წამოსასხამით და ჰამლეტის ნიღბით მოვლენილი მსოფლიო სევდის რაინდი (ჰამლეტის ქნარით), გოეთეს ფაუსტის იდეებით გატაცებული, შორი ყინულით განაწამები, „თოვლის ნიღაბის“ ავტორთან შეხმიანებული. ის და ბლოკი იყვნენ „პალადინები ერთი იმედის“.

ქართველმა პოეტმა ვერ იგუა „მოკაკანე თარის“ ხმა, ჭიანურის ქვითინი, შიქასტები, აღმოსავლური ბაიათები (იგი ომია, მთვარის ჩრდილი ბაღს ეფინა ქარგად). მოდიოდა ახალი ერესი, „შემოღამების ცელი“ ემუქრებოდა არსებობას, მაგრამ პოეტის ლოცვის ხმები ახშობდა სატანურს, უზენაესის ლოდინის სიმღერას აღავლენ-

და, ალვის ხის, ვარდების გადარჩენაზე ზრუნავდა (ალვა, ვარდი საღმრთო სახელებია) და ქმნიდა „გადარჩენის ჰიმნს“, უმღეროდა „გადარჩენის ბედნიერებას“.

გადასარჩენი კი ბევრი რამ იყო, უპირველესად რწმენის უმთავრესი მტერი იყო ჩრდილოეთის ყინულოვანი მონსტრი, „მგმობარი მეგობარი“, „მტერი მეორე“. პოეტმა განიცადა „ოკეანე, შორი ყინული“, იხილა ყინულოვანი ქვეყანა, ყინულის ქალაქი, „ყინულის სასახლეთა მუნჯნი გროვანი“, ყინულის კოშკები, ყინულის მთები, ყინულოვანი გარემოცვა, რომელიც გზას კეტავდა საოცნებო ედემისკენ (შეხედეთ, მიწა).

„მიუღწეველი მწვანე ნაპირები“ შემოსილი იყო „ძველი თოვლით და ყინვით“, „ელვარე თოვლში“ მიექანებოდა თეთრი მარხილი, „თეთრ ავდარში“ „ელამი“ იყო მზე (ოფორტი), „თოვლის ფერუმარილი“ ეცხო ყოველივეს. ტკიოდა თოვლად სახელდებული სამშობლო, თოვლიანი იყო ალვა, სულს ყინავდა „ივლისისფერი ყინვის თასები“, გაყინული იყო ცა, „თეთრად სპეტაკი, მაგრამ მარად შავი“ გული, გაყინული იყო მხედარი. იანვრის თოვლმა დაუჭკნო სულის ნაადრევი იები (სამრეკლო უდაბნოში), „მწუხარე თოვლის“ სამეფოში გაამგზავრა „ფერადმა გემმა“ (გული გრძნობს).

იყო „ბნელი თოვა“, ლუციფერის ლანდი (ვერ გაიგონეს), შავი თოვლი (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში), სულში თოვლი იყო „ირიბი, ალმაცერი“ (თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი), თოვლისაგან სილისთვის მინებებული ნოვალისის ყვავილი, „საუკუნეთა თოვლი“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე), ფიფქით მტრობა (დომინო), „გზა, დაფენილი მსხვერპლით, ცხედრებით და სისხლით სველი, გზა, სასიკვდილო გადათეთრებით“, მწუხარების გამო „დაძმობილებული ღამის ტყე-ველი“, ნაზარეველის გარეშე არსებობა (სამშობლო შავი ლიუციფერის), ცალთვალა მეფისტოფელის საუკუნე (ბრმა ცალი თვალით).

მის მშობლიურ გზებზე გაზაფხულისმაგვარი ზამთრის თოვლი მოდიოდა, იყო თოვლის კრავების, თოვლის მადონას, იისფერი და ვარდისფერი თოვლის ხიბლი, რეალობაში კი სულს უშფოთებდა „მათი მინდორი, მათი ნისლები და ბურუსები“... ნატრობდა, გასცლოდა „მათ თოვლებს“, ზამთარს, ეძებდა მშობლიურ თიბათვეს, ჩვენს ნაპირს (918), სინამდვილეში კი მოუცილებელი იყო „თოვლის მხარე, ნისლიანი მთა და ბარი, სიცივე და მღვრიე დარი“ (მღვრიე ქარი), „ნაწვიმარ სილაში“ ეგდო ოცნების ვარდი.

საოცნებო სასახლემდე მრავალი კარიბჭე იყო გასავლელი. „დომინოს“ მიხედვით, პოეტი შევიდა „დაწყევლილი სამარის“ მინამგვან საშიშარ სასახლეში, სადაც მკვდრების ლანდები რიალებდნენ და ჰაერშიც სიკვდილის სუნი იგრძნობოდა:

„შევდივართ სასახლეში.
წმინდაო, დამიცევ! სუროში, საშიშრად მივარდნილ კედლებით
ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს:
აქ მკვდრები დაჰქიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით,
ჰაერი სიკვდილით დაფარეს...“.[1]

ამ ბნელი სასახლის მთავარი ბინადარი იყო „დღეგრძელი მოხუცი“, ათასგვარი

[1] გალაკტიონ ტაბიძე, „დომინი“, თხზ, ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, თბ., 1988.

წამლის შეზავების და შელოცვის ოსტატი, „ფერმკრთალი ქალების“ გარემოცვით. ამ გრძნეული პიროვნების თანამდევი იყო „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება!.. რისხვა! ამხედრება!“

„განდეგილ ცხოვრებით დღეგრძელი მოხუცი ცხოვრობდა აქ ერთ დროს. ვინ იყო? სახელი არავინ იცოდა. ათასგვარ წამლით და შელოცვით ეძებდა ბედნიერ სამკვიდროს და მუდამ ფარული ღელვებით იწვოდა...

მის თვალწინ ქარივით დგებოდნენ ყოველღამ ფერმკრთალი ქალები, სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება! ისინი ტიროდნენ, ისინი რეკავდნენ თვალების რკალებით, რისხვა! ამხედრება!“

ძალზე საყურადღებო, მთავარი აქცენტის მატარებელი ფრაზაა „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება!“

წიგნი უფლის მეტაფორული სახელია. გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“ მისი ვარიაციებია: „უძველესი წიგნი, უახლესი წიგნი, წიგნი – სიცოცხლე, წიგნი – სინდისი, მშვიდობის წიგნი, წიგნი ცის და დედამიწის, ჩვენი წყვდიადის და განთიადის წიგნი, მარადის მანათობელი, ძვირფასზე ძვირფასი წიგნი, წიგნი – მხნეობა, წიგნი – საამო, წიგნი – სიმართლის მცველი, წიგნი – ვითარცა ასომთავრული“.

ასეთივე გაგებისაა პოეტის მარადიული წიგნი (საშველი ქვეყნად აღარ ყოფილა), ერთადერთი წიგნი (შემოდგომა), წიგნი ვედრებიანი (გვიანი ოცნება). პოეტი ჰპირდება სამშობლოს იმ უძველესი და უახლესი წიგნის დაცვას (მშობლიური ჩემო მიწავ).

გალაკტიონის შემოქმედებაში გვხვდება აგრეთვე „შავი წიგნი“ (ხელოვნება, მაგიდა ალემბიკებით), რომელიც სიკვდილის წიგნის იდენტურია. „წიგნი და ხმელი თავის ქალა“ (პორტრეტი) პოეზიისა და სიკვდილის დაპირისპირებას გულისხმობს ისევე, როგორც პოეტის მეორე წიგნის სახელწოდება: „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“.

გალაკტიონის საღვთო შინაარსის წიგნის წყაროდ გვესახება ესაია წინასწარმეტყველი, რომელიც ქრისტეს მოვლინებას აღიქვამს, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვების გახმიანებას: „იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები. გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნეთიდან გამოიხედავენ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29, 11, 18).

ანალოგიური გაგებისაა ნეტარი ავგუსტინეს „აღსარების“ მარადიული წიგნი: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“ („აღსარება“, 1995, გვ. 217).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უწოდა „სანუკველი წიგნი“, „დიადი წიგნი“ („ღვთაებრივი კომედია“, თბ., 1941, გვ. 383).

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“ ერის ყოველგვარი უბედურება ახსნილია „მშვიდობის წიგნის“ (ღმერთის) უარყოფით და მხოლოდ მასთან მიბრუნების შემდგომ ხდება საბედისწერო პრობლემების მოგვარება. პოეტების მეფე გვაფრთხილებს, რომ ჭეშმარიტი რწმენის უარყოფა და ორიენტირების არევა, კერპების გაიდეალება, სატანისტური სექტების წევრობა დაუსჯელად არ ჩაივლის: „ძველი წიგნების გვერდებს არეულს სდევს მხოლოდ წყევლა და შეჩვენება“ (ძველი წიგნების გვერდებს არეულს).

სანთელი, სანთელი ნათლისა სასულიერო პოეზიაში არის ღმერთის სიმბოლო.

„დომინოს“ მოხუცის ხვედრია „წყევლა, რისხვა, ამხედრება“, რაც მინიშნებაა ჭეშმარიტი ღმერთის დაკარგვით მოსალოდნელ საფრთხეზე. აშკარა ხდება, რომ „ათასგვარ წამლით და შელოცვით“ გატაცებული დღეგრძელი მოხუცი ერთ-ერთი „საკუთარი ნებით გაწინასწარმეტყველებული“ ის ცრუ წინასწარმეტყველ-მისანთა-განია, რომელსაც დასჯით ემუქრება ღმერთი ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში:

„.. ვაი ცრუ-წინასწარმეტყველთ, რომლებიც საკუთარ სულს მიჰყვებიან და არაფერი უხილავთ!“

„ნაოხარ ადგილებში რომ მელიები არიან, იმათ ჰგვანან შენი წინასწარმეტყველნი, ისრაელო!

„მათი ხილვები ფუჭია და მათი მისნობა სიცრუე. კი ამბობენ, უფალმა თქვაო, მაგრამ უფალს არ მოუვლენია ისინი. ირწმუნებიან, ახდებაო ჩვენი სიტყვა.

„რაკი ფუჭს ლაპარაკობთ და სიცრუეს ხედავთ, ამიტომაც, აჰა, თქვენი წინააღმდეგი ვარ, ამბობს უფალი ღმერთი.

„იქნება ჩემი ხელი ფუჭმხილველ წინასწარმეტყველთა და სიცრუის მისანთა წინააღმდეგ. ჩემი ერის საბჭოში არ იქნებიან ისინი, ისრაელის სახლის წიგნში არ ჩაიწერებიან და ისრაელის მიწაზე ვერ მივლენ.

„სწორედ იმის გამო, რომ აცდუნებენ ჩემს ერს, რომ ეუბნებიან, მშვიდობაო და არ არის მშვიდობა, ჩემი ხალხი კედელს აშენებს და, აჰა, ესენი კირით ლესავენ.

„უთხარით მლესავთ, ჩამოწვება-თქო თქვენი კედელი. წამოვა თავსხმა და, თქვენ, ყინულის ქვებო, ჩამოცვივდებით და ქარიშხალი ამოვარდება“ (ეზეკიელი, 13, 3,4,6,7,8,9).

„გრძნეული შემლოცველის“ ასეთივე გაფრთხილებაა ესაია წინასწარმეტყველთან: „გრძნეულ შემლოცველს დასჯის უფალი“.

„ცრუ სიბრძნის“ წინააღმდეგ ილაშქრებდა გალაკტიონი (პუშკინი პარიზში).

„დომინოს“ ლირიკული პერსონაჟი სულიერ საზრდოს ვერ ჰპოვებს გრძნეული მოხუცის ჯადოსნურ სახლში და იგონებს რწმენით გაჯერებულ წარსულს, მას მუდამ ახსოვს „ერთი შორი ოცნება.. ძველ მოტივიდან“ (გულო რა გემართება?).

პოეტი იტანჯება „საყვარელი აჩრდილების“ გაუჩინარებით, „საოცარი შენობისგან“ გაუცხოებული „იდუმალი დომინოს“ წყურვილით:

„აქ ხშირად ვხედავდი საყვარელ აჩრდილებს:
უეცარი გახელა, საოცარი შენობა,
როგორ მოვანდომინო.
მესმის უცხო სახელი, მტანჯავს მე უშენობა,
იდუმალო დომინო!“

შენობა და სასახლე მრავალნაირია გალაკტიონის პოეზიაში: „ყინულის სასახლეთა მუნჯნი გროვანი“ (შეხედეთ მიწა!), „მეფის სასახლე – სისაძაგლე“ (სულ მალე), სასახლე – აღფრთოვანების მონა (ათრობდა ხალხთა მწუხარება), უცნაური სასახლე, რომლისგან განშორება არყოფნის ტოლფარდია (უცნაური სასახლე), ლანდების სასახლე (საუბარი ედგარზე), სიყვარულის სასახლე (მოვა... მაგრამ როდის). არსებობს კიდევ სასურველი „სახლი-საუნჯე“ (მშვიდობის წიგნი). პოეტი არის მგოსანი ღმერთის და არა ამა ქვეყნის ძლიერთა, მიწიერ თავადთა მეხოტბე. ის მხოლოდ რწმენის, ღმერთის მონაა: „თუ მონა ხარ, მონა ისევ საკუთარი რწმენის“ (იდეა).

გალაკტიონის წიგნის ფურცლებში „დაჰქრის მისი სასახლის ლანდი“ (ღრუბლები ოქროს ამურებით), ანუ პოეტის წიგნში დავანებულია ღმერთის ლანდი ისევე, როგორც „მომავლის ჩრდილი“ (მიმღერე რამე). პოეტის მხატვრული ქმნილებების ძალმოსილებას გვაგრძნობინებს „ახალ-ახალი სასახლე“ (მაღალ მთაზედა).

„დომინოს“ სასახლის მოხუცი, „ათასგვარ წამალს და შელოცვას“ რომ მიმართავდა, ოკულტისტია, „გრძნეული შემლოცველი“ (ესაია), „სიცრუის მისანი“ (ეზეკიელი), რომელსაც ასდევნებია „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება“, იგი „რისხვას, ამხედრებას“ იმსახურებს.

პოეტს უეცრად „საოცარ შენობაში“ აეხილება თვალი, იტანჯება „იდუმალი დომინოს“ მონატრებით, ირგვლივ კი ნაირგვარი ნიღბები რიალებენ, თუმცა ვერ ჩრდილავენ უმთავრესს – უწინდელ, უდიადეს ცას:

„არაფერი ეშველა:
ნიღაბები წითელი, ნიღაბები ათასი!
მაგრამ მე მომეჩვენა ჩემი ცა უწინდელი,
უფრო უდიადესი“.

„ცა,ცათა ცა, სულიერი ცა, ცათა უვრცელესი, ცათა უმაღლესი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია“ (ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, გვ. 119-120).

ნიღბების კარნავალში „ჩვენი უწინდელი, უდიადესი ცის“ მოზმანება უფლის დედის მონატრების მიმანიშნებელია. გალაკტიონი ხედავდა „იქაურ ცას“ („იქაური ცა ფოთლით ქსოვილი“ – გობელენი), დარწმუნებული იყო, რომ „არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (გრძნობათა ფერფლი). „იქაური ცის“ ბრწყინვალებით ნეტარებდა ტერენტი გრანელი: „რა ბრწყინვალეა ცა იქაური“....

ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიას გამოხატავდა გალაკტიონი „დამწვარი ცის“, „გაცრეცილი და მტვრიანი ცის“, „დალეწილი ცის“, „დანგრეული ზეცის“ სახეებით.

გალაკტიონს ძიების პროცესში მრავალი ნიღაბი მოუსინჯავს, მაგრამ მხოლოდ სასურველის ნიღაბში გრძნობდა თავს დაცულად და, რაც უმთარესია, შეეძლო ნიღბის სულის გათავისება:

„ჩემი როლი ნიღაბით
იყო სული ნიღაბის“ (ბნელ ქიმერებში).

„დომინოში“ ძიება, ხედვის გამძაფრება იდეალის ხელების ლანდს აღბეჭდავს, ხოლო ცისარტყელების გამოჩენა სასიკეთო ფერისცვალების მაცნედ ისახება: „ლანდად ჩანდა ხელები და გეძებდი თვალებით. დაღალული თვალებით! რეკდნენ ცისარტყელები ფერის ჩუმი ცვალებით და მძაფრი გამალებით“.

„ცისარტყელა, ირისე“ ხან იესოს, ხან მარიამის სიმბოლური სახელია.

უფალს ლოცვა-ვედრება აღევლინება („წმინდაო, დამიცევ“), რათა განარიდოს იმ დაწყევლილ, საშიშარ, სამარისმაგვარ სახლს, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი მოაქვს.

„ქალთა ხმაში ფარული, ყვავილების სუროთი, თოვლის ფერ-უმარილი, გაფითრების სურათი და თვალების წყვდიადი და სიცილის ფერება – როგორც ყრუ ბაიათი – ფიფქით დამემტერება“.

„თვალების წყვდიადი“ ბოროტებას შეგვაგრძნობინებს, იგი „ყრუ ბაიათის“, „ფიფქით მტრობის“... კონტექსტში ჯდება. „იდუმალი დომინო“ კი სინათლის მომ-

ფენია, განსხვავებით „შავი იდუმალებისაგან“, „ფარდების შრიალში“ რომ გვხვდება.

„თოვლის ფერ-უმარილი“ გაფითრებას მოასწავებს, ლექსის ლირიკულ გმირს აძრწუნებს აღმოსავლური „ყრუ ბაიათი“, „თოვლის ფერუმარილი“ და „ფიფქით მტრობა“, დეტალებით მინიშნებაა არსებითზე – თოვლიან სამყაროზე, რომელიც ცდილობდა დაევიწყებინა ჩვენი „უდიადესი ცა“ და „იდუმალი დომინო“. პირველი სახე („თოვლის ფერუმარილი“, „ფიფქით მტრობა“) ქარაგმაა თოვლიან-ყინულიანი იმპერიისა, რომელიც ანგრევდა რწმენის სასახლეს და ყინულის, სიცარიელის, სიკვდილის სახლში გვეპატიჟებოდა. „ყრუ ბაიათი“ ანუ ჩვენი აღმოსავლური, ისტორიული მტრის ცრუ რელიგიაც ისევე ღუპავდა სულს, როგორც ყინულოვანი სამეფოს ათეისტთა ურწმუნოება.

ლექსი 1916 წლით თარიღდება. ესაა მარქსიზმის, სოციალ-დემოკრატიის უღმერთობის, ათეისტური სატანიზმის ზეიმის პერიოდი. პოეტი ხედავდა მის შავბნელ ძალას და ღმერთს („წმინდას“) ევედრებოდა ჩვენს სულთან წილნაყარი „უწინდელი, უდიადესი ცის“ ძალმოსილებისათვის შეეწყო ხელი.

„დომინოში“ თუ წყევლას, „რისხვას, ამხედრებას“ იმსახურებენ საშიშარი სასახლე და მისი ბინადარნი, პოეტი მიესალმება „საოცარ შენობაში“ ზამბახის პრინცესის – – (მარიამის) ხელების თითების გაელვებას, „დაჩრდილულ ბეჭედს“, ამასთან, ამ გამყინველი სამეფოს სიახლოვის მიუხედავად, პოეტის არსება დიდების სადგურია: „ოჰ, ვიცი: სიცივიდან ტერფამდე ვარ დიდება!“

დანტე ევედრებოდა უზენაესს: „დიდების შენის ნატვიფარი მომადლე ჩემს სულს“ (ღვთაებრივი კომედია, გვ. 411).

ღვთისმეტყველებაში სულიწმინდის ღმერთებზე საუბრისას მუდამ აღნიშნავენ მის დიდებას და მზეებრ ბრწყინვალებას. პავლე მოციქულისთვის იგი არის სული დიდებისა: „რამეთუ დიდებისაი იგი და ღმერთისაი სული თქუენ ზედა განსვენებულ არს“ .

გალაკტიონი, როგორც სულიწმინდის მადლით ცხებული, დიდების თანხლებით მიისწრაფის პარნასისკენ:

„მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში,
დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა“.

„დიადი დიდების“ თანხლების განცდა ახლავს სტრიქონებს:

„შენ გელის დაფნა,
შენ დიადი დიდება გელის“.

„დომინოში“ საშიშართა საკრებულოს განერიდა პოეტი, კანკელი აღიმართა, „მასთან“ „არდარიდება“ ირჩია, „ალებით“ (ცეცხლით) მიეახლა „იდუმალ დომინოს“. „თითების გრძელ ზამბახებზე“ „დაჩრდილული ბეჭედი“ იხილა, ჯერ მხოლოდ კონტურები ისახებოდა სასურველის:

„მასთან ალებს მივიტან,
ვეტყვი... არდარიდება!
ვიცი, ფრთასაც ვერ ახებს იდუმალად ბეჯითი,
თითების გრძელ ზამბახებს დაჩრდილული ბეჭედი“.

ბეჭედი, ზეცის ბეჭედი მარიამ ღვთისმშობელია საღვთისმშობლო სიმბოლიკის მიხედვით .

გალაკტიონის ლექსში ეს სიმბოლური ბეჭედი „დაჩრდილულია“. მასში ლანდივით ჩანს „მოლები“, „მოტეხილი ზაფხული“, რაც „ოხვრის პაროლებს“ უხმობს:

„ლანდივით მაქვს ნახული
ბეჭდის თვალში მოლები,
მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები“.

ერთ ლექსში პოეტი „სწუხს ნაზი ფრჩხილების გრძელ ზამბახებს, სწუხს სხვაგვარ ცრემლებს, თეთრ ბეჭდების თვალებს – შიშველს, თეთრ ყვავილს“ (სამრეკლო უდაბნოში).

„თეთრი ბეჭედი“ მარიამის სახელია, თვალი, ყვავილი – ქრისტესი, საღვთო სახისმეტყველების კვალობაზე. „შიშველი ყვავილი“ რწმენის დამდაბლებაზე მიანიშნებს. ლექსში „ხელები“ არის „დამსხვრეული ბეჭდების“ სახე. სხვაგან ერთ პერსონაჟს სურს მადონას (მარიამის) ხელების ამბორი და „არაქაური სუნთქვის“ განცდა: „ბაგით შეეხო მადონას ხელებს და იგრძნო სუნთქვა არაქაური“ (ჩვენი დღის ამბებს).

ქარში დაკარგული ბეჭდის სახე უბედობის რექვიემია ლექსში „მერი“.

ამასთან, გალაკტიონს ჰქონდა „საკუთარი ბეჭდით მოჭრილი“ ოქრო, ანუ შეუდარებელი პოეტური ქმნილებები. ეპითეტები – „დაჩრდილული“, „დამსხვრეული“ ანარეკლია რეალური ვითარების, როცა რელიგიური სახეები, რწმენა იყო იგნორირებული. ვარდის ცვრიანი ბეჭედი, ლოცვები, სამება, ყვავილები, ცა, საუკუნო გამოსალმება (რწმენასთან), დემონის გამოჩენა და „შეეჭვება“ ღრმა, მნიშვნელოვანი სათქმელის გამჟღავნებაა ანალოგიური პარადიგმებით:

„საღამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან
და გაოცების მწუხარებას მასთან მიიტან.
თითქოს ბეჭდებზე დაგეყრება ვარდების ცვარი
და სურნელებით აივსება შენი ლოცვანი.
და მხოლოდ ღამით იგრძნობს სული, როგორც სამებას:
ყვავილებს და ცას, საუკუნო გამოსალმებას!
მოგონებები ელვარებენ ისევ ბეჭდებად,
მოვა დემონი, დაფიქრდება და შეეჭვდება
და სავანისგან სიზმარივით მიაქვს ღამის ქარს
მხევალთ გალობა: შეიბრალეთ, იგი წმინდა არს!“

(საღამოვ, ვიცი).

ბეჭდებზე დაყრილი ვარდების ცვარი ქრისტეს გაგვახსენებს.

მივმართოთ ბიბლიას: „ვიქნები ცვარი ისრაელისათვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 14, 6) .

საღვთო სიმბოლიკაში ვარდი ხან ქრისტეს, ხან მარიამს მიემართება. ბეჭედი ღვინოსთანაც მოიაზრება: „ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები“ (პუშკინი პარიზში). ამ ფრაზაში ბეჭდის ადრესატი მარიამია, ღვინისა – ქრისტე. რელიგიური შინაარსის ღვინის, ძველი ღვინის წყარო შეიძლება მოვიძიოთ ბიბლიაში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია 25, 6) .

საანალიზო ლექსის „ზაფხული“ ქრისტეს სახელია ფსალმუნიდან:

„გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65, 12) .

ზევით ბეჭდის ეპითეტი იყო „დაჩრდლული“. ზაფხულის მსაზღვრელია „მოტეხილი“. „დაჩრდილული“, „მოტეხილი“ უნდა ნიშნავდეს უგულებელყოფილს, დავიწყებისათვის განწირულს, ანუ რწმენის იგნორირებაზეა აქცენტი. ასეთი იყო რეალო-

ბა. გალაკტიონი თავგადაკლული ეძებდა თავის სათაყვანო დედა-ძეს, მას მუდამ „რწმენის ტახტი“ ედგა. სხვაგან ბეჭედი (მარიამი) გალაკტიონმა მოიაზრა ვარდის ცვრის, ღვინის სახეებთან, ანუ ისევ და ისევ რელიგიურ კონტექსტებში.

უფრო რთული და ამოუცნობი სახეა ბეჭდის თვალში ლანდივით დანახული „მოლები“.

ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ „ოდისეაში“ ქვესკნელად შთასვლისათვის იყენებდენ ჯადოსნურ ბალახს, მოლის, რომელსაც ოდისევსს აძლევს კირკე, კოლხეთის მეფის ასული. „ვეფხისტყაოსანშიც“ ფატმანის გრძნეული მონა მოლს წამოისხამს და მიდის ქაჯეთში. ე.ი. მოლი ისეთი ბალახია, რომელიც ეხმარება ადამიანს ინიციაციაში... „ვეფხისტყაოსნის“ გმირები – ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი მოლით კი არ გადიან ინიციაციას, არამედ იარაღის ძალით. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის მოლი ინიციაციის არაკანონზომიერი გზაა, ვინაიდან მას იყენებს გრძნეული ზანგი, შავი მაგიის მიმდევარი, თანაც ფატმანის მონა. თვით სიტყვა „მოლი“, როგორც ჩანს, უძველესი ქართული სიტყვაა, თანაც მისი გამოყენება კოლხეთის მეფის ასულის მიერ უნდა მიუთითებდეს ანტიური ინიციაციის ინსტიტუტის კოლხურ წარმოშობაზე, რასაც აღნიშნავს ო. ნეერახერიც“ („ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991, გვ. 126).

ნანა კუციას მიხედვით, მოლები ყვავილია ხალხურ პოეზიაში: „ქალსა ვისმე ერქვა შროშანი, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედი. ბეჭდის თვალსა მოლი მოსულა“. ნანა კუცია იმოწმებს ასევე რისმაგ გორდეზიანს: „ოდისეას“ მიხედვით, მოლი ღმერთების ენაში არსებული სიტყვაა. ჰომეროსის განმარტებით, ეს არის შავი ძირისა და რძის მსგავს ყვავილთა მქონე მცენარე კირკეს კუნძულ აიეზე... „მოლი იხმარება ყოველგვარი თარგმანის გარეშე“. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ვარაუდობს: „იქნებ რძის მსგავს ყვავილთა მქონე მცენარეში შროშანი იგულისხმება, ღვთისმშობლის ყვავილი?“ ერთურთს თანხვდება თითქოს ხალხური პოეზიის, ჰომეროსისა და გალაკტიონის პარადიგმები“ (ნანა კუცია, გალაკტიონის „დომინო“, ლიტერატურული წერილები, თბ., 2005, გვ. 93).

ყვავილების სახელია ხალხურში ნუგეში (გალაკტიონთანაც – „პირველ თაველებს“ – ქრისტესისხლა, მარიამულა). გალაკტიონის „მოლების“ შინაარსს რომ უფრო მივუახლოვდეთ, გავიხსენოთ ისიც, რომ მოლები არიან მაჰმადიანთა სასულიერო პირები. ერთგან პოეტი წერს:

„და იგონებდნენ მოლებს, როგორც დაწყევლილ სინდისს.
იდგა გაშიშის სევდა, მწარე ნისლივით ვრცელი,
მას ბურუსებზე ხვევდა თეთრი ობობას ქსელი“
(სად დასასრული იყო).

სულხან-საბა ორბელიანის მიერ გაიგივებულია „მუყრნი“ და მოლა: „მუყრი – მაჰმადიანთა მოლა“. „ვეფხისტყაოსანში“ გულწასული ტარიელის მოსასულიერებლად მოსული მაჰმადიანთა სასულიერო პირები ირონიულად არიან მოხსენებულნი:

„სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან,
მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან,
მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან...“ .

„დომინოში“ მოლი კი არა, მოლებია, ეს მრავლობითის ფორმა კი მოლიდანაც მიიღება და მოლადანაც. რაკი ზევით „ბაიათია“ (აღმოსავლური), იქნებ აქ „მოლაა“ და არა მოლი? და თუ „მოლია“, კირკეს ჯადოსნური ბალახი თუ ყვავილი, ისევ იმ

„დღეგრძელი მოხუცის“, ათასგვარი წამლისა და შელოცვის ოსტატისათვის საჭირო გრძნეულების საშუალებაა, რომელიც ცდილობს „დაჩრდილოს“ ბეჭედი – მარიამი. მითუფრო, მერე ირკვევა, რომ ზაფხულიც (ძველი ქართულით გაზაფხული – საღვთო შინაარსის სახელი) „მოტეხილია“.

უთუოდ კავშირშია ეს ჯადოსნური მოლი ამ „ცრუ მისანის“, „ცრუ წინასწარმეტყველის“ სატანურ საქმიანობასთან, რომლითაც ცდილობს იდუმალი „დომინოს“ გაუჩინარებას, ბეჭდის დაჩრდილვას, ზაფხულის იგნორირებას.

გალაკტიონი სხვაგანაც „წუხს“ „თეთრ ბეჭდების თვლებს“ (სამრეკლო უდაბნოში), გაზაფხულის გაქრობას: „რა ადრე გაქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი“ (ელეგია), „გაზაფხულისა გაჰქრა მშვენება და მიეფარა ნისლს სიზმარეულს“ (ძველი წიგნების გვერდებს არეულს).

„დომინოში“ „თეთრი კვამლია“ ქვეგამხედვარი ყინულოვანი მეზობლის თუ პირსისხლიანი ახლო აღმოსავლეთის ზღაპრების და ბაიათების... ანუ ორი უკიდურესობა. პოეტის გულმხურვალე ლოცვით უჩინარდებიან „ბედნიერ სამკვიდროს“ ამაოდ მაძებარ მზაკვართა აჩრდილები... ბოლოს მაინც კანკელი აღიმართება დიდი წვალების, ძიების, მონატრების შემდეგ, დიდი ძალისხმევის შედეგად. პოეტს ახსოვს განუკითხაობის პერიოდის „ცა უკანკელო“ (სად იყო სმენა და გაგონება), მსოფლიო ომის დროს ძირს დაგდებული კანკელი, ჩამავალი მზე, ღრიანკელი, ცისარტყელები:

„ეგდო კიბეზე ოქროს კანკელი,
ჩამავალი მზე ლურჯი ხელებით და ღრიანკელი,
ცად მიმავალი ცისარტყელებით“
(ქარი, მსოფლიო ომის მაუწყებელი).

რწმენის ზეობისას მოჩანს „თვალებაშკარა ცეცხლის კანკელი“ (დაბრუნდა გრძნობა და სისადავე). „დომინოში“ გაცუდდა „ყრუ ბაიათი“, ფიფქით მტრობა. გრძნეული მოხუცის საშიშარი, სიკვდილის მომტანი სასახლიდან ლირიკულმა პერსონაჟმა „საოცარ შენობაში“ გადაინაცვლა და გამოჩნდა დომინო, ლოცვა-ვედრებით მიღწეულ იქნა მიზანი. ნანა კუციას აზრით, დომინო არის მარიამი. მკვლევარი ეყრდნობა განმარტებით ბიბლიას, რომლის მიხედვით, მარიამი ბერძნულად არის მარია, არამეულად – მარიამი, იერონიმეს მიხედვით კი იგი ნიშნავს დომინას.

დომენ, დომენიკო გვხვდება დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“: „დომენიკო... მებაღეა იგი ქრისტესი, სოფლად მოსული უფლის ბაღის მოსაშენებლად“.

გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ დომენიკო უძღები შვილია, მამასთან (ღმერთთან) მუდმივ კონტაქტში მყოფი.

გალაკტიონ ტაბიძე აფიქსირებდა, რომ ათეისტურ პერიოდში ახალი ერესი მკვიდრდებოდა: „ეპოქა ისვრის ახალ ერესებს“. ვფიქრობთ, პოეტების მეფის დომინო არის ერესის დასათრგუნავად, მიწაზე უფლის ვენახის მოსაშენებლად მოსული პირი, რომლის მოვლინებასაც ნატრობდა „დომინოს“ ავტორი. დომინო ფაქტობრივად პოეტის მეორე მეა, იდუმალი მეორე სახე, რომელიც გაერთსულდება მისი უფლის წყურვილით სავსე პიროვნებასთან, ხოლო ვიდრე ეს მოხდება, იგი იტანჯება უზენაესთან შერწყმის სურვილით.

გალაკტიონისათვის უცხო იყო „ამაოდ შექმნილ ციურ სულთან მხურვალე ლოცვა და ქვეყნიურად შექმნილ კერპთან მწარე შეცდომა“ (სანამ შორს იყავ).

„მომავლის ღრმა სიბრძნით თვალნახელი“ პოეტი ქმნიდა არა მუხამბაზებს, არა აღმოსავლურ ბაიათებს ან რომანსეროებს, არამედ დარდის, სიკვდილის დამმარ-

ცხებელ საღვთო ჰანგებს, სამოთხის ხმებს, ცხოვრების ზღვაზე გადამყვან ფრთიან სიმღერებს:

„გევედრები, გამაგონე, ის სიმღერა, მე რომ მიყვარს,
ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“
(ოდეს მძიმე რამე დარდი).

გალაკტიონი უპირატესობას ანიჭებდა „სიყვარულის სიმღერას“:

„გულში ჟღერს რა ხანია,
სიყვარულის სიმღერა,
როგორც ერთადერთი ხსნა,
ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი).

სიყვარული ღმერთია: „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8).

პოეტის გულში ერთი ღმერთის სიყვარული ხმიანობდა:

„...შენს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი,
როს დაგშორდები – ვარ მე ზედმეტი,
საშინელება და ჯოჯოხეთი“ (არ გაპატივა).

გალაკტიონის „დომინო“ არის პოეტის უკიდეგანო სულის ოდისეა სამარესავით დაწყევლილი საშიშარი სახლიდან „საოცარი შენობისკენ“, უწინდელი უდიადესი ცისკენ, ძებნა, ძიება, ხეტიალი სულის უხილავ ლაბირინთებში. პოეტმა, ეპოქის ერესის მიუხედავად, იპოვა თავისი წმინდა ქრისტიანული ორეული. პოეტი აქ არის არა „მე“ არამედ „ის“. მეორე თუ მესამე პირით საკუთარი არსების წარმოჩენა საერთოდ ახასიათებდა პოეტს: „შენ, გალაკტიონ, იცი“, „ვიცან, გალაკტიონ შენში აქტეონი“. „ეპოქის გედი ოცნებას მღერის გაბედითებით“, „ის მღერის, როგორც დარის დარება“, „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“...

პოეტს წუხილით ავსებდა ის, რომ „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“. სამაგიეროდ, იყო „ვალალება გრძნობათ დამხობის“ (ის). მაგრამ, ეპოქალური კატაკლიზმების მიუხედავად, მის ლექსებში გამუდმებით ჟღერდა ციური სიმფონია, „სიხარულის უვერტიურა“, რაც ლოცვასავით ამაღლებული და დიადია.

„რატომ არავინ იყო, როცა მოვედი, როცა ვიძახდი და არავინ იყო პასუხის გამცემი?“ – კითხულობდა წინასწარმეტყველი ესაია.

წინასწარმეტყველის დარად, გალაკტიონსაც იგივე პრობლემა აწუხებდა: „როდესაც მე მოველ, არავინ არ ჩანდა“ (მე მოვალ).

პოეტის „მწუხარე, სპეტაკი წიგნით“ ცოცხლდებოდა „იმედთა მდელო“, ისმოდა „ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი“.

გამოცხადების მიხედვით, მექნარეთა ხმის, ახალი საგალობლის შესწავლა მხოლოდ წაუბილწავთ, ღმერთისგან გამოსყიდულთ ხელეწიფებათ, რომელთაც განგებამ დააკისრა „უკვე გამქრალი ალის“ ანთება, დაკარგული გრძნობის მოძიება, „დამარხული იმედის გაცოცხლება, „აღდგომის კვალის“ მიგნება (ახალი წელი).

„დომინოში“ ქრისტეს სიმბოლოებია: სანთელი, წიგნი, ზაფხული. მარიამის სახეხატებია: უდიადესი ცა, ცა, ხელები, თითების გრძელი ზამბახები, ბეჭედი.

საანალიზო ლექსში გალაკტიონის პიროვნება გაცხადდა, როგორც „ქრისტეს სხივებით შემოსილი მცენარეულის“ (დანტეს ფრაზაა), ზეციური ვარდების, ალვის ხის „შემოშენებით“ (გალაკტიონის ფრაზაა) გატაცებული, უფლისაგან კურთხეული მებაღე, ანუ დომინო.

„დომინო“ პოეტის მიერ საკუთარი ზეციური მისიის, უფლის ერთგული მსახუ-

რების შეგრძნობა-გაცნობიერებაა ორიგინალური პოეტური ხერხებით და, ამდენად, ეპოქის ყველაზე მწვავე პრობლემის დასმა-გადაჭრაა სულიერი ინდივიდუალობის მაუწყებელი სახე-ხატებით, ანუ თვით პოეტს რომ დავესესხოთ, „ესაა გრძნობა კვლავ სიყვარულთა, გადაქცეული სხვისთვის ჭაობად“...

„დომინო“ მუდამ იწვევდა მკითხველ-სპეციალისტთა ინტერესს.

ირაკლი კენჭოშვილი გალაკტიონის „დომინოში“ ანდრეი ბელის „მასკარადის“ გავლენას ხედავს (ირაკლი კენჭოშვილი, გალაკტიონის სამყაროში, თბ., 1999, გვ. 133). ზეინებ სარია ეთანხმება ამ მოსაზრებას: „ეს ლექსი მართლაც იწვევს ანდრეი ბელის „მასკარადის ასოციაციას“. მკვლევარი ასევე ეძებს პარალელებს ალექსანდრე ბლოკის რკალებთან: „Маска“ და „Снежная маска“, სადაც „ქალი, ვნება და ქარის სტიქია განუყოფელია“. ზეინაბ სარია იმოწმებს ბლოკის ლექსების ციკლს „Пляский смерти“ – იმის გამო, რომ მასში არის აჩრდილთა მოტივი, სიკვდილის თემასთან გაშინაურება და გაუცნაურებული გარემო. „ბელის ლექსს ერთვის რეფრენად ტაეპი: „Маска смерти“, „черное домино“. „გალაკტიონთან დომინო შეიძლება მოთამაშე ბედისწერის სიმბოლო იყოს“, – ასკვნის ზეინაბ სარია (გალაკტიონის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო-პუბლიცისტური ლირიკა, თბ., 2003, გვ. 132).

სოსო სიგუა ეხება წითელი დომინოს სახეს, რომელიც შიშისმომგვრელია და გვხვდება ანდრეი ბელის რომან „პეტერბურგში“. ეს იგივე ნიკოლაი აბლეუხოვია, სენატორის ვაჟი, რომელმაც მასკარადზე საიდუმლო ბარათი წაიკითხა. მან პენსნეს გაკეთებისას ნიღაბი აიწია და ყველას თვალწინ გამოჩნდა ნიღაბახდილი, შიშისმომგვრელი დომინო. ეს შემთხვევა სკანდალით დასრულდა.

ედგარ პოს „წითელი ნიღაბის სიკვდილში“ წითელი მასხარას ნიღაბია. „გალაკტიონს „პეტერბურგი“ წაკითხული არ ჰქონდა, როცა „დომინო“ დაწერა, ასე რომ, სოსო სიგუა გამორიცხავს ანდრეი ბელისა და, მით უმეტს, ედგარ პოს ქართველ პოეტზე გავლენის მომენტს (სოსო სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002, გვ. 215).

გალაკტიონის „დომინო“ განსხვავებულია ალექსანდრე ბლოკის, ანდრეი ბელის, ედგარ პოს დომინოსაგან, იგი უფრო დანტეს დომენიკოს უახლოვდება. ჩვენი შეხედულებით, დომინო არის გალაკტიონის შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის – ღმერთის ძიების, მისი პოვნისა და ქრისტიანული რწმენის შეუბღალავად დაცვა-შენახვის იდეის მხატვრული ხორცშესხმა განუმეორებელი სახე-სიმბოლოებით.

„მშვიდობის წიგნის“ პრობლემატიკა და სახეები

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში განუმეორებელი მხატვრული სახეებით განცდილია სამშობლოს წარსული და აწმყო, განჭვრეტილია მომავალი.

ნამდვილი გალაკტიონი არ ყოფილა რიტორიკის, მჭევრმეტყველების, სწორხაზოვნების, ერთსახოვნების მომხრე, თავის შედევრებში იგი ყოველთვის „ფიქრგანდობილია“, მის უმთავრეს სათქმელს მშვენების რიდე, მშვენების ჩადრი, ოცნების

მანდილი მოსავს და ლოკალური – გლობალურს, ეროვნული – საკაცობრიოს, მცირედი – უდიდესს ერწყმის.

პოეტმა სიმბოლური ფორმით გასცა პასუხი ყველა იმ მტკივნეულ კითხვას, რაც დასაბამიდან აწამებდა ქართველ ერს. განსაკუთრებით კი აინტერესებდა „ეს საუკუნე“, „საუკუნე მეფისტოფელი“, რევოლუციის მონაპოვართა შეფასება, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია 1921 წლის 25 თებერვალს, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, 1937 წლის რეპრესიები, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია.

შემთხვევით არ ჩნდება მის შემოქმედებაში წითელი გზა, წითელი და უნდობარი ქარი, შავი გულისნადებით სავსე სულიერი ქარი, ჩრდილოეთით მოსული ქაჯი, სიცივის მძევალი, იანვრის თოვლი, შავი სატანა, ცალთვალა მეფისტოფელი, ბნელ-ცოდვილი ლიუციფერი, თებერვლის ქარი, აგვისტოს სიცხე, დამსხვრეული რწმენის გემი, სისხლიანი ანგელოზი.

გალაკტიონი უმთავრესად სიმბოლურად გაიაზრებს თავის სათქმელს და აწამებს შეუცნობლობის სევდა, თავისი „გაუგებარი გენია“ და ეს გრძნობა თავს იჩენს პოემა „მშვიდობის წიგნშიც“: „გაიგეს განა ბედით ჩაგრული ყოფნით რაგვარად მტკიოდა გული? ის სილაჟვარდე, ის ია-ვარდი, თუნდაც ის დარდი და სიყვარული?“ (1,158).

ამ კონტექსტში არც „ყოფნა“, არც „ია-ვარდი“ და „სიყვარული“ გაიგება ტრადიციული ერთმნიშვნელოვნებით. ისინი საღმრთო სახელებია. პოეტმა ლეგენდა-პოემა უწოდა ნაწარმოებს და ამით გაექცა ცენზურის რისხვას, მაგრამ 1945-1956 წლებში გალაკტიონის გენიის გაფურჩქვნის ზენიტში დაწერილი შედევრი მაინც ვერ გაიგო მკითხველმა, რამაც უდიდესი ტკივილით შეძრა საუკუნის იშვიათი შემოქმედი (იხ. ამაზე ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონი“, თბ.,1982წ.).

უფრო მოგვიანებით, 70-იან წლებში, პოემის იდეას ასე ჩასწვდა რევაზ თვარაძე: „მშვიდობის წიგნი“ გააზრებულია, როგორც ერის წარსულის პანორამა მის მთლიანობაში. წინა პლანზეა ხალხი, რომელმაც თვით უნდა მოუაროს თავის სატკივარს, მიაკვლიოს ჟამთა სიავის გამო დაკარგულ თავის არსებას, მეს, საკუთარ სულს“ (2,221).

დაახლოებით ასე გაიგო პრობლემა პოეტმა მურმან ჯგუბურიამ („მშვიდობის წიგნი“) (3,4).

ვფიქრობთ, პოემის ჩანაფიქრის უმთავრეს გასაღებს წარმოადგენს რევაზ მიშველაძის მრავლისმეტყველი განაცხადი: „ერთი რამ უდავოა: გალაკტიონის ეპიკურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს „მშვიდობის წიგნი“, რწმენის დიდი სათავე“ (4,61).

სწორედ რწმენაა გალაკტიონის შემოქმედებაში ყველაფრის „სათავე“.

პოემაში, წარსულთან ერთად, არის პოეტის თანამედროვე დროის ლოკალიც. შემთხვევითი არ არის ასეთი განაცხადი: „ო, როგორ გვივლის ეს საუკუნე“ (1,268).

„მშვიდობის წიგნი“ დღესაც იმდენად აქტუალურია და ისე თანამედროვედ ჟღერს, თითქოს სწორედ დღევანდელი პრობლემებისთვის იყოს დაწერილი. ნაწარმოებში ის ეროვნული უბედურებებია აღწერილი, რაც მეოცე საუკუნემ მოიტანა. პოემა სიმბოლურია, იგი სავსეა ეროვნულ იდეალებთან, ავტორის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული საოცარი მეტაფორებით.

„მშვიდობის წიგნი“ პოეტების მეფის თანამედროვე ეპოქის ტრაგედიებს ასახავს, რაც გამოიხატა კომუნისტების მიერ ღმერთის უარყოფაში, სინდისის, სიკეთის, სიმართლის გათელვაში, სისხლიან რეპრესიებში, უღმერთო საუკუნის გამა-

ნადგურებელ კატაკლიზმებში. მასში ეროვნულის პარალელურად, მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებია განჭვრეტილი.

ნაწარმოები ერის მიერ ღმერთის დაკარგვის, სულის გაუფასურების, სალოცავი ტრიადის – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – უგულებელყოფის, დემოგრაფიული და ტერიტორიული პრობლემების მივიწყების, ზნეობრივი გადაგვარების, სატანის მეუფების ავადსახსენებელი წლების „მონაპოვართა“ შეჯამებაა, რაც ხალხის საუკეთესო შვილების გამოღვიძებით, ღმერთის ხელახალი ძიებისა და პოვნის ბედნიერებით მთავრდება.

„მშვიდობის წიგნი“ ერის სულის გაპარტახების და, ამასთან, საკუთარი ეროვნული საზრისის მიგნების ვრცელი და განუმეორებელი ოდისეაა. ეს არის გალაკტიონის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური თემა.

პოემაში არის „წინანდელი იმედების“ დაღუპვაც, ქართული მიწის და ცის ნამცეცის მითვისების, ჩვენს „ტურფა სამოსახლოზე“ ვეფხვის გაბატონების სურვილი, სახლების ნგრევა, აურაცხელი მსხვერპლი, ჩვენი ხალხის აკლების მცდელობაც.

ყოველგვარი უბედურება დაიწყო ღმერთის უარყოფით, სალოცავი ტრიადის – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ღალატით. ღმერთს კი სატანა შეენაცვლა, რასაც მოჰყვა „სულის ჩაკვლა“, გრიგოლ რობაქიძეს რომ დავესესხოთ, ეს პროცესი ევროპაში ფრიდრიხ ნიცშეს სახელს უკავშირდება, შემდეგ კომუნისტებმა ბოლომდე მიიყვანეს რუსეთში, რაც კოსმიური მასშტაბის უბედურების მომტანი გახდა. მაგრამ მერე უდიდესი ნოსტალგია გაჩნდა დაკარგულის გამო და, საბოლოოდ, ხალხი ისევ მიუბრუნდა რწმენას, მიაგნო ეროვნულ იდეალებს. აი, ეს იწინასწარმეტყველა გალაკტიონმა გენიალური ინტუიციით.

„მშვიდობის წიგნი“, რომელიც ქაჯებმა გაიტაცეს, ქრისტიანული ღმერთის სიმბოლური სახეა. ჯერ ამ სიმბოლოს საღმრთო სახელად გაგების წინარე ტრადიციებს გადავავლოთ თვალი.

იოანე ღვთისმეტყველების გამოცხადების მიხედვით, უფალი არის „შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი“: „და ვიხილე მარჯუენით მჯდომარესა მის საყდრისა ზედა წიგნი, დაწერილი შიგან და გარეგან, დაბეჭდილი ბეჭდითა შვიდითა“ (5,1) (5,496).

ნეტარი ავგუსტინე ამბობს „აღსარებაში“: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“ (6,217).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უწოდა „სანუკველი წიგნი“, „დიადი წიგნი“ (7,383).

ესაია წინასწარმეტყველის მიხედვით, მამაღმერთი არის „დაბეჭდილი წიგნი“, ძე ღმერთი სიტყვა (29,10) (8,94).

პოემის სახელწოდების წყაროა აგრეთვე ახალი აღთქმა. სახარებაში ქრისტე მშვიდობისმოყვარეებს ღმერთის ძეებს უწოდებს („ნეტარ არიან მშვიდობისმოყვარენი, ვინაიდან ისინი ღმერთის ძეებად იწოდებიან“ – მათეს სახარება), გამომშვიდობებისას კი მშვიდობას უსურვებს („მშვიდობაი თქუენ თანა“ – იოანე, 624, 15).

პავლე მოციქულის თქმით, ქრისტე არის „მშვიდობის ღმერთი“ (II კორინთელთა, თავი 3, II).

ქართულ სასულიერო პოეზიაში ქრისტე არის „ცუარი მშვიდობისა“ (ტიტე მოსია).

დანტემ სამოთხეს უწოდა „საბრძანისი სიხარულის და მშვიდობისა“.

გალაკტიონის პოეზიაში უმაღლეს ცას ავსებს „მშვიდობის რიტმი“, ანუ უზენაე-

სი: „მიწა, ცა, ერთი და იგივეა! ზეცა სავსეა მშვიდობის რიტმით“ (მშვიდობიანი).

„სინათლის სიწმინდესთან“ მოაზრებული მშვიდობაც საღმრთო გაგებისაა გალაკტიონის პოეზიაში: „სინათლის სიწმინდეს ვარდებად გვიწვდიდე, იდიდე, მშვიდობავ, იდიდე!“

გალაკტიონი დარწმუნებული იყო მშვიდობის გზისა და მშვიდობის წიგნად გაგებული ღმერთის მარადიულობაში: „მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

„მშვიდობის წიგნში“ უსაზღვროდ არის გამრავალფეროვნებული წიგნის მიხედვით შექმნილი საღმრთო სახელები: „წყვდიადის და განთიადის მანათობელი წიგნი, წიგნი – სიცოცხლე, წიგნი – სინდისი, ძვირფასზე ძვირფასი წიგნი, წრფელი, ფაქიზი წიგნი, სიმართლის მცველი წიგნი, წიგნი საამო, წიგნი წმინდა, წიგნი საერთო, ძველი წიგნი, ძველისძველი წიგნი, წიგნი – ძველი განძი, წიგნი ფერების ასხვაფერების, უბედურების, ბედნიერების, წიგნი ძველი და წიგნი ახალი, წიგნი, აღსავსე მზიურ მხნეობით, წიგნი, ვითარცა ასომთავრული, წიგნთ სიოქროე, მშვენიერი წიგნი, წიგნი გრძნეული, წიგნი – ქარვა, წიგნი ნუგეში, წიგნი ხსნის საწუთროის, ყოველ დროების უშიშროების და მყუდროების წიგნი, მშვიდობის მცველი წიგნი, ნუგეშისმცემელი წიგნი, წიგნი ცის და დედამიწის, სიცოცხლის მთოველი წიგნი“.

საღმრთო სახელად გაგებულ წიგნს ენაცვლება ქრისტიანული ღმერთის შემდეგი კანონიკური სიმბოლოები, გალაკტიონის მიერ ახალი ნიუანსებით გააზრებული: „ვარსკვლავი, მზე გაზაფხულის, მზე იშვიათი, მზე დიადი, მარადის მზე, სხვა მზე, ზესთაზეს მზე, მზის სიხარული, მშვიდობის მზე, მზის სვეტი, წმინდა მზე შინაგანი, მზის სამოსი, სულის მზე, კეთილი მზე, სხივი წრფელი, ხანგრძლივი, ცისკარი, განთიადი, შუქი იმედის, იმედთ კანდელი, სიხარული“.

გზის საღმრთო სახელად გაგების სახარებისეულ ტრადიციებს გალაკტიონი უსაზღვროდ ამრავალფეროვნებს: ნათელი გზა, საცნობი გზა, გზა ძველისძველი, გზა პირდაპირი; გზა სანაქებო, გზა წმინდა, გზა დიადი, გზის კამარა.

ღმერთი – მშვიდობის წიგნი გაიგივებულია სხვა სახეებთანაც, ასეთებია: შრომის უფალი, იდუმალი სახება, ძველი ღვინო, ნუგეში, სულიერი ვენახი, დიდი დღე, დიადი დღე, ნორჩი დღე, გაზაფხული.

ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა პოემაში: „უდიდესი, სიცოცხლე, ყოფნა, ვარდი, სილაჟვარდე, მწუხრის კამარა, განძი დიდი, საყვარელი, წყარო, წყალი, ფერგამჭვირვალე და უანგარო წყარო, მარად ცოცხალი და მოცინარი წყარო“.

წიგნს ხშირად ენაცვლება ნავისა და გემის სახე.

ტარიელმა იპოვა მშვიდობის წიგნი და მის სიხარულიან ფრაზაში გაიგივებულია საღმრთო სახელები: „წიგნი, ნუგეშისმცემი, სიცოცხლის გემი, ბედისწერა“: „ავიტანდი ჭირს მრავალგვარს, მჯერა, მხოლოდ ამ წიგნის დაკარგვას – ვერა, ის არის ჩემი ნუგეშისმცემი სიცოცხლის გემი და ბედისწერა“ (1,310).

„სიცოცხლით მთვრალი, თავისუფალი, გრძნობით მავალი“, გრიგალთან შერკინებული ხომალდიც ქრისტიანული რწმენის, ეკლესიის სიმბოლოა: „ნამდვილი რვალი იყო ის ნავი, რაგინდ გრიგალი შეხლოდა ავი, ვერ იყო ვერრით, ვერრთაგვარ ფერით მისი ნამქერით გამომრიყავი... სიცოცხლით მთვრალი, გრძნობით მავალი, თავისუფალი, როგორც ზღაპარი“ (1,24).

ბოლოს კვლავ გაიგივდება წიგნი და ხომალდი: „კვლავ გვერდზე გვერდი წიგნის

გადადის. ასე რომ მარდი ლურჯი ხომალდი გზას იკვლევს მკერდით“.

ტარიელი ცის კარამდე მიჰყავს გემს: „გემი ატარებს ცათ ლაჟვარდთ შორის. მთათ უსადარესთ – კვარცხლი მთაგორის, – იმ ადგილთ კარად, კიბესთან მარად მიმყვანი არა ერთის და ორის“ (1,314).

წიგნის დაკარგვას მოჰყვა საქვეყნო უბედურება: სიმბოლური წარღვნა, წყალდიდობა, ნისლის გაბატონება, „დიდი ღამის“, „პირქუფრი ღამის“, „განუჭვრეტელი ღამის“ მეუფება, „ღამე უწვეველ-უუბნელესი“, გზას ბნელი ჩაგრავს, გზა კი საღმრთო სახელია.

ფაზისის წყალს კალაპოტი შეეცვალა, ნიაღვარი, წარღვნის მსგავსი სტიქიები წალეკვას უქადის ყოველივეს.

ბოროტების სიმბოლოებია „შავი სატანა ფიქრებით ავით“, ვეფხვი, დევები, ღამურა, ძაღლები, ბაყაყები, სვავები, ორბი, ჭოტები, გველი, ჯოჯო.

სიმბოლურია და მტრის ბოროტ საქმიანობას გვაგრძნობინებს წარღვნა, კორიანტელი, უნდობარი ქარი, ნისლი, შხამი, გრძნეული ზვავი.

ყველაფერი ქურდების, მკვლელების ხელშემწყობია, „არც მთვარე არის, არც ვარსკვლავები“.

შემთხვევით არ ფიგურირებს მახე, ბადე, წყალთ შეთქმულება, ნისლი, თოვლი, მღვრიე წყალი, ცბიერი ალი, წყვდიადის ღალატი, შფოთი, განზრახული ხიფათი, მსხვერპლი, წყლის ამღვრევა, შხამი, მუქარა, „მკვლელთ მიფარებულ ადგილთ თარეში“.

ყოველგვარი უბედურების სათავეა „დაუნდობარი, მგმობარი და ჩქარეული მეგობარი“, „მტერი მეორე“, რომელიც „არ არის მორცხვი, რომ ნგრევა-ხოცვის მას ეშინოდეს“ (1,136).

უზრუნველ სოფელს „არმადლიერი ზეცა“ სჯის წმინდა გზიდან გადახვევის გამო: „ცამან დაგსაჯა, არ იტყვი, რისთვის? ზემფარველობა დამხობილია, რაა ცხოვრება? ლანდი, ჩრდილია... ეს გულმამაცის რისხვაა ღვთისა, რომელსაც კაცი ვერ შეეთვისა“ (1,235).

გამწარებული სოფელი სხვენზე პოულობს თავშესაფარს, ახლოვდება დაუნდობელი ბოროტება: „გასკდა იარა, ნაპირი მიჯნის გადმოიარა, ფშნებში გროვდება, გვიახლოვდება ეს ბოროტება შხამმსხმოიარე“, „ნიაღვარი მოდის შავბედად“.

იმუქრებიან ქაჯთ მიერ გადანაბირები ზვირთები: „სახლები დიდი მან დაანგრია და იქადიდა: „რაკი აგრეა, მიჰყე, ჰე, მიჰყე, აბა აიღე, რაც თქვენი ციხე და სიმაგრეა... კიდეც მივალო თქვენს ასაკლებად“ (1,2-11).

ხალხი ხდება „სიცივის მძევალი“, თოვლის, ზვავის მსხვერპლი, ჩრდილოეთით მოსული ქაჯის, მოყვრად შემოპარული მტრის ლუკმა.

მოქმედება ფაზისში ხდება, ძველ შუამთაში, ძველ კოლხეთში, მაგრამ ნაგულისხმევია მთელი საქართველო – „იმერ-ამერი“.

მტერი თავის მიზანს წყლის ამღვრევით, შფოთის ჩამოგდებით, მახის დაგებით, შეთქმულებით აღწევს.

ისმის შფოთი, შეთქმული ჭოტების ხმა: „და სულის მხრჩობლად შეიქნა შფოთი, სადღაც მახლობლად აკივლდა ჭოტი და აქაურსა შორს იქაურად სხვა ჭოტი იმ ჭოტს გაეხმაურა. თავისუფლება აძლევს უფლებას მთელს შეთქმულებას ემათაურა. ჭოტი გაჰკივის უფრო და უფრო“...

მერე იწყება სიკვდილის მაცნე ძაღლების ყმუილი: „როგორც თავდასხმა არატყუილი, სადღაც გაისმა ძაღლის ყმუილი. იმ ძაღლს სხვა ძაღლი გაეხმაურა, იქცა

ხმა მაღალ აურზაურად. ძაღლთ ქვა და გუნდა! ამ შუაღამეს საოცარს უნდა ნიშნავდეს რამეს, რამეს შხამის თასს, რამეს კუბოს მსგავსს, მტრისთვის კი ძვირფასს და უსიამესს“ (1,205-206).

ღამემ აღაზევა ძაღლები, ბაყაყები, ჯოჯოები, ჭოტები, „მიდამოს თავზე ადგა სატანა“, ისმოდა „დევების აურზაური, სულ შინაური და გარეული აურზაურის ხმა არეული“.

საგულისხმოა ვეფხვის სახე და მისი ზრახვები: „ვეფხვი გოჯგოჯად მსხვერპლს ეპარება... ამბობს: რას მაძლევ, თქვი, მეჩქარება... ბრჭყალით ნატორი ერთი თუ ორი, ზუსტი და სწორი წამოწვა შქერი. ეს სამოსახლო რა ნახა ტურფა, მიზნები ახლო რა დაიჯგუფა, მარდი, ვით ელვა, შებოჭა ღელვა, დრო შეინელა და ჰა, ისკუპა... დიდი აქვს მადა... კვლავ მოემზადა საომარ ფანდად მძლე თვალთა ბრუნვა“ (1,172).

მტერს სურს „რამე ნამცეცი მიწის და ზეცის“, მას მიაქვს ჩვენი ტყე, მძვინვარებს ქაჯთ მიერ გადანაბირები ზვირთები, იღუპებიან ადამიანები, იძირებიან ბავშვებიანი აკვნები.

ხდება „გადაშენება იათ და ვარდთა“, ჯაგის, ყვავილთ მომსპობი ეკლების მომძლავრება.

„აშარიშურდა ნიავი შურთა, სოფელს დაეცა აჩრდილი ბინდის, სადღაც ხის ღრუდან დაჰქრის ღამურა, თითქოს ამღერდა დიდი თარეში ქურდთა და მკვლელთა არემარეში“.

მამული ნისლის სამეფოდ იქცა, ნავი, დროშა ნისლმა დაფარა, იყო ნისლის ზეიმი, „ნისლის დარის დარება“ და ბაყაყების ჟრიამული: „კვლავ ნისლთ მამული ბაგეს აღაღებს, კვლავ ჟრიამული გააქვთ ბაყაყებს. მათ ეს ყაყანი, ჟალტამი, ფშანი, სიმწრის ნიშანი აიარაღებს“ (1,163).

დევების ხმაური, უგონო აურზაური, უცხო ხმების თავხედური სითამამე ახშობდა მშობლიურ ხმებს (1,204).

სატანამ არყოფნის საშიშროება განუმზადა, ჯვარზე გააკრა ხალხი: „აქ შავზე შავი, ფიქრებით ავზე, მიდამოს თავზე ადგა სატანა. არყოფნას აკლდა სულ ცოტა რამე. ხალხს არ სძინავდა არც დღე, არც ღამე, იდგა ჩაგრული, ბედისგან კრული, ჯვარზე გაკრული, როგორც მოწამე“(1,239).

კორიანტელში ჩაქრა სანთელი, დაიღუპა წინანდელი იმედები: „ამ კორიანტელს ვინ ანდობს სანთელს? იმედს წინანდელს გადესვა ცელი“.

თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება და ხალხიც იღვიძებს საღათას ძილიდან, ხვდება, რომ ღმერთი მხოლოდ აქტიურთ გადაარჩენს: „ვის იდუმალი იხსნის სახება? საქმეა მკლავის დაკარწახება, მძლავრად შეტევა, თავგამეტება“ (1,179).

წიგნის ძიებას, ეროვნული სატკივრის მორჩენას წინამძღვრობს „სახლი ფაზისის პირად“, „სახლი-საუნჯე“. სწორედ ამ სახლის მკვიდრი თამარი ტარიელს ავალებს წიგნის პოვნას და ისიც ჰპირდება დავალების პირმტკიცედ შესრულებას.

ერს წინ უძღვიან და წიგნის დარდით იწვიან გუგუნა, ავთანდილი, ეროდე, ეფთვიმე, ხალხი, მამიად, მენავედ, მეთევზედ, ლუარსაბად, ბერად გარდასახული ტარიელი.

ეროვნული საზრისის სიმბოლოა არწივი, რომელიც „დიდ საქმეზე წივის“.

გამოღვიძებულ ხალხს გაცოცხლებული წინაპრების ხმა ჩაესმის, ისმის მამლების, მამლაყინწების ყივილი, ხარი ჭიდილში ცალ რქას კარგავს. გუგუნა ზარებს რეკავს, რათა ხალხს ამცნოს ეროვნული უბედურება და გადაარჩინოს წყალდიდობას.

ეფთვიმე სინჯავს წყალს ვაზის ჯვრით.

ხალხი მიხვდა, რომ „არის ცხოვრება გამათხოვრება, თუ მახსოვრობა იქნა უფრთებო“ (1,227).

ავტორი გუგუნას პირით აფრთხილებს უზრუნველობის გამო დასჯილ ხალხს: „შეიგნე ტალღათ ძალთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე. ღამეო ბნელო, ვაზო და მდელო, აქ სურთ, რომ თელონ სიმშვენიერე. ო, გაზაფხულის ღამეო ბნელო, ხიფათში მყოფო ვაზო და მდელო, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე. გაზაფხულისა ღამეა ბნელი, განუზომელი, განუჭვრეტელი. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად“ (1,181).

პოემის ვარიანტში კი უფრო კონკრეტდება ეროვნული სატკივარი: „განა ბევრს გვთხოვდა სამშობლო ჩვენი, ცოტა უფლებას, ცოტა სიმშვიდეს, რომ მის დათესილს სხვა არა მკიდეს, რომ ჰქონოდა მას, რაიც მისია, წიგნია, ხმალი თუ სახნისია და თავდადებით იცავდა საწყალს თვის დედა ენას, თავის მიწა-წყალს“ (1,199).

ჩვენი ხალხი მოხსენებულია, როგორც „ობოლი“, „თავმდაბალი“ და „საწყალი“, რომლის მომავლის სჯერა პოეტს: „ვერ დაგვძლევს ის სხვა, ობლის კვერი სხვა“ (1,195).

ხალხი ლოცულობდა წმინდა სულით და „მაშინ ცის მადლით წყალმა დაიკლო ძირს მთელი ადლით, მორღვევა ცათა შეინანა და შემოანათა ოდნავ სინათლით“.

ტარიელი ზღვის გზებით ეძებდა წიგნს, იგი გარდაისახა მეთევზედ, მენავედ, ღორმუცელა ლუარსაბად, ბერად და ბოლოს იპოვა სანუკვარი განძი. ამასობაში ამინდიც გამზიანდა, მზის სვეტი გამოჩნდა, „აენთო წმინდა მზე შინაგანი“, სხვა მზე, ზეცის მზე, ცისკარი და განთიადი დაბრუნდა, „დიადად გათენდა“, იმედის შუქი აინთო, „ცისკრის წამში ახამხამდა“, დაჩაგრულ გზას განდიდება ეღირსა: „აწ გზის კამარა დგას განდიდებით“ (1,351).

ცისკარი საღმრთო სახელია და, ბუნებრივია, „დიად გათენებად“ აღქმა ღმერთისა, „გამარჯვების სინათლის“ დამკვიდრება.

საღმრთო სახელია სიცოცხლე: „სიცოცხლეს უდრის ეს გამარჯვება“.

პოეტმა დაგმო საზღვრების მოშლა, უკარო სახლის სახეში წარმოადგინა მთელი მსოფლიოს პროლეტარების გაერთიანების კომუნისტური იდეა, ეროვნულის ჩაწიხლვა და მოითხოვა წიგნისთვის გალავნიანი სახლის აგება, ცხრაკლიტულში შენახვა: „მშვიდობას მიჰყევ! ხარ ფალავანი! ააგე ციხე გარს გალავანით. წიგნისთვის სრული აწ გვაქვს ფარული გინდ ცხრაკლიტული, გინდა თავანი“ (1,350).

უმთავრესი სატკივარი ისიცაა, რომ „ის ხედავს კარებს გადაუკეტავს“ (1,244).

პოეტი ხედავდა იმ ტერიტორიულ და დემოგრაფიულ პრობლემებს, რაც ეროვნულ გრძნობას მოკლებულმა რევოლუციონერებმა შეგვიქმნეს და უჭიშკრო ეზოს სახის ჩვენებით გამოხატავდა თავის გულისტკივილს: „ბნელა, ეზო ჰგავს ქუჩას, შემოდის ყველა, ვისაც გზად უჩანს“... „ბჭე უსაზღვროა სოფლის მძინარის“, უცხოტომელთა ძალადობაზე მიგვანიშნებს „მრავალ ათას ხმის... თავდასხმა და სითამამე“, „დევების უგონო აურზაური“ (1,163).

საზღვრების უარყოფამ მიწასთან გაასწორა ყველაფერი: „ზღვარი ან ხაზი არავითარი, რაა – ლამაზი, რაა – მდიდარი... ერთფერ ნაფერი აქვს ყველაფერი, ჰქვია ქვას მტვერი, ხიდს – ნახიდარი“. (1,259).

ლექსი „იმ ერთა ლიგას“ ალეგორიულად მიგვანიშნებს მოყვრულად მოსული მტრის ოინებზე. ნაჩვენებია, რას აკეთებდა ჩვენი უფროსი ძმა, როგორ მოხსნეს რკინის კარები გაბრაზებითა და გაჯავრებით, მერე ახლის დაკიდებისთვის დაობდნენ, მაგრამ „ისიც იმ ღობეს გადაახიეს, ისიც მიაგდეს და მიივიწყეს“ (9,197-198).

გალაკტიონი ხმას იმაღლებდა „თოკიანი მხეცის“, მის მიერ დაღვრილი სისხლის მორევების წინააღმდეგ, სძულდა „გადამთიელი გადია“, რომელსაც არ ეძინა ჩვენზე ზრუნვით: „ეს ოცი წელიწადია – სამშობლოვ! გულით მწადია, რომ გარს გეხვიოს, რაც ქვეყნად სინათლე-სიდიადეა. გადამთიელი გადია სწუხს: ბევრი ღამე ათია, არ სძინავს იმ შეჩვენებულს ეს ოცი წელიწადია“.

„ზეცის ნგრევით“, „ხომალდის რღვევით“ იწყება „მიწის გადაფერდება“, ეროვნული ნაპრალები და უფსკრულები გალაკტიონის პოეზიაში.

გაუჩინარებული, სეტყვით დაღუპული ვენახებით და ყვავილებით, ბურუსებს იქით გადაკარგული, შხამით კოკორშივე ჩაკლული ყვავილით გვაგრძნობინებს პოეტი მეოცე საუკუნეში უარყოფილი ღმერთის სახეს („მიმღერე რამე“, „რევოლუციონერის ხსოვნას“, „მწუხარება“).

„კოშკში“ ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული, უზარმაზარი შიშის ლანდის ავბედითი განაჩენით „შანდალში ჩაქრა ყველა სანთელი“, დემონების კორიანტელია ირგვლივ და როცა ჩაცხრა ბოროტება, „ისევ აენთო ყველა სანთელი“, ასე სწამდა პოეტს, რომ ბოლომდე ვერ იზეიმებდა ბოროტება.

საბოლოოდ ხალხის შემართებამ გამოიღო შედეგი, ზამთარი დამარცხდა, მუხამ მოიშორა მუმლი, „...კვლავ საღი შრიალებს ბაღი და ძველი დაღი წიგნების აზის“, „გაზაფხულია ვრცელი და ლაღი“. გაზაფხული, ზაფხული კი საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65,12) (5,588).

ბაღი ხალხის, წიგნი ღმერთის მეტაფორაა. ხაზგასმულია ერის მორწმუნეობა, ჰუმანიზმი.

განთიადი დაბრუნდა, მაგრამ წყალდიდობის შედეგად დარჩა საშინელი კვალი, ორმოები, თხრილები, ჭაობები, შხამის კერა, სადაც „ყვავილები ვერ იყვავილებს“. ნეშო გომბეშოს სათარეშო გახდა, მომრავლდა ჭინჭარი, ეკლები.

ბოლოს ზამთარი მაინც დამარცხდა, თოვლი დადნა, სასიცოცხლო სიოს ქროლვა კი მარადიულია: „მშვიდად მეგულვის ჩემი სამშობლო, ზამთარო, გულის ასე დამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (1,131).

გალაკტიონის აზრით, „ვერ დაგვძლევს ის სხვა, ობლის კვერი ცხვა...“ უნაპირაა მისი ოპტიმიზმი: „დღე მოვა ნარგთა, ყოველთა კარგთა, ყოველთ სინორჩეთ“

პოემაში არის მტრის ასეთი გაფრთხილება: „აქ ყოველ ეშმაკს უჯობს მოეშვას თვის სათარეშოს და სანავარდოს“ (1,250).

ნათელსმენას სწვდება შორის ძახილი: „მისთვის ცხადია შორის ძახილი თვალგასახელი, რომლის სახელი განთიადია“ (1,270).

ავტორის საყვარელი პერსონაჟი გუგუნა ამჩნევს „ჩრდილთ ბრუნვას, ალების ფრენას, ჰხედავს ზრუნვასა და აღმაფრენას, საერთო საქმის ჭედვის, გარდაქმნის, ყოველი საგნის აზრსა და ენას“.

დიდებული მომავლის მაცნედ ციმციმებს უფლის თვალი: „აენთო თვალი, წინ ასე მკრთალი და მომავალი ააციმციმა“ (1,288).

მაისის ნათელით ივსება გზა, მარადიული მზე ანათებს სულში.

ღმერთი – „ნუგეშია“ მშობლიური შემოგარენის, ხალხის შემწე:„ სილაღის ეშხით მზიურთა მდელოთ არეს ნუგეშით ჩვენ მივეშველოთ. ავაბიბინოთ იგი სალხინოდ, გზა გამოვფინოთ, ფართედ გვაშალოთ“ (1,293).

ავტორი ფაზისს უსურვებს, „ჰფენოდეს სხივი წრფელი, ხანგრძლივი“.

ქრისტიანული ღმერთისა და ღვთისმშობლის განდიდებით მთავრდება პოემა: „გზაც უკვდავია, როგორც ტრფიალი... ო, სიხარულო, დედავ, აქაა, რაც ჩემი გულის ალერსადაა – ბავშვობა, ყრმობა, სიწმინდე, ძმობა, კვლავაც ერთობა წიგნად და გზადა“.

საღმრთო სახელებია „გზა“, „ტრფიალი“ და „სიხარული“ (1,305).

პოემის მიხედვით, ცა და ღმერთია გზის მაჩვენებელი ბედნიერებაშიც და შეცოდებაშიც: „იგრძენ, ვით ერთ დროს ცას არ შეეძლოს გზა გიჩვენოს, როს გაწუხებს ცოდვა“.

„მშვიდობის წიგნის“ გაცნობა გვარწმუნებს, რომ გალაკტიონი ნათელმხილველი და ნათელმსმენი იყო, უხილავ-ფარულის განჭვრეტის უნარით მომადლებული.

პოეტის სულის თვალი წვდება პირველყოფილი ქაოსიდან სამყაროს შექმნის სურათს, პირველი სახეების შექმნას, ესმის საღმრთო მუსიკა, ცის ხმა.

ტარიელს ევლინება ჩუმმოუბარი თავისი ორეული, რომელიც აფრთხილებს: „სავსე დიდებით არ წახდეს წიგნი. ეტყვის ზმანება: თუ გეტანება მზის ხმოვანება, იგია, იგი“

ასევე გამოეცხადა ტარიელს ანგელოზი წიგნის პოვნის შემდეგ და გმირი უწოდა მას.

ავტორს გაზიარებული აქვს გარდასხეულების თეორია: „აქ მისი სული შავსა და მწვანეს, მიჩერებული ზღვა-ოკეანეს, ახალ დასავალს, ტოლთ მრავალთ-მრავალს ნახავს მომავლის ახალ სავანეს“.

პოემაში უხვად არის ხალხური სიბრძნის ნიმუშები, აფორიზმები. „მშვიდობის წიგნი“ სიახლეა შესრულების მხრივაც. ასონანსურ რითმებს ენაცვლება კონსონანსები, გვხიბლავს ბგერწერის იშვიათი მაგალითები („ასეა ჟამი, მისდევს წამს წამი, ცისკრის წამწამი ახამხამდება“, „წყებათა წყება წამით არ წყდება, ნაპირს აწყდება აწ მღვრიე წყალი“, „ანკარა და მორაკრაკე, წყალი არაკებს ალაპარაკებს ძველად ანაგებს აქ აგარაკებს“, „გულად ვგულებო გულს...“), ნეოლოგიზმები (ფრთადაუმცხრალი, ნავობა, ავარდებს, პირქუფრი, ფრთასრული, სიაფთრე, სიმერცხლე, მოფიანდაზე, ზვირთუწყინარი, ივარსკვლავა, ტოტმცინარე).

დრამატულ ეპიზოდებს ცვლის ტრაგიკული და კომიკური.

პოემა ორიგინალურია, მაგრამ იგი მაინც ქართული ლიტერატურის მაგისტრალური ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს და ახლებულად ავითარებს შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ტრადიციებს.

„მშვიდობის წიგნის“ სიუჟეტი „ვეფხისტყაოსნისას“ ემსგავსება. თუ რუსთაველის პოემაში ნესტანის ძიებაა, გალაკტიონთან – დაკარგული წიგნისა. ერთნაირია პერსონაჟთა სახელები: თამარი, ტარიელი, ავთანდილი. ორივეგან ბოროტების სიმბოლოა ქაჯთა ქვეყანა და სიკეთე-ბოროტების ბრძოლაა აღწერილი, ორივეგან ზღვა ქმნის მოქმედების ფონს, ოპტიმისტურია ორივე პოემის ფინალი. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკით, ფრაზებით, მხატვრული სახეებით (ქაჯი, ვეფხვი, პერსონაჟების სახელები) დავალებულია „მშვიდობის წიგნი“. ორივეგან რომანტიკულ-ფანტასტიკური ელფერის სამყაროა.

ლექსში „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“ გალაკტიონი წინასწარმეტყველებდა „სულ სხვა“, „ახალი „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას და, როგორც ჩანს, ეს „მშვიდობის წიგნი“ იყო.

„უსულგულო ცხოვრების“ მგმობელ ილია ჭავჭავაძეს ეხმაურებოდა „უსულგუ-

ლო ცხოვრების მტერი“ გალაკტიონი თათქარიძეობის ასპექტში. ბრძენკაცის შემოქმედება ადრიდანვე მასტიმულირებელი იყო გალაკტიონისთვის და პოეტური სიმწიფის პერიოდშიც გამოიხმო ილიას მიერ შექმნილი უკვდავი ტიპები.

წიგნის ძიების ფათერაკიან გზაზე ტარიელი გარდაისახა მეთევზედ, მენავედ, ბერად, ლუარსაბად, მისი გარეგნობაც ლუარსაბისებურია და „სხვისი კაბით“ გადაცმის მიზანი საკუთარი ზრახვების დაფარვაა. ტარიელმა განგებ გაიკეთა გაუმაძღარი წინაპრის გრიმი, თითქოს ისიც ღომით, საცივით, ბეჭით, მწვადებით გატაცებული ეპიკურელია, მისი სახე და სული კი სავსებით გათიშულია. ისევე, როგორც ავთანდილმა მოირგო ვაჭრის ნიღაბი, ტარიელსაც მოუხდა ლუარსაბის როლის შეფერება და ინტუიციამ არ უმტყუნა: ტარიელმა ჭამა-სმით გატაცებულ ოჯახში გაიგო ქაჯების მიერ მშვიდობის წიგნის გატაცების ამბავი, უმალ დასახა მომავალი მოქმედების გეგმა და კომიკური სიტუაცია კვლავ დრამატულად იქცა.

„მშვიდობის წიგნი“ არის ტრადიციების შემოქმედებითად გააზრების, კლასიკური ნაწარმოებების ჩანაფიქრის ახლებურ კონტექსტში გამოყენების ნიმუში, გახალხურებული პერსონაჟების თავისებური ვარიაციების შექმნა სრულიად განსხვავებული მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ მონუმენტური და კანონიკური სახეებიც ასაზრდოებდა ნათელმხილველი გენიოსის შემეცნებას, როცა ქმნიდა უაღრესად პრობლემურ, ქართველი კაცისთვის მარადაქტუალურ ნაწარმოებს.

ასე ასხამენ პოეტების მეფეს ფრთებს დიდი შოთა და დიდი ილია, ასე იფურჩქნება გალაკტიონის ნიჭი წინამორბედთა ნაკვალევზე.

მუდამჟამს სიძნელეების წინაშე მყოფი ერისთვის რეკავს ქართველი ორფეოსის მიერ შემოკრული ზარი მრავლისმეტყველი გაფრთხილებით: „შეიგნე ტალღათ ძალთ სიძლიერე, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად...“ (1,181).

აშკარაა, პოემაში გაშუქებულია იმპერიული ზრახვების მქონე დიდი ერის მიმართება „ობოლი“, „საწყალი და თავმდაბალი“ ერისადმი...

პოემის ავტორი ხარობს წიგნის (რწმენის), ბაღის (ხალხის) გადარჩენით და ერს მოძღვრავს, ისწავლოს „უცხოს და ჩვენების“ გარჩევა.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ.11, თბ. 1973
2. რევაზ თვარაძე, გალაკტიონი, თბ. 1973
3. „ლიტერატურული საქართველო, 1976წ. 19 ნოემბერი
4. რევაზ მიშველაძე, თანამედროვე ქართული პოემა, თბ. 1975
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992წ.
6. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1985
7. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 2,თბ. 1994

თავი III
ენიგმების, პოეტური ციტენციების ჯიჯოსტატი
გალაკტიონ ტაბიძის „ზამბახის პრინციპი“

გალაკტიონ ტაბიძის „ათასის მხედველობა, ათასის მზე, ასი ათასის სმენა“ ქვესკნელ-ზესკნელის ჯერარსმენილ ხმებს, რეალურ თუ ფეერიულ ხილვებს აუკვდავებდა.

პოეტის გამორჩეულობას განაპირობებს ერთდროული ინტერესი მიწიურ-ზეციურისადმი, ხილული თუ უხილავი სამყაროსადმი, ორი ჰანგი, ორი სიმღერა, „ცის და მიწის შეზავება“, წუთისოფლის მოჩვენებითი სიბრძნისადმი ღვთის სიბრძნის დაპირისპირება, ამქვეყნიური დიდებისა და მარადისი დიდების შეცნობა, „ცდომილების სულისა“ და „ჭეშარიტების სულის“, „სალაღობო სიმღერისა“ და „სიყვარულის სიმღერის“ გარჩევა.

„მილიონებში ხელისმრეველი“ პოეტის შედევრებში განსაკუთრებული დატვირთვისაა ვარდ-ყვავილთა სახეები, ჩაფიქრებული რეალურ, მისტიკურ, სოციალურ თუ ესთეტიკურ ჭრილში.

სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპის საფუძველზე შექმნილი ზამბახთან დაკავშირებული ხილვები პოეტს რეალურთან, ხილულთან ერთად რელიგიურ-მისტიკურ ასპექტში მოუაზრებია.

ზამბახი დასახულია მშვენიერების, ამაღლებულობის, ოცნების სიმბოლოდ: „ზამბახის მაღალი ღერო არამარტო ვიზუალური ფაქტია, მისი ჰიპერბოლიზაცია ქმნის ამაღლების განწყობილებას“ (ლია სტურუა, „ბუნების ფენომენი კრებულში „არტისტული ყვავილები“, „სადღეგრძელო იყოს მისი“, თბ. 1973წ. გვ.97).

„მთაწმინდის მთვარეში“ ზამბახისა და მთვარის ასოცირებას განსაკუთრებული ხიბლი ახლავს: „მთვარე თითქოს ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით“.

„ალუბლის ბაღში“ ზამბახთა თაღები ელანდება: „მიდიოდა შარა-შარა ზამბახების თაღები“.

„პორტრეტის“ ლირიკული გმირი „სიგიჟით ყნოსავს ვარდებს და ზამბახს“.

„ავდრის მოლოდინში“ „ია-ზამბახის თოვლი“ იქცევს ყურადღებას.

ლექსში „შიშველი“ სატრფოს სიმაღლე შედარებულია ვარსკვლავთან, ზამბახთან: „სიმაღლე ლაჟვარდთა, ვარსკვლავთა სიმაღლე, სიმაღლე ზამბახის“.

ცხოვრების სწრაფწარმავლობას მისტირის სტრიქონები: „მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი, ატირდება დრო და ჩემი ლექსი“ (ცამეტი წლის ხარ). ლექსში „გემი „დალანდი“ ბაღები, პოეტური დიდების მაცნე დაფნა და ლურჯი მანდილი მთვარეული ზამბახების ფონზე წარმოიდგინება: „ბაღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური, ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი, ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული“.

სოციალურ თემაზე შექმნილ ლექსში „პირველი მაისი“ ყაყაჩო, იასამანი, მაისის ვარდები და ზამბახი ხალხის იდეალს გამოხატავს: „პირველი მაისი მოვიდა ამაყი: წითელი ყაყაჩო თუ იასამანი და თეთრი ზამბახი. დრო მოვა და ისევ პროლეტარიატი მაისის ვარდებით სიცოცხლეს აივსებს“.

ზამბახი და ნიავი შეყვარებულებად წარმოიდგინება ლექსში „მე და ზამბახი“.

ზამბახთა თასებში მოციმციმე ალმასისებრი ცვილის ნამია ხილული ლექსში

„განთიადზე“. „ცა ნათდება და ზამბახთა ნაზ თასებში ტკბილ-ნასვამი, ალმასივით ალ-ბურუსში თრთის, ციმციმებს დილის ნამი“.

ხავერდის კუბოც დათოვლილია „თეთრ ზამბახებით“ (ორხიდეები).

სასიყვარულო განცდებსაც ვარდები, ზამბახები ამშვენებს: „მოვიგონებ გაზაფხულზე გაღვიძებულ ბუჩქნარ-წალკოტს და სარკმელში რომ ვისროდი ხან ზამბახებს, ხან ვარდის ტოტს“ (განთიადი).

სიზმარშიც ზამბახია სიმაღლეებზე ოცნების დამგვირგვინებელი: „იქ, სადაც მეფობს მისი ძილი და განსვენება, სიმაღლეების სიზმრებია ზამბახეული“ (ზამთრის მოტივებიდან).

ძეგლსაც ზამბახები ამკობს: „მე მის წინ მიყვარს ზამბახების ფენად დაგება“ (ქალის ქანდაკება).

სიტყვები ამოქარგულია „ვარდით და ზამბახით“ (აკაკი წერეთელი).

რუსთაველის უშფოთველი და უმანკო ბავშვობაც ზამბახის სინაზით ხასიათდება: „...როსმე ნაზი და უღრუბლო, ზამბახივით ნაზი ბავშვი“ (შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად).

„შერიგებაში“ მაისის მზის სხივი მყინვარის თავს თითქოს ზამბახით ქარგავს: „დღეს ყველგან მზეა, ახლა ამ ბაღებს და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს, მაისი ალით ააზამბახებს, ვით შეყვარებულს და მეოცნებეს“. „ააზამბახებს“ ნეოლოგიზმია.

გალაკტიონის ლექსებში გვხვდება ზამბახეული ტანი, ზამბახეული თასი, ზამბახების ფიალა, ზამბახების კალათი, ზამბახების პრინცესა.

ჩვენს მიერ შერჩეული მაგალითებიდან რელიგიური შინაარსისაა ზამბახის ფიალა, ზამბახეული თასი, ზამბახთა კალათა, ზამბახის პრინცესა.

ლექსი „ძველი წისქვილი“ წმინდა გიორგის გამოცხადებას ეძღვნება. მასში არის, ერთი შეხედვით, საოცარი ფრაზა: „იქ, სადაც არაგვს უერთდება მდინარე მტკვარი, სადაც ცვარი სვამს ზამბახების სავსე ფიალას“.

ამ სტრიქონებში აქცენტირებულია საქართველოს უძველესი ქრისტიანული ქალაქი მცხეთა, ქრისტესა და მარიამის რწმენა. ძე ღმერთის სიმბოლოა „ცვარი“, ღვთისმშობლისა – „ზამბახების ფიალა“.

„ქართულ სასულიერო პოეზიაში ქრისტეს ეწოდება ცვარი, მშვიდობის ცვარი, ზეცის ცვარი, ცხოვრების ცვარი. დავით გურამიშვილი ქრისტეს ცვრად მოიხსენებს: „ცვარო ზეგარდმო წვეთილო“ (ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1995წ. გვ. 112).

ცვრის სიმბოლური სახე წინასწარმეტყველთა წიგნებიდან მიმდინარეობს. დავიმოწმებთ ერთ მაგალითს: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის. აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 12,11).

საანალიზო ლექსის ზამბახების ფიალა და მისი იდენტური სახეები – ალის თასი, ალის ჭიქა, მარადი ჭიქა, სიხარულის ჭიქა, სიმართლის თასი, თასი ზამბახეული,ცეცხლიანი აზარფეშა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია (ასეთ შეხედულებას გამოვთქვამთ ჩვენს წიგნში „გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები“ თბ. 1996წ. გვ.138).

ამ სახეთა პირველწყაროებს მსაჯულთა წიგნში ვპოულობთ (6,36,40).

გედეონი უფალს ევედრება ისრაელის ხსნას. ღმერთმა მას აუწყა: მატყლის საწ-

მისს დავდებ კალოზე. თუ საწმისზე ცვარი აღმოჩნდება და ყოველი ქვეყანა კი მშრალი იყოს, იცოდე, „ხელითა ჩემითა იხსნა შენ ისრაელი“. განთიადისას გედეონმა „გამოწურა საწმისი იგი და გამოხდა ცუარი სიწმიდისა მისგან და აღავსო ფიალა წყლითა მით“.

გედეონის ცვრიანი საწმისის ალეგორიის პირველი ახსნა დავით წინასწარმეტყველს ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც ცვარ-წვიმა ქრისტეა, ღვთისმშობელი – საწმისი (ტიტე მოსია, „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996წ. გვ. 105-106)

ფრაზა: „სადაც ცვარი სვამს ზამბახების სავსე ფიალას“ გალაკტიონისათვის დამახასიათებელი პოეტური ლიცენციაა. იგი მარიამის (ზამბახების ფიალა) და ქრისტეს (ცვარი) სახეებზე მიგვანიშნებს.

გალაკტიონი დედა-ძის დაუღალავი მაძიებელი იყო, მაგრამ მარქსიზმის გავრცელების პერიოდიდან კომუნისტური იდეოლოგიის 70-წლიან დიქტატამდე გამუდმებით იდევნებოდა ღმერთი, რწმენა, რაზედაც საუბარია ლექსში „ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ“.

დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრებული პოეტი შიშობდა ღამეში სანთლის ჩაქრობას და, მართლაც, „გრიგალმა დააღო კარები და ბინა პოეტის გადიქცა ქვითინად“.

სანთლის ჩაქრობა გრიგალისაგან ათეისტური ეპოქის მიერ რწმენის უარყოფას მოასწავებს, რადგან სანთელი ქრისტეს სიმბოლოა.

გალაკტიონი გამუდმებით ერთი ღმერთის ერთგულებით გამოირჩეოდა: „შენს გულში ერთი გახმაურდება ზეცა და ღმერთი“ (არ გაპატივა)

ამიტომ ეძებდა „ზამბახის პრინცესას“, „ცისფერი ვარდების“ წყურვილი არ ასვენებდა: „მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“.

„ზამბახის პრინცესა“ მარიამის სიმბოლოა ისევე, როგორც პრინცესა ლექსისა „ვერხვები“.

პრინცესა ფრანგულად მეფის ასულია. ბიბლიაში მარიამი მეფის ასულად იწოდება: „მთელი დიდება მეფის ასულისა შიგნითაა, მოოქროვილია მისი სამოსი“ (ფს. 44/45,14).

მარიამის სახელწოდებაა ასევე „დავითის ასული, ასული სიონეველი“ (ტიტე მოსია, „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, გვ. 75-76).

სხვაგან გალაკტიონი მარიამს წარმოიდგენს, როგორც „უცხო მდელოს უცხო ასულს, თეთრ ყვავილს“ (როცა გარშემო ღამე ბნელია).

პოეტისავე „უცხო ასულიდან“ და „თეთრი ყვავილიდან“ „ზამბახის პრინცესამდე“ ხიდის გადება დიდ პოეტურ ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ გალაკტიონი მუდამ გვაოცებდა „გამბედაობის დიდი გენით.“

„ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ“ დაწერილია 1927 წელს.

„ვერხვებშიც“ ფიგურირებს „პრინცესა“, რომელიც კიდევ უფრო განგვიმტკიცებს იმ აზრს, რომ „ზამბახის პრინცესის“ ადრესატი მარიამ ღვთისმშობელია.

1915 წელს დაწერილი „ვერხვების“ ლირიკული გმირი ღმერთისუარმყოფელი ეპოქის სიმპტომებზე მიგვანიშნებს. პოეტის თანამედროვეობას „უშორეს ზღაპრად“ უქცევია „ძველი ღვინით“ (ღვინო ქრისტეს სიმბოლოა) თრობა, ვარდი და გვირილები (ისევ საღმრთო სახელებია) მხოლოდ პოეტის მოგონებაში არსებობს. აქაც ქარი

უპირისპირდება ბედის იალქანს. სავალალო ფაქტით შეძრწუნებული ლექსის ლირიკული გმირი ეძებს უზენაესს და ბედნიერებად რწმენის ერთგულება ესახება, მაგრამ ამის მაგალითები მხოლოდ წარსულშია: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ, ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა, დრომ ყვავილებით დაგვაგვირგვინა, მე ვიყავ პაჟი, ის კი – პრინცესა“. ამ სტრიქონების ყვავილები ქრისტეს მეტაფორული სახელია, ხოლო პრინცესა, რომელიც დრომ (მამაღმერთმა) ყვავილებით დააგვირგვინა, მხოლოდ მარიამი შეიძლება იყოს. მისი ერთგული პაჟი (მსახური) თვით პოეტია, დედაძის თაყვანისმცემელი. ბოლო ფრაზაში მარიამი წარმოიდგინება, როგორც „პრინცესა“.

„ვერხვები“ და „ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ“ ერთნაირად გამოხატავს რწმენის უარყოფის სევდას. ამ ლექსების საერთო სახეებია დაკარგული ყვავილები, ქარი, გრიგალი, პრინცესა, ზამბახის პრინცესა.

პოეტი არცერთ შემთხვევაში არ წყვეტს კავშირს უზენაესთან, უფლის დედასთან, იგი განუმეორებელი სახეებით მუსიკალურად ახმოვანებს ყველა დროის აქტუალურ პრობლემას და მკითხველის სულს აიაზმად ეპკურება, გულს ულბობს მისი ზეაღმტაცი მეტყველება.

ლექსში „მივაშუროთ!“ შეხვედრა გვიწევს მეტაფორულ „სიცოცხლის ჩანგებსა“ (ქრისტეა ამ სახის ადრესატი) და თასებთან (მარიამი იგულისხმება). აქვეა მიგნებული „თასი დღის ხმათა“ და „თასი ზამბახეული“.

გალაკტიონის „სიყვარულის ხმა“, „დღის ხმა“ ქრისტე ღმერთია, „თასი დღის ხმათა“ და „თასი ზამბახეული“, რომელსაც ასე მიელტვის პოეტი, მარიამის მხატვრული ხატია.

გალაკტიონის პოეზიის ცენტრალური თემა სწორედ ღმერთის, რწმენის, ქრისტიანული ეთიკის გადარჩენის საკითხია, ამასთან, მხილება იმ გლობალური კატაკლიზმებისა, რაც ურწმუნოების ბაცილების გავრცელებით დაიწყო.

ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების წარმოჩენას ცდილობს პოეტი გარდაცვლილი, ჩამქრალი, ქიმერებში ჩავარდნილი, ლანდადქცეული მზის, დაკარგული მზიანი ღამის სახეებით, გათელილი, გაყინული, დამჭკნარი,ბურუსებს იქით გაუჩინარებული ყვავილების ხილვებით, დამშრალი და ამღვრეული წყაროს, გაყინული ნაკადულის, დამსხვრეული რწმენის გემის, ჩაძირული ხომალდების, დალეწილი, ჭორფლიანი, დამსხვრეული ცის აქცენტირებით.

ამ პროცესების ნათელყოფას ემსახურება „თოვლის“ წყებად დაწვენილი ზამბახების მოლანდება, რაშიც უგულებელყოფილი, დამდაბლებული ღვთისმშობლის სახე შეიცნობა: „მწუხარე გრძნობა ქროლვის, მიმოვლის და ზამბახების წყებად დაწვენა“.

„გულში“ შეხვედრა გვიწევს დაწყვეტილ ვარდებთან, უსივრცო ბაღთან, დანგრეულ ქანდაკებებსა, ძეგლებსა და მათ ქვეშ ობლად დამარხული გულის ფონზე გააზრებულ ზამბახებთან, რითაც ცხადად შევიგრძნობთ კულტურისა და რწმენის იავარქმნის ფაქტს.

ლექსში „გული გრძნობს“ მღვრიე ქარიშხალი „ჰაერს... რევდა“, ჯალათად ქცეულ დედამიწაზე ანგელოზი გაუჩინარებულა, „ელვარე ღამე აყირავებს ზამბახთა კალათს“. „ზამბახთა კალათი“ მარიამია, რომელსაც ღამე-უღმერთობა დაპირისპირებია. „გული გრძნობს ღალატს“, ირგვლივ „მწუხარე თოვლია“. „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა“ – მრავლისმთქმელი ფრაზაა. „ფერადი გემი“, საერთოდ

გემი რწმენის მნიშვნელობისაა, ქრისტიანული სიმბოლიკის მიხედვით. სწორედ რწმენამ, ერთმორწმუნეობამ მიგვიყვანა „მწუხარე თოვლის“ სამეფოსთან – რუსეთთან, რითაც ათეისტური ბოლშევიზმი ბედისწერად გვექცა. ურწმუნოების ბაცილებით, ღალატით, გაუტანლობის სერიებით მოიწამლა ქართველი კაცის სული.

„ორნამენტში“ გლედიჩიების, ორხიდეების, ზამბახების გაყინული სახეებით კეთდება აქცენტი ღმერთის დაგმობაზე.

რუსულ ყინვად, რუსულ თოვლად, „საუკუნეთა თოვლად“ დაჰბედებია ჩვენს ერს ღმერთთან ბრძოლით გამორჩეული სატანური ბოლშევიზმი.

როგორც ვნახეთ, გალაკტიონის „ზამბახის ფიალა, ზამბახის კალათი, ზამბახის თასი, ზამბახის პრინცესა“ რელიგიური ჩანაფიქრის მქონე სახეებია. ისინი აღბეჭდილია განუმეორებელი ელფერით და უშუალო წყაროები არ ეძებნება, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ერთგვარი იმპულსის მიმცემი შეიძლებოდა ყოფილიყო ბიბლია (გავიხსენოთ სოლომონისა და აბრაამის სიმბოლური ყვავილები), სასულიერო პოეზიასთან ერთად (სადაც მრავალგზის მიმართავენ ყვავილთა ვარიაციებს ქრისტეს და მარიამის მეტაფორად).

ამ შემთხვევაშიც გაოცებას იწვევს პოეტების მეფის უნაპირო გამომგონებლობის ნიჭი.

„დედოფალი ალვა“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია სავსეა „წმინდა,შორი ქვეყნის“ ხილვებით, „არაქვეყნიური ლანდებით“, „საიმქვეყნიო და საამსოფლო სიოს“ განცდითა თუ მრავალფეროვანი ემპირიული სინამდვილის უცდომელი განჭვრეტის მაგალითებით.

პოეტების მეფის მიერ აღმოჩენილი, „ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი“ მხატვრული სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურებაა „ცის და მიწის შეზავების“, „მიწადი ოცნებების“ მიგნების ხელოვნება.

ამ პოეტური პლანეტის დემიურგია „შორეული მზე“. ამასთან, „ორეული მზითაც“ ივსებს პოეტი პეშვებს ისევე, როგორც „ზექვეყნიურ სიყვარულს“ ენაცვლება მიწიური შეგრძნებები. „შორეული ქალის“ ეშხთან ერთად, სულს წვავს სინამდვილეში ხორციელად მოვლინებული არსების მზერა.

გალაკტიონის ლირიკის პერსონაჟებს ხან სიზმარი, ხან რიდე, მანდილი ან ნისლის, მთვარისა თუ ღრუბლის სამოსელი მოუხვევიათ და ჩვენთვის ბოლომდე გაიდუმალებულან...

აქ სიყვარული, პლატონს რომ დავესესხოთ, „ეროტიულ მისტერიათა საწყისი სტადიიდან“ მის უმაღლეს სტადიამდე, მიწიერი განცდიდან ხორცით შეურევნელ, აბსოლუტური, მარადიული მშვენიერების „ეპოპტიკურ სტადიამდე“ ამაღლებულა და ეს ზებუნებრივი არსებები ხან „ზამბახის პრინცესას“, ხან „დედოფალი ალვას“ ან „უცხო მხარის დედოფლის“ სახით ჩაიქროლებენ და „დედოფალთ გროვიდან“ „ძახილი უცნობი, მსუბუქი, ცისმარი“ სწვდება სმენას.

ამჯერად გვაინტერესებს „დედოფალი ალვა“ ლექსიდან „საღამო“, რომელსაც გამოარჩევს იდუმალება.

ამ იმპრესიონისტული ლირიკის ნიმუშში, რომელიც 1915 წელს დაიწერა, ყურადღებას იქცევს კონტრასტული სახეები, ერთი მხრივ: გრიგალი, საღამო, ცივი ელვა, გვალვა, შემოღამების ცელი, ლურჯ ყვავილების თელვა, ჯვართან მისული სურო. მეორე მხრივ – მაცხოვარი, დედოფალი ალვა, კარის ღვთისმშობელი, ძელი, ჯვარზე გაკრული ელვა, „უხილავ-ფარული“.

ლექსის ლოგიკა წმინდა იმპრესიონისტულია, ანუ ერთი შეხედვით ალოგიკური, მასში განხორციელებულია ენიგმური აზროვნების, სათქმელის ბოლომდე დაუმთავრებლობის პრინციპი.

მთლიანობაში მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, რაღაც დიადს, ამაღლებულს, იდეალს თელავს ცხოვრება, მაგრამ ამ ნეგატიური მოვლენის მჭვრეტელი პოეტისთვის მუდამ მახლობელია „სხვისთვის უხილავ-ფარული“.

სამყაროში, სადაც დამცირებულია წმინდა ოცნება, მაინც არსებობს მაცხოვრის შიში, რომელიც აყრუებს მიწიერ გნიასს: „მთით გაგიჟებულ რუებს ღვიით, ძენძით და ქვიშით, გრიგალი დააყრუებს მაცხოვრისადმი შიშით“.

შემდეგ სტრიქონებში მონაცვლეობაა გვალვის, წვიმის, „ცივი ელვის“, რომელსაც დაუღუნავს, დაუმდაბლებია „დედოფალი ალვა“: „და დედოფალი ალვა ელვამ დაღუნა ცივმა. ასე გავიდა გვალვა, ასე მოვიდა წვიმა“.

ღვთისმშობლის კარის ეკლესიას, რომელზედაც საუბარია ლექსში, ამკობს ჯვარი, ლომი, კურო, ფარშევანგები. „ზარით ატეხილ გრიგალს“ მარმარილოთა ფიქალს აფარებს დავით ნარინის ჯვარი. მთლიანად ეს სავანე „ანგელოზთა თვალის შურია“ თავისი სიდიადით.

ვინ არის „ცივი ელვისაგან“ დაღუნული „დედოფალი ალვა?“

ამ სახესთან მისვლა მოგვიწევს შორი გზით.

დედოფლის წყაროებს მრავლად ვიპოვით ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, სასულიერო პოეზიის წიაღში.

მივმართოთ ფსალმუნს: „ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, სიმართლის კვერთხია კვერთხი შენი მეუფებისა.

...შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული (ფს. 44,7,45,10).

ფსალმუნის ამ ფრაზაში ღვთისმეტყველები მარიამ ღვთისმშობლის ხატებას ხედავენ: „ვინ არის ის დედოფალი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი და რომელიც მესიის გვერდით დაუყენებიათ? რა თქმა უნდა, იმ ძის, იმ მესიის დედა, სხვა ვინ უნდა იყოს მესიის გვერდით მჯდომარე ქალი?“ (იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994წ. გვ.152)

სასულიერო პოეზიაში მარიამი არის „დიდებული დედა, დედოფალი, დაბადებულთა დედოფალი, ყოვლადწმინდა დედოფალი“ (ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1980წ. გვ. 31, 257,597).

დედოფალი ეწოდება მარიამს ფილიპეს „ბეთლემის საგალობელში“ (ჩვენი საუნჯე, თბ. ტ.I, 1960წ. გვ. 494).

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ მიხედვით, მარიამი არის „ქალწული დედა, დედოფალი“ (თბ. 1989წ. გვ. 29).

ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუტისა ცხოველისანი“ მარიამს წარმოგვიდგენს, როგორც „წმინდა დედოფალს“ (ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960წ. გვ. 599).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მარიამი მოხსენებულია, როგორც „დიდი დედოფალი“ (ტიტე მოსია, „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996წ.

გვ. 21).

მივმართოთ უცხოურ ლიტერატურასაც. დანტესთვის მარიამი არის „დედოფალი ცის საბრძანისის“, „ზენარი დედა“ („ღვთაებრივი კომედია“. თბ. 1941წ. გვ. 407).

გოეთეს „ფაუსტში“ მარიამი გვევლინება, როგორც „ცის დედოფალი“, „წმინდა ქალწული“, „დიადი დედა“ („ფაუსტი“, თბ. 1962 წ. გვ. 576).

რუსი მისტიკოსი პოეტი ვლადიმერ სოლოვიოვი ეთაყვანებოდა „ციურ დედოფალს“ – მარიამს: „სული ჩემი... მიეახლება ციურ დედოფალს“ („მარადი დღე“, თბ. 1984წ. გვ. 102)

„ციურ მეუღლეს, „ღვთაებრივ ქალს“ უწოდებდა მარიამს ალექსანდრ ბლოკი (მე ბნელ ტაძარში, იქვე, გვ. 145).

„ზეციური ცოლი“ ეზმანებოდა ბლოკს ლაჟვარდებში: „ლაჟვარდებით გარემოცულს, დრო – დარბაზებს ანათებს, თეთრი, თეთრი ანგელოზი გზებს ვარდებით აღავსებს. ზეციური ჩემი ცოლი ტოვებს ცისფერ კამარას, გადიხსნება ოქროს რგოლი, ქათქათა ფრთებს დამალავს“ (იქვე გვ. 168).

გალაკტიონის „საღამოში“ გვეცნაურაება არა უბრალოდ დედოფალი, არამედ „დედოფალი ალვა“.

ალვა ბიბლიაში სიცოცხლის ხის სიმბოლოა, სიცოცხლის ხეში კი ქრისტიანული ღმერთის სახელს გულისხმობენ.

„საღვთისმეტყველო ლიტერატურაში „ხე ცხოვრებისა“ ძირითადად უფლის ალეგორიული სახელი, ან მისი მეტაფორაა, მაგრამ გამონაკლისის სახით შევხვდებით მას მარიამის სიმბოლოდაც“, წერს ტიტე მოსია (საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996წ. გვ. 122)

ასეთი ორგვარი გაგება აქვს ამ სახეს გალაკტიონის პოეზიაშიც. ერთი მხრივ, ხე ცნობადისა, ზენიტზე მდგარი შორი პალმები, ალვა ტანადი, მზეთუნახავი და მკრთალი სახის ალვა, თოვლიანი ალვა, კვიპაროსი, ვერხვი, სულიერი ვენახი ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოდ გვევლინება, ხოლო „ატმის ყვავილების“ „ნაზი ქალი“, „უცხო დედოფალი“, „ატმის ხე“ იდენტური სახეებია და მარიამზე მიგვანიშნებს. „საღამოს“ „დედოფალი ალვა“, რომელიც იხსენიება მაცხოვართან ერთად, როგორც კარის ღვთისმშობლის ეკლესიის შემამკობელი, უეჭველად მარიამ ღვთისმშობელია. იგი დაუღუნავს „ცივ ელვას“, ანუ დაუმდაბლებია ღმერთისუარმყოფელ ეპოქას.

შემდეგი სტრიქონების „ძელში“ იგივე სიცოცხლის ხე, ღმერთი ამოიცნობა, რომლის ნათებასაც „შემოღამების ცელმა“ (ღმერთთან მებრძოლმა დრომ) დაადო რაზა, ანუ აკრძალა მისი ხსენებაც: „ან გაოცებას, რასაც მარად ანათებს ძელი, ისევ დაადებს რაზას შემოღამების ცელი“.

მაგრამ ერთია უკეთურთა მიერ დროებით გაუკუღმართებული სინამდვილე და სულ სხვაა „ათასის მხედველობის“ მქონე პოეტი, რომელიც ასომთავრულივით ჭვრეტს სხვისთვის შეუმჩნეველს: „ან როგორც ასომთავრულს,მუდამ შევამჩნევ ცაზე სხვისთვის უხილავ ფარულს. მე რად გელოდი ასე“.

„უხილავი“ და „ფარული“, რომელიც გამუდმებით პოეტის სულის თვალის წინაშეა, არის ღმერთი.

მივმართოთ ბიბლიას.

„ჭეშმარიტად, შენ ხარ ღმერთი დაფარული“ (ესაია წინასწარმეტყველი, თ. 45, 15).

„საუკუნეთა მეფეს, უხრწნელ, უხილავ, ერთადერთ ღმერთს – მას დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე“ (პავლე მოციქულის I წერილი ტიმოთეს მიმართ, 1,7).

გალაკტიონ ტაბიძე ელის მარიამს – „ლურჯ დას“, რომელიც ქრისტესავით ჯვარზეა გაკრული ურწმუნო ეპოქის მიერ, უღმერთობის ბაცილებით მოწამლული ახალგაზრდობა კი თელავს „ლურჯ ყვავილებს“: „ჯვარზე გაკრული ელვა ეს ჩემი დაა ლურჯი. ლურჯ ყვავილების თელვა, ახალგაზრდობა ურჩი“.

ამ სტროფში მთავარი აზრობრივი აქცენტის მატარებელი სახეებია „ჯვარზე გაკრული ელვა“, „ლურჯი და“, „ლურჯი ყვავილები“.

ელვისა და ჯვრის ასოცირებას, ელვის წარმოდგენას უფლის სახედ ხშირად ვხვდებით სასულიერო პოეზიაში: „უფალო, ვითარცა ელვაი, გამობრწყინდა აღმოსავალით ჯუარი შენი“ (იოანე მინჩხის პოეზია, თბ. 1987წ. გვ. 41).

მაგრამ ელვა მარიამის სიმბოლური სახელიცაა: „ღმრთისმშობელო...ელვის სახედ განმანათლებელო“ (ნიკოლოზ გულაბერიძე, „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“, „ჩვენი საუნჯე“, ტ. I, 1960წ. გვ. 541).

გალაკტიონის ლექსის „ჯვარზე გაკრული ელვა“ მარიამის სახეა, იგი, როგორც ქრისტეს ჯვარცმის მაყურებელი, თვითონაც ჯვარცმულია, ამასთან, უღმერთო ეპოქაში მეორედაც ჯვარცმული.

ლექსის პირველ სტრიქონში „ცივი ელვით“ შეგვიყვანა პოეტმა უღმერთო, ურწმუნო ეპოქის ჯუნგლებში, ამჯერად კი ჯვარზე გაკრული ელვის სახე შემოგვანათებს. აქ ვლინდება გალაკტიონის უმთავრესი თავისებურება – სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელობის პრინციპი, როგორც არსებითი ამოსავალი მეოცე საუკუნის ახალი ხელოვნებისა და ამ სახეთა სრულიად განსხვავებულ შინაარსში ჩაღრმავებით ვრწმუნდებით, რამდენად მრავალგვარია მისი ხედვის ასპექტები.

რაც შეეხება „დას“, აქ ისიც შეიძლება გავიხსენოთ, რომ ლექსში „როცა გარშემო ღამე ბნელია“, ღვთისმშობელი „უცხო მდელოს უცხო ასულია“, თეთრი ყვავილია, გალაკტიონი კი მასზე ოცნებით გატაცებული „პალადინი და მარადი ძმობილი“.

„და“ მიჩნეულია მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ. ამ სახის წყარო შეიძლება მოვიძიოთ სოლომონის „ქებათა ქებაში“: „ბაღი ხარ დახშული, რძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (4,12).

„საღამოს“ „ლურჯი ყვავილი“ ქრისტეს სიმბოლოა.

ვარდი, ყვავილი სასულიერო ლიტერატურაში მაცხოვრის და ღვთისმშობლის ბუნების გამოსახატავად გამოიყენება.

გალაკტიონის „ლურჯ ყვავილს“ თელავს ურწმუნოთა თაობა.

ყვავილის გაუჩინარება, დამსხვრევა, დაშხამვა, გაყინვა, გათელვა, გარდაცვალება არაერგზის გვხვდება გალაკტიონის პოეზიაში და საღმრთო სიყვარულის უარყოფას მოასწავებს.

ასეთ „ურჩ ახალგაზრდობას“, „შიშ-შთამგონებ ახალგაზრდობას“ ყოველთვის უარყოფითად ახასიათებდა პოეტი („მთელი თაობა გარდამავალი“, „აქ საიდუმლო პატარა ქოხის საიდუმლოა კაცობრიობის“).

ყურადღება მივაქციოთ ლექსის სათაურსაც – „საღამო“, რომელიც სულიერი მწუხრის მაცნეა, როგორც „ატმის ყვავილების“ „მზის ჩასვლა“, ან მზის გარდაცვალება ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“, ასევე მზის ჩაქრობა (მე დამესიზმრა).

„საღამო“ დაწერილია 1915წ. ეს დრო აღინიშნება ანტიქრისტეთა თარეშით.

„საღამოში“ „ჯვართან მისული სურო მარტოობაა ქნარის“, ხოლო ლექსში „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“: „თებერვალს უხმობენ, თებერვალს სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები“.

ასოციაცია ჩნდება კ. გამსახურდიას „ფოტოგრაფთან“, რომელშიც წითელჩოხიანმა ხატს ესროლა, შავმა ფრინველმა კი ჯვარი ჩამოიღო ეკლესიის გუმბათიდან. გვახსენდება ასევე „მთვარის მოტაცების“ ახალგაზრდობის ანტირელიგიური პროცესიები.

მოკლედ, გალაკტიონის „საღამოს“ დედააზრი ისაა, რომ „დედოფალი ალვა“ (მარიამი) „ცივი ელვით“ (ეპოქის უღმერთობით) დამცირებულია, ახალგაზრდობა თელავს „ლურჯ ყვავილებს“ (ღმერთის რწმენას), ჯვართან სურო მიდის და ყოველივე ეს ქნარს – პოეზიას ტკივილებით მუხტავს. მსგავსი თემა გალაკტიონის მრავალ ლექსშია სიმბოლურად დამუშავებული („კოშკი“, „ატმის ყვავილები“, „მიმღერე რამე“).

„ნელ ლერწმით და ვაზის მტევნებით დაგვირგვინებული ქალწული“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია არის ხორცშესხმა პრინციპისა: „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუცია“.

სიმბოლურ-მეტაფორული აზროვნება პოეტის ესთეტიკის ქვაკუთხედია. ამასთან, გალაკტიონის უპირველესი თავისებურებაა მეტაფორის დაკავშირება მსოფლმხედველობასთან, სახე-სიმბოლოთა მრავალმნიშვნელოვნება, მოულოდნელობა, ხედვის, აზროვნებისა და სიტყვის თავისუფლება, რაც წილნაყარია იდუმალების ესთეტიკასთან.

ამ გაგებით მრავალ თავისებურებას ავლენს პოეტი ვენახის, რტოს, მტევნის და ღვინის სიმბოლურ გააზრებაში.

ეს სახეები ბიბლიიდან მომდინარეობს. ბიბლიაში ყურადღებას იქცევს ორგვარი ვაზი: მიწის და ზეცის.

მიწის ვაზი ებრაელი ხალხის სიმბოლოა: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას ხალხია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7).

„იმ დღეს იმღერეთ სანატრელ ვენახზე“ (ესაია, 27,2)

„მე უფალი მცველი ვარ მისი, ყოველწამს ვარწყულებ და ვიცავ დღითა და ღამით, რომ არავინ დააზიანოს“ (ესაია, 27,3).

წყლის პირას დარგული ნაყოფიერი ვაზი – ისრაელი ღვთის რისხვით გვალვიან უდაბნოში იქნა გადასახლებული: „დედაშენი ვაზს ჰგავდა, ბროწეულის ყვავილს, წყლის პირას დარგულს, ნაყოფიერი და რტომრავალი იყო უხვი წყლის გამო“ (ეზეკიელი, 19,10)

„მაგრამ რისხვით ამოიძირკვა და მიწაზე იქნა დაგდებული; აღმოსავლეთის ქარმა გაახმო მისი ნაყოფი“ (ეზეკიელი, 19,12)

„ახლა უდაბნოშია დარგული, უწყლო და გვალვიან ქვეყანაში“ (ეზეკიელი, 19,13).

ისრაელს – ღვთის რჩეულ ვენახს ხშირად ჰქონია ჭეშმარიტი გზიდან გადახვევის მომენტები: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე?“ (იერემია, 2,21)

„დავიწყებული გყავს შენი ხსნის ღმერთი და კლდე შენი სიმტკიცისა, გაგიშენებია ნეტარების ბაღები და უცხო ვაზები ჩაგიყრია“ (ესაია, 14,10), საყვედურობდა ღმერთი ისრაელს.

სახარების „მევენახე“ მამაღმერთია, „ვაზი ჭეშმარიტი“ – ქრისტე: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა“ (იოანე, 15,4).

ზეციური ვენახი გვეცნაურება ზირაქის სტრიქონებში: „მე, ვითარცა ვენახმან, აღმოვაცენე მადლი და ყუავილი ჩემი, ნაყოფი დიდებისა და სიმდიდრისა“ (ზირაქის სიბრძნე, 1,6).

თანახმად „ნევმირებული ძლისპირნისა“ (გამოქვეყნდა 1982 წ. X ს. დამლევისა და XIს. დასაწყისის ხელნაწერის მიხედვით), მარიამი არის „საღმრთო ვენახი, ცხოვრების მტევნის მტვირთველი“ (გვ. 341), „სიწმინდის ვენახი“ (გვ. 597), „რქამშვენიერი ვენახი“ (გვ. 675).

„სინურ მრავალთავში“ (864 წლისა, გამოქვეყნდა 1959 წ. აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევებით) მარიამი მოხსენებულია, როგორც „მშვენიერი ვენახი“ (გვ. 6).

„დაუჯდომელში“ მარიამი არის „ვაზი მორჩისა დაუჭკნობელისაი“.

სასულიერო პოეზიაში თავისებურად გრძელდება წინარე ტრადიციები.

იოანე მინჩხის პოეზიაში ქრისტე არის „ვენახი ცხოვრებისაი“, მარიამი – „ვენახი სამეუფო“, „ვენახი ჭეშმარიტი“, „ტევანი ტკბილი“.

„ჭილ-ეტრატის იადგარში“ მარიამს ეწოდება „ვენახი ჭეშმარიტებისა“, ქრისტეს – „ტევანი ცხოვრებისაი“ (გვ.151).

იოანე მტბევარის მიხედვით, ქრისტე არის „ვენახი სულიერი“, მისი მოძღვრება კი „ცოდვილთა გამაცოცხლებელი ტევანი“ (პავლე ინგოროყვა, „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“, 1913წ. I).

იოანე მტბევარი წმინდანებს ვენახის რტოებად წარმოსახავს, რომლებიც „სათნოების მტევანს“ ისხამენ და სულიერ ღვინოს იძლევიან: „რტოდ ვენახისა საღმრთოისა გამოსჩნდი შენ, ბასილი, სათნოებისა მტევანი გამოიხოვენ სასოო და ღვინოი გულისხმისყოფისაი ასუ სამწყსოთა ქრისტეისათა“ (იქვე).

ჰიმნოგრაფიაში „საღმრთო ვენახი“ მარიამსაც ეწოდება („ნევმირებული ძლისპირნი“, 1987წ. გვ. 81).

სიმბოლური გაგებისაა იოანე მტბევარის „ტევანნი სულიერნი“, „სათნოებისა ტევანი“, „ტევანი შუენიერნი“, ეზრას – „ტევანი ტკბილი“, მიქაელ მოდრეკილის „ტევანი სიტკბოებისა“, „ვენახი სიწმინდისა“.

სინურ მრავალთავში ღვთაების სიმბოლოა „ტევანი ჭეშმარიტებისა, ახლისა ვენახის კვირტი“ (სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, 1989წ. გვ. 66).

დემეტრეს საგალობელში მარიამს ეწოდება „ახლად აყვავებული ვენახი“.

იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ თამარი მოიხსენება, როგორც „ვენახი კეთილგანსხმული“, „სიბრძნის ვაზი“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ქრისტე სახელდებულია, როგორც „კარგი ყურძენი“, ღვინო კი სულის სიმბოლოა: „სხეულში დასადგურებულ სულს პოეტი მხატვრულად წარმოსახავს, როგორც ჭურჭელში (საღვინე) მდგარ ღვინოს. ადამიანმა კეთილ ღვინოს სუფთა ჭურჭელში უნდა მიუჩინოს ადგილი, სადაც ყოვლად შეუძლებელია მისი წახდენა: „ხორცსა აქვს დანაშაული, სულისა არა ბრალია, სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყრალია“ (ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ. 1989წ. გვ. 64-65)

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ სულიერება, განათლებაა ნაგულისხმევი „მშვენიერი და ბრწყინვალე მტევნის“ სახეში, რომელიც დაპირისპირებულია „ძაღლყურძენასთან“.

ცნობილია სიმბოლური ჯონ სტეინბეკის „მრისხანების მტევანი“.

„მტევანი იძლევა ღვინოს, როგორც სიტყვამ მისცა თავისი სისხლი. ვენახის სიმბოლოს განშტოებანია ვენახი და ყველაფერი ის, რაც რთველთან, ნაყოფის მიღებასთან არის დაკავშირებული“ (რევაზ ბარამიძე, „ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან“, თბ. 1966წ. გვ. 169).

ბიბლიაში თეოლოგიაში ხე ცხოვრებისა ღვთის სიმბოლო იყო, წარმართობის ხანაში ქართველი კაცი კი ვენახს სიცოცხლის ხედ ნათლავდა (ვერა ბარდაველიძე, რევაზ სირაძე).

გალაკტიონი თავისებურად სარგებლობს ბიბლიის, ჰიმნოგრაფიის, წინაპარ კლასიკოსთა მდიდარი ტრადიციებით. პოეტი შემოქმედებითად იყენებს ვენახის, რტოს, მტევნის, ღვინის მხატვრულ სახეებს. ამ დამოკიდებულების შინაარსი გახსნილია თვით პოეტის მიერ, როცა იგი სიმბოლური ღვინის მტევნების, „ფეერიული აკიდოს“ სიყვარულზე, სიფხიზლის გრძნობაზე გვესაუბრება: „ძველისძველ ღვინოს და მძიმე მტევნებს, ფეერიულად მკრთოლავ აკიდოს – სვამს და თავისთვის თვალყურს ადევნებს, რომ თვალებს რული არ მოაკიდოს“ (ძველისძველ ღვინოს).

გალაკტიონის შემოქმედებაში ეს ცნებები მრავალგვარი გააზრებისაა, ერთ-ერთი გაგების მიხედვით კი, სულიერი ვენახი ქრისტეს სიმბოლოა, რაშიც იოანე მტბევარის ტრადიციის – („ტევანი სულიერი“) – ახლებური განცდა იგრძნობა.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ ერის დაკარგული წიგნის მაძიებელ ტარიელზე თამარი ამბობს: „მაშ ვლი სულიერ ვენახთა წინდვით“. ამ ნაწარმოებში იდენტური სახეებია სულიერი ვენახი, წყარო, გზა, მზე, წიგნი (მრავალგვარი ეპითეტით) და ყველა მათგანი საღმრთო სახელია.

ვაზის, მტევნის სახეები გალაკტიონმა თავისუფლების, სიყვარულის, სიცოცხლის მომღერალ პოეზიას დაუკავშირა და შთაგონების ახლებური ნაყოფით მოგვხიბლა: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით, გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად, მახარებს ჩემი თავისუფლება და სიყვარული მახარებს მარად“ (გადავიარეთ მრისხანე ზღვები).

მტევნები, სიცოცხლე, სიყვარული საღმრთო სახელებია. ღმერთი არის „გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე ,14,6). „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8).

ბიბლიაში ფიგურირებს „ყურძენი ნაღვლისა, ყურძენი სიმწარისა“ (I სჯული, 32,32), სასულიერო პოეზიაში კი „სათნოების, ჭეშმარიტების, სიტკბოების... ტევანი, სულიერი ტევანი“.

გალაკტიონი ამრავალფეროვნებს წინარე პოეტურ ტრადიციებს.

ლექსში „სიცოცხლის მტევნები“ რელიგიური სახეებია: „სიმართლის თასი“ (მარიამი), „გრძნობის მტევნები“, „სიცოცხლის მტევნები“, „სიცოცხლე“ (ქრისტე): „ხელში გეჭიროს სიმართლის თასი, მასში მტევნები გრძნობის ჩასწურე, რასაც არა აქვს სიცოცხლის ფასი, დალეწე, დასწვი, გაანადგურე! ხელისშემშლელი გაჰკვეთე ბინდი, ხავსს განშორების ცეცხლი აპკურე, გათენებათა იყავ რაინდი – დასწვი, დალეწე,გაანადგურე!“

როგორც ვხედავთ, ახლებური სახეებია: „სიცოცხლის მტევნები“, „გრძნობის მტევნები“, „სიმართლის თასი“.

„ეფემერაში“„გვიანი მტევნების“ სახე იპყრობს ყურადღებას. ლექსში პოეტი თავისი პირველობის, განსაკუთრებულობის რწმენას ავლენს, მომავლის დიდებისა და მაგიური მარმარილოს ძეგლის საწინდარი კი „ვაზის ჯვარი და გვიანი მტევნებია“: „სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები, იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება“.

ბუნებრივია, რომ მტევნებს ორგანულად უთავსდება ვაზი და ჯვარი.

„ქართველი კაცისთვის ჯვარი სინათლეა – სინათლე და ნათელი ზესთასოფლური.

„სანთელი რომ იწვის, მისი შუქიც, მისი სხივცემაც ჯვარსახოვანია.

„ჯვარი და ნათელი განუყოფელი სხეული („მონოსხეული“) და განუყოფელი სულია („მონოსული“).

„მზე და სინათლე, ანუ მზიური ნათელი, ქართული მითოლოგიით, თავს იყრის სალოცავ ტრიადაში-ჯვარი, ქალის თმა, ვაზი.

„ყოველივე ეს მისტიკაა, ანუ ზეცნობიერი პირველსაწყისის ემანაციაა“ (ლევან სანიკიძე, „აპოლოგია ქართული ჯვრისა“, „კომუნისტი“, 11 მაისი, 1989წელი).

გალაკტიონის „ავდრის მოლოდინში“ ქალწული დაგვირგვინებულია ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით: „ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით მიყვარს ქალწულის დაგვირგვინება“.

ამ კონტექსტის ლერწები და ვაზის მტევნები ქრისტეს სიმბოლოა, ქალწული – მარიამისა. მივმართოთ პოეტისეული სახის პირველწყაროს: „აჰა, მუცლადღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად იმანულს“ (ჩვენთან არს ღმერთი) (ესაია, 7,14).

ასევე რელიგიური გაგებისაა მთვარესთან დაკავშირებული მტევნები და შადრევნები: „შეკიდებიან მთვარეს, როგორც მძიმე მტევნები, თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები“ (ვინ არის ეს ქალი?).

მთვარე ტიტე მოსიას „საღვთისმშობლო სახისმეტყველებაში“ მარიამის სიმბოლოდ მიიჩნევა: „მზესთან, მზისთვალთან ერთად, მარიამის სიმბოლურ-ალეგორიული სახელია მთვარეც: „მთოვარე დადგა წმიდასა ზედა თვისსა, ქალწული უბიწოი“ – (უძველესი იადგარი, 439).

ბენებრივია, რომ ლექსში მარიამთან (მთვარესთან) ერთად მოიხსენიება „მტევნები“ და „შადრევნები“, რომლებიც ასევე ქრისტეს სიმბოლოებია წყალთან, წყაროსთან, აუზთან, ნამთან, ცვართან, წვიმასთან ერთად და ეს სახე ფიგურირებს გალაკტიონისავე „შადრევნების ვედრებაში“. „ცა, შადრევნების მძიმე მტევნებით“ – ნათქვამია ლექსში „ცა თოვლით ფენილი“.

„შადრევნების მტევნების“ „ცასთან“ გამოჩენა დედა-ძის სახეებზე მინიშნებაა, რადგან „ცა“ მარიამის სიმბოლოა.

შადრევანის რელიგიურ გაგებას ვხვდებით რაინერ მარია რილკეს ლექსში „შადრევანთა ექო“: „მე გამიცხადდა შადრევნების არსი ფარული“.

გალაკტიონის ლექსი „ოპერის თეატრთან“ სინანულს გვიმხელს იმ „შადრევნის“ გაუჩინარების გამო, რომელიც „იდუმალ მხარეთ“ გვიმხელდა: „იქ აღარ რეკავს ის შადრევანი, იმ იდუმალთა მხარეთ გამხელა“, ე.ი. პოეტი დაუსევდიანებია ღმერთის უარყოფის ფაქტს.

არც შემდეგი ფრაზებია მოკლებული რელიგიურ გაგებას: „ღამე, მარტოობის მტევნით დახურული“, „უეცრად შემკრთალ შუაღამის მღვრიე მტევანი“.

„მარტოობის მტევანიც“ და „შუაღამის მღვრიე მტევანიც“ ზუსტად მიესადაგება ზემოთგანვითარებულ აზრს, რადგან მათში შეიცნობა ქრისტეს მარტოობა, მოწაფის გაცემით სულშემღვრეული უზენაესის ტკივილი. ძნელია, ამ სახეებს სხვა გაგება მიუსადაგო.

სიმბოლურია და ეროვნულ პრობლემებს გვიცნობიერებს ვაზის ჯვარი, „ობოლი ვაზი“, ილია ჭავჭავაძის „ობოლი ვაზის“ გახსენებას რომ იწვევს: „მტევანი, ვაზის ჯვარი, ოხვრა ჩემი მამულის, ტირის ვაზი ობოლი, მცნობი გზის მეწამულის“.

„ობოლი ვაზის“ სახეში ამჯერად შვილის ჯვარცმისას ატირებული მარიამი გვეცნაურება, „მეწამულ გზაში“ – სისხლიანი ქრისტე, გზა ხომ ქრისტეს სიმბოლური სახელია.

გალაკტიონის „ზვარის აფოთლებაშიც“ ილია ჭავჭავაძის ტრადიცია იგრძნობა: „ო, მამულო, აფოთლდება ცვარით მსხმოიარე ზვარი“. ამ ფრაზის „ცვარი“ ქრისტეს სიმბოლოა, „მსხმოიარე ზვარი“ – მარიამისა.

მივმართოთ პირველწყაროს: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია,12,1)

ასეთივე გაგებისა ბიბლიაში „ნათლის ცვარიც:“ „ნათლის ცვარია შენი ცვარი“ (ესაია, 16,19).

ეროვნული ტრიადა: „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ერთდროულად შეიცნობა გალაკტიონის „მამულში“, სადაც „მოხუცი მამა“ მამაღმერთია, ვენახი – ქართველობა, რომელსაც ერთდროულად გასჩენია ტერიტორიულ-დემოგრაფიული, ენისა თუ სარწმუნოების პრობლემები, რაზედაც მიგვანიშნებს „სხვა ხალხის“ ჟრიამული.

ბიბლიაში ვენახის (ანუ უფლის რჩეული ხალხის – ებრაელობის) გასხვლა თუ ტოტების მთლიანი შეჭრა მისი გადაჯიშებისას (სხვა ერებში გათქვეფის, ჭეშმარიტი ღმერთისადმი გულგრილობის მომენტებში) ხდება, ურწმუნოება ყოველთვის უფლის სასჯელით მთავრდება, ანუ სხვაგვარად, მამაღმერთის პრეროგატივაა სამყაროში ეროვნული სიწმინდის, დემოგრაფიული პრობლემის, სარწმუნოებისადმი ერთგულების საკითხების მოგვარება, რასაც იგი ანგელოზის ხელით აღასრულებს.

გალაკტიონს, როგორც „მამულში“, ისე „მშვიდობის წიგნში“ აძრწუნებდა „დეევების უგონო აურზაური“, „მრავალ ათას ხმის ... თავდასხმა და სითამამე“, „სხვა ხალხის ჟრიამული“, საინფორმაციო ველში უზენაესი ელანდებოდა „მოხუცი მამის“ სახით, როგორც ძირძველი ქრისტიანი ერის შემწე, რომელიც გასხლავდა გადაგვარების გზაზე დამდგარ ვაზს უნაყოფო ტოტებისაგან. მივმართოთ „მოხუცი მამის“ წყაროებს.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტე სახელდებულია, როგორც „წმინდა მამა“.

გოეთეს „კაცობრიობის საზოვარში“ მამაღმერთი გვევლინება, როგორც „მოხუ-

ცი მამა, წმინდა მამა“, „როს ღრმა მოხუცი წმინდა მამა თავისი ხელით კურთხეულ ელვებს ღრუბლებიდან მიწაზე სთესავს, ვეამბორები მოწიწებით მისი სამოსის კალთას, ბავშვივით მიამიტად ათრთოლებული“ („ლირიკა“, თარგმანი ვახტანგ ბეწუკელის, თბ. 1967წ. გვ. 89).

გალაკტიონის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს გამხმარი ვაზები, დაუსრულებელი სეტყვით განადგურებული ვენახები, რაშიც ღრმა ქვეტექსტებია ნაგულისხმევი.

ბიბლიაში რწმენისადმი, ჭეშმარიტი ღმერთისადმი გულგრილობას უნაყოფო ვენახზე მინიშნება გვაუწყებს: „დაცარიელებული ვენახია ისრაელი, ნაყოფსაც თავის მსგავსს იძლევა“ (ოსია, 10,1).

იოველ წინასწარმეტყველი ჰგოდებდა: „გადახმა ვაზი და დაჭკნა ლეღვი. გახმა მინდორში ბროწეული, ფინიკი, ვაშლი და მთელი ხეხილი. ამიტომაც გაუშრა სიხარული ადამის ძეს“ (იოველი, 1,12).

„გადახმა პური“ (იქვე, 1,17)

„დაიშრიტა წყლის სათავეები“ (იქვე,1,20)

ზეციური ვაზი, ზეციური პური, წყალი საღმრთო სახელებია.

ურწმუნოების ტრაგედიას გალაკტიონი დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული ყვავილების და ვენახების ჩვენებით გვიცნობიერებს: „...მაგრამ დაცემული არვის ვენახვები, თუმცა მრავალია გულში დაგუბული, როგორც ყვავილები, როგორც ვენახები, დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული“ (არ ღირს იმ ერთ ცრემლად).

აბრაამისა და სოლომონის ყვავილები უფლის სიმბოლური სახეებია. გავიხსენოთ ერთი მაგალითი: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2,12).

ზეციური ვაზის ,,ჭეშმარიტი ვაზის“ უფლის სახელად მოაზრების მაგალითი სახარებაში გვხვდება (იოანე, 15,4).

ქარტეხილგადავლილი უნაყოფო ხეხილი და გამხმარი ვაზი ღმერთისუარმყოფელი ეპოქის სიმპტომებს ააშკარავებს გალაკტიონის „მუხებში“: „ვაზები გახმა. აღარ მოაქვს ნაყოფი ხეხილს, გადაუვლია აქაც ქარტეხილს“

„არდაბრუნებაში“ გრიგალისაგან გატაცებული ვაზის ლერწით იქმნება მინიშნება რწმენის იავარქმნაზე: „აი, გრიგალმა გაიტაცა წითელი ლერწი ვაზის ბუნების“...

ამაღლებულობის განცდას ქმნის ვენახის შედარება ტაძართან: „ვნახე ვენახი, როგორც ტაძარი, ისეთი არსად ჯერ არ მენახა – უზარმაზარი და იისფერი ფურცლები ვაზის. სანთლებს ვენახში უმძიმეს ქარვის მტევნებად აზის, ვით ფერფლი ნახშირს“ (მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა).

ეროვნული აღმავლობა-სიდიადე გალაკტიონის პოეზიაში მრავალგზის არის წარმოჩენილი ვენახის საშუალებით: „საყვარელი მამული ჰყვავის დიდი დიდებით, მდინარე და მამული ზვრებით სულ დიდ-დიდებით“ (საყვარელი მამული).

სხვაგან ობოლი ვაზი ყვავილზე შეყვარებულად წარმოიდგინება: „ბაღში ნაკადის ზვირთი ზვირთზე ხტის, ვაზი ობოლი ირხევა, კრთება და იქვე გაშლილს ნაზად ზრდილ ყვავილს – არ შემიყვარებ? – ეჩურჩულება“.

პოეტის შემოქმედებაში განუყრელია ჩუქურთმა, ვაზი, ქალის თმა და მზე, რაც ორგანულია ქართული მსოფლგანცდისათვის (რევაზ სირაძე, „სახისმეტყველება“, თბ. 1977 წ.)

ლექსში „მტევანი, ვაზის ჯვარი“ არის სტრიქონები: „ამღერდება სხვაგვარად ტყვიებით დანახვრეტი, მტევანი ათას წლისა – ქვისგან გამონაკვეთი“. სხვაგან ჩუქურთმისა და ვაზის მტევნების მსგავსებაა მონიშნული: „და მტევნების სულ მწიფეზე მწიფის მსგავსებაა ჩუქურთმები ბზიფის“ (შედგა ცხენი).

მტევანი ახალ-ახალ ხილვებთან არის დაკავშირებული გალაკტიონის ლექსებში. რუსთაველის სიტყვა გალაკტიონისთვის არის „მარგალიტთა... მტევანი“: „მარგალიტთა დიდთა მტევნად და ქროდა ჰქროდა სიტყვათ შენთა შადრევანი“ (ისევ მესხის გამოხედვა).

გვხვდება ყურძნის მტევნებით ჩამოწოლილი ღამე, საიდანაც ხიტროვ რინიკი „სწურავდა არაყს“ (ჯონ რიდი), შადრევნების მტევნები, აკაციის მტევანი, ტირიფის მტევანი, ალუჩების მტევანი, მტევნები ფუტკრის, მტევნები ხელის.

სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს

გალაკტიონ ტაბიძის სახელს, დიდებასთან ერთად, იმთავითვე აემგზავრა ბახუსისმოყვარეობის ლეგენდა, რაც თითქოს შთამბეჭდაობას სძენდა პოეტების მეფის პორტრეტს. ამ ლეგენდიდან კი ამოიზიდა მწარე სინამდვილე, რომელიც ერის სათაყვანო პოეტს არათუ არ ეფერებოდა, ფიალას დარდით, შხამით, საწამლავით უვსებდა.

გალაკტიონი გამუდმებით ნათელშემოსილი, მზითშემოსილი იყო, სამშობლოს ფიცით სავსე თასი ეპყრა, ქვეყნის, ხალხის სადღეგრძელოები არ ელეოდა.

პოეტი მთვრალი იყო დარდით, ფიქრით, პოეზიით, ყვავილებით, სიყვარულით, ყვითელი ფოთლებით, ზღაპრით, თოვლით, ყოფნით, ცეცხლით, დღის სიელვარით.

გამაოგნებელი იყო ხილვები და სახეები, რაც გალაკტიონს საუკუნის ყველა პოეტისგან გამოარჩევდა: „ალის თასი, სიხარულის ჭიქა, ცეცხლიანი აზარფეშა, ზამბახეული თასი, დღის ხმათა თასი, ოცნების ზოლი ფიალით, მარადი ჭიქა, სიმართლის თასი“...

მკითხველი მთელი არსებით იყო მიყურადებული საოცარ განაცხადს: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით“, „ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს“, „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“...

პოეტი თასით თუ წიგნით „უკვდავ ღვინოს“ ეწაფებოდა, „ცისფერ ღვინოებს“ დაეძებდა, ანკარა ღვინოში ბეჭედი ჰქონდა ჩაშვებული, „ღვინის ფარები“ მოემარჯვებინა.

გალაკტიონის, ერთი შეხედვით, „გაუგებარი გენია“ მკითხველის სულს არაცნობიერის თუ მისტიკის სფეროში იწვევდა.

ღვინის სიმბოლური გააზრების მაგალითები ძველი აღთქმიდანვე იქცევს ყურადღებას: „ღვინო ლმობიერებისა“ (დავითი, 19.75) „ღვინო უსჯულოებისა“ (დავითი, 283.17), „ძველისძველი ღვინო“ (ესაია, 25.16), „ღვთის მძვინვარების ღვინო“ (გამოცხადება, 14.10) „მეძავების ღვინო“ (გამოცხადება, 14.8).

სახარებაში ქრისტე საიდუმლო სერობაზე პურს თავის ხორცს, ხოლო ღვინოს

სისხლს უწოდებს.

გალაკტიონის პოეზია ამ ასპექტში სრულიად გაუგებარი იქნება, თუ მისი შორეული წყაროები არ მოვიძიეთ.

აკი თვით პოეტი ხაზს უსვამს, რომ „წარსულმა მას დაუტოვა გადაუხდელთა იმედთა რიცხვი“ (ძველისძველ ღვინოს).

წარსულის ვალებში ხომ მუსიკასა და ყვავილებთან ერთად ღვინოც მოიხსენია: „კარებთან კივის წარსული ვალი: მუსიკა, ღვინო და ყვავილები“ (საახალწლო ეფემერა).

ღვინო და ყვავილი საღმრთო სახელებია, ზემოთდამოწმებული ფრაზით პოეტი ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი გზის გაგრძელების მოთხოვნას აყენებს, რწმენის ერთგულებას ავალებს მომდევნო თაობებს.

პოეტი ეწაფება „ძველისძველ ღვინოს“, „ფეერიულ აკიდოს“ და წარსულის გადაუხდელი იმედები აგონდება: „ძველისძველ ღვინოს და მძიმე მტევნებს, ფეერიულად მკრთოლავ აკიდოს სვამს და თავისთვის თვალყურს ადევნებს, რომ თვალებს რული არ მოაკიდოს. გამოფხიზლება მისი უდაო სხვა მოგონებებს უტოვებს სირცხვილს, რადგან წარსულმა მას დაუტოვა გადაუხდელთა იმედთა რიცხვი“ (ძველისძველ ღვინოს).

ძველი ღვინის უგონოდ, მძაფრად სმაზე საუბრობს ლექსში „ვერხვები“, რომელიც რელიგიურ თემაზეა. პოეტის თანამედროვეობას ზღაპრად უქცევია რწმენა. დაუკარგავს გვირილები (ყვავილი, ვარდი საღმრთო სახელია), ლექსის ლირიკული გმირი კი ისევ თვრება ძველი ღვინით, აძრწუნებს ვერხვის კვნესა (ვერხვი სიცოცხლის ხეა, ქრისტიანული ღმერთის სიმბოლო), იგი ისევ ერთგული პაჟია ყვავილების (ქრისტეს სიმბოლოა), პრინცესის (მარიამის, რომელიც მეფის ასულია ბიბლიის და სასულიერო პოეზიის მიხედვით), ანუ დედა-ძის მარადიული ხატების.

ღვინის, როგორც უზენაესის სიმბოლოს, წყარო ბიბლიაში მოიძიება.

ესაია წინასწარმეტყველი ღვინის და ნადიმის სიმბოლური სახით ასე წარმოადგენს ძე ღმერთის მოვლინებას სამყაროში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია, 25,16).

„ძველი ღვინის“ საღმრთო სახელად გაგების ტრადიცია გალაკტიონს წარსულმა უანდერძა და ისიც ერთგულებს მას, მაგრამ, ამასთანავე, საოცრად ამრავალფეროვნებს წინაპართა მიგნებებს.

ლექსში „მოგონება“ „ძვირფასი ღვინო“, „უკვდავი ღვინო“ ქრისტეს სიმბოლოა, „მემარნე“ და „წიგნი“ – მამაღმერთი, თასი – მარიამი: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით, ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მემარნე და ჩვენ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო: შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“.

„ზღვის ეფემერაში“ გემის ბაქანზე სიხარულს იწვევდა ღვინო, მაგრამ გემი აივსო წყლით, ანუ მოკვდა რწმენა.

პოეტი მეზღვაურებს მოუხმობს ღვინისთვის და მკითხველი გრძნობს ამ ფრაზის იდუმალებას: „მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ, მოგროვდით!“

ლექსში „ეს მძინარე მთა და ველი“ მამაღმერთი მოიაზრება, როგორც მეღვინე, ძე ღმერთი კი – ღვინო: „შენ, მეღვინე, ღვინო გვასვი, თვალს ნუ მიეძინება, ფიქრები გვაქვს ასჯერ ასი, როგორც ღრუბლის დინება“.

„ისევ ოცნება და სიყვარული“ ღვინის სმაზე, მარადიულ ცეცხლზე ოცნებაა, ღვინოც და მარადიული ცეცხლიც საღვთო სახელებია.

პოეტი წუხს, რომ „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“.

ყოფნა, ცხოვრება ქრისტეა. მივმართოთ სახარებას: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14,6).

უსხეულო ცეცხლი, მარადიული ცეცხლი, უჩინარი ცეცხლი, ფარული ცეცხლი საღვთო სახელებია.

პოეტი ავლენდა „ცისფერი ღვინოების“ წყურვილს, სხვანი კი მიწიერი ვაზის ღვინოს ეწაფებოდნენ: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით და უცნობ ტანჯვის პიანინოებს ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით. როგორც მრავალი ვარდების მფენი, მას სული ჰქონდა უხვად ციური, მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი ფანტასტიური“.

„ცისფერი ღვინო“ მიწის ვაზის ნაყოფი კი არ არის, არამედ ზეცის ვაზის, ანუ უფლის სიმბოლოა, რაც ბიბლიური ტრადიციის გამრავალფეროვნებას მოასწავებს.

გალაკტიონის „სადღეგრძელოც“ (ანუ პოეზია,) ზეცის შვილის (ქრისტეს) ერთგულება-სიყვარულს ამკვიდრებს: „ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს. იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი, იმ სადღეგრძელოს“ (მაისის ისრით).

ემზარ კვიტაიშვილის თქმით, გალაკტიონის ლექსებში „ხშირადაა ნახსენები თრობა, ცისფერი ღვინოები, დაულეველი სადღეგრძელოები. ეს თრობა სხვა თრობა იყო, უმაღლესი პოეზიის ნეტარი წუთებით გაბრუება; მის ხელთ ნაჭერი უძველესი თასიც ღვინით კი არა, ფიცით იყო სავსე, მამულისთვის თავდადების ურყევი ფიცით“ („დაკვირვებები გალაკტიონის ლირიკაზე“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1981 წ. გვ. 85).

ლექსში „პუშკინი პარიზში“ ისევ არაჩვეულებრივ სახეებთან გვიწევს შეხვედრა: ბახუსის ალი, ღვინოში ჩაშვებული ბეჭდები, ჩარჩოს გადაცდენა, თასში მოქცეული ვარდების ბუჩქის ჩრდილი.

აქ ისევ მისტიკური შინაარსით დატვირთული ხილვებია: „გადავერიოთ ბახუსის ალებს, შორს სევდა-დარდი... სავსე თასების ცბიერ ძალაში ნუ დავეჭვდებით. ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები, ასწით თასები. გადავკრათ უცებ, გადავცდეთ ჩარჩოს. ეს გაუმარჯოს მგოსნების მუზებს, აზრს გაუმარჯოს, მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“ (პუშკინი პარიზში).

უაღრესად დამაფიქრებელი სახეა ღვინის სიანკარეში ჩაშვებული ბეჭდები, რომელსაც ჩვეულებრივი მიწიერი ლოგიკა არ ეძებნება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ანკარა ღვინო, საერთოდ, ღვინო, ღმერთის სიმბოლოა, ხოლო ბეჭედი – მარიამისა, თითქოს იფანტება ბინდი და გასაღები ეძებნება ამ ენიგმას.

მივმართოთ საღვთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველების აღიარებულ მკვლევარს – ტიტე მოსიას: „ნევმირებული ძლისპირნის“ თანახმად, მარიამ ღვთისმშობელი არის... ზეცის ბეჭედი“ („საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996 წ. გვ. 43).

მაშ ამ ბეჭდის და, ღვინის ზემოხმენებულ გაგებას თუ დავემყარებით, ამ ორი სახე-ცნების ერთად ხსენება სრულიად ექვემდებარება ლოგიკას და, ღვთისმშობელთან ერთად, ქრისტეს მოაზრებაა. მგოსნის მუზა, ამჯერად, როგორც მრავალგზის, დედა-ძის სათაყვანებელი, მარადიული სახეებია.

არანაკლებ თავგზისამბნევი ფრაზაა: „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ვარდი საღმრთო სახელია, ხოლო თასი მარიამისა, ისევ ქრისტესა და მარიამის სანუგეშო სახეებთან გადაიზამთრებს ჩვენი უღმერთობით შეციებული სული და კიდევ ერთხელ გახდება ნათელი, რომ რელიგიურობა, ქრისტიანობის ერთგულება გალაკტიონის პოეზიის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა.

სწორედ რწმენა, ღმერთი, ღვინის სახეში მოაზრებული ქრისტე უქცევია პოეტს ფარად, რომლის გარეშეც ვერ გადარჩება სიკეთე, „ლამაზი არსი კაცობისა“.

„ღვინის ფარის“ საოცარი სახით გვაოცებს ლექსი „ეს იყო 15 წლის წინათ“: „ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ, ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ღამეა, საცაა სინათლე ჩამიქრება. ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები, საცაა სანთელი ისევ ჩამიქრება. უეცრად გრიგალმა დააღო კარები და ბინა პოეტის გადიქცა ქვითინად, ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ, ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ. მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“.

ლექსში საღმრთო სახელებია: ღვინო, სინათლე, ცისფერი ვარდები (ქრისტე). „ზამბახის პრინცესა“ მარიამის სიმბოლოა, იგი ხომ „მეფის ასულია, ასული სიონელი“.

ურწმუნოების სიმბოლოა გრიგალი და ამ სულიერი კატაკლიზმების ფარი პოეტისთვის არის ღვინო – ანუ ქრისტეს რწმენა. „ღვინის ფარი“ სრულიად ორიგინალური სახეა და მას წყარო არ ეძებნება ჯერჯერობით.

ნათელი ხდება, რომ გალაკტიონის ლექსში არც თრობას აქვს პირდაპირი აზრი, რის გამოც ეს ცნება სხვადასხვა სახესთან არის დაწყვილებული: ვარდით თრობა, პოეზიით თრობა, ფიქრით თრობა, ზღაპრით თრობა, ყოფნით თრობა, თოვლით თრობა, ბროლის თითებით თრობა, დღის სიელვარით თრობა.

უმეტეს შემთხვევაში თასიც გადატანითი მნიშვნელობისაა: ალის თასი, ფიცის სავსე თასი, სიმართლის თასი, ბედთან არდარიდების თასები, ვარდის ბუჩქების ჩრდილის თასი, სიხარულის ჭიქა, ცეცხლიანი აზარფეშა, მარადი ჭიქა, ზამბახებით სავსე ფიალა.

გვხვდება ღამის ფიალა, ელექტრონების ფიალა, ყვავილების თასი, გატაცების თასი, შხამიანი თასი, თვალების თასი, წინაპართა ელვარე თასი, კელაპტრის თასი, ლალის თასი...

ღვინით, პოეზიით ან სულის სილამაზით თრობაზე გალაკტიონის ფრანგი წინამორბედი ბოდლერიც მოგვიწოდებდა, აკი უკვდავყო კიდეც ქართველმა პოეტმა უცხოელი წინაპრის სახელი ლექსში „რომელი საათია?“

იყო ნათელშემოსილი, სიხარულშემოსილი (ნათელი და სიხარული საღმრთო სახელებია) გალაკტიონი, პოეტი მისტიკოსი, ცის ბილიკებით მავალი, ზეცის ვენახის ნაყოფს დაწაფებული, რომელიც მარადისობაში ბინადრობდა სიცოცხლეშივე, და მიწიერი გალაკტიონი, სამყაროს გადასასხვაფერებლად მოვლენილი, პოეტი-ტიტანი, მიწის ტკივილებს, შხამის ფიალას დაწაფებული, რომელიც გაუსაძლის ცხოვრებას, გულის სისხლს ღვინის ფიალას შეუდგამდა, თვრებოდა ჯოჯოხეთური ყოფის დასავიწყებლად, დარდისაგან განმუხტვის მიზნით, მაგრამ ვერ ახერხებდა არსებულიდან გაქცევას, რეალობის დავიწყებას და ქვითინებდა დაკარგულ რწმენაზე, უღმერთობაზე: „დამათრობელი – როგორც ჩემი მოგონებები, წინ მიდგას ღვინო, ლალისფერი და ძველი ღვინო. ვსვამ განუწყვეტლად, ვსვამ, რომ დავთვრე მოგონებებით, რომ მეც საზარლად ვიქვითინო და ვიქვითინო... ოჰ, რად მომექცა ასე უღ-

ვთოდ მე ჩემი ბედი, რად დამიმსხვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე, სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა, ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე“ (ელეგია). ყვავილები ქრისტეს სიმბოლური სახელია.

ამავე ლექსში უარყოფილი ღმერთის გამო სევდის გამომხატველი სტრიქონებია: „რა ადრე გაქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი, რა ადრე გაქრა ჩემი ყრმობა, ჩემი სიზმარი, დროო წყეულო, სად წარიღე ჩემი ფიქრები, დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი?“

„გაზაფხული“ (ძველი ქართულით ზაფხული) საღმრთო სახელია. ეს სახე მომდინარეობს დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნიდან“: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 68,12).

ღმერთის უარყოფა დროთა სიკვდილს, გაუთენებელი ღამის მოვლინებას, მხეცის, უკეთურების გაბატონებას მოასწავებდა. საშველი არ ჩანდა და პოეტიც ამ გაუნელებელი ტკივილის დასავიწყებლად ეწაფებოდა ღვინოს: „ღვინის გადაჰკარ თასი, ათი ათასი ასწი! ეს ადვილია უფრო, ვინემ ღამეა კუპრი, დროთა სიკვდილი როა, ასწი, გადაჰკარ, დროა!“

დარდით და ღვინით ერთდროულად თვრებოდა, რადგან გაუძლისი იყო მისთვის ზამთარიც და გაზაფხულიც: „ისევ ერთად მივალთ მთვრალი მე და ჩემი ძველი დარდი. ზამთარს წაჰყვა თებერვალი და თებერვალს მიჰყვა მარტი“ (ისევ ერთად).

აი, რა სწერს გალაკტიონის სიმთვრალის პოეტურ ასპექტზე მიხეილ კვესელავა: „ასეთი თრობა ხომ პოეტური ალეგორიაა... გალაკტიონი მუდამ მთვრალი იყო... პოეზიით, შინაგანი შემოქმედებითი დაძაბულობით, მწუხარებით, სილამაზით, სიკეთით, სიყვარულით, საკუთარი სიდიადის შეგნებით, სრულყოფილი მშვენიერების ხილვის სიხარულით და... ზოგჯერ ღვინითაც, რა თქმა უნდა“ („პოეტური ინტეგრალები“, თბ. 1978 წ. გვ. 326).

გალაკტიონის პოეტურ პორტრეტსაც ღვინის გამოყენებით შექმნილი მეტაფორა ანიჭებს მომხიბვლელობას: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“.

რაკი ქართველი კაცისთვის ვაზი სიცოცხლის ხის ტოლფარდია, ბუნებრივია საქართველოს შედარება ღვინით სავსე თასთან: „ეს საქართველო იმ თასივით უნდა დავქარგოთ, ისტორიაში რომ ხატავენ... ჩვენი ვალია, გვექნეს ის თასი სულ პირსავსედ, საძმოდ, საკარგოდ“ (ქიტესა).

პოეტების მეფემ თავისი მზე ამოიყვანა ცაზე, თავისი ვენახი დარგო, ახლებური სასმელი დაწურა მიწიერი თუ ზეციური ვაზიდან, აქცია იგი ღვთაებრიობის, სიწმინდის, სიდიადის, ეროვნულობის, სულიერების სიმბოლოდ და შორს გასცდა წინაპართა მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს.

თითქოს უფლის იდუმალი ხმა ესმოდა მეოცე საუკუნის ორფეოსს:

„ღვთის დიდების მშვენება შეიმოსე საუკუნოდ. მოისხი ორმაგი მოსასხამი ღვთისმიერი სიმართლისა და დაიდგი თავზე საუკუნო დიდების შარავანდი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 15, 12).

გაზაფხულის პოეტური ფორმულა

გალაკტიონ ტაბიძე სამი რევოლუციის მომსწრე იყო. პოეტმა თებერვლის რევოლუციისადმი სიმპათიების მიუხედავად, ოქტომბრის ცნობილი მოვლენები და მისი შედეგები აღიქვა, როგორც ნგრევა, განადგურება, სისხლისღვრა, წარღვნის ტოლფასი უბედურება, არნახული კატაკლიზმები,რაც რწმენის, სიკეთის, ღმერთის იგნორირებით, დემონების, ცალთვალა მეფისტოფელის, სატანების, ლუციფერის გაბატონებით დასრულდა.

პოეტების მეფემ განუმეორებელი მხატვრული სახეებით შექმნა თავისი თანამედროვე კომუნისტური, ღმერთისუარმყოფელი ეპოქის მხატვრული მატიანე და რწმენის, სიკეთის გადარჩენისაკენ მიმართა პოეტური ძალისხმევა.

ამ მხრივ მისი სიმბოლური ზაფხულისა და გაზაფხულის სახეები იქცევს ყურადღებას, რომლითაც თავისი თანამედროვეობის ერთ უმთავრეს ტენდენციას ნათელყოფს პოეტი.

ზაფხული (ძველი ქართულით გაზაფხული) საღმრთო სახელია. ეს სიმბოლო დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნიდან მომდინარეობს: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს.64/65,12).

„ერთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ ქრისტეს ქვეყნად მოვლინება შედარებულია ზაფხულთან: „მოსვლაი იესუ ქრისტესი, ვითარცა ზაფხული“... (ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, გვ. 39).

დანტე ალიგიერი ქრისტეს მოიხსენიებდა როგორც „მარადიულ გაზაფხულს“ („ღვთაებრივი კომედია“, თბ. 1941წ. გვ.400).

გალაკტიონს ქრისტე დაუსახავს, როგორც „სული საგაზაფხულო“, „შორი გაზაფხული“, „ადრიანი გაზაფხული“, „გაზაფხული გამძაფრებული“, „ნაზ გაზაფხულს მთრთოლვარე ხელი“, „გაზაფხულის მზიანი ჩრდილი“.

ადრევე იწინასწარმეტყველა პოეტმა ის განსაცდელი, რაც მოელოდა რწმენას – გაზაფხულს: „ნელ ნაბიჯს შავი მოაპარებს იდუმალება, სურს მოიტაცოს გაზაფხული“ (ფარდების შრიალი, 1916წ.).

1914 წელს „ელეგიაში“, „გაზაფხულის მზიანი ჩრდილის“ გაქრობა გამოიტირა: „რა ადრე გაქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი... სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა?“ (ყვავილები საღმრთო სახელია).

გაზაფხულის „გაქრობას“ მოსდევს ბაღის სიკვდილი (ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით), რაც უღმერთო სატანის კვალზე ადამიანის სულის მიქცევას გვამცნობს: „გაზაფხულისა გაჰქრა შვენება და მიეფარა ნისლს სიზმარეულს, ძველი წიგნების გვერდებს არეულს – სდევს მხოლოდ წყევლა და შეჩვენება“.

მგრძნობიარე ბაღის სიკვდილი ღმერთისუარმყოფელი ადამიანის სულის სიკვდილს გვაუწყებს: „და ბაღიც კვდება ძველად დარგული, ის ყველაფერს გრძნობს კვალდაკარგული. რა ქაოტურ ბადეს ედები, სადაა, ბედო, ის იმედები?“ (ძველი წიგნების გვერდებს არეულს). თუ ბაღს კაცურ ბუნებად მივიჩნევთ, მკვდარი ბაღი –

უფერული, უსიცოცხლო სულია.

გაზაფხულის (რწმენის) უკუგდება სულიერ ზამთარს აბატონებს და წუთისოფელს ამაოებად, მარადიულ ღამედ განგვაცდევინებს: „ვხედავ, ზამთრის ძონძები ხეებს ჩამოეკონა, მე კი ეს გაზაფხული ისევ ჩემი მეგონა. ყველაფერი გათავდა, წამი წამს ეზიდება, რა ამაო ყოფილა წუთისოფლის დიდება. ჰყინავს, ისევ ღამეა, მოდის შიში შორევი. რა ამაოდ ირევა წუთისოფლის მორევი“ (წამი წამს ეზიდება).

ზაფხულის წასვლას თან წაჰყვა შვება, სიხარული, მათ შეენაცვლა შემოდგომის ბნელი დღეები და წვიმები, დამჭკნარ ყვავილებზე წუხილი: „გაჰქრა ზაფხული, წავიდა ის დღე, როს მეორე დღეს შვებით ვხვდებოდი... ახლა კი ბნელი შემოდგომის დღე ვერ განაახლებს იმ ელვა-ციმციმს, დასჭკნა ყვავილთა ნარნარი გროვა, გული სწუხს და სწუხს... გარეთ წვიმს და წვიმს“ (გადაუღებლად).

ანალოგიური ტკივილია ლექსში „წერილი სოფლიდან“.

მოგონებაშია ზაფხული, „ცის რიდე“, ყვავილები, რომელსაც ქარი დაპატრონებია: „გაჰქრნენ ზაფხულის დღენი, ქარი ყვავილებს ურევს“ (გაჰქრნენ ზაფხულის დღენი).

„სულშეხუთული ზაფხულების მოგონება“ მეტაფორულად გვაუწყებს ჭეშმარიტი ღმერთის იგნორირებას.

სიყმაწვილის ნაზი გაზაფხულის გაქრობასთან ერთად „ზეცის ნამიც“ და „ზეცის სხივიც“ (ორივე საღმრთო სახელია) სულს ღაფავს (რა მშვენიერი იყო ნამი, 1910 წ.)

„და მოვიგონე ნეტარნი დღენი და გაზაფხული უკანასკნელი“ – ნათქვამია ლექსში „ბედს იქით“.

ლექსი „აცივდა“ ცეცხლის განელებით, გაზაფხულზე ანთებული ლამპრის ჩაქრობით გვაგრძნობინებს ეპოქის ტრაგედიას: „განელდა ცეცხლი, ჩაქრა ლამპარი საგაზაფხულო ალით ნთებული“.

ლამპარი ღმერთის სიმბოლოა: „გამოვიდეს, ვითარცა ნათელი, სიმართლე ჩემი, ხოლო მაცხოვარება ჩემი, ვითარცა ლამპარი, ენთოს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 62,1).

„ის გაზაფხული გაქრა“, – ასეთი კატეგორიული ტონია ლექსში „რისთვის მაგონებ“.

გაზაფხულის, ბედნიერების არდაბრუნების ტკივილია ლექსში „ყვითელი ფოთოლი“: „...ვერასოდეს ვერ ვეღირსები მე იმ გაზაფხულს და სიყმაწვილე კი არასდროს არ დაბრუნდება“.

სიმბოლური „სხვა გაზაფხულის“ სევდიანი მოგონებაა ლექსში „გადანახული დროშები“: „ვდგევარ კლდეზე. შემოდგომის დღე მაგონებს სხვა გაზაფხულს, აქ დროშებით უმღეროდნენ რწმენას, მთაზე გამოსახულს“.

ზაფხულის დავიწყებას მოსდევს ზამთრის ყინვა-ქარბუქი, სიცივე სულისა და გულის (მე დავიბადე განთიადისას).

ეპოქის საბედისწერო მეტამორფოზები მხოლოდ გულისტკივილს იწვევს: „ასე რისთვის შეიცვალა გაზაფხულის წმინდა დილა?... ასე რისთვის მიეფარა მზე დაღვრემილ მთის ნაპრალებს, თუ ნამდვილი მზის ნათელი არ უნახავთ ჯერ შენს თვალებს?“ (ასე რისთვის)

საღმრთო სახელებია: გაზაფხული, ნამდვილი მზის ნათელი, მარიამის სიმბოლოა: წმინდა დილა, მთის ნაპრალი (მთა, ლოდი მარიამზე მიმანიშნებელი სახეებია).

„მღელვარე გაზაფხულის“ მონაცვლე ზამთარს მოსდევს თოვლი, ტოტალური

გაყინვა, რაც სატანური შეთქმულების შედეგია (თეთრ თოვლის ქვეშ, 1908წ.)

გაზაფხულის გაუჩინარებულ სხივს შავი ფიქრი, მწუხრის საყოველთაო ბატონობა მოჰყვა: „ახ, რად გაფრინდა ჩვენი სხივი და გაზაფხული, რად შევმოსილვართ შავბნელ ფიქრით და მწუხარებით?... აწ გაზაფხულმა სულ დაჰკარგა ის ძველი ძალა, სხვაგვარი მწუხარებით შებურვილა მთა, ტყე და ველი“ (საღამო).

ზაფხულის წასვლაში ძე ღმერთის იგნორირება იგულისხმება, რასაც ენაცვლება შემოდგომის სასიკვდილო სიყვითლე: „მიდის ზაფხული... ბაღში, მდელოში სისინებს სიო, შრიალებს ნეშო“ (მას გახელილი დარჩა თვალები).

„მოტეხილი ზაფხულის“ (ღმერთის უარყოფის) წინახილვის საოცარი სურათი გვაოცებს „დომინოში“: „ლანდივით მაქვს ნახული ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები“.

გალაკტიონის პოეზიაში, გაზაფხულის პარალელურად, საღვთო შინაარსით მოიხსენება „მაისის დღე“, „მაისის თვალი“, რომელსაც ზამთრის ყინვა და ჭკნობა შეჰპარვია, სიკვდილის დემონი ჩასაფრებია უსაზღვრო ღამის გასაბატონებლად: „მაისის დღეებს ის მოელის, ვით ზამთრის ყინვას, თითქო სამუდამოდ დამჭკნარა მდელო, გაახსენდება რაღაც მკაცრი და აღარ სძინავს და იმეორებს: გაჩუმდი, მკვლელო! თითქოს უსაზღვრო საღამოა და მთა ბინდდება, აირევიან ქენჯნის კალთები, გახედავს სერებს, გაფითრდება, შეეშინდება და ფოთოლივით აკანკალდება“ („ვით აფეთქება“). დაბინდებული მთა უგულებელყოფილი მარიამია.

„დაბმულ ჭინკაში“ ისევ მაისის გაქრობის, ედემის ბაღის გაუდაბურების სევდაა: „ლურჯი ედემი ქარმა დაბურდა, მაისი გაჰქრა და ბაღი ჩემი გაუდაბურდა“: „ედემი, სამოთხე“ მარიამის სიმბოლური სახეა.

მაინც „ადრიანი გაზაფხულის“ იმედით, ხარების სიხარულით, ყინულის ლოდების გადნობის მოლოდინით ცხოვრობდა პოეტი და გაზაფხულის სიმღერების უნაზეს მუსიკას გვაგრძნობინებდა მისი პოეზია.

გალაკტიონ ტაბიძე საღვთო გაზაფხულის ყვავილების სიყვარულს ამკვიდრებდა, რწმენის გვირგვინებს უმღეროდა თავისი შემოქმედებით: „ყვავილებს... ვუფრთხილდებოდი, როგორც ნატვრის თვალს, ვუფრთხილდებოდი ჩემს გაზაფხულზე, ვმოსავდი ნატვრის ფორჩა-გვირგვინით“ (ყვავილები – წუთები).

ჯვარზე გაკრული ელვა – „პოეტის ლურჯი და“

შემოღამებული და დაბინდული მთის, დანგრეული, კუბოში ჩასვენებული, გამქრალი ფარული ცის, დაჭრილი ღრუბლის, დაცემული და დამსხვრეული გრაალის კოშკის, დამჭკნარი, კუბოში მოქცეული და გადაშენებული იების, ელვისგან დაღუნული დედოფალი ალვის, ჯვარზე გაკრული ელვის, თოვლში დაცემული ზამბახების, უდაბნოში მოქცეული მანდილის, ქარისგან გაძარცული ატმის ხის, ჩამქრალი ლამპრის, ჩატეხილი ხიდის, გამქრალი სამოთხის, გაუჩინარებული საუნჯის, ივლისისფერი ყინვის თასების, მოლებიანი ბეჭდების, გაფითრებული იაგუნდის, იაგუნდის ჩამქრალი შუქის, ბაცილებიანი მთვარის, უეზოო სახლის, სეტყვით დაღუპული ვენა-

ხის, ოხრად შთენილი ჩარდახის, მგლოვიარე ქნარის სახეები – მარიამ ღვთისმშობლის უარყოფის მაცნე.

გალაკტიონ ტაბიძემ შექმნა მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი განუმეორებელი პოეტური ციკლი და გაამრავალფეროვნა ჩვენი ზეციური დედის კანონიკური სახე-სიმბოლოები.

პოეტების მეფის შემოქმედებაში ღვთისმშობელი ფიგურირებს, როგორც მზე, თოვლის მადონა, უცხო მადონა, ქალწული თოვლი, იისფერი თოვლი, ვარდისფერი თოვლი, ლურჯი ფიფქი, უცხო შვენება, უცხო ასული, დედოფალი ალვა, თასი, ალის თასი, ივლისისფერი ყინვის თასი, სიმართლის თასი, ფიალა, აზარფეშა, ცეცხლიანი აზარფეშა, საწმისი, მარადი ჭიქა, სიხარულის ჭიქა, ზამბახის პრინცესა, პრინცესა, მზის ალუბლებით სავსე მტევანი, ღრუბელი ფერადი, წმინდა ემბაზი, კარავი, კიდობანი, კიბე, ხიდი, მგლოვიარეთა ქნარი, ბეჭედი, თეთრი ბეჭედი, დილა, სისხამი დილა, დილის ციმციმ-კამკამი, სარკმელი, ჩაკეტილი სარკმელი, კლდე, იაგუნდი, მთა, მთვარე, სამოთხე, მშვენიერი სამოთხე, ედემი, უეცარი ქალაქი, ცა, ზეცა, უწინდელი ზეცა, ეზო, ატმის ხე, მანდილი (1, 182-193).

გალაკტიონმა თავისი თანამედროვე ღმერთისუარმყოფელი ეპოქის უტყუარი სურათი მოგვცა და, ბუნებრივია, მარიამ ღვთისმშობლისადმი ერთეულ მორწმუნეთა მოწიწების პარალელურად, დააფიქსირა პოზიცია სატანისტური ათეისტებისა, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ რწმენას, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, დედა-ძეს.

როგორც აღვნიშნეთ, მარიამ ღვთისმშობლის ერთ-ერთი კანონიკური სახელია მთა, რომელიც მომდინარეობს დანიელ ღვთისმეტყველიდან: „ჰხედევდ, ვიდრე არა გამოკუეთა ლოდი მთისაგან თვინიერ ხელთასა“ (2, 34) (2, 247).

ბიბლიის კომენტატორები მთის სახეში მარიამს, ხოლო ლოდის სიმბოლოში ძე ღმერთს ხედავენ...

გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ (3, 129) მთა შემოღამებულია და ეჭვები ამგზავრებია მის ირგვლივ გათენებას: „შემოიღამებს მთის ნაპრალები და თუ როგორმე ისევ გათენდა, ღამენათევი და ნამთვრალევი დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან“.

„შემოდგომის დღეში“ (4, 328-329) ბურუსით დაფარული მთა გვაუწყებს უფლის დედისადმი უპატივცემლობას, გრიგალით, შეშლილების სახეებით კი მითითებულია ეპოქის საბედისწერო ტენდენციაზე და სიშლეგედ დასახულია რწმენასთან ბრძოლა, როგორც უგუნურებად მიიჩნეოდა ფსალმუნში უღმერთობა: „თქვა უგუნურმა თავის გულში: „არ არის ღმერთი“ (ფს. 13, 1) (5, 533).

ანალოგიურ სატკივარს დაღამება და „მთების იარა“ შეგვაგრძნობინებს ლექსში „რა ღრიანცელში ვიდოდა გემი“ (3, 250): „დაღამდა, ნისლი გადეკრა შარას, ტყეს დაეფარა ღამის ბლონდები, მაგრამ გახედავ მთების იარას და უსათუოდ მოგაგონდები“.

ლექსში „ვით აფეთქება“ საუბარია მაისის ყინვაზე, დამჭკნარ მდელოზე, მკვდარ ყვავილებზე (ყვავილი ქრისტეს სიმბოლოა), უსაზღვრო საღამოსა, დაბინდებულ მთასა და „ქენჯნაზე“: „... თითქოს უსაზღვრო საღამოა და მთა ბინდდება, აირევიან ქენჯნის კალთები“ (3, 332).

სხვაგან „მღელვარე გაზაფხულზე მოსულა თოვლი, ყინვა, იყინება ნაკადული და გაუჩინარებულა მთა: „... თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვა მთის გრეხილი უხ-

მო, შორი... და მღელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული“ (თეთრ თოვლის ქვეშ) (6, 5).

გალაკტიონის პოეზიაში ინგრევა, უჩინარდება, შავდება ზეცა და ესეც ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ნიშანია, რადგან ცა, ზეცა როგორც ღმერთის, ისე მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა (7, 125).

„შემოდგომის ფრაგმენტში“ (1916 წ.) პოეტი გაუოგნებია ყვავილების (ღმერთის სიმბოლოა) და ცის (მარიამის სახელია) გამეტებას: „... ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით, არავის თქვენგანს არ ენანება?“ (6, 190).

1923 წელს წუხილის მიზეზი გამხდარა ის, რომ მავანნი, მეგობრის ნიღბით მოვლენილნი, ყვავილთა ცას (ანუ ღმერთების ცას) აცარიელებდნენ: „... ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ, დარიალიდან ზარავდა ზარა...“ (მშობლიური ეფემერა).

ლექსში „დღეთა გარდასულთა“ (6, 119) ნისლით დაფარულია ზეცა, ედემი და კლდეზე დასამსხრევად განწირულია რწმენის გემი: „... ნისლით იყო დაბურული ჩემი ზეცა და ედემი და სალ კლდისკენ მიმართული იმსხვრეოდა რწმენის გემი“.

„...იღუპება რწმენის გემი!“ მთელი ხმით იმეორებდა პოეტი და თანამედროვეთ შეაგონებდა მოსალოდნელ სულიერ კატასტროფას.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი „ეკლესიის შეურყეველი გოდოლი“, ანუ კოშკია (8, 12).

„ზღვის ეფემერაში“ (1922 წ.) შეხვედრა გვიწევს ჩაძირული გემების სასაფლაოსთან, ახმაურებულ დემონთა გუნდთან, დანგრეულ ღრუბლებსა და დალეწილ ცასთან: „... გემთა ჩაძირულთა ყრუ სასაფლაო. აგუგუნება დემონთა გუნდის, ნგრევა ღრუბლების, დალეწილი ცა!“ (6, 926).

ღრუბლები მარიამის სიმბოლოა: „გიხაროდენ, ღრუბელო ნათლისაო“ (9, 200).

გემი რწმენის სიმბოლოა, ცათა ცა – ღმერთების სავანე.

უღმერთო ქვეყანაში ასპარეზზე დემონები მკვიდრდებიან.

„მთების იარასთან“ ერთად, „ღრუბლის ჭრილობის“ ქვეტექსტშია საძიებელი ფარული აზრი: „... მთებს, ირმებს, შველებს, ხევს და ნაპრალებს აწუხებთ ღრუბლის მძიმე ჭრილობა“.

პოეტის იდეალი იყო „ღრუბელი ფერადი, ალვა ტანადი“ (ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი) (3, 132), ღრუბელი მარიამის, ალვა სიცოცხლის ხის (ღმერთის) სიმბოლოა.

ნაპრალებთან მისული ხომალდი, „ზეცის ნგრევა და მიწის გადაფერდებაა“ ფაქტი ლექსში „მეოცნებე აფრებით“ (1921 წ.) (4, 331), ანუ რწმენის უარყოფას მიწიერი უკეთურობები მოსდევს.

კუბოში ჩასვენებული ცა გვზარავს ლექსში „სიკვდილი მთვარისაგან“: „დაიმსხვრა სადღაც იმედები და ხომალდები, შთაინთქენ მაღალ კუბოებში ცის კიდეები“ (4, 193).

ლექსში „სად დასასრული იყო“ (1915 წ.) მოჩანს მონგრეული ზეცა, სისხლით მთვრალი ლოთი, უფსკრულის მხეცი: „თითქო მოინგრა ზეცა, სისხლი, სიცილი ლოთის, ბრჭალებიანი მხეცი უფსკრულებიდან მოდის“.

უფსკრულის მხეცი და მისი ნაირსახეობანი გალაკტიონის პოეზიიდან იოანეს აპოკალიფსის მხეცების ასოციაციას იწვევს.

ბაცილებიანი მთვარე, შავი მზე, ცხედრები, ხოლერა, ხოლერის ბაცილებით სავსე ნიავი, შავი აჩრდილი, ყორნის ხმა და გატეხილი ვაზა ავლენს ავბედითი მოვლენების არსს ლექსში „შიში“ (1919 წ.) და ეს მოსალოდნელი რეპრესიების წინაგრძნობას უკავშირდება (4, 283).

მზის ჩასვლა, ღრუბელთა შორის პირამიდების მსხვრევა, ობლობა, „ციერთა სოფლის“ საღამო გვაგრძნობინებს ეპოქის ტრაგედიას: „მზის ჩასვლა იყო, ვით ანარეკლი ძველი დიდების, ღრუბელთა შორის დაიმსხვრა ძეგლი პირამიდების. მე მივდიოდი ნანგრევებზე ობლად შენს გამო, მწუხარედ ქროდა ციერთა სოფლად ჩვენი საღამო“ (4, 200).

პოეტს სჯეროდა, რომ „არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (ავე მარია) (4, 56).

მაგრამ ურწმუნოთათვის მიუწვდომელი იყო მაღალი ზეცა და იმსხვრეოდა სული: „დაიმსხვრა სული ფრქვეული ცამდე, გაქრა ფარული ცის სიდიადე“ (გამომეცხადე!) (4, 178).

ურწმუნოების ტრაგედიას ეხება „რა დროს რომანსეროა?“ (3, 216).

ცა გაცრეცილი, მტვრიანი და უსინათლოა, არა ზეცის, არამედ მიწის ყვავილს უმღერიან, წყარო (საღმრთო სახელია) „ვალალებს“: „გაცრეცილ და მტვერიან ცას სინათლე ჰკლებია, ყვავილებზე მღერიან, რა დროს ყვავილებია, წყარო ხევში ვალალებს, გაჰქრა გიჟი ოცნება...“

„შემოდგომის დღეში“ (3, 292) ცა „ბნელი ჩრდილებით“ იფარება.

მრავლისმეტყველია „გობელენის“(3, 381) სტრიქონები: „შემოდგომის ცა ასე დამწვარი, უჩინარ ალთა ჭკნობის დარევით“...

უღმერთო ეპოქაში ობოლია ნანგრევებზე მავალი პოეტი, რადგან წაართვეს ზეციური მამა (მზის ჩასვლა).

ზეცაწართმეული, ღმერთწართმეული ეპოქის შვილის თანამდევია „ბნელი ცხედარი“, „შავი ცეცხლი“, გაუნელებელი დარდი, სულის სიკვდილი, რადგან ტაბუ ადევს ღმერთის – აპოკალიფსის მხედრის სახელს: „გეძებდი ყველგან, მახრჩობდა სიცხე და მწვავდა ჯვარის მხურვალე რკინა. მე ყველაფერი გადავივიწყე, არ არის ზეცა, არ არის ბინა... არის სიჩუმე, ბნელი ცხედარი, მის ტანზე შავი ცეცხლის გაჩენა, აპოკალიფსის მძაფრი მხედარი ვინც ქაოსებში შემოაჭენა“ (გეძებდი ყველგან) (4, 45).

ცა არ არსებობს, იგი შავმა ყინვამ დაფარა, დაუსჯელად ღმერთის სიყვარული შეუძლებელია, მკაცრი დღეები კი შეუცვლელია, ასეთი ლოგიკით მანიპულირებდნენ სატანისტები: „მე მარწმუნებდნენ, ფოთლები გაქრა, ცა არ არსებობს მღვრიე თუ წმინდა, რაღაც უნიჭო ოცნებამ დაჰკრა და სიშავეში იგი გაყინდა. მე მარწმუნებდნენ, რომ არ იქნება, შენ დაუსჯელად გიყვარდეს იგი, მარწმუნებდნენ, რომ არ გარდიქმნება მკაცრი დღეების ყოფა და რიგი“ (მე მარწმუნებდნენ) (3, 242).

1923 წელს წუხილის მიზეზი იყო ის, რომ მავანნი, მეგობრის ნიღბით მოვლენილნი, „ყვავილთა ცას“ (ანუ ღმერთების ცას) აცარიელებდნენ: „... ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ, დარიალიდან ზარავდა ზარი“... (მშობლიური ეფემერა).

„ამღვრეული ტვინის“ მოღვაწეობის შედეგების გამოტირებაა სტრიქონები: „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს, ციდან ცრემლები მოდის ჩაფებით... დაკარგულია გზა მოხევესი, ბნელდება, ღამე, მიეშველენით“ (ღრუბლები ჰგვანან ამ-

ღვრეულ ტვინებს) (4, 72).

დამსხვრეული ხომალდების, დანგრეული ზეცის სატკივარს გალაკტიონის პოეზიაში კიდევ უფრო ამძაფრებს მრავალმნიშვნელოვანი სახეები დანგრეული კოშკებისა. აშკარაა, ეს სახეც რელიგიურია და უღმერთო ეპოქის სიბნელეში არსებობის საშინელებას გვაგრძნობინებს.

კოშკი ბიბლიაში ღმერთის სახელია: „ღმერთო... ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი“ (ფს. 64, 4) (5, 584).

სოლომონ მეფის იგავებში ფიგურირებს გოდოლი: „უფლის სახელი მტკიცე გოდოლია“ (იგავნი სოლომონისა).

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელია ეკლესიის გოდოლი: „გიხაროდენ, ეკლესიისა შეურყეველო გოდოლო“ (8, 12).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება კოშკთან დაკავშირებული თვითმყოფადი სახეები: „კოშკიდან ერთი ნათობს სანთელი, სულში კოშკი არ შენდება, ახლა აღარც ღმერთია, ეცემიან კოშკები ცისა და ნესტანისა, გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო შენს ფეხქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა, კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა, ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული“.

კოშკი პოეტების მეფის შემოქმედებაში ხშირად მარიამ ღვთისმშობლის სახელია და უმეტეს შემთხვევაში დანგრეული სახით ფიგურირებს.

ლექსში „რაც არ ყოფილა, არის“ (1928 წ.) კოშკის გამქრალ დიდებასა და ვაებაზეა საუბარი: „გამქრალ დიდების ნათელს კოშკი იბურავს ძველი და მთელ ვაებას ათევს“. გამქრალი ნათელი უფლის და მისი დედის უარყოფის ფაქტს შეგვაგრძნობინებს.

„ეს მშობლიური ქარია“ (1921 წ.) გვამცნობს, რომ „აიმართნენ კოშკები ცისა და ნესტანისა“. ეს იყო წარსულში. აწმყოში კი „ეცემიან კოშკები ცისა და ნესტანისა“ (6, 337).

ცა, ანუ ცათა ცა უფლის სამყოფელია, „ცის კოშკი“კი შეიძლება მხოლოდ მარიამი იყოს. მისი დაცემა ურწმუნო ეპოქის უპირველესი მახასიათებელია.

უღმერთო ეპოქაში არც კოშკი (მარიამი) არსებობს სულში და ასეთ დროს ცხოვრებას აზრი ეკარგება, ანუ ყველაფერი სულერთი ხდება, როგორც გვაუწყებს ლექსი „ტფილისს სძინავს მძიმე ძილით“: „... სულში კოშკი არ შენდება, ახლა აღარც ღმერთია, საცა არის გათენდება, ყველაფერი ერთია“.

ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ (1917 წ.) „გრაალის კოშკები, ზმანებათ სამრეკლო შენს ფეხქვეშ დაიმსხვრა და ნგრევა მომესმა“.

გრაალი მარიამის სიმბოლოა: „გრაალი განასახიერებს მთვარისეულ მარადქალურ საწყისს, სოფიას, ღვთისმშობელს“ (9, 181).

დამსხვრეული გრაალის კოშკის სახის ადრესატია ღვთისმშობელი.

უბედურების მომტანი სისხლიანი რევოლუციონერების ნგრევითი საქმიანობის მხილებაა ლექსი „კოშკი“ (3, 72). მას მსჭვალავს ავბედითი მომავლის საშინელი წინათგრძნობა.

ლექსის პირველივე სტროფი ნგრევის შემზარავი სურათით იწყება: „ინგრევა კოშკი საუკუნით აშენებული!“

გალაკტიონის „კოშკი სიყვარულით აშენებულია“. სიყვარული კი ქრისტიანული ღმერთის სახელია: „ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი იოანესი, I, თ.

4,8) (5, 320).

ღმერთი „დიადი სიყვარულია“ ნეტარი ავგუსტინეს აღსარებაში (10, 390). ლექსში ამ ნგრევის რეჟისორია „სახე გამხდარი, გესლიანად გაცინებული“ სატანა, რომელიც სახელდებულია, როგორც „შიშის ლანდი უზარმაზარი“. იგი კოშკის „ძველისძველ ფოლიანტზე“ საბედისწერო განაჩენს აწერს.

გვახსენდება მეფე ბალთაზარის ლხინი დანიელის წინასწარმეტყველებაში, როცა კედელთან გამოჩენილმა ხელმა სამი საბედისწერო სიტყვის დაწერით მიანიშნა ბაბილონის სამეფოს აღსასრულსა და ბალთაზარის სიკვდილზე, რაც იმავე საღამოს ახდა კიდეც (დანიელი, 5, 1-30) (5, 252-253).

გალაკტიონის ლექსში პოეტს აიტანს ჟრჟოლა, რადგან სანთლები ქრება, სიბნელეში ამაოა ზეციური დედისა და მამის სახელების მოხმობა, ლექსის ბოლოს ასრულდება „დაჟინებული წინაგრძნობა“ და „ყრუ რყევით, ხმაურობით, გრგვინვაგრიალით დაეცა კოშკი, სიყვარულით აშენებული!“

„კოშკი“ მარიამ ღვთისმშობლისა და ქრისტიანული ღმერთის უარყოფას აფიქსირებს, რაც დაღამებას, ნგრევას მოასწავებს როგორც სულიერ, ისე მატერიალურ სფეროში.

ჯერ კიდევ 1916 წ. ჩასწვდა გალაკტიონი რევოლუციის მღვრიე დინების არსს, ტოტალურ განადგურებას, რაც მოხდებოდა როგორც მატერიალურ ფასეულობათა (ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები) მიმართ, ისე სულიერების (ცინიზმის და დევნის საგანი ხდებოდა რწმენა) ასპექტში.

ვაჟა-ფშაველას „მოჩვენებაში“ (11,404-407) გვხვდება „დანგრეული დარბაზები“, თავმონგრეული კოშკები, ალის, ქაჯის ცინიკური ხითხითი ყველაფრის ამაოებაზე, მაგრამ შემდეგ „დაუვალი მზის“ (ღმერთის) გამონათება რწმენის უძლეველობის დასტურია.

მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთში“ კოშკის დამანგრეველი, გედის გამანადგურებელი ძალაა შავი ურჩხული, კოშკთან დაპირისპირებული წითელი გველეშაპი მოასწავებს ანტიქრისტეს მოვლინებას (12,187-189), რომელიც მიზნად დაისახავს სიწმინდის, სულიერების, კოშკის (მარიამის) უარყოფას.

ამ უბედურების დირიჟორები იყვნენ აპოკალიფსში მინიშნებული ზღვის და მიწის მხეცები, რომელთა ადრესატებად ბიბლიის კომენტარები ლენინს და სტალინს მიიჩნევენ. მათ ძალაუფლება გველეშაპისგან მიიღეს. აპოკალიფსში მინიშნებულია მათი დამარცხებაც.

დანგრეული კოშკების, დაცემული სვეტების რეკვიემია გალაკტიონის პოეზია, ამასთან, ისევ უზენაესისკენ მიბრუნების, განწმენდის, წაქცეული სვეტების კვლავ ამართვის განჭვრეტა.

ია-ვარდთა სახეები რამდენიმე ლექსში გალაკტიონმა ურწმუნოების, მარიამ ღვთისმშობლის უარყოფის საჩვენებლად გამოიყენა.

„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ (3, 129), პოეტის მორწმუნოებას ხაზს უსვამს იისა და ცვრის სიმბოლური სახეებით: „... ჩემი თვალები წინათ რამ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, ღამენათევი და ნამთვრალევი სავსეა ცრემლთა შურისძიებით“.

ია მარიამზე მიგვანიშნებს. ვახტანგ VI პოემა „საატრფიალონის“ მიხედვით, მარიამი წარმოჩნდება, როგორც „უბიწოებით შემკული ია“ (13, 45).

ცვარი ქრისტეს მეტაფორაა: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც

შროშანი და ლიმონივით გაიდგას ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 14, 3) (2, 273).

მაგრამ ურწმუნო ეპოქაში სულის ია იანვრის თოვლით დამჭკნარა: „იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს“ (სამრეკლო უდაბნოში) (4, 837).

აქვე წუხილის მიზეზია „შიშველი, თეთრი ყვავილი“ (დამდაბლებული ქრისტეს რწმენა).

ლექსში საუბარია დაფარულ ცოდვებზე, დამალულ ღალატზე, თეთრ ბეჭდების თვლებსა და გაუნელებენ წუხილზე.

„პირიმზეში“ (3, 406) კუბოშია ია (როგორც ცა).

ქრისტიანულ სათნოებას იის და წყლის სახეების გამოყენებით ასე ორიგინალურად წარმოაჩენს პოეტი: „ბევრს არ ძალუძს, მტერს კი მუდამ იის წყალი უნდა უსხა“.

ია მარიამის, წყალი ქრისტეს სიმბოლოა.

სხვაგან ძალმომრეობისა და ჰუმანური მორალის დაპირისპირება ხანჯლისა და იის სახეებით არის ნაჩვენები: „ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით, მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები, რომ მოვა ჩემთან მონანიებით“(დღეთა კარებთან) (4, 132).

თუ წარსულში თოვდა „თოვლი ია-ზამბახის“, პოეტის თანამედროვე ეპოქამ მათი ხსენება აკრძალა (ავდრის მოლოდინი).

გალაკტიონი, სხვა ქართველ პოეტებთან ერთად, ჩვენი ზეციური დედის „ძმობილი“ იყო და მისთვის ეძებდა განუმეორებელ „იისფერ სიტყვებს“. ღვთისმშობლის სიდიადით აღწევდა პოეტი განახლებას და უკვდავყოფდა ახლებურად: „სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს, ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“ (გზაში) (3, 87).

როგორც ბიბლიასა და სასულიერო პოეზიაში, გალაკტიონთან მარიამი არის დედოფალი, „დედოფალი ალვა“, რომელიც დაუმდაბლებია, დაუღუნავს ურწმუნო ეპოქას: „და დედოფალი ალვა ელვამ დაღუნა ცივმა, ასე მოვიდა გვალვა, ასე მოვიდა წვიმა“ (საღამო).

მარიამი არის პრინცესა (ვერხვები), ზამბახის პრინცესა, რომელსაც გამუდმებით დაეძებს პოეტი: „მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“ (ეს იყო 15 წლის წინათ).

მარიამ ღვთისმშობელი გალაკტიონს წარმოუდგენია ზამბახის სახეში, რომელიც მეფისტოფელის ხანამ თოვლში მოაქცია: „... მწუხარე გრძნობა ქროლვის, მომავლის და ზამბახების წყებად დაწვენა“ (თოვლი) (3, 73).

მარიამი არის „მანდილი“, „უვრცელესი საფარველი“ (8, 66-75) დრომ მას ავბედითი თებერვალი განუმზადა: „... და თამაშში მანდილის ქრიან თებერვალები“.

მანდილი უდაბნოშია (უდაბნო ურწმუნოებაა) გაუჩინარებული (თოვლი).

თვით პოეტი არასოდეს წყვეტდა კავშირს „მანდილის“ სახეში მოაზრებულ ღვთისმშობელთან: „... მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა“ (დღეს მაისი) (6, 369).

მარიამი პოეტმა მოიაზრა „ატმის ხეში“ და გვიჩვენა ავი ქარისაგან გაძარცული, ყვავილებგაცლილი იდეალი (ატმის ყვავილები) (3, 65).

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის „ხე ნაყოფელვარე“ (8, 11).

ადრე ატმის ხე თაიგულს ჰგავდა, „უცხო მხარის დედოფლის“ სიდიადე ამშვენებდა, მზის ძალით და ნამით იყო აღჭურვილი დედოფალი – მარიამი.

მაგრამ ღმერთისმგმობელმა ეპოქამ გაძარცვა მისი მშვენიერება და მზის ჩას-

ვლის, დაბნელების საშინელებას აზიარა.

მარიამი არის „ლამპარი დაუვალისა ნათლისა“ (8, 12).

ურწმუნო ეპოქაში მარიამის უარყოფა გალაკტიონმა ჩამქრალი ლამპრის სახეში წარმოადგინა: „განელდა ცეცხლი, ჩაქრა ლამპარი, საგაზაფხულო ალით ნთებული“ (აცივდა) (3, 580).

მარიამის სიმბოლოა ხიდი: „გიხაროდენ, ხიდო წიაღმყუანებელო ქუეყანისათაო ცად მიმართ“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისა) (8, 9).

გალაკტიონის ლექსში „თბილისი“: „ათოვს ხიდებს, ათოვს მადათოვს, ათოვს ზმანებებს და მწუხარებს“.

ტოტალიტარიზმის, ურწმუნოების ბატონობის ჟამს პოეტს ეჭვი უჩნდებოდა, რომ ჩატეხილი ხიდი არასოდეს გამთლიანდებოდა: „რაოდენ ფიქრს და ოცნებას იტევ, სამუდამოდ ჩატეხილო ხიდევ. არ იქნება, რომ გამთელდე კიდევ, სამუდამოდ ჩატეხილო ხიდევ. დაისვენე, თუკი ბალიშს მიდევ, სამუდამოდ ჩატეხილო ხიდევ“ (რაოდენ ფიქრს და ოცნებას იტევ) (4, 736).

„დაუჯდომლის“ მიხედვით მარიამი არის „ელვა სულთა განმანათლებელი“ (8, 12).

გალაკტიონის ლექსში „საღამო“ ურჩი, ურწმუნო ახალგაზრდობა თელავს ვარდებს, ელვა (მარიამი) ჯვარზე გაკრულია: „ჯვარზე გაკრული ელვა – ეს ჩემი დაა ლურჯი, ლურჯ ყვავილების თელვა, ახალგაზრდობა ურჩი“ (4, 14)

აქვე ძელს (ჯვარს) რაზას, ანუ ტაბუს ადებს „შემოღამების ცელი“ – ურწმუნოება.

მარიამის მეტაფორული სახელია საუნჯე: „გიხაროდენ, საუნჯეო ცხოვრებისაო დაულევნელო“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისა) (8, 12).

ლექსში „918“ გალაკტიონი შეფარულად გვამცნობს, თუ როგორ აცდა „ქარში ლიანდაგს მატარებელი“, ანუ როგორ იქნა უარყოფილი ქართული მრავალსაუკუნოვანი გზა, ტრადიციები, ეროვნული ტრიადა: ენა, მამული, სარწმუნოება. მასში ნათქვამია: „თითქოს სადღაცა გაქრა საუნჯე და შეღამებამ ითანდათანა“...

მარიამი „ყვავილების ქალია“ – რომელიც ხედავს ჩამქრალ ალს, ტირის დაკარგულ რწმენას და „ებინდება თვალი...“ (ყვავილების ქალი).

„როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა, ვით ავიტანოთ უმადონობა?“ – მთელი პროგრესული ერის საწუხარს გამოხატავს გალაკტიონი ამ სტრიქონებით (თუ ბრძოლა არ არის).

„ჩემი თვალები, წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით“ – ნოსტალგიაა ქრისტიანულ ეპოქაზე, რადგან ცვარი ქრისტეს, ია – მარიამის სიმბოლოა.

პოეტს მაინც ჩვენი ზეციური დედა ესიზმრებოდა, მას არ შორდებოდა „ღვთისმშობლის ცქერა სავსე ქართული პატიოსნებით“.

მარიამის სიმბოლოა ედემი, სამოთხე: „გიხაროდენ რომლისა მიერ განეღო სამოთხე“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა) (8, 11).

„დაბმულ ჭინკაში“ „ლურჯი ედემი ქარმა დაბურდა“(4, 388).

„შუქმიუვალ დღეებში“ „მწარე დღეებში“ (შუქი ძე ღმერთის სახელია) „გადალეკილან, წაშლილან ამ ქვეყნის სამოთხეები“, მაგრამ პოეტს სჯეროდა მათი კვლავ მოვლინება (ყოფილა მწარე დღეები) (5, 178).

ყინულის გადნობის უნარის მქონე პოეტი ისწრაფოდა მხარისკენ, რომელს „სა-

ოცნებო ჰქვია ედემი“ (შეხედეთ, მიწა!) (5, 232).

გალაკტიონის შემოქმედებას ამშვენებდა დიდი დღე (მამაღმერთის სიმბოლო), საამო დღე (ძე ღმერთი), პატიოსნება და „ქვეყნიერი სამოთხე“ (მარიამი): „ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, მშვენიერო ოცნება, ო, ქვეყნიურო სამოთხე!“ (8, 414)

გალაკტიონს ეპყრა „ცეცხლის თასი“ (ცეცხლი ქრისტეს, თასი მარიამის სიმბოლოა), ცეცხლიანი აზარფეშა (ცეცხლი ქრისტეს, აზარფეშა მარიამს მიემართება), ალის თასი (ალი, ცეცხლი ქრისტეს, თასი მარიამის სიმბოლოა), სიხარულის ჭიქა (სიხარული ქრისტეს, ჭიქა მარიამის მეტაფორაა), მაგრამ ათეისტურმა ეპოქამ გაყინა ცა, გაყინა გული, გაყინა მხედარი, გაყინა თასი. ლექსში „ალვები თოვლში“ თოვლიანია ალვა (სიცოცხლის ხე), გაყინულია თასი (მარიამის უარყოფაზე მიმანიშნებელი სახეა), გაყინულია ივლისში, ამიტომ უარყოფილი მარიამის სახედ გვეცხადება ენიგმა „ივლისისფერი ყინვის თასები“.

ბეჭედი, ზეცის ბეჭედი მოიაზრება მარიამის სიმბოლოდ (7, 821).

ბეჭედსაც წუხილი უკავშირდება გალაკტიონის პოეზიაში, რადგან ბეჭედი-მარიამი პატივდაკარგული, შარავანდედისგან გაძარცულია სისხლიანი ტირანებისგან.

ლექსში „სამრეკლო უდაბნოში“ პოეტის წუხილის საგანია იანვრის თოვლით დამჭკნარი იები, ცოდვილი ხელები. დაფარული ღალატი, შიშველი ყვავილი, თეთრი ბეჭდების თვლები... (3, 40)

თეთრი ბეჭედი მარიამის, თვალები ქრისტეს მეტაფორაა.

„დომინოში“ (3, 115-116) მოტეხილია ზაფხული (ზაფხული საღმრთო სახელია), „დაჩრდილულია ბეჭედი“, „ბეჭდის თვალში მოლები“ მოჩანს.

ლექსში „გრძნეული“ მოხუცის წამლები და შელოცვა, „უწინდელი ცის“ (ცა მარიამის სიმბოლოა) ძიება და უკანკელო საყდარი შეგვაგრძნობინებს რწმენის შერყვნას, ხოლო „მოლები“ გრძნეულების საშუალებაა.

მხოლოდ ბოლოს გამოჩნდება დიდი ძიების შემდეგ ჭეშმარიტი სასახლე, აღიმართება კანკელი და დომინოს მოვლინება აგვირგვინებს მოლოდინის ახდენას. დომინო კი ცხადდება, როგორც ქრისტეს მებაღე.

გალაკტიონს აქვს ასეთი მოწოდება: „... ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები“... (პუშკინი პარიზში) (6, 55).

აქ ღვინო ქრისტეს სიმბოლოა და ეს სახე მომდინარობს ესაია წინასწარმეტყველიდან: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია, 25, 61) (2, 91).

ბეჭედი მარიამის ხატებაა.

ღვინის სიანკარეში ბეჭდის ჩაშვება ზეციური დედის გზით ძე ღმერთთან ზიარებას უნდა ნიშნავდეს.

გალაკტიონი არასოდეს წყვეტდა კავშირს უზენაეს ძალებთან. იგი ბეჭედს ვარდების ცვართანაც მოიაზრებდა: „... თითქოს ბეჭდებზე დაგეყრება ვარდების ცვარი და სურნელებით აივსება შენი ლოცვანი“ (საღამოვ, ვიცი).

ბეჭედი მარიამის, ვარდი ქრისტეს, ცვარი ქრისტიანული მოძღვრების სიმბოლოა.

მთვარე მოიაზრება ღვთისმშობლის სახედ (7, 124).

პოემა „მშვიდობის წიგნი“ საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივ კატაკლიზ-

მებს წარმოაჩენს სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით. მასში იკარგება მშვიდობის წიგნი (ღმერთი), ქაჯის (იმპერიული რუსეთის ალეგორიაა) მცდელობით იგება მახე, იხლართება ბადე, იმღვრევა წყარო (წყარო ღმერთის სახელია), ხდება წარღვნის-მსგავსი სტიქიების მოვლინება, ბაღის განადგურება (ბაღი ხალხის მეტაფორაა), გაბატონდება სატანა, კუნაპეტი ღამე, მზე უჩინარდება, გადაშენდება ვარდი და ია, იქმნება არყოფნის საშიშროება და „არც მთვარე არის, არც ვარსკვლავები“ (16, 263).

პოეტის გულში, მიუხედავად რწმენის სახელმწიფოებრივ დონეზე დევნისა, მაინც ენთო რწმენის ცეცხლი, უზენაესის, ძე ღმერთისა და ზეციური დედის თაყვანისცემა: „ჩემს გულში ვეძებ ვარსკვლავებს, მთვარეს, მეგობრებს, სატრფოს ეშხით მღელვარეს“ (ჩემს გულში).

ბიბლიაში, სასულიერო, პოეზიაში წმინდა მარიამი წარმოიდგინება, როგორც ეზო (7, 60).

გალაკტიონის „ავდარში“ (3, 119) უეზოო სახლი და უეწრო ჩარდახი მიგვანიშნებს ღვთისმშობლის იგნორირებას: „... და განათდება უეცრად გაოხრებული პარტახი, უეზოოდ და უეწროდ შთენილი ოქროს ჩარდახი“.

ჩარდახი, კიბეც მარიამის სახეა (კიბევ ზეცისაო 8, 9).

სხვაგან კი დრო გლოვობს უეზოო სახლს და უცეცხლო კერას: „და სტიროდი დროო, როგორც ბედისწერა, სახლი უეზოო და უცეცხლო კერა“...

ეზო მარიამის, ცეცხლი ქრისტეს მეტაფორაა.

ლექსში „არ ღირს იმ ერთ ცრემლად“ (3, 248) დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული ყვავილები და ვენახები გვაგრძნობინებს დედა-ძის იგნორირებას, რადგან ყვავილი ქრისტეს, ვენახი მარიამის მახასიათებელია. მარიამი არის „ვაზი მორჩისა დაუჭკნობელისა“ (8, 9).

„უამინდობის“ მიუხედავად, პოეტი „კიდობნის“ თანხლებით ცხოვრობდა: „დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით“ (მეოცნებე აფრებით).

რელიგიურ სახისმეტყველებაში კიდობანი მარიამს მიემართება: „გიხაროდენ, კიდობანო, ოქროვანქმნულო სულთა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა 8, 12).

ასევე, გალაკტიონისთვის მუდამ მახლობელი იყო „წმინდა ემბაზი“ (მარიამი): „... დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი“ (ეფემერა).

ემბაზი მარიამს მიემართება: „გიხაროდენ, ემბაზისა მჰსგავსებისა გამომხატველო“ (8, 12).

ქალაქი, ზეციური ქალაქი, „ღვთის ქალაქი“ მარიამის სახეა (7, 104).

ათეისტურ ეპოქაში გალაკტიონმა მიზნად დაისახა „უეცარი ქალაქის“ – ანუ ღვთისმშობლის რწმენის აღდგენა, მისი მიზანი იყო არა „ხელოვნური“ ქუჩისა და ქვის სიმძიმით სავსე ქალაქის, არამედ „ღვთის ქალაქის“ – მარიამის რწმენის, სიყვარულის ქადაგება: „... რომ მოზმანებულს ჰგავდეს სამყაროს და უეცარი აღდგეს ქალაქი“ (უეცარი ქალაქი) (3, 328).

პოეტს ესიზმრებოდა „წმინდა, შორი ქვეყანა“, სათნოებით აღსავსე თვალთა ცქერა, ანგელოზთა ციური ნანა (მე მესიზმრება) (4, 125).

ქვეყანაც საღვთისმშობლო სახელია. მარიამი არის უკვდავი ნაყოფის ქვეყანა:

„გიხაროდენ, ქუეყანაო უკუდავისა ნაყოფისაო“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა) (8, 10).

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის „ქნარი სიტყვიერთა ცხოვართა“ (8, 10).

გალაკტიონის ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“ – მარიამი წარმოგვიდგება, როგორც იესოს ჯვარცმის მაყურებელი და იგი მწუხარეა, „მგლოვიარე ქნარია“...

მარიამი წარმოიდგინება, როგორც „კიბე ზეცისა, რომლისა მიერ გარდამოხდა ღმერთი“ (8, 9).

გალაკტიონი წუხდა „ოხრად შთენილი ოქროს ჩარდახის“ ბედს (ავდარი) (3, 119), თვითონ კი გამუდმებით „უმშვენიერეს კიბეზე“ იდგა და ამ კიბით იყო „ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ (უმშვენიერეს კიბეზე) (6, 209).

მარიამი ხომ „სიბრძნისა ღმრთისა სავანეა“ (8, 11).

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა იაგუნდი (7, 124).

გალაკტიონის ლექსში „დღე გაფითრდა იაგუნდის“ (1919 წ.) ფიგურირებს „იაგუნდის დღე“: „დღე გაფითრდა იაგუნდის, დგას ღრუბლების ჯგუფები, რაგინდ დიდი გული გქონდეს, მაინც დაიღუპები“.

„იაგუნდი“ მარიამის, ხოლო დღე ქრისტეს სიმბოლოა (8, 122). (შდრ. დავით გურამიშვილი: „ვიკარგვი ბნელი ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო“).

გალაკტიონის ლექსში უღმერთო ადამიანის სულის დაღუპვაზეა აქცენტი.

სხვაგან „იაგუნდსა“ და მის ჩამქრალ შუქზე მოდის მახვილი: „შუქი არ ინთება ჩამქრალ იაგუნდის“ (შენ და შემოდგომა) (3, 180). უშუქო-ბნელ ღამეში ბელზებელი თარეშობს. ლექსი დაწერილია 1921 წელს.

იაგუნდის შუქის ჩაქრობის ჩვენებით უღმერთობის ფაქტზე ხდება ხაზგასმა.

შუქი ღმერთის სახელია: „უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი – ვის შევუშინდე?“ (ფს. 26/27, 1) (5, 547).

ძე ღმერთი არის „სიცოცხლის შუქი“ (ფს. 56, 14) (5, 580).

გალაკტიონის ლექსი ასახავს ღმერთისუარმყოფელ ეპოქას, როცა ურწმუნოებით იღუპებოდნენ ადამიანები.

ასევე, პოეტების მეფესთან მარიამია ადრესატი სახისა – კიდობანი: „დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით“ (მეოცნებე აფრებით).

კიდობანი მარიამის სიმბოლოდ დაფიქსირებულია ბიბლიაში, „დაუჯდომელში“, სასულიერო პოეზიაში.

მთა, პოხილი მთა ასევე მარიამზე მიმანიშნებელი სახეა დანიელის წინასწარმეტყველებიდან.

გალაკტიონის „სილაჟვარდეში“ გაელვებული „შემოღამებული მთა“ ღმერთისუარმყოფელი ეპოქის მარიამია, რომელსაც ვერ ხედავენ გონდაბინდულნი.

მარიამის სიმბოლოა მთვარე.

გალაკტიონის ლექსში... ალვა მთვარეს მწვერვალებს უხრის. ალვა სიცოცხლის ხის – ქრისტეს სიმბოლოა, მთვარე მარიამისა.

სასულიერო მწერლობაში, მარიამის მეტაფორად მოიაზრება „ნაყოფელვარე ხე“ (ყვავილგადაფენილი ხე) (7, 124).

გალაკტიონ ტაბიძის ატმის ხე მარიამის, ხოლო მისი ყვავილი ქრისტეს სიმბოლოა (იხ. ამაზე ჩვენი „ატმის ყვავილების“ ციკლი).

ასევე, მარიამთან მიმართებაში იხმარება სამოთხე.

გალაკტიონი ასე გამოხატავს თავისი პოეზიის რელიგიურობას სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით: „ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, ო, ქვეყნიურო ოცნება, ო, მშვენიერო სამოთხე!“

„დიდი დღე“ მამაღმერთია, „მშვენიერი სამოთხე“ – მარიამი.

ზემოთგანხილული მაგალითებიდან ნათელია, როგორ შემოქმედებითად მიმართავდა გალაკტიონი ჩვენი ზეციური დედის კანონიკურ სახეებს, როგორ ამრავალფეროვნებდა მათ.

ამხელდა რა დედა-ძის უარმყოფელი ათეისტური ეპოქის ტრაგედიებს, პოეტი კავშირს არასოდეს წყვეტდა უზენაეს საწყისებთან და სატანური ძალების ტყვეობაში მოქცეულ, დაბნეულ ერს ტაძრისკენ სავალ გზას უჩვენებდა.

ლიტერატურა:

1. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ., 2009
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993
7. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
8. დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, საპატრიარქოს უწყებანი, №12, 3-9 აპრილი, 2009 წ.
9. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991
10. აღსარება ნეტარი ავგუსტინეს, ჰიპონის ეპისკოპოსისა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
11. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1986
12. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი 6 ტომად, ტ. 5, თბ. 1961
13. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ., 1975.

მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, სასულიერო პოეზიაში გარჩეულია ორგვარი ნათელი: „უჟამო, დაუბადებელი“ ნათელი და ხილული ნათელი.

უჟამო, მარადიული ნათელი არის ღმერთების, ანგელოზების, წმინდანების სამოსელი.

ფსალმუნში დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „უფალო... სიმშვენიერითა და ბრწყინვალებით ხარ შემოსილი. გაკრავს სინათლე სამოსელივით“ (103,2) (1,633).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების მიხედვით, მხოლოდ სულით წმინდა ადამიანები გახდებიან ნათელი სამოსლის ღირსი: „გამარჯვებული ჩაიცვამს თეთრ

სამოსელს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამის წინაშე და მისი ანგელოზების წინაშე“ (3,5) (1,494).

სასულიერო პოეზიაში „სიცრუის სამოსელს“ უპირისპირდება სულიწმინდის სპეტაკი სამოსელი: „სამოსელი სიცრუვისაი განვიძარცუეთ და შევიმოსეთ ჩუენ სპეტაკი და ბრწყინვალე ქსოვილი წყალობათა ყოლად, წმინდისა სულისა ვიხილეთ ნათელი“ (2,599).

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისე არეოპაგელი მოხსენებულია, როგორც „ღმერთშემოსილი“ (3,112).

„მიწის ანგელოზი“ და „ზეცის კაცი“ – გრიგოლ ხანძთელი ჯავახეთის კრებაზე ისე ჩანდა, რომ ემოსა „სამოსელი ნათლისა“ (4, 586), ხოლო სენაკში მას ემოსა „სული ღმრთისაი განმანათლებელი“ (4,597).

„სამოსელი უხრწნელი“ მოიაზრება მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ (5, 263).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამოსლის სიმბოლიკას.

პოეტისთვის მთავარია სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი და მის ლექსებში სამოსელი ფიგურირებს მრავალგვარ კონტექსტში.

რელიგიური მსოფლგანცდის გამომხატველი ფრაზაა: „მე სხვა მზე მმოსავს“ (დღეს შემისრულდა).

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 12) (1, 614) – მზე არის საღმრთო სახელი.

ლექსში „ეს გრიგალია სიახლის“ გალაკტიონი სიხარულშემოსილი გვეცხადება: „მე სიხარული მემოსა“, რაც რწმენასთან წილნაყარობას უსვამს ხაზს, რადგან, სახარების მიხედვით, ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2,10) (1,113).

გალაკტიონის ლექსებში ასევე იქცევს ყურადღებას ოცნების, ფიქრების, სულის, მშვენიერების სამოსელი, ანუ სათქმელისთვის მიგნებულად მორგებული ფორმა: „ფიქრთა სამოსი, სულის სამოსელი, ოცნების მანდილი, ოცნების კვართი, მშვენიერების ჩადრი, მშვენების რიდე, სიტყვის ძაძა, სიტყვის ძონძი, სულის ნიღაბი...“

საყურადღებოა „მთვარის მაზარით“ შემოსილი ლანდები, იით შემოსილი ბუნება, ვარდის ქუბა (6,222-223).

ლექსში „ქარი მოგონებათა“ აქცენტირებულია სატრფოს „ლაჟვარდოვანი მანდილი“.

„შავი ლეჩაქი“ ესადაგება თავისუფლებადაკარგული ადამიანის განწყობას ლექსში „ალაზანთან“.

„ვეფხვის ტყავებით“ დაფარული მანდილია ლექსში „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“: „ძველ სასახლეში ვეფხვის ტყავებით ფარავდა ვინმე გობელენს, მანდილს, შვენობა იგი ფერაყვავებით აქ სადარბაზოდ მოსულ ავთანდილს“.

„ჭრელჭრელი მანდილ-საკაბეა“ ლექსში „მივარდნილი აივანი“.

ერთგან საუბარია „ქართლის საბურველზე და თავხურვაზე“ (მაღალ მთიდან).

სხვაგან მთები ლეჩაქით იხილვება (ჩვენ გავიარეთ).

უფრო საინტერესოა არა ხედვითი, არამედ სიმბოლური, პოეზიასთან, მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული მანდილის ვარიაციები გალაკტიონის ლექსებში. „ოცნების მანდილით“ გვეცნაურება პოეტი ლექსში „არ მენატრება“: „არც მეგობრობა მენატრება დიდი ხანია, დასანდობელად აღარ ვხურავ ოცნების მანდილს“.

„პოეზიის მანდილისა“ და გრიგალის დაპირისპირებაა ლექსში „დღეს დღეები

ეცლება“: „გრიგალმა გაიტაცა პოეზიის მანდილი“, ანუ გრიგალის სახით პოეზიას ებრძვის უკეთურება.

„ბახტრიონში“ ვაჟა-ფშაველა მტრისგან დამონებულ კახეთს წარმოადგენდა „ჩიქილამოხდილ ქალის“ სახეში: „მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილამოხდილ ქალადა“ (7,134).

„მთების თავხურვა“ იქცევს ყურადღებას ვაჟას „პასუხში“.

„ქედების თეთრი მანდილი“ (მთათ ძილი), „ყვავილთა მანდილი“ (გაზაფხული) ქმნის მანდილის მთელ ციკლს ვაჟას პოეზიაში.

მანდილი მოჩხუბართა დაზავების საშუალება, მისივე პოემაში „მანდილი“.

ვაჟას მიგნებული სახეა ბედის წარმოდგენა წითელი თავშლის სახეში: „ჩემის ქვეყნისა ცრემლის საწმენდად წითლის თავშალით მიცინის ბედი“ (დ. კ-ს).

მანდილის ახდა ღირსების აყრაა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში.

„შუშანიკის წამებაში“ ვარსქენის მიერ შურისძიების მიზნით შუშანიკის დამდაბლებას მოასწავებს მისი თავშიშველი და ფეხშიშველი („უხამური და თმაგარდატეევებული“) გაგზავნა ციხეში (4,233), ხოლო ძაძის ტარება წმინდანობის ნიშანია (8,231).

როგორც ვხედავთ, გალაკტიონის მანდილს მდიდარი ტრადიციები უძღოდა წინ.

ვაჟას „სიტყვის მანდილი“, ბედის „წითელი თავშლით“ გაცინება, მოვლენებისადმი ვაჟასებური მიდგომა ერთგვარი სტიმული შეიძლებოდა ყოფილიყო გალაკტიონის „ოცნების მანდილისა და „პოეზიის მანდილის“ შესაქმნელად, განსაკუთრებით ვაჟას „სიტყვა ეული“ ჩვენს პოეტურ სინამდვილეში პირველად ქმნის ამ ორიგინალურ სახეს: „სიტყვა გადვაგდე ერშია, სიტყვა, რა სიტყვა? – ეული, ტანჯულის გულის ნაცრემლი, ვარგით ნაკვები, სნეული, გულგანგმირული, ბეჩავი, თავს მანდილ-ჩამოხეული“. თუმცა ხშირად ვაჟას ოცნებას „ჯავშანიც“ აცვია.

ასეთი შემოქმედებითია გალაკტიონის დამოკიდებულება ვაჟას ტრადიციებთან.

თუმცა შესამოსელის წართმევა, თავსაკრავების, პირბადეების, მანდილის, თავსაბურველის ახდა ბიბლიაშიც გვხვდება, როცა ღმერთი მის დამვიწყებელთ ასე ემუქრება: „რაკი გამედიდურდნენ სიონის ასულნი, ... იმ დღეს აართმევს მათ მეუფე... თავსაკრავს, ...პირბადეებს, ძვირფას შესამოსელს,.. მანდილებს,... თავსაბურავებს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 3,16,18,19,22) (9,11,76).

გალაკტიონი გამუდმებით ამრავალფეროვნებდა წინარე ტრადიციებს. „ოცნების კვართი, მშვენიერების ჩადრი, მშვენების რიდე, სიტყის ძაძა“ გვაგრძნობინებს მას უეჭველ ორიგინალობას, ასევე ნეოლოგიზმები: გამოკვართული, მოიჩადრება, გალეჩაქდება.

მანდილი მთელი ცხოვრების მანძილზე აფორიაქებდა პოეტს, იგი არ კარგავდა თავის ხიბლს და მას უმეტესად პოეზიის ან რელიგიის ჭრილში მოიაზრებდა.

ერთ ლექსში ქრისტეს გოლგოთას (წამების ადგილი) გალილეა (ამაღლების შემდეგ მოწაფეებთან შეხვედრის ადგილი) ენაცვლება, პარალელურად, ქართული პოეზიის მეფეს თბილისი, მთაწმინდა ეიმედება მფარველად, რომელიც მისი ამაღლების დასტურად უნდა იქცეს. მისთვის ისევ ძვირფასი და გაუხუნარია მანდილის სახე და მზად არის, თავისი გადიადების საფასურში იესოსავით შესვას შხამიანი სასმისი, რადგან იცის, რომ დიდება და უკვდავება ყოველთვის მსხვერპლის გაღებით მიიწვდომება: „დღეს მაისი ფერში ნაირნაირშია, თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე ბებერი. მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა, მე კი ჩვენი დამიფარავს მთაწმინდა. მანდილი ჩანს ისევ იმ

მანდილადა, შხამსაც შევსვამ შენგან მოწვდილ თასითა“ (დღეს მაისი).

რევოლუციის ზვირთებში მოყოლილი პოეტი, რომელიც „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას“ აიდეალებდა, ტოტალური ნგრევისა და სისხლიანი ტერორის მოწმე გახდა. მაგრამ იგი ისევ ზამბახებიანი ბაღის სახეს ინახავდა სულში, ბედისწერისაგან მაღლა მოქცეული გემი „დალანდი“ თავის თავზე შეყვარებულ ნარცისს აგონებდა, მას კი თავისი პოეზიის მომავალი ადარდებდა, თავის დაფნას მხოლოდ „მთვარეულ ზამბახებში შეფარებული“ „ლურჯი მანდილის“ თანხლებით წარმოიდგენდა, სამშობლოს ძველი გზების დაკარგვაზე სწუხდა, ხან უსამშობლობის განცდა ეუფლებოდა... მოსკოვის, კრემლის, პეტროგრადის, ლენინის „გახსენებისას მტანჯველი ლანდი“ არ სცილდებოდა და დასაფიქრებელია, მათგან განშორების იყო თვალზე მომდგარი ცრემლი, თუ სხვა რამის...

ამ ერთი შეხედვით რევოლუციისადმი თანაგრძნობის გამომხატველ ლექსში, რელიგიური სახეებიც ფიქსირდება და ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა (რელიგიური სათნოება და რევოლუციური ძალმომრეობა) პოეტს სულიერ წონასწორობას აკარგვინებდა, თუმცა მავანნი რევოლუციის აზვირთებაში რომანტიკას ხედავდნენ.

თვალი გავადევნოთ ლექსის სტრიქონებს: „გამომაღვიძა ღამის ალმა, ნელმა და ქურდმა, ბაღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური, ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა, ბაღს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური“.

ბოროტეულთ აღელვებულ ზღვას ადარებს ესაია წინასწარმეტყველი: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (57,20) (10,116).

ჩუქურთმის ნანგრევებში, ზღვის დაუდეგარ სტიქიაში, ღამის ქურდულ ალში პოეტის სმენას წვდება უდაბური ზღვის მრისხანება და ზამბახებიანი ბაღის წარმოდგენა კონტრასტს ქმნის რეალობასთან.

სისხლმოწყურებულ ათეისტთაგან გაიდეალებული რევოლუციონერთა გემი პოეტს თავის თავზე შეყვარებულ ნარცისს აგონებს და საკუთარ პოეტურ ფენომენს მხოლოდ „მთვარეულ ზამბახებში შეფარებული ლერჯი მანდილის“ თანხლებით წარმოიდგენს: „მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“,როგორც ნარცისი თავის ლანდზე შეყვარებული, ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი, ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული“.

დამაფიქრებელია გემით მოგზაურისთვის ძველი გზების დაკარგვა, უსამშობლობის განცდა და მრავლისმთქმელია „მთვარისგან გაღვიძება:“. გემით „დალანდი“ მივდიოდი სამშობლოსაკენ და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა; მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?“

მოსკოვის, კრემლის, პეტროგრადის, ლენინის „გახსენებების მტანჯველი ლანდი“ ასდევნებია და საკითხავია, ვისგან ან რისგან განშორებამ მოჰგვარა პოეტს ცრემლი: „გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი: შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი! შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“ და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი“.

როგორც ვხედავთ, ღამის „ქურდი ალის“, დანგრეული ჩუქურთმების, უდაბური ზღვის ხმაურის, ნარცისიზმის, სამშობლოს წაშლილი გზების ფონზე მოაქცია პოეტი ბედისწერამ, მაგრამ არ ჩანს რამე სიმპათია განადგურების დიდოსტატებისადმი

(არც სხვაგან), პოეტი ისევ ზამბახებიანი ბაღის ტყვეა, მისი მომავლისგან მოუცილებელია მთვარეულ ზამბახებში შეფარებული ლურჯი მანდილით მოპოვებული დაფნა (დიდება), მთვარისგან გაღვიძება.

ვისგან ან რისგან განშორების ცრემლი კიაფობდა პოეტის თვალში?

სოსო სიგუა წერს: „გემი „დალანდი“ რევოლუციურ თემატიკას მიაკუთვნეს, რადგან ლენინი იხსენება. ნამდვილად კი ეძღვნება ოლია ოკუჯავას, ფანატიკოს ბოლშევიკს, რომელიც პოეტმა მოსკოვში დატოვა.

ხოლო „ლურჯი მანდილი“ სატრფოს ემბლემაა, როგორც გვამცნობს სხვა ლექსებიც – „თოვლი“ და „ქარი მოგონებათა“ (10,259)

პოეტის ცრემლი რომ მიჯნურისგან განშორების ცრემლი იყო, ამაში ვეთანხმებით სოსო სიგუას, ხოლო მანდილის („ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი“) სიმბოლო რელიგიური დატვირთვის მატარებელია გალაკტიონის რამდენიმე ლექსში.

მთვარე საღვთისმშობლო სიმბოლიკაში მარიამ ღვთისმშობლის სახელია: „მზესთან, მზისთვალთან ერთად, მარიამის სიმბოლურ -ალეგორიული სახელია მთვარეც“ (11,99).

გალაკტიონთან მთვარე მრავალნაირ კონტექსტში გვხვდება. ერთგან „ალვა მთვარეს მწვერვალებს უხრის“. ამ ერთი შეხედვით ალოგიკურ ფრაზაში ორი სიმბოლოა: ალვა და მთვარე. ალვა საღვთო სახელია.

მთვარე კი, როგორც აღვნიშნეთ, უფლის დედაზე აქცენტირებაა, ასე რომ, ამ სტრიქონში დედა-ძის კავშირზეა მინიშნებული.. ხოლო ზამბახებში მოაზრებული ლურჯი მანდილით გატაცება ისევ და ისევ უფლის დედის წილხვედრი ქვეყნის სარწმუნოებრივი ტრადიციების გაგრძელების მისიის გაცნობიერებაა.

მანდილი და მთვარე ამ კონტექსტებში იდენტური სახეებია.

ცნობილია, რომ მარიამი საქრისტიანოს მფარველია, საქართველო მისი წილხვედრი ქვეყანაა და შემთხვევითი როდია წმინდანების მიერ მისი ხილვა საქრისტიანოსათვის მლოცველის როლში, მორწმუნეთათვის მზეზე უბრწყინვალესი თავსაბურავის (მანდილის) გადაფარება.

რუსეთში არსებობს ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული, რაც შემდეგნაირად იხსნება.

X საუკუნის შუა წლებში, კვირა დღეს, ახალი სტილით 14 ოქტომბერს, ანდრია სალოსი ღამისთევის ლოცვებს ესწრებოდა კონსტანტინეპოლის ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც ყოვლადწმინდა ქალწულის სამოსელი, თავსაბურავი და სარტყელის ნაწილი ინახებოდა. ღამის სამ საათზე მან თვალები ზეცად აღაპყრო და ღვთაებრივი შუქით გაცისკროვნებული ღვთისმშობელი იხილა ანგელოზთა და წმინდანთა დასის თანხლებით. ყოვლადწმინდა დედოფალს კრძალვით მოაბრძანებდნენ იოანე ნათლისმცემელი და იოანე ღვთისმეტყველი. მარადის ქალწულმა მუხლი მოიყარა და დიდხანს ავედრებდა ცრემლით უფალს საქრისტიანოს, მერე ტრაპეზთან მივიდა და ლოცვა განაგრძო. ბოლოს თავსაბურავი მოიხსნა და ტაძარში შეკრებილ მლოცველებს გადააფარა. უბიწო ქალწული ღვთაებრივი დიდებით ბრწყინავდა, ხოლო თავსაბურავი მის ხელზე მზეზე უბრწყინვალესად ელვარებდა. ათრთოლებულმა ანდრიამ გვერდით მდგომ მოწაფეს, სახელად ეპიფანეს, ჰკითხა: „ხედავ, ძმაო, მთელი სამყაროსთვის მლოცველ დედოფალს და უფალს?“ „ვხედავ, ძმაო და ვძრწი“, – უპასუხა ეპიფანემ. ისინი დიდხანს შესცქეროდნენ საკვირველ სანახაობას.

„არის ვარაუდი, რომ ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაული რუსეთში დაწესდა, სხვების აზრით კი – საბერძნეთში. ამ ვარაუდის თანახმად, საბერძნეთის ეკლესიას XII საუკუნის I ნახევარში უნდა დაეწყო მისი აღნიშვნა და სწორედ აქედან შევიდა რუსეთშიც. დროთა განმავლობაში ბერძნებს ეს დღესასწაული მიუვიწყებიათ, დაკარგულა საღვთისმშობლო წიგნებიც, სადაც იგი იხსენებოდა. დღეისათვის შემორჩენილი უძველესი წყაროები, სადაც ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულია ნახსენები, რუსულია. XIIIს. II ნახევრით თარიღდება (12).

ამ რელიგიური დღესასწაულის, ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულის შესახებ უთუოდ იცოდა გალაკტიონმა, რაც ერთხელ კიდევ განგვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ მთელ რიგ ლექსებში პოეტის მიერ მანდილი გააზრებულია, როგორც მარიამ ღვთისმშობლის ემბლემა. გალაკტიონს საერთოდ ახასიათებდა დეტალით არსებითზე, მთელზე აქცენტირება. მარიამზე ხელებით მიგვანიშნებს ლექსებში „დომინო“, „ხელები“, „სილაჟვარდეში“ ოლარებით ხდება მღვდელზე აქცენტირება.

ერთგან ამბობს: „პოემას უვრცესს დაერქმევა ალვა და სურო, იქ შორეული მხარეები უნდა გამეფდეს“ (ხელები).

ალვა საღმრთო სახელია (ალვები თოვლში), „დედოფალი ალვა“ – მარიამი (საღამო).

ლექსში „გემი „დალანდი“ დაფნასთან (დიდებასთან) მოაზრებული მანდილი უთუოდ მარიამია.

გალაკტიონი პოეზიას მიიჩნევდა, როგორც სულიწმინდის მადლს, ჭეშმარიტი პოეტის უპირველეს მისიად რწმენის მსახურება ესახებოდა. ამიტომ მისი ესთეტიკური კრედოს გამომხატველ ლექსებში თითქმის ყოველთვის რელიგიური სახეებია ჩაწნული („ხელოვნება“, „მე და ღამე“, „შერიგება“, „ეფემერა“...)

პოეტი თანმიმდევრულია ამ საკითხში.

„თოვლის“ ავტორისათვის რეალურად სამშობლო უდაბნოა, თოვლის და ზამთრის (სულიერი სიცივის) სამეფოა. სატრფოს „თოვლივით მკრთალი ხელები“ „თოვლთა დაფნაშია“ უღონოდ დახრილი, მის ხმაში „ფარული დარდია“, მხოლოდ წარსულშია „მშვიდი დღეების თეთრი ბროლება“, სასურველთან ერთად ქარში ქროლა. თოვლივით თეთრია სიცივისმომგვრელი ტყეები, მაგრამ სულში, ოცნებაში, მისტიკურ პლანში არის საყვარელი თოვლი, ქალწულისდარი „იისფერი თოვლი“, უდაბნოში გაელვებული მანდილი. ქალწულიც და იისფერი თოვლიც მარიამის პარადიგმაა. ეს სახე განუშორებელია პოეტისგან, მაგრამ მწუხარების აღმძვრელია რეალობა, „ზამბახების წყებად დაწვენა“. ზამბახიც, ზამბახის პრინცესაც მარიამია (იხ. ნაშრომის II თავში „ზამბახის პრინცესა“).

გალაკტიონის ლირიკულის გმირის სულში ერთი ღმერთის საგალობელი, „სიხარულის უვერტიურა“ ჟღერდა, იგი ეთაყვანებოდა მარიამს (მრავალ სიმბოლოში გაცხადდა მისი სახე), მაგრამ პარალელურად, ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ვითარებას გვაგრძნობინებს თოვლში დაცემული ზამბახები ანუ ათეისტური ეპოქის მიერ იგნორირებული მარიამი.

“თოვლში“ ერთდროულად არის რეალური და მისტიკური პლანი ისე, როგორც მის მრავალ შედევრში („ალვები თოვლში“, „სილაჟვარდე“, „გობელენი“, „ის“...)

პოეტის თვალწინ გამუდმებით ელავს უდიადეს სახეზე, ჩვენს ზეციურ დედაზე მიმანიშნებელი მანდილი, რომელიც ხან თოვლის, ზამთრის, უდაბნოს სამყაროში

მოუქცევია განგებას, ხან ავბედითი თებერვლის სათამაშოდ გაუხდია: „ქრება ქარში შანდალი (ოცნება, შარშანდელი) და თამაშში მანდილის ქრიან თებერვალები! საიდუმლო ალები! ისევ დამევალება უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები. ვარსკვლავებით მწირველი, ლოცვა – გასაკვირველი, ასეთია პირველი ტრფობის ინტერვალები!“ („ვოილეს“)

ლექსში აშკარად რელიგიურია, ქარში შანდლის (სხვაგან არის, სანთლის) ჩაქრობა, თებერვლის სიცივეში მანდილის გაელვება რევოლუციური, ღმერთისმგმობელი ეპოქის ვითარებას აფიქსირებს, პოეტი კი „საიდუმლო ალების“ (საიდუმლო ცეცხლის) ანუ ღმერთის ტყვეა და მას ევალება ეწვალოს ლურჯი მწვერვალების (მთა, მწვერვალი მარიამის სიმბოლოა), ვარსკვლავების (ვარსკვლავი საღმრთო სახელია) სიყვარულის, „პირველი ტრფობის“ (საღვთო სიყვარულის) განახლებისთვის.

თებერვალი ავბედითი 1921 წლის 25 თებერვლის ასოციაციას აღძრავს.

„შეყვარებული და ქარვისფერი“ პოეტი, რომელიც „მშვენიერი მიზნით“, სიყვარულით ებრძვის სიძნელეს, სიკვდილს, ბრბოსაც კი „მსუბუქ მანდილით“ (ისევ მარიამის ემბლემაა) ეცხადება. სწორედ ამ მაღალი ზეციური იდეალების გამო იგი გაუცხოებულია, „ზედმეტი, უცხო, უნაყოფო და განდევნილი ფოთლების ლანდია“ პრიმიტივთა თვალში: „ვიცი, ვიქნები: მშვენიერი მიზნის სიძნელით, თუკი მოვედი, გადავიქანებ სიკვდილს მაღლა ამართულ ყელით მე, შავი გედი. პოეტი ბრბოში, სულ ერთია, ვიქნები ზრდილი, მსუბუქ მანდილით, ზედმეტი, უცხო, უნაყოფო და განდევნილი ფოთლების ლანდი“ (ფოთლების ლანდი).

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი;, 1992
2. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1982
3. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1981
4. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ. 1987
5. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ. 1989
6. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბ. 1993
7. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1986
8. თამარ გრძელიძე, სიმბოლიკის საკითხები ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში, „ლიტერატურული ძიებანი“, 2, XVII, 1982.
9. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
10. სოსო სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ. 2002
11. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
12. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2005, 10-16 ოქტომბერი, ¹41/580

სიცოცხლის ხე და მისი ვარიაციები

გალაკტონ ტაბიძის პოეზიის მასაზრდოებელი წყაროების ძიებას ზოგჯერ ბიბლიასთან, წარმართულ თუ ქრისტიანულ მითოლოგიასთან მივყავართ. ხშირად ბიბლიიდან მომდინარე კანონიკური სახეები, ცნებები, ზოგჯერ სტერეოტიპული ნაკადი გალაკტიონის შემოქმედებაში იდუმალებისა და საიდუმლოების ბურუსში ეხვევა და სულისშემძვრელ თავსატეხს გვიჩენს.

ასეთად გვესახება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან გალაკტიონის პოეზიაში გადმორგული „სიცოცხლის ხისა“ და „ცნობადის ხის“ ვარიაციები.

„სიცოცხლის ხე“ ღვთაების სიმბოლოა.

„და აღმო-ვე-აცენა ღმერთმან მერმე ქვეყანით ყოველი ხე შუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად და ხე ცხოვრებისა – შორის სამოთხესა და ხე იგი – ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ (წიგნი დაბადებისა, 50, 9).

ახალი აღთქმის „ხე ცხოვრებისა“ ქრისტეს გულისხმობს: „და მიჩუენა მდინარე წმინდაი ერთი წყლისა ცხოველისა, ბრწყინვალე ვითარ ბროლი, გამომავალი საყდრისაგან ღუთისა და კრავისა მათ შორის სივრცესა და მის ქალაქისასა და მდინარისა მის მიერ წიაღვლი ხე ცხოვრებისა, ნაყოფისა გამომღებელი ათორმეტთა ნაყოფთა“ (გამოცხადება იოანესი, 22, 1-2).

აქ აშკარად ამოიცნობა ქრისტესა და მისი თორმეტი მოციქულის სახე.

აპოკალიფსში ქრისტე წმინდა ადამიანებს ჰპირდება უკვდავებას: „რომელმან ჰძლოს, მივჰსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხოვრებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღუთისა“ (იქვე, 22, 663, 7).

ცხოვრების ხეს მხოლოდ ისინი დაეუფლებიან, რომლებიც ღმერთის მცნებებს არ გადავლენ: „ნეტარ-არიან, რომელნი იქმოდნენ მცნებათა მისთა, რათა იყოს ხელმწიფება მათი ძელსა მის ცხოვრებისასა, და ბჭეთა მათ მიერ შევიდნენ ქალაქად“ (იქვე, 22, 702, 14).

ახალ აღთქმაშივეა შექმნილი ამ სახის ახლებური ვარიაცია: „შეიწყნარეთ ნერგი სიტყვისაი, რომელი შემძლებელ არს ცხოვრებად სულთა თქვენთა“ (კათოლიკე ეპისტოლე იაკობისა, 1, 2).

საინტერესოა სიცოცხლის ხის კომენტირება ღვთისმეტყველ გრიგოლ ნოსელის მიერ: „ხე ცხოვრებისაი ვითარცა ხატებაი ღმერთისაი“ (უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათვისა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისათვის „კაცისა აგებულებისათვის“. 1964 წ. გვ 190).

იოანე დამასკელის „ხე ცხოვრებისა“ ღვთაების სიმბოლოა.

ჰიმნოგრაფიაში გაიგივებულია „სიცოცხლის ხე“ და „ცნობადის ხე“ და ორივე სახე ქრისტეს გულისხმობს. „ხე იგი ცხოვრებისა შენს შორის აღმოცენდა“, „ხე ცხოვრებისა, რომელმან გამოიღო ყვავილი სულნელი“ (იოანე მტბევარი).

სხვაგან მარიამია სიცოცხლის ხის სათავე: „ქალწულო მარიამ, დაჰნერგე ხე ცხოვრებისაი უბიწო“ (ძლისპირნი, 1971 წ. გვ. 158).

ასევე უკავშირდება „ცნობადის ხე“ ქრისტეს: „განეღო დღეს ბეთლემს სამოთ-

ხეი, მოვედით, გემოი ვიხილოთ ხისა მის ცნობადისაი, რომელ არს ქრისტე, საღ-მრთოი იგი ყვავილი“ (პავლე ინგოროყვა. „ქართული სასულიერო პოეზია“, ტ. I, თბ., 1913 წ., გვ. 53).

აკაკი ბაქრაძე წერს: „თუ ცნობადის ხე ღვთაებრივი გონის გამოხატულებაა, ხ-ოლო ქრისტე ღმრთის სიტყვა, მოულოდნელი არ ყოფილა ჰიმნოგრაფის მიერ მათი გაიგივება. ცნობადის ხე და ქრისტე უფლის ორი ამქვეყნიური ჰიპოსტასია“, (სასუ-ლიერო პოეზიის სახე-სიმბოლოები, კრებული „პოეზია“, 1983 წ., გვ. 70).

„ჭილ-ეტრატის იადგარში“ ხე ცხოვრებისა მარიამს მიემართება: „ხე ცხოვრები-სა გუექმნა წმიდაი ქალწული მარიამ და ვენახი ჭეშმარიტებისა, რომელმან გამოი-ღო ტევანნი ცხოვრებისაი“.

„ამირანდარეჯანიანის“ „შუენიერი ხე“ და მისი ზეთი, რომელსაც სასწაულებ-რივი ძალა აქვს, ქრისტეს, მის „ალტრუისტულ ბუნებას გულისხმობს“ (ტიტე მოსია, „დავით გურამიშვილის მხატვრული ენის ერთი საკითხი“. „რიწა“, 1982 წ., გვ. 107).

ჩახრუხაძის „თამარიანში“ თამარი არის „ხე ედემს რგული“, ხოლო შავთელის „აბდულმესიანში“ თამარი გვევლინება, როგორც „ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით, ფინიკად ზრდილი ენაგდიმისად“. ამავე დროს, იგია „ვენახი კეთილგანსხმული“, „სიბრძნის ვაზი“.

ტრადიციული გაგებით, „ვეფხისტყაოსანში“ ედემის ხე შედარების ობიექტია. ზვიად გამსახურდია ამ ცნებათა ახლებურ გაგებას ავითარებს. მისი აზრით, „ბიბლი-ური ცხოვრების ხე იგივე სულიწმინდაა მეტაფორულად, ცნობადის ხე – ქრისტე. „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანია... დაკარგული სამოთხე, ღვთაებრივი ცნობიერება, სუ-ლიწმინდის მადლი, ცხოვრების ხე, რომლის სიმბოლოა ედემის სარო, ალვა, კვიპარო-სი“.

„ვეფხისტყაოსანი“ არის ალეგორიული ქება თამარ მეფისა, ხოლო თამარი არის სულიწმინდა, ცხოვრების ხე. თავად სამოთხე, ედემი, რომლის პერსონიფიკაცია „ვეფხისტყაოსანში“ არის თინათინი, იგივე თამარი“ (ზვიად გამსახურდია, „თამარი-ანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, „მაცნე“, 1987 წ., №4, გვ. 75).

დავით გურამიშვილის სტრიქონები: „ზედ გულზე ვიბი იგი ხე კაციანი და ღვთი-ანი“ „ქრისტეს ორბუნებოვნებას გამოხატავს და ძალზე ორიგინალურია“ (ტიტე მო-სია, ზემოთ მითითებული ნაშრომი, გვ. 208).

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“ „ხე ცხოვრებისა“ ქრისტიანობას გულისხმობს, ხოლო მისი დაჭკნობა – რწმენისადმი ორგულობას. სიცოცხლის ხედ კი მოაზრებუ-ლია სურნელოვანი წმინდა ნაძვი.

შემთხვევითი არ არის სიცოცხლის ხის ძიება მცხეთაში, რომელიც „ნინოს ცხოვრების“ ლეგენდის მიხედვით, ქრისტეს კვართის მფლობელ ქალაქად იყო მიჩ-ნეული.

„აჩრდილში“ ახალ ნერგზედ ახლად შობილი ქვეყნის აყვავება, ზნეობრივი სრულყოფის გზით უკეთესი მომავლის შექმნის რწმენაა. „ქართვლის დედაში“ კი ცნობადის ხე კონკრეტიზებულია თავისუფლების ცნებაში: „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი... ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო“.

გოეთემ „ფაუსტში“ „სიცოცხლის ხის“ სახე პრაქტიკისა და თეორიის დაპირის-პირებისათვის გამოიყენა: „ეჰ, თეორია, ჩემო კარგო, უფერულია, ხოლო ოქროს ხე სიცოცხლისა, მუდამ მწვანეა“.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ზემოხსენებულ ცნებებს ხან ფილოსოფიუ-

რი გაგება ეძლევა, ზოგჯერ სოციალური ქვეტექსტი ახლავს, ხშირად კი მარადიული „სიცოცხლის ხე“ გალაკტიონის პოეზიის სიმბოლოა.

გალაკტიონთან „არსებობის ხე“ სიცოცხლის მარადიულ სიახლეს, მარადიულ ბავშვობას და ბედნიერებას განასახიერებს: „ასე: მარადის არსებობის ხეს (აქაც და ქვემოთაც ხაზგასმა ჩემია – ლ.ს.) არხევს ნიავთა წუთიც, წამიცა, რამდენი ბავშვი შეჰხარის ამ დღეს, რა ახალია ეს დედამიწა“ (ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სიცილს).

სიცოცხლის ხის სოციალურ კონტექსტში გააზრებაა ლექსში „პოეტი და ოქტომბერი“, „უსახელო და გაცამტვერებული ხე“ ძველი ცხოვრების სახეა: „იმ უსახელო და მაღალ ხიდან ეხლა არ დარჩა აღარაფერი... მეფე არ არის, ხეც აღარ არის, მაგრამ პოეტიც ხომ ხე არ არის“.

ძველ, დახავსებულ ცხოვრებას განასახიერებს „ხეები მჟავე ნაყოფით“, „ხეზე ლპობილი ნაყოფი“.

ანალოგიური გაგებისაა „ბოროტების ხე“, რომელიც სიკეთის ძალამ შეარყია: „იგრძნობს ბოროტების ხე კანკალსა და შიშის ზარს. აბა ჰე, აბა ჰე, აბა მივცეთ მხარი მხარს“ (პიონერული).

ცეცხლწაკიდებული „ფანტასტიური ხე“ განახლების სიმბოლოა პოეზიაში „ჯონ რიდი“: „ხანდახან ღამე იდგა, როგორც ფანტასტიური ხე ცეცხლის შტოებით. ძველისძველი რუსეთი იმ ღამეს ეგდო, როგორც ხის კუნძი, ჯირკი ტყეში, რომელსაც სცემდნენ ნაჯახს“.

თანამედროვეობის სახეა „ახალ ცხოვრების ხე“: „გზა ახალ-ახალ გადამთოვრების გაიხსნის ღილებს, ჩემი სალამი ახალ ცხოვრების ხეს და ხეხილებს“ (გზა ახალ-ახალ გადამთოვრების).

„ამოყრილი ხეებიც“ ახალ სიცოცხლეს, თანამედროვეობას მიემართება: „მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს, ჩვენ განახლებას ეუბნება ბანს, გაზაფხულს მოჰყავს ეს მზიური დღე და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს“ (არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს).

გალაკტიონის პოეზიაში ვხვდებით ზემოხსენებული ცნებების თავისებური გააზრების სხვა მაგალითებსაც.

უნაყოფო, უფერულ სულს „გაცვეთილ ხმელ ნერგს“ ადარებს პოეტი: „და სულს ასეთი ფერით ნაქარგავს, თუმც გაცვეთილი ხმელი ნერგია, ჯერ საბოლოოდ არ დაუკარგავს ბოროტი გრძნობა და ენერგია“ (კაცი სათვალეებით).

სხვაგან ბავშვის ზრდაა მზის ნერგი: „და მისი ზრდა მზის ნერგია“.

ამ ცნების ორიგინალური გაგების გამომხატველი ფრაზაა: „ეს ენერგია მილიარდ გატაცების ერთი პირმშო ნერგია“ (თვითეული პოეტი).

ნერგიდან ასეთი ნეოლოგიზმი შექმნა პოეტმა: „ხმები სიმხნევისა არის შენერგია“.

ამ სიმბოლიკის შემოქმედებითი პერიფრაზია შემდეგი სტრიქონები: „ცხოვრების ახალ ყლორტებით თანდათან სიბნელეს ვშორდებით“.

ქარიშხლისაგან გადამსხვრეულ ატმის რტოს სახეს შესანიშნავად იყენებს გალაკტიონი ათეისტური ეპოქის დასახასიათებლად: „ნაპრალებზე გადაიმსხვრა ნერგი, ახლა ზღვაა, ახლა სისხლის დროა, თუ გადარჩი, ხომ გადარჩი კარგი, ატმის რტოო, დაღალულო რტოო“ (ატმის რტოო, დაღალულო რტოო).

რტოს სახეში სიხარულის პერსონიფიკაციის მაგალითია: „ო, მოგონებავ, როგორ გიცდიდა ის სიხარული თეთრი რტოებით“ (თბილისი), სხვა კონტექსტში კი

„თბილის სამოსლით ჰქროდა რტოთა ნათელი“.

რტოსგან შექმნილი ნეოლოგიზმია რტოობა: „აღარ ეტყობათ რტოებს რტოობა“.

„სიცოცხლის ხის“ ანალოგიით არის შექმნილი „მარადი ხე“, რომელიც ულმობელი სინამდვილისაგან განრიდებისა და იდეალთან ოცნებით მიახლოების საშუალებაა. ზამთარ-ზაფხულ ნაყოფით დახუნძლული „მარადი ხე“ სიზმარში უსრულებს მშიერ ბავშვს ნატვრას, ერთხელ სიზმარიც უმტყუნებს პატარას და გაძარცული ხის მოზმანება მასაზრდოებელი ილუზიის გაქრობაზე მიგვანიშნებს, სიცხადეში უპოვარი ბავშვი „სიზმარშიც გაქურდული“ რჩება (პატარა პიერი).

ცნობილია, ხალხური „ნატვრის ხე“ (გიორგი ლეონიძის მიერ გამოყენებული) და „ნატვრის თვალი“, რომელთა ანალოგიურია გალაკტიონის „მარადი ხე“.

„ხე ცნობადისა“ ბიბლიური შინაარსის ღვთაებრივი გონია და, ამავე დროს, სიკვდილიც, რაკი ასე ისჯება ადამიანი მისი ნაყოფის დაუფლებისთვის.

გალაკტიონთან „ხე ცნობადის“ შობის პალმაა, რომელზედაც ადამიანთა გულები, მშვიდობიანი ხალხის სიცოცხლე ჰკიდია, ამიტომ არის იგი „თალხის“, „ცრემლის ხე“ (ქარი არხევდა იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში).

სხვაგან ურთხელის ხეა „ბნელი განაჩენის“ მაცნე: „ტოტმა, რომელიც სიბნელეს ერთვის, დიდი ხანია იმ ხით, ურთხელით, მხოლოდ სიკვდილი იმღერა შენთვის, ბნელ განაჩენით გამოუთქმელით“ (იარე გზაზე, სადაც ნისლია).

„ცნობადის ხის“ ვარიაციაა გალაკტიონის „ცნობადის ნერგი“, რაც მეცნიერებას განასახიერებს: „საქართველო ახალ გზებით და ბაღებით დაიქარგა, მშენებელმა შიგ ცნობადის მშვენიერი ნერგი ჩარგა“ (საქართველო ახალ გზებით).

მეცნიერებაა „რტომრავალი ცნობადის ხე“, რომელსაც სულს უდგამს ახალი დრო: „ხისა ცნობადისა მძლავრის, რტომრავალის სულისჩამდგმელია იგი მომავალი, იგი სხვა გენიის დიდის, აკვანია, ის გზის გამკვლევია, ის წინ წამყვანია“.

ამ ცნების კიდევ ერთი ახალი ნიუანსია „ცნობის ჯადო“ და ეს სიმბოლო პოეტს მიემართება: „გამოვცადე ყველაფერი, რაც კი ძალუძს ცნობის ჯადოს, რაც კი ძალუძს ობოლ ყვავილს ღამის ნისლში გამოსცადოს“ (რომ იცოდე).

ხოლო „ხის წვეთი“, რომელიც პოეტს კურნავს, სიმშვიდეს და სიცოცხლის ხალისს უბრუნებს, ბუნების მაგიური ძალაა (მივდიოდით მე და შენ).

„სიცოცხლის ხე“ გალაკტიონის შემოქმედებაში პოეზიის სიმბოლოდაც გვევლინება.

გალაკტიონის მიერ დარგული „სიმართლის ხე“ პოეზიაა, – ფესვმაგარი, დღეგრძელი, უკვდავების საწინდარი: „ო, ხეო სიმართლისაო, დარგულო ჩემის ხელითა, ერთი რამის ვარ მთხოვნელი – იზარდო მრავალ წელითა, გეცოცხლოს მაგარ ფესვითა, ფესვითა მკვიდრ-ნათელითა, გეცოცხლოს მრავალ მხრებითა, სივრცეზე გადაწვენითა“ (ო, ხეო სიმართლისაო).

შხამზე ძლიერი „სიმართლის ხეც“ პოეზიაა: „მე მეგონა, მე ველოდი და ველოდები, რომ სიმართლის ხეს ვერ მოგრეხს შხამის ტოტები“ (არ გეგონა).

გრიგოლ ნოსელის აზრით, „ყოველი ხე“ ღმერთს მიემართება ღვთისმეტყველებაში, გალაკტიონთან კი – პოეზიას.

ქვეყნიური სამოთხე გალაკტიონის პოეზიაშია, ღვთაებრივი გონი მის არსებაშია და, ბუნებრივია, „ყველა ხე“ ლექსებს შრიალებს, ანუ ღმერთი, რწმენა ასაზრდოებს მის რელიგიურ პოეზიას: „ო, ქვეყნიური სამოთხე, რაკი ზღვა გრიალ-გრიალებს, ნაპირიდან კი რომ-ოთხ-ხე ყველა ხე ლექსებს შრიალებს“ (ო, ქვეყნიურო სამოთხე).

სიცოცხლის ხის სიმბოლოდ მიიჩნევენ ლიბანის ნაძვს (აკაკი ბაქრაძე), ალვას, პალმას, კვიპაროსს (ზვიად გამსახურდია), ვაზს, (ვერა ბარდაველიძე, რევაზ სირაძე).

ლექსში „არა ერთი და ორი“, „ალვა მთვარეს ესალმება“ და „განათების წამში“ იქმნება „მწუხრის წიგნი“.

გალაკტიონის პოეზიაში ხდება „ალვის ხის გადარჩენა“, ღვთაებრივი ცნობიერების მიკვლევა, ალვის ხის სულის ზრდა, მის პოემას ჰქვია „ალვა და სურო“, „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“ აღმართულა ალვა, „ეფემერაში“ კი პოეტს ეზმანება „ზენიტზე მდგარი შორი პალმები“, როგორც ღმერთის სიმბოლო.

გალაკტიონის პოეზია მართლაც მარადიული სიცოცხლის ხეა, ზენიტზე მდგარი პალმაა მთელი ქვეყნიერების დასანახად.

სიმბოლურია და პოეზიას უკავშირდება „სულშეხუთულ ხეთა მეფური, გრიგალისებური ზრდა“ პოემაში „აკაკი წერეთელი“.

გალაკტიონი ამრავალფეროვნებს ამ სიმბოლოს, ზოგჯერ პოეტს ვერხვის ფოთოლთა შრიალში ჩაესმის მუსიკა: „ყოველთვის როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“ (ვერხვები).

ან საკუთარი პირველობის შეგრძნებისას თეატრშიც კი ტირიფების შრიალი იტაცებს: „და ანთებულ თეატრში, სადაც მე ვარ პირველი, ხშირად აშრიალდება ტირიფების მწვერვალი“ (ძველი რვეულიდან).

გალაკტიონის ალვა არის „მზეთუნახავი და მკრთალი სახის“, მისი „ალვა ტანადი“, აზიის ცაზეა“ აღმართული (ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი).

კვიპაროსიც სიცოცხლის, პოეზიის ხის სიმბოლოდ გვევლინება გალაკტიონის ლექსში „ისევ ეფემერა“: „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი შრიალი საიდან არი? ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი“.

„ჰორიზონტიდან ზენიტამდე ალვის მწვერვალებს წაუჩურჩულებს შენსა სახელს ზღვის ნიავქარი და ეს სახელი დასწვავს ზეცის მიბნედილ თვალებს“, – ამბობს პოეტი და მიგვანიშნებს სიყვარულზე, როგორც პოეზიის ხის მასაზრდოებელზე.

მხატვრული სახე: „პალმის ფოთლებში ელვის ჩქერთა გამოქროლება“ ღვთაებრივი გასხივოსნების წუთებში შეიძლებოდა განცდილიყო და დაწერილიყო.

ლექსში „პუშკინი პარიზში“ გალაკტიონი „პალმის ბუჩქის ტოლ და სწორ პოეტს“ უწოდებს საკუთარ თავს.

გალაკტიონის თავისებურებას კარგად გვაგრძნობინებს გამოთქმები: „ჰგავდა საოცარ რითმებს პალმა, ვარდები რგული“ (კაფეში), იდუმალებასთან წილნაყაროობის დასტურია პოეტის ფრთიანი ფრაზა: „მეოცნებე ხის კენწეროები“.

სიცოცხლის და ცნობადის ხის გააზრებაში, ერთი მხრივ, გალაკტიონ ტაბიძე გაჰყვა ტრადიციულ, რელიგიურ გზას, ამასთან, პოეტმა საკუთარი შემოქმედება წარმოგვიდგინა ღვთაებრივი ცნობიერების ნაყოფად, სიცოცხლის ხედ და ამაზე ზეციური ალვის, პალმის, ვერხვის და კვიპაროსის იდუმალი სახეებით მიგვანიშნა.

მეფე-პოეტის შემოქმედების ეროვნულ და საკაცობრიო მნიშვნელობას, მისი პოეზიის მარადიულ ხეს ასე ახასიათებს მიხეილ კვესელავა: „გალაკტიონის პოეზიის ჟამთა ნაყოფის გამომღები ნერგის ძირი ეროვნულია, ქართული, „ნაყოფს“ კი სხვადასხვანაირს ისხამს, მართალია, ჟამთა ის „ნაყოფიც“ ჩვენებურია, მაგრამ მასში მთელი მსოფლიოს უსასრულო გამოცდილებაა ჩადებული და ამიტომაცაა „რაღაც ახალით და ძვირფასით მომჯადოები“ (პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977, გვ. 17).

„იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს“

„მილიონებში ხელისმრეველი“, „მართლა მილიარდელი“ გალაკტიონ ტაბიძის „ოცნების მდიდარ ბაღში“ ყურადღებას იქცევს „დაულეველი ვარდების“ სიმრავლე და სილამაზე (ვარდ-ყვავილთა სიმბოლიკა გალაკტიონის პოეზიაში) (1,138-187).

წინამორბედთა მიღწევების, მათი აზროვნების ლოკალური თუ გლობალური მასშტაბების უცდომელი განჭვრეტის უნარი პოეტს შესაძლებლობას აძლევდა კიდევ უფრო შორს გაეწია ძიების საზღვრები, ბოლომდე ორიგინალური, განუმეორებელი, „სამუდამოდ ბორკილაყრილი“ და „ჯაჭვაწყვეტილი“ ყოფილიყო (ვარდები) (2,537).

პოეტების მეფეს ხელეწიფებოდა ბუნების ყოველი მოვლენა თუ საგანი თავისი რენესანსული პოეზიის სამსახურში ჩაეყენებინა.

გალაკტიონის გენიამ ია თავისი შემოქმედების არსებით პრობლემებს დაუკავშირა და ეს სახე გაიაზრა სოციალურ, ფილოლოსოფიურ, რელიგიურ ასპექტებში.

ორი მილიარდი კაცით სავსე მიწაზე „ზოგან ია-ვარდი, ზოგან ჭინჭარი“ იხილა (ორი მილიარდი) (3,49).

„იაფ ტაშისცემას“, „იაფ, დამჭკნარ,... წამხდარ ყვავილებს“ განრიდებულმა პოეტმა „დალუქული ფოლიანტების“ „ლუქახსნილ რელიქვიათა“ სურნელი განიცადა, როგორც „მძაფრი საშინელება“ (დალუქულ ფოლიანტებთან) (4,279) და თავისი „მრავალი ვარდების მფენი... უხვად ციური სულის“ განუმეორებელი სახეების მუსიკალურ სასწაულებს გვაზიარა (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს) (5,291).

„ამ ვარდობისთვეს ვარდებით ვთვრები, კარგია თრობაო“, გვაუწყა მეტაფორული აზროვნების დიდოსტატმა და ეს სახეები თავის ღრმააზროვან მსოფლმხედველობას დაუკავშირა.

გალაკტიონმა ვერ იგუა ტრაფარეტები, უმიზნო იდილია (ო, ჩემო ჩანგო) (5,264), გენიალური ირონია შეაგება შაბლონურად მოაზროვნე, ვარდბულბულიან ვაიპოეტებს, „ხელოვნური ყვავილების“ ტრუბადურებს, გაემიჯნა თოვლიან იანვარში მაისის ვარდის მომღერალ ბოდოკიებს (პლაკატების კივილი, რა დროს რომანსეროა, 70 წლის პოეტი ქუჩაში მიდის).

„არტისტული ყვავილების“ ჯადოქარმა თვითონ დაიწყო „ყვავილით შემოშენება“

და ამ ბაღნარს „დახავსებული კარები“ კი არა, „ახალი კარები“ დაჰკიდა (თბილისი) (4,167-168), ომში იხილა „ცეცხლის ვარდები“, შეიგრძნო „მიწის სული“, „გემების სული“, „ყვავილთ სული“, ვარდთა სურნელი.

პოეტი ავლენდა მის მიერ მოძიებული ახალი სახეების მარადიულობის რწმენას: „იყვავილებენ ეს ყვავილები წარსულში, ახლა და მომავალში“ (ეჯახება ბორბალს ბორბალი).

ჩვენი ეროვნული პოეზიის „ეგზოტიკური ყვავილის“ უპირველეს დანიშნულებად ესახებოდა ქართული სულის სურნელის მარადისობაში გავრცელება: „ჩვენი პოეზია გვაგონებს იმ ეგზოტიკურ ყვავილს, რომელიც იფეთქებს მიწის გულიდან და გაშ-

ლისთანავე მარადისობაში ფანტავს თავის სურნელებას. ეს სულია ქართული და იგი... გვათრობს“ (პოეზიის დღე) (6,56-58).

ვარდი ყოველი ეპოქის იდეალი იყო.

წარმართულ ქვეყნებში ვარდის სახე სიყვარულს, სილამაზეს უკავშირდებოდა. შუა საუკუნეებმა ყვავილი გადააქცია ასკეტური უმანკოების, ქრისტეს სისხლის, თვით ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლოებად.

ვარდის ქრისტიანული ინტერპრეტაციის ნიმუშია „ღვთაებრივი კომედია“, რომელშიც სამოთხე წარმოდგენილია გიგანტური სიდიდის თეთრ, მისტიკურ ვარდად. მის ფურცლებზე ნეტარებენ წმინდანები, რომელთაც პოეტი „მარადიულ ვარდებს“ უწოდებს (7,347).

„ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი ტარიელს ადარებს იას. იის სახეს იშველებს რუსთაველი ნესტანის მწუხარების დასახასიათებლად: „ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწ ია შეიკონების“.

პოემაში იისფერი მწუხარების, სილურჯის ნიშანია, ავთანდილის გაპარვით შეწუხებულ როსტევანს სახე „იისფერი გაუხდა“.

სულიერი მდგომარეობის გამომხატველი ფრაზაა: „გულსა აგრე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე“ (8,34-35).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ია და ვარდი პოეზიის სიმბოლოებია: „ამად ამ წიგნსა სახელად უწოდე დავითიანი, დავით შევაწყვე, შევკონე, ვით ვარდნი და ვით იანი“ (9,327).

ბესარიონ გაბაშვილის „სევდის ბაღის“ იები და ვარდები ქალური მშვენიერებაა (სევდის ბაღს შეველ) (10,100).

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში იის მთელი ციკლია შექმნილი.

პოეტის ფიქრები „ლაფიან სინამდვილესა ია-ვარდითა ჰფერავენ“ (გულზე წყლულები გამრავლდა) (11,126), შთაგონებამ „სული მოჰფინა ია-ვარდითა“ (საახალწლო სიმღერა) (11,134).

სიყვარული გულში ია-ვარდის მრგველია (სოფლისა წესი ასეა) (12,18-19).

„ფშაველი ჯარისკაცის წერილში“ დედის მკერდის სამკაულია ია-ვარდი (12,200).

ლექსში „ერთხელც იქნება მოვკვდები“ (12,224) ია პოეტის „წაწალია“, „გაზაფხულში“ ია და პოეტი და-ძმად გვეცხადებიან (12,42).

ია „მგოსანია გაზაფხულისა“ (ათასჯერ მოხვედ,იავო) (11,6).

„კოპალაში“ ია თითქოს „ცით ჩამოსული ღმერთია“, იის ტურფა გვირგვინი სიყვარულს ადგას.

„იის მოკლე სიცოცხლე თითქოს ადამიანის წუთისოფლის განმასახიერებელია“ (13,84).

ლექსებში „უნუგეშო ყოფნა“ (11,14) და „იას უთხარით ტურფასა“ (11,88) ია სიცოცხლის სწრაფწარმავლობის სიმბოლოა.

ია-ვარდის მორწყვის სურვილს ავლენს წყარო ლექსში „ანკარა წყარო მთიდანა“ (11,108).

შურის თემას ეხება „ია და ლუსუმა“, რომელშიც იის შურით შეპყრობილი ლუსუმა „გადიადებას“ ვერ ახერხებს (11,117-118).

იას შხამიანი გველი ჩასაფრებია ლექსებში: „ველს რასმე შევხვდი ტურფასა“ და „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ (11,81,122).

ცრემლის ზღვაში ია ამოდის (ღმერთო, ნუ მოჰკლავ პატარას) (11,237).

ზამთრის დასრულების, მგლების გადაშენების, არწივ-შევარდენთა მოვლინების, იის ამოსვლის ნუგეშ-მოლოდინია ლექსში „გული“ (12,293).

ვაჟა-ფშაველას „ბუჩქებით და ეკლებით დაჩრდილული“ ია „დაჩაგრულ სიმართლეს“ აგონებდა (სად არის პოეზია?)

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ხოგაის მინდია“ (14,321) ია დარდისგან დაზაფრულის წამალია, ხურვებისგან შეპყრობილის ოფლის მომდენი.

გალაკტიონ ტაბიძე იცნობდა „შუა საუკუნეების მისტიურ იებს“ (პარიზი), „იის ზეცას“ (ქროდნენ სიონი) (15,317), მისი პოეზია „ვარდთა ვარდობის, იათ იობის“ ზღვა გრძნობის დამტევი იყო (წიგნები ხალხს) (15,322).

„ათასის მხედველობით, „ასი ათასის სმენით“ მომადლებულმა პოეტმა შექმნა როგორც ხედვითი, ისე სიმბოლურ-მეტაფორული სახეები.

ცაში, ღრუბლებისა და მთვარის შეხვედრის ფონზე განჭვრიტა „იების ღვარი“ (სიკვდილი მთვარისაგან) (5,81).

ეროვნულ შემოგარენში დალანდა ზეციდან მომავალი „იებზე უულურჯესი“ ფერი (ვით არ მიყვარდეს) (2,692).

„მთების სიიავემ“ საღვთო ნიავის – სულიწმინდის მოვლინება ამცნო (ის ერთი შეხება ნიავის) (2,783).

როცა მამულში „ბუნება იით შეიმოსა, ვარდით დაიქუბა“, „მშვენიერ ოცნებიანი იებით“ აევსო სული, უბე და კალთა...

„იიან-ვარდებიანი გზებით“ იარა, მზესთან ერთად, „ორნამენტად“ ეფინა იები და ვარდები, იისფერი ემოსა, ულტრაიისფერ სხივებს ხედავდა (შეხვედრა მთაში, ულტრაიისფერ სხივებით მთებზე) (16,278,449).

იისფერი ხილვები აემგზავრა. მის ლექსებში თვალი იისფერია, დღე იისფერია, თოვლი იისფერია, ჰავა იისფერია, გზა იისფერია, ზეცა იისფერია, ტალღა იისფერია, მკვდარი თევზი მჭკნარი იისფერია (შდრ. არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდის“ „იისფერი სამანი, იისფერი ნისლი“ (17,78).

„არტისტული ყვავილების“ ავტორის შემოქმედებაში გამორჩეულია რელიგიური შინაარსის იები.

ია მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

ვახტანგ VI პოემა „სატრფიალონის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „უბიწოებით შემკული ია“ (18,45).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში შემოქმედებითად გრძელდება ეს ტრადიცია.

„სიმბოლისტების აზრს იმის შესახებ, რომ სიტყვა არის რთული ესთეტიკური ფენომენი, რომელიც აერთიანებს მუსიკალურ ელემენტს და ფერს, გალაკტიონი ითავისებს და „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს“.

„ფერზე ყურადღების გამახვილება და ლექსის მთავარ კომპონენტად მისი გადაქცევა მეოცე საუკუკნის ქართული პოეზიაში ქართველი სიმბოლისტი პოეტების დამსახურებად შეიძლება ჩავთვალოთ“ (ლია სტურუა, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს“ (19,111).

იისფერი სინანულისა და მონანიების ნიშანია (იქვე).

გალაკტიონ ტაბიძის მრავალი ლექსის ია რელიგიური ქვეტექსტების შემცველია.

ათეისტური ეპოქა აიძულებდა პოეტს, წარსულში ეძებნა რწმენის იდეალი: „წარსულმა ღამემ შენს ფანჯარაში დათოვა თოვლი ია-ზამბახის (ავდრის მოლოდინი) (15,84).

ამავე ლექსში ფიგურირებს „ალვა... მზეთუნახავი და მკრთალი სახის“.

ამ სახის იდენტური, ანალოგიური შინაარსის მატარებელი სახეა „დედოფალი ალვა“ ლექსში „საღამო“.

„მზეთუნახავი ალვა“ და „დედოფალი ალვა“ ჩვენი ზეციური დედის მეტაფორული სახელებია (20,18-23) და შემთხვევითი არ არის ამ კონტექსტში იის ხსენება.

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ დასმულია მრავალმნიშვნელოვანი და გზამკვლევი კითხვა: „გაიგეს განა ბედით ჩაგრული ყოფნით რაგვარად მტკიოდა გული? ის სილაჟვარდე, ის ია-ვარდი, თუნდაც ის დარდი და სიყვარული?“ (21,904).

ყოფნა, ცხოვრება არის საღვთო სახელი: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (22,211).

„ცხოვრების“, „ყოფნის“ მარადიულობის რწმენაა ლექსში „ცისფერი“: „...დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს“ (2,305).

„ბედით ჩაგრული ყოფნა“ უნდა ნიშნავდეს ღმერთისუარმყოფელ ეპოქას, რაც პოეტის გულისტკივილს იწვევდა.

„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ (4,125) პოეტის მორწმუნეობას უსვამს ხაზს იისა და ცვრის სიმბოლური სახეებით: „...ჩემი თვალები, წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, ღამენათევი და ნამთვრალევი სავსეა ცრემლთა შურისძიებით“.

ჩვენი აზრით, ლექსის ია მარიამ ღვთისმშობლის, ცვარი კი ქრისტეს მეტაფორაა.

მივმართოთ ბიბლიას: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი 14,3) (23,273).

„სილაჟვარდე“ „ცანი ცათანის“ (უმაღლესი ცის, ღმერთის) იდენტურია, ვარდი, ყვავილი ქრისტეს სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2,12) (23,15).

„მშვიდობის წიგნში“, როგორც ვნახეთ, პოეტი წუხდა, რომ მისმა თანამედროვეებმა ვერ გაიგეს პოემის ავტორის გულისტკივილის ობიექტები: „ყოფნა, სილაჟვარდე, ია-ვარდი, სიყვარული“.

ახალ აღთქმაში „ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 4,8) (22,320).

ზემოთდამოწმებული სტროფი ქვეტექსტებით მიგვანიშნებს მასში ნაგულისხმევ პრობლემაზე, ანუ რწმენის იგნორირებაზე და პოეტს ეეჭვება, ათეისტური ეპოქის მიერ მისი უმთავრესი სატკივრის გათავისება.

ამავე პოემაში საუბარია ველში ხილული ია-ვარდებსა და სილაჟვარდის ტვირთზე: „...ველნი...გაფანტავს დარდებს, იმ ია-ვარდებს და სილაჟვარდეს ტვირთად დაგადებს“ (21,105).

„ველი“ საინფორმაციო ველია, ია-ვარდები და სილაჟვარდე მიმანიშნებელია დედა-ძესა და უმაღლეს ცაზე.

პოეტს ეიმედებოდა ნუგეშისმომცემი ხილვა.

„მშვიდობის წიგნი“ ჩვენი ქვეყნის მიერ საბჭოთა იმპერიის ხუნდებქვეშ განცდილი კატაკლიზმების შეჯამებაა, ამასთან ნათელმხილველი პოეტის წინასწარმეტყველება სამშობლოს გადარჩენისა და რწმენისკენ მიბრუნების შესახებ.

პოემის ია-ვარდებისა და „სილაჟვარდის“ „ტვირთი“ რწმენის ტვირთია.

„მშვიდობის წიგნში“ მოვლენები ზღაპრულ ელფერში განგებ გახვია პოეტმა, უწოდა მას ლეგენდა. სინამდვილეში ათეისტური ეპოქის ტრაგედიებზე, ეროვნულ-პოლიტიკურ და რელიგიურ პრობლემაზე გააკეთა აქცენტი.

თავისუფლებადაკარგულ, ოკუპირებულ საქართველოში იდევნებოდა რწმენა, ანუ პოეტის მიგნებული მეტაფორით, გადაშენებული იყო ია-ვარდები: „ვის რად ენება გადაშენება იათ და ვარდთა?“ (21,242)

ჩვენი ქვეყნის უბედურება, ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა არა მხოლოდ მეოცე საუკუნეში და ჩრდილოელი მეზობლისგან ხორციელდებოდა, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე ია-ვარდს ეკლები ენაცვლებოდა: „ქართლის ცხოვრება მძიმეა, ეკლიანია სავალი, ცოტაა ია და ვარდი, დაბრკოლება კი მრავალი“.

„ეს ლექსი საქართველოზე დაწერილ ბევრ კარგ ლექსს გადასწონის“, აღნიშნავს მიხეილ ქვრივიძე (ფიქრები, ფიქრები) (24,99).

გალაკტიონის პოეზიაში საუბარია „სხვაგვარ იის და ვარდის“ კრეფაზე (ოცნება აჭარისწყალთან) (2,77).

პოეტს აინტერესებდა „მუდმივი გაზაფხულის“, „ზამთარშიაც მოყვავილე, მთვარით ნასამაიები“ ვარდი და იები, „მშვენიეროცნებიანი იანი“ (აკაკი წერეთელი) (21,120,141), აწუხებდა იანვრის თოვლით დამჭკნარი სულის იები (სამრეკლო უდაბნოში).

„მუდმივი გაზაფხული“, ძველი ქართულით „ზაფხული“, საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65,12) (22,588).

გალაკტიონის იდეალი იყო „სამუდამო იები“. „მაისის თვალებით“ მთვრალი, „მზით სავსე“ პოეტი მიესალმებოდა სიოს ძალისხმევით აფეთქებულ იებს, სიყვარულს, სითბოს და პატიებას რომ შთააგონებდა: „ისევ მაისის მათრობს თვალები, ისევ სავსე მზით და ვნებებით, გაჩნდნენ ნათელი თებერვალები, ეხლა მცხოვრებნი მოგონებებით. მათში აფეთქდა სიოს სისინი და სამუდამოდ ატყდა იებად, ო, გაუმარჯოს, გრძნობენ ისინი სიყვარულს, სითბოს და პატიებას“ (ისევ მაისის მათრობს თვალები) (15,238).

მზე და თვალი საღმრთო სიმბოლოებია.

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (22,614).

ღმერთი არის „ყოვლისმხილველი თვალი“, „ცხოვრების თვალი“ (იოანე დამასკელი) (26,342).

მარიამ ღვთისმშობელი მოიხსენება, როგორც „ცხოვრების თვალის მშობელი“ (27,535).

„უფლის თვალი არის ათასჯერ ნათელი მზეზე. ის ყველა ადამიანის გზას ჭვრეტს და დაფარულ ადგილებშიც აღწევს“ (სიბრძნე ზირაქისა, 23,19) (23,59).

ღმერთი არის „ღია თვალი“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19) (23,554).

„ღმერთის თვალები განჭვრეტენ სწრაფად“ (ფს. 16) (17,2) (23,554).

„ღვთაებრივ კომედიაში“ ფიქსირდება „ზეარსებათა მარადიული თვალები“ (28,28).

გალაკტიონის ზემოხსენებული ლექსის „მაისის თვალი“ იგივე გაზაფხულის, ანუ ღმერთის თვალია.

„სამუდამო ია“ მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა.

სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით ხდება ქრისტიანულ ზნეობაზე მინიშნება

ლექსში „დღეთა კარებთან“: „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით, ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები, ცა მემუქრება ჭექა-ქუხილით, მე დამუნჯებით ცას ვემუქრები. ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები, ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით, მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები, რომ მოვა ჩემთან მონანიებით“ (4,27).

ხანჯლები ძალმომრეობის, ია ქრისტიანული სათნოების სიმბოლოა, ლექსის მიხედვით, ცოდვილი სულის განწმენდა მხოლოდ მონანიებით მიიღწევა.

ლექსში „მზის ამოსვლა ზღვაზე“ (4,387), „ოცნების ნავზე“ ია-ვარდის გამოცოცხლება და „სიხარულის“ ქროლვა შეინიშნება: „კვლავ გამოცოცხლდა ია-ვარდი ოცნების ნავზე, ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით“.

ვფიქრობთ, აქაც ეს სახე მარიამ ღვთისმშობელს გულისხმობს.

ვარდი და სიხარული ქრისტიანული სახელებია.

მივმართოთ სახარებას: „აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება“ (ლუკა, 2,10) (22,113).

ქრისტე სიყვარულის, სიკეთის, პატიების, მტრის შენდობის მქადაგებელი ღმერთია: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევარი, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით“ (მათე, 6,44) (22,10).

საღვთო მორალი ასე ორიგინალურად იქადაგა გალაკტიონმა ლექსში: „ხომ გინახავს გაჭირვება?“ „... პირფერობამ ქვეყნის გული გადასუსხა, ბევრს არ ძალუძს, მტერს კი მუდამ იის წყალი უნდა უსხა“ (29,411).

„ვეფხისტყაოსანში“ ფარსადანმა ნესტანისთვის გააშენა ვარდის ბაღი ვარდის წყლისთვის.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ ლელა ბაჩლელი მოხსენებულია, როგორც „ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი“.

გალაკტიონის იის წყალი ქრისტიანული სიმბოლოა, რომელსაც წყარო არ ეძებნება.

ბიბლიაში ღმერთი არის „ცხოველმყოფელი წყაროსთვალი“ (იერემია წინასწარმეტყველი, 17,13) (23,141), „სიცოცხლის წყალი“ (ზაქარია წინასწარმეტყველი, 14,8) (23,304), „წყარო ცხოვრებისა“ (ფს. 35,10) (22,558), „ცოცხალი წყალი“ (იოანეს სახარება, 4,10) (22,183).

მთელი ციკლი გალაკტიონის დამჭკნარი და გადაშენებული იებისა უღმერთობაზე მიმანიშნებელია, როგორც კუბოში მოქცეული ია და ცა (პირიმზე) (4,146).

ლექსში „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ ია და მარიამ ღვთისმშობელი ერთდროულად იხსენიება, ოღონდ სიმბოლური ფერმით: „... გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი! ოცნება! შენ წარსულს ვედრებით შესძახებ, რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი ვუალის, ვიოლეს და სხვების შესახებ“.

ვიოლე (ფრანგ.) არის ია, ვუალი – მანდილი, საფარველი, რაც მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა. ე.ი. ლექსის ერთ სიბრტეზეა ია (მარიამი) და ვუალი (საფარველი), ანუ იისა და ვუალის (მანდილის), სახეში მოაზრებულია ჩვენი ზეციური დედა (29,66-75).

ასევე, „პარალელში“ „დამჭკნარ იასთან“ შემთხვევით როდია ასოცირებული „ავე მარია“ (4,175).

გალაკტიონის პოეზიაში ყურადღებას იქცევს სულის იის სახე (სამრეკლო უდაბ-

ნოში) (2,83).

ლექსში, იანვრის თოვლით დამჭკნარი იების პარალელურად, წუხილია ცოდვილ ხელებზე, დაფარულ ცოდვებსა და ღალატზე, წუხილია ბეჭდების თვლებზე, შიშველ ყვავილზე: „... იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს. და ჩემი სული, როგორც სამრეკლო, წუხს: ცოდვილ ხელებს, დაფარულ ცოდვებს, დამალულ ღალატს, ნაზი ფრჩხილების თეთრ ზამბახებს, სწუხს სხვაგვარ ცრემლებს, თეთრ ბეჭდების თვლებს – შაშველს, თეთრ ყვავილს. სწუხს ჩემი სული, ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“.

სულის იების ჭკნობა, ანუ ჩვენი ზეციური დედის უარყოფა შედეგია „დაფარული, ცოდვების, დამალული ღალატის“.

ანალოგიური შინაარსია „შიშველი, თეთრი ყვავილის“ სახეში, რაც დამდაბლებულ, იგნორირებულ რწმენაზე მიგვანიშნებს. ყვავილი ხომ საღმრთო სახელია ბიბლიაში (სოლომონის ქებათა ქება, 2,12) (23,15).

ლექსის ავტორის წუხილის მიზეზია „ნაზი ფრჩხილების გრძელი ზამბახები“.

ზამბახი, ზამბახის კალათი, ზამბახის პრინცესა საღვთისმშობლო სახელად მიგვაჩნია (29,13-18).

ლირიკული გმირი ასევე წუხს „თეთრ ბეჭდების თვლებს“.

ბეჭედი, ზეცის ბეჭედი მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა (30,43).

ბეჭდის თვალი, საერთოდ თვალი ქრისტეზე მიმანიშნებელია.

იკვეთება პოეტის წუხილის ადრესატები: უარყოფილი დედა-ძე, ქრისტიანული რწმენა.

„დამალული ღალატის, დაფარული ცოდვების“ დიდოსტატია თოვლიან-ყინულიანი მონსტრი და მისი სატანური იდეოლოგია, რომელიც წამლავდა, ამცირებდა, აჭკნობდა ჩვენი სულის ია-ვარდს – რწმენას.

გალაკტიონის ერთ-ერთი გამორჩეული სახეა „იისფერი თოვლი“ ლექსიდან „თოვლი“, რომელშიც თოვლში დაცემული ზამბახები და „იისფერი თოვლის“ „მწუხარე სიყვარულია“ აქცენტირებული.

პოეტების მეფეს ტოტალური თოვლის, „შავი თოვლის“ „საუკუნეთა თოვლის“, „არაწმინდა თოვლის“, „მწუხარე თოვლის“, ყინვისა და ზამთრის აქცენტირებით მრავალგზის შეფარვით მიუნიშნებია ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ სატკივრებზე (32,259-274).

„თოვლის“ „იისფერი თოვლი“ ასოცირებულია „ქალწულთან“, „ხიდთან“, „მანდილთან“ ანუ საღვთისმშობლო სახელებთან.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის „ქალწულებისა და შობის შემაუღლებელი“, „ზღუდე... ქალწულთა“, „ძეგლი ქალწულებისა“.

მარიამი არის ასევე „ხიდი წიაღმყვანებელი“ (32,11-12). „მანდილი, საფარველი“ აღიარებული საღვთისმშობლო სახელია.

„იისფერი თოვლი“ არის მარიამ ღვთისმშობელზე მიმანიშნებელი მეტაფორა, როგორც „თოვლის მადონა“ ლექსიდან „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემას სხვაგვარი ხერხებით აშუქებს მრავალთემიანი ლექსი „გზაში“ (2,425-426).

ცოდვებით, ცოფით, სინდისის უარყოფით დაღდასმული ჯოჯოხეთური ეპოქა მისგან გაქცევის, „ყრუ ადგილს“ დასახლების სურვილს ბადებდა.

საღვთო ცეცხლის ჩაქრობამ ანუ ღმერთის დავიწყებამ უმიზნო გახადა არსებო-

ბა: „არ დაბრუნდება ამ მხარეს ცეცხლი, წარსულთა დღეთა სხვანაირ მხარის, ეხლა უმიზნოდ მიდის სიცოცხლე და დაბრუნება მაინც მიხარის“.

გალაკტიონის „უჩინარი ცეცხლი, ფარული ცეცხლი, წმინდა ცეცხლი, მწარე ალი, ზეციური ცეცხლი“ ბიბლიური საღვთო ცეცხლის ვარიაციაა (33,24-32).

„ძველებური არყების“ შრიალი „სხვა ცხოვრებისთვის“ აღვიძებს სულს, ცხოვრება კი საღვთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (22,211).

„სულის სიბერის“ მკურნავად, „არაამქვეყნიურ უზუნდარასთან“ ზიარების სტიმულად ცხადდება მერის აჩრდილი: „და ერთადერთი ნაზი დარაჯი გადიფრენს თვალწინ აჩრდილი მერის. არაამქვეყნიურ უზუნდარაში გაიყოლიებს სულის სიბერეს“.

ქალწული მერის სახელი ცისფერს და მწუხარებას უკავშირდება: „აქ მრავალია ცისფერი ფერი! ეს ფერი მარად თვალს ეყვარება, როგორც ქალწულის სახელი – მერი არის ცისფერი და მწუხარება“.

„ქალწული“ მარიამ ღვთისმშობლის სახელია (32,12).

ლექსში მთები, სერები, ტბის ტალღები ცისფერი სამოსელით ელვარებს...

სული კი უხმობს იას, იისფერ სიტყვებს, „ცისფერ სიტყვას“. „უჩინარ ტყვეს“ – სასურველ სახეებს: „სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს, ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“.

ია საღვთისმშობლო სახელია. რას ეძებს პოეტი იისთვის? რას ნიშნავს „იისფერი სიტყვა?“ ან „ცისფერ სიტყვით“ „ციაგების ძიება“?

სიტყვა საღმრთო სიმბოლოა: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანეს სახარება, 1,1) (22,176).

„სიტყვას“ გალაკტიონმა „ცისფერი“ და „იისფერი“ მიუსადაგა ეპითეტებად, როგორც სულს (ღმერთს) „წმინდა, საბედნიერო“. „წმინდა სული“ (მშვიდობის წიგნი), „საბედნიერო სული“ (მზეო თიბათვისა), როგორც საღვთო შინაარსის ცეცხლს „უჩინარი“, „ფარული“, „წმინდა“.

ვფიქრობთ „იისფერი სიტყვა“ გალაკტიონის ორიგინალური ეპითეტით გაჟღერებული საღმრთო სახელია და იისა და „იისფერი სიტყვების“ ძიება დედა-ძის ძიებაა, როგორც მთელ მის პოეზიაში.

თუ „ცისფერი სიტყვა“ ღმერთის სახელია, ციაგი „მზის სხივი“ – ღმერთი, წმინდა სულების სავანე უნდა იყოს, ანუ ღმერთის რწმენით მარადიულ ცაში ამაღლების სურვილი.

„ციაგი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მზის სხივი“.

მზე და სხივიც საღმრთო სახელებია.

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (22,614).

„ხალხები მოავლენს შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“ (ესაია წინასწარმეტყველი, 60,13) (23,118).

ე.ი. პოეტი ლექსში ძე ღმერთის საშუალებით მამაღმერთს, მის ცას ეძებს.

„გზაში“ გალაკტიონისთვის მახლობელი თემის ორიგინალური გააზრების ნიმუშია, რომელშიც მონაცვლეობენ: მერი, ია, ქალწული, იისფერი სიტყვა და ცისფერი სიტყვა.

„პარალელში“ ასოცირებულია „ია“ და „ავე მარია“: „სულ სხვაა მძლავრი გუგუნი

ზარის და მზის სხივებზე დამჭკნარი ია, დემონი იჭვით სავსე მხატვარის და სეგანტინის „ავე მარია“ (4,155) .

გალაკტიონისთვის დამახასიათებელი იყო ერთი და იგივე არსების მოხსენიება სიმბოლური თუ რეალური სახელებით, ხშირად ერთსა და იმავე ლექსსა და ერთ სტროფშიც კი.

საგულისხმოა იის, მერის, ქალწულის ასოცირების ფაქტი ლექსის მიხედვით „გზაში“. აქვე ანალოგიური შინაარსის სახელებია – „იისფერი სიტყვა“ და „ცისფერი სიტყვა“.

ინესა მერაბიშვილი ბრძანებს: „მსოფლიო პოეზიაში ასახული მრავალი მერისგან განსხვავებით, იქნება ეს ბაირონის, შელლის, პუშკინის, ლერმონტოვისა თუ ბლოკის მერი, გალაკტიონთან მერი ღვთისმშობლის კატეგორიაშია აყვანილი...

„...შეიძლება ამგვარ ხედვას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ინგლისურ ენაში, რომელზედაც იშვა ხატება ბაირონისეული მერისა, Mary – მარიამია ღვთისმშობლის სახელი“ (ბაირონიდან გალაკტიონამდე, ანუ ვინ იყო გალაკტიონის მერი) (34,4).

მკვლევარი ასკვნის: „მერის“ პოეტური სახე საკუთრივ ბაირონისა და ევროპული მერის გავლენით წარმოიქმნა, მაგრამ გალაკტიონის პოეტურ და სულიერ სამყაროში ის აუცილებლად უნიკალურ შინაარსს იძენს“ (35,221).

გალაკტიონის პოეზიაში, ერთი მხრივ, არსებობს რეალური მერის ციკლი, რომლის ადრესატი ყოფილა მერი შერვაშიძე, პოეტი აცხადებდა, რომ ამ პიროვნებას ცხოვრებაში არ იცნობდა, მაგრამ მხატვრულ სახეს „იდეალური ქალის“ სიმბოლოდ მიიჩნევდა (36,239-240). თუმცა არ უარყოფდა, რომ „ალბათ არსებობდა, იყო ასეთი ქალიო“ (37,75).

ქართველი პოეტი ბლოკის „მერის“ „სიმბოლურ“ ლექსად აცხადებდა, საკუთრივ თავისას „რომანტიკულად“, „დამოუკიდებელ“ ნაწარმოებად და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა იმ კრიტიკოსებს, რომელთაც სურდათ გაებათ „არარსებული კავშირი“ ამ ორ პოეტს შორის (37,351).

გალაკტიონის მერის სახელთან დაკავშირებულ ლეგენდებში აღსანიშნავია საქართველოს სახალხო მხატვრის – ლადო გუდიაშვილის მოგონება, თითქოს პოეტმა მას მერის ადრესატთან დაკავშირებული საიდუმლო გაანდო და ამ ულამაზესი ბანოვანის პორტრეტის დახატვა სთხოვა თვით გალაკტიონმა.

ამ საკითხზე ცნობისმოყვარეობით ატანილთ გალაკტიონი თავისი ერთი ლექსის სტრიქონებით პასუხობდა: „...დავუბრუნდეთ! უნდობარ სულს თითქოს კარი დარაზოდეს, მე არ გკითხავ მაინც წარსულს, ნურც შენ მკითხავ ნურასოდეს“ (აქეთ ნუში, იქეთ ნუში) (4,242).

შემთხვევითი როდია პოეტის მიერ ზეცაზე აჭრილ ნათლის მფენ მნათობთა შორის მერის (მარიამის) მოხსენება კაშკაშა ვარსკვლავად (ცხედართა გროვა) (16,162).

ათეიზმის ზეობის ჟამს ბრძენი პოეტი გზა-კვალს ურევდა სატანისტურ ხელისუფლებას, ბეც კრიტიკოსებს და ღვთისმშობელს არა მარიამად, არამედ მერის და მადონას სახელებით მოიხსენიებდა.

ურწმუნო ეპოქის ტრაგედიებით შეძრწუნებული პოეტი გმობდა ტირანიას, მაგრამ არ წყვეტდა კავშირს უზენაეს ძალებთან, მთელი ძალისხმევით ეძებდა იას, მერის, ქალწულ მარიამს, როგორც ქრისტეს – „იისფერ სიტყვას“, „ცისფერ სიტყვას“ და რწმენით სურდა „ცათა ცაში“, მარადიული მზის სხივების სავანეში, უკვდავთა

მხარეში დამკვიდრება.

ლექსში „დაფნა“ (4,42) გვხვდება ორიგინალური ფრაზა და ნეოლოგიზმი „მოაიავებს“: „და ოცნება მოგონებას იით მოაიავებს“.

აღნიშნულია, რომ „მოაიავე“ „გააკეთილშობილე“, „გაალამაზე“, „გაამშვენიერეს“ სინონიმია (ვიქტორ გაბესკირია „იები“) (38,28).

პოეტის „ოცნების ნავზე“ „ია“-„ვარდი“ და „სიხარული“ მკვიდრობდა.

იის გამოყენებით შექმნილი ნეოლოგიზმებია: სიიავე, მონაიავები, მოაიავებს, იობა.

ლიტერატურა

1. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლოკა, თბ. 1993
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, თ.2,თბ. 1993
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 5, თბ. 1995
7. გიორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ. 1958
8. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, ბიუენოს აირეს, 1954
9. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, თბ. 1964
10. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ. 1980
11. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 3, თბ. 2011
12. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 2,თბ. 2011
13. თამაზ ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ. 1983
14. კონსტანტინე გამსახურდია ექვს ტომად, ტ. 6, თბ. 2012
15. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
16. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად ტ. 3, თბ. 1994
17. ფრანგული პოეზია, თარგმანი გივი გეგეჭკორის, თბ. 1984
18. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ. 1984
19. „ცისკარი“, 1984
20. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009
21. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 11,თბ. 1975
22. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
23. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
24. „ცისკარი“, 1984,№1
25. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
26. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა თბ. 2000
27. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ელ. მეტრეველის გამოკვლევითა და რედაქციით, თბ. 1971
28. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
29. ლუარა სორდია, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, თბ. 2011
30. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
31. საპატრიარქოს უწყებანი, 2009, №12, 3-9 აპრილი

32. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009
33. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ. 1993
34. „ლიტერატურული საქართველო“, 1993, 7 იანვარი
35. ინესა მერაბიშვილი, გალაკტიონის ენიგმები, თბ. 2003
36. გიორგი ჩიქობავა, გალაკტიონის ახლო, თბ. 1966
37. გალაკტიონ ტაბიძე, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 12,თბ. 1975
38. ვიქტორ გაბესკირია, წერილები, თბ. 1989

დღე გაფითრდა იაგუნდის

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში იაგუნდისა და ლალის სახეები ერთნაირი მნიშვნელობით და ერთმანეთის გვერდზე გაიაზრება.

იაგუნდი არის თვალი პატიოსანი

„აღრალების ქვაში, კერძოდ, სპეკალში მოიაზრება ალმასი, იაგუნდი, ლალი და მისთანა ქვები“(1,79,319).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორად დაფიქსირებულია „უსასყიდლო მარგალიტი, ძვირფასი თვალი, ანთრაკ-ალმას-საფირონი, იაგუნდი, ლალი“ (2,88).

ერთ შემთხვევაში გალაკტიონი სიტყვებს ადარებს ძვირფას ქვებს: „არის სიტყვები – ალმასები, იაგუნდები, ლალები, არიან სიტყვები, რომლებიც ბრწყინავენ ფოსფორივით“ (3,77).

„ეფემერაში“ (9,118) პოეტი ბედისწერის განჩინებით აგებს პოეზიის ქალაქს – „ახალი ლალის კართაგენს“: „...ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“.

წინაპრებთან გულით დაკავშირებული პოეტისთვის „ძველი ემბლემის“ სახელია ლალი: „წინაპარის ცრემლები გულზე ხშირად გვედინა, გულმა ძველი ემბლემა ლალით მოაჭედინა“ (წინაპარის ცრემლები) (5,465).

ლექსში „მაინც დავიმსახურე“ (5,203): „გზებს სიმებად ეფინება ლალთა ცეცხლი, საყურე“.

ზღვის ტალღების ყურებისას პოეტს ეზმანება ძვირფასი ქვების ელვარება: „... ოქრო ნანთები დასძრა შუქურამ და აელვარდა შენს ირგვლივ ქაფზე ათასი ალი, ათასი ლალი და უმძიმესი ბრილიანტები“ (შენ გვიანდები) (5,121).

სასძლოს „ალმასებია“ ლექსში „ალვები თოვლში“. „სძალი“ ღვთისმშობლის სახელია: „ბაღი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება სოლომონისა) (4,12) (6,16).

„ალმას საყურეთა ელვარე საღამოა“ ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ (5,129).

პოეტის სურვილია, ახალგაზრდების ცხოვრების დღეები ლალ-იაგუნდთან იყოს მიმსგავსებული: „ახალგაზრდობას ლალ-იაგუნდად უჩნდეს დღე, თვენი“

ძალზე ხშირად ეს სახეები რელიგიურ ჭრილში გვევლინება.

„ყვავილების ქალი“ (4,109) რელიგიური ლექსია. მისი ლირიკული პერსონაჟი არის „ყვავილების ქალი“, ანუ ჩვენი ზეციური დედა, რომელიც წუხს დამარხულ იმედზე, გამქრალ რწმენაზე, ჩამქრალ ალზე.

ჩამავალ მზესთან მოზმანებული ყვავილების ქალი ასოცირებულია იაგუნდთან, ლალთან: „როგორც საღამო მკრთალი, დგას ყვავილების ქალი, ელავს ჩამავალ მზეში იაგუნდი და ლალი“.

ჩამქრალა ოდესმე „მთვრალი ალი“, ანუ ცეცხლი, ყვავილების ქალი წუხს უარყოფილ, დასამარებულ რწმენაზე, დამარხულ იმედზე. სამარეთა წყება, სასაფლაოთა კვალია რეალობაში: „აი ოდესმე მთვრალი – ეხლა ჩამქრალი ალი, აქ განისვენებს რწმენა, წუხს ყვავილების ქალი... ხედავს დამარხულ იმედს და ებინდება თვალი“.

იმედი საღვთო სახელია. დამარხული იმედის, უარყოფილი რწმენის გამოტირებაა ლექსი.

ლექსში „Voiles“ (4,80) ასოცირებულია საიდუმლო ალები, საიდუმლო ცეცხლი, მფარველი საყვარელი თვალები და იაგუნდი, ლალები: „საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების, სადაც რომ იმალება იაგუნდი, ლალები. საიდუმლო მღერალი, კიდევ მრავალფერ ალით, ასეთია მფარველი – საყვარელი თვალები“.

ალი, ცეცხლი საღვთო სახელია ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში.

თვალიც უფლის მეტაფორაა.

ღმერთი არის ყოვლისმჭვრეტელი „ღია თვალი“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19) (6,156).

„უფლის თვალი ათასჯერ ნათელია მზეზე. ადამიანის ყველა გზას ჭვრეტს და დაფარულ ადგილებშიც აღწევს“ (სიბრძნე ზირაქისა, 23,19) (6,59).

გალაკტიონის ლექსში მერე ისევ „საიდუმლო ალები“, სულის წვალება, ლურჯი მწვერვალები, ვარსკვლავებით წირვა-ლოცვა და „პირველი ტრფობა“ იხსენიება: „საიდუმლო ალები! ისევ მომეძალება უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები. ვარსკვლავებით მწირველი, ლოცვა – გასაკვირველი, ასეთია პირველი ტრფობის ინტერვალები“.

ვარსკვლავი საღვთო სახელია: „... მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისა და ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“, ამბობს ქრისტე იოანე მოციქულის გამოცხადებაში (22,16) (7,521).

ღმერთი ასევე არის პირველი ტრფობა, პირველი სიყვარული.

ქრისტემ ეფესოს ეკლესიის ანგელოზს მისწერა: „... შენ საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 2,4) (7,492).

ლექსში იხსენება სერაფიმივით ფაქიზი არსება, პოეტს რომ რაინდობისთვის აგულიანებს, ისევ საიდუმლო ალები და შორეულთა ალერსია პოეტის იდეალი: „... სერაფიმთა ბაგეზე უნაზესი, ფაქიზი – რაინდობად მაქეზებ შორით უმხურვალესი. საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების, სადაც რომ იმალება შორეულთა ალერსი“.

წარსულის ოცნება ქარში ჩამქრალ შანდალს მიაგავს, მანდილი თებერვლის ქროლვას მინებებია, პოეტის სულში კი ისევ ანთია „საიდუმლო ალები“, მისი ვალია წამებაშიც უერთგულოს ამ მარადიულ ცეცხლს, ლურჯ მწვერვალებს: „ქრება ქარში შანდალი (ოცნება შარშანდელი), და თამაშში მანდილის ქრიან თებერვალები. საიდუმლო ალები! ისევ დამევალება უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები“ (Voiles).

ლამპარი, შანდალი საღვთისმშობლო სიმბოლოა (2,124), ქარის მიერ მისი ქრობა

სატანური ხელისუფლების მიერ რწმენის უარყოფას მოასწავებს.

მანდილს თებერვალი ემუქრება, ანუ გასაბჭოების 1921 წლის 25 თებერვალი.

მანდილი, საფარველი ჩვენი ზეციური დედის სახელია: „გიხაროდენ, სოფლისა საფარვუელო უვრცელესო ღრუბელთაო“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა) (8,11).

ქრისტესთან, მარიამ ღვთისმშობელთან თებერვლის ხსენება შემთხვევით რომ-დია, რადგან სწორედ 1921 წლის 25 თებერვალი იყო სატანისტური ბოლშევიზმის, ქრისტიანულ რწმენასთან დაუნდობელი ბრძოლის ტრიუმფი.

ასევე, ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებს წარმოაჩენს გალაკტიონის ლექსი „დღე გაფითრდა იაგუნდის“ (4,410).

ურწმუნოების ღრუბელი იაგუნდის დღის ელვარებას აბნელებს და დიდ გულს დაღუპვას უქადის: „დღე გაფითრდა იაგუნდის, დგას ღრუბლების ჯგუფები. რა-გინდ დიდი გული გქონდეს, მაინც დაიღუპები“.

პოეტს მცხეთის საშინელ თქეშსა და სისველეში სერაფიმი და ვარსკვლავეთი ეზმანება.

ურწმუნო ეპოქით გულგასენილი სიკვდილის განცდას ებრძვის.

ლექსში „შენ და შემოდგომა“ (4,331) იაგუნდის შუქის ჩაქრობას, სიბნელის, შე-მოდგომის, სიცივის მოლოდინი ენაცვლება: „არის ნეტარება – ხშირად მოაგონდეს პოეტს შედარება: შენ და შემოდგომა. შუქი არ ინთება ჩამქრალ იაგუნდის, შენ და შემოდგომა, შენ და შემოდგომა“.

დღე, შუქი საღვთო მეტაფორებაა.

მივმართოთ ბიბლიას: „ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა, ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში“ (ფს. 117,24) (7,651).

„იაგუნდის დღე“ დედა-ძის ერთდროული მოაზრებია.

საღვთო შუქის მრავალგვარი კონტექსტი და ვარიაცია გვხვდება დავით წინას-წარმეტყველთან: „უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი, ვის შევუშინდე?“ (ფს. 26,1) (7,547)

ღმერთი არის „სიცოცხლის შუქი“ (ფს. 56,14)(7,580).

ბნელზე ბნელი ღამე, ბელზებელი, ქარების თარეში, მარტოობა, უმეგობრობა გაუძლისია, ცრემლის მომგვრელი: „ღამე ბნელზე ბნელი მისდევს უდროობის, რო-გორც ბელზებელი ქარებს უსადარესს, ცრემლი უნდობარი გახრჩობს მარტოობის, მაგრამ მეგობარი, ვაი, არსად არის“.

მხოლოდ მოგონებაშია უნაზესი ჰანგები, რეალობაში გული უდაბნოა, სული ოაზი-სი, ჭკნობაშეპარული, ზამთრის წინამორბედი შემოდგომა კი უნუგეშობის მომტანია: „მხოლოდ გაგონება ჰანგის უნაზესის დაგრჩა მოგონებად: არ ღირს გამოდგომა. გული უდაბნოა, სული – ოაზისი, შენ და შემოდგომა, შენ და შემოდგომა“ (4,331).

უდაბნო რწმენას, სულიერებას მოკლებული ადგილია.

ასეთი დიდი სატკივრის გადმოცემა დააკისრა გალაკტიონმა ლალის, იაგუნდის სახეებს.

ლიტერატურა

1. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991
2. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996

3. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 12, თბ. 1975
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
5. გალაკტიონ ტაიბძე, რჩეული, თბ. 1989
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
8. საპატრიარქოს უწყებანი, თბ. 12,3-9 აპრილი, 2009

„გზა“ გალაკტიონის სახისმეტყველებაში „შენი გზა სიზმარეული“

გალაკტიონის იდუმალ პოეზიაში მოიხილება ამქვეყნიური ცხოვრების სავალი, ფიზიკურ არსებობამდე ყოფილი ცის გზები, სხეულიდან დროებით გასული სულის ასტრალური მოგზაურობა, ხან კი განჭვრეტილია მომავლის, გარდაცვალების შემდეგ მოკვდავის სულის მიერ გასავლელი გზები.

„საით მივყევარ ჩემს მოწყენილ გზას?“ კითხულობს პოეტი, რომელიც ამქვეყნიური გზების სწორად გავლამ უნდა გაიყვანოს მარადისობაში.

მშობლიური სოფლის რეალური გზიდან მიდის პოეტი ცის მარადიული გზებისაკენ: „ის გზა გაუქმდა – გზა გაიშალა სხვა ჰორიზონტის ფრთაგანიერის“ (მახსოვს ზაფხული).

„ნამეტანი, ნამეტანი შორი გზები მოვიარე“, „შორი გზები მოვიარე, კიდევ სხვა გზებს ველი“, შემთხვევით არ აცხადებს გალაკტიონი.

რაკი მისი სული მარადიული მოგზაურია, გზებიც დაუსრულებელია: „გზები გაუვალი და გზები გავლილი გულისტკივილით მაქვს ყველა შესწავლილი. ადის მწვერვალზე თუ ჭაობში ეფლობა, ერთი ნიშანი აქვს – დაუსრულებლობა“.

ეს გზები წარმოსახული თუ რეალური სიკვდილის ბნელ გვირაბშიც გადის, რაკი იგი სულის გზაა. გულიც „გზაა და მეზღვაური“.

ამქვეყნიური ცხოვრება ვარდია ნაწვიმარ სილაში, სულისმიერი კი სიზმარი და ზეცის სილაჟვარდე: „დედაო ღვთისავ! მზეო მარიამ, როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“.

ეს მისტიკური, ფიზიკურ ყოფამდე არსებული მიღმური გზა მარადიულად ცოცხლობს პოეტის ხსოვნაში: „ო, დროო, გამახსენდება შენი გზა სიზმარეული“ (სამი ფერადი ღრუბელი).

ციური გზებით ეძებდა ალექსანდრ ფეტი უზენაესს: „ციური გზებით ერთად ვიაროთ, რომ ვეზიაროთ მარადისს ერთად“ (მაისის ღამე).

სიზმარეულ გზას გასცქეროდა სულის თვალით ვლადიმერ სოლოვიოვი: „ბავშვური ფიქრი სიზმარეულ გზისკენ მიმათრევს“.

ცაში ფრენის, უმაღლესთან თანაზიარობის გამო გალაკტიონისათვის ცნობილია „ელვის ბილიკი“, ზეციური თოვლის ვარდები, უფსკრულები და მწვერვალები (ხან უსკრულები, ხან მწვერვალები).

ძნელია იმ გზების, ბილიკების საიდუმლოების გახსნა: „არ გამოითქმის ცად აღ-

მართული ის ბილიკები“ (ვისაც ელოდი).

პოეტი დარწმუნებულია, რომ „გზას არ აურევს ცისფერ ხომალდის სველი ფერდები“ (ანძები).

ამქვეყნიური გზების გავლის შემდეგ მოდის „სხეულის საშემოდგომო, უიმედო დაუძლურება“, მაგრამ თუ მიწიერი ცხოვრების გზები წყდება, მიღმური იწყება: „მაგრამ ის ყოფნაც ხომ გზა არის თავისდაგვარი, ვინ უწყს, თუ რომელს გაუვლია ამ ეკლის გზაზე, მათი ხსენებაც ქვეყანაზე არსად არ არის“ (გზაზე).

ბნელი სამარიდან ამოსული პოეტის სული გარდასხეულების შემდეგ სამშობლოსაკენ მოდის და მოხიბლულია ასეთი გზებით: „იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი გზებით და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე“ (მგლოვიარე სერაფიმები).

მოიაზრა რა „ჩამავალ მზეთა უკანასკნელი და სევდიანი გზა“, „მთვარის ცისფერ გზებს“, უსაზღვროების გზით მიმავალ ვარსკვლავებსაც მიაპყრო მზერა და ზეცაში იხილა საკუთარი განუმეორებელი გზა, რაც, ამავე დროს, ქართული გენიისათვის ბედისწერით განსაზღვრული გზა იყო.

უზენაესის ხილვის გზაა სიკვდილის გზა: „ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი? სხვა გზა არ ვიცი უახლოესი: ერთადერთი გზა არის სიკვდილი“ (მას გახელილი დარჩა თვალები).

პოეტმა მრავალგზის შეატრიალა „ნისლში მყოფი ბორბალი“, როგორც თვით ამბობს, ანუ მრავალგზის განსხეულდა მიწაზე.

„გენიის გზები“

ყოველ ჭეშმარიტ პოეტს სიმღერა ანიჭებს უკვდავებას და არგუნებს მარადისობის გზებს: „არის სიმღერა ქვეყნად ისეთი, რომ მოატარებს მარადისობა გენიის გზებით მოგიზგიზეთი“ (აკაკი წერეთელი).

გენიის გზა დაფარული გზაა, უზენაესი ცეცხლის გამოვლინება: „დადაფნულ გზებზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ (მგლოვიარე სერაფიმები).

ჭეშმარიტი ხელოვნებისაკენ „საღვთო ბილიკები“ მიდის, გენია ეძებს ჰარმონიის გზებს, იგი „გზას უკაფავს უკვდავი სულის თავისუფლებას და სითამამეს“.

გენიის გზა უარყოფაა ტრაფარეტის, მას ამშვენებს ახალი გაქანება, აღთქმული მხარის მიგნება: „არის გზა, ჩვენგან არჩეული გზა გაქანებათა ახალი ველი, სადაც იწყება აღთქმული მხარე, სადაც ქვეყანა თავდება ძველი“.

გენია უარყოფს მონობისაკენ გაკვალულ გზას.

გენიის ბედი ზეცაშია გადაწყვეტილი, ზეცაშია განსაზღვრული მისი სიტყვის ზეციური ქალაქის არსებობაც: „ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართა-გენები“ (ეფემერა).

დიდი ხელოვნების გზა უკვდავთათვის დაწესებული საზღვრების იქით, ანუ „ბედს იქით“ მიდის.

დიადის შექმნისათვის მოწოდებულ პოეტს ზარავდა „გზა უნიათი“.

განახლების საშუალებად მილიონებზე ოცნება კი არა, უნაპირო გზა ესახებოდა: „თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი, თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდერი, მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“.

„წარსულთან უახლესი გზების გადაწიგნვით“ აღწევდა გალაკტიონი პოეზიის განახლებას.

„ხალხის სამსახური“, ერთხელ არჩეული გზის ერთგულება, რწმენა ხდებოდა

გზამკვლევი ურთულეს გზაზე.

მოგონების, იმედებისა და შეხვედრების მარად გზაზე მიდიოდა პოეტი და „ქარის პირდაპირ“ მავალი აცხადებდა: „ჩემი მზე ისევ უბოლო გზებია“...

რაკი პოეზია ქაოსიდან იბადება, მიზანი ისაა, რომ „გზა გაეხსნას ქაოსს ნაგუბარს“.

გენიის გზა დაფნით და ყვავილებით იფარება, მაგრამ იგია აგრეთვე „საშინელი მარტოობის გზა“ (სარკმელთან).

„უგზო ხეტიალია“ ინიციაციის გზაზე პოეტის ბედისწერა: „მოვიარე მიწის კალთა,თან დამსდევდა ბედისწერა ჩემთა უგზო ხეტიალთა“ (დაიჯერე თუ არ გჯერა).

გენიის ორიენტირია სიმართლე, სიწმინდე, სიმტკიცე, უანგარობა. გულწრფელია პოეტის განაცხადი: „სინდისის ქენჯნა არასოდეს არ განმიცდია, რაა მრუდე გზით სიარული? არც კი მიცდია“.

პოეტს გამუდმებით ახსოვდა ღმერთი – „სიცოცხლის გზა“ – რადგან მისი მარადიული თანამდევი იყო: „იმ ხმის ამ ცხოვრების გზაზე არ მომხდარა დავიწყება. ხმა მიდის გზით, სიცოცხლის გზით, ვითარდება, რაც იწყება. იმ ხმის მთელ ცხოვრების გზაზე არ მომხდარა დავიწყება“ (მე ვუსმენდი ხალხს მომღერალს).

„ბევრზე ბევრია გზები სავალი“, სიტყვის რაინდმა კი ახალი გზა აირჩია, შემოქმედების ეკლიანი გზა, უარყო სიმშვიდე, ტრაფარეტი,

„წარმართი გზით“ („ხალხის გზით“) იარა, წინაპრების გზიდან გამოვიდა და მაღალი მისწრაფებები აქცია „მომავლის გზად და ხიდად“.

„უცნობ გზით“ – ღმერთით იგნებდა იგი ახალ გზებს, „ოქროს“, მშობლიური გზები იყო გენიის უპირველესი იმპულსი: „ის გზები მშობლიურია, გზები რომ ააგიზგიზა“ (ახალი ქალაქის აღება).

გალაკტიონის „გზა გამბედავი“ „დაფნის რტოებით იყო ნაგები“, ის იყო დიდი ქართული პოეზიის გზის გათვალისწინება.

პოეტი ამბობს: „ჩვენ გავიარეთ რკინისფერ ლექსების ღვარში“, ქართული ლექსის ამ დაკნინებას პოეტმა დაუპირისპირა ელვით განათებული „სტიქიური ლექსების ბროლი“. სტანდარტთან ბრძოლის, პოეზიის ახალი ქალაქის აღმართვის სიძნელე და ტკივილებია ლექსში „ცხრაას თვრამეტი“, რომელშიც „ანგელოზები უედემონი ტიროდნენ გზათა მიუვალობას“. „უგზოობაზე ჩივილი“ ისმის სხვაგანაც.

გალაკტიონს, მიქელანჯელოსავით, „სძულდა ქვეყნიური გზა და მქუხარება,“ „მან არსაამსოფლო გზებით“ იარა, „ქაოსიდან გზებზე“ გავიდა „გზააურევი ნებისყოფით“, მის გზებზე „ციური რიდით“ იმოსებოდა ყველაფერი.

„უმაღლესი გზა პოეზიის ინტეგრალებია“ და გალაკტიონი ახდენდა მთელი მსოფლიოს პროგრესული აზრის, სულის მარადიულ მოგზაურობაში დაგროვილი სიბრძნის ინტეგრირებას: „ეხლა კი მის წინ გაიშლება ფერნაალები, უმაღლესი გზა – პოეზიის ინტეგრალები“.

პოეტის მიზანია „მის თანადარს გზები დაუფარჩოს“ ანუ ახალი საუკუნის დიდი შემოქმედების სტიმულად იქცეს.

გაუგებრობის ტკივილიც, სპეტაკი გზის შეურაცხყოფაც ყოფილა გენიის ხვედრი (წინაც შენი სპეტაკი გზა და ვარდები ფეხით თელეს), მაგრამ მისი გზა მაინც დარჩა ხსოვნად შთამომავლობას, რადგან ეს იყო „საკაცობრიო გზათა ბრძოლაში“ ფიქრის განახლება, ხოლო მისი გზების ნიშანია „დაუსრულებლობა“.

დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით

კიდობნის ისტორია მოთხრობილია ძველი აღთქმაში (გამოსვლა, 25) (1,81-82).

კიდობნის სახეში მარიამ ღვთისმშობლის მოაზრების მაგალითები გვხვდება სასულიერო პოეზიაში.

ბიზანტიური სასულიერო მწერლობის შედევრში – „დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა“ მარიამ ღვთისმშობელს მიემართება ფრაზა: „გიხაროდენ, კიდობანო, ოქროვანქმნილო სულითა“ (2, 12).

დავით გურამიშვილი, მარიამ ღვთისმშობელს სჯულის კიდობანს, სჯულთა სადებ კიდობანს ეძახის, რომელმაც შვა ორბუნებოვანი ღმერთი (3, 229).

გალაკტიონ ტაბიძემ უსაზღვროდ გაამრავალფეროვნა ჩვენი ზეციური დედის კანონიკური სახე-სიმბოლოები (მზე, მადონა, თოვლის მადონა, უცხო მადონა, უცხო მშვენება, უცხო ასული, თეთრი ყვავილი, ქალწული, სიხარულის ჭიქა, მარადი ჭიქა, ალის თასი, ფიალა, ცეცხლიანი აზარფეშა, მტევანი, ღრუბელი ფერადი, ემბაზი, კარავი, კიბე სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების, მგლოვიარეთა ქნარი, ბეჭედი, ვარდის ცვრიანი ბეჭედი, დილა, სარკმელი, კლდე, იაგუნდი, კიდობანი, მთა, მთვარე, ატმის ხე, სამოთხე, ქალაქი, უეცარი ქალაქი, ცა, ჩვენი ცა, ხიდი, მანდილი) (4,182-193).

კიდობნის სახეში მარიამ ღვთისმშობლის მოაზრების მაგალითი გვხვდება გალაკტიონის ლექსში „მეოცნებე აფრებით“ (5,211).

აფრის სიმბოლო ბიზანტიური ლიტერატურიდან მომდინარეობს.

„ქართველი მწერლები ხშირად იყენებენ ბიზანტიური ლიტერატურის სიმბოლოებს: „აფრას, ნავს“ (6,204).

აფრის სიმბოლო უმეტესად სულთან მოიხსენება: „... ზეციურისა ცხოვრების მიმართ აფრა სულისა შენისა განჰმარტე საყუარელო“ (გრიგოლ ღვთისმეტყველის სწავლანი“, ეფრემ მცირის თარგმანი (7,82).

„შატბერდის კრებულის... ერთ პასაჟში... ზღვა ალეგორიულად დასახულია ცხოვრებად, ნავი – ეკლესიად, მენავეთმოძღვარი – ქრისტედ, ხოლო აფრა კი – სულიწმინდად“ (8,679).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალ კონტექსტში მოიხსენება აფრა: „საომარი აფრა“ (ქარის პირდაპირ) „აფრააშვებული ხომალდი“ (ჯერ ისევ გუშინ), „დამდაგველი აფრა“ (კოსმიური ორკესტრი), „გაფრიალება მძაფრი აფრების“ (ბათუმი), აფრა და ოცნებათა... კამარა (აგერ კიდევ ცეცხლამდის), გრიგალისგან დალეწილი აფრები (ზღვის ეფემერა), აფრებში აკივლებული ბოროტი ქარი (დაიღუპა ის ხომალდი), ქარის აფრა (ალპები), აფრააშვებული გემი, გადახეული აფრა (ცისფერი), ოცნებათა ლურჯი იალქნები (მთაწმინდის მთვარე), „იალქნების გროვა“ (918) იალქნებში გამოჩენილი ცისარტყელა (შორს იალქნები ჩანდა) „თვალებდალურჯული იალქნები“(ეს მშობლიური ქარია). ქარისგან გადახრილი ბედი და იალქანი (ვერხვები).

ასევე თვალშისაცემია ანძის, იალქნის სახეები.

ლექსში „ზღვა ახმაურდა“ გრიგალის მეთარობით მოგზაური ანძა თვითონ პოეტის სულია (თამაზ ჩხენკელი) (9,398).

ასევე ყურადღებას იცევს „იალქნების ნანა“, „მფარველი იალქნები“ (10,239-245).

მეოცნებე, პოეტურ სულზე ხაზგასმაა ლექსში „მეოცნებე აფრებით“: „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით, ათასგვარი იმედით და ზაფრებით, აგასფერის მიმოჰქროდა ხომალდი მეზღვაურის სულთან გათანაბრებით“.

აგასფერი ქრისტეს ჯვარცმის გულგრილი მაყურებელია, რომელიც არ დაეხმარა ძე ღმერთს ჯვრის, ძელის ზიდვაში, არც გააჩერა თავის სახლთან და ამის გამო განწირულია, რომ მარადიულად იხეტიალოს დედამიწაზე (11,417).

მეზღვაური, მოგზაური, ბედუინი გალაკტიონის შემოქმედებაში პოეტის სულის მახასიათებელია: „სული მოგზაურია უდაბნოში წასული“.

მეზღვაურის სულთან აგასფერის გათანაბრება ნიშნავს, რომ მისი ხვედრია მარადიული ხეტიალი სულის, გულის, მიწის სიღრმეებში, ზეცის სავანეში, განუსაზღვრელ მასშტაბებში (10,200-207, 231-235,249-251).

„ფაგოტების გოდებით“ გატაცებულ პოეტს აოცებდა „უმძლავრესი მუსიკა“, ამასთან, თან სდევდა „ქარის გაბოროტება“.

უამინდობაში, მისი განუშორებელი თანამგზავრი ყოფილა „კიდობანი“, როცა განშორებია სიყმაწვილის აღტაცებას: „დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით, აღტაცებავ სიყმაწვილის დროისა, სამუდამოდ, სამუდამოდ მშვიდობით“!

უამინდობა ავდარი, ზამთარი, სიცივე, თოვლი, ყინვა გალაკტიონის შემოქმედებაში მრავალგვარი ქვეტექსტის მატარებელია (სოციალური, ეროვნულ-პოლიტიკური, რელიგიური, რომელთაგან უმთავრესია ეროვნულ-პოლიტიკური ჩანაფიქრი, რაც ჩვენი მეზობელი ჩრდილოეთის თოვლიან-ყინულიანი იმპერიული მონსტრის მუხანათობებს უკავშირდება).

პოეტების მეფე უპირველესად თავისუფლების დაკარგვას, ურწმუნოებას განიცდიდა ყველაზე მწვავედ და ამის მიზეზთა მიზეზის ძიებას სწორედ ბოროტების იმპერიასთან მიჰყავდა.

ამჯერად „უამინდობაში“ ღმერთის უარყოფაა ნაგულისხმევი, რასაც მრავალგზის აფიქსირებდა პოეტი, მაგრამ თვითონ არასოდეს წყვეტდა კავშირს უზენაეს ძალებთან.

„უამინდობას“ პოეტი მაინც „კიდობნის“ – ჩვენი ზეციური დედის თანხლებით ხვდებოდა, ეიმედებოდა, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვდომილია, თუმცა კარგად ხედავდა კიდობნის „რღვევას“, ხომალდის ნაპრალებთან შეჩერებას, გზის დაკარგვას, მსოფლიოს სულიერ კატაკლიზმებს, რადგან „ზეცის ნგრევა“, უზენაეს ძალებთან განშორება „მიწის გადაფერდებას“, ქვეყნად უკეთურობათა გაბატონებას მოასწავებდა: „...ის ირღვევა, ის ოცნება ბერდება და ხომალდი ნაპრალებთან ჩერდება, საიდანაც მარად ესმის მსოფლიოს ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება“ (მეოცნებე აფრებით) (5,211).

ღრმააზროვანი, რელიგიურ-პოლიტიკური ქვეტექსტების მატარებელია გალაკტიონის ლექსი „თიბათვე გავიდა“ (5,84), რომელშიც პოეტი ემშვიდობება მშობლიურ შემოგარენს და ჩრდილოეთს მიემგზავრება კიდობნით: „თიბათვე გავიდა. აჭრელდა ქათიბი იქ, სადაც ყელამდე ღელავდა სათიბი. მეც მალე ჩრდილოეთს ვეწვევი კიდობნით. მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“

ჩრდილოეთში იგულისხმება ჩვენი მეზობელი, თოვლიან-ყინულიანი მონსტრი,

სადაც პოეტი „კიდობნით“, ანუ ჩვენი ზეციური დედის რწმენით გაემგზავრა, ეს იმპერია ხომ მართლმადიდებლური ქვეყანა იყო, მარქსიზმით, სატანისტური ბოლშევიზმით გადაგვარებამდე...

ლექსის შემდეგი სტრიქონებით ირკვევა, რომ პოეტი „მევახშის“ ხელში ჩავარდნილა, მისი მევალე გამხდარა, იძულებული შექმნილა გაეყიდა „მამული, ჭალები, სასახლე“. მისი სათიბიც აუცელავთ: „მევახშის ხელში ვარ, დამედო ვალები! ოჰ! უნდა გავყიდო მამული, ჭალები! რა გზაა: მე მიკვირს, რომ დღემდე გავძელი! სასახლეც გავყიდე... სათიბიც ავცელე!“

ამ არცთუ ისე გამჭვირვალე ალეგორიაში ქრისტიანული სარწმუნოების სახელით ჩრდილოელ მეზობელთან დაკავშირებული ჩვენი სამშობლო ამოიცნობა, რომელსაც მევახშის პრინციპით მოქცევია იმპერიული მონსტრი, რწმენის სახელით გაუცურებია პატარა ქვეყანა, წაუგვრია მისთვის მამულის დამოუკიდებლობა, „სასახლე“ და გაუძლის მდგომარეობაში ჩაუგდია სამეგობროდ გამოწვდილი ხელის პატრონი.

„კიდობანი“ ისევ ღვთისმშობლის მეტაფორაა, რომელსაც უკვე აღარ წყალობს სატანისტური ათეიზმით მოწამლული იმპერია.

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად წიგნი I, თბ. 1990
2. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009, №2
3. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროების და პოეტიკის საკითხები, თბ. 1989
4. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 2 ტომად, ტ. I, თბ. 1988
6. რევაზ ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ. 1966
7. თამარ კუკავა, ეფრემ მცირის იამბიკოები, თბ. 1988
8. ტიტე მოსია, დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში, თბ. 2010
9. თამაზ ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ. 1989
10. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები, თბ. 2011
11. ლეო ტაქსილი, სახალისო სახარება, აკაკი გელოვანის შენიშვნები, თბ. 1974

რომ უეცარი აღდგეს ქალაქი

ქალაქის სახეს დიდი ადგილი უკავია რელიგიურ სახისმეტყველებაში.

ზეციური ქალაქის იდეა დასამაბს იღებს იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებიდან.

აპოკალიფსში ქრისტე ქმნის ახალ ქვეყანას, ახალ ცას, ზეციურ იერუსალიმს: „და ვიხილე ცა ახალი და ქვეყანა ახალი, რამეთუ პირველი იგი ცა და პირველი იგი ქვეყანა წარხდეს და ზღვა არღარა არს მერმე.

„და მე იოანე, ვიხილე ქალაქი იგი წმიდა იერუსალიმი ახალი, გარდამომავალი ზეცით ღვთისაგან, განმზადებული, ვითარცა სძალი, შემკული ქმრისა მიმართ თვისისა“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 21,1,2) (1,518).

წმიდა აბბა თალესე ამბობს: „ზეციური იერუსალიმი უფალთან კავშირში მყოფი, უსხეულო არსებათა ქალაქია. სულიერი სამყაროს შეცნობისას კაცის გრძნობა შედის ამ ქალაქში და იმკვიდრებს მშვიდობას უფალთან. სიტყვას ებრაულიდან შემდგენაირად თარგმნიან: ქალაქი მშვიდობისა, ანუ ჭვრეტა მშვიდობისა“ (სიყვარულის, მარხვისა და სულიერი მოქალაქეობის შესახებ“,) (2,429).

ნეტარი ავგუსტინე აცხადებდა: „პირველ ყოვლისა აღეგო სიბრძნე, ანუ გონიერნი სულნი, რომელნიც შენ წმინდა ქალაქში ჰგიებენ, ჩვენ დედასთან, რომელ ზეცისა იგი იერუსალიმი აზნაურს არს“ („აღსარება“) (3,390).

„არეოპაგიტულ კრებულში“ პეტრე იბერს უწოდეს „ზეცის იერუსალიმი“ (4,34).

ეფრემ მცირესთან მარიამ ღვთისმშობელია „სიტყუათა დედაქალაქი“ (იამბიკო) (5,516).

ჰიმნოგრაფი ასე მიმართავს იესო ქრისტეს დედას: „ქალაქო სულიერო მეუფისა დიდისაო... ღმერთისა დედაო“ (6,837).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაშიც“ გვხვდება „ზეცის ქალაქი“ (7,382).

„ძლისპირნში“ მარიამი მოიხსნება, როგორც „ღვთის ქალაქი“ (6,0104).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მოიპოვება ჩვენი ზეციური დედის მრავალი კანონიკური სახე, ახლებური ეპითეტებით, ორიგინალური ნიუანსებით გამრავალფეროვნებული.

მარიამ ღვთისმშობლის, როგორც სულიერი ქალაქის, სახე გვხვდება ლექსში „უეცარი ქალაქი“ (8,388).

გალაკტიონი, ერთი მხრივ, ეთაყვანებოდა პოეტების სამეფო შფოთიან თბილისს, სხვა დროს ქალაქში მძაფრად გრძნობდა სიყალბეს, ნიღბებს, გაუცხოებას და ბუნების წიაღში მიილტვოდა (გზაში) (9,87-89).

ზოგჯერ ქვის სიმძიმე სამარედ განაცდევინებდა უზარმაზარ ქალაქს, დანატრებული იყო ბუნების მწვანე ბალახს.

აღიაზიანებდა მთებზე გველივით შემოშენებელი ქალაქი, ხელოვნური ქუჩები, ქარვასლები: „იქ იშლებიან თეთრად ნაგები ობელისკების ნელი შვენება, იქ აიმართნენ სხვა ქალაქები, მთებს რომ გველივით შეეშენება. ხელოვნურ ხეებს ქუჩა, ქარვასლა რომ მოეფინოს, რბიან დღეები, ქარვების ქრება სიდარბაისლე, ქართ დაბერვის არ მოშიშეებით“.

„იქ, შორს“ სხვა დროა, სხვა სიზუსტე, სხვა სინათლე, სხვა ფანტაზია: „იქ, შორს, სხვაგვარად მიჰქრიან დრონი, რომ მოუტანოს ოცნებამ ნაზმა აზრს – ციფერბლატი, თვალს – ელექტრონი, გულს მარმარილო, სმენას – ფანტაზმა“.

იქ სახლები „რისხვათა წყებაა“ და „ვერაფერმა გააანკაროს“. მიზანი კი სამყაროს „უეცარი ქალაქის“ აღდგენა უნდა იყოს: „იქ ვერაფერმა გაანკაროს სახლების წყება, რისხვათ ალაგი, რომ მოზმანებულს ჰგავდეს სამყაროს და უეცარი აღდგეს ქალაქი“.

„უეცარი ქალაქის“ აღდგენა „სულიერი ქალაქის“, მარიამ ღვთისმშობლის რწმენა-თაყვანისცემისაკენ მიბრუნებას უნდა ნიშნავდეს.

გალაკტიონის მიზანი იყო „ხმათა განახლება“, „ხმათა აღორძინება“, უკვე დაკარგული რწმენის აღდგენა (გრძნობა, რომელიც დაკარგულია).

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
2. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თ. 1984
3. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
4. არეოპაგიტული კრებული, თბ.
5. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1961
6. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1982
7. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
9. გალაკტიონ ტაბიძე ორ ტომად, ტ. I, თბ. 1988.

რომ სიხარული დასცალოს ჭიქით

გალაკტიონი სიხარულთან, მზესთან, ვარსკვლავებთან ახსენებდა ჭიქას და ამ სახეთა ქვეტექსტებზე დაკვირვება აშკარას ხდის, რომ პოეტი თავის რელიგიურ, ქრისტიანულ იდეალებზე მისთვის დამახასიათებელი ენიგმების, სიმბოლო-მეტა-ფორების საშუალებით მიანიშნებდა.

პოეტების მეფის შემოქმედებაში ახალ-ახალი ეპითეტებით იმკობა საღვთო შინაარსის „სიხარული“. ქრისტე არის „დიდი სიხარულის შუქი, მომავლის სიხარული, სიხარულის პკურება, ულევი სიხარული, სიხარულის სხივი, ახალი სიხარული, სიხარული დაუთრგუნავი, სიხარულის ხმა, მარადისი სიხარული, სიხარულის უვერტიურა, სიხარულის თეთრი რტო“ (1, 67-69).

ამ სახეთა წყაროა სახარება: „უთხრა მათ ანგელოზმა: „ნუ გეშინიათ, აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება:

„ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკა, 2,10,11) (2,113).

ლექსში „ეს გრიგალია სიახლის“ (3,200) პოეტი არის „სიხარულით“ და „გაზაფხულის ოცნებით“ მოსილი: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“.

სხვაგან „სიხარული“ ფიგურირებს „ჭიქასთან“ და მათი ძალა ყველაფრის მამოძრავებელია, ყოველგვარ ძალაზე აღმატებულია: „აღემატება ყოველგვარ ძალას, რომ სიხარული დასცალოს ჭიქით, რაც ამოძრავებს სიზმარულ ჭალას, შორს, სასიმინდე ყანების იქით“ (აღემატება ყოველგვარ ძალას) (3,563).

საოცარი ფრაზაა: „რომ სიხარული დასცალოს ჭიქით“...

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თასი, ჭიქა, ფიალა, აზარფეშა მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორებია (1, 182-193), ეს პოეტური ლიცენცია გულისხმობს ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობელს, ვინაიდან ძე ღმერთის ხილვის გზა არის ჩვენი ზეციური დედა.

დავით წინასწარმეტყველის მიხედვით, „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს.

84,12) (2,614).

ბიბლიაში ღმერთის სახელია ასევე „მზე სიმართლისა“: „ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი 3,2) (4, 307).

გალაკტიონის პოეზიაში საღვთო შინაარსის მზე მრავალგვარი ეპითეტით გვხვდება: მზის სვეტი, მზიური ღამე, დიადი მზე, მზიანი ღამე, შორეული მზე, მზის სათავე, მუდმივი მზე, წმინდა მზე, შინაგანი მზე, მზე განგებიანი, მომავლის მზე (1,23-25).

პოეტი „სხვა მზით“ არის შემოსილი: „მე სხვა მზე მმოსავს, როგორც შეჰფერის საქართველოს სახალხო მგოსანს“ (დღეს შემისრულდა).

ლექსში „მზის სადღეგრძელოს“: (3,146) ჭიქის ეპითეტია „მარადი“. „მარადი ჭიქით“ მიირთმევს პოეტი „მზის სადღეგრძელოს“. „მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი, სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით ისევ მეძახის ჩემი დემონი“.

„მარადი ჭიქა“ მარიამის ორიგინალური სახისმეტყველების ერთ-ერთი ნიმუშია.

მზის სადღეგრძელოს აღვლენა რწმენის მსახურებაა.

აქვე იხსენება „ცეცხლის კდემანი“.

ღმერთი არის „ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (5,107).

ღმერთთან ერთად, ლექსის ლირიკული პერსონაჟის თანამდევია გაღმა სამყაროსკენ მომწოდებელი დემონი, რადგან ის სიცოცხლეზე, ადამიანთა სულებზე ნადირობს.

ერთ სტროფში პოეტმა თავისი რელიგიური იდეალი გაამჟღავნა, მარადიულ სიკეთეს მარადიული ბოროტება დაუპირისპირა და მხოლოდ მზეს, ცეცხლს, „მარად ჭიქას“ აღუვლინა საგალობელი, როგორც სიკეთის, ბედნიერების წყაროს.

„კახეთის მთვარეში“ (3, 445) ცხოვრება აღიქმება, როგორც „ზღვა“, სიყვარული – „პირველი თემაა“, ცა – „ვარსკვლავების ჭიქით“ არის დამშვენებული: „...ცა ვარსკვლავების ჭიქით გადაფარული არის, აი, ტყეების იქით მოჩანს ბუნაგი მთავარის“. ორიგინალური სახეა „ვარსკვლავების ჭიქა“.

„შემოდგომის“ (3,333) ლირიკული გმირის წიგნი არის „ერთადერთ, მშვიდი, ფარული“, „სიხარულის“ დამტევი, ანუ რელიგიური.

პოეტი ველებში ტკბება „არტისტი ქარის“ ოინბაზობით, აფიქრებს მინდვრის იდუმალება, ძველი ჭადრის „გულმწარე“ შრიალი.

ქვეყნის კორიანტელების განმცდელს, „გზა“ უმრთელებს გულს, მზიდან მოსული პოეტი თანამეინახეებთან ერთად „ცეცხლიან აზარფეშებით“ სვამს „მზის სადღეგრძელოს“: „ო, ვიყოთ ერთად, გზა გულს ამრთელებს... ქვეყნად მომავალ კორიანტელებს ვინ მოეკრძალოს? ჩვენ, პოეტები, მზიდან ვეშვებით და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით მზის სადღეგრძელოს“ (შემოდგომაა) (3,333).

მზე საღვთო სახელია.

ღმერთი არის „მშვიდობის გზა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 59,8,9) (4,117). „ცოდნის გზა“, „სიბრძნის გზა“ (ბარუქ წინასწარმეტყველი 3,2,4,23). „ახალი და ცოცხალი გზა“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 10,19) (2,481).

ლექსში „გზა“ – ღმერთი „ამრთელებს“ გულს.

პოეტი, როგორც მზიდან მოვლენილი მზის შვილი, „მზის სადღეგრძელოს“ ეწაფება „ცეცხლიან აზარფეშებით“, ანუ ზეციური დედის საშუალებით უახლოვდება

და განადიდებს ძე ღმერთს. „აზარფეშა“ ჭიქის, თასის, ფიალის ნაირსახეობაა, „ცეცხლთან“, – საღვთო სიმბოლოსთან მოაზრებული.

ლექსით პოეტმა ჭეშმარიტი რელიგიური ლირიკის ნიმუშს გვაზიარა, როგორც მზიდან მოსულმა, თავისი პოეზიის განუმეორებლობას, ღვთითმოვლენილობას გაუსვა ხაზი.

„ახსნაში“ (3,348) ინტერესის საგანია „ლალის ჭიქა“, ხაზგასმულია მისი შეუცნობლობა: „...რამდენი რამე ვერ აგიხსნიათ ვერც ჩუმი ცრემლით, ვერც ლალის ჭიქით“...

ლალი იდენტურია იაგუნდის, იაგუნდი კი ღვთისმშობლის სიმბოლოა (იხ. დღე გაფითრდა იაგუნდის).

„დაბმულ ჭინკაში“ (3,805) მაცდური სული სიკვდილის შეხსენებით, მარადიულ ღირებულებათა გაუფასურებით ცდილობს ლექსის პერსონაჟს ხელი ააღებინოს პოეზიაზე, მუსიკაზე, დაავიწყოს „ალის ჭიქა“: „...რად გინდა ლექსი და ალის ჭიქა?“

ამის შედეგად „ლურჯ ედემს“ ქარი ეძალება, ბაღი გაუდაბურებულია, თითქოს იმარჯვებს უდაბნო (უღმერთობა, ცოდვები), ბინაში ჭინკა და ქარი დაძრწიან.

ალის ჭიქა რელიგიური შინაარსის სიტყვათშეთანხმებაა. ალი, ცეცხლი – უზენაესი, „ჭიქა“ – ღვთის დედის ენიგმა.

„ყაზბეგის მხრებში“ (3,628) ხედვითი სახეა ლალის და კელაპტრის თასი: „მზის ამოსვლისას სავსეა თასი ათასი ლალის და კელაპტარის“.

ლექსში „იმედთა ნაცვლად“ (3,47) გვხვდება „ოცნების ზოლი ფიალით“. „ლალის ჭიქა“ იქცევს ყურადღებას შრომითი ენთუზიაზმის ჭრილში (გორა-გორა, ვაზი-ვაზი) (3,480).

ლექსში „მარმარილო“ (რჩეული, 982, გვ. 35) „ცა სიყვარულის და სიცოცხლით ძვირფასი თასია“. სიცოცხლე, სიყვარული ძე ღმერთის, ცა, თასი ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

ლიტერატურა

1. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ. 1996
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
5. პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) შრომები, თბ. 1961

მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თასის, ჭიქის, ფიალის, აზარფეშის გააზრება სიმბოლურ ჭრილში.

ბიბლიაში ბაბილონი შედარებულია ღვინის თასთან: „თასი იყო ბაბილონი უფლის ხელში, მთელი ქვეყნიერების დამათრობელი; მის ღვინოს სვამდნენ ხალხები“ (იერემია წინასწარმეტყველი, 51,7) (1,176).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში გვხვდება „სასოწარკვეთის და განადგურე-

ბის თასი“ (ეზეკიელი, 24,33) (1,215).

„სიბრუვის თასი“, „რისხვის თასი“, ფიალა იქცევს ყურადღებას ესაია წინასწარმეტყველთან (ესაია, 51,22) (1,113).

თასის, საწმისისა და ცვრის ისტორია მოთხრობილია მსაჯულთა წიგნში.

გედეონს გამოეცხადა უფლის ანგელოზი, მერე თვით უფალი, რომელმაც ურჩია დაენგრია ბაალის სამსხვერპლო, ჭეშმარიტი ღმერთისთვის აეგო რიგიანი სამსხვერპლო და შეეწირა მოზვერი.

„უთხრა გედეონმა ღმერთს: თუ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც მეუბნებოდი, მაშინ საწმისს გავშლი კალოზე: თუ ცვარი მხოლოდ საწმისზე იდება, მთელი მიწა კი მშრალი იქნება, ვირწმუნებ, რომ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც მეუბნებოდი.

„ასეც მოხდა: მეორე დღეს დილაადრიან ადგა, გაწურა საწმისი და მთელი თასი წყალი გამოადინა.

„უთხრა გედეონმა უფალს: ნუ შემრისხავ, მინდა ამ ერთხელ კიდევ მოგმართო და ამ ერთხელაც კიდევ ვსინჯო საწმისი. მხოლოდ საწმისი იყოს მშრალი, მთელ მიწაზე კი ცვარი იდოს.

„ასეც მოახდინა იმ ღამით ღმერთმა: მხოლოდ საწმისი იყო მშრალი, მთელ მიწაზე კი ცვარი იდო“ (მსაჯულნი, 6, 36-40) (2,244).

ცვარი ღმერთის, თასი კი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა.

„ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“, ნათქვამია ოსიას წინასწარმეტყველებაში (14,6) (1,273).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში გამრავალფეროვნებულია თასის სახე, მის პარალელურად იხმარება ფიალა, ჭიქა, აზარფეშა და ამ სახეებში უმეტესად, ღვთისმშობელი იგულისხმება.

თასი მოიაზრება ალთან (ცეცხლთან), ვარდის ჩრდილთან, ყინვასთან, სიცოცხლესთან, ღვინოსთან, ჩანგთან, დღის ხმასთან.

ლექსში „ალის თასი“ (3,292) ნათქვამია: „ცეკვავს ქალების დასი, მთვრალი მუსიკის ჟინით, ალის მომეცით თასი, სავსე ძლიერი ღვინით“.

ალი, ცეცხლი საღვთო სახელია, ხოლო თასი – ღვთისმშობლის, ასე რომ, სრულიად ლოგიკური სიტყვათაშეთანხმებაა – დედა-ძის ერთდროული მოხსენიებაა.

ღმერთი არის არა შემწველი, არამედ განმანათლებელი ცეცხლი. ამ სახის მრავალი ვარიაცია გვხვდება გალაკტიონის პოეზიაში: მარადიული ცეცხლი, ზეციური ცეცხლი, წმინდა ცეცხლი, ფარული ცეცხლი, განათებული ცეცხლი, ელვარე ცეცხლი, ციური ცეცხლი, ცეცხლის სვეტი, მფარველი ცეცხლი, წმინდა ფარული ცეცხლი, გამოუთქმელი ალი, უმანკო ცეცხლის ალი, საიდუმლო ალები, ჟამთა ცეცხლი, ცეცხლის ალმური, ცეცხლის კამარა, სიხარულის ცეცხლი...

ბიბლიაში მოსეს ცეცხლწაკიდებული მაყვალი ეჩვენა, მაგრამ მაყვალი არ იწვოდა (გამოსვლა, 3,2) (2,59).

„მაყვალი ღვთისმშობლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – ქრისტესი“ (აკაკი ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები) (4,58).

ქრისტე არის „... ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (5,107).

გალაკტიონის ზემოთხსენებული ლექსის ცეცხლის თასი სავსეა „ძლიერი ღვინით“.

ღვინო საღვთო სახელია.

წმინდა, წერილში ქრისტეს მოვლინება შედარებულია ნადიმთან, რომელსაც ამშვენებს „ძველი, დაწმენდილი ღვინო“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით... ძველი, დაწმენდილი ღვინით“(ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) (1,91).

გალაკტიონის „ალის თასის“ „ძლიერი ღვინო“ ქრისტეს სიმბოლოა და მის მოძღვრებასთან ზიარებას გულისხმობს.

ლექსში „მარმარილო“ (1,75) „ცა სიყვარულის და სიცოცხლით ძვირფასი თასია“.

ცა ანუ „ცათა ცა“ არის უზენაესის სამყოფელი, „გონიერი ზეცა“.

სიყვარული საღვთო სახელია: „...ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი I იოანესი, 4,8) (6,320).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ღმერთი „პირველი სიყვარულია“.

ქრისტემ ასე უსაყვედურა რწმენის დამვიწყებელ ეფესოს ეკლესიას: „...შენ დაივიწყე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (6,492).

ღმერთი არის „დიადი სიყვარული“ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“) (7,390).

დანტე ალიგიერისთვის ღმერთი არის „სიყვარული პირველი, უზენაესი სიყვარული“ (8,328).

საღვთო სახელია „სიცოცხლე“. ქრისტე გვამცნობს სახარებაში: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (6,211).

თასი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა, „სიცოცხლით ძვირფასი თასი“ დედაძეს გულისხმობს.

ლექსში „მივაშუროთ“ (3,361) თასი მოაზრებულია „სიცოცხლის ჩანგებთან“, „დღის ხმასთან“, ზამბახთან: „სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით, მრავალ წყურვილთა გახელებით, გაათასებით“.

სიცოცხლე არის ქრისტეს სიმბოლო, სიცოცხლის ჩანგი – რელიგიური სიტყვა, თასი – ჩვენი ზეციური დედის სახეა. გამჟღავნებულია რწმენის, ქრისტიანობის დიდი სიყვარული.

შემდეგ სტრიქონებში ნათქვამია: „ვთქვათ ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული, თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული“.

ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20) (1,116).

პოეტის მიზანია მიწიერი, ზღვასავით ბობოქარი, ცოდვილი ცხოვრების მხილება და უზენაესის გზის ჩვენება, რასაც გვაუწყებს სტრიქონები: „თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული“.

დღე საღვთო სახელია: „ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა, ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში“ (ფს.117,24) (6,765).

„დღის ხმა“, ამ კონტექსტში, შეიძლება აღვიქვათ, როგორც უზენაესის ხმა.

თასიც და ზამბახიც (ზამბახის პრინცესა) უფლის დედის მეტაფორაა (იხ. „ზამბახის პრინცესა“).

ე.ი. ჭეშმარიტი პოეზიის მიზანია, მიგვახედოს ჩვენი ზეციური მამისა და დედისკენ, ქრისტიანული მცნებებისკენ, ცოდვებს, ცდუნებებს დაუპირისპირდეს ჰუმანური მრწამსი.

ლექსში „პუშკინი პარიზში“ (3,584) რელიგიური ქვეტექსტის შემცველი ფრაზაა

„ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები“, რომელშიც ღვინო ქრისტეს, ბეჭედი – მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

მარიამ ღვთისმშობელი არის „ზეცის ბეჭედი“ (9,121).

ამავე ლექსში ყურადღებას იქცევს ასეთი ენიგმა: „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“.

ვარდი ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა, თასი – მარიამ ღვთისმშობლის. თასში მოქცეული ვარდის ბუჩქის ჩრდილი ძალზე ორიგინალური სახეა, მას პირდაპირი წყარო არ მოეპოვება და ნიშნავს დედა-ძის განუმეორებელი ხატების თაყვანისცემას.

„მოგონებებში“ (3,781) ძირითადი აქცენტის მატარებელი, არსებითი მნიშვნელობის მქონე სახეებია: წიგნი, მემარნე, ძვირფასი ღვინო, უკვდავი ღვინო, თასი: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით – ჭურს მტვერი ფარავს“.

წიგნი, მშვიდობის წიგნი და მისი ვარიაციები საღვთო სახელია ბიბლიის, ღვთისმეტყველების, რელიგიური პოეზიის (დანტეს) მიხედვით (იხ. წიგნის სიმბოლიკა).

ლექსის შემდეგი სტრიქონები მთლიანად ენიგმებით არის სავსე. „არ ჩანდა მემარნე, მაგრამ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო, – შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“...

მებაღე, მემარნე მამაღმერთის პარადიგმებია, როგორც „ძვირფასი ღვინო“,„უკვდავი ღვინო“, წიგნი.

ე.ი. ლექსის ლოგიკით, „ძვირფასი, უკვდავი ღვინის“ და „წიგნის“ მიგნება ხდება „თასით“, ანუ იესო ქრისტეს ხილვის გზა არის მარიამ ღვთისმშობელი.

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ „თასი“ ფიგურირებს „გზასთან“: „გზა სანაქებო ვამკოთ ამ თასით“ (10,341).

ამ ფრაზაში „გზა სანაქებო“ ქრისტეს მეტაფორაა, თასი – ღვთისმშობლის.

„ივლისისფერი ყინვის თასებიც“ (ალვები თოვლში) ჩვენი ზეციური დედის სიმბოლოა, უგულებელყოფილი, გაყინული ურწმუნო ეპოქის მიერ.

რწმენა-ურწმუნოების დაპირისპირების წარმოჩენაა ლექსში „პორტრეტი“ (3,222), რომელშიც „ცხოვრება გაწყრა და გაალქაჯდა“, დავიწყებულ იქნა „მწყემსი“ („მწყემსი კეთილი“ – ქრისტე).

პოეტი „ცეცხლის მოდებით“ მღეროდა, ზღვის გრიალს „ცისფერ ხომალდით“ (რწმენით) უპირისპირდებოდა (ღვთისმეტყველების მიხედვით, ცხოვრება არის მღელვარე, აბობოქრებული ზღვა, რომლის გადალახვაც შესაძლებელია გემით, ძელით, ჯვრით, ანუ ცოდვებზე ამაღლების გზა არის ეკლესია, რელიგია), თასით ღვინოს ეწაფებოდა (დედა-ძის მოძღვრებას ეზიარებოდა), ათეიზმის ეპოქამ კი თასი არა ღვინით, არამედ „საწამლავებით“ აავსო... იდეალი იყო ვარდები, ზამბახი, წიგნი (ქრისტე და მარიამი), მაგრამ ირგვლივ ღამე, გველი გაბატონდა, მოკვდა ოცნება და არა „წიგნს“, არამედ „ხმელ თავის ქალას“ (სიკვდილს) მზერდა ლექსის ლირიკული გმირი.

პოეტი ეძებდა „მეგობრულ თასს“, ეპყრა „ბედთან არდარიდების თასი“ (სადღეგრძელო იყოს მისი) (3,374).

მზის ამოსვლის მშვენიერებაც თასის თანხლებით იხილა: „მზის ამოსვლისას სავსეა თასი ათასი ლალის და კელაპტარის“ (ყაზბეგის მხრეები) (3,628).

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
4. კრებული „პოეზია“, თბ. 1981
5. პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
7. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
8. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
9. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
10. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973

„სამი ფერადი ღრუბელი“

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანში არის შვიდი საწყისი: ფიზიკური სხეული, ასტრალური სხეული, პრანი ანუ სასიცოცხლო ძალა, ინსტინქტური ჭკუა, ინტელექტი, გონება, განსჯა, სულიერი სიბრძნე, განჭვრეტის უნარი, ინტუიციური ჭკუა და სული.

უმაღლეს საწყისად ითვლება განჭვრეტის უნარი, ინტუიციური, სულიერი სიბრძნე. მეშვიდე საწყისი მიუწვდომელია ნებისმიერი ადამიანისთვის.

მეექვსე საწყისს ანუ სულიერ სიბრძნეს აღწერდნენ ზოგიერთი მწერლები „ზეცნობიერი სიბრძნის“ სახელით. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ასეთი უნარით დაჯილდოებულია თინათინი, „ზემხედველი ცნობის“ მფლობელი: „ქალი მზეებრ ჭვრეტს ყოველთა, ცნობითა ზემხედველითა“.

სხივების ნათელი მსჭვალავს ადამიანის ცნობიერებას, სულიერი სიბრძნით მომადლებულებს უვითარდებათ რწმენა უმაღლესი ძალების არსებობისა, ყველა ადამიანთან, ყველა ერთან, მთელ კაცობრიობასთან ნათესაობის გრძნობა.

ინტელექტი ცივია, სულიერი ცნობიერება თბილი და გაცოცხლებულია უმაღლესი გრძნობებით.

ინტელექტი კი არ გვაძლევს ადამიანებთან ნათესაობის, ძმობის განცდას, ინტელექტი კი არ ასწავლის ადამიანს მოწყალებას და სიყვარულს, სულიერი ამაღლება ვერ მიიღწევა ცივი განსჯით.

ინტუიციური ანუ სულიერი სიბრძნე არის წყარო შთაგონებისა, რომელიც მსჭვალავს ყველა დროის პოეტს, მხატვარს, მწერალს, არტისტს, სკულპტორს. ესაა წყარო, საიდანაც ნათელმხილველი ღებულობს სხივებს, წინასწარმეტყველების უნარს. მრავალი ადამიანი, უმაღლეს ძალებთან დაკავშირებული, ღებულობდა იშვიათ ცოდნას და გამოცხადებას ამ წყაროდან. ამასთან, ეს წყარო იყო ადამიანში და იყო ხმა უმაღლესი „მე“-სი, რომელიც ევლინებოდა მას.

უმაღლესი არსება ხშირად ესაუბრება ადამიანებს ინტუიციური ჭკუის საშუა-

ლებით. როცა სჯერათ სულის, ის უფრო მეტ გამოსხივებას და განათებას უგზავნის მათ.

ბევრს უდგება მომენტი, რომელიც ცნობილია „გამობრწყინების“ სახელით. ასეთი მოვლენა ქმედითი ბიძგია მათი ცხოვრებისათვის, ეს არის სულიერი ძალების გაღვიძება ან ნიჭი გამონათებისა. ზოგი მწერალი მას უწოდებს „კოსმიურ შემეცნებას“.

კოსმიური შემეცნების მთავარი თვისებაა ყველაფრის ცოდნის, ყველაფრის ფლობის განცდა, ჭეშმარიტი არსებობის, უკვდავების რწმენა. რწმენა იმისა, რომ არსებობდი ყოველთვის, იარსებებ მომავალშიც. ქრება შიში, იღვიძებს იმედი, ყველა ადამიანის სიყვარულის გრძნობა. „გამობრწყინებას“ მოაქვს ბრძნული გამონათება, სულიერი განახლება, ახალი ძალები, ნუგეში. ეს სიმღერაა სულისა და ვისაც თუნდ ერთხელ მოუსმენია იგი, ვერასოდეს დაივიწყებს.

ადამიანის აგებულების აღწერა იქნება არასრული, თუ ჩვენ არ გავიხსენებთ იმას, რასაც ოკულტისტები უწოდებდნენ ადამიანის აურას. აურას ხედავდნენ მხოლოდ მაღალგანვითარებული ფსიქიკის ადამიანები, ზოგიერთები ხედავენ აურას ნაწილს, მთლიანად კი აურას დანახვა შეუძლიათ მხოლოდ განსაკუთრებული ხედვის ადამიანებს.

ზოგიერთი თეორიის მიხედვით, აურა არის მატერია, გამოსული ფიზიკური სხეულის ფარგლებიდან.

სინამდვილეში აურა არის ადამიანის იმ შვიდი საწყისის ერთ-ერთი ემანაცია, ანუ გამოსხივება, გამომავალი საწყისიდან და არა ნაწილი თავად საწყისისა. ყოველი შვიდი ნაწილი, შემავალი ადამიანში, გამოასხივებს ენერგიას, რომელსაც ხედავენ ფსიქიკურად განვითარებული ადამიანები. ეს გამოსხივებული ენერგია ცნობილია „იქს“ სხივის სახელით და დაუნახავია ადამიანის თვალისათვის.

აურას ზოგ უხეშ ფორმას ხედავენ შედარებით დაბალი ფსიქიკური განვითარების ადამიანები, ხოლო უმაღლესი ფორმა შეუძლიათ დაინახონ მხოლოდ განსაკუთრებული ფსიქიკური ძალების, უმაღლესად განვითარებულ ინდივიდებს. ჩვენს დროში ძალზე მცირეა რიცხვი იმ ადამიანებისა, რომელთაც ნახეს აურა, გამომავალი სულიერების იმ ექვსი საწყისისაგან, ხოლო მეშვიდე საწყისის აურას ხედავენ ის არსებები, რომლებიც ადამიანებზე გაცილებით მაღლა დგანან. ხუთი საწყისიდან გამომავალი აურას დანახვა შეუძლია ბევრს.

ყოველი საწყისი ადამიანისა ასხივებს ენერგიას და ეს გამოსხივება შეერთებულად ქმნის ადამიანის „აურას“. სხვადასხვა საწყისის აურა ერთდება და არ უშლის ერთმანეთს.

ძველი ოკულტური მეცნიერების მიხედვით, აურა არის ღრუბლის მსგავსი ენერგია, რომელიც ეხვევა ყველა სხეულს. მას ახასიათებენ, როგორც სხვადასხვა ფერის გამონათებას, რომელიც სხეულის აღწერას იმეორებს და იმყოფება მასთან ახლოს.

უხეში ფორმა აურისა გამოდის ადამიანის ფიზიკური სხეულიდან. მას ზოგჯერ უწოდებენ ჯანმრთელობის აურას. ის ვრცელდება ორი-სამი მეტრის მანძილზე სხეულისაგან, უფეროა ან თეთრი–ცისფერია, სუფთა წყლისფერი.

აურა მეორე საწყისისა, ანუ ასტრალური სხეულისა, მსგავსია თავად საწყისისა, აქვს გაზის სახე, ფერი და მოგვაგონებს ორთქლს, რომელიც მზად არის გასაფანტავად. ცალკე ის წარმოადგენს ბურთისმაგვარ ღრუბლის ორთქლს, რომელიც ეხვევა უფრო ნათელ ფიგურას. ეს მსუბუქი ორთქლისმაგვარი, ოვალური ღრუბელი არის ასტრალური აურა. მას ამჩნევენ განსაკუთრებული ხედვის ადამიანები.

მესამე საწყისის აურა ანუ პრანი ძალიან ძნელი ასაწერია. მას ხედავენ მხოლოდ

ისინი, ვინც ხედავს „იქს“ სხივს. ის მსგავსია ორთქლისმაგვარი ღრუბლისა, ყვავილისა ან ელექტრული ნაპერწკლისა და ტოვებს ცხელი ჰაერის შთაბეჭდილებას. პრანს აქვს თხელი ყვავილისმაგვარი ფორმა, მაგრამ როცა ის ახლოს არის სხეულთან, ან სხეულშია, კარგავს ფერს, როგორც კი რამდენიმე დიუმით დასცილდება სხეულს, ნაპერწკლისებურია. ის ემსგავსება ორთქლს, რომელიც დგება ღუმელისაგან, ან გაცხელებული მინისაგან და უფერო, გარდამავალი ორთქლია. თუ ის გამოეყოფა სხეულს, ადამიანი განიცდის სისუსტეს. იოგები იკავებენ ამ ენერგიას.

აურა ოვალური ფორმის მანათობელი ღრუბელია და მისი ფერი დამოკიდებულია კაცის ფერზე. ყოველი აზრი ან გრძნობა ვლინდება ცნობილი ფერით, ან ფერების კომბინაციით და შეესაბამება იმ აზრს, გრძნობას, საიდანაც იგი გამოდის. განვითარებული ფსიქიკური უნარის ადამიანი კითხულობს სხვა ადამიანის აზრს თავისუფლად, როგორც გადაშლილ წიგნს, ასეთ ადამიანს ესმის აურას ფერის ენა.

ულტრაიისფერ და ულტრაწითელ სხივებს ადამიანი ვერ ხედავს, მაგრამ ეს ორი ფერი ცნობილია ოკულტისტებისათვის. ადამიანის აურაში ულტრა ფერების გამოვლინება არის ნიშანი ამ პირის მაღალი ფსიქიკური განვითარებისა.

მეშვიდე საწყისის აურა განსაკუთრებით ნათელი ფერისაა, რომელსაც ვერასოდეს ხედავს ადამიანი.

ინსტინქტური გონებიდან გამომავალი აურა გამოიხატება მძიმე ტყვიისფერით ან ნაცრისფერით.

აურა, გამომავალი სულიერი სიბრძნიდან, ანუ მეექვსე საწყისიდან, არის პირველადი ფერი, ჩვეულებრივი მზერისათვის მიუწვდომელი. ის ჩნდება სულიერი ადამიანის თავის ცენტრში და დროდადრო განსაკუთრებულად მბრწყინავია. სულიერად განვითარებული ადამიანის სახე თითქმის ბრწყინავს და იძენს განსაკუთრებულ ელვარებას. ბრწყინვა, მსგავსი გვირგვინისა, დამახასიათებელია მაღალი სულიერების გენიალური ადამიანებისათვის, ხალხთა ბელადებისა და წმინდანებისთვის.

მატერიალისტები უარყოფენ ყველაფერს, რაც უხეში თვალისთვის უცნობია. არ არსებობს ისეთი ცოდნა, რომელიც არ ამტკიცებდეს უმაღლეს სამყაროსთან კავშირს.

თეთრი და ნათელი უმაღლესი სამყაროს ფერია. ეს გამოსხივება არის უმაღლესი სამყაროს აზრობრივი ენერგიის გამოვლენა. ეს მახარობლები მოდიან უეცრად. ჩვეულებრივი სამუშაოს დროს შეიძლება დავინახოთ სინათლის მაჩვენებელი. იქნებ იმიტომ, რომ შეგვმატოს მამაცობა, სიმხნევე და ცნობიერებაში კიდევ ერთი მაგარი ქვა ჩავდოთ?

სასწაულებრივია იმ სამყაროს ცეცხლი და ნათელი.

აურა ძლიერდება უმაღლეს სამყაროსთან კავშირით, როცა ხდება თვითგაღება, ყოველი კონტაქტი უმაღლეს სამყაროსთან აძლიერებს გამოსხივებას (რამაჩარაკა) (1,57).

სინათლე არის ენერგია, ხელთუქმნელი ცეცხლი და კოსმიური ნათება ახლავს ყველა სულიერს. ფსიქიკური ენერგიის განვითარების მქონე ადამიანს ეწოდება სინათლიანი, იგი ასხივებს სინათლეს.

კეთილ მოაზროვნეს ეხვევა ცისარტყელა და ნათელი. სინათლე საწყისია, რომელსაც მივყავართ განახლებისაკენ. აზრი სინათლის მატარებელია, სინათლის სხივი არის ტვინის მაცოცხლებელი. მოაზროვნე ადამიანს გამოსხივება და უსაზღვროების ნათელი ახლავს(ე. რერიხი) (2,113).

ჰოფმანის გენიალურ სურათში – „გეთსიმანიის ბაღში“ – ჩვენ სრულიად ახალ სინათლეში წარმოგვიდგება მისტიური ბრწყინვა თავის ირგვლივ დიადი სულიერი

მასწავლებლისა.

სახარებაში ქრისტე ამბობს: „მე ვარ ნათელი სოფლისაი, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაი“ (იოანე, 5,12) (3,196).

როცა ქრისტემ პეტრე, იაკობ და იოანე აიყვანა მთაზე სალოცავად, „იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე, 17,12) (3,37).

ჰიმნოგრაფიაში ანათებენ წმინდანები: „...განათლდა სული შენი. ბნელსა მას შინა წვალებისას ჰბრწყინავდი ნათლითა საცნაურითა. განბრწყინდი, ვითარცა მთიები სამყაროსა და ჰნათობ სოფელსა“ (იოანე მტბევარი, გალობანი წმიდისა ბასილისნი).

ამ მხრივ, გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში არის საგულისხმო ეპიზოდები.

ერთხელ დეკანოზმა მნათე გაგზავნა გრიგოლ ხანძთელთან. მნათე გააოცა სენაკში ცეცხლის ბრწყინვალებამ, რადგან იქ არასოდეს დანთებულა ცეცხლი. დეკანოზმა უთხრა მნათეს: „დუმენ შვილო და ნუ გეშინინ! არა არს იგი ცეცხლი შემწუელი, გარნა სული ღმრთისაი განმანათლებელი... დეკანოზმა იხილა წმიდაი იგი ხელგანპყრობით და გუამით მისით გამოვიდოდის ნათლისა ისარნი ჯუარის სახედ. და დიდებითა შემკული იყო იგი და ესრეთ ბრწყინვიდა, ვითარცა მზე“. ე.ი. გრიგოლს ეხვევა საღვთო ცეცხლი და თვითონაც ნათელია მაღალი სულიერების გამო (4,597).

არსენ ბერის მიერ დავით აღმაშენებელი წარმოდგენილია, როგორც „საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის, ბრწყინვალე, ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის“.

ჩახრუხაძის „თამარიანში“ თამარ მეფე არის „თვალშეუდგამი ნათლის მფენელი“, „აბდულმესიანში“ კი იგი წარმოდგენილია, როგორც „ნათელი, სახედ ელვისა“, „ზენათელი“.

„ვეფხისტყაოსანში“ თინათინს მიემართება ფრაზა: „ნათელსა მას უღამოსა“.

„არეოპაგიტულ კრებულში“ „ცეცხლშემოსილი და ელვით განათებულია“ დიონისე არეოპაგელი.

წმინდა ნინო ასეა დახასიათებული: „შენ ხარ მოძღვარ ქართლისაი, სვეტი ნათლისაი, ცვარი ღრუბლისაი, მზრდელი სულისაი, მასწავლელ სიხარულისაი“ (უცნობი ავტორი, გალობანი ნინოისი), (4,481-482).

ზეციური შუქით ანათებს ვაჟა-ფშაველა: „იმას აღარვინ ფიქრობდა, თუ მეც რა ძალა მფარავსო, წყლული ზედ გამომესახა, შუქით ხმელეთი აავსო“ (ცხოვრებამ არ შამიბრალა) (5,102-103).

შუქიანია ვაჟას „კაი ყმა“: „...მზედ იდგეს ხევსურეთისა, უხვად შუქს ჩამოჰლალავდეს“ (5,158-161).

„სტუმარ-მასპინძელში“ ზვიადაური არის „ცით ჩამოსული სვეტადა“.

„ცის სვეტად გაქვავებულია“ აკაკი წერეთელი (ხატის წინ) (6,32).

შუქიანებად წარმოიდგინებიან ქართული მითოლოგიის ღვთისშვილები.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ვერგილიუსს ეწოდება „სხვა პოეტების ნათლის სვეტი და სიამაყე“.

ა. ფეტი ასე მიმართავს ა. ბლოკს: „მახსოვს ზეციურ შუქით შობილი შენი ნათელი შარავანდედი“.

სულიერ ძალებს ახასიათებთ წვისა და ნათების უნარი (ა. დრევსი).

„რაც არ იწვის, არ ანათებს“, აცხადებდა აკაკი წერეთელი.

უოტ უიტმენი წერს: „ჩემი სული ანათებს ცის ფირმამენტს და ამ ვარსკვლა-

ვებს...“

„წმინდა ნათელით“ ელვარებს გოეთე: „წამს ვარსკვლავად ავენთე... მიცქერი და გაოცებს ეს ნათელი წმინდა“ (მისწრაფება). მისი სატრფო არის „ჰაეროვანი, ნათლით მოსილი“.

სულის ნათელი განარჩევთ შემოქმედ ადამიანებს. მარკუს ავრელიუსი ამბობს: „სული გამუდმებით ასხივებს ნათელს და მის შუქზე ჭვრეტს როგორც გარეშე საგნების, ისე სამყაროს უსასრულობაში დამარხულ, ასევე მისსავე შინაგან ჭეშმარიტებას“ (7,261).

ეკლესიასავით გუმბათივით გაბრწყინებულია სულის შუქით, შინაგანი წვით ტერენტი გრანელის სახე: „საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია“, „მე – მზე ანთებული“ (ციხის ელეგია) (8,131).

კანდელის ბრწყინვალებას, სიცოცხლის ნათელს ეძებს გალაკტიონის პოეზიის ლირიკული გმირი: „მხოლოდ ყოფნა დღევანდელი განმინათლე, რომ მალხენდეს, რომ სიცოცხლის ნათელს მფენდეს, რომ ბრწყინავდეს, ვით კანდელი“ (გუშინ, დღეს, ხვალ).

შუქით და მზით, სულიერი სიბრძნით არის განათებული გალაკტიონის ლექსის პერსონაჟი: „ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით ვერ გატყდა გმირი, ბრწყინვალე შუქით და დიადემით დგას, ვით ქვითკირი“ (გამძლეობა), „მე სხვა მზე მმოსავს, როგორც შეჰფერის საქართველოს სახალხო მგოსანს“ (დღეს შემისრულდა).

ელვის შარავანდედი ახვევია პოეტს („ელვათა შუქი მეხვევის“). „მზე ორნამენტად“ ეფინება, მისი „შუქმოსილი ბრწყინვალება“ აბნელებს ირგვლივ ყველაფერს, მისი „დიდების ელვარება“ მოსდებია თბილისს.

„სიბრძნე კაცისაი განანათლებს პირსა“ – შეგვაგონებს ეკლესიასტე.

„დამწევა საკუთარ ალმა“, გვაზიარებს თავის ცეცხლთან ტერენტი გრანელი.

„სულო, შენ გაალდები“, აცხადებს გალაკტიონი და „სულის ცეცხლად გადაქცევა“ ენატრება.

ამ შინაგანი წვის, სულიერი ნათლის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი შემოქმედება, ამიტომაც აღწევენ დაუნანებელ თვითგაღებას სიტყვის ოსტატები, თუ ნებისმიერი დიდი ხელოვნების გამორჩეული წარმომადგენლები.

განვითარებული ფსიქიკური უნარის ადამიანი თავისუფლად კითხულობს სხვა ადამიანის აზრს, როგორც გადაშლილ წიგნს. ასეთ ადამიანს ესმის აურას ფერის ენა, მაგრამ ფსიქიკურ სამყაროში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანი ვერ დაინახავს ვერაფერს, გარდა ერთმანეთში გარდამავალი გასაოცარი ფერებისა მანათობელ ღრუბელში, რომელთა მნიშვნელობა მას არ ესმის.

არსებობს გამოუთქმელი და დაუნახავი ფერები.

გალაკტიონის მახვილი მზერისათვის ასომთავრულივით მისაწვდომი იყო სხვათათვის უხილავ-ფარული: „...ულტრაიისფერ სხივით ლაგდება დღე“, ამბობდა პოეტი და მოიხელთებდა ადამიანური მხედველობისთვის შეუმჩნეველს (ულტრაიისფერ სხივებით მთებზე) (9,471).

ინტელექტუალური ადამიანის აურა არის ოქროსფერ-ყვითელი ფერის, რომელიც ეხვევა ადამიანის თავს და კისერს, ხოლო აურას ქვედა ნაწილში შეიმჩნევა ცხოველი ცისფერი ყვავილი. ეს ცისფერი გვიჩვენებს მაღალ სულიერებას. მაღალგანვითარებულ ადამიანში ცისფერი ცენტრი იფარება ფართო ოქროსფერ-ყვითელი ფოჩით, ასევე, გაბრწყინებული წერტილებით.

გალაკტიონი ხედავდა აურას ამ ურთიერთდაკავშირებულ ფერებს: „იქ, სად

მზისფერი ეხვევა ცისფერს, შემოდგომისგან ალისფერ ჟღალი, იფნის შოლტივით მოქნეულ გზის პირს, გზაჯვარედინზე დგას ნეკერჩხალი“.

ცნობილია, რომ აურას სხვადასხვა ფერი აქვს იმის მიხედვით, თუ რომელ მისწრაფებას უკავია გაბატონებული ადგილი.

„ცამდე ალბათ ბევრჯერ ადის შადრევნების ვედრება, დამტვრეული სიფერადის სულით შემოთეთრება“ – გალაკტიონის ამ სტრიქონებში სწორედ აურას ფერის ცვლა უნდა იყოს მინიშნებული (შადრევნების ვედრება) (11,56 5,2,94).

აურას დანახვას უნდა მოასწავებდეს ფრაზა: „ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას“ (გზაში) (10,87-89).

გალაკტიონის „სამი ღრუბელი“ სამი საწყისის, აურას ფერების ნახვის შთაბეჭდილებას უნდა გადმოსცემდეს. პოეტი ირწმუნება, რომ მას უნახავს „სამი ფერადი ღრუბელი“, რომელიც მის „ეფემერებს ინახავს“.

ლექსის ავტორს თითქოს ახსოვს ოქროსფერი ღრუბელი, რომელიც სიზმარეულ გზებთან არის დაკავშირეუბლი: „ღრუბელი ცაზე ეშვება ლაჟვარდი, ოქრორეული, ო, დროო, გამახსენდება შენი გზა სიზმარეული“.

წითელი, ცვალებადი ფერის „ეფემერადი“ ღრუბელი შემეცნების სხვა დონის დამახასიათებელია: „წითლად ელვარებს მეორე, მრისხანე ეფემერადი, ქარივით მომეტეორე და ცვალებადი ფერადი“.

„თეთრი ღრუბელი“ კი მარადიული ზეცის შემეცნების მომასწავებელია: „და თეთრი, თეთრი ღრუბელი თითქოს მარადი ქაფია, სიცოცხლე დაუგუბელი და ცივი ეპიტაფია“ (სამი ღრუბელი) (9,319).

„ნათლით... ნათობს“ გალაკტიონის პოეზიის ლირიკული გმირი, იგი ანათებს, როგორც „კანდელი“, რადგან მაღალი სულიერების მადლი დაჰბედებია...

ლექსი „ვარსკვლავია“ ერთგვარ სევდას ამხელს, რომ მის დიდ სულიერ ნათელს ვერ ამჩნევენ გულგაუნათებელი ადამიანები: „მაინც როგორ ხდება ასეთ სიბნელეში, შენ რომ ცას ანათებ და შენ ვერვინ გხედავს და შენ ვერ უგრძვნიხართ“ (9,812).

„ღვთაებრივ კომედიაში“ დანტეს „საკუთარი მოსავს ნათელი“, უოტ უიტმენს „ბრწყინვალება არზმანებული გარს ახვევია, როგორც ირისე“, მისი „სული ანათებს ცის ფირმამენტს და ...ვარსკვლავებს“...

გალაკტიონი არის „ზეგარდმონათლით მოსილი, თეთრი, ანგელოზური „ბრწყინვალებით“ გარემოცული... (ზღვის პირად მდგარი), ახალი მზე (12,19), „მე სხვა მზე მმოსავს“, აცხადებდა პოეტი.

პრანი არის მსოფლიო ენერგია, სასიცოცხლო ძალა. ის მონაწილეობს სიცოცხლის ყველა ფორმაში. სიცოცხლე ყოველ ატომშია, პრანი არის ყველგან და ყველაფერში.

პრანის ნაწილი აქვს ჩვენს „მე“-ს თავისი ნივთიერი გამოვლინებისათვის. როცა „მე“ გადის ფიზიკური სხეულიდან სიკვდილის დროს, პრანი თავისუფლდება „მე“-ს ზემოქმედებისაგან. სხეული იშლება შემადგენელ ნაწილებად და ყოველი ატომი თავისი ძალით შედის ახალ კომბინაციაში. პრანის ნაწილი უბრუნდება მსოფლიო წყაროს. ის არის არა მატერია, არამედ ძალა, რომელიც აცოცხლებს მატერიას. ის, რასაც უწოდებენ სასიცოცხლო მაგნეტიზმს, არის პრანი.

პრანის, ნებისყოფის ზემოქმედება წარმოადგენს აზრის გადაცემის, ტელეპატიის საშუალებას. შეიძლება ადამიანი გავხვიოთ აზრის შემცველ ატმოსფეროს პრანში, რომელიც მას აძლევს უნარს, წინ აღუდგეს მტრულ აზრობრივ ტალღებს. სისტემატური სრულყოფით მიიღწევა ადამიანში უმაღლესი ძალების ამოქმედება,

რომლებიც უვითარებენ მას იმის უნარს, რომ ის ამაღლდეს უმდაბლეს საწყისზე.

როცა აზრი წარმოიქმნება, თავის თავში შეიცავს პრანს, რომელიც ანიჭებს მას დამატებით ძალას და ხშირად მოაქვს გასაოცარი შედეგი. პრანი აცოცხლებს აზრს და აქცევს მას თითქმის სულიერ არსებად.

ჩვეულებრივ აზრზე ძლიერია პრანით გამსჭვალული აზრი. ყოველი დადებითი აზრი შეიცავს პრანს. ასეთი აზრები ფრენენ ტყვიასავით. ორატორის სიტყვის ძალა, აზრი თითქმის სულიერ, ცოცხალ არსებად იქცევა, ბოროტი აზრის ძალა უკან უბრუნდება გამგზავნელს.

ცხოვრებაში, ადამიანებში განუწყვეტლივ გამოიყოფა მაგნეტიზმი, ანუ პრანის ენერგია. ადამიანს შეუძლია მისი მართვა, დაგროვება და მიმართვა სასურველი წერტილებისკენ. პრანის ენერგია არის ბუნების ბრმა ძალა, როგორც ელექტრობა, მაგრამ ადამიანის მოქმედებას დაქვემდებარებული.

ადამიანის მაგნეტიზმი არის ფორმა პრანის ენერგიისა, რომელიც ვლინდება სხვადასხვაგვარად. იგი ადამიანის შვიდი საწყისიდან ერთ-ერთია და არის ყველა ორგანიზმში. ადამიანი იღებს პრანს ჰაერიდან, რომლითაც ის სუნთქავს, საჭმლიდან, წყლიდან, პრანის ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა ადამიანში.

იგი გამოყოფს დიდძალ მაგნეტიზმს, ფიქრის ტალღებს. ყოველი აზრის ტალღა სავსეა მაგნეტიზმით.

პრანით ანუ მაგნეტიზმით შეიძლება მკურნალობა... პრანის მარაგი იგზავნება ორგანიზმის დაზიანებულ ნაწილებთან მიზანმიმართულად.

ადამიანს აქვს იშვიათი ძალა სულისა, „მე“ შეერთებულია ენერგიის დაუშრეტელ წყაროსთან (1,57,66).

როცა ადამიანს შემოეხვევა ნათელი დიადემა და ცისარტყელა, ის უკვე არის შეერთებული უმაღლეს ენერგიასთან. მიწიერ ცხოვრებაშიც ადამიანს შეუძლია შეიგრძნოს დიადი ენერგია, „სხვა ენერგია“.

უმაღლესი ენერგიის ნაპერწკალი აქვს ყველა ადამიანს. საფრთხის წინ ძლიერდება ძალები, ექსტაზის მდგომარეობა გვაძლევს არამიწიერ ძალებს. ყოველი შეხება უმაღლეს სამყაროსთან მიწიერ აზრებს აქცევს კეთილთვისებიანად (ე. რერიხი, „აუმ“).

„ტანტრას“ მიხედვით, „ჭეშმარიტი არსება ძალას და მაგნეტიზმს ასხივებს“.

ართურ შოპენჰაუერის კონცეფციით, სიცოცხლის საწყისია „ნება“, რომელიც დაახლოებით „ძალას“ ნიშნავს. ეს ცნება ნიცშესთან „ძალაუფლების ნებად“ გარდაისახა.

სიცოცხლე არის სწრაფვა, სწრაფვა კი წამებაა. ნება შოპენჰაუერისათვის არაცნობიერად მოცემული ენერგიაა. მისი მოძღვრების საწყისი ბუდისტური რელიგიაა (8,53).

ძალის აპოლოგიაა გალაკტიონის შემოქმედება.

მთელ დედამიწას ედება და ამღერებს ძალა: „რა მოხდა? ქარი? ქარიშხალია? როგორ უარყოფ ძალას ამ ხმისას? დიდი ხანია, რაც რომ იმგვარად არ უმღერია ჩანისლულ მიწას“ (ხანდახან).

ლიტერატურა

1. Рамачарака, Основы миросозреания Индийских Иогов, М. 1913
2. Е. Рерих, Мозаика Агни Иоги, в двух книгах, I, Тбилиси, 1990
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992

4. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტ. I, თბ. 1987
5. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 2011
6. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული,ტ. 2, თბ. 2012
7. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თარგმანი ბ. ბრეგვაძის, თბ.1972
8. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
10. გალაკტიონ ტაბიძე ორ ტომად, ტ. I, თ. 1988
11. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 1994
12. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 2,თბ. 2011
13. П. Рибо, Философия Шопенгауера, ств, 1901

„იდუმალებით... სავსეა... ნისლი

ბიბლიის, ქრისტიანული ღმრთისმეტყველების მიხედვით, ღმერთი კაცთაგან დაფარულია, ის ღვთაებრივ ნისლში სუფევს და ადამიანებს ეცხადება ელვის, ღრუბლის ან ნათლისა და ცეცხლის სვეტის სახით.

საღვთო ნისლის შესახებ მოძღვრება მთელი თანამიმდევრულობით არის დამუშავებული დიონისე არეოპაგელის მიერ: „ზეშთაარსებისა იგი ვიხილოთ ნისლი ყოვლისგანვე არსთა შორისა ნათლის დამალული“.

„სამებაი ზეშთაარსებისა... დაფარულ საიდუმლოსა დუმილისა არმურითა“.

„ღმერთი არცა ვის უხილავს, არც იხილვების, გარნა ღმერთის გამოცხადებანი ოდენ იქმნნეს წმიდათა მამათა“ (1,114,5,226,10).

ჭეშმარიტი არსებობის მიზანი გამოცხადებაა და ღვთაებრივ ნისლში შეღწევას შეძლებენ მხოლოდ ზნეობრივად განწმენდილი ადამიანები.

საღვთო ნისლი ღვთიური სიბნელეა, წყვდიადი. „გრიგოლ ნოსელი, რომლის მჭვრეტელობითი მეცნიერებისათვის ნიშანდობლივია პარადოქსული სახელდებანი, თავის სახელგანთქმულ შრომაში „მოსეს ცხოვრება“ (ქართულად თარგმნა ექვთიმე ათონელმა) საღვთო შეუცნობლობის აღმნიშვნელ „წყვდიადს“ ურთავს ეპითეტს „მბრწყინავი“. ხსენებული ატრიბუტი ღვთისა, „მბრწყინავი წყვდიადი“ თავისი თეოლოგიურ-სახისმეტყველებითი შინაარსით იგივეა, რაც რუსთველური „მზიანი ღამე“.

რ. ლეი აღნიშნავს, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის მოძღვრებით, „ერთი და იგივე სინამდვილე თანადროულად არის მბრწყინავიც და დაღამებულიც“ (2, 354-355).

ბიბლიაში მოსე იყო ღვთის რჩეული და ამიტომაც ევლინებოდა სხვათაგან უხილავი: „მოსე მიადგა ნისლს, სადაც ღმერთი იყო“ (გამოსვლა 20,21) (3,77).

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისოა უხილავის ხილვის უნარით მომადლებული: „მადლთაგან საღმრთოისა წმიდისათა განათლდა წმიდაი სული შენი... უხილავთა მხილველო დიონისი“ (4,153).

ჰიმნოგრაფიაში დიდია სწრაფვა საღვთო ნისლში შეღწევისაკენ: „შეხუედ ნისლსა მას შეუხებელსა და ისწავენ გამოუკვლეველნი საიდუმლონი სამებისანი... ღირსო ბასილი... განჰბრწყინდი ნათლითა ზეგარდმოითა, რაჟამს შეხუედი ნისლსა მას

შეუვალსა ღმრთისა სიბრძნისასა“ (იოანე მტბევარი).

„მოსე წინასწარმეტყველმან იხილა უხილავი სიტყვა ღმრთისა ნისლსა შინა საიდუმლო“ (ეზრა).

იოანე მინჩხი წერს: „აჰხედ ბრძენო, სათნოებითა სიმაღლესა და შეხუედ შეუვალსა ნისლსა ღმრთისა სიბრძნეთასა და განჰბრწყინდი მას შინა საღმრთოითა მით ნათლითა“ (დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი).

ჰიმნოგრაფიაში გვხვდება აგრეთვე ნისლი ცოდვის, წვალების, ვნებისა და უღმერთობის სიმბოლოდ: „განაქარვე ნისლი წვალებისაი, ვითარცა ნიავმან“ (იოანე მტბევარი), „განაქარვე ნისლი ცოდვისაი ლოცვითა“ (იოანე მინჩხი), „ვნებათა ნისლი“ (ნევმირებული ძალისპირნი, 1982, გვ. 85). „ნისლი უღმერთობისაი“ (5,683).

„საღვთო ნისლით“ გალაკტიონი თანხვედრას ავლენს დიონისე არეოპაგელთან. პოეტს აწვალებს ღვთაებრივი ნისლის საიდუმლოება, „მისტერიების ნისლი მარადი“.

გალაკტიონ ტაბიძეს ჰეგელიდან მოაქვს ნეოპლატონურ-არეოპაგიტული წარმოდგენა „საღვთო ნისლისა“, სადაც იშლება ზღვარი ნათელსა და სიბნელეს შორის: „წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“ (წარწერა წიგნზე) (6,778).

გიორგი ჯიბლაძე აღნიშნავს ამის შესახებ: „განა ჰეგელის დეფინიციების პოეტური აღქმა, რომ „ყოველივე მიმდინარეობს და იმავე დროს დგას ყოველივე“, რომ წმინდა ნათელში ისევე ბნელა, როგორც წმინდა სიწყვდიადეში – ფილოსოფიურ ლირიკას არ განეკუთვნება?“ (7,181).

თენგიზ ბუაჩიძეს ამ ლექსის ღირსებად მიაჩნია ურთულესი ფილოსოფიური აზრის გადმოცემა ნათელი მხატვრული სახეებით, ხედავს რა პოეტის მსოფლგაგების სიახლოვეს ჰეგელის ფილოსოფიური მრწამსის ზოგიერთ მხარესთან, აღნიშნავს, რომ ამ ლექსში გვაქვს „ჭარმაგისა და მოხუცის მიმართება სამყაროსთან, ყრმის პოზიციები ჰეგელის „გონის ფილოსოფიაზე“ დამყარებით...

ჰეგელის მიხედვით, სადაც არაა განსაზღვრება, გარკვეულობა, იქ შემეცნებაც შეუძლებელია, წმინდა სინათლე წმინდა სიბნელეა“.

ლექსის ბოლო სტროფი ოპტიმისტურია, ამაღლებაა „ცეცხლზე, ნაცარზე, აკლდამაზე“ (რაც საერთოდ დამახასიათებელია პოეტისათვის) და სიტყვის, გონის აპოლოგიაა.

„ეს ოპტიმისტური განცდა სამყაროსი, იდენტური სამყაროს ჰეგელისეული განცდისა, განმსჭვალავს გალაკტიონის მთელ ლექსს“ (8,109-111).

გალაკტიონი ცდილობს წვდეს წმინდა ცის შუქს: „არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (გრძნობათა ფერფლი) (6,28).

ციურ ნისლზე ფიქრში მონასტერს შეფარებული ლირიკული გმირის სახეა გალაკტიონის ლექსში „ჰორიზონტი ოდნავ ღელავს“: „ობლადა დგას მონასტერი, სადაც თავი შეაფარე, სადაც ციურ ნისლთა ფიქრში მიატოვე ცოდვათ მხარე“.

არსის, ღვთაებრივი ნისლის შეუცნობლობაზე ხაზგასმაა ლექსში „მარსი“: „ნისლში მოძრაობს არსი“ (6,297).

„წმინდა ნათელის“ საიდუმლოება სხვაგანაც იქცევა ინტერესის საგნად: „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი“ (ავე მარია) (645).

პოეტის სულს არ ტოვებს ოცნება ანგელოზებზე, ჰაეროვან, შორ, წმინდა ქვეყანაზე: „მე მესიზმრება რაღაც არაჩვეულებრივი, რაღაც სპეტაკი და უმწიკვლო, როგორც ცის ვნება... მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა, სადღაც ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული, მე მესიზმრება ანგელოსთა ციური ნანა, ღამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩასახული... მესმის, არც მესმის ქვეყნიურთა ვნებათ ძახილი“ (მე მესიზმრება) (6,39).

ზოგჯერ ნისლია მისი პოეტური ზეცის მეუფე: „ნისლით იყო დაბურული ჩემი ზეცა და ედემი“ (დღეთა გარდასულთა) (6,119).

პოეტური ცნობიერების ნისლია გამოხატული სტრიქონებით: „სულში ნისლის ტბებია და ქაოსის მხატვარი“ (დგება თეთრი დღეები) (9,185).

ამიტომ „ბნელი ბინდბუნდით მოცულ მხარიდან“, ნისლის სასუფევლიდან ეძახის გალაკტიონი აჩრდილებს, რათა პოეტური სიცოცხლე მიანიჭოს (სიტყვა და ლოცვა).

ამის გამო უმიზნებს იგი „ნისლიან ამინდს“, ახარებს სათქმელის დაკონკრეტება, სახის განათება: „კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა“ (ეფემერა), „სილამაზეს გენიამ ნისლის ახადა რიდე“ (ის სიხარულიც).

„ნისლში გამქრალი საიდუმლო“ სიტყვა ახალი პოეზიის სტილია, „ციური რიდე“ – მისი მანერა: „...ნუ მოაცლი ციურ რიდეს, რომ ბურუსში ჩნდებოდეს“.

მერე კი განსხვავებულ ხედვას იძენს, მეტი გარკვეულობა იტაცებს და იტყვის: „მზეებრ ნათელ პოეზიას, კმარა, ნისლი აღარ უნდა“.

რენესანსის მესიტყვე პოეტი გმობს „ნისლთა ობობას“ და „გათენებათა რაინდის“ სახეში გვეცხადება (სიცოცხლის მტევნები) (10,407).

ნისლში საკუთარი ვარსკვლავის ძიებაა ლექსში „ბრწყინავს ვარსკვლავი“.

ერესის სულით შეპყრობილმა პოეტმა, რომელმაც თავისი თავი წარმოიდგინა პოეზიის „ახალ ღმერთად“, მაინც გადო ხიდი მოკვდავსა და ღმერთს შორის და თვით გახდა ღვთაებასავით შეუცნობელი: „ბინდის დიდი კამარა, როგორც შავი დიდება, ღმერთმა დაგვასამარა, ღმერთთან ხიდი იდება“.

იდუმალება გალაკტიონის ესთეტიკის უმთავრესი ნიშანია. მის პოეზიაში იდუმალია ყველაფერი, მათ შორის ნისლიც: „იდუმალებით ისევ სავსეა ზღვის ცივი გული, ნისლი სოველი“ (სიჩუმეა ეს).

ზეცის საიდუმლოების შეუცნობლობას, ღვთაებრივი ნისლის მიუწვდომლობას გვაგრძნობინებს ლექსი „სტიროდა ზეცა“: „ცის კამარაში ნისლის თეთრი სცურავდა ღამე, ბროლივით წმინდა, გამჭვირვალე და მოკამკამე, მიუწვდომელი იყო იგი ცაში მცურავი... ფრთაუზრუნველად თან მიმსრბოლი, როგორც ტბის ნავი“.

ზოდიაკალური საღვთო ნათელიც ნისლით დაბინდულია: „ნისლი უმატებს წყენას ზოდიაკალურ ნათელს“.

რუხ ნისლებში ცეცხლს ჭვრეტს, როგორც გამოცხადების ნიშანს: „იდუმალ ხანად, სანამ გული არ დასვენდება, თითქოს სადღაც წუხს საღამოს ზარი. რუხი ნისლების ნამქერებში ცეცხლი ენთება, ვით აფეთქება ჩუმი და მკვდარი“.

„ბინდის მწვერვალებისკენ“, ღვთაებრივი ნისლისკენ მიჰყავდა პოეტი „მხოლოდ და მხოლოდ გულსა და სინდისს“.

სულ სხვაა „იწვება სული ხილვის ტაროსზე“, რაც პოეტური ხილვაა, მაგრამ ჰალუცინაციაა, ავადმყოფური მდგომარეობაა: „და ევედრება მირაჟს მირაჟი, შეშინებული და ნისლიანი“ (მთა). გალაკტიონი, ასხვავებს რა პოეტურ ხილვას ჰალუცინაციისაგან, ირონიას ვერ იკავებს მისტერიების ნისლის მკვიდრთათვის: „კარგია,

სხვას ერთ კვარცხლბეკად ჰქონდეს მისტერიების ნისლი მარადი“ (პოეტი და ოქტომბერი).

ნისლი ანტიციპაციასაც დაუკავშირდა პოეტის ლექსში, ნისლის ნამქერში ლურჯ-ვარდისფერის გამოკრთომა მომავლის განჭვრეტაც იყო თითქოს: „უშვებდნენ დღეებს სიმწარით მავალს ხანმოკლე სიზმრის გზა სწორზე სწორი. განჭვრეტდნენ დღეებს, დღეებს მომავალს ნისლის ნამქერი ლურჯ-ვარდისფერი“ (სახელწოდება პუშკინის სახლის).

ლიტერატურა

1. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ. 1961
2. წმინდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
4. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1981
5. პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
7. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. VI, თბ. 1981
8. თენგიზ ბუაჩიძე, როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი, „ცისკარი“, 1975, №12
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
10. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, თბ. 2014

ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები

გალაკტიონ ტაბიძის მთავარი, მარადიული ღირებულების მქონე სათქმელი უმეტეს შემთხვევაში საძიებელია ენიგმებში, პოეტურ ლიცენციებში.

სიმბოლური „ბეჭედი“ პოეტის ლექსებში გვხვდება, ესენია: „პუშკინი პარიზში“ (1,584), „საღამოვ, ვიცი“ (1,123), „დომინო“ (2,101). „ხელები“ (1,122), „სამრეკლო უდაბნოში“ (1,83).

ბეჭედი ფიგურირებს ღვინოსთან, ვარდების ცვართან, ხელებთან, მოლთან...

ლექსში „პუშკინი პარიზში“ მოქმედება ხდება პარიზის კაფეში, სადაც პერსონაჟს ვეცნობით. ჯერ გვეცხადება „პალმების ბუჩქის ტოლი და სწორი“ პოეტი, რომელიც ამბობს: „ვუსმინოთ პუშკინს, რომ დგას ჩვენს შორის“...

ე.ი. რუსი წინამორბედი განიცდება, როგორც ცოცხალი, იგი არათუ დგას ამ ირეალურ თავყრილობაში, არამედ, ერთი შეხედვით, ბოჰემის მანტია მოუსხამს, მაგრამ მერე ვხვდებით, რომ პოეტმა იგავურ-სიმბოლური ხერხით, პოეტური ლიცენციის საშუალებით გაგვიმჟღავნა თავისი სათქმელი...

გალაკტიონს საერთოდ ახასიათებდა წინაპრებთან ასეთი „კომუნიკაცია“. ის შოთას „იცნობდა“ ძალიან კარგად (თენდება, გათენდა), ეცხადებოდა ედგარ პო

(ედგარი მესამედ), ოქროსფერ ნავში იმყოფებოდა ედგართან, ნოვალისთან (ის ადგილები), ექვსი წინამორბედი ქართველი კლასიკოსის მხარდაჭერას გრძნობდა (ო, ნანა, ნანა).

ასეთი ორმხრივი „კომუნიკაციის“, სულთა შეხმიანების მაგალითები მოიპოვება ვაჟა-ფშაველას, ტერენტი გრანელის პოეზიაში.

და ისევ ზემოხსენებულ ლექსს რომ მივუბრუნდეთ, რაზე საუბრობს ამ პოეტურ თავყრილობასთან „გამოცხადებული“ პუშკინი? ყურადღებას იქცევს მისი რჩევები: „გადავერიოთ ბახუსის ალებს, შორს სევდა-დარდი. ეს გაუმარჯოს მშვენიერ ქალებს, ჩვენ რომ ვუყვარდით!“

ამ, ერთი შეხედვით, ბახუსისმოყვარეობისკენ მოწოდებას ენაცვლება საკრალური სავსე თასების, მათი „ცბიერი ძალის“ და ღვინის სიანკარეში ჩაშვებული ბეჭდების ხსენება: „სავსე თასების ცბიერ ძალაში ნუ დავეჭვდებით, ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები“.

ღვინით სავსე თასებთან სრულ კონტრასტშია ბეჭდები, რომელიც „ჩაშვებულია“ ღვინოში.

ღვინიანი თასის გადაკვრა ემსახურება „ჩარჩოს“ გადაცდენას, თავისუფლებას და მგოსნების მუზებს, აზრს ადღეგრძელებს: „ასწით თასები, გადავკრათ უცებ, გადავცდეთ ჩარჩოს, ეს გაუმარჯოს მგოსნების მუზებს, აზრს გაუმარჯოს“.

ე.ი. კონკრეტდება, რომ ხდება აზრით, პოეზიით თრობა, აზრის, მუზის გაიდეალება, პოეტური ჩანაფიქრი კი დოგმებში, არტახებში არ ეტევა, მათთვის აუცილებელია „ჩარჩოს“ გარღვევა, თავისუფლება, არსებული ტრივიალობის, რუტინის დაძლევა, ჩვეულებრივ შესაძლებლობებზე ამაღლება...

გალაკტიონის პოეზიაში თრობას არაერთმნიშვნელოვანი აზრი აქვს. პოეტი თვრებოდა ძველი ღვინით, პოეზიით, დღის სიელვარით, ცეცხლით, ყვითელ ფოთლებით, ფიქრით, ვარდებით, გრიგალით, ოკეანით, წვიმით, მწუხარებით...

გვენიშნება „თასის“ ნაირსახეობანი: თვალების თასი, სიხარულის თასი, ფიცით სავსე თასი, ბედთან არდარიდების თასი, მეგობრული თასი, ალის თასი, საწამლავებით სავსე თასი, სიხარულის ჭიქა, ფიალა, ცეცხლიანი აზარფეშა... (3, 184-185).

პოეტის „წარსულის ვალებში“ მოხსენებულია „მუსიკა, ღვინო და ყვავილები“...

სული ელტვოდა „ცისფერ ღვინოებს“, „ღვინის ფარებს“. საუბრობდა მკურნავ ღვინოზე...

და ისევ „პუშკინი პარიზში“: რას ნიშნავს ღვინის სიანკარეში ბეჭდის ჩაშვება, რასაც მოსდევს „ჩარჩოს გადაცდენა“, მუზებისადმი მისალმება და აზრის გამარჯვება?

ბიბლიაში ორგვარი ვენახი ხარობს, მიწის და ზეცის.

მიწის ვაზი ებრაელი ხალხის მეტაფორაა: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, კეთილ თესლად დაგთესე“! (იერემია წინასწარმეტყველი) (2,21) (4,126).

ზეციური ვენახი, ვაზი ჭეშმარიტი ქრისტეს ზედწოდებაა: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“... (იოანეს სახარება, 15,1) (5,213).

წმინდა წერილში ქრისტე ღმერთის მოვლინება წარმოდგენილია, როგორც ნადიმი ძველი, დაწმენდილი ღვინით: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) (4,91).

ღვთისმეტყველებაში ღმერთს ეეწოდება „სულიერი ღვინო, ზეციური ღვინო“, რომელიც სულიერ ავადობას კურნავს: „სულიერი ღვინო, ზეციური ღვინით საზ-

რდოობა განწმენდს... სულიერი წყლულების სიბილწეს და მას სრულ სიჯანსაღეს მიანიჭებს (წმ. იოანე ოქროპირი, სინანულისა და ლოცვის შესახებ) (6,163).

როგორც ჩანს, გალაკტიონი ზედმიწევნით იცნობდა ამ წყაროებს, რადგან მის პოეზიაში „ძველი ღვინო, ძველისძველი ღვინო, ძვირფასი ღვინო, უკვდავი ღვინო“ ქრისტეს სიმბოლოებია, „მემარნე, მეღვინე“ მამაღმერთის, თასი მარიამის სიმბოლოა.

„ზღვის ეფემერაში“ (1,296) სიხარულის წყაროა ღვინო, მეზღვაურები (პოეტები) მუდმივად ეწაფებიან ღვინოს (რწმენას).

„ვერხვებში“ „ძველი ღვინის“ „უგონოდ, მძაფრად სმაზეა“ საუბარი.

ლექსში ისევ „ოცნება და სიყვარული“ (1,422) ოცნებობენ ღვინოზე, მარადიულ ცეცხლზე. ღვინოც და მარადიული ცეცხლიც ღმერთის სახელებია.

პოეტი წუხს, რომ „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“ (მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით) (1,122).

ყოფნა, ცხოვრება ქრისტეს სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14,6) (5,211).

მფარველი ცეცხლი, მარადიული ცეცხლი, განმანათლებელი ცეცხლი ქრისტეს ზედწოდებაა (ბიბლია, დიონისე არეოპაგელი, სასულიერო პოეზია).

ასეთი მეტაფორული სახეებით გვაცნობიერებს პოეტი თავის რელიგიურობას.

ბიბლიაში „ძველი, დაწმენდილი“ ღვინოა სულის სიბილწის მკურნალი, გალაკტიონი კი ეზიარება „უანკარეს ღვინოს“ (ღმერთს) და ასე გამოხატავს თავის ღვთისნიერობას: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინისფერია“... (ცხოვრება ჩემი) (1,68).

ღვინოსთან ბეჭდის მოაზრება შემთხვევითი როდია, რადგან „ზეცის ბეჭედი“ მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა (ნევმირებული ძლისპირნი) (7,820).

ლექსი „პუშკინი პარიზში“ ერთად მოიაზრებს დედა-ძეს ღვინისა და ბეჭდის სიმბოლური სახეებით.

მგოსნის მუზა, როგორც სხვაგანაც მრავალგზის, ამჯერადაც ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის სათაყვანებელი, მარადიული სახეებია.

შემდეგ პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს უმწეო სანთელს და მზის შუქს, ცრუ სიბრძნეს და უკვდავ აზრს, სწრაფწარმავალ ნისლს და გმობს ღამეს, მიესალმება მზეს: „იბრწყინე მარად, დიადო მზეო, იბრწყინე მარად! ვით ეს სანთელი ჰქრება უმწეო მზის შუქის კარად, ისე – ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს, ვით ნისლი რამე, იხრწნება, ჰქრება. გაუმარჯოს მზეს, ძირს ბნელი ღამე!“

ბიბლიაში „მზე სიმართლისა“ (მალაქია წინასწარმეტყველი), მზე საღმრთო სახელებია. მივმართოთ ფსალმუნს: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (5,614).

ბიბლიური წინასწარმეტყველები, ღვთისმეტყველები ღმერთს უწოდებენ „სიბრძნეს და ბრძენს, აზრს და მოაზროვნეს“ (8,337).

ლექსში ბუნებრივად ივლება ხაზი ღვინოსა, ბეჭედსა და უკვდავ აზრს შორის.

ბოლო სტრიქონები კიდევ უფრო დამაფიქრებელია: „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“.

თასი, ფიალა, ჭიქა, აზარფეშა ღვთისმშობლის სიმბოლოებია (3,184-185).

ვარდი, ყვავილი ქრისტეს სახელია. ქრისტე არის აბრაამის ვარდი, სოლომონის ყვავილი (ქებათა ქება სოლომონისა, 2,12) (4,15).

ზემოხსენებულ ფრაზაში თასის სახით მარიამ ღვთისმშობელი, ვარდის ბუჩქის

სახით ქრისტე ფიგურირებს.

ლექსის დასაწყისში მოხსენებული პალმების ბუჩქის სახელიც არ არის შემთხვევი. პალმა, ალვა, კვიპაროსი, ვენახი საღვთო სახელებია. სიცოცხლის ხის სიმბოლოდ მიიჩნევენ ლიბანის ნაძვს (აკაკი ბაქრაძე), ალვას, პალმას, კვიპაროსს (ზვიად გამსახურდია), ვაზს (ვერა ბარდაველიძე, რევაზ სირაძე).

„პალმების ბუჩქის ტოლი“ პოეტი უნდა ნიშნავდეს გაბრძნობილს, განღმრთობილს.

რელიგიური შინაარსის ბეჭდის სახე სხვა კონტექსტში გვხვდება ლექსში „საღამოვ, ვიცი“ (1,123).

პირველივე სტროფი ეკლესიიდან ბაღში გამოყოლილ მწუხარებას გვაზიარებს. ბეჭდებზე ვარდის ცვარი წარმოიდგინება და ლოცვას სურნელება დაჰყვება: „საღამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან და გაოცების მწუხარებას მასთან მიიტან. თითქო ბეჭდებზე დაგეყრება ვარდების ცვარი და სურნელებით აივსება შენი ლოცვანი“.

აქცენტი ბეჭდებზე დაყრილ ვარდების ცვარზე მოდის.

ბეჭედი ღვთისმშობელს მიემართება, ცვარი – ქრისტეს.

ბიბლიაში ნათქვამია: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 14,6) (4,273).

ამ შემთხვევაში ბეჭედთან მოაზრებული ვარდების ცვარი მხოლოდ ქრისტე შეიძლება იყოს.

ლექსის ლირიკული გმირი ღამით შეიგრძნობს სამების სიდიადეს, ყვავილებს, ცას, სამუდამო გამოსალმების ტრაგიზმს: „და მხოლოდ ღამით იგრძნობს სული, როგორც სამებას, ყვავილებს და ცას, საუკუნო გამოსალმებას“...

ამავე დროს „მოგონებები ელვარებენ ისევ ბეჭდებად“, ანუ ბეჭდის სახე ღრმად არის სულში შეჭრილი.

თუ ვისთან ხდება გამოსალმება, ამის ახსნის საშუალებას დემონის სახე იძლევა: „...მოვა დემონი, დაფიქრდება და შეეჭვდება“...

ღამის ქარში ისმის მხევალთა შენანების გალობა: „და სავანისგან სიზმარივით მიაქვს ღამის ქარს მხევალთ გალობა: „შეიბრალეთ, იგი წმინდა არს!“

ლექსში ერთდროულად ჩნდება ბეჭდის, ვარდის ცვრის სახელები, ისმის სურნელებით სავსე ლოცვები, მაგრამ დემონის მოვლენებით მოდის ურწმუნოების ღამე, სამებასთან საუკუნო გამოსალმება, მაგრამ „ბეჭდები“ მოგონებაში მაინც არსებობს, რის გამოც ლექსის ლირიკული გმირი მაინც შენდომილია მხევალთა გალობით, ხოლო დემონის დაფიქრება და შეეჭვება მის საბოლოო გამარჯვებას როდი მოასწავებს.

გავიხსენოთ, რომ გალაკტიონთან ხდება ლუციფერის შენდობა, „ალოცება სატანის“, „დემონზე უბოროტესი სულის“ მოვლინების მიუხედავად, ზეცაში ვარსკვლავის გაბრწყინების, ბოროტების დამარცხებისა და ქრისტიანობისკენ მიბრუნების წინასწარმეტყველებაა, რაც ახდა კიდეც.

რელიგიური, ღრმააზროვანი ქვეტექსტების მატარებელი ლექსია „ხელები“ (1,122).

გალაკტიონი ათეიზმის ზეობისას ერთგული რჩებოდა თავისი რწმენის, გამუდმებით ეძებდა დედა-ძეს, ელტვოდა მათ მხსნელ ხელებს: „...ლანდად – ჩანდა ხელები და გეძებდი თვალებით, დაღალული თვალებით, რეკდნენ ცისარტყელები ფერის ჩუმი ცვალებით და მძაფრი გამალებით“ (დომინო).

საოცარი ენიგმებით გვაოცებს ლექსი „ხელები“: „საყვარელ ხელებს შეშლილივით დავეწაფები, ბროლის თითები, მზისგან სავსე ალისფერ ღვინით, მე დამათრო-

ბენ: გავეგები, გავენაბები, პოემას უვრცესს დაერქმევა ალვა და სურო“... ე.ი. თრობა ხდება საყვარელი ხელებით, ბროლის თითებით, მზის ალისფერი ღვინით...

მზე და ღვინო საღვთო სახელებია...

ალვა და სუროც უზენაესის სიმბოლოებია: „მე ამწვანებული ალვა ვარ, ჩემგან გექნება შენ ნაყოფი“ (ოსია წინასწარმეტყველი, 14,9) (4,273).

გალაკტიონი „სიყვარულის სიმღერას“ მიიჩნევდა ხსნის გზად (ილიას მოტივი).

გვახსენდება დავით წინასწარმეტყველი: „ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი და ის იქნება ჩემი მშველელი“ (ფს.117,14) (5,651).

„სიყვარულის სიმღერა“ რელიგიური პოეზიაა.

პოეტმა იცხოვრა სანთლის ჩაქრობის (სანთელი საღვთო სახელია), ურწმუნოების მოძალების ეპოქაში, მაგრამ არ წყვეტდა კავშირს უზენაეს ძალებთან, ეძებდა „ზამბახის პრინცესას“ (მარიამ ღვთისმშობელს), წყუროდა „ცისფერი ვარდები“ (ვარდი საღმრთო სახელია), უღმერთობის ღამეში „ღვინის ფარებზე“ (რწმენაზე) ამყარებდა იმედებს.

ახალ აღთქმაში „სიმართლის ჯავშანი“, „ხსნის ჩაჩქანი“, „სულის მახვილი“, „რწმენის ფარი“ ეწოდება ღვთის სიტყვას (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 6,11,14,15,16,17) (5,422).

გალაკტიონის „ღვინის ფარი“ იგივე „რწმენის ფარია“, რადგან ღვინო ქრისტეს მეტაფორაა, ესაია წინასწარმეტყველის მიხედვით.

„ძველი ღვინო“ (ღმერთი) მომრჩენია ყოველი სენის: „...ხომ კაცს რაც უნდა არ სჭირდეს სენი – ძველი ღვინოა მისი მომრჩენი“ (მშვიდობის წიგნი) (9,286), ასე გაითავისა გალაკტიონმა ბიბლიური სიბრძნე.

„...ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8) (5,320).

„სიყვარულის სიმღერა“ რელიგიური პოეზიაა.

გალაკტიონი ეთაყვანებოდა „შორეულ მხარეებს“, შორეულ იდეალებს: „იქ შორეული მხარეები“ უნდა გამეფდეს! ოჰ, ეს იქნება აღტაცება ჩემი ნამდვილი, რომელიც დათვლის შენს თითებზე დამსხვრეულ ბეჭდებს“ (ხელები) (1,122).

„ბეჭედი“ ისევ და ისევ მხოლოდ ზეციური დედის სახელია, ხოლო თუ როგორ და რამდენჯერ, ან ვის ხელში „იმსხვრეოდა“ ის, ამის ფიქსირება პოეტს უკისრია.

„დომინოში“ (2,101) „ბეჭდის თვალში მოლებია“. მოლი ჯადოსნური ბალახია, გრძნეულების საშუალება (იხსენიება ჰომეროსის „ოდისეაში“, „ვეფხისტყაოსანში“), რაკი „დომინოში“ გრძნეულ მოხუცზე, მოტეხილ ზაფხულზეა (ზაფხული საღმრთო სახელია) საუბარი, უნდა ვიფიქროთ, რომ ბეჭდის მოლი აქ ღვთისმშობლის რწმენისთვის შემზადებული განსაცდელია.

ლექსი „სამრეკლო უდაბნოში“ (1,83) აქცენტს უკეთებს „ცოდვილ ხელებს“, „დაფარულ ცოდვებს“, „დამალულ ღალატს“, იანვრის თოვლით სულის იების ჭკნობას, მასში წუხილია „შიშველ, თეთრ ყვავილზე“, „თეთრ ბეჭდების თვლებზე“.

ბეჭედი, ია მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია, ყვავილი – ქრისტესი.

ნაწარმოებში ისევ ურწმუნოების მხილება, ისევ სულის ტოტალური გატიალების ტკივილია...

გალაკტიონის პოეზიით მრთელდებოდა დამსხვრეული რწმენა, იმედები, განირჩეოდა ეფემერული და მარადიული, წარმავალი და უკვდავი აზრი, იწმინდებოდა ამღვრეული სულის ღვინო, მთელდებოდა დამსხვრეული ბეჭდები...

გალაკტიონის წინამორბედი ფრანგი სიმბოლისტი პოეტი პოლ ვერლენი ღმერთს ევედრებოდა სულის ზიარებას „წმინდა ღვინით“: „...ღმერთო, შენი სიყვარულით უმოწყალოდ დამჭერ, სული ჩემი აზიარე შენი წმინდა ღვინით“ (10,90).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
3. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ. 1990
7. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1982
8. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
9. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად ტ. 11,თბ. 1973
10. ფრანგი პოეტები, თარგმანი ფრანგულიდან გივი გეგეჭკორის, თბ. 1977.

მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა

გალაკტიონ ტაბიძემ ზამთრის, ავდრის, უამინდობის, თოვლის, ყინვის სახეებში ჩააქსოვა რელიგიური, პოლიტიკური, ეროვნული. სოციალური, ფილოსოფიური თვალსაზრისი, ამ ცნებების გამოყენებით შექმნა განუმეორებელი მხატვრული ხელწერა და ძალაუნებურად გაეჯიბრა „თოვლის ნიღაბის“ ციკლის ავტორს – ალექსანდრ ბლოკს. ალბათ, მომავალი გასცემს სრულყოფილ პასუხს, ამ შემთხვევით შემდგარ შეჯიბრში ვინ ვის გადაამეტა.

საინტერესოა ჩანაფიქრი სახეებისა: თოვლიანი მხარის ჯადოქარი სიცივე, სიავის გრძნობით შეფიფქული ქუჩა, ძველი თოვლით და ყინვით შემოსილი მიუღწეველი მწვანე ნაპირები, იანვრის თოვლით დამჭკნარი სულის იები, მწუხარე თოვლი, მწუხარე თოვლში ფერადი გემით სვლა, თოვლის მიერ სილისთვის მინებებული ნოვალისის ყვავილი, თოვლიანი მინდვრების სასაფლაო, თოვლიანი მინდვრების თეთრი კუბო, შავი თოვლი, თოვლში ჩაფლული უნუგეშოდ შთენილი გაყინული ფოთოლი, თოვლის ფერ-უმარილი, ფიფქით მტრობა, ბნელი თოვა, სამშობლოდ სახელდებული თოვლი, დათოვლილი ხიდები, დათოვლილი, მწუხარება, ელვარე თოვლში მავალი მარხილი, წარმავალი თოვლი, თოვლის ფანტელივით გარდასული სიავე, თოვლის სამსალა, არაწმინდა თოვლი, თოვლთა მსგავსად დღეთა სვლა, დღეების თოვლით გადაბაღება, დათოვლილი ზმანებები და მწუხარება, აგვისტოს თოვლი, დათოვლილი გამვლელები და გულცივი ბაღები, თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებში გაუჩინარებული მთის გრეხილი, გაზაფხულზე თოვლის ფიფქით შემოსილი ნაძვი, თეთრი თოვლის თეთრი სუდარა, თოვლი – სამშობლო, თოვა და წუხილი, თეთრი ავდა-

რი, თოვლით თრობა, გადაუღებელი თოვა, ბნელი თოვა, ფიფქით მტრობა, სულში ირიბი, ალმაცერი თოვლი, გაზაფხულისმაგვარი თოვლი, მადლიანი ქედის თოვლი, სითეთრე თოვლის, სისპეტაკე მხარეთ ზემოთა, თოვლის ვარდები, თოვლის მადონა, ვარდისფერი თოვლი, იისფერი თოვლი, წარსულის ია-ზამბახის თოვლი, ქალწული თოვლი, იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა, თოვლი შარშანწინდელი“..

თოვლის საშუალებით მოვლენათა სწრაფწარმავლობის აქცენტირებაა შემდეგ სტრიქონებში: „...მსგავსად თოვლთა მიდიან დღენი,... ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი... ის დრო სად არის? იქ, სადაც თოვლი შარშანწინდელი“... (მშვიდობის წიგნი) (1,131).

„ფანტაზიაში“ (2, 154) ჩნდება სურვილი მუდმივი თოვლის სულის სითბოთი გადნობისა: „...ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შესუდრულ მთებს“.

თოვლიან მყინვარზე ყველას დასანახად დაწერილია პოეტის მარადიული სიტყვა: „...მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე ობლობის სიტყვა მგზავრმა დაწერა“.

გვხიბლავს თოვლიანი დღის ხარება, იისფერი თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენის ფონზე: „...ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი და დაღალული სიზმრით დამთოვა“ (თოვლი) (2,187).

მთავარია უპირველესი დევიზი: „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!“

გამარჯვების უტყუარი გარანტიაა ქარისა და თოვლის შიშის დაძლევა: „არმოშიშარს ქარისა და თოვლისა, ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება: პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა) (8,199).

ქართული ხასიათის წარმოჩენაც თოვლის სახის გამოყენებით, ხალხური ინტონაციით მოახერხა პოეტმა: „არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც. ვაჟკაცსა გული რკინის, აბჯარი თუნდაც ხისა“.

ქართული ფენომენი ხალხური სისადავით არის ნათელყოფილი ამ სტრიქონებშიც: „რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა“.

პოეტის გენიალური ირონია ისევ ხალხური სისადავით გაჟღერდა თოვლის კონტექსტში: „...თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს ჩემი ბახალა“ (ყვავის სიმღერა) (3,358).

კოდირებული სახეებით ამხელდა პოეტი ჩვენს ეროვნულ-რელიგიურ, სახელმწიფოებრივ ტრაგედიებს, განუხრელად ემსახურებოდა სიმართლეს, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იანვრის თოვლშიც „მაისის ვარდნი გაფურჩქვნილის“ ხმით ღიღინებდნენ და ქვეყნის სატკივარზე არც ფიქრობდნენ: „იანვარია. თოვლი ჰფარავს ქუჩებს და ბინებს, მაგრამ ვინაა, რომ ჯინაზე ასეთ ამინდის „მაისის ვარდნი გაფურჩქვნილის“ ხმით მიღიღინებს?“ (სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის) (7,93).

„ავდრის მოლოდინში“ (2,197) სულიერი ავდრის სევდაა და უამინდობას განაპირობებს წარსულის ია-ზამბახის, თოვლის, მზეთუნახავი ალვის დავიწყება, მებაღის მოსვლის სათუოობა.

ია-ზამბახი მარიამ ღვთისმშობლის, ალვა და მებაღე ქრისტეს სიმბოლოებია.

„გულისდამხშობი ზამთარი“ და „არაწმინდა თოვლია“ უბედურების მაცნე „მშვიდობის წიგნში“ (1,260).

„თოვლში“ დაცემულია ზამბახები, უდაბნოში გაუჩინარებულია მანდილი.

ზამბახი, „ზამბახის პრინცესა“ მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

ჩვენს ზეციურ დედაზე მიგვანიშნებს მანდილიც.

ერთი მხრივ, პოზიტიურ კონტექსტში, რელიგიური გაგებით მიმართავს პოეტი თოვლის მადონას, თოვლის ვარდების, ლურჯი ფიფქის, იისფერი თოვლის, ვარდისფერი თოვლის სახეებს (კერძოდ, ღვთისმშობლის მეტაფორად).

ამასთან, გალაკტიონის ლექსებში გვხვდება არაწმინდა თოვლი, თოვლის სამსალა, თოვლის სუდარა, შავი თოვლი, ფიფქით მტრობა, მწუხარე თოვლი, საუკუნეთა თოვლი, რომლის ქვეტექსტებსაც თოვლიან-ყინულიან იმპერიასთან მივყავართ.

ასეთია „თოვლიანი მინდვრების თეთრი კუბოები“ „ჯონ-რიდში“ (2,23-24), რის გამოც პოეტს უჩნდება სურვილი „ორკაპით ანიავოს“, ნიჩბით აზიდის ეს მსახვრალი თოვლი.

ლექსში „ალვები თოვლში“ (2,47) ალვა თოვლიანია, თასი – გაყინული. ალვა სიცოცხლის ხის (ღმერთის) სიმბოლოა, თასი – მარიამის.

მშობლიურ გარემოში ერთდროულად იხილვება წვიმა, თოვლი, სიბერე, სისხლი, მსხვერპლი, ცხედრები, „სასიკვდილო გადათეთრებით“ სავსე გზა და პოეტი ასკვნის: „ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა ღამის ტყე-ველი, არასდროს ჩვენთან აქ არ ყოფილა ნაზარეველი“ (სამშობლო შავი ლიუციფერის) (5,193).

გალაკტიონი განასხვავებდა საქართველოს გაზაფხულის მსგავს თოვლს ჩრდილოეთის თოვლისგან (5,533).

„მღვრიე ქარში“„თოვლის მხარის“ „ჯადოქარ სიცივეს“ შეიგრძნობდა (6,17).

პოეტის ბედისწერა იყო თეთრი, სუდარისმაგვარი თოვლი (სასიკვდილო მწუხარება) (6,305).

გაზაფხულისმაგვარი თოვლის სამეფოში „იისფერი ჰავის“, „ულტრაიისფერი“ სხივის ძალას შეიგრძნობდა (შეხვედრა მთაში) (7,440).

კოდირებული სახეების შემცველია და ჩვენთან დაძმობილებული მტრის მხილებით გამოიჩევა „ოფორტი“ (6,144), რომელშიც ელვარე თოვლის მარხილი და თეთრი ავდარი მიგნებული მინიშნებაა ჩვენი უბედურების რეჟისორზე: „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი, ამ სივრცეებში მყავს დამარხული ზამთარი ცივი და ნაზავთარი“.

ლექსში სატკივრის მიზეზია მეზობელი მონსტრის „ელამი მზე“, გაყინული მხედარი, ავბედითი ნაკვალევი და ძალადობით სამშობლოდ აღიარებული თოვლიანი იმპერია: „რა სიჩუმეა. როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია,... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მართლაც, საკუთარის დავიწყებას და თავისი თოვლიან-ყინულიანი მონსტრის სამშობლოდ აღიარებას ითხოვდა ჩვენგან „გაიძვერა მოყვარე“.

„დომინოში“ (7,203) „თოვლის ფერ-უმარილი“ და „ფიფქით მტრობა“ მიგვანიშნებს მტრის ავბედით ზრახვას.

ლექსში „გული გრძნობს“ (2,322) ისევ კოდირებული სახეებით შევყავართ პოეტს ეროვნულ-პირადული ტკივილების არეალში. ამჯერად შეხვედრა გვიწევს „მწუხარე თოვლთან“, მისკენ სვლის მიზეზად კი „ფერადი გემი“ სახელდება: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს – დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს როსმე ბოჰემა. გული გრძნობს ღალატს“.

„მწუხარე თოვლის“ სამეფო ისევ უბედურების მომტანი იმპერიაა, გემი, „ფერადი გემი“ – იგივე ძელი, ჯვარი, რწმენა.

აშკარაა, ერთმორწმუნეობის გამო მომხდარა თოვლის სამყაროსთან დაახლოება, მაგრამ მფარველ ანგელოზად მოვლენილი ქვეყანა ჯალათად ქცეულა, ღალატით ყოფილა დაღდასმული ეს ურთიერთობა.

მუხანათი მეზობლის თოვლით და ყინვით გათოშილ გულში ბევრი მიუღწეველი ნაპირია თოვლის და ყინვის სუდარით დაფარული: „...და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით“ (თოვლით და ყინვით) (2,50).

ეს ავბედითი, „ალმაცერი“ (არამშობლიური) თოვლი სულში სიცივეს ამკვიდრებდა, ცეცხლს და სანთელს (ცეცხლი და სანთელი საღვთო სახელებია) ჩაქრობას უქადდა, თეთრ ფიქრებს ფანტავდა, ხელნაწერს ფერფლავდა: „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება. გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. იფანტება თეთრი ფიქრები. იფერფლება ხელნაწერი. ნუ ჩამიქრები და იქაც, შიგნით, სულში... თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“ (თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი) (6,267).

1921წ. 25 თებერვალი ბოლშევიკური, ათეისტური იმპერიის მიერ საქართველოს ხელახალ ოკუპაციას მოასწავებდა, ამასთანავე, რელიგიური რწმენის დევნასაც, რაზედაც მეტაფორული ხერხით გვესაუბრება პოეტი: „იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავალი. თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“ (აღარ არის მენესტრელი) (3,207).

იანვრის „მოძმედ“ ძალდატანებით ქცეული პოეტი იანვრის თოვლისგან სულის იების ჭკნობას აფიქსირებდა: „იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს“. აქვე საუბარია „დაფარულ ცოდვებზე, დამალულ ღალატზე“ „შიშველი ყვავილით“ გამოწვეულ წუხილზე (სამრეკლო უდაბნოში) (2,40).

ია მარიამ ღვთისმშობელზე, ყვავილი ქრისტე ღმერთზე მიგვანიშნებს.

რელიგიური ქვეტექსტების შემცვლია ლექსი „თეთრი თოვლის ქვეშ“ (7,6), რომელშიც თოვლის ქვეშ გაუჩინარებული მთა, გაზაფხულზე გაყინული ნაკადული, გაზაფხულზე თოვლით შემოსილი ნაძვი გვაუწყებს რწმენის უარყოფას,რადგან მთა მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

ნაკადული, ნაძვი არის საღვთო სახელები.

ათეისტური ეპოქის სამყაროში შევყავართ სასახლის ჩამქრალ ჭაღებს, გარდასულ გაზაფხულს, განდეგილ მამათა გაუქმებულ სავანეს, სადაც „შავი თოვლივით“ თოვს „ჭვარტლი და ბურუსი თავანის“, ხოლო უდაბნოს ქარების ქროლვაში მოისმის ეპოქის ავბედითი განაჩენი, მორწმუნეთათვის გამოტანილი: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“ (შემოდგომა უმანკო ჩასახვების მამათა სავანეში) (7,247).

„თოვლის სამსალა“, „არაწმინდა თოვლი“, ზვავი, წარღვნისმაგვარი სტიქიები ემუქრება მშობლიურ შემოგარენს პოემაში „მშვიდობის წიგნი“ (1,132).

პოეტი აფრთხილებდა მტარვალთ, ღვთის მგმობელთ, ლუციფერისთვის სულმიყიდულთ, რომ ზეცის სპეტაკი სითეთრე კი არა, „ბნელი თოვა“ და სამარადისო წყვდიადი იქნებოდა მათი ხვედრი (ვერ გაიგონეს) (6,332)

ორი საუკუნე აწვიმდა და ათოვდა ჩრდილოეთიდან ქართველი კაცის სულს, მაგრამ პოეტი არ კარგავდა გამოდარების, ავბედითი თოვლის დადნობის იმედს: „საუკუნეთა თოვლო, ითოვლე, მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს

ორნამენტზე) (4,374).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად. ტ. 11, თბ. 1973
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 2014
4. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 1993
5. გალაკტიონ ტაბიძე ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
7. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. 4,თბ. 1994

მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის

გალაკტიონ ტიბიძის შემოქმედების უპირველესი პრობლემა არის ქრისტიანული რწმენის გადარჩენა, მისი განმტკიცებისთვის მსახურება, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება, ამასთან, ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიების, სატანისტების მხილება.

პოეტმა, ბიბლიის, ღვთისმეტყველების, სასულიერო პოეზიის ტრადიციებზე დამყარებით, გაამრავალფეროვნა საღვთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველება (1, 12-86, 115-123).

ერთ-ერთი მრავალგზის ფიქსირებული საღვთო სახელი გალაკტიონის შემოქმედებაში არის წიგნი, რომელიც მოაზრებულია მრავალგვარი ეპითეტით. გალაკტიონი არ ყოფილა პოეზიაში რიტორიკის, მჭერმეტყველების, სწორხაზოვნების მომხრე. თავის შედევრებში იგი ყოველთვის „ფიქრგანდობილია“, მის უმთავრეს სათქმელს „მშვენების რიდე, მშვენების ჩადრი, ოცნების მანდილი“ მოსავს და ასეთი ენიგმური სახეებით გვიცნობიერებს ეროვნულ თუ საკაცობრიო სატკივრებს.

პოეტმა სიმბოლური ფორმით გასცა პასუხი ყველა იმ მწვავე პრობლემას, რაც დასაბამიდან აწამებდა ქართველ ერს, განსაკუთრებით კი აინტერესებდა მეოცე საუკუნე, „საუკუნე მეფისტოფელი“, რევოლუციის მონაპოვართა შეფასება, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია 1921 წლის 25 თებერვალს, 1924წ. აგვისტოს აჯანყება, 1937 წლის რეპრესიები, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია.

ქრისტიანი პოეტი შეურიგებელი იყო ბოლშევიზმისადმი, რომელიც გამოირჩა რწმენასთან ბრძოლით, სულის გაუფასურებით, სალოცავი ტრიადის – მამული, ენა, სარწმუნოება – უგულებელყოფით, დემოგრაფიული და ტერიტორიული პრობლემების შექმნით.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ გალაკტიონმა შეაჯამა სატანის მეუფების პერიოდის კატაკლიზმები და განგაშის ზარი შემოჰკრა, ამასთან, უცდომლად განჭვრიტა მომავალი, გვიჩვენა ხალხის საუკეთესო შვილების გამოღვიძება, ღმერთის ხელახალი ძიება, მისკენ მობრუნება და „გადარჩენის ბედნიერება“.

ეროვნული და მსოფლიო ტრაგედიები გალაკტიონმა თავისი სახელოვანი წინაპრების – დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას

კვალზე – სარწმუნოებრივი გადაგვარებით ახსნა და ჩაგვაგონა, რომ ხსნის გზა ქრისტიანობაზე გადიოდა: „გულში ჟღერს რა ხანია, სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი) (2, 602).

„სიყვარული ღმერთია“ (I იოანე, 4,8) (3,320).

გალაკტიონის „სიყვარულის სიმღერა“ რელიგიური პოეზიაა, რომლის მიზანია ერის გამოფხიზლება და მისთვის დიადი, მარადიული გზის ჩვენება.

„მიხედე იმ ბაღს, სად ხელახლა აყვავებულა ქრისტეს სხივებით შემოსილი მცენარეული“, ასეთი იყო დანტეს მოწოდება (4, 214).

ბიბლიაში გვხვდება როგორც მიწის, ისე ზეცის ბაღი და ვენახი.

მიწიური ვენახი ებრაელი ხალხის სიმბოლოა: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე?“ (იერემია, 2, 21) (5,126).

ასეთივე გაგებისაა მორწყული ბაღი: „მოვლენ და გაეშურებიან უფლის დოვლათისკენ... თავად მორწყულ ბაღს დაემსგავსებიან და არ დაჭკნებიან არასოდეს“ (იერემია, 31-11) (5, 155)

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნის“ უმთავრესი პრობლემაა მიწის ბაღის (ქართველი ხალხის) და ზეცის ხის (ღმერთის, რწმენის) გადარჩენა, რადგან ხე, ხე ცხოვრებისა საღვთო სახელია (6, 120)

პოეტის ნატვრაა, მამაღმერთმა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მოავლინოს მებაღე, მემარნე (ქრისტე): „...სული მოავლინე ისევ შენმიერი“ (მზეო თიბათვისა“).

პავლე მოციქულის მიხედვით „უფალი სულია“ (I კორინთელთა, (4, 17), (7, 388).

უფალი „სულია სახიერი“(8, 15)

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ „დომენიკო... მებაღეა... ქრისტესი, სოფლად მოსული უფლის ბაღის მოსაშენებლად“ (4,321).

დანტეს დომენიკოსავით გალაკტიონი დაჰკანკალებს უფლის ბაღ-ვენახს (საქართველოს) და მოძმეთ ჭეშმარიტ გზას უჩვენებს.

ქართველი გენიოსი თავის ხალხს თავსდატეხილი უბედურებების მიზეზებზე უხელს თვალს.

პოემა „მშვიდობის წიგნი“ იმდენად აქტუალურია და ისე თანამედროვედ ჟღერს, თითქოს დღევანდელი პრობლემებისათვის იყოს დაწერილი. საგულისხმოა განაცხადი: „ო, როგორ გვივლის ეს საუკუნე“. მასში აქცენტირებულია „მტერი მეორე, მგმობარი მეგობარი“.

„მშვიდობის წიგნი“ ხალხის სულიერი გადაგვარების და, ამასთან, საკუთარი ეროვნული საზრისის მიგნების ვრცელი და განუმეორებელი ოდისეაა.

პოემაში ხაზგასმულია „წინანდელი იმედების“ დაღუპვა, ქართული „მიწის და ცის ნამცეცის“ მითვისების, ჩვენს „ტურფა სამოსახლოზე“ ვეფხვის გაბატონების სურვილი, ნგრევა, მსხვერპლი, ხალხის აკლების მცდელობა.

უზრუნველ სოფელს „არმადლიერი ზეცა“ სჯის წმინდა გზიდან გადახვევის გამო: „ცამან დაგსაჯა, არ იტყვი, რისთვის? ზემფარველობა დამხობილია, რაა ცხოვრება? ლანდი, ჩრდილია... ეს გულმამაცის რისხვაა ღვთისა, რომელსაც კაცი ვერ შეეთვისა“...

პოემაში შემთხვევით არ ფიგურირებს მახე, ბადე, შეთქმულება, ნისლი, თოვლი,

ცბიერი ალი, ღალატი, ხიფათი, წყლის ამღვრევა, მუქარა, „მკვლელთა თარეში“. იმუქრებიან „ქაჯთ მიერ გადანაბირები ზვირთები“: „...და იქადნიდა: რაკი ეგრეა, ჰე, მიჰყე, მიჰყე, აბა, აიღე, რაც თქვენი ციხე და სიმაგრეა... კიდეც მოვალო თქვენს ასაკლებად“ (9, 140-241).

„არყოფნას აკლდა სულ ცოტა რამე“, ღმერთს სატანა შეენაცვლა, რასაც მოჰყვა სულის თუ კულტურულ-მატერიალური ფასეულობების ნგრევა, მაგრამ მერე უდიდესი ნოსტალგია გაჩნდა დაკარგულის გამო და, საბედნიეროდ, ხალხი ისევ მიუბრუნდა რწმენას, უერთგულა ეროვნულ იდეალებს.

აი, ეს პროცესები იწინასწარმეტყველა გალაკტიონმა გენიალური ინტუიციით.

წარღვნის მსგავსი სტიქიის გაბატონება, ბაღის განადგურება, მხეცების მოძალება დაიწყო მშვიდობის წიგნის დაკარგვის შემდეგ, წიგნი ჩრდილოელმა ქაჯმა გაიტაცა, ქაჯი კი არის რუსული ბოლშევიზმის ალეგორია. ქაჯი არის „დაუნდობარი, მგმობარი და ჩქარეული მეგობარი, მტერი მეორე, რომელიც არ არის მორცხვი, რომ ნგრევა-ხოცვის მას ეშინოდეს“.

სულით გაღვიძებულმა ადამიანებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს, ჩასწვდნენ უბედურების მიზეზებს, მათი მიზანი გახდა დაკარგული წიგნის პოვნა, ანუ ღმერთისკენ მობრუნება და ეს უძნელესი საქმე ითავა პოემის პერსონაჟმა ტარიელმა თავისი სატრფოს – თამარის დავალებით. ათი წლის ჯოჯოხეთური წვალების შემდეგ რაინდმა ხალხს დაუბრუნა წიგნი და ამინდიც გამზიანდა, დაცხრა წარღვნა.

პოემაში წიგნი გვხვდება მრავალგვარი ეპითეტით: წყვდიადის და განთიადის მანათობელი წიგნი, წიგნი – სიცოცხლე, წიგნი – სინდისი, ძვირფასზე ძვირფასი წიგნი, სიმართლის მცველი წიგნი, წიგნი წმინდა, წიგნი საერო, ძველი წიგნი, წიგნი ედემი, წიგნი სამშობლო, მარადისი წიგნი, უდიდესი წიგნი, წიგნი – ძველი და წიგნი ახალი, წიგნი, ვითარცა ასომთავრული, წიგნი – გრძნეული, წიგნი ნუგეში, წიგნი ხსნის საწუთროის, მშვიდობის მცველი წიგნი, ნუგეშისმცემელი წიგნი, წიგნი ცის და დედამიწის, სიცოცხლის მთოველი წიგნი...

საღმრთო სახელად გაგებულ წიგნს ენაცვლება ქრისტიანული ღმერთის კანონიკური სიმბოლოები, გალაკტიონის მიერ ახალი ნიუანსებით გამდიდრებული: ვარსკვლავი, მზე გაზაფხულის, მზე იშვიათი, მარადის მზე, მზე დიადი, სხვა მზე, ზესთაზეს მზე, მზის სიხარული, მშვიდობის მზე, მზის სვეტი, წმინდა მზე შინაგანი, მზის სამოსი, სულის მზე, კეთილი მზე, სხივი წრფელი, ცისკარი, განთიადი, შუქი იმედის, იმედთ კანდელი, ეს სახელები ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ღმერთს უკავშირდება (1, 12-86).

ასევე წიგნი ასოცირებულია საღმრთო სახელად გაგებულ გზასთან: „ნათელი გზა, საცნობი გზა, ძველისძველი გზა, გზა პირდაპირი, გზა სანაქებო, გზა წმინდა, გზა დიადი, გზის კამარა“ (1, 55-57).

ღმერთი – მშვიდობის წიგნი – გაიგივებულია სხვა საღმრთო სახელებთანაც: „შრომის უფალი, იდუმალი სახება, ძველი ღვინო, ნუგეში, სულიერი ვენახი, დიდი დღე, დიადი გაზაფხული“.

პოემაში ქრისტიანული ღმერთის პარადიგმებია: „უდიდესი, სიცოცხლე, ყოფნა, ვარდი, სილაჟვარდე, მწუხრის კამარა, განძი დიდი, სიყვარული, წყარო, წყალი, ფერგამჭვირვალე და უანგარო წყარო, მარად ცოცხალი და მოცინარი წყარო“.

წიგნს ხშირად ენაცვლება ნავისა და გემის სახე.

ტარიელმა იპოვა მშვიდობის წიგნი და მის სიხარულიან ფრაზაში გაიგივებულია

საღმრთო სახელები: წიგნი, ნუგეშისმცემი, სიცოცხლის გემი,ხომალდი, ბედისწერა: „ავიტანდი ჭირს მრავალგვარს, მჯერა, მხოლოდ ამ წიგნის დაკარგვას – ვერა, ის არის ჩემი ნუგეშისმცემი სიცოცხლის გემი და ბედისწერა“.

ხალხი გადარჩება წყალდიდობას, ეფთვიმე სინჯავს წყალს ვაზის ჯვრით.

ავტორი გუგუნას პირით აფრთხილებს ხალხს: „შეიგნე ტალღათ ძალთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე... ხიფათში მყოფო ვაზო და მდელო, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე... უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად“.

პოემის ვარიანტში უფრო კონკრეტდება ეროვნული სატკივარი: „განა ბევრს გვთხოვდა სამშობლო ჩვენი, ცოტას უფლებას, ცოტას სიმშვიდეს, რომ მის დათესილს სხვა არა მკიდეს, რომ ჰქონოდა მას, რაიც მისია, წიგნია, ხმალი თუ სახნისია და თავდადებით იცავდა საწყალს, თვის დედა ენას, თავის მიწა-წყალს“ (9, 498).

პოეტმა დაგმო საზღვრების მოშლა, უკარო სახლის სახეში წარმოადგინა მთელი მსოფლიოს პროლეტარების გაერთიანების კომუნისტური იდეა, ეროვნულის ჩაწიხლვა და მოითხოვა წიგნისთვის გალავნიანი სახლის აგება, ცხრაკლიტულში შენახვა: „მშვიდობას მიჰყევ, ხარ ფალავანი! ააგე ციხე გარს გალავანით. წიგნისთვის სრული აწ გვაქვს ფარული გინდ ცხრაკლიტული, გინდა თავანი“.

მშვიდობის წიგნი, რომელიც ქაჯებმა გაიტაცეს, ქრისტიანული ღმერთის სიმბოლური სახელია.

თვალი გადავავლოთ ამ სიმბოლოს საღმრთო სახელად გააზრების წინარე ტრადიციებს.

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნის“ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ესაიას წინასწარმეტყველების ის ადგილი, სადაც ძე ღმერთის მოვლინება აღიქმება, როგორც წიგნის სიტყვების გახმიანება (წიგნი – მამაღმერთი, სიტყვა – იესო).

„იქნება თქვენთვის მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები...

„გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (ესაია, 29, 11, 18) (5, 94).

ნეტარი ავგუსტინე ამბობს „აღსარებაში“: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“ (10, 217).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უწოდა „სანუკვარი წიგნი“, „დიადი წიგნი“ (4, 383).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ფიგურირებს შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი, რომელსაც ხსნის კაცობრიობისათვის დაკლული კრავი – ქრისტე (1, 2, თ.ნ, 1-7) (7, 496, 497-498).

„წიგნი, რომელიც ხელში უჭირავს მამა ღმერთს, წარმოადგენს ქრისტიანული წელთაღრიცხვის ახალი აღთქმისეული ქვეყნიერების ბედის წიგნს, რომელშიც აღბეჭდილია საიდუმლოებანი ქვეყნისანი, ქრისტეს განკაცებამდე დაფარული. სხვა ვერვინ იქნა ამ წიგნის ხელში ამღები და ბეჭდის ამხსნელი, თუ არა თვით ქრისტე. მხოლოდ მას, კაცობრიობისათვის დაკლულ კრავს, ხელეწიფება მართოს ქრისტიანული წელთაღრიცხვის მოვლენები კაცთა ღვაწლის შესაბამისად, რამეთუ ღმერთი ადამიანს თავისი საქმისაებრ მიუზღავს“ (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (11, 408-409).

გამოცხადებაშივე გვხვდება „ცხოვრების წიგნი“: „...გადაშლილი იყო სიცოცხლის წიგნი და განკითხულ იქნენ მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმეებისამებრ“ (გამოცხადება, 20, 12) (7, 517).

ანგელოზი იოანეს უჩვენებს მაღალ მთაზე დიდ ქალაქს, წმიდა იერუსალიმს, რომელშიც მხოლოდ კრავის (ქრისტეს) ცხოვრების წიგნში ჩაწერილ ადამიანებს აქვთ შესვლის უფლება: „ვინც არ იყო ჩაწერილი წიგნში, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული“ (გამოცხადება 20, 15) (7, 517).

იოანეს გამოცხადებაში მოვლენილია ძლიერი ანგელოზი გადაშლილი წიგნით (გამოცხადება 10,2) (7, 502).

ამ წიგნს შეაჭმევენ იოანეს და ავალებენ, იწინასწარმეტყველოს (გამოცხადება 10, 3-11).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება „არყოფნისა და ყოფნის წიგნები“,რომელთა წყაროა იოანეს გამოცხადება: „არყოფნის წიგნს დავუკვირდი, ყოფნის წიგნიც ვათვალთვალე“ (დღეთა გარდასულთა).

ამასთან, მისთვის ქრისტე არის „წიგნი ცის და დედამიწის“ (მშვიდობის წიგნი).

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნის“ წყარო (კერძოდ, ეპითეტ „მშვიდობისა“) ასევე შეიძლება იყოს ახალი აღთქმა. პავლე მოციქულის თქმით, ქრისტე არის „მშვიდობის ღმერთი“ (რომაელთა 16,33) (7, 353). დანტემ სამოთხეს უწოდა „საბრძანისი სიხარულის და მშვიდობისა“.

გალაკტიონი დარწმუნებული იყო მშვიდობის გზისა და მშვიდობის წიგნად გაგებული ღმერთის მარადიულობაში: „მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს... მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

იგივე აზრია სხვაგანაც: „საშველი ქვეყნად აღარ ყოფილა, არარსებობად შთანთქმულად რიგნი – უკმაყოფილო და კმაყოფილი. რა დარჩა? – ფერფლი, ცა და ეს წიგნი“ (მე შენი წიგნი).

გალაკტიონისათვის, როგორც ორთოდოქსი ქრისტიანისთვის, აბსოლუტურად მიუღებელი იყო საუკუნეების წინათ მიღებული რწმენის შერყვნა, „ძველი წიგნების“ გვერდების არევა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ჭეშმარიტი გზის უარმყოფელის ხვედრი იქნებოდა წყევლა და შეჩვენება. „ძველი ბაღის“ (ხალხის ბუნების) კვდომას რწმენის უარყოფას უკავშირებდა: „...და ბაღიც კვდება ძველად დარგული, ის ყველაფერს გრძნობს კვალდაკარგული... გაზაფხულის გაჰქრა მშვენება და მიეფარა ნისლს, სიზმარეულს, ძველი წიგნების გვერდებს არეულს სდევს მხოლოდ წყევლა და შეჩვენება“ (ძველი წიგნების გვერდებს არეულს).

„სანთლების, წიგნების წყევლა“ არ ასცდება ჭეშმარიტი რწმენის ორგულს, ცრუ წინასწარმეტყველ-მისანთა, გრძნეულ შემლოცველთა მიმდევარს (დომინო). ამ შემთხვევაშიც წიგნი უფლის პარადიგმაა, ისევე, როგორც სანთელი (6, 122).

ხოლო რწმენის ერთგულებში, რომელთაც ასხივოსნებთ რწმენა, გალაკტიონი „ძველი წიგნის“ კეთილ „დაღს“ ხედავს: „...ისევ კვლავ ძველი შრიალებს ბაღი და ძველი დაღი წიგნების აზის“ (მშვიდობის წიგნი).

წიგნის სახე ორიგინალურ კონტექსტში გაიაზრება ლექსში „მოგონებები“: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით, – ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მემარნე, მაგრამ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო – შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“.

მებაღე, მემარნე არის ღმერთი, ისევე, როგორც ძველი და უკვდავი ღვინო. ბიბლიაში ქრისტეს მოვლინება შედარებულია ნადიმთან, რომელსაც ამშვენებს „ძველი,

დაწმენდილი ღვინო“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, თ. 25, 6) (5, 91).

დამოწმებული ლექსის თასით მიგნებული „ძვირფასი და უკვდავი ღვინო“ ქრისტეა, წიგნი – მამაღმერთი, თასი – მარიამი (1, 117).

„მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ პოეტი წიგნით (ღმერთით) მაღლდება „უმშვენიერეს კიბეზე“, მარმარილოს საფეხურებზე, უკვდავებამდე (უმშვენიერეს კიბეზე).

სამყაროში ყველაფერი მატერიალური ცვალებადია, წარმავალი, იღუპებიან, ინგრევიან ქვეყნები, რის შედეგად რჩება ფერფლი, მაგრამ მარადიულია ცა და წიგნი: „საშველი ქვეყნად აღარ ყოფილა, არარსებობად შთანთქმულან რიგნი – უკმაყოფილო და კმაყოფილი. რა დარჩა? ფერფლი, ცა და ეს წიგნი“ (მე შენი წიგნი შემხვდა შემთხვევით).

ცა მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორული სახელია (12, 127).

მიაჩნია რა „ძველი წიგნის“ (ღმერთის) ერთგულება ერის უპირველეს ვალად,ამასთან, პოეტი წარსულს მომავლის საწინდრად გაიაზრებს: „ძველი წიგნის დაცვა ჩვენი უწმინდესი არის ვალი, ჩვენ იმიტომ ვსწავლობთ წარსულს, რათა შევქმნათ მომავალი“ (ძველი წიგნის დაცვა).

გალაკტიონის იდეალი იყო „წიგნი ვედრებიანი“ (გვიანი ოცნება), „ერთადერთი წიგნი“, მომავლისკენ მიპყრობილი მზერა, ცეცხლიანი აზარფეშათი (ცეცხლი – ქრისტე, აზარფეშა – მარიამი) მირთმეული მზის სადღეგრძელო (მზე – მამაღმერთი), ანუ რელიგიური მსოფლგანცდა, უზენაესთან ზიარება: „სხვა პოეტისთვის ვერ მიმიგნია, ეს წიგნი – ერთადერთი წიგნია მშვიდი, ფარული... შემოდგომისთვის იგი იშლება, როგორც ფოთლების გადაშიშვლება და სიხარული... ქვეყნად მომავალ კორიანტელებს ვინ მოეკრძალოს? ჩვენ, პოეტები, მზიდან ვეშვებით და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით მზის სადღეგრძელოს“ (შემოდგომაა).

იდუმალება გალაკტიონის პოეზიის მთავარი ნიშანია, მისი სათქმელი შებურვილია რიდე-მანდილით. იდუმალია მისი წიგნიც: „რაა სიცოცხლის ფასი? მაღალ ალვათა რიგნი მთავარეს მწვერვალებს უხრის. დახურულია წიგნი უკანასკნელი მწუხრის“ (არა ერთი და ორი).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ალვა, პალმა სიცოცხლის ხის ვარიაციებია, ხოლო სიცოცხლის ხე-ღმერთი (6, 122), იქნებ მივუახლოვდეთ პოეტის სათქმელს.

მთვარე მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია (12, 124). თუ აქედან ამოვალთ, გასაგები გახდება, რატომ უხრის ალვა მთვარეს მწვერვალებს, ე.ი. ძე ღმერთი დედას ესალმება.

გალაკტიონის სხვა ლექსებშიც არაჩვეულებრივი კონტექსტია: „... და ორნამენტით აკრთობდა დემონს იმ მშვენიერი წიგნების ძალა, წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო ვარდით მორთული ჩნდა თავის ქალა“.

პოეტის მეორე წიგნის სახელწოდება იყო „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“. პოეტი ასე ხსნიდა ამ ფრაზას: „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ – იგულისხმება თავის ქალა (სიკვდილი), არტისტული ყვავილები (ხელოვნება), სიკვდილი და ხელოვნება. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? – რა თქმა უნდა, ხელოვნებამ. რა

არის ხელოვნება? ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახური“ (საკუთარი ლექსების შესახებ) (13, 87).

გასაგებია, რატომ ფრთხება დემონი „იმ მშვენიერი წიგნების ძალით“, ანუ უფლის მიერ შთაგონებული შემოქმედებით.

გალაკტიონი იყო უძველესი და უახლესი განძის – წიგნის, ჩვენი რწმენის მცველი: „...რომ დავიცავ უძველეს განძს, იმ უძველეს წიგნს დავიცავ... შენს უახლეს წიგნს დავიცავ“ (მშობლიურო ჩემო მიწავ).

წუთისოფლის ცდუნებაზე, მიწიერზე ამაღლება წიგნით – რწმენით ხდება, მაგრამ სამშობლოს სახეს ზოგიერთები „გადაწიგნვითაც“ (ნეოლოგიზმია) ვერ პოულობენ: „სული სცდება ამ სოფელს სიჩუმით და წიგნითა. ვერ პოულობს სამშობლოს თუნდაც გადაწიგნვითა“ (აგერ შემოდგომობის).

პოეტის ახალ წიგნში დასადგურებულია დიდება: „გამოდის ჩემი ახალი წიგნი,დიდების დროშა მოაქვს სტრიქონებს“ (გამოდის ჩემი ახალი წიგნი) ...სხვაგანაც მის პოეტურ სასახლეში „დიდება დაისადგურებს“ (მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ-ახალი)

დიდება სულიწმინდის ატრიბუტია: „ღვთისმეტყველებაში სულიწმინდის ღმრთეებაზე საუბრისას მუდამ აღნიშნავენ მის დიდებას და მზისებრ ბრწყინვალეებას. პავლე მოციქულისთვის იგი არის სული დიდებისა: „რამეთუ დიდებისაი იგი და ღმრთისაი სული თქუენ ზედა განსვენებულ არს“ (1, პეტრე, 4, 14) (14, 126).

დანტე ევედრებოდა უზენაესს: „დიდების შენის ნატვიფარი მომადლე ჩემს სულს“ (4, 411).

გალაკტიონის ლექსში „ღრუბლები ოქროს ამურებით“ პოეტის წიგნში „დაჰქრის მისი სასახლის ლანდი“. სახლი, სასახლე უფლის პარადიგმაა, პოეტი ხაზს უსვამს, რომ მის წიგნში ღმერთის სახე, რელიგიური მოტივებია.

გოდერძი ჩოხელის მიხედვით, სამყაროს ყველაზე დიდი მწერალი არის ღმერთი, მადლიანი წიგნის ავტორი: „ღმერთო, სამყაროს დიდო მწერალო,.. მადლიანი წიგნის ავტორო“ ... (15, 435).

„თევზის წერილების“ ავტორისთვის „გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია: მთები ყდად აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა წერია... ეს ისეთი წიგნია, მანამ ცოცხალი ვარ, არც დახურვა შეიძლება, არც წაკითხვა-არწაკითხვა არის ჩემი ნება“ (15, 8).

როგორც ვნახეთ, გალაკტიონის პოეზია არის ბიბლიური პარადიგმების შემოქმედებითი გააზრება, ხოლო ეს ტრადიციები თვისობრივად ახალი ნიუანსებით მკვიდრდება ჩვენი დროის გამორჩეული მწერლის – გოდერძი ჩოხელის პროზაში.

წიგნის, აზრის მარადიულობაზე ამახვილებდა ყურადღებას ილია ჭავჭავაძე და ამბობდა, აზრთან არტილერიაც უძლურიაო.

გალაკტიონი თავისი წიგნის ძალას ატომს უპირისპირებს და დარწმუნებულია მის უძლეველობაში: „ძეგლად აღვმართე ჩემი ცხრა ტომი, წიგნთ შორის არ ჰყავს მათ თანატოლი და მათ გინდ უცხო, გინდ თანატომი ვერავითარი ვერ სძლევს ატომი“.

რეზიუმესავით აღიქმება გალაკტიონის განაცხადი, რაც გულისხმობს წიგნის სახეში მოაზრებული ღმერთის ერთგულებას,გულისა და სულის განწმენდას, ამაღლებას, რაც მომავალში გაღწევის პირობაა: „ვიდგეთ გარეთ და შიგნით მხოლოდ მშვიდობის წიგნით! კვლავ ვიწევთ მაღლა, მაღლა მხოლოდ მშვიდობის წიგნით... შევხვდეთ მომავლის ხალისს მხოლოდ მშვიდობის წიგნით“ (სადაც არ უნდა ვიქნეთ).

ამასთან, მარადიულია „მშვენიერ წიგნის“ „მკითხველისა“ და „გადამკითხველის“ პრობლემა (არის მკითხველი მშვენიერ წიგნის).

ლიტერატურა

1. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ., 1996.
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977.
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1998.
4. დანტე,ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941.
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990.
6. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
8. დიონისე არეოპაგელი, „შრომები“, თბ., 1961.
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ., 1973.
10. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ.,1985.
11. იოანე – იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ., 1994.
12. ტიტე მოსა, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, თბ., 1996.
13. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 5, თბ., 1995.
14. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991.
15. გოდერძი ჩოხელი, „თევზის წერილები“, თბ., 1989.

რომ ოცნებები ცეცხლით გალესო

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საღმრთო ცეცხლის სიყვარული და მისი გამომხატველი ორიგინალური ფრაზეოლოგია.

ცეცხლის არსით დაინტერესებული იყო ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მითოლოგია, რელიგია, ფილოსოფია, მხატვრული ლიტერატურა.

ძველ ფილოსოფოსთა მიხედვით, ცეცხლი შემადგენელია ოთხი ელემენტის, რომელთაგან ყველაფერი შეიქმნა. ცეცხლი სულის სიმბოლოდაც მიიჩნევა.

ცეცხლის ღვთიურ ბუნებას აღიარებდნენ ინდოეთში, საბერძნეთში, რომში, სპარსეთში.

„სიტყვა „ცეცხლს“ ბიბლიაში ფიზიკური და ზესთაბუნებრივი მნიშვნელობა აქვს“ (1,191).

ბიბლიის მიხედვით, ღმერთს ცეცხლის სახე აქვს: „გამოჩნდა უფლის დიდება მოგიზგიზე ცეცხლივით ისრაელიანთა თვალწინ“ (გამოსვლა, 24,17) (2,81).

ებრაელი ხალხის წინამძღოლს – მოსეს ცეცხლწაკიდებული მაყვლოვანი რომ ეჩვენა, ამაში ღრმა სიმბოლური აზრია: „მაყვლოვანი ღვთისმშობლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – ქრისტესი“ (3,28).

ქრისტე არის „ვითარცა ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“, საერთოდ კი, „ზეცისა არსებათა ცეცხლის სახედ აზმნობენ“ (4,107,144).

გრიგოლ ხანძთელს, როგორც ღვთის რჩეულს, ცეცხლის სახით ეხვია „სული ღმრთისაი განმანათლებელი“.

სასულიერო პოეზიაში ქრისტეს სახეა „ცეცხლი უსხეულოი“ (იოანე მტბევარი), „სუდარი ცეცხლისა“ (იოანე მინჩხი), „ნაკვერცხალი ცეცხლისა“, „შანთი შეუხებელი“, „ცეცხლი, მშობელი ცვარისა“ (ეზრა). ამ ფრაზაში „ცეცხლი ქრისტეა, „ცვარი“ – მისი მოძღვრება“ (აკაკი ბაქრაძე) (3,59).

ქართველებს ზებუნებრივი ძალების სახედ ცეცხლური მოვლენა ჰქონდათ წარმოდგენილი.

ხევსურთა გმირი კოპალა ცეცხლიანი იყო.

მზის ღვთაება მითრა არა მარტო მზის შვილი იყო, ცეცხლის, კოსმიური ნათების შვილადაც ითვლებოდა (5,168).

ინდურ ღვთისმეტყველებასა და მითოლოგიაში ღმერთი სხივოსანია, ნათელი, ელვისა და ცეცხლის შარავანდედით იხილვება (6,76).

რელიგიები ძირითადად „ცეცხლის კულტით“ საზრდოობენ.

ა. დრევსკის აზრით, ცეცხლთაყვანისმცემლობა, ცეცხლის კულტი უსწრებდა ბუდიზმს და ქრისტიანობას, ხოლო ბუდა და ქრისტე, როგორც გამგრძელებლები მზის დაბადების და სახეცვლილებისა, უშუალოდ ცეცხლთაყვანისმცემლობის გაგრძელებად ითვლებიან და კოსმიური ცეცხლის მატარებლები არიან.

ასევე, სულიერ ძალებს ახასიათებთ ცეცხლური ენერგია და ნათების უნარი (7,93).

სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავდა, რომ „ღმერთი გადმოითარგმნება ხედვად და წვად“ (8,253).

„ქრისტეს მზის ღვთაებრის ნიშნები ახასიათებს. მზის სახით ხდება ქრისტეს გამოცხადება“ (ლეილა კვირიკაშვილი, ცეცხლისა და ნათლის მეტაფორული მნიშვნელობა ქართულ სასულიერო პოეზიაში) (9,79).

ღმერთის შექმნილია ადამიანი და ემსგავსება თავის შემქმნელს, ის უხილავი ნათლისა და ცეცხლის შემცველია.

ელ. ტეილორი ცეცხლურ ენერგიას ადამიანის მაცოცხლებელ ძალად მიიჩნევს. ადამიანის სუნთქვითი პროცესი არის წვა. ორგანიზმის ცხოველმყოფელობა სხეულში მყოფ ცეცხლურ ენერგიაზეა დამოკიდებული (10,159).

ცეცხლი სხვადასხვაგვარია. არის მოქმედი, ცხადი, ნათელი, მწვავე, ბრწყინვალე, მსუბუქი, ძლიერი, ჩქარი, უხილავი, საიდუმლო, რწმენის, დაფარული, შინაგანი, მიძინებული, ნელი, ჩამქრალი, გარდამავალი, დროებით ანთებული, აგიზგიზებული, მარადი, ერთგული, ნაზი, უმანკო ცეცხლი... კერიის ცეცხლი, სიყვარულის ცეცხლი.

ალბანელის სურათში „ოთხი კავშირი ანუ ოთხი სტიქიონი“ – შესულია ცეცხლის სამი სახე-ციური ცეცხლი იუპიტერის სახით, მიწიერი ცეცხლი – გამოხატული ვულკანით, გრძნობადი ცეცხლი – აფროდიტე-ვენუს – სიყვარულის დიაცი ღმერთი.

არის კიდევ ცეცხლის მომდევნო ღმერთი – ეროს-ამურ-კუპიდონი.

სიყვარულის ცეცხლია სოლომონის „ქებათა ქებაში“, სანსკრიტულ მწერლობაში, მსოფლიო ლიტერატურაში (1, 151-191).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელია „დიადი ცეცხლი“, „მარადიული ცეცხლი“. „წარმავალი და აგრეთვე მარადიული იხილე ცეცხლი და მიხვედი ისეთ მზღვარამდის, რომლის გადაღმა თვალი ჩემი ვეღარა წვდება“ (11,247).

გალაკტიონის პოეზიაში მრავალნაირი ცეცხლი შეინიშნება, უმთავრესი კი მაინც ღვთიური ცეცხლია, რომლის მატარებელი ჭეშმარიტი პოეტია: „დაეხსენ! იყოს

ცეცხლი იგი პოეტის გულში, რას პოვებს გრძნობა სიბრალულსა და სინანულში. რა იცი, იქნებ იმ ცეცხლიდან იგი რბიოდა იმ ელვარებით, საიდანაც მზე მოდიოდა“.

აკაკი წერეთელი, გალაკტიონის თქმით, „ღვთიური ცეცხლით ეზიარა“ (აკაკის გარდაცვალების გამო).

ჭეშმარიტი პოეტი „უზენაესი ცეცხლის“ ძალას ედრება: „...დადაფნულ გზაზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ (მგლოვიარე სერაფიმები) (12,79).

ე. რერიხი წერს: „საჭიროა საკუთარი შინაგანი ცეცხლის ანთება... იგი ტრანსცენდენტურია... მიმართეთ... დიად ცეცხლს, რომელიც ყველაფერს იძლევა, ყველაფერს წმენდს და არაფერს ითხოვს“ (13, 89).

„შემოქმედებითი ცეცხლი ათბობს და ანათებს... ცეცხლი, როგორც სინათლე, აძლიერებს ადამიანურ არსებას. ყველაზე სასწაულებრივი იწრთობა ცეცხლში“ (13,169). „ცეცხლოვანი აზრი ანათებს სივრცეს და სულის მაგნიტი ბრწყინავს“ (13,223), „ცხოვრების უხილავი პროცესი იმართება სულის ცეცხლით“ (13,223), „ფსიქიკური შემოქმედებისას მოქმედებს წმინდა ცეცხლის სხივი“ (13, 223).

გალაკტიონის არსებობას აშუქებს „მწველი ცეცხლი“, რომელიც უდიდესი ძალით ავსებს პოეტურ გულისთქმას: „ქუხდე გულისთქმავ! სული მღელვარებს, გული მწველ ცეცხლით კვლავ გაიმსჭვალა, გაშუქდი, სანამ მძლავრია გრძნობა, გაშუქდი, სანამ გექნება ძალა“ (ქუხდე, გულისთქმავ!).

„ცეცხლის“ სანახავიდან განიჭვრიტება სიტყვასთან მეომრის, პოეტის, ბრძენის გზა: „ცეცხლი ალიან ცამდე ავიდა, ო, მეომარო, ბრძენო, პოეტო, ყველა ამ ერთი სანახავიდან“.

პოეტს სწყურია ღვთაებრივი ცეცხლი, ბნელი ნაპირების, წმინდა ტაძრების გასანათებლად: „ცეცხლი გწყუროდა, რომ აგენთო ბნელი ნაპირი, წმინდა ტაძრები, სიონები, სვეტიცხოვლები“ (შენ და შემოდგომა) (12,330).

ჭეშმარიტი პოეზია არის ღმერთის – „მარადიული ცეცხლის“ საგალობელი, „ცეცხლის შემოკიდება“ (პოეტს) (12,90).

„შემოიხვიე ცეცხლი და გახდი უვნებელი – ძველთა ანდერძია“ (ე. რერიხი).

გალაკტიონი მოუხმობს ღვთიური ცეცხლის ნაკადს, სწყურია ცეცხლით შემოსვა: „ჩავეშვათ ცეცხლში, გვიყვარდეს ნთება, მასში იმედის ბევრი რამ არის“ (ვარდები).

ასევე, პოეტი იყო ნათლითშემოსილი, შუქშემოსილი, მზითშემოსილი, სიხარულშემოსილი...

„ლურჯა ცხენებში“ ბედისწერით არის განსაზღვრული „ცეცხლის ხეტიალი“.

ღვთაებრივი ცეცხლის, გათენების მომტანი პოეზიის მერნის განდიდებაა ლექსში „ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“: „იმ ცეცხლს, იმ სანატრელ მერანს გაუმარჯოს, იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას“ (12,225-226).

ჭეშმარიტი შემოქმედი „ფეერიულ“, „ფანტასტიკურ ალში“ მცურავია (ედარებოდა შეშლილს) (12,92).

„წმინდა, უჩვეულო, ზეციური ცეცხლი“ ანთია პოეტების მეფის შემოქმედებაში (გარდასულთა ტკბილთა დღეთა).

მთლიანად ცეცხლიანია პოეტის არსებობა: „ოცნებაო, მოიგონე ცეცხლის დილა, ცეცხლის ბინდი, ფოლად უზანგს მოსდე ფეხი და კვლავ მერანს მოაფრინდი“ (ოცნებაო, მოიგონე).

„ფარული ცეცხლით“ გიზგიზებს გენიის გზები, „ცეცხლის სვეტის“ სახით ეცხადება შთაგონება (ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისრის?)

ბიბლიაში ღმერთი ცეცხლის სვეტის სახით ევლინებოდა ადამიანებს:„ხოლო ღმერთი უძღოდა მათ... ღამე სუეტითა ცეცხლისათა“ (გამოსვლათა, 40,38) (2,100).

გალაკტიონის აზრით, მხოლოდ რჩეულებს უნთიათ გულში უზენაესის ცეცხლი: „განა სუყველას უნთია საგულეს ცეცხლი ციური, განა სუყველა კაცია, ხმა შეისმინოს მზიური“.

შემოქმედი სული საღვთო ცეცხლით გაალებულია და ყოველ წუთს მზად არის დასაწვავად, რადგან სწამს, რომ ამ ანთებიდან დარჩება „ფერფლი, ცა და ეს წიგნი“.

„სულიცა წამოდგა თანგაალებულად“, აღნიშნავს იოანე პეტრიწი (14, 80).

გალაკტიონი მოუთმენლად ელოდება სულის ანთებას: „სულო, შენ გაალდები“.

მის წიგნს აქვს „ალი მზერის“, ქნარი კი „მარადის ცეცხლის“ ანუ ღმერთის საგალობელია.

პოეტის კრედო ასეთია: „გაბრძმედდეს ცეცხლში, რაც კი ძველი, ღრმა ტომებია“ (ორი ქვეყანა).

მიზანი ცეცხლით ავსებაა: „ცეცხლით ავივსებ, გავიათასებ ამ მშვენიერ ხმას ტყვემქნელ გრძნობაში“.

„აზრი არ არის ცეცხლის გარეშე და ცეცხლი მიემართება შემოქმედს. ფსიქიკური ენერგია ცეცხლის ენერგიაა“.

„მზის ცეცხლი და სულის ცეცხლი ჩვენი შემოქმედებითი ძალებია“ (ე. რერიხი) (13,192).

ბიბლიაში, ჰიმნოგრაფიაში საღმრთო ცეცხლია ყინულის მდნობელი ძალა.

პოეტის გულის ცეცხლით დნება ყინული ლექსში „შეხედეთ, მიწა!“ (12,232-233).

მთავარი დევიზია:„ყოველ წყვდიადში მანათობელ ცეცხლად აენთე, ელვარე ცეცხლად, სიცოცხლით და ახალგაზრდობით“ (ყოველ გრიგალში).

საღვთო ცეცხლის მადლით იხილვებოდა ახალი მხარე, მიემადლებოდა უფსკრულში ჭვრეტის უნარი: „გვიხმობდა ცეცხლი და აღელვება, ის გვიხატავდა სულ ახალ მხარეს, სადაც უფსკრულში შთამჭვრეტი მზერით წინასწარ გრძნობენ ხანას ელვარეს“ (სხივი ტალღებში).

„აზრი ცეცხლოვან სამყაროში ელვის მსგავსია, იქ არის მეშვიდე სინათლე. მეშვიდე სინათლე ყველაზე მთავარია“, აცხადებდა ე. რერიხი.

გალაკტიონი ჭვრეტდა „შვიდფრად მოციმციმე ჟამს“...

გამუდმებით ჩაესმოდა „ცეცხლის მფარველი გუგუნი“ (შემოდგომა უმანკო ჩასახვის მამათა სავანეში) (12,128).

„მფარველი ცეცხლი“ ღმერთის ბიბლიური სახელია.

წარმატების გზაზე პოეტის წინამძღვარი იყო „წმინდა ცეცხლი ფარული“, ვარსკვლავი, დიდი სიხარულის შუქი: „...დადგა დრო და ის ზვავიც აზვინდა, გრძნობათა წმინდა ცეცხლის ფარულის, ცაზე ვარსკვლავი უნდა გაბრწყინდეს, შუქი გაბრწყინდეს დიდ სიხარულის“ (გამარჯვებისკენ).

ფარული ცეცხლი, ვარსკვლავი, სიხარული, შუქი საღვთო სიმბოლოებია.

პოეტს ნანგრევების სიჩუმეშიც ესმოდა „დაფარული, უჩინარი ცეცხლის“ ხმა (თითქო არა აქ).

„ახალი ცეცხლი“ უძგერებდა გულს, „ზექვეყნიური სიყვარულით“, გამოუთქმე-

ლი და მწარე ალით“, „სიმართლის ალით“ იწვოდა (არ მინდა სიტყვა).

ე. რერიხი წერდა: „მარადიულად მოძრაობს კოსმიური ცეცხლი, გამოგზავნილი აბსოლუტის მიერ“ (13,210).

„მსოფლიო ცეცხლი“ გამხდარა გალაკტიონისთვის ახალი გზების გაგნების იმპულსი: „ახალი გზისთვის ჩვენ მიგვიგნია მრავალი ცეცხლით, მსოფლიო ცეცხლით“ (ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე).

„უმანკო ცეცხლის ალი“, „სიახლის ალი“ იქცევს ყურადღებას ლექსში „საბედისწერო ფიქრი“.

ტერენტი გრანელს „საიდუმლო ცეცხლის“ სახით ევლინებოდა უზენაესი.

გალაკტიონთან კი „საიდუმლო ალები“ გვესახება ორიგინალურ მიგნებად: „საიდუმლო ალები! ისევ მომეძალება უმიზეზო წვალება და ლურჯი მწვერვალები! ვარსკვლავებით მწირველი, ლოცვა-გასაკვირველი, ასეთია პირველი ტრფობის ინტერვალები“ (voiles) (12,89).

ლექსში „ცაზე ლეგიონი ცურავს ვარსკვლავების“ (12,225-226) „მყინვარიდან ვარდისფერმა ალმა იგიზგიზა“.

„რარიგ ვრცელია შუაღამის ჟამთა სიალე“, ნათქვამია ლექსში „ბარათაშვილი“.

„სიალე“ ნეოლოგიზმია.

ლექსში „წუთი“ (14,39), განწმენდის ფუნქცია აქვს „ჟამთა ცეცხლს“: „ჟამთა ცეცხლით განწმენდილი, ფრთასუბუქი, ფრთასათუთი, მოელვარე ცის კიდურში გამიტაცებს ხოლმე წუთი“.

პოეტს ესმის შორით მოსული „ცეცხლის ხმა“, რადგან მისი კოსმიური სული სივრცეების ბინადარია: „შორით მოისმის ცეცხლის ხმა და ხმალთა წკრიალი და შეშფოთდება ოცნება-სული, გადივლის თვალწინ ამღვრეული დროის ტრიალი – აღქაფებული, აზვირთებული“ (ციხის ნანგრევებთან).

ამ სახის უსასრულოდ გამრავალფეროვნებას მოასწავებს „ცეცხლის ფანტელი“ „ცეცხლის ალმური“ (აღმოსავლეთი), „ახალი კოცონი“ (იგრძნობს პოეტი ახალ კოცონებს), „ცეცხლის კამარა“ (ჩაკეტა კარი), „სიხარულის ცეცხლი“ (თვალები).

„ცოცხალ ცხოვრების ცეცხლია“ ლექსში „ოცნება და სინამდვილე“: „დრომ ძველ მიდამოს გაჰკრა ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი“.

არსებობს აზრი, რომ ქრისტე აღმოსავლეთიდან მოვიდა. ამ შეხედულების გაზიარებას გვაფიქრებინებს გალაკტიონის სტრიქონები: „დახეტიალობს ცეცხლის ალმური, მოულოდნელი სიმხურვალეთი, მან მოიარა ყველა ქვეყნები და ინახულა აღმოსავლეთიც“ (აღმოსავლეთი) (12,212-220).

ღვთაებრივი ცეცხლი განწმენდის წყაროა.

„განწმენდის ცეცხლის გარეშე შეუძლებელია უმაღლეს გაგებას მიუახლოვდე“, ირწმუნება ე. რერიხი (13,349).

ბიბლიაში ცეცხლით ხდება ადამიანთა ზნეობრივი განწმენდა: „ყოველი, რომელი შევალს ცეცხლსა... განწმდეს იგი“ (გამოსვლათა, 339,123).

სახარებაში იოანე ნათლისმცემელი ქრისტეს შესახებ ეუბნება ხალხს: „მე წყლით გნათლავთ მოსანანიებლად, ჩემს შემდეგ მომავალი მოგნათლავთ თქვენ სულიწმინდითა და ცეცხლით“ (მათე, 4,11) (15,5).

ცეცხლით განწმენდის რწმენა უძველეს დროშიც არსებობდა.

წმინდა გიორგი განიწმინდა წამების ცეცხლით.

გალაკტიონი განახლებას აღწევს წამების ცეცხლით: „წამების ცეცხლში განახლდა გული, ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე“ (განახლდა გული) (12,12).

ლექსის არსებითი სათქმელის რევოლუციასთან დაკავშირება სავსებით უმართებულოა.

გალაკტიონის იდეალი „ცეცხლი“ და „აზარფეშა“ იყო, ანუ „ცეცხლიანი აზარფეშა“. ცეცხლი ქრისტეს სახელია, „აზარფეშა“ – ღვთისმშობლის (შემოდგომა) (2,333).

„ალის მომეცით თასი – სავსე ძლიერი ღვინით“ – ამ ფრაზაში ქრისტე წარმოისახება, როგორც „ალი“, „ცეცხლი“, ღვთისმშობელი – „თასი“, „ძლიერი ღვინის“ – ქრისტეს „თასი“.

„ძველი, დაწმენდილი ღვინო“ ქრისტეს მეტაფორაა ესაიას წინასწარმეტყველებაში (25,6) (2,91).

ე. რერიხი საუბრობს „ცეცხლის ვარდების ბრწყინვაზე“, „უსხეულო სამყაროს ყვავილსა“ და მის ხმაზე (13,425,504).

ვარდი აღიარებული საღმრთო სახელია და, ბუნებრივია, „ცეცხლის ვარდიც“ და „უსხეულო სამყაროს ყვავილიც“ რელიგიურ ჭრილში იქნეს გაგებული.

გალაკტიონთან მოიხილება „ცეცხლის ვარდებიც“ და „ზეცის ყვავილიც“ – „ყვავილი ცათა მდელოსი“.

„ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად, ომში მინახავს ცეცხლის ვარდები, იმ სიმაღლეებს ვიგონებ ხშირად, არ მავიწყდება ის ლაჟვარდები“, წერს პოეტი ლექსში „მე არა ერთხელ მქონია ფრთები“.

ლექსში „გეძებდი ყველგან“ სდუმან „აპოკალიფსის მძაფრ მხედარზე“, „ბნელ ცხედრებზე“, „შავ ცეცხლზე“: „...არის სიჩუმე, ბნელი ცხედარი, მის ტანზე შავი ცეცხლის გაჩენა, აპოკალიფსის მძაფრი მხედარი ვინც ქაოსებში შემოაჭენა“.

„შავი ცეცხლი“ ასე განიმარტება ე. რერიხის მიერ: „არჩევანის თავისუფლება, განათლება, თვითსრულყოფა ამის ცეცხლის გზა. ყოველ შეფერხებას და ნგრევას აღვიძებს შავი ცეცხლი. შიში და ნგრევა შეიძლება იყოს შავი ცეცხლი“ (13,373).

აშკარაა, გალაკტიონის „შავი ცეცხლი“ ნეგატიური ძალების სიმბოლოა, როგორც მისივე „ნერონის ცეცხლი“, „დემონიური ცეცხლი“.

ე. რერიხი წინასწარმეტყველებს: „დადგება ცეცხლის ერა. მოიძიეთ სიმამაცე და გონება მის მოსაახლოებლად. დგება ცეცხლის საუკუნე, რომელიც მოუტანს კაცობრიობას მიღწევას. ცეცხლის საუკუნე შეიძლება აშენო ცეცხლით... ცეცხლი არის სიყვარული. ცეცხლის სამყარო გახსნილია მხოლოდ გმირებისთვის“ (13,183,286,446).

ე. რერიხის აზით, არსებობს ოთხი სამყარო: „უსხეულო სამყარო, სინათლის სამყარო, მშვენიერების სამყარო... ცეცხლის სამყარო. უსხეულო სამყარო შეიმეცნება ნახევრადცნობიერი მდგომარეობით, ხოლო ცეცხლოვანი სამყარო მხოლოდ ნათელი ცნობიერებით“ (13,508).

ასევე, ე. რერიხი აღნიშნავდა, რომ ადამიანებს ყოფენ სამ ჯგუფად: სხეულებრივი, უსხეულო სამყაროს მკვიდრი და ცეცხლოვანი სამყაროს ამღიარებელნი. აიდეალებდა რა ცეცხლოვან ხედვას, ცეცხლს უკავშირებდა ნათელხილვას და ნათელსმენას (13,498).

გალაკტიონი მიესალმებოდა ცეცხლოვან სამყაროს, თვრებოდა ყოფნით, ცეცხლით: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“.

ცეცხლი საღმრთო სახელია, ასევე ყოფნა, ცხოვრება: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანეს სახარება, 14,6) (16,211).

ამიტომ სწყუროდა გალაკტიონს ცეცხლი (შენ და შემოდგომა) (12,330). „ცეცხლის ნანა“ (ჩვენი ჟურნალი) (2,285), „ალის თასი“.

ალი, ცეცხლი ქრისტეს სახელია, თასი – მარიამ ღვთისმშობლის.

„ცეცხლიანი აზარფეშა“ ეპყრა მზის – ღმერთის სადიდებლად. „ცეცხლი“ ქრისტეზე, „აზარფეშა“ – მარიამზე მიმანიშნებელი.

სიტყვისათვის „ცეცხლის შემოკიდება“ სურდა, „ცეცხლის სანახავიდან“ ხედავდა მოვლენებს (მოადგა ნაპირს ათასი ნავი) (12,319), მღეროდა „ცეცხლის მოდებით“ (პორტრეტი) (12,222-223), ცეცხლს უკავშირებდა გათენებას (ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების) (12,225-226), ცეცხლით იათასებდა ხმას (საღამოხანად) (12,503).

ეადვილებოდა „ოცნებების ცეცხლით გალესვა“ (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა) (11,129), კეისარივით „დადაფნულ გზებზე“ მავალს, „უზენაესი ცეცხლი“ ეხვეოდა (მგლოვიარე სერაფიმები) (12, 79), მისი ქნარი „მარადიული ცეცხლის საგალობელს“ მღეროდა (12,90), „ფეერიულ ალში“ ცურავდა (ედარებოდა შეშლილს) (12,92), ომებში „ცეცხლის ვარდებს“ მოიხელთებდა, ხელეწიფებოდა „ახალი ყვავილების ცეცხლთა აქარგვა“ (ზამთრის ყვავილები), „ცეცხლის მფარველი გუგუნი“ ჩაესმოდა გაზელების (ყაზალების) – რელიგიური ლექსების – დიდოსტატს.

გალაკტიონის ლექსებს ანათებს „სიმართლის ალი“, „საგაზაფხულო ალი“, ფანტასტიკური, ფეერიული ალი, ვარდისფერი ალი, უმანკო ცეცხლის ალი, სიახლის ალი, საიდუმლო ალი, შუაღამის ჟამთა სიალე, ჟამთა ცეცხლი, ახალი კოცონები, ცეცხლის კამარა, პოეტს უპყრია „ალის თასი, სავსე ძლიერი ღვინით“.

მისი შედევრები მარადიულია, როგორც „ცეცხლში“ გამობრძმედილი.

დემონურ ცეცხლს ებრძოდა, (ქვეყანა გაცვდა) (12,810) „ნერონის ცეცხლის“, „ცბიერი ალის“ დავსებისთვის იღვწოდა, მარადიული, მანათობელი ცეცხლის-ღმერთის მსახური სწორ ორიენტირებს უსახავდა ათეისტურ ეპოქას.

გალაკტიონის შედევრებში ჩანს „უჩვეულო ცეცხლის მფენი სილამაზე“, „ზეციური ცეცხლის მჩენი სინარნარე“ (გარდასულთა ტკბილთა დღეთა).

ლიტერატურა

1. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1963
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, 1990
3. აკაკი ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები, კრ. „პოეზია“, თბ. 1981
4. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961
5. თინათინ ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თბ. 1967.
6. ბჰაგავად-გიტა, თბ. 1983
7. ა. დრევსკი, მითი ქრისტეზე, 1924 (რუსულ ენაზე)
8. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. IV
9. „მაცნე“, 1969, №6
10. ე. ტეილორი, ანთროპოლოგია, 1924წ. (რუსულ ენაზე)
11. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“ თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
12. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977

13. Е.Рерих, Мозайка Агни Иоги, в Двух Книгах, I, Тбилиси, 1990
14. იოანე პეტრიწი, ტ. I, თბ. 1940
15. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992

თვალები შეკრული კამარის

გალაკტიონ ტაბიძის გამორჩეულობას განაპირობებდა „ათასის მხედველობა“,... „სმენა ასი ათასის“. როგორც თვითონ აცხადებდა, ასომთავრულივით ხედავდა „სხვისთვის უხილავ-ფარულს“. პოეტის გენიალური ხედვის უტყუარი მახასიათებელია ფრაზა: „...ბნელ ღამეში იგი ამჩნევს ცბიერი, რას სხვა ვერ ჭვრეტს დღისით უდიადესით“.

პოეტების მეფეს ახასიათებდა „უფსკრულში შთამჭვრეტი მზერა“, რაც წინასწარ ახილვინებდა მომავალში მოსახდენ მოვლენებს – ქვესკნელის, შუასკნელის, ზესკნელის, წარსულის, აწმყოს, მომავლის საიდუმლოთა მხილველი თვალი „სივრცეთა უნაზეს გრადაციებს“ ზვერავდა (ღრუბლები ოქროს ამურებით) (1,86).

ამიტომ გვხვდება მის შემოქმედებაში, ერთი მხრივ, სატანის, მეფისტოფელის ბოროტებამოძალებული ცალი თვალი, მაცდური თვალი, „ხანჯლის ციების“ შეგრძნების გამომწვევი ხედვა, „ყრუდ, უალერსოდ ყინვათა მფენი თვალები“... პოეტს ხელეწიფება დალანდოს მზაკვრულად მოსული მტრის „ელამი მზერა“, უფსკრულის ბნელი, „სამარადჟამოდ დაუნახავი“ თვალი, ანგელოზის „ციურ იდუმალებით სავსე“ თვალი...

გალაკტიონის „სილაჟვარდის“ ლირიკული პერსონაჟის, ანუ თვით ავტორის თვალები „ცვრებით, იებით“, ანუ რწმენით სავსეა.

ცვარი ღმერთის მეტაფორაა: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი; 4,6) (2,273).

ია კი მიემართება მარიამ ღვთისმშობელს, რომელიც მოიხსენიება, როგორც „უბიწოებით შემკული ია“ (3,45).

პოეტი განასხვავებს ანგელოზის და უფლის მზერას.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ ტარიელს ეცხადება ანგელოზი „არამზიური... ციურ იდუმალებით სავსე თვალებით“, რომლის ცქერა „გულს ანუ თვალსა, სიძლიერითა გახვრეტდნენ ქვასა“ (4,316).

მაგრამ დამაბრმავებელია უფლის თვალები, რომელსაც ვერვინ გაუსწორებს მზერას: „უცებ გაბრწყინდა მისი საკანი, აენთო წმინდა მზე შინაგანი შორეულ წერტილთ რამ შემაერთი... აბრმავებდა ის სხივი მის თვალებს, როგორც სხივი მზის ადნობს მწვერვალებს“ (4,315).

ღმერთი, გალაკტიონის მიგნებული თქმათ, არის „მეუფება მრავალთვალი“, „ძალთა ძალი“, „უხილავი უკვდავება“, რომელიც წყალობს მორწმუნეთ. პოეტი ასე მიმართავს თავის დიდ წინამორბედს – აკაკი წერეთელს: „...რაღაც ვრცელი, იდუმალი, შენ გმსახურებს ძალთა ძალი, უხილავი უკვდავება, მეუფება მრავალთვალი“ (აკაკი წერეთელი) (1,817).

თვალი, როგორც უფლის მეტაფორა, მრავალგზის გვხვდება ბიბლიაში.

„ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ (იგავნი სოლომონისა, 15,3) (5,627).

„უფლის თვალი ათასჯერ ნათელია მზეზე. ის ადამიანის ყველა გზას ჭვრეტს და დაფარულ ადგილებშიც აღწევს“ (სიბრძნე ზირაქისა, 23,19) (5,59).

ღმერთი „თვალს ავლებს ქვეყნის კიდეებს, მთელ ცისქვეშეთს ხედავს“ (იობი, 28,24) (5,838).

„ღმერთის თვალები განჭვრეტენ სწრაფად“ (ფს. 16/17,2) (6,554).

ღმერთი არის „ღია თვალი“: „დიდგანმზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32, 19) (2,156).

პავლე მოციქული გვაუწყებს: „არცერთი ქმნილება არ არის დაფარული მისი ხედვისაგან, არამედ ყოველივე გაშიშვლებული და ღიაა მის თვალთა წინაშე, ვისაც ვაბარებთ ანგარიშს“ (პავლე მოციქული, ებრაელთა მიმართ, 4,12,13) (6,472).

„ღმერთი ჭვრეტს ყოველივეს თავისი საღვთო, ყოვლისმხედველი და უნივთო მზერით, აწმყოსაც, წარსულსაც და მომავალსაც“ (იოანე დამასკელი) (7,342).

ბიბლიაში ღმერთს ეწოდება „ნათელი თვალთაი“, ჰიმნოგრაფიაში „მზის თვალი“ დავით გურამიშვილთან – „თვალთა ნათელი“ ტერენტი გრანელთან – „მფარველი თვალი“.

„უპანაშიდებში“ უფალი წარმოიდგინება, როგორც „თვალი სამყაროსი, რომელიც არ ბინიერდება გარეგანი უწმინდურებით“.

„ორი მილიონი თვალებით ვუცქერი მომავალს“, „ათასის აქვს მხედველობა, იერი, ათასის მზე, სმენა ასი ათასის“, ასეთ თვითდახასიათებას გვაწვდის გალაკტიონი და გვაგონდება „ასპირიანი, ათასსახოვანი, აღურიცხველი თვალის, მრავალგვარი და მრავალფერი“ უზენაესი, არჯუნას რომ გამოეცხადა „ბჰაგავად-გიტაში“ და ათქმევინა: „შემიწყალე მე! მწყურია შენი საცნაურყოფა, მაგრამ არ ძალმიძს მივწვდე ამ შენს გამოცხადებას!“

გალაკტიონი მრავალგზის, მრავალგვარი ვარიაციით აფიქსირებს როგორც უფლის ყოვლისმხილველი თვალის, ისე საკუთარი მზერის თავისთავადობას.

ქრისტე არის „ცხოვრების თვალი“, მარიამ ღვთისმშობელი – „ცხოვრების თვალის მშობელი“(ძლისპირნი) (8,535).

დანტე ალიგიერი ყურადღებას მიაპყრობს „ზეარსებათა მარადიულ თვალს“ (9,28).

გალაკტიონის უნიკალურ მზერას „მფარველი საყვარელი თვალების“ სახით ევლინებოდა უზენაესი: „საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების, სადაც რომ იმალება იაგუნდი, ლალები, საიდუმლო მღერალი, კიდევ მრავალფერ ალით, ასეთია მფარველი – საყვარელი თვალები“ (voiles) (1,80).

ლექსში ღმერთის სახელად ფიგურირებს ასევე „საიდუმლო ალები“, ვარსკვლავი, შანდალი, ხოლო მარიამის სიმბოლოა მანდილი, იაგუნდი, ლალი. ხაზი ესმება „პირველ ტრფობას“, პირველ სიყვარულს, რაც საღვთო სიყვარულის მნიშვნელობით გაიგება.

პოეტს „ოცნებათ კრებას“, „ვნებათ ქარბუქს“ აღუძრავდა „შორეული ტრფობა“,

(საღვთო სიყვარული). ათეისტური ეპოქის შვილს მარად ახსოვდა „ცისფერთვალეება, იდუმალება შორეულ ტრფობის“: „მე დამავიწყდა ძველი წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის და მახსოვს მხოლოდ ცისფერთვალება იდუმალება შორეულ ტრფობის“ (ის) (1,40).

გალაკტიონი ხედავდა ლაჟვარდის თვალთა სილამაზეს, სიხარულის, უკვდავების მომტან მარადიულ სულს: „თითქო მთელი უკვდავება ტრიალებდა ლაჟვარდ ცაზე და ლაჟვარდის ამოკვნესით კრთოდა თვალთა სილამაზე. ო, თვალები, არ მინახავს მე თვალები უკეთესი, მათში კრთოდა კაეშანი, სიხარულის ცეცხლის მთესი. მათში ფეთქდა უკვდავების უხილავი ტალღათ კრება“ (თვალები) (ხუთტომეული, ტ. I, თბ. 1993, გვ. 61).

პოეტი ღმერთს განიცდიდა, როგორც „თანამგრძნობ თვალებს“, სიცოცხლისკენ მომწოდებელ მარადიულ ძალას: „...ნაცნობი ზმანება ბროლის მოვა: სალამი თანამგრძნობ თვალებს“ (რევოლვერი) (1,145).

ღმერთის თვალი მარადიულად ანთებული მომავლის თვალია: „... აენთო თვალი წინ ასე მკრთალი და მომავალი ააციმციმა“ (მშვიდობის წიგნი).

გალაკტიონი ხედავდა „იქაურ ცას“, ღმერთების სამყოფელს, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი“ ეწოდება, ხედავდა ცის ლაჟვარდის თვალს, მის მაცოცხლებელ ნამს, მას სოლომონ ბრძენივით ეცხადებოდა თავისი იდუმალი სატრფო – სულამითი: „იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით, მოველი ღამეს და შენ, სულამით! ჩემს მკვლელს – მიუვალ ღამეს მოველი“.

პოეტი ხედავდა „ვარსკვლავების თოვლით“ ფენილი „ცანი ცათანის“ თვალებს (ცა, თოვლით ფენილი) (1,141).

გამოცხადების ნისლში შედიოდა, საინფორმაციო ველში გასული, ბედნიერებით თვრებოდა, „უხილავ გზებს“ ჭვრეტდა: „ალერსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსასხამით და დათრობაში ამ ღამის-ღამით უხილავ გზებით შთავა ყოველი“.

ამასთან, აწამებდა „დამწვარი ცა“, „უჩინარი ჭკნობის ალი“, ანუ ირგვლივ გამეფებული ურწმუნოება, რაც სულის სიკვდილს მოასწავებს (გობელენი) (1,78).

ათეისტური ეპოქის შვილი ხედავდა მზის (ღმერთის) მიცვალებას „ღია თვალებით“, ანუ მის მარადიულად გახელილ თვალს, ესმოდა ძე ღმერთთან „მგლოვიარეთა ქნარის“ (მარიამ ღვთისმშობლის) გამომშვიდობების ხმები: „... და ეს თვალები საღამოთა ხმას უსმენდნენ ტანჯვით და მოკრძალებით... მას გახელილი დარჩა თვალები, ოჰ, გახელილი დარჩა თვალები“... (მას გახელილი დარჩა თვალები) (1,131-132).

აშკარა იყო გაუქმებული ეკლესიები, ტაძრები, სადაც „შავი თოვლივით“ თოვდა „ჭვარტლი და ბურუსი თავანის“...

ცის კამარის თვალები – ღმერთი – ხედავდა ადამიანთა ურწმუნოებით დაგვალულ სულებს, მკაცრად განსჯიდა უკეთურთ და პოეტიც ჯვარცმულის ხვედრს იზიარებდა: „ვეწვევი განდეგილ მამათა „უმანკო ჩასახვის“ სავანეს. იქ შავი თოვლივით დამათოვს ჭვარტლი და ბურუსი თავანის. სიმკაცრით შემხედავს საშვენი – თვალები შეკრული კამარის: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

უდაბნოს ქარებით განაწამები პოეტი სამრეკლოს ჯვარზე ყვავებს ჭვრეტდა, მაგრამ „უკუნ ღამეშიც“ საღვთო ცეცხლის „მფარველი გუგუნი“ ჩაესმოდა, უფლის სასახლის მგოსანი მაინც „გაზელებს“, რელიგიურ პოეზიას მსახურებდა (შემოდგო-

მა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში) (1,128).

პოეტი განადიდებდა „წმინდა ნათელს“, ზეციურ შუქს (ღმერთს), ჩვენი ზეციური დედის „თვალთა ნათელს“ და ლოცვა-ვედრებას აღუვლენდა მათ: „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე, შუქთა მფრქვეველი, დედაო ღვთისავ, შენსკენ მოილტვის ლოცვა-ვედრება და საკმეველი... ოჰ, ეს ნათელი, თვალთა ნათელი გულის სიღრმემდე მწვდება, მედება!“(AVE MABiA) (1,45-46).

„ცისფერ ბადეში“ „დამწყვდეული სულის“ ტანჯვა და ნათლის წყურვილია ლექსში „ფარდების შრიალი“ (1,82).

აღმასვლის საწინდარია „სიცოცხლის“ – ღმერთის ერთგულება.

გალაკტიონის თვალები მუდმივად „სიცოცხლეს“ – ღმერთს მიემართებოდა: „ნუ მოაშორებ სიცოცხლეს თვალებს, რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს“ (რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს) (10,98).

სიცოცხლე, ცხოვრება ქრისტეს სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანეს სახარება) (6,

პოეტების მეფის შემოქმედებაში დაფიქსირებულია „მაისის თვალით“ თრობა (ისევ მაისის მათრობს თვალები) (1,421).

საუბარია „წიგნის ადამიანურ თვალებზე“ (მშვიდობის წიგნი) (4,513). ეს ლიცენცია შეიძლება აიხსნას წიგნის სიმბოლური გააზრების მიხედვით. ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, დანტეს და გალაკტიონის პოეზიაში წიგნი საღმრთო სახელია.

ესაია წინასწარმეტყველმა ძე ღმერთის მოვლინება გაიაზრა, როგორც წიგნის სიტყვების გახმიანება: „იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები. გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (29,11,18) (2, 94).

ნეტარი ავგუსტინემ ღმერთს უწოდა „დაუხეველი წიგნი“ (11,217).

დანტესთან „სანუკვარი წიგნის“, „დიადი წიგნის“, ადრესატია ღმერთი (9,383);

გალაკტიონმა ამ სახის მრავალი ვარიაცია შექმნა (12,87).

ასე რომ, „წიგნის ადამიანურ თვალებში“ ძე ღმერთი იგულისხმება, რომელიც ორბუნებოვანი იყო: ღმერთი და ადამიანი.

პოეტმა მრავალგზის დააფიქსირა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიები, ანგელოზის „მწუხარე თვალებით“ ცქერა, რომლის „გრძელი პერგამენტითაც“ ნაუწყები იყო ღმერთთან გამოთხოვება. ცნობილია, იოანე მოციქულის გამოცხადებაში ნაწინასწარმეტყველები იყო უღმერთო იმპერიის შექმნა, სადაც გველეშაპისაგან მოვლენილი ზღვის და მიწის მხეცების მეუფებას ექნებოდა ადგილი. ალბათ, გალაკტიონის „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ შთაგონებულია იოანეს გამოცხადებით. გალაკტიონთან თვალი „ცეცხლიანი ბუგრებით“ ანათებს, გამოხედვაში „ცეცხლი და ალია“, პოეტის სიტყვის ძალა წვავს „ზეცის მიბნედილ თვალებს“...

თვალი ყინვათა მფენია, ფოლადივით ცივია, თვალი სილაჟვარდეა, საუბარია „დროის თვალზე“, ქუჩის თვალზე.

პოეტმა დააფიქსირა ასევე „ელამი მზის თვალი“ თოვლის, თეთრი ავდრის სამეფოში, სამშობლოდ შემოსაღებულ-დაძალებულ თოვლიან ველში და აღმოხდა უმზეობით გათოშილი ქვეყნის თანაზიარს: „...რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“ (ოფორტი) (1,73).

აღსანიშნავია, გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება თვალებით სმენა – სინესთე-

ზია: „და ეს თვალები საღამოთა ხმას უსმენდნენ ტანჯვით და მოკრძალებით“... (მას გახელილი დარჩა თვალები) (1, 131- 132).

გვხვდება ავბედითი „მზვერავი თვალი“ (მშვიდობის წიგნი); მტრობა, რომელიც მუდმივად ხელს აფათურებს ჩვენს სულში.

ყურადღებას იქცევს „ტბის თვალი“, „უდაბნოს თვალი“ (ტფილისი ღამით); „დროის თვალი“, „ქუჩის თვალები დიდრონი“... უფსკრულის ბნელი თვალი (ორი ზარი). საოცარი სახეა: „ჩემი თვალები ტავერნაა ნამაისარი“ (არ მენატრება) (1,707), ანუ თვალები მოვლენათა ამრეკლავია, სასტუმროა.

„თვალები სივრცეებში ეძებდნენ გრიგალს, ფრთებს-განიმედებს“ (ზღვის ეფემერა) (1,236-239).

„თვალები ფეერიულა“ (მან მოიტაცა ველები თოვლის) (1,177). „თვალები მიდის ეფემერამდე“ (1,219), „თვალი იკარგება სივრცეთა უნაზეს გრადაციებში“ (ღრუბლები ოქროს ამურებით) (1,86)

„აღარ ეტყობა თვალებს თვალობა, როცა ღრეა და მიუვალობა“ (ქარებს ქაროობა) (1,94).

თვალი სულს ხედავს: „მე დავინახე მცურავი სული“ (გრიგალი) (13,222-225).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ. 1984
4. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
7. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
8. ძლისპირნი, თბ. 1982
9. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
10. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ.2, თბ. 1993
11. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
12. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009
13. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988

დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში კარი მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა და გაიაზრება რელიგიურ, ეროვნულ-პოლიტიკურ თუ ესთეტიკურ ჭრილებში.

კარი საღვთო სახელია სახარებაში. ქრისტემ განუცხადა თავის მოწაფეებს:

„...ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხოვართა.

„მე ვარ კარი. ვინც შედის ჩემით, გადარჩება. შევა და გამოვა და საბოძვარს ჰპოვებს“ (იოანე, 10,7,9) (1,201).

„დაუჯდომელში“ გვხვდება „პატიოსნისა საიდუმლოსა კარი“ და „კარი ღვთის სიტყვისა“, რომელშიც მარიამ ღვთისმშობელი იგულისხმება (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა) (2,11,12).

ფსალმუნში ყურადღებას იქცევს რელიგიური აზრის „კარიბჭეების“, „მარადი კარის“ სახეები: „მაღლა ასწიეთ, კარიბჭეებო, თქვენი თავები და აიწიეთ, კარნო მარადნო, რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა“ (ფს. 2,,7) (1,544).

ეზეკიელ წინასწარმეტყველის „დახშული კარი“ მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორად გვევლინება.

გალაკტიონის პოეზიაში კარი, დღეთა კარი ხშირად ქრისტიანული მრწამსის გამომხატველია: „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილთ, ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები, ცა მემუქრება ჭექა-ქუხილით, მე დამუნჯებით ცას ვემუქრები“.

დღე არის საღვთო სახელი: „ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა.ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში“ (ფს. 117,27) (1,651).

ელვის, ცეცხლის მუქარას, ძალმომრეობას გალაკტიონის ლექსში უპირისპირდება სიკეთე, სინაზე, რწმენა იმისა, რომ მტერი მოინანიებს: „ელვამ აანთო ცეცხლის ბუგრები, ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით, მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები, რომ მოვა ჩემთან მონანიებით“ (დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით) (3,132).

განუმეორებელი ფრაზაა „ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით“. ია მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა. ძე ღმერთის დედა არის „უბიწოებით შემკული ია“ (4,45).

პოეტმა ხანჯალს, ბოროტ ძალას დაუპირისპირა ქრისტიანული სათნოება, სიკეთე და ირწმუნა სიავის დამარცხება.

ლექსში „გრძნობა, რომელიც დაკარგულია“ (3,282) რელიგიური შინაარსის „კარის“ გამრავალფეროვნების ნიმუშია „სამოთხის კარი“.

იხატება ღმერთის დამკარგავი ეპოქის მწუხარება, დროის წყლულები, გაუნელებელი ცეცხლის და ქარის თარეში: „ის მღერის, როგორც დარის დარება, იმისი გული ხალხის გულია, მასში მოისმის იდუმალთა ხმათ მწუხარება, გრძნობა, რომელიც დაკარგულია. ის ხეტიალობს ასეთნაირ განწირულებით, როგორც სამოთხის დახურულ კართან, გულზე აჩნია უკურნავი დროის წყლულები, გაუნელებელ ცეცხლთა და ქართა“.

სამოთხე მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება: „გიხაროდენ, სამოთხისა ბჭეთა განმღებელო, გიხაროდენ, რომლისა მიერ განეღო სამოთხეი“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა) (2,10,11).

ლექსში ერთდროულად მოიხსენებიან ძე ღმერთი და მისი დედა (სამოთხე – მარიამი, კარი – ქრისტე).

გალაკტიონი კიდევ უფრო ამრავალფეროვნებდა ბიბლიურ, საღვთო და საღვთისმშობლო ტრადიციას. პოემაში „აკაკი წერეთელი“ გვხვდება „სიყვარული – ყოფნა – არსებობის კარი“...

პოეტების მეფე აქცენტს უკეთებდა აკაკი წერეთლის რელიგიურობას, „სულიკოს“, „საყვარელს“, „სიყვარულს“ ღმერთის სიმბოლოდ მიიჩნევდა და „სულიკოს“ ავტორის მორწმუნეობას ასე მიგნებულად განგვაცდევინებდა: „...სიყვარული იხსნებოდა ყოფნა – „არსებობის კარად“ (აკაკი წერეთელი) (3,83-82).

სიყვარული საღმრთო სახელია: „...ღმერთი სიყვარულია“(იოანე, I, 4,8) (1,320).

პოემა „მშვიდობის წიგნის“ პერსონაჟმა ტარიელმა, რომელიც ეძებდა ერის სულის სიდიადის წყაროს – მშვიდობის წიგნს – ღმერთს, ცათა ლაჟვარდის კართან, კიბესთან ააღწია გონით: „გემი ატარებს ცათ ლაჟვარდთ შორის, მთათ უსადარესთ – კვარცხლი მთა-გორის, – იმ ადგილთ კარად, კიბესთან მარად, მიმყვანი არა ერთის და ორის“ (მშვიდობის წიგნი) (5,314).

ამ წიგნის (ღმერთის) პოვნით მოიშლება სიბნელის კარი, რათა სულში ისევ „მზე“ (ღმერთი) დამკვიდრდეს, გულში „ქნარი“ ამღერდეს: „დროა შეიღოს სიბნელის კარი, სული მზე იყოს და გული ქნარი“ (5,339).

ფაზისის დიდი წარსული და აწმყო ღვთის კარს შეგვაღებინებს, უკეთეს მერმისს დაუდებს სათავეს, ასეთია პოეტის განჭვრეტა: „ფაზის ბრწყინვალე წარსული, აწმყო და დიდი ხვალე გვახვევია გარს, ის გაგვიღებს კარს, იგი მოგვცემს მყარს სიმშვიდეს მალე“ (მშვიდობის წიგნი) (5,293).

ათეისტური ეპოქის „ღამენათევი და ნამთვრალევი“ პოეტი, რომელიც რეალობას ჯოჯოხეთად აღიქვამდა, სიონის სალოცავი კარების გაღებას, ზეციური სხივის გაელვებას და სულიერ მამათა თეთრ ოლარებს ჭვრეტდა სულის თვალით: „ღამენათევი და ნამთვრალევი, მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს, შემოიჭრება სიონში სხივი და თეთრ ოლარებს ააელვარებს“ (სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში) (6,129).

პოეტს ევლინებოდა ჩვენი ზეციური მწყემსი ქრისტე, ესმოდა ციური დაირის ხმები, ეიმედებოდა ზეცის კარების გახსნა, სიბრძნის კარების გაღება, ქვეყნის კარების გახსნა, ჩაკეტილი სივრციდან გაღწევა და მსოფლიოსთვის ხმის მიწვდენა: „გაოცებით მწყემსი წყნარი ისმენს ციურ დაირასა, ვინა სთქვა, რომ ზეცის კარი სამუდამოდ დაირაზა?... გავარღვიეთ კლდე და ზღვარი და მსოფლიოს ვაწვდენთ ხმასა, ვინა სთქვა, რომ ქვეყნის კარი სამუდამოდ დაირაზა? ვინა სთქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა?“ (ვინა სთქვა?) (6,387-388).

მართლაც, ზეცის კარი, ქვეყნის კარი, სიბრძნის კარი მხოლოდ რწმენასთან წილნაყარობით ეხსნებათ რჩეულთ.

ლაჟვარდი ცის გახსნილი კარიდან შორეული მუსიკის უნაზესი ხმების, საღვთო მუსიკის მოსმენა დაჰბედებია გალაკტიონს, როგორც დანტეს: „ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების, დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით, უნაზესი ისმის ხმა საკრავების, ბაღებს იქით, სადღაც გადაშორებით“ (ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების) (6,270).

„უნდობარი სულისთვის“ კი იგმანება ზეცის კარი: „...უნდობარ სულს თითქოს კარი დარაზოდეს“ (იქით ნუში, აქეთ ნუში) (6,259).

გალაკტიონს სჯეროდა, რომ მაღალ მთაზე აგებული მისი პოეზიის სასახლის კარებში ხალხი და მარადიული დიდება დაიმკვიდრებდა ადგილს: „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ-ახალი, ლითონზე უფრო მაგარი, პირამიდებზე მაღალი... ხალხისთვის სამარადისო ღიაა მისი კარები... მასში პოეტის უკვდავი დიდება დაისადგურებს, ვერც დრო, ვერც ჟამთა სიავე, ვერც ქარი გაანადგურებს“ (მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ-ახალი) (7,375).

პოეტის აზრით, უმაღლესი იდეალებისთვის ჯვარცმულნი ხორციელად იღუპებიან, მაგრამ ისინი ღვთის სავანეს, „ყოფნის კარს“ უახლოვდებიან. ასე ესახება გალაკტიონს ილია ჭავჭავაძის ხვედრი. წიწამურის ტრაგედია ქრისტეს ჯვარცმის

ტოლფარდი იყო, ერის მამის ნაწამებმა სულმა სამოთხეში, ყოფნის კარზე, უზენაესთა სასუფეველში დაივანა: „...წიწამურს ყველა მარად ჩათვლიდეს ყოფნის კარად“ (სიცოცხლე წარმავალია, ხელოვნებაა მარადი) (3,565).

ყოფნა, ცხოვრება საღვთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანეს სახარება, 14,6) (1,211).

გალაკტიონის შემოქმედებაში კარი ხშირად ეროვნულ სატკივრებს უკავშირდება.

ლექსი „ალაზანთან“ (3,444) გამოტირებაა დაკარგულის, შავია ჩალა, გზებს „შავი ლეჩაქი“ ეცემა, რაღაც დაკარგულია დაუბრუნებლად, აზრი არა აქვს ცრემლიან აქვითინებას, განწირულება უნდა დაიძლიოს, ასეთია პოეტის მრწამსი.

მთავარი აქცენტის მატარებელი სახეა მძინარე ალაზნის კარები, რაც განგვაცდევინებს სამშობლოს დაკარგული თავისუფლების ტრაგიზმს: „მთვარეში შავი შრიალებს ჩალა, შავი ლეჩაქი დაეცა შარებს. დამშვიდდი. სძინავს ალაზნის კარებს. მთვარეში შავი შრიალებს ჩალა“.

კარის, საზღვრის პრობლემა მრავალგზის ჩნდება გალაკტიონის პოეზიაში, რაც რეალური ვითარების ანარეკლია.

„მშვიდობის წიგნში“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრაგედიებია მხილებული და ამის მთავარ მიზეზად მიიჩნევა ის, რომ დაუცველი იყო საზღვრები, კარები. ერის მთავარი საზრუნავი უნდა ყოფილიყო როგორც ქვეყნის ტერიტორიის, ისე მისი რწმენის, სულიერი ფასეულობების დაცვა.

გალაკტიონმა დაგმო საზღვრების მოშლა, უკარო სახლის სახეში წარმოადგინა მთელი მსოფლიოს პროლეტარების გაერთიანების კომუნისტური იდეა, ეროვნულის ჩაწიხლვა, მოითხოვა წიგნისთვის გალავნიანი სახლის აგება, ცხრაკლიტულში შენახვა: „მშვიდობას მიჰყევ, ხარ ფალავანი. ააგე ციხე გარს გალავანით. წიგნისთვის სრული გქონდეს ფარული გინდ ცხრაკლიტული, გინდა თავანი“ (5,9).

უმთავრესი სატკივარი იყო გაღებული კარი: „ის ხედავს კარებს გადაუკეტავს“.

პოეტი ხედავდა იმ ტერიტორიულ და დემოგრაფიულ პრობლემებს, რაც ეროვნულ გრძნობას მოკლებულმა რევოლუციონერებმა შეგვიქნეს და უჭიშკრო ეზოს სახის ჩვენებით გამოხატავდა თავის გულისტკივილს: „...ბნელა, ეზო, ჰგავს ქუჩას, შემოდის ყველა, ვისაც გზად უჩანს. ბჭე უსაზღვროა სოფლის მძინარის“ (5,8) უცხოტომელთა თავხედურ ძალადობაზე მიგვანიშნებს „მრავალ ათას ხმის თავდასხმა და სითამამე“.

საზღვრების უარყოფამ მიწასთან გაასწორა ყველაფერი: „ზღვარი ან ხაზი არავითარი, რაა – ლამაზი, რაა – მდიდარი... ერთფერ ნაფერი აქვს ყველაფერი, ჰქვია ქვას მტვერი, ხიდს – ნახიდარი“ (მშვიდობის წიგნი).

ლექსი „იმ ერთა ლიგას“ ალეგორიულად მიგვანიშნებს მოყვრის ნიღბით მოსული მტრის ოინებზე. ნაჩვენებია, რას აკეთებდა ჩვენი უფროსი ძმა, როგორ მოხსნეს კარები „გაბრაზებითა და გაჯავრებით“, მერე ახლის დაკიდებისთვის დავობდნენ, მაგრამ „ისიც იმ ღობეს გადაახიეს, ისიც მიაგდეს და მიივიწყეს“. ლექსის ფინალში იქმნება „უკარო“ ანუ თავისუფლებადაკარგული, გადამთიელთა სათარეშოდ ქცეული ქვეყნის სახე: „...ერთა მშვიდობა იქნება როდის? რაკი უკარო შეიქნა სახლი, მასში თამამად მიდის და მოდის ყოველი ძაღლი და მამაძაღლი“ (7,197,198).

„ერთა ლიგის“ კრიტიკა სხვაგანაც გვხვდება: „ენაზე აკრავს ხალხი, ნაცია, დღისით შეხედავ, თითქო კაცია, სხვა არ გეგონოსთ: ერთა ლიგაა და საიქიოს კომპენსა-

ცია. ხან რომ შეხედო, ასე გგონია, მოსკოვი მასთან მონაგონია, ო, უსათუოდ დე-მოსთენია, ო, უსათუოდ ციცერონია. მადლობა ღმერთს, რომ არა ვართ მათი ბუკი, ნაღარა, ბჭობა, კამათი, ჩვენ მიგვიზიდავს მომავლისაკენ სულ სხვა მიზანი და ან-დამატი“ (ენაზე აკრავს ხალხი, ნაცია) (7,106).

ლექსი „გამხიარულდი, ბუხარო“ (8,375) უსახუროვო, უკარო, თავმონგრეული ბუხრის რეკვიემია: „თოვლი და ქარის ფაფარი, გაფითრებული მთა-ბარი, ქოხმახი მიუსაფარი, უსახურავო, უკარო. ისიც გადასწვეს ცხრაას შვიდს, აბობოქრებულს, განა მშვიდს, შენღა იხდიდი პანაშვიდს, თავმონგრეულო ბუხარო“.

წუხილის მიზეზი იყო ბედისწერით უგზოოდ შთენილი სახლი, უცეცხლო კერა: „...და სტიროდი, დროო, როგორც ბედისწერა, სახლი უეზოო და უცეცხლო კერა“ (მახსოვს) (3,554).

ეზო მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა.

ცეცხლი საღვთო სახელია.

უეზოო სახლი და უცეცხლო კერა ჩვენი ზეციური დედისა და ღმერთის გარეშე დარჩენილი ცხოვრებაა.

მაინც სჯეროდა სამშობლოს უკეთესი მომავლის, დარწმუნებული იყო, რომ მი-სი ბედის კარი არ ჩაირაზებოდა, რომ გარდუვალი იყო მისი წინსვლა: „ვინა თქვა, რომ საქართველოს ბედით კარი დარაზოდეს? მისი წინსვლა არ შედგება არასოდეს, არასოდეს“ (სიმღერა სამშობლოზე) (3,697).

დარდს და იარებს უჩენდა სიყვარულის დაკეტილი კარები, მარტოობა: „ერ-თხელ შენ დაჰხვენ ჩემგან კარები ზღვის შორ სივრცისკენ, რა აჩქარებით შენ მე დამტოვე და დამიტოვე მრავალი დარდი და იარები“ (ერთხელ შენ დაჰხვენ) (3,553).

პოეტის სული ყოველი უფსკრულის კარის გაღებას ცდილობდა და არასოდეს ღალატობდა ინტუიცია. ერთ აკლდამასთან „ბნელს“ ხედავდა, მერე გადაწყვიტა მი-სი კარის იქითა მოვლენები ენახა და შეაძრწუნა იქ დაბინადრებული მკვლელის ფი-ზიონომიამ (მკვლელების კაფე) (7,284-285).

გალაკტიონს სულს უბზარავდა ახალი წყობის მიერ დაკვალიანებულ-დაგეშილი მკვლელი თაობების მოვლინება, კარებთან, სარდაფში, ქუჩაში დადარაჯებული უკეთურების პარპაში: „სმენადახშული, ენადაბმული გიცქერის ღამე სულგანაბუ-ლი. კარებთან მკვლელი. სარდაფში ჩახვალ, იქაც მკვლელია და ჟრიამული. ამოხ-ვალ, ქუჩით დაგედევნება დაუცხრომელი მრავალთ-მრავალი. და ვერსად ქვეყნად ვეღარ ისვენებს მთელი თაობა გარდამავალი“ (მთელი თაობა გარდამავალი) (3,507).

პოეტს სურდა ეცხოვრა არა „მთაგორების ზემო“, განდეგილად, არამედ „მხო-ლოდ ჩანგის ხმაზე, მხოლოდ ხალხის კარად“ (მთაგორების ზემო (3,565).

შემოქმედის ფსიქოლოგიის ჩვენებაც სცადა „კარის“ საშუალებით.

ტვინი, აზრი, როგორც ქურდი, ჩასაფრებულია „დაკეტილ განძთან“ და „დარა-ჯი“ ცდილობს მიაგნოს და გასაღები მოარგოს მის კარებს: „ამნაირი დღე, იცი, რას უდრის? ფეთქავდა ტვინი გამძაფრებული, ვით გასაღები მღელვარე ქურდის დაკე-ტილ განძთან ჩასაფრებული. დღითა და ღამით ტელეფონები გაიძახოდნენ: ალო, გარაჟი, დღითა და ღამით დანამონები ატრიალებდა კარებს დარაჯი“ (დღითა და ღამით) (7,168).

ლექსი „გზაში“ (3,426) ცოდვის დაძლევის გზით ამაღლების, სულის გაღვიძების

ცდაა. „ლურჯი აჩრდილის“ მოვლინება დიდი იმპულსია, იის (მარიამ ღვთისმშობლის), იისფერი სიტყვების (ძე ღმერთის) ძიება, ბაღის გაღებული კარებიდან „ძველებური არყების“ შრიალის მოსმენით „სხვა ცხოვრებისთვის“ მზაობის სურვილია: „მხოლოდ ხანდახან ქარი შეარხევს ოდნავ გაღებულ კარებს ბაღისას, შრიალი გაქვთ ძველებურ არყებს, სხვა ცხოვრებისთვის თითქოს მაღვიძებს“...

ბაღი ბიბლიაში ხალხის (ებრაელთა) მეტაფორაა.

„სხვა ცხოვრებისთვის“ გაღვიძება რწმენით სულის ავსებაა, რადგან „ცხოვრება“ საღვთო სახელია.

პოეტის მიზანი იყო „კარჩაკეტილი ცხოვრებიდან“ მზეზე გასვლა (რევოლუციურ საქართველოს) (6,364).

მისთვის ძვირფასი და მახლობელი იყო „ჩუქურთმიანი სტუმართმოყვარე კარი“, რომელიც სულში ცისკრის სხივებს შლიდა, როგორც ქართული ტოლერანტული ბუნების მახასიათებელი (ბუხართან) (7,508). ზოგჯერ თითქოს სამუდამოდ იხურებოდა ნათლის მომფენი ცისკრის კარი (აი, ფანჯარა იმ სახლის) (7,593), (ურიცხვ დროშებში) (6,247).

შფოთვის მიზეზი იყო ბაღის ღია კარი, რომელსაც ემუქრებოდა ავბედითი ქარი, მტრის ჯარი და კატეგორიულად მოითხოვდა ბაღის კარის ჩაკეტვას: „...ბაღში რომ შეხვალ, გოგოვ, ღია არ დაგრჩეს კარი! შიში არა გაქვს ქარის? კარი არ დაგრჩეს ღია! რომ შეგრჩეს შენი შრომა, ღია არ დაგრჩეს კარი! კარი არ დაგრჩეს ღია. შენ ხომ მოგესმის, როგორ ჩვენსკენ მტრის იწევს ჯარი. არ შემოუშვა, გოგოვ... ღია არ დაგრჩეს კარი!“ (მე შენს ყვავილებს ვზოგავ) (7,472).

ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული მწუხარება, სულში შემოჭრილი ცეცხლის მტვერი და ნაცარი პოეტის სიმღერებში ისადგურებდა, სულის კივილი, დარდები შეშლილივით აღებდა კარებს, თუმცა ისევ პატიების სურვილი თრგუნავდა შურისძიების გრძნობას: „მე სიმღერას შევჩივლებ დარდებს შებორკილივით, ჩემი არდაფარული მწუხარების საგანი შეშლილივით დააღებს კარებს წივილ-კივილით, რომ უგულოდ ჩააქროს რამე გრძნობათაგანი. სულში მტვერი ადგება ცეცხლისა და ნაცარის, არარა არ ახარებს შორის ფერისცვალებით, მინდა ისევ ქვეყანას ვაპატიო, რაც არის, ცივი ნოემბერია ვალკირიას თვალებით“ (შეშლილივით დააღებს კარებს) (7,49).

პოეტს აქვს ერთი საოცარი ლექსი „ლანდი“ (3,747), რომელშიც საუბარია ელვარე სიტყვის ძალაზე, მისი დიდების ყოვლისშემძლეობაზე, რომელიც ყველგან აღწევს, ყველა კარის გაღება ხელეწიფება, რადგან ქარის თანამგზავრია... და გენიალობის სევდით განაწამები შემოქმედის დიდი ნუგეშია, როგორც ყოველივე ქვეყნიურის მეუფე: „ისევ ახალი ელვარება ჩემი დიდების თბილისს ედება, თუ დრო აქვს მწარე მარტოობის და მორიდების, მოეხეტება. დადის ყოველგან: რკინიგზაზე, სასაფლაოზე, იცნობს ოჯახებს, მიდის სარდაფში, დგას თეატრში, იცის პაუზა, კარებს აჯახებს. უკანასკნელი თანამგზავრი მორჩილი ქარის აგროვებს გროვებს. ო, ყველაფერი ქვეყნიური დღეს მასთან არის, სხვას სადღაც ტოვებს“.

პოეტების მეფეს არასოდეს ავიწყდებოდა, რომ „კარებთან“ „ხელოვნებათ ძლიერი გროვა“ უცდიდა: „კარებთან გვიცდის ხელოვნებათ ძლიერი გროვა“ (7,230).

ცხოვრების მიეთ-მოეთისგან, აურზაურისგან, მიტინგებისგან დაღლილ პოეტს სწყუროდა ვარდებიანი კარების ჩაკეტვა, უზენაესთან ვედრება: „... მის სულს, დარ-

ჩენილს ბინდის ამარა, ცეცხლთან ბევრი რამ აქვს სათხოვარი“ (ჩაკეტა კარი) (7,43).

ცეცხლი საღვთო სახელია.

ეპოქის ქარები, გრიგალები აჯახუნებდნენ კარებს, მაგრამ პოეტი თვით იყო „გრიგალი, შერყევა“ და „უსაზღვრობის“ სიყვარული აძლევდა გაძლების ძალას (ქარებმა კარი შემოაჯახეს) (7,60).

პოეტი სულის ფრთებით მზესთან, არწივებთან, უზენაესის კარებთან აღწევდა (დაკვირვებიხარ ტრიალა კარებს?) (7,83).

გალაკტიონს სამუდამო მხარეში, სამოთხეში ეგულებოდა წინაპარი სიტყვის რაინდები და სჯეროდა, რომ ისინი გაუღებდნენ კარს გულითადი სიყვარულით: „კარს გაუღებენ მას წინაპრები, გიცდიდით, ვიცით, ხომ მიატოვე ის ნაპირები ჩვენი სიმტკიცით? მიეგებება არაგვის პირი და ხმა ძლიერი: შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი და ნიჭიერი“ (კარს გაუღებენ მას წინაპრები) (7,32).

პოეტი „სიბრძნის კარს“ აღებდა, სამშობლო ქვეყნის კარიდან მსოფლიო არენაზე გადიოდა მისი რეზონანსული პოეზია: „გავარღვიეთ კლდე და ზღვარი და მსოფლიოს ვაწვდენთ ხმასა: ვინა სთქვა, რომ ქვეყნის კარი სამუდამოდ დაირაზა?... ვინა სთქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა?“ (ვინა სთქვა?!) (7,387-388).

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
2. საპატრიარქოს უწყებანი, №12, 3-9 აპრილი, 2009
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
4. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ. 19
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ.I,თბ. 1988
7. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 1994

მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება

გალაკტიონის უპირველესი დევიზი იყო: „განიახლე, განიახლე!“ განახლებაში იგულისხმებოდა სულის, გონის, ზნეობის განახლება-განწმენდა, „სხვისთვის უხილავ-ფარულის“ შემჩნევა.

„სიახლის გრიგალს“ მიყურადებულ სულს ამოჰყავდა მის პოეზიაში ახალი მზე: „ფანჯარას ტოტებს მიახლის, მთვარეს მიართმევს ზიანებს, ეს გრიგალია სიახლის, მზეს რომ არ დააგვიანებს“.

გამუდმებული აღმასვლის საწინდარი იყო „სიხარულთან“, „გაზაფხულის ოცნებასთან“ თანაზიარობა: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება, ხიბლავდა გარეშემოსა მინდვრების გადასოსნება“ (ეს გრიგალია სიახლის) (1,200).

„სიხარული“ საღვთო სახელია: „უთხრა მათ ანგელოზმა: „ნუ გეშინიათ, აჰა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება:

„ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკა, 2,10,11) (2,113).

„გაზაფხული“ (ძველი ქართულით ზაფხული) ქრისტეს სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“(ფსალმუნი, 65,12) (2,588).

ლექსის მიხედვით, გალაკტიონი არის სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი, ანუ ღმერთშემოსილი, როგორც წმინდანები, წინასწარმეტყველები.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა დავით წინასწარმეტყველის სტრიქონები: „შენ ჩემი წუხილი ცეკვად მიქციე, ძაძა გამხადე და სიხარულით შემმოსე“ (ფს. 29) 30,12) (2,550).

დავით წინასწარმეტყველის ღმერთს „დაუშრეტელი სიხარულის“ ღმერთი ეწოდება: „და მივალ ღმერთის სამსხვერპლოსთან, ჩემი დაუშრეტელი სიხარულის ღმერთთან და გადიდებ შენ ქნარით, ღმერთო, ჩემო ღმერთო“ (ფს. 42/43,4) (2,567).

„სიხარულის“ ძალით, მარტოობით, უსახური ბრბოსგან განდგომით ეზიარებოდა გალაკტიონი უდიადეს სიტყვას: „ღამეებს ვათევ კვლავ სიხარულით, ჩემსკენ ოცნება მოჰქრის მხარულით, ბედნიერება მარტოობა, რა ვპოვე ბრბოში მე სიხარული?“ (უძილო ღამეები) (1,88).

გალაკტიონის ლექსში ღმერთს ეწოდება „მარადისი სიხარულის შარა“, „მზე“ (არ მინახავს შენი არე) (1,528).

„სიხარულით“ ჟღერს პოეტის ძლევამოსილი ქნარი „... სიხარულით კვლავ წკრიალებს ქნარი“ (გამოცოცხლება) (1,550).

„კოსმიურ ორკესტრში“ (1,243-245) „სიხარულის ხმის“ სახით ევლინება უზენაესი: „დაურიგდეს ყველას ძველი ღვინო, სიხარულის ხმა მიეცეს ყველას“.

„სიხარულის ხმასთან“ ერთად, „ძველი ღვინოც“ საღვთო სახელია.

პოეტის მარადიული სიხარულის გზით იყო მავალი: „...სიხარულში მარადისში გაწოლილა შარა“ (არ მინახავს შენი არე) (1,528).

განადიდებდა „სიხარულს“, „დედას“ „წიგნს“, „გზას“: „ო, სიხარულო, დედავ, აქაა, რაც ჩემი გულის ალერსადაა ბავშვობა, ყრმობა, სიწმინდე, ძმობა, კვლავაც ერთობა წიგნად და გზადა“ (მშვიდობის წიგნი) (3,305).

საღვთო სახელებია: სიხარული, წიგნი, გზა.

„დედა“ გულისხმობს ჩვენს ზეციურ დედას – ღვთისმშობელს.

პოეტის „ოცნების ნავს“ გამოცოცხლებული ია-ვარდი, სიხარულის ქროლვა ამშვენებს: „კვლავ გამოცოცხლდა ია-ვარდი ოცნების ნავზე, ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით. და აღტაცებით შეიმოსა ბუნება სავსე, ბუნება სავსე იმედებით და შეხვედრებით“ (მზის ამოსვლა ზღვაზე) (1,656).

ია ღვთისმშობლის სიმბოლოა, ვარდი, სიხარული – ძე ღმერთის.

სულში „ათასი ნავია“, სიტყვისთვის ცეცხლშემოკიდებული პოეტი განადიდებს „სიხარულს“ – ღმერთს: „მოადგა ნაპირს ათასი ნავი, ო, სიხარულო, იყავ, იდიდე! გითხრან – სიტყვისთვის დახარე თავი, პასუხად ცეცხლი შემოიკიდე“ (მოადგა ნაპირს ათასი ნავი (1,319).

„ოცნების ნავი“ პოეზიას მიემართება.

„ვ. გილბერტი და გ. კუნი აღნიშნავდნენ, რომ შუა საუკუნეებში წარმოსახვას ადარებდნენ პატარა ნავთან, რომელიც ზეცისა და მიწის სფეროთა შორის დაცუ-

რავს“ (4,144).

ცნობილია ისიც, რომ „უძველესი დროიდან ... სული წარმოედგინათ მიწიდან ცისკენ ხან ცხენით, ხან მზე-ღმერთის ნავით, ხან კი კიბის საშუალებით მიმავალ არსებად“ (5,335).

გალაკტიონი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მორწმუნეობას „სიხარულის“ სახით უსვამს ხაზს: „რუსთაველს მოჰყვა სიხარული დაუთრგუნავი“ (პოემა ვეფხვისა) (...1,315).

„სიხარულის ცეცხლია“ გალაკტიონის წიგნებში (მშვენიერი წიგნი) (1,513).

პოეტს ემოსა „ბრწყინვალების და გამარჯვების სამოსელი“: „რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს, ვიცი: ახლოა ის, ვისაც ველი. მას სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების მოაქვს მებრძოლი პოეტისათვის“ (რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს) (1,211).

წმინდა წერილში „სიმშვენიერით და ბრწყინვალებით შემოსილი“ უფალი ღმერთია (ფს. 103,1) (2,633).

ამასთან, პოეტი „მხიარული გზის“, „მზის“, „ძველი სიყვარულის“ იგნორირებით მიანიშნებდა ათეისტური ეპოქის ტენდენციებზე: „აქ ოდესმე მხიარული გზით უყვარდათ სიარული, აწ გზა მიტოვებულია, როგორც ძველი სიყვარული“ (აქ ოდესმე) (1,786).

„ოცნების ნავზე“ ია-ვარდის გამოცოცხლება და სიხარულის ქროლვა მოასწავებს პოეტის სამყაროში რელიგიური თემების პრიმატს, რადგან „ია“ მარიამ ღვთისმშობლის, „სიხარული“ ქრისტეს მეტაფორაა.

ერთი შეხედვით, გამაოგნებელი ფრაზაა: „რომ სიხარული დასცალოს ჭიქით“: „აღემატება ყოველგვარ ძალას, რომ სიხარული დასცალოს ჭიქით, რაც ამოძრავებს სიზმარულ ჭალას შორს, სასიმინდე ტყეების იქით“ (აღემატება ყოველგვარ ძალას) (1,563).

„სიხარული“ ქრისტეს სახელია, ჭიქა – მარიამ ღვთისმშობლის. ჭიქის ვარიაციებიც ჩვენს ზეციურ დედაზე მიმანიშნებელია: ფიალა, თასი, აზარფეშა... (და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა) (3,189-193).

პოეტის „ზამთრის სიავით დაჩაგრულ გულში“ იჭრებოდა „გაზაფხული“, როგორც „შუქი“, რწმენა, ნუგეში, ანუ ღმერთი და სამადლობელს აღუვლენდა უზენაეს ძალას: „ო, გაზაფხულო, მე შენ გიჯერი, შენ მერცხალივით შემოიჭერი, შემოიჭერი სულში და გულში, ზამთრის სიავით მთლად დაჩაგრულში, აანთე რწმენა ხვალინდელ დღისა, რომ არა მქონდა – შუქი მეღირსა... გმადლობ, სულ გმადლობ,ო, გაზაფხულო“ (ო, გაზაფხულო) (1,241).

„ადრიანი გაზაფხულის“ ხარებაზეა საუბარი ლექსში „ადრიანი გაზაფხული“ (1,241).

ღმერთი დასახულია, როგორც „გაზაფხული გამძაფრებული“, ახალ სიცოცხლის აკვნის დამრწევი (არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს) (1,468).

ლექსში „ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი“ (1,17) ქრისტე პერსონიფიცირებულია „ნაზ გაზაფხულის მთრთოლვარე ხელის“ სახეში: „მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა, სხვაგვარი ღელვით ღელავდა ველი, მაისი იყო, მთას მოჰხვეოდა ნაზ გაზაფხულის მთრთოლვარე ხელი“.

„გაზაფხულის ხელით“ (ღმერთის წყალობით) გაბრწყინებული სამშობლოს (შუ-

ამთის) ხილვა ამგზავრებია პოეტს მანუგეშებლად: „გაზაფხულის ამ მშვენიერ ხელით... კვლავ აინთება და გაბრწყინდება შუამთა ძველი“ (მშვიდობის წიგნი) (3,114).

გაზაფხულის (ღმერთის) მფარველობა ასეთი ორიგინალური ფრაზით გამოხატა პოეტმა: „მას გაზაფხულის ჰფარავდა გამმა“...

ათეისტურ ეპოქაში „გაზაფხულის“ სახე სიზმარეულ ნისლში ქრებოდა, იმღვრეოდა, იბღალებოდა რწმენა (ძველი წიგნი), რასაც, პოეტის რწმენით, „წყევლა და შეჩვენება“ უნდა მოჰყოლოდა: „გაზაფხულისა გაჰქრა მშვენება და მიეფარა ნისლს სიზმარეულს. ძველი წიგნების გვერდებს არეულს სდევს მხოლოდ წყევლა და შეჩვენება“ (ძველი წიგნების გვერდებს არეულს) (1,281).

„ელეგიაში“ (1,30) ღმერთის უარყოფის, გაზაფხულის, რწმენის გაქრობის ტკივილია: „...რა ადრე გაჰქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი, რა ადრე გაჰქრა ჩემი ყრმობა, ჩემი სიზმარი!... სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა? ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე!“

პოეტს სჯეროდა „გაზაფხულის“ ყოვლისშემძლეობის, რწმენისკენ მიბრუნების: „...ფრენა აქვთ გულის შავთვალა მერცხლებს, მათ გაზაფხულის ძალა აცეცხლებს, ხმაურობს ბზიკი, მარცხდება იგი, გაზაფხული კი ყველაფერს შესძლებს“ (მშვიდობის წიგნი) (3, 129-130).

გალაკტიონს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი უზენაეს ძალებთან, ის ბოლომდე დარჩა ღმერთის მოთაყვანე, მზითშემოსილი: „მე სხვა მზე მმოსავს, როგორც შეჰფერის საქართველოს სახალხო მგოსანს“ (დღეს შემისრულდა).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (2,614).

მებრძოლ პოეტს ემოსა „ბრწყინვალების და გამარჯვების სამოსელი“ (რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს) (1,214).

ათეისტური ეპოქის სიძნელეებთან გმირულად მდგარი პოეტი „ბრწყინვალე შუქით და დიადემით“ გამოირჩა მედროვეთაგან: „ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით ვერ გატყდა გმირი, ბრწყინვალე შუქით და დიადემით დგას, ვით ქვითკირი“ (გამძლეობა) (1,552).

„ბრწყინვალება“ და „შუქი“ საღვთო სახელებია.

გალაკტიონს, როგორც „ასი ათასის სმენის“ მქონე პოეტს, ესმოდა „სიხარულის უვერტიურა“, ანუ საღვთო მუსიკა: „მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“ (სიშორის შენით) (1,120).

პოეტი „შორი გაზაფხულის“ გამობრწყინებისთვის ანთებდა კანდელს, იმ „შორი გაზაფხულისთვის“ მსხვერპლად მიჰქონდა თავისი „დღევანდელი ყოფნა“, მიწიერი ბედნიერება (სინამდვილეში ოცნებისას) (8,37).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, თტოკჰოლმი, 1992
3. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
4. К. Гильберт, Т. Кун, История Эстетики, М. 1925
5. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963
6. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში. თბ. 2009

7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
8. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993

გაზაფხულის სავსე ფიალა გადმოიტოპა

გალაკტიონის სასწაულებრივმა გენიამ ერთმანეთის გვერდით მოიაზრა ოცნება და ფიალა, ლანდები და ფიალა, უსამართლობა და ფიალა, გაზაფხული და ფიალა. ამ სახეებთან დაკავშირებული ხილვები არა ხედვითი, არამედ ღრმააზროვანი ქვეტექსტების მატარებელია, უმთავრესად რელიგიური შინაარსისაა და ღმერთისუარმყოფელი ეპოქის სიმპტომებით გამოირჩევა.

„დარჩნენ ქვიშანი“ (1,632) ნიაღვრებზე, წყალდიდობაზე ხაზგასმით გვახედებს ეპოქის კატაკლიზმებში და ბოროტეული ძალების დამარცხებაზე აქცენტირებით გვიჩვენებს პოზიტიური საწყისების მარადიულობას: „იმ გაზაფხულის სავსე ფიალა გადმოიტოპა, რა ნიაღვარის იყო გრიალი, რა წყალდიდობა! მაგრამ დარჩა იმ გარემოიდან რამე ნიშანი? წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი. ასწი ფიალა, სავსე ფიალა, აქა მშვიდობა!“

რას ნიშნავს „იმ გაზაფხულის სავსე ფიალა გადმოიტოპა?“

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, საღვთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65,42) (2,588).

გალაკტიონი მრავალგზის მიმართავს ამ სიმბოლოს: „მუდმივი გაზაფხული, შორი გაზაფხული, საგაზაფხულო სული, გაზაფხული გამძაფრებული, ნაზ გაზაფხულის მთრთოლვარე ხელი, გაზაფხულის გამმა, გაზაფხულის ძალა, გაზაფხულის მშვენება, ზაფხულის დღენი“ (3,80-81).

ხშირად ათეისტური ეპოქის დახასიათებისას მისტირის ზაფხულის გაქრობას (ღმერთის გადაფასებას): „გაჰქრნენ ზაფხულის დღენი, ქარი ყვავილებს ურევს“... (1,415).

ფიალა, თასი, ჭიქა, აზარფეშა მარიამ ღვთისმშობლის სახელებია.

ვფიქრობთ, „გაზაფხულის ფიალა“ დედა-ძის ორიგინალური მეტაფორაა.

საანალიზო ლექსის მიხედვით, „გაზაფხულის ფიალას“ ნიაღვრები, წყალდიდობა დამუქრებია, ანუ სავსე ფიალა დაუპირქვავებია, მაგრამ ამ დროებით, ავბედით მოვლენას ისევ შენაცვლებია „სავსე ფიალის“ ზეიმი, „მშვიდობის“ განდიდება. ქრისტე ხომ მშვიდობის ღმერთია. ლექსის – ფრაზა –„აქა მშვიდობა“ – სახარებისეულია. როცა იესომ თავისი თორმეტი მოწაფე მიავლინა კეთილი საქმეებისთვის, ასე დაარიგა: „სახლში შესვლისას მიესალმეთ მას და უთხარით: მშვიდობა ამ სახლს“ (მათე, 10,2) (2,20).

ურთულესი სიმბოლური სახეებით, ამასთან, ხალხური ფრაზით – წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო – მიგვანიშნა პოეტმა უკეთურის წარმავლობაზე, მარადიულ ღირებულებაზე.

ლექსში „ნუ დაუმალავ ხალხს შენს იარებს“ (1,490) „გაზაფხულის ფიალას“

ენაცვლება უსამართლო ცხოვრების „მწარე ფიალა“, ეკლის გვირგვინი და სისხლიანი შუბლი: „არის ცხოვრების უსამართლობა შენთან მოსული მწარე ფიალით, ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაგადგამს და შუბლი ელავს სისხლის სიალით“.

ჩნდება ქრისტეს ჯვარცმის, მისთვის ძმრიანი ფიალის მიწოდების, შუბლზე ეკლის გვირგვინის დადგმის ასოციაცია.

შემდეგ სტროფში იცვლება ინტონაცია, ვლინდება რწმენა იმისა, რომ ვინც „შუქის“ (საღვთო სახელია) ერთგულებას გამოავლენს, ეკლიან შუბლს „მშვენიერი მზე“ (მზე საღვთო სიმბოლოა) გაუსხივოსნებს, ანუ ჯვარცმის საფასურში სამარადისო აღდგომა ელოდება: „ნუ დაუმალავ ხალხს ამ იარას, დადექ იქ, სადაც შუქი ინთება: ეკლიან შუბლზე უფრო ძლიერი და მშვენიერი მზე გაბრწყინდება“.

ასე ენაცვლება ჯვარცმას აღდგომა, მწარე ფიალას – უფლის სასმისი.

„ღამე ხეობაში“ (1, 417) ისევ ორი ძალის დაპირისპირების განჭვრეტაა, მზიანი დღეების, მთების ახალი გრიგალის, მაღალი სივრცის, იდუმალი ძალის ტყვეობა – თაყვანისცემა, ფიალის ავსებაა ლექსის დასაწყისში: „თეთრი და მზიანი გათავდა დღეობა, ახალი გრიგალი მთებიდან ტრიალებს. ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს, სივრცეა მაღალი და სულის ტყვეობა“:

შემდეგ სტრიქონებში სინათლის მარადიულ ციალს მომაკვდავი დემონის ხრიალი ენაცვლება: „იალებს და ჰქრება და ისევ იალებს... ასე რომ ჰკივიან, რა უნდათ ტიალებს? მომაკვდავ დემონის ხრიალით ხრიალებს გრძნეული ხეობა“...

ისევ ორი ძალა, ორი საწყისი, მათი მარადიული ჭიდილი და სინათლის მარადიულობაა განჭვრეტილი.

მწვერვალთან, ტუიასთან მდგარი „ცისფერი“ პერსონაჟის სულს ეხამება „ცა უსივრცო“, „ღამის ფიალა“ და სიცოცხლე: „...ასე ტუია და ცა უსივრცო სულს ეხამება, ასე არასდროს არ დაივიწყო ეს შეღამება. ასე სავსეა ღამის ფიალა სიცოცხლის წინა“...

„სიცოცხლე“ ქრისტეს, ფიალა მარიამ ღვთისმშობლის სახელია. ღამის სიჩუმეში, მწვერვალის სიმაღლეში პოეტი ისევ სავსეა ამაღლებულით, საღვთო ძალებით...

ცისკართან ვარდს და იას ჭვრეტს, „ახალი სიცოცხლით“ ივსება როგორც ლექსის გმირი, ისე ტუია: „ასე ცისკარმან მიმოაფინა ვარდი თუ ია. და კვლავ ახალი სიცოცხლის წინა დგახარ, ტუია“ (ტუია) (1,764).

„იმედთა ნაცვლად“ (1,47) რეალობისა და ოცნების, იმედისა და ჭმუნვის დაპირისპირებაა, გაუცხოება სამყაროდან, სოფლიდან: „...რა წამებაა, როცა იმედთა ნაცვლად გულს ჭმუნვა მოიცავს ბნელი, როცა უცხო ხარ მთელი სოფლისთვის და უცხო არის შენთვის სოფელი“.

„სიზმარ-ცხადი“, ძილში მშვენიერების გამოცხადება, ფერადი ოცნებებია ნუგეში.

სულით ობოლი პოეტი ეძებს „წუთიერ შვებას“, „მოკლე ხნით“ თვრება „ოცნების ფიალით“, სულით ობლობა კი მაინც დაუძლეველია: „ეხლა ხანდახან სავსე ფიალით მოკლე ხნით გათრობს ოცნებათ ზოლი, მაგრამ რას აქნევ წუთიერ შვებას, შენ სულითა ხარ ქვეყნად ობოლი“.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977

2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1990
3. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ. 1996

„მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს“

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ერთ-ერთ უპირველეს ადგილს იჭერს ნათელი და მისი ვარიაციები.

ბიბლიაში გარჩეულია ორგვარი ნათელი: „უჟამო, დაუბადებული“ ნათელი და ხილული ნათელი. დაუბადებელი ნათელი ბიბლიური კოსმოგონიის მეოთხე დღემდე არსებობდა. იგი უხილავია და მიიჩნევა ხილული ნათლის წყაროდ (მანანა გიგინეიშვილი, „მზე-ხატი ღვთისა „ვეფხისტყაოსანში“) (1,102).

„ნათელის“ ღმერთის სახედ გააზრების ტრადიცია ბიბლიიდან და სახარებიდან იღებს სათავეს.

სახარებაში ღმერთი არის „ნათელი დიდი“ (მათე, 4,10), „ნათელი წუთისოფლისაი“ (იოანე, 8,12) (2,195-196).

დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ღმერთი არის „განუზომელი ნათელი“, „მიუაჩრდილებელი ნათელი“, „ნათელი ყოველთა“ (3,18).

ჰიმნოგრაფიაში ღმერთის სახელია „ნათელი დაუშრეტელი“,„ნათელი ნათლისაგანი“, „ნათელი თვალშეუდგამი“, „ნათელი დაუსაბამო“, დავით გურამიშვილის „დავითიანში“: „ნათელი, მიუწვდომელი ნათელი“, „წარუვალი ნათელი“ (4,74,80,85,90).

ორგვარი ნათელი გვხვდება ძველ ინდურ, ძველ ეგვიპტურ, ძველ ბერძნულ და რომაულ ფილოსოფიაში. ნათლის შემოქმედი ყველგან ღმერთია.

ინდურ ვედებში ნათელი ღმერთის სახელია.

ქალდეური ფილოსოფიის მიხედვით, ნათელი უნივთო, შეუქმნელი და მარადიულია, ყოველივე არსებულის პირველმიზეზი. ის შედარებულია გონებასთან, რომელმაც მატერია აამოძრავა და ქვეყნიერება შექმნა.

შემდეგ ნათელი უნივთო სულის – ღმერთის სახელი ხდება. ბერძნულ სამყაროში აპოლონი იყო უნივთო ნათლის სახე.

ბაბილონურ-შუმერული მითოლოგიის მიხედვით, ღმერთმა შექმნა ქაოსიდან ნათელი.

ორგვარ ნათელს განასხვავებდნენ: ნეტარი ავგუსტინე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი.

თეოლოგიაში ნათელი კეთილის სიმბოლოა, ბნელი – ბოროტების (ნესტან სულავა), (5,218).

ნათელი ღმერთის შეცნობის სიმბოლოდ მოიაზრება, ბნელი („თვალშეუდგამი ნათელი ბნელი“) – ღმერთის შეუცნობლობისა.

მაჰმადიანურ მწერლობაში ღმერთი ნათელია.

მაზდეანიზმსა და ზოროასტრიზმში ღმერთი არის თეთრი, ნათელი, ბრწყინვალე. ებრაელთა ღმერთი ნათელია. ასეა მითრაიზმში, ქრისტიანობაში.

ძველ და ახალ რელიგიებში მთავარია ორი ფერი, ორი ძალა.

თეთრი ფერია დღისა და ცისა, მშვიდობისა.

ქრისტიანული ღმერთი არის ნათელი, ნათელმფენი.

თეთრი სინათლის, სიწმინდის, სილამაზის, უმანკოების, წმინდანობის, სიხარულის, ბედნიერების, ნათლისღების ფერია. ქართული მონათვლაც ქრისტიანობას უკავშირდება (6,133).

ნათლის ესთეტიკით ყურადღებას იქცევს ჰომეროსის და ჰელიოსის უძველესი ჰიმნები, ორფიკული მითოსი, ძველი ებრაული და ძველი ინდური თქმულებები, ნეოპლატონიკოს პროკლე დიადოხოსის მზის და ნათლის ჰიმნები.

ნათლის ესთეტიკა გამოარჩევს ნეოპლატონიზმს, რომანტიზმს, სიმბოლიზმს.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი არის „ნათელი ზეციური,ნათელი უზეშთაესი, წმინდა ნათელი, მარადჟამული, ცხოველი ნათელი“ (7,376,397,410,411).

„ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით, ცხოვრების ნათლის სათავე ღმერთია: „ნათელი ცხოვრებისა, რომელსაც ღმერთში სათავე თვისი უპოვნია“ (7,52-63).

პოემაში ნათქვამია: „სადაც ნათელი ცისიერი არ ბოძებულა, მანდ სუფევს ბნელი დანაჩრდილი სხეულთაგანის, იქ სიმრუმეა და ყოველგან შიშინებს შხამი“ (7,352).

ძველ ქართულ პროზაში ღმერთი მოხსენებულია, როგორც „ნათელი დაუღამებელი“, ქრისტე „ნათელია, ნათლისგან შობილი, ნათელი ნათლისა უფლისა“.

იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“ ღმერთის სახელია „უღამო ნათელი“ (8,67).

ქართულ ჰიმნოგრაფიაში საღმრთო ნათლის ვარიაციებია: „პირველი ნათელი, ნათელი სამარადისო, უსაწყისო ნათელი, ნათელი სოფლისა“ (საბა სვინგელოზი), „გარშეუწერელი, მიუწვდომელი, უხილავი, გამოუთქმელი ნათელი, ნათელი, ნათლისაგან შობილი“ (მიქაელ მოდრეკილი), სამების ნათელი, ბუნებითი იგი ნათელი (ეზრა), საცნაური ნათელი (იოანე მტბევარი), ნათელი წარუვალი (სტეფანე სანანოისძე).

ჩახრუხაძის „თამარიანში“ ღმერთი არის „თვალშეუდგამი ნათელი ბნელი“, შავთელის „აბდულმესიანში“ ნათელია სამება.

„გვიან შუა საუკუნეებში ნათელს ესთეტიკური ფუნქცია დაეკისრა, იგი ადამიანის სილამაზისა და შინაგანი ბუნების გამოხატვის თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას.

„თამარიანსა“ და „აბდულმესიანში“ ერთმანეთს ერწყმის მზისა და ნათლის ესთეტიკა. „თამარიანში“ თამარი არის „მზე და ციური ნათელი“, „თვალშეუდგამი ნათლის მფენელი“, „აბდულმესიანში“ თამარი წარმოიდგინება, როგორც „ნათელი, სახედ ელვისა“, თამარის ნათელი „ზენათელია“ (9,153).

„უძველესი იადგარში“ მარიამ ღვთისმშობელი მოხსენებულია, როგორც „ნათლის დედა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი ნათელია. „ღმერთმან ნათელთა სახითა“, ამბობს ავთანდილი (6,134).

პოემის გმირებს ღვთაებრივი სილამაზე აქვთ. „ნათელსა მას უღამოსა“ – მიემართება თინათინს.

ამ სფეროში გალაკტიონი ტრადიციებს ემყარება, ამასთან, ახლებურად გაიაზრებს კანონიკურ სახეებს. მის შემოქმედებაში გვხვდება წმინდა ნათელი, უმანკო ნათელი, უჩვევი ნათელი, ზეგარდმო ნათელი, გონების ნათელი, სულის ნათელი, პოეზიის ნათელი, ზოდიაკალური ნათელი, ბუნების ნათელი, ადამიანის ნათელი.

ღვთაებრივი, წმინდა ნათელია ლექსში „ავე მარია“: „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი. ნუგეშ-მოწყურვალეთ შენსკენ მოილტვის ლოცვა-ვედრება და საკმეველი“(10,45).

დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „სიბნელეც ვერ დაბინდავს შენგან და ღამე დღესავით გაანათებს. რა სიბნელე და რა სინათლე“(ფს. 138,12) (2,673).

დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) ღვთის შეუცნობლობის თეორიის მიხედვით, „წმინდა ნათელი“ და „წმინდა სიწყვდიადე“ ერთია. ეს აზრი ჰეგელის გზით გაუთავისებია გალაკტიონს: „წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“ (წარწერა წიგნზე) (10,311).

ორიგინალური სახეა „წმინდა სინათლის დიადი ბადე“.

პოეტი ეძებდა „სამუდამო ნათელს“ – ღმერთს: „ჩვენ სამუდამო გვინდა ნათელი“ (მიწა შეამჩნევს) (გალაკტიონი, ხუთტომეული, ტ. III,თბ. 1994, გვ. 411).

ქრისტე არის „სინათლე“, „სიმართლე“, რომლის სასწაულებრივ ძალას განადიდებს პოეტი, როგორც გამარჯვების უპირველეს გარანტიას: „გაისმოდა ხმა სიმართლის და სინათლის მთესი“ (1950) (11,357).

„ღამის ნათელი“ – ღმერთი სულთა შეხების უნარის მომნიჭებელია: „ღამის ნათელში, მტვერში, მთვარეში მიყვარდა სულის შეხება შენი“ (სანთელი) (12,58).

„რომ შექმნა რამე დიადი, საჭიროა სინათლე, ბევრი სინათლე“ (13,281), ამბობდა პოეტი და მისი იდეალი იყო „სინათლის მქნელი სიცოცხლე“.

ლექსში „პოემა ვეფხისა“ (11,219) რუსთაველის პოეზიის შუქი „ზოდიაკალურ ნათელს“ ესალმება.

„შემოდგომის დღეში“ „ნისლი უმატებს წყენას ზოდიაკალურ ნათელს“ (10,328).

გალაკტიონი იმ ნათელს ელოდებოდა, რომელსაც მისი ნიჭის შესაძლებლობები უსაზღვროდ უნდა გაეფართოებინა მსოფლიო ლირიკის დიდ კორიფეთა რანგში: „...ჩვენ ნათელი გველოდა არამცირეოდენი, არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით“ (გოტიეს) (14,298).

პოეტის სულში მკვიდრობდა „თეთრი ბრწყინვალება“, ზეციური ნათელი, რომელსაც მოჰქონდა ფერისცვალება: „არის ფერისცვალება, სულში შორით მოსული და თეთრი ბრწყინვალება, რაღაც ანგელოსური“ (თენდება. გათენდა) (12,533).

ქრისტე ღმერთი არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2,10).

ამ „სიხარულს“ გალაკტიონი განიცდის „დილის“– მარიამის საშუალებით, ღმერთის სახეობრივ-გრძნობადი აღქმა კი ხდება „თეთრი რტოებით“ (რტო ქრისტეს სიმბოლოა): „ესაა მკრთალი ნათელი დილის, რომელიც ულევ სიხარულს მათოვს. ო, მოგონებავ, როგორ გიცდიდა ის სიხარული თეთრი რტოებით“...

„მშვიდობის წიგნის“ პერსონაჟი, საღვთო წიგნის მაძიებელი ტარიელი „გამარჯვების სინათლეს“ ნასკვავს, ანუ უზენაესს უახლოვდება.

ღვთაებრივი ნათლის მოფენისათვის ლოცულობს „შუქის“ ლირიკული გმირი: „გააპე ბნელი, ნაცვლად ნათელი მოგვფინე, შუქო, სახსნელ იმედად“.

ლექსში „თბილისი“ „სინათლე“ და „წყარო“ იდენტური შინაარსისაა და ორივე ქრისტეს სიმბოლურ სახელად მოიაზრება: „სინათლე ჩქეფს, როგორც წყარო“.

იდუმალია „სინათლის ქაფები“, თბილისის გზაზე რომ იელვებს გამოცხადებასავით: „... ჩნდება სინათლის ჩქარი ქაფები, გზებზე ქარივით მოქარავანე“ (ტფილისი

ღამით) (12,241).

ფსალმუნში ნათქვამია: „გამოავლინე ნათელი შენი და ჭეშმარიტი შენი, ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა“ (დავით წინასწარმეტყველი, 84,5).

„უფალმან გამოაბრწყინოს ვითარცა ნათელი, სიმართლე შენი და განკითხვა შენი, ვითარცა დღე შუვაი“ (დავითი, წინასწარმეტყველი, 178,5).

სინათლისკენ ფრენა ენატრებოდა გალაკტიონს: „გამოიგონე რამ, გევედრები, ისეთი ღონე, რომ სინათლისკენ აგვიხსნას ფრთები“ (გამოგონება).

პოეტი ეძებდა „სიმართლის ნათელს, სინათლის წყაროს, სამუდამო ნათელს“ (მიწა შეამჩნევს).

„სიმართლის ნათელს“ ელტვის კაცობრიობა დასაბამიდან: „და სიმართლისა ნათელი არა აღმოგვიბრწყინდა ჩვენ და მზე არ ამოგვიელვარდა ჩვენ“ (სიბრძნე სოლომონისა, 5,6).

„სითეთრის რკალის“ გაუჩინარების, შავ ღამეში იუდასა და კაენის მოვლინების ტრაგიზმია ლექსში „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“: „ჩემთვის უცხოა სითეთრის რკალი და ნათელივით არის აშკარა იუდას სახე, კაენის ლანდი და ღამეების შავი გუგუნი“.

ქრისტე სიცოცხლეა, „სიცოცხლის ფესვია“ და ის „მკვიდრ-ნათელია“.

მორწმუნე პოეტს ღამეშიც იდუმალი ნათელი ევლინებოდა: „სიღრმით სინათლე მოიჭრა ღამით“.

მისი „შინაგანი მეორე მეც მშვიდი და ნათელი“ იყო (13,328), მაგრამ იგი წუხდა „გულგაუნათებელ ადამიანებზე“.

ნათლის გაუჩინარებისას სულის გაფითრებასაც ხედავდა პოეტის მახვილი თვალი: „და სული ფითრდება ნათელის ცვალებით“ (მე მოვალ) (12,59).

ნათლის წყურვილით იტანჯებოდა ცისფერ ბადეში დამწყვდეული სული: „ეს არის სული დამწყვდეული ცისფერ ბადეში და ნათელივით იტანჯება მისი თვალები“ (ფარდების შრიალი) (10,82).

„ღმერთი სულია: „უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 4, 17) (2,388).

ღმერთი „სახიერი სულია“ (3,118).

ღმერთის სული ნათლის მომფენი სულია: „აქ სული ფრენდა და ნათელს ჰფენდა“ (მშვიდობის წიგნი) (13,181).

„სული გამუდმებით ასხივებს ნათელს და მის შუქზე ჭვრეტს როგორც გარეშე სამყაროს უსასრულობაში დამარხულ, ასევე მისსავე შინაგან ჭეშმარიტებას“ (მარკუს ავრელიუსი) (15,261).

სულში ბოროტი საწყისის მძვინვარებას უპირისპირდება ღვთაების ძალა – „უმანკო ნათელი“, რომელიც ამარცხებს „ბნელცოდვილ ლუციფერს“, ვინაიდან იგი თვით სასწაულია, ანუ ღმერთია: „შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელცოდვილს, ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარს, ...მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს და ველი სასწაულს“ (სასწაულს) (10,139).

„უმანკო ნათლის“ ვარიაციაა „მშვიდი სინათლე“, რომლის თანხლებია მწუხარება და სიყვარული. ამ „მშვიდი სინათლის“ სასახლის ლანდია პოეტის წიგნის ფურცლებში გაელვებული: „...თვალი იკარგება სივრცეთა უნაზეს გრადაციებში. ამ სა-

ღამოში განისვენებს მშვიდი სინათლე, სავსე უდიდეს მწუხარებით და სიყვარულით. ამ წიგნის ფურცლებში დაჰქრის მისი სასახლის ლანდი“ (ღრუბლები ოქროს ამურებით).

ამ მისტიკური „მშვიდი სინათლის“ მთავარი მახასიათებლებია „მწუხარება“ (მწუხარება კაცთა სიავის გამო) და „სიყვარული“, რადგან „ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8).

გალაკტიონი ხაზს უსვამს, რომ მისი პოეზიის მთავარი სახე-პერსონაჟია „მშვიდი სინათლის სასახლის ლანდი“, ანუ უზენაესი.

პოეტისთვის ცნობილია აპოკალიფსის ზეცის ქალაქი, ზეციური იერუსალიმი, რომლის ანალოგი მის შემოქმედებაში არის ზეციური „ლალის კართაგენი“ (ეფემერა), „ახალი კართაგენი“ (ცხრაას თვრამეტი), „მშვიდი სინათლის სასახლე“ (ღრუბლები ოქროს ამურებით) (14,275).

ჭეშმარიტი არსებობის საწინდარია რწმენა, ღმერთი – „სიცოცხლის ნათელი“: „მხოლოდ ყოფნა დღევანდელი განმინათე, რომ მალხენდეს, რომ სიცოცხლის ნათელს მფენდეს, რომ ბრწყინავდეს, ვით კანდელი“ (გუშინ, დღეს, ხვალ).

ქრისტიანული ღმერთი განიცდება, როგორც სულის „ახალი ნათელი, კარგი ნათელი, მხნე ნათელი“: „მე ამ მაისის სულ ახალი ვიგრძენ ნათელი, კარგი ნათელი – მხნე ნათელი შინაგან სიღრმის“ (გამარჯვების დღე).

საღმრთო ნათლის ახალი ვარიაციაა „უცხო ნათელი, წრფელი ნათელი“: „ხატის წინ წრფელი, უცხო ნათელი ირხევა, კრთება, სხივს აკანკალებს, მგზნებარე თვალებს“ (ხატის წინ).

პოეტი სულის თვალით ჭვრეტდა „წმინდა ნათელს“ და მისი ლოცვა-ვედრება გამუდმებით მიემართებოდა ზეციურ შუქს: „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი, ნუგეშთმწყურვალეთ შენსკენ მოილტვის ლოცვა-ვედრება და საკმეველი“ (AVE MARIA) (10,45).

მძლავრობდა ურწმუნოების სიცივე, თოვლი, ყინვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, „უჩვევი ნათელი“ იყო ოცნების საგანი: „დგას გაყინულთა ოცნებათ კრება – მთა თეთრი, როგორც მაღალი რაში... და უჩვევ ნათელს ეალერსება ჩვეულ სიცივის მძინარებაში“ (ალვები თოვლში) (10,72).

ლექსში „ქალაქთა ბნელთა“ ქრისტე „სანატრელ სინათლეში“ ცხადდება, „სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების კიბესთან“ ერთად: „...სანატრელ სინათლეში აღიმართება კიბე სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების“.

„დაუჯდომელში“ კიბე, „ზეცის კიბე“, მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა (16,9).

ქრისტიანული უფალი მოვლენილია, როგორც მანათობელი ცეცხლი და გათენება: „იმ სწრაფს, იმ სანატრელ მერანს გაუმარჯოს, იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას“ (ცაზე ლეგიონი ცურავს ვარსკვლავების).

პოეტი ხედავდა „გათენებას“, გამორჩეულ სიზმარს – დიად სათქმელს: „... ვით გათენებას, მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ (მე მძინარე ვარ) (7,320) მიესალმებოდა „დიად გათენებას“, „ძვირფასზე ძვირფასი წიგნის“ – ღმერთის ნათელს, მარადის მანათობელი წიგნის მარადისის გზებს (მშვიდობის წიგნი) (13,351).

ქრისტე არის „ცისკარი“, „სიახლის ალის ნათება“: „ცისკარი აწმყოს სიახლის ალით ანათებს, ანათებს“. „ცისკრის წამწამის ახამხამება“ „მშვიდობის წიგნში“ ღმერთისკენ შებრუნებას მოასწავებს (13,351).

ბიბლია გვმოძღვრავს: „მუდამ სპეტაკი გქონდეს სამოსელი“ (ეკლესიასტე, 9,8).

ნათლის სამოსი ეცვა ადამს შეცოდებამდე, ნათელშემოსილნი იყვნენ წმინდანები, ცეცხლშემოსილი, „ნათლის სვეტით“ და ელვით განათებული იყო დიონისე არეოპაგელი (18,189).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ მხოლოდ უმწიკვლო სულის ადამიანებს აცვიათ ნათლის სამოსი: „...რადგან რამდენად სული ჩემი უზადო ქმნილა, იმდენად უფრო მაცისკროვნებს ნათლის სამოსი.“

მზითშემოსილი, ზეგარდმონათლით მოსილი იყო გალაკტიონი, „ნათლით ნათობდა“ ჭაობის ბრბოსგან განსხვავებით: „...ვნახე და თვალწინ დამიდგა შორი ჭაობში მყოფი ბრბო დაუმცხრალი, ზეგარდმონათლით მოსილ პოეტად ვის არ ხედავდა იმისი თვალი“ (ზღვის პირად მდგარი).

მარადიული მზე, მარადიული ნათელი ასხივოსნებთ პოეტების მეფის პოეზიაში სულის რჩეულთ: „...შენი მზე სიბნელეს გახევს და დაადგება შუბლს ნათელივით“.

ნათლის ახლებური ვარიაციაა „ნათლის სვეტი“, რომელიც მრავალგზის გვხვდება და, ასევე, რელიგიური შინაარსისაა.

„მე სხვა მზე მმოსავს, როგორც შეჰფერის საქართველოს სახალხო მგოსანს“, აცხადებდა პოეტი და მისი ნათელშემოსილობა, მზითშემოსილობა აქცენტს უკეთებს პოეტის რელიგიურობას, გამორჩეულობას.

ლიტერატურა

1. კრებული ძველი ქართული ლიტერატურა და რუსთველოლოგიის საკითხები, თბ. 1976
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961
4. დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ. 1964
5. ლიტერატურული ძიებანი, თბ. 1983
6. ვიქტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1953
7. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
8. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ივანე ლოლაშვილის რედაქციით, თბ. 1968
9. რევაზ სირაძე, სახისმეტყველება, თბ. 1977
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
11. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1982
12. გალაკტიონ ტაბიძე ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
13. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
14. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
15. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1972
16. საპატრიარქოს უწყებანი, №12, 3-9 აპრილი, 2009
17. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 2014
18. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1982

ამ ვარდობისთვეს ვარდებით ვთვრები

წმინდანებივით მზითშემოსილი, სიხარულშემოსილი, ნათლითმოსილი გალაკტიონი, ამავე დროს, ნისლშემოსილიც იყო, რადგან სიცოცხლეშივე ებურა ღრუბელ-ნისლთა რიდე, როგორც ფართო მასებისთვის მიუწვდომელს, გაუცხოებულს.

პოეტის პიროვნებისა და პოეზიის შესახებ შექმნილი ლეგენდებიდან განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი ბახუსიმოყვარეობის ვერსია, რაც კიდევ უფრო მეტ შთამბეჭდაობას სძენდა ენიგმების დიდოსტატის სახეს, რადგან მკითხველს მრავალგზის უწევდა შეხვედრა როგორც ღვინით, ისე პოეზიით გაბრუებულ დიონისოს ქართველ ორეულთან.

გონიერი თანამემამულენი იმთავითვე ცდილობდნენ თრობის ცნებაში დაფარული ქვეტექსტების, არაერთმნიშვნელოვანი აზრის ამოცნობას და მხატვრული სიტყვის მეტრის „ლოთობას“ არასოდეს აიგივებდნენ ჩვეულებრივთა ღვინისმოყვარეობასთან.

ამ ლეგენდის ქვეშ შეფარული აზრი გვამცნობდა, რომ ერის სათაყვანო პოეტს პრიმიტიული გონის სატანისტური ხელისუფლება არათუ ვერ უგებდა, ფიალას დარდით, შხამით, საწამლავებით უვსებდა.

ეს „გაუგებარი გენიის“ პოეტი ხშირად თვითონვე განგებ ირგებდა ლოთის, ღვინით გაბრუებული, აპოლიტიკური, გულუბრყვილო ადამიანის ნიღაბს, რათა გამორჩეულ, ნიჭით ცნობილ, მოუთვინიერებელ დიდოსტატებზე მონადირე ხელისუფლების ჭანგებს ამ გზით მაინც დასხლტომოდა, მაგრამ ბოჰემის მანტია, „ღვინის ფარები“ ვერ ფარავდა ამ ბუმბერაზი შემოქმედის ნამდვილ სახეს და სიკეთესთან მებრძოლი ცალთვალა მეფისტოფელის მეორე – ქორის თვალიდან ამოფრქვეული მრისხანება გამორჩეულთა ბედისწერად იყო ქცეული.

საუკუნის პოეტური კულტურის საჭეთმპყრობელს კი ეიმედებოდა ზეციდან „მფარველი საყვარელი თვალები“, ლაჟვარდის თვალი, „თვალები შეკრული კამარის“, ანუ უზენაესი. პოეტის თანამედროვეთ კი არავინ ეხილათ ამ ზომამდე, ამდენი რამით მთვრალი, რაც სფინქსის საიდუმლოებათა ამოცნობის სურვილს კიდევ უფრო ამძაფრებდა...

მის ლექსებში გამუდმებით კეთდებოდა აქცენტი ღვინის საათზე, თრობის საათზე, ყოფნით თრობაზე, ცეცხლით თრობაზე, მოგონებით თრობაზე, მაისის თვალებით თრობაზე, ბროლის თითებით თრობაზე, ვარდებით თრობაზე... ყვითელ ფოთლებით, მუსიკით, პოეზიით, ზღაპრით, თოვლით, გრიგალით თრობაზე, ბედით თრობაზე, სიყვარულით, სხვა მხარეებით, ახალ სანახავით თრობაზე, ხალხთა მწუხარებით, ეგზოტიკური ყვავილით თრობაზე, სულით თრობაზე...

„მთვრალის“ ეპითეტით ფიგურირებს გალაკტიონის პოეზიაში მიდამო, ალი, ბაღი, შირაზის ხაზი, ღამის ღამე, სურნელი, იდუმალება.

პოეტი „სვამდა“ გრიგალს, ქარიშხალს, წვიმას, გვევლინებოდა „ღვინით თვალანანთები“.

მისი სულის გემი თვრებოდა გრიგალით.

ღვინით სავსე თასი, ყვავილების თასი, გატაცების თასი, თვალების თასი, წინა-

პართა ელვარე თასი, ალის თასი, სიმართლის თასი, ბედთან არდარიდების თასი, ლალის თასი, თასი ზამბახეული, თასი დღის ხმათა, ფიცით სავსე თასი, სიცოცხლით ძვირფასი თასი, ძველისძველი ღვინით სავსე თასი, ნექტართ ფიალა, გაზაფხულის სავსე ფიალა, ოცნების ზოლი ფიალით, ვარდების ბუჩქების ჩრდილი თასით, მარადი ჭიქა, სიხარულის ჭიქა, ცეცხლოვანი აზარფეშა, სიხარულის ღვინო, ცისფერი ღვინო – ასეთი სახეები ტრიალებდა პოეტის ცნობიერებაში.

ჭეშმარიტ ფასეულობათაგან განზე მდგომი დრო კი „შხამით სავსე ფიალას, სიმწრის ფიალას, მწარე ფიალას, გესლით სავსე თასს, ღამის ფიალას“ აგებებდა.

გვაოცებდა საოცარი ენიგმები, ლიცენციები: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით, მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით, ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს, ჩვენ პოეტები მზიდან ვეშვებით და ვსვამთ ცეცხლიან აზარფაშებით მზის სადღეგრძელოს“...

წარმართულ თუ ქრისტიანულ, ბიბლიურ თუ მითიურ სამყაროში ღვინო გამუდმებით იყო ინტერესის საგანი.

ანტიკური ეპოქის პირმშო დიონისო მოიაზრებოდა, როგორც თრობისა და შვების, წინასწარხედვის, ქვეცნობიერის ღმერთი.

წმინდა წერილში გვხვდება „ღვინო საწამლავგარეული“ (ფს. 59,75), „ღვინო უსჯულოებისა“(ფს. 283,17), „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) „ღვთის მძვინვარების ღვინო“ (იოანე მოციქულის გამოცხადება (14,10) (1,508).

სახარებაში ქრისტე საიდუმლო სერობაზე პურს თავის ხორცს, ხოლო ღვინოს თავის სისხლს უწოდებს (მათე, 26,26,28) (1,59).

ფრანგ სიმბოლისტ პოეტთან – ბოდლერთან იხსენიება „ღვინის სული“ (2,186), „მთვრალი მზერა“ (2,174-175), „მარტოკაცის ღვინო“ (2, 175), „მიჯნურთა ღვინო“. (2,186).

„ბოროტების ყვავილების“ ავტორისთვის მთავარია „ღვინით, სათნოებით ან პოეზიით“ თრობა (ითრობოდეთ) (3,34).

არტურ რემბოს შედევრის – „მთვრალი ხომალდის“ შესახებ აღნიშნულია, რომ „რემბო თვითონ იყო ეს მთვრალი ხომალდი“ (4,586).

ფრანგი სიმბოლისტი პოეტის – პოლ ვერლენისათვის „მთვრალი სიმღერა არის ძვირფასი – ნათელ ბოდვაში მიექანება“...

პოეტის მთავარი მოწოდებაა: „...გამოაქროლე ლექსი ჭალებით – მთვრალი სურნელთა იდუმალებით“... (5,422-423).

ვერლენი სიყვარულის, „წმინდა ღვინოსათვის“ ევედრებოდა ღმერთს: „ღმერთო, შენი სიყვარულით უმოწყალოდ დამჭერ, სული ჩემი აზიარე შენი წმინდა ღვინით“ (5,90). აშკარაა „სიყვარულისა“ და „წმინდა ღვინის“ რელიგიური აზრი.

„ცისფერყანწელი“ ვალერიან გაფრინდაშვილი „ცისფერ ყვავილის“ ლოთი იყო: „თავიდან ცისფერ ყვავილის ლოთი, მთვრალი ვარ მისი ზღაპრული ფერით“ (მაინც) (4, 208).

მის „ბოჰემის მონოლოგში“ (4,117-118) საუბარია „მარტოობის და ლოთობის კარიერაზე“, რაშიც ნაგულისხმევია „სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა“.

ტერენტი გრანელი თვრებოდა ჯავრით (კვირის შუადღე) (6,21).

გალაკტიონმა წარსულის ვალებში მოიხსენია „მუსიკა, ღვინო და ყვავილები“ (საახალწლო ეფემერა) (7,101).

ღვინო და ყვავილი საღმრთო სახელებია. „წარსულის ვალი“ უნდა გავიგოთ, როგორც ქართული მრავალსაუკუნოვანი გზის ერთგულების, რწმენის მსახურების მოთხოვნა.

პოეტი გამუდმებით ეწაფებოდა „ძველისძველ ღვინოს“, „ალისფერ ღვინოს“, „ფეერიულ აკიდოს“, ხელთ „ალის თასი“ ეპყრა, ვარდების ბუჩქის ჩრდილს თასში „ათავსებდა“, ღვინო იყო „სტიქიის საგანი“, გამოფხიზლების საშუალება, „ფარები“, ხიბლავდა „ღვინის სიანკარე“, „ცისფერი ღვინო“...

„მზის სადღეგრძელოს“ „მარადი ჭიქით“, „ცეცხლოვანი აზარფეშებით“ სვამდა, თვრებოდა სიყვარულით, ფიქრით, პოეზიით, ცეცხლით, დღის სიელვარით.

მის მრავალფეროვან სახეთაგან უპირველესია რელიგიური შინაარსის ღვინო და თასი.

„ძველი ღვინის“ „უგონოდ, მძაფრად“ სმაზეა საუბარი ლექსში „ვერხვები“ (7,49).

პოეტის თანამედროვეობას ზღაპრად უქცევია რწმენა, დაუკარგავს ვარდი, ყვავილები, გვირილები (ვარდი, ყვავილები, გვირილები საღმრთო სახელებია). ლექსის ლირიკული გმირი კი ისევ თვრება ძველი ღვინით, აძრწუნებს ვერხვის კვნესა (ვერხვი სიცოცხლის ხეა, ღმერთის სიმბოლო). იგი ისევ ერთგული „პაჟი“ – მსახურია „ყვავილების“, „ზამბახის პრინცესის“ (პრინცესა – მეფის ასული – მარიამ ღვთისმშობელია ბიბლიის და სასულიერო პოეზიის მიხედვით), ანუ ურწმუნო ეპოქაშიც პოეტი დედა-ძის მარადიული ხატების თაყვანება-სიყვარულით გამოირჩევა.

ღვინის, როგორც უზენაესის სიმბოლოს წყარო ბიბლიაში მოიძიება.

ესაია წინასწარმეტყველი ღვინის და ნადიმის სიმბოლური სახით ასე წარმოიდგენს ძე ღმერთის მოვლინებას სამყაროში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, (25,6) (8,91).

გალაკტიონის ლექსში „მოგონებები“ (7,781) „ძვირფასი ღვინის“ მიგნება ხდება თასით და წიგნით: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით, ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მემარნე და ჩვენ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო: შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“.

„ძვირფასი ღვინო, უკვდავი ღვინო“ ქრისტეს სიმბოლოა, „მემარნე“ და „წიგნი“ მამაღმერთის, თასი – მარიამ ღვთისმშობლის.

სხვაგან მამაღმერთი წარმოისახება, როგორც „მეღვინე“, „ძე ღმერთი“ – ღვინო: „შენ მეღვინე, ღვინო გვასვი, თვალს ნუ მიეძინება, ფიქრები გვაქვს ასჯერ ასი, როგორც ღრუბლის დინება“ (ეს მძინარე მთა და ველი) (219).

„ზღვის ეფემერაში“ გემის ბაქანზე სიხარულს იწვევდა ღვინო, მაგრამ გემი აივსო წყლით, ანუ მოკვდა რწმენა (9, 326-329).

ერთ ლექსში პოეტი მეზღვაურებს (პოეტებს) ღვინოს სთავაზობს და იგრძნობა ამ ფრაზის იდუმალება: „... მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ, მოგროვდით!“ (მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ) (7,231).

ღვინის სმაზე, მარადიულ ცეცხლზე ოცნება უზენაეს საწყისებთან ზიარებას გულისხმობს, რადგან ღვინო და ცეცხლი საღვთო სახელებია.

პოეტი წუხდა, რომ „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“ (მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით) (7,122).

ყოფნა, ცხოვრება ქრისტეს სახელია სახარებაში: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14,6) (1,211).

უსხეულო ცეცხლი, მარადიული ცეცხლი, უჩინარი ცეცხლი, ფარული ცეცხლი, წმინდა ცეცხლი საღვთო სახელებია.

„მრავალი ვარდების მფენი“, ციური სულის, მუსიკალური გენიით მომადლებული პოეტი ავლენდა „ცისფერი ღვინოების“ წყურვილს, სხვანი კი მიწის ვაზის ღვინოს ეწაფებოდნენ: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით და მერე უცნობ პიანინოებს ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით. როგორც მრავალი ვარდების მფენი, მას სული ჰქონდა უხვად ციური, მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი ფანტასტიური“ (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს) (7,105).

ბიბლიაში ორგვარი ვაზი გვხვდება: მიწის და ზეცის.

მიწის ვაზი ებრაელი ხალხის სიმბოლოა: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7) (8,126).

ზეციური, ჭეშმარიტი ვაზი ქრისტეს სახელია: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე, 15,1) (1,213).

გალაკტიონის „ცისფერი ღვინო“ მიწის ვაზის ნაყოფი კი არ არის, არამედ ზეცის ვაზის – ღმერთის სიმბოლოა, რაც ბიბლიური ტრადიციის გამრავალფეროვნებას, ახალი ნიუანსით წარმოჩენას მოასწავებს.

გალაკტიონის ლექსებში „ხშირადაა ნახსენები თრობა, ცისფერი ღვინოები, დაულეველი სადღეგრძელოები. ეს თრობა სხვა თრობა იყო, უმაღლესი პოეზიის ნეტარი წუთებით გაბრუება. მის ხელთ ნაჭერი უძველესი თასიც ღვინით კი არა, ფიცით იყო სავსე, მამულისთვის თავდადების ურყევი ფიცით“ (ემზარ კვიტაიშვილი, დაკვირვებები გალაკტიონის ლირიკაზე) (10,85).

ღვინით, პოეზიით, ან სულის სილამაზით თრობაზე გალაკტიონის წინამორბედი ფრანგი პოეტი ბოდლერიც მოგვიწოდებდა, აკი უკვდავყო კიდეც ქართველმა პოეტმა უცხოელი წინაპრის სახელი ლექსში „რომელი საათია?“: „იყო შარლ ბოდლერი: მწარე და ძვირფასო თრობის საათია, ღვინის საათია!“ (7,70).

იყო ნათელშემოსილი, სიხარულშემოსილი, მზითშემოსილი გალაკტიონი (ნათელი, სიხარული, მზე საღვთო სახელებია), პოეტი მისტიკოსი, ცის ბილიკებით მავალი, ზეცის ვაზის ნაყოფს დაწაფებული, მარადისობის ბინადარი და მიწიერი გალაკტიონი, სამყაროს გადასასხვაფერებლად მოვლენილი პოეტი ტიტანი, მიწის უკეთურებათა განმცდელი, შხამის ფიალას დაწაფებული, რომელიც თვრებოდა ჯოჯოხეთური ყოფის დასავიწყებლად, დარდისაგან განმუხტვის მიზნით, მაგრამ ვერ ახერხებდა რეალობის დავიწყებას და ქვითინებდა დაკარგულ რწმენაზე, უღმერთობაზე: „დამათრობელი, როგორც ჩემი მოგონებები, წინ მიდგას ღვინო, ლალისფერი და ძველი ღვინო. ვსვამ განუწყვეტლივ, ვსვამ, რომ დავთვრე მოგონებებით, რომ მეც საზარლად ვიქვითინო და ვიქვითინო... ოჰ, რად მომექცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი, რად დამიმსხვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე, სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა, ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე!“ (ელეგია) (7,30).

ყვავილები უფლის სიმბოლური სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლო-

მონისა, 2,12) (8,15).

ზემოხსენებულ ლექსში უარყოფილი რწმენის გამო სევდა გამოიხატა:„რა ადრე გაქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი, რა ადრე გაქრა ჩემი ყრმობა, ჩემი სიზმარი, დროო წყეულო, სად წარიღე ჩემი ფიქრები, დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი?“

გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) საღვთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 68,12) (1,588).

ღმერთის უარყოფა დროთა სიკვდილს, გაუთენებელი ღამის მოვლინებას, მხეცის, უკეთურების გაბატონებას მოასწავებდა და პოეტიც ამ გაუნელებელი ტკივილის დასავიწყებლად ეწაფებოდა ღვინოს: „ღვინის გადაჰკარ თასი, ათი ათასი ასწი! ეს ადვილია უფრო, ვინემ ღამეა კუპრი, დროთა სიკვდილი როა, ასწი, გადაჰკარ, დროა!“ (დროა) (11,43).

დარდით და ღვინით თრობას განაპირობებდა გაუსაძლისი ზამთარი და გაზაფხულის ლოდინი: „ისევ ერთად მივალთ მთვრალი მე და ჩემი ძველი დარდი, ზამთარს წაჰყვა თებერვალი და თებერვალს მოჰყვა მარტი“ (ისევ ერთად) (7,45).

რწმენა, ღვინის სახეში მოაზრებული ღმერთი იყო პოეტის „ფარი“: „ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ, ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ღამეა, საცაა სანთელი ჩამიქრება. ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები. საცაა სანთელი ისევ ჩამიქრება. უეცრად გრიგალმა დააღო კარები და ბინა პოეტის გადიქცა ქვითინად. ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ. მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“ (ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ) (7,287).

ლექსში საღმრთო სახელებია: „ღვინო, სანთელი, ცისფერი ვარდები“.

პოეტი ეძებდა „ზამბახის პრინცესას“, ანუ მარიამ ღვთისმშობელს, რომელიც წმინდა წერილში მოიხსენება, როგორც „დედოფალი“, „მეფის ასული“ (ფს. 44,10,14) (1,569).

გრიგალი სიმბოლოა ურწმუნოების. სულიერი კატაკლიზმების ჟამს პოეტის „ფარი“ იყო „ღვინო“, ანუ ღმერთი, რწმენა.

ფსალმუნში ღმერთი არის „ფარი“, „ფარი ხსნისა“ (ფს. 17, 31,36) (1,538).

საოცარი რელიგიური შინაარსის ლიცენციებია ლექსში „პუშკინი პარიზში“, რომელშიც ყურადღებას იქცევს ღვინოში ჩაშვებული ბეჭდები (იხ. „ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები“).

ბოჰემის სუფრაზე, პოეტების სერობისას, მთავარია „ღვინო“.

ლექსი „ო, მეგობრებო“ (7,371) სახარების საიდუმლო სერობის თავისებური ვარიანტია: „ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა იქნებ მომავალს შვებას მოუტანს, იქნება ღამის ალმაცერობა, მე ეხლავ ვამჩნევ ერთგულ იუდას“.

უკვდავებისთვის აუცილებელია ჯვარცმა, ჯვარცმას სჭირდება გამცემი იუდა, რაც ზეცაში მამაღმერთსა და ძე ღმერთს შორის დადებული პირობის ასრულებისთვის არის საჭირო, ამიტომ მოიხსენება გამცემი იუდა ერთგულად: „ვინ უღალატებს პოჰემის სუფრას? ღვინო სტიქიის არის საგანი. ერთი იმ რჩეულ თორმეტთაგანი სამარადისოდ გაიტანს უფროსს“.

„ძლიერ ღვინოს“ პოეტი მიირთმევს „ალის თასით“: „...ალის მომეცი თასი, სავსე ძლიერი ღვინით“ (ალის თასი) (12,54).

„ძლიერი ღვინო“ და „ალი“ (ცეცხლი) ქრისტის სიმბოლოა, თასი – მარიამ ღვთისმშობლის.

„სიმართლის თასში“ ჩაწურული „გრძნობის მტევნები“ ისევ დედა-ძის სახეებზე მიმანიშნებელია, თასი – ღვთისმშობლის, სიმართლე და „გრძნობის მტევნები“ – ძე ღმერთის სახელებია (სიცოცხლის მტევნები) (11,33).

ლექსში „მივაშუროთ“ (12, 44), ისევ დედა-ძის ორიგინალური სახელებია: „სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით, მრავალ წყურვილთა გახელებით, გაათასებით... თასი დღის ხმათა და კვლავ თასი-ზამბახეული“.

„სიცოცხლის ჩანგი“ უფალზე მიგვანიშნებს, „თასი ზამბახეული“ – უფლის დედაზე.

დღე საღვთო სახელად ფიგურირებს „ფსალმუნში“: „ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა, ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში“ (ფს. 117,24) (1,651).

მზის (ღმერთის) სადღეგრძელოს „მარადი ჭიქით“ სვამს პოეტი: „მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემონი. სიცოცხლის იქით, სიმშიდის იქით ისევ მეძახის ჩემი დემონი“ (მზის სადღეგრძელოს) (13,215).

„მარადი ჭიქა“ ღვთის დედის სიმბოლოა.

ჭიქით სიხარულის დაცლა იქცევს ყურადღებას ლექსში „აღემატება ყოველგვარ ძალას“ (12, 60) (იხ. „რომ სიხარული დასცალოს ჭიქით“).

ლექსში „მარმარილო (14,73) „ცა სიყვარულის და სიცოცხლით ძვირფასი თასია“.

სიყვარულის ცა არის ღმერთების სამყოფელი „ცათა ცა“, თასი – უფლის დედა. „სიცოცხლე“ არის ძე ღმერთი, რომელიც სახარებაში გვეცნაურება, როგორც „გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14,6) (1,211).

„შემოდგომაში“ (14,130) მზის დღეგრძელობა ხდება „ცეცხლიან აზარფეშებით“: „...ჩვენ, პოეტები, მზიდან ვეშვებით და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით მზის სადღეგრძელოს“.

მზე ღმერთის, „ცეცხლიანი აზარფეშა“ თასის ნაირსახეობაა და უფლის დედას მიემართება.

ლექსში „ხელები“ (14,154) პოეტის დამათრობელია „ბროლის თითები“, „მზისგან სავსე ალისფერ ღვინით“, რომელიც „უვრცეს პოემაში“ ზეცად უნდა გაუკვდავდეს, „შორეულ მხარეში“ და პოემას უნდა დაერქვას „ალვა და სურო“. „ბროლის თითებით“ ძე ღმერთის დედაზე, „ალისფერი ღვინით“ ქრისტეზე ხდება მინიშნება.

უვრცესი პოემა, ალვისა და სუროს სახელწოდებით, რომელიც „შორეულ მხარეში“ უნდა გამეფდეს, პოეტის რელიგიური პოეზიაა, რადგან ალვა და სურო სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის სიმბოლოებია.

საოცარი ფრაზაა ლექსში „ალვები თოვლში“ (7,72), რომელშიც მთვარის მიერ თოვლიანი ალვის დათრობაა „ივლისისფერი ყინვის თასებით“ (იხ. „ივლისისფერი ყინვის თასებით“).

ხალხურ კილოზე დაწერილ ლექსში „დარჩნენ ქვიშანი“ (5,50). „გაზაფხულის სავსე ფიალა გადმოიტოპა“ ნიაღვრებით, წყალდიდობით. გაზაფხული ძე ღმერთის, ფიალა ღვთისმშობლის სახელია. იგულისხმება, რომ რწმენას დაუპირისპირდა ნიაღვრები, წყალდიდობა, უღმერთობა, მაგრამ „წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი“, ანუ უმაღლესი ღირებულებები საბოლოოდ ვერ გადაფასდა: „ასწი ფიალა, სავსე ფიალა! აქა მშვიდობა!“

ფიალა ღვთისმშობლის სახელია. „აქა მშვიდობა“ სახარების ფრაზაა. ქრისტემ თავისი მოწაფეები გაგზავნა სიკეთის დასათესად, ახალი მოძღვრების საქადაგებლად და უთხრა: „რომელ სახლშიც შეხვიდეთ, უწინ ეს თქვით: მშვიდობა ამ სახლს!

„თუ იქნება იქ მშვიდობის ძე, მასზე დაივანებს თქვენი მშვიდობა, თუ არა და თქვენვე დაგიბრუნდებათ“ (ლუკა, 10,5,6) (1,136).

ქრისტე არის „მშვიდობის წიგნი“, „მშვიდობის გზა“ „მშვიდობის ღმერთი“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს) (16,441).

„გობელენში“ (7,78) „იქაურ ცაზე“, „ლაჟვარდი თვალის“ ნამზე, „ღამის ღამით“ თრობაზე, „უხილავ გზებზე“ მინიშნებით ხდება რელიგიური გრძნობებით, რწმენით თრობის აქცენტირება, რადგან „იქაური ცა“ „ცათა ცის“ იდენტურია, ლაჟვარდის თვალი, ნამი, უხილავი გზები საღვთო სახელებია: „იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით... ალერსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსასხამით და დათრობაში ამ ღამის ღამით უხილავ გზებით შთავა ყოველი“...

„კოსმიურ ორკესტრში“ (241-245) მეზღვაურებს „ძველ ღვინოს“,,„სიხარულის ხმას“ სთავაზობენ.

ლექსში „მაისის ისრით“ (7,422) მთავარია ვარდებით თრობა, მტრის შებრალება და ზეცის შვილის სადღეგრძელო: „ამ ვარდობისთვეს ვარდებით ვთვრები, კარგია თრობა და მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა. არაფერია, ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს. იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი, იმ სადღეგრძელოს“.

ვარდებით თრობა რწმენით თრობაა, რადგან ვარდი, ყვავილი საღმრთო სახელია. მხოლოდ რწმენასთან წილნაყარს ხელეწიფება მტრის მიტევება-შებრალებაც.

„უზეცისშვილდი“ ნეოლოგიზმია, რაც ნიშნავს: ზეცის შვილს დაემსგავსე, მისი სადიდებელი, სადღეგრძელო აღავლინე.

გალაკტიონმა ზემოხსენებული ცნებების (ღვინო, თასი, ფიალა, ჭიქა, აზარფეშა) გამოყენებით დააფიქსირა რწმენა-ურწმუნოების პრობლემები, ამასთან, ხაზი გაუსვა ქარებში მავალი ხომალდის გადარჩენას: „ხომალდს, ქაფიან ქარებში მავალს: მან მოიტანა ოცნება დღემდე. იგი გრიგალებს გადურჩა მრავალს, გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ“ (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ) (12,342).

ნავი, ხომალდი, შატბერდის კრებულის მიხედვით, გაიაზრება ეკლესიად. გრიგალებს გადარჩენილი ხომალდი გადარჩენილი რწმენაა.

ქართველი კაცისთვის ვაზი სიცოცხლის ხის ტოლფარდია, როგორც წმინდა წერილში, და ლოგიკურია საქართველოს შედარება ღვინით სავსე თასთან: „...ეს საქართველო იმ თასივით უნდა დავქარგოთ, ისტორიაში რომ ხატავენ... ჩვენი ვალია, გვექნეს ის თასი სულ პირსავსედ, საძმოდ, საკარგოდ“ (ქიტესა) (16,260).

პოეტების მეფემ თავისი მზე ამოიყვანა ცაზე, თავისი ვენახი დარგო, ახლებური სასმელი „დაწურა“ მიწიერი თუ ზეციური ვაზიდან, აქცია იგი ღვთაებრიობის, რწმენის, სინდისის, სიდიადის, სიკეთის, ეროვნულობის, სულიერების სიმბოლოდ და ამ ცნების თავისებურ ჭრილში გააზრებით, ორიგინალური სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით შორს გასწია წინაპართა მიერ დამკვიდრებული ტრადიციები.

აი, რას წერს გალაკტიონის სიმთვრალის პოეტურ ასპექტზე მიხეილ კვესელავა: „ასეთი თრობა ხომ პოეტური ალეგორიაა... გალაკტიონი მუდამ მთვრალი იყო... პოეზიით, შინაგანი შემოქმედებითი დაძაბულობით, მწუხარებით, სილამაზით, სიკეთით, სიყვარულით, საკუთარი სიდიადის შეგნებით, სრულყოფილი მშვენიერების ხილვის

სიხარულით და ... ზოგჯერ ღვინითაც, რა თქმა უნდა“ (17,326).

ქართველი ორფეოსის სულში შეღწევის მრავალი ცდა არსებობს,მრავალგზის ყოფილა აქცენტირებული პოეტის მიდრეკილება ღვინისკენ, მისი ბრწყინვალე შედევრების გვერდზე ფსევდოპოეზიის დახვავებით გამოწვეული სინანული.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „კომიკოსი ტრაგედიაში“ (თბ. 2016) ამ პრობლემის სრულყოფილ პასუხს ვიპოვით.

„გალაკტიონი სულით ტრაგიკული პიროვნება იყო და მონაწილეობდა დიდ ეროვნულ ტრაგედიაში, ბედისწერა კი აიძულებდა, რომ დასთანხმებოდა კომიკოსის ნიღაბს.

„ეს შეხედულება ლიტერატურულ ფორმულადაც დაიწურებოდა: „ტრაგიკოსი კომიკოსის ნიღბით დიდ ეროვნულ ტრაგედიაში.

„ლოთის, კომიკოსის ნიღაბი მოერგო, რათა სიკვდილის ულმობელი ცელი მის თავზეც არ დატრიალებულიყო, განა ისეთს რას დაგვიშავებს ეს საბრალო, საკუთარი თავიც გასჭირვებიაო“ (18,285).

გათავისებული ჰქონდა ჰამლეტის, დონ-კიხოტის, ფაუსტის ნიღბები („ჩემი როლი ნიღაბით იყო სული ნიღაბის“), მაგრამ თავის გადასარჩენად ლოთის ნიღაბიც, რევოლუციონერის იმიჯიც სჭირდებოდა და „თხზავდა რევოლუციის მომღერალი, აბობოქრებულ მასათა ტრიბუნის პორტრეტს“ (18,99).

„დროშები ჩქარა“ თებერვლის რევოლუციაზე დაეწერა, მაგრამ წარმოაჩინა, როგორც ბოლშევიკური გამოსვლების საგალობელი.

„ავტობიოგრაფიას 1917 წლის რევოლუციის ხსენებით იწყებდა, თითქოს პოეტის მთელი ცხოვრება 1917 წლის მოლოდინი იყო“ (18,100).

„ეს იყო ჯვარცმა, მაღალი გზიდან აცდენა. მისი პოეზიის ტაძარს გუმბათი მორღვეოდა, ფრესკები შედღაბნილიყო, ქარის თარეშს კარი ჩამეგლიჯა და შეუჩერებელი წვიმა სრული კატასტროფის მაცნე იყო. ხარხარებდა მეფისტოფელი“, ასეთი ხატოვანი სახეებით განგვაცდევინებს ბიოგრაფოსი დიდი პოეტის სულიერ კრიზისს.

როსტომ ჩხეიძის აზრით, „გალაკტიონის ესეი – „ხელოვანის ტრაგედია“ – თვით პოეტის ტრაგედიაა, საკუთარი თავისთვისაც რომ ვერ უპატიებია ამხელა კომპრომისი“ (18,883).

„ეს იყო ამაღლებული იდეალის დაკარგვა.

„დაკარგულიყო გზა მოხევესი“ (18,884).

წიგნში ნაჩვენებია, რომ ტოტალიტარული ეპოქა, თავის გადარჩენის ინსტინქტი აიძულებდა, „რევოლუციური, არყოფილი წარსული შეეთხზა, უნიჭო პროპაგანდისტული ლექსები დაეხვავებინა, ლოთის ნიღაბი მოერგო“.

ერჩია, კრიტიკოსებს წინ წამოეწიათ მისი ფსევდოპოეზიის ნიმუშები, ვიდრე აზრობრივ-მუსიკალური შედევრები, გამოაქვს ბიოგრაფოსს სრულიად ლოგიკური დასკვნა.

ჩვენი კვლევის უმთავრესი მიზანი იყო რწმენით, უმაღლესი ეროვნულ-ფილოსოფიური იდეალებით, განუმეორებელი ხილვებით მთვრალი გალაკტიონის პოეტური ნიმუშების წარმოჩენა. ამასთან, ქართველი პოეტის შემოქმედებაში ბაღიც (ხალხის მეტაფორაა) „მთვრალია“. „მთვრალია“, სავსეა მაღალი იდეალებით...

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი ფრანგულიდან დავით აკრიანის, თბ. 1992
3. შარლ ბოდლერი, ლექსები პროზად, თარგმანი ზვიად გამსახურდიასი, თბ. 1991
4. ვალერიან გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები, მწერლის არქივიდან, თბ. 1990
5. ფრანგი პოეტები, ფრანგულიდან თარგმანი გივი გეგეჭკორის, თბ. 1997
6. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
9. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ.I, თბ. 1993
10. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ. 1981
11. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. III, თბ. 1994
12. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
13. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 2011
14. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989
15. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 2011
16. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. IV, თბ. 1995
17. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ. 1978
18. როსტომ ჩხეიძე, კომიკოსი ტრაგედიაში, თბ. 2016

ვჰა, გაიხსნა ლაჟვარდი ბროლის

„მას შეუძლია ცა გადასაზროს“, განაცხადა გალაკტიონმა შოთა რუსთველის მისამართით (პოემა ვეფხვისა) (1,219).

გადააზრებული, ახლებურად ხილული, მრავალგვარი ქვეტექსტის მქონე ცა იხილვება პოეტების მეფის შემოქმედებაში და ეს სახე მისი ურთულესი ლირიკის საიდუმლობათა ერთ-ერთი მთავარი გასაღებია.

ჩვენი ყურადღება მიიქცია „ცის გახსნის“, „ბროლის ლაჟვარდის“ გახსნის მომენტებმა „არტისტული ყვავილების“ ავტორის შემოქმედებაში.

ადამიანი დასაბამიდან ეძებდა ღმერთს, ცდილობდა უზენაესი საიდუმლოებების ამოხსნას, ღმერთების ცის ხილვას, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი“ ეწოდება და განსხვავებულია ხილვადი, მატერიალური ცისგან.

ხილული ცა და მნათობები ღმერთის მიერ არის შექმნილი და ის ძველი აღთქმის პირველსავე სტრიქონებში გვხვდება, ხოლო ღმერთების ცას „ცანი ცათანი“ ეწოდება.

„ცანი ცათანი“ არის არამატერიალური, უხილავი, მეტაფიზიკური, ტრანსცენდენტური, რომელიც გაიგივებულია ღვთაებრივთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელი მნიშვნელობის გამოსაკვეთად გაჩნდა ტერმინი „ცანი ცათანი“.

„ჩვეულებრივ, არაფილოსოფიურ სიტყვათხმარებაში „ცა“, „ზეცა“ ღვთაებრი-

ვის, არამატერიალურის სინონიმიცაა. ამგვარი გაგება ხშირად აქვს ამ სიტყვას ბიბლიაშიც: „უფალო, ღმერთო ცათაო“ (წიგნი ნემიასი, 115) (2,55).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, მიწა და ზეცა შექმნილია, „ცანი ცათანი“ კი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა ღმერთის მიერ, სულიერ სამყაროს წარმოადგენს, ის არის ჩვენი ხილული ზეცის მაღლად. „ცანი ცათანი“ გონიერი ზეცაა, სადაც გონებას ყველაფრის ერთბაშად შეცნობა ეძლევა და არა ნაწილობრივ, არამედ მთელი თავისი სისრულით, გამოცხადებით“ (3, 382, 383,384,386,388).

საინტერესოა ცა ბერძნულ, ეგვიპტურ, შემერულ, ინდურ, ჩინურ მითოლოგიაში. ასევე, ძალზე თავისებურია ქართული კოსმოგონია (ცის და მიწის ფიცის სიტყვა) (4,543-544).

ბიბლიაშივე მიჩნეულია, რომ შექმნილი ცა და დედამიწა არ არის მარადი ბუნების. ძველი აღთქმის ესქატოლოგიური შეხედულება გვამცნობს, რომ არსებულ „სოფელს აღსასრული მოელის, რის შემდეგაც იყოს ცა ახალი და ქვეყანა ახალი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 65,17) (5,122).

გალაკტიონის პოეზიის ლირიკული პერსონაჟი ეძებდა „რაღაც არაქაურს“, ესმოდა „სუნთქვა არაქაური“, იტაცებდა „წმინდა ქვეყანა“, „ცის ვნება“, „წმინდა ცის“ საიდუმლოება: „...არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (გრძნობათა ფერფლი).

„წმინდა ნათელსაც“ ჭვრეტდა პოეტის თვალი: „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი“ (ავე მარია) (6,45).

„მე სული არ მაქვს ამქვეყნიური“, აცხადებდა პოეტი.

ღმერთი არის „ნათელი დიდი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 9,1) (5,80).

გალაკტიონს სწორედ ეს შეუქმნელი, პირველი ნათელი აინტერესებდა.

ღვთისმეტყველთა მიხედვით, ღმერთი ღვთაებრივ ნისლში სუფევს და ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელია.

„ციურ ნისლთა ფიქრი“ უცხო არ იყო პოეტისთვის.

საღვთო ნისლის შეუცნობლობის იდეა, „წმინდა სიწყვდიადისა“ და „წმინდა ნათელის“ იგივეობის დიონისე არეოპაგელისეული აზრი გალაკტიონს შეთვისებული უნდა ჰქონოდა ჰეგელის გზით: „წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი. როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“ (წარწერა წიგნზე) (6,311).

„ბინდის დიდი კამარა“ ფარავს „ცათა ცას“, მაგრამ გალაკტიონს „სურს გაარღვიოს თვალით ბინდები“, რათა ეზიაროს მხოლოდ ერთეულთათვის მისაწვდომს.

პოეტი „ზეცამდე მიირხევა“, ზეცასავით მარადიული შედევრებით სწადია სიკვდილის დათრგუნვა: „ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე და ამიტომ მსურს, ვიპოვო რამე, რომ წავუღო ზეცას მედიდურს“ (უკანასკნელი დღე) (6,52).

პოეზიისთვის ქრისტესავით ჯვარცმული პოეტის ცხოვრება იმთავითვე იყო „ამ სააქაოს“, ამქვეყნიური ტრივიალური არსებობის უარყოფა: „ანგელოზები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა და ცა კივილით დაუშვებს ფარდებს ამ სააქაოს წყევლად და კრულვად“ (ცისფერი) (7,221).

ფილისტერთა საუფლოს განრიდებული სული სილაჟვარდეში ნავარდობდა: „...სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს, დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“ (ჩემს გულში დაჰქრის) (6,801).

წმინდა გრიგოლ პალამა გვმოძღვრავს: „მხურვალედ ვითხოვოთ, ძმანო, ზეციუ-

რი სიმაღლეები და ველტვოდეთ სილაჟვარდეს“ (8,383).

გალაკტიონის გზა „შორეული ცის სილაჟვარდე“ იყო.

„მარადის ციერება“, ცის გახსნა, ზეცაში ქნარის დასადგურება სურდა პოეტს, „ჰორიზონტიდან ზენიტამდე, ცის კაბადონზე“ უნდოდა დაეწერა უპირველესი მცნება – „გიყვარდეთ!“

ცა პოეტების ზმანებებით, ხილვებით იბურებოდა: „...ლაჟვარდების კიდეო, დაბურულო ზმანებით“...

„ცისფერ სიტყვით“ ეძებდა „ციაგებს“, ანუ მარადიულ ცას, ვარსკვლავეთს (გზაში) (7,87-89).

„ცა დააშუქა წყნარი სულს“, „შუბლს დაესახა ცისიერება“, „მას სული ჰქონდა უხვად ციური“, ასე ხასიათდება ჭეშმარიტი შემოქმედი გალაკტიონის პოეზიაში.

„ცის ხმები“ რეკავდა „გარინდებულ ცის ჯურღმულში“, „მეოცნებე ციარის“ მიზანი იყო „მძიმე ოცნების ცაზე ატანა“ (ცისფერი) (7,221).

გალაკტიონს უპირველესად „უკვდავი ცა“ აინტერესებდა (მესხის გამოხედვა) (7,432).

ცნობილია, რომ ღმერთის გამოცხადებისთვის აუცილებელია მისტიკური ექსტაზი, რაც ხორციელი სურვილების უკუგდებით, ზნეობრივი განწმენდით მიიღწევა. ემპირიული შთაბეჭდილებებისგან განტვირთულ მოკვდავს დუმილით ხელეწიფება საღვთო ნისლში შეღწევა და უზენაესთან მიახლოება „სულის თვალებით“, „შინაგანი ხედვით“.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) აზრით, „ღვთაებრივი ხილვა მხოლოდ მათ ოდენ გამოუჩნდების დაუფარველად და ჭეშმარიტებით, რომელნი წმინდათაცაა და არა წმიდათა ყოველთა თანა წარხდებიან და ყოველსავე ყოველთა წმიდათა მწუერვალობად აღსლვასა ზედა აღხდებიან და ყოველთავე საღმრთოთა ნათელსა, ხმებსა და სიტყუებსა ზეცისასა ქუე დაუტევებენ და ნისლსა მას შევლენ, სადა იგი ნამდვილვე არს“ (9,224,10).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, „ღმერთი თავად არს ჭეშმარიტება“ და მისი ხილვისათვის „საჭიროა გაუბედავი და ანაზდეული გაცისკროვნება გონებისა“ (3, 240).

დიდ ღვთისმეტყველს ასე ესახება უზენაესის გამოცხადება: „თუკი – ვინმეში მიყუჩდება მღელვარება ხორცისა... თუკი ზეცაც დადუმდება და თვით სულსაც მღელვარება მოიცავს სრული, თუკი გამოვა იგი თავის თავისგან ისე, რომ საკუთარ თავზე არ იფიქრებს, თუკი მიყუჩდებიან ჩვენებანი და წარმოსახული გამოცხადებანი, თუკი განქარდება ყოველი ენა, ყოველი ნიშანი და საერთოდ ყველაფერი, რასაც მდინარება აქვს და რაც წარმოიშვება, – და ისინიც ...დადუმდებიან და ყურს შემოქმედს უპყრობენ თვისას – აი მაშინ ალაპარაკდება თავადი იგი... და ნეტავ გვესმას ჩვენ სიტყვა მისი, რომელსაც ხორციელი ბაგენი როდი წარმოთქვამენ, არცთუ ანგელოზნი და არც გრიალნი ქარიშხალისა... არა! თვით მისგან, თავადისგან იქნება იგი... ნეტამც გვესმას ჩვენ მისი“ (3,240).

გამოცხადების „უშრეტი ნათელი“ „სულის თვალით“ იხილვება და დამაბრმავებელია: „ჩემს სულში ჩავღრმავდი მე და სულის თვალითა ჩემითა ვიხილე... უშრეტი ნათელი, რომელიც ამ ჩემს სულიერ თვალს – გონებას ჩემსას დასდგომოდა თავს და არა ის ჩვეულებრივი ნათელი, ყოველი ხორციელი თვალი რომ ხედავს, გარნა ძალოვანი უფრო, გაცილებით მოგიზგიზე და მოელვარე, გარშემო ყოველივე რომ

აღუვსია თვისით... თვალი ჩემი დააბრმავა უეცარმა ნათელმა შენმა“ (3,245).

ნეტარი ავგუსტინე საუბრობს „უსხეულმყოფელი ჭეშმარიტების“ ძიებაზე: „მე თვალი ვკიდე „უხილავს“ შენსას, ქმნილის მეოხებით რომ ცნაურდება და ამ უხილავისგან უკუგდებულმა ვიგრძენი, რომ ჩემი სულიერი სიბნელის გამო არ შემეძლო მისი ჭვრეტა“ (3,131).

წმ. ნილოს სინელი გვირჩევს: „დიდის ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყნიურს, რამეთუ მისგან აღმომავალი მავნე კვამლი აღამღვრევს სულს“ (10,110).

„თუ განწმენდილი ხარ ვნებათაგან, მაშინ შენშია ცა და ამ ცაში ხედავ ანგელოზებს, ნათლით შემოსილებს და მათთან ერთად მეუფეს მათსა“, წერს წმიდა ისაკ ასური (8,230).

„ვისაც სურს ხილვა უფლისა, განწმინდოს გული მარადის მისი ხსენებით და განათებული გონებით ყოველდღე იხილავს ღმერთს.

„თუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღამებელს“ (8,230,231,240).

სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი გვარწმუნებს: „ზნესრულთ უხილავთ ნათელი ხორციელი თვალებით, კეთილსურნელება შეუყნოსავთ, ხმები სმენიათ საკუთარი ყურებით“ (8,357).

წმიდა ნიკიტა სტიფატე წერს წმიდა სვიმეონ ღვთისმეტყველზე: „წმიდა სვიმეონი სასწაულებრივ ღირს-იქმნა ღვთაებრივი გამოცხადებისა, ღვთიური ნათლით განიმსჭვალა და აღივსო... მოციქულებრივი მადლი მიიღო, სულიწმიდის ღვთაებრივი ცეცხლით აღინთო, ...სიბრძნის მწვერვალებს შესწვდა... ღრმა რწმენით გარდამოვიდა კიდეც მასზედ სული სიბრძნისა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰგიებდა მასთან ხელთუქმნელი ნათელი.

„მას ჭეშმარიტად ასულდგმულებდა საღმრთო ნათელი, ლამპარივით უნათებდა გონებას და სავსებით ნათლად გამოთქვამდა და წერდა იმას, რასაც ნათელმხილველის მზერა ხედავდა“ (წმინდა სვიმეონ ღვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის ჰიმნებისათვის (10,410-411).

ბიბლიაში ნათქვამია: „გაიხსნა ცა და ვიხილე ღვთიური ხილვები.

„ცეცხლოვან ცხოველთა თავებს ზემოთ თითქოს ბროლის ცა იყო, გასაოცებელი“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 1,22) (5,193-194).

პავლე მოციქული წერს: „რათა მოგცეთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად“ (ეფესელთა, 16,17) (11,414)

წმიდა მამა გვამცნობს: „მივალ უფლის ხილვებთან და გამოცხადებებთან“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 12,1) (11,399).

პავლე მოციქული ასე მიმართავს თანამოაზრეებს: „თქვენ მიეახლეთ სიონის მთას და ცოცხალი ღვთის ქალაქს – ზეციურ იერუსალიმს და აურაცხელი ანგელოზების კრებულს და პირმშოთა ეკლესიას, ცაში რომ არიან ჩაწერილნი და ყველას გამკითხავ ღმერთს და განსრულებულ მართალთა სულებს.

„და ახალი აღთქმის შუამდგომელ იესოს“ (პავლე, მოციქული, ებრაელთა, (2,22,23,24) (11,486).

„უზეშთაესი ნათლის“ მოვლინებისთვის მლოცველმა დანტემ იხილა წმინდა ნათელი: „...ჩვენ მივაღწიეთ ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს, სადაც სუფევა წმინდა

ნათლის დამკვიდრებულა“ (12,394).

ქართულ სასულიერო პროზისა და პოეზიაში მრავლად არის გამოცხადების მაგალითები.

„ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილია ფარნავაზ მეფისთვის ღმერთის გამოცხადება მზის სახით.

მისტიკური ექსტაზია, ღმერთის გამუდმებული ძიებაა დავით გურამიშვილის „დავითიანში“.

უზენაესთან, იდუმალთან წილნაყარი ვაჟა-ფშაველა ამბობდა: „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ, თვალწინ მეფინა ქვეყანა, გულზედ მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა“ (მთას ვიყავ) (13,285).

გავიხსენებთ პოეტური თეოზისის კიდევ ერთი ნიმუშს ვაჟას პოეზიიდან: „...ანგელოზი ვარ, ედემში ვფრინავ, წინ მიდის სახე მაშინ უფლისა, მონაწილე ვარ იმის სუფრისა“ (ჩანგის ხმა).

„საღმრთო ელვა“ უნათებდა აკაკი წერეთელს წუთისოფლის ბნელს (პასუხი ჭალადიდელისადმი).

„აჩრდილში“ ილია ჭავჭავაძეს გამოეცხადა „საქართველოს თანამდევი, უკვდავი სული“.

„მაღლობზე“ მოელოდა ტერენტი გრანელი ქრისტეს გამოცხადებას.

ანა კალანდაძესთან მთავარია „ციერის გახსნა“, „იდუმალი ნათლის მოსვლა“.

გალაკტიონთან შეიგრძნობა „რაღაც არაქაური“, „სუნთქვა არ აქაური“, „ზექვეყნიური“, ძიება ზეცის სხივის, რწმენა „წმინდა ცის“, წმინდა ნათლის არსებობის, ის არის „ზეგარდმონათლით მოსილი პოეტი“. გალაკტიონს, როგორც უფლის რჩეულს, „ბროლის ლაჟვარდი“ ეხსნებოდა: „...აჰა, გაიხსნა ლაჟვარდი ბროლის“ (ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა) (6,139.

„ცის გახსნის“ მოლოდინია პოეტის ლექსში „არაგვი“ (6,641): „ერთხელ შვიდ წელიწადში შენი ცა გაიხსნება, რასაც მაშინ ისურვებ, ყველაფერი იქნება. გარინდდება მდინარე, ეს არაგვი – ზმანება, ყველაფერი უცნაურ მოსვლას დაემგვანება“.

„აკაკის ლანდში“ (6,60) ზებუნებრივ მომენტში გალაკტიონს ევლინება აკაკი წერეთელი „საიდუმლო შუქის“ თანხლებით: „...მაშინ ბავშვივით მიჩუმდა შქერი, შეწყდა მდინარეთ ზვირთების მღერა, მხოლოდ გრიალმა გზა მრავალფერი ნაპერწკლის დროშით ააელფერა. და საიდუმლო შუქით შემოსა მიწყნარებული გზა იშვიათი, ფრთხილად, დაღლილი სანთლებით მოდის პოეტის ლანდი, პოეტის ლანდი... არ მოგვაკლებს შუქს და მადლს უსიტყვოს მისი, პოეტის მაღლით ანთება“.

„საიდუმლო შუქი“ საღვთო სახელია.

ასე ამაღლებულად განიცადა პოეტების მეფემ თავისი საყვარელი წინამორბედის, საქართველოს უგვირგვინო მეფის მოვლინება.

ლექსში „მარმარილო“ (6,75) თრობისა და შვების ღმერთის – დიონისოს გამოცხადებაა უმაღლესთან ზიარების საშუალება, რადგან დიონისო „მსოფლიო გონება“, „მსოფლიო სულია“.

გალაკტიონის ლექსებმა ხომ „ქართული პოეტური გონი მსოფლიოს სულად აქციეს“ (14,395).

ქართველი პოეტი რეალურივით აღიქვამს დიონისეს, რადგან თვითონაც მისი სულიერი ორეულია: „აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყვე ისე, რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა დიონისე, გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი

მსგავსება, ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსება, ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და სითამამე“ (მარმარილო) (6,75).

დანტე ეძებდა „მარადჟამულ სათავის წყაროს“, „ნათელ ჭეშმარიტებას“ (12,371), გალაკტიონი „მზის სათავეს“: „უჩქარა ცხენმა გზაში, ქიმერებმა დაჰკრეს ტაში, დაიკივლა ელვამ ცაში და ღრუბლები შეაჯერა. აჰა, ბრძოლა დაამთავრა, ნაპოვნია მზის სათავე“ (აუჩქარა ცხენმა გზაში) (6,411).

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“ გამოცხადების რამდენიმე ეპიზოდია. პოემაში ჩართულია მარიამ ღვთისმშობლის მახარებელი გაბრიელ მთავარანგელოზის, აბრაამთან კეთილი ანგელოზის გამოცხადების მაგალითები.

„მშვიდობის წიგნში“ ერის სულის გამომხატველი წიგნის, მშვიდობის წიგნის დაკარგვამ ტრაგიზმით აავსო ადამიანთა ცხოვრება, წარღვნის ტოლფარდი სტიქიების მძვინვარება დაიწყო. ტარიელმა ათი წლის ძიების შემდეგ იპოვა სანუკვარი წიგნი და საშიშარი სტიქიაც დაცხრა. ამ გამარჯვების მომენტში გამოეცხადა ტარიელს ანგელოზი ღვთაებრივი სხივებით, „ელვარე მზერით“, ღვთის წყალობა ამცნო და გმირი უწოდა.

პოემის გმირი ხედავს ღმერთს სხივის სახით: „ხედავს სხივს დიადს, სხვანაირს, სხვაფერს“. წიგნის პოვნას ამინდის გამზიანება, „მზის სვეტის“ გამობრწყინება მოჰყვა, წიგნის კითხვით ადამიანებს ღვთაებრივი ბუნება დაუბრუნდათ.

წიგნი ღმერთის სიმბოლოა ბიბლიაში. ძე ღმერთის მოვლინება აღიქმება, როგორც წიგნის სიტყვების გახმიანება (წიგნი – მამაღმერთი, სიტყვა – იესო): „იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები...

„გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,11,18) (5,94).

ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებაში“ ღმერთს „მარადიული წიგნი“ ეწოდება: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“ (3,217).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უწოდა „სანუკვარი წიგნი, დიადი წიგნი“ (12,383).

გალაკტიონისთვის ქრისტე იყო „წიგნი ცის და დედამიწის“ (მშვიდობის წიგნი).

პოეტი დარწმუნებული იყო მშვიდობის გზისა და მშვიდობის წიგნად გაგებული ღმერთის მარადიულობაში: „მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს. მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს) (გალაკტიონი, რჩეული, თბ. 1989, გვ.140).

ქრისტიანობის ერთგულებში, რომელთაც ასხივოსნებთ რწმენა, პოეტი „წიგნების“ (ღმერთის) კეთილ დაღს ხედავდა: „...ისევ კვლავ ძველი შრიალებს ბაღი და ძველი დაღი წიგნების აზის“ (მშვიდობის წიგნი) (15,128).

ბაღი, ძველი ბაღი, „მორწყული ბაღი“ ებრაელი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში (ესაია წინასწარმეტყველი, 31,10) (5,155).

ხოლო რწმენის შემრყვნელს, „ძველი წიგნის“ ამრევს „წყევლას და შეჩვენებას“ უწინასწარმეტყველებდა პოეტი (ძველი წიგნების გვერდებს არეულს) (რჩეული, 1982,242).

ანალოგიური შინაარსის არის ცრუ მისანთა, გრძნეულ შემლოცველთა მისამართით გამოთქმული „სანთლების, წიგნების წყევლა“ „დომინოში“.

ანგელოზის გამოცხადებაა ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, რომელშიც მწუხარე ანგელოზი სიყვარულთან (ღმერთთან) სამუდამო გამომშვიდობების და უიმედობის მაცნეა (1,90).

ლექსში „ძველი წისქვილი“ აღწერილია წმინდა გიორგის მოვლინება (7,91).

პოემა „მოგონებების“ პერსონაჟს ეცხადება ღმერთი მზის და ცეცხლის სახით, ოქროს მტრედი, როგორც სულიწმიდის პერსონიფიკაცია: „ტაძარი იდგა ჰაერში უუკვდავესი. იყო რაღაცა ცეცხლთა ზევედი მზეთ ცვალებადში, მე ვმოძრაობდი და მე შევედი ბრწყინვალებაში და კრეტსაბმელი იძროდა რხევით – ელვათა გედი, ელვები ფეთქდნენ და იმათ ზევით მოჩანდა მტრედი... თავი მტრედისა იყო ოქროის, ცისფერი მტრედი, ფრთები წითელი, ძოწის – როიის... ო, უცხო მტრედი... წითელი, თითქოს სისხლი სდიოდა, ჰქონდა თვალები და მის თვალთაგან გადმოდიოდა ცა ბრწყინვალებით“ (16,378).

ლექსში „ქრისტე“ სისხლის წყურვილით სავსეა მისი პერსონაჟი, რომელსაც არ სწამს „გაკითხვა და ცოდვა-ბრალი“, დაჭრილთანაც კი დაკარგული აქვს შებრალების უნარი და მზად არის ხმლით აჩეხოს მტერი, მაგრამ ამ დროს ევლინება მშვიდობის, სიკეთის, სათნოების ღმერთის აჩრდილი: „...მაგრამ ამ დროს, ქრისტევ, ქრისტევ, წინ დამიდგა შენი ჩრდილი, მზის სხივივით ანთებული და ჩრდილივით მოწყენილი. და ეგ სახე, შენი სახე, სახე მშვიდი, სახე მტკბარი, სათნოება-მწუხარებით მიცქეროდა განამწარი. საყვედურით მიცქეროდნენ მე თვალები მწველი შენი და მკითხავდნენ, თუ რათა ვკლავ, ან მკვლელად რად შევიქენი?“

და ხდება მკვლელის სულიერი ფერისცვალება: „შეიბოჭა ჩემი ლტოლვა, განადგურდა ფიქრი ლაღი, ძირს დავუშვი სწრაფად ხელი და დავყარე იარაღი. მივატოვე ბრძოლის ველი, გადვიარე ტყე და მთები... და მას შემდეგ მოღალატეს მეძახიან მეგობრები“ (ქრისტე) (17,83-84).

ქრისტიანული მსოფლგანცდით გამორჩეული პოეტი ამიტომაც იტყვის სხვაგან: „ო, მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“, „ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით“(დღეთა კარებთან) (6,132)

გამოცხადებას, ბიბლიის მიხედვით, შუადღის ხილვა ეწოდება: „შუადღეს გზასა ზედა, ვიხილე მეუფე ზეცით გარდამო, უბრწყინვალესი მზისა. გამობრწყინდა მზე ნათელი და ჩემთანა მოგზაურთა მათ“ (საქმე მოციქულთა 2,263,95).

შთაგონების ღმერთის გამოცხადებას უნდა ნიშნავდეს გალაკტიონის „აელვარდება შუადღის ლავა“, ხოლო „პოეზიის დიდი შუადღე“ მისი პოეზიის დაუვალი მზეა.

ახალ აღთქმაში სავლე სასტიკად დევნიდა ქრისტიანულ რწმენას, მაგრამ დამასკოს გზაზე ქრისტეს გამოცხადებამ და საყვედურმა დააბრმავა, რის შემდეგაც სულიერი ფერისცვალება განიცადა და ძე ღმერთის უერთგულესი მსახური გახდა (საქმეები 9,1-30) (11,296-248).

ილიას, აკაკის, გალაკტიონსაც ერის სული ღვთაებრივ ფენომენად მიაჩნდათ და იღვწოდნენ რა მისი გადარჩენისთვის, სამშობლოს სასიცოცხლო პრობლემებს ზებუნებრივ ხილვათა მოშველიებითაც აშუქებდნენ.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
2. რევაზ თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ. 1985
3. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
4. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1983
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
7. გალაკტიონ ტაბიძე ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
8. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წ. III, თბ. 1991
9. პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ. 1961
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წ. IV,თბ. 1992
11. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
12. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
13. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ. 1980
14. ჯანსუღ ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ. 1983
15. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
16. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. IV, თბ. 1995
17. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993

მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის

ცნობილია, რომ სულთა კატეგორიაში გამოყოფენ მიცვალებულთა გამცილებელ სულებს, მფარველ ანგელოზებს, უზენაესს, ანუ სახიერ სულს – ღმერთს.

გალაკტიონის ცხოვრებაში მთავარი იყო ლოდინი წარმოსახვისეული საყვარელი ლანდების და როცა მათი გამოცხადება ყოვნდებოდა, მოუთმენლობა იპყრობდა: „გადია, მე ხომ ღამის ლანდები მიგვიანებენ საყვარელ ნდომას“ (მაგრამ მე რა ვქნა?) (1,278).

„უცხო სიმსუბუქეში“ ფრენის, ანუ ასტრალური მოგზაურობისას პოეტს ევლინებოდა ნაცნობი ზმანების თანამგრძნობი თვალები: „არის დღეს ჩემთვის ნაზი ნუგეში, ვიყო უმშვიდეს წარსულის მტერი, შევიდე უცხო სიმსუბუქეში, გამომყვეს ლურჯა ცხენების მტვერი. მაგრამ ნაცნობი ზმანება ბროლის მოვა: სალამი თანამგრძნობ თვალებს, მას მოიზიდავს ხმობა გასროლის და შეჩერებას მე დამავალებს“ (ნუგეში) (1,293).

„თანამგრძნობი თვალი“ ღმერთზე მიანიშნებს, რადგან თვალი საღმრთო სახელია.

ღმერთი არის „ყოვლისმხედველი თვალი“ (იგავნი სოლომონისა, 15,3) (2,627), „ღია თვალი“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,9) (2,156), „ცხოვრების თვალი“.

მარიამ ღვთისმშობელი არის „ცხოვრების თვალის მშობელი“ (ძლისპირნი) (3,535).

გალაკტიონისთვის ქრისტე ღმერთი არის მარად „გახელილი თვალები“ (მას გახელილი დარჩა თვალები) (1,131).

სხვაგან ასეთივე გაგებით ფიგურირებს „თვალები შეკრული კამარის“: „...სიმკაცრით შემხედავს საშვენი, თვალები შეკრული კამარის“.

„კამარის თვალის“ – ღმერთის სიმკაცრეს განაპირობებს ცოდვილ მიწაზე მის მიერ ხილული უკეთურობები, რითაც ურწმუნო ადამიანები მხოლოდ ჯვარცმას განიმზადებენ განკითხვისას: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“ (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში) (1,127).

გალაკტიონს, როგორც უზენაესის ხელდასხმულს, ხშირად ევლინებოდა თვით ქრისტეს „თანამგრძნობი და კეთილი ჩრდილი“,ხედავდა „მჭმუნვარე მომავლის ჩრდილს“.

ათეისტურ ეპოქას დაავიწყდა ღმერთი, „ტრფობა სრული“, ქარიშხალი, ცეცხლი, განადგურება გახდა რევოლუციური ახალგაზრდობის მიზანი, ბურუსებში გაუჩინარდა მაღალი იდეალები, სათნოება, ღმერთი (სიცოცხლის ყვავილი), რაზედაც ჭმუნავდა უზენაესი – „მომავლის ჩრდილი“: „ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის, ბურუსებს იქით გადიკარგა... როგორ ვეწამე! ეხლა თავს მადგას მჭმუნვარება მომავლის ჩრდილის, იმ სიყმაწვილის მიმღერე რამე“ (მიმღერე რამე) (1,11).

„მომავლის ჩრდილი“ საღვთო სახელია ახალ აღთქმაში.

„მომავლის ჩრდილის“ – ქრისტეს მარადიულობაზე საუბარია პავლე მოციქულის წერილში (კოლასელთა მიმართ, 2,17) (4,433).

გალაკტიონი თავის ეპოქაში მოწმე იყო „გრძნობათ დამხობის და ვალალების“, მაგრამ მაინც მარად ახსოვდა „ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“ (ის) (1,40).

ევლინებოდა მაცხოვრის „თეთრი ლანდი“, გზაჯვარედინზე „დამხსნელი ჯვარი“ ანიჭებდა ძალას (პორტრეტი, მეზღვაურს) (1,222,501).

ექვსი ქართველი მორწმუნე კლასიკოსის (რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა) კეთილი ჩრდილი იფარავდა (თენდება, გათენდა) (1,712).

პოეტების მეფეს ხიბლავდა ღვთისმშობლის „ლურჯი აჩრდილი“, იის სახეში მოაზრებული ძე ღმერთის დედა (გზაში) (1,425).

სევდას აღუძრავდა „კარგი ზმანების“ გაუჩინარება: „ხშირად მიმეფარების ჩემი კარგი ზმანება და მტანჯავს მწუხარების ყელით გადაქანება“ (გვიანი ოცნება) (5, 57).

ლექსი „საუბარი ედგარზე“ (1,94) მთელი „კომუნიკაციაა“ აჩრდილებთან. პოეზიის სასახლეს წარმოსახვის ლანდები, „აჩრდილი თანაზიარი“ ედგარ პო ევლინება, ხოლო „კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოლანდება“.

„მშვენიერი ოცნების ზიარია“ „მკაცრი ლანდები“, „საყვარელ აჩრდილებთან“ შეხვედრის სიხარულია ლექსში „დომინო“ (5, 89).

„პრიმიტივში“ (6,197) სული „კივის, დაეძებს ნათესავს, ლანდებს“.

გაზაფხულისა და „მზიანი ჩრდილის“ გაუჩინარების სევდაა „ელეგიაში“ (6,84): „რა ადრე გაქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი, რა ადრე გაქრა ჩემი ყრმობა, ჩემი სიზმარი“.

გაზაფხულის „მზიანი ჩრდილი“ საღვთო სახელია.

„სხვა მხრეების“ ლანდი ჰპირდებოდა ბედნიერებას და ნატრობდა: „ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი“ (ალვები თოვლში) (6,158).

პოეტს მუდმივად და ყველგან თან სდევდა სასურველი აჩრდილის სახე, როგორც ნუგეში: „ვმოგზაურობდი... მე მინახავს მუდმივი თოვლით შემოსუდრული კავკასიის ამაყი მთები, იმათ ალერსში მსურდა შენი გადავიწყება, მაგრამ, აჩრდილო, წუთითაც კი არ მავიწყდები!“

ძიება უკავშირდებოდა „სიცოცხლის აჩრდილს“: „თერგის მშფოთვარე ხმაურობას მე ყურს ვუგდებდი და შევაჯერე დარიალის ბილიკ-კორდები, განშორებითა მსურდა შენი გადავიწყება, მაგრამ შენს აჩრდილს, სიცოცხლეო, ველარ ვშორდები!“

სიცოცხლე, ცხოვრება არის ქრისტე ღმერთის მეტაფორა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6)(4,211).

ამ მარადიულ აჩრდილთან შეხვედრის იმედი იყო მასულდგმულებელი, მაგრამ ზოგჯერ ეჭვები უსერავდა გულს (ვერსად, ვერასდროს) (6,82).

ლექსში „Voiles“ (1,80) „პირველი ტრფობის“, საღვთო სიყვარულის ერთგულ პოეტს ღმერთი ევლინებოდა „საიდუმლო ალის“, „საყვარელი თვალების“, ხოლო ღვთისმშობელი – „იაგუნდის, ლალების“, „მანდილის“, იის სახით: „საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების, სადაც რომ იმალება იაგუნდი, ლალები, საიდუმლო მღერალი, – კიდევ მრავალფერ ალით ასეთია მფარველი – საყვარელი თვალები“ (1,80).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
3. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1962
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ.I, თბ. 1993

შუქად მშობლიურ ცას შეეშენები

ქრისტიანული სამების გამომხატველია მზის სახე, რომელშიც მამაღმერთი არის მზე, ძე ღმერთი – შუქი, სხივი, ნათელი – სულიწმინდა.

„სამებისა და ღვთისმშობლის მისტერიაში“ ლუდვიგ ფოიერბახი შუქს უწოდებს მამას, ამასთან, შუქს მიიჩნევს „ძის პრედიკატედ“ (1,109).

სხივი, შუქი ძე ღმერთის სახელია ღვთისმეტყველებაში, ფილოსოფიურ მწერლობაში (იოანე დამასკელი, პეტრე იბერი, გრიგოლ ნაზიანზელი, იოანე პეტრიწი).

დავით გურამიშვილის მიერ სამება მოაზრებულია მზის, სხივისა და ნათლის ასპექტში. „მზეთა მზის სხივი“ ქრისტეს სიმბოლოა (2,70).

ფოლკლორული ტრადიციითაც, ღვთაება „სხივთა კონებად“ ეშვება დედამიწაზე.

ბერძენთა პანთეონის ერთ-ერთი უნათლესი და უზენაესი აპოლონი სხივთამთოველია, მეტსახელად ფებოსი (3,61).

ჩრდილოეთში ცისა და შუქის ღვთაებას ეწოდება ტირი (3,313).

აპოლონს „სხივიერ ფებოსს“, „სხივმოისარს“, ნათელ ფებოსს უწოდებდა ჰომეროსი.

ღმერთი შუქის, სხივის სახით ეცხადება ადამიანებს (4,36,38).

ფარნავაზის ცხოვრებაში აღწერილია ღმერთის მოვლინება მზის სხივის სახით (ლეონტი მროველი, ცხოვრება ფარნავაზისა) (5,53).

მწირის სენაკში შემოჭრილი სხივი, რომელიც ლოცვანს იჭერს, ღმერთის გამოცხადებისა და სასწაულის ნიშანია ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“.

„ქრისტეს სხივები კვებავს სამყაროს“, წერდა ე. რერიხი.

გალაკტიონმა გაამრავალფეროვნა ეს სახე.

„პირველი სხივის“ მოვლინებისთვის ევედრებოდა პოეტი მამაღმერთს – „ნუგეშს“: „ასე ნუგეშო, ჩემს მშფოთვარ ყოფნას, შენ მოუვლინე სხივი პირველი, როგორც სიმღერა მოულოდნელი, როგორც პეპელა გასაკვირველი“ (ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში) (6,59).

ლექსში „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „დიდებული სხივის“ გამობრწყინება გვამცნობს შთაგონების მოვლინებას: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა, ჩემთვის დიდებული სხივი გამობრწყინდა“ (7, 207).

დანტეს „მარადი სხივის“ სახეში წარმოედგინა ქრისტიანული ღმერთი: „...მარადის უცვლელია სხივი მარადი“ (8,412).

გალაკტიონის სხივთა ციკლში გამოირჩევა „დიადი სხივი“: „ოცნება ხიბლავს, ხედავს სხივს დიადს“ (მშვიდობის წიგნი) (9,293).

ცხოვრების განახლების საწინდარია „ახალი სხივი“: „ახალი სხივი ედება არეს, მუდამ ახალი იწყე ცხოვრება“ (ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა) (10,105).

„ახალი სხივის“ გამობრწყინებას მოჰყვა გულის, ფიქრის, ოცნების, მისწრაფების განახლება: „...ამოდის ელვარება ახალი სხივის, მისწრაფების, ფიქრის,ოცნების“ (ქალაქთა ბნელთა) (7,271).

„დილამ“ – მარიამმა მოავლინა „სხივი“ – ქრისტე, როგორც ბოროტების სიკეთედ გარდამქნელი ძალა: „დაიწყო დილამ სხივების თოვა და გაიფანტა უსივრცობაში ჭინკების გროვა“ (ქაჯები, ალები, ჭინკები) (6,374).

პოეტისთვის ღმერთი არის „სიყვარულის სხივი“: „ვივლი, სანამ სიყვარულის სხივს არ მომცემს შემოქმედი“ (შემოდგომა).

ღვთაების სხივის ლოდინია სტრიქონებში: „გული ჩემი ბედდაკარგული მოელის სხივებს“ (მშვიდობის წიგნი).

ქრისტიანული ღმერთი არის „სხივთა სავსე სახება: „კრთის ფაქიზი განათების სხივთა სავსე სახება“.

პოეტის დამამშვენებელია უზენაესისგან ნაბოძები დაუმარცხებელი „სხივოსანი ძალა“: „...მან არ იცის, რომ ვერ ჩააქრობს ძალას სხივოსანს“ (დღეს შემისრულდა).

„სულისხივოსანია“ აკაკი წერეთელი, „სხივოსანი“, ანუ უზენაესთან წილნაყარია თვით გალაკტიონი (აკაკი წერეთელი).

„მხოლოდ უმაღლეს სულებს ეგზავნებათ სხივები“, წერდა ე. რერიხი.

„უმაღლესი სულები“ იყვნენ აკაკი და გალაკტიონი.

პოეტების მეფე ხედავდა „ულტრაიისფერ სხივებს“: „ბრწყინვალება პირისპირი იისფერი ჰავით სუნთქავს, სხივიც ულტრაიისფერი ვერა ძალას ვერ შთაუნთქავს“ (შეხვედრა მთაში) (7,449).

პოეტი ილტვოდა იქ, „სად მზისფერი ეხვევა ცისფერს“, ანუ უმაღლესი სინათლისა და სიკეთის ქვეყანაში.

ქრისტიანის იდეალია „უდიადეს იმედების უსაყვარლესი სხივები“, „მსოფლიო სხივები“.

გალაკტიონს იესო ქრისტე ესახებოდა „ხვალის სხივად“: „ოდეს გულს სამშობლო მიეთინათინა, ჩემთვის იმ ხვალიდან სხივმა მოადინა“ (შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა) (7,288).

განთიადის მაცნე „იდუმალი სხივი“ ბოროტი წყვდიადის დამმარცხებელი ძალაა: „ღამის წყვდიადს ბოროტ გულში განთიადმა სტყორცნა შუბი... საუკუნეთ იდუმალი სხივი, გულში დანაგუბი, ცის ტატნობზე გაიშალა მოკამკამე“ (განთიადმა სტყორცნა შუბი) (10,107).

მორწმუნეს ახარებს „ბრწყინვალე და სხივმსხმოიარე დღე“ (აკაკი წერეთელი), ფარისევლების ნაშიერები კი „ახალ სხივებს ვერ შერიგებიან ვარდ-ყვავილებით შემოქარგულსა“ (საღამო) (6,166).

უღმერთო ეპოქის ტკივილი გამჟღავნდა ლექსში „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“: „...ამ გრიგალში დრო არ არის სხივის, ახლა ზღვაა, ახლა სისხლის დროა“ (6,228).

პირადი ტრაგიზმის განზოგადებული გადმოცემაა სარკმელთან გამრუდებული და დაუბრუნებელი სხივის სახე ლექსში „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“ (7, 308-309).

„ნიაღვრის“ ლირიკულ პერსონაჟს ენატრებოდა ციური სულის სხივი, როგორც არსებობის სიხარულის წყარო: „დაადნე სხივი, სული ციერო, ამ სიცივისგან გაყინულ გულზე, ტკბილი მორევი შემიგუბდება ჩვენს ყვავილებზე, ჩვენს სიყვარულზე“.

ამ ციკლს ამრავალფეროვნებს სიმბოლური „მომავლის სხივი, ყოფნის სხივი, იმედის სხივი, მსოფლიო სხივი, საოცნებო სხივი, სულის სხივი, იდუმალი სხივი, ზეცის სხივი, უდიადეს იმედების უსაყვარლესი სხივები, სიყვარულის სხივი, სიმართლის სხივები, სხივთა ტბა, სხივთა ძნა, სხივნართ გვირგვინი, ნორჩი სხივი, სხივების ცხრილი“.

საყურადღებოა „შავი სხივის“ სახე: „ედება სხივის ანთება შავი“, რომელიც ბიბლიური „შავი მზის“ ასოციაციას იწვევს გამოცხადებიდან.

„საჭიროა სწრაფვა აბსოლუტისკენ. მიწიერი სილამაზე იკარგება არამიწიერის ლურჯ სხივებში“, – აცხადებდა ე. რერიხი.

გალაკტიონი იყო სივრცეთა გრადაციების მაძიებელი: „თვალი იკარგება სივრცეთა უნაზეს გრადაციებში“(ღრუბლები ოქროს ამურებით). იქ იხილა პოეტმა „ოქროსფერი სხივი“, „მშვიდი სინათლე“, „მომავლის სხივი“, „მომავლის მზის სხივები“.

ტერენტი გრანელი შეიგრძნობდა იმ „შორეული ზეცის“ სხივს თავის არსებაში, გიორგი ლეონიძეს მესხეთში „უკვდავი სხივი“ ესხურებოდა (მესხეთი), „პირველი სხივებით“ მოგვრილ აღტაცებას ვერ ფარავდა (შთაგონება), „საგურამოს მიმწუხრში“ სდევდა „უჩვეულო ნათელი“.

კომუნისტებმა გადააფასეს საუკუნეების სათაყვანო ღმერთი, რამაც ადამიანის სულის გაღატაკება გამოიწვია.

რელიგიური რწმენის უარყოფის სინანულია ლექსში „მოხუცო სხივო“, რომელშიც ცის მეუფე „მოხუცი, ძალმილეული სხივის სიკვდილი“ ამ ოდიოზურ პროცესზე მიგვანიშნებს (7,373).

ლექსში „შემოდგომა“ „წარსულის საოცნებო სხივს“ უპირისპირდება „აწმყოს უსიცოცხლო, უფერული სხივი“, რაც პოეტის თანამედროვეთა მიერ ღმერთისგან განდგომას, რწმენის უარყოფას მოასწავებს.

ასეთივე ტრაგიზმია დაკავშირებული „შვების სხივად“ მოაზრებული ღმერთის გაუჩინარებასთან: „არ არის ქვეყნად შვების სხივი, იმედის წყარო“ (სტიროდა ზეცა) (10,166).

„ციური შუქი“ რჩეულთა გულშია, რადგან ადამიანი უფლის ამქვეყნიური ხატია: „...ცხოვრობდა ვინმე: გულში ფარული უთრთოდა ციურ შუქთა კამარა“ (შემოდგომის ფრაგმენტი) (11,327).

გალაკტიონის პოეზიაში გამოვლენილია „ნეტარი მხარის“, „წმინდა ცის“ შუქის არსებობის რწმენა: „არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (გრძნობათა ფერფლი) (6,51).

ლექსში „შუქი“ ვედრებაა საღვთო შუქის მოვლინებაზე.

ეს სიმბოლური შუქი ყოველგვარ ღირებულებაზე სანუკვარი „კაპიტალია“, მას შეჰხარის პოეტი და სამადლობელს აღავლენს ვარსკვლავის სახით მოაზრებული უზენაესისადმი: „...მგონია, არვინ არ გამიღიმებს, უეცრად შუქი გამობრწყინდება. მადლობელი ვარ, ჩემო ვარსკვლავო, სხვა ვარსკვლავები შენთან მკრთალია, ჩემთვის ეს შუქი მოულოდნელად აღმოჩენილი კაპიტალია“.

ღვთაების ერთ-ერთი ორიგინალური სახელია გალაკტიონის „მე და ღამის“ „საიდუმლო შუქი“, რომელიც ასხივოსნებს პოეტის სულს: „საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული, ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული“ (1,47).

„საიდუმლო შუქით“ იმოსება ზეცის გზა, როცა პოეტს აკაკი წერეთლის „მაღალი ლანდი“ ეცხადება (აკაკის ლანდი) (6,160).

„ლურჯა ცხენებში“ მიღმური სამყაროსკენ იხედება პოეტი და „სამუდამო მხარის“ „ჩამავალ მზის ნაფერ“ ნაპირთან ღვთაების მარადიულ შუქს აფიქსირებს მისი სულის თვალი, რადგან უფალი განუშორებელია მისგან „ზევით თუ სამარეში“, სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ: „მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა“ (6, 164).

ყოველგვარ სიძნელეთა გადალახვის ძალის მომნიჭებელია „იმედის შუქის“ სახეში გაცხადებული უფალი: „მომავალშიაც ავიტან მრავალს, უამინდობას, წყურვილს, სიცივეს, ოღონდ ვხედავდე ჩვენ წინ მიმავალს ერთი იმედის შუქს მოციმციმეს“ (ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა).

ღმერთი „გაზაფხულია“, სულსა და გულში დასადგურებული რწმენის შუქი, რომელსაც მადლიერების გრძნობა აღევლინება (ო, გაზაფხულო).

გალაკტიონის ღმერთი არის „შუქი ფეტიში“, „განწმენდის შუქი“ (პარალელი) (6,286).

პოეტის კარებს აწყდება „შუქთ გუნდი“, „გამაცოცხლებელი მზის სხივები“, „მზის შუქი“, რომელსაც მოაქვს „მუნჯ ბორკილებში“ მოქცეული პოეტის „ახალი

ამეტყველება“ (დარკინულ სარკმელთან).

ქრისტე „დიდი სიხარულის შუქია“: „დადგა დრო და ის ზვავიც აზვინდა გრძნობათა წმინდა ცეცხლის ფარულის, ცაზე ვარსკვლავი უნდა გაბრწყინდეს, შუქი გაბრწყინდეს დიდ სიხარულის“ (სად ელინელთა მთაა გიმმეტი).

სრულიად ორიგინალური სახეა „შუქი პირბადე“, „უცნაური ღამის“ შორ საკურთხეველთან მოხმობილი (ავდრები) (6,307).

პოეტის უპირველესი იდეალი „ლირიკის შუქია“: „ყველაფერში შუქით შემობურვილი პოეზია უპირველეს ყოვლისა!“(პოეზია უპირველეს ყოვლისა) (1,68).

ღვთაების შუქია აღმაფრენის სათავე: „მომწყურვალე შუქთა ფენის, იზრდებოდა ფრთები ლექსის“.

პოეტის გმირული გამძლეობის, შუქშემოსილობის აქცენტირება ლექსი „გამძლეობა“: „ასფურიანი ჩაქუჩის ცემით ვერ გატყდა გმირი, ბრწყინვალე შუქით და დიადემით დგას, ვით ქვითკირი“.

პოეტს ეხვევა „ელვათა შუქი“, დღიურშიც კი აქცენტირებულია მისი „შუქმოსილი ბრწყინვალება“.

შუქშემოსილი, მზითშემოსილი პოეტი ზეშთაგონების მოვლინებას განიცდის, როგორც სულიწმინდის გამოცხადებას, ზეციურ გასხივოსნებას.

გალაკტიონი, როგორც უზენაესის, რელიგიური იდეალების ერთგული მსახური, მარადიულ სიმაღლეში დამკვიდრებული შუქია: „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (6,172).

მორწმუნეთა, ღვთისმეტყველთა აზრით, წმინდა სულები გარდაცვალების შემდეგ ზეცაში, მზეზე, ვარსკვლავებზე ივანებენ შუქის სახით.

უეჭველია, ზეცაზე დაიწერა გალაკტიონის გზა და ზეცამ ჩაიკრა იგი გულში მარადიული შუქის სახით. აკი თვითონვე იგრძნო „გამოშუქება მომავალ დღეთა დიდი დიდების“.

ვლადიმერ სოლოვიოვს რომ დავესესხოთ, „ანათებს უსხეულო უბიწოებას შუქი ღვთიური, მარადისი და უსასრულო“ (თუმცა ჯაჭვებით უხილავით) (მარადი დღე) (12, 57).

გალაკტიონი სულის თვალით გასცქეროდა ზეცის „საღვთო ბილიკებს, შორეულ ბილიკს“, რადგან იქ ეგულებოდა უზენაესი „გონების“, სხივის სახით: „გონება ჩუმობს და ჯადოს ილეკს, სხივს მომაკრძალებს, მხოლოდ შორეულ თოვლიან ბილიკს მივაპყრობ თვალებს“.

დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ „ზენარული გონება“ ქრისტიანული ღმერთის სახელია (8,28).

„გონება დაფარული“ ღმერთია „ვეფხისტყაოსანში“: „გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან“.

„ღმერთი, გონება არის მიუწვენელი, ჩვენთვის დაფარული და გაუგებარი. „გონება დაფარული“ ღმერთია, ყოვლისმცოდნე, მაგრამ კაცთათვის დაფარული და ეს უხილავი ღმერთი ტარიელს მაინც უცხადებს დამალულს, დაკარგულ ნესტანს. გონება არის ღმერთი, რომელიც დაფარულს აცხადებს“ (13,153).

ვიკტორ ნოზაძის შეხედულებით, „ბუნებაც“ საღმრთო სახელია რუსთველის პოემაში.

გალაკტიონმაც „ბუნება“ საღმრთო კონტექსტში მოაქცია: „ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი რომ დამაბარე, ვერსად ვერ ვპოვე“ (ყვავილები) (6,33).

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, სასულიერო მწერლობაში მრავალგზის მახვილდება ყურადღება სულის უკვდავებაზე, მიწის და ზეცის გზაზე, ცოდვასა და სიწმინდეზე, რწმენის საშუალებით სულის მარადიული სავანისკენ გზების გაგნებაზე.

„ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ საჭურველთაგან ნაკლულევანია, გონების აღმატებულებით თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“, გვარწმუნებს წმინდა ბასილ დიდი (14,267).

წმინდა მამის მტკიცებით, არსებობს „ქვეყანა ჭეშმარიტად ცოცხალთა“ და „ცოცხალთა ქვეყანა“ იმათია, ვინც ცოდვით არ მოკვდა, არამედ ჭეშმარიტი ცხოვრებით ცხონდა იესო ქრისტეში, რომელიც არის დიდება და ძალი უკუნით უკუნისამდე, ამინ!“ (14,204).

„გვქონდეს ერთი ზიარი გზა – მცნებანი ქრისტესი – რაც აგვიძღვება ზეცად, ღვთისკენ“, აკონკრეტებს წმინდა სვიმეონ ღვთისმეტყველი (15,226).

„აღემართენით მიწიდან, ამაღლდით ზეცად, იქ სახარება აგიყვანთ“, გვმოძღვრავს წმ. ეპისკოპოსი ეგნატე (16,193-399).

წმ. გრიგოლ პალამა მოგვიწოდებს: „მხურვალედ ვითხოვოთ, ძმანო, ზეციური სიმაღლეები, დაე მიველტვოდეთ სილაჟვარდეს, ვინძლო უწინრად მოგვეცეს მიწიერი სიკეთე ამ საუკუნეში“ (17, 385).

წმ. გრიგოლ ნოსელი გვასწავლის: „ადამიანის ბუნების ცად ამყვანი გზა... მიწიერ სიკეთეთაგან უკუქცევა, ღმერთის მიბაძვა, მართლად ცხოვრება, სიწმინდისა და სახიერების მიდევნაა.

„და ის უეჭველად გადასახლდება მიწიერი ცხოვრებიდან ზეციურ სასუფეველში“ (17, 397).

„დიდის ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყნიურს, რამეთუ მისგან აღმომავალი მავნე კვამლი აღამღვრევს სულს“ (17,11).

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე მოგვიწოდებს: „ასწიეთ თავი, შეხედეთ მოწმენდილ ცას! იქ არის თქვენი ადგილი! ღმერთი ღმერთეებრ არსებას გიბოძებთ. ჩამოიბერტყეთ ამაო სოფლის ხიბლი“ (16,391).

წმ. ნილოს სინელი გვირჩევს: „გამუდმებით გახსოვდეს ღმერთი და გონება ზეცად შეგექმნება“ (17,106).

„ყველას – მაღალთ... ერთი სამშობლო გვაქვს – ზეციური იერუსალიმი, რომელშიც დაცულია ჩვენი ცხოვრება“, გვარწმუნებს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (17,75).

სულიერ უკეთურობათაგან განკურნების საშუალებაა „ზეციური ღვინით“, „სულიერი ღვინით“ საზრდოობა, სულიერი წყლულების, სიბილწისგან განთავისუფლების, გაჯანსაღების საშუალება“ (წმ. სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი, სინანულის და ლოცვის შესახებ) (15,163).

ღვინო უფლის სახელია ბიბლიაში.

ესაია წინასწარმეტყველი ღვინის და ნადიმის სიმბოლური სახეებით ასე წარმოგვიდგენს ძე ღმერთის მოვლინებას სამყაროში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) (18,91).

გალაკტიონი ეძებდა მევენახეს, მემარნეს, მეღვინეს – ღმერთს, ეწაფებოდა „ცისფერ ღვინოს“, „უკვდავ ღვინოს“ და ამ სახეებში მოიაზრებდა ღმერთს (სტირო-

და სული ცისფერ ღვინოებს).

ღვთისმეტყველებაში ცოდვილს „მიწა“, ხოლო წმინდას „ზეცა“ ეწოდება: „...როგორც ცოდვილს ეწოდა მიწა, როცა უთხრეს, რომ „მიწა ხარ, და მიწად მიიქცეო“ (დაბ. 3,19), ასევე, საპირსპიროდ, მართალს შეიძლება ეწოდოს ზეცა“ (ნეტარი ავგუსტინე) (19,398).

„ცათა შინა“ ყოფნა ნიშნავს წმიდათა შორის ყოფნას.

განმანათლებელი ტიხონი ბრძანებს: „...ზეცა ყველა რჩეულის მამულია“ (17,396).

(შდრ. ტერენტი გრანელი: „ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“, ან მერაბ კოსტავა: „ჩემი სამშობლო ზეცაა თავად“).

სულიწმიდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული ურჩევს კოლასელთ: „ზეციურზე იფიქრეთ და არა მიწიურზე“ (კოლასელთა, 3,2) (20,432).

ძე ღმერთის მცნებების ერთგულნი ზეცის მოქალაქეობას აღწევენ: „ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით მაცხოვარს – უფალ იესო ქრისტეს“ (პავლე მოციქული, ფილიპელთა, 3,20) (20,428).

დანტე სამშობლოდ სასუფეველს მიიჩნევდა: „სამშობლოდ უნდა ვიგულისხმოთ სასუფეველი“ (8,378).

„ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი აცხადებდა: „...პლატონის სწავლა შეგიცვნია, რომლის მიხედვით, სიკვდილის შემდეგ ვარსკვლავეთში ადიან სულნი“ (8,290).

მაგრამ ამისათვის საჭიროა სპეტაკი, წმინდა სული.

დანტე გვარწმუნებს: „სულს განწმენდილს და გასპეტაკებულს ცადამაღლების სრული ნიჭი მოევლინება“ (8,361).

მხოლოდ მიწიური, წარმავალი ინტერესებით მცხოვრებნი ვერ იხილავენ ცის „მარადიულ მშვენებას“ და ამის გამო ისჯებიან ყოვლისმხილველისგან: „ცა გიხმობთ ისევ და ტრიალებს იგი თქვენს თავზე, გიჩვენებთ თანაც მარადჟამულ მშვენებას თვისსა, მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას დასჩერებიხართ და სასჯელს გიწვდით ამიტომაც ყოვლისმხილველი“, ამცნობს დანტე რწმენას, სულიერებას განშორებულთ (8,193).

ეს სასჯელი დანტეს პოემაში ასეა დაკონკრეტებული: „რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის მზერა“ (8,213).

„ღვთაებრივი კომედიის“ ავტორის „სხეულს ჯერ არ გაყრილმა“ სულმა სიცოცხლეშივე იმოგზაურა ცაში, „ცად ამაღლების სრული ნიჭის“ წყალობით და მიაღწია „ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“ (8, 361).

დანტემ იხილა „მარადის უცვლელი სხივი მარადი“, „მარად უცვლელი ...შუქმოსილება“ (8,412), რის შედეგადაც „გადიადდა“ მისი სული და ყოველგვარი საზღვრის გადამლახველი „შვილი სოფლისა“ ეზიარა „მისტიურ ჭეშმარიტებას“: „ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის აგრე ჩაწვდენა, ეს მან შეიცნო, ვინც იხილა ცათა საუფლო“ (8,39).

„ღვთაების სხივის“ „მოწყალე თვალმა“ აღაზევა და ახილვინა პოეტს „სათავე უზეშთაესის, მარადიულ ძალმოსილების“ (8,361).

ნათელმა სულმა ამცნო დანტეს: „ჩვენს საბრძანისში აქ მოსული მოკვდავთაგანი სხივების ჩვენის მხურვალებით უნდა დამწიფდეს“ (8,377).

ამ ამაღლებას მოჰყვა ხედვის უნარის განახლება, ახალი ცნობიერების მიკვლევა: „ცნობიერებას იხვეჭ ახალს მერმისისათვის“, განუცხადა წმინდა სულმა პოეტს.

ამ მოგზაურობის შედეგი იყო ის, რომ მის თვალში ანათებდა „მარადი სხივის ანარეკლი მზეებრ ბრწყინვალე“ (8,293).

პოეტს შეეფეთა „ორი ბრწყინვალე, მოელვარე და მეწამული ზოლი შუქისა“, ხოლო შემდეგ თვით სხივმოსილი ქრისტე იხილა ჯვარზე: „ქრისტე ბრწყინავდა სხივმოსილი უკვე იმ ჯვარზე, მის აღსაწერად მე არ მყოფნის სიტყვის სიმჭევრე“ (8,333).

ვლადიმერ სოლოვიოვის რწმენით, მხოლოდ უბიწო სულთა ხვედრია ღვთიურ შუქთან ზიარება: „...ანათებს უსხეულო უბიწოებას შუქი ღვთიური, მარადისი და უსასრულო“ (თუმცა ჯაჭვებით უხილავით) (12,84).

მხოლოდ რწმენით, უფლის ერთგულებით იხსნება სასუფევლის კარი: „მაგრამ რადგანაც მხოლოდ რწმენა გაუხსნის კარებს ამ საუფლოსას მოქალაქეთ, სასურველია, მან აქ ადიდოს შენს წინაშე იგივე რწმენა“, ნათქვამია „ღვთაებრივ კომედიაში“ (8, 373).

„ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“ რომ მიეახლა, „წმინდა ნათლის სუფევა“, „სხივთ ათინათის“, „მარადი შუქის“ კაშკაში იხილა, „ხედვის უნარი“ განუახლდა, „ნათელი აზრის მოხასხასე სხივთა ჩქერალი“ შეიგრძნო დანტემ, ხოლო გონებას „სულიწმინდა ჰფენდა ნათელსა“ (8,375) .

გალაკტიონმა შოთა რუსთაველის მისამართით განაცხადა: „მას შეუძლია ცა გადასაზროს“ (პოემა ვეფხვისა) (11,312).

გადააზრებული, ახლებურად ხილული ცა გვხვდება გალაკტიონის პოეზიაში და მას მრავალგვარი ქვეტექსტი აქვს.

პოეტს სწამდა არამატერიალური, ღვთაების სამყოფელი ზეცის არსებობა, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი“ ეწოდება.

მიწა და ზეცა შექმნილა, „ცანი ცათანი კი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა ღმერთის მიერ, სულიერ სამყაროს წარმოადგენს, ის არის ჩვენი ხილული ზეცის მაღლად, „ცანი ცათანი“ გონიერი ზეცაა, სადაც გონებას ყველაფრის ერთბაშად შეცნობა ეძლევა“, წერს ნეტარი ავგუსტინე (19,382).

გალაკტიონი ამ უზენაეს ცას „წმინდა ცას“ უწოდებს: „...არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (გრძნობათა ფერფლი) (11,28).

„წმინდა ნათელი“ და ზეციური შუქი ევლინებოდა „ათასის მხედველობით“ მომადლებულ პოეტს: „ელვარებს, დნება წმინდა ნათელი, მკრთოლვარ-მთრთოლვარე შუქთა მფრქვეველი“ (ავე მარია) (11,45).

„ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“, აცხადებდა გალაკტიონი „ეფემერაში“ და ამით ხაზს უსვამდა მისი რანგის პოეტის მოვლინების კანონზომიერ ხასიათს, თავის ღვთისგან ხელდასხმულობას, შემოქმედების მარადიულობას.

პოეტის ცხოვრების გზა რეალურად ტრაგიზმი იყო – „ნაწვიმარ სილაში ვარდი“, მაღალი იდეალების, პოეზიის ძალით კი – „ცის სილაჟვარდე“: „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ! როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“ (სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში) (11,125).

„არტისტული ყვავილების“ ავტორი „ზეცამდე მიირხევა“, ანუ ზეცასავით მარადიული შედევრებით სწადია სიკვდილის დამარცხება: „ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე და ამიტომ მსურს, ვიპოვო რამე, რომ წავუღო ზეცას მედიდურს“ (უკანასკნელი დღე).

პოეზიისთვის ქრისტესავით ჯვარცმული პოეტის ცხოვრება იმთავითვეა „ამ სა-

აქაოს“, ამქვეყნიური ტრივიალური არსებობის უარყოფა, ცის, ზეშთაგონების თაყვანისცემა: „ანგელოზები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა და ცა კივილით დაუშვებს ფარდებს ამ სააქაოს წყევლად და კრულვად“ (ცისფერი) (11,305).

ამიტომ ტოვებს პოეტების მეფე ფილისტერთა საუფლოს და სილაჟვარდეში მკვიდრდება: „როგორც რონინი საოცარი და მისტერია, სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს! დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლის და მიიმინოს“ (ჩემს გულში დაჰქრის) (11,801).

პოეტის სული „ცამდე ფრქვეული“ სულია, რომელსაც „მარადის სურს ციერება“.

მისი მიზანია „ზეცაში დაასადგუროს“ თავისი „ოცნება და ქნარი“, „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“ დაწეროს სატრფოს სახელი, „ცის კაბადონზე“ ამოტვიფროს – „გიყვარდეთ“! (ფანტაზია) (6,14).

პოეტისათვის ლაჟვარდებიც ზმანებით იყო დაბურული, არ ტოვებდა ღვთისმშობლის, ქალწულის „ლურჯი აჩრდილი“, შეიგრძნობდა „მომავლის ჩრდილის მჭმუნვარებას“ (გზაში, მიმღერე რამე).

„ცისფერ სიტყვით“ ეძებდა „ციაგებს“, პოეტის „ცის ხმები“ რეკავდა გარინდებულ „ცის ჯურღმულში“ (მუსიკა უეცარი).

„ცა დააშუქა წყნარ სულს“, „შუბლს დაესახა ცისიერება“, „როგორც მრავალი ვარდების მფენი, მას სული ჰქონდა უხვად ციური“ – ასე მრავალგზის ფიქსირდება ღვთისგან პოეტის ხელდასხმულობა.

ღვთაებრივი, ცის წილი, „თავადის სული“ გამოარჩევდა სიტყვის უპირველეს ჯადოქარს: „ცა, მარტოობა, სული თავადის“... (ქალაქში) (6,340).

„თავადი“ საღვთო სახელია: „...და იყო ამისა შემდგომად, თავადი ვიდოდა ქალაქ-ქალაქად და დაბა-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმერთისასა და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა“ (ლუკას სახარება, 4,1).

გალაკტიონმა მართლაც შეძლო მძიმე ოცნების ცაზე ატანა: „მელანქოლიის აკლდამის“, შემოქმედებითი ტკივილების, მსხვერპლის, მარტოობის გზის გავლით მიაღწია ზეცაში დამკვიდრებას.

ათეისტური ეპოქის ცა ხან ჭორფლიანი იყო, ხან „ტალახიანი“ და „დალეწილი“, მაგრამ პოეტმა იპოვნა „ჩვენი დაკარგული ცა და ჩვენი მიწის ამეტყველება“. მას ტოტალური კატაკლიზმების საუკუნეშიც არ ავიწყდებოდა „ჩვენი ცა უწინდელი, უფრო უდიადესი“ (დომინო) (6,203).

ცა, როგორც ღმერთის, ისე ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია.

გალაკტიონისთვის მახლობელი იყო „ცის და მიწის შეზავება“, სამყაროული ჰარმონიის მიკვლევა.

თავისი შეუდარებელი ნიჭის შუქი ასე ალაპარაკებდა თვითშეცნობილ პოეტურ გენიას: „... ვარსკვლავთა შორის სხივთა ტბაში არა მყავს ტოლი“ (შემოქმედება) (6,15).

პოეტების მეფის „შუქმოსილი ბრწყინვალება“ ისეთივე დამაბრმავებელია, თვალგაუსწორებელი, როგორც ღვთის გამოცხადების შუქი.

საერთოდ, გალაკტიონისთვის ორგანულია ცის ნათების განცდა, ამასთან, შეუცნობლობის ტკივილიც სდევს: „მაინც როგორ ხდება ასეთ სიბნელეში, შენ რომ ცას ანათებ და შენ ვერვინ გხედავს და შენ ვერ უცვნიხართ“ (ვარსკვლავია) (11,812).

მისი მხატვრული სიტყვა არის ქართული პოეზიის „ალიონი“, „გათენება“, „ცის-

კარი“.

ამ პოეზიის ლირიკული გმირის თვალები „დასწვავს ზეცის მიბნედილ თვალებს“...

ადამიანის სულის ნათების რწმენა გამოხატულია ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, მითოლოგიაში, სასულიერო პოეზიაში.

ჰიმნოგრაფები ეძებენ ცას, ანათებენ მას საწმინდის ძალით: „შენ ცათა შინა სათნოებითა მარადის ჰნათობ ღმრთისა“ (ეზრა), „ჰნათობდე სათნოებითა შენითა ელვარებითა ყველა ცის კიდეთა“ (მიქაელ მოდრეკილი), „შეხუედ ნისლსა შეუხებელსა და განჰბრწყინდი ცის კიდეთა“ (არეოპაგიტული კრებული) (22,45).

ეს ტრადიცია დასაბამს იღებს ბიბლიიდან.

სახარებაში ქრისტე ეუბნება თავის მოწაფეებს: „გიხაროდეთ, რამეთუ სახელები თქვენი დაიწერა ცათა შინა“ (ლუკა, 480,20).

ანალოგიური განაცხადი აქვს გალაკტიონს :„ზეცაზე სწერია ჩემი გზა“... (ეფემერა) (11,302).

გალაკტიონს უახლოესი წინაპრებიც შთააგონებდნენ ცაში დამკვიდრების მნიშვნელობას.

ეს აზრი ასე აქვს გადმოცემული აკაკი წერეთელს: „მივჩერებივარ ამ დიდ ძალს, ტკბილ-მწარედ ჩაფიქრებული, მეცა უსიტყვოდ, უძრავად, ცის სვეტად გაქვავებული“ (ხატის წინ) (23,242).

ცამდე ამაღლებული ვაჟა-ფშაველა ცის და ქვეყნის „ქედმოუდრეკელ სვეტად“ გვეცხადებოდა: „ცხოვრებამ რამდენიც დამკრა, მე ავიწიე ზეცადა, ადამიანად ვისახვი, მგმობლები დარჩნენ მხეცადა და დავდეგ ცა-ქვეყნის შუა ქედმოუდრეკელ სვეტადა“ (ცხოვრებამ არ შამიბრალა) (24,102).

იგი საკუთარი სიწმინდისა და ნიჭის წყალობით „ცა-ხმელთა სწორად“ ქცეულა: „ვინ მომერევა, ვინ მომკლავს, უკვდავს ხედვით და სმენითა?! შევქმნილვარ ცა-ხმელთა სწორი ამ ნეტარების თმენითა“ (ვნახე სამოთხე ამ ქვეყნად) (24,289).

ეს ტრადიცია ასე გრძელდება ანა კალანდაძის პოეზიაში: „გარდამოვიდა ჩემზე ნათელი და მე ვმაღლდები ზეცის კარამდე“ (20,249).

ასეთი სახეების შექმნის სტიმული შეიძლებოდა ყოფილიყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გამოირჩევა „სინათლის კულტით“, „სინათლის პრინციპით“.

„ზეცის, მზის და სინათლის შარავანდედითაა მოსილი ინდო-არაბეთის გმირები. ნესტანის სახე, მისი მშვენება ზენათელია: „ღაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზესთა ზესა“ (25,41).

„ზესთაზე“ არის ყველაზე უმაღლესი ცა, უხვი სინათლის მფრქვეველი ე.ი. მზის ცა“ (26,51).

ასეთივე პრინციპით არის გამოძერწილი თინათინის სახეც: „მისი პირი უნათლეა ზესთა ზესა“.

„ზესთაზეს“ სახეს ვხვდებით გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“: „...შთამსახველი სხვა მზის ზესთაზესი, ჩვენი შავი ზღვა ულამაზესი“ (9,48). ამ სახისგან პოეტმა შექმნა ნეოლოგიზმი – „უზესთაოსანი“ და ის გამოიყენა „ვეფხისტყაოსანის“ მისამართით. ამ პოემაში გალაკტიონის თქმით, ისმის „ხმები უზესთაოსანი“.

„ლურჯა ცხენების“ უებრო მხედარი მიეახლა ცას თავისი ცხოვრების წესით და შემოქმედებით უზენაეს ცაში იპოვა ბინა, სამუდამოდ დამკვიდრდა მარადიულ მხა-

რეში: „ვაშა შავ ზღვაზე ამომავალ მზეს, მივქრივარ ცხენით, ვგავარ ზესთაზეს“.

დანტემ სამოთხეში იხილა წმინდა სულები სხივის სახით – „ჯვარს დააკვირდი და იხილავ, ვით გაიელვებს სხივი იმ სულთა, ვისაც მე აქ დაგისახელებ, როგორც ღრუბლებში დაკვესილი ელვათა კრთომა“ (8,333).

სხივის, შუქის სახით მკვიდრდება ქართველი პოეტი ცის საუფლოში, მარადიულ სიმაღლეში და ამის საწინდარია უცოდველობა: „არ მეშინია ღმერთის, არ მეშინია ცოდვის“.

ამასთან, „არტისტული ყვავილების“ ჯადოქარი თავისი მარადიული სულის შუქს მშობლიურ ცაზე ხედავდა, ასევე, უფლის სანთლებიან სარკეში ჭვრეტდა რუსთაველს: „აზიის დაშლილი თმის შავი გიშერის მსუბუქი ტალღები და ლურჯა ცხენები. შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები. სარკეთა სახეებს სანთლები მიედო და შვენის რუსთაველს შირაზის ვარდები, სიმღერის მხურვალე დრო არის, პოეტო, თუ ასე წარმართი გზით წარემართები“ (დრო) (6,172).

აპოკალიფსის თეთრად შემოსილი წმინდანების დარად, გალაკტიონი იყო ნათლითშემოსილი. ზეცისგან იყო ნაკურთხი მისი „ლოცვა-ვედრება,გალობა ახალი“...

ათეისტური ეპოქის შვილი წუხდა, რომ უგულებელყოფილი იყო „მოხუცი სხივი“, „შვების სხივი“, და როცა წმინდა ცის სიდიადეს ურწმუნოების ღრუბელი აბნელებდა, ძრწოდა მისი პოეზიის ლირიკული პერსონაჟის უბინაო სული: „გეძებდი ყველგან, მახრჩობდა სიცხე და მწვავდა ჯვარის მხურვალე რკინა, მე ყველაფერი გადავივიწყე, არ არის ზეცა, არ არის ბინა“ (გეძებდი ყველგან).

პოეტი არასოდეს წყვეტდა კავშირს უზენაეს ძალებთან, გრძნობდა „მომავალ დღეთა დიდი დიდების გამოშუქებას“, ესმოდა „საგანთიადო ხმები“, „სიხარულის უვერტიურა“.

განთიადი, სიხარული საღვთო სიმბოლოები.

პოეტი კარგად არჩევდა „დიდებას ამა სოფლისას“ და „დიდებას მარადისს“.

არასოდეს ხიბლავდა „არც ეს ქვეყანა, არც ეს სოფელი, არც მძლავრი ვნება“.

მისი იდეალი იყო ის, ვინც „გზას უკაფავს უკვდავი სულის თავისუფლებას და სითამამეს“ (ბედნიერება).

პოეტის მთავარი დევიზი იყო: „რწმენით იარ! რწმენით იარ! მტკიცე გქონდეს ბიჯი“ (იდეა).

„საკუთარი შტამპით“ მოჭრილი პოეზიის ოქროების მფლობელი მხოლოდ უზენაესს ეთაყვანებოდა, მხოლოდ რწმენის ერთგული, რწმენის მონა იყო: „...თუ მონა ხარ, მონა ისევ საკუთარი რწმენის“.

გალაკტიონის „ოცნებათა უდიდესი გემი“ იყო „უწრფელესი, გმირული“.

წმინდა გზებით მავალს, შვენოდა „დიდი, საამო დღე“, „ქვეყნიური სამოთხე“: „ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, ო, მშვენიერო ოცნება, ო, ქვეყნიურო სამოთხე!“

„დიდი დღე“, „ძველი დღე“ საღმრთო სახელებია (დანიელ წინასწარმეტყველი, 7,9) (18,255).

„დაუჯდომლის“ მიხედვით, „ქვეყნიური სამოთხე“, „სამოთხის ბჭეთა გამღებელი“ არის მარიამ ღვთისმშობელი (27,10).

ამ სახეების გამოხმობით პოეტმა ხაზი გაუსვა საკუთარი პოეზიის სიდიადის უმთავრეს, უპირველეს მახასიათებელს – მართლმადიდებლურ სარწმუნოებას.

ფილისტერთა მხარის დამტევებელი პოეტის სული მიმინოს სისწრაფით უახლოვ-

დებოდა სულიერ ზეცას, სილაჟვარდეს: „...როგორც რონინი საოცარი და მისტერია, სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს! დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს“ (ჩემს გულში დაჰქრის) (11,801).

ლიტერატურა

1. ლუდვიგ ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ. 1956
2. ტიტე მოსია, დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ. 1986
3. აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ. 1983
4. ჰომეროსის ჰიმნები, თბ. 1982
5. ქართული მწერლობა, I, თბ. 1987
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტI, თბ. 1993
7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ. 1994
8. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
10. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 1994
11. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
12. მარადი დღე, თბ. 1984
13. ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963
14. წმ. ბასილ დიდი, თხზულებანი, ფსალმუნთა განმარტებანი, ჰომილიები ექვსი დღისათვის, თბ. 2002
15. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991
16. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1992
17. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ. 1991
18. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
19. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1983
20. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
21. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ. 1985
22. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1981
23. ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ. 1980
24. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 2011
25. მოსე გოგიბერიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, თბ. 1961
26. ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო და ჩილე, 1957
27. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009, №12

გალაკტიონ ტაბიძის მებაღე, მემარნე და მეღვინე

იდუმალების ბურუსშია გახვეული გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის, ერთი შეხედვით, რეალური, ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში დამკვიდრებული სახეები, ცნებები.

პოეტმა გაამრავალფეროვნა, ახლებურ კონტექსტში მოიაზრა ბაღის, მებაღის სახეები.

ბიბლიაში ორგვარი ბაღი და ვენახი გვხვდება.

მიწიერი ბაღი ებრაელი ხალხის მეტაფორაა: „...იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს შრება“ (ესაია წინაწარმეტყველი 58,11 (1,117).

ამის კვალობაზე, ბაღის სახეში სოციალური, ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური, ესთეტიკური ქვეტექსტები ამოიკითხება.

გალაკტიონის პოეზიაში სიმბოლური ბაღების მთელი წყება იქცევს ყურადღებას: სანეტარო ბაღი, გადამხმარი ბაღი (გადანახული დროშები), გაუდაბურებული ბაღი (დაბმული ჭინკა), ძველი ბაღი, მკვდარი, კვალდაკარგული ბაღი (ძველი წიგნების გვერდებს არეულს), მომაკვდავი ბაღი (შემოდგომის დღე), უსივრცო ბაღი (გული), უსუფთავესი ბაღი, წახდენილი ბაღი, რომელიც არ ბაღობს (მშვიდობის წიგნი), ფანტაზმით მოსილი ბაღი შავი ჩრდილით, დავიწყებული ბაღი (აივანზე), ღია ბაღები (ლენინი), ბაღი, ოდნავ გაღებული კარებით (გზაში), მშვენიერი ბაღი (მელანქოლიური მოსიმღერე), გულცივი ბაღები (რამდენიმე დღე პეტროგრადში), ნაცნობი ბაღი (ვარდები), უახლოესი, უუძველესი ბაღის სურნელი (მწოლარე), მშვენიერი ბაღი (ისევ ოცნება და სიყვარული), შადრევნებიანი ბაღი (გამონაკლისი), ბაღის მძიმედ აშადრევნება (საახალწლო ეფემერა), ბაღის შემოშენება (განიახლე, განიახლე) ვარდებიანი ბაღი (სანამ არ დამსხვრეულან), ნაცნობი ბაღი, ზამთარ-ზაფხულ მოყვავილე ვარდებით (ვარდები), მაისის ალით აზამბახებელი, შეყვარებული და მეოცნებე ბაღები (შერიგება), დამთვრალი ბაღის გობელენი (გობელენი), ზეციური ბაღი (მშვიდობის წიგნი), დაუკრეფელი სიცოცხლის ბაღი (ძალა-იარაღი), მშვენიერი ბაღები ფიქრების ფონით (ოქრო), ოცნების მდიდარი ბაღი (მილიონებში ხელისმრეველი), ვარდთა ბარდებიანი ბაღი (მილიონებში ხელისმრეველი), ოცნების ბაღი (სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში), გამარჯვებათა ბაღები (ყოფილან მწარე დღეები), ძმებისაგან გაყოფილი მოხუცი ბაღი (პირიმზე).

„ბაღი ედარება ცისფერ მოგონებას“ (ფარდების შრიალი), „ბაღს ძველი დაღი წიგნების აზის“ (მშვიდობის წიგნი).

ამავე ჭრილში გაიაზრება „თეთრი ტყეები“ (თოვლი), საშიშარი ტყე-ველი (რა ღრიანცელში ვიდოდა გემი), მთვარიანი ტყე (ქალაქისაკენ), ტყის წელი, საუკუნეთა ტყე (პოემა ვეფხვისა), ღამისებრ ტყე (იმ ბილიკით). ტყე არის თეთრი, ყრუ, ტკივილიანი, სიყვარულიანი, ბნელი.

რაკი პოეტმა ბაღი და ტყე ალეგორიულ ასპექტში წარმოაჩინა, ბუნებრივია, მებაღეც არაპირდაპირი მნიშვნელობით გაიგება.

„ავდრის მოლოდინში“ (2,325-326) რელიგიური ლექსია, რომელშიც რწმენის – უარმყოფელი ეპოქის სევდა ჟონავს. წარსულში თოვდა თოვლი ია-ზამბახის, თაყვანისცემის საგანი იყო „მზეთუნახავი და მკრთალი ალვა“, პოეტის ფიქრები სავსე იყო „ძველ გაზაფხულის მღელვარე სუნით“: „წარსულმა ღამემ შენს ფანჯარაში დათოვა თოვლი ია-ზამბახის. შენი ალვა დგას, როგორც დარაჯი, მზეთუნახავი და მკრთალი სახის... ძველ გაზაფხულის მღელვარე სუნი მიჰყვება ფიქრებს ნისლში და ქარში“.

ზამბახი საღვთისმშობლო სახელია, ალვა სიცოცხლის ხისა, ღმერთის, ხან ჩვენი ზეციური დედის („დედოფალი ალვა“) სიმბოლოა.

გაზაფხულის, ძველი ქართულით, ზაფხულის საღმრთო სახელად გააზრების ტრადიცია მომდინარეობს დავით წინასწარმეტყველისგან: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65,12) (3,588).

ლექსის „ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით დაგვირგვინებული „ქალწულის“ სახეებში დედა-ძე გვეცნაურება, რადგან ვაზი ქრისტეს, ქალწული ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

აშკარაა ურწმუნოების ქარის თარეში, ავდრით დარის შეცვლის ნიშნები, სათუოა „მებაღის“ მოსვლა: „ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი, თუ მწიფობისთვემ შეცვალა დარი, მებაღემ მოსვლა თუ არ ინება“.

მებაღე უზენაესის მეტაფორაა.

დანტესთან ასეთი მნიშვნელობით გვხვდება „უფლის ბაღი“, „მარადიული მებაღე“: „... ვჭვრეტდი უკვე თამამად, მთელს მოცულობას, სიდიადეს უფლის ბაღისას“ (4,399)... „იმ ზომად მიყვარს მე იმ ბაღის ფურცლოვანება, მარადიული მებაღისგან გაშენებული“ (4, 382).

მებაღის სახის რელიგიური მნიშვნელობით გაგების ნიმუშია გალაკტიონის ლექსში „მელანქოლიური მოსიმღერე“ (5,38), რომელშიაც მშვენიერი ბაღი წარსულშია დარჩენილი, ხოლო მებაღე გაუჩინარებულია: „მშვენიერი მახსოვს ბაღი, მებაღე მას არ თარგავს, დავკარგე და ვიგრძენი, რომ კარგი რამ დამიკარგავს“.

მებაღის გარეშე ყოფნა ხალხის ურწმუნოებაზე მინიშნებაა.

„დავიწყებული ჭიშკრის“ (საზღვრის, კარის), გამქრალი დარბაზების, წაქცეული სვეტების, კუბოში მოლანდებული იის, გაუჩინარებული წინაპრების ფონზე „ძმებისაგან“ გაყოფილი „მოხუცი ბაღის“ მეტაფორა იმდენად გამჭვირვალეა, რომ რწმენაწართმეული, დამოუკიდებლობაწაგვრილი სამშობლოს ტკივილს გვაზიარებს: „... დილით დამჭკნარი არის ბალახი, ზედიზედ ისევ ეცემა სვეტი. გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი და მწუხარება დამრჩა ასეთი“ (პირიმზე) (2,406).

„ძმები“ იგივე მოყვრის ნიღბით მოვლენილი მტრებია, ბაღის წახდენის ოსტატები, როგორც „მშვიდობის წიგნში“.

გალაკტიონის მიზანი იყო „ბაღის შემოშენება“, ნამიანი, ცვრიანი „ყვავილთ შემოშენება“.

ნამი და ცვარი უზენაესის სიმბოლოებია.

მივმართოთ წყაროებს „... განთიადის საშოდანვე შენთანაა ნამი შენი სიყრმისა“ (ფს. 109, 3) (3,645).

„ვიქნები ცვარი ისრელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 14,6) (1,273).

პოეტების მეფის შემოქმედებაში ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოებად გვევლინება შემდეგი მაგალითები: ღვინო (ზღვის ეფემერა, საახალწლო ეფემერა), ძველი ღვინო (ვერხვები, მშვიდობის წიგნი), ძველისძველი ღვინო (ძველისძველ ღვინოს), ძვირფასო ღვინო (მოგონებები), ცისფერი ღვინო (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს), ბახუსის ალი, ღვინის სიანკარე (პუშკინი პარიზში), უანკარესი ღვინო (ცხოვრება ჩემი), ღვინის ფარი (ეს იყო 15 წლის წინათ), მომრჩენი ღვინო (მშვიდობის წიგნი) (იხ. დაწვრილებით „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“).

ამ სახეების შთამაგონებლად შეიძლება მივიჩნიოთ ესაიას წინასწარმეტყველების „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ (ესაია, 25,16) (1,91).

წმინდა წერილის კვალობაზე, ბუნებრივია, „მეღვინე“ და „მემარნე“ საღვთო სახელებად წარმოჩნდება ქართველი პოეტის შემოქმედებაში.

„შენ მეღვინე, ღვინო გვასვი, თვალს ნუ მიეძინება. ფიქრები გვაქვს ასჯერ ასი,

როგორც ღრუბლის დინება“ (ეს მძინარე მთა და ველი) (5,260), ასე ორიგინალურად, მიგნებულად ხდება მინიშნება პოეტის რელიგიურობაზე.

ამიტომაც მისი თანამეინახეები „ძველ ღვინოში“ ეძებენ შველას (კოსმიური ორკესტრი), მეზღვაურები (პოეტები) „ღვინის“ მისაღებად გროვდებიან (მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ) მარანში „ძვირფას ღვინოს“, „უკვდავ ღვინოს“ ეწაფებიან (მოგონებები) ენატრებათ „ცისფერი ღვინოები“ (სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს), „წარსულის „ვალში“ მოიხსენიება „მუსიკა, ღვინო და ყვავილები“ (საახალწლო ეფემერა), თვრებიან ყოფნით, ცეცხლით (რწმენით) (მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით), „თვალყურს ადევნებენ“ „ძველისძველ ღვინოს“, „ფეერიულ აკადოს“ (ძველისძველ ღვინოს), „უგუნოდ, მძაფრად“ ეწაფებიან „ძველ ღვინოს“ (ვერხვები), ქვითინებენ „ძველ“, „ლალისფერ ღვინოზე“ (ელეგია)...

წუხილის მიზეზია ის, რომ თასი ხშირად ღვინით კი არა, საწამლავებით ივსება (პორტრეტი).

სატანების ზეობის ჟამსაც ეძებენ „ზამბახის პრინცესას“ (მარიამ ღვთისმშობელს), სწყურიათ „ცისფერი ვარდები“ (ქრისტე), ურწმუნოების გრიგალთან ბრძოლის გზად დასახულია „ღვინის ფარები“.

ახალ აღთქმაში „სიმართლის ჯავშანი“, „ხსნის ჩაჩქანი“, „სულის მახვილი“, „რწმენის ფარი“ არის იგივე „ღვთის სიტყვა“ (პავლე მოციქული, წერილი ეფესელთა მიმართ 6,11,14,15,16,17) (3,422).

გალაკტიონის „ღვინის ფარი“ რწმენის ფარს გულისხმობს და ამ სახის შექმნის იმპულსი შეიძლებოდა ყოფილიყო ბიბლიური პარადიგმები.

ღვინოსთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ასევე წმინდა წერილი: „ღვინო ლმობიერებისა“ (დავითი 83,17). „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,16), „ღვთის მძვინვარების ღვინო“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 14,10), „მეძავების ღვინო“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 14,8).

უზენაესის სიმბოლოდ მოაზრებულია იოანე ოქროპირის „სიბრძნის ღვინო, სულიერი ღვინო“ (6,163).

გალაკტიონის „მოგონებებში“ (2,781) აქცენტირებულია მარნის, მემარნის, ძვირფასი ღვინის, თასის და წიგნის პარადიგმები: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით – ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მემარნე, მაგრამ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო – შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“.

ლექსის „მემარნე“, „წიგნი“ მამაღმერთზე, „ძვირფასი ღვინო“, „უკვდავი ღვინო“ ქრისტეზე, თასი კი მარიამ ღვთისმშობელზე მიმანიშნებელია.

ასე გაამრავალფეროვნა, ახალი ნიუანსებით, ახლებური ეპითეტებით მოიაზრა პოეტმა ბაღის, მებაღის, ღვინის, მეღვინის, მემარნის კანონიკური სახეები, რომლებიც დასაბამს ბიბლიიდან, ღვთისმეტყველებიდან, სასულიერო მწერლობიდან იღებს.

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992

4. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
5. გალაკტიონ ტაბიძე ორ ტომად, ტ. I, თბ. 1988
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წ. I, თბ. 1990.

თავი IV
აპოკალიფსური სახეები

რევოლუციისა და მისი მონაპოვრების შეფასება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

გალაკტიონ ტაბიძემ ღმართისუარმყოფელ, მეფისტოფელის საუკუნეში იცხოვრა. ამ ეპოქის დირიჟორი იყო სატანა, ანუ რუსული ბოლშევიზმი.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გალაკტიონი მიჩნეული იყო რევოლუციის პოეტად, საბჭოთა წყობილების, სოციალისტური მშენებლობის გულწრფელ მომღერლად (1, 250-262), სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლად (2, 70-83), სოციალიზმის რელსებზე გადასულ პოეტად (3, 70, 211), რევოლუციური იდეებისა და რევოლუციური მოძრაობის გულწრფელ მომხრედ (4, 131-235).

მაგრამ გალაკტიონის საღმრთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველება, გრაალის სახე და რელიგიური იდეალებისადმი მისი ერთგულება საპირისპიროში გვარწმუნებს.

პოეტების მეფე ნათელმხილველი და ნათელმსმენი იყო, იგი წინასწარ ჭვრეტდა მოვლენებს, „ბუმბერაზი წინათგრძნობა“ გამოარჩევდა და დაუჯერებელია, მას შეცნობილი არ ჰქონოდა ოქტომბრის რევოლუციის რეჟისორთა სული,მათი საქმიანობის შედეგები,ის, რომ მათ მიერ დამყარებული სოციალიზმი არა ქრისტეს, არამედ ბარაბას გზით სიარულის მომასწავებელი იყო.

მაგრამ იმ მეცნიერებს, რომლებიც ხაზს უსვამენ რევოლუციისადმი, საბჭოთა წყობილებისადმი გალაკტიონის ერთგულებას, ამის სამტკიცებელი ფაქტებიც მოეპოვებათ. პოეტის შემოქმედებაში მართლაც ბევრია რევოლუციისადმი მიძღვნილი ლექსი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ გალაკტიონი მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისგან ჭეშმარიტად რევოლუციური სულისა და პრიმიტიულ პროლეტარულ პოეზიას.

ამ კითხვის სწორ პასუხს იძლევა დავით თევზაძე, რომ ამ შემთხვევაში „ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ზოგადრევოლუციური და კონკრეტული შინაარსის ისტორიულ-რევოლუციური აქტი. პირველი ავტორის ბუნების თანაზიარია და სამყაროს მარადჟამ განახლებასა და თავისუფლებისკენ სწრაფვაში პოულობს გამოხატვას, ხოლო მეორე, თუმცა უშუალო კავშირშია პირველთან, კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის შემცველია. ამ უკანასკნელის მაგალითია თებერვლის რევოლუცია, რომელმაც პოეტს ათქმევინა: „გათენდა! ცეცხლის მზე აენთო, აცურდა, დროშები ჩქარა!“ (1917 წ. მარტი) და „ამხანაგებო, განახლების ზარმა დარეკა, ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება: თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება“ (ათრობდა ხალხთა მწუხარება) (1917 წ. მარტი).

სწორად შენიშნავს დავით თევზაძე, რომ „ეს რევოლუციურ-განმაახლებელი პათოსი არ შეიძლება გავავრცელოთ რევოლუციური განწყობილების მის ყველა ქმნილებაზე... განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, როდესაც ვაფასებთ პოეტის მიმართებას ოქტომბრის რევოლუციასთან, განსაკუთრებით კი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტთან, 1921 წლის 25 თებერვლის აქტთან, რომელიც ახლა უკვე შეფასებულია, როგორც სუვერენული რესპუბლიკის საქართველოს სამხედრო ოკუპაცია და ანექსია“ (5, 253).

გასაზიარებლად მიგვაჩნია მეცნიერის დასკვნა, რომ გალაკტიონის დამოკიდე-

ბულება ოქტომბრის რევოლუციისადმი პოზიტიური არ არის... უნდა გაიშიფროს პოეტური სახე „ქარისა“, რომელსაც „გარეთ ატლასთა არტყია ჯარი, შიგნით ავი აქვს გულისნადები...“ რომ „რევოლუცია და საბჭოთა საქართველო არ არის იდენტური ცნებები“.

“გალაკტიონის წერილები, დეკლარაციები, „ახალი საქართველოსადმი“ სამსახური უნდა ნიშნავდეს საქართველოს ერთგულებას ახალ ვითარებაში“ (5, 255).

გალაკტიონის გაერთიანება ანტისაბჭოთა პოზიციის „არიფიონში“ 1921 წ., „აკადემიური ასოციაციის“ ორგანოებში ბეჭდვა, ჟურნალ „ლომისისა“ და „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ დაარსება შემთხვევითი არ უნდა იყოს, აღნიშნავს დავით თევზაძე და ეს ფაქტები მართლაც დამაფიქრებელია.

“გალაკტიონი ნამდვილი აკადემისტია პოლიტიკური პოზიციით, ესთეტიკური მრწამსით, შემოქმედებით, სულითა და გულით“ – ასეთ ანგარიშგასაწევ მოსაზრებას ავითარებს დავით თევზაძე ზემოთმითითებულ წიგნში.

დაკვირვების შედეგად არის გამოტანილი დასკვნა, რომ 1921 წ. დათარიღებული გალაკტიონის ლექსები „არსად მიგვანიშნებს საბჭოური საქართველოსადმი პოზიტიურ დამოკიდებულებაზე“ და ასახელებს ლექსებს „ავდრები“ (1921 წ.), „დღემ გაიარა“ (1921 წ.), „მშობლიური ეფემერა“, „918“, „დადგა აგვისტო“ (აგვისტო 1924 წ. აჯანყების თარიღზე მიგვანიშნებს – დ. თ.), „ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა“, „მოგონება ყრუ შესახვევის“, „ცეცხლი“, „ორად გაიყო წითელი კლდე“ (1923 წ.).

“ცხადია, პოეტი შეწუხებულია „მრავალთა მონობით“ და „უღვთისმშობლობით“, აჯამებს თავის თვალსაზრისს დავით თევზაძე (5, 261).

ანალოგიურ შეხედულებას ავითარებს მეცნიერი გალაკტიონის პოემებთან დაკავშირებით.

“პოემებში „მოგონებები“ და „ჯონ რიდი“ ახალი სინამდვილე დანახულია, როგორც შიშის, სისასტიკისა და სისხლიანი ტერორის გარემო. „ჯონ რიდში“ ვიღაცას წინასწარმეტყველურად ათქმევინებს:

“ქვეყანა კიდევ უფრო დაიმშევა,
უფრო გაძლერდება სიმწარე
დაეკარგება სინდისს ფასი
ღვთიური ყველაფერი დაიკარგება,
დაინგრევა ყოველივე წმინდა
საქვეყნო წყევლით“ (5, 262).

დავით თევზაძის აზრით, ლექსი „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ მიძღვნილია არა რევოლუციის, არამედ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისადმი და „მართებული არ არის მისი აქამდელი ინტერპრეტაცია“. ამ თემას მიაკუთვნებს მკვლევარი გალაკტიონის ლექსს „დადგა აგვისტო“.

საანალიზო ლექსის (ჩვენ პოეტები საქართველოსი) პოეტურ სახეს „სისხლიანი ანგელოზი“ დავით თევზაძე უკავშირებს აჯანყებულ პატრიოტ ქართველთა სამართლიან ბრძოლას. პოეტი ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც სისხლიანი რეპრესიებით 60 მილიონამდე მსხვერპლი შეიწირა (ზოგი 100 მილიონს ასახელებს), „ანგელოზს“ (თუნდაც „სისხლიან ანგელოსს“) ვერ დაარქმევდა.

„ამგვარი წაკითხვით „ქარიშხალსა“ და „ახალ გრიგალს“ აღვიქვამთ 1924 წ. აგვისტოს აჯანყებად, ხოლო „სისხლიან ანგელოსს“ – აჯანყებულ ქართველებად“ –

ასკვნის დავით თევზაძე (5, 264).

"ვის გვერდით დადგებოდა ბარიკადებზე გალაკტიონი? ნუთუ იგი მოგვიწოდებდა დაცვისაკენ იმ წყობილებისა, რომელიც სამხედრო ოკუპაციის გზით გაბატონდა და მასობრივი ტერორით სისხლში ახრჩობდა თავისუფლებისათვის მებრძოლ მშობელ ხალხს?" – კითხულობს მკვლევარი.

იოსებ ლორთქიფანიძე მიუთითებს, რომ გალაკტიონი 1924 წ. გამოქვეყნებული პოემისთვის „მოგონებები" („მნათობი", 1924 წ., №5) „რამდენიმე დღით მეტეხის ციხის ბინადარი გახდა" (4, 189).

ასევე, ნოდარ ტაბიძე აღნიშნავს, რომ 1924 წ. გალაკტიონი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა და ჩუდეცკების ოჯახმა შეიფარა (6,121).

სავსებით დასაბუთებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომლითაც ამთავრებს თავის წერილს დავით თევზაძე: „გალაკტიონი ურთულესი ფენომენი,წინდახედული პოლიტიკოსი და ტაქტიკოსი გახლდათ. მისი ერთი ჩანაწერი ასეთია: „როცა ყველა ელამია, შენც თავი ელმად უნდა აჩვენოო". მას აქვს ასეთი სტრიქონიც: „სულ ადვილია რწმენა აუხდენელი ზღაპრის". ამ თვალსაზრისით, უფრო საყურადღებოა ამავე ლექსის ვარიანტი: „რამდენ სიმღერას ვმალავ, სისხლის აჩნია ზოლი" (თხზ. ტ. II, ძვ. 408).

"ეს დაკვირვებები... გამოხატავს პოეტის ესთეტიკურ-პოლიტიკურ პოზიციას, მის პროტესტანტულ დამოკიდებულებას რევილუციური საქმისადმი" – ასეთი დასკვნით მთავრდება მეცნიერის გამოკვლევა (იხ. დავით თევზაძე, „გალაკტიონი, რევოლუცია და აგვისტოს აჯანყება").

ცნობილია, რომ გოეთე აცხადებდა: „მე მძაგს ყოველგვარი სისხლიანი გადატრიალება, რომელიც იმდენივე კარგს ანგრევს, რამდენსაც ქმნის. მე მძაგს ისინიც, ვინც ძალმომრეობით აღიძვრიან და ისინიც, ვინც ამის მიზეზს იძლევიან. განა ამისთვის ხალხის მეგობარი აღარ ვარ? განა რომელიმე სამართლიანი კაცი სხვაგვარად იფიქრებს?"

"ყოველი ძალადობა, ყოველი ნახტომი ჩემს სულს აღაშფოთებს, რადგან ის ბუნებას ეწინააღმდეგება" (7, 81).

ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ბლოკის პოემაში „თორმეტნი" რევოლუციონერებს ქრისტე მოუძღვით, რაც მათ მომავალ განსჯაზე უნდა მიგვანიშნებდეს (8, 175).

ვახტანგ ჯავახაძე მიუთითებს გალაკტიონის „ტრაგიკულ მსოფლგანცდაზე" და იმოწმებს პოეტის ჩანაწერს: „საქართველოში, სადაც ხე არ ყოფნით ჯვრების ასამართავად და ხეები არ ყოფნით ჯვარზე საცმელად, ერთი ტრიბუნაღა დაგვრჩენია. ეს არის სასაფლაო" (9, 259).

გვახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის განაცხადი: „მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ, ირგვლივ ვაება და კაეშანია" (10, 267).

"საბჭოთა სამშობლოს ისტორია", მისი სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიურ-კულტურული გზა... დიდ პოეტს 50 წლით ადრე მაინც განუსაზღვრავს, როგორც მცდარი და ბნელი ხანა",.. მან (გალაკტიონმა – ვ.ჯ.) ჩვენი ქვეყნის ისტორია გრაფიკულად გაიაზრა... 10 წრეხაზით, თითოეული მიგვანიშნებს ადამიანის თავზე, რომელიც თანდათან ბნელდება" – ასეთია ვახტანგ ჯავახაძის დაკვირვება (9, 79).

გალაკტიონის შემოქმედებაზე, ამ ასპექტში, ახლებურია ავთანდილ ნიკოლეიშვი-

ლის აზრი: „გალაკტიონის დამოკიდებულება რევოლუციისა და მისი შედეგებისადმი არასწორხაზოვანია... იგი არ ყოფილა ამ მოვლენათა მხოლოდ აღფრთოვანებული მეხოტბე. პირიქით, მის პოეზიაში ნათლად ვლინდება მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულებაც რევოლუციისადმი... ცნობილია მისი ოპოზიციური ნაწარმოებები და ჩანაწერები... შეფარვით გამჟღავნება ნამდვილი გულისთქმის“ (11, 229...).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია სახე-სიტყვათა მრვალმნიშვნელობის პრინციპი და, გამომდინარე აქედან, რევოლუციის ცნებაც არ არის ერთმნიშვნელოვანი პოეტის შემოქმედებაში, მას აქვს სოციალური, ესთეტიკური, კულტურული ასპექტები და უმთავრესი მაინც ისაა, რომ გალაკტიონი უმთავრესად სიტყვის რვოლუციონერია და მისთვის უპირველესია „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუცია“.

1918 წ. შექმნილი „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ გვიჩვენებს სამარადისო ზამთრის შიშს, იუდას სახე, კაენის ლანდი და „ღამეების შავი გუგუნი“, „ურიჟრაჟო ღამე“ ასდევნებია პოეტს, „დამსხვრეული სწორი კენარი“, „სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის“ შეუჩერებელი ზვირთი, საზარელი ჯურღმული და მკვდრებია ყველგან, სიკეთე მოკლულია აფთარივით და პოეტი გრძნობს „როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი“. ასეთ დროს იგი იგონებს „სხვა სიყვარულს“, ანუ ღმერთს (12, 138).

გალაკტიონი მიესალმა 1917 წ. თებერვლის რევოლუციას, რადგან ამ მოვლენამ რუსეთის იმპერია დაანგრია და ჩაგრულ პატარა ერებს განთავისუფლების შანსი მისცა, ოქტომბრის რევოლუციაში მან სამუდამო ზამთრის შიში დაინახა და ეს იყო მისი უდიდესი წინასწარმეტყველების უნარის კიდევ ერთი გამოვლინება.

გალაკტიონი უსახოთა სისხლიან გზას, რევოლუციად სახელდებულ ტერორს კი არ განადიდებდა, რამედ „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას“ მიესალმებოდა და „სიტყვის რევოლუციონერად“ გვევლინებოდა უწინარესად.

ხოლო თუ როგორ გაიგო პოეტმა რევოლუცია 1924 წ. დაწერილ პოემაში „ჯონ რიდი“, ამის მაგალითად ეს სტრიქონებიც კმარა: „სარწმუნოება გახდა სატანის... ლოცვა ისე დაეცა... შემოვლებული დროთა ხავსებით, ხატი პილატეს დაემსგავსება, მისი ასეთი ცოდვით დამწვარი ჯოჯოხეთიდან მიმოდის ჯვარი. მისთვის ჯოჯოხეთური სამოთხე შენდება და შეიძლება, როს გათენდება, ედემის მსგავსი იგრძნოს ჯოჯოხეთი... მგმობი ნათელის, ტირის თვალები ობივატელის. ყველაფერი ნისლის ფერია“ (13, 9-10).

ტერორი და სისხლი რომ რევოლუციონერთა საქმიანობის უმთავრესი მახასიათებელი იყო ადრიდანვე, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია,თუმცა ადრეულ ეტაპზე მას ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე იყო.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის შუახანებში შეიქმნა მოძღვრება, რომელიც ისტორიაში დიალექტიკური მატერიალიზმისა და სოციალიზმის სახელითაა ცნობილი. ამ მოძღვრების შემოქმედნი იყვნენ მარქსი და ენგელსი. ისინი გამოდიოდნენ კლასობრივი ბრძოლის თეორიით და მიუთითებდნენ კაპიტალიზმის უცილობელ განადგურებას. მათი აზრით, კაპიტალიზმის ქაოსური განვითარება ბოლო ეტაპზე გამოიწვევდა მის ბუნებრივ ნგრევას და ხელისუფლება აღმოჩნდებოდა მუშათა კლასის წარმომადგენელთა ხელში. შეიქმნებოდა სახელმწიფოს სოციალურად სამართლიანი მოდელი, რაც კეთილდღეობას მოუტანდა მშრომელთა კლასს, რომელიც

აღმოჩნდებოდა ერთადერთი კლასი სახელმწიფოში. მშრომელთა კლასი თვითონ იქნებოდა თავისი ბედის მჭედელი, რისი შედეგიც იქნებოდა კომუნიზმი, ანუ სახელმწიფო ფულადი მიმოქცევის გარეშე, სადაც გადაწყვეტილი იქნებოდა საყოფაცხოვრებო პრობლემები. ამ მოძღვრებამ ფართო გავრცელება ჰპოვა ევროპასა და მსოფლიოს ქვეყნებში.

XIX საუკუნის მიწურულს რუსეთში შეიქმნა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტია გიორგი პლეხანოვის მეთაურობით. ცოტა ხნის შემდეგ პარტია შიდაპარტიულმა დაპირისპირებამ მოიცვა. პარტიაში შიგნით გამოვლინდა განსაკუთრებით ექსტრემისტული, რადიკალური ფრაქცია „ბოლშევიკების“ სახელწოდებით ლენინის მეთაურობით. უნდა ითქვას, რომ რუსული მარქსიზმი განსხვავდებოდა ორთოდოქსული მარქსიზმისაგან მნიშვნელოვნად,მაგრამ არა ძირეულად. მარქსის აზრით, ევროპაში, და რუსეთში მითუმეტეს, შეუძლებელი იყო სოციალიზმის დამკვიდრება ახლო ისტორიულ პერსპექტივაში, რადგან კაპიტალიზმი, მასში შემავალი პროლეტარიატი არ იყო მომწიფებული პროგრესული აზრის შემოქმედებისთვის, რადგან არ იყო გათვითცნობიერებული სახელმწიფოებრივი მართვის საკითხებში. რუსმა მარქსისტებმა კი ეს მოძღვრება თავისი სურვილის მიხედვით გაიგეს და გამოაცხადეს, რომ სოციალიზმის გამარჯვებისთვის არ არის აუცილებელი კაპიტალიზმის განვითარების და პარალელურად პროლეტარიატის გათვითცნობიერების ლოდინი, საჭიროა მოქმედება ყველა ხერხით, რომელსაც შეუძლია არსებული სისტემის დანგრევა. ამ ხერხში იგულისხმებოდა: ფიზიკური ტერორი, შანტაჟი, მოსყიდვა, დასმენა, ყაჩაღობა, ქურდობა და თვით დროებითი თანამშრომლობა ხელისუფლების ორგანოებთან საკუთარი სარგებლობის მიზნით.

ეს პოზიციები კარგად გამოიხატა ადრეული ხანის რუსი მარქსისტის ნეჩაევის „კატეხიზისში სოციალისტისათვის“, რომელიც მაშინვე რუსი სოციალისტების სამაგიდო წიგნი გახდა. საინტერესო ის არის, რით განსხვავდებოდა რსდმპ-ს ორი ფრთის: „ბოლშევიკებისა“ და „მენშევიკების“ პლატფორმა. მენშევიკების პოზიცია იხრებოდა შედარებითი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ლიბერალიზმისაკენ, თუმცა იტოვებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველი კონტროლის უფლებებს. „ბოლშევიკები“ კი წინააღმდეგნი იყვნენ ყოველგვარი მრავალპარტიულობისა, პრესის თავისუფლებისა,კერძო საკუთრებისა, და ითხოვდნენ მარქსისტულ-ლენინური დოგმატების მიმართ ბრმა და უსიტყვო მორჩილებას. აი, რა იყო მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, თუმცა ერთში ისინი თანახმანი იყვნენ: კაპიტალიზმის ძალით დამხობაში. ყოველწლიურად ისინი აწყობდნენ ასობით და ათასობით სისხლიანი ანგარიშსწორების სცენას, ძარცვებს სიმდიდრის ხელში ჩაგდების მიზნით, მოწინააღმდეგეთა ყოველმხრივ კომპრომეტირებასა და შანტაჟს. რად ღირს თუნდაც „ბოლშევიკების“, შემდგომში კომუნისტების ორ ბელადთაგან ერთ-ერთის – სტალინის ბიოგრაფია, რომელიც აღსავსეა კრიმინალური რეციდივებით, ორმაგი თამაშით ჟანდარმერიასთან თვით ლენინისავე ნებართვით (რაძინსკი).

სოციალიზმის არსი თავიდანვე რომ დამანგრეველი და დამღუპველი იყო, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა. მან ადამიანი სამყაროში მარტოდ დატოვა სიცარიელეში, გამოაცალა რა მას რელიგიური საყრდენი, სიცარიელის ამოვსებას კი თვითონ შეეცადა საამური სიცოცხლის და მარადიული სიკვდილის თეორიით. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რომელთაც ააჯანყეს მონები ბატონთა წინააღმდეგ, რათა თვითონ გაბატონებულიყვნენ მათზე, ოღონდ ენით აუწერელი სისასტიკით, ძველ ბატონებთან შედარებით.

ამ პერიოდის მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოზეც იქონია დიდი გავლენა. ქართველი მარქსისტები გამოირჩეოდნენ ყოველივე ტრადიციულ-ეროვნულის მიმართ განსაკუთრებული ანტიპათიით. ქართველ ერს ისინი განიხილავდნენ კლასობრივი ბრძოლის თეორიით მსოფლიო პროლეტარიატის პრიზმაში. მათთვის საქართველო იყო მხოლოდ ტერიტორიული ერთეული, სადაც უნდა დაემკვიდრებინათ „ნათელი სოციალიზმის“ იდეები, ხოლო მიზანი კი იყო მსოფლიოს პროლეტარული სახელმწიფოს შექმნა, სადაც ეროვნებები შევიდოდნენ ადმინისტრაციული ერთეულების სახით ცენტრისადმი დაქვემდებარებით. დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული განმანათლებლობის ტიტანი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი ილია ჭავჭავაძე მოკლულ იქნა ქართველი სოციალ-დემოკრატების ძალისხმევით, „ბოლშევიკების“ და „მენშევიკების“ შეთანხმებული მოქმედებით (14, 36).

მარქსიზმი აღმოჩნდა XX საუკუნის საშინელი, მიმზიდველი მითი, მირაჟი, რომელმაც მოიტანა ტოტალური სულიერი დეკადანსი და სისხლის ზღვა. ყურადსაღები და მნიშვნელოვანი არის ის, რომ სოციალ-დემოკრატიამ ფართოდ გაშალა საქართველოში ფრთები და დაჩრდილა ეროვნულ-დემოკრატიული ცნობიერება ჩვენი ერისა, რომელიც განავითარეს „თერგდალეულებმა“ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

დიალექტიკური მატერიალიზმისა და მარქსიზმის რაობა და ფენომენი მინიშნებულია იოანე ღვთისმეტყველის „აპოკალიფსში“: „და როცა ახსნა მეხუთე ბეჭედი, ვიხილე საკურთხევლის ქვეშ სულნი მოკლულნი ღვთის სიტყვისა და მოწმობისათვის, რომელიც ჰქონდათ და შეჰღაღადეს ხმამაღლა და თქვეს: როდემდის, მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არ განსჯი და შურს არ იძიებ ჩვენი სისხლისათვის მიწის მკვიდრთაგან?“ (იოანეს გამოცხადება, 9,10) (15, 498).

ამით აქ მინიშნებულია ის დევნა ჭეშმარიტი აზრისა სოციალისტ-ათეისტების მიერ, რაც ჩვენ კარგად ვიხილეთ „ბოროტების იმპერიის“ ეპოქაში. კომუნისტების დამოკიდებულება რელიგიისა და სიწმინდის მიმართ კარგად გამოიხატა ლენინის ფრთოსან გამოთქმაში, რომელიც ატაცებულ იქნა მისი მიმდევრების მიერ: „გვამთმავლობა“.

თვით ლენინი „აპოკალიფსში“ ამგვარად არის ნაჩვენები: „ვიხილე ერთი თავი მისი, თითქოს სასიკვდილოდ იყო განგმირული და განიკურნა სასიკვდილო წყლულება მისი, და განცვიფრდა ქვეყანა მთელი მხეცის კვალდაკვალ...

„და მიეცა მას პირი მზვაობრად მეტყველი და მგმობელი, და მიეცა მას ხელმწიფება, რათა იბრძოდეს ორმოცდაორი თვე. და განახვნა ბაგენი თვისნი საგმობლად ღმერთის მიმართ, რათა ჰგმოს სახელი მისი და სავანე მისი, ცაში დავანებული. და მიეცა მას ძალი წმიდათა მიმართ ბრძოლისა, და მათი ძლევისა; და მიეცა მას ხელმწიფება, რათა მბრძანებლობდეს ყოველ ტომსა და ენასა და ხალხს. თაყვანი სცა მას დედამიწის ყველა მცხოვრებმა, რომელთა სახელები ჩაწერილი არ არის სიცოცხლის წიგნში“ (იოანეს გამოცხადება, 13, 3, 4, 5, 6, 7, 8) (15, 507).

რევოლუციონერთა სისხლზე, ტერორზე საუბრობს ზურაბ გურგენიძე (რომელიც სტალინის პროტოტიპია) მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთში“. რევოლუციის არსს წარმოაჩენს გრიგოლ რობაქიძე გატყავებული ცხენის ისტორიაში („ჩაკლული სული“), აქვეა სისხლისმსმელ კომუნისტთა საქმიანობისადმი მიძღვნილი თავი „როცა სისხლს ღვრიან“.

თვით გალაკტიონმა ოქტომბრის რევოლუცია განიცადა, როგორც ბოროტება, როცა სიკეთე აფთარივით იყო დაჭრილი,იუდას და კაენის სახეები ელანდებოდა,

ღამეების „შავი გუგუნი“ ესმოდა, უსაშველო ავდრის მოსვლა აღაშფოთებდა, სიკვდილის მოსვლას შეიცნობდა და „სხვა სიყვარულს“ (ღმერთს) იგონებდა (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები) (12, 138).

თებერვლის რევოლუციას პატივით მიესალმა, რადგან იმპერიის ნგრევის, დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა გამოჩნდა.

თუ გალაკტიონის შემოქმედებაში რევოლუციაზე დამყარებული იმედები აქა-იქ მაინც გაკრთება, თუ „განგებ შექმნილი იმედები“ ხანდახან მაინც შემოგვანათებს, რევოლუციის მონაპოვრებისადმი, სოციალისტური წყობილებისადმი პოეტის ნეგატიური დამოკიდებულება იმდენად აშკარაა, რომ კრიტიკას ვერ უძლებს მოსაზრება, თითქოს იგი ახალი ეპოქის გულწრფელი მომღერალი იყო.

სისხლიანი რევოლუციისადმი პოეტის მიმართებას ნათელყოფს ლექსი „ორად გაიპო წითელი კლდე“ (12, 253). წითელი კაცი წითელი რაშით წითელ ზღვას ყავარჯნით გააპობს, გზაზე წითელ გველს გადააგდებს და დედამიწაზე „საზარი ომის“ მძვინვარება იწყება.

გვახსენდება ებრაელი ხალხის წინამძღოლი ბიბლიური მოსე, კვერთხით რომ ზღვა გააპო. კვერთხი ქრისტეს სიმბოლოა, ზღვა ცოდვილი ცხოვრების, ცხოვრებისეული წინააღმდეგობის. ამ სიმბოლური ეპიზოდით მინიშნებულია, რომ ცოდვებზე, ცხოვრების სიძნელეებზე ამაღლება ღმერთის რწმენით არის შესაძლებელი. ბიბლიის ამ პოზიტიურ იდეას და მოსეს ღვთაებრივ სახეს გალაკტიონის ლექსში ენაცვლება სატანა – წითელი გველი, წითელი კაცი (ამ გაგების წითელი სატანა გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიას „ფოტოგრაფში“, „ტაბუში“, „წითელი ბაცილები“ მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთში“) – ტოტალური ბოროტება, ომის, ნგრევისა და განადგურების მომტანი, რომელიც ცდილობს სიბნელე გააბატონოს მომავალშიც. ასე შეცვალა ბიბლიის ჰუმანური იდეა გლობალური ბოროტებით რუსულმა ბოლშევიზმმა, რომლის სახეც გალაკტიონის ლექსში „წითელი კაცი“ და „წითელი გველია“ (წითელი მამალი, წითელი გველი და წითელი კირიპა ანალოგიურ შინაარსს ატარებენ კომსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“).

სისხლის წყურვილით გამორჩეულ სოციალურ ნგრევებს უკეთებს აქცენტს გალაკტიონის ლექსი „სად იყო სმენა და გაგონება?“: „...თვალგაუწვდენელ ორმოებში სისხლის მდინარე და ტრანშეების მიდიოდა ლაბირინთები“ (12, 251).

ჯერ კიდევ ადრე იწინასწარმეტყველა პოეტმა „ავდრის მოლოდინი“, ბნელ ღამის მეუფება (საღამო), სულის ზამთარი („თოვლი“, „ალვები თოვლში“).

“სად ყრია ეს ლეშები, საიდან დის გახრწნის ასეთი საზიზღარი სუნი?“ – კითხულობს პოეტი ლექსში „ქიმიურ საგნებთან“ (16, 351).

“შიშის ჩრდილი“, „შიშის ლანდი უზარმაზარი“ ტოტალურ უბედურებას თესავს, ყველგან მკვლელია ჩასაფრებული: „კარებთან მკვლელი. სარდაფში ჩახვალ, იქაც მკვლელია და ჟრიამული. ამოხვალ ქუჩით, დაგედევნება დაუცხრომელი მრავალთმრავალი და ვერსად ქვეყნად ვეღარ ისვენებს მთელი თაობა გარდამავალი“ (მთელი თაობა გარდამავალი) (17, 110).

ლექსში „მზეო თიბათვისა“ მარიამ ღვთისმშობელს ევედრება პოეტი: „სული მოავლინე ისევ შენმიერი“... რეალობაში კი სისხლის კოშმარია: „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“. (12, 126).

გალაკტიონს აეკვიატება „შეღამებული დილების ლანდი“, გაუთენებელი ღამე, რომელშიც ბოროტება ზეობს: „ღამე და ყინვა... ქუჩაზე მიდის სისხლი დაღვარუ-

ლი“ (მოგონება ყრუ შესახვევის) (12, 149).

ამ უბედურებათა ადგილიც ზუსტდება: „მთაწმინდის იქით დასისხლულმა მზემ ბინა ჰპოვა. არ არის შველა. ბნელი ჩრდილები მრავლდება, როგორც სიბნელეში დინგების გროვა“ (მთაწმინდის იქით) (18,376).

სულ ახლოს განიცდება ბოროტების სისხლიანი ხელები: „ყოველთვის მგონია: ჩემს სახელს ნაცნობი აჩრდილი თან დასდევს სისხლიან ხელებით, უცნობებს ეძახის ფარული ხველებით და მე კი თვალს მიხვევს ალერსით და ძმობით“ (ყორანი) (16, 274).

ცხოვრების ნორმად იქცა მსხვრევა, სისხლი: „ნაპრალებთან გადაიმსხვრა ნერგი, ახლა ზღვაა, ახლა სისხლის დროა“ (ატმის რტოო, დაღალულო რტოო) (16,228).

გამომდინარე აქედან, უნუგეშობა კულმინაციურ ზღვარს აღწევს: „თვითონ მსოფლიოს მწუხარება აქ შედარებით მხოლოდ ლანდი და მხოლოდ ჩრდილია...“

სისხლიანი გზებით მოსული ხელისუფლება მერეც აგრძელებდა ხოცვა-ჟლეტას და კუბოიანი ვაგონების გაგზავნის დიდოსტატი იყო. რეალურად მომხდარი ფაქტი – 1924 წ. ვაგონებში შეყრილი და მხეცურად დახვრეტილი ადამიანების კივილი არ ასვენებდა პოეტის სმენას: „მოწმეა რბევის და თარეშის ხვადგურის ბინდბუნდი საზიზღარ რკინიგზის სადგურის. აგზავნის სადღაცა კუბოებს – ვაგონებს და მათი კივილი ამ დღეებს მაგონებს, როდესაც ამ გზებზე გაეკრა ვაება... ნუთუ ის კივილი ლიანდაგს ჩაება?“ (მოწმეა რბევის და) (18, 559).

განადგურების წყურვილი, ზიზღი იფურჩქნებოდა ირგვლივ და სუნთქვას აძნელებდა: „არის შენს გულში მწარე განადგურება მკვდარი, როცა ზიზღია არე, როცა ვერ სუნთქავს ქნარი“ (გაურკვევლობა) (18, 548).

მოსყიდული ვაიპოეტები „სოციალიზმის ძლევამოსილ წინსვლაზე“, არარსებულ წარმატებებზე და ცრუ ბელადებზე ხოტბებს აღავლენდნენ, საუკუნის ტრაგედიებზე კი დუმდნენ, ცხედრებზე დააბიჯებდნენ და ამტკიცებდნენ, სამოთხეში ვცხოვრობთო. გალაკტიონს კი არასოდეს მიუყიდია სატანისთვის სული, ფხიზელი რეალისტის თვალით ახადა ნიღაბი ეპოქალურ ბოროტებებს: „ხმობით საშინელით თხრილში ჩაჩრილები ნისლი მორგებია სახე ფითრებული, ეხლა საშინელი გროვა დაჭრილების თითქო მორგვებია დასახიჩრებული... განა სისასტიკით, რაც აქ დაიღვარა, სისხლის მორევები,გამოიზომება? მხეცი თოკიანი დაჰქრის უვნებელი ქვეყნებს შევლებია ცეცხლის მეზოდენი, დადგა ოკეანე დაუსრულებელი, ეს ხომ ცრემლებია... მაგრამ ესოდენი?!“ (პოემიდან – იგი ომია).

ხილული კი ასე განზოგადდება: „ეს დრო აფთარი“, „დრო მოწვდენილი შხამიან სასმით“ (აივანზე), „დრო, დაფარული ცეცხლის ენებით“ (არ არის იგი იმდენად ტკბილი) (18, 141).

„პოეტ-ტრიბუნად ქცეული გალაკტიონი სულ ტყუილად იბრალებდა რევოლუციონერობას... პოლიტიკური რეალობის გამოისობით.

„ავტობიოგრაფიას 1917 წლის და რევოლუციის ხსენებით იწყებდა (19, 97), თითქოს პოეტის მთელი ცხოვრება 1917 წლის მოლოდინი იყო“ (19, 100).

„თხზავდა რევოლუციის მომღერლის, აბობოქრებულ მასათა ტრიბუნის პორტრეტს“...

„დროშები ჩქარა“ თებერვლის რევოლუციაზე დაეწერა, მაგრამ წარმოაჩინა, როგორც ბოლშევიკური გამოსვლების საგალობელი“ (19, 99).

მაგრამ ტირანული ეპოქის შთამბეჭდავი სურათიც შექმნა პოეტმა.

ეპოქის ჯოჯოხეთის რეჟისორად წარმოაჩინა „უფსკრულებიდან მომავალი ბრჭყალებიანი მხეცი“ (სად დასასრული იყო) (18, 381).

ზოგჯერ ბოროტებით დაღდასმული მოვლენები პუბლიცისტური სიმკვეთრით არის მხილებული: „გასისხლიანებული ბორბალი ეპოქისა მიგორავდა საშინელი სიძლიერით, ედებოდა ყოველივეს, რაც ცოცხალი იყო, აწიოკებდა და შეუბრალებლად ანადგურებდა, სპობდა, დასერა, გადაიარა მთელი ქვეყანა, ყველგან ცდილობდა შავი ფარდის ჩამოფარებას!..“

პოემა „ჯონ რიდში“ გვხვდება „ღრუბლისებური ღმერთი ნგრევათა, სასტიკი ღმერთი“, სარწმუნოებრივი გადაგვარება: „სარწმუნოება გახდა სატანის, ლოცვა ისე დაეცა... შემოვლებული დროთა ხავსებით ხატი პილატეს დაემსგავსება, მისი ასეთი ცოდვით დამწვარი ჯოჯოხეთიდან მიმოდის ჯვარი... ჯოჯოხეთისმაგვარი სამოთხე შენდება... მგმობი ნათელის, ტირის თვალები ობივატელის. ყველაფერი ნისლისფერია...“ (13, 9-10)

გალაკტიონს არ ასვენებს უდანაშაულოთა სისხლის კივილი და შესძახებს: „გაიღვიძეთ! ჰკივის სისხლი უცნობი, გაიღვიძეთ! ხმას იძლევა ხეობა, სასაკლაო! ვინ იყო ის უგრძნობი,რომ ამ ადგილს დაადგინა მკვლელობა?“

ასეთი ბოროტების ჩამდენისთვის „ფიქრი ღმერთზე შარშანდელი თოვლია“ და „თუმც ფერფლია, ნაცარია, მტვერია! – ის იტოვებს გარდაუვალ უფლებას. ის გაჰყვება კვლავ სისხლიან მდინარეს, წითელ კორდებს, მოგუგუნე ხეობას“.

და პოეტი აღვიძებს თანამოძმეთ: „გაიღვიძეთ! უიმედო ვინ არის? ვინ ქადაგებს შიშს და ერთსახეობას. ვინ დაეძებს ბნელ სოროებს და რუებს? გაიღვიძეთ, ვინც სიზმარში გაერთო. უკანასკნელ სხვა ომს გადააყრუებს აჯანყება! აჯანყება საერთო! ძლიერია უცნობ ჩონჩხის ხელობა! ის მეტს ამბობს, ვინემ მჭევრმეტყველება, ვინემ სისხლი, აქ რომ გადაიარა. ინვალიდიც ომში ბევრჯერ ერია,ბევრი ჯარი გაჰქრა ღამის ღრუბლებად. თუმც ფერფლია, ნაცარია, მტვერია, რევოლუციონურს ის იტოვებს უფლებას“ (ათასის მხედველობა, ათასის იერი).

ლექსში „სისხლი“ სისხლიანი დიქტატორის დაუვიწყარი სახეა ნაჩვენები: „...მუხლებამდე სისხლის მორევი გსვრის და მშობლიურ ცხედრებს ეხები. კმაყოფილი ხარ მათი მორევით, ყელამდე სისხლში მიდის ფეხები.შენ გახარებს, რომ სისხლის მიზეზი ხარ და თანა გდევს ხალხის გოდება, შენ ბოროტება ხარ უმტკიცესი, მკვლელი, ეს არის შენი წოდება... შენ სამარემდე მიხვალ ცხედრებით“ (19, 447).

პოეტის კრედოა დაუმორჩილებლობა, სიმართლისათვის ბრძოლა მხატვრული სიტყვით: „როცა უწყალოდ იღვრება სისხლი, დეე, მქუხარე შენი ხმა ქუხდეს, ხმა სიმართლისა, ძლიერი, ურჩი...“

გამომდინარე აქედან, ბუნებრივია კითხვა: „ვინ მიაფინა დახვრეტილი გმირების გორა? ძირს სისხლისმსმელი, ძირს იუდა, ძირს მუქთახორა!“ (ძირს მუქთახორა!).

მერე იწყება მოვლენებისთვის, პიროვნებებისთვის არა ზოგადად კაენ-იუდების სახელების დარქმევა, არამედ ადრესატების პირდაპირი დაკონკრეტება: „სამგლეს და საძაღლეს მწერალთა სასახლეს ვერასდროს დაღლილი ვერ მიეყუდები. არის მოდებული გაბოროტებული ეგრეთ წოდებული ბერიას კუდები. სწამებენ ობობას ლომობას, ორბობას ეს კატის კნუტები... იძვრიან კუტებიც, სულაქოთებული ქანაობს კრებული – ეგრეთწოდებული ბერიას კუდები. ბერია ხვრელს შეძვრა, მაგრამ მის კუდების ქნევითა ჩვენ, მწერლებს, სული გვეხუთების. ჩვენვე ჩვენი თავი აღარ გვეყუდნების,სული გვეხუთების, სუნთქვა გვეხუთების. მაშ ძირს მფლობელობა კაენ-

იუდების, ქნევა და თარეში ბერიას კუდების“ (9, 473).

ვახტანგ ჯავახაძის მიერ მიგნებულ საარქივო მასალებში ამ სისხლიანი მოვლენების რეჟისორად სახელდებულია ბერია: „ბერიაა, ნაშენებ შენობას რომ მოშლიდა, ბერიაა – ქართველი ერი რომ ამოჟლიტა, ბერიაა – რომ მოსპო გულთა შვება და ლხენა, ბერიაა – ზღვა ჭირის კარზე რომ მიგვაყენა, ბერიაა – ცხედრებით ქვეყანა რომ დაჰფარა, ბერიაა – სინათლე ბნელს რომ გადააფარა“ (9, 473).

მითითებულია, რომ ლექსი „ნავი არ უნდა გასწირო“ დაწერილია 1956 წლის 9 მარტის მოვლენებზე და „კოდირებული სახეებით“, „შენიღბული ფორმით“ ეროვნულ სატკივარზე მინიშნებაა (აკაკი ხინთიბიძე) (20, 14-15).

ლექსში „ეს ოცი წელიწადია“ პოეტი ლაპარაკობს „გადამთიელი გადიის“ წინააღმდეგ, რომელსაც „არ ეძინა ჩვენზე ზრუნვით...“

ათეისტურ ეპოქაში ღმერთის ადგილს ტირანები, დიქტატორები და ცრუ ბელადები იმკვიდრებენ,რომელთაც აქვთ დაღი „სატანური შეთქმულების წევრობის“, დემონური ბეჭედი.

30-იანი წლების ტოტალური ბოროტებაა ასახული მიხეილ ბულგაკოვის რომანში „ოსტატი და მარგარიტა“, რომელშიც ვოლანდის სატანური საწყისი უპირისპირდება ღვთიურს, კეთილს და ეს არაა შემთხვევითი, ეს ხომ დიქტატურის, რეპრესიების მძვინვარების ეპოქაა. დიდი ქვეტექსტია იმაში, რომ მსაჯულ პონტოელ პილატეს სისხლისფერქობიანი თეთრი მოსასხამი აცვია. რომანში სისხლის დაღვრის სიმბოლოს არაერთხელ მიმართავს ავტორი. პილატეს ფერხთით სისხლის გუბესავით დგას გატეხილი დოქიდან გადმოღვრილი ღვინო და შიგ ორი ვარდი (სიწმინდის სიმბოლო) ცურავს. მარგარიტას მეჯლისის წინ სისხლში ბანენ და ვარდის ნელსურნელებას აფრქვევენ (21, 5-6).

ადამიანის სისხლში ბანაობასა და ამ გზით ოკულტური ძალების მოკრებაზე საუბრობს გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“ პეტროვი.

ასე რომ, სისხლის სახე და სიმბოლო კომუნისტური „სამოთხის“ თანამდევი და მახასიათებელია.

ოციანი წლების გალაკტიონის პოეზიაში ჩნდება დემონის და მისი ვარიაციების – სატანის, მეფისტოფელის, ლუციფერის, ბელზებელის სახეები, რითაც იგი ეპოქის ბოროტეული შინაარსის გაცნობიერებას ცდილობს.

რევაზ მიშველაძე საუბრობს გალაკტიონის ტრაგედიის კომპლექსურ მიზეზებზე და განსაკუთრებულად გამოჰყოფს რწმენის დაკარგვის პრობლემებს.

„პოეზიის მეფის თვითმკვლელობის მიზეზი გაუბედურებულ სინამდვილესთან პოეტის დამოკიდებულებით გამოწვეული სასოწარკვეთა იყო“ – აცხადებს რევაზ მიშველაძე და მიუთითებს ლექსებზე „ცხოვრება გაცვდა“, „ო, ფიქრებო“.

„როგორ ეხმაურება და ესადაგება გალაკტიონის ერთ-ერთი ბოლო ლექსის სტრიქონები ჩვენს დღევანდელ განწყობილებას: „...წყარო ჩანს და წყალი არსად არის, ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“ – აღნიშნავს მეცნიერი (22, 264).

გალაკტიონი არასოდეს მისულა კომპრომისამდე უკეთურობით დაღდასმულ ეპოქასთან: „მისი პიროვნული და პოეტური მანტია ყანაოთივით თეთრი და სუფთა იყო მიწყივ“ (22, 266).

რევაზ მიშველაძე მიუთითებს „ეზოპეს ენაზე“ და „სატირის მახვილზე“ გალაკტიონის პოეზიაში (იქვე, გვ. 269) და ეს სატირულობა ვლინდება თვით „კომუნისტუ-

რი მანიფესტის“ ავტორთან დამოკიდებულებაში. ზემოთხსენებული სახელმძღვანელოს ავტორს მოაქვს მაგალითი „არამკითხე მრჩეველი კრიტიკოსისადმი“ მიმართული:

„ერთმა მასებთან კავშირი,
მარქსის ტომები ურჩია...
რომ არ მიიღო არცერთი,
ერთხმად იძახეს: ურჩია!“

მარქსის ირონიული ხსენება „ოცდაათიან მრისხანე წლებს ეკუთვნის“ – აღნიშნავს რევაზ მიშველაძე და იმოწმებს ასეთ მაგალითს გალაკტიონის შემოქმედებიდან:

„ჩემო მაქსიმე,
რა გზა მაქვს, ი, მე!
რომ არ ვიკითხო
ახლა მარქსი მე“ (22, 271-272).

რევაზ მიშველაძის განცხადებით, არაა სწორი ის მოსაზრება, თითქოს გალაკტიონი რევოლუციის პოეტი იყო, არც ის, როცა პოლიტიკისგან გამდგარად წარმოადგენდნენ.

სრულიად სამართლიანად, პოლიტიკას უკავშირებს მეცნიერი გალაკტიონის ლექსებს „მზეო თიბათვისა“, „მე მოვალ“, „შემოდგომა“.

ზემოთხსენებული წიგნის მაგალითები კიდევ უფრო ნათელს ხდის, რომ გალაკტიონი ეპოქით აღტაცებული და მისი ტენდენციების მომღერალი და მეხოტბე კი არა, რუსული ბოლშევიზმის საბედისწერო ზრახვების მკაცრი მამხილებელი იყო.

„საუკუნის აზრთა მპყრობელი კომუნისტური სამოთხის იმ „სიკეთესაც“ კარგად ხედავს, ათეული წლების შემდეგ ერთა და კულტურათა გათქვეფის (საბოლოო ჯამში გარუსების, რ. მ.) უწყინარ თეორიად რომ ჩამოაყალიბა „მარქსიზმის დიდმა შემოქმედებითად განმავითარებელმა“ – ბრეჟნევმა:

„ეს ვალიას, ეს თევდორეს,
ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,
ჯერ ვითვლებით ქართველებად,
თუ არ გაგვაესკიმოსეს“.

და ამ სტრიქონების დამწერი ზოგჯერ ამოიკვნესებდა:

„სათქმელი სხვებზე
და თავის თავზე
აქვს, მაგრამ პირი
წყლითა აქვს სავსე“

(ზემოთმითითებული წიგნი, გვ. 272).

გალაკტიონის შემოქმედების დამახასიათებლად რევაზ მიშველაძეს არა მარტო „მოჩვენებითად საქმიანი, გაფუყული, მედროვე კაცის“ პორტრეტის შექმნა მიაჩნია, არამედ „მრისხანე სოციალიზმის სატირა. ვისაც კომუნისტური რეჟიმის მარწუხებზე ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, დამეთანხმება, რომ რადიოს სარკასტული ხსენება ლექსში იმ დროისათვის მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი იყო“ (იქვე, გვ. 272-273).

ნაშრომში აღნიშნულია, რომ „ჯონ რიდში“ „შთამბეჭდავად, მეტაფორულად დაგვიხატა რევოლუციის დღეების ბებერი რუსეთის სატირული ხატი“.

1949 წ. დაწერილი ერთი ლექსი „თევზმა თევზს უთხრა“ – მიჩნეულია „ალეგორიულ პროტესტად არსებული რეჟიმისადმი“ (22,274).

არსებული ვითარების ღრმა ანალიზითაა დაწერილი დიდი გულისტკივილის გამომხატველი სტრიქონები: „რაა მასზე გულდამწყვეტი, მეტეხო და დიღმის ველო, მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო. არის ხლართი რკინიგზების, არის ავტო-მოტო-ველო, არის ოჯახებიც, მაგრამ ეს არ არის საქართველო“ (ეს არ არის საქართველო).

ეს მაგალითები ზედმიწევნით აქარწყლებს ჩვენი სტერეოტიპული კრიტიკის მიერ შემოტანილ დოგმას,თითქოს გალაკტიონი ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევების გულითადი მომღერალი იყო.

მაგრამ გალაკტიონის გულწრფელ სიმპათიას რევოლუციისადმი ის განაპირობებდა, რომ პოეტისთვის „რევოლუცია ნიშნავდა ესოდენ საძულველი იმპერიის,საძულველი წესწყობილების, საძულველი ცხოვრების, ყოველივე დრომოჭმულისა და დამპლის ნგრევას“ (23, 155).

თებერვლის რევოლუცია კი იმპერიის ნგრევით პატარა ერებს დამოუკიდებლობისკენ უხსნიდა გზას და 1918 წ. 26 მაისს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ამ რევოლუციის ლოგიკური შედეგი იყო, რასაც გულით უძღვნა პოეტმა „დროშები ჩქარა“.

ლიტერატურა

1. სერგი ჭილაია,მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, წიგნი II, თბ. 1956.
2. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. 3, თბ. 1959.
3. შალვა რადიანი,მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, თბ. 1956.
4. იოსებ ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, თბ. 1988.
5. დავით თევზაძე, საუკუნის თვალით, თბ. 1994.
6. ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონი, თბ. 1981.
7. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, ბათუმი, 1988.
8. ალექსანდრე ბლოკი, რჩეული ლექსები და პოემები, მთარგმნელი სოსო სიგუა, თბ. 1995.
9. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, თბ. 1991.
10. ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ. 1991.
11. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი, 1994.
12. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
13. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. IV, თბ. 1995.
14. ვახტანგ გურგენიძე, ჯვარს ვაცვით ილია, თბ. 1991.
15. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
16. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993.
17. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 1994.
18. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
19. როსტომ ჩხეიძე, კომიკოსი ტრაგედიაში. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 2016.
20. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ. 1994.
21. ჟურნალი „დროშა“,1990 წ. № 1.

22. მიხეილ ბულგაკოვი, ოსტატი და მარგარიტა, თბ. 1992.
23. რევაზ მიშველაძე, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1999.
24. რევაზ თვარაძე, გალაკტიონი, თბ. 1972.

დემონი და მისი ვარიაციები

ათეისტურ ეპოქაში ღმერთის ადგილს ცრუ ბელადები, ტირანები და დიქტატორები ეპოტინებიან,იქმნება კერპები, რომელთაც ატყვიათ „დემონური ბეჭედი“, დაღი აქვთ „სატანური შეთქმულების წევრობის“.

დემონი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა გალაკტიონის პოეზიაში. ერთ-ერთი გაგებით, იგი გენიალობის იდენტურია (1, 63-73).

ამჯერად გვაინტერესებს დემონურის ბოროტეული არსი, ვინაიდან პოეტების მეფის შემოქმედებაში ჭარბად გვხვდება დემონის ვარიაციები: სატანა, მეფისტოფელი,ლუციფერი, ბელზებელი.

ირკვევა, რომ „ცეცხლის ენებით“ დაფარულ დროში, საწამლავებით,შეჩვენებით, ჯოჯოხეთური ცეცხლით გამორჩეულ ეპოქაში სატანას უხმობენ ტოტალიტარული სახელმწიფოს მესვეურები, რათა ბოროტი ძალის დახმარებით მეტი განადგურება აწვნიონ ადამიანებს: „არ არის იგი იმდენად ტკბილი დრო, დაფარული ცეცხლის ენებით,მაგრამ არც ისე მწარე აქვს კბილი საწამლავებით და შეჩვენებით. მან შეაჩვია სოფელს სატანა, ჯოჯოხეთური ალი ქურების, რათა შემდგომში შესძლოს ატანა უფრო საშინელ განადგურების“ (არ არის იგი იმდენად ტკბილი) (2, 245).

ლექსი დაწერილია 1917 წელს და ჩანს უტყუარი განჭვრეტა იმისა, თუ ვინ მოვა ქვეყნის სათავეში.

1920 წელს პოეტს ისევ სატანის ხილვა არ ასვენებს. სიკვდილის აჩრდილი, ჩონჩხები, „შავი წიგნი“, ღამის დირიჟორი სატანა აემგზავრება, მისი მოვლინების შედეგი კი სიკვდილია, ყვავილების (ყვავილები ღმერთის სიმბოლური სახელია) „გადათიბვა“: „რას მოელიან ვარდები რგული? ყვავილებს თიბავს ელვათა ცელი. თენდება: ქარმა წაიღო გული და ათას ცხრაას მეოცე წელი“ (მაგიდა ალემბიკებით) (3, 186).

1921 წელს იწერება ტოტალური უბედურების მომასწავებელი ლექსი „ბრმა ცალი თვალით“, რომელშიც პოეტმა მთელი საუკუნე მიგნებულად მონათლა მეფისტოფელის სახელით. მეფისტოფელი არის გოეთეს „ფაუსტის“ ბოროტი და მაცდური სულის სახელი, რითაც გალაკტიონმა მიანიშნა არა სიკეთეში გარდამავალ ბოროტებაზე, არამედ ცალსახა უკეთურობაზე, ცბიერებაზე, სიმკაცრეზე: „მან დაიბრმავა ეს თვალი განგებ და ამნაირად გახდა ცბიერი, მეორე თვალში არის განგება, მეტი სიმკაცრე და სიძლიერე. უმარილიან დენათა შორის, მწარე დაცინვით მათი მგმობელი, იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის, ეს საუკუნე – მეფისტოფელი“ (3, 189).

გალაკტიონი შეძრული იყო მეფისტოფელური საუკუნის უსამართლობით და ბოლომდე ამხელდა მას.

1921 წელს პოეტმა „მარაოებით მოსიარულე მეფისტოფელი“ უწოდა (პოეზია უპირველეს ყოვლისა) (4, 17).

მიუხედავად იმისა, რომ მზის (ქრისტეს), „მარადი ჭიქის“ (მარიამის) მოტრფიალე იყო პოეტი, მაინც დემონი მიუხმობდა „სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით“ (მზის სადღეგრძელოს) (1921 წ.) (5, 221).

„ფაუსტში“ მეფისტოფელის დევიზი იყო: „გაემგზავრე არსებულს იქით“ (6, 555).

1922 წელს უკვე აშკარა იყო ეროვნულ უბედურებათა მთელი სერიალი: დამოუკიდებლობის დაკარგვა, უაზრო მსხვერპლი, სისხლი, ცხედრები, შავი ლუციფერი, რომელმაც დიდი ხნით წაშალა ნაზარეველის ნაკვალევი და პოეტს ძილშიც არ ასვენებდა ბოროტი სულის საკუთრებად ქცეული სამშობლო, „გზა, დაფენილი მსხვერპლით, ცხედრებით და სისხლით სველი. გზა, სასიკვდილო გადათეთრებით, სამშობლო შავი ლიუციფერის. ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა ღამის ტყე-ველი, არასდროს ჩვენთან აქ არ ყოფილა ნაზარეველი“ (სამშობლო შავი ლიუციფერის).

არც 1923 წელს იცვლება განწყობილება, რადგან სიავის დროშით მოვლენილია ტოტალური „ქარი ჩრდილოის“, „წითელი ქარი“ (მოგონებები).

მერაბ კოსტავა კონსტანტინე გამსახურდიას „წითელ გრიგალთან“ მებრძოლად სახავდა (გამოსათხოვარი) (7, 135).

პოემაში „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ უდაბურებაა, გამხმარია ჩინარი, ყოვლისწამლეკავი გრიგალი თარეშობს; „ფშანებში ჩამპალი ჩალის ღერები, მდინარის პირად გამხმარი ჩინარი, უდაბური ადგილი ნავის, შუა კერასთანაც ცეცხლიანი გრიგალი, სახურავებზეც ქარი“ და პოეტი სასოწარკვეთილი კითხულობს: „საქართველოა ეს მთა და ბარი თუ ის არ არის? სინამდვილეა ეს თუ ზღაპარი?“

უღმერთობა, უმწეობა ათქმევინებს: „სიცოცხლე არ ღირს უშენოდ არად...“

რევოლუცია მშვიდობას ნგრევას უპირისპირებს, მოაქვს ტოტალური ტრაგედია, დევების, დემონების თარეში: „აღვიძებს დევებს დემონის ქაფი, გრიალებს ქარი... ცას სისხლისფერი მოედო ლუქი, გრიალებს ქარი, დაწეწილია აფრათა ძაფი, გრიალებს ქარი“ (გრიგალი).

„ოცნება გულგაპობილი“, „ბედის მღვრიე ტბორი“, „მზის ჩასვლა ღრუბლებში და ისევ ქარი“ გვაგრძნობინებს უნუგეშობას.

ლექსში „დაბრუნდა გრძნობა და სისადავე“ (5, 202) „დემონმა აალაშქარა უდაბურება და ღრიანკალი“.

ბნელზე ბნელი ღამეა ბელზებელის საუფლო: „ღამე ბნელზე ბნელი მისდევს უდროობის, როგორც ბელზებელი – ქარებს უსადარესს“ (შენ და შემოდგომა) (3, 180).

ღამეს მოჰყვება დემონი, რომელსაც მოაქვს „ახალი ქაოსები“, დაღლილი და დაფლეთილი სული, უშინაარსო და უდაბური გზები: „გასწიე! ღამე ეშვება ზეწრად, მწარედ შრიალებს ტყეთა კალთები, მახლობელ დემონს იგრძნობ უეცრად და შიშის ჩრდილით აკანკალდები“ (იარე, კაცი შენ აღარ გქვიან) (1925 წ.) (5, 146).

„ყრუ დედამიწა“ უცხოობს მშობლიურ ხმებს, მხოლოდ იმედის იავარმქმნელი სატანაა ირგვლივ, სიკვდილის სამეფოსკენ მომწოდებელი: „უბედურ საათს არვინ დაგიცავს, არავინ გეტყვის მშობლიურ ნანას, მაგრამ გახედავ ყრუ დედამიწას და მოიგონებ შენ შენს სატანას. იმედი, შენი ბრძოლის საგანი, გატაცებაა დაუდგრომელის. მოღუშულია შენი საკანი: სხვა რა, სიკვდილი მხოლოდ მოგელის“ (უბედურ საათს არვინ დაგიცავს) (6, 41). ლექსი დაწერილია 1927 წელს.

ლექსში „რისთვის“ დემონი სასიცოცხლო ძალას აცლის და ცინიკურად დაჰხარ-ხარებს თავის მსხვერპლს: „...ჩემივ დემონი ხარხარებდა ჩემსავ მახლობლად, თუნ-დაც მოკვდეო, გატაცებით დაიხრიალა, გამომაცალა სასიცოცხლო გრძნობა და ძა-ლა“ (2, 288).

დემონი „სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით“ მოუწოდებს გამუდმებით (მზის სადღეგრძელოს) (3, 190).

„უბედური საათის“, სიკვდილის შემამზადებელია სატანა (უბედურ საათს არვინ დაგიცავს). სატანის მიერ მოვლენილი „ვიღაც მახინჯი“ სიკვდილის შიშს თესავს და შავი დღის ბადეში შეჰყავს ცხოვრებაზე შეყვარებულნი (ედგარი მესამედ) (2, 165). ასე იქმნება მიღმური სამყაროს მკვიდრთა „ახალი მოსახლეობა“.

ანგელოზი კეთილია და აკვნის დამრწევი, დემონი – სიკვდილის მომტანი: „თუ ანგელოზი გირწევდა აკვანს, შემდეგ დემონად მოვა სიკვდილი“ (ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა) (2, 398).

ისევ სრული უიმედობა დააფიქსირა პოეტმა რეალური ვითარების ანალიზიდან გამომდინარე.

1927 წელს იწერება „ეს შეღამება“, რომელიც გვამცნობს: „...და გასაგონად: მსოფლიო, წყნარად! იქ ნანგრევებად იქცა სოფელი, დიდი ხანია იქცა არარად და დახარხარებს მეფისტოფელი“ (2, 323).

ლაჟვარდებთან არა ანგელოზი, არამედ ისევ ლუციფერი ილანდება (თქვენ გარ-თობდათ) (1927 წ.) (2, 323).

ადამიანებმა ვერ შეიფერეს „მზე კონებისა“ (ჭეშმარიტი ღმერთი) და ბნელი დე-მონების ქვეყანაში ისურვეს ცხოვრება, რის გამოც სიკვდილის შემდეგაც მათ სულს ლუციფერი – ეშმაკი დაეპატრონება: „ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა, ვერ შეიფერეს მზე კონებისა და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა, ქვეყანა ბნელი დემონებისა. მოკვდე-ბით, ბნელი იქნება თოვა, რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა, იქნება ლანდი ლიუციფერის“ (ვერ გაიგონეს) (1927 წ.) (2, 332).

დემონი სულებზე ნადირობს, სიკვდილის აჩრდილების მოვლინების დიდოსტა-ტია, ჭიანურს, სამარის ლოდს ახმიანებს და ადამიანურს ემტერება: „მას მოეჩვენა, რომ ეს ხმაა სამარის ლოდის,თითქო დემონი უკრავს ჭიანურს, რაღაც აჩრდილი ქვეყანაზე მიდის და მოდის და ახშობს წყურვილს ადამიანურს“ (სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს) (1927 წ.) (2,333).

გოეთეს „ფაუსტში“ მეფისტოფელი „ცეცხლის ხატებაა“ (6,560), ეს არის არა განმანათლებელი, არამედ შემწველი, გამანადგურებელი ცეცხლი.

გალაკტიონი სიბნელეში გესლს, ყველაფრის გაუფასურებას, დემონის პრო-ფილში ცეცხლს ჭვრეტდა: „საშინელება, სიბნელე, გესლი, დემონიური ცეცხლის პროფილი“ (ქვეყანა გაცვდა) (5, 810).

„მლოცველი“ სატანის სახეა – „ალოცება სატანის“ (გვიანი ოცნება) (2, 57).

დემონთან წილნაყარი ადამიანი სულდაკარგული, ცოცხალი ლეში ხდება, რომ-ლისთვისაც სულერთია ყველაფერი: „შავ დემონს მივე ფრთა მოტივტივე და ყველა-ფერი ერთია ჩემთვის“ (სხვა ყველაფერი) (3, 136).

ამიტომ მიზანი ხდება დემონთა დავიწყება: „...მხოლოდ დემონთა დავიწყება ეძებს სამყოფელს, ყოველივესთვის იყოს იგი სამაგიერო“ (შენ და შემოდგომა) (2,

180).

დემონივით თავზე ადგა პოეტს „ცილისწამება ავი ზმანებით“, აწვალებდა თბილისი „სავსე გახელებული ინტრიგანებით“, „ზვავი გაიძვერათა“, „ჭორით და ენის მიტან-მოტანით“ (თუმც დემონივით დამადგა თავზე) (3, 263).

სიკვდილის პირად პოეტი დემონებს თხოვდა ყველა წიგნის დახურვას, და მხოლოდ ერთთან, უზენაესთან ზიარება ენატრებოდა (სიკვდილის პირად) (5, 576).

ცხოვრებისაგან განაწამებ პოეტს „მხეცი“ „წერტილს ტყვიისას“ – თვითმკვლელობას სთავაზობდა და ზოგჯერ თვითმკვლელობის დემონი ისადგურებდა სულში: „ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით, ჩემი სხეული დაიღალა სიცოცხლით, იდეა სიკვდილის, რომელიც განადგურებას ნიშნავს, ჩემთვის ტკბილია. მე მიხარია, რომ ჩემივე საკუთარი ნებით შემიძლია შევაჩერო ეს მოუსვენარი გულისცემა, ეს აღელვებული და მხურვალე სისხლი, ეს მტანჯველი ტკივილი ნერვების. მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ სურვილი არსებობისა არა მაქვს,მე ვერაფერს ვერ ვხედავ, ჩემი დემონის ცეცხლოვან თვალების გარდა“ (8, 575).

ბოროტი სულის თარეში გლობალურ მასშტაბებს იძენდა და „კოსმიურ სიცივეს“ აბატონებდა (ზამთრის დღეები) (3, 376).

„სატანური შეთქმულების წევრებს“ „დემონური საშინელი ბეჭედი“ და ყალბი „ენამჭევრობა“ გამოარჩევდათ (ენა მშობლიურ მიწის) (5, 417).

პოემა „ჯონ-რიდში“ სატანის სახეში არიან პერსონიფიცირებული რევოლუციის მესვეურები და სარწმუნოებრივი გადაგვარება სახეზეა: „ალ-დემონებად ქცევა ადამიანების. რუსი წმინდანის ეშმაკი ბაგე. სარწმუნოება გახდა სატანის. ლოცვა ისე დაეცა. შემოვლებული დროთა ხავსებით ხატი პილატეს დაემსგავსება, მისი ასეთი ცოდვით დამწვარი ჯოჯოხეთიდან მიმოდის ჯვარი. მისთვის ჯოჯოხეთური სამოთხე შენდება და შეიძლება, როს გათენდება, ედემის მსგავსი იგრძნოს ჯოჯოხეთი. უცებ გაჩნდა დემონი და ცეცხლს ფიჩხს უკეთებს. ტანით შუათანა მოგვდევს სატანა“ (5, 234).

„მშვიდობის წიგნში“ ჩვენს ქვეყანას თავზე ადგა სატანა, რომელსაც აფრთხილებს პოეტი: „აქ ყოველ ეშმაკს უჯობს მოეშვას თვის სათარეშოს და სანავარდოს“ (9, 239).

უბედურ დროში ადამიანები დემონთან სისხლით დებენ ხელშეკრულებას: „ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი,ვინ იწყევლება და იკრულება? მე, ის, დემონი, შენ ჟრუანტელი, ჩვენ სისხლით დავდეთ ხელშეკრულება“ (ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი) (2, 121).

ფაუსტიც მეფისტოფელთან სისხლით აგვირგვინებს ხელშეკრულებას: „ქაღალდის მცირე ნაჭერიც კმარა, შენ ხელს მოაწერ მას სისხლის წვეთით“ (6, 153).

გალაკტიონს სჯეროდა, რომ დემონის მეუფება დროებითი იყო, ამიტომ „როცა დაწყნარდა ქარი ღელვათა, უცებ აენთო ყველა სანთელი“ (2, 121).

„დროთა სიკვდილს“ მოჰყვა დემონის აღზევება, მაგრამ ბედისწერის ძალით ისევ აენთებოდა სიყვარულის, სიკეთის, მშვენიერების, რწმენის სანთელი, იმედოვნებდა პოეტი.

დემონი ემტერება სიკეთეს, მშვენიერებას, მოსვენებას უკარგავს „ბროლის რიტმი, მუსიკა“, „ალის ჭიქა“, „ლურჯი ედემი“ (დაბმული ჭინკა) (2, 590).

ალი, ცეცხლი ქრისტეს სიმბოლოა, ჭიქა, ედემი – მარიამის.

ბოროტ სულს აკრთობს სიკვდილის (თავის ქალის) დამმარცხებელი სიმღერები,

წიგნები, პოეზია: „და ორნამენტით აკრთობდა დემონს იმ მშვენიერი წიგნების ძალა, წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო ვარდით მორთული ჩნდა თავის ქალა“ (ვარდები) (5, 537).

გოეთეს „ფაუსტშიც“ მეფისტოფელს ეშინია ორნამენტის და ვირთხას სთხოვს, გაუხსნას ორნამენტის კუთხე, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა, ფაუსტის ოთახი დატოვოს.

„ბინდის სტუმარში“ გალაკტიონის ლექსის მარტოობით დატანჯული პერსონაჟი „ახალი მხარით“ ცდუნდება, მერე კი აღმოაჩენს, რომ „ჯადოთა შიშველ-ტიტველ მხარეში“ მოხვდა და ნიკოლოზ ბარათაშვილით შესძახებს ბოროტ სულს: „წყეულიმც იყავ!“ (3, 130).

გალაკტიონი დარწმუნებული იყო, რომ დროებით მოხდა დემონის აღზევება და იგი ცაზე ვარსკვლავის (ღმერთის) აელვარების იმედით ცხოვრობდა: „ვარსკვლავი იგი, ფიქრთა საგანი, ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი აელვარდება ცაზე ოდესმე – სულო, დემონზე უბოროტესო!“ (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა) (2, 212)

იოანეს გამოცხადებაში ღმერთის ბრძანებით ანგელოზმა ათასი წლით შეკრა ეშმაკი და უფსკრულში ჩააგდო (გამოცხადება, 20, 1, 2, 3) (10, 516).

წიგნთა წიგნის სიბრძნეს ნაზიარები ქართველი პოეტი კარგად ერკვეოდა სიკეთე-ბოროტების ბრძოლის საიდუმლოებაში.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ საქართველოს მტერი სახელდებულია, როგორც ავი ზრახვების ქაჯი, სატანა: „აქ შავი შავზე, ფიქრებით ავზე მიდამოს თავზე ადგას სატანა“ (9, 239).

დემონი, ლუციფერი, ავი სული გალაკტიონის პოეზიაში მხოლოდ გარეგნული ძალა როდია, იგი სულში ეძებს ბინას და მისი მიზანი ადამიანის არსებიდან „უმანკო ნათელის“ განდევნა, ღმერთის ადგილის დაკავებაა.

ლექსი „სასწაულს“ (1919 წ.) დემონური ძალისა და კეთილი საწყისის ურთიერთჭიდილის სიმძაფრეს ეხება.

ბოროტი ძალა სულში ჩასახლებულა მძვინვარე ლუციფერის სახით.

გალაკტიონის შემოქმედებას ახასიათებს კონტრასტი: ნათელი და ბნელი, კეთილი და ბოროტი,ქრისტე და სატანა.

თუ როდის ხდება სიკეთე ბოროტების წილხვედრი, ამაზე „ბინდის სტუმარში“ გვესაუბრება პოეტი: „...ახალი მხარე,ახალი ბინა, ჯადოთა მხარე შიშველ-ტიტველი მე მარტოობამ შემამჩნევინა“.

„სასწაულის“ ლირიკულ გმირს შეცნობილი აქვს ლუციფერის არსი და მისი ძალისხმევით ბოროტი სული მრისხანე ვეფხვივით დაკოდილი და მიძინებულია: „შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს, ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს, ლიუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს და ეხლა მძინარეს“.

ჯოჯოხეთია ლექსის ლირიკული პერსონაჟის თვალში, ხელებიც ბოროტებისთვის გარჯილან,მაგრამ გონსმოგებული სინანულით შეპყრობილია, შენდობას ითხოვს,ებრძვის, მიასიკვდილებს ბნელ ძალას, განწმენდის სურვილს ავლენს, განწმენდის უნარით მომადლებული კი ღმერთია, რომელსაც „უმანკო ნათელისა“ და „სასწაულის“ სახელებით მოიხსენიებს პოეტი: „შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ჩემს თვალებს, შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დაღალულს, მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს და ველი სასწაულს“ (2,162).

ნათელი ღმერთის სახელია: „მე ნათელი ვარ წუთისოფლისა“ (იოანე, 8, 12) (10,

195).

სასწაული ძველი აღთქმის წიგნებში მრავალგზის ფიგურირებს უფლის სახელად.

მივმართოთ ფსალმუნს:

„დიდი და სასწაულმოქმედი ხარ, შენ ხარ ღმერთი ერთადერთი“ (85-85,10).

„მოუთხრეთ ერს მისი ღირსება, ყოველ ერს მისი სასწაული“ (95/96, 3).

„უგალობეთ უფალს ახალი აღთქმა, რადგან სასწაულები მოიმოქმედა“ (97/98, 1).

„მოიმოქმედე ჩემს მიმართ სასწაული სასიკეთო, შემეწიე და ნუგეში მეცი“ (85/86, 17).

„გადიდებ უფალო, ვილაპარაკებ შენს სასწაულებს“ (9, 2).

„აქეთ იგი, ილაპარაკეთ ყოველ მის სასწაულზე“ (104/105, 2).

„გაიხსენეთ მისი სასწაულები, საოცრებანი“ (104-105, 5).

სასწაულის სახე გვხვდება წინასწარმეტყველ მიქასთან: „გაჩვენებ სასწაულებს, როგორც იმ დღეებში“ (7,15).

დანიელის წინასწარმეტყველებაში ხაზგასმულია ღმერთის სასწაულები: „რაოდენ დიდია მისი ნიშნები, – რაოდენ ძლევამოსილია მისი სასწაულები“ (III,10).

„იგი შველის და იხსნის, სასწაულებს და ნიშნებს ახდენს ცაზე და დედამიწაზე“ (დანიელი, 6, 28).

დანტემ ღმერთი მოიხსენია, როგორც „სასწაული“ (11,348).

გალაკტიონის ლექსში „ბნელცოდვილი ლუციფერის“ მძვინვარება დაამარცხა „უმანკო ნათელმა“ და „სასწაულმა“ (ღმერთმა).

ხშირად პოეტი თვალთმაქცური ღიმილის მიღმა სატანური სულის შხამს და გესლს ჭვრეტდა: „მე ვიცი სახე, რომლის ნაკვთებზე მხოლოდ სატანის სული კრთებოდა, შხამით და გესლით უძგერდა გული, იგი კი მაინც იღიმებოდა“ (ღიმილი) (3, 143).

გალაკტიონს აღაშფოთებდა „მავნე ქვეყნის სული“, რომელსაც ხალხთა უბედურება უხაროდა და „სასიკვდილო არიას“ მღეროდა (ვილანელი) (3, 312).

პოეტს არ გამოჰპარვია გველური ბუნების სატანა, რომელსაც პაციფისტის ნიღაბი ჰქონდა მორგებული: „...ისევ გველური მიპარებით იღება კარი და დემონივით ამ ლექსების შემოდის გმირი“ (გაიცანით, პაციფისტია) (5, 179).

უკეთური სატანები, დემონები ტყვიებს არიგებდნენ, რომ დედამიწაზე სიკეთისთვის ეძიათ შური: „მან შეაჩვია თვის სულს სატანა, ალი ქურების, დემონიურად მიუძღვის ღამით რაზმებს ტყვიებით, რომ დედამიწას უჩვენოს ამით შურისძიება“ (მოგონება) (2, 44).

პოეტი მომსწრე იყო დემონთა მიერ ორგანიზებული სამგლოვიარო ეტლების ფრენის: „დემონიურად მიუძღვის ღამით, სამგლოვიარო ეტლების ფრენას...“ (სამგლოვიარო ეტლების ფრენა) (2,36)

ბოროტების ქარის ორომტრიალში ბელზებელს ჭვრეტდა კიდით-კიდე (ქარიშხლის შემდეგ) (2, 128).

თითქოს დემონს ეპყრა ჭიანური და ადამიანურ წყურვილს ახშობდა (სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებს) (2, 77).

პოეტი წინასწარმეტყველურად ჭვრეტდა იმპერიალიზმის საშიშროებას, რომე-

ლიც სატანური ცელით ცდილობდა მიწაზე სიცოცხლის ათიბვას, სისხლიანი სამოსელის მორგებას: „მიწას კვლავ ეფინება იმპერიალისტური ომის საშიშროება, რათა სატანიური ცელით მიწა ათიბოს, რათა ასისხლებული მხრები მოიქათიბოს“ (მიწას კვლავ ეფინება) (5, 78, 512).

ეშმაკი გამუდმებით მახეს აგებს, ამასთან, „ალოცების“ პოზა უცხო არ არის მისთვის (გვიანი ოცნება) (3, 57).

დაფიქრება და შეეჭვება სჩვევია ბოროტ სულს (საღამოვ, ვიცი) (2, 57), მწუხარების ნიღაბს იკეთებს... (ვარ გენია რიმანელი) (3, 265).

ხშირად კი, როცა იწყება „აგუგუნება დემონთა გუნდის“, აშკარაა „ნგრევა ღრუბლების, დალეწილი ცა“ (ზღვის ეფემერა) (3, 208).

ლექსით მინიშნებულია დემონური ძალების მიერ სარწმუნოების უარყოფაზე.

მთაწმინდის იქით უხილავს პოეტს ბნელი ჩრდილების „დინგების გროვა“, დასისხლული მზე და ბოროტების აყვავება (შავი და ჩუმი დღის ყვავილები) და უსასოობის განცდა დაუფლებია (მთაწმინდის იქით) (3, 127).

დემონები წარუმატებლობის, დამარცხების შიშს უნერგავდნენ: „მე დემონები ქროლვით მარადით მომაგონებდნენ დაფარულ შხამით, რომ უიმედოდ მივქროდი ღამით გატეხილ შუბით და მუზარადით“ (მაგრამ მე რა ვქნა?) (3, 111).

გველისგან მოწამლული „ყვავილოვანი სიყმაწვილე“ და ქნარი ელეგიურ მოტივებს აძლევდა სტიმულს (ელეგია) (5, 30-31).

პოეტი ნატრობდა დემონთა დავიწყებას: „...მხოლოდ დემონთა დავიწყება ეძებს სამყოფელს, ყოველივესთვის იყოს იგი სამაგიერო“ (შენს სიყმაწვილეს) (3, 180).

საბოლოოდ გალაკტიონი კი არ ემონებოდა, ამხელდა სატანას: „იყავ სატანა, იყავ დემონი!“ (ბინდის სტუმარი)

ლუციფერთან ბრძოლაში „სასწაული“ – ღმერთი ეიმედებოდა და უსმენდა რა ლუციფერს, თან ბრძოლით ასუსტებდა,რითაც სიკვდილს და სიბერესაც ამარცხებდა: „ყრუდ ვუსმენდი ლიუციფერს, ის ბრძოლაში მივანელე, ვგმობ სამარეს და სიბერეს მე, გენია რიმანელი“ (ვარ გენია რომანელი) (3, 389).

ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა „ცხოვრებასა“ და ბელზებელს“ შორის იყო, რაც ერთ-ერთის გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო (გზადაგზა) (3, 445).

ცხოვრება, ყოფნა, სიცოცხლე ღმერთის სახელია: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14, 6) (10, 211).

ლექსში „დემონიური“ (5, 187) პოეტი გმობს სიცოცხლის – ღმერთის გარეშე ცხოვრებას: „არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე, შენ გაიარე სიცოცხლის ახლი... შენ გაიარე სიცოცხლის ახლო და სიცოცხლისთვის არ შეგიხედავს“ (სტანსები) (12,508-509).

სამყაროში ყოველივე წარმავალია, სულისა და მშვენიერების გარდა, ლაჩრისთვის კი მხოლოდ სატანა არის უკვდავი: „არარა ჰგიებს უკუნისამდე, სულ ყველაფერი მიდის და ჰქრება, ღრუბელს, ამართულს უზრუნველ ცამდე იდუმალება არ ესიზმრება. მშვენიერებას უხმო სიკვდილი მოელის ქვეყნად, თან არ მოელის... შენთვის, ლაჩარო, უკვდავი არის ხმა სატანასი და სამოელის“ (დემონიური) (7, 102).

„აღარ არსებობს იგი დემონი, ის ბრძოლით არის დასუსტებული, იქნება ძალას იკრებდეს ისევ, რომ დაუწეწოს მსოფლიოს სული“ – აცხადებს პოეტი.

სატანის, ბოროტის მძლეველი მხოლოდ სიყვარულის ღმერთია, რომელიც „ბნე-

ლეთის დემონს დაეჯახა, გაანადგურა და ქვეყნად ერთა სიყვარული დაასადგურა. ბოროტნი სულნი ხეობების იქით გარეკა, გამოცოცხლების, გაღვიძების ზარი დარეკა“ (სვანის დაბრუნება) (12, 55).

გალაკტიონის შთაგონება ზღვასთან, უდაბნოსთან, დემონებთან იყო წილნაყარი: „ზღვას, უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა შეეჩვია და სიმღერაც მხოლოდ მათთან სჯერა“ (ბედისწერა) (5, 150).

ლიტერატურა

1. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ. 1991.
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993.
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, თბ. 1988.
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. V, თბ. 1995.
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
6. გოეთე,ფაუსტი, თბ. 1961.
7. მერაბ კოსტავა, შეწყვეტილი ფიქრები, თბ. 1991.
8. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, თბ. 1991.
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. XI, თბ. 1973
10. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
11. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941.
12. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1994.

ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი

გალაკტიონ ტაბიძის ეროვნულ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსი ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდანვე საყურადღებოა.

ეპოქის მთელ კატაკლიზმებს აირეკლავს გალაკტიონის შემოქმედება, თანადროულობის ყოველ მოვლენას დაერქმევა თავისი ნამდვილი სახელი პოეტის გარდაცვალებამდე. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გზებიც განიჭვრიტება სულიერი „განათების წამებში“, რაც ქართველ ორფეოსს სრულ უფლებას აძლევს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე განაცხადოს: „ამ წიგნში მთელი საუკუნის ვიპოვე ბინა“.

„ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ პოეტი საგნების, მოვლენების „მიზეზთა მიზეზს“ ეძებდა, ბიბლიური წინასწარმეტყველივით ევლინებოდა ხილვები, რომლებიც მომავალს უცდომლად მიანიშნებდნენ.

რიტორიკის, მჭევრმეტყველების, მშრალი ცნებებით აზროვნების უარმყოფელი პოეტი „რკინისებური ლექსების ღვარში“ „ბროლის რიტმით“, ზეციური მუსიკით გვატკბობდა, ცხოვრების დაფარულ შრეებში გვახედებდა, განუჭვრეტელ ქაოსში იმ ჭეშმარიტებებს აგნებდა, რომელთა მიკვლევა მხოლოდ ერთეულთ, სულიწმიდის მადლით ცხებულთ ხელეწიფებათ. მთელი მისი ურთულესი ლირიკა არის ხიდის გადება ცისა და მიწის შემქმნელ ღმერთთან, სიყვარულის უფალთან, ქრისტესთან.

„ბუმბერაზის წინაგრძნობით“ მომადლებულმა პოეტმა ყოველგვარი ნიღბის გა-

რეშე იხილა სოციალ-დემოკრატთა სახეები, ოქტომბრის რევოლუციის რეჟისორთა სული, მათი საქმიანობის დამღუპველი შედეგები, წინასწარ დარწმუნდა, რომ სოციალიზმის სახელით არა ქრისტეს, არამედ ბარაბას გზას ერთგულებდნენ. გალაკტიონი მთელი ეპოქის აშკარა თუ ფარულ დინებებს მისწვდა.

პოეტების მეფემ ღმერთისუარმყოფელ, მეფისტოფელის საუკუნეში იცხოვრა. ამ ეპოქის დირიჟორი იყო სატანა, ანუ რუსული ბოლშევიზმი.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გალაკტიონი გამოცხადებული იყო რევოლუციის, საბჭოთა წყობილების, სოციალისტური აღმშენებლობის გულწრფელ მომღერლად.

მაგრამ გალაკტიონის საღმრთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველება, გრაალის, ქრისტიანული იდეალებისადმი ერთგულება გამორიცხავს სისხლიანი ძალადობისადმი პოეტის სიმპათიებს, თანაც რევოლუციის ცნება ერთმნიშვნელოვანი როდია და აშკარად სხვადასხვაგვარია დამოკიდებულება თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებისადმი.

გალაკტიონმა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებზე ჩაგვაფიქრა. დააფიქსირა რა საღვთო ვარდების გახმობა, გათელვა, გაყინვა-გაუჩინარება, რწმენის ხომალდების, სიყვარულის კოშკების დამსხვრევა, წყაროს ამოშრობა, ზეცის ნგრევა, „ფარული ცის“ სიდიადის გაქრობა, გაზაფხულის თუ მზიანი ღამის დაკარგვა, შეზარა სერაფიმის ცისფერი სულის გაშავებამ და რწმენის გადარჩენისკენ, „ყვავილთ შემოშენებისკენ“ მოუწოდა ტაძრის გზას აცდენილთ.

„ყრუ საუკუნეს“ დაავიწყდა სიყვარულის ხმა, „ლოცვა და პოეზია“, გალაკტიონმა კი „ციური ნანა“, „ციური გალობა“, „სიყვარულის სიმღერა“, „სიმღერათ სიმღერა“, „სამოთხის ჰანგები“ მოასმენინა, მისი „განწმენდის ხმა“, „ხმათ აიაზმის ნელი პკურება“, „ბაიის ბგერა“, „გაზაფხულის გამა“ ის სასწაულმოქმედი იმპულსი გამოდგა, რომელმაც „გარდაცვლილი ხმის“, ან დაკარგული, მაგრამ მარადის სალტოლველი იდეალის ხსოვნა გააღვიძა ადამიანებში.

„წმინდა ცის“ შუქით გაალებული პოეტის სული უცდომლად ჭვრეტდა მიწიერ უკეთურობებს და „არსაამსოფლო გზით“, ზეცის ცისფერი ბილიკებით მავალი მიწიერი კატაკლიზმების მიზეზებს უღრმავდებოდა, მეფისტოფელის, აპოკალიფსური მხეცების საუფლოდ ქცეულ ქვეყანას ხსნის გზებს უჩვენებდა ბოროტებისადმი ნიღბის ჩამოგლეჯით.

თითქმის ერთნაირი გაგებით შევხვდებით გალაკტიონის პოეზიაში ნადირის, აფთრის, ქაჯის, მგლის, გიენის სახეებს. ისინი აპოკალიფსურ მხეცთა ვარიაციებია და სამყაროში ბედისწერისაგან დროებით გამარჯვებული სიავის პერსონაჟები, რომელთა უფსკრულში ჩახოცვაზეც თვით ბიბლიურ ხილვებშია მინიშნებული.

შესაბამისად, ჭოტების, ქორების, ყორნების, ბუს, მიკიოტთა ჩხავილი ენაცვლება ბოროტებამოძალებულ საუკუნეში „სიყვარულის ხმას“, „ყრუ დედამიწას“ არ აინტერესებდა არაფერი ღვთიური.

„ცის შვილს“, ზეციური ვარდის ბაღისა და სულიერი ვენახის მცველ პოეტს აღაშფოთებდა სამართლიანობის სახელით დაღვრილი სისხლი, განადგურება, პრეტენზიული საქმიანობა ღვთისმგმობელი ურჩი თაობისა, რომელიც შეუბრალებლად თელავდა არა მარტო დრომოჭმულს, არამედ მოზარდსაც, წმინდასაც და გვაუწყებდა ქრისტიანული მორალის კრიზისს, ანტიქრისტეს მოვლინებას, მომავალი ცრუ ღმერთების, კერპების სახელით რომ გაუსწორდებოდა ყოველ მორწმუნეს.

ლექსი „ფრაგმენტებიდან: ცეცხლი ფიქრიანია“ რევოლუციურ დამსჯელთა

რაზმის ნგრევით საქმიანობას გვამცნობს: „ყველაფერი სრულიად გამხეცებულ ალისგან განადგურებულია“.

„მწყემსი კეთილის“ (ღმერთის) სიწმინდეს შეენაცვლა სისასტიკე, ალქაჯების მეუფება ამ სოფელზე: „ცხოვრება გაწყრა და გაალქაჯდა, მინდვრებში გატყდა ოცნება მწყემსის“ (პორტრეტი).

ქაჯის უარყოფითი სახე, რომელიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ არის ცნობილი, გალაკტიონ ტაბიძემ საბჭოთა სინამდვილის დასახასიათებლად გამოიყენა. ახალ დროში ხალხის მესვეურთ, მედროვეთ ცხვრის ტყავი აქვთ მორგებული, საქმით ქაჯები არიან: „თავმჯდომარე ცხვარია, იმისი ენა, საქმე ქაჯივით ცხარეა“ (ჩემი მეეტლე).

ძალზე საყურადღებოა ქაჯის პოეტისეული გაგება პოემა „მშვიდობის წიგნსა“ და „მახაჯირში“.

„მშვიდობის წიგნში“ მშვიდობის წიგნის (ღმერთის, რწმენის სიმბოლოა) ქურდად გამოყვანილია ქაჯი. პოემა, რომელშიც გაშუქებულია იმპერიული ამბიციების მქონე დიდი ქვეყნის მიმართება მცირე ერისადმი, აჯამებს იმ ბოროტებების, მუხანათობების სერიას, რაც ჩვენს ქვეყანას აწვნია „მტერმა მეორემ“, „მგმობარმა მეგობარმა“, რომელიც სახელდებულია ქაჯად. სწორედ ქაჯის მცდელობით დაიკარგა მშვიდობის წიგნი. დიდი დაკვირვების გარეშეც ცხადია, რომ ქაჯი რუსული იმპერიის სიმბოლოა, რომელმაც რწმენის სახელით გაგვაცურა, ჯერ დამოუკიდებლობა, მერე ღმერთის რწმენაც წაგვართვა.

„ამ ურწმუნო იმპერიას იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ეშმაკის ტახტის მემკვიდრე ეწოდება და ის საბჭოთა კავშირია“ (იოანე-იონა, „რა უნდა ვაკეთოთ“, თბ. 1994 წ. 411).

გალაკტიონის პოემაში საუბარია მახეზე, ბადეზე, დიდ შეთქმულებაზე, წყლის ამღვრევაზე, მზის გაუჩინარებაზე.

იმუქრებიან ქაჯთ მიერ გადანაბირები ზვირთები: „სახლები დიდი მან დაანგრია და იქადიდა: „რაკი აგრეა, მიჰყე, ჰე, მიჰყე, აბა აიღე, რაც თქვენი ციხე და სიმაგრეა... კიდეც მოვალო თქვენს ასაკლებად“.

ხალხი ხდება სიცივის მძევალი, თოვლის, ზვავის მსხვერპლი, ჩრდილოეთიდან მოსული ქაჯის, მოყვრად შემოპარული მტრის სამიზნე; მიდამოს სატანა დაეპატრონება, ხდება „გადაშენება იათ და ვარდთა“, ჯაგის, ყვავილთ მომშთობი ეკლების მომრავლება.

სანთელი ქრება, მზე ჩადის (მზე და სანთელი საღმრთო სახელებია), მამული ნისლის სამეფოდ იქცევა.

ღამემ აღაზევა ძაღლები, მგლები, ბაყაყები, ჭოტები, ჯოჯოები, ისმოდა „დევების უგონო აურზაური, სულ შინაური და გარეული აურზაურის ხმა არეული“, „მრავალ ათას ხმის... თავდასხმა და სითამამე“ აყრუებდა დამხვდურის სმენას.

საგულისხმოა ნადირთა სათარეშოდ ქცეულ ქვეყანაში მოვლენილი ვეფხვი და მისი ზრახვები: „ვეფხვი გოჯგოჯად მსხვერპლს ეპარება... ამბობს: რას მაძლევ, თქვი, მეჩქარება. ბრჭყალით ნატორი ერთი თუ ორი ზუსტი და სწორი წამოწვა შქერი. ეს სამოსახლო რა ნახა ტურფა, მიზნები ახლო რა დაიჯგუფა, მარდი, ვით ელვა, შებოჭა ღელვა, დრო შეინელა და ჰა, ისკუპა... დიდი აქვს მადა“...

მტერს სურს „რამე ნამცეცი მიწის და ზეცის“, თან მიაქვს ჩვენი ტყე, მძვინვარებს ქაჯთ მიერ გადანაბირები ზვირთები, იღუპებიან ადამიანები, იძირება ბავშვე-

ბიანი აკვნები.

აღსანიშნავია, რომ ეს უბედურება მშვიდობის წიგნის (ღმერთის) უარყოფის შემდეგ მოხდა. ბოლოს ხალხი ჩაწვდა თავისი ტრაგედიის მიზეზებს, ტარიელმა იპოვა ქაჯების მიერ გატაცებული წიგნი, მერე წარღვნა დაცხრა, ამინდი გამზიანდა, „მზის სვეტი“ გამობრწყინდა. წიგნის კითხვით ხალხს „შუბლს დაესახა ცისიერება“, „დიადად გათენდა“, „ცისკრის წამწამი ახამხამდა“, განთიადი დაბრუნდა (ცისკარი, განთიადი საღმრთო სახელებია), მაგრამ წყალდიდობის შედეგად დარჩა სიმყრალით სავსე ორმოები, სადაც „ყვავილები ვერ იყვავილებს“.

პოემის ავტორი ხალხს ურჩევს, რომ სიმწრით ნაპოვნი წიგნი გალავნიან ციხეში შეინახოს, კარები მაგრად ჩაკეტოს, ჭიშკრები ჩარაზოს და ყოველი გადამთიელი არ ათარეშოს თავის მიწაზე, უფრო მეტი სიფრთხილე იფაროს ფარად.

ქმედითი ეროვნული იდეოლოგია ასეა გამოთქმული: „ხიფათში მყოფო ვაზო და მდელო, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე“, „უფრო მეტად გამჭრიახობა იყო იმედად“...

ნაწარმოებში დატრიალებული უბედურების რეჟისორია, როგორც უკვე მივუთითეთ, ჩრდილოელი ქაჯი, „მტერი მეორე“, „მგმობარი მეგობარი“.

ერთა გათქვეფის პირობებში, ყალბად გაგებული ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ქადაგებისას, როცა „უფროსი ძმის“ სინდრომი მძლავრობდა და მცირე ერების ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა, მის უფლებებს ფეხქვეშ თელავდა, ბუნებრივია, პოეტი აშკარად ვერ იტყოდა თავის სათქმელს და ამიტომაც მიმართა სიმბოლო-ალეგორიებს. 1945-1956 წლებში, როცა „მშვიდობის წიგნი“ დაიწერა, უმთავრესად დაშიფრულ მეტყველებას ეფარებოდნენ სიმართლეს მოწყურებულნი და გალაკტიონიც ამ ნაცად გზას დაადგა.

„მახაჯირში“ იმპერიული რუსეთის მიერ აფხაზთა გადასახლების ისტორიული ფაქტია (1864-1877 წ.) ლექსის თემა. მახაჯირი „მახინჯთაგან მოღრუბლულ ჟამით“ განცდილ სამშობლოს ჭირს იგონებს და „მშობლიურ მიწის ერთი მუჭა თან მიაქვს უბით“. ირგვლივ ნისლის, ღრუბლების, წვიმის, სიცივის თარეშია, მახაჯირის ცრემლებსა და სისხლის გუბესთან ასოცირებული.

მახაჯირობის რეჟისორს ჰქვია „ქაჯი თვალირიბ უპით“. ლექსში გააზრებულია „აწიოკების და დანგრევის ხანგრძლივი ძირი“.

ქაჯთაგან განწირული მახაჯირი ისევ ქვეყნის ერთობაზე და ბრძოლით გადარჩენაზე ოცნებობს: „თუ გაიელვებს იმათ თვალწინ ჩვენი ხანჯალი, ჩონგურს ძველებურს თუ სიმები ისევ გავუბით, კვლავ შემოვძახებ ძველ სიმღერას მე, მახაჯირი“.

რწმენა ისევ ახალი გზის ძიებას ჩააგონებს მახაჯირს: „არა, არაა ყველა გზები გადანარუჯი, მჯერა, მხურვალე მზე დაგვიცავს ელვარე შუბით“.

შინაგანი სამართლის გრძნობა და კეთილი მიზანი ბოროტი მოწინააღმდეგის დამარცხების, გამარჯვების იმედს აღვივებს: „იმედს არასდროს არა ჰკარგავს – ვინც ომს აპირებს; უიმედოა მხოლოდ ქაჯი თვალირიბ უპით. ერთი იმედი უცხო მხარეს მიმაქვს მახაჯირს, მშობლიურ მიწის ერთი მუჭა თან მიმაქვს უბით“.

ეს ერთი მუჭა მიწა როგორც მამელუკებს, ისე საკუთარი მიწიდან მტრის ნებით მოწყვეტილებს, ფესვთან, ძირთან მარადიული კავშირის სიმბოლოდ ესახებოდათ, რომლის გარეშეც მხოლოდ ფიტულს ემსგავსება ადამიანი. ეს ერთი მუჭა მიწა რწმენის, სამშობლოსთან სიახლოვის, მომავალი ბედნიერების იმედს და სასიცოცხლო ცეცხლს აერთებდა ყოველთვის...

ლექსში გაიგივებულია ნადირი და მხეცი, ნაწინასწარმეტყველებია მათი დროებითი მეუფება, აღმოსავლეთის აყვავება: „გარდავა ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი, აღმოსავლეთი მოირთვება ცისკრის ალუბლით, მომავალ დროშებს ახლავე ვგრძნობ მე, მახაჯირი“.

ასე მტკივნეულად განიცადა გალაკტიონმა, წინაპარ ქართველ მოღვაწეთა დარად, აფხაზეთის ტრაგედია და ისტორიის მწარე განაჩენი უსაგზლა მომავლისთვის ბოროტების იმპერიის რეჟისორებს.

გალაკტიონის პოეზია სავსეა აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერებით, პოეტი ზუსტ სახელს არქმევს მოვლენებს და იმ მასშტაბურ კატაკლიზმებს გვიჩვენებს, რომელიც ინსპირირებული იყო წითელი გველეშაპის, მისგან ხელდასხმული მხეცებისა თუ მათი სულიერი მემკვიდრეებისაგან.

მხეცის სისასტიკეს, მის გამანადგურებელ საქმიანობას, სისხლის მორევებს, ცეცხლად აგიზგიზებულ ბოროტებას, ცრემლების ოკეანეს, სიკვდილის მეუფებას გვიხატავს გალაკტიონის „პოემიდან – იგი ომია“: „ხმობით საშინელით თხრილში ჩაჩრილები, ნისლი მორგებია სახე ფითრებული, ეხლა საშინელი გროვა დაჭრილების თითქო მორგვებია დასახიჩრებული... განა სისასტიკით, რაც აქ დაიღვარა სისხლის მორევები, გამოიზომება? მხეცი თოკიანი დაჰქრის უვნებელი, ქვეყნებს შევლებია ცეცხლის მეზოდენი, დადგა ოკეანე დაუსრულებელი, ეს ხომ ცრემლებია, მაგრამ ესოდენი?“

„ზეცის ნგრევა“ (უზენაესის დაგმობა), „მიწის გადაფერდება“ (ქვეყნიური უკეთურობები) მხეცთა და დემონთა ღვაწლია ისევე, როგორც ბინდის სიცივე, დაწყევლილი სინდისი, გაშიშის სევდა, ობობას ქსელი, ბურუსები, მონგრეული ზეცა, სისხლით მთვრალის სიცილი: „თითქო მოინგრა ზეცა, სისხლი, სიცილი ლოთის, თითქო მალული მხეცი უფსკრულებიდან მოდის“.

„სისხლში“ წარმოგვიდგება გაუგონარი რეპრესიების ხანა, ერის რჩეულთა ფიზიკური და სულიერი შემუსვრის პროცესი, რომელსაც წარმართავს მხეცი: „საშინელია, იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები. შენი სახელი მათ მიუეცრად – მხეცი! არც მეტი და არც ნაკლები“.

უბედურებათა შემოქმედს კმაყოფილებას განაცდევინებდა მშობლიური ცხედრები, სისხლის მორევი: „როს მუხლებამდე სისხლის მორევი გსვრის და მშობლიურ ცხედრებს ეხები, კმაყოფილი ხარ მათი მორევით, ყელამდე სისხლში მიდის ფეხები“.

ამ მოვლენების ოსტატს ჰქვია „უმტკიცესი ბოროტება“, „მკვლელი“, და იწყება „სისხლის კივილი“, მკვლელის, იუდას შეცნობა: „ო, რა თქმა უნდა, ცხედრები მუდამ სდუმანო, მაგრამ სისხლი მწარდება, სისხლი იძახის: მკვლელი, იუდა! სისხლი არასდროს არ დაწყნარდება!“

მერე „მხეცები“ ერთმანეთსაც დაერევიან, ცდილობენ, დაასწრონ ერთიმეორეს და ბოლოს ყველა დახვრეტით ამთავრებს სიცოცხლეს: „იმედი, შენი ბრძოლის საგანი, მოულოდნელმა ქარმა ახვეტა, მოღუშულია შენი საკანი, ხვალ უსათუოდ გელის დახვრეტა“.

გალაკტიონი ამხელდა „მშობლიურ ცხედრებთან“ შეხებით გახარებულ მხეცებს, რომელთაც ჩვენშიც ჰყავდათ ადრესატები.

პოეტის ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიპათიურად ყოფილა განწყობილი სტალინისადმი, რომლის რეპრესიებსაც შეეწირა მისი მეუღლე ოლია ოკუჯავა.

1959 წლის 9 მარტის წინადღეს არ აჰყვა ეგზალტირებული ახალგაზრდების ძა-

ხილს: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“

გალაკტიონის დამოკიდებულება ბელადად აღიარებული სტალინისადმი ვლინდება ასეთ შენიშვნებში: „ასეც არ შეიძლება, ამხანაგო სტალინო!“ „სტალინის შესახებ რაც ლექსებია... ჰმ...“

იმ დროს დამკვიდრებული სახოტბო ლირიკის პათეტიკას გალაკტიონმა ასეთი მამხილებელი სტრიქონები დაუპირისპირა: „მაშ ძირს მფლობელობა კაენ-იუდების, ქნევა და თარეში ბერიას კუდების“.

პოეტს ბერია წარმოუდგენია ტოტალური ბოროტების რეჟისორად: „ბერიაა ნაშენებ შენობას რომ მოშლიდა, ბერიაა – ქართველი ერი რომ ამოჟლიტა, ბერიაა – ცხედრებით ქვეყანა რომ დაჰფარა, ბერიაა – სინათლე ბნელს რომ გადააფარა“.

კონკრეტულ პიროვნებას მიმართავდა ერთ ლექსში: „შენ ხარ ის მხეცი, რომელიც ყეფას არ აგვიანებს, უცხო ნაჯახით შენ უპობ კეფას ადამიანებს“ (ვახტანგ ჯავახაძის წიგნიდან „უცნობი“).

„ცალთვალა მეფისტოფელი“, „ბნელცოდვილი ლუციფერი“, სატანა, ბელზებელი, შავი დემონი ეპოქის ტოტალური ბოროტების მახასიათებლებია.

„სხვა სახელმწიფოს ძლიერი ცოფით“ მოწამლულ ხალხს ურჩევს პოეტი, საღად შეხედოს სინამდვილეს და მაშინ გულმართლის ნიღაბში დემონი შეიცნობა: „გულმართლის, სახე-კდემობის ჩამოიშორე ნიღაბი, რომ დაინახო დემონის ენერგიული ნიკაპი!“

„მწარე კბილის“, „ჯოჯოხეთური ალის დამნთები“, „საშინელი განადგურების“ მომტანი მხეცი ბობოქრობს ლექსში „არ არის იგი იმდენად ტკბილი“.

მხეცისა და მის თანამზრახველთა სახეები ამოიცნობა ლექსში „მთაწმინდის იქით“: „...არ არის შველა, ბნელი ჩრდილები მრავლდება, როგორც სიბნელეში დინგების გროვა“. აქ დატრიალებული უბედურების ფონზე მსოფლიოს მწუხარება მხოლოდ ლანდად, ჩრდილად ისახება.

ლექსში „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ – სიკეთე მოკლულია, „როგორც აფთარი“, მხეცის საქმეებია სისხლი, სიკვდილი, წარღვნაში მცურავი ცხედრები, „გადამსხვრეული სწორი კენარი“ (უარყოფილი სიცოცხლის ხე ანუ ღმერთი).

ნერონის ცეცხლი, ჯვარცმა, უბედურება, რღვევა, ცხედრები, გილიოტინა და ეშაფოტი ილანდება მხეცის ბრჭყალებში ჩავარდნილ თბილისში (თბილისი).

დროის მახასიათებელი აფთარია: „ეს დრო-აფთარი შენ საუკუნის სვლას მიანებე... ყველაფერი არის სიზმარი“ (ელეგია).

მხეცი არ ცნობს მზეს, იგი საღამოს ბინადარია: „აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე, უცნობი მზისთვის, ყოველ ქვეყნის და დროის გარეშე ცხოვრობს თავისთვის. საღამო მშვიდი აძინებს მხეცებს, ეხლა თავიდან აჩრდილი მზიან ადგილებს ეძებს, მზე კი ჩავიდა“ (აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე).

1924 წელს დაწერილ ლექსში „ისევ ეფემერა“ ურბანიზებული დრო, რკინის ეპოქა გამხდარა სიკვდილის მთესველი და „სასტიკია, როგორც გეენა მისი სისწრაფის ულმობელობა“. გეენა აფთარია.

ბუნებაზე შურისმაძიებელი უგუნური ადამიანის ლეში სიკვდილის შემდეგ აფთრის კერძია (დაუმეგობრდა).

„სამგლოვიარო ეტლების დემონიური წინამძღოლის“ სახეში დიქტატორ იმპერატორთა საქმიანობა ცნაურდება.

„წმინდანის მტერთა“ – ქაჯების, ალების, ჭინკების მეუფებას ასპარეზი გამოეცლებოდა, უსივრცობაში დღის გათენებისას ისინი გაიფანტებოდნენ, ასე სჯერო-

და პოეტს (ქაჯები, ალები, ჭინკები).

ჭინკა ემტერება ყოველ ამაღლებულს – სიმბოლურ „ალის... ჭიქას“ (ალი – ქრისტე, ჭიქა – მარიამი), „ლურჯ ედემს“ (მარიამის სახელია) ქარს უგზავნის, სძულს „ბროლის რიტმი, მუსიკა“ (საღვთო ჰანგები), მაისის ბაღი (ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით), ამარჯვებინებს უდაბნოს (ურწმუნოებას, უსულობას), ჭინკა ქვითინებს პოეტის ბინაში და შემოქმედების ამაოების, სიკვდილის გარდუვალობის ინტონაციებით წამლავს სულს: „რად გინდა ბროლის რიტმი, მუსიკა, სიკვდილი გელის“. მაგრამ, საბედნიეროდ, ჭინკა დაბმულია და მისი ბოროტი ზრახვები მიზანს ვერ აღწევს (დაბმული ჭინკა).

ჭოტებთან ერთად მგლებიც დაიღუპებოდნენ, ზაფხული (ღმერთის სიმბოლური სახელია), რწმენა ისევ გაძლიერდებოდა, ამის იმედი აცოცხლებდა პოეტს და მთელ ევროპას ნიშნისმოგებით მიმართავდა: „ევროპავ, როგორ არ იცი, მიდის ეს მწარე ზამთარი – ღამის რაინდი ჭოტია, მგელს ღამე უყვარს ავდარი, მივაგნებთ იმათ ბუნაგებს; ზაფხული ხალებს დააგებს, იცოდე: ბრიყვის მონაგებს ისევ ჭკვიანი წააგებს“ (ევროპავ, როგორ არ იცი).

იოანეს გამოცხადებაში საგულისხმოა ორი მხეცის სახე.

გამოცხადებაში მხეცი წინასწარმეტყველებს დახოცავს, მაგრამ ისინი სამნახევარი დღის შემდეგ გაცოცხლდებიან და ზეცაში ავლენ (გამოცხადება, 11, 7, 8, 9. 10).

„წითელ გველეშაპს, წუთისოფლის მაცდურს“ (თ. 12) ებრძვის მიქაელი ანგელოზებთან ერთად ზეცაში და უწმინდურს ჩამოაგდებენ მიწაზე. იგი თავის ძალას, ტახტს და დიდ ხელმწიფებას მისცემს ზღვიდან ამომავალ მხეცს, რომელიც გმობს ღმერთს. მას თაყვანს სცემენ ისინი, ვინც ჩაწერილი არ არიან სიცოცხლის წიგნში, რომელიც აქვს კრავს (აპოკალიფსი, 11, 1...8).

შემდეგ გამოჩნდება მიწიდან ამომავალი მხეცი, რომელიც მხეცის ხატებას გააკეთებს და აიძულებს ყველას, თაყვანი სცენ მას.

ხელზე ან შუბლზე მხეცის ნიშნის მიმღებნი სვამენ ღვთის მრისხანების ღვინოს (იქვე 14, 10). მათი წამების კვამლი დის უკუნით უკუნისამდე.

ღვთის მძვინვარების შვიდი თასის მიწაზე გადმოღვრის შემდეგ მხეცის ნიშნის მქონე ადამიანებს უჩნდებათ საზარელი ჭრილობები (გამოცხადება, 16, 1, 2).

მეხუთე ანგელოზი გადმოღვრის თავისი თასიდან მხეცის ტახტზე და დაბნელდება მისი სამეფო (16, !0).

გველეშაპისა და მხეცის, ისე ცრუწინასწარმეტყველთა პირიდან გამოსული სამი უწმინდური სული ბაყაყის სახეს ღებულობს, ეშმაკის სულები ახდენენ სასწაულებს, გამოდიან მთელი მსოფლიოს მეფეებთან, რათა შეკრიბონ ისინი ყოვლისშემძლე ღვთის დიდი დღისთვის (16, 14).

გამოჩნდება შვიდთავიან და ათრქიან მხეცზე მჯდომი დედაკაცი (17, 1, 2).

ათი მხეცი შეებრძოლება კრავს, მაგრამ კრავი გაიმარჯვებს.

მხეცი მეფობს, ვიდრე არ ასრულდება ღვთის სიტყვა.

მეძავი დიდი ქალაქია, რომელსაც აქვს მეფობა დედამიწის ათ მეფეზე. ათი მხეცი ათი მეფეა.

მხეცსა და მის თაყვანისმცემლებს ჩააგდებენ ცეცხლის ტბაში (9, 17, 20).

ანგელოზი გველეშაპს შებოჭავს ათასი წლით და უფსკრულში მიუჩენს ადგილს.

„მაცდური ეშმაკი ჩაგდებულ იქნა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც მხეცი და ცრუწინასწარმეტყველები იმეფებენ და დაიტანჯებიან დღე და ღამე, უკუნითი უკუნისამდე“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 20, 10).

გალაკტიონის პოეზიაში დახატული უფსკრულებიდან მომავალი ბრჭყალებიანი მხეცი და აპოკალიფსის მიწის მხეცი, ვფიქრობთ, ერთი და იგივეა.

ბიბლიის კომენტატორები აკონკრეტებენ აპოკალიფსურ მხეცთა ადრესატებს.

„ზღვიდან მომავალი“ მხეცის თავი, რომელმაც სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და არ მოკვდა – ლენინია. მან იმეფა 42 თვე, 1917 წლიდან 1921 წლამდე, ვიდრე შეეძლო აზროვნება, რის შემდეგაც მეფობდა მეორე მხეცი – სტალინი, რომელმაც შექმნა პირველი მხეცის ხატი და დახოცა ყველა, ვინც თაყვანს არ სცემდა მას.

იქვე, აპოკალიფსის მე-16 თავში ნათქვამია, რომ პირველი მხეცი, ზღვიდან ამომავალი, ნიშნავს ხალხის მღელვარებიდან მოსულ ბელადს – ლენინს, მეორე მხეცი, მიწიდან ამოსული, არის იატაკქვეშელი (ბოლშევიკი) სტალინი (იოანე-იონა, „რა უნდა ვაკეთოთ“, თბ. 1994 წ. გვ. 411).

ზღვიდან ამომავალ 7-თავიან და ათრქიან მხეცს რქებზე ათი ჯიღა და თავებზე ღვთისმგმობელი სახელები აწერია (გამოცხადება, 13, 1).

მთელი დედამიწა ეთაყვანება მხეცს, ამბობენ: „ვინ არის ამ მხეცისთანა და ვის ძალუძს მასთან შებრძოლება?“ (13, 4) „მიეცა მას პირი, რათა მედიდურად ელაპარაკნა და დაეგმო ღმერთი“.

„გახსნა მან პირი ღვთის საგმობად და დაგმო მისი სახელი, მისი სავანე, ცაში დავანებულნი“ (13, 16).

„ნება მიეცა მას, რომ ეომა წმინდანებთან და გაემარჯვნა მათზე. მიეცა მას ხელმწიფება ყველა ტომსა და ხალხზე, ენასა და ერზე“ (13, 7).

„თაყვანი სცა მას დედამიწის ყველა მკვიდრმა, რომელთა სახელებიც არ არის ჩაწერილი სიცოცხლის წიგნში, რომელიც აქვს წუთისოფლის დასაბამიდან დაკლულ კრავს“ (13, 8).

აშკარაა, აქ ამოიცნობა ურწმუნო იმპერიის შექმნა და მისი უღმერთო მესვეურები.

მიწიდან ამომავალი მეორე მხეცი ზღვის მხეცის ხელდასხმული იყო და აიძულებდა დედამიწის მკვიდრთ, თაყვანი ეცათ პირველი მხეცისთვის, რომელსაც განეკურნა სასიკვდილო ჭრილობა (13, 12).

ახდენდა დიდ სასწაულებს, ცეცხლიც კი ჩამოიტანა ციდან დედამიწაზე (13, 13).

ეუბნებოდა დედამიწის მკვიდრთ, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება (13, 14).

მიეცა უფლება მხეცის ხატებისთვის სულის ჩასაბერად, რომ მხეცის ხატებას ელაპარაკა და ემოქმედა ისე, რომ მოკლულიყო ყოველი, ვინც თაყვანს არ სცემდა მხეცის ხატს (13, 15).

აიძულა ყველა – პატარები და დიდები, მდიდრები და ღარიბები, თავისუფლები და მონები – მიეღოთ ნიშანი მარჯვენა ხელსა ან შუბლზე (13, 16).

რომ არავის შეძლებოდა ყიდვა-გაყიდვა იმათ გარდა, ვისაც ექნებოდა ნიშანი – მხეცის სახელი ან მისი სახელის რიცხვი (13, 17).

როგორც ცნობილია, ახდა ბიბლიური წინასწარმეტყველება, შეიქმნა უღმერთო იმპერია ტირანი, უღვთო მესვეურებით, რომლებიც დევნიდნენ და ხოცავდნენ მორწმუნეებს, კამათლებივით ათამაშებდნენ ადამიანის ბედს, თავისუფალი სულის ჩაკ-

ვლას, პატარა ერების დამოუკიდებლობის წართმევას შეალიეს მთელი თავიანთი ძალისხმევა, უდანაშაულოთა ლეგიონები ჩააწვინეს მიწაში, ან სამუდამოდ, გაუმთელებლად გაუბზარეს სული, მაგრამ წითელი გველეშაპის ყოვლისშემძლეობასაც მოეღო ბოლო, იგი შეკრეს უფლის ნებით და უფსკრულში დაუდეს ბინა, ანუ დაემხო ბოროტების მთესველი სისხლიანი იმპერია.

ბიბლიაზე დამყარებით, გალაკტიონიც წინასწარმეტყველებდა ჩვენი უბედურების მოთავე ნადირ-მხეცთა გადაშენებას და, თუმცა იმედები სიცოცხლეში არ ასრულებია, საუკუნის ბოლოს მაინც გავხდით ტოტალური ბოროტების უკანდახევის მოწმე.

ხოლო აღმოსავლეთი, საიდანაც გამოჩნდა ცოცხალი ღმერთის ბეჭდის მპყრობელი ანგელოზი (გამოცხადება, 7, 2-3), ჯერჯერობით ისევ შეჭირვებულია და „ცისკრის ალუბლების“ გამოჩენას მოელის...

თავი V
ჩემი სამშობლოს სანახავიდან
„მშობლიური ეფემერა“

გალაკტიონ ტაბიძე ჩვენს პოეზიაში დამკვიდრდა უბერებელი დევიზებით: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“, „ჩემი სამშობლოს სანახავიდან“, „სამშობლო უმთავრესია“, „სამშობლოს წინსვლა... აი პირველი, აი პირველი, რის სიყვარულიც მე მისწავლია!...“

პოეტის ერთ-ერთი საყვარელი ეპითეტია „მშობლიური“. მის ლექსებში მშობლიურია ქარი, სიო, მშობლიურია სიჩუმე, ხე, ნანა, მშობლიურია მიწა, ეფემერა.

ეფემერები მრავალგანზომილებიანია: გამოიყოფა „ზღვის ეფემერა“, „ისევ ეფემერა“, „მშობლიური ეფემერა“. ყურადღებას იქცევს „წუხილი ეფემერიდის“, „ძახილი ეფემერიდის“, „ეფემერის ფანტაზმა“, „გადარევის ეფემერები“, „ნუგეშმცემი ოცნება ეფემერიდის“, „ეფემერული ფერადი ქარები...“

გალაკტიონის სამშობლოს თემაზე დაწერილი ლექსები გაჯერებულია ტკივილით, ეჭვებით, შეურიგებლობით, მოწოდებით, გაფრთხილებით, სიბრძნით, ცრემლიანი რწმენით და ეს ბუნებრივია. ბორკილებიანი შეხვდა ჩვენი ქვეყანა მეოცე საუკუნეს. სამი წლით მოლანდებული თავისულება ისევ ხელყო 1921 წლის 25 თებერვალს მოყვრულად მოსულმა მტერმა და აპოკალიფსური მხეცების სათარეშოდ იქცა ქვეყანა. კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანს ვერ ეღირსა აშვება, რამაც განუკურნებელი ტკივილით აავსო პოეტის სული.

მართებულად შენიშნავს რევაზ თვარაძე, რომ „სამშობლო გალაკტიონისათვის „თემა“ არასოდეს ყოფილა (ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველასათვის ბუნება; ხოლო რუსთაველისათვის – სიყვარული). ეს თვით არსებობა იყო, მისი პირადი სიცოცხლეც და სამყაროს ყოფნაც. მას აბსოლუტურად ჰქონდა ნაგზნები... დაფარული შინაგანი საწყისები, სულიერი რაობა ერისა“ (1, 28).

იავარქმნილი რწმენის, დამონებული სამშობლოს ტკივილები ახალი ძალით გაცხადდა გალაკტიონის „მშობლიურ ეფემერაში“, რომელშიც საოცარი დატვირთვის, ღრმა ქვეტექსტების მქონე სახეებია: ამირანის კვნესა, დარიალის ზარი, დაცარიელებული ყვავილთა ცა, ღრუბელშემოსილი ყაზბეგის შუბლი, გადასხვაფერებული მშობლიური ხეები, უცხო ზამთრისაგან დაკარგული ბილიკი, გაძარცული ხე...

პოეტის ხილვაში ცოცხლდება ტრაგიკული რეალობა: „ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს – ზამთარს ბილიკი დაუტანია... „დიდი ხანია? – მივმართავ ტყეებს და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია“...

ერთი შეხედვით, შეჩვეულ, ემპირიულ სამყაროში, ნაცნობ რეალობაში ხდება ერის უარსებითესი პრობლემების წარმოჩენა.

გადასხვაფერებული „მშობლიური ხეები“, რომლებიც ვეღარ იცნობა, შერყეული რწმენის სიმბოლოა. ხე (სიცოცხლისა და ცნობადისა) ღმერთის სიმბოლოდ მოიაზრება ძველ და ახალ აღთქმაში, ღვთისმეტყველებაში, სასულიერო პოეზიაში, კლასიკოსთა ნააზრევში.

„იესო ქრისტე ცხოვრების მომნიჭებელი ხეა. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, სასულიერო პოეზიაში ხე ცხოვრებისა ღვთაების მეტაფორული სახელია (დაბ. 2,9, გამოცხ. იოანესი, 22,1-2). ხე ცხოვრებისას შესახებ საინტერესო შეხედულებები

გააჩნიათ გრიგოლ ნოსელს, იოანე დამასკელს და სხვებს“ (2, 120-121).

გალაკტიონის ლექსის სახეცვლილი ხეები და მასთან მისასვლელი ზამთრის მიერ ჩახერგილი ბილიკი უარყოფილ რწმენაზე მიგვანიშნებს. ზამთარი ასოცირდება რუსულ ბოლშევიზმთან, რომელმაც თავს მოგვახვია მარქსიზმი, ურწმუნოება.

გზა და ბილიკი საღმრთო სახელებია.

ძველ აღთქმაში ღმერთს ეწოდება „შარაგზა“, „წმიდა გზა“, „უცნობი გზა“, „ცოცხალი გზა“, ახალ აღთქმაში „გზა“ (იოანე, 14, 6) (3, 211).

ბილიკი, უცნობი ბილიკი საღმრთო შინაარსისაა ესაიას წინასწარმეტყველებაში: „წავიყვან ბრმებს მათთვის უცნობი გზებით და მათთვის უცნობ ბილიკებზე გავატარებ“ (ესაია, 42,16) (4, 105).

ან: „ასე ამბობს უფალი, ზღვაში გზის მიმცემი და ბილიკისა ბობოქარ წყლებში“ (ესაია, 43,16) (4, 106).

გალაკტიონის შემოქმედებაში მრავალგზის გვხვდება სიმბოლური ზამთარი. შემთხვევითი როდია, რომ ალვის ხეს (სიცოცხლის ხეს) თოვლი მოსავს, თოვლიანია ნაძვი (სიცოცხლის ხე), თეთრ თოვლის ქვეშ უჩინარდება მთა (მარიამი), მთა ბინდდება უსაზღვრო ღამით, თასი (მარიამის სიმბოლოა) ყინვიანია, ყინულოვანია სახლი, ქუჩა, ქალაქი, გაყინულია ქვეყნის გული, ცა, ოცნება, მხედარი, სულში „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინულია“, იანვრის თოვლით ჭკნება სულის იები, მაისშიც იყინება ნაკადული, ჩვენს ბედისწერად ქცეულა „გულისდამხშობი“, არამშობლიური ზამთარი, მისი „მწუხარე თოვლი“, „შავი თოვლი“, „საუკუნის თოვლი“ და ზვავი ემუქრება საქართველოს არსებობას.

საოცარი ფრაზაა: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა“.

ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, გემი რწმენაა (5, 453).

გამომდინარე აქედან, საანალიზო სტრიქონი ასეთნაირად შეიძლება გაიშიფროს: ერთნაირმა რწმენამ, ანუ ქრისტიანობამ მიგვიყვანა „მწუხარე თოვლის“ – ჩრდილოელი მეზობლის სამეფოსთან.

არა ქართული „გაზაფხულისმაგვარი თოვლის“, არამედ „შავი თოვლის“ შიშით დაიზაფრა ერი. უცხოური ზამთრის ქარიც წითელია, სისხლის, აღსასრულის, სიკვდილის მოციქული. პოეტის სულში კი „იისფერი თოვლის, ქალწული თოვლის“ სილამაზე იყო და „მრგებელი ქარის“, მშობლიური ქარის სიყვარული.

კარგა ხანია ამ რუსული ზამთრის, „სიცივის მძევალი“ იყო ჩვენი ქვეყანა, როგორც მოსწრებულად არის ნათქვამი „მშვიდობის წიგნში“. „მშობლიურ ეფემერაში“ ტყეც ამოწმებს ამ აზრს და გუგუნებს: „დიდი ხანია!“

მიჯაჭვული ამირანი დამონებული სამშობლოს სიმბოლოდ გაიაზრება აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავში“: „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო და მტრები კი ყვავ-ყორანი“. ამირანის აშვებით გამოხატავს აკაკი წერეთელი საქართველოს განთავისუფლების რწმენას: „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი“ (6, 221).

გალაკტიონიც საქართველოს სიმბოლოდ წარმოსახავს ამირანს.

პოეტი საქართველოს პრობლემას ამგვარად ეხმაურებოდა: „შეხავსებია კლდეები კლდეებს, იქ ვიღაც კენესის დიდი ხანია. „ამირანია? – მივმართავ ტყვეებს, და ტყე გუგუნებს ამირანია!“

„გალაკტიონი თავად იყო ქართული პოეზიის ამირანი, მისი ძალისა და ენერგიის გამართლება“(7, 594).

ამირანის კვნესა და, საერთოდ, მრავლისმთქმელი კვნესა თან დაჰყოლია განგებით ჩვენი ერის არსებობას. ილია ჭავჭავაძესაც ხომ „ქართლის ძილში“ კვნესა ესმოდა (ელეგია).

არც გალაკტიონს ასვენებს ეს „მძაფრი კვნესა“ და კითხვა „დაკარგულია?“ თითქოს ტყეთა გუგუნიც უმოწმებს ეჭვებს: „ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს, ის გული ისევ ჩემი გულია... „დაკარგულია?“ – მივმართავ ტყეებს და ტყე გუგუნებს: „დაკარგულია“...

„მშობლიური ეფემერა“ დაწერილია 1923 წელს, როცა უკვე აშკარა გახდა ქვეყნისთვის ახალი ბორკილის დადება, გაზაფხულის გაქრობა (ანუ რწმენის დაკარგვა, – გაზაფხული და ზაფხული საღმრთო სახელებია), ზამთრის გაბატონება. ეს ტრაგედია მიჯაჭვული ამირანის სახით შეიძლებოდა ყველაზე შთამბეჭდავად გამოხატულიყო.მრავლისმთქმელია მზის დაბინდებამდე ჩასვლა: „მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი“... მზე ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა ძველი აღთქმიდან დაწყებული: მივმართოთ ფსალუმუნს: „მზეა და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 13).

მზის ჩასვლა, მზის გარდაცვალება, მზის ჩაქრობა ქრისტიანული ღმერთის უარყოფას მოასწავებს გალაკტიონის შემოქმედებაში.

ყაზბეგი – ეროვნულობის, სიდიადის, სიმაღლის, სიამაყის, მიუწვდომილობის სიმბოლო – ღრუბლით შემოსა მოყვრად მოსულმა მტერმა, ყვავილთა ცის კალათები დააცარიელა, ანუ რწმენა ჩაუკლა ამ ედემისმაგვარი მხარის მკვიდრს, დარიალის ზარით შეზარა ერი: „ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით და ცა ალუბლით სავსეა... კმარა. ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ, დარიალიდან ზარავდა ზარა“...

მიგნებული, ღრმა ქვეტექსტების შემცველი ფრაზაა: „ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით“.

ბიბლიაში ღრუბლის სვეტით იფარავს ღმერთი ებრაელებს ეგვიპტელთაგან: „წინ მიუძღოდა მათ უფალი, დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად, რათა ევლოთ დღითა და ღამით“.

„არ მიჰფარებია ხალხის თვალს დღისით ღრუბლის სვეტი და ღამით ცეცხლის სვეტი“ (გამოსვლა 113, 21, 22).

ხალხის უზნეობით განრისხებული უზენაესი ღრუბლითა და რისხვით იბურება: „რისხვით მოიბურე და გვდევნი“, „ღრუბლით მოიბურე და აირიდე ჩვენი ლოცვები“ (გოდება იერემიასი, 1, 43, 44).

ღმერთი ცოდვილ ისრაელებს სჯის იმით, რომ მზეს ღრუბლით მოსავს: „მზეს ღრუბლით შევმოსავ და მთვარე აღარ გაანათებს თავისი ნათელით“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 32, 7).

სიმბოლური სახეები ღრუბლისა და ნისლისა გვხვდება ჰომეროსის „ოდისეასა“ და „ილიადაში“.

ლესინგი აღნიშნავს, რომ „ჰომეროსმა დაამუშავა არსისა და მოქმედების ორგვარი სახეობა: ხილული და უხილავი... პოეტისათვის ნისლი, ღრუბელი, ღამე... პოეტური ხერხია... იეროგლიფი, სიმბოლური ნიშანია, რაც ცვლის გამოთქმას „უჩინარი“, „გაუჩინარება“... და დამკვირვებელს ეუბნება: „უნდა წარმოიდგინოთ, რომ უჩინარია. ჰომეროსთან გმირის წინასწარ ნისლში გახვევა იმ მიზნით კი არ ხდება, რომ ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა გმირის ნაცვლად ნისლი დაინახონ, არამედ იმისთვის, რომ მნახველმა იგრძნოს, კაცი გაუჩინარდაო. რაკი ნისლით დაიბურა, ის უკვე უხილავია“.

„ჰომერისისეული ნისლები... გაქრობის, გაუჩინარების ნიშანია და ლესინგი უკიჟინებს მხატვრებს პოეზიისა და მხატვრობის საზღვრების მოშლას, შენიშნავს, რომ ისინი ჰომეროსისეულ ნისლებს ყოველთვის და არასაჭირო შემთხვევაში იყენებენ“ (8, 92, 94, 96).

ჰომეროსის „ილიადაში“ ტიდევსის პირმშოს „ღმერთი იცავს, მხრებზე ნისლი დაუფენია, მოფრენილ ისარს მეყსეულად აშორებს ხოლმე“.

პოსეიდონმა „პელევსის ძის თვალწინ მოჰფინა მრუმე წყვდიადი“, ასევე, იმწამს გაფანტა თვალთა წინაშე ღმერთმა ღრუბელი ჯადოსნური, აპოლონმა კი „გმირი შებურა ყომრალი ღრუბლით“(9, 84, 393, 394).

„ოდისეაში“ ტელემაქე და ოდისევსი ათინამ ნისლით შებურა და უგრძნეულოდ გაიყვანა ქალაქიდან“ (10, 440).

ვაჟა-ფშაველას პოემა „იალბუზში“ ნისლი სხვათა ღირსების მიჩქმალვის, უგულებელყოფის, ჩრდილში მოქცევის საშუალებაა. პატარა, შურიან მთებს აღიზიანებთ იალბუზის განთქმული სახელი და რაკი ამ გოლიათის დაშლა-დანგრევა არ შეუძლიათ, გადაწყვეტენ, უჩინარყონ იგი ღრუბელ-ნისლებით. მთელი წელი არ ჩანდა იალბუზი, მაგრამ მერე ღმერთის ბრძანებით დამარცხდა ეშმაკი და მთებს ანგელოზი დაეპატრონა (11, 371).

გალაკტიონს განსაკუთრებით იზიდავდა ეს ხერხი. მის სახეებს ხან რისხვის წამოსასხამი, ხან კი ღრუბლისა და „მთვარის წამოსასხამი“, ან „მთვარის მაზარა“ ჰბურავთ ანძების ტყეში (ანძა კი სულის ძველბერძნული სიმბოლოა). მისი პოეზიის ლირიკული პერსონაჟი, მზითშემოსილი, სიხარულშემოსილი, სხვა მზით მოსილი, შუქით შემოსილი, ზეგარდმონათლით მოსილი გვეცხადება.

„მშობლიურ ეფემერაში“ ჩვენმა „უფროსმა ძმამ“, „მტერმა მეორემ“ ყაზბეგის ანუ ერის სიდიადეს ღრუბელი ააფარა მისი დამცირების, უგულებელყოფის მიზნით, დააცარიელა „ყვავილთა ცა“, რუსულმა ბოლშევიზმმა დაგვათმობინა ღმერთი, დახოცა მორწმუნენი, რადგან იგი გველეშაპის მიერ ხელდასხმული მხეცების პროგრამით მოქმედებდა და სატანის, ანტიქრისტეს მეუფებას მოასწავებდა.

საგულისხმო ფრაზაა: „ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ“.

ყვავილი საღმრთო სახელია:

განსაცდელის ჟამს „ძვირფასი ლანდების“ მოვლინება იპყრობს ყურადღებას (ალბათ ილია და აკაკი იგულისხმებიან, თერგდალეულთა ბელადები): „სულ ერთი წამით განსაცდელ ჟამად შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო. მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს, იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!...“

ფინალში ამირანის კვნესა უფრო ამძაფრებს თავისუფლებაწართმეული სამშობლოს ტკივილს.

ლექსის და, საერთოდ, გალაკტიონის პოეზიის რეზიუმედ გაიჟღერებს გადასხვაფერებული მშობლიური ხეების სევდა, ზამთრისაგან წაშლილი ბილიკი, მიჯაჭვული ამირანის კვნესა, მზის ნაადრევი ჩასვლა, ღრუბლით შუბლშემოსილი ყაზბეგი, დაცარიელებული ყვავილთა ცა, დარიალის ზარი, აქ ყოველ სიტყვას ფიქრის ლოდები ჰკიდია, ჩასული მზის ფონზე სხივის ნატამალიც არ ილანდება, მაგრამ პოეტი თვით აჩერებს ამ ავბედით ხილვას, როცა შესძახებს: „კმარა!“

სიმბოლური ზამთრით, ღრუბლიანი ყაზბეგით, ამირანის კვნესით, დარიალის ზარით მიგვანიშნა გალაკტიონმა ჩვენს ეროვნულ და სარწმუნოებრივ ტკივილებზე. თავისუფლებაწართმეულ, სახელმწიფოებრიობაწაგვრილ ქართველს ღმერთის

რწმენასაც უკარგავდნენ, მისი მზიური სული ჩრდილოური თოვლითა და ყინვით უნდა გაეთოშათ, რათა დაემსგავსებინათ და უფრო კარგად დაემონებინათ.

ღალატით, ყინვით გამწარებული პოეტი უზენაესს ევედრებოდა: „დაადნე სხივი, სულო ციურო, სიცივისაგან გაყინულ გულზე“.

მომავლის რწმენის ძალით მაინც დროებით მოვლენად აღიქვამდა პოეტი საუკუნის თოვლს: „საუკუნეთა თოვლო ითოვლე, მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე).

ასევე, სულის თვალით ჭვრეტდა პოეტი აპოკალიფსური მხეცების დამარცხებას და აღმოსავლეთის ცისკარს: „გარდავა ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი, აღმოსავლეთი მოირთვება ცისკრის ალუბლით“ (მახაჯირი).

გალაკტიონ ტაბიძემ თავისუფლებაწართმეულ, უცხოეთის მიერ დამონებულ ქვეყანაში იცხოვრა და, ბუნებრივია, მის ლირიკას ბოლომდე გასდევს დამოუკიდებელი სამშობლოს ნოსტალგია. 1914 წელს წერდა: „გთხოვ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო, სადაც მალხენდა ოცნება ყრმობის, სადაც არ ვგრძნობდი, თუ რას ნიშნავდა: ფიქრი სირცხვილის, ფიქრი მონობის“ (სამშობლოში) (12,116).

1914 წლით თარიღდება „მთვარე მთას ამოეფარა“, რომელშიც აფიქსირებს, რომ უცხოეთის ტყვეა და მისი ცხოვრება სიზმარს არის დამსგავსებული: „...მე ვდგავარ, როგორც ტყვე უცხოეთში, როგორც სიზმარში უცხო სიზმარი“ (12,136).

ღრმა ძილში შთანთქმულ, უზრუნველ, დამოუკიდებლობადაკარგულ სამშობლოში მონობას სიძულვილს, უცხოეთში ხსნის ძიების უმართებულობის აზრს უნერგავს მშობლიური ნიავის ხმა, თერგის ზვირთები (დარიალისა ვიწრო კლდეებში) (12,46-47).

მევახშის ხელში ჩავარდნილი, გაყიდული სასახლისა, ჭალებისა და აცელილი სათიბის ღრმააზროვანი სახეებით გვამცნობს პოეტი ეროვნულ ტრაგედიას, ლექსში არც ჩრდილოეთის ხსენებაა შემთხვევითი: „...მევახშის ხელში ვარ, დამედო ვალები, ოჰ, უნდა გავყიდო მამული ჭალები! რა გზაა, მე მიკვირს, რომ დღემდე გავძელი... სასახლეც გავყიდე, სათიბიც ავცელე!“ (თიბათვე გავიდა) (12,114) აფიქსირებს პოეტი 1916 წელს.

ლექსში „შავი ზღვის პირად“ ყოველი ნამდვილი ქართველის სატკივრის გაცხადებაა, რადგან ჩვენი სამოთხისდარი ქვეყანა სხვის მამულში იყო „ჩაშენებული“: „ტროპიკულ ხეებს, შავი ზღვის პირად, ვაზებს დახლართულს, რომ მივყვებოდი ზურმუხტისფერ ფიქრებში გართულს, ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“ (13,114). ლექსის თარიღია 1928 წელი.

1937 წელს ისევ მონობის სიმწარე, ურწმუნოება, უმამულობა აკვნესებდა: „არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა, გულო, თუ ამგვარი გახდებოდი, ცივი, უმამულო. არ მეგონა, თუ სიცოცხლის მოკვდებოდა კონა – არ მეგონა, სიცოცხლეო, არა, არ მეგონა!“ (არ მეგონა) (14,374).

ლიტერატურა:

1. რევაზ თვარაძე, „გალაკტიონი“, თბილისი, 1972.
2. ტიტე მოსია, „საღვთო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1995.
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
5. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985.
6. აკაკი წერეთელი, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 2, თბ. 1991.
7. სიმონ ჩიქოვანი, „ქართული პოეზიის ამირანი“, წიგნში გალაკტიონის რჩეული, თბ. 1989.
8. ლესინგი, „ლაოკოონი ანუ მხატვრობისა და პოეზიის საზღვრების შესახებ“, თბ. 1986.
9. ჰომეროსი, „ილიადა“, ძველბერძნულიდან თარგმანი რომან მიმინოშვილის, თბ. 1990წ.
10. ჰომეროსი, „ოდისეა“, თარგმანი ზ. კიკნაძის და თ. ჩხენკელის, თბ. 1975.
11. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 1966.
12. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ. 3, თბ., 1993.
13. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ. 4, თბ., 1994.

ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოდის განათება

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების უპირველესი თემა, უმთავრესი საფიქრალი იყო სამშობლო. „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“ „სამშობლო უმთავრესია!“– პოეტის მთავარი დევიზი იყო შეგირდობის, თუ პარნასის მწვერვალებამდე ამაღლების პერიოდებში. „არტისტული ყვავილების“ ავტორისთვის სამშობლო ღმერთის იდენტური იყო, როგორც აკაკი წერეთლისთვის.

პოეტების მეფემ თავისუფლებაწართმეულ, უცხოეთის მიერ დამონებულ ქვეყანაში იცხოვრა და, ბუნებრივია, მის ლირიკას ბოლომდე გასდევს დამოუკიდებლობის ნოსტალგია, შეურიგებლობა უღირსობით გამორჩეული დამპყრობლისადმი.

1914 წლით თარიღდება ლექსი „სამშობლოში“ (1,116), რომელიც მონობისადმი შეურიგებლობით, მეამბოხე სულით გამოირჩევა: „გთხოვ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო, სადაც მალხენდა ოცნება ყრმობის, სადაც არ ვგრძნობდი, თუ რას ნიშნავდა ფიქრი სირცხვილის, ფიქრი მონობის“.

ასევე, 1914 წელს არის დაწერილი „მთვარე მთას ამოეფარა“ (1,136), რომელიც გვამცნობს, რომ ბაღების, ჯეჯილის, მთების პატრონი უცხოეთის ტყვეს დამსგავსებია, კაეშნის მხარეს ხედავს და მისი სიზმარიც კი უცხოეთს დაკავშირებია: „...შორს ბაღი მოჩანს, მოჩანს ჯეჯილი, და ისევ ბაღი, ისევ მთის ქარი, მე ვდგავარ, როგორც ტყვე უცხოეთში, როგორც სიზმარში უცხო სიზმარი. როგორც სიზმარი დავიწყებული, თრთის და კანკალებს ცაზე ვარსკვლავი, მე კი კაეშნის მხარეში მიწვევს სევდით მოცული ოცნება შავი“.

გვაგონდება ი. ილფისა და მ. პეტროვის მკაცრი მოქალაქის გაფრთხილება, რაკი საბჭოეთში ცხოვრობთ, სიზმრებიც საბჭოური უნდა გქონდეთო.

დამოუკიდებლობადაკარგული სამშობლო, ერთი შეხედვით, ღრმა ძილში შთანთქმულა, უზრუნველობას შეჰგუებია და შორს, უცხოეთში დაუწყია ხსნის ძიება: „...ვეთხოვებოდი სამშობლო მხარეს, ღრმა ძილში შთანთქმულს, მაგრამ უზრუნველს, შორს დავეძებდი მყუდრო სამარეს, უცხოეთისკენ მე ვიშვერდი ხელს“.

მაგრამ ლექსის ლირიკული გმირის დაეჭვებას ეხმიანება თითქოს მშობლიური ნიავის ხმა, თერგის ზვირთები, რომ უმართებულოა უცხოეთზე იმედების დამყარება: „მძულხარ მონობავ!“ ვამბობდი და ხმებს ცელქი ნიავი სათუთად ჰკრებდა, „მძულხარო“ – ასე უთვლიდა ზვირთების, „მძულხარო“ – თერგი იმეორებდა“ (დარიალისა ვიწრო კლდეებში) (1,46).

ლექსში „თიბათვე გავიდა“ (1,193) ეროვნული ტრაგედია გაყიდული სასახლის, ჭალების და აცელილი სათიბის ღრმააზროვანი სახეებით წარმოჩნდება, ხოლო ჩრდილოელი მეზობელი მფარველად კი არა, „მევახშედ“ მოვლენილა, მის „ვალებში“ გაყიდულა მამული, ჭალები. ალეგორია ძალზე გამჭვირვალე და მრავლისმთქმელია: „თიბათვე გავიდა, აჭრელდა ქათიბი იქ, სადაც ყელამდე ღელავდა სათიბი. მეც მალე ჩრდილოეთს ვეწვევი კიდობნით, მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით! მევახშის ხელში ვარ! დამედო ვალები! ოჰ, უნდა გავყიდო მამული, ჭალები! რა გზაა: მეც მიკვირს, რომ დღემდე გავძელი! სასახლეც გავყიდე... სათიბიც ავცელე!“

ლექსი დათარიღებულია 1916 წლით.

1928 წელს არის დაწერილი „შავი ზღვის პირად“ (2,114), რომელიც ყოველი ნამდვილი ქართველის სატკივრის მიგნებული გაჟღერებაა. ჩვენი სამოთხისდარი ქვეყანა სხვისი იმპერიის ნაწილად ქცეული და სახელგადარქმეულია: „ტროპიკულ ხეებს, შავი ზღვის პირად, ვაზებს დახლართულს, რომ მივყვებოდი ზურმუხტისფერ ფიქრებში გართულს, ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“.

„ჩამავალი მზე“ თავისუფლების მზის ჩასვენებაზე მიგვანიშნებს.

არც 1937 წელს განელებულა პოეტის ტკივილი, რადგან არ შეცვლილა მწარე რეალობა, მონობის სიმწარე, ურწმუნოება, უმამულობა აკვნესებდა: „არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა, გულო, თუ ამგვარი გახდებოდი – ცივი, უმამულო. და ამგვარად თუ სიცოცხლის მოკვდებოდა კონა–არ მეგონა, სიცოცხლეო, არა, არ მეგონა!“ (არ მეგონა) (2,374).

„ოფორტის“ (3,73) ლირიკული პერსონაჟის (რომელიც ჩვენი ხალხის სიმბოლოდ უნდა აღვიქვათ) ხვედრია „თეთრი ავდარი“ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), არა ცხრათვალა, არამედ „ელამი მზეა“ სახეზე, წაშლილია ეროვნული ნაკვალევი, წართმეულია პროტესტის უფლება, ტკივილიანი სიჩუმეა ირგვლივ, უსამშობლობა, სამშობლოდ თოვლის სამეფოს აღიარების მოთხოვნაა გვერდაუვლელი ფაქტი: „...რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მზიურ მამულში მაისში თოვლი მოდის, თოვლით იფარება ნაძვი, იყინება ნაკადული (თეთრ თოვლის ქვეშ), ივლისში ყინვის თასები გვაოცებს (ალვები თოვლში), არც აგვისტოს თოვლია შემთხვევითი: „პირველ აგვისტოს ღამით თოვლი მოვიდა შოვში, ყველა გაიგებს ამით, თუ რა აზრია თოვლში“.

მტრისგან მოვლენილი წარღვნის, წყალდიდობის, მუხანათობათა სერიის გამძლები ერის ფსიქოლოგიას გამოხატავს სტრიქონები: „... არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც, ვაჟკაცსა გული რკინის, აბჯარი – თუნდაც ხისა!“ (პირველ აგვისტოს ღამით).

„საუკუნეთა თოვლო ითოვლე, მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე), უშიშრად მიმართავდა თავისი ერის მომავლის რწმენით სავსე პოეტი თოვლიანი იმპერიის მესვეურთ.

მიჯაჭვული ამირანისთვის მისეული ყორნები გვიცხადებს ეროვნულ სატკივარს ლექსში „მე მოვალ“ (3,76): „ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს, თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები, ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს, ვიღაც ფრთებს მიკვეცავს, აჰა, ვიტანჯები!“

გალაკტიონის პოეზიაში უცხოს, უცხოეთს ხშირად უკავშირდება გაუნელებელი სევდა, საუკუნეების მანძილზე უცხოთა მიერ შემზადებული ანათემა.

„ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოდის განათება. ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, გვაუწყებს ლექსში „ფარულ ტკივილებით“ (3,83).

პოეტს არ ახარებს „უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა ვარდები“ (სხვაგან იტყვის „წამხდარი ყვავილების ბღუჯა–ბღუჯაო“), მას ენატრება „იდუმალი ძახილის“ დაპირება, „ნაცნობი ყვავილი“, ანუ ეროვნული, ტრადიციული რწმენა, რადგან ყვავილი, ვარდი ხან ქრისტეს, ხან ღვთისმშობლის მეტაფორაა: „...მე მქონდა ვაზაში ვარდები მრავალი, უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა, არ იყო იქ მხოლოდ ნაცნობი ყვავილი, იდუმალ ძახილით ღამით რომ დამპირდა“ (სიზმრები) (3,77).

„შორს“ „გაუგებარი“, „წუხილით და დაშინებით სავსე“ მხარეა: „ის, მოწყვეტილი ყოველგვარ საგანს, გაიყურება შორს დაჟინებით, სადაც მხარეა გაუგებარი, სავსე წუხილით და დაშინებით“.

შემდეგ გველი, შეშინებული, ნისლიანი და უსასრულო მირაჟები მეფობს მზიან ველებში და „გამოჭრილი აქვთ ყელები მინდვრებს, როგორც დაღუპულ ადამიანებს“ (მთა) (3,155).

ლექსის სათაური „მთა“ საღვთისმშობლო სახელია და მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან (თ. 2,34,35) (4,247).

„დაღუპული ადამიანებით“ და „ყელგამოჭილი მინდვრებით“ მიგვანიშნებს ლექსი თანამემამულეთა გაუფასურებულ სიცოცხლეზე.

პოეტს სურდა მშობლიური სიოთი სუნთქვა, მშობლიური წყაროს წყლის გემო (წყარო საღვთო სახელია), მაგრამ მის სვლაში ერთმანეთს ენაცვლებოდა დაცემა და ადგომა: „მინდოდა წყაროს წყალი გემოთი და მშობლიურით სუნთქვა სიოთი, მე მივდიოდი და ვეცემოდი, ისევ ვდგებოდი და მივდიოდი“.

სამშობლოს სოფლების ღვიას და დეკას ემუქრებოდა თოფების ქუხილი, ზარბაზნების გრგვინვა...

„უუძველეს ბაღში“ (ბაღი ებრაელი ხალხის სიმბოლოა ბიბლიაში) ანუ დიდი ისტორიის მქონე ქართველ ხალხში „ერთადერთი სანთელი“ ენთო (სანთელი ქრისტეს სიმბოლოა),რეალობამ კი გრიგალის, კორიანტელის, მშფოთვარე ტყის პირისპირ დაგვაყენა: „შორს ერთადერთი ენთო სანთელი უუძველესი ბაღის ტოტებით, აქ კი გრიგალი, კორიანტელი და ტყე მშფოთვარე თავგამოდებით“ (მე ერთადერთი მქონდა წუხილი) (3,152).

პოეტისათვის „მარადის უახლოესი“ იყო „უუძველესი ბაღის სურნელი“ (ლურჯი ხომალდი) (3,231) და არა პეტერბურგი, ზამთრის სასახლის ბაღები, სისხლიანი ტერორი, რევოლუციად სახელდებული, უთვალავი კუბო და ყორნების საუბარი

(ათოვდა ზამთრის ბაღებს) (3,117).

საკუთარი ერის არჩევანის სისწორეში დაეჭვება ათქმევინებს ტყიანი, ქარიშხლიანი იმპერიის ბედთან დაკავშირების გამო: „რად აირჩიე, რად აირჩიე, რად აირჩიე ტყე და გრიგალი... ახალგაზრდობა რად მოიკალი“...

„მზადება გასამგზავრებლად“ (3,267) აფიქსირებს, რომ ბედკრული, უბედური, ობოლი ერის ბედისწერა გამხდარი უცხოეთი, თუმცა უცხოური გემის „ლურჯი იალქნებისგან“ მხოლოდ ავდარი რგებია: „... რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ, ისევ უცხოეთისკენ მიმაფრენენ ნავები“(მზადება გასამგზავრებლად) (3,267).

ლექსში გამხელილია, რომ ეს კავშირი სიყვარულზე არ ყოფილა დაფუძნებული, ხოლო საფრანგეთის, ალპების, იტალიის მხარიდან სრული გულგრილობა რგებია...

ავდრის, ზამთრის, უამინდობის, თოვლის, ყინვის, ზვავის, წარღვნის სახეთა გამოყენებით ახასიათებდა პოეტი ორ ხალხს შორის ურთიერთობას, „უამინდოთა სასტიკ სულს“: „...სასტიკია სული უამინდოთა: განა ქვეყნად ბევრი რამე მინდოდა?“ (შემოსილნო გამჭვირვალე ბლონდებით) (3,276).

„უცხო ქვეყნად მარებ“ პოეტს „უკანასკნელ შვიდიოდე წლის...ქარები“ აემგზავრებოდა (ღვინოს დააბრალებენ) (3,355).

ლექსში „გული“ (3,320) პირდაპირ ერქმევა მოვლენებს სახელი: „მეგობრად მყავდა დასახული მოსისხლე მტერი“. აქვე ჩნდება ბიბლიური პერსონაჟები, მოღალატე ფილისტიმელი ქალის – დალილას ლანდი, რომელმაც გოლიათ სამსონს ღალატით ძალა დააკარგვინა და, დაბრმავებული, მტრის კლანჭებში მოაქცია.

„შემოდგომის დღეებში“ (3,328-329) მკვდარია ყვავილები (ყვავილი საღმრთო სახელია), „მომაკვდავია ბაღი“, რწმენადაკარგული, სულით გატიალებული ხალხია: „მკვდარ ყვავილების ფენას გრძნობს მომაკვდავი ბაღი, გული იბურავს წყენას, როგორც კატარღის დაღი“.

პოეტს აწამებს მტვერში ჩამქრალი სანთლები (სანთელი ქრისტეს მეტაფორაა), ანუ წართმეული რწმენა, „ქაჯური ვალსით“ გართობა (ქაჯი რუსეთის მეტაფორაა) (ჩააქრო ყველგან სანთლები მტვერმა) (3,385).

ლექსში „918“ (3,268) იწყება შეღამება, გამქრალია საუნჯე (საუნჯე საღვთო სახელია), ისმის ჭოტის კივილი, მატარებელი ლიანდაგს აცდენილია, ლირიკული პერსონაჟი „უდროობის იანიჩარი“, ანუ სხვის ომშია ჩათრეული, სხვისი ინტერესებისთვის მებრძოლია.

გალაკტიონი იტანჯება „უგზოობით“, „უცნობი ტკივილით“, მისი ლირიკის პერსონაჟი, საუბედუროდ, „უდროობის გმირია“: „უგზოობაზე ჩივილს ისმენს ოცნება მწირი და ისევ უცნობ ტკივილს გრძნობს უდროობის გმირი“ (ქუჩა) (3,388).

დაკარგული გზის, დაკარგული თავისუფლების, სიბნელის, ურწმუნო ეპოქის მკვიდრი პოეტი თავისი დიდი წინაპრობედის – ილია ჭავჭავაძის მოხევის გულისტკივილს ეხმიანებოდა: „...დაკარგულია გზა მოხევესი. ბნელდება. ღამე. მიეშველენით“ (ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს) (3,419).

პოეტს აძრწუნებდა „უცხო ფარდები, უცხო მდგმურები“, მათი შხამი, თეთრი კბილი და შავი გული (ამ ცხოვრებაში ბევრია შხამი) (3,514).

ეროვნული ძილი, ბედოვლათობა გაკიცხა პოეტმა ლექსში „არწივებს ჩასძინებოდათ“ (3,263).

ბნელ ღამეში თვლემენ არწივები, გარინდებულა ტყე (ტყე, ბაღი ერის სიმბოლოა). „გონდაბინდულნი“ ვერ ამჩნევენ „მკივან მიკიოტებს“ და დამხვდურთა უდარდელობით გააქტიურებული მტერი ტყეს ცეცხლს წაუკიდებს. ფრთებზე ცეცხლმოკიდებული არწივები წივიან, ყვირის ტყე, მაგრამ უკვე გვიანია, ფრთაშეტრუსული არწივები შორს ვერ გაფრინდებიან, „დაღლილნი არაგვისპირად ფრთადაკიდულნი დადიან“.

ლექსი ვაჟა-ფშაველას „არწივის“ სტრიქონებით მთავრება, რადგან, ეტყობა, გალაკტიონი ვაჟას დაჭრილი არწივის სახეში მტრებთან (ყვავ-ყორნებთან) მეომარ სამშობლოს გულისხმობდა: „არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა, ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა“.

მრავალმნიშვნელოვანი მინიშნებებით სავსე ლექსია „აღარ არსებობს იგი დემონი“ (3,473). მასში ბოროტი ძალა – დემონი თუმცა ბრძოლით დასუსტებული მოჩანს, მაინც თითქოს ძალას იკრებს, რათა მსოფლიოს დაუპირისპირდეს: „აღარ არსებობს იგი დემონი, ის ბრძოლითაა დასუსტებული, იქნება ძალას იკრებდეს ისევ, რომ დაუწესოს მსოფლიოს გული?“

შემდეგი სტრიქონები კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს და უნდობლობას დემონური ძალისადმი და წიგნის (საღვთო სახელია), რწმენის ძალით მიძინებულის იდილიას არღვევს მწარე გამოფხიზლება, შიში კარებთან მომდგარი მნგრეველი ძალის: „სხვანაირ წიგნთან ჩაგეძინება და ძილში გესმის სხვაგვარი ჰანგი. გამოერკვიე! მგონი კიდევაც კარებს მოადგა მუხლუხო ტანკი“.

ლექსი დაწერილია 1928-1931 წლებში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში გრძნობდა პოეტი მოყვრის ნიღბით მოსული ვერაგი მტრის ზრახვებს, რომ ის ტანკით გადაუვლიდა ჩვენს ქვეყანას, რაც ახდა 1956 წლის 9 მარტს, 1989 წლის 9 აპრილს, 1992 წლის 14 აგვისტოს, 2008 წლის 7 აგვისტოს.

მართლაც, შემთხვევით როდი ამბობს პოეტი: „გამოვცადე ყველაფერი, რაც კი ძალუძს ცნობის ჯადოს, რაც კი ძალუძს ობოლ ყვავილს ღამის ნისლში გამოსცადოს“...

„მწუხარე თოვლის“ სამეფოსთან ერთმორწმუნეობის გამო დაკავშირებული ჩვენი ხალხის ეროვნული სატკივარია ლექსში „გული გრძნობს“ (3, 394). მეგობრის სახელით მოვლენილთა მიერ „ელვარე ღამე“, „მღვრიე ქარიშხალი“, ღალატი, ანგელოზის ნაცვლად „ჯალათი“ ჰპოვეს პოეტის თანამემამულეებმა.

გატეხეს რა წმინდა ფიცი, „გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი და მწუხარება დამრჩა ასეთი“, ანუ უძველესი წარსულის მქონე ქვეყანა თვითონ მიიერთეს (პირიმზე) (3,406).

„უცხო ზმანება, „ცოდვების გროვა“, „ჯოჯოხეთი“ აიძულებს პოეტს, განუდგეს უკეთურთ, როგორც „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“ და იმედები მხოლოდ უზენაეს ძალებზე – დედა-ძეზე დაამყაროს: „... იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“ (გზაში) (3,339).

ია მარიამ ღვთისმშობლის, იისფერი და ცისფერი სიტყვა ქრისტეს სიმბოლოებია.

პოეტს აძრწუნებს „შავი ჩალა“, „შავი შარა“, „ალაზნის კარის“ ძილი (ალაზანთან) (3,444).

ელეგიურ მოტივებს ასაზრდოებს „ღალატთა წყება“, ქარში ატანილი დროშის ნაფლეთი: „მისდევს ღალატთა წყება ბილიკს იმ ვიწრო ქოშის და ქარში მიაქვთ ვნება, როგორც ნაფლეთი დროშის“ (ელეგია დღევანდელი) (3,748).

ერთმანეთს უკავშირდება პიროვნული და ეროვნული, „ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი“ სამშობლოს სევდა (კოშკი), „ბნელი ჭმუნვა“, როცა „უცხო ხარ მთელი სოფლისთვის და უცხო არის შენთვის სოფელი“ (იმედთა ნაცვლად) (3,47), ბრბოსგან გაუცხოება (ფოთლების ლანდი) (3,77), „უცნობ გენიის ბედი“ (ალის თასი) (3,292), „უცნობი ტკივილი“ (ქუჩა) (3,388).

თუმცა სადაც უნდა იყოს, მაინც ერთადერთია, ბედისწერის რჩეული, პოეზიის კეისარი: „უცხო მხარეში მივსდევ კრეისერს, თუ ზულუსებთან მიხდება ომი, თან მომდევს, როგორც ყოველ კეისარს, ბედისწერათა მწარე ფანტომი“ (უცხო მხარეში).

თავისი სიმაღლისა და სიმართლის გამო პოეტი მაინც სულით დიადია, „ზამთრისაგან ჯაჭვაწყვეტილი“ (ვარდები), მილიონების და მილიარდების მფლობელი, არა უკეთურთა, არამედ რწმენის, ღმერთის მონა: „...თუ მონა ხარ, მონა ისევ საკუთარი რწმენის“(რწმენით იარ).

პოეტი ღირსეულად ერკინებოდა უზნეო უცხოს, ამასთან, ეთაყვანებოდა „უცხო მდელოს უცხო ასულს“, მარადიულ ძმობას ეფიცებოდა ჩვენს ზეციურ დედას, იტაცებდა „უცხო სახელი“ – „დომინო“, როგორც ქრისტეს მებაღესი.

არათუ ბევრის, მცირედის მოლოდინიც ვერ გაამართლა „მგმობარმა მეგობარმა“: „განა ბევრს გთხოვდა სამშობლო ჩვენი, ცოტა სიყვარულს, ცოტა სიმშვიდეს, რომ მის დათესილს სხვა არა მკიდეს და ჰქონოდა მას, რაიც მისია, ხმალია, წიგნი თუ სახნისია“ (მშვიდობის წიგნი) (5,498).

ამხელდა რა ურთულეს სიტუაციას, მტრის გაუგონარ მუხანათობებს, პოეტს საბოლოოდ მაინც სჯეროდა სამშობლოს მარადიულობა: „... ვერ დაგვძლევს ის სხვა, ობლის კვერი ცხვა“ (მშვიდობის წიგნი) (5, 195)

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
2. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 1994
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
5. გალაკტიონ ტაიბიძე 12 ტომად, ტ. XI, თბ. 1973

კვლავ „სხვა ხალხისა“ და „მოხუცი მამის“ შესახებ

„მამული“ გალაკტიონ ტაბიძის გახალხურებულ შედევრთა რიცხვს ეკუთვნის. ლექსი ერთდროულად არის ნათელი და იდუმალი, სადა და რთული.

პოეტის ბევრი პოპულარული, ერთი შეხედვით, ადვილად გასაგების სტრიქონები, დიადი უბრალოების პარალელურად, შეფარული და ენიგმურია, სახეებისთვის ნიშანდობლივია მრავალმნიშვნელოვნება, ქვეტექსტები და პარაბოლურობა.

ნაწარმოების სათაური აშკარად პატრიოტული აქცენტის მატარებელია.

მაგრამ გასათვალისწინებელია პოეტის ერთი თავისებურება: გალაკტიონის ლექსებში გადანასკვულია პატრიოტული და ფილოსოფიურ-რელიგიური თემები, ხილულის პარალელურად, ნაგულისხმევია უხილავი, საქართველო კი მოიაზრება მის მფარველ ღმერთთან ერთად.

„მამულის“ პირველივე სტრიქონები, ერთი შეხედვით, ბუნებასთან ზიარებაა და ეს გრძნობა იმდენად მიგნებული სახით არის გადმოცემული, რომ მთელი ფრაზა ზეპირად იცის პოეტის მკითხველმა: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული?!“ (1,402).

ასეთ კონტექსტში მართლაც არ გამოირიცხება ბუნების, მშობლიური გარემოს სისხლხორცეული განცდა.

ანალოგიური მიახლოება მიწასთან ფრანგულ პოეზიაშიც გვხვდება, კერძოდ, არტურ რემბოს ლექსი „შეგრძნება“ მიწაზე ფეხშიშველა სიარულის ბედნიერებაზე გვესაუბრება (2,21).

მაგრამ „მამულის“ ზემოაღნიშნული სტრიქონები, ამ პირდაპირი აზრის პარალელურად, ლექსის საერთო ჩანაფიქრიდან გამომდინარე, ბუნების გარდა, უზენაესის განცდასაც გულისხმობს.

„რაა მამული?!“ – ვფიქრობთ ამ შეკითხვაზე და მასში ნაგულისხმევ აზრზე მოდის მთელი აქცენტი.

თვით მამულის ცნებაა ორაზროვანი ქვეტექსტის მატარებელი. მამული მამიდან, მამეულიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ სხვაა მამა მიწიერი და მამა ზეციერი. მიწაზე ზეციური მამის განცდა ჭეშმარიტი არსებობის საწინდარია. „მამული“ ერთდროულად მიემართება ხილულს და უხილავს, მიწიერს და ზეციერს.

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში, დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ცვარი მოაზრებულია, როგორც საღმრთო სახელი, ღვთის სიტყვა (ა. ბაქრაძე, ტ. მოსია).

ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიაშიც გვხვდება საღმრთო მნიშვნელობის ციური ცვარი.

„ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“, ნათქვამია ოსიას წინასწარმეტყველებაში (14,6) (3,213).

მამულის სრულყოფილი გაცნობიერება მიწაზეც უზენაესიდან იწყება, რა თქმა უნდა, ზეცით ნაბოძები ფასეულობების ჩათვლით.

გალაკტიონი იმთავითვე იზიარებდა ნამდვილი პოეტის ზეციდან მოვლინების, მიწიდან ისევ ზეცაში დამკვიდრების იდეას: „ჩვენ პოეტები მზიდან ვეშვებით და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით მზის სადღეგრძელოს“ (შემოდგომაა) (1,333).

„მამულის“ შემდგომი სტრიქონები შეფარულ სევდას გვიმხელს: „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

წინაპრებში ნაგულისხმევი არიან პოეტის სახელოვანი წინამორბედები, ღვთისნიერი თაობები, რომელთა ადგილი ურწმუნოთა ლეგიონებმა, უცხო ადამიანებმა დაისაკუთრეს.

„სხვა ხალხის ჟრიამულს“ მოსდევს უცხო ხატების შემოტანა, ეროვნული სარწმუნოებისაგან გაუცხოება.

ლექსი დაწერილია 1915 წელს, როცა ანტიქრისტეს ნაშიერებმა მოიკიდეს ჩვენში ფეხი და მორწმუნეთა ნიშატი სულს ღაფავდა. მიდიოდნენ რა ცხოვრებიდან ერის მამები, დავიწყებას ეძლეოდა საქვეყნო იდეალები.

სიტყვა „ჟრიამული“ თავხედ მოძალადეთა, დემოგრაფიულ დამპყრობთა ხმამაღალ თვითდაჯერებას მიანიშნებს, როგორც „დევების უგონო აურზაური“, „მრავალ ათას ხმის ... თავდასხმა და სითამამე“ გალაკტიონის პოემაში „მშვიდობის წიგნი“.

პოეტს ღვთისნიერ წინაპართა, ეროვნულ იდეალების მსახურთა გაუჩინარების გამო აშფოთებს სამშობლოს მომავალი.

1990 წელს როსტომ ჩხეიძე წერდა „მამულის“ „სხვა ხალხის“ შესახებ: „სხვა ხალხი მართლაც სხვა ხალხია, ჩვენს მიწაზე შემოჭრილი და გამათამამებული უცხო თესლი, ეროვნულობის დაკარგვასა და გადაგვარებას რომ გვიქადის.

„არაა გამორიცხული, რომ „მამულის“ შექმნის სტიმული ვაჟა–ფშაველას 1890 წელს დაწერილი „ძვალები“ იყოს, რომელიც ავლენს ვაჟასა და გალაკტიონის განცდათა სიახლოვეს: „სამარეშიით ყურს ვუგდებ ჩვენს საფლავებზე მავალთა, ხმა მათი კაცის ხმას არ ჰგავს, ენა უცხო აქვთ მრავალთა“.

„ენა უცხო აქვთ მრავალთა“ და „სხვა ხალხის ჟრიამული“ ერთნაირად გვაუწყებს ჩვენს ეროვნულ ყოფაში შემოჭრილ საშიშროებას“.

წერილის ავტორი ასკვნის: „მამული“ უშუალოდ ირეკლავს ეროვნულ–პოლიტიკურ მოვლენებს“ (ჩავხედოთ გალაკტიონს) (4,3).

როგორც ჩანს, როსტომ ჩხეიძემ გალაკტიონის ლექსში ტერიტორიული, დემოგრაფიული, ენობრივი პრობლემები, სულიერების, რელიგიურობის დაკარგვის საშიშროება დაინახა.

მ. თაბუკაშვილი „მამულში“ ახალ აღთქმისეულ ქრისტესთან პოეტის შეხვედრის სურვილს მიიჩნევდა ლექსის ლეიტმოტივად (რაა მამული?!) (5).

„მამულის“ პირველი სტროფის „წინაპრების“ და „სხვა ხალხის“ სახეებზე გაამახვილა ყურადღება თეიმურაზ დოიაშვილმა და „წინაპრებში“ ჩვენი ერის ჭირისუფლები, „ძვირფასი სამება“ – ილია, აკაკი, ვაჟა იგულისხმა, რაც სავსებით გასაზიარებელი აზრია.

ხოლო „სხვა ხალხად“არა გადამთიელები, არამედ მაღალი იდეალებისგან დაცლილი მომდევნო თაობა გაიაზრა. „ლექსში მინიშნებულია ლიტერატურულ თაობათა მონაცვლეობაზე, ტრადიციის წყვეტაზე, რადგან შთამომავალნი – სხვა ხალხი არ აგრძელებს „წინაპრების“ – ძვირფასი სამების გზას. „სხვა ხალხი“ ამ კონტექსტში უცხოს კი არ აღნიშნავს, არამედ განსხვავებულს, მშობლიურ ნიადაგს, „ცვრიანი ბალახის“ შეგრძნებას მოკლებულ შთამომავლობას“, წერს თ. დოიაშვილი (ოთარ ჩხეიძის გაკვეთილი) (6,51).

„მამულის“ სევდიანი ტონი ახსნილია „თაობათა შორის კავშირის გაწყვეტით“.

თეიმურაზ დოიაშვილი ვრცლად შეცხო პრობლემას და აღნიშნა, რომ „მამულის“

პირველი სტროფი წაუმძღვარა ოთარ ჩხეიძემ თავის რომანს „აღმართ-დაღმართი“ 1980 წელს და ამით სათავე დაუდო ლექსის ახლებურ ინტერპრეტაციას, „მამულს“ „პოლიტიკური ქვეტექსტი შეუქმნა“, მაგრამ ეს ეპიგრაფი ცენზურამ ამოიღო.

„მამული“ გაჯერებულია ილიას „გაზაფხულისა“ და „აჩრდილის“ რემინისცენციებით და ალუზიებით... ლექსის II იმაგინაციურ სტროფში ვენახში მოფუსფუსე „მოხუცი მამა“ ილიასეული სიმბოლოს – მოხუცი აჩრდილის – საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის ორეულია და თავად ილიას, როგორც ერის მამის ხატი.

„მთლიანად სტროფის შინაარსი, აქ წარმოსახული საერთო ზრუნვა ვაზის ანუ ეროვნული ხის გადარჩენაზე, სასხლავით უსარგებლო ლერწების ჩამოცილება სამამულე რქის გასაძლიერებლად, წინაპართა ცხოვრების წესს განაზოგადებს და სამშობლოს მოუვლელობა-გავერანების სურათს გვიჩვენებს.

„გაუცხოების აჩრდილი აღმართულა მამულსა და ამ მიწის შვილთა შორის... ეს არის მთავარი მიზეზი გალაკტიონის სინანულისა“.

„ოთარ ჩხეიძის მიერ მამულისთვის პოლიტიკური ქვეტექსტის შექმნა მოხდა იმის გამო, რომ მწერალმა ლექსის ობიექტური შინაარსის ამოცნობა კი არ სცადა, ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, მთლად დაქვემდებარებული და მისადაგებული საკუთრივ რომანის კონცეფციას“ (თეიმურაზ დოიაშვილი, ოთარ ჩხეიძის გაკვეთილი) (6,33-64).

გალაკტიონისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში „კომიკოსი ტრაგედიაში“ (თბ. 2016) როსტომ ჩხეიძეს გადაფასებული აქვს თავისი ადრინდელი შეხედულება და ამჯერად სავსებით ეთანხმება თეიმურაზ დოიაშვილის თვალსაზრისს „მამულის“ შესახებ. მისთვის „წინაპრები“ არიან ილია, აკაკი, ვაჟა, რომელთაც შეენაცვლა „სხვა ხალხი“, „პარნასს შესეული უღიმღამო პოეტთა დასი“.

„მოხუცი მამა“ ასევე ილია ჭავჭავაძედ არის მიჩნეული ბიოგრაფიულ რომანში „კომიკოსი ტრაგედიაში“(7,139-140).

„პოეტი პატივს მიაგებდა წინაპრებს და „სხვა ხალხისგან“ გამიჯნავდა... უიმედობის მიზეზი ის იყო, რომ ირღვეოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეალი, „უქმად რჩებოდა მის მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული პროგრამა“... (7,141).

ვფიქრობთ, ლექსის პირველ სტროფში შემთხვევით არ არის ნახსენები „სხვა ხალხის ჟრიამული“.

იმისათვის, რომ ნათლად გამოვლინდეს ლექსის დაწერის იმპულსები და უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს მისი ჩანაფიქრი, მივმართოთ იმ ეპოქის ისტორიის ზოგიერთ არსებით მომენტს.

ცნობილია, რომ აღმოსავლური, მუსულმანური სამყარო ხმლით და დიპლომატიით ცდილობდა ჩვენი ქვეყნის სახსენებლის წაშლას, ენისა და სარწმუნოების წარყვნას... მე-19 საუკუნეში კი ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა, „უფროსმა ძმამ“, „დაუნდობელმა მეგობარმა“ სხვანაირად შემოგვიტია, დაიწყო ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ეროვნების ადამიანთა (სომხების, თათრების, რუსების) ჩამოსახლება, ჩვენი ეროვნული იდეოლოგიის დასამარება.

აი, როგორ ეხმაურებოდა იმ დროის პუბლიცისტიკა უმწვავეს პრობლემას, გალაკტიონი „მამულში“ რომ მიანიშნებდა: „კარგა ხანია, რაც თბილისი ბაბილონად არის გადაქცეული. საბჭოთა რეჟიმამდეც ისე იყო ტფილისის კარები ყოველმხრივ გაღებული, რომ ყველა მავნე, უსაქმური და მყუდროების მაძიებელი არხეინად დაბრძანდებოდა ჩვენი დედაქალაქის ქუჩაში და ისედაც მძიმე ატმოსფეროს უფრო ამ-

ძიმებდა.

„ვინ არ მოიყარა დღეს თავი თბილისში? სპეკულანტი, შარლატანი, შავრაზმელი, ქურდი, დიდ რუსეთზე მეოცნებე, უვარსკვლავო და ვარსკვლავიანი ქართველთმოძულენი ... ჩვენ ველით თფილისის გაწმენდას და რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს საქმე უნდა წესიერად დაგვირგვინდეს. დღევანდელი ტფილისი საშინელია.

..."ბევრი დაწესებულებიდან განდევნილია ქართული ენა, ბევრი დაწესებულება პირდაპირ უცხო, გუშინ მოსული უცნობი ელემენტების ხელშია ჩავარდნილი. საქართველოს დედაქალაქში ქართველი მოქალაქე თავს უფრო შებორკილად და უუფლებოდ გრძნობს, ვიდრე რუსეთის რომელიმე ქალაქში. ქართული ხელოვნება აღარა ჩანს, რუსული კი პირდაპირ ქუჩაშია გამოფენილი და პლაკატების სახით ჰკივის" (ვახტანგ კოტეტიშვილი, „სოციალისტ-ფედერალისტი", მეთაური წერილი, 1921წ. 20 ივლისი).

პარმენ ჭანიშვილის წერილში „პროლეტარული კულტურა და რუსიფიკაცია" („სოციალისტ-ფედერალისტი", 1921წ. 15 ივლისი) საუბარი იყო ჩვენში უცხო ელემენტების გაძლიერებაზე, ყველა ხელმძღვანელ ორგანოებში უცხოელის გაბატონებაზე, ქართული ენის იგნორირებაზე: „სახელმწიფო დაწესებულებაში გაბატონებულმა უცხო ელემენტებმა... საქართველოს რევკომის დეკრეტი ქართული ენის შესახებ ფაქტიურად გააუქმეს. მიწერ–მოწერა, საქმის წარმოება უცხო ენაზეა... ერთია დასკვნა: დაგვიპყრეს და ქვეყანას უცხოელები განაგებენ".

გაზეთ „სოციალისტ–ფედერალისტში" ერთი ავტორი აღშფოთებას ვერ ფარავდა: „ჩვენ არ გვინდა საქართველო ისეთი სასტუმრო იყოს, სადაც ყოველ გამვლელ-გამომვლელს შეეძლება მოსძოვოს და გაერთოს, ან თუ მოეწონება, აქ დარჩეს. ყველა ქვეყნის პროლეტარები უნდა შეერთდნენ თავიანთ ქვეყანაში და არა საქართველოში" (საქართველოს დროებითი რევკომის ბიულეტენი, 1921წ. 26 თებერვალი).

მხოლოდ ქართველი ინტელიგენციის და მემარცხენე ფედერალისტთა პარტიის დაჟინებით (ს. ხუნდაძე) იქნა შეტანილი პირველ კონსტიტუციაში ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი.

იყო მცდელობა ქართული ენის შრიფტის შეცვლისა და ლათინურზე გადასვლისა. ზოგ დაწესებულებაში „ტექნიკური დაბრკოლების" საბაბით ტექსტს მხოლოდ რუსულ და სომხურ ენებზე ადგენდნენ. სტამბაში შეაჩერეს ანდრია რაზმაძის წიგნის „ინტეგრალური აღრიცხვის" ბეჭდვა, რადგან ის ქართულად უნდა გამოსულიყო.

ს. ამაღლობელი, გ. თავზარაშვილი, ს. ჭეიშვილი მოითხოვდნენ დაწესებულებათა გაეროვნებას, ხმას იმაღლებდნენ ქართული ენის ადგილას რუსულის გაბატონების გამო.

ს. ამაღლობელის სტატიაში „რევოლუცია და საქართველო" მოტანილია ამონაწერები ლენინის, ზინოვიევის, ჩიჩერინის, სტალინის წერილებიდან, რომლებიც ეხება საბჭოთა სინამდვილეში ნაციონალური ჩაგვრის მოსპობას და დასძენს: „ყოველივე ამას ვერ ვხედავთ ჩვენს სინამდვილეში. ზოგიერთთა ტვინის უჯრედები ორთოდოქსული მარქსიზმით არის მოშხამული.

„ისტორიის უკუღმართობაც ასეთი უნდა, თუ საქართველო გულგრილად არ მოიხსენიე, რეაქციონერი და შოვინისტი ხარ, სახელმწიფო ენად თუ ქართული ენა მოითხოვე, თავგასაჭეჭყი შავრაზმელი ხარ" („ტრიბუნა", 1921წ. 24 სექტემბერი).

გვახსენდება გალაკტიონის ანალოგიური შინაარსის სტრიქონები: „... წმინდა

ქართული და რუტინული აზრისთვის იგი დამნაშავეა“ (ცხრაას თვრამეტი) (1,268).

პეტრე მირიანაშვილი უარყოფდა იოსებ ჯუღაშვილის დებულებას მცირე ერებში „ნაციონალიზმის გველეშაპის“ არსებობაზე: „მას ვერასოდეს დაბადებს დამონებული ხალხი, მისი გამჩენია გამარჯვებული სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც თავს ახვევს პროვინციას თავის წესწყობილებას, კანონებს და კულტურას“ (8,210-223).

1918 წლის 11 იანვარს გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „ჩვენი დამფუძნებელი კრებისთვის“, რომელშიც გაკრიტიკებული იყო სხვისი დახმარების იმედი. „ჩრდილოეთის პატრონისა და მარჩენალისგან“ დახმარების მაგიერ რისხვა არის მოსალოდნელიო“, იძლეოდა მწერალი გაფრთხილებას. მისი აზრით, ბოლო უნდა მოღებოდა „მოსკოვ-პეტროგრადში გაცხრილული ევროპული კულტურით კვებას“, რომელსაც „უფრო მეტი მონღოლური შხამი ურევია, ვიდრე დასავლეთის წმინდა სასმელიო“.

მიხეილ ჯავახიშვილმა გაილაშქრა საქართველოს კარების, საზღვრების მორღვევის გამო: „კარები ჩავკეტოთ“, „საქართველოს კარები“, „საქართველოს საზღვრები“.

„ისტორიულად დამკვიდრებული მიჯნების მოშლა ალაყაფის კარებს გაუხსნის ყველას, ვინც კი მოისურვებს ჩვენს მამულში შემოსვლას, ხოლო ყველამ იცის, რომ მოსურნე ჩვენს სახლში შემოსვლისა, ათასია“, ასკვნიდა მწერალი.

გაკრიტიკებული იყო „გრძნობის პოლიტიკა, რომელიც არაფერს სწონის და არ ზომავს, იგი ბრმაა და ყრუ, მაგრამ მას გრძელი და შხამიანი ენა აქვს“.

ეს პრობლემები ყოველთვის მწვავე იყო ჩვენს ქვეყანაში, ამჯერად კი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის, „უფროსი ძმის“ სინდრომს უკავშირდებოდა, რამაც დააწერინა კონსტანტინე გამსახურდიას „ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი“ 1921 წლის 8 მაისს გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“.

ანდა გავიხსენოთ დავით კლდიაშვილის მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 30-იან წლებამდე პერიოდს რომ მოიცავს: აჭარის სოფელ ბორჩხადან ქართველთა გასახლების იდეა... ბათუმის განაპირა უბანში არარუსს უფლება არ ჰქონდა ეყიდა ადგილი და სახლი აეშენებინა (9, 429,431).

ქალაქის თვითმართველობაში, როტშილდის ნავთის ქარხანაში საერთოდ არ იკარებდნენ ქართველებს (9,454), ერთი გამონაკლისი იყო ლუკა ასათიანი, რომელიც გაიყვანეს ქალაქის მეთაურად.

ყველა არარუსს აიძულებდნენ რუსი ეროვნების წარმომადგენლად ეღიარებინა თავი (9,523).

ქართველთა სიძულვილით იყო გამორჩეული შავრაზმული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ და მისი ურცხვი რედაქტორი პალმი, რომელმაც თავის გაზეთში სასაცილოდ აიგდო 1896 წელს ერის საყვარელი მოღვაწის – გაბრიელ ეპისკოპოსის გასვენებაზე ხალხის მგლოვიარება, გასვენების მსვლელობა ქუთაისიდან გელათის მონასტერში. სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეებს დაბრალდათ შეთქმულების მოწყობის მცდელობა, რაც თითქოს აღკვეთა ფხიზელმა მთავრობამ (9, 456-458).

დავით კლდიაშვილმა ჯერ სასტიკად გამოლანძღა ეს „გათახსირებული, სინდისგარეცხილი“ არაკაცი და მერე დუელში გამოიწვია, მაგრამ დამფრთხალმა, იარაღის ხმარების არმცოდნე პალმიმ ბოდიში მოიხადა საკრებულოში და ამის გაზეთში მოთავსებასაც დაჰპირდა, მაგრამ მერე სიტყვა გატეხა (9, 459-460).

გალაკტიონის „მამული“ 1915წ. დაიწერა, მაგრამ ის პროცესები, რომელსაც სა-

უკუნის დასაწყისიდან ეხმაურებოდნენ ჩვენი ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენლები, გაცილებით ადრე დაიწყო და გრძელდებოდა და გრძელდება დღესაც.

გავიხსენოთ ისევ გალაკტიონი: „კოშკი“ (1916წ.), „ავდრის მოლოდინი“ (1916წ.), „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ (1918), „ოფორტი“ (1918 წ.). „მზეო თიბათვისა“ (1918წ.), „სამშობლო შავი ლიუციფერის“, „ბრმა ცალი თვალით“ (1921წ.), „მშობლიური ეფემერა“ (1923წ.), რომლებშიც სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით დასმულია სამშობლოს ეროვნულ–პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური პრობლემები.

პოეტი 1919 წელს დაწერილ „პირიმზეში“ აცხადებდა: „...დილით დამჭკნარი არის ბალახი, ზედიზედ ისევ ეცემა სვეტი, გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი და მწუხარება დამრჩა ასეთი“ (რჩეული, თბ. 1989, გვ. 146).

აშკარაა ამ სტრიქონების მწვავე ეროვნულ-პოლიტიკური ქვეტექსტი, რადგან „მოხუცი ბაღის“ ადრესატია ქართველი ხალხი, „ძმისა“ – ჩრდილოეთის „გაიძვერა მოყვარე“.

პოეტს აღაშფოთებდა რუსეთის იმპერიაში მოქცეული მცირე ერების ბედი, ქართველთა ეროვნული ჩაგვრა. იხსენებდა, თუ როგორ მოატყუა პეტრე პირველმა ვახტანგ VI, აწუხებდა გარუსების პოლიტიკა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ არ არსებობდა მოსკოვში ქართული სკოლები, რომ ამოყრილი იყო დონის მონასტერში არჩილ მეფისა და ვახუშტი ბაგრატიონის ძვლები, სვესვიატსკოში მიწასთან იყო გასწორებული სულხან-საბა ორბელიანის საფლავი (ვახტანგ გურგენიძე) (10,13-14).

„ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი“ იყო ჩვენი ქვეყანა გალაკტიონის „კოშკის“ მიხედვით.

პოემა „მშვიდობის წიგნი“ იმ უცხოს, „იმ სხვის“, ბოროტი ზრახვებით მოვლენილი ჩრდილოეთის მონსტრის მუხანათობების მხილებაა.

1914 წელს არის დაწერილი „მთვარე მთას ამოეფარა“ (11,116), რომელშიც პოეტი „უცხოეთის ტყვედ“, „კაეშნის მხარის“ მკვიდრად გრძნობს თავს.

ლექსში „დარიალისა ვიწრო კლდეებში“ (11,46). ძილში შთანთქმული მხარე შორს, უცხოეთისკენ იშვერს ხელს, მაგრამ მიდის დასკვნამდე, რომ უაზრობაა სხვაზე იმედების დამყარება.

ეროვნულ ტრაგედიას გვაუწყებს გაყიდული სახლი, ჭალები, სათიბი, ჩრდილოეთი მფარველად კი არა, „მევახშედ“ მოვლენილა, მის ვალებში გაყიდულა მამული, ჭალები (თიბათვე გავიდა, 1916წ.) (11,193).

„ოფორტში“ თეთრი ავდარი, ელამი მზე, ეროვნულობის წაშლა, თოვლის სამეფოს სამშობლოდ აღიარების მოთხოვნაა ფაქტი: „...რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

ლექსში „მე მოვალ“ (1,76) პოეტს „თვალებში ყორნების ქენჯნიან კლანჭები“, ფრთებშეკვეცილია მიჯაჭვული ამირანივით.

„სიზმრებში“ არ ახარებს „უცხო და შორეულ მდინარის ნაპირთა ვარდები“, მას ენატრება „ნაცნობი ყვავილი“ (1,77).

გალაკტიონის ლექსებში ხშირად ჩნდება უცხო, უცხოეთი, რომელსაც ყოველთვის ტრაგიზმი უკავშირდება: „ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოდის განათება“ (ფარულ ტკივილებით) (1,83).

და მხოლოდ გოდება აემგზავრება უცხოეთში გადამისამართებულს: „რადგან

არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ, ისევ უცხოეთისკენ მიმაფრენენ ნავები“ (მზადება გასამგზავრებლად) (1,267).

უცხოს მრავალგზის ენაცვლება ავბედობის მაუწყებელი „სხვა“. ქვეყნის მზე ჩასულა. ზღვისპირა ტროპიკული მცენარეები, ვენახები სხვისი იმპერიის ნაწილად ქცეულა, ფაქტობრივად სახელგადარქმეული: „ტროპიკის ხეებს, შავი ზღვის პირად ვაზებს დახლართულს, რომ მივყვებოდი ზურმუხტისფერ ფიქრებში გართულს, ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“ (შავი ზღვის პირად) (12,114).

ლექსში „არ მეგონა“ უმამულო პერსონაჟის მწარე გულისტკივილი ვლინდება: „... არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა, გულო, თუ ამგვარი გახდებოდი ცივი, – უმამულო (12,374).

და ისევ ის „სხვა“, რომელიც სხვის დათესილს მკის, ცოტა სიყვარულს, ცოტა სიმშვიდესაც რომ არ იმეტებს, რომელსაც ხმალი, წიგნი თუ სახნისიც აურთმევია ჩვენი სამშობლოსთვის: „... განა ბევრს გთხოვდა სამშობლო ჩვენი, ცოტა სიყვარულს, ცოტა სიმშვიდეს, რომ მის დათესილს სხვა არა მკიდეს და ჰქონოდა მას, რაიც მისია, ხმალია, წიგნი თუ სახნისია“ (მშვიდობის წიგნი) (13,498).

იმ სხვას პოემაში ჰქვია „მგმობარი და დაუნდობელი მეგობარი“, „მტერი მეორე“. მისი თვისებაა „სხვისი მიწის და ცის“ მიტაცება, შფოთი, მახის დაგება, წყლის ამღვრევა, „ობოლი, საწყალი, და თავმდაბალი“ ერისადმი ჩასაფრება, გადამთიელთა წაქეზება, სხვისი აკლების სურვილი, ვეფხვის „დიდი მადა“, „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით ცხოვრება...

„მწუხარე თოვლის“ სამეფოსთან ერთმორწმუნეობის მოტივით მისვლა საბედისწერო აღმოჩნდება „ქართული პატიოსნებით“ სავსე ერისთვის, რომელსაც მხსნელის ნაცვლად ჯალათი მოევლინება: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს – დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს უსათუოდ როსმე ბოჰემა... გული გრძნობს ღალატს“ (გული გრძნობს) (1,397).

„მეგობრად მყავდა დასახული მოსისხლე მტერი“ (გული) (1,320), ჰგოდებდა პოეტი საქვეყნო უბედურებაზე.

„უცხო ფარდები, უცხო მდგმურები“, მათი შხამი, თეთრი კბილი და შავი გულია ქართველი კაცის ხვედრი ლექსში „ამ ცხოვრებაში ბევრია შხამი“ (1,514).

„შავი ლეჩაქი, შავი ჩალა, სიშავედაფენილი შარა, გაღებული კარები, ალაზნის კარების ძილია შფოთვის მიზეზი ლექსში „ალაზანთან“ (1,444).

პოეტი ასკვნის: „... დაკარგულია გზა მოხევესი, ბნელდება. ღამე. მიეშველენით“ (ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს) (1,410).

წმინდა წერილში ორგვარი ვაზია. მიწის ვენახი, ვაზი ებრაელი ხალხის მეტაფორაა, ზეცისა – უზენაესის.

„ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7) (3,77).

ამ მიწის ვაზის, ანუ ებრაელი ხალხის მცველია უფალი: „იმ დღეს იმღერეთ სანატრელ ვენახზე, მე, უფალი, მცველი ვარ მისი, ყოველ წამს ვარწყულებ და ვიცავ დღითა და ღამით, რომ არავინ დააზიანოს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 27,2,3) (3,92).

„უძველეს იადგარში“ ქრისტეს „გონიერი ვენახი“ ეწოდება, იოანე მინჩხის პოეზიაში – „ცხოვრების ვენახი“, გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“ „სულიერი ვენახი“. ვენახი ზოგჯერ მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოც არის („შენ ხარ ვენახი ახლადაყ-

ვავებული“... დემეტრე მეფის საგალობელი).

იოანეს სახარებაში ხაზგასმულია მამაღმერთისა და ძე ღმერთის მისია: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა.

„ყოველ უნაყოფო ლერწს ჩემში ის მოაშორებს და ყოველ ნაყოფიერს კი გაწმენდს, რათა მეტი ნაყოფი გამოიღოს.

„თქვენ უკვე გაწმენდილი ხართ იმ სიტყვით, რომელიც გითხარით.

„თქვენ ჩემში დარჩით, მე კი თქვენში. როგორც ლერწი ვერ მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩება, ისევე თქვენც, თუ ჩემში არ დარჩებით.

„მე ვაზი ვარ, თქვენ–ლერწები. ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ გადაიგდება, როგორც ლერწი და დაჭკნება. მოაგროვებენ მათ, ცეცხლში ჩაყრიან და დაიწვებიან“ (იოანეს სახარება, 15,1,2,3,4,5,6) (14,213).

ე.ი. ვაზს წმენდს როგორც მევენახე–მამაღმერთი, ასევე ძე ღმერთი – ქრისტე სიტყვით.

მევენახე და მემარნე მამაღმერთის და ძე ღმერთის სიმბოლოებია.

იოანეს აპოკალიფსის ნამგლისმპყრობელი ანგელოზი მიწის ვაზის მტევნებს ნამგლით ჭრის და ღვთის მძვინვარების დიდ საწნახელში ყრის.

გადაჯიშებულ, ღვთის გზის დამვიწყებელ ხალხს – ვენახს ასე საყვედურობს უზენაესი: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე, როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე?“ (იერემია წინასწარმეტყველი, 2,21) (3,126).

უფალი წინასწარმეტყველის პირით ამხელს საკუთარის დამვიწყებელ და უცხოურის მოთაყვანე ხალხს: „დავიწყებული გყავს შენი ხსნის ღმერთი და კლდე შენი სიმტკიცისა, გაგიშენებია ნეტარების ბაღები და უცხო ვაზები ჩაგიყრია“ (ესაია წინასწარმეტყველი, 17,10) (3,86).

რწმენის ღალატს, უცხოურის წინაშე ქედის მოხრას უფლის მსჯავრი მოსდევს: „დადგება საუფლო მსხვერპლის დღე და მსჯავრს დავდებ მთავრებს და უფლისწულებს და ყველას, უცხო სამოსელით შემოსილს“ (სოფონია წინასწარმეტყველი“, 1,8) (3,293).

„დარდი გაუმრავლდეთ, ვინც უცხო კერპებისკენ ისწრაფვის“, ამბობს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 15-16,4) (14,534).

„სვი წყალი შენი აუზიდან და ანკარა შენი ჭიდან.

„...მხოლოდ შენი იყოს და უცხოები არ დაგეზიარონ“, მოძღვრავს ერს „იგავნი სოლომონისა“ (5,15,17).

ბიბლიაში გადაჯიშებულ ვაზებს უფლის ბრძანებით ტოტებს აჭრიან: „დაუარეთ მის ვაზებს და გაანადგურეთ, მაგრამ საბოლოოდ არ მოსპოთ, ტოტები შეაჭერით, რადგან უფლის არ არიან ისინი“(იერემია წინასწარმეტყველი, 5,10) (3,129).

გადაჯიშებული ვაზი ონავარი ფრინველების და მიწის მხეცების საბუდარი ხდება; „რთველის წინ, როცა გადასული იქნება ყვავილობა და ნაყოფი დამწიფებული, დანით აკაფავს ლერწებს და ყლორტებს მოაშორებს ვაზს.

„ყველაფერი მიწის ონავარ ფრინველებს და მიწის მხეცებს დარჩებათ, დააზაფხულებენ იქ ონავარი ფრინველები და მიწის ყოველგვარი მხეცი იქ დაიზამთრებს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 18,5,6) (9,86).

„ჩემი ნანინანატრი ყანა გატიალებულ უდაბნოდ აქციეს“ (იერემია წინასწარმეტყველი), წუხს უფალი.

გადაჯიშებულ ვაზს, გატიალებულ ყანას გაწმენდა მოელის.

სასჯელი მკით და გასხვლით გამოიხატება ბიბლიაში. მკა წუთისოფლის აღსასრულს ნიშნავს.

„იმ დღეს გალეწავს უფალი თავთავებს ევფრატიდან ეგვიპტის ხევამდე და თქვენ, ისრაელიანებო, სათითაოდ აიკრიფებით“ (ესაია წინასწარმეტყველი, 17,2).

ბიბლიაში ეროვნულ უბედურებად აღიქმება უცხო თესლის მოძალება: „გაამზადეთ ნამგლები, რადგან მოწეულია სამკალი.

„გახდება იერუსალიმი საწმინდარი და ვერასოდეს შევა იქ უცხო თესლი“ (იოველ წინასწარმეტყველი, 4,13,17) (3,275).

„ოღონდ აღიარე დანაშაული, რომ გზებს მიიკვლევდი უცხო თესლისკენ“ (იერემია წინასწარმეტყველი, 1,13).

„ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: „ბაბილონის ასული გასალეწად გამზადებული კალოა: ცოტაც და დადგება მისი მომკის ჟამი“ (იერემია წინასწარმეტყველი, 51,33) (3,177).

ბიბლიაში საკუთარის, ეროვნულის დაცვას გამაგრებული ჭიშკრების სიმბოლო გამოხატავს: „უფალმა გაამაგრა ურდულები შენი ჭიშკრებისა, აკურთხა ძენი შენნი შენთან“ (ფს. 147,2) (14,681).

ჭეშმარიტი გზით მოარულნი უფალს ევედრებიან უცხო ტომთა ხელიდან ხსნას: „უფალო, მიხსენი და გადამარჩინე მრავალ წყალთაგან, უცხო ტომთა ხელიდან, რომელთა ბაგენი ტყუილს ლაპარაკობენ და რომელთა მარჯვენა სიცრუის მარჯვენაა“ (ფს. 144,7,8) (17,678).

უცხოთა გათამამებას, მათ თავხედურ მოვლინებას სტუმარ-მასპინძლის როლის აღრევა მოსდევს: „ჩვენი სამკვიდრო უცხომ დაიმკვიდრა, ჩვენი სახლები – გადამთიელმა.

„ჩვენსავე წყალს ვერცხლის ფასად ვსვამთ, შეშას ვყიდულობთ.

„მონები ხელმწიფობენ ჩვენზე“, გოდებდა იერემია წინასწარმეტყველი (4,2,8) (3,184).

„როგორ ვიმღეროთ სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე?“ კითხულობდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 136,4) (14,671).

ისევ და ისევ უფალი ეიმედებოდა უცხოთა მოძალებით გაწამებულ ხალხს: „...უცხოთა ხმაურს შენ აცხრობ, როგორც ხვატი ღრუბლის ჩრდილში, ისე ითრგუნება მტარვალთა სიმღერა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,5) (3,91).

ღმერთი რწმენით აერთიანებს მრწამსით განსხვავებულებს: „მაგრამ უცხოთა შვილებს, რომლებიც მიეკრნენ უფალს, რომ ემსახურონ უფალს და ჩემი აღთქმის მტკიცედ დამჭერს მოვიყვან ჩემს წმინდა მთაზე და ჩემს სამლოცველო სახლში გავახარებ და ჩემს სახლს ყველა ხალხის სამლოცველო სახლი დაერქმევა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 56,6,7) (, 115).

გალაკტიონის „მამულში“ „სხვა ხალხის“ ხსენება მიხეილ ჯავახიშვილის „მთიდან მოსულ უცხო ვინმეს“ – ჯაყო ჯივაშვილს და მის ნაშიერთ გვაგონებს, რომელთაც ხიზნად უქცევიათ ძირძველი ქართული მიწის – სამაჩაბლოს მკვიდრი თეიმურაზ ხევისთავი.

„უბედურების მომტანი უცხო“ ფიგურირებს გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“. მწერალს თბილისი ბიბლიურ ბაბილონს აგონებს, როგორც შოთა ნიშნიანი-

ძეს „...ღმერთო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის, ვულკანზე შემდგარი საქართველო“...

ეროვნული ტრაგედიის შემამზადებელია მესამე, უცხო ძალა, წითელი ეშმაკი რომელიც შფოთის და სიკვდილის მომტანია კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ“.

ეს ქართველთა მარადიული პრობლემაა.

„უცხოობაში რაა სიამე?“ წუხდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სოფიო პოემაში „ბედი ქართლისა“.

„სახით სიტყვა მშვენიერის“, „სხივის“, „მზეთა მზის“ გაუჩინარების სევდა მსჭვალავდა „დავითიანის“ ავტორს, ქრისტიანულ ღმერთს დაეძებდა „საყვარლის“, „სულიკოს“ სახით აკაკი წერეთელი.

მთელი ჩვენი ქვეყნის უბედურების დამწყები იყო არგონავტების შემოსვლა, რომელსაც ბრწყინვალე რომანი – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ უძღვნა ოთარ ჭილაძემ.

„ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი“ წარმოჩნდება გალაკტიონის „კოშკში“ ჩვენი ქვეყანა.

„უცხო ფარდები, უცხო მდგმურები“ აძრწუნებდა პოეტს.

„ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოდის განათება“ – ასეთი ღრმა ქვეტექსტების შემცველი სტრიქონებით გვაუწყებს ერის სატკივარს უცხოებისკენ გადამისამართებული პოეტი.

პოემა „მშვიდობის წიგნი“ იმ უცხოს, იმ „სხვას“, ბოროტი ზრახვებით მოსული ჩრდილოელი მონსტრის მუხანათობის მხილებაა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „ვენახის“ –მამულის მოვლისა და „სხვა ხალხთან“, უცხოსთან დამოკიდებულების გალაკტიონისეული წესები არაბოლშევიკურია, რადგან „ახალი მოწესენი“ ბაბილონის გოდლის აგების მსგავსი საქმიანობით გამოირჩნენ...

პოეტისთვის ორგანული იყო სხვასთან, უცხოსთან ისეთი მიმართება, როგორიც ბიბლიაშია და, რაც მთავარია, არ ტოვებდა რწმენა უფლის სამართლიანობისა, მისი მსჯავრის ობიექტურობისა.

„მამულის“ მეორე სტროფში საინფორმაციო ველი იხსნება: „გაშალა ველი ნელმა ნიავმა “... პოეტს წარმატებით ხელეწიფებოდა სამყაროს საინფორმაციო ველში ჭვრეტა და წარსულის, აწმყოს თუ მომავლის მოვლენების გასიგრძეგანება. ნიავი საღმრთო ნიავია, სულიწმიდის მობერვა, რათა დალანდოს უზენაესი.

ამჯერად პოეტს ამ ველში ელანდება „მოხუცი მამა“: „...და მელანდება მე მის წიაღში მოხუცი მამა, მოხუცი მამა, სასხლავით ხელში დადის ვენახში“.

„ლურჯა ცხენების“ ავტორი ბევრჯერ დასწრებია ცის გახსნას, დაჰბედებია სხვათაგან უხილავის ხილვა.

წმინდა წერილში ღმერთის სახელია „მარადისობის მამა“ (ესაია წინასწარმეტყველი 9,5) (3,80), „მამა ყოველთა“, „დიდების მამა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 1,3,16) (14,385,94), „ნათელთა მამა“ (იაკობ მოციქული, 1,17) (14,295).

ღმერთს „ჭეშმარიტ მამას“, „დიად მამფალს“ უწოდებდა დანტე (15,206).

გოეთეს „კაცობრიობის საზღვარში“ ღმერთის სახელია „წმინდა, მოხუცი მამა“ (16,89).

ნიკოლოზ ბარათაშვილი მიმართავდა ღმერთს: „ღმერთო მამაო“ (ჩემი ლოცვა) (17,)

ილია ჭავჭავაძე ლოცულობდა ზეცის მამასთან (ლოცვა) (18,20).

ვაჟა-ფშაველას „თეთრწვერა მოხუცის“ სახით ეცხადებოდა ღმერთი (მოჩვენება) (19,223).

გოდერძი ჩოხელის ლუკას ღმერთი –„თეთრი მოხუცი“ ევლინება და ავალებს, იპოვოს ყვავილი, ანუ რწმენა, ღმერთი (20,19).

სიზმარში, ჩვენებაში ღმერთის გამოცხადება რჩეულთა ხვედრია: „...რათა მოგცეთ ჩვენი უფლის – იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2,17) (14,414).

ღმერთის მოხუცად მოხსენიება ნიშნავს, რომ იგი არსებობდა ყოვლთა უწინარეს, მარადიულად, კაცობრიობის გაჩენამდე (Ареопагит Д. 21,83).

„მამულში“ სასხლავით გამოჩენილი მოხუცი მამა ბიბლიურ რემინისცენციებსაც იწვევს, რადგან „ვენახის“ – ხალხის მცველი და მსაჯული უფალია. ამასთან, ბუნებრივად ჩნდება ხსოვნაში ერის მამად აღიარებული ილია ჭავჭავაძის სახე, რადგან ეროვნული შინაარსის ვენახისა და ბაღის უპირველესი მცველი სამშობლოში სწორედ წმინდანად აღიარებული „აჩრდილის“ ავტორი იყო.

„მასზე“ – ღმერთზე ოცნება მსჭვალავს ლექსის ლირიკული გმირის სულს: „... აქ თითო ყლორტი და თითო ღერი მასზე ოცნებას დაემგვანება“...

ლექსის შემდეგ სტრიქონებში გულისტკივილი ვლინდება, ამწვანებული მდელო და კორდი მხოლოდ წუხილს, სინანულს აღძრავს: „ისევ ამწვანდა მდელო და კორდი! დავდივარ, ვწუხვარ და მენანება!“

ამ სტროფში სრულიად სამართლიანად ილიას „გაზაფხულის“ და „აჩრდილის“ რემინისტენციებს ხედავს თეიმურაზ დოიაშვილი.

იდუმალ ველში ღმერთის წამიერი მოლანდება იმედის ნიშანსვეტად ისახება, რადგან მიწის ვენახის გასხვლა ღმერთის პრეროგატივაა, ერის ჭირისუფლებთან ერთად.

გალაკტიონმა ჩვენი დიდი, ფიზიკურად უკვე წასული წინაპრების გამო სინანულისას იხილა „მოხუცი მამის“ სანუგეშო სახე.

პოეტი წუხდა, რომ „სარწმუნოება გახდა სატანის“ და „შურისძიების ღმერთის“ სათარეშოდ იქცა ქვეყანა.

გალაკტიონს სჯეროდა, რომ აუცილებელი იყო მიწის ვაზის გასხვლა, რომ ზეცის ვაზის მცნებების გათავისება იყო არსებული ვითარებიდან გამოსავალი.

გალაკტიონი ელოდა უფლის „დიდ დღეს“, რომელიც თავის ადგილს მიუჩენდა ყველას და ყველაფერს.

აშკარაა, „მამულის“ ავტორს არ მოსწონდა „სხვა ხალხის ჟრიამული“, „დევების უგონო აურზაური“, „მრავალ ათას ხმის ზმანებათ ასხმა, მათი თავდასხმა და სითამამე“, ძაღლის ყმუილი, ჭოტის კივილი, მშობლიურ მიწას დადარაჯებული ვეფხვის მადა, რომელსაც სურდა „რაღაც ნამცეცი ცისა და მიწის“ (მშვიდობის წიგნი).

არა აღმოსავლური ბაიათები, ჭიანური ან თარი (ნუ ქვითინებს ჭიანური, დააჩუმეთ თარი, არაადამიანური ავი დარის დარი), არამედ ქართული ჰანგები, ჩონგური ენატრებოდა.

გალაკტიონისთვის მიუღებელი იყო „უსაზღვრო ბჭე“, სოფლის ძილი, „გადაუკეტავი კარები“ (მშვიდობის წიგნი), უეზოო სახლი, უცეცხლო კერა, უჭიშკრო ეზო (იმ ერთა ლიგას).

პოეტი ხედავდა ეროვნული გადაგვარების საფრთხეს, ინტერნაციონალიზმის

სახელით ერთა აღრევას, „უფროსი ძმის“ სინდრომით დაავადებული იმპერიის პოლიტიკას, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ დევიზით მოქმედებდა და პოეტი ხმას იმაღლებდა „თოკიანი მხეცის“ წინააღმდეგ.

„მამულის“ სევდიან ტონს განმუხტავს და მომავლის იმედად ილანდება სასხლავით ხელში მოვლენილი მამა, რომელიც აპოკალიფსის მსაჯული ღმერთის ასოციაციას იწვევს.

„მამულში“ ნაგულისხმევია გალაკტიონის ზეციური სამშობლოც, მიწიერთან ერთად, უფალი კი პოეტს მშობლიურ შემოგარენში ევლინება „მოხუცი მამის“ სახით.

გადაურჩებოდა თუ არა საქართველო ბოლშევიკური იმპერიისგან მოვლენილ კატაკლიზმებს, აი რა აწუხებდა პოეტს, რასაც უძღვნა პოემა „მშვიდობის წიგნი“, რომელშიც გადარჩა ბაღი (ხალხი), წიგნი (რწმენა), მაგრამ დარჩა წყალდიდობის შედეგად დატბორილი ორმოები, როგორც ახალი საშიშროება, გადაშენდა ია–ვარდი, მომრავლდა ჯაგი, ეკალი.

ამ პოემაშიც ხალხი დასაჯა უზრუნველობამ, გადაარჩინა გამოღვიძებამ..

თეიმურაზ დოიაშვილის აზრით, გალაკტიონის პოეზია გაჯერებულია ილია ჭავჭავაძის „გაზაფხულისა“ და „აჩრდილის“ რემინისცენციებითა და ალუზიებით.

მეცნიერის აზრით, გალაკტიონის „მოხუცი მამა“ თვითონ ილია ჭავჭავაძეა.

ამ მოსაზრებას ეთანხმება როსტომ ჩხეიძე.

„მამული“ შეჯამებაა იმ პრობლემა-სატკივრების, რაც ჩვენს ქვეყანას ასწლეულებში დაუგროვდა. პოეტის აზრით, შექმნილი ვითარების გამოსწორებას ჩვენი ზეციური მამისა და მისგან ხელდასხმული საქართველოს თანამდევი უკვდავი სულების იდეალების გათავისება, ერის ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. არტურ რემბო, ლექსები, მოსკოვი, 1990 (რუსულ ენაზე)
3. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
4. გაზ. „თბილისი“, 1990, 13 მარტი
5. გაზ. „სახალხო განათლება“, 1990, 12 აპრილი
6. ოთარ ჩხეიძე, სამეცნიერო კონფერენცია, თბ. 2011
7. როსტომ ჩხეიძე, კომიკოსი ტრაგედიაში, თბ. 2016
8. დავით თევზაძე, საუკუნის თვალით, თბ. 1995
9. დავით კლდიაშვილი, ქართული პროზა, წიგნი XVI, თბ. 1988
10. ვახტანგ გურგენიძე, გალაკტიონი მოსკოვის ქართულ დეკადაზე, თბ. 1996
11. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ, I, თბ. 1993
12. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 1994
13. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
14. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
15. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941
16. გოეთე, ლირიკა, თარგმანი ვახტანგ ბეწუკელის, თბ. 1961
17. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ. 1968
18. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი 6 ტომად, ტ. I, თბ. 2012
19. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. I, თბ. 2011

20. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ. 1988
21. Ареопагит Д. Божественные имена. Мистическое Богословие, путь к истине, Киев. 1991

გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი

გალაკტიონ ტაბიძის უმთავრესი თავისებურებაა ღრმააზროვანი სათქმელის სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით გამჟღავნება.

ბაღის სახეს პოეტების მეფის შემოქმედებამ შესძინა სოციალური, ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური ქვეტექსტები.

ბიბლიაში ორგვარი ბაღი და ვენახი გვხვდება.

ზეციური ვენახი ქრისტეს სიმბოლოა: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა“ (იოანე, 151) (1,213).

მიწის ვენახი და ბაღი ბიბლიაში ებრაელი ხალხის სიმბოლოა.

„ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7,) (2, 77).

ასევე, ებრაელი ხალხია მორწყული ბაღის ადრესატი: „იქნები მორწყული ბაღივით და წყაროსავით, რომლის წყლები არასოდეს დაშრება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58,11) (2,117).

ზეციური ბაღი წმინდა სულების, ანგელოზების სავანეა.

ედემის ბაღი, რომელიც შექმნა ღმერთმა, უცოდველი ადამის და ევას საცხოვრისი იყო.

ბაღში ყვაოდა სიცოცხლისა და ცნობადის ხეები. პირველ ადამიანებს უფლება ეძლეოდათ, ეჭამათ სიცოცხლის ხის ნაყოფი, მაგრამ ეკრძალებოდათ ცნობადის ხის ნაყოფის მიღება. ბოროტი სულისაგან ცდუნებულმა ევამ დაარღვია ეს პირობა და ადამსაც შეაჭამა აკრძალული ხილი, რასაც მოჰყვა მათი ცნობიერების შეცვლა და სამოთხიდან განდევნა (დაბადება, თ. 2, 16,17) (2, 8).

გალაკტიონ ტაბიძე ხშირად მიმართავს ბაღის სახეს და თანაც მრავალმნიშვნელოვანია მისი ჩანაფიქრი.

ძალზე ხშირად, ბაღი და მებაღე რელიგიურ ჭრილში აქვს გააზრებული.

პოეტის ლექსებში ბაღი სიმბოლოა ხალხისა, ხოლო მისი მაცოცხლებელი არის მებაღე-ღმერთი.

ლექსი „გადანახული დროშები“ (1908 წ.) დაკარგული რწმენის, გადამხმარი ბაღებისა და ამომშრალი წყაროს რეკვიემია, ანუ უარყოფილი ღმერთისა და გაუსახურებული ადამიანური ბუნების გამოტირება: „ვდგევარ კლდეზე – აქ ოდესმე ბაღი იყო სანეტარო. გადამხმარა ჩვენი ბაღი, ამომშრალა ჩვენი წყარო“ (3,9).

კლდე, სულიერი კლდე ქრისტეს მეტაფორული სახელია: „და ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ; ხოლო ის კლდე იყო ქრისტე“ (პავლე მოციქული, კორინთელთა, 10,4) (1,370).

გალაკტიონის ლექსში კლდეზე გაშენებული ბაღი რწმენით განმტკიცებული

ხალხია.

ლექსის მიხედვით, ადრე აქ „დროშებით უმღეროდნენ რწმენას მთაზე გამოსახულს“.

მთის სახე მიმანიშნებელია მარიამ ღვთისმშობელზე და იგი მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: „ჰხედევდ, ვიდრე არა გამოეკუეთა ლოდი მთისაგან თვინიერ ხელთასა“ (დანიელი, 2,34) (2,247).

მთა მარიამის, ლოდი – ძე ღმერთის სიმბოლოა.

სიცოცხლის წყალი, ცოცხალი წყალი ქრისტეს მეტაფორად ფიგურირებს ძველ და ახალ აღთქმაში.

ღმერთი არის „ცხოველმყოფელი წყაროსთვალი“ (იერემია, 17,13) (2,14).

„იმ დღეს იქნება, რომ იდინებს იერუსალიმიდან სიცოცხლის წყალი“ (ზაქარია, 14,8) (2,304).

„გავხსნი ნაკადულებს ხმელ გორებზე და წყაროებს ტრამალებში. უდაბნოს წყლის ტბორად ვაქცევ, ხრიოკ მიწას – წყაროსთვალად“ (ესაია, 41,18) (2,104).

გალაკტიონის „გადანახულ დროშებში“ „ამომშრალი წყარო“ ღმერთის უარყოფაზე, „გადამხმარი ბაღი“ უღმერთობით გაუხეშებულ სულზე მიგვანიშნებს.

ღმერთის უარყოფა, წმინდა გზიდან გადახვევა ყოველთვის სატანასთან დაძმობილებით მთავრდება, რაც ადამიანური ბუნების გაუდაბურების მომტანია.

ეს მოვლენა გალაკტიონის მიერ სახელდებულია, როგორც ბაღის გახმობა, ედემის განადგურება, მაისის გაქრობა.

„დაბმულ ჭინკაში“ სწორედ ამ პროცესზე ხდება მინიშნება: „ლურჯი ედემი ქარმა დაბურდა, მაისი გაჰქრა და ბაღი ჩემი გაუდაბურდა“ (4,388).

„ლურჯი ედემი“, სამოთხე მარიამის სიმბოლური სახელია (5,11).

მაისი, გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) ღმერთის მეტაფორაა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65,12) (1,588).

ლექსის „ქარი“ ეპოქის სატანური ძალაა, რომელიც ენაცვლება საღვთო ნათელს.

უზენაესი საწყისების უარყოფა, ჭინკების (ცდუნების), ქარის ძალა ბაღს – კაცთა ბუნებას ატიალებს, უდაბნოს აბატონებს: „უჩინრად რბიან დღენი და თვენი, არ ვთვლი მათ დენას და გამარჯვება, უდაბნოვ შენი, მე მართმევს ენას, საუკუნეთა ვდგევარ წინაშე ასე გულმკვდარი...“

„უდაბნო, კლდოვანი ლანდშაფტი განასახიერებს სააქაოს ცოდვილ ყოფას“ (ზ. გამსახურდია) (6,211).

„დროთა ავადმყოფობას“ მოსდევს გაზაფხულის გაქრობა, ბაღის სიკვდილი, კვალის დაკარგვა, ხოლო „ძველი წიგნების“ გვერდების არევა წყევლით და შეჩვენებით მთავრდება: „გაზაფხულისა გაჰქრა შვენება და მიეფარა ნისლს სიზმარეულს... და ბაღიც კვდება ძველად დარგული, ის ყველაფერს გრძნობს კვალდაკარგული. რა ქაოტურ ბადეს ედები, სადაა, ბედო, ის იმედები?... ძველი წიგნების გვერდებს არეულს სდევს მხოლოდ წყევლა და შეჩვენება“ (ძველი წიგნების გვერდებს არეულს) (3,281).

გაზაფხული (ზაფხული) საღვთო სახელია (ფს. 65,12).

ღმერთის მეტაფორაა წიგნი, ძველი წიგნი და მისი ვარიაციები მრავლად არის

„მშვიდობის წიგნში“.

წიგნის საღვთო სახელად გაგების მაგალითი გვხვდება ესაიას წინასწარმეტ-ყველებაში: „იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები“.

„გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები – ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (ესაია, 29,11,18) (2,94).

ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებაში“ ღმერთს ეწოდება „დიადი წიგნი“: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“ (7,217).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთის სახელია „სანუკველი წიგნი“, „დიადი წიგნი“(8,383).

გალაკტიონის ლექსში გაზაფხულის გაქრობა გვამცნობს ღმერთისგან განდგომას, რწმენასგანშორებულ ხალხზე მიუთითებს „მკვდარი“, „კვალდაკარგული“ ბაღი, ხოლო „ძველი წიგნის არეული გვერდები“ შერყვნილ რწმენაზე, რასაც „წყევლა და შეჩვენება“, სასჯელი მოჰყვება.

„ატმის ყვავილებში“ დამჭკნარი ყვავილი, გაძარცული ატმის ხე მიგვანიშნებს რწმენის დაკარგვას.

ამ სფეროში მრავლად არის ქარაგმა, იგავი, ალეგორია.

ლექსში „მთვარის ჩრდილი“ ბაღს აფენია მთვარის ჩრდილი, სადღაც კი თარის ხმა ისმის ყოველ ქუჩაზე, გზა-შარაზე, მაგრამ მის სიმებში მოჩვენებითია წყალი.

ლექსის ფრაზები: „ყველაფერი არის ძლიერ კარგად“ და „წყარო ჩანს და წყალი არსად არის“ რეალურ ვითარებას ავლენს და მთავარ აქცენტს აკეთებს სათქმელზე: „მთვარის ჩრდილი ბაღს ეფინა ქარგად, მაშინ, როცა სადღაც ხმაა თარის, ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის... ო, დაჩუმდი, მოკაკანე თარო, ყოველ ქუჩის, ყოველ გზის და შარის, შენს სიმებში მე მომწყურდა წყარო, წყარო ჩანს და წყალი არსად არის“ (3,395).

რეალურ ვითარებას ავლენს ფრაზები: „ყველაფერი არის ძლიერ ცუდად“, „წყარო ჩანს და წყარო არსად არის“, რადგან წყარო, წყალი ქრისტიანული ღმერთის სახელია, მისი ჰანგები, ქრისტიანობის იდეა, მსახურება კი უცხოა აღმოსავლური თარისთვის.

მთვარე ქრისტიანული ღმერთის ალეგორიული სახელია: „მთოვარე დადგა წმიდასა ზედა თვისსა, ქალწული უბიწოი“(9,439).

გალაკტიონის ლექსის ლირიკული გმირი – მარიამ ღვთისმშობლის სახით მიანიშნებს მთავარ ქარაგმას, ამ კონტექსტშია ნახსენები წყალი (ქრისტეს სიმბოლო), ხოლო აღმოსავლური შარაგზის თარი არ არის წყაროს, წყლის ჰანგებით წყურვილის დამაცხრობელი, ანუ ლექსი რწმენის დეფიციტს წარმოაჩენს.

„შემოდგომის დღეში“ მკვდარია ყვავილები, მომაკვდავია ბაღი, ანუ ურწმუნო ადამიანის სულისთვის ჭეშმარიტი ცხოვრება უცხოა: „მკვდარ ყვავილების ფენას გრძნობს მომაკვდავი ბაღი, გული იბურავს წყენას, როგორც კატორღის დაღი“ (10,36-37).

ლექსში „გული“ (1919 წ.) მეგობრად დასახული მტრის მიერ დაწყვეტილი ვარდები, „უსივრცო ბაღი“ (ურწმუნო ადამიანის არასრულყოფილი ბუნება), დანგრეულ ქანდაკებებში ჩამარხული გული შეგვაგრძნობინებს ათეისტურ ეპო-

ქაში დაკნინებულ სულს, ორიგინალური სახეა „უსივრცო ბაღი“.

„მშვიდობის წიგნში“ „მტერი მეორე“, მეგობრის ნიღბით მოვლენილი მტრის სატანური იდეოლოგია ებრძვის ჩვენს რწმენას, ადამიანურ ბუნებას, მუხანათური ხერხებით აგებს მახეს, აწყობს შეთქმულებას, ამღვრევს „წმინდა და ფერგამჭვირვალე წყაროს“, მიაქვს ჩვენი „უსუფთავესი ბაღი“, ტყე, მისი მცდელობა თავიდან „ბაღის წახდენით“ სრულდება, „ბაღი არ ბაღობს“. შემდეგ ხალხი გაიცნობიერებს თავისი უბედურების მიზეზებს, მიუბრუნდება ღმერთს და გადარჩება (11,144-276).

გალაკტიონის მიერ დახატული ბაღი „ფეერულია“, „ფანტაზმით მოსილი“.

ზოგჯერ დაკონკრეტებულია პრობლემა, ლოკალურია გარემო, ყურადღების ცენტრში ექცევა კოჯრის ქარი და ვერის ბაღი, რომელიც „დავიწყებულია“ და „შავი ჩრდილი“ აქვს შემოვლებული: „ბაღში,მოსილში ჩვენი ფანტაზმით, კოჯრით დაჰქროლა ქარმა დილისამ. მითხარი, გულო, რა ფერისაა, ეხლა რომ შავი ჩრდილი ავლია, დავიწყებული ბაღი ვერისა?“ (აივანზე) (3,323).

„დავიწყებული ბაღი“ დავიწყებული ხალხია, „შავი ჩრდილი“ კი ბაღის მოჩვენებითი პატრონის ავი ზრახვების მაუწყებელია.

პოეტი ლოკალურს განაზოგადებს და ალეგორიულად გვიჩვენებს შავსიელი ხალხისთვის გამზადებულ ბოროტ ზრახვებს.

ლექსში „ლენინი“ „ღია ბაღების“ მღელვარება, გრიგალი, მსოფლიო ნგრევა გვაუწყებს მოსალოდნელ უბედურებას: „მღელვარება ღრღნის ქალაქის ქალას: ჩავარდნილ თვალებს და ღია ბაღებს... დახურულ კარებს გრიგალი აღებს... ახლოა დრო მსოფლიო ნგრევისა“ (3,362).

გრიგალისგან გაღებული კარები და ღიად დარჩენილი ბაღი დაუცველი ხალხის ასოციაციას ქმნის.

კარების თემა ერთ-ერთი უმთავრესია გალაკტიონის პოეზიაში.

კარების ჩაკეტვის, საზღვრების, განძის გალავნიან კოშკში მოთავსების შესახებ გვესაუბრება პოეტი პოემა „მშვიდობის წიგნში“.

ნარინჯებით და იებით სავსე ბაღისკენ მტერი მოიწევს და კარი უნდა იქნეს ჩაკეტილი, ასეთია დედააზრი ლექსისა „მე შენს სინათლეს ვზოგავ“ (4,472).

კარების მოხსნაში ალეგორიულად საზღვრების მოშლა იგულისხმება (იმ ერთა ლიგას) (10,197).

ბაღის ოდნავ გაღებული კარებიდან მოსმენილი ძველებური არყების შრიალი სულ „სხვა ცხოვრებისთვის“ აღვიძებს სულს: „მხოლოდ ხანდახან ქარი შეარხევს ოდნავ გაღებულ კარებს ბაღისას, შრიალი გააქვთ ძველებურ არყებს, სხვა ცხოვრებისთვის თითქოს მაღვიძებს“ (გზაში) (3,201).

„სხვა ცხოვრება“, ცხოვრება ღმერთის სახელია: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14,6) (1,211).

ლექსში „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“ უძველეს ბაღში დანთებულ ერთადერთ სანთელს ენაცვლება გრიგალი, კორიანტელი: „შორს ერთადერთი ენთო სანთელი უუძველესი ბაღის ტოტებით, აქ კი გრიგალი, კორიანტელი და ტყე მშფოთვარე თავგამოდებით“ (3,335).

„უუძველესი ბაღი“ უუძველესი, დიდი წარსულის მქონე მშობელი ხალხის პარადიგმაა, ხოლო „ერთადერთი სანთელი“ – ღმერთია, რადგან ქრისტე არის „სანთელი ნათლისა“ (12,323).

გრიგალის, კორიანტელის მოძალება და ტყის მშფოთვარება ალეგორიულად გვაუწყებს ბოროტების, უკეთურის მუქარას.

ლექსში „პირიმზე“ ქრება დარბაზები, ეცემა სვეტები, კუბო იით ივსება... სიზმარში „წაქცეული სვეტები დგება“, რეალობაში კი „გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი და მწუხარება დამრჩა ასეთი“ (3,274).

სვეტი, ია მარიამის სიმბოლოებია (13,124), იის ადგილი კუბოშია, სვეტი წაქცეულია (სხვაგან არის „კუბოებში შთანთქმული ცა“ – „სიკვდილი მთვარისგან“).

ძმები არიან ჩვენს „უფროს ძმად“ სახელდებული მოყვრის ნიღბით მოსული მტრები, ჩვენს ბაღში, მამულში წილდადებულნი. სწორედ ესაა პოეტის წუხილის მიზეზი.

“მშობლიურ ეფემერაში“ ტყე გუგუნებს ამირანის სახელს, სასურველი იდეალის დაკარგვას (3,337).

რწმენის იავარქმნას, ურწმუნო ხალხის ტრაგედიას გვიცნობიერებს ლექსი „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ (3,247).

ზაფხულის (ზაფხული საღმრთო სახელია) წასვლასთან ერთად მოდის ფოთოლცვენის მაუწყებელი ნოემბერი, სასახლის ჩამქრალი ჭაღები, „შავი თოვლი“ და უნუგეშობა: „ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს გადირეკს ნოემბრის ბაღები, მხურვალე ვნებები გამივლის, სასახლის ჩაქრება ჭაღები... ვეწვევი განდეგილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეს, იქ შავი თოვლივით დამათოვს ჭვარტლი და ბურუსი თავანის, ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“.

სასახლე, სანთელი საღმრთო სახელებია (14,121).

ლექსში გაუქმებული ტაძრის ჭვარტლი და ბურუსი „შავ თოვლთან“ ასოცირდება და ასე ხდება მინიშნება უღმერთობაზე, რასაც საშემოდგომო ბაღების დაუძლურება, ურწმუნოების ტრაგედია მოჰყოლია.

ზაფხულის წასვლას, შემოდგომას მოსდევს ბაღში, მდელოში გაძარცულ ხეთა ფოთლების კვდომა, ნეშოს დაგროვება (მას გახელილი დარჩა თვალები) (3,256).

პოეტის სევდას ამძაფრებს ტკივილებიანი ბაღი, რაც კაცური ბუნების გატიალებას გამოუწვევია: „ფარულ ტკივილებით ბაღი დაბურული, ასეთ გრადაციით მიდის ფრთაზვიადი. ღამე – მარტოობის მტევნით დახურული, ფარდა იდუმალი, სარკე – იშვიათი“ (ფარულ ტკივილებით).

გალაკტიონის ლექსებში ხშირად ფიგურირებს „უცხო, უცხოეთი“ (რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ, ისევ უცხოეთისკენ მიმაფრენენ ნავები) (მზადება გასამგზავრებლად) (5,162), იძულებითი კავშირი უცხოსთან: „ღამე უცხოეთში უნდა გამეთია, როცა აზიიდან მოდის განათება, ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“ (3,181).

აზიის, აღმოსავლეთის განსაკუთრებულობის წარმოჩენას (დასავლეთის ღირსებების შეცნობასთან ერთად) უდიდესი ადგილი უკავია გალაკტიონის პოეზიაში.

ზემოხსენებულ ლექსში ჟონავს უცხოსთან იძულებითი კავშირის ტკივილი, უცხოსი, რომელიც უძველესი კულტურულ-სარწმუნოებრივი ტრადიციების მქონე ერს ზევიდან უყურებს თავისი მრავალრიცხოვნების გამო.

„უცხოეთის ტყვეს“ ეზმანება ბაღი, ჯეჯილი, მთის ქარი, ტანჯავს ყოფნის სიზმარეულობა: „შორს ბაღი მოჩანს, მოჩანს ჯეჯილი, და ისევ ბაღი, ისევ მთის ქარი, მე ვდგავარ, როგორც ტყვე უცხოეთში, როგორც სიზმარში უცხო სიზმარი“ (მთვარე მთას ამოეფარა) (3,136).

ლექსში „ავდრის მოლოდინი“ „ქალწული“ (მარიამ ღვთისმშობელი) დაგვირგვინებულია „ნელ ლერწმებით და ვაზის მტევნებით“ (ვაზი ქრისტეს მეტაფორაა).

აქვეა ეპოქის ავბედითი ქარის (ათეიზმის) შიში, რწმენის გადარჩენის სურვილი და მებაღის მოლოდინი: „ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი, მებაღემ მოსვლა თუ არ ინება“.

„მებაღის“ მოლოდინი ქრისტეს მოლოდინია.

არც უფლის დედაა პატივში, რომელიც მოაზრებულია დაჭრილი ღრუბლის სახეში: „...მთებს, ირმებს, შველებს,ხევს და ნაპრალებს აწუხებთ ღრუბლის მძიმე ჭრილობა“ (3,197).

მშვენიერი ბაღისა და მებაღის დაკარგვა ყველა დანაკარგზე უფრო დიდი მწუხარების მომტანია: „მშვენიერი მახსოვს ბაღი, მებაღე მას არ თარგავს, დავკარგე და ვიგრძენი, რომ კარგი რამ დამიკარგავს“ (მელანქოლიური მოსიმღერე) (4,38).

ლექსში „შიში“ (4,337) პოეტმა საბჭოთა პერიოდის რეპრესიები, ურწმუნოება წარმოადგინა გამანადგურებელი ხოლერის სახით. მასში „ხეები ხმებიან“, ხე ღმერთის სიმბოლოა.

„მშობლიურ ეფემერაში“ (4,337) გადასხვაფერებულია ხეები, ზამთრისაგან წაშლილია ბილიკი: „ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს, ზამთარს ბილიკი დაუტანია...“

ბილიკი საღვთო სახელია: „წავიყვან ბრმებს მათთვის უცნობი გზებით და მათთვის უცნობ ბილიკზე ვატარებ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 42,16) (2,105)

ლექსის „ზამთარი“ ჩრდილოელ ყინულოვან მონსტრს მიემართება.

ლუციფერის სამშობლოში მწუხარებით შეპყრობილებს მეტი არჩევანი არა აქვთ და უძმობილდებიან ღამის ტყე-ველს, სადაც ნაზარეველი გაუჩინარებულა: „ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა ღამის ტყე-ველი. არასდრის ჩვენთან იქ არ ყოფილა ნაზარეველი“ (სამშობლო შავი ლიუციფერის) (15,313).

„თოვლში“ (4,73) თუ „იისფერი თოვლი“ იდუმალის ხატებაა, იანვრის ძმობა, თეთრი ტყეების სიცივე სულს ყინავს და მარტოობას აძლიერებს: „თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე“. აქვე თოვლში დაცემულია ზამბახები, ზამბახები კი მარიამის სიმბოლოა.

ლექსში „ალვები თოვლში“ თოვლიანია ალვა (ალვა სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის სიმბოლოა), აქვე თასი გაყინულია (თასი მარიამის სიმბოლოა). ლექსი უღმერთობის ტრაგედიას აფიქსირებს.

„ათოვს გამვლელებს და გულცივ ბაღებს, სად უნდა ნახო აქ თავის თავი“, ჩივის პოეტი ლექსში „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ და სისხლიანი რევოლუციით გათელილ რწმენას უკეთებს აქცენტს (4,255).

ნისლიანი ტყე და ცხოვრების სიძნელეა ასოცირებული ლექსში „სროლის ხმა მთაში“: „...ნისლს ათამაშებს შემოდგომის ტყე, ცხოვრება ძნელი“ (4,143).

„საშიშარი ღამის ტყე-ველი“, „მთების იარა“ და ღრიანცელში მავალი გემის სახეები იქცევს ყურადღებას ლექსში „რა ღრიაცელში ვიდოდა გემი“: „დაღამდა, ნისლი გადეკრა შარას, ტყეს დაეფარა ღამის ბლონდები, მაგრამ გახედავ მთების იარას და უსათუოდ მოგაგონდები. რა ღრიანცელში ვიდოდა გემი, რა საშიშარი იყო ტყე-ველი, ყველგან, ყოველში მარხია ჩემი სულის ნაწილი შეუმჩნეველი“ (4,250).

გზა, შარა საღვთო სახელია (ესაია წინასწარმეტყველი, 42,16). იგი ნისლიანია.

მთა მარიამის სიმბოლოა (დანიელი წინასწარმეტყველი, 2,34). მთების იარა უარყოფილ მარიამზე მინიშნებას იძლევა.

გემი, ძელი რწმენის პარადიგმაა (ნეტარი ავგუსტინე) (7,519).

„დემონიურ სულის ლტოლვით გადვევლე მთებს და ტყეებს“, გვაცნობს პოეტი თავის დაუმორჩილებელ სულს (დღეთა გარდასულთა) (4,119).

ბაღში ქარისგან ატმის ყვავილებს გაძარცვა, დაღამება, მზის ჩასვლა და მწუხრი უღმერთობის ტრაგედიას გვაცნობს ლექსში „ატმის ყვავილები“: „ბაღის ბილიკზე მივდივარ და თან გაძრცვნილ ატამთან ზღვები გროვდება, საღამოვდება და მზის ჩასვლასთან თანდათან მწუხრი მიახლოვდება“ (4,112).

ზამთრის, ყინვის, თოვლის საშუალებით პოეტი ხშირად ყინულოვან იმპერიას ახასიათებს, მის ათეიზმს უკეთებს აქცენტს.

„თოვლში“ ზამთრისაგან გადარჩენას ნატრობს, „ვარდებში“ კი ზამთრისგან თავდაღწეულია: „მე, ზამთრისგან ჯაჭვაწყვეტილი, ნაცნობ ბაღისკენ მივემართები, სად ფერად უცხო, ყნოსვად კეთილი, ზამთარ და ზაფხულ ყვავის ვარდები“ (10,20).

პოეტისათვის „უახლოესია“ „უუძველესი ბაღის სურნელი“ (მწოლარე) (3,282).

პოეტის იდეალია არა იავარქმნილი ბაღი, როგორც ურწმუნო სულის პარადიგმა, არამედ მაისის, გაზაფხულის, ოცნებით და სიყვარულით მოსილი ბაღები: „ისევ მაისი მშვენიერ ბაღთა, ისევ ოცნება და სიყვარული“ (ისევ ოცნება და სიყვარული) (3,293).

შადრევნის თანხლებით წარმოდგენილი ბაღი ნათელი სულის, რწმენით სავსე ხალხის ალეგორიაა, რადგან შადრევანი საღვთო სახელია: „...ეგ სიხარული, ეგ ღიმი, ეგ ბაღი, ეგ შადრევნები...“ (გამონაკლისი) (3,39).

„აფეთქებული ბაღების“ სიხარულია ლექსში „იღიმებიან სახლები“.

„საახალწლო ეფემერაში“ (16,101) პოეტს ეზმანება „ბაღის მძიმედ აშადრევნება“, ანუ ბაღი აუზით, შადრევნით, ე.ი. მორწყული და არა გამხმარი ბაღი. „აშადრევნება“ ნეოლოგიზმია. ლექსში უხვად არის „ფეერიული“ სახეები, „ფანტაზმები“...

წარსულის ტრადიციების ქმედითი ძალით, გუშინდელის ინერციით მაინც დღევანდელი ბაღი შენდება: „გუშინდელმა გაიარა გუშინა, წინანდელმა გული ვერ შეუშინა, დღევანდელ დღეს ბაღი შემოუშენა: ეს დიდი დღე ახლა მას ეუბნება – ადამიანს დაემონა ბუნება“ (განიახლე, განიახლე!).

ლექსის რეფრენია „განიახლე!“ (15,283).

„ბაღის შემოშენებასთან“ ერთად, პოეტს აინტერესებდა „ყვავილთ შემოშე-

ნება“.

სიყვარულთან წილნაყარია მთვარიან ტყეში დაცვარულ გზაზე მოარული პერსონაჟი ლექსისა „ქალაქისკენ“: „ის გამოვიდა ძლიერ ადრე, ვით სიყვარული, მთვარიან ტყეზე მიდიოდა გზა დაცვარული“.

სიყვარული ღმერთია (იოანე, I, 4,8).

მთვარე მარიამ ღვთისმშობელის სახელია (9,124).

გზა და ცვარი ქრისტეს მეტაფორაა (4,121).

ლექსში ღვთისნიერ ბუნების შვილთან გვიწევს შეხვედრა, რომელიც ქალაქისკენ მიემართება და ახალ გარემოში გაუცხოებაა მისი ხვედრი: „ცხელი ქალაქის ქვაფენილმა მე ვერ მიშველა, როს უქუდო და ფეხშიშველა მივდიოდი და გამწარებით ვიმტვრევდი თითებს, ვინ გაგიგონებს, ვინ მოგხედავს, ვინ დაგამშვიდებს“.

და ისევ დედამიწა, ბუნება ხდება ნამდვილი დედა...

პოემა „მშვიდობის წიგნში“ მოყვრის ნიღბით მოსული ქაჯი ემტერებოდა ბაღს (ხალხს), მოჰპარა მას მშვიდობის წიგნი (რწმენა, ღმერთი), მაგრამ ათეული წლის წვალების შემდეგ ტარიელმა იპოვა მთავარი განძი (რწმენა) და ბაღს (ხალხს) დაეტყო წიგნის (ღმერთის, რწმენის) კეთილისმყოფელი გავლენა, რაც ასეა გამოხატული: „...კვლავ ძველი შრიალებს ბაღი და ძველი დაღი წიგნების აზის“.

ლექსში „უცდიან ახალ მიქელ-ანჯელოს“ (10,161) „...სიყვარულით სუნთქავს ტყე-ველი, აღგზნებულ გულის ალერსისა მზე ულეველი“.

სიყვარული, მზე საღმრთო სახელებია.

„ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8).

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12).

პოეტის ბედნიერების საზომია ვარდებიანი ბაღი, ანუ რწმენის ერთგული ხალხი: „სანამ არ გადამჭკნარან ბაღში ვარდთა ბარდები, მიწავ, ნუ გეცოდები, ცაო, ნუ გედარდები“ (სანამ არ დამსხვრეულან) (4,385).

გალაკტიონს გამუდმებით აწამებდა ზამთარი, ყინვიან-თოვლიანი ზამთრის სამეფო, სულის მზაფრავი მისი სატანისტური იდეოლოგია, ხოლო თავისუფლების განცდისას „ზამთრისგან ჯაჭვაწყვეტილია“, ნაცნობ ბაღში კი ზამთარ და ზაფხულ მოყვავილე მარადიული ვარდები (ღმერთი) ეგულება. თუ უღმერთობა სილაში მოქცეული ვარდის განცდას ბადებდა, სულიერი გასხივოსნების მომენტში უწვიმარი რიჟრაჟის ვარდივით მზიანია: „მე ზამთრისგან ჯაჭვაწყვეტილი, ნაცნობ ბაღისკენ მივემართები, სად ფერად უცხო, ყნოსვად კეთილი, ზამთარ და ზაფხულ ჰყვავის ვარდები... როცა მზიანი იყავი ისე, როგორც უწვიმარ რიჟრაჟში ვარდი“ (ვარდები) (4,284-285).

„შერიგებაში“ დიადი, შემოქმედებითი ყოვლისშემძლეობით გამორჩეული სული ყველგან მზეს, შეყვარებულ და მეოცნებე ბაღს ჭვრეტს, რომელიც მყინვართან ერთად, მაისის ალით აზამბახებულია: „დღეს ყველგან მზეა. ახლა ამ ბაღებს და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს, მაისი ალით ააზამბახებს, ვით შეყვარებულს და მეოცნებეს“ (4,53).

ორიგინალური, მიგნებული სახეა შეყვარებული და მეოცნებე ბაღი, ანუ ამაღლებულზე, დიადზე, უზენაესზე ორიენტირებული ხალხი.

კიდევ უფრო იდუმალი, ენიგმებით სავსე ლექსია „გობელენი“ (4,81), რომელიც სავსეა მარადიული ზეცის ხილვებით: „იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით, მოველი ღამეს და შენ, სულამით. ჩემს მკვლელ – მიუვალ ღამეს მოველი!“

გალაკტიონი ქმნის ზეცის სახის ვარიაციებს: ლაჟვარდის თვალი, თვალები შეკრული კამარის...

ცვარი, ნამი, რომელიც ლაჟვარდის თვალიდან მოწვეთავს, მხოლოდ უზენაესის სიმბოლო შეიძლება იყოს.

„ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 12,11).

სულამითი სოლომონ მეფის მისტიკური სიყვარულია.

„მკვლელი და მიუვალი ღამის“ ლოდინი ღმერთის ლოდინს გვაგონებს.

შემდეგი სტრიქონების „ალერსთა უხმო ველი“, ნისლის წამოსასხამი, თრობა ღამის ღამით, „უხილავ გზებით“ უზენაესის ხილვის ექსტაზი შეიძლება იყოს.

გვაგონდება მოსეს შესვლა ნისლში, როცა მას მოუწოდა უფალმა.

„ხეების ხელები“ მთვარით და ცვარით მოჩანს, ბაღი კი „მთვრალია“ (შდრ. ფიქრით თრობა, ღვინით უღვინოდ თრობა – ღვინო კი უფლის სახელია): „ტყის პირად, როცა ხეების ხელებს დაეკიდება მთვარე და ცვარი, დამთვრალი ბაღი გაშლის გობელენს...“

ლექსის ლირიკული გმირი მისტიკურ ექსტაზშია გადასული, რეალობა კი სრულიად საპირისპიროა, შემოდგომის ცა დამწვარია (შდრ. ზეცის ნგრევა, ტალახიანი და ჭორფლიანი ცა, კუბოებში ჩასვენებული ცა), უჩინარი ჭკნობის ალი იგრძნობა ყველგან, რაც სასიკვდილო განცდას იწვევს: „შემოდგომის ცა ასე დამწვარი, უჩინარ ჭკნობის ალთა დარევით, ტბას დავეცემი უხმოდ, მკვდარივით!“ (გობელენი) (3,195).

ლექსში რამდენიმე აქცენტის მატარებელი სახეა: ღამე, მიუვალი ღამე, ღამის ღამე, უხილავი გზები, იქაური ცა, ლაჟვარდის თვალის ნამი, უჩინარი ჭკნობის ალი, ...შემოდგომის დამწვარი ცა, ანუ ორგვარი რეალობაა დანახული – სულისმიერი და ფაქტობრივი.

„ფარდების შრიალში“ (3,195) „შავ იდუმალებას“ „სურს მოიტაცოს გაზაფხული“, მაგრამ „ბაღი ედარება ცისფერ მოგონებას“.

ლექსში „ძალა-იარაღი“ (15,127) „დაუკრეფელი სიცოცხლის ბაღის“, დაკარგული ედემის სევდაა, რაც ევასა და ადამის შეცოდების შედეგია.

ედემის ბაღი დაიკარგა პირველი ადამიანების ურჩობის გამო, მაგრამ პოეტს არასოდეს გაუწყვეტია მასთან კავშირი და ამიტომაც ამბობს: „...მაინც გათენებამდე არ ვგრძნობ უედემობას“ (ბრძოლა ღმერთთან) (4,97).

„მშვენიერი ბაღები“ „ფიქრების ფონით“ ფიგურირებს ლექსში „ოქრო“ (4,393).

„მშვიდობის წიგნში“ „ზეციური ბაღი“ გვხვდება. „ზეციურ ბაღის ზედმეტი ბარგი“ უწოდა ანგელოზმა ტარიელს თავიდან, მერე კი მისი იდუმალი ზრახვები ამოიცნო და მადლობა გადაუხადა „მშვიდობის წიგნის“ პოვნისთვის.

გალაკტიონის შემოქმედებაში პოეზიის სიმბოლოც არის ბაღი, სადაც „დაულეველი ვარდები“ ხარობს, თვით პოეტი კი თავისი შედევრებით მილიონებში ხელისმრეველია: „ოცნების მდიდარ ბაღში შევედი, ვარდები დამხვდა დაულეველი,

ვიყავ ამაყი და უძლეველი – მილიონებში ხელისმრეველი“ (მილიონებში ხელისმრეველი) (15,189).

ვარდებიანი ბაღი უზენაესი იდეალია: „სანამ არ გადამჭკნარან ბაღში ვარდთა ბარდები, მიწავ, ნუ გეცოდები, ცაო, ნუ გედარდები“ (სანამ არ დამსხვრეულან) (4,385).

ოცნების ბაღით დაჭრილი გედის სახეში გვეცნაურება პოეტი ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“: „აჰა, მოვედი, გედი, დაჭრილი ოცნების ბაღით, შეხედე, დასტკბი ყმაწვილურ ბედის დაღლილ ხელებით, წამებულ სახით“...

გალაკტიონის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ვარდის სული, გემების სული, ჭალების სული (მოდის ჭალების სული მცურავი) (4,101).

სიცოცხლის მარადიულობა, მოვლენათა მონაცვლეობა ტყის სახის გამოყენებით გაიაზრება: „ტყეს არასოდეს სიცოცხლე არ გამოეცლება გრიგალის მიერ მჭკნარ ფოთლების ძირს ჩამოგდებით“ (იცოცხლე კიდევ ას წელიწადს) (15,254).

„ფოთლები დროსთვის გვიდარებია“, ასეა განცდილი დროის სწრაფწარმავლობა (აივანზე) (16,378).

ბაღის, ტყის ფონზე განიცდება სიყვარული (აუზისაგან).

ლექსში „ყოფილა მწარე დღეები“ (15,148) „შუქმიუვალ დღეებს“ „ედემთა მსგავსი“ დღეები ენაცვლება, გადალეკილ, წაშლილ ბაღებს – „გამარჯვებათა ბაღები“: „ყოფილა მწარე დღეები, შუქმიუვალი დღეები, გადალეკილან, წაშლილან ამ ქვეყნის სამოთხეები, კვალად მოსულან დღეები, ედემთა მსგავსი დღეები, გამარჯვებათა ბაღები, ვარდები, ორხიდეები“.

„ანძების ტყე“ პოეტის ხილვებით სავსე სულს გვიხატავს: „ადევნებული მთვარის მაზარით ანძების ტყეში ლანდები ქრიან“ (ლურჯი ხომალდი).

ყურადღებას იქცევს „ტყის წელი“, „საუკუნეთა ტყე“ (პოემა ვეფხვისა).

განუმეორებელი ხედვითი სახეა: „ერთი ღამისებრ ტყე არის, ყრუ, წინ გაწვდილი ნიკაპით“ (იმ ბილიკით).

ტყე არის თეთრი, ყრუ, ტკივილიანი, სიყვარულიანი, ბნელი...

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993.
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
5. დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, საპატრიარქოს უწყებანი, №12, 3 აპრილი, 2009.
6. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991.
7. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1983.
8. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941.
9. უძველესი იადგარი, თბ. 1988.
10. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 2, თბ. 1993.
11. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973.
12. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1982.
13. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996.

14. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
15. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 3, თბ. 1994.
16. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.

ავდრის, უამინდობის, ზამთრის, თოვლის სახეთა ქვეტექსტებით სამშობლოს ბედისა თუ უბედობის გაცხადება. ავდრისა და ზამთრის რელიგიურ–პოლიტიკური ქვეტექსტები

გალაკტიონ ტაბიძემ ზამთრის, ავდრის, უამინდობის, თოვლის, ყინვის სახეებში ჩააქსოვა რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, ფილოსოფიური თვალსაზრისი, ამ სახეთა გამოყენებით შექმნა განუმეორებელი მხატვრული სახეები, ძალაუნებურად გაეჯიბრა „თოვლის ნიღაბის“ ავტორს, რომელიც, მიუხედავად გერმანული წარმოშობისა, რუსული ცნობიერების იყო. მომავალი ალბათ გასცემს სრულყოფილ პასუხს, ამ შემთხვევით შემდგარ შეჯიბრში ვინ ვის გადაამეტა.

ცნობილია, რომ ალ. ბლოკმა გაგვანებივრა თოვლის და ყინვის გამოყენებით შექმნილი მეტაფორებით: „თოვლის ემბაზში მონათვლა, ქარბუქის ქვები, ყინულის ბელტის შუბლზე ნალესი, თოვლიანი ქარის შემოხვევა, თოვლის ღვინო, თოვლის მორევი, თოვლიანი მხარის გემი, თოვლის ნამქერიანი გზა, თოვლში ჩაკირულ სულის ძახილი, უნაპირო თოვლზე გადაფრენა, თოვლიან სევდით მკვნესარი ლირა, თოვლის ფრინველის ფარდები, თოვლის ვერცხლისფერი გზები, შორეული ყინვის ნაპრალები, თეთრი სიკვდილის ველით გაყინული გული, გული, ქარბუქს გადაცემული, უკანასკნელი ეკლით თოვლში შემონათება, თოვლიანი ნეშტი, თოვლიანი მხარის გემი, თოვლის სანთელი, ცეცხლმოდებული თოვლის ეკლები“ (1, 28,29,30,34,35,36).

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ჩანაფიქრი გალაკტიონის სახეებისა: თოვლიანი მხარის ჯადოქარი სიცივე, სიავის გრძნობით შეფიფქული ქუჩა, უცნობის სკრიპკის ტირილი უამინდობაზე, ზამთრების მწუხარება, ზამთრის ყინვა–ქარბუქში ცხოვრება, თვითმპყრობელობის სუსხი, გულისდამხშობი ზამთარი, ძველი თოვლით და ყინვით შემოსილი მიუღწეველი მწვანე ნაპირები, იანვრის თოვლით დამჭკნარი სულის იები, მწუხარე თოვლი, თოვლიანი ტყეები, თოვლიანი ალვა, მწუხარე, თოვლში ფერადი გემით სვლა, ყინვის შიში შორევი, უამინდოთა სასტიკი სული, თოვლის მიერ სილისთვის მინებებული ნოვალისის ყვავილი, თოვლიანი მინდვრების სასაფლაო, თოვლიანი მინდვრების თეთრი კუბო, თოვლის მხარე, ნისლიანი მთა-ბარი, სიშავეში გაყინული ოცნება, ივლისისფერი ყინვის თასები, მაისის ყინვა, გაყინული მთა, შავი თოვლი, ზამთრის სიკვდილი, უსაზღვრო ღამე და ყინვა, ქარიშხლის ფიფქი, ზამთრის სუსხით მოკლული სხივი, თოვლში ჩაფლული, უნუგეშოდ შთენილი გაყინული ფოთოლი, თოვლის ფერ-უმარილი, ფიფქით მტრობა, ბნელი თოვა, სამშობლოდ სახელდებული თოვლი, ყინვით გადაყინული ყვავილები, ყინვათა მფენი თვალები. გვიანი ზამთარი, ზამთრით დაჩაგრული გული, ზამთრისაგან განშორების ნატვრა, ზამთრების მწუხარება, ყინვით დაბინდებული თვალი, დათოვლილი ხიდე-

ბი, დათოვლილი მწუხარება, უამინდობით შეწყვეტილი სიმების სიცილი, ელვარე თოვლში მავალი მარხილი, ზამთრის დღეები და თარეში სულის ბოროტის, დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე, ავდრით გადახრილი ქუჩა, ყინვის განგულება, ზამთარი ძნელი, გულისდამხშობი ზამთარი, წარმავალი თოვლი, თოვლის ფანტელივით გარდასული სიავე, საიმქვეყნიო და საამსოფლო სიოსთან დაპირისპირებული ზამთარი, თოვლის უკანასკნელი სამსალა, არაწმინდა თოვლი, უამურ ზამთრის გულგასაგმირი სახლი, ზვავის ზრიალი, თოვლთა მსგავსად დღეთა სვლა, ნაზავთარი ბედის ავდარი, დღეების თოვლით გადაბაღება, გაყინული ოცნება, სიზმარივით მდევარი ზამთარი, გული – ყინული, თეთრად სპეტაკი და მარად შავი, სული – აღსავსე სუსხით, დათოვლილი ხიდები, დათოვლილი ზმანებები და მწუხარება, ყინვამოსხმული გუნდი ლაშქართა, განათებული სიცივის ბრწყინვა, სიშავეში გაყინული ცა, გამწარებული სულის სიცხელე და ყინვის ამაო განგულების გლოვა, მწუხარე თოვლში ფერადი გემით სვლა, ზამთრის დღეების მოსვლა ეგზერსისებად, გულისდამხშობი ზამთარი, მაისის დღეების ყინვა, აგვისტოს თოვლი, ავდარს მოყოლილი ავდარი, დათოვლილი გამვლელები და გულცივი ბაღები, გულში აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული, თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებში გაუჩინარებული მთის გრეხილი, თოვლის ფიფქით შემოსილი ნაძვი და მღელვარე გაზაფხულზე გაყინული ნაკადული, ფიფქით მტრობა, ზამთარი, სიცივე და სიკვდილი, თეთრი თოვლის თეთრი სუდარა, თოვლი – სამშობლო, თოვა და გულის წუხილი, თეთრი ავდარი, ელვარე თოვლში მავალი გემი, წვიმა და თოვლი... მხარეები სიბერის, ყინულის სასახლე, ქუჩა, ქალაქი, კოშკი, თოვლით თრობა, ირიბი, ალმაცერი თოვლი, ყინვა და ღამე, ყინვა ფეერიული, გადაუდებელი თოვა, ზამთრის მიერ წაშლილი ბილიკი, ბნელი თოვა, მაისის ყინვა, სულში ირიბი, ალმაცერი თოვლი, ივლისისფერი ყინვის თასები, თოვლთა მსგავსად დღეთა სვლა, თეთრი ავდარი, თეთრი ტყე, თბილისის ზამთრის გაზაფხულის მსგავსი თოვლის დაფიქსირება, მადლიანი ქედის თოვლი და მთუთქავი მზე, სითეთრე თოვლის, სისპეტაკე მხარეთ ზემოთა, თოვლის ვარდები, თოვლის მადონა, ვარდისფერი თოვლი, იისფერი თოვლი, წარსულის თოვლი ია-ზამბახის, ქალწულ თოვლთან ბინის ძიება, იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა, ფეერიული ყინვა.

თოვლის საშუალებით მოვლენათა სწარფწარმავლობაზე აქცენტირებაა: „მსგავსად თოვლთა მიდიან დღენი, ... ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი... ის დრო სად არის? იქ, სადაც თოვლი შარშანწინდელი“... (მშვიდობის წიგნი).

იდუმალი ხმით ბნელი ნატვრის, საშინელი ავდრის დამარცხების აზრია: „ისმენ იმ სხვა ხმას... იმ ბნელი ნატვრის, საშინელ ავდრის, უამურ ზამთრის გულგასაგმირად“ (მშვიდობის წიგნი). და ჩნდება სურვილი მუდმივი თოვლის სულის სითბოთი გადნობისა: „... ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შესუდრულ მთებს“...

ყინულის სასახლის, ყინულის კოშკის, ყინულის ქალაქის, ყინულოვანი გარემოცვის, ყინულის დადნობაა ცხელი გულის ძალით ლექსში „შეხედეთ, მიწა!“

თოვლიან მყინვარზე ყველას დასანახად დაწერილია სიტყვა: „... მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე ობლობის სიტყვა მგზავრმა დაწერა“.

და რწმენა ავდრის დამარცხებისა, „სიხარულის“ (საღვთო სახელია) გამოჩენისა: „... რაც უნდა ათოვოს და ქუჩა ავდრით გადაიხაროს, დღეს უსათუოდ, ო, უსათუოდ, მე სასახლეში ვნახავ სიხარულს“...

გვხიბლავს თოვლიანი დღის ხარება, იისფერი თოვლის ქალწულებივით ხიდიდან

ფენის ფონზე: „...ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი და დაღალული სიზმრით დამთოვა“ (თოვლი).

მთავარი დევიზი, რაც უპირველესია ყოველი გენიისთვის: „სული გქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

ქარის, თოვლის შიშის დაძლევა, გამარჯვების უტყუარი გარანტიაა: „არმოშიშარს ქარისა და თოვლისა, ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება: პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

საყურადღებოა ქართული ხასიათის წარმოჩენა თოვლის სახის გამოყენებით, ხალხური ინტონაციის გაჟღერებით: „არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც, ვაჟკაცსა გული რკინის, აბჯარი თუნდაც ხისა“.

ქართული ფენომენი ამ სტრიქონებშიც ხალხური სიდიადით არის ნათელყოფილი თოვლის საშუალებით: „რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა“.

პოეტის ირონია ისევ ხალხური სისადავით გაჟღერდა თოვლის კონტექსტში: „... თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს ჩემი ბახალა“...

გალაკტიონ ტაბიძე „ბედის ამინდის“ ამოცნობას ცდილობდა და ამინდს თუ უამინდობას დაუკავშირა ფილოსოფიური, ეროვნული, რელიგიური, სოციალური, სულიერი პრობლემები „მშვიდობის წიგნში“, რომელიც ეროვნულ–სარწმუნოებრივ ტრაგედიებს ეხება, პოეტი ამჩნევს „ბედის ავდარს“ და ამბობს: „რაგვარად ნასკვავს აქ ბედის ვარსკვლავს უამინდობა“ (2,55).

„ავდრის მოლოდინში“ სულიერი ავდრის სევდაა და უამინდობა იმით არის გამოწვეული, რომ დავიწყებულია წარსულის ია-ზამბახი (მარიამის სიმბოლოებია), ალვა-მზეთუნახავი და მკრთალი სახის (ალვა ქრისტეს სახელია), სათუოა „მებაღის“ მოსვლა, მებაღე კი ღმერთია. მარიამი ქალწულია, „ნელ ლერწებით და ვაზის მტევნებით“ დაგვირგვინებული, მაგრამ მებაღეს თუ გაუუცხოვდა ხალხი, ყველაფერს დაღუპვა დაემუქრება (3,197).

„მშობლიურ ეფემერაში“ „ზამთარს ბილიკი დაუტანია“ (ბილიკი საღვთო სახელია) (2,337).

სწორედ ზამთარი, ზამთრების მწუხარება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას გალაკტიონის პოეზიაში: „...მხოლოდ ზამთრების მწუხარებით შეიფოთლები“, რადგან სულში არც ყვავილია, არც მზე, დემონებია იგვლივ და მხოლოდ მის დავიწყებაშია ხსნა (ყვავილი, მზე საღვთო სახელებია – შენს სიყმაწვილეს) (4,173).

„გვიანი ზამთარი და ქარის ტირილია“ ელეგიური განწყობილების მაცნე „ელეგიაში“ (4,216).

ზამთარია სახის ნიღაბიც: „ფერი მზესა და ქარს მოჰყავს გაზაფხულის სადარი, შენ კი ლოყას გადაგკვროდა ზამთარი“.

„ზამთრის ყინვა-ქარბუქში“ მცხოვრებს დავიწყებია ზაფხული, გაციებია სული, გულიც სიცივის სამკვიდროდ ქცეულა: „ვცხოვრობდი ზამთრის ყინვა-ქარბუქში, ხსოვნა არ იყო ჩემში ზაფხულის და ნელა-ნელა მიჭკნობდა დღეებს, სიცივე გულის, სიცივე სულის“ (მე დავიბადე განთიადისას) (2,131).

ზაფხული საღმრთო სახელია. აშკარაა, პოეტი წუხს უღმერთო ცხოვრებაზე, წასულ ზაფხულზე, ზამთრის ძონძებზე და წუთისოფლის ამაო დიდებაზე. ლექსის ლირიკულ გმირს ღამეში, ყინვაში ცხოვრება და „შორეული შიში“ დაჰბედებია: „ვხედავ, ზამთრის ძონძები ხეებს ჩამოეკონა, მე კი ეს გაზაფხული ისევ ჩემი მეგონა... ჰყი-

ნავს. ისევ ღამეა, მოდის შიში შორევი, რა ამაოდ ირევა წუთისოფლის მორევი“ (წამი წამს ეზიდება) (4,290).

აქ გაზაფხული ღმერთის, ზამთარი ურწმუნოების სიმბოლოა. უამინდო ქვეყნის მკვიდრთა სულის სისასტიკის განმცდელი პოეტი იტყვის: „სასტიკია სული უამინდოთა, განა ქვეყნად ბევრი რამე მინდოდა“ (შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით) (4,110).

„ყრუდ, უალერსოდ ყინვათა მფენი თვალების“ სუსხიანი შეხედვაც დაჰბედებია.

„ნაზავთარი ბედის ავდრის წინ გრგვინვის ზარი წვევით დიადის“ მოუსმენია (მშვიდობის წიგნი) (2,907).

„მოგონებებში“ ხაზგასმულია „ზამთრის გმინვის სასტიკი ძალა, მკვლელი იარა“ (6,36).

პოეტი აფიქსირებს, რომ „ზამთრის სუსხმა სხივი მოჰკლა“ (დახუჭული თვეები) (3,27). ზამთარი ურწმუნოებაა, სხივი – ძე ღმერთის სახელი.

„სიზმარივით მდევარი ზამთარია“ ლექსში „თეთრი პელიკანი“ (4,70).

„მანტიითა და გვირგვინით“ მოსულ ზამთარს მოაქვს სიცივე, სიკვდილი, კენარის მსხვრევა, სისხლი, ცრემლი, სხვა სიყვარულის მონატრება, იუდასა და კაენის მეუფება: „მანტიით მხრებზე, თეთრი გვირგვინით ელვარე გზებით მოდის ზამთარი. მოდის ზამთარი, მოდის სიცივე, მოდის სიკვდილი... იუდას სახე, კაენის ლანდი და ღამეების შავი გუგუნი“ (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები) (4,38).

ლექსი აშკარად რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური აქცენტების მატარებელია.

ზამთრის დღეები გაუთენებელ ღამეს ემსგავსება, მას რამე ახალი კი არა, ბოროტი სულის თარეში და კოსმიური სიცივე მოსდევს: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზერსისებად, მე რამ ახალი მათი მოსვლით არ მეღირსება. მოდის სიცივე და თარეში სულის ბოროტის, დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“ (ზამთრის დღეები) (7,376).

„გულისდამხშობი ზამთარი“ და „არაწმინდა თოვლია“ უბედურების მაცნე პოემაში „მშვიდობის წიგნი“ (2,260).

„გვიანი ზამთრით“ (ელეგია), „ზამთრის სიავით მთლად დაჩაგრული“ (ო, გაზაფხულო) პოეტი ნატრობს ამ „გულგამყინველი ვაების“ გაცილებას: „რომ წავიდეს ეს ზამთარი, სიზმარივით მდევარი“ (თეთრი პელიკანი) (4,17).

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა“, ნათქვამია ლექსში „თოვლი“, რომელშიც თოვლში დაცემულია ზამბახები, უდაბნოში გაუჩინარებულია მანდილი (5,165-174). ზამბახი და მანდილი მარიამის სიმბოლოებია, უდაბნო ურწმუნოება.

„ნაზავთარია ბედი“, „ავდრით გადახრილია“ ქუჩა (მთელი დღე ვგრძნობდი) (3,2901).

„სიცივის მძევალია“ ხალხი „მშვიდობის წიგნში“ (2,307).

პეტერბურგში რევოლუციური მოვლენების მაყურებელი პოეტი ავდრის უწყვეტობას წინასწარმეტყველებდა: „მე ვალმოხდილი ისევე ველი, როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი“ (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები).

უამინდობა, ურწმუნოება ქნარის სიმებსაც ადუმებს: „უეცრად წყვეტენ სიმები სიცილს უამინდობით, უამინდობით“ (მას გახელილი დარჩა თვალები) (4,138).

„ზამთრების მწუხარებით“ „შეფოთლილი“ პერსონაჟი გალაკტიონის ლირიკისა მაინც დარწმუნებულია მიწიური უკეთურობების დამარცხებაში, ზამთარი ვერ შეძლებს „საამსოფლო და საიმქვეყნიო სიოსთან“ (ღმერთთან) გამკლავებას: „ზამთარო, ასე გულისდამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საამქვეყნიო და საამსოფლო“ (მშვიდობის წიგნი) (2,131).

ავდრის შიში საერთოდ დაებედა მეოცე საუკუნეს: „ცა იღრუბლება, მოდის ზამთარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“ – წერდა ტერენტი გრანელი (8,154).

1921წ. 25 თებერვალს ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ხელყოფისა და ხელახალი ოკუპაციის დროს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული ერთადერთი ასულის დაღუპვით სამუდამოდ დაზამთრდა დიდი ქართველი პატრიოტის კოტე მაყაშვილის გულში და იგი ვაებდა: „არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი“ (9,41).

პოლიტიკური უამინდობის მიუხედავად, გალაკტიონი არასოდეს წყვეტდა კავშირს უზენაეს საწყისებთან: „დატვირთული მრავალ უამინდობით, კიდევ დიდხანს ვიქანავებ კიდობნით“ (მეოცნებე აფრებით).

კიდობანი მარიამის სიმბოლოა: „გიხაროდენ, კიდობანო ოქროვანქმნილო სულითა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა) (10,12).

ლიტერატურა

1. ალექსანდრ ბლოკი, რჩეული ლექსები და პოემები, თბილისი, 1995, თარგმანი სოსო სიგუასი
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი, თბ. 1977
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. IV, თბ. 1994
7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1994
8. ცისფერი სიშორე, თბ. 1998
9. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XXს. ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002.
10. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009, №12.

სამშობლოდ სახელდებული „არაწმინდა თოვლის“ მხარე

გალაკტიონის პოეზიაში თოვლის სახეში სოციალური, ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური ჩანაფიქრი იკითხება.

ამ სახეს, ერთი მხრივ, პოზიტიურ კონტექსტში იყენებს პოეტი, რელიგიური გაგებით და მისი „თოვლის მადონა“, თოვლის ვარდები, ლურჯი ფიფქი, იისფერი თოვლი, ვარდისფერი თოვლი მარიამ ღვთისმშობლის სახელებია.

ფრაზაში „ელვის ბილიკზე მიდის ფეხები და მეცემიან თოვლის ვარდები“ (ხან

უფსკრულები, ხარ მწვერვალები) (1,271) ელვის ბილიკი ქრისტეს, თოვლის ვარდები მარიამის სიმბოლოა.

გალაკტიონის ლექსებში გვხვდება არაწმინდა თოვლი, თოვლის სამსალა, თოვლის სუდარა, ფიფქით მტრობა, რომლის ქვეტექსტებსაც თოვლიან-ყინულიან იმპერიასთან მივყავართ.

ჩრდილოეთის ქვეყნის თოვლი მოიაზრება, როგორც სასაფლაო, თეთრი კუბოები: „ფანჯრიდან სჩანს თოვლიანი მინდვრები, როგორც სასაფლაო, როგორც თეთრი კუბოები, როგორც მგლოვიარე ეზო, უკალოო და უგუთნო“ (ჯონ რიდი) (6,3,23-24).

და პოეტს ამ თოვლში ნაგულისხმევი მუხანათობის გამო უჩნდება შეუძლებელი სურვილი: ორთითა ორკაპით ანიავოს, ახალი ნიჩბით აზიდოს ეს მსახვრალი თოვლი: „აიღე ორთითა ორკაპი და ანიავე ეს თოვლი, რომელი ნიჩაბი აზიდავს ამოდენა თოვლს“... (3,24)

ლექსში „ალვები თოვლში“ (3,47), ალვა თოვლიანია, თასი გაყინული. ალვა სიცოცხლის ხეა, თასი – მარიამის სიმბოლო. ლექსში უპირისპირდება „ჩვეული სიცივე“ და „უჩვევი ნათელი“.

დათოვლილი ხიდების, ზმანებებისა და მწუხარების ფონზე (ხიდი მარიამის სახელია) პოეტს ევლინება ზეციური დედა, „ღვთისმშობლის ცქერა სავსე ქართული პატიოსნებით“ (თბილისი), (4,183).

ლექსში „სამშობლო შავი ლიუციფერის“ (4,193) მშობლიურ მხარეში ერთდროულად იხილვება წვიმა, თოვლი, სიბერე, სისხლი, მსხვერპლი, ცხედრები, „სასიკვდილო გადათეთრებით“ ცნობილი გზა და პოეტი ასკვნის: „ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა ღამის ტყე-ველი, არასდროს ჩვენთან იქ არ ყოფილა ნაზარეველი“.

ჩვენთან დაძმობილებული, ნაზარეველის გარეშე არსებული „ღამის ტყე-ველის“ ქვეტექსტებში მოყვრის ნიღბით მოსული მტრის, მკვლელის სახე შეიცნობა.

გალაკტიონი განასხვავებდა საქართველოს გაზაფხულის მსგავს თოვლს ჩრდილოური თოვლისგან: „მთაწმინდიდან გაღმით ვხედავ თოვლის ლივლივს, ...გაზაფხულის მსგავსი თოვლი მოდის ზამთრის. ჰშვენის მელხიორის ტფილისს თოვლის ტვირთი“ (4,533).

„მღვრიე ქარში“ თოვლის მხარეს, მის „ჯადოქარ სიცივეს“ შეიგრძნობდა: „თოვლის მხარე, ნისლიანი მთა და ბარი. მოვიმხარი მისი გზები, სიცივე და მღვრიე დარი. სული ძლიერ აფეთქების და სიცივე ჯადოქარი“ (2,17).

პოეტის ბედისწერად ქცეულა თეთრი სუდარის მაგვარი თოვლი: „და სიცივემ თეთრი თოვლი თეთრ სუდარად დათოვა“ (სასიკვდილო მწუხარება) (2,305).

გაზაფხულისმაგვარი თოვლისა და მზის სამეფოში პოეტი „იისფერი ჰავის“, ულტრაიისფერი სხივის ძალას შეიგრძნობდა: „აგერ მადლიანი ქედი, სად თოვლია და მზეც თუთქავს, ბრწყინვალება პირისპირი იისფერი ჰავით სუნთქავს, სხივიც ულტრაიისფერი ვერა ძალას ვერ შთაუნთქავს“ (შეხვედრა მთაში) (5,440).

გალაკტიონს აწამებდა „უამინდოთა სასტიკი სული“ (შემოსილნო გამჭვირვალე ბლონდებით), სული, აღსავსე სუსხით (918), თვითმპყრობელობის საშინელი სუსხი (გული რკინადაა ქცეული) (6,163).

არანაკლები კოდირებული სახეების შემცველია და ჩვენთან „დაძმობილებული“ მტრის მხილებით გამოირჩევა „ოფორტი“ (4,144), რომელშიც ელვარე თოვლის მარხილი და თეთრი ავდარი მიგნებული მინიშნებაა ჩვენი უბედურების რეჟისორზე:

„ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი, ამ სივრცეებში მყავს დამარხული ზამთარი ცივი და ნაზავთარი“.

მისი „ელამი მზე“, „გაყინული მხედარი“ და სიჩუმე, ავბედითი ნაკვალევი და ძალადობით სამშობლოდ აღიარებული თოვლიანი იმპერიაა სატკივრის მიზეზი: „რა სიჩუმეა. როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მართლაც, საკუთარის დავიწყებას და თავისი თოვლიან-ყინულიანი მონსტრის სამშობლოდ აღიარებას ითხოვდა ჩვენგან „გაიძვერა მოყვარე“.

„დომინოში“ (2,203) „თოვლის ფერ-უმარილი“ და „ფიფქით მტრობა“ მიგვანიშნებს მტრის ავბედით ზრახვას.

ლექსში „გული გრძნობს“ (3,322) საოცარი კოდირებული სახით გვაგრძნობინებს პოეტი ჩვენი მძიმე ხვედრის მიზეზებს. ამჯერად შეხვედრა გვიწევს „მწუხარე თოვლთან“, მისკენ სვლის მიზეზი კი „ფერადი გემი“ ყოფილა: „...მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს – დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს როსმე ბოჰემა. გული გრძნობს ღალატს“.

„მწუხარე თოვლი“ ისევ უბედურების მომტანი იმპერიაა, გემი, ფერადი გემი–იგივე ძელი, ჯვარი, რწმენა...

ნათელია, რომ ერთმორწმუნეობის გამო მომხდარა თოვლის სამეფოსთან დაახლოება, მაგრამ მფარველ ანგელოზად მოვლენილი ქვეყანა ჯალათად ქცეულა, ღალატით ყოფილა დაღდასმული ეს ურთიერთობა.

„მშვიდობის წიგნში“ ალეგორიულად მხილებულია სატანური იმპერია, „მეორე მტერი“, რომლისგანაც „საშინელი ავდარი“, „უამური ზამთარი“, „ნგრევა-ხოცვა“ გვერგო.

მუხანათი მეზობლის თოვლით და ყინვით გათოშილ გულში ბევრი მიუღწეველი ნაპირია თოვლით და ყინვით შემოსილი: „და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით“ (თოვლით და ყინვით) (3,50).

გულში ბევრია „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული“ (ჩემს გულში დაჰქრის).

ეს ავბედითი, „ალმაცერი“ (არამშობლიური) თოვლი სულში ამკვიდრებდა სიცივეს: „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება. გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. იფანტება თეთრი ფიქრები. იფერფლება ხელნაწერი... ნუ ჩამიქრები და იქაც, შიგნით, სულში... თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“ (თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“ (4,3267).

1921 წ. 25 თებერვალი ბოლშევიკური, ათეისტური იმპერიის მიერ საქართველოს ხელახალ ოკუპაციას მოასწავებდა და ამასთან რელიგიური რწმენის უარყოფასაც.

ამის შესახებ მეტაფორულად ამბობს პოეტი: „იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი. თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“ (აღარ არის მენესტრელი (3,186).

სილაში მოქცეული ვარდი უნაყოფობის, ურწმუნოების სიმბოლოა სხვაგანაც.

„იანვრის მოძმედ“ (თოვლი) არანებაყოფლობით ქცეული პოეტი სხვაგან იანვრის თოვლისგან სულის იების ჭკნობას აფიქსირებს: „იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს“. აქვე საუბარია „დაფარულ ცოდვებზე,

დამალულ ღალატზე“ „შიშველი ყვავილით“ გამოწვეულ წუხილზე (სამრეკლო უდაბნოში) (3,40)

ია მარიამის, ყვავილი ქრისტეს სიმბოლოა.

მარადიული თოვლით, ღალატით ცნობილი მონსტრი სახელდებულია, როგორც „იანვრის თოვლი“. წუხილის მიზეზია „თოვლში ჩაფლული უნუგეშოდ შთენილი“ „გაყინული ფოთოლი“ (ქარით დატირებული) (2,355): „შემდეგ თოვლი მოვიდა და ვით სულს მოტივტივე, შევაჩვიე სიცივე ჩემი სულის სიცივეს“, ამბობს პოეტი, მაგრამ სინამდვილეში სწორედ რომ ეს შეუჩვევლობაა მისი ტრაგედიის მიზეზი.

თოვლივით თეთრ სახეში „ირისისფერ“ სულს ჭვრეტდა უცდომელი მზერა: „სახეს სითეთრე თოვლის დაჰყროდა, სულს – ბურუსები ირისისფერი“ (918) (3,173).

„ელეგიაში“ წუხილის მიზეზია „გაზაფხულის მზიან ჩრდილს“ შენაცვლებული გადაუღებელი თოვლი, (2,86).

თეთრ თოვლის ქვეშ სიზმარეთში გაუჩინარებული მთა (მთა მარიამის სიმბოლოა), გაზაფხულზე გაყინული ნაკადული (საღმრთო სახელია), თოვლის ფიფქით შემოსილი ნაძვი (სიცოცხლის ხე) ავლენს რწმენის გაქრობის სევდას ლექსში „თეთრ თოვლის ქვეშ“: „თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვა მთის გრეხილი უხმო, შორი და მღელვარე გაზაფხულზე ფიქრს მიეცა ველ-მინდორი. თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებდახლართული და მღელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული“ (თეთრ თოვლის ქვეშ) (2,6).

ლექსი „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ (2,247) გვაუწყებს, რომ ჩამქრალია სასახლის ჭაღები, ზაფხულს ჭკნობა შეპარვია, განდეგილ მამათა გაუქმებულ სავანეში „შავი თოვლივით“ თოვს „ჭვარტლი და ბურუსი თავანის“ და პოეტს უდაბნოს ქარების ქროლვაში ჩაესმის ათეისტური ეპოქის განაჩენი, მორწმუნეთათვის გამოტანილი: „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“.

უდაბნოს ქარების ბატონობისას ისევ უზენაესი ახსოვს ლექსის ლირიკულ გმირს და სამრეკლოს ანგრევენ ზარები, პოეტის ღაღადისი მაცხოვარს მიემართება, პოეტისა, რომელიც გაზელების (ღაზალების) ოსტატად იქცა, გაზელები კი რელიგიური ლექსებია.

„შავი თოვლი“ ურწმუნოებაზე, გაუქმებულ ეკლესიაზე მინიშნებაა მიგნებული სახით.

განსაკუთრებით ჭარბად გამოიყენა პოეტმა თოვლის და ზვავის სახე პოემაში „მშვიდობის წიგნი“.

მახის დაგების, ღალატის, შეთქმულების ოსტატად ცნობილმა მეზობელმა იმპერიამ (მას პოემაში ქაჯეთი ჰქვია) ჩვენს ქვეყანას „მშვიდობის წიგნი“ (ღმერთის სიმბოლოა) მოჰპარა, თოვლი, ნისლი, ზვავი მოუვლინა, ბნელი ღამე გააბატონა, წარღვნისმსგავსი სტიქიებით დაემუქრა, გაანადგურა მისი ხეები, ამ ედემისმსგავსი ქვეყნის „მიწის და ზეცის“ ნამცეცის წაგლეჯის სურვილით ჯვარზე აცვა, სატანა დაასვა თავზე, მაგრამ ხალხის მცდელობით მოძიებულ იქნა წიგნი (რწმენა), ნაპოვნი იქნა „წმინდა გზა“ (ღმერთი) და ქვეყანა გადარჩა. პოემაში საუბარია „თოვლის სამსალაზე“, „არაწმინდა თოვლზე“, რომელიც მზის ელვარებით და ღვთის ნებით დადნა: „მთებზე ის თოვლი, შენი ნიშანი – წარმავალია, თუმც მრავალია–წყალნი წარვლიან, რჩება ქვიშანი... თოვლი მზის სხივზე დადნა ან დნება. თოვლო, შენ ისევ გინდა, იქნება, მისდიო განვლილს? მიმღები დავლის, ძალა მომავლის არ მოიქნება.

უკანასკნელი შენი სამსალა გვიჩვენო გინდა? ო, არაწმინდა! სიმართლე ვინ და ან რამ გადასძალა? გინდა მომიკლა, მაგრამ ღვარებით დნება ის თოვლი მზის ელვარებით“ (7,132)

ზვავს ორბები და სვავები მოჰყვებიან: „ფაზისს დაეცა ზვავი ზრიალით, შეირყა ზეცა, გადმოიკეცა, ფაზისს დაეცა სვავთ ძალთა ძალი“.

ბოლოს თოვლის სწრაფ დნობას მიამსგავსა პოეტმა თოვლიანი იმპერიისგან მოვლენილი განსაცდელი: „მსგავსად თუ თოვლთა მიდიან დღენი, განა ბევრს გთხოვდა სამშობლო ჩვენი. ცოტა სიყვარულს, ცოტა სიმშვიდეს, რომ მის დათესილს სხვა არა მკიდეს და ჰქონოდა მას, რაიც მისია, წიგნია, ხმალი თუ სახნისია“.

იმედიანობის საფუძველი ბოროტების სწრაფწარმავლობა ხდება: „მაინც არ ჩაქრა ჩვენი სანთელი, ვამბობთ: ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი“ (7,351).

„უბინაო ბავშვებში“ (7,215) „დღეები თოვლით გადიბაღება“.

დღე საღვთო სახელია, ბაღი ხალხის პარადიგმაა, დღეების თოვლით გადაბაღება ღვთის ხალხის გაუკუღმართებას უნდა ნიშნავდეს.

მიუხედავად თოვლისა და „ავდრით“ გადახრილი ქუჩისა, პოეტი სასახლეში მაინც „სიხარულს“ (სიხარული ქრისტეს სახელია) მოელოდა (მთელი დღე ვგრძნობდი) (3,290)

გალაკტიონის მიზანი იყო მუდმივ თოვლით შემოსილ მთებზე ტიტანური ძალის, სითბოს შეტანა: „მალე მთებს და ველებს ტიტანივით მოვევლები, ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შესუდრულ მთებს“ (ავრორა) (3,75).

„თოვლიანი ალვა“ უარყოფილი სიცოცხლის ხე, ანუ ღმერთია.

„ელვის ბილიკზე“ (ელვა საღმრთო სახელია) მავალი პოეტი ეთაყვანებოდა „თოვლის ვარდებს“ – მარიამს (ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები).

სწრაფვა „ქალწული თოვლისკენ“, „ღრუბლებისკენ“ (ქალწული თოვლი და ღრუბელი მარიამის პარადიგმებია) ნიშნავდა უფლის დედის თაყვანისცემას: „ფრთები რომ მქონდეს, გავსწევდი იმ მწვერვალს, საზღვრად დადებულს, იქ, ქალწულ თოვლთან ვპოვებდი ბინას, მზით აფერადებულს; მე მსურს იქ დავასადგურო ჩემი ოცნება და ქნარი და ვკოცნო, ვკოცნო ღრუბლების ბაგე ალისფერ–ნარნარი! ფრთები რომ მქონდეს, მზისაკენ გავექანები ზღვის ნავად, ცის კაბადონზე დავწერდი მსოფლიოს შესახედავად: გიყვარდეთ!“ „იქნებ ყველასი შეხვდეს ამ ნაწერს თვალები და შეიყვარონ, რადგანაც კაცნი არიან და-ძმები“ (ფანტაზია) (3,154).

გალაკტიონის ოცნება იყო თოვლზე უსპეტაკესი სული: „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა (3,300).

პოეტმა მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე და მკითხველის გულში ქვეყნის გასაგონად დაწერა სამარადისო სიტყვა (სიტყვა პოეტის) (3,121).

თოვლის გამოყენებით ნაჩვენებია ეროვნული ხასიათი: „არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც, ვაჟკაცსა–გული რკინის, აბჯარი–თუნდაც ხისა“ (პირველ აგვისტოს ღამით) (8,754).

ქართული სულისა და მგოსნის სულის დახასიათება ხდება თოვლის გამოყენებით შექმნილი ხალხური ფრაზით: „რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს პირველ ყოვლასა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა. რას ნიშნავს იყო მგოსანი? ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით

შარშანდელი თოვლისა“.

ლექში „ჰე, მამულო“ (4,438) ქართველი წარმოჩნდება, როგორც „არმოშიშარი ქარისა და თოვლისა“: „არმოშიშარს ქარისა და თოვლისა ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება, მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება: მამულს გული, უპირველეს უფლისა“ (ჰე, მამულო) (2,438).

პოეტის მზერა სიკვდილის წინ მიპყრობილი იყო შორეული თოვლიანი ბილიკისკენ: „მხოლოდ შორეულ თოვლიან ბილიკს მივაპყრობ თვალებს“ (ქარი, ამწევი ფარდის).

ბილიკი საღმრთო სახელია.

გალაკტიონის ვედრება მიმართული იყო თეთრი ფერის, ზეციური სისპეტაკის შენარჩუნებისკენ. „... ოცნებაო, რა ამაოდ დიდხანს გევედრე, რომ შეგენახა ერთი ფერი: მშვიდი სითეთრე, სითეთრე თოვლის, სისპეტაკე მხარეთ ზემოთა, რომ მას უმანკო ბავშვის ცრემლი არ დასცემოდა“ (ორნამენტი) (3,514).

პოეტი აფრთხილებდა ღმერთის მგმობელთ, რომ ზეცის სპეტაკი სითეთრე კი არა, „ბნელი თოვა“ და ლუციფერის სავანე იქნებოდა მათი ხვედრი: „ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა, ვერ შეიფერეს მზე კონებისა და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა, ქვეყანა ბნელი დემონებისა. მოკვდებით, ბნელი იქნება თოვა, რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა, იქნება ლანდი ლიუციფერის“ (ვერ გაიგონეს) (3,332).

ღრმა აზრია „თოვლივით თეთრი ქარის“ სახეში: „თოვლივით თეთრი ბერავდა ქარი“ (მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა) (6, 36).

ასე შიფრით ნაწერით ამხილა პოეტმა ჩვენი ეროვნულ-რელიგიური, სახელმწიფოებრივი ტრაგედიები, ასე განუხრელად ემსახურა სიმართლეს, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იანვრის თვეშიც „მაისის ვარდნი გაფურჩქვნილის“ ხმით ღიღინებდნენ და ქვეყნის სატკივარზე არც ფიქრობდნენ: „იანვარია. თოვლი ჰფარავს ქუჩებს და ბინებს, მაგრამ ვინაა, რომ ჯინაზე ასეთ ამინდის „მაისის ვარდნი გაფურჩქვნილის“ ხმით მიღიღინებს?“ (9,366).

ასეთივე ირონიულია „ყვავის სიმღერა“: „...თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს ჩემი ბახალა“... (4,328).

ლექსში „ქუჩაზე“ (2,1,336) თოვლიან ქვებზე მიყრილი ბავშვები ოცნებობენ „მკვლელობაზე, სისხლზე, ცეცხლზე“.

ორი საუკუნე აწვიმდა და ათოვდა ჩრდილოეთიდან ქართველი კაცის სულს, მაგრამ პოეტი იმედს არ კარგავდა, რომ გამოიდარებდა, დადნებოდა ეს ავბედითი თოვლი: „საუკუნეთა თოვლო, ითოვლე, მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე) (8,374).

ლიტერატურა:

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1994
3. გალაკტიონ ტაბიძე, თბზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1994
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. IV, თბ. 1993

6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11 , თბ. 1973
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. II, თბ. 1993

რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში უმთავრესია სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი. ამის გათვალისწინება მოგვცემს პოეტის, ერთი შეხედვით, პარადოქსული აზროვნების გასაღებს, მისი ენიგმების, ლიცენციების, ეზოტერული ქვეტექსტების ამოხსნის საშუალებას.

„ათასის მხედველობის“ მქონე პოეტების მეფე არა მხოლოდ ემპირიული სამყაროს საგნებს, მოვლენებს, მათ შორის მიმართებებს აფიქსირებდა, არამედ ჭვრეტდა სხვათათვის „უხილავ-ფარულს“, დეტალებით მთელზე, ლოკალურით გლობალურზე, ეფემერულით მარადიულზე მიგვანიშნებდა. მისი მეტაფორული აზროვნების არეალში ექცეოდა ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური თუ ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რაზედაც ასე გაბედულად გააკეთა აქცენტი: „მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“.

სიტყვის ჯადოქარმა ავდრის, ზამთრის, უამინდობის, თოვლის, ყინვის სახეთა ქვეტექსტებით გაგვიცნობიერა სამშობლოს ბედი თუ უბედობა. საკუთარი ერის მომავალი გაიაზრა მსოფლიოს მოვლენათა კონტექსტში, „კოსმიურ სიცივეს“, სულის გვალვას, პლანეტის კატაკლიზმებს დაუპირისპირა ყოვლისშემძლე, მარადიული სიყვარულით დამუხტული ქართული სული, საღვთო სიბრძნე და საღვთო სიყვარული.

„არტისტული ყვავილების“ ავტორმა, ერთი მხრივ, „გაზაფხულისმაგვარი“ ქართული თოვლის მომხიბვლელობას გვაზიარა, სხვა გეოგრაფიულ არეალში კი იხილა „თოვლის სუდარა, თოვლის კუბო, ჯადოქარი სიცივე“.

რელიგიურ ჭრილში გაიაზრა „თოვლის მადონა, თოვლის ვარდები, იისფერი თოვლი, ლურჯი ფიფქი, ვარდისფერი თოვლი, ქალწული თოვლი“ და ჩვენი ზეციური დედა იხილა განუმეორებელი მეტაფორებით...

სხვაგან საბედისწერო თოვლით შემოსა ალვა, ნაძვი, ბილიკი, წყარო, ანუ ურწმუნოებას დაუპირისპირა რწმენა, რადგან ალვა, ნაძვი, ბილიკი, წყარო საღვთო სახელებია ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში.

პოეტმა „შავი თოვლით“, „ბნელი თოვით“ მიგვაახლოვა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის შინაარსთან.

ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემების წარმოჩენა მოახერხა „არაწმინდა თოვლის, თოვლის სამსალის, ფიფქით მტრობის, მწუხარე თოვლის, საუკუნეთა თოვლის, ირიბი, ალმაცერი თოვლის“ სიმბოლოებზე აქცენტირებით.

საგულისხმო ქვეტექსტების მატარებელია ყინულის გამოყენებით შექმნილი სახეები: გაყინული მხედარი, გაყინული გული, გაყინული ცა, გაყინული ყვავილი, ყინულის სასახლე, ყინულის კოშკი, ყინულის ქალაქი, ყინულის მთა, ივლისისფერი ყინვის თასები.

გალაკტიონს აწამებდა „უამინდოთა სასტიკი სული“, „სული, აღსავსე სუსხით“, თვითმპყრობელობის საშინელი სუსხი.

კოდირებული სახეების შემცველია და ჩვენთან „დაძმობილებული“ მტრის მხილებით გამოირჩევა „ოფორტი“.

ლექსის „ელვარე თოვლის მარხილი“ და „თეთრი ავდარი“ მიგნებული მინიშნებაა ჩვენი უბედურების რეჟისორზე: „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი, ამ სივრცეებში მყავს დამარხული ზამთარი ცივი და ნაზავთარი“.

მეზობელი მონსტრის „ელამი მზე“, გაყინული მხედარი, სიჩუმე, ავბედითი ნაკვალევი და ძალადობით სამშობლოდ გამოცხადებული თოვლიანი იმპერია არის ლექსის ლირიკული პერსონაჟის გაუნელებელი სატკივარი: „რა სიჩუმეა. როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მართლაც, საკუთარი სამშობლოს დავიწყებას და თავისი თოვლიან-ყინულიანი, უცხო ქვეყნის სამშობლოდ აღიარებას მოითხოვდა ჩვენგან „გაიძვერა მოყვარე“.

შიფრით ნაწერი ლექსია „გული გრძნობს“. მასში მთავარ სათქმელთან გვაახლოებს „მწუხარე თოვლი“, მისკენ სვლის მიზეზად კი სახელდება „ფერადი გემი“: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს – დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს როსმე ბოჰემა. გული გრძნობს ღალატს“.

„მწუხარე თოვლი“ ისევ უბედურების მომტანი ტოტალიტარული სახელმწიფოს პაროლია, გემი (აქ – „ფერადი“) – ღვთისმეტყველთა განმარტებით, არის ეკლესია, ქრისტიანული რწმენა.

თავის განმარტებაში იოანეს სახარებისა (2,4) ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „რატომ აცვეს მაცხოვარი ჯვარს? – იმიტომ, რომ შენთვის, სულო კაცისაო, აუცილებელია ეს ძელი მისი დამდაბლებისა. შენს ამპარტავნებაში შენ გეშინოდა მისი და ამის გამო შორს მოსცილდი მშობლიურ ქვეყანას. საერო ზვირთებმა წაშალეს მისკენ დასაბრუნებელი გზა და მხოლოდ ამ გემით ძალგიძს შენ დაბრუნდე შინ. იგი თვით იქცა გზად, მაგრამ ეს გზა ზღვაზე ძევს, რომელზეც შენ ფეხით ვერ გაივლი, შენ გადაგიყვანს გემი, გადაგიყვანს „ძელი“ (ანუ ჯვარი), გწამდეს ჯვარცმისა და შენ შეძლებ დაბრუნებას“.

სიტყვა „ძელი“, „მორი“ მეტონიმიურად აღნიშნავს გემს (ნეტარი ავგუსტინე „აღსარება“, 1985, გვ. 453).

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57, 20).

ლექსი ქვეტექსტებით გვაუწყებს, რომ ერთმორწმუნეობის გამო მომხდარა თოვლის სამეფოსთან დაახლოება, მაგრამ მფარველი „ანგელოზის“ ნიღბით მოვლენილი ქვეყანა „ჯალათად“ ქცეულა, ღალატით ყოფილა დაღდასმული მისი „მფარველობა“.

პოემა „მშვიდობის წიგნში“ ალეგორიულად მხილებულია სატანური იმპერია, „მგმობარი მეგობარი“, „მტერი მეორე“, „საშინელი ავდრის, უამური ზამთრის“ სამეფო, „ნგრევა-ხოცვის“ ოსტატის ხრიკები.

„ქაჯეთის“ სახელით მონათლულმა ბოროტების იმპერიამ ჩვენს ქვეყანას მოჰპარა მშვიდობის წიგნი.

წიგნი ღმერთის სიმბოლოა:

ბიბლიაში ძე ღმერთის მოვლინება აღიქმება, როგორც წიგნის სიტყვების გახმიანება (წიგნი – მამაღმერთი, სიტყვა – ძე ღმერთი): „იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები“...

„გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,11,18).

„აღსარების“ ავტორი აცხადებს: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიე უკუნისამდე“ (ავგუსტინე, 1985, 217).

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უწოდა „სანუკვარი წიგნი“, „დიადი წიგნი“ (ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941, გვ. 383).

„მშვიდობის წიგნში“ წიგნის დაკარგვას მოჰყვა თოვლის, ნისლის გაბატონება, წყლის ამღვრევა, მახის დაგება, შეთქმულება, ღალატი, ხიფათი, აკლების მუქარა, „მკვლელთა თარეში“...

პოემაში ხაზგასმულია „წინანდელი იმედების“ დაღუპვა, ქართული „მიწის და ცის ნამცეცის“ მითვისების, ჩვენს „ტურფა სამოსახლოზე“ ვეფხვის გაბატონების სურვილი, მსხვერპლი, სატანის მოვლინება, ბაღის განადგურება, მხეცების მოძალება.

წიგნი ჩრდილოელმა ქაჯმა გაიტაცა, ქაჯი არის რუსული ბოლშევიზმის ალეგორია. ქაჯი „ნგრევა-ხოცვის“ ოსტატია.

სულით გაღვიძებულმა ადამიანებმა განგაშის ზარი შემოჰკრეს, მიხვდნენ უბედურების მიზეზებს, იპოვეს დაკარგული წიგნი (ღმერთი), მათ მიაგნეს „წმინდა გზას“ (ღმერთს) და ქვეყანა გადარჩა.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი არის „მშვიდობის „გზა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 59,8).

პოემაში საუბარია „თოვლის სამსალაზე“, „არაწმინდა თოვლზე“, რომელიც დადნა მზის ელვარებით.

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84; 12).

ვერაგი მეზობლის მუხანათობით მიუღწეველი ნაპირები თოვლით და ყინვით იმოსებოდა: „და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით“ (თოვლით და ყინვით).

გულს თოშავდა „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული“ (ჩემს გულში დაჰქრის).

ეს ავბედითი, „ალმაცერი, ირიბი“, არამშობლიური თოვლი ცეცხლს აქრობდა სულში, იფანტებოდა თეთრი ფიქრები, იფერფლებოდა ხელნაწერი და პოეტი ნატრობდა იმედების, სინათლის მოვლინებას: „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება. გაიღო ფანჯარა. თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი. იფანტება თეთრი ფიქრები. იფერფლება ხელნაწერი. ნუ ჩამიქრები და იქაც, შიგნით, სულში... თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“ (თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი).

თოვლში (თოვლის იმპერიის მარწუხებში) იმსხვრეოდა იდეალები, ჩხაოდნენ ყორნები და თოვლის სილისთვის იმეტებდა იდეალს–ნოვალისის ყვავილს: „იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი. თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“ (აღარ არის მენესტრელი).

ბედისწერამ „იანვრის მოძმედ“ აქცია პოეტი და იგი ჰგოდებდა: „იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს“.

„დაფარული ცოდვების, დამალული ღალატის“ შედეგი იყო „შიშველი, თეთრი ყვავილი.“ ასევე პოეტი წუხდა „თეთრ ბეჭდების თვლებზე“.

ია მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა. ჩვენი ზეციური დედა მოიხსენება, როგორც „უბიწოებით შემკული ია“ (ვახტანგ VI, 1975, 45).

ბეჭედი, ზეცის ბეჭედი მარიამ ღვთისმშობელზე მიგვანიშნებს.

თვალი, ზეცის თვალი უფლის მეტაფორაა: „დიდგანმზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 321,9).

ლექსში მარადიული თოვლით, ღალატით ცნობილი მონსტრი სახელდებულია, როგორც „იანვრის თოვლი“ (სამრეკლო უდაბნოში).

სხვაგან წუხილის მიზეზია „თოვლში ჩაფლული უნუგეშოდ შთენილი, გაყინული ფოთოლი“ (ქარით დატირებული) (ტაბიძე, 1982, 355).

„ელეგიაში“ „გაზაფხულის მზიან ჩრდილს“ გადაუღებელი თოვლი ენაცვლება.

თეთრ თოვლის ქვეშ სიზმარეთში გაუჩინარებულა მთა, გაზაფხულზე გაყინულა ნაკადული, თოვლის ფიფქით დაფარულა ნაძვი (თეთრ თოვლის ქვეშ).

მთა მარიამ ღვთისმშობლის სახელია და მომდინარეობს ბიბლიიდან (დანიელ წინასწარმეტყველი 2,34,247).

ნაკადული საღმრთო სიმბოლოა: „წყალს მივუღვრი ურწყულს და ნაკადულს გამომშრალ მიწას“ (ესაია წინასწარმეტყველი, 44,3).

ნაძვი სიცოცხლის ხის ანუ ღმერთის მეტაფორაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავიღებ ტოტს მაღალი ნაძვიდან და დავრგავ: მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი: 17, 22).

„შავი თოვლი“ მთავარი აზრობრივი აქცენტის მატარებელი სახეა ლექსში „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“: „ვეწვევი განდეგილ მამათა უმანკო ჩასახვის სავანეს, იქ შავი თოვლივით დამათოვს ჭვარტლი და ბურუსი თავანის“.

ლექსის ლირიკულ პერსონაჟს უდაბნოს ქარების ქროლვაში ჩაესმის ათეისტებისთვის უზენაესის მიერ გამოტანილი განაჩენი: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

„შავი თოვლი“ (ჭვარტლი, ბურუსი) ურწმუნოებაზე, გაუქმებულ ეკლესიაზე მინიშნებაა მიგნებული სახით.

„დომინოში“ „თოვლის ფერ-უმარილით“ „გაფითრება“ და „ფიფქით მტრობა“ გვაფიქრებინებს არაკეთილმოსურნე მეზობელზე.

პოეტი აფრთხილებდა ღვთის მგმობელთ, უკეთურთ, ზეცის სისპეტაკე და სინათლე კი არა, „ბნელი თოვა“ და დემონ-ლუციფერთა ჯოჯოხეთში გაყიდული სულით არსებობა იქნებოდა მათი ხვედრი: „ვერ გაიგონეს თქვენი მხნე ნანა, ვერ შეიფერეს მზე კონებისა და მოგესიზმრათ ისევ ქვეყანა, ქვეყანა ბნელი დემონებისა. მოკვდებით, ბნელი იქნება თოვა, რომ თქვენი გრძნობა ვერ შეიფერეს და სამარესთან ვინც კრძალვით მოვა, იქნება ლანდი ლიუციფერის“ (ვერ გაიგონეს).

ასე სიმბოლურ-ალეგორიული, მრავლისმთქმელი სახეებით ამხილა პოეტმა ჩვენი ეროვნულ-რელიგიური, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ტრაგედიები, ასე განუხრელად ემსახურა თემიდას, მაგრამ იყვნენ ქვეყნის სატკივრის მიმფუჩეჩელი

გულგრილი მედროვეები, რომლებიც იანვრის თოვლშიც „მაისის ვარდნი გაფურ-ჩქვნილის ხმით“ ღიღინებდნენ (70 წლის პოეტი ქუჩაში მიდის).

სიცრუის აპოლოგეტებისადმი ირონიაა „ყვავის სიმღერა“: „თოვლში მოგიყვანს ზაფხულის ყვავილს ჩემი ბახალა“ (ტაბიძე, 1993,328).

ლექსში „თიბათვე გავიდა“ „გაიძვერა მოყვარე“ „მევახშის“ სახეში გვეცხადება, რომელმაც იყიდა სასახლე, მამული, ჭალები, და „გაყიდული“ ქვეყნის მკვიდრს ისღა დარჩენია, „ჩრდილოეთს“ ეწვიოს „კიდობნით“ (ტაბიძე, 1994, 114).

კიდობანი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა: „გიხაროდენ, კიდობანო ოქროვან-ქმნილო სულითა“ (დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა) (იკოსი 12). გა-ლაკტიონის ლექსი დაწერილია 1916წ.

ყოველი ნამდვილი ქართველის სატკივრის გაცხადებაა ლექსი „შავი ზღვის პი-რად“: „ტროპიკულ ხეებს, შავი ზღვის პირად, ვაზებს დახლართულს, რომ მივყვებო-დი ზურმუხტისფერ ფიქრებში გართულს, ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“.

ეს სტრიქონები დაფიქსირებულია 1928წ.

1937 წელს პოეტს ისევ მონობის სიმწარე, ურწმუნოება, საკუთარ მამულზე დადე-ბული ჩრდილოელი მტარვალი მხეცის ტორი აკვნესებდა: „არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა გულო, თუ ამგვარი გახდებოდი ცივი, უმამულო. და ამგვარად თუ სიცოც-ხლის მოკვდებოდა კონა – არ მეგონა, სიცოცხლეო, არა, არ მეგონა“ (არ მეგონა).

მიუხედავად თოვლისა და ეპოქის ავდრით გადახრილი ქუჩისა, პოეტი სასახლეში მა-ინც „სიხარულს“ მოელოდა (მთელი დღე ვგრძნობდი). „სიხარული“ ქრისტეს სახელია.

იმედიანობის საფუძველი თოვლივით სწრაფწარმავალი ბოროტების დამარცხე-ბის, ჩვენი ქვეყნის სამართლიანობის რწმენა იყო: „... მაინც არ ჩაქრა ჩვენი სანთე-ლი, ვამბობთ: ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი“ (მშვიდობის წიგნი).

ორი საუკუნე ათოვდა და აწვიმდა ჩრდილოეთიდან ქართველი კაცის იდეალებს, მაგრამ პოეტი იმედს მაინც არ კარგავდა, რომ გამოიდარებდა, დადნებოდა ეს ავბე-დითი თოვლი: „საუკუნეთა თოვლო, ითოვლე, მაინც დადნება ეს ნათოვლარი“ (წარ-წერა ხოვლეს ორნამენტზე).

მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე და მკითხველის გულში გალაკტიონის მი-ერ ქვეყნის გასაგონად დაიწერა სამარადისო პოეტური სიტყვა (სიტყვა პოეტის) (ტაბიძე, 1993, 121).

მიზანი იყო „ქალწული თოვლისკენ“, „ღრუბლებისკენ“ სწრაფვა, რათა „ცის კა-ბადონზე“ „მსოფლიოს შესახედავად“ აღებეჭდა საღვთო მცნება: „გიყვარდეთ!“ (ფანტაზია).

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „ძეგლი ქალწულე-ბისა“ (გზა სამეუფო, 2009, 10).

ჩვენი ზეციური დედის სახელია „ღრუბელი ნათლისა“ (სინური მრავალთავი, 1959, 200).

„ელვის ბილიკზე“ მავალი პოეტი ეთაყვანებოდა „თოვლის ვარდებს“ (ხან უფ-სკრულები, ხან მწვერვალები), თოვლის მადონას-მარიამს (ხომალდს მიჰყვება თოვ-ლის მადონა).

ბიბლიის მიხედვით, ბილიკი, გზა საღვთო სახელია (ესაია წინასწარმეტველი, 30,21,95), „თოვლის ვარდი“ – ღვთისმშობლის.

„დაუჯდომელში“ მარიამ ღვთისმშობელს ეწოდება „ყვავილი უხრწნელი“.

გალაკტიონმა თოვლის სახის გამოყენებით გვიჩვენა ეროვნული ხასიათი: „არათუ თოვლის ბრწყინვის, არ მეშინია მტრისაც, ვაჟკაცსა – გული რკინის, აბჯარი – თუნდაც ხისა“ (პირველ აგვისტოს ღამით).

საქართველოს ბედისა და მგოსნის სულის დასახასიათებლად ისევ თოვლის შემცველ ფრაზას მიმართა: „რას ნიშნავს იყო ქართველი? ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა. რას ნიშნავს იყო მგოსანი? ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა, მტრის გეშინოდეს მომხდურის, ვით შარშანდელი თოვლისა“ (რას ნიშნავს, იყო ქართველი?).

პოეტმა ქართველი წარმოაჩინა, როგორც „არმოშიშარი ქარისა და თოვლისა“, მამულისთვის თავდადებული, მისი უპირველესობის მქადაგებელი: „არმოშიშარს ქარისა და თოვლისა, ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება: „მამულს გული უპირველეს ყოვლისა!“

„აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული“

ყინვასაც მრავალმნიშვნელოვანი გაგება აქვს გალაკტიონის პოეზიაში და მის სოციალურ, პოლიტიკურ, ეროვნულ, რელიგიურ შეხედულებათა სამყაროში შევყავართ.

ლექსში „მე დავიბადე განთიადისას“ (1,131) ზაფხული რწმენაზე მიგვანიშნებს, „ზამთრის ყინვა-ქარბუქი“ ათეისტურ პოზიციებზე: „ვცხოვრობდი ზამთრის ყინვა-ქარბუქში, ხსოვნა არ იყო ჩემში ზაფხულის და ნელა-ნელა მიჭკნობდა დღეებს სიცივე სულის, სიცივე გულის“.

„სვანის დაბრუნებაში“ (2,152) „აღქაფებული – თოვლის მსგავსი, ყინულებრ ცივი, ყვირის ნაკადი“.

ლექსში „რუს პოეტს“ (2, 347) ბლოკის თვალია „დაბინდებული ნისლით და ყინვით“.

თოვლს და ყინვას ეკისრება განსაკუთრებული ფუნქცია ლექსში „ალვები თოვლში“ (3,47). მასში ალვა (სიცოცხლის ხე) თოვლიანია, თასი ყინვიანი: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით!“

ალვა სიცოცხლის ხეა, ღმერთის სიმბოლო.

თასი მარიამის პარადიგმაა.

თოვლიანი ალვა და გაყინული თასი უარყოფილ ქრისტესა და მარიამზე მიგვანიშნებს.

ვარდები დაცვენილია, შუქი ჩამოშლილი (ვარდი და შუქი საღვთო სახელებია), შორსა „უცნობი ღამის“ (საღვთო სახელია) საკურთხეველი.

გაყინულია ოცნებები, თეთრი მთა უჩვეულო ნათელს ეალერსება, ირგვლივ კი ჩვეული სიცივეა: „დგას გაყინულთა ოცნებათ კრება: მთა თეთრი, როგორც მაღალი რაში... და უჩვევ ნათელს ეალერსება ჩვეულ სიცივის მძინარებაში“.

მთა მარიამის სიმბოლოა.

„უჩვევი ნათელი“ უზენაესია.

„ჩვეული სიცივის“ და ძილის გარემო გაუცხოებულია უფლისგან (3,-140).

თეთრი, ყინულიანი გული, სინამდვილეში, მარად შავ ზრახვებს ინახავს და წმინდა ქართულ აზრს დანაშაულად გვითვლის. ვინ? რა თქმა უნდა, ყინულოვანი მონსტრის მესვეური: „ო, მეპატიოს, გული ყინული – თეთრად სპეტაკი, მარად შავია. წმინდა ქართული და რუტინული აზრისთვის იგი დამნაშავეა!“ (918) (3,173)

ყინულიანი გულის პატრონის „სული აღსავსეა სუსხით“ და „ზიზღით“, მისი წინამძღვარია ჭოტი, იგი ცრემლის, უბედურების მომტანია, „საუნჯის“ (საღვთო სახელია) გაქრობის და დაღამების დიდოსტატი: „მაშინ საოცრად ტიროდა სახლი, ჩვენი ყრუ, ჩვენი მუნჯი სატანა, თითქოს სადღაცა გაჰქრა საუნჯე და შეღამებამ ითანდათანა“ (918). მის სახეს „სითეთრე თოვლის“ აყრია, „სულს ბურუსები ირისისფერი.“

ლექსში „მე მარწმუნებდნენ“ (3,242) ცა არ არსებობს, იგი სიშავეში გაყინულია, ურწმუნო ეპოქაში კი დაუსჯელად არც უზენაესის სიყვარულია შესაძლებელი და არც ცხოვრების გარდაქმნის შანსი არსებობს:„მე მარწმუნებდნენ: ფოთლები გაჰქრა, ცა არ არსებობს მღვრიე თუ წმინდა, რაღაც უნიჭო ოცნებამ დაჰკრა და სიშავეში იგი გაყინდა. მე მარწმუნებდნენ: რომ არ იქნება შენ დაუსჯელად გიყვარდეს იგი, მარწმუნებდნენ, რომ არ გარდიქმნება მკაცრი დღეების ყოფა და რიგი“.

ყინვიან ზამთარში ამაოა „ყინვის განგულება“, თოვლი და სიცივეა ყველგან, გულში კი გრიგალის ყვირილია, წუხილია იმის გამო, ვისი ხსენებაც აკრძალულია: „ზამთარი ძნელი, ყინვა ფიცხელი. გამწარებული სულის სიცეცხლე, ამაოდ ყინვის განგულებას გლოვს, გადაუღებლად თოვს. სახლები აივსო თოვლით, ქუჩები აივსო თოვლით, შუშაბანდს ცვივიან კეცები, სიცივისაგან დღე იკეცება. მოკლული ეცემა ფრინველი, მე შენზე მაწუხებს წუხილი: გულიდან გრიგალი ყვიროდა წუხელი: შენ არ გაქვს სენაკი, შენ არ გაქვს სართული, სადა ხარ, ვინ იცის. არც ტკბება ჰაერი, არც ცხრება ჟინი ცის, თავისი უჟინო სიმძაფრით გართული“ (ზამთარი ძნელი) (3, 328-289).

ლექსში „ქარით დატირებული“ (3,139) – „თოვლში ჩაფლული, უნუგეშოდ შთენილი, იყინება ფოთოლი, ველად ჩამოცვენილი“.

გულშიც ყინულია, მწუხარების ყინული: „არ გებრალებით? მე მქონდა გული, ეხლა ის არის, როგორც ყინული... ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული“ (წერილი სოფლიდან) (3,80).

პოეტს ასევე აწამებს „განმყინვებელ მკვლელ თვალთა ცქერა“ (დაღლილ წამწამთ ქვეშ) (3,39). „მზერაგამყინველი“ (დიდედას სათვალე, ტ. 4,311), „ყრუდ უალერსოდ ყინვათა მფენი თვალები“ (იბრძოდნენ შურნი) (1,182).

1918წ. არის დაწერილი „მოგონება ყრუ შესახვევის“ (3,149). რომელშიც ღამე, ყინვა, კვნესა, ცეცხლი და სისხლია ავბედითი დროის მახასიათებელი: „უსაზღვრო ღამე. ღამე და ყინვა, ქუჩაზე მიდის სისხლი ღვარული“. მაგრამ მტარვალთა აზრით, „ამ სისხლში არის არა დაცინვა, არამედ სითბო და სიყვარული“...

ლექსში „თითქო არა აქ“ დედამიწა ქაოსებში იძირება თითქოს, ისმის ჭოტების კივილი, ძაღლების ყეფა, მერე „მშობლიური სიჩუმე“ ისადგურებს, მაღალი მთა გაყინულია, დაყრუებულია შარაგზები და ამ ნანგრევთა სიჩუმეში, ქაოსებში დაფარულ, უჩინარ ცეცხლს ამჩნევს პოეტი (3,112).

„სიცივის მძევალია“ ხალხი პოემაში „მშვიდობის წიგნი“, მას „გულს უყინავს შავი დღე“ (4,204).

მიუღწეველი ოცნებები და მწვანე ნაპირები თოვლით და ყინვით იმოსება: „...და მიუღწეველ მწვანე ნაპირებს შემოსავს ძველი თოვლით და ყინვით“ (ჩემს გულში დაჰქრის).

პოეტს იანვრის თოვლი ჰყავდა „მოძმედ“, ის უჭკნობდა სულის იებს (თოვლი, სამრეკლო უდაბნოში).

მაგრამ მაისის დღეებშიც ყინვას, მდელოს ჭკნობას, უსაზღვრო საღამოს და მთის დაბინდებას მოელის: „მაისის დღეებს ის მოელის, ვით ზამთრის ყინვას, თითქო სამუდამოდ დამჭკნარა მდელო, გაახსენდება რაღაც მკაცრი და აღარ სძინავს და იმეორებს: გაჩუმდი მკვლელო! თითქო უსაზღვრო საღამოა და მთა ბინდდება, აირევიან ქენჯნის კალთები. გახედავს სერებს, გაფითრდება, შეეშინდება და ფოთოლივით აკანკალდება. თითქო ვიღაცას უდარაჯებს წყვდიადი ღამით და უბოროტეს დღეთა ხელებით, წყვდიად დუმილის სამოსელში ფიქრების შვავით ივსება გული საშინელებით“ (ვით აფეთქება) (3,332).

თოვლის ქვეშ სიზმრებს გაჰყოლია შორი მთა, მაისში ყინვას, ივლისში ყინვის თასებს, მღელვარე გაზაფხულზე გაყინულ ნაკადულს, გაყინულ ცის ლაჟვარდს, გაყინულ ქვეყნის გულს, თოვლიან ნაძვს, ყვავილთა გაუჩინარებას ჭვრეტს პოეტის უცდომელი მზერა: „თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვა მთის გრეხილი უხმო, შორი და მღელვარე გაზაფხულზე ფიქრს მიეცა მინდორ-ველი. თოვლის ფიფქით შეიმოსა ნაძვი ტოტებდახლართული და მღელვარე გაზაფხულზე გაიყინა ნაკადული. გაიყინა ცის ლაჟვარდი, გაიყინა ქვეყნის გული და მღელვარე გაზაფხულზე ტყე გარინდდა დაბურული. სად, სად გაქრა მშვენიერთა ყვავილთა და ფოთოლთ კრება? – იქ, სად მეფობს გაზაფხულის ოცნება და მოსიზმრება“ (თეთრ თოვლის ქვეშ) (1,233).

„ფეერიულია“ გალაკტიონის ყინვა, სულის, გრძნობების, ზრახვების მახასიათებელი (როდესაც ყველას სძინავდა (5, 178).

„ორნამენტში“ (3,514) „ყვავილები გადაიყინა“. ყვავილი საღმრთო სახელია.

„ჩვენ თან წამოგვყვა მისი ყინული“ (ეს ლექსი) (3,236) ამბობს პოეტი და ქვეტექსტებშია საძიებელი ამ ფრაზის ადრესატი ისევე, როგორც „ალმაცერი თოვლის“, თოვლად სახელდებული სამშობლოსი.

პოეტის გულის „ბრწყინვალებას და ელვარებას“ ჩრდილავს „აუხდენელთა დღესასწაულთ ლურჯი ყინული“ (ჩემს გულში დაჰქრის) (6,801).

არ ასვენებს მათი ოკეანე, „შორი ყინული“: „მე განვიცოდე ოკეანე, შორი ყინული, მათი სიმშვიდე, მათი ვრცელი აურზაური“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები“ (3,200).

გარდასული გაზაფხულის სევდა, ყინვიანი ღამის „შორევი შიშია“ ლექსში „წამი წამს ეზიდება“: „ჰყინავს. ისევ ღამეა. მოდის შიში შორევი. რა ამაოდ ირევა წუთისოფლის მორევი“ (3,399).

„მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ (7,36) ისევ ყინვას მიიჩნევს უბედურებად: „.. ო, ძლივს ვუძლებდი გამგმირავ ყინვას, არ მქონდა ძალა. ზამთრის გმინვის სასტიკი ძალა... ისე შემიკრა ყინვამ კბილები, მკლავდა იარა“.

ეს ყინული, როგორც ტოტალური უღმერთობა და უსამართლობა, განუსაზღვრელ მასშტაბებს იძენს და უზარმაზარ ყინულის ქალაქად იქცევა ყინულის კედ-

ლებით, ყინულის სასახლეებთ, ყინულის მთებით და კოშკებით... და ყინულოვან ზღვაში იკეტება მომავლის გზა...

მაგრამ მთვარის ზეწარში გახვეულ ნათელში პოეტი „სიცოცხლის გენიას“ ხედავს მაღალ ანძასთან დროშით და მისი სიახლოვით, გულის სითბოთი ინგრევა ყინულოვანი გარემოცვა, იფანტება ყინულოვანი ქალაქი ღრუბელივით, ცისფერი, კაშკაშა მთები იმსხვრევიან, გემის სავალი თავისუფლდება და იგი ელვის სისწრაფით გაიჭრება საოცნებო ედემის მხარისკენ, სამშობლოში კი „სიყვარულის“ და „სიცოცხლის ქნარის“ ხმებია და ათასწლოვანი ხეების სიმდიდრე.

ყინულის მთების ნაცვლად მშვენიერი და დიდებული მთები მოჩანს გარდაქმნილი, გადიადებული, „ახლად სრულყოფილი და ცამდის შეკიდებული“.

პოეტი ადიდებს მომავალი რწმენის ბუნებას, რომელსაც დღეთა შემობრუნების ძალა აქვს: „სადღაა ყინულთ ჟრიამული და ქარის სტვენა? ო, მომავალის, დიდი რწმენის კარგო ბუნება... შენ შეგიძლია დღეთა ჩვენთა შემობრუნება, მშვენიერ დღეთა შეგიძლია მომმადლო ენა!“ (შეხედეთ, მიწა!) (6,232).

მთა, ედემი, მთვარე მარიამის სიმბოლოებია,

სიცოცხლის გენია, სიცოცხლის ქნარი – ქრისტესი.

პოეტის სიტყვები არათუ მყინვარის მთის სიმაღლეზე წერია, არამედ ხალხის გულშია და ყველგან რომ ამოიშალოს, სამყაროში სიმღერად განიფინება, რადგან იგი საქვეყნოა: „მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე ობლობის სიტყვა მგზავრმა დასწერა, შიგ ჩააქსოვა დაგუბებული კაეშან-ფიქრი და გულის ძგერა... ქვეყნისთვის – იგი არ არის უცხო, უცხო არაა მისთვის ქვეყანა“ (სიტყვა პოეტის) (1,121).

გალაკტიონი მაინც იმედიანია და აქვს რწმენა, რომ გულის ყინული გალხვება: „...ვინ იცის, იქნებ გალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული“ (წერილი სოფლიდან) (8,80).

რუსეთის „ქარ-ყინვის“, თოვლის, ყინულის, ყინულეთის ასოციაცია უჩნდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისის ღიმილის“ პერსონაჟს – კონსტანტინე სავარსამიძეს რუს სლანსკისთან: „სლანსკი! შენ – ყინულეთი, მე – მზისგული, შენ – თოვლი, მე – ცეცხლი, შენ – მურდალი, ღორის ტყავის ფარივით ფართო და მრგვალი, მე – ქართული ხანჯალივით ბასრი და წვეტიანი. მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევით!“ (8,367)

„ადრიან გაზაფხულში“ (1,3255) არის რწმენა, რომ „კეთილი გაზაფხულის“ „კარგი ხარება“ გაადნობს ყინულის ლოდებს, როგორც ბიბლიაში უზენაესის ძალა.

გალაკტიონს დავით წინასწარმეტყველივით სჯეროდა ღმერთის ყოვლისშემძლეობის, რომელიც ყინულის დნობის უნარით იყო მომადლებული: „წარმოგზავნის თოვლს მატყლივით, თრთვილს ფერფლივით მიმოფანტავს. გადმოუშვებს სეტყვას პურის ნატეხივით, მის სუსხს ვინ დაუდგება წინ? მოავლენს თავის სიტყვას და დაადნობს მათ, დაუბერავს თავის ქარს და გადმოდინდება წყალი“ (ფსალმუნი, 147,5,6,7) (9,681).

ეზეკიელ წინასწარმეტყველის პირით ღაღადებს უფალი ღმერთი: „უთხარი მლესავთ, ჩამოწვება-თქო თქვენი კედელი. წამოვა თავსხმა და თქვენ, ყინულის ქვებო, ჩამოცვივდებით და ქარიშხალი ამოვარდება“ (147,11).

„ასე ამბობს უფალი ღმერთი: ავტეხავ ქარიშხალს ჩემი რისხვით, თავსხმა წამოვა ჩემი წყრომით და ყინულის ქვები ჩემი გაცეცხლებით განადგურდება“ (ეზეკიე-

ლი, 13,11,13) (10,203).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ. 1994
7. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთტომეული, ტ. 2, თბ. 1993
8. კონსტანტინე გამსახურდია, დიონისოს ღიმილი, თხზულებანი 20 ტომად, ტ. II, თბ. 1992
9. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
10. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II

„ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“

„მშობლიურ ეფემერაში“ ყაზბეგის ღრუბლით შემოსილი შუბლი, დაცარიელებული „ყვავილთა ცა“ და ამირანის კვნესა გვაგრძნობინებს ეროვნულ ტრაგედიას, ლექსში „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“ ისევ ღრუბელზე მოდის აზრობრივ-ემოციური მუხტი, იგი ასოცირებულია ამღვრეულ ტვინებთან, ხოლო ციდან ჩაფებით გადმოღვრილი ცრემლები, გრგვინვა და ელვა-ღრუბლები ქვეტექსტებით გვაწვდის მთავარ სათქმელს: „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს, ციდან ცრემლები მოდის ჩაფებით. გრგვინვა ციდან ცით მიაგვირგვნებს ელვას – ღრუბელთა აკიაფებით“.

ამღვრეულ ტვინთან შედარებული ღრუბელი ტრაგიზმის უმთავრეს მიზეზზე – სიბრძნის ნაკლებობაზე მიგვანიშნებს, რაღაც დიადის გამოტირება ხდება ცრემლებით, ხოლო გრგვინვა მტრის მუქარის შიშით გვავსებს.

შემდეგ სტროფში კი კონკრეტდება ზევსის განრისხების, დაბნელების მიზეზზე, რადგან ღამეში გზადაკარგულ მოხევეს მიშველება სჭირდება: „განრისხებულა თვითონ ზევესი, დორბლმორეული თეთრი მელანით. დაკარგულია გზა მოხევესი. ბნელდება. ღამე. მიეშველენით“ (1,72).

ბუნებრივად ჩნდება ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეალების ასოციაცია, „მგზავრის წერილებში“ რომ გამოხატა მოხევის სიტყვებით: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, და ეს მთელი ერის სათქმელის გამოხატვა იყო ძალზე მიგნებულად.

გალაკტიონმა თავისი დიდი პოეტური წინაპრის მრავლისმეტყველ სახეს და სათქმელს მიმართა ახალ დროში და გვაგრძნობინა, რომ მოხევის და მთელი ქვეყნის საწუხარი ისევ აქტუალური და ძნელად გადასაჭრელი იყო. ეს მდგომარეობა დაბნელების, უკუნეთის დადგომის ტოლფასად აღიქმებოდა .

ასე ორიგინალურად, განუმეორებელ მხატვრულ სახეებში ნაგულისხმევი ქვეტექსტებით შეგვიყვანა პოეტების მეფემ „ფარულ ტკივილებით დაბურულ ბაღში“. თვით მის სიტყვებს რომ მივმართოთ.

ამ პრობლემას ისევ სიმბოლური ფორმით აშუქებს პოეტი ახალ ასპექტში და აშკარა ხდება, რამდენად არსებითია და საზოგადო სატკივრით ნასაზრდოები ის ეროვნული სათქმელი, რაც მსჭვალავს მთელ მის პოეზიას.

ლექსში „918“ მწუხარება, საწამლავები, არაადამიანური წვალება შორეული პეტერბურგის ბურუსშია გახვეული, სინამდვილეში გული შავი ყინულია, ქართული ცნობიერება კი დანაშაულად აღიქმება: „ოჰ, მეპატიოს, გული – ყინული! თეთრად სპეტაკი – მარად შავია, წმინდა ქართული და რუტინული აზრისთვის იგი დამნაშავეა“.

უდაბნოს ყვავილთა ძებნა, ქარში ლიანდაგს აცდენილი მატარებელი (გზადაკარგული მოხევის ანალოგიური ჩანაფიქრის შემცვლელი სახე!) ეროვნულ და სარწმუნოებრივ იდეალთა იავარქმნას მოასწავებს: „შემდეგ უდაბნოს ყვავილთა მზოგარ თვალით მძებნელი და მარებელი, ვუდარაჯებდით, თუ ქარში როგორ ასცდა ლიანდაგს მატარებელი“.

უდაბნოს ყვავილი ქრისტეს სახელია, ისევე, როგორც ყვავილი, რადგან ქრისტემ უდაბნოში იმარხულა და უდაბნოში გამოიცადა.

ქარი ის საბედისწერო ავი ქარია, ატმის ყვავილებს, ატმის რტოს და ხომალდებს რომ უსაფრდება...

„გზათა მიუვალობით“, უედემო ანგელოზების ტირილით შეძრულია პოეტი, მისი დემონი (ამჯერად გენიის სიმბოლოა დემონი) ვერ შეეგუება ჩვეულ სტანდარტებს, იგი შეფარვით ამხელს მწარე სინამდვილეს: „სასტიკი იყო ჩემი დემონი, ვერ ითვისებდა ჩვეულ გალობას, ანგელოზები უედემონი ტიროდნენ გზათა მიუვალობას“.

ლოცვას ქიმერები ენაცვლება, პოეტის ლირიკული მე კი მარადიული იანიჩარია, ეს ქართველთა ბედისწერაა: „და მიგვაფრენდა ლოცვათ მაგიერ, ფრთიან ქიმერათ გვიანი ჯარი, ოჰ, ვერასოდეს გვერდს ვერ აგიარ მე, უდროობის იანიჩარი!“

შემდეგ ავბედითი ხმები გვაძრწუნებს, რაც მიგვანიშნებს საზარელ მომავალზე. ძაღლის ყმუილი, ჭოტის კივილი, თანდათანობითი დაღამება,.. საუნჯის გაქრობით სრულდება, შიში და უბედურების მოლოდინია. საუნჯე კი საღვთო სახელია, ანუ რეალობაა დაკარგული თავისუფლება, ღმერთწართმეული არსებობა (2,173).

ლექსი 1918-ით თარიღდება და პოეტის ავბედითი წინაგრძნობის სისწორეში გვარწმუნებს, რადგან საუკუნეობით ნაოცნებარი 1918წ. მოპოვებული თავისუფლება მხოლოდ სამწლიანი გამოდგა.

ამ პრობლემას კიდევ უფრო გამძაფრებულად და ახალი კუთხით წარმოაჩენს 1918წ. დაწერილ ლექსში „ოფორტი“ (2,144).

ზამთარი, თეთრი ავდარი, თოვლი და მარხილი რეალურია ჩრდილოელი მეზობლისთვის და ჩვენც მის მოზიარედ გვაქცია ბედისწერამ: „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი, რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი, ამ სივრცეებში მყავს დამარხული ზამთარი ცივი და ნაზავთარი“.

რუსული მარხილით მოდის ჩვენში თეთრი ავდარი, მისი სივრცეები ცივი ზამთრის სამეფოა.

სიმბოლურია ეს მარხილი, რომელიც ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ რუსული „პოვოსკის“ ასოციაციას იწვევს... ჩრდილოეთის იმპერიის მზესაც „ელამი“ თვალი აქვს, ტყემლების აყვავილება კი სიზმარეულია...

„გაყინული მხედრის“ წუხილის მიზეზია სიჩუმე. ჩვეულ სიჩუმეში მაინც აშკარაა გზების „არსაამსოფლო“ ნაკვალევი, რომ აღარ არსებობს სხვა სამშობლო, გარდა თოვ-

ლისა, ანუ თოვლიანი მონსტრისა: „... რა სიჩუმეა! როგორც აჩნია გზებს ნაკვალევი არ-საამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია, რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

ედემის მსგავსი სამშობლოს პატრონს თოვლის სამეფო აღიარებინეს სამშობ-ლოდ, დედას დედინაცვალი ამჯობინებინეს.

მისი თოვლი „იისფერი“ ან „ქალწული თოვლი“ როდია, ეს უფრო „შავი თოვ-ლია“, ტალახიანი, გულისმომწყველი, რომელიც არ დნება...

1921 წელს დაწერილი „მუხა“ მეხით მუხის სიკვდილზე, მის ფუღუროში დაბუ-დებულ ატირებულ ჭოტზე საუბრით მიგვანიშნებს შიშზე, სიმბოლური მუხის (ერის სულის) განსაცდელზე (1,52).

ტყე, ბაღი, მუხა, კაკლები ერის სულის სიმბოლოა.

მხეცის (აპოკალიფსური მხეცის ნაირსახეობა) ხელობაა „ძველი კაკლების“ იავარქმნა: „საშინელია, იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები. შენი სახელი მათ მიუეცრად – მხეცი, არც მეტი და არც ნაკლები“ (სისხლი) (3-735).

ტოტალური რეპრესიების ასოციაცია გვიჩნდება, კაკლები კი ეროვნული სულის სიმბოლოა, რომლის შემუსვრას ცდილობდნენ ტრიუმფატორი იმპერატორები მეო-ცე საუკუნეში.

„დარიალისა ვიწრო კლდეებში“ (1911წ.) მონობის სიძულვილით ძილში შთან-თქმული, უზრუნველი სამშობლოს გამო დარდით იქცევს ყურადღებას (1,46).

მეგობრად მოვლენილი მტრის მუხანათური ღალატის მხილებაა ლექსში „გული“ (1919წ.). დამსხვრეულ ძეგლებსა და ქანდაკებებს შორის უგონო სიყვარულით შერ-ყეული გული მარხია, „უსივრცო“ ბაღი კი ასპარეზწართმეული ხალხის ასოციაციას ქმნის, რადგან ბაღი, ვენახი ხალხის პარადიგმაა ბიბლიაში (1,274).

გრიგოლ ორბელიანის გახსენება ამძაფრებს ეროვნულ ტკივილს ლექსში „ჩემო იარალი“: „... ტფილისი ძველი მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს და ნარიყალა, ცრემლებით სველი მატარებლების კივილს გაჰყურებს“.

შემდეგ სტრიქონებში კიდევ უფრო ძლიერდება სევდა. პოეტი ჯიუტად დგას სიმბოლურ მთაზე მარტო (მთა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა), ზეციური გადა-სახედიდან კი „ახალი სანახავი“ სანუგეშო როდია: „მე ვდგავარ მთაზე, მე ვდგავარ მარტო, დამთვრალი ახალ სანახავითა, რითი გაგართო, როგორ გაგართო? ჩემო ია-რალი, ის დრო წავიდა!“ (4,34).

შემთხვევითი როდია პატრიოტი რომანტიკოსი წინაპრების მოლანდება.

1959 წელს დაუწერია გალაკტიონს მრავალმნიშვნელოთანი სათქმელით სავსე ლექსი, რომელსაც გასდევს ნ. ბარათაშვილის ფრაზა პოემიდან „ბედი ქართლისა“: „ახლა კი დროა!“

მაგრამ აქ 50-იანი წლების საბჭოთა იდეოლოგია როდია, რომელიც მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის გაერთიანების დევიზით გამოდიოდა და ეროვნულის დავიწყებას გვასწავლიდა.

ალბათ, პოეტს სურდა მშრომელის „დაფასების“ ეპოქაში მშრომელზე საუბრით აეხვია თვალი ცენზურისთვის: „ახლა კი დროა, მშრომელო, რომა, დაფასდეს შენი ღვაწლი და შრომა, დარიგდეს წიგნი, იქუხოს ქართვლის სადღეგრძელომა“.

წიგნი საღვთო სახელია, როგორც ჩანს, პოეტი სახელმწიფოებრივ დონეზე რე-ლიგიის შემწყნარებლობას გულისმობდა, ხოლო ქართველის სადღეგრძელოთი აშ-კარად პატრიოტულ აქცენტს აკეთებდა.

შემდეგ წარსულის გახსენებით ახალ საფრთხესაც უსვამს ხაზს: „ახლა კი დროა, მშრომელო, რომა, ის გავიხსენოთ, რისხვა და წყრომა, რაც თავს დაგვატყდა, განადგურება რომ მოგვინდომა“.

უცხო გვარ-ტომთა დაუნდობლობის გამეორების შემთხვევაში ქართველ ვეფხვებსა და ლომებს ხმლისკენ მოუწოდებს პოეტი: „ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა, თუ არ დაგვინდო უცხოთ გვარ-ტომმა, ხმალს იკრას ხელი ქართველმა ვეფხვმა, ქართველმა ლომმა“.

მომავალში მჭკნარი მდელოს აყვავების, მშვიდობის დამკვიდრების, თავისუფლების მიღწევის ნატვრით მთავრდება ლექსი: „ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა, მშვიდობა ნახოს საქართველომა, გრილი ნიავის ქროლვა შეიგრძნოს მჭკნარმა მდელომა“ (5,303).

ლექსში „აქ მარმარილოს მაღალი სვეტი“ რეფრენად გამოყენებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის ფრაზა „ვაჰ, დრონი, დრონი!“

„ეპოქის გედი“ თვით პოეტია, რომელიც „ოცნებას მღერის გაბედითებით“.

სისხლიან ეპოქას შეუმუსრავს დღე. დღე საღმრთო სახელია.

ციხე-გალავანში დაღვრილი სისხლი მის მშენებელს სამარეშიც არ მოასვენებს: „ციხე-გალავანს სჩქეფს სისხლის წვეთი, დღე შემმუსვრელთა ალთა კიდებით. ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი? იგი არ ჰკვდება გულთმშვიდებით“.

სურო, ხავსი, თაღების ღრუბელი და ნისლთა პირამიდები მინიშნებაა ეპოქის ღრუბელსა და ნისლზე: „სურო და ხავსი ღალღით, გვრიტებით. ვამჩნევ თაღებზე ღრუბელთა რონინს, გაშლილან ნისლთა პირამიდები, ვაჰ, დრონი, დრონი!“

ნანგრევები, ძველი მითები, ამინდი თუ უამინდობა იყო პოეტის პირველი ბედი და ნუგეში მხოლოდ ის არის, რომ მაინც ქართან გაბედითებით მებრძოლი მოჩანს სამშობლო.

ბედნიერების სურვილი, გამომშვიდობება და შეძახილი, „ვაჰ, დრონი, დრონი“, ხურავს ტკივილების მატიანეს...

ლექსი დათარიღებულია 1927 წლით, „აღმავალი სოციალიზმის“ პერიოდით (6,334).

ასე ამოეფარა გალაკტიონი წინაპარ პატრიოტთა სახელებს გადაუჭრელი ეროვნული პრობლემების გასაცხადებლად. პოეტის შემოქმედებაში გამუდმებით ემეზობლება ერთმანეთს ეროვნული და სარწმუნოებრივი იდეალები, განუყოფელი ტრიადა: მამული, ენა, სარწმუნოება.

მთელი ეროვნული უბედობის შეჯამებად აღიქმება 1928 წელს დაწერილი ლექსი „შენ ობლად კვლავ ადგახარ გზას“.

ზეცის რღვევა, სოდომის ცოდვა, გრგვინვა-ქუხილის მუქარა, ურთიერთშეუბრალებლობა, გზადაკარგულთა წუხილი, ობლობა, გრიგალისა და ქარის იმედად ყოფნა აშკარას ხდის, რომ ქვეყნის თავზე დატეხილი უბედურება მაგისტრალური გზის, სარწმუნოების, ეროვნული იდეალების ღალატის შედეგია: „შენ ობლად კვლავ ადგეხარ გზას, ზეცა ჰქუხს, ზეცა ირღვევა, ოთხივ მხრივ გადმოხეთქილი მთელი სოდომი იღვრება. ელვანი იკლაკნებიან, არის გრგვინვა და ქუხილი, შორით შორს ისმის ხევებში გზადაკარგულთა წუხილი. დაბრუნდი! ერთიმეორეს ამ დროს არავინ იცოდებს, მშველელ ხელს მხოლოდ გრიგალი და ქარი გამოგიწოდებს“ (4,106).

1927 წლით არის დათარიღებული ლექსი „გული გრძნობს“. სევდის მიზეზია დაუსახელებელი მტრის ღალატი, ღამისგან აყირავებული ზამბახთა კალათი, მღვრიე ქარიშხალი: „ავტომობილის მღვრიე თვალებს დარევდა სევდა, ელვარე ღამე აყირა-

ვებს ზამბახთა კალათს, შენ გახსოვს? მღვრიე ქარიშხალი ჰაერს რომ რევდა, გული გრძნობს ღალატს“.

„ზამბახთა კალათი“ მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

შემდეგ სტრიქონებში „მწუხარე თოვლში“ „ფერადი გემის“ წასვლა გამხდარა სანანებელი, დედამიწა ანგელოზებით კი არა, ჯალათებით ავსებულან და ღალატით გულდახრული პერსონაჟი ლექსისა მხოლოდ შურისძიებაში ხედავს ხსნას: „მწუხარე თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს – დედამიწას ვუცქერი ჯალათს. ო, შურს იძიებს უსათუოდ როსმე ბოჰემა, გული გრძნობს ღალატს“ (4,63).

როგორც ვხედავთ, ლექსი ენიგმებით გვიმხელს სათქმელს. „მწუხარე თოვლში“ ჩრდილოელი ქვეყანა, ყინვიან-თოვლიანი მონსტრი შეიძლება ვიგულისხმოთ (თოვლი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა გალაკტიონის პოეზიაში, ერთ-ერთ ჭრილში მას პოლიტიკური ქვეტექსტებიც აქვს).

„ფერადი გემი“ გალაკტიონის ლექსში ქრისტიანობაა, ხოლო „ფერადი გემით“ მწუხარე თოვლში“ წასვლა ნიშნავს ქრისტიანობის, ერთმორწმუნეობის სახელით მისვლას თოვლის სამეფოში, ყინულოვანი მონსტრის ამაო იმედზე ყოფნას.

ასე სიმბოლურ-ალეგორიულად, ახლებურად, ენიგმებით გვაგრძნობინებს პოეტი სამშობლოს უბედურებას, რომელიც ხსნას მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოში ეძებდა, მაგრამ იმედგაცრუება არგუნა მორწმუნეობის ნიღაბს ამოფარებულმა ბოროტების იმპერიამ.

1927 წლით არის დათარიღებული ლექსი „დაიღუპა ის ხომალდი“, რომელშიც ბოროტი ქარისაგან დაღუპული ხომალდის სახით შეგვაგრძნობინებს პოეტი ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების განადგურებას (4,61).

ავბედით 1937 წელს პოეტს საბოლოოდ გადაწურული ჰქონია იმედი, მამულის მონობას, ურწმუნოების გაბატონებას საბოლოოდ მოუკლავს სიცოცხლის ხალისი: „არ მეგონა, არ მეგონა, არ მეგონა, გულო, თუ ამგვარი გახდებოდი–ცივი, უმამულო და ამგვარად თუ სიცოცხლის მოკვდებოდა კონა – არ მეგონა, სიცოცხლეო, არა, არ მეგონა“. მკვდარი „სიცოცხლის კონა“ უარყოფილი ღმერთია (4,374).

ერთგან „თოვლი“ ანუ თოვლიანი იმპერიაა პოეტის „სამშობლო“ (სამშობლო შავი ლუციფერის), საკუთარის დავიწყებას აიძულებდნენ, სამაგიეროდ სხვისი, ყინულოვანი მონსტრის აღიარებას შთააგონებდნენ. მშობლიურ, ედემისმაგვარ მხარეს სახელიც დაკარგული ჰქონდა, იგი ბოროტების იმპერიის პროვინცია იყო: „ტროპიკულ ხეებს შავი ზღვის პირად, ვაზებს დახლართულს, რომ მივყვებოდი ზურმუხტისფრად ფიქრებში გართულს, ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული“ (შავი ზღვის პირად) (1,114).

მონობის, სირცხვილის ფიქრი უწვავდა გულს, დასაბრუნებელი იყო სატანისტებისაგან წაგვრილი მამული და ბედს ევედრებოდა: „გთხოვ, დამიბრუნე ჩემი სამშობლო, სადაც მალხენდა ოცნება ყრმობის, სადაც არ ვგრძნობდი, თუ რას ნიშნავდა ფიქრი სირცხვილის, ფიქრი მონობის“ (სამშობლოში) (1,136).

გალაკტიონის იდეალი იყო „სამშობლოს სანახავიდან“ ენახა „იმედის შუქი“, „სიცოცხლის საგანი“, „შუქი მოციმციმე“ (რწმენის სიმბოლოებია), მაგრამ ბურუსი ფარავდა სანატრელ ოცნებას (ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა) (1934წ.) (4,293).

პოეტი ხედავდა სათაყვანებელი სამშობლოს იდეალების იავარქმნას და გულისტკენით ასკვნიდა: „რაა მასზე გულდამწყვეტი, მეტეხო და დოღმის ველო, მიდიოდე

და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო. არის ხლართი რკინიგზების, არის ავტო-მოტო-ველო, არის ოჯახებიც, მაგრამ ეს არ არის საქართველო“ (რაა მასზე გულ-დამწყვეტი).

ქრონოლოგიურად რომ გავადევნოთ თვალი გალაკტიონის ეროვნულ თემაზე შექმნილ ლექსებს, აღმოჩნდება, რომ 30-40-იან წლებში კიდევ უფრო მეტი სიმწვავით იგრძნობა „უდარეველი სამშობლო მხარის“ გულისტკივილი, რადგან დროთა სვლას ერის არცერთი იმედი არ აუსრულებია: „რა უწყალოა რონინი ხანის, აუსრულებელ იმედთა გარე“ (ეს წინათ იყო) (1927წ.) (6,288). გალაკტიონის ამ მამხილებელ ლექსებს რომ ვეცნობით, გვაგონდება აკაკი ბელიაშვილის სიტყვები: „გალაკტიონისთვის სინონიმებად იქცნენ სამშობლო და პოეზია. გალაკტიონი პოეზიის მეფე ერეკლე იყო და მის ხელში ისე ელვარებდა კალამი, როგორც ერეკლეს ხელში–ხმალი“(პოეზიის უგვირგვინო მეფე) (8-577-579).

ლიტერატურა:

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ, 1993
2. გალაკტიონ ტაბიძე, თბზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, 1988
3. გალაკტიონ ტაბიძე, თბ. 1977
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 1994
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ. 1994
6. გალაკტიონ ტაბიძე, თბზულებანი ხუთ წიგნად, წიგნი IV, 1988
7. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, ლექსები, პუბლიცისტიკა, მიმოწერა, თბ. 1989

თავი VI
მომავლის თვალი გალაკტიონის პოეზიაში
ანტიციპაცია – სულიწმინდის მადლი

ყოველ დროს თავისი ღმერთები თუ კერპები ჰყავს, მოვლენათა, პიროვნებათა, მხატვრული ნაწარმოების შეფასების თავისებური კრიტერიუმები გააჩნია. ეფემერული დიდების პარალელურად არსებობს „დიდება მარადისი“ და უსაზღვროების წინაშე უკვდავია მხოლოდ რელიგიური, ამდენად, ჰუმანური და მაღალმხატვრული, სულიერი ინდივიდუალობით, მარადაქტუალური სიბრძნით გამორჩეული ხელოვნება. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, სიწმინდით მომადლებულ ღვთისმეტყველთა აზრით კი, სიბრძნე ღმერთია.

„ყოველი სიბრძნე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ“ (სიბრძნე ზირაქისა, თ. 1,1) (1,35).

„უფალმა თავად შექმნა სიბრძნე, იხილა და აღრიცხა იგი, მოასხურა იგი თავის ყველა საქმეს“ (სიბრძნე ზირაქისა, 1, 9) (1, 35).

„მყოფობს ყველა ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმადლის იგი მის მოყვარეებს“ (იქვე, 1, 19) (1, 35).

„სიბრძნის სათავე უფლის შიშია და მორწმუნეებს საშოდანვე დაჰყვება თან“ (სიბრძნე ზირაქისა, 1, 14) (1,35).

„რადგან უფლის შიშია სიბრძნე და განსწავლულობა, მისადმი სასოება – რწმენა და სიმშვიდე“ (იქვე, 1, 27) (1,35).

„ბოროტის ცოდნა არ არის სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილნი ბჭობენ“ (სიბრძნე ზირაქისა, 9, 22) (1, 47)

სიბრძნის შეძენაში წინამძღვარია ღვთის სიყვარული, რჯულის ცოდნა: „მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,1) (1,62)

„გამოიკვლევს ანდაზების დაფარულ აზრს და იგავთა გამოცანებს გამოიცნობს“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,3).

ისო ზირაქის მიხედვით, „უფალმა... სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“ (44,33) (1,66).

წმინდა წერილში უმაღლეს ღირებულებად სიბრძნე მიიჩნევა და იგი ღმერთის მადლად არის აღიარებული.

სოლომონი შეგვაგონებს: „... უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება“ (2,6) (2,618).

„უფალმა სიბრძნით დააფუძნა ქვეყანა, გონიერებით გაამტკიცა ცამყარი“ (იგავნი სოლომონისა, 2,18) (2,619).

„ღვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ“ (იგავნი, 14,6) (2,626).

„უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა ცოდნა კი გონიერება“ (იგავნი, 9,10) (2,623).

„არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ და ლანდივით დღემოკლე იქნება ყველა, ვისაც ღვთისა არ ეშინია“ (ეკლეზიასტე, 8,3) (2,12).

ღვთის სიყვარულით გაბრძნობილი სოლომონი ხარობს უზენაესის მადლით:

„ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონის, 7,21) (1,24).

„ღვთის ძალის სუნთქვაა იგი და ყოვლისმპყრობელის დიდების შეუბღალავი გადმოღვრა, ამიტომ წაბილწულთაგან ვერავის მიეკარება მას“ (სიბრძნე სოლომონისა, 7, 25) (1,24).

„იგია საუკუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სარკე ღვთის ქმედების და ხატი მისი სიკეთისა.

„…ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ.

„რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (სიბრძნე სოლომონისა, 7, 27, 28) (1, 24).

„უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“ (სიბრძნე სოლომონისა, 8, 17) (1, 24).

პავლე მოციქულის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი, მათ შორის, წინასწარმეტყველების უნარი, სულიწმინდის მადლია.

„სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია (I კორინთელთა, 12)

„თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ, ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა. მეორეს – ცოდნის სიტყვა იმავე სულით.

„ზოგს რწმენა იმავე სულით და ზოგს განკურნებითა ნიჭი იმავე სულით.

„ზოგს სასწაულთმოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება.

„ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს“ (I კორინთელთა, 12,4-11) (3, 374-375).

ამასთან, ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია. მთავარია „რწმენა, იმედი, სიყვარული, … მათგან სიყვარულია უმეტესი“ (I კორინთელთა, 14, 13) (3, 376).

სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული მოუწოდებს თანამოაზრეებს: „ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო რომ იწინასწარმეტყველოთ“ (I კორინთელთა, 14, 1).

„ვინც ენით ლაპარაკობს, სულით ლაპარაკობს იგი საიდუმლოებებს“ (I კორინთელთა, 14, 2) (3,376).

„ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშებლად და გასამხნევებლად“ (I კორინთელთა, 14, 3) (3, 72).

„ენით მოლაპარაკე თავის თავს აშენებს, ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ეკლესიას აშენებს“ (I კორინთელთა, 14, 4) (3, 376)

„… ის, ვინც წინასწარმეტყველებს, ენებით მოლაპარაკეზე მეტია, თუ განმარტავს კიდეც, რათა ეკლესია აღშენდეს“ (I კორინთელთა, 14, 5) (3, 376)

„ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისაებრ“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,7) (3,417).

პეტრე მოციქული მიმართავს თავის თანამოაზრეებს: „თქვენ ხართ ძენი წინასწარმეტყველთა და იმ აღთქმისა, რომელიც აღუთქვა ღმერთმა ჩვენს მამებს, როცა უთხრა აბრაამს: შენს თესლში იკურთხება დედამიწის ყოველი მოდგმაო“ (საქმეები, 4,25) (3,234).

„ახლა ჩვენ გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა და კარგად იქცევით, რომ მიმართავთ მას, როგორც ლამპარს, რომელიც ბნელში ანათებს, ვიდრე

დღე გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდოდეს თქვენს გულებში“ (II პეტრე, 2,19).

„...წერილის არავითარი წინასწარმეტყველება თავისით არ განიმარტება“ (II პეტრე, 2,20).

„ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარმოთქვამდნენ მას“ (I პეტრე, 2,2-311) (3,311).

პავლე მოციქული ასე ამხელდა „წუთისოფლის მოკამათეს“: „სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი! სად არის ამ წუთისოფლის მოკამათე, განა სისულელედ არ აქცია ღმერთმა ქვეყნიერების სიბრძნე?“ (I წერილი კორინთელთა მიმართ, 1,20) (3,357)

ბიბლიური წინასწარმეტყველები ეძებდნენ დაფარულ სიბრძნეს: „...გამაგებინე სიბრძნე ფარული. უჩინონი და დაფარული სიბრძნის შენისანი გამიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განვწმინდნე მე, განმბანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკნე“, ევედრებოდა უზენაესს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 50, 8,9) (3,575).

ამასთან, ბიბლიაში გვხვდება „საკუთარი ნებით გაწინასწარმეტყველებული“ ცრუ წინასწარმეტყველ-მისნები, რომელთაც დასჯით ემუქრება ღმერთი ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში: „...ვაი ცრუ-წინასწარმეტყველთ, რომლებიც საკუთარ სულს მიჰყვებიან და არაფერი უხილავთ.

„ნაოხარ ადგილებში რომ მელიები არიან, იმათ ჰგვანან შენი წინასწარმეტველნი, ისრაელო!

„მათი ხილვები ფუჭია და მათი მისნობა სიცრუე. კი ამბობენ, უფალმა თქვაო, მაგრამ უფალს არ მოუვლენია ისინი. ირწმუნებიან, ახდებაო ჩვენი სიტყვა.

„რაკი ფუჭს ლაპარაკობთ და სიცრუეს ხედავთ, ამიტომაც, აჰა, თქვენი წინააღმდეგი ვარ, ამბობს უფალი ღმერთი.

„იქნება ჩემი ხელი ფუჭმხილველ წინასწარმეტყველთა და სიცრუის მისანთა წინააღმდეგ. ჩემი ერის საბჭოში არ იქნებიან ისინი, ისრაელის სახლის წიგნში არ ჩაიწერებიან და ისრაელის მიწაზე ვერ მივლენ.

„სწორედ იმის გამო, რომ აცდუნებენ ჩემს ერს, რომ ეუბნებიან, მშვიდობაოო და არ არის მშვიდობა, ჩემი ხალხი კედელს აშენებს და, აჰა, ესენი კირით ლესავენ.

„უთხარით მლესავთ, ჩამოწვება-თქო თქვენი კედელი. წამოვა თავსხმა და, თქვენ, ყინულის ქვემო ჩამოცვივდებით და ქარიშხალი ამოვარდება“ (ეზეკიელი, 3, 3-6, 9-11) (II,203).

„გრძნეული შემლოცველის“ გაფრთხილებაა ესაია წინასწარმეტყველთან: „გრძნეულ შემლოცველს დასჯის უფალი“ (1, 94).

ძველი და ახალი აღთქმა სავსეა წინასწარმეტყველებით, იგავებით, ალეგორიებით, რომლებიც გადატანით, დაფარულ აზრს, ანდაზას, ზნეობრივ-დამრიგებლურ დასკვნას შეიცავს.

„ქართულ სასულიერო მწერლობაში ალეგორიის სინონიმად შემუშავდა, „იგავი“. სიტყვა „იგავი“, ბიბლიის ლექსიკური მარაგიდან მოყოლებული, საერთოდ, ქართული სასულიერო მწერლობის ენის წიაღში სათანადო გამოვლინებას პოულობს“ (4, 148).

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწიურს და ზეციურს.

შეზღუდულად მიიქნევა ყოველგვარი ადამიანური ცოდნა: „ბრიყვია ყოველი კა-

ცი თავისი ცოდნით“ (იერემია, 51, 17) (1,177).

იგივე მოსაზრებას ვხვდებით ბარუქ წინასწარმეტყველთან: „ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი, მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს“ (ბარუქი, 3, 20).

ამის მიზეზია ის, რომ მათ „დატოვეს წყარო სიბრძნისა უფალი“ (ბარუქი, 3,12).

„ვერც აგარის შვილებმა, რომლებიც მიწიურ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონისა და თემონის ვაჭრებმა, ვერც მთხრობელებმა და ვერც ცოდნის მძებნელებმა ვერ გაიგნეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები“ (ბარუქი, 3,12).

„არავინაა შემმეცნებული მისი გზისა და არც გულისხმისმყოფელი მისი ხილვისა“ (იქვე, 3, 31).

„მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს და თავის მორჩილთა და ისრაელს, რომელიც შეიყვარა“ (ბარუქი, თ. 3, 37) (I, 190).

ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს მიწიერ ცოდნას, კერპის თაყვანს: „ცოდნისგან გაბრუვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა კერპი, სული არ უდგას“ (იერემია, 10, 14) (I,135).

პავლე მოციქული ეძებდა არა ხორციელ სიბრძნეს, არამედ „ღვთის მადლს“ (II წერილი კორინთელთა მიმართ 1, 12) (3, 385).

ერთმანეთისაგან ასხვავებენ „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს“ და „მაღლიდან გარდმოვლენილ სიბრძნეს“, რომელიც „წმინდაა, მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო“ (იაკობი 4, 15, 17) (3, 298).

„არა წუთისოფლის სიბრძნე, არამედ ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებებში დაფარული“, აცხადებდა პავლე მოციქული (I კორინთელთა, 2,6, 13) (3, 354, 360).

„სიბრძნის სიტყვა სულის მადლია“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,8) (3, 374).

პავლე მოციქული შეგვაგონებს: „თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს.

„ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე“ (პავლე მოციქული, (I კორინთელთა, 3, 18, 19) (3, 360).

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინფორმაცია სამყაროს და ცოცხალ არსებათა შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ველი შეიძლება წარმოადგენდეს დედამიწის პროგრამასაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენისთვის უხილავ- მოუსმენელთან ზიარება.

ზეგანვითარებულ ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კონტაქტს მიწიერ და ზენარულ სივრცეებთან, დედამიწის იონოსფეროსთან.

აღმოსავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება და, მაღალ სულიერ განვითარებასთან ერთად, ადამიანის ზნეობრივი სიწმინდე იყო პირობა კოსმიურთან კავშირის უნარების განვითარებისა.

ლაო-ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მარადიული სათნოებით ავსილი ადამიანე-

ბი“ იქცევიან „სამყაროს ხილულ ველად“, და „ვინც ველია სამყაროსი, მარადიულ დეს ეუფლება“ (4, 99, 197).

„ბჰაგავად-გიტაში“ არის სპეციალური თავი: „ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა“, რომელშიც ნათქვამია: „კურთხეულმა ბრძანა: „ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება, ხოლო რომელი მას საცნაურყოფს – ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება“ (5, 83), ველის უფალი კი ღმერთია (5,90).

რაჯნეშის „ტანტრას“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „მიღების დაბლობი“ ეწოდება და ამ შემთხვევაშიც ზნეობრივი სიწმინდეა მასთან მიახლების საწინდარი.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება „ცეცხლის ალების ველი“, მდელო, „ყვავილებით სავსე წალკოტი“ (6, 183).

გოეთეს „ფაუსტში“ „ამწვანებულ ველად“ არის სახელდებული ენერგეტიკული ველი (7, 213).

ბოდლერის „ამაღლებაში“ საინფორმაციო ველს ეწოდება „აისის ჭალა“, „სინათლის აუმღვრევი ველები“ (8,3 127).

ეგვიპტურ მკვდართა წიგნში მოიხსენება იალუს მინდორი, რომელიც სამოთხის ექვივალენტი იყო (10, 136).

მიუთითებენ, რომ არსებობს აგრეთვე „შავი მაგიური ველი“.

უმდაბლესი ასტრალური შრეების მომრავლების შედეგად პლანეტა მძიმედ არის დაავადებული და წარმოქმნილია „შავი მაგიური ველი“, რომელიც გზას კეტავს იმ სამყაროებისკენ, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ პლანეტას. თუ ვერ გაირღვა ეს ბნელი ველი, დედამიწის არსებობა დასრულდება (11, 201).

ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით მომადლებულები გადიან საინფორმაციო ველზე და მომავლის განჭვრეტას ახდენენ, როგორც უჩვეულო ხილვების, ისე ხმების საშუალებით.

ოკულტისტების აზრით, ადამიანს აქვს უნარი, იგრძნოს ფიზიკური გრძნობისათვის მიუწვდომელი.

ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვისი ასტრალურში.

ასტრალური ხედვა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს ასტრალური სინათლის ტალღები, ასტრალური სმენით კი ღებულობს ასტრალურ ბგერით ტალღებს, ვინაიდან ისინი არსებობენ მათი გამოვლენიდან დიდი ხნის შემდეგაც.

საგნები ყოველმხრივ უშვებენ ტალღებს, რომელიც აღიბეჭდება ასტრალური ხედვით, როგორც სინათლის სხივები ფიზიკური ხედვის ორგანოებით.

ასტრალურ ორგანოს აქვს ისეთი უნარი, რომელიც მოქმედებს, როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას. ზოგს შეუძლია დაინახოს რამდენიმე მილიდან, სხვებს – ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ზოგიერთებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა პლანეტების ამბებს.

„ასტრალური ტელესკოპი“ მსგავსია ასტრალური ტელეგრაფისა, იგი ამცირებს მანძილს ორ დაშორებულ პუნქტს შორის. ამ დენის გზაზე მოდის ასტრალური სხივები, ასტრალური ხმები.

მეორე საშუალება ნათელმხილველობისა არის ის, რომ გაიგზავნოს ასტრალური სხეული ცნობიერად და არაცნობიერად სასურველ სივრცეში.

სამყაროში არაფერი არ ქრება და მატერიის უმაღლეს სფეროში მუდმივად არსებობენ შეუცვლელი ჩანაწერები ყოველივე იმისა, რაც ოდესმე მომხდარა.

ასტრალურ სინათლეზე შეიძლება მოიძებნოს სუსტი და არასრულყოფილი გა-

მოსახულება დიდი კანონებისა, მიზეზებისა, ჩრდილები, რომელთაც ისვრიან წინმავალი მოვლენები.

ნათელსმენა არის სმენა ასტრალურ სივრცეში ასტრალური სხივით.

ნათელმხილველისათვის დამახასიათებელია ტელეპატიური ხედვა, საიდუმლო ხმების მოსმენა, წინასწარმეტყველების უნარი.

ამ შემთხვევაში ზეგანვითარებული გრძნობათა ორგანოები კონტაქტშია ჩვენთვის ნაცნობ არსებულთან და რაღაც „იმქვეყნიურთან“, რომელსაც შეიძლება არც ვიცნობთ (12,8).

მეოცე საუკუნის უდიდესი მოძღვრება „აგნი იოგა“, „ცოცხალი ეთიკა“ ანუ „სინათლის მოძღვრება“ გამოყოფს ნათელმხილველობისა და ნათელსმენის შვიდ სახეობას.

ელენე რერიხმა ჰიმალაის მთებში უმაღლესი სამყაროს მბრძანებლის, კაცობრიობის დიდი მასწავლებლის – მაიტრეას კარნახით ჩაწერა მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, ჰიმალაის, კავკასიონისა და ალტაის მთები არიან დაცული ტერიტორიები და წარმოადგენენ „ზეციურ საძმოთა სავანეს“ (11,94).

იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ადამიანის სულიერი ცნობიერება, ის უფრო მეტად უსმენს შინაგან ხმას და უფრო კარგად არჩევს მის იმპულსებს, მომდინარეს უმაღლესი სულისგან.

სულიერი გამონათების, „გამობრწყინებისას“ ხდება სულიერი ცნობიერების გახსნა, ეს სიმღერაა სულის, მარადჟამს დაუვიწყარი.

ადამიანს შეეძლია მოისმინოს სხვებისთვის მოუსმენელი ხმა რადიოს გარეშე. ესაა გულის ხმა, გულის სიმღერა...

იშვიათად ადამიანის ყურით შეიძლება სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის მოსმენა, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური. სფეროების მუსიკა შედგება არა მელოდიის, არამედ რიტმისაგან. ზოგიერთებს ესმით უსხეულო არსების ხმა, გრძნობენ არამიწიერ არომატს.

მიწაზე ადამიანს ესმის ცხრა ხმა, ასტრალურ სამყაროში – თოთხმეტი.

ელენე რერიხმა თვით გაიგონა უზენაესის ხმა შამბალაზე და ჩაწერა იგი.

ვანგას ესმოდა „ციური ზარის ხმა“, ესაუბრებოდა „წარმოგზავნილებს“.

ვანგა ირწმუნებოდა, რომ ნანახი ჰყავდა ქრისტე, ორფეოსი, ნოეს კიდობანი. მისთვის საიდუმლოებას ინახავდა მთები, ველები, მცენარეები. იგი წინასწარმეტყველებდა ქვეყანაზე ჯერაც მოუვლენელ ბავშვებზე, ესაუბრებოდა გარდაცვლილებს, ხედავდა ასტრალურ სხეულებს, სულს, უცხოპლანეტელებს (პანტელეი ზარევი, ვანგა, თბ. 1991, გვ. 81).

ყველა დროის უდიდესი წინასწარმეტყველი ნოსტრადამუსი წერდა: „ღამეა. ვზივარ მარტო და დავყურებ იდუმალ ნაწერებს – ისინი გადაშლილია სპილენძის სამფეხა მაგიდაზე. მაგიური კვერთხი სპილენძის მაგიდის ფეხებს შორის ძევს. კვერთხს წყლით ვასველებ, შემდეგ ვისველებ სამოსის კიდეებს, ფეხებს. ისმის იდუმალი ხმა. ჩემს ყურთან ვიღაც ჩურჩულებს. ვკანკალებ. ღმერთი ახლოს არის. ვგრძნობ მის ღვთაებრივ სიდიადეს. ანათებს სანთელი. მის სუსტ შუქზე მოჩანს მომავლის სურათები“ (14, 24-28).

მოვლენათა წინასწარჭვრეტაზე საუბრობს დანტე „ღვთაებრივ კომედიაში“: „მე ვჭვრეტ წინასწარ ზრახვათ შენსას საფარველიდან, მე ვჭვრეტ წინასწარ, ამიტომაც გაუწყებ კიდეც“ (6,270,383). „ვხედავ თვალნათლივ ფიქრების შენის უეცარის აღ-

მოცენებას“, „მე უკვე ვხედავ დროს მომავალს“ (6, 318, 344).

ამავე დროს, დანტეს ესმოდა „ნათელის ხმა, სინათლისგან ხმაი მეტყველი“.

მოსიყვარულე წინაპრის სულმა დანტეს ფლორენციიდან გაძევება უწინასწარმეტყველა.

გოეთეს სიტყვა „ნიჭი ეცოტავებოდა დანტესთვის და ნაცვლად „ტალანტისა“ ხმარობდა „ბუნებას“, რითაც, ალბათ, მის ყოვლისმომცველ, ფართო და ღრმა წინასწარმეტყველურ, შორსმჭვრეტი ხასიათის გამოხატვას ცდილობდა. ხაზს უსვამდა წინასწარმეტყველური უნარის აუცილებლობას მწერლობაში: „მე რომ ანტიციპაციის მეშვეობით მთელი სამყარო უკვე ჩემს თავში არ მენახა, ჩემი გახელილი თვალები ბრმა იქნებოდნენ“ (15,78).

გოეთე სულის თვალით იმზირებოდა ყველა დროში: „ფრთამალი ფიქრიც, ჩემი ლაღი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა“ ირწმუნებოდა პოეტი (შუაღამისას) (16, 41).

„მაღალთა სულთა წინასწარგრძნობა მარად ყოფილა მოწოდება უზენაესი“ (ანდერძი), ასკვნიდა გოეთე.

ვაიმარელი ბრძენი სიზმრად ხედავდა მხარეს, სადაც ოდესღაც უცხოვრია (16, 145).

გერმანელი პოეტი რილკე საუბრობდა „წინასწარმეტყველურ წამებზე“...

ათანას ფეტს ესმოდა „უხილავის ძახილი“, „ხმები ღვთიური“, „უწმინდესი ბგერები“, „ხმა ზეციური“ (სიმღერა მარადიულ ფრინველთა) (17,27,49).

ვლადიმერ სოლოვიოვს ესმოდა „გამოძახილი მისნური“, „წმინდა ხმა“, „უხილავის უხმო ძახილი“ (17, 102).

ალექსანდრ ბლოკი აყურადებდა უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს (17, 169). „წინაგრძნობათა ნიაღვარი“, „წინაგრძნობათა ნაკადი“ ხშირად იჩენდა თავს მის პოეზიასა და წერილებში.

დავით გურამიშვილს „ხმა ესმა ძილსა შინაო“, რაც ტყვეობიდან ხსნას შთააგონებდა (17, 128).

ნიკოლოზ ბარათაშვილი უსმენდა „იდუმალ ხმას“, „ციურ დასთა გალობის ზარს“ (ვიპოვე ტაძარი) (19,115)

ილია ჭავჭავაძემ გაიგონა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ ხმა უსიტყვოდ (აჩრდილი). მისთვის პოეტი იყო „ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელი“ (პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ). პოეტს „ცით ჩამოსძახეს „გიყვარდეს!“ (20, 113).

„ციდან ხმა მესმის ანგელოზების“, აფიქსირებდა ვაჟა-ფშაველა (21,116).

„მგონია, ციდან მეძახის ვილაც“, გვიმხელდა ტერენტი გრანელი (22, 83).

ხალხური ლექსის მიხედვით, ვახტანგ მეფეს „ციდან ჩამოესმა რეკა“.

ანრი ბერგსონის აზრით, „არსებობს ცოდნის ორი სახე: რაციონალური და ინტუიციური... ინტუიცია წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაც არ შეუძლია გონებას.

„ამასთან, არ არსებობს უფსკრული ინტუიციასა და გონებას შორის, რადგან თვით გონება ინტუიციურია.

„... ხელოვნების მიზანი სწორედ ის არის, რომ შეგვიყვანოს ამ ესოდენ ღრმა, ესოდენ პირადი, ესოდენ ახალი ემოციის წიაღში და ამრიგად განგვაცდევინოს ის,

რისი გაგებაც არ შეგვიძლია“(21,9, 24,85).

კარლ-გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინაგრძნობის უნარს და მის მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში: „ინტუიცია არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მხედველობის ველში რეალურად მოცემულის ფარგლებს მიღმა ხედვა შეგვიძლია. არსებობს წინაგრძნობა, რომელმაც შეიძლება კაცი სიკვდილს გადაარჩინოს“ (22, 24).

„ინტუიციას ეყრდნობიან გამომგონებლები, მოსამართლენი“ (22, 25).

„ინტუიცია ერთგვარი აღქმაა, რომელიც... გვეძლევა უფრო არაცნობიერის მეშვეობით. წინასწარმეტყველური სიზმრები, ტელეპატიური ფენომენები და სხვა მისთანანი ინტუიციის სფეროს განეკუთვნება. მრავალი კარგი დიაგნოზი დასმულა ამ იდუმალებით მოცული ფუნქციიდან გამომდინარე“ (22, 26).

იუნგი საუბრობს ტელეპატიაზე, რომელიც მოქმედებს სიზმრებზე და ერთმანეთისგან განასხვავებს „სიზმრის პროსპექტულ და კომპენსატორულ ფუნქციებს“ (22, 255).

„სიზმრის პროსპექტული ფუნქცია მომავალი ცნობიერი წარმატებების არაცნობიერი ანტიციპაციაა, წინასწარი ვარჯიშის, მონახაზის ან ზოგადი გეგმის მსგავსად“.

ხოლო „ტელეპატიის ფენომენის ავთენტურობა დღეს საკამათო აღარ არის“ (22, 25).

„სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდაუვალ ჭეშმარიტებებს, ფილოსოფიურ დებულებებს, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებას, გეგმებს, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს... სიზმარი ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“ (22, 305,308).

ჩეზარ ლომბროზოს მტკიცებით, გენიოსი ფლობს იმის მიხვედრის უნარს, რაც მისთვის სავსებით არ არის ცნობილი, მაგალითად, გოეთე დაწვრილებით აღწერდა იტალიას ისე, რომ არც ენახა იგი (25, 123).

სტეფან ცვაიგი დოსტოევსკის სამყაროს „ღრმა და წინასწარმეტყველურ სიზმარს“ უწოდებდა: „მისი სამყარო... შესაძლოა წუთისოფლის ყველაზე სრულყოფილი ჰალუცინაცია, სულის მომლანდებელი ღრმა და წინასწარმეტყველური სიზმარია, რომელიც სინამდვილესაც კი ჯაბნის, მაგრამ ეს მაინც რეალიზმია, საკუთარი საზღვრებიდან ფანტასტიკურში რომ გადასულა“ (26, 211,243).

წინასწარმეტყველებაზე განსხვავებული მოსაზრების არის პოლ ვალერი: „უგუნურებაა იმაზე ფიქრი, თითქოს ისტორიას ოდესმე შეეძლოს მომავლის წინასწარგანჭვრეტის საშუალება მოგვცეს.

„...თუ დავუშვებთ, რომ ის (ისტორია) საერთო ჯაჭვში სამართლიანია, დეტალებში იმდენად მცდარია, რომ ყოველგვარი წინასწარი განჭვრეტა უაზროდ მეჩვენება.

„...ზუსტი მეცნიერებები წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას გვაძლევს დამთავრებული სისტემის შექმნით, მაგრამ ისტორიაში სისტემათა იზოლირება არ შეგვიძლია, ხოლო მასშტაბები ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ ყოველგვარი წინასწარმეტყველება სიცრუეა. მომავალში ჩვენ უკან დახევით შევდივართ. ისტორია მეცნიერება როდია, იგი ხელოვნებაა. ისტორია უსასრულო განმეორებაა“ (27, 321-322).

მაგრამ პოლ ვალერი მაინც ცნობს წარსულზე დაფიქრების სარგებლობას: „ის გვაჩვენებს, რომ მეტისმეტად მოახლოებული წინასწარმეტყველება უცილობლად

მარცხს განიცდის, ხოლო პირიქით, გვეუბნება, რომ ყოველმხრივ დიდი უპირატესობა აქვს გამუდმებულ მზადებას, რომელიც არ ჩემულობს, მე გამოვიწვევ, ან წინ აღვუდგები მუდამ გაუთვალისწინებელ მოვლენებსო. ფიქრები წარსულზე ადამიანს უფლებას აძლევს წინასწარ მიიღოს ზომები მოულოდნელობათა წინააღმდეგ“ (27, 326).

„ვალერის განაზრება მიედინება ყოველი ძლიერი გონებისთვის ბუნებრივ გზაზე“, ასკვნის ანდრე მორუა (28, 327).

არაცნობიერის და ცნობიერის მნიშვნელობა თითქმის თანაბარია იუნგის მიხედვით (24, 256).

„სიზმრის არსი მომავლის ანტიციპაციაში მდგომარეობს“ (24, 28).

„წინასწარი სიზმრები ხშირად დიდ ინფორმაციას გვაწვდიან“ (24, 184).

„აღმოსავლურ ფილოსოფიაში დიდ როლს ასრულებს... მოვლენათა შესაძლო განვითარების წინასწარმეტყველური მეთოდი და მას დღესაც იყენებს იაპონელების მთავრობა პოლიტიკურ ვითარებათა განხილვისათვის“ (24, 91).

ასე იყო რომში, სადაც ერთი სენატორის ქალიშვილს I საუკუნეში ეზმანა, ვითომ ქალღმერთი მინერვა შესჩიოდა, რომაელი ხალხი ჩემს ტაძარს ჯეროვნად არ უვლისო. მან ეს სენატს უამბო. სენატმა თანხმობა მისცა ტაძრის აღსადგენად განსაზღვრული თანხის გამოყოფისთვის (22, 13).

სოფოკლეს ცხოვრებიდან ცნობილია ასეთი ფაქტი: როდესაც ჰერაკლეს ტაძრიდან ძვირფასი ოქროს ჭურჭელი მოიპარეს, ღმერთი სოფოკლეს სიზმარში გამოეცხადა და დაუსახელა, ქურდი ვინც იყო. სიზმრის სამჯერ გამეორების შემდეგ სოფოკლემ ის არეოპაგში განაცხადა. ეჭვმიტანილი დაიჭირეს. იგი გამოტყდა და ჭურჭელი დააბრუნა (22, 130).

დანტემ გარდაცვალებისას თან წაიყოლა თავისი დიდი გულისტკივილი, რაც მისი პოემის ერთი თავის დაკარგვით იყო გამოწვეული. პოეტის აჩრდილი სიზმარში გამოეცხადა შვილს და ამცნო, სად ინახებოდა მისი „ღვთაებრივი კომედიის“ ცალკე გადადებული XXIII თავი.

გიორგი გურჯიევი საუბრობს ნიჭით, ძალისხმევით ადამიანურ შესაძლებლობებზე ამაღლების შესახებ:

„როდესაც მზე ამოდის და მთის მწვერვალზე მაღლდება, ხეობა და ველი კვლავ სიბნელეშია ჩაფლული. ამასვე ჭვრეტს... გონების თვალი, როდესაც გასცდება, ამაღლდება ადამიანური სიტუაციის ფარგლებზე, ხედავს ღვთაებრივ სინათლეს მაშინ, როცა იმათთვის, ვინც ქვემოთ ცხოვრობს, ყოველივე ბინდითაა მოცული, როდესაც გონება, ინტელექტი ერთიანია, მთლიანია... ადამიანის გონება, ინტელექტი მძლავრი კვლევითი ინსტრუმენტის უნარს იძენს. მთავარია ნებელობა და ბედი, ხვედრი განგების, ბედისწერის ეს ორი ზემოქმედების სფერო“... (გიორგი გურჯიევის საუბრები თავის მოწაფეებთან) (23, 139).

გურჯიევის აზრით, გარკვეული ცოდნა ადამიანს შესაძლებლობას ანიჭებს იქ, სადაც იგი იმყოფება, ყოველივე არსებული – უსასრულოდ დიდიდან უსასრულოდ პატარამდე – გამოითვალოს, აწონოს და გაზომოს... შესაძლებელი ხდება აზროვნების აწონვა“, „გაზომვა“, მისი მასის განსაზღვრა“ (23, 140 -140).

„პრაქტიკულად, ყველა დიდი მეცნიერული იდეა და თეორია წარმოადგენდა არა მკაცრი მსჯელობისა და კრიტიკული საქმიანობის შედეგს, არამედ ინტუიციის, გო-

ნების გამობრწყინების, ხილვის გზით მიღებულ რეალობას. ცნობილია შემთხვევები, როცა მეცნიერები მეყსეულად იღებდნენ პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ეძებდნენ. ფ. კეკულეს დაესიზმრა ფორმულები, დ. მენდელეევს – ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა, ნ. ბარს – ატომური სტრუქტურა... ეს უმალ უზენაესის მიერ გამოწვდილი ხელია", ირწმუნება ლ. მელნიკოვი (12, 24).

მკვლევარი ა. მალცევი აცხადებს, „ყველა დროისა და ყველა ხალხის მისტიკური მატიანეები მოწმობენ, რომ უზენაესი სულიერი ჭეშმარიტება შემეცნებული იყო არა ზედაპირულად, არამედ შინაგანი ჭვრეტის გზით ხილვების, სიზმრებისა და ა.შ. ფორმით" (იქვე).

შტაინერი საუბრობდა „სულიერი თვალის, უმაღლესი გრძნობის გახსნაზე" და მიიჩნევდა, რომ „მეცნიერის გონებრივი შრომა უდავოდ უწყობს ხელს აღნიშნული ძალებისა და სულიერი ხედვის განვითარებას.

„მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ახორციელებს ლოგიკურ აზროვნებას, მარჯვენა კი – ინტუიციურს (28,13).

„ქვეცნობირებაში ჩადებული აზრი მანიპულირებას გვიწევს ფარული სახით" (ვლ. ჟიკარენცევი).

შტაინერი გვაუწყებს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (28, 51).

როგორც მითითებულია ბიბლიაში, წინასწარმეტყველების უნარს ადამიანს მოჰმადლებს მხოლოდ არსთამრიგე.

მომავლის ხილვის პროცესში ნოსტრადამუსს ესმოდა იდუმალი ხმა და ღმერთის სიახლოვეს გრძნობდა (12,28).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, „წინასწარმეტყველი მომავალს კი არ ხედავს, არამედ აწმყოს, რომლის მიხედვითაც იწინასწარმეტყველება სულის მიერ აღქმული თუ წარმოდგენილი მერმისი. ეს წარმოდგენები უკვე არსებობენ და მომავლის წინასწარმჭვრეტნი თავიანთ სულშივე ჭვრეტენ მათ" (29,237).

ალექსანდრ ბლოკი საუბრობდა „საყოველთაო სულის ქროლვაზე", რომლის მოსმენა ხელეწიფებათ მხოლოდ ღვთის რჩეულთ (მწერლის სული).

გოეთე ამბობდა: „ეს მსოფლიო სული დღემდე ბინადრობს ამაღლებულ ადამიანთა ბუნებაში, რათა ჩვეულებრივნი თავის დონეზე აამაღლონ" (13, 233).

ჭეშმარიტი მწერლის მისია ისაა, რომ გვიჩვენოს პიროვნების, ერის, კაცობრიობის სულიერი სახე, მისი ჟამიერი თუ მარადიული იდეალები, თვალი გაადევნოს წარსულს, აწმყოს და განჭვრიტოს მომავალი. მწერალი წინასწარმეტყველის, მოციქულის ფუნქციის მტვირთველია: „მე მგონია, მისთვის ვართ ქვეყნად მოვლინებული, მაცხოვარი რისთვისაც იქმნა ჯვარცმულ ვნებული", აცხადებდა აკაკი წერეთელი. იგი მწერალს უწოდებდა „წინამგრძნობ მოციქულს" (30,113).

იოანე დამასკელი საუბრობს „ღმრთივსულიერ წინასწარმეტყველებზე, ღმერთშემოსილ მწყემსებზე" (31,33).

წინასწარმეტყველურს უწოდებდა აკაკი წერეთელი ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს: „მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო, საღამოს

მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო, მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი, რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყვეთა ფრინველნი და ვარდნი“.

„ბარათაშვილი არის ქართული პოლიტიკური ცნობიერების ის წინასწარმეტყველი და ადამი, რომელმაც ანდერძად დაგვიტოვა გაფრთხილება: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არა რას არგებს, ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს“. მან შეძლო დროის წინმსწრები სააზროვნო სიტუაციის პროვოცირება (32,7).

სიმონ ჩიქოვანი წერდა აკაკი წერეთელზე: „ხალხის წარმოდგენაში აკაკი წერეთელი ცხოვრობდა, როგორც ახოვანი, მუდამ თეთრი თმით შემოსილი მოხუცი და წინასწარმეტყველის იერით დამშვენებული მქადაგებელი... აკაკი წერეთლისთვის პოეტი იგივე წინასწარმეტყველი თუ მქადაგებელი იყო“ (33, 158-159).

აკაკის იზიდავდა „...სახალხო მქადაგებლის როლი თუ წინასწარმეტყველის სახე“(იქვე, გვ. 140).

აკაკი ბაქრაძე ყურადღებას მიგვაქცევინებს იმაზე, რომ აკაკი წერეთლის საყვარელი სახეებია მაცხოვარი და იერემია წინასწარმეტყველი (ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი) (33, 316).

აკაკის მოსწონდა „საღვთო მღერა“. იგი კალამს მიიჩნევდა „სასწაულმოქმედ კვერთხად“ და „მახვილად“, პოეზია სიცოცხლეშიც ეიმედებოდა და სიკვდილის შემდეგაც.

„ბაში-აჩუკში“ წმინდა კირილეს სიზმრები (ალავერდის მონასტერს შემოხვეული გველეშაპის მოკვლა, სამი მეომრის სიკვდილი, თავზე ნათლის სვეტი და მაღლით გალობა გუნდთა: „წმინდათა თანა განუსვენეო“) მომავალი გამარჯვების ნიშანია. გამარჯვების სტიმულია თეთრცხენიანი მხედრის – წმინდა გიორგის გამოჩენა.

აკაკი წერეთელი ნიკოლოზ ბარათაშვილს და ილია ჭავჭავაძეს ბიბლიურ მოსეს და აარონს ადარებდა: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორედ ერთ ტახტზე სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში. ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“ (33, 6-10).

კონსტანტინე გამსახურდიას ბიბლიური წინასწარმეტყველის – მოსეს რანგში ესახებოდა ილია ჭავჭავაძე: „ილია ჭავჭავაძეში იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა. ღმერთიც დიდკაცს ირჩევს ყოველთვის თავისი ურყევი ნების ეგზეკუტორად. როგორ სჯეროდა ამ მართლაც დიდკაცს, რომ ის დიდი ღმერთის საკურთხევლის ცეცხლის მატარებელი იყო...

„ილია ხელოვნებასა და რელიგიას შორის დიდ მანძილს ვერ ხედავდა. ასე უყურებდა ყოველი დიდი მწერალი ლიტერატურას“ (34, 232, 270).

კიტა აბაშიძე ბრძანებდა: „განდეგილში“ ილიამ თავისი თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქიდან წინასწარმეტყველის მჭევრმეტყველებით გვამცნო დიადი საგანი, რომელიც ახლანდელი ლიტერატურის მთავარ თემას შეადგენს.

„განდეგილში“ პოეტმა გვიჩვენა... დიადი, წინასწარმეტყველური გზების კრახი ჩვეულებრივ, რიგით, არაფრით გამორჩეულ ყოველდღიურობასთან მიმართებაში, ანუ მარადისობის კრახი დღევანდელობის წინაშე“ (34).

თამაზ ჭილაძე წერს: „დღემდე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ საკვირველებად რჩება 21 წლის ჭაბუკის მიერ დანახული და შეგრძნობილი საკუთა-

რი სიცოცხლის აღსასრული. თითქმის შემზარავი სიცხადით დაინახა საკუთარი სიკვდილი, დაინახა მკვლელთა სახეები და აი, ასეთი განაჩენი გამოუტანა მათ: „შეუნდე, არ იცინ, ღმერთო, რას იქმან“ (35, 5).

თვით ილია ყურადღებას ამახვილებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ „წინასწარმეტყველურ“ სიტყვებზე: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“ და გულისტკივილით წერდა: „ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა“. „აკი იწინასწარმეტყველა: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება...“

თამაზ ჭილაძეს წინასწარმეტყველურად მიაჩნია „აჩრდილში“ მოცემული ხილვა მყინვარზე მდგომი მოხუცისა, რაც „საკუთარი ბედის წინასწარმეტყველური ხილვის შედეგად მოვლენია პოეტს. ეს თვითონაა, ოღონდ უკვე საქართველოს ხნისა, მასში ცოცხლობს საქართველოს წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, რამდენადაც იგი მარადიულია, უკვდავი სულია. ეს რაღაც იდუმალი, ამოუხსნელი გრძნობითა თუ სულისკვეთებით წარმოშობილი ტრანსცენდენტური ხილვაა პოეტისა, საკუთარი არსებობის მარადიულობის განცდა. საკუთარი მარადიული ხვედრის, მისიის დანახვა, რაც ამ პოემიდან ზუსტად ამოიკითხა ვაჟა-ფშაველამ. გავიხსენოთ ამ დიდი პოეტის სიტყვები ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს: „ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს“(35,7).

წინასწარმეტყველურია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ კვირიას სიზმარი, როცა მან ტრიალ მინდორზე ვეშაპი მოკლა, თვით კი უწმინდურის სისხლი შეესხა და უგრძნობლად დაეცა. გონს მოსული, ქათქათა ლოგინზე იწვა, ჭადარი ჩრდილს ჰფენდა, ქედანი დაჰღუღუნებდა. მან წინასწარ იხილა მომავალი, შეიცნო თავისი მისია, რაც ქვეყნის მტრის დამარცხებაში მდგომარეობდა საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანის ფასად.

კვირიას ხმლის ვადაზე სამი სანთლის დანთება, ჯვრის სახედ ციური შუქის გამონათება მის რჩეულობაზე, თავგანწირვის საფასურად სამოთხეში მოხვედრის მინიშნებაა, რასაც ხაზს უსვამს ყვავილებით მოფენილი გზის ხილვაც.

ლურჯაზე ამხედრებული ბატონის სახე, რომელსაც ბრწყინვალე შუქი ასხივოსნებს, მომავალი გამარჯვების რწმენას აძლიერებს. ლაშარის წმინდა გიორგის მოვლინება ომში გამარჯვების წინასწარი უწყებაა.

ილიას შეუმცდარი ინტუიციის გამოვლინებაა მისი სიტყვები ვაჟა-ფშაველას პოემა „მოხუცის ნათქვამის“ წაკითხვის შემდეგ: „არა, ჩვენ ძველებმა, ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!“ (35, 364).

„ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა რელიგიური რეფორმატორის, ანბანის შემოქმედისა და გუთნისდედის უბრალოება“ (35, 59).

„პოეტის სახე – მყინვარზე მდგომი მოხუცებული მარადიულია და, ამდენად, მარადიულ სამშობლოსაც გულისხმობს, რადგან უკვდავება ერთისა დაკაშირებულია მეორის უკვდავებასთან“ (35, 38).

ილიას დიდი მეგობარი, გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი ხაზგასმით ამბობს, რომ „ილიას სიკვდილის წინ წინაგრძნობა არ ასვენებდა“ (36,55).

ილია უყურებდა მსხლისა და ვაშლის მყნობას თავის მამულში და ამბობდა: „ნუთუ გგონიათ, რომ ამ ნამყენების ნაყოფს მოვესწრები?... საკვირველი კაცია (მეფუტკრე ლ.ს.), არც კი დაფიქრებულა, რა ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენიაო“ (36, 55).

იქნებ იმაშიც არის წინასწარმეტყველური ინტუიცია, რომ ილიას ჰყვარებია ხალხური სიმღერა: „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“...

გულისა და გონების ძალა, დიდი წინასწარმეტყველური ინტუიცია გამოარჩევს გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გურამ რჩეულიშვილის, გოდერძი ჩოხელის, რევაზ ინანიშვილის, რევაზ მიშველაძის, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის პროზას.

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I,
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II,
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992,
4. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი ლ. ალიმონაკის, თბ. 1983,
5. ბჰაგავად-გიტა, თარგმანი თ. ჩხენკელის, თბ. 1983,
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941.
7. გოეთე ფაუსტი, თბ. 1962
8. შ. ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკრიანის, თბ. 1992
9. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1990
10. Е. Рерих, Мозайка Агни Иоги, вдвух книгах, книга, I, Тбилиси, 1990.
11. Рамачарака, Основы миросозерцания индийских иогов, Петербург, 1913.
12. ჟურნალი „ფენომენი“, 2006, იანვარი, №1
13. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო აკაკი გელოვანმა, ბათუმი, 1988
14. გოეთე, ლირიკა, თარგმანი ვ. ბეწუკელის, თბ. 1967
15. მარადი დღე, თბ. 1981
16. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, თბ. 1964
17. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ. 1968
18. ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1987
19. ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, თბ. 1980
20. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
21. ანრი ბერგსონი, ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბ. 1993
22. კარლ-გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. სიზმრები, თბ. 1995
23. Ч. Ломброзо, Гениальностьипомещательство, Москва, 1995
24. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ. 1966.
25. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983.
26. ანდრე მორუა, ლიტერატურული ეტიუდები, თბ. 1988
27. ჟურნალი „განთიადი“, 1995, №5-6
28. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
29. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძე, თბ. 1995
30. აკაკი წერეთელი, თხზულებანი 15 ტომად, ტ. 2, თბ. 1961
31. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2002
32. გიორგი გაჩეჩილაძე, სულიერი გამოცდილების სამყაროში, თბ. 1986
33. აკაკის სამრეკლო, თბ. 1990
34. ილიას სამრეკლო, თბ. 1987
35. თამაზ ჭილაძე, წინასწარმეტყველი, თბ. 1987
36. არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ. 1963

ეპოქის ტრაგიკული მოვლენების წინაგრძნობა გალაკტიონის შემოქმედებაში

საოცარი იყო გალაკტიონ ტაბიძის განჭვრეტის უნარი, ხედვის მასშტაბები. იმ დროს, როცა მოჩვენებითი სოციალისტური თანასწორობის იდეებით გონდაბინდულნი ხოტბას აღუვლენდნენ სიკეთის, სამართლიანობის სახელით მოვლენილ სატანისტებს, გალაკტიონ ტაბიძე ნიღაბს გლეჯდა, ამხელდა მათ სახელებთან დაკავშირებულ უკეთურობებს, აკრიტიკებდა როგორც წითლებს, ისე თეთრებს, აშკარად ხედავდა კოლექტივის, მშრომელთა კლასის სახელით მოსულ დიქტატურას, რომლის სათავეშიც რუსული ბოლშევიზმი იყო და არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომანოვის გვარით მოხდებოდა მისი ტირანიის გამოვლინება, თუ სრულიად სხვა გვარით. პოეტი ამ შემთხვევაში გადამისამართების ხერხის მიმართავდა ცენზურის კლანჭებისგან თავდასაღწევად, იგი ვითომ შულგინის წიგნს განიხილავდა, მას აკრიტიკებდა, სინამდვილეში შეფარვით თავის მოსაზრებას გვამცნობდა და შეცდომაში შეყვანილთა გამოფხიზლებას ცდილობდა: „... შულგინია... წიგნი, როგორც რომანი, გადანგრეულ შენობას ჰგავს წიგნი... წიგნს გაჰყვება ზოლად... რომ წითლები აკეთებენ მხოლოდ მონარქიზმის უსათუო საქმეს. რის წითლები, რისი თეთრი! ყველა ომებისა რომ გაივლის გროვა, მისი აზრით, თუნდ წითელი ერქვას, ერთი კაცის დიქტატურა მოვა... რა შვაშია კოლექტივი, კლასი! ძვალრბილში აქვს რუსეთს ერთი ქარი, იმას გინდა რომანოვი ერქვას, გინდა სრულად სხვანაირი გვარი“ (მე ამ წიგნზე).

გალაკტიონის უტყუარ განჭვრეტას მოწმობს ახალ დროში „მკვდარი მზის“ ამოსვლაზე აქცენტი და „ქუხილის“ ლოდინი: „ქუხილო, გელით, შენთან ვიბრძოლებთ, გამოექანე, ზვირთი დასძარი. გვახსოვს: დილით მზე ამოდიოდა, მკვდარი მზე,შენ კი ამოასწარი!“ (ქუხილო, გელით) (1,192).

ქუხილი საღმრთო შინაარსის მეტაფორაა (2, 124).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (3,61).

მკვდარი მზის ამოსვლა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის დადგომას მოასწავებს, ხოლო „ქუხილის“ ლოდინი ღმერთის ლოდინია.

შემთხვევითი როდია, რომ რევოლუციების ეპოქის შვილს ელანდებოდა იუდა, კაენი, შავი ღამეები, დამსხვრეული კენარი, სისხლი, ტალახი, ცრემლი, ცეცხლი, გაუთავებელი ავდრები და „სხვა სიყვარულის“ მოლოდინი აცოცხლებდა: „სხვა სიყვარულის მოგონებები, დაე, აღმინთონ მოგონებებმა“ (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები).

„ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8) (3,320).

„რამდენიმე დღე პეტროგრადში“ დაწერილია 1918 წელს. ლექსი სამართლიანობის სახელით მომავალ უკანონობას ამხელს: „.. რა სულიერიც არის ეს ქარი, ვიცით, მოგვწყინდა ბაიათები! გარეთ ატლასთა არტყია ჯარი, შიგნით შავი აქვს გულისნადები“.

პოეტი აფრთხილებს თანამედროვეთ, თუ რა ტრაგედიებს დაუდებს სათავეს უღმერთობა, „მებაღის“ განრისხება, რადგან მებაღე ღმერთია: „... ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი, თუ მწიფობისთვემ შეცვალა დარი, მებაღემ მოსვლა თუ არ

ინება“ (ავდრის მოლოდინი) (4, 197).

დღეს უკვე არავის სჯერა მითის, თითქოს გალაკტიონი სოციალისტური რევოლუციის მეხოტბე იყო. პოეტი, როგორც სიტყვის რევოლუციონერი, აიდეალებდა „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას“ (პოემა „აკაკი წერეთელი“), ოქტომბრის რევოლუცია კი მისთვის იყო გამანადგურებელი ცეცხლი, აპოკალიფსის მწვანე ცხენი, ანუ სიკვდილის მომტანი უბედურება, ნგრევა: „... ქვეყანა ცეცხლმა შორს გაინვია და დროს დაარქვა რევოლუცია. ძველი ხელები წყდება კალიფსოს, მოჰქრის მერანი აპოკალიფსის“ (ძველი ხელები წყდება კალიფსოს) (5, 191).

რევოლუციაში პოეტი ჭვრეტდა ქაოსს, რწმენის გაარაფრებას, ვარდების (რწმენის) ურწმუნოების შხამით განადგურებას: „ირგვლივ ნისლი სუფევდა, ვარდებს შხამი ერია, მაგრამ წყნარად ამბობდი, იყოს... არაფერია! ყველაფერი ქაოსის ნაპირამდე მოვიდა“... (რევოლუციონერის ხსოვნას) (5, 194).

ლექსში „ორად გაიპო წითელი კლდე“ (5, 192) წითელია კლდე, წითელია რაში, გზა, მერანი, უნაგირი, მხედარი, ყავარჯენი. მხედარს წითელი ზღვიდან წითელი გველი ამოაქვს, წითელ გზაზე აგდებს, ციდან „მწველი ცეცხლი“ ცვივა და დედამიწას მოიცავს „საზარი ომი“...

ბიბლიაში გვხვდება ებრაელი ხალხის წინამძღოლის მოსეს მიერ ღვთისგან ნაბოძები სასწაულებრივი კვერთხით ზღვის გაპობის და ხალხის ზღვაზე უვნებლად გადაყვანის ეპიზოდი (გამოსვლათა 14, 16-31) (6, 71).

გალაკტიონის ლექსში ყველაფერი სისხლიანია, სატანისეულია და ნაწინასწარმეტყველებია კიდევ უფრო მეტი ტრაგედიები, რაც ახდა კიდეც.

გაუგონარი ნგრევებით შეძრწუნებული პოეტი კითხულობს: „სად იყო სმენა და გაგონება“? შესცქერის უკანკელო ცას, წუხს ზეშთაგონების, ანგელოზის გაუჩინარებაზე, „ბოროტებას განარიდები“ შესცქერის „თვალგაუწვდენელ ორმოებში სისხლის მდინარეს“, ტრანშეებს (სად იყო სმენა და გაგონება?) (5, 359).

ბოროტებათა სერიებით შეშფოთებული, არა ზეციურ ნათელს, არამედ „შავ, ცბიერ სინათლეს“, სიცარიელის საუფლოდ ქცეულ „ხვალეს“ ელის წყევლით: „ხვალესაც წყევლით უნდა უცადო, შავი სინათლე მოვა ცბიერი, რომ განიცადო და კვლავ უწოდო – არარაობა, სიცარიელე“ (უცნობი) (7, 419). გალაკტიონი ირონიას ვერ ფარავდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მიმდევარ, მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიით მცხოვრები ადამიანებისადმი: „კომუნისტურ მანიფესტის“... ამ წიგნიდან კლასის სრული ხმა გვესმოდა... „კომუნისტურ მანიფესტით“ ვიზრდებოდით ყველა. ჩვენთვის წიგნად ისევ დარჩა „კაპიტალი“. ვინ არის, რომ გზას არ შეცდეს, როს წვიმაა, ქარი – „კომუნისტურ მანიფესტის“ იხსნის თითო პწარი“ (1, 261).

უნუგეშობას თესავდა რევოლუციის შედეგები, მოდიოდა სულის ზამთარი, სიცივე, ბოროტი სულის თარეში, დიდი, კოსმიური სიცივე: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზერსისებად, მე სიხარული მათი მოსვლით არ მეღირსება. თქვენგან სიცივე და თარეში სულის ბოროტის. დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“ (5,775).

ლექსში „ჩამავალი მზის ფერადი კიდევ“ მეორე მსოფლიო ომის წინაგრძნობას გვიმხელს: „ჩამავალი მზის ფერადი კიდევ, ჩემს ხსოვნაში არ წაშლილხარ კიდევ. თითქოს იქ, შორს, სამი დღეა იწვის მშვენიერი მწვერვალები წიწვის. ვეკითხები ხეთა შენთა ფოთოლს: რამემ ასე უნდა შეგაშფოთოს? ეს უბადლო საღამოა მთაში, მართლა ცეცხლი რომ დაინთოს, მაშინ? ჩამავალ მზის ფერადების მორევს იგი ცეც-

ხლი შორით უამბორებს“...(5, 600)

„ჩვენ პოეტები საქართველოსი“ (5, 224) ახალი ქარების, გააფთრებული ომის, „მწარე წერის“ მოლოდინია და პოეტი მოუწოდებს თანამოკალმეებს: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.

სამართლიანად მიუთითებს დავით თევზაძე, რომ ლექსი ქართველ პატრიოტთა 1924 წლის აჯანყებას ეძღვნება და „ახალ გრიგალებში“ არა რევოლუცია“, არამედ დამოუკიდებლობა, თავისუფლება“, ხოლო „სისხლიან ანგელოსში“ სამშობლოსთვის თავშეწირული პატრიოტები იგულისხმება (გალაკტიონი, რევოლუცია და აგვისტოს აჯანყება (8, 252-268).

წინაგრძნობის მუხტს, ინფორმაციის შემკრებს პოეტისათვის ბუნება, მთა თუ ხეხილი წარმოადგენს: „... ქვეყნად ბნელოდა,მთა მოიკუპრა, წინაგრძნობებით თრთოდა ხეხილი“ (ზღვა ზღვა, მთა-მთა) (1, 353).

აკაკი წერეთელმა ურწმუნოება ხოლერას შეადარა (ხოლერა) (9, 278). კამიუმ „შავი ჭირის“ სახეში გაიაზრა ფაშიზმი (10) გოდერძი ჩოხელმა ცოფის გადამდებ სნეულებად აღიქვა საბჭოთა სინამდვილე (11).

გალაკტიონმა ხოლერის, ჭირის, ბაცილის, შავი მზის, ჩონჩხების, ყორნის სახეში განჭვრიტა სიკვდილის მომტანი ბოლშევიზმის საშინელებები, რეპრესიები და ტოტალური დაღუპვის შიშით შეძრა მკითხველი, რათა მას ბოლომდე გაეცნობიერებინა დაღუპვის საფრთხე, ხმა აემაღლებინა ეპოქალური უბედურების წინააღმდეგ: „ქალაქში შიშია. ქუჩებს და მოედნებს ბურჟედ და მოლიერად მოედო ხოლერა. და თეთრი ეტლები მიჰქრიან, სკდებიან ეტლები. მე მიფიქრია ამნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად. ცხედრები, ცხედრები. ხოლერა, ხოლერა და როგორც მხედრები, როგორც ცა იერად, მეწყერად, სამუმად გვედება ეს ჭირი. მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია. ნიავიც სავსეა ხოლერით. მეეზოვეს, რომელსაც თითი არ სტკენია, მთავრობამ ზედ კარზე კირი მიუყარა. და, შემდეგ (ჯანმრთელი) გაგზავნა იმ ეტლით! ამაოდ ტანჯული უცხადებს ექიმებს: – მე ავად არა ვარ. ვინ მოვა მსაჯულად, არავინ. მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია! ნიავიც სავსეა ხოლერით! მთვარესაც ედება ბაცილა. ხეებიც ხმებიან!...გადადგამს ერთ ნაბიჯს სრულიად ცოცხალი და უცებ ეცემა“.

მომავალი ტრაგედიის წინაგრძნობა კიდევ უფრო მძაფრ სახეებს იღებს: „ოპერაში მე ვხედავ, გადასძვრათ მსმენელებს ტყავები თავების სარქველიდან (ეს ხდება უეცრად). დადიან ჩონჩხები, ხოლერა, ხოლერა... ქალაქს დაღუპვა ელის. შავი აჩრდილი წუხს... დაღუპვა ელის. ტკივილებით გამწარებული ღრღნის მიწას... ეძახის, ვინ ისმენს, არავინ, არავინ. ის იღუპება! რაა ყორნის ხმა? რას ნიშნავს ვაზა გატეხილი?“(შიში) (5,215).

1916 წელს დაწერილ „კოშკში“ პოეტი წინასწარ გრძნობდა ისედაც დაჩაგრული ქვეყნის სახელმწიფოებრიობის საფრთხეს, ქრისტიანული რწმენის უარყოფას. „შიშის ლანდი უზარმაზარი“, რომელმაც კოშკის ძველისძელ ფოლიანტზე რაღაც დაწერა, მეფე ბალთაზარის ლხინს გაგვახსენებს ბიბლიიდან, როცა უცნობმმა ხელმა სამი სიტყვით ამცნო იქ მყოფთ ბაბილონის დაცემა და ბალთაზარის სიკვდილი (დანიელ წინასწარმეტყველი, 5,1-30) (6,252-253).

„კოშკში“ „ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული“. ვფიქრობთ, კოშკი მარია-

მის სიმბოლოა, სიყვარული – ქრისტესი.

პოეტი ამბობს: „მესაუბრება წინაგრძნობა დაჟინებული“, და ეს განცდა უტყუარი აღმოჩნდა, მოწმე ვხდებით იმისა, რომ „დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული“ (5,266).

1942 წელს ნაცისტურ გერმანიასთან ომის დროს წინასწარმეტყველებდა: „ვერ შესძლებს მტერი, რომ ჩააქროს ახალი ალი, ვერ შესძლებს დასწვას ხალხთა აწმყო და მომავალი“ (არაგვის ქარი) (7,66).

პოეტს ხიბლავდა „მთავარსარდლის შორსმჭვრეტელი მზერა“ (სამშობლოსთვის არის იგი მღერა) (7, 122).

პოეტების მეფის გული ინტუიციით აგნებდა აზრთა მდიდარ სალაროს, იზიდავდა მხოლოდ სასპასალარო ასპარეზი: „გულით ვგრძნობ ყოველ მდიდარ სალაროს, ვხედავ ასპარეზს სასპასალაროს“ (გულით ვგრძნობ) (7,323).

ჯერ კიდევ 1930 წ. გრძნობდა ახალი ომის საშიშროებას: „მიწას კვლავ ეფინება, როგორც გზა და დროება, იმპერიალისტური ომის საშიშროება... ილესება დანებად რკინა უზარმაზარი, მოაქვს სისხლის მორევი და სიკვდილის მონება, უძლეველი ტექნიკის მწარე გამოგონება, რათა სატანიური ცელით მიწა ათიბოს, რათა ასისხლებული მხრები მოიქათიბოს, მოსპოს, გაანადგუროს, რაც ქურა და ძნებია, რაც კი მრავალი წლობით შრომას უშენებია“ (მიწას კიდევ ეფინება) (1, 138).

გ. ტაბიძის წინასწარმეტყველური ხილვების ერთი ციკლი მსოფლიო მოვლენებს უღრმავდება. პოეტი გრძნობდა „ავდრის მოლოდინს“, „კოსმიურ სიცივეს“, „მსოფლიოს გამოუცნობ წყლულებს“, „პლანეტათა ქვითინს“, პლანეტათა შეჯახებას, მზის ჩაქრობა-გარდაცვალებას, მსოფლიო ომის საშიშროებას, მსოფლიო ნგრევებს (კოსმიური ორკესტრი, 1926 წ.)

გალაკტიონის წინასწარმეტყველური ინტუიცია უპირატესად მომავლისკენ არის მიმართული, ის არის „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“, სულიერების, მწვერვალებისკენ ზეასვლის საფუძველია კიბე (მარიამის სიმბოლოა) და წიგნი (საღმრთო სახელია), ხოლო ეს რელიგიური წვრთნა სკოლის მერხიდან იწყება: „უმშვენიერეს კიბეზე უეცარ ფიქრით შევდექი, ბრწყინავდა მარმარილოთა ზეასვლა შემდეგ-შემდეგი. უმშვენიერეს კიბეზე, ვთქვი: ნათელ საფეხურებით იწყებენ სკოლის კიბიდან, წიგნით რომ მივეშურებით. აქ, ამ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი, საიდანაც ჩქეფს სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი. ურთულეს ბრძოლის მიზანი – საკაცობრიო იდეა – იგივ კიბეა მსვლელი იქ, სად გამარჯვების კიდეა“ (უმშვენიერეს კიბეზე) (1, 209-210).

პოეტს აინტერესებდა წარსულით გაპირობებული აწმყო და დღევანდელობიდან ამოზრდილი მომავალი: „...დე, ჩნდეს ხელიხელგადახვეული წარსული, აწმყო და მომავალი“ (ჩემს ყრმობის ხანში) (5,667).

რეზიუმესავით ჟღერს სამი დროის ურთიერთმიმართების მაუწყებელი სტრიქონები: „ვინც გუშინდელი დღის ხსოვნას კარგავს, კარგავს დღეის დღეს, კარგავს ხვალის გზას, გუშინდელი დღე დღევანდელს არ ჰგავს, დღევანდელი ცა გრძნობს ხვალინდელ ცას“ (ვინც გუშინდელი დღის ხსოვნას კარგავს) (5, 796).

„წარსულთან უახლესი გზების გადაწიგნვა“ ნათლად წარმოაჩენს პოეტის ორიენტირებს (მოვიარე გზის არე) (7,634).

გალაკტიონს ახასიათებდა „ოცნებათა შემოწმება“, გათვლა, გაანგარიშება: „მრა-

ვალ ახალ კარგს მომიტანს ოცნებათა შემოწმება“ (მთვარის ნაამბობიდან) (5,603).

მომავლის განჭვრეტას ემსახურებოდა პოეტის შემოქმედება: „ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი“ (5,508).

პოეტების მეფისთვის „დროთ საზღვარს იქით“ მოლაპარაკე და „წინასწარ-მთქმელია“ ძეგლიც (ბაღთან ძეგლია) (5,568).

გალაკტიონი „ხვალის“, „ზეგის“ სახის ამოცნობას ცდილობდა დღევანდელობიდან: „დღეს ყველაფერი სახეა ხვალის, აქ ყველაფერი სახეა ზეგის“ (სიმფონია მცენარეების) (4,362-363).

„ძველი წიგნის“ დაცვის გზით, წარსულის შეცნობიდან მიემართებოდა მომავლისკენ: „ჩვენ იმიტომ ვსწავლობთ, წარსულს, რათა შევქმნათ მომავალი“ (ძველი წიგნის დაცვა) (7,325).

გალაკტიონის დაუბეჭდავი ლექსის „საქართველოს“ წინასწარმეტყველურ სტრიქონებზე ყურადღებას ამახვილებს აკაკი ბაქრაძე: „დადგება დრო, უფროსი ძმა უმცროსს ვეღარ უბატონებს, გწამდეთ ყველას, საქართველო კვლავ თავის თავს უპატრონებს“ (12, 290).

გამუდმებით მერმისისკენ იყო პოეტის იმედები მიპყრობილი: „...მერმისს, ტკბილო ივერიის ზეცავ, მშვენიერზე მშვენიერო, მერმისს!“ (ერთს უბეში შენი წიგნი უბის) (5,691).

„მომავალის აჟღერებით ჟღერს ჩემი ქნარი“ – ეს ერის მესაიდუმლის მისიაა.

„ვინა თქვა, რომ საქართველოს ბედით კარი დარაზოდეს? მისი წინსვლა არ შედგება არასოდეს, არასოდეს“ (სიმღერა სამშობლოზე) (5,691), ასეთია პოეტის რწმენა.

ზამთრის, თოვლის, ავდრის, ყინვის სახეთა გამოყენებით, თეთრი, მაგრამ გაყინული გულის, გაყინული ცის, გაყინული მხედრის საშუალებით ქმნიდა თოვლიან-ყინულიანი მონსტრის ოდიოზურ სახეს, ამხელდა ჩრდილოელი მეზობლის ღალატთა სერიებს (გული გრძნობს, სამრეკლო უდაბნოში, სამშობლო ლიუციფერის, მშვიდობის წიგნი), ზარავდა „საუკუნეთა თოვლი“, მაგრამ სჯეროდა გათოშილი იმპერიის თოვლ-ყინულის გადნობის: „...საუკუნეთა თოვლო ითოვლე! მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“! (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე) (1,374).

„მახაჯირში“ წინასწარმეტყველებდა: „გარდავა ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი, აღმოსავლეთი მოირთვება ცისკრის ალუბლით“.

გალაკტიონს ესმოდა „მსოფლიო ბაგეთ გოდება“, „მსოფლიო მღელვარება“, იგი მიმართავდა მსოფლიოს, საუკუნეს, როგორც „ეპოქის გედი“, საუკუნის პოეტური კულტურის საჭეთმპყრობელი. მარსზე იდებდა ბინას მისი გამორჩეული ფიქრი (მარსი).

მსოფლიო მოვლენების ცენტრში მყოფი, ელოდა იდუმალს, ეზმანებოდა „სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების“, სიმშვიდეს ანიჭებდა უზენაესთან სიახლოვე (რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს).

გალაკტიონმა „ყველა პოლუსი“ მოიხილა, „ყველა სიმზე“ დაკვრის ნიჭით მომადლებულმა თავისი მერიდიანი გაავლო მსოფლიოს პოეტურ რუკაზე, ყველა განედი დაზვერა: „ო, ძეო დილის, აწ განვლის, გრძნობა სიბნელის ნაფლეთის, აღმოსავლეთის, დასავლის, ჩრდილოეთის და სამხრეთის“ (ნიავი. ია. ნარგიზი).

არც მაიას ქვეყანა, ჰიმალაის მთები და შამბალა დარჩენილა მისი შთაგონების

გარეთ.

თავისუფლებაწართმეული ქვეყნის შვილმა ქართული სიტყვა, ქართული სული საკაცობრიო მასშტაბებს აზიარა, „მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები“ ასწია და თამამად გაუსწორა თვალი დედამიწის არსებით პრობლემებს: „...ამ ტომებს ბრიყვისას მე რა წამაკითხებს, ისედაც კარგად ვჭრი მსოფლიო საკითხებს“.

პოეტს იტაცებდა ყველაფერი მასშტაბური, უსაზღვრო, კოსმიური: კოსმიური ორკესტრი, კოსმიური მუსიკა, კოსმიური ჰარმონია, შეიგრძნობდა „კოსმიურ სიცივეს“, აწუხებდა „მსოფლიოს გამოუცნობი წყლულები“.

მამულის ბედს მსოფლიოსთან კავშირში გაიაზრებდა: „საკითხი, რომელიც ეხლა ირჩევა ვერსალში, სამკვდრო-სასიცოცხლოა საქართველოსთვის“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა!).

გლობალიზაციის საფრთხეც არ რჩებოდა შეუმჩნეველი, თუმცა „აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლის“ აუცილებლობაში რწმუნდებოდა და ეს ბორკილების მსხვრევის გზად ესახებოდა.

მსოფლიო სახელებთან (დანტე, შელი, ბაირონი, ვერლენი, ბოდლერი, რემბო, გოტიე, ედგარ პო) ახსენებდა რუსთაველს და დარწმუნებული იყო ქართული გენიის მარადიულობაში: „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს“ (პოემა ვეფხვისა).

ტოლივით ეპაექრებოდა საკაცობრიო რანგის შემოქმედთ, მათ გვერდით „ოქროს ნავში“ გრძნობდა თავს, რადგან ჭეშმარიტმა დიდოსტატმა თვით დაამკვიდრა ახალი ტრადიციები და „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნებით „გადააჭარბა თავის მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა“ (კ. გამსახურდია). გალაკტიონის უსახლო, უნავთსაყუდლო სულმა მოიარა მიწის კალთა, ეს ბედისწერა იყო, რადგან, მისივე თქმით, პოეტი არის „მსოფლიო ძალა უგეში“ (პოემა ვეფხვისა), მაგრამ აწუხებდა „საზღვარი, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეული“.

წინასწარმეტყველური ინტუიციით გრძნობდა სიკვდილის მომტანი დემონის, ლუციფერ-მეფისტოფელთა, წითელი გველეშაპისაგან ხელდასხმული მხეცების, სატანისტური რევოლუციონერების დამღუპველ საქმიანობას თავის ქვეყანაში და მსოფლიოს ყურადღების მიქცევას ცდილობდა: „... და გასაგონად: მსოფლიო, წყნარად! იქ ნანგრევებად იქცა სოფელი. დიდი ხანია იქცა არარად და დახარხარებს მეფისტოფელი“ (ეს შეღამება).

აფთარ-ნადირთა საბატონო სამშობლოს კატაკლიზმებზე, ბოროტების იმპერიის საფრთხეზე მიანიშნებდა მსოფლიოს (ცეცხლი, მახვილი). წითელი ქარისაგან იავარქმნილი ქვეყნის ნამდვილ სახეს უჩვენებდა კაცობრიობას და გაბედულად მიმართავდა: „წყნარად მსოფლიო! წინ მსოფლიო! მსოფლიო ჩუმად!“ (ქარი, ამწევი ფარდის).

მისი სიტყვის ადრესატი იყო მსოფლიო, საუკუნე, საუკუნეები, უსაზღვროება, კოსმოსისკენ მიმართავდა მზერას, აძრწუნებდა „დიდი სიცივე“, კოსმიური სიცივე, მარადიული ზამთრის მუქარა (ზამთრის დღეები), „ავდრის მოლოდინი“, მსოფლიო კატაკლიზმები და მასშტაბურ ნგრევას წინასწარმეტყველებდა: „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით“ (კოსმიური ორკესტრი), შეიგრძნობდა მსოფლიო ომის მაუწყებელ ქარს...

პოეტს არასოდეს არევია ერთმანეთში „წუთისოფლის დიდება“ და „დიდება მარადისი“, კოსმიური, მარადიული და ეფემერული. იგი პროლეტარულის, პრიმიტიულის, უსახურისგან განასხვავებდა ნამდვილად რევოლუციურ ხელოვნებას, მიესალ-

მებოდა „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას“: „აქა-იქ რაღაცას შურდღულობენ პროლეტარულ პოეზიაზე, აქა-იქ თემად მიაჩნიათ რევოლუცია და კოსმიურ საქმედ მიაჩნიათ. ამ მხრით რატომ არ იქნება კოსმიური მოვლენა თუნდაც კონტრრევოლუცია და ან რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან პოეტს, გარდა კარიერიზმისა?“ (13,452)

გალაკტიონი წუხდა „სიცივით და რევოლუციით გაყინულ ხალხზე“ (იქვე 259) ლენინიზმს კი სატანისტურ მოძღვრებად მიიჩნევდა. შიმშილის, სიცივის, დევნის, გაუტანლობის დემონი, რომელიც ამგზავრებოდა მის თანამედროვეობას, მთელ მსოფლიოს დაანახვებდა შავი ფერით: „სიზმარი უკეთესია, ვინემ სინამდვილე. ეხლანდელი სინამდვილე კი... განსაკუთრებით ჩემი... ღმერთმა შეარცხვინოს. მსოფლიო შემოსილია მხოლოდ შავი, საშინელი სინამდვილით“ (იქვე, გვ. 457).

პოეტი ემიჯნებოდა „ქვეყნიურ ყალბ ენამჭევრობას“, დემონურ, საშინელი ბეჭდით დაღდასმულ შეთქმულების წევრებს (ენა მშობლიური მიწის)

დაგმო საზღვრების მოშლა, უკარო სახლის სახეში წარმოადგინა მთელი მსოფლიოს პროლეტარების გაერთიანების, უღობო, უკარო ინტერნაციონალური ქვეყნის შექმნის იდეა, რაც ჩვენს „უფროს ძმას“ ეკუთვნოდა, ხოლო საერთაშორისო არენაზე მომძლავრებული მასონურ-კოსმოპოლიტური მოძღვრება, ერთა ლიგა პატარა ქვეყნების საშიშროებაზე დუმდა და ამით „გადამთიელი გადიის“ წისქვილზე ასხამდა წყალს.

პოეტი ხედავდა, რომ ეროვნულ გრძნობას მოკლებულმა რევოლუციონერებმა შეგვიქმნეს ტერიტორიული და დემოგრაფიული პრობლემა და უჭიშკრო ეზოს, ღია კარების ჩვენებით გამოხატავდა ეპოქის სატკივარს: „...ბნელა, ეზო ჰგავს ქუჩას, შემოდის ყველა, ვისაც გზად უჩანს“... ბჭე უსაზღვროა სოფლის მძინარის,.. ის ხედავს კარებს გადაუკეტავს“ (მშვიდობის წიგნი).

თითქოს დღევანდელ სატკივარზეა დაწერილი.

კარი, ჭიშკარი ქრისტეს სიმბოლური სახელია („მე ვარ კარი ცხოვართა“, იოანე 10,7), ხოლო ეზო-მარიამის (14,122).

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, წიგნი 2, თბ. 1994.
2. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.1, თბ. 1993.
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I.
7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.3, თბ. 1993.
8. დავით თევზაძე, საუკუნის თვალით, თბ., 1994.
9. აკაკი წერეთელი, თხზულებანი 18 ტომად, ტ.2,თბ. 1992.
10. ალბერ კამიუ, „შავი ჭირი“ ფრანგულიდან თარგმნეს გასტონ ბუჩიძემ, კოტე ჯავრიშვილმა, ნესტან იორდანიშვილმა, თბ. 1988.
11. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ. 1988.
12. აკაკი ბაქრაძე, თხზ. ტ. III, 2004.
13. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, 1992.
14. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996

სიკვდილის წინაგრძნობა

გალაკტიონმა შექმნა განგების შთაგონებული „შავი წიგნი“, რადგან ხელეწიფებოდა როგორც ანგელოზის, ისე სიკვდილის აჩრდილის ხილვა. უფლის ნებით გადაიშალა პოეტის სიცოცხლის წიგნი და „შავი წიგნი“, როგორც აპოკალიფსი.

ხალხში უძველესი დროიდანვე არსებობდა რწმენა სიკვდილის მოახლოებაზე მიმანიშნებელ მოვლენებზე, როგორიცაა ყორნის ხმა, სიკვდილის ცელი, მახინჯი ჩონჩხის მოლანდება, ჭოტის კივილი, ძაღლის ყმუილი.

ეს ავბედობის მაცნეები გალაკტიონის პოეზიაშიც გვხვდება.

„რას ნიშნავს ყორნის ხმა, რას ნიშნავს ვაზა გატეხილი?“ – შეშფოთებით კითხულობდა მისი პოეზიის ლირიკული გმირი.

ედგარ ალან პო, გვიმხელს რა „ყორანის“ შექმნის საიდუმლოებას, წერს: „ყორანის“ კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური. ეს თხზულება თავიდან ბოლომდე მათემატიკური სიზუსტით და სიმკაცრით არის განსაზღვრული“ (1,159). ამის მიუხედავად, ყორნის პასუხი ლირიკული გმირის ყველა კითხვაზე, რაც მომავალს შეეხება, გამოხატულია საბედისწერო სიტყვით – „აღარასოდეს,“, რაც უბედობის წინასწარმეტყველებაა.

ამიტომ წერდა პოლ ვალერი: ედგარ პოს შემოქმედებაში შერწყმულია „ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა“ (2,25).

ბარათაშვილის „თვალბედითი შავი ყორნის“ ჩხავილიც მომავალში დაღუპვის წინასწარმეტყველებაა.

გალაკტიონის პოეზიაში განსაკუთრებით შთამბეჭდავია ტრაგიზმის მომტანი „მახინჯი სახე“ და „ყრუ საუბარი“.

ლექსში „ედგარი მესამედ“ ორთა შორის ჩამდგარი „ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი“ არის სიკვდილის აჩრდილი, ხოლო „ყრუ საუბარი“ პირდაპირი გაცხადებაა მოსალოდნელი უბედურების: „და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი: საცაა მოვა სიკვდილის წამი. ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი და მივდიოდით ტაძრისკენ სამი“ (3,75).

ჩონჩხების „სასიკვდილო მახვილებია“ ლექსში „რაც იქნეს, იქნეს“.

„ახალ მოსახლეობაში“ „ვიღაც მახინჯი“ ეპატიჟება ლირიკულ პერსონაჟს „იდუმალ ქვეყანაში“.

პოეტს „სიკვდილის ხელი“, „მწარე ხმა“ აგრძნობინებს მოახლოებულ უბედურებას: „თითქოს კედელთან დამენახოს სიკვდილის ხელი... რაღაც მწარე და საოცარნი ხმანი ისმიან“...

ჭოტის კივილი, ძაღლის ყმუილი შემაძრწუნებელ გაფრთხილებად ისმის: „ეზოში სამჯერ იკივლა ჭოტმა, ზარით აზმუვლდა ბებერი ძაღლი“ (ცხრაას თვრამეტი) (3,160).

„სიკვდილის ხველა“, „სიკვდილის კვნესა“ ისმის ლექსში „დედა“.

„ყვითელ ფოთოლში“ „ჰანგი საზარია“ ავი წინაგრძნობის ამშლელი.

თითქოს ნიავიც სიკვდილის უცვლელ ზღაპარს უყვება: „ნიავი მითხრობს უც-

ვლელ ზღაპარს, სიკვდილის ზღაპარს“.

დემონის ხმაც სიკვდილისაკენ მომწოდებელია: „სამშობლოს, იქით, სიმშვიდის იქით ისევ მეძახის ჩემი დემონი“ (მზის სადღეგრძელოს).

სიკვდილის ლანდები, ჩონჩხები გვზარავს ლექსებში: „მაგიდა ალემბიკებით“, „საღამო“, „სილაჟვარდე“, „სტანსები შელლისა“.

ალ. ბლოკს ლაბადით შემოსილი ჩონჩხის სახით მოევლინა სიკვდილი (დაცლილი ქუჩა).

მეფე ბალთაზარმა ნადირობის დროს იხილა კედლიდან გამოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბედისწერო სიტყვის წარწერით ამცნო მისი და მისი მეფობის აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5,5-30) (4, 252- 253).

სიკვდილის წინაგრძნობით არის სავსე გალაკტიონის „კოშკი“, რომელშიც ნგრევის, სიკვდილის მაცნეა „სახე გამხდარი, გესლიანად გაცინებული შიშის ლანდი უზარმაზარი“, რომელმაც კოშკის კედლებზე რაღაც საბედისწერო დაწერა „გამოუცნობ ნების რკალებით“. სანთლის ჩაქრობა უფრო აძლიერებს საშინელ წინაგრძნობას და, მართლაც, „დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული“.

ამ ლექსში სიყვარულით აშენებული კოშკის დაცემა ათეისტების მიერ ჰუმანიზმის, რწმენის ამოძირკვას უნდა მოასწავებდეს, რადგან სიყვარული ღმერთია („ღმერთი სიყვარულია“ – იოანე, I, 4,8) (5,320).

კოშკი მარიამის სახელი უნდა იყოს.

სიკვდილის პირას ყოფნა ისეთივე ბუნებრივი მდგომარეობაა გალაკტიონისათვის, როგორც სიცოცხლის სიხარულის განცდა: „ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად“.

თითქოს სიკვდილის სხვადასხვა სტატიებიც, წინა ცხოვრების აღსასრულიც უგრძვნია: „მე დავივიწყებ ყველა სიკვდილს, პირველს, მეორეს“... (ქანდაკება)

ცნობილია „სასიკვდილო სარეცლის“ ფენომენები, როცა ავადმყოფი ნახულობს ნაცნობის სულს. გალაკტიონი ხედავდა მიცვალებულთა სულებს, სამუდამო მხარის ჩამავალ მზეს (მკვდრის მზეს)... შეცნობის, ახალ სფეროთა მოხილვის სურვილით იტანჯებოდა ქართველი პოეტი, როგორც დანტე.

„რაა სიკვდილი?“ – სვამდა კითხვას გალაკტიონი.

სიკვდილს ოპტიმისტურად უცქერიან იოგები, რადგან სულს მარადისობის კატეგორიად მიიჩნევენ. სიტყვა „იოგა“ ნიშნავს დაკავშირებულს, „მიმატებას“. ამჟამად ჩვენ ღმერთს გამოკლებული ვართ, მიზანი ის უნდა იყოს, რომ ჩვენი სიცოცხლე კრიშნას მივუმატოთ, დავუკავშიროთ და მაშინ სიცოცხლის ფორმა სრულყოფილი გახდება. სხეული სულზე გადაფარებული ღრუბელია, ჩვენ უნდა განვავითაროთ სულიერი სხეული, რათა სულიერ სამყაროს მივაღწიოთ.

ბერძენ ფილოსოფოსებს სწამდათ სულის მარადიულობა.

სოკრატე ეუბნებოდა პლატონს: „მე არ გამიკვირდება, მართალი რომ აღმოჩნდეს ევრიპიდეს სიტყვები: „ვინ იცის, სიცოცხლეს ხომ არ ნიშნავს გარდაცვლილთათვის სიკვდილი, ხოლო მოკვდინება მკვდართა ენაზე გაცოცხლებას“.

„და ბრძენთაგან გამიგონია, რომ ჩვენ მკვდრები ვართ და ჩვენი სხეული სამარეა“ (გორგია).

საოცარია ამ ასპექტში ტერენტი გრანელის აზრების დამთხვევა ბერძენთა შეხედულებებთან: „ჩემი სამშობლო ხომ სამარეა“, „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

გოეთე ეკერმანთან საუბარში ხაზს უსვამდა სულის მარადიულობას: „სულაც არ

მინდა დავკარგო ბედნიერი რწმენა უკვდავებისა. მზად ვარ გავიმეორო ლორენცო მედიჩის სიტყვები: „ვისაც სხვა სიცოცხლის იმედი არა აქვს, ამ ცხოვრებაშიც მკვდარია“ (6, 137).

პავლე მოციქული ეუბნებოდა თავის თანამოაზრეებს: „ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“.

„რაა სიკვდილი?“ – კითხულობდა გალაკტიონი და მისი პასუხიდან გამოირიცხებოდა ტრაგიზმი: „რაა სიკვდილი? გზა, სასაფლაო, სამარადისო ბანგი, ჰაშიში, გვერდაუვლელი, მაგრამ ამაო, უცილო, მაგრამ არა საშიში“.

პოეტის რწმენით, „სული ცოცხლობს, როს სხეული სამარეში დუმს“.

სიკვდილის მერე რა დარჩა? თუკი „საშველი ქვეყნად აღარ ყოფილა, არარაობად შთანთქმულან რიგნი“, და პასუხი ასეთია: „რა დარჩა? ფერფლი, ცა და ეს წიგნი“.

გალაკტიონის თქმით: „სიკვდილს ვერავინ ვერ მოატყუებს“. მთავარია, ადამიანს სიცოცხლეშივე ახსოვდეს სიკვდილის არსებობა, რათა ღირსეულად გაატაროს ამქვეყნიური დრო, თორემ ფიზიკურ გარსს ვერავინ შეინარჩუნებს: „...ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება და ვაი მას, ვის, სიკვდილი სიცოცხლეშივე ავიწყდება“ (მესაფლავე).

შიშის დაძლევის ფაქტორი სახელოვანი სიცოცხლეა, რომელიც არის საწინდარი სულის მარადიულობის: „სიკვდილს მე როდი შეუშინდები, იგი ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა. მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის სიკვდილს, როს ჰგავს და უარესია“ (ნეაპოლში).

ლიტერატურა

1. ედგარ ალან პო, კომპოზიციის ფილოსოფია, „კრიტიკა“. 1984,№3
2. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ. 1983
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული 1989
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, 1988

ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნების წინასწარმეტყველება

გალაკტიონი ხედავდა სულს: „მე დავინახე მცურავი სული“ (გრიგალი).

ხედავდა „იქაურ ცას“, ანუ უმაღლეს ცას – ღმერთების სავანეს, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი“, ეწოდება: „იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით“ (გობელენი) (1,72).

პოეტი ხედავდა „სხვისთვის უხილავ-ფარულს“.

„უხილავი“ და „ფარული“ ღმერთია.

პოეტების მეფეს მომადლებული ჰქონდა განსაკუთრებული ხედვა ანუ სულის თვალი, ამიტომაც ამბობდა: „ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, ათას ცხრაას ოცდასამ წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს) (1,334).

მომავლისკენ იყო პოეტის სულის მზერა მიმართული: „მიუსყიდველი, მომავალის შემგრძნობი სვეტის, ბრძოლებში იყო ბევრის მთმენი გული პოეტის“ (1950) (2,264).

პოეტისთვის მთავარია გრძნობა, ცნობა სიცოცხლის თუ ტრფობის: „... ვინ იგრძნო სიცოცხლე ამაო, უმიზნო, ან შვება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო“ (საღამო)(3,11).

დაკვირვება, განსჯა, ანალიზი, აი წარმატების, მომავალში ჭვრეტის საფუძველი: „არყოფნის წიგნს დავუკვირდი, ყოფნის წიგნიც ვათვალთვალე“ (დღეთა გარდასულთა) (3,119).

პოეტის დევიზია: „იცანი ყველა საამქვეყნო მიწა და მტვერი“ (ერთი სახე და ერთი ფერი) (3,104).

გრძნობით, გონებით ჭეშმარიტების წვდომა იყო პოეტის იდეალი: „იგრძენ, რაც კი შეიძლება ქვეყანაზე გულმა იგრძნოს, იცან, რაც კი შეიძლება კაცმა ქვეყნად გამოიცნოს“ (მეშჩანური გული)(3,108).

ეჩვენებოდა უწმინდესი, უდიადესი ცა, ანუ ღმერთების ზეცა, ლანდივით ნანახი ჰქონდა „ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები“ (დომინო) (1,115).

ბეჭედი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა (4,124), მოლი გრძნეულების საშუალება, ჯადოსნური ბალახი.

„მოტეხილი ზაფხული“ – უარყოფილი ღმერთია, რადგან ზაფხული საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს.65,12) (5,273).

საერთოდ, „დომინოში“ მოაზრებულია სატანისტური იდეოლოგიის ჩრდილოელი მეზობელი, აღმოსავლური ყრუ ბაითის სახით მუსულმანური სამყარო, მართლმადიდებლობის შემრყვნელი, გრძნეულება და ჯადოსნობა (ანუ ბეჭდის თვალში მოლები), ახალი კერპების ძიება კი უარყოფილია და ლექსში კანკელი აღიმართება. დომინო – თვით ავტორია, ქრისტეს მებაღე, მართლმადიდებლობის მცველი და მისი გამოჩენით სრულდება ანტიქრისტიანული ვაკხანალია.

„დომინოში“ პოეტმა ამხილა ეპოქის ურწმუნოება და იწინასწარმეტყველა ღმერთისკენ მიბრუნება.

ახალი სხივის ამოსვლას, ანუ ღმერთის (სხივი ძე ღმერთის სახელია) მოვლინებას, წყვდიადის კიბის დამხობას და „სიწმინდის, სიყვარულის, პატიოსნების კიბის“ (კიბე მარიამის სიმბოლოა) აღმართვას წინასწარმეტყველებს პოეტი ლექსში „ქალაქთა ბნელთა“ (1,703).

1915 წელს განიცდიდა „ტრფობას სრულის“ (ღმერთის), „იმ სიყვარულის“ (სიყვარული საღვთო სახელია) უგულებელყოფის სიმწარეს (მიმღერე რამე) (3,11). ენატრებოდა „ნუგეში“, „სხივი პირველი“ (ნუგეში, სხივი ღმერთზე მიანიშნებს) – (ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში) (3), შფოთავდა „უკანასკნელი სიყვარულის“ (ღმერთის) დავიწყების გამო (უსიყვარულოდ) (3,19), ეძებდა „წმინდა ცას“ (გრძნობათა ფერფლი) (2, 8). ყვავილებს – რწმენას (ელეგია) (3,23), მიუწვდომელ სანთლებს (სანთელი საღვთო სახელია) (სანთლები) (38), ცდილობდა ქარში ვარდების გადარჩენას (ლოცვისთვის) (3,85).

ლექსში „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ „შავი თოვლივით“ თოვდა „ჭვარტლი და ბურუსი თავანის“, სამრეკლოს ჯვარს ყვავები დარაჯობდნენ და თებერვალს უხმობდნენ.

ესიზმრებოდა მზის ჩაქრობა (მე დამესიზმრა) (1 ,77), მზის სიკვდილი გახელილი თვალებით (მას გახელილი დარჩა თვალები), ქიმერებში ჩავარდნილი მზე (თბილისი ღამით), მზე ლანდად ქცეული (სანატორიუმში), მზის ჩასვლა, მთვარისა და ვარსკვლავების გაქრობა, ნისლის მეუფება, სიბნელის გაბატონება (მშვიდობის წიგნი).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84,12).

აწუხებდა იდუმალი სხივის გაუჩინარება, იაგუნდის ჩამქრალი შუქი (შუქი, სხივი ძე ღმერთის სახელია).

იაგუნდი მარიამის სიმბოლოა (4,124).

სწყუროდა ცეცხლი, მაგრამ სახეზე იყო „უეზოო სახლი“ და „უცეცხლო კერა“. ეზოს სახეში ნაგულისხმევია მარიამ ღვთისმშობელი(4,121). ცეცხლი ღმერთის სახელია (6,120).

დამშრალი და ამღვრეული იყო წყარო, რასაც გულისტკივილით აფიქსირებდა.

წყარო უფლის სახელია: „სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან“ (ესაია წინასწარმეტყველი, 12,3) (7,82).

ათეისტურ ეპოქაში დავიწყებული იყო ღმერთი – სიყვარული.

პოეტმა შექმნა დალეწილი, დამსხვრეული, განადგურებული ხომალდების, გემების, ნავების რეკვიემი, რადგან ნავით, გემით, ხომალდით (ეკლესიით) არის შესაძლებელი ცოდვების დამარცხება.

თვით გალაკტიონი არასდროს წყვეტდა უზენაესთან კავშირს და ზღვის წარმატებით გადავლას ყოველთვის ახერხებდა (გადავიარეთ მრისხანე ზღვები), მაგრამ მას ადარდებდა ათეიზმისგან დასნებოვნებულთა ბედი, რომლებიც ცოდვის ზღვას ჩაენთქა.

პოეტების მეფის წუხილის მიზეზი იყო გამხმარი ვაზები, თოვლიანი ალვები (ვაზები გახმა, ალვები თოვლში). ვაზი და ალვა სიცოცხლის ხის სიმბოლოებია.

გამხმარი ვაზი და თოვლიანი ალვა უარყოფილი სიცოცხლის ხეა, ანუ იგნორირებულ ღმერთზე მიმანიშნებელი.

გალაკტიონი ხედავდა გადაცდენას ღმერთის გზისგან და ამხელდა გზაგამრუდებულებს, თვით კი მუდამ „წმინდა გზის, სანაქებო მზის, ძველი გზის, იისფერი გზის“ ერთგული იყო. გზა საღვთო სახელია.

პოეტი გულისტკივილით იგონებდა თანამედროვეთაგან დავიწყებულ „ნეტარ დღეს“, „ძველ დღეს“, ანუ ღმერთს.

პოეტების მეფეს აღაშფოთებდა „მშვიდობის წიგნის“ დაკარგვა, „ძველი წიგნების“(წიგნი საღვთო სახელია) არეული გვერდები, ანუ უარყოფილი და შერყვნილი რწმენა.

დავიწყებული იყო ცხოვრება (ცხოვრება საღვთო სახელია), ჩამქრალი იყო სანთელი (სანთელი ღმერთის მეტაფორაა), საძიებელი იყო „საბედნიერო სული“ (სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში). უღმერთო ეპოქაში პატივი არ მიეგებოდა ქრისტეს დედას – მარიამ ღვთისმშობელს. ჯვარზე იყო გაკრული ელვა, დანგრეული იყო ზეცა, დაკარგული იყო სამოთხე, დაცემული იყო კოშკი, დაჭრილი იყო ღრუბელი, ნაიარევი იყო მთა, ბაცილებიანი იყო მთვარე, დაჩრდილული იყო ბეჭედი. მიტოვებული იყო ეზო, თოვლში იყო დაცემული ზამბახები, გაყინული იყო თასი. ელვა, სამოთხე, კოშკი, ღრუბელი, მთა, მთვარე, ბეჭედი, ეზო, ზამბახები, თასი მარიამ ღვთისმშობლის სახელებია (იხ. დაწვრილებით: ლ. სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მე-20 საუკუნის ქართული პოეზიაში, თბ.2009).

გაუდაბურებული იყო ბაღი, ანუ გატიალებული იყო უღმერთო სული, რადგან ბაღი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში.

იყო თარეში აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების, დემონების, ბელზებელ-ლუციფერების, სატანების.

პოეტი ავდრით, ზამთრით, უამინდობით, თოვლის, ყინვის ქვეტექსტებით გვამცნობდა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ტრაგედიებს.

მართალია, ღმერთისუარმყოფელ, სატანისტურ ეპოქაში იცხოვრა გალაკტიონმა, მაგრამ კავშირი არასოდეს გაუწყვეტია უზენაეს ძალებთან, გამუდმებით ესმოდა ზეციური გამამხნევებელი ხმები, ღმერთისკენ მიბრუნების რწმენას უნერგავდა სიზმრები: „მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან, მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ „სიზმარი“ (სიზმარი) (1,76).

ქარში ყვავილების გადარჩენით (ქარი ურწმუნოება, ყვავილი – ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა), ალვის ხის გადარჩენით (ალვა საღვთო სახელია), მუხების გადარჩენით (მუხა ერის სულის სიმბოლოა) მიგვანიშნა ეროვნული რწმენისკენ მიბრუნების და სულის განწმენდა-გასპეტაკების პროცესზე.

მშვიდობის წიგნის და მშვიდობის გზის სახეებით გვიჩვენა რწმენის მარადიულობა: „სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის. მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

გალაკტიონის შემოქმედება იყო „სიყვარულის სიმღერა“. სიყვარული ღმერთია (იოანე 1,4,8).

პოეტი ქმნიდა ლოდინის სიმღერას, სჯეროდა „შორი გაზაფხულის“ „გამობრწყინების“ (სინამდვილეში ოცნებისას). გაზაფხული, ზაფხული საღვთო სახელებია (ფს. 64,12).

ქარისგან ყვავილის გადარჩენა რწმენის შენარჩუნებას ნიშნავს და ეს იყო პოეტის უმთავრესი მისია (მე ამ ყვავილებს).

პოეტს თან სდევდა ნუგეშის ღმერთის სახე (სხვაგან სადაა?).

მზის გარდაცვალებას და ჩაქრობას აფიქსირებდა, მაგრამ თვით ყოველთვის მზითმოსილი იყო და სჯეროდა სიმართლის მზის მარადიულობა (რა დამშვიდებით გადავცქერი).

სიხარულით ეგებებოდა გაზაფხულს (ფანჯარას ტოტებს მიახლის).

ალვის ხის გადარჩენით მიანიშნებდა ქრისტესკენ მობრუნებას, რადგან ალვა საღვთო სახელია.

პოეტი უმღეროდა რწმენის გადარჩენის ბედნიერებას (არ დაღუპულა). კაკლების, მუხების გადარჩენით ერის სულის გადარჩენაზე მიანიშნებდა (მუხები).

„ქუხილო, გელით“ გვიჩვენებს რწმენის წყურვილს და მოლოდინს, რადგან ქუხილი ღმერთის სახელია.

„ახალი ყოფნის“, განახლების, „აღდგომის კვალის“ ანუ რწმენისკენ მობრუნების მოლოდინია ლექსში „ახალ წლის ღამეს“.

„შუქმიუვალ დღეებს“ შეენაცვლებოდა „ედემთა მსგავსი დღეები, გამარჯვებათა ბაღები, ვარდები, ორხიდეები“, სწამდა პოეტს (ყოფილა მწარე დღეები).

მარადიულია „სიცოცხლე“ (ღმერთის სახელია), ვისაც მოაქვს სულის გადარჩენა (ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული).

გალაკტიონმა უმღერა „გათენებას“, „ალიონთა სიხარულს“, ცისკარს (ალიონი მარიამის, სიხარული და ცისკარი ქრისტეს სახელებია).

პოემა „მშვიდობის წიგნი“ უღმერთო არსებობის კატაკლიზმებს უღრმავდება და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი რწმენის მიგნების, ერის საზრისის ძიების, სულის გადარჩენის ჰიმნია, პოეტს ესმოდა „შორის ძახილი, რომლის სახელი განთიადია“ (მშვიდობის წიგნი).

გალაკტიონის პოეზიაში ისმის „გადარჩენის ჰიმნი“, პოეტი უმღერის „გადარჩენის ბედნიერებას“, „საუკუნეთა თოვლის“ დადნობას (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე).

ხომალდის გრიგალისგან გადარჩენაში რწმენის გადარჩენა იგულისხმება (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ).

თვით პოეტის შემოქმედება იყო ეპოქისეული წარღვნის – ბოლშევიზმის მომაკვდინებელი ბაცილებისგან გადარჩენა, სულის ზრდის, სულის განწმენდის დიდი მისიის აღსრულება.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებან 5 ტომად, ტ.3,თბ. 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე თბზ. 5 ტომად, ტ.1, თბ. 1993
4. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ტიტე მოსია საღვთო სახისმეტყველება თბ. 1996
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

საკუთარი პოეტური მომავლის განჭვრეტა

გალაკტიონ ტაბიძემ უცდომლად იწინასწარმეტყველა საკუთარი პოეტური დიდება.

„უდიდესისკენ მიჰყავდა სული, მცირედისაგან ასე წასული“ – ამბობდა პოეტი და ეს „უდიდესი“ ღმერთია.

მისი დევიზი იყო განახლება, საკაცობრიო გზის გაგნება: „განახლებისკენ, განახლებისკენ, მიისწრაფოდეს ფიქრი რჩეული, საკაცობრიო გზათა ბრძოლაში სიმშვიდის სიტყვებს გადაჩვეული“ (1, 137).

იგი პოეზიაში კლონდაიკს, ანუ ოქროს საბადოს ეძებდა: „უნდა იპოვო ის კლონდაიკი, იმ ნაპირს უნდა მიადგეს ნავი“(ო, ჩემო ჩანგო) (1,14).

„ურთულეს ბრძოლის მიზანი – საკაცობრიო იდეა – იგივ კიბეა მსვლელი იქ, სად გამარჯვების კიდეა“, წერდა ლექსში „უმშვენიერეს კიბეზე“ (1,209-210).

ჯერ კიდევ 1915 წელს „პოეტების მეფის“ გვირგვინი ეზმანებოდა (მთაწმინდის მთვარე) (2,66-67).

ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ დარწმუნებით აცხადებდა: „ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთუოდ მახსენებ ოდესმე, ოდესმე!“ (2,74)

ამაოების დამარცხების უნარი აღმოაჩნდა, უდიდესი პოეტური ძალისხმევით გაუსწრო დროს და გააღწია მომავალში: „... გადავარღვიოთ სივრცე, დროება... ვერას დაგვაკლებს ამაოება“ (სიახლე დღეთა ესევითარი) (2,740).

ლექსში „1950“ შეჰხაროდა „უდიადეს მომავალს“ (2,741).

ჭეშმარიტება იყო პოეტის განაცხადი: „...ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი, საკუთარი შტამპით“ (იდეა) (2,575).

მომავლის ძეგლებს წინასწარ ჭვრეტდა: „ძეგლი ცისფერი და ნამთვრალევი აღიმართება მშობლიურ მთებზე“ (ცისფერი) (2,305).

„ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი“ მომავალში თავისი ძეგლის წინაშე საკუთარი წიგნებით მოსულ ბავშვებს ხედავდა და სულ სხვაგვარი შეფასების რწმენა ეუფლებოდა: „აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი, ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით, იქნება, ბევრი რამე იქნება, მაგრამ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით. ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი, ეხლა რომ ოხვრით შამბში ვარდება, სხვა ისტორიის წინაშე მდგომი აქ სხვანაირად აღიმართება... ოჰ, მომავალი, შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები“ (სტანსები) (2,633).

გალაკტიონი განსაკუთრებით უცდომელი იყო მომავალში გასაღწევი გზების განჭვრეტაში, საკუთარი პოეზიით დამკვიდრებული სიახლეების შეფასებაში. მისთვის მხატვრული სიტყვის სიდიადის საზომი იყო „დროთა ქროლამდის“ ამაღლება, რის ნიმუშადაც უპირველესად საკუთარი პოეზია ესახებოდა: „კოშკი ჩემი მაღალი ადის დროთა ქროლამდის“ (სანამ არ დამსხვრეულან) (1,291).

მართალია, გალაკტიონი ადრეულ ეტაპზე აფასებდა ბოდლერს, შელის, ჰიუგოს, მიუსეს, ვერლენს („დაღუპულ მამას“), მაგრამ როცა თვით „გადააჭარბა, შორს გადააჭარბა თავის მასწავლებლებს“ (კ. გამსახურდია), დადგა ახალი, მათგან განსხვა-

ვებული გზით სვლის დრო, ამასთან, ტექნიკის, მეცნიერების განვითარებას აღარ შეესაბამებოდა ამ პოეტების რომანტიკულ-სიმბოლისტური განწყობილებანი, რასაც ხაზს უსვამდა პოლ ვალერი (3,121).

იმავეს ფიქრობდა გალაკტიონი: „...გაჰქრა ზმანება, გაჰქრა ფერია, ნუთუ ბოდლერიც არაფერია? შელლიც ჰიუგოს დაემგვანება? მიუსსე? ვერლენ? ღმერთი? კაენი? აჰა, ქალაქთა გვიანი ნებით ბურუსებში ჩანს აინშტაინი“ (თუ ბრძოლა არ არის) (1,377).

მომავალში ეგულებოდა წინაპარი „ერთგული რაინდები“ (გაიცქირება მომავლისკენ) (4,31).

არც მაშინ ცდებოდა პოეტების მეფე, როცა „ბნელ ქიმერებში“ „ალიონად“ გვეცხადებოდა და თავის განსაკუთრებულ შემოქმედებით სითამამეს უსვამდა ხაზს: „იგი, ბნელ ქიმერებში მიყურებდა – ალიონს, არავის არ შეეძლო ასე გათამამება. ვისაც სურს რომ ყოველი დაფნას გადაალიოს, ტრიუმფი სიხარულის მხოლოდ მე დამანება“(ბნელ ქიმერებში) (1,32).

გალაკტიონი ღმერთისგან იყო პოეტად ხელდასხმული, „ზეცაზე ახალი კართაგენის“ აგების მისიით: „ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“ (ეფემერა) (4, 322).

„ჯვარი და გვიანი მტევნები“, „დიდი საიდუმლო“, „წმინდა ემბაზი“ იყო მისი წინამძღვარი პოეზიის ურთულეს გზაზე...

გვიანი მტევნები, როგორც ზეცის ვაზი, ვენახი, საღვთო სახელია და მომდინარეობს სახარებიდან: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე), 15,1) (5,213).

ძველი, დაწმენდილი ღვინო ქრისტეს სიმბოლოა (ესაია წინასწარმეტყველი, 25, 6) (6,91).

საიდუმლო, დიდი საიდუმლო ღმერთის სახელია.

„დაუჯდომელში“ მარიამ ღვთისმშობელი ფიგურირებს ემბაზის სახით: „გიხაროდენ, ემბაზისა მიმსგავსებისა გამომხატველო“ (7,9).

პოეტების მეფეს, რომელსაც ცხოვრებაში ჯვარცმის ეკლიანი გვირგვინი ედგა, „ღამეების შავი გუგუნი“ ესმოდა, „შავი ცეცხლი“ აწამებდა, მხოლოდ მომავალი დიდება ეიმედებოდა, თანამედროვეთაგან სიყვარულს და თანაგრძნობას დანატრებული პოეტის სმენას შორიდან წვდებოდა „ყრუ ტაშისცემა“, ესმოდა „განთქმულ სახელის ტაში“,ცრემლთან, ღელვასთან, მუქარასთან შეზავებული დიდება და თავისი მარადიული ნუგეშისკენ – ღმერთისკენ ისწრაფოდა მისი სულის რაში: „მე გარს მეხვევა მუდამ იგივე, შენ მიერ ნაზად ნაქსოვი რიდე. ხალხს მოვშორდები, მაგრამ ღამეებს სად დავემალო, სად წაუვიდე? ღვინით თასები ისევ ივსება. ისევ მევსება დარდით თვალები, შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა, მაგრამ იქ ვისმეს შევებრალები? მე ვიხდი ნიღაბს, მომგვარეთ რაში, შენთან, ნუგეშთან, ო, ჩქარა, ჩქარა, მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ცელვა, მუქარა“ (მწუხარება შენზე) (2,346).

ქრისტესავით ჯვარცმულს, გამუდმებით გოლგოთა ელანდებოდა, მაგრამ მთაწმინდა ეიმედებოდა მარადიულ სავანედ: „დღეს მაისი ფერში ნაირნაირშია, თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰფერი და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე ბებერი. მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა, მე კი ჩვენი დამიფარავს მთაწმინდა, მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა, შხამსაც შევსვამ შენგან მოწვდილ თასითა“ (დღეს მაისი) (2,369).

ასევე, ჭეშმარიტება იყო განაცხადი: „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ-

ახალი, ლითონზე უფრო მაგარი, პირამიდებზე მაღალი. მასში პოეტის უკვდავი დიდება დაისადგურებს, ვერც დრო, ვერც ჟამთა სიავე, ვერც ქარი გაანადგურებს“ (მაღალ მთაზე და ავაგე სასახლე ახალთ-ახალი) (2,468).

პოეტმა სრულიად სამართლიანად „მომავლის ქნარად“ მონათლა თავისი ქნარი: „ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი“ (2,508).

როგორიც თვითონ ამბობს აკაკი წერეთლის შესახებ, „წინაგრძნობამ პოეტისამ იგრძნო შორი ცისარტყელა“...

მაგრამ პოეტს გამუდმებით ბედისწერასავით სდევდა „დრო-აფთარი“, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების ხაფანგები, უგულებელყოფა, ინტრიგები, რაც მიმართული იყო საბედისწერო აღსასრულის ჩაგონებისკენ. მისი ამქვეყნიური ცხოვრება ჯოჯოხეთი იყო, პირდაპირი მოწოდება უფსკრულისკენ და ეს ტრაგიზმი შთამბეჭდავად წარმოჩნდა ლექსში„შენ არ გინახავს კაცის ღიმილი“ (2,551).

ღიმილის ნაცვლად შური და მტრობა, სიმძიმილი, ქუჩასა და სამიკიტნოში ტკივილების გაქარვება დაჰბედებოდა საზოგადოებისკან გაუცხოებულ პოეტს, ძაღლივით წანწალი სიკვდილს ანატრებინებდა: „შენი ცხოვრება ღონემიხდილი არის ტალახი, ბოსელი ქართა. რისთვის გაშინებს, მითხარ, სიკვდილი, თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა? ვიცი, თუ როგორ გადიხარხარებს, როცა გაიგებს სიკვდილის ხველას, შენი ცხოვრება არვის ახარებს, შენი სიკვდილი ახარებს ყველას“.

ბოლოს, რეზიუმესავით გაჟღერდება შემზარავი აკორდი: „ეს აზრი უნდა გავიგოთ ასე: რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს წერტილს ტყვიისას, რას? – თვითმკვლელობას“.

გალაკტიონს აძრწუნებდა „შურიანი პოეტების გაბმული ყეფა“, ხელისუფლების დაქირავებული მედროვე, უწიგნური კრიტიკოსების თავდასხმები, ჩასაფრებულთა ხრიკები, რომელთაც არც გალაკტიონი რჩებოდა ვალში და „მხეცის“ და „ჯალათის“ ეპითეტებით ამკობდა.

როსტომ ჩხეიძე გალაკტიონისადმი მიძღვნილ რომანში „კომიკოსი ტრაგედიაში“ (2016) ნიღაბს ხდის „მხეცის“, „ჯალათის“ ადრესატებს – ალიო მირცხულავას, ირაკლი აბაშიძეს, სანდრო შანშიაშვილს, „ცისფერყანწელებს“.

პოეტი დიდხანს იშინაურებდა, ეგუებოდა სიკვდილის გარდუვალობას: „...თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

„მილიონებში ხელისმრეველი“ (2,654), თავისი ფუძემდებლური გზის მნიშვნელობას კარგად ხედავდა შთამომავლებისთვის: „მეგობრებო, ჩვენი გზა გასწევს წელთა მრავლობას, იგი მუდამ დარჩება ხსოვნად შთამომავლობას“ (დარჩება ხსოვნად შთამომავლობას) (2, 641).

თავისი განსაკუთრებულობის რწმენა არ ტოვებდა: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა, როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“ (წელიწადები წავლიან ძველი) (2,287).

მარადიულ სიმაღლეში, მშობლიურ ცაზე შუქად გაბრწყინებული საკუთარი სულის სიდიადეს ხედავდა: „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, რას შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (2,293).

მომავალში გახმიანებული ტაშისცემის ხმას გრძნობდა, განთქმულ სახელის ტაშს, დიდებას „ცრემლი, ღელვა და მუქარა“, მოშურნეთა სისინი რომ აემგზავრებოდა, ამასაც წინასწარ იაზრებდა: „შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა... მე მომდევს განთქმულ

სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა“ (მწუხარება შენზე) (2, 346).

რომანსებს, ყვავილებზე ტრაფარეტულ სიმღერას კი არა, „სიყვარულის სიმღერას“ საღვთო სიყვარულის, რელიგიური პრობლემების, ერის სულიერების მსახური პოეზიის უპირატესობის აზრს ნერგავდა და ამაშიც შეუმცდარი იყო მისი გენია (რა დროს რომანსეროა) (2, 355).

გალაკტიონმა აღმოაჩინა ათეიზმის ეპოქისთვის „ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი სიყვარული“ (ღმერთი) „მთელი სამყარო“ – ანუ მარადიული, საკაცობრიო, სულის მზრდელი ინტონაციები (დადგა აგვისტო) (2, 380).

პოეტმა იპოვა „მზის სათავე“ (ღმერთი) (აუჩქარა ცხენმა გზაში) (2,411), მაგრამ ისიც განჭვრიტა, რომ მისი ჰუნეს გზებს გალაკტიონის თანამედროვეობა ბოლომდე ვერ გაიცნობიერებდა, თუმცა მარადიულად დაიმსახურებდა სიტყვის ოსტატის აღმოჩენები ყურადღებას: „...ამ სიჩუმეში ვინ დათვალოს გზანი, ჰუნენი? აქ წარსულშიც და მომავალშიაც შეჩერდებიან საუკუნენი“ (მთვარი ჭაში) (2,414).

როგორც ქრისტე ამაღლდა და წავიდა გალილეას, ასევე გალაკტიონს ამაღლების ადგილად მთაწმინდა ეიმედებოდა (დღეს მაისი) (2,207).

მზიდან მოვლენილი პოეტი „ცეცხლიან აზარფეშებით“ სვამდა მზის (ღმერთის) სადღეგრძელოს (შემოდგომაა) (2,253).

ღმერთის რჩეულს ემოსა „სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების“, იგი „მსოფლიო ღელვებს“ დამშვიდებით გადასცქეროდა (რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს (2,267).

თვითდაჯერების საფუძველი მართლაც ჰქონდა პოეტების მეფეს და ამიტომაც აცხადებდა: „...და იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“ (ცისფერი) (2,341).

„სილაჟვარდეში“ იწინასწარმეტყველა, რომ უღმერთო ეპოქის შვილს განსასვენებელ ზიარებაზე ღმერთის ხსენება არ მიუწევდა.

მაგრამ რწმენის გადარჩენის მაინც სჯეროდა მომავლისთვის (არ დაღუპულა) (2,246).

თავისი პოეტური სერობების სამომავლო მნიშვნელობაზე, სიძნელეზე, უკეთურობაზე და იუდას „ერთგულებაზე“ (ანუ ღალატზე, გაცემაზე) აკეთებდა აქცენტს ლექსში „ო, მეგობრებო“ (4,30), მაგრამ ისევე, როგორც ქრისტეს, გალაკტიონსაც იუდამ ვერაფერი დააკლო.

არც მაშინ ცდებოდა, როცა ბნელში ალიონის მოვლინებად თვლიდა თავისი სულის საუნჯეს და არაჩვეულებრივ სითამამესაც ამჟღავნებდა: „იგი ბნელ ქიმერებში მიყურებდა ალიონს, არავის არ შეეძლო ასე გათამამება“ (ბნელ ქიმერებში) (4,32).

არც ამ სიტყვების სისწორეში შეიძლება ეჭვის შეტანა: „არცერთ ეპოქას არ აქვს უფლება გაესაუბროს ჩემსას თამამად“ (4,62).

„მომავლის თვალით“ ხედავდა პოეტი თავის გაკვალულ გზებს: „..და მომავლის თვალი შვების გრძნობით ჭვრეტდა გამალებით... ვლიდა დროშა თაობათა – გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით“ (გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით) (8,188).

პოეტის რაში „მარადისის რაშია“ (საუბარი ტალღებთან) (8,227), ხოლო „უკვდავების ძახილი“ „დროთ საზღვარს იქით“ უხმობს (შემოდგომა) (4,37).

გალაკტიონს სჯეროდა თავისი „შორი გაზაფხულის“ (სინამდვილეში ოცნები-

სას“ (8,37).

მის შემოქმედებაში ცოცხლდება „მიწით გმობილი წინასწარმეტყველი“ (შორი ალერსი) (4,97)

პოეტების მეფემ სულის თვალით იხილა მარადისობა, უკვდავი, მარადიული მშვენიერება (მახსოვს) (2,101,102), მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზის მხარე, კაცთა ოხვრას განრიდებულმა „იდუმალ-მარადიული“ დალანდა (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (4,106) „წმინდა, შორ ქვეყანაში“ „ანგელოზთა ციური ნანა“ მოისმინა (4,125).

უფლის „თანამგრძნობი და კეთილი ჩრდილის“ ხილვამ გმირად აქცია, პოეზიის სასწაულებს აზიარა (მახსოვს) (4,113).

პოეტმა წაიკითხა „არყოფნის წიგნი“, „ყოფნის წიგნი“ გადაშალა (დღეთა გარდასულთა) (4,19).

ლანდივით იხილა „ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები (დომინო) (4,209).

ბეჭედი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა.

სიცოცხლეშივე თავისი დიდების „ახალ ელვარებას“ შეიგრძნობდა (ლანდი), „ხვალის ტფილი დღე“ სხვა, ახალ დიდებას ჰპირდებოდა: „შენ გევედრები ხვალის ტფილო დღევ, ვიცი, სხვა ახალ დიდებაში მხვევ. მიუშუქე სულს, მიუშუქე ზეგს, გაეხმაურო იმ დიდების ძეგლს“ (რაც იფნიბაღმა განვიცადე დღეს).

პოეტის გული იყო „მოუსყიდველი, მომავალის შემგრძნობი სვეტის“ (1950).

ამაღლების საწინდარია რწმენა, გულის და სინდისის განწმენდა, ღმერთი –„სიმართლის კანდელი“: „...იმ მწვერვალისკენ მივყავარ ბინდის მხოლოდ და მხოლოდ გულსა და სინდისს... მივყავარ მხოლოდ სიმართლის კანდელს“ (ფიჭვი ბიჭვინთის) (8,380).

„მომავლის აჟღერებით“ (ბარათაშვილი) არის ცნობილი გალაკტიონის პოეზია, ის არის „მოუსყიდველი, მომავალის შემგრძნობი სვეტის“ (1950).

ჭეშმარიტი სიტყვა პოეტის ძეგლია, არტილერიებით თუ ატომებით დაუმარცხებელი, როგორც გალაკტიონის ცხრა ტომი: „ძეგლად აღვმართე ჩემი ცხრა ტომი, წიგნთ შორის არ ჰყავს მათ თანატოლი, და მათ გინდ უცხო, გინდ თანატომი, ვერავითარი ვერ სძლევს ატომი“ (ცხრა ტომი).

„მამულის თვალი“ ჭვრეტს პოეტის გაკვალულ გზებს, როგორც უცდომელს, რომელსაც თაობები მიჰყვებიან: „... და მამულის თვალი შვების გრძნობით ჭვრეტდა გამალებით ... ვლიდა დროშა თაობათა გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით“ (წიგნი).

პარნასისკენ დაუღალავი სვლა, უკვდავთა შორის დამკვიდრება იყო საბოლოო მიზანი: „...უკვდავებისკენ ნავით მივქრივარ ისე, ვით წინათ მივქროდი მერნით. არ დაცხრნენ ჩანგის მიმოჟღერანი, არ დაქანცულა ჩემი მერანი, პარნასისაკენ წავა ტივტივით“ (ნავით უკვდავებისკენ).

„დროთ საზღვარს იქით“, „ბედს იქით“, ანუ ჩვეულებრივთათვის დაწესებული საზღვრის იქით გაღწევისათვის გახარჯული ტიტანური გულისხმევის წყალობით „მომავლის მზის სხივების“ ბრწყინვალებას შეიგრძნობდა პოეტი (ავრორა).

წმინდა მამების აზრით, სიწმინდისათვის უნდა ვიღვაწოთ. ცოდვილი მიწა ზეცად უნდა ვაქციოთ და ნათელმოსილნი გარდაცვალების შემდეგ მიწად კი არა, ზეცად იქცევიან. გალაკტიონი დარწმუნებული იყო, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სული მარადიულ სიმაღლეში, მშობლიურ ცაზე დაივანებდა შუქის სახით: „... შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (2,293).

ასევე ჭვრეტდა წინასწარ ამქვეყნიური ჯვარცმის საფასურს, სააქაოს დატოვების შემდეგ მშობლიურ მთებზე ამართულ თავის „ცისფერ და ნამთვრალევ“ ძეგლს: „ანგელოსები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა და ცა კივილით დაუშვებს ფარდებს ამ სააქაოს წყევლად და კრულვად. ჩამოისვენებს ბრძოლის დალევით ქვეყნის სიშავე ნისლიან ფრთებზე, ძეგლი ცისფერი და ნამთვრალები აიმართება მშობლიურ მთებზე“ (ცისფერი) (2,305).

პოეტი მეზღაურია, მენავე, ზღვის, მოგზაურთა, ხმაურისა თუ აურზაურის უტყუარად მცნობი: „ზღვას და მეზღვაურს, მოგზაურთ ხმაურს და აურზაურს ვიცნობ ზეპირად“ (შორს იალქნები ჩანან) (2, 401).

ზღვის გადალახვა ბიბლიაში ცოდვებზე ამაღლებას მოასწავებს. ქრისტე თავისუფლად აწყნარებდა ზღვას და ქარს. ხოლო „მცირედმორწმუნე“ პეტრემ როცა ზღვაზე სიარული მოინდომა, ჩაძირვა იწყო.

გალაკტიონის იდეალია „ლაჟვარდოვან ფრთების მქონე“, „შუა ზღვაზე“ გადამყვანი სიმღერები, ანუ ისეთი პოეზია, რომელიც „ხმათ აიაზმით“ განკურნავს სულს და ყოველგვარ უკეთურობაზე აამაღლებს, ზღვაზე გადალახვის (ცოდვებზე ამაღლების) ძალით აღჭურვილი რომ იქნება: „... გევედრები, გამაგონე ის სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“ (ოდეს მძიმე რამე დარდი).

პოეტი მიისწრაფოდა „ნუგეშისკენ“ (ნუგეში, ნუგეშისმცემელი საღვთო სახელია) და უზენაეს მადლობას აღავლენდა ნუგეშის გზაზე მოარული: გმადლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარები (სხვაგან სადაა).

გზაჯვარედინზე სასოწარკვეთით მდგარს, უფლის „თანამგრძნობი და კეთილი ჩრდილის“ მოვლინება გმირად აქცევდა, ჯადოსნურ, ზღაპრულ ჰანგებს ჩააგონებდა (მახსოვს) (4, 113).

ლექსში „ო, ქვეყნიურო სამოთხე“ ისევ პოეტის წარმატებების მიზეზებზე კეთდება აქცენტი: „... ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, ო, მშვენიერო ოცნება, ო, ქვეყნიურო სამოთხე!“ (2,431)

„დიდი დღე“ სამყაროს შემქმნელი ღმერთის სახელია (დანიელი, 7,9) (6,255).

„... ქვეყნიური სამოთხე“ – მარიამია (7,124) ე.ი. ისევ რელიგიურობაა წინა პლანზე.

გალაკტიონს სჯეროდა, რომ ყოველი პოეტის ნაღვაწი განიკითხებოდა: „მინდა პოეტებს ვუთხრა გარეშეს, გადმოხეთქილი ზარად, ზათქებად, ჯერ არ დამდგარა დრო ანგარიშის, მაგრამ დრო იგი მალე დადგება“ (მინდა პოეტებს ვუთხრა გარეშეს) (8,438).

გალაკტიონი არ იზიარებდა სოციალისტური რეალიზმის ყალბ ორიენტირებს, რაც უპირველესად წყობილების, ხელისუფლების აგიტაცია-პროპაგანდაში, ღმერთის უარყოფასა და ახალი, მიწიერი კერპების აღმოჩენა-განდიდებაში, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების უცდომელ ჭეშმარიტებად გამოცხადებაში ვლინდებოდა.

პოეტების მეფე მხოლოდ ღმერთის, რწმენის მონა იყო: „თუ მონა ხარ, მონა ისევ საკუთარი რწმენის“(იდეა).

დღეს, როცა სასაცილოდ ჟღერს გალაკტიონის მიერ სოციალიზმის მეხოტბეობა-მომღერლობის მითი, აშკარაა, რომ პოეტი სწორი გეზის პოვნამ გადაარჩინა დავიწყებას.

სწორი გეზი კი რელიგიურობა, რწმენის ერთგულება იყო: „გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი).

ღმერთი სიყვარულია (იოანე, I, 4,8).

„სიყვარულის სიმღერა“ რელიგიური ლირიკაა.

ესაია წინასწარმეტყველი ამბობდა: „ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე“ (6, 76), შეყვარებული, სატრფო – ღმერთია, ვენახი – ებრაელი ხალხი.

გალაკტიონის „შორეული სატრფო“ ღმერთის სახელია. უზენაესს მიემართება მისი მხატვრული სიტყვის ძალისხმევა უპირველესად, ასევე ღმერთს – სამშობლოს და ღმერთის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანს.

პოეტების მეფის შემოქმედებაში ღმერთის ერთ-ერთი სიმბოლური სახელია წიგნი, მშვიდობის წიგნი, რომელიც საწინდარია ამაღლების, გადარჩენის, მომავალში გაღწევის: „... ვიდგეთ გარეთ და შიგნით მხოლოდ მშვიდობის, წიგნით... კვლავ ვიწევთ მაღლა, მაღლა მხოლოდ მშვიდობის წიგნით. შევხვდით მომავლის ხალისს მხოლოდ მშვიდობის წიგნით!“ (სადაც არ უნდა ვიქნეთ) (335,3)

წიგნთან ერთად გზაც საღმრთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (5,211).

ლექსში „მე მივდიოდი ერთი“ უცდომლად განჭვრიტა გალაკტიონმა საკუთარი პოეტური გზა, თავისი გავლენა თანამედროვეებზე, ჯერ ერთიდან შვიდამდე, მერე კი ათასამდე და მილიონებამდე გაზარდა ოსტატ-შეგირდების, თანამედროვეებისა და მიმდევრების რიცხვი.

გალაკტიონის ძიება იწყებოდა ასოდან, რიცხვებიდან, საგნებიდან. იგი ეძებდა „ბგერა-ბგერა, საგან-საგან“.

„ასოსა და რიცხვის ზღვარზე ყოფნა ცხოვრების ძირამდე მისვლას ნიშნავს და ასოებსა და რიცხვებში ჰარმონიულად განვითარებული ადამიანები ახდენენ აღმოჩენებს“ (10,4).

პოეტს „მომავლის მზის სხივები კანდელივით დაჰქათქათებდა“ (ავრორა) ანუ მომავალ პოეტურ დიდებას აწმყოდანვე შეიგრძნობდა.

„ქვეყნად ყოველი არსის სულის მეუფე“ პოეტს თავისი მზე ამოჰყავს ცაზე, იგი თვით არის „ახალი მზე“, ალიონი, გათენება.

მისი „მომავლის მზე, ხვალის მზიანი დღე, შუადღის ბრწყინვალება“ სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი პოეზიის რენესანსულობის შეგნება.

იგი შეჰხარის „მომავალს მზიანს, ... უსივრცოდ მზიანს“.

პოეტის სულში „არა ერთი და ორი“ ვარსკვლავი ანთია გენიალური გასხივოსნების, ინტელექტუალური და ინტუიციური წვდომის, ნათელმხილველობის მაუწყებელი: „არა ერთი და ორი, არა ორი და სამი, მახსოვს ვარსკვლავი შორი და განათების წამი“ (არა ერთი და ორი).

დემონზე უბოროტესი სული ფიქრთა უმრავლესი ვარსკვლავის აელვარებით მარცხდება (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა).

წინასწარმეტყველური გამოდგა გალაკტიონის სიტყვები: „მე კი ჩემი დამიფარავს მთაწმინდა“ (დღეს მაისი).

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მთაწმინდის მთვარის უკვდავმყოფელს სამუდამო ადგილი მიუჩინა ჩვენს პოეზიაში.

თანამედროვე ხელისუფალთაგან ბევრჯერ შეგნებულად უგულებელყოფილს, ჯვარცმულს, მომავლის ძეგლები ეზმანებოდა: „აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი, ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით, იქნება, ბევრი რამე იქნება, მაგრამ ამქვეყნად ჩვენ არ

ვიქნებით. ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი, ეხლა რომ ოხვრით შამბში ვარდება, ხვალ ისტორიის წინაშე მდგომი აქ სულ სხვაგვარად აღიმართება. ახლა კი ხელი მივცეთ ერთმანეთს, ხომ მოგვივლია ხმელეთი, ზღვები. ეხ, მომავალო, შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები“ (აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი).

სამშობლოსთან, ბუნებასთან, ქართველის მაჯასთან მიყურადებული გული აძლევდა პოეტს წინაგრძნობის, წინასწარმეტყველების ძალას: „მე მშობლიური არაგვი მირჩევს წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად, ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს ომში სიცოცხლე ჩათვალოს არად“ (მე კავკასიის ქედები მთხოვენ) (5,631).

პოეტისთვის ძიებაში მთავარი იყო „მზის სათავის“ (მზე საღვთო სახელია) პოვნა, როგორც გამარჯვების გარანტის: „ნაპოვნია მზის სათავე“ (აუჩქარა ცხენმა გზაში) (2,411).

გრძნობდა სულის ანთებას: „სულო, შენ გაალდები!“ (თენდება), „სულის ხმოვნებას ლოცვის სიმხურვალეში“, ენატრებოდა „ანთების წამი“, „ცეცხლისტოტება წამი“, განათების წამი“, ანუ „უხილავის“, „მომავლის ჩრდილის“ მოხელთება.

ხილვა, ხსოვნა, წარსულის და მომავლის უცდომელი ჭვრეტის, მომავლის გაგების საწინდარია.

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (მთვარის ნაამბობიდან) (5, 603) ღრმააზროვანი განაცხადია ისევე, როგორც „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“ (თენდება, გათენდა) (3,712).

რუსთაველის სამყაროს, მისი პიროვნული თავისებურებების ცნობა დიდი სტიმულია სულის გზაზე, რათა გათავისებულ იქნეს დიდი წინაპრის პოზიტიური ნააზრევი, მოხდეს ახალი გზების განჭვრეტა და არა მისი ნააზრევის გამეორება-გადამღერება.

გალაკტიონის უმთავრესი ესთეტიკური პრინციპებია გამოგონება, აღმოჩენა, შექმნა.

მისთვის „თვითეული პოეტი გამომგონებელია“.

„მშვენიერებით ვიპოვე უცხო წალკოტი და ბინა“ – (მშვენიერებით ვიპოვე) (4,46), აცხადებდა უმაღლეს მშვენიერებასთან და უკვდავებასთან წილნაყარი პოეტი.

წინათგრძნობის მუხტს, ინფორმაციის შემკრებს პოეტისათვის ბუნება, მთა თუ ხეხილი წარმოადგენდა: „...ქვეყნად ბნელოდა, მთა მოიკუპრა, წინათგრძნობებით თრთოდა ხეხილი“ (ზღვა-ზღვა, მთა-მთა) (1,353).

აღმოჩენაა დიდი შემოქმედება. პოეტი ამბობს: „ჯერ ყველასგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული“ (დადგა აგვისტო) (2,380). ეს იყო თანამედროვეთაგან დავიწყებული საღვთო სიყვარულის აღმოჩენა.

ინსტინქტი, ინტუიცია კარნახობდა ხილულის მიღმა ეძებნა მოსალოდნელი მოვლენები: „საათო, მესმის შენი ტიკტიკი, მას რაღაცა სურს სთქვას... მოგონებებს ვსდევ და ინსტინქტი კი მეუბნება სხვას“ (საათი) (2,499).

გალაკტიონის დევიზი იყო შეექმნა „უახლესი გრძნობის ისტორია“..

მისი მიზანი იყო განახლება, ხმათა აღორძინება, ახალი კართაგენის აღმართვა (918) სიყვარულით აშენებული კოშკის დაცვა (კოშკი).

„უეცარი ქალაქის“ აღდგენა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მარიამისადმი რწმენის განმტკიცებას უნდა გულისხმობდეს, რადგან ქალაქი მარიამის სიმბოლური სახელია (9,124).

გალაკტიონი პოეზიას სულიწმინდის მადლად მიიჩნევდა, ხოლო შემწედ ეგულებოდა მზე (ღმერთი), ღრუბლები (მარიამი). რწმენა ერთ ცხოვრებაში ათასი წლის შესაძლებლობებს ანიჭებდა, ხოლო იდუმალი ხმა დილის ძედ სახავდა: „... აგერ მზის ამომთოვრება, მაღლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა... გადაამრავლა უმალი მსგავსი წუთისა, ჩრდილისა და მესმის ხმა იდუმალი: „წამოდექ, ძეო დილისა“ (ნიავი, ია, ნარგიზი) (1,571).

გალაკტიონს აინტერესებდა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მიმართება მსოფლიოსთან, ამ პრობლემას თავისი შემოქმედების მაგალითზე მოიაზრებდა და ხაზს უსვამდა თავის ერთადერთობას, მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე ახალი მერიდიანის გავლებას (ეფემერა).

პლანეტარული ქაოსის გამომხატველი, „მომავალ საუკუნეთა დღესასწაულზე“ ჭვრეტდა საკუთარ პოეზიას (წერილი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“).

გალაკტიონის უსახლო, უნავთსაყუდლო სულმა მოიარა მიწის კალთა, ეს ბედისწერა იყო, რადგან, მისივე თქმით, პოეტი არის „მსოფლიო ძალა უგეში“ (პოემა ვეფხვისა), მაგრამ აწუხებდა „საზღვარი, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეული“.

საკუთარი უტყუარი დიდების განცდით არის სავსე გალაკტიონის პოეზია.

პოემა „მშვიდობის წიგნი“ „მნათობმა“ დაუწუნა და დაბეჭდვის ღირსადაც არ ცნო, გალაკტიონი კი მის „მსოფლიო სახელზე“ ოცნებობდა: „მანქანაზე გადაბეჭდილი წიგნი, რომელიც მსოფლიო სახელს მოიპოვებს“.

დღეს აშკარაა ამ ნაწარმოების სიდიადე.

მსოფლიო წონის პოეტებად სამართლიანად ესახებოდა წინაპარი კლასიკოსები, თავის თავთან ერთად: „შენს შვიდ მგოსანს სახალხოს, შვიდს – დაფნისგვირგვინიანს, რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკისა და ვაჟას – დროშებს ვარდყვავილიანს ვუწვდი: მთელი მსოფლიოს ნახევარი ჩვენია!“

„საკუთარ ძლიერ სიმღერის გრძნობამ“ ათქმევინა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში: „მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ!“

არც ეს ჩანაწერი აღმოჩნდა საფუძველს მოკლებული: „გალაკტიონოლოგია ისეთი დარგია, რომლითაც უნდა დაინტერესდეს მთელი მსოფლიო“.

ფუჭი ამბიციურობის შემდეგი როდია ეს თვითდაჯერებული განაცხადი: „შორს არ არის ის დრო, როცა კვლავ იგრიალებენ გაზეთები, ქუჩები, თეატრები. ამ ხმას აჰყვება მსოფლიო. გაუმარჯოს მსოფლიო რეზონანსს!“

მსოფლიო პოეტურ პროცესებში ღრმად ჩახედული კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „მე ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც ჩვენს ქვეყანას და არც ჩვენ პლანეტას არ მოეპოვება“.

ასე ფიქრობენ ის შემოქმედნი, რომელთა მზერა შურს ვერ დაუბინდავს: „მეოცე საუკუნის მსოფლიოში არ არსებობს გალაკტიონზე დიდი პოეტი (ტოლფასოვანი – კი)“ – მუხრან მაჭავარიანი.

ვახტანგ ჯავახაძე ასე განჭვრეტს გალაკტიონის პოეზიის მასშტაბურობას: „იგი ლაპარაკობდა, როგორც კაცობრიობის შვილი, როგორც პლანეტის მოქალაქე“ (უცნობი, 1984წ. გვ. 573).

აი, როგორ აფასებენ პოეტების მეფეს: „გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია“ (ნოდარ დუმბაძე).

„მოვა დრო, როცა კაცობრიობა გალაკტიონ ტაბიძეს გენიალურ პოეტად აღია-

რებს“ (გურამ ასათიანი).

„ჩვენი დროის ყველაზე დიდ პოეტად მე ვთვლი გალაკტიონ ტაბიძეს“ (ბულატ ოკუჯავა).

მერაბ კოსტავას აზრით, სამყაროს შემცნობი პოეტი თავად არის კოსმოსი: „გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი“.

მხოლოდ მესიური მასშტაბები, მაკროკოსმიური კაცი, ზოდიაქალური ველები, სივრცეებს მიღმა სივრცეები იხილვება გალაკტიონის პოეზიაში: „გრძნობდი მასშტაბებს მხოლოდ მესიურს, ქმნადობის ცეცხლით ატაცებული... მაკროკოსმიურ გადიქეც კაცად... დროის და სივრცის დაჰკარგე განცდა, ზოდიაქალურს მოედე ველებს. სივრცეებს მიღმა სივრცეს ეძებდი, კოსმოსში გსურდა დარჩენა კვლავაც, სულს სხეულისთვის ვერ იმეტებდი, გარდუვალობას შეჰღრენდი ავად“ (მერაბ კოსტავა, გალაკტიონი, გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1996წ. №4 (გვ. 5).

სხვა პრობლემა და ცალკე კვლევის თემაა კოსმიური მუსიკის, კოსმიური ჰარმონიის, საღვთო მუსიკის მოსმენა-გათავისება გალაკტიონის მიერ, რაც რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 2, თბ. 1994
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
3. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ. 1983
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
7. საპატრიარქოს უწყებანი, 12 (498), 9 აპრილი, 2009
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 3,თბ. 1993
9. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
10. აპოლონ ჟორდანია, დრო და თანამედროვენი, თბ. 1985

თავი VII
მხოლოდ გამაჯვებით ბედთან შეჩივება
გალაკტიონ ტაბიძის „შერიგება“

გალაკტიონ ტაბიძის ეპოქა ღმერთისაგან გაუცხოებით, უზენაეს საწყისებთან განშორებით გამოირჩა. დროის ეს ავბედითი დაღი მრავალგზის გვაგრძნობინა პოეტმა განუმეორებელი მხატვრული სახეებით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გალაკტიონის შემოქმედების ტრაგიზმის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელია უფლის უარყოფა და, აქედან გამომდინარე, მაღალი სულიერების, სიკეთის გაუფასურება. თვით პოეტს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ზეცასთან, სიკეთის ღმერთთან.

თითქოს პოეტების მეფეზე გაცხადდა ბიბლიური ჭეშმარიტება: „აჰა, წყვდიადი დაფარავს ქვეყანას და ბნელი – ხალხებს, შენზე კი უფალი ინათებს და მისი დიდება გამოგეცხადება“ (ესაია, 60,2).

გალაკტიონი ტაძრისკენ მისასვლელი გზების ძიებას, სიბნელეში გზის გაგნებას შთააგონებდა „ძილქუშის სულით“ შეპყრობილ საზოგადოებას. მის ლექსებში „ორეული მზის“ პარალელურად, „შორეული მზე“ ანათებს, ანუ პოეტს რომ დავესესხოთ, „ნამდვილი მზის ნათელი“, „გაზაფხულის წმინდა დილა“. გაზაფხული, ზაფხული კი ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოებია. „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 64/65,12).

პოეტი აფიქსირებდა „გაზაფხულის წმინდა დილის“, „ნამდვილი მზის“ გაუჩინარების სამწუხარო ფაქტს, რაც უღმერთო არსებობაზე მიმანიშნებელია: „ასე რისთვის შეიცვალა გაზაფხულის წმინდა დილა, თუ ღიმილი მხიარული შენთვის ჯერაც არ ყოფილა? ასე რისთვის მიეფარა მზე დაღვრემილ მთის მწვერვალებს, თუ ნამდვილი მზის ნათელი არ უნახავთ ჯერ შენს თვალებს?“

ლექსის ლირიკული გმირი ნატრობდა განწმენდას, ღმერთთან შერიგებას, მაგრამ ამის ნიშნებს ვერ ამჩნევდა და გულისტკივილით ამბობდა: „შერიგების მოლოდინში ბედი ჯერაც არსაით სჩანს, და არ ვიცი კაცი, ვინაც არ იცნობდეს მაგ კაეშანს“ (ასე რისთვის?).

როგორც ზემოთდამოწმებული ლექსიდან ჩანს, ამ შემთხვევაში შერიგების ცნებას გალაკტიონისთვის აქვს მხოლოდდამხოლოდ რელიგიური აზრი.

წინასწარმეტყველთა წიგნებში, პავლე მოციქულის ეპისტოლეებში შერიგება ღმერთთან ადამიანის მიბრუნების გაგებით იქცევს ყურადღებას.

მივმართოთ მაგალითებს: „აჰა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 2,23).

„ის შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას ქვეყანა შეჩვენებით არ შევმუსრო“ (მალაქია, 3,24).

პავლე მოციქული საუბრობს ღმერთთან შერიგებაზე, შერიგების მსახურებასა და შერიგების სიტყვაზე: „ყოველივე ღვთისაგან არის, რომელმაც შეგვირიგა იესო ქრისტეს მეშვეობით და მოგვცა შერიგების მსახურება“ (II კორინთელთა, თ.5,18).

„იმიტომ, რომ ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა“ (იქვე, თ, 5,19).

„ამჯერად ჩვენ ქრისტეს სახელით ვართ მოვლენილნი და თავად ღმერთი შეგაგონებთ ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს“ (იქვე,

5,20).

იმავეს ქადაგებს პავლე მოციქული, როცა მიმართავს რომაელებს: „ვინაიდან, თუ მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს, როცა მტრები ვიყავით, მით უმეტეს, შერიგებულნი გადავრჩებით მისი სიცოცხლით“ (რომაელთა მიმართ, 5,10).

„უფრო მეტიც, ვიქადით ღმერთით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მეშვეობით, რომლის წყალობითაც მივიღეთ ახლა შერიგება“ (იქვე, 5,11).

„ღმერთთან ჯვრის მეშვეობით შერიგებაზე“ საუბრობს პავლე მოციქული მიმართვაში ეფესელთადმი (2,16), კოლასელთადმი (1,20).

გალაკტიონი „დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული ყვავილებისა და ვენახების“ სახეებით მიგვანიშნებს თავისი თანამედროვე ეპოქის ხასიათზე, რომელიც ღმერთისუარმყოფელი სულით დაიდაღა. „ყვავილი“ და „ვენახი“ საღმრთო სახელებია.

„ყვავილი აბრამისა“, „ყვავილი გულისა“, „ყვავილი საღმრთოი“, „ყვავილი ცხოვრებისა“ იესო ქრისტეს სიმბოლური სახეებია.

ასევე, ქრისტეს სიმბოლოა „ვენახი ჭეშმარიტი“, „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაჩემი მოქმედი არს“ (იოანე, 15,1).

„დაუსრულებელი სეტყვა“ ურწმუნო ეპოქის მეტაფორული გამოხატვაა, რელიგიის, რწმენის ამოძირკვისაკენ მიმართული.

გალაკტიონი გმობდა ვაიპოეტების ღრიანცელს, „უსაგნო კამათს“, წმინდა ცრემლებით, „ღრმა მოგონებებით“ ათენებდა, სჯეროდა, რომ ჯერ ყოველივე არ იყო დაღუპული, რომ კიდევ იქნებოდა სულის ამაღლება და ბედთან შერიგება უზენაესის სახელით: „შენ ნუ დაეცემი, შენ ნუ შეშინდები, გულის უდაბნოსთან ბრძოლას ეგ არ იგებს, ყველა ამაოა, ჯერ არ შებინდდება, მხოლოდ გამარჯვება ბედთან შეგვარიგებს“ (არ ღირს ერთ ცრემლად).

პოეტი ქარიანი მარტის დამარცხებით მიგვანიშნებდა უკეთურობის აღსასრულს, სიწმინდით, სინათლით ივსებოდა, ამაღლებული სულით ქმნიდა მშვენიერების სადიდებელს სულიწმინდის მადლით ცხებული სიტყვისა და მუსიკის ვირტუოზი: „ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი, თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები და წავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“.

პოეტური ძლევამოსილების მასაზრდოებელია სიწმინდე, სითეთრე.

თეთრი სინათლის, სიწმინდის, სილამაზის, უმანკოების, წმინდანობის, სიხარულის, ბედნიერების, ნათლისღების ფერია. ქართული მონათვლაც ქრისტიანობას უკავშირდება“ (ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება“, ბუენოს აირესი, 1953 წ. გვ. 133).

პოეტების მეფე ნამდვილ, მარადიულ მზის ნათელს ჭვრეტდა ყველგან, მზისა, რომელსაც ღვთიური ალით უნდა აეზამბახებინა ბაღები, ანუ გაემშვენიერებინა ადამიანის სული (ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით). უკვდავების ყოვლისშემძლეობა ვლინდება ყველაფერში: „დღეს ყველგან მზეა: ეხლა ამ ბაღებს და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს, მაისი ალით ააზამბახებს, ვით შეყვარებულს და მეოცნებეს“.

მარადიული შუქის მადლით გაალებულად განიცდებოდა მყინვარის თოვლის იაგუნდებიანი გვირგვინიც და პოეტის დაფნის გვირგვინიც: „ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი, ლამაზი შუქთა მარადი ნთებით: მე – მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე, მყინვარს – უმძიმეს იაგუნდებით“.

სპეტაკი სულით მაღლდებოდა პოეტი აკლდამაზე (სიკვდილზე) მშვენიერების სადიდებელი ლექსებით წვდებოდა უკვდავებას, ყველგან მზეს, სილამაზეს, უზენაესს ჭვრეტდა და სიკვდილსაც ღმერთის სახელით ურიგდებოდა: „ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე მშვენიერების ლექსით მქებელი: დღეს ყველგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“ (შერიგება).

არა განშორება, არა დაცილება, არამედ ღმერთთან შერიგება ეიმედებოდა უკვდავების კარიბჭესთან გალაკტიონს.

განშორების გულისტკივილი, განშორების წამებში ჩამქრალი სანთლები, ღმერთისაგან განშორება აწამებდა ტერენტი გრანელს და ელოდა განწმენდას, შერიგებას: „და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“.

ღმერთის რწმენით კი სიკვდილის შიში მარცხდებოდა, ვინაიდან წმინდა სულის ადამიანებს მარადიულ სასუფეველს ჰპირდება უზენაესი. გალაკტიონისათვის ამის შეგნებით სიკვდილის შავი გზა ვარდისფერ გზად გარდაისახებოდა (მთაწმინდის მთვარე). ტერენტი გრანელისთვის აღსასრულისას ჩამქრალი სანთლები კი არა, „სიკვდილის ცისფერი წამები“ უნდა აციმციმებულიყო. ასე ამარცხებდა ღმერთის, სულის უკვდავების რწმენა ცოდვებს და აახლოებდა უზენაესთან შერიგებას.

გადარჩენის ჰიმნი და გადარჩენის ბედნიერება

მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ყოფნა-არყოფნის საკითხი, რადგან რუსეთმა მეორედ მოახდინა საქართველოს ოკუპაცია 1921 წ. 25 თებერვალს და სისხლში ჩაახშო 1924 წლის აჯანყება.

სატანისტური ბოლშევიზმის ძალმომრეობისგან გადასარჩენი იყო თავისუფლების იდეა, სულიერება, რწმენა, დასაბრუნებელი იყო დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

„ქორმეძებრიანი ცენზურის“ (კ. გამსახურდიას ტერმინია) მძლავრობის მიუხედავად, ქართველი მოღვაწეები მაინც ახერხებდნენ ამოფარებოდნენ იგავურ აზროვნებას, სიმბოლო-ალეგორიებს და „კულტურის დიქტატურის“ დევიზით იღვწოდნენ ფედერალისტები კონსტანტინე გამსახურდიას მეთაურობით ქართული ეთნოსის, თვითმყოფადი კულტურის, სულიერი ფასეულობების გადარჩენისთვის. ეს ძალზე სახიფათო იყო, რადგან გამუდმებით ფხიზლობდა „გაიძვერა მოყვარე“ და ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა რწმენას, პატრიოტიზმს შოვინიზმად აცხადებდა, კრძალავდა ცხოვრების ფილოსოფიური საზრისის ძიებას, ეროვნულ გენზე, მშობლიურ ძირებზე, ფესვებზე წერას. ყინულოვანი მონსტრი აფეტიშებდა ინტერნაციონალიზმს, კოსმოპოლიტიზმს და ცდილობდა თავის ბოროტების იმპერიაში ძალით შერეკილი ხალხებისთვის საკუთარი ენის, ცნობიერების თავს მოხვევას.

მაგრამ ეპოქალურ წარღვნას, მეფისტოფელური ძალების იერიშებს მაინც გაუძლო ქართულმა სულმა და შექმნა საკაცობრიო მნიშვნელობის პროზა, პოეზია, მუსიკა, თეატრალური ხელოვნება.

ეროვნული ფენომენის გადარჩენისათვის მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული იყო გალაკტიონ ტაბიძის როლი. იგი პოეზიას სულიწმინდის მადლად სახავდა და მხატვრული სიტყვის უპირველეს მისიას, განსხვავებით პროლეტარული თაობების და სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებისგან, რწმენის, ეროვნულობის, სულიერების მსახურებაში, ცხოვრების რაობისა და ადამიანის დანიშნულების განსაზღვრაში ხედავდა, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების განჭვრეტასთან ერთად, მომავალში გასაღწევი გზების გასიგრძეგანებას ცდილობდა.

შემთხვევით არ ჩნდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ტერმინები: გადარჩენა, აღორძინება, განახლება, აღდგომა.

სათქმელის პირდაპირ გამჟღავნების შესაძლებლობას წითელი ცენზურა არ იძლეოდა და პოეტიც ენიგმურ სახეებს, ურთულეს მეტაფორებს ანდობდა სათქმელს, რათა ემხილებინა „მეფისტოფელის საუკუნე“ და ქრისტეს გზაზე მიენიშნებინა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პოეტმა ზედმიწევნით შეძლო. ამიტომ არ კარგავს თავის ჯადოსნურ ძალას მისი ღრმა ქვეტექსტებით სავსე პოეზია... იგი ისეთი აქტუალურია, თითქოს ამ ეპოქისთვის იყოს შექმნილი, რადგან დღესაც უმწვავესია ის პრობლემები, რასაც ყოფნა-არყოფნის დილემამდე მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა.

„ათასის მხედველობის“ მქონე პოეტის ლირიკა ეპოქის ტრაგიკულ მოვლენებს ირეკლავდა, მაგრამ ამასთან, „ცის და მიწის შეზავების“ საიდუმლოებებს ნაზიარები სული შინაგანად საბოლოოდ გაწონასწორებული ჰქონდა ცხოვრების კანონზომიერებათა შეცნობის, ზეციური სიბრძნის მიგნების წყალობით. მის შემოქმედებაში პიროვნული ტკივილი, განსაცდელი ყოველთვის ნასაზრდოებია საზოგადოებრივი უბედურებით, მაგრამ უიმედობა მარცხდება უზენაესი გონით, ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი, სამყაროს შემოქმედისგან გაბრძნობილი ძლევამოსილი სულით. ეს ნუგეშის ფორმულა კი ჩამოყალიბებულია ასეთნაირად: „რაც აირევა და დაირევა, რაც დაინგრევა, კვლავ აშენდება“ (მშვიდობის წიგნი).

უმაღლესი წყარო ამ ოპტიმიზმისა, ხსნის გზა მხოლოდ მაღალზნეობრივი ცხოვრება და ღმერთია – სიყვარულით სახელდებული: „გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი) (1, 429-430).

გალაკტიონი ქმნიდა „ლოდინის სიმღერას“, ელოდა „შორი გაზაფხულის“ გამობრწყინებას, მარადისის მოვლინებას, რისთვისაც მზად იყო უყოყმანოდ გაეწირა წარმავალი, დღევანდელი ყოფნა: „ჩემს შორ გაზაფხულს უდარაჯებს სიცოცხლის ვნება, იმ შორ გაზაფხულს, ძლიერად რომ გამობრწყინდება. სინამდვილეში ოცნებისას ავანთებ კანდელს, იმ შორ გაზაფხულს ფეხქვეშ ვუგებ ყოფნას დღევანდელს“ (სინამდვილეში ოცნებისას) (1, 37).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული, საღმრთო სახელია.

თასი მარიამის სიმბოლოა (4, 184-185) „სიცოცხლის ჩანგი“ ქრისტესი (4, 38-39).

რწმენის, სიკეთის, ადამიანური სულის გადარჩენისთვის იბრძოდა პოეტი მთელი ცხოვრება, „განადგურების ეკლიან გზაზე“ უნდა გამოეტარებინა, „მუხთალი, შავბნელი ძალისგან“ უნდა გადაერჩინა „ყვავილები“: „ველი, ვიბრძოლებ... მე ამ ყვავილებს ვატარებ, სანამ მექნება ძალი, რომ არ შეეხოს მას სისასტიკის ძალა შავბნელი, ხელი მუხთალი და მუდამ გავზრდი გულში იმ იმედს, რომ სადღაც არის ისეთი მხარე, სადაც ედემი ჰყვავის მზიანი, სადაც არ არის სული მწუხარე“ (მე ამ ყვავილებს) (5, 59).

ყვავილი, ვარდი საღმრთო სახელია. ეს სახე მომდინარეობს სოლომონის ქებათა ქებიდან: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (2, 12) (6, 15).

ედემი, სამოთხე მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა: „გიხაროდენ, რომლისა მიერ განეღო სამოთხეი“ (დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა) (7, 9).

სატანის, ბნელის აღზევების პერიოდში ღმერთის ერთგულება, ლოდინის სიმღერის გავრცელება, სათნოების მკვდრეთით აღდგენა დააკისრა პოეტს განგებამ: „ვით ლოცვა, ედება საღამო მთის კალთებს, შორს ქარი გაჰკივის, ბნელდება თანდათან. მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს და შენი ლოდინის სიმღერას გავატან“ (ლოცვისთვის) (5, 281).

უმაღლესი იდეალების გადარჩენისთვის ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლა ხმალზე უფრო ძლიერი კალმით: „მე კიდევ წავალ, მე კიდევ ვივლი, გათენებამდე უნდა ვიბრძოლო... არა ერთი მსურს ვპოვო ყვავილი და დამჭკნარები გადავისროლო“ (შემოდგომის ყვავილები) (5, 183).

პოეტი იძლეოდა „ვარდობისთვის ვარდებით თრობის“ მაგალითს, იყო ერთგული ქრისტიანული ეთიკის: „ო, მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“ (მაისის ისრით) (5, 53).

გრიგალისგან (ბოროტებისგან) სანთლის ჩაქრობის შიშს ამარცხებდა დედა-ძის მარადიული სახეების მოვლინება, პოეტი ეძებდა თავის მარადიულ იდეალს – „ზამბახის პრინცესას“ და „ცისფერ ვარდებს“: „მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“ (ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ) (3, 281).

ზამბახის პრინცესა მარიამის სახელია (8, 13-18), „ცისფერი ვარდები“ – ქრისტესი (8,98).

ურწმუნო ეპოქაში პოეტი მოწმე გახდა „ლურჯ ყვავილების თელვის“ (საღამო) (1, 97). „გრძნობათ დამხობის“, მაგრამ მას არასოდეს დავიწყებია თავისი „შორეული ტრფობა“ ანუ უზენაესი: „მე დამავიწყდა ძველი წვალება და ვალალება გრძნობათ დამხობის. და მახსოვს მხოლოდ ცისფერთვალება, იდუმალება შორეულ ტრფობის“ (ის) (1, 4).

„შორეული სატრფო“, „სრული ტრფობა“ ღმერთის სახელია გალაკტიონის პოეზიაში (8, 113)... და მისი წყაროა სოლომონის „ქებათა ქება“: „...ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“ (5, 16) (6, 17).

ზეცაზე ისევ ის „მშვილდი“ (ცისარტყელა) ეგულება და ისევ მას ერთგულებს, როგორც ზეცის შვილი: „არაფერია, ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს, იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი, იმ სადღეგრძელოს“ (მაისის ისრით) (5, 53).

ცისარტყელა საღმრთო სახელია (9, 112).

„გადანახულ დროშებში“ თუმცა გადამწვარი სასახლე, გადამხმარი ბაღები, ამომშრალი წყარო და მჭკნარი ფოთლების სევდაა, მაგრამ ამასთან არის „სხვა გაზაფხულის“ (ღმერთის) მოგონება, მთაზე, კლდეზე გამოსახული, მომავლისათვის შენახული რწმენის დროშების ერთგულება (1, 14). მთა მარიამის სახელია და მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: „ჰხედევდ, ვიდრე არა გამოეკუეთა ლოდი მთისაგან თვინიერ ხელთასა“ (დანიელი, 2, 34). აქ მთა მარიამის სიმბოლოა, ლოდი კი – ძე ღმერთის.

კლდე ქრისტეზე მიგვანიშნებს: „უფალი ღმერთია საუკუნო კლდე“ (ესაია, 26, 4)

(6, 91).

პოეტს არასოდეს ტოვებდა ნუგეშის ღმერთის სახე: „გმადლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარები“ (სხვაგან სადაა) (3, 802).

„ნუგეშისკენ“ რაშით სწრაფვაა ლექსში „მწუხარება შენზე“: „...მე ვიხდი ნიღაბს, მომგვარეთ რაში, შენთან, ნუგეშთან, ო, ჩქარა, ჩქარა, მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა“ (3, 346).

„ნუგეშის“ სახის წყაროა ბიბლია: „მე ვარ, მე, თქვენი ნუგეშისმცემელი...“ (ესაია წინასწარმეტყველი, 51, 12) (6, 112).

ნუგეშის ძალით მარცხდება ობლობა, ყოველგვარი სიძნელე: „არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე, შენ მეგულები ნუგეშად სანამ“ (არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე) (3, 605).

ნუგეშის ღმერთი ფანტავს ბოროტების ნისლს, კრიზისის წუთებში ჩნდება „ბროლის ზმანების“ თანამგრძნობი თვალები, იგი აჩერებს ჩახმახისკენ გაწვდილ ხელს, სიბნელეს ამარცხებს და შუბლს მისი ზებუნებრივი ნათელი ასხივოსნებს: „ვიცი, პოეტის გატეხილ სახელს ბრბო არ დაინდობს გასათელავად, მაგრამ შენი მზე სიბნელეს გახევს და დაადგება შუბლს ნათელივით“ (ნუგეში).

თვალი საღმრთო სახელია: „ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ (იგავნი სოლომონისა, 10, 627).

ლექსში „რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!“ „გაზაფხულის“, „ოქროსთმიანი დღის“ (გაზაფხულთან ერთად დღეც საღმრთო სახელია) მოვლინების სიხარულია: „დღე წამოიჭრა ოქროსთმიანი, დღე ახალგაზრდა და გამბედავი“.

შემდეგი სტრიქონების „მზე“ და „საუნჯეც“, რომლებიც აღმოსავლეთს მიემართება, ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოებია: „მზე დედამიწას სუნთქვას უდიდებს, სადაც ძეგლები არის დარგული, აღმოსავლეთით ის მიუთითებს: იქ საუნჯეა გადამარხული“ (1, 25).

მზის საღმრთო სახელად მოაზრების მაგალითები მრავლად არის ბიბლიაში. დავიმოწმებთ ორიოდეს: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 12) (2, 614).

მალაქიას წინასწარმეტყველებაში ღმერთს ეწოდება „მზე სიმართლისა“: „ამოგიბრწყინდებათ, ღვთის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (3, 2, 6, 307).

მებრძოლ პოეტს უზენაესის „ბრწყინვალების და გამარჯვების სამოსელი~ ეზმანება და „მშვიდი მოლოდინით“ გასცქერის მზის ამოსვლას: „რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს, ვიცი, ახლოა ის, ვისაც ველი. მას სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების მოაქვს მებრძოლი პოეტისთვის. დასცხრით, ტალღებო, მზე ამოდის აღმოსავლეთით, მზე ამოდის არა ერთი და ორი“ (რა დამშვიდებით გადავცქერი) (5, 265).

პოეტის მოლოდინის ადრესატი მზეა – ღმერთი.

გალაკტიონი არის მზითშემოსილი, როგორც წმინდანები: „...მე სხვა მზე მმოსავს როგორც შეჰფერის საქართველოს სახალხო მგოსანს“ (დღეს შემისრულდა).

რწმენით განმტკიცებული, ბოლომდე სიხარულით და გაზაფხულით (სიხარული და გაზაფხული საღმრთო შინაარსის სახელებია) შემოსილი იყო პოეტების მეფე: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება, ხიბლავდა გარეშემოსა მინდვრების გადასოსნება“ (ფანჯარას ტოტებს მიახლის) (3, 200).

გაზაფხულის წყარო ფსალმუნია, ღმერთის სახედ მოაზრებული სიხარული

მრავლად გვხვდება ძველ და ახალ აღთქმაში. დავიმოწმებთ ერთ მაგალითს: ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2, 10) (2, 113).

დემონის სიკვდილისკენ მომწოდებელ ხმას ფარავს „მარადი ჭიქით“ მირთმეული მზის და ცეცხლის სადღეგრძელო: „მზის სადღეგრძელოს მარადი ჭიქით ვსვამ, მიხარია ცეცხლის კდემანი, სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით, ისევ მეძახის ჩემი დემონი“ (მზის სადღეგრძელოს) (5, 309).

მზესთან ერთად ღმერთის სიმბოლოა ცეცხლი.

ქორიბის მთაზე მოსეს მიერ შეუწველი ცეცხლის თანხლებით ხილული მაყვალი ქრისტესა და მარიამზე მინიშნებაა (გამოსვლა, 3, 1, 2, 3) (12, 59).

ფიალა, თასი, აზარფეშა, მარადი ჭიქა, სიხარულის ჭიქა მარიამის სიმბოლური სახელებია (4, 182-193).

გალაკტიონი „ცეცხლიანი აზარფეშებით“ სვამდა მზის სადღეგრძელოს, ანუ ერთდროულად ეზიარებოდა მამაღმერთის, (მზის), ძე ღმერთის (ცეცხლის), აზარფეშის (მარიამის) მადლს.

სულში დამკვიდრებული ბნელ ცოდვილი „ლუციფერის“ მძვინვარებას „უმანკო ნათელისა“ და „სასწაულის“ ძალთ ამარცხებდა (სასწაულს) (3, 139).

ღმერთი არის „ნათელი დიდი“ (მათე, 4, 16) (11, 6).

უზენაესის სახელია სასწაული: „შენა ხარ ღმერთი სასწაულის მოქმედი“ (ფს. 76, 5) (2, 603).

„ალვის ხის გადარჩენაში“ (1, 186) სიმბოლური ფორმით მოწოდებულია აზრი ორბუნებოვანი ღმერთისკენ (ქრისტესკენ) მიბრუნებისა, რწმენის გაფრთხილებისა.

ხე, კერძოდ, ალვის ხე უზენაესის სიმბოლოა (4, 179).

პოეტი მოხიბლულია ალვის ხის მშვენებით, მისი „მრჩობლი“ სულის მოვლინებით.

ლექსის ზოგ ვარიანტში არის „მხრჩობელი“, რაც სწორად არ მიგვაჩნია. უნდა იყოს მრჩობლი (მრჩობლი სული).

„მრჩობლი“ (17, 18 იერემია) ორი, გინა ორკეცი, განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი (11, 520).

ალვის ხის ორი – მრჩობლი სული ასე შეიძლება აიხსნას: ალვის ხე ღმერთის სიმბოლური სახელია, მისი ორი სული ქრისტეს ორბუნებოვნებას – კაცურს და ღვთიურს უნდა ნიშნავდეს. გავიხსენოთ ლექსი: „მოდის, ფეთქს და იზრდება სული მისი მრჩობელი, ფოთლებს ამეტისტებით ფარავს შეუცნობელი“.

„შეუცნობელი“ მამაღმერთის სახელია (12, 335).

ლექსის შემდეგ სტრიქონებში ვლინდება ალვის ხის გადარჩენის რწმენა: „ტბის გულს გადახვევია მდუმარება ტოტების, ოცნება არ ჩვევია ქვეყნის გამოცოდების. არც შხამიან ლანდებად უცემს წყალთა გუბება. ის არ ჭლექიანდება, ის არ დაიღუპება“.

ალვის ხის გადარჩენაში რწმენის, სულიერების, სიკეთის გადარჩენა იგულისხმება.

ქვეტექსტებით სავსეა ლექსი „არ დაღუპულა“, რომელიც მთების, წყაროს, გაზაფხულის, ასწლოვანი ხეების გადარჩენით გვაგრძნობინებს ისევ რწმენისკენ მიბრუნებას, ღმერთის ძალით არსებობას და წმინდა გონის გადარჩენას: „მე გადვიარე დღეს ჩვენი მთები, ჩვენი მაისის წკრიალა წყარო: შენი ნაზი ხმა და ოქროს თმები... დაუვიწყარო, დაუვიწყარო... არ დაღუპულა, ისევ იქავე დგას ასწლოვანთა ხეთა ჩე-

რება, გულით სიმღერა ვერ შევიკავე და გადარჩენის ბედნიერება“ (5, 386).

მთა მარიამის სიმბოლოა, ლოდი – ქრისტესი.

წკრიალა წყარო ღმერთზე მიმანიშნებელი სახეა. სახარების მიხედვით, ქრისტე არის სიცოცხლის წყალი, ცოცხალი წყალი (იოანე, 7,38) (2, 194).

ასწლოვანი ხეები ერის სულია, რომელიც რწმენამ გადაარჩინა.

მაგრამ სატანისტური ბოლშევიზმის ეპოქაში გაუგონარი რეპრესიების შედეგად შეუბრალებლად იმუსრებოდა მართალი ხალხი და ამ ბოროტების რეჟისორები იყვნენ აპოკალიფსური მხეცები: „საშინელია, იგრძნო უეცრად, რომ აღარ დგანან ძველი კაკლები. შენი სახელი მათ მიუეცრად, მხეცი, არც მეტი და არც ნაკლები“ (13, 447).

კაკლები ისევ ხალხზე მიგვანიშნებს, მისი იავარქმნის რეჟისორი მხეცი კი – აპოკალიფსურ მხეცებზე, რომლის ადრესატები იყვნენ რევოლუციის ბელადად სახელდებული ტირანები – ზღვის და მიწის მხეცები (იოანეს გამოცხადება, თ. 13, 1, 11, 6, 506, 507).

ზღვის მხეცში ხალხთა მასებიდან მოსული ლენინი იგულისხმება, მიწის მხეცში – იატაკქვეშელი სტალინი (იოანე-იონა, აპოკალიფსი და დღევანდელობა (44, 411).

შემაძრწუნებელია „დაუსრულებელი სეტყვით დაღუპული ყვავილებისა და ვენახების ხილვა“ (არ ღირს ერთ ცრემლად) (3, 302).

ყვავილები რწმენაა, ვენახები – ხალხი.

ბიბლიაში, მიწიერი ბაღისა და ვენახის პარალელურად, გვხვდება ზეციური ბაღი და ვენახი.

მიწის ვენახი ებრაელი ხალხის სიმბოლოა: „ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სისხლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია, 5, 7,) (6, 76).

გალაკტიონის ლექსში სატანის საქმეებია „დაუსრულებელი სეტყვა“ – უღმერთობის დაკანონება და ვენახების – ხალხის სულის გატიალება.

მაგრამ დაცემით უდაბნოს (ურწმუნოებას) ვერ დაამარცხებ, უნდა გჯეროდეს, რომ ამაოა, წარმავალია ბოროტება, რაც იყო, არ ნიშნავს საბოლოო დაბინდებას (მზის ჩასვლით, დაბინდებითაც მიგვანიშნებდა პოეტი უღმერთობაზე) („მზის ჩასვლა...“). მხოლოდ ღმერთთან შერიგება მოიტანს გამარჯვებას, გვარწმუნებდა პოეტი: „შენ ნუ დაეცემი, შენ ნუ შეშინდები, გულის უდაბნოსთან ბრძოლას ეგ არ იგებს. ყველა ამაოა, ჯერ არ შებინდდება, მხოლოდ გამარჯვება ბედთან შეგვარიგებს“.

„შერიგებაში“ (1, 53) მზის (ღმერთის) და სილამაზის წყალობით ხდება სიკვდილთან შერიგება, რაც ღმერთისკენ მიბრუნებას მოასწავებს.

თუმცა გაზაფხულზე „რტოებს რტოობა“ არ ეტყობათ, „ყინულის ლოდის“ გადნობის რწმენა მაინც არის ლექსში „ადრიანი გაზაფხული“ (1, 255): „როგორც შეთქმულებს, ჩვენ არ გვაშინებს, რომ არ ეტყობათ რტოებს რტოობა, სულს დიდი ხნიდან აშალაშინებს სხვა მარტოობა“.

ნერგი, ტოტი, რტო უფლის სახელია: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: „ავიღებ ტოტს მაღალი ნაძვიდან და დავრგავ... მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ“ (ეზეკიელი, 17, 22) (6, 208).

ჭაობზე უნოტიესი სულის მეოხებით გაცემული ქრისტეს, მისი უკანასკნელი სერობის და ჯვარცმის წარმოდგენის შემდეგ ისევ ჩნდება ცაზე ვარსკვლავის გაბრწყინების რწმენა: „ვარსკვლავი იგი – ფიქრთა საგანი – ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი, აელვარდება ცაზე ოდესმე სულო, დემონზე უბოროტესო!“ (ხო-

მალდს მიჰყვება თოვლის მადონა) (3, 129)

ვარსკვლავი ქრისტეს სიმბოლოა: „მე ვარ დავითის ფესვი და შთამომავალი, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება, 22, 16) (2, 521).

„თოვლის მადონა“ მარიამია: მარიამ ღვთისმშობლის იტალიური სახელია მადონა. მაცხოვრის დედისადმი მიძღვნილი რელიგიური დღესასწაულებიდან ერთ-ერთი არის თოვლის ღვთისმშობლის ლიტურგიკული დღესასწაული,... არსებობს ასეთი ლეგენდა: მესიის მშობელი ჩამოჰყვა თოვლს იქ, სადაც აგებულია წმ. მარიამის ტაძარი... ხომალდი ალეგორიულად ტაძარს განასახიერებს (15, 87-88).

რწმენის წინააღმდეგ ცეცხლითა და მახვილით ბრძოლის პერიოდში ბუნებრივი იყო დამსხვრეული გემების, ხომალდების, კრეისერების სახეთა შექმნა, მაგრამ, ამავე დროს, ფიქრებთან ჩანს ფრეგატი, ცისარტყელა, როგორც „იმედების ხატი“ (წყნარი ზღვა).

„დამსხვრეული სწრაფვათა ნავი“, განადგურების სურათებია ირგვლივ, მაგრამ „იმედი მომხიბლავი“ ისევ ცოცხლობს და ახალ ტალღებს ელის (ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი).

“მუხებში’ (1925 წ.) გამხმარი ვაზების ფონზე ბებერი, ძველისძველი მუხების სიახლეა, რომელთაც „მომავლისათვის სიახლე აქვთ ხელშეუხები – ახალ ქართათვის აგებული მძლავრი სასახლე“... (3, 414).

„კოსმიურ ორკესტრში“ (1926 წ.) ყურადღებას იქცევს „იმედები უსაზღვრო და განსაზღვრულ მხარეთა“, სიყვარულის, გაზაფხულის სიხარული: „ეს არის გრძნობა კვლავ სიყვარულთა, გადაქცეული სხვისთვის ჭაობად, ეს ოცნებაა ფერთა ფარულთა და გაზაფხულის სანახაობა“ (2, 11, 9).

გაზაფხული, ზაფხული ბიბლიაში მოიაზრება ღმერთის სახედ (ფს. 64) (65, 12).

„ძველიძველი ღვინოთი“ თრობა, ყოფნით თრობა, ცეცხლით თრობა (მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით) სხვა არაფერია, თუ არა უზენაესის სიყვარული, რადგან ძველი ღვინო, ცეცხლი და ყოფნა (სიცოცხლე) საღვთო სახელებია (ძველისძველ ღვინოს) (1, 45).

მივმართოთ წყაროებს.

„გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25, 13).

ცეცხლი საღვთო სახელია და მომდინარეობს გამოსვლათა წიგნიდან. ეს სახე პირველად მოსეს მოევლინა ქორიბის მთაზე, სადაც მაყვალს ცეცხლი ეხვეოდა, მაგრამ მაყვალი არ იწვოდა (გამოსვლა, 2, 3,) (10, 59).

ღმერთი სახარებაში სახელდებულია, როგორც ყოფნა, სიცოცხლე: „უთხრა იესომ: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14, 6) (2, 211).

თასით მირთმეული წიგნი, მარანში მიგნებული „ძვირფასი ღვინო, უკვდავი ღვინო“ მიანიშნებს ღმერთისადმი ინტერესს, რადგან ღვინო, წიგნი, მემარნე ასევე საღვთო სახელებია ლექსში „მოგონება“.

წიგნი მამაღმერთია ბიბლიაში, წიგნის სიტყვა არის ქრისტე: „იქნება მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები...“ „გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოიხედავენ“ (ესაია, 29, 11, 18) (6, 94).

ნეტარი ავგუსტინე ამბობს „აღსარებაში“: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი,

არასდროს არ აირევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“ (16, 217).

ცხოვრების უსამართლობის, მწარე ფიალის, ეკლის გვირგვინის, სისხლის წილ „მშვენიერი მზის“ გაბრწყინების მოლოდინია ლექსში „ნუ დაუმალავ ხალხს შენს იარებს“ (1, 341).

არა „მკვდარი მზის“, მკვდრადშობილი, ქაოსზე მდგარი თავისუფლების, არამედ „ქუხილის“ სიყვარული ვლინდება გალაკტიონის პოეზიაში: „ქუხილო, გელით, შენთან ვიბრძოლებთ, გამოექანე, ზვირთი დასძარი! გვახსოვს: დილით მზე ამოდიოდა, მკვდარი მზე, შენ კი ამოასწარი!“ (ქუხილო, გელით) (5, 102)

ქუხილი საღვთო სახელია (9, 122).

ღმერთს „კლავდნენ“ სატანისტები, მაგრამ იგი კვლავ ცოცხლდებოდა.

ოცნების ნავზე ია-ვარდის გამოცოცხლებით, სიხარულის ქროლვით გვაგრძნობინებს გალაკტიონი ღმერთის მოვლინებას: „კვლავ გამოცოცხლდა ია-ვარდი ოცნების ნავზე, ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით“ (მზის ამოსვლა ზღვაზე).

„ვარდი“ და „სიხარული“ საღმრთო სახელებია, ია მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა. „უბიწოებით შემკული ია“ ეწოდება მარიამს ვახტანგ მეექვსის პოეზიაში (7, 48).

პოეტის ოპტიმიზმის წყაროა სამყაროში კეთილი საწყისების მარადიულობის, წყალდიდობის, ნიაღვრების წარმავლობის რწმენა. „გაზაფხულის სავსე ფიალა“ (გაზაფხული – ქრისტეზე, ფიალა – მარიამზე მიგვანიშნებს) ნიაღვრის, წყალდიდობის შედეგად „გადმოიტოპა“, მაგრამ „წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი“. ლექსის ლირიკულ გმირს ხელთ უპყრია „სავსე ფიალა“ (ფიალა მარიამის სიმბოლოა) „მშვიდობას“ ნატრობს, ნიაღვრების და წყალდიდობის ნიშნები კი „წაშლილია“: „ასწი ფიალა, სავსე ფიალა! აქა მშვიდობა! რა ნიაღვრებმა გადიგრიალა, რა წყალდიდობამ!“ (დარჩნენ ქვიშანი) (10, 15).

„ახალი ყოფნის“, განახლების, „აღდგომის კვალის“ მოლოდინია ლექსში „ახალ წლის ღამის“ (5, 69).

„ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება“ (გრძნობათა ფერფლი, 5, 54), გვარწმუნებს პოეტი.

დიდი წინაპრების დარად, ბნელის ჩრდილს გალაკტიონიც ამჩნევდა, მაგრამ სჯეროდა საქართველოს მომავალი: „გაიფანტება ჩრდილი გარდამავალი დროის, საქართველოში გრძნობდეს ყოველი ჩუმი სახლი“ (დრამა ერთი ბინისა).

მწარე, შუქმიუვალ დღეებს, გაუჩინარებულ ქვეყნიურ სამოთხეებს ისევ შენაცვლებია ედემთა მსგავსი დღეები, გამარჯვებათა ბაღები, ვარდები, ორხიდეები, გვარწმუნებს პოეტი: „ყოფილა მწარე დღეები, შუქმიუვალი დღეები, გადალეკილან, წაშლილან ამ ქვეყნის სამოთხეები. კვალად მოსულან დღეები, ედემთა მსგავსი დღეები, გამარჯვებათა ბაღები, ვარდები, ორხიდეები“, ასე აწონასწორებს ბნელისა და ნათლის ჭიდილს ავტორი ლექსისა (ყოფილა მწარე დღეები) (5, 178).

სულში „უხილავის“, „ვარსკვლავის“, „მთვარის“, „სატრფოს“ ძიება ქრისტიანული ღმერთის და ღვთისმშობლის გამუდმებულ თაყვანისცემას მოასწავებს (ხშირად ვოცნებობ).

არა წარმავალის, ეფემერულის, არამედ „მარადისი იმედის“, „სხვაგვარი იმედის“, საუკუნეობრივისადმი ინტერესია დამახასიათებელი გალაკტიონისთვის („მარადისი იმედი“, „მეგობარს“). სწორედ ეს ხდება სულის გაწონასწორების საწინდარი.

ბევრი დაბრკოლების, ჩიხის, ხვეულის გადალახვა, ბრძოლა, სიკვდილის დამარცხება, შეუცნობის შეცნობა უძღვის წინ გვირაბის ბოლოს სინათლის მიგნებას, იდეალების გადარჩენას: „გადაგვილახავს ბევრი სიკვდილი, ბევრი შეცდომა და დაბრკოლება, რომ შემდეგ ისევ გადარჩენისთვის, სიცოცხლისათვის გვემღერა ქება“ (ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული).

განა მხოლოდ იისფრად ან ვარდისფრად თოვდა გალაკტიონის ხილვებში, მას „შავი თოვლივით“ ათოვდა „ჭვარტლი და ბურუსი თავანის“ (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში) (1-128) კოსმიური სიცივე აზრობდა, ყინულის სამეფო, ყინვის თასი, გაყინული მხედარი, გაყინული გული ზარავდა, მაგრამ უზენაესის ხელდასხმული პოეტი სძლევდა გრიგალებს, მეხის ხარხარს, მას „ახალ-ახალ გამბედაობას და გაბედვებს“ ანიჭებდა ყოველგვარი დაბრკოლება, რადგან ესმოდა „სიხარულის უვერტიურა“, გრძნობდა „ალიონთა სიხარულს“, რაც გამარჯვებაში არწმუნებდა: „ჩვენი გამარჯვება მაინც უეჭვოა“ (ო, ჩემო ჩანგო).

მხოლოდ გადარჩენის რწმენით შეიძლებოდა დაწერილიყო მაჟორული „იბობოქრე“, „წარწერა ხოვლეს ორნამენტზე“, რომელიც შიშის საბოლოო დაძლევას, რწმენის, იმედის გამარჯვებას გვამცნობს.

ზოგჯერ ეჭვი სერავდა სულს, ეჭვი მებაღის (ქრისტეს) მოვლინებაზე, ინებებდა თუ არა იგი ცოდვით დამძიმებულ სამყაროში ისევ მოსვლას, ხომ არ დაილეწებოდა მწიფე მტევნები: „ამ მწიფე მტევნებს დალეწავს ქარი, თუ მწიფობისთვემ შეცვალა დარი, მებაღემ მოსვლა თუ არ ინება“ (ავდრის მოლოდინი) (5, 82).

სხვაგანც კითხვის ნიშნები ჩნდებოდა ამ პრობლემის ირგვლივ: „მოვა თუ არა, მოვა თუ არა ! ოხვრით კითხულობს ცეცხლის შიშინი“.

სიმბოლური ავდარი, ზამთარი, თოვლი, ყინვა, წყალდიდობა, წარღვნა უვლიდა ქართველთ სავანეს, რაც გამოაფხიზლებდა ხალხს, გონს მოეგებოდა ცოდვილი ადამიანი, მოინანიებდა და თვით გაიგნებდა გზას უზენაესისკენ, ასე სჯეროდა პოეტს.

თავისი დიდი წინაპრებივით ეკვედრებოდა გალაკტიონი უფალს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გადარჩენას: „მზე ივერია, ღვთისმშობლის ხვედრი ბედნიერებას მისას ღმერთს ვვედრი, მიეც, უფალო, გონი და ძალა, რომ აიშოროს შხამის ფიალა“ (6, 88).

“გონი და ძალა!“ – არა ერთ-ერთს, არამედ ორივეს მოუხმობს პოეტი, როცა ისმება კითხვა: „მაგრამ რა გველის ან დღეს ან ხვალე?“

“მშვიდობის წიგნში“ აშკარად შავია სიცხადე: „ღამეა ბნელი, განუზომელი, განუჭვრეტელი“ (17, 161), „მიდამოს თავზე ადგას სატანა“ (17, 289).

ვეფხვი უხმოდ გატრუნულა ტყეში, დროს ელის, რომ შესაფერის სიტუაციაში ისკუპოს და მსხვერპლს მიეპაროს. ამიტომაც აფრთხილებს პოეტი თანამემამულეთ, „გონთ სიძლიერის“, „გამჭრიახობის“ ფარი იფარონ ხიფათში მყოფებმა: „გაზაფხულისა ღამეო ბნელო, ხიფათში მყოფო ვაზო და მდელო, შემოიკრიბე გონთ სიძლიერე, თორემ გვიანლა იქნება მერე... გაზაფხულისა ღამეა ბნელი, განუზომელი, განუჭვრეტელი, ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად გამჭრიახობა იყოს იმედად. ეხმაურება სიათს სიათი, რომ ღალატს რასმეს აწყობს წყვდიადი...“

გადარჩენის გარანტიაა სიფხიზლე, მტერ-მოყვრის გარჩევის, ბოროტისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი: „გალავანს გარეთ დე გრგვინავდეს ზღვა, მტერი სხვა არის და მოყვარე სხვა. ასეა, თორემ მტერმა მეორემ, ახლომ თუ შორემ, თავის სიტყვა თქვა“.

განსაცდელს სჭირდება პასუხი, რათა გაქრეს შხამი და ისევ აენთოს ჩამქრალი სანთლები: „მაშინ რა ვუყოთ, მწარედ დაღამდა, დრო უპასუხოდ ხომ არ დაამდა. განვიდა ჟამი, დღეს გაჰქრა შხამი. ცისკრის წამწამი ჰა, ახამხამდა“.

გადარჩენის იმედია ნუგეში, გზა (საღმრთო სახელებია): „სილაღის ეშხით მზიურთა მდელოთ არეს ნუგეშით ჩვენ მივეშველოთ. ავაბიბინოთ იგი სალხინოდ, გზა გამოვფინოთ, ფართედ გავშალოთ! აშენე, დარგე, ჩვენი ფაზისი უფრო კარგი და ულამაზესი გახდება კვლავაც. მან ივარსკვლავა და გზა უკვდავად განვლო თავისი“.

ქრისტიანული ღმერთი იყო ჩვენი ხალხის შემწე ყოველთვის, მისით იგნებდა იგი მარადიულ გზებს: „ჩვენი ძვირფასზე ძვირფასი წიგნით ვიდოდით ასე გარეთ თუ შიგნით. ნათელით მისით წრფელით, ფაქიზით ჩვენ მარადისით გზები გავიგნეთ“.

„მშვიდობის წიგნში“ ნაპოვნია უარყოფილი ღმერთი, „წიგნი სიცოცხლე, წიგნი სინდისი“, წიგნი ცის და დედამიწის, რაც გამოიხატება „ცისკრის წამწამის ახამხამებით“ (ცისკარი საღმრთო სახელია), მზის მოვლინებით, ამის შემდეგ დამარცხდა სიმბოლური თოვლი, წყალდიდობა, წარღვნა, გადარჩა ხეები, „კვლავ საღი შრიალებს ბაღი და ძველი დაღი წიგნების აზის“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაღი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით, ცხადი გახდება, რატომ აქვს ბაღს (ხალხს) წიგნის (უზენაესის) დაღი, მისი კეთილისმყოფელი ზეგავლენა.

ღმერთის დაკარგვის და კვლავ პოვნის, ერის საზრისის ძიების, რწმენის გადარჩენის ჰიმნია „მშვიდობის წიგნი“: „დღეს მშვიდობის მზე გაანათებს გზებს, ხალხს ნუგეშსა სცემს იმედთ კანდელი“.

ერის განთიადის, სინათლის საგალობელია პოემის ბოლო სტრიქონები: „ვხედავ, დიადად რომ აწ გათენდა, ო, განთიადო დიდება შენდა. მოედო აგრე გზას ჟრუანტელი, მაინც არ ჩაჰქრა ჩვენი სანთელი... ვამბობთ: ეს რაცა მოხდა, დამაცა, იყო რაღაცა თოვლი, ფანტელი“ (17, 352).

მომავლის წინათმგრძნობი პოეტის მოიმედე სტრიქონებით მთავრდება პოემა: „ხვალის დღის გვჯერა: ჩვენი ალღოა ჩვენი სიმღერა. სივრცეა, დროა, მზე თუ ქარია, რაც სახალხოა, უტყუარია. გულო, დამშვიდდი... მტერი განიბნეს, გვაქვს განძი დიდი, არ ვართ ღარიბნი“... პოეტი გვმოძღვრავს: „დროა, შეიღოს სიბნელის კარი, სული მზე იყოს და გული – ქნარი, გზა სანაქებო ვადიდოთ, ძმებო!“

„დამარცხდა ყველა გველი, წურბელა, მათ კაცთა თელვა ვინ მიანება?! მტერი, მზვერავი... ისე მოგვარდა, რომ შიგ ვერავინ ვერ შემოგვარდა“.

ნათელმსმენ პოეტს მოესმის „ხმა საედემო“, ქმნის „განთიადის, ძლევის სიმღერას“, შორის ძახილი განთიადის სახელით აფხიზლებს: „მისთვის ცხადია შორის ძახილი თვალგასახელი, რომლის სახელი განთიადია“ (17, 276).

პოემა შეიცავს ჩვენი ხალხის გაფრთხილებას: „შეიგნე ტალღათ ძალთ სიძლიერე, თორემ გვიანღა იქნება მერე“ (17, 181).

„მშვიდობის წიგნში“ ხდება ვერაგი მტრის ავბედითი ზრახვების მხილება: „...მტერი არ არის მორცხვი, რომ ნგრევა-ხოცვის მას ეშინოდეს“ (17, 136), „კიდეც მოვალო თქვენს ასაკლებად“ (17, 241), „მიჰყე, ჰე, მიჰყე, აბა აიღე, რაც თქვენი ციხე და სიმაგრეა“.

წიგნის (რწმენის) ქურდი სახელდებულია „სატანად, მხეცად, ქაჯად“.

მითითებულია „არაწმინდა თოვლზე“, რომელიც წარმავალია:

“მთებზე ის თოვლი – შენი ნიშანი – წარმავალია, თუმც მრავალია – წყალნი

წარვლიან, რჩება ქვიშანი ... თოვლო... შენ შენი საბრალო ძალა, უკანასკნელი შენი სამსალა გვიჩვენო, გინდა? ო, არაწმინდა! გინდა მიმოვლა, მაგრამ ღვარებით დნება ის თოვლი მზის ელვარებით“ (17, 132).

პოემა შეიცავს მტრის გაფრთხილებას: „აქ ყოველ ეშმაკს უჯობს მოეშვას თვის სათარეშოს და სანავარდოს“ (17, 250).

ნაწარმოები მთავრდება წიგნის (ღმერთის) პოვნით, ზამთრის დამარცხებით, „საიმქვეყნიო“ და „საამსოფლო სიოს“ მარადიულობის რწმენით: „ზამთარო, გულის ასე დამხშობო, ვერ შესძლებ, სიო რომ გადასწიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“ (17, 131).

„ვერ დაგვძლევს ის სხვა,... ობლის კვერი ცხვა“ (17, 185).

მაგრამ მტერს სურდა „რამე ნამცეცი მიწის და ზეცის“... (17, 217), რაც წინასწარმეტყველურად განჭვრიტა პოეტმა.

„პირიმზეში“ (ორტ. ტ. I, 1988, გვ. 154) ტკივილია იმის გამო, რომ გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბაღი („ძმები“ ჩვენი მოყვრად მოსული ჩრდილოელი მტერია, ბაღი – ხალხი).

მაგრამ პოეტმა იპოვა „ჩვენი დაკარგული ცა და ჩვენი მიწის ამეტყველება“, იპოვა „გრძნობა, რომელიც დაკარგულა“ (1, 282).

ატმის რტოს (რტო ღმერთის სიმბოლური სახელია) გადარჩენის შიშია ლექსში „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“ (1, 291).

შემდეგ არის აღმოსავლეთის გაღვიძება (აღმოსავლეთი) (218-221).

ნანგრევებად ქცეული სოფლის ტკივილია ლექსში „ეს შეღამება“ (5, 54).

„უკარო სახლის“ კრიტიკაა ლექსში „ერთა ლიგას“ (5, 196).

პოეტის დევიზია „განიახლე, განიახლე!“ (1, 535-536).

რწმენა აიმედებს: „არ შედრკება, შენ ნუ წუხარ, ცად ასული დიდი მუხა – უფლებისთვის ჩვენმა ხალხმა სისხლი სისხლზე დაადუღა !“ (მშვენიერო ჩემო ზეცა) (1, 536)

სამყაროში ცვალებადობას ემორჩილება ადამიანი, ხილული ცა და პლანეტები, მთელი კოსმოსი, მარადიული კი მხოლოდ „ცათა ცა“, ღმერთების სამყოფელი და ღმერთია, „მშვიდობის წიგნის“, „მშვიდობის გზის“ სახეებში მოაზრებული: „სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის, მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს) (17, 558).

წონასწორობის საწინდარია „თეთრი დღეები“ და სულში დავანებული „ქაოსის მხატვარი“ (ღმერთი) (დგება თეთრი დღეები) (1, 211).

გალაკტიონს შვენოდა პატიოსნება, დიდი დღე (ღმერთის რწმენა), ქვეყნიური სამოთხე (მარიამი): „ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, ო, მშვენიერო ოცნება ! ო, ქვეყნიურო სამოთხე !“ (13, 429)

„სამოთხის ჰანგები“, „გადარჩენის ჰიმნი“ ისმოდა გალაკტიონის შემოქმედებაში, რამაც პოეტების მეფეს გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა ქართულ პოეზიაში.

ცხოვრების კანონზომიერებათა შეცნობით გამოტანილია დასკვნა: „ომსა ცვლის მშვიდობა და ნგრევას – შენება, სიტლანქეს სულისას ცვლის სულის მშვენება, წყალს – ღვინო, დღეს – ღამე, სიცხადეს ჩვენება“ (აქ ხილულ ოცნებას) (3, 676).

ასწლოვან ხეთა გადარჩენას, ერის სულის გადარჩენას ზეიმობს პოეტი: „არ და-

ღუპულა, ისევ იქავე დგას ასწლოვან ხეთა ჩერება; გულში სიმღერა ვერ შევიკავე და გადარჩენის ბედნიერება“ (არ დაღუპულა) (3, 246).

ანალოგიური თვალსაზრისია მუმლის გაწყვეტასა და მუხის გადარჩენაში (მუმლი წყდებოდა) (3, 685).

ხომალდის გადარჩენაში რწმენის გადარჩენა მოიაზრება: „...ხომალდი გრიგალებს გადურჩა მრავალს (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ) (5, 372).

“პროლოგი ასი ლექსის“ (3, 247) გვაუწყებს „ცეცხლთა ქარტეხილებისგან“ ქვეყნისა და პოეტის გადარჩენას: „...მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი, რომ გამომევლო ჯერ არსმენილი ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა და მომეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“.

პოეტის მრწამსია: „რაც აირევა და დაირევა, რაც დაინგრევა, კვლავ აშენდება“ (მშვიდობის წიგნი) და ეს ოპტიმისტური დასკვნა მრავალგზის მეორდება: „იყო გრიგალი, იყვნენ ნგრევანი, მაინც გადარჩა ჩრდილი რამხელა“ (ოპერის თეატრთან) (3, 243).

გალაკტიონი „ჩვენი სამშობლოს სანახავიდან“ ხედავდა „სიცოცხლის მიზანს, სიცოცხლის საგანს, შუქს მოციმციმეს“ (ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა) (3, 329), აღმოსავლეთიდან ჭვრეტდა არა ერთი და ორი მზის ამოსვლას (რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს) (5, 265).

გალაკტიონ ტაბიძე ამაღლებულ იდეალებს, საღვთო სახეებს ქმნიდა და ბოლომდე დარჩა „სამოთხის ჰანგების“, „საედემო ხმის“ მოთაყვანე, იავარქმნილი სულის, იავარქმნილი ტაძრების გადასარჩენი გზების მაძიებელი. თავისი დიდი წინაპრების დარად, დაცემის მიზეზები მან უღმერთობაში იპოვა და აღდგომის გზად უფლისკენ მიბრუნება დასახა.

გალაკტიონი ნათელხილვის და ნათელსმენის წყალობით ჭვრეტდა „არყოფნისა“ და „ყოფნის წიგნების“ საიდუმლოებებს და თავის ქმედით ეროვნულ იდეოლოგიას, უპირველესად, ღმერთის მცნებებზე აშენებდა, დანგრეულის აღდგენაში ხარჯავდა თავის ძალისხმევას.

„რწმენის ტახტი“ ედგა „ეპოქის გედს“ და „გაუნელებელ ცეცხლთა და ქართა“ უკურნავ წყლულებს რწმენით ამარცხებდა, თანამემამულეებს „მშვიდობის წიგნად“ სახელდებული ღმერთისკენ მიბრუნებას შთააგონებდა: „ვიდგეთ გარეთ თუ შიგნით მხოლოდ მშვიდობის წიგნით... შევხვდეთ მომავლის ხალისს მხოლოდ მშვიდობის წიგნით“ (სადაც არ უნდა ვიქნეთ).

გალაკტიონის ესქატოლოგიურ შეხედულებებში იცვლება და ინგრევა ცა, სამყარო, ხდება ტოტალური დაბნელება, მთელი კოსმოსის ცვლილება, ადამიანთა ურთიერთობებში ზნეობრივი ღირებულებების გაუფასურება, მაგრამ მარადიული რჩება ღმერთი – მშვიდობის წიგნი, იგი მარადიულად გვირგვინმოსილია, ასევე უკვდავია მშვიდობის გზად მოაზრებული ღმერთი: „სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის. მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

ღმერთის მშვიდობის წიგნად და მშვიდობის გზად წარმოდგენა დაფუძნებულია ძველ და ახალ აღთქმაზე, ღვთისმეტყველთა ნააზრევზე, სასულიერო პოეზიაზე.

„მშვიდობის გზის“ უპირველესი წყარო ესაია წინასწარმეტყველი უნდა იყოს: „ასპიტის კვერცხებს ჩეკავენ და ობობას აბლაბუდას ქსოვენ. მშვიდობის გზები მათ

არ უწყიან“ (ესაია, 59, 5).

გალაკტიონი წუხდა, რომ „ჟამთ მტვერით“ იფარება წიგნი ცის და დედამიწის“ (ხელოვნება).

ასევე მარადიულია მისი „შორეული გაზაფხული“ – ღმერთის სინონიმი.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992.
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
4. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ., 2009.
5. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993.
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
7. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009 წ. № 12.
8. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
9. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I.
10. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ. 1991.
11. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000.
12. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. 3, თბ. 1994.
13. იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994.
14. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
15. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985.
16. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973.

თავი VIII
გალაკტიონის პოეზიის კოსმიური მასშტაბები

გალაკტიონი გამუდმებით კოსმიურ მასშტაბებს ელტვოდა. მას სურდა გადასცდენოდა „ბედის საზღვარს“, მოეპოვებინა უზენაესი თავისუფლება (ოცნება ბორკილებში) (1, 105).

„ბედს იქით“ სწრაფვის მიზანი იყო ადამიანურ შესაძლებლობებზე შორს წასვლა, ზეცამდე სულის ამაღლება, მიწიერ ამაოებათაგან განდგომა და ცის კაბადონზე მსოფლიოს შესახედავად ყველაზე სანუკვარი სიტყვის დაწერა – „გიყვარდეთ!“ (ფანტაზია) (2, 154).

ნისლმოხვეული მთების იქით, პოლუსებზე დამკვიდრების მსურველ პოეტს სურდა, საქვეყნოდ გაეჟღერებინა თავისი ღრმააზროვანი სათქმელი, რომელიც მიმართული იქნებოდა კაცობრიობის უკეთესი მომავლისკენ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს) (1, 181-189).

აწვალებდა გვირაბებიდან კოსმოსის მოვლის წყურვილი (გვირაბებიდან) (2, 47).

აინტერესებდა და აღელვებდა არამარტო სამშობლო, არამედ ყველაფერი მსოფლიოსთან დაკავშირებული, მსოფლიოსთან მისვლა მხოლოდ ქართული სისხლით, ქართული სულით (ეფემერა) (3, 118).

კოსმიური იყო მისი მასშტაბები, იტაცებდა „კოსმიური გრიგალის თქმები“, კოსმიური, „ერთადერთი მძლავრი მუსიკა“ (კოსმიური ორკესტრი) (4, 127-131).

პოეტის გულში „ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს“.

„უკანასკნელ საზღვართან“ მიღწეული გრძნობდა „პლანეტათა შეჯახების“ შეკავებულ „ქვითინს“ (უკანასკნელი საზღვარი).

გალაკტიონს გათავისებული ჰქონდა „უზარმაზარი მსოფლიო ქნარის“ მოთხოვნები, „მსოფლიო ორკესტრის დირიჟორის“ მისია, „მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეულის“ თავისებურებები.

პოეტი იწყებდა „ბაიის ბგერიდან“, ეძებდა „ბგერა-ბგერა, საგან-საგან“ და ესმოდა კოსმიური რიტმი, საღვთო მუსიკა, „მსოფლიო ბაგეთ გოდება“, მსოფლიოს ღელვები.

იგი მიმართავდა მსოფლიოს, საუკუნეს, როგორც „ეპოქის გედი“, საუკუნის პოეტური კულტურის საჭეთმპყრობელი. მარსზე იდებდა ბინას მისი გამორჩეული ფიქრი.

მსოფლიოს მოვლენების ცენტრში მყოფი, ელოდა იდუმალს, ეზმანებოდა „სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების“, რაც სიმშვიდეს ანიჭებდა (რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ლოცვებს) (5, 98).

გალაკტიონმა „ყველა პოლუსი“ მოიხილა, „ყველა სიმზე“ დაკვრის ნიჭით იყო მომადლებული (ყველა სიმები) (5, 106-107), თავისი მერიდიანი გაავლო მსოფლიო პოეტურ გლობუსზე, ყველა განედი დაზვერა: „ო, ძეო დილის, აწ განვლის გრძნობა სიბნელის ნაფლეთის, აღმოსავლეთის, დასავლის, ჩრდილოეთის და სამხრეთის“ (ნიავი, ია, ნარგიზი) (5, 410).

არც მაიას ქვეყანა, ჰიმალაის მთები და შამბალა დარჩენილა მისი ყურადღების გარეშე (პოემა ვეფხვისა) (6, 257).

თავისუფლებაწართმეული ქვეყნის შვილმა ქართული სიტყვა, ქართული სული საკაცობრიო მასშტაბებს აზიარა, „მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები“ ასწია

და თამამად გაუსწორა თვალი დედამიწის არსებით პრობლემებს: „ამ ტომებს ბრიყვისას მე რა წამაკითხებს, ისედაც კარგად ვჭრი მსოფლიო საკითხებს“.

პოეტს იტაცებდა ყველაფერი მასშტაბური, უსაზღვრო, კოსმიური: კოსმიური ორკესტრი, კოსმიური მუსიკა, კოსმიური ჰარმონია, კოსმიური გრიგალის თქმები, შეიგრძნობდა „კოსმიურ სიცივეს“, აწუხებდა „მსოფლიოს გამოუცნობი წყლულები“ (ეფემერა) (6, 179).

მამულის ბედს მსოფლიოსთან კავშირში გაიაზრებდა: „საკითხი, რომელიც ეხლა ირჩევა ვერსალში, სამკვდრო-სასიცოცხლოა საქართველოსთვის“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

გლობალიზაციის საფრთხეც არ რჩებოდა შეუმჩნეველი, თუმცა აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლის აუცილებლობაში რწმუნდებოდა და ეს ბორკილების მსხვრევის გზად ესახებოდა.

მსოფლიო სახელებთან (დანტე, შელი, ბაირონი, ვერლენი, ბოდლერი, რემბო გოტიე, ედგარ პო) ახსენებდა რუსთაველს და დარწმუნებული იყო ქართული გენიის მარადიულობაში: „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს“ (პოემა ვეფხვისა) (6, 257).

ტოლივით ეპაექრებოდა საკაცობრიო რანგის შემოქმედთ, მათ შეგირდად კი არა, მაესტროსავით გრძნობდა თავს, „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნებას დაუფლებული.

„პლანეტარული ქაოსის“ გამომხატველი, მომავალ საუკუნეთა დღესასწაულზე ჭვრეტდა საკუთარ პოეზიას (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

პოეტის მიერ გულდასმით შესწავლილი „გაუვალი და გავლილი“ გზები ხასიათდებოდა „დაუსრულებლობით“ (გზები გაუვალი და გზები გავლილი) (რჩეული, 1989, გვ. 447).

გალაკტიონის უსახლო, უნავთსაყუდლო სულმა მოიარა მიწის კალთა, ის თვით იყო „მსოფლიო ძალა-უგეში“ (პოემა ვეფხვისა), მაგრამ აწუხებდა „საზღვარი, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეული...“

წინასწარმეტყველური ინტუიციით გრძნობდა სიკვდილის მომტანი დემონის, ლუციფერ-მეფისტოფელთა, წითელი გველეშაპისაგან ხელდასხმული მხეცების, სატანური რევოლუციონერების დამღუპველ საქმიანობას თავის ქვეყანაში და მსოფლიოს ყურადღების მიქცევას ცდილობდა: „... და გასაგონად: მსოფლიო, წყნარად! იქ ნანგრევებად იქცა სოფელი. დიდი ხანია იქცა არარად და დაჰხარხარებს მეფისტოფელი“ (ეს შეღამება) (5, 323).

აფთარ-ნადირთა საბატონო სამშობლოს კატაკლიზმებზე, ბოროტების იმპერიის საფრთხეებზე მიანიშნებდა მსოფლიოს (ცეცხლი, მახვილი), წითელი ქარისაგან იავარქმნილი ქვეყნის ნამდვილ სახეს უჩვენებდა კაცობრიობას და გაბედულად მიმართავდა: „წყნარად მსოფლიო! წინ მსოფლიო! მსოფლიო ჩუმად!“ (ქარი, ამწევი ფარდის) (5, 229).

მისი სიტყვის ადრესატი იყო მსოფლიო, საუკუნეები, უსაზღვროება, კოსმოსისკენ მიმართავდა მზერას, აძრწუნებდა მარადიული ზამთრის მუქარა (ზამთრის დღეები), „ავდრის მოლოდინი“, მსოფლიო კატაკლიზმები და მასშტაბურ ნგრევას წინასწარმეტყველებდა: „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით“ (კოსმიური ორკესტრი) (4, 127).

უტყუარად შეიგრძნობდა მსოფლიო ომის მაუწყებელ ქარს.

პოეტს არასოდეს არევია ერთმანეთში „წუთისოფლის დიდება“ და „დიდება მარადისი“, კოსმიური, მარადიული და ეფემერული. პროლეტარულის, პრიმიტიულის, უსახურისგან განასხვავებდა ნამდვილად რევოლუციურ ხელოვნებას, მიესალმებოდა „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას“ (აკაკი წერეთელი).

„აქა-იქ რაღაცას შურდღულობენ პროლეტარულ პოეზიაზე, აქა-იქ თემად მიაჩნიათ რევოლუცია და კოსმიურ საქმედ მიაჩნიათ. ამ მხრივ რატომ არ იქნება კოსმიური მოვლენა თუნდაც კონტრევოლუცია და ან რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან პოეტს, გარდა კარიერიზმისა?“ (7, 452).

გალაკტიონი წუხდა „სიცივით და რევოლუციით გაყინულ ხალხზე“ (იქვე, 259).

სოციალისტურ რევოლუციას ეპოქალურ კატასტროფად, ათეისტურ მარქსიზმ-ლენინიზმს კი სატანისტურ მოძღვრებად მიიჩნევდა. შიმშილის, სიცივის, დევნის, გაუტანლობის დემონი ამგზავრებოდა მის თანამედროვეობას და მთელ მსოფლიოს დაანახვებდა შავი ფერით: „სიზმარი უკეთესია, ვინემ სინამდვილე. ახლანდელი სინამდვილე კი... განსაკუთრებით ჩემი... ღმერთმა შეარცხვინოს. მსოფლიო შემოსილია მხოლოდ შავი, საშინელი სინამდვილით“ (7, 457).

ლექსით – „ორად გაიპო წითელი კლდე“ – გამოხატა დედამიწისთვის წითელი ჭირის თავს მოხვევის, მსოფლიოს „საზარი ომის“ შიში და ეს საფრთხე აცხადდა კიდეც მეორე მსოფლიო ომის შედეგად.

პოეტმა დაგმო საზღვრების მოშლა, უკარო სახლის სახეში წარმოადგინა მთელი მსოფლიოს პროლეტარების გაერთიანების, ულობო, ინტერნაციონალური ქვეყნის შექმნის იდეა, რაც ჩვენს „უფროს ძმას“ ეკუთვნოდა, ხოლო საერთაშორისო არენაზე მომძლავრებული მასონურ-კოსმოპოლიტური მოძღვრება, ერთა ლიგა პატარა ქვეყნებისთვის შექმნილ საშიშროებაზე დუმდა და ამით „გადამთიელი გადიის“ წისქვილზე ასხამდა წყალს (იმ ერთა ლიგას).

გალაკტიონს აინტერესებდა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მიმართება მსოფლიოსთან. ამ პრობლემას თავისი შემოქმედების ჭრილში გაიაზრებდა და მის განსაკუთრებულობაზე ამახვილებდა ყურადღებას (ეფემერა) (5, 202).

გალაკტიონმა „მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები“ ასწია, მისმა გონმა მოიარა პლანეტები, კოსმოსი, საქართველოს „თანამდევ, უკვდავ სულად“ იქცა.

ეფემერებით გატაცებულმა პოეტმა, ღვთის განგებით, „ახალი კართაგენი“ ააგო ზეცაში, ქრისტიანული ჯვრით, გვიანი მტევნებით, წმინდა ემბაზით (მარიამის სიმბოლოა „დაუჯდომლის“ მიხედვით), „ზენიტზე მდგარი შორი პალმებით“, „დიდი საიდუმლოთი“ (ღმერთის სახელებია), ქართული სულით მიაღწია პარნასს, ახალი მერიდიანი გაავლო პოეზიის გლობუსზე (ეფემერა) (6, 179-180).

კოსმიური მუსიკის, კოსმიური ჰარმონიის, საღვთო მუსიკის მოსმენა-გათავისება ახასიათებდა გალაკტიონს, რაც რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1992
2. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1992
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982
5. გალაკტიონ ტაბიძე, ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1988
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1989
7. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, თბ., 1991
8. გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1996, №4

„ფეხით დიდებისაკენ“

გალაკტიონი აცხადებდა: „... რომ ისევე მტკიცე ფეხით ვიდგე მასაში, რომ ფეხდაფეხ ჩვენს სწრაფმავალს მივყვე დროებას, მგლის მუხლით და ფეხით ვთელო საწუთროება... მინდა ფეხით მოვიარო მთელი ხმელეთი, მისი ღელვით, მისი შუქით და სიბნელეთი. მომირჩინე ჩემი ფეხი, კიდევ ისა ჰქენ, იმავ ფეხით რომ გავწიო დიდებისაკენ“ (ფეხით დიდებისაკენ) (ხუთტომეული, ტ. 2, თბ., 1993, გვ. 359).

მხოლოდ ღმერთის რჩეულს შეეძლო „მსოფლიო გლობუსის“ გულში ჩატევა, უთვალავი გზების განჭვრეტა: „ბევრზე ბევრია გზები სავალი, ხალხთ სამსახური უფრო მრავალი, დალოცოს შენმა კეთილმა ჩრდილმა მძიმე, ეკლიან გზით მიმავალი“ (ერთხელ შენ დაჰხვენ ჩემგან კარები) (რჩეული, თბ., 1982, გვ. 296).

მოგონების, იმედების, მარადიული შეხვედრების გზა იყო პოეტის გზა: „მზის ამოსვლისებრ მოგონებაც მარადი გზაა, მარადი გზაა იმედების და შეხვედრების“ (მზის ამოსვლა ზღვაზე) (რჩეული, თბ., 1982, გვ. 329).

„უზენაეს ცეცხლთან“ (ღმერთთან) წილნაყარ პოეტს ერგო დადაფნული გზები, მეფის სიდიადე: „დადაფნულ გზაზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ (მგლოვიარე სერაფიმები) (რჩეული, 1982, გვ. 74).

ხალხის, მისი იდეალების ეკლიან გზაზე შემდგარი პოეტი უზენაესს ევედრებოდა: „ბევრზე ბევრია გზები სავალი, ხალხთ სამსახური – უფრო მრავალი. დამლოცოს შენმა კეთილმა ჩრდილმა, მძიმე, ეკლიან გზით მიმავალი“ (ერთხელ შენ დაჰხვენ ჩემგან კარები) (რჩეული, 1982, გვ. 296).

„ახალ სიტყვებში მყოფი სამყარო“

გალაკტიონის ძიების ორიენტირი მასშტაბური იყო, „მამაცი ზღვარგადამლახველი“ პოეტი ერთდროულად ელტვოდა მშობლიურ ნაპირს, კოსმიურს, ზმანეთის ქვეყანას: „აჰა ნაპირიც, ჩვენი ნაპირი, იგი მშობლიურ თიბათვეს ჰგავდა, სილაზე იყო გზა პირდაპირი სილაში უხმოდ ჩაწოლილ ნავთან... და იალქნების გროვა მრავალი ეშურებოდა ქვეყანას – ზმანეთს, იქ, სადაც ზღვა და ცის დასავალი სიტყვის უთქმელად გრძნობენ ერთმანეთს“ (918).

ეს „ზმანეთის ქვეყანა“ „ფანტაზიის მერანზე“ მჯდომი პოეტის ორიგინალური სამყაროა.

გალაკტიონის ესთეტიკის ქვაკუთხედია „აღმოჩენა, გამოგონება, შექმნა“.

პოეტების მეფემ უპირველესად აღმოაჩინა, ახლებურად დაინახა ადამიანი: „ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება“ (სახეს გადაჰკრავს).

მასშტაბურ აღმოჩენებს უკეთებს აქცენტს ლექსი „დადგა აგვისტო“: „აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი...“

ასევე აღმოსაჩენი გახდა ათეისტური ეპოქის მიერ მივიწყებული საღვთო სიყვარული და განგებამ გალაკტიონს დააკისრა ეს მისია: „ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული“. მის მიერ შექმნილი „ახალ სიტყვებში მყოფი სამყარო“ განკუთვნილია მომავალი საუკუნეებისთვის, მსოფლიოსთვის.

გალაკტიონი მიეახლა სულიერი სამყაროს ახალ ნაპირს (918).

გრიგალისებური ძალით ეძებდა პოეტი რუქაზე არაღნიშნულ ახალ „კამჩატკას“: „ოჰ, როდის ვიტყვი: გრიგალი ჩადგა! იქნება დაცხრეს მშფოთვარე გული... იქნებ გამოჩნდეს სადმე კამჩატკა, რუქაზე არსად არ აღნიშნული“ (ავდრები).

პოეტის მიზანი იყო გასცილებოდა საზღვრებს, „რასაც კაცთათვის ამყარებს ბედი“ (რაა ეს გრძნობა?).

მისი „სიკვდილივით მარადი სურვილი“ იყო „მთელი ქვეყნის სიმღერებით“ მოვლა (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

„მომავლის ქნარი“

„მომავლის სხივებით“ (სხივი საღმრთო სახელია) გაბრწყინებული გალაკტიონის გენია ტიტანივით მთებზე გადავლის ძალას იძენდა, ვნების ცეცხლად ევლინებოდა თოვლიან მწვერვალებს და სასწაულებს ახდენდა: „... მომავლის მზის სხივები კანდელივით დამქათქათებს, მალე, მალე მთებს და ველებს ტიტანივით მოვევლები, ვნების რკალად მოვედები მუდმივ თოვლით შესუდრულ მთებს“ (ავრორა).

მომავლის, ნუგეშისმცემლის (ღმერთის სახელია) სტიმულით ვიდოდა შორეულ სივრცეებში გალაკტიონი: „აქ კი უღრუბლო და ლურჯი ცაა, წინ – მომავალი, ნუგეშისმცემი. გემიც დაიძვრის, აჰა, საცაა, აჰა, საცაა დაიძვრის გემი“ (აჭარის სილაჟვარდეში).

მრავლისმნახველ, ხმელეთის, ზღვების მომვლელ მოგზაურ პოეტს ენუგეშებოდა მომავლის უცდომელი მსჯავრი: „ახლა კი ხელი მივცეთ ერთმანეთს, ხომ მოგვივლია ხმელეთი, ზღვები, ოჰ, მომავალო, შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები“ (სტანსები).

დიდ წინაპართან – აკაკი წერეთელთან შეხმიანებული პოეტი ვალში არ რჩებოდა წარსულთან და თავის ლურჯას მომავლისკენ მიაჭენებდა: „... იმ დროს ბევრი ქარს გადურჩა, წარსულს ვალში არ დაურჩა, მშვენიერი მომავლისკენ გასწი, გასწი, ჩემო ლურჯა!“

საღვთო, მარადიული სიბრძნით გამორჩეული პოეტების მეფის მართალი სიტყვა წინსვლის მსახური იყო. მიზანმიღწეული, საკაცობრიო იდეებით პარნასზე დამკვიდრებული პოეტი უმშვენიერეს კიბეზე იდგა: „უმშვენიერეს კიბეზე უეცარ ფიქრით შევდექი: ბრწყინავდა მარმარილოთა ზეასვლა შემდეგ შემდეგი... აქ, ამ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი, საიდანაც ჩქეფს სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი. ურთულეს ბრძოლის მიზანი – საკაცობრიო იდეა – იგივ კიბეა მსვლელი იქ, სად გამარჯვების კიდეა“ (უმშვენიერეს კიბეზე).

„მთვრალი ხომალდით“ მოგზაური არტურ რემბო ხედავდა „ხომალდთა არქიპელაგს“, მბრწყინავ კუნძულებს, ვარსკვლავეთის გზას, იქ ეგულებოდა ოქროს ჩიტები, ხვალის დღეები: „... გავცქეროდი ხომალდთა არქიპელაგს! კუნძულთა ბრწყინვას! იხსნება გზა და ვარსკვლავ-ვარსკვლავ-მიიკვალება: ეგებ უძირო მაგ ღამეში შეხიზნულს გძინავს, ო, მირიადო ოქროს ჩიტო, ფეთქვავ ხვალეთა!“ (მთვრალი ხომალდი) (ფრანგი პოეტები, ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა, თბ., 1977, გვ. 92-95).

გალაკტიონი თავისი „ლურჯი ხომალდით“, „ოცნებათა უდიდესი, უწრფელესი, გმირული გემით“ გაეჯიბრა მსოფლიოს პოეზიის კორიფეებს და „გადააჭარბა თავის მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა“ (კ. გამსახურდია).

გალაკტიონმა გამორჩეული ნიჭით, ტიტანური ძალისხმევით მოიპოვა ეპოქის პოეტურ ძალთა საჭეთმპყრობლის ტიტული: „არცერთ ეპოქას არ აქვს უფლება, გაესაუბროს ჩემსას თამამად, მას მომავალი ეალუბლება მხოლოდ გრიგალად, წვიმად, სამუმად“.

„გაუკვდავების ოცნებაც“ აუხდა, რადგან „გამვლელ-გამომვლელ წამს“ კი არა, მარადისს ეხმაურებოდა (არცერთ ეპოქას არ აქვს უფლება) (რჩეული, 1982, გვ. 251).

„ბრწყინვალების და გამარჯვების სამოსელით“ მოსილი პოეტი სიმშვიდით გადასცქეროდა მსოფლიო ღელვებს, ელოდა უზენაესს, რადგან თავისი არაერთი მზე ამოიყვანა აღმოსავლეთის ცაზე.

პოეტი მომავალშიც ხედავდა თავის ერთგულ რაინდებს (გაიცქირება მომავლისკენ) (რჩეული, 1977, გვ. 197).

გალაკტიონმა უკვდავყო თავისი საუკუნე, ამასთან გადაიხედა მომავალში, საუკუნეების „თანამდევი, უკვდავი სული“ გახდა: „ამ წიგნში მთელი საუკუნის ვიპოვე

ბინა, უცხო წალკოტში, სადაც კალთა გადაეფინა მზის ელვარებას და უსაზღვრო ძებნის სურვილებს, ძველი ელლადით, ძველი რომით გადაბურვილებს. აღმოჩენილი სულ შემთხვევით, ნახევრად მკვდარი, ძლიერ მიმავალს უმღეროდა მომავლის ქნარი“ (ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი).

Luara Sordia

In Galaktion Tabidze's Poetic World
Resume

The King of the 20th century Georgian poetry Galaktion Tabidze has creatively internalized the achievements of both of the centuries old native literature and of the world classics and has managed to modernize creative word and to establish it at the international arena. The innovations identified in his works are defined as classic universalism, highest realism and implies the renaissance stance.

Galaktion echoed to the giants of thought of the world, agreed to Shalva Nutsubidze's theory about Georgia, Eastern Renaissance and gave the primary place not to Italian Dante, but to Rustaveli. He described the author of the *Knight in the Tiger's Skin* as the Titan and appeared to us as a titan himself too.

For Galaktion, the true poetry was the Grace of the Holy Spirit. The appearance of the third member of the Trinity awarding the talent was expressed in the medieval aesthetics with „blowing", „blows", heavenly breeze, and heavenly winds. Georgian poet's Blue Horses ran with the „Colorful Winds." The images of the „Patron Sails" and „Dreaming Sails" are represented with the same meaning in his works, as „sails" are the symbol of the Holy Spirit.

As the noble mission of poetry, creative word Galaktion believed to be the serving to faith, leading the people on the road to the temple, raising-solving the national-political, religious-philosophical problems. For Galaktion, the true creative work was „invention, discovery, creation" and prophecy. He was distinguished by „seeing as thousands", „listening to hundreds of thousands". He different the fleeting, ephemeral and eternal wisdom; was the adept of the heavenly wisdom, heavenly love; the one listening to the heavenly music.

Galaktion was searching for the gold mine in the Klondike, as American Edgar Poe did in Eldorado and Colorado. Of course it was the search for the gold of word, perfected by „own stamp" and unique. His „gold harp" was more valuable to him than the whole gold of the world, millions and billions.

Galaktion's goal was not only to synthesize the eastern and western tendencies, but also research all four directions of the world, to learn about the progressive information of the world, which he described as „poetic integrals."

The poet shared the theory of transmigration, which allowed him to smoothly travel in time, to see the past, present and future and to see the future as the Biblical prophets did.

Galaktion was the eternal Georgian spirit, coming from the immemorial times who stated that: „I was losing the count of centuries," „In front of my eyes passes the turmoil of time, stormy and foamed"…

He saw the chaos of the times of creation of the world, he heard the sacrament told by

Gabriel Archangel to Virgin Mary, „attended“ the crucifixion of Christ and „saw“ the farewell of the Mother of God and the Son of God…

He remembered Rustaveli's childhood, his glance, was in the „golden boat“ with Novalis and Edgar Poe, saw the spirit, aura and colors of people and the other world.

He was a reckless traveler and sailor, „the fantastic boatman“, the Bedouin in search of beauty, the knight riding against the wind and flow; he heard „the advice from the ship“ (ship is the symbol of the church), he dreamed of „patron sails“ and „dreaming sails“ (sails are the symbol of the Holy Spirit).

He was terrified of the tragedies of the epoch denying the Lord; he saw the road to savior by turning back to the faith; and that is why he created „the song of love“, as love is the name of the Lord.

Accompanied by the Christian Cross, Zenith Palms (Palm is the Holy name), „the Holy Emboss“, „Holy Ark“ (Emboss, Ark are the symbols of Mary the Mother of God) he aspired to the poetic Parnassus; was building the new Cartagena in the skies, created the „new meridian“ on the world poetic globe. „I can fit the world globe in my heart boldly“, he said and was confident in his uniqueness.

He heard „something not from this world“, „the breathing not from this world“; his soul which was also out of this world was unable to fit in the dogmas; his goal was to aspire „afar from his fate“, to move afar the borders set for the ordinary mortals, to break „the frames“, to listen to „heavenly immortal voices“, to feel „the heavenly love“, which was exceeded the capabilities of the ordinary mortals and was taking him close to insanity and that is why he was „the insane and happy soul“.

He beheld the „heaven collapsing“ (distancing from the Higher Faith), „declining of the earth“ (the sins of the world), which intensified his tragic intonations, but still allowed him to still share the happiness of the cosmic harmony of „the mixing of earth and heaven“.

He appeared to us in the masks of Hamlet, Don Quixote and Faust and was familiar with Orpheus, Dionysus and demons.

He perceived life as the sea and as Christ managed to overcome the raging waves and in the poet's spirit raged the sea of the genius; the ocean of thoughts.

His boundless spirit had the power of the wind, storm and undefeated element; he was capable of astral travelling.

Galaktion was getting drunk for escaping the unacceptable reality. He was mostly drunk from „blue wines“, „ancient wines“, „wines of joy“ and „fire wines“ or from faith, as fire and wine are the Holy names, presented by Galaktion with original epithets.

He realized and was committed to the national triad, national-political problems, religious-philosophical ideals; gave the unique sound to the word, which gained the thought, color and music.

In the opposition of death and art Galaktion hoped for the immortality of creativity (the Moon of Mtatsminda, Blue Horses, Reconciliation, Talks about Lyrics).

To the religious-philosophical, humankind problems he dedicated the cycle of „Brightness or the Rose in the Sand; „Snow“; „the Eyes Remained Opened“; „On the Road“; „Domino“; „the Asps“; „the Tower“; „Peach Flowers“.

Representation of the national-state problems are: „the Homeland“; „Native Ephemera“; „Poplars in the Snow“; the poem – „the Book of Peace“.

"The strange", „Abroad", „the Other" had special place in Galaktion's works, which he perceived by consideration of the Biblical wisdom.

In addition, it was important for the poet to perceive events „from the homeland's viewpoint", to see the relation of Georgia with the rest of the world.

The poem „the Book of Peace" is the summarization of the centuries-old traditions of our country, which is related to the „hundredth enemy", „the friend friend", the northerner „demon"; as the salvation he saw the „strength of thoughts", keenness and awakening.

The main source of Galaktion's creative work is the Bible, theology, theological poetry, Georgian and foreign classical poetry and folklore.

Like the Biblical prophets, the poet the poet thought by parables, symbols and allegories and absolutely original images. In his works the canonical concepts are represented with new, unique nuances, original epithets. No original sources can be found to most of his metaphoric and symbolic examples. Stunning enigmas have been created. Religious-philosophical problems are covered by such Holy names as: bright, sun, light, ray, pole of candle, fire, patron fire, invisible fire, rose, book, wine, eye, joy, winemaker, winegrower, gardener, the shadow of future, the painter chaos, the door of the days, the Holy sky, the slim poplar, the dawn, summer, road, palm, dew, water spring, fountain, the path, hope, violet road, vineyard, word, soul…

Galaktion's works attract attention by diversification, consideration by new nuances of such canonical commandments of the Mother of God as: violet, ring, arc, city, cup, bowl, heaven, cloud, poplar, strange soul, the harp of the graving, princess, tower, moon, bridge, flower, yard, ladder, unfading flowers, which are all accompanied by very unique epithets.

According to the Bible, the symbols of Georgian people are the garden, vineyard and oak.

The poet reflected the tragedies of the epoch denying God by the destroyed, frozen, vanished, extinct, deceased flowers and their variations.

The deceased, lost in chimeras, lost sunny night, fainting fire, dried and dirty spring, forgotten love, sunk ships, vanished summer, dead vine, snow-covered poplars, abandoned roads, mixed pages of old books, unlit candles pointed to the atheist epoch, rejecting the faith.

One of the primary places in Galaktion's works is given to the ideal of the Grail, which is the symbol of the Holy Spirit, wisdom and the Mother of God.

He does not either forget the apocalyptic images, such as the devil, the demon, the predator and their variations: the Demon, Lucifer, and Beelzebub.

Marxism-Leninism, revolution (except of the 1917 February revolution, which resulted in the collapse of the Russian Empire) is evaluated negatively, as the violence, bloodshed and destruction.

The position of the ruling Bolsheviks, tyranny, dictatorship of the Soviet, the party principle of literature and socialist realism demanded writers and poets to appraise the tyranny called revolution and for saving himself Galaktion wrote incapable panegyrics written without heart and collected pseudo-poetry examples. This resulted in pain and regret of the poet; made him feel the spiritual discomfort, which finally brought him to suicide. Such condition of Galaktion was defined as „the comic in tragedy" by Rostom Chkheidze, author of the biographic novel dedicated to Galaktion Tabidze.

The most important for Galaktion was not to support the destruction announced as

equality and the October Revolution, but „the soul revolution."

The imagery of a garden, vineyard had the special place in the poet's works; he considered those terms from two angles – one the one hand the earthly garden and vineyard were the metaphors of people, country and on the other hand the addressee of the heavenly vineyard is the Lord. The poet perceived Georgia as the „elderly garden", the fruitful vineyard, and the heavenly one as the „spiritual vineyard and „the elderly father".

The poet represented the misfortune of the homeland, its tragic history, the condition of the country that has lost freedom by the images of bad weather, winter, snow, unholy snow, snow of the centuries, freezing and through their subtexts he made us look into the cataclysms of the homeland fallen into the deadly embrace of the northern monster.

There is a question in Galaktion's works: will the suffering Georgia survive the sequence of continuous ordeals? And the poet's answer is hopeful, which is confirmed by the expressive subtexts of the savior of the poplar garden, savior of the oak.

Galaktion, as the reincarnation of the Biblical prophets, newly read his contemporary events and foresaw the ways of breaking through to the future. The poet „enriched with the deep wisdom of the future", entered the earth's information space, correctly evaluated the essence of revolution, preliminarily saw the repressions expected during the Soviet period, devaluation of the truth, empowerment of the evil, rule of the Lucifer. He saw „the eye of the future", „the ray of tomorrow", the rainbow, as the messages of the future. He was capable to break through the mist and the wind, to enter the Holy mist and to behold the „elderly father"…

He was concerned by the premonition of the World War II, heard the sound of propellers, felt the smell of the deadly gases and said: „We will again witness the destruction of the world" (the cosmic orchestra).

"Prophecies have never been spoken by the will of human, but they have always been inspired by the Holy Spirit to the servants of the Lord". And Galaktion's prophecies were truly inspired by the Holy Spirit too. With the prophetic intuition he felt the detrimental activity of the deadly demons, Lucifer and Mephistopheles, the Red Dragon's predators and satanic revolutionaries in his country and tried to attract the attention of the world.

He pointed to the cataclysms of his homeland, threats coming from the evil empire and showed the real face of the country overtaken by the predator, „the red wind" to the humankind (the wind lifting the curtain).

Addressee of the poet's words was the world, the centuries. He looked at the cosmos, was afraid of the threat from the eternal winter and saw the world „in the black cloths". He felt the wind speaking about the world war. By the poem „The Red Rock has Broken Apart", he expressed the fear of the world „horrible war" and the given expectation truly came to reality as the World War II.

In the poem „The Book of Peace" Galaktion foretold the loss of Georgian territories.

"By the selection of the pages of the old book" Galaktion pointed to the shattering of religion, but along with that foresaw the return of our people to the Orthodox Christianity.

He perceived the future of his homeland in connection with the world. He noticed the threat of globalization, although, he was confident in the need of getting closer to the raging world and saw it as the way of breaking the handcuffs.

He competed with the creators of the humankind values as an equal and presented himself not as their student, but the director of the cosmic orchestra.

The magnitude of his creativity was cosmic and he was taken away by the „words by cosmic storm“ and „cosmic music“. He searched „sound by sound“, „subject by subject“ and heard the cosmic rhythm, world's prayers, the Holy music, „lamentations by the world“.

Galaktion „discussed all the poles“ and mastered playing „all the strings“.

He has not forgotten about the Maya's civilization, the Himalayans and the Shambala.

He was taken away by everything magnificent, boundless, cosmic; he felt the cosmic cold and was concerned by „the unexplained ulcers“ of the world (ephemera).

The son of the country that has lost freedom, shared Georgian word, Georgian spirit with the humankind, lifted „the titanic loads of world spaces“, and boldly looked in the eyes of the world's acute problems.

The „roads not taken and taken“ were characterized by endlessness. Galaktion's soul traveled throughout the earth; he was „the power of the world“ himself, but was concerned with the boundaries that the humankind was locked in.

Galaktion created „the world living in new words“. „I have discovered the whole world, still unfound by the world. I have found the love not seen by anyone yet“ – he wrote with self-confidence.

He was covered „in the rays of the future“, stood „on the beautify, marble rock“ and with the „biggest, most honest ship of dreams“ competed with the coryphées of the world thoughts.

Galaktion raised his sun over the Eastern Skies, immortalized his century and became the following soul of the eternity „with the harp of the future“ („the harp of the future sang to the powerful future“…)

Galaktion saw the outer world, saw „the spectrum of lights“, the eternal ray and believed that his endless roads would end „in the sky of the skies“, in heaven, as he was always in search of the „sparkles“ by means of „the blue word“, „violet word“, which will never fade.

The great classic writer Konstantine Gamsakhurdia said: „I, personally, know the world poetry to some extent and must say that such great master of poetry as Galaktion cannot be founder neither in our country nor in the whole world. Galaktion was the unique Orpheus of the music of Georgian word. I do not know any other poet in the world poetry, who would have authored so many masterpieces… I state this absolutely honestly, Galaktion has overpowered his teachers, he is far ahead of them.“

ლუარა სორდია არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფეროა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.

სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მიერ დაჯილდოებულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემიები.

ლუარა სორდია ავტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ.1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვის), უცნობი სფინქსი (დაკვირვებები ტერენტი გრანელის პოეზიაზე), „ალაშარა“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1993 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი“, თბ. 1999, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2001, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ–ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2005 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ. 2005, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფცია, აპოკალიფსური სახეები, გრაალის იდეალი, „უნივერსალი“, თბ. 2009, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2009, გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), „უნივერსალი“, თბ. 2009, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, თბ. 2009 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2011, ტერენტი გრანელის ბედისწერა, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა, „უნივერსალი“, თბ. 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, „უნივერსალი“, თბ. 2011,

ქართველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე (მსოფლიოში მოგზაურ და მსოფლიოს რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი), WWW. Sou.edu.ge 2012. ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან (ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“) WWW. Sou.edu.ge 2012. ქართული სულის კოლიზეუმი (ვაჟა ეგრისელის პოეზია) „უნივერსალი“, თბ. 2015. მადლშემოსილი (გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა), „უნივერსალი“,თბ. 2015, ბეჟან ხარაიშვილი–ქართული პოეზიის მიმინო, „უნივერსალი“, თბ. 2016, ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ. 2016, მერაბ კოსტავას პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2017, გრაალის ორდენის რაინდი – გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსალი“, თბ. 2017, სამების სამრეკლოდან, გამომცემლობა „თბილისი“, 2018.

ISBN 978-9941-26-322-4